

812
899.962.1.09
0 546

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა :

ს ი მ ო ნ ჯ ა უ ხ რ ი შ ვ ი ლ ი



ბ რ ი ბ ო ლ ა ბ ა უ შ ი კ მ

ა ნ დ რ ი ა ა შ ა ქ ი კ მ

ე ლ ბ უ ჯ ა გ ა დ რ ა კ მ


კრებულის მეოთხე ტომში იბეჭდება:

- I. მონოგრაფია „შოთა რუსთაველი“ (1166—1250).
- II. ვეფხისტყაოსნის უძველესი და ბოლო-თქმა (ტექსტოლოგიური ნარკვევი).
- III. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა.
(ანტიკური ხანა. საშუალო საუკუნეები რუსთაველის ეპოქამდე).
- IV. ქართული დამწერლობის ძეგლები ანტიკური ხანისა
(I საუკუნე ახ. წელთაღრიცხვისა).
- V. ძველ-ქართული მათიანე „მოკცევაძე ქართლისაჲ“ და ანტიკური ხანის იბერიის მეთაქმე.
(IV საუკუნე ძველი წელთაღრიცხვისა — 310-იანი წლები ახალი წელთაღრიცხვისა).



კომისიის შექმნის შესახებ

(1166-1250)



კარი პირველი

საქართველოს ისტორიული წარსული

1

ძვესანა ძველი კულტურისა

ელინთა უძველესი ისტორიკოსი ჰეროდოტე, რომელსაც „ისტორიის შამა“ ეწოდა, თავის დიად შრომას იმით იწყებს, რომ მოგვითხრობს ელადისა და კოლხეთის ურთიერთობის შესახებ, რაც ჰალარა წარსულს, ტროას ომის წინარე ხანას, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულს მიეკუთვნება. კოლხეთი ძველი საქართველოს ერთ-ერთი ნაწილია, დასავლეთი საქართველო.

„ისტორიის შამის“ მარტოდენ ეს მოწმობაც ნათლად წარმოგვიჩენს, თუ რაოდენ ძველია ქართული კულტურის საწყისები.

საქართველო, რომელიც კავკასიაში, ევროპისა და აზიის მიჯნაზე მდებარეობს, არის ქვეყანა ევროპის კულტურული წრისა, ხოლო დასავლეთის ტრადიციებთან ერთად საქართველომ შეითვისა აგრეთვე აღმოსავლეთის კულტურული ტრადიციებიც, მოგვცა რა ამ კულტურათა თავისებური სინთეზი.

საქართველოს კავშირზე — ჯერ კიდევ უძველეს ეპოქაში — აღმოსავლეთის ქვეყნებთან, პირველ რიგში მონათესავე ხეთურ მსოფლიოსთან, ასევე ბაბილონთან, ასურეთთან, ურარტუსთან, მეტყველებენ ხეთურ-იეროგლიფური და ლურსმნური დამწერლობის ძეგლთა ისტორიული ცნობები, რომლებიც ეკუთვნიან მეორე-პირველ ათასწლეულებს ძველი წელთაღრიცხვისა.

ამავე დროს საქართველოს უძველესი დროიდანვე ახლო კავშირი რომ ჰქონდა დასავლეთთან, ძველ ელინურ მსოფლიოსთან, ამის შესახებ მოგვითხრობენ არა მხოლოდ ანტიკური ავტორები, არამედ ამასვე მოწმობენ მსოფლიო გავრცელების მქონე ლეგენდები, ასე — ლეგენდა არგონავტების მგზავრობისა კოლხეთში ოქროს საწმისის მოსაპოვებლად (ეს თქმულება ჰომეროსის წინაღობინდელი ეპოქით თარიღდება), ასევე დიადი ლეგენდა პრომეთე — ამირანისა, რომელიც კავკასიის ქედზე იყო მიჯაჭვული; ეს მეორე ლეგენდა ელინურმა სამყარომ საქართველოდან შეითვისა და მან განუმეორებელი მხატვრული ხორცშეხსნა ჰპოვა ესქილეს გენიალურ ტრაგედიაში.

უფრო გვიან პერიოდში, ელიზინძის ეპოქასა და რომაულ ხანაში, საქართველო მალაიკ კულტურის ქვეყანაა, დამოუკიდებელი სახელმწიფო დასავლეთისა და აღმოსავლეთის მიჯნაზე. ჩვენი წელთაღრიცხვის I და II საუკუნეებში საქართველო მნიშვნელოვან როლს ასრულებს რომისა და აღმოსავლეთის ურთიერთობის ისტორიაში. თუ რა დიდი პოლიტიკური ავტორიტეტით სარგებლობდა საქართველოს სახელმწიფო ამ ეპოქაში, ამას ადასტურებენ ანტიკური ავტორები, რომლებმაც აგვიწერეს საზეიმო მიღება, მოწყობილი რომში იმპერატორ ანტონიუს პიუსის მიერ საქართველოს მეფე ფარსმან II-თან შეხვედრის დროს ჩვენი წელთაღრიცხვის 141 წელს. ფარსმანმა მონაწილეობა მიიღო დიდ რელიგიურ ცერემონიაში — კაპიტოლიუმზე შესწირა მსხვერპლი და მას უდიდესი პატივი მიაგეს: ცხენზე მჯდომი ქართველი მეფის ქანდაკება აღმართულ იქნა ბელონას ტაძარში.

IV საუკუნის დასაწყისში, 337 წელს, საქართველოში ქრისტიანობა გამოცხადდა სახელმწიფო სარწმუნოებად. საშუალო საუკუნეებში საქართველო აღმოსავლეთ-ქრისტიანული მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა. საჭიროა ამასთან აღინიშნოს აგრეთვე, რომ საქართველოში ბრწყინვალე განვითარება ჰპოვა საერო მხატვრულმა ლიტერატურამ. საშუალო საუკუნეთა ქართული კულტურის ისტორიაში XII — XIII საუკუნეებს ოქროს ხანა ეწოდება. ამ დროს საქართველოში ვითარდება ჰუმანიტური მოძრაობა, რომელიც შეიძლება შევადაროთ მომდევნო საუკუნეების ევროპულ რენესანსს. ამ ხანას ეკუთვნის შემოქმედება დღე: ქართველი პოეტის შოთა რუსთაველისა, რომელიც არის ავტორი გენიალური პოემის „ფეხნის-ტყაოსნისა“. რუსთაველი იყო დიდი მომღერალი ჰუმანიზმისა, ერთი პირველმაუწყებელი რენესანსის იდეებისა ევროპის ლიტერატურაში.

II

საქართველო და აღმოსავლეთ ევროპის მსოფლიო საშუალო საუკუნეებში. ჩინების განთიადი

ვიღრე გადავიდოდეთ შოთა რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედების მიმოხილვაზე, წინასწარ ჩვენ აქ მოგვიხდება ახლო გავეცნოთ საქართველოს XII — XIII საუკუნეთა, რუსთაველის ეპოქის საქართველოს.

როგორც მოხსენებული გვექონდა, ანტიკური ხანის დასასრულს, 337 წელს, საქართველოში ქრისტიანობა გამოცხადდა სახელმწიფო რელიგიად. ეს თარიღი იქცა ეპოქალურ მიჯნად საქართველოს ისტორიაში. ჯერ კიდევ ამაზე ადრე, ანტიკური ხანის ბოლო პერიოდში, საქართველო თავისი კულტურით უახლოესად იყო დაკავშირებული ელინურ-რომაულ სამყაროსთან, ანუ, უფრო ზუსტად, საკუთრივ ელინურ სამყაროსთან. უნდა ვიცოდეთ ამასთან, რომ ამ ეპოქაში, ანტიკური ხანის ბოლოს, საქართველო ტერიტორიულადაც უშუალოდ ესაზღვრებოდა ეთნიკურ საბერძნეთს, ბერძნულ მოსახლეობას ანატოლიაში (მცირე აზიაში). ეთნიკური საზღვარი საქართველოსა და ბერძნულ ანატოლიას

შორის გასდევდა მცირე აზიის პონტოში, ტრაპიზონის ზონის დასავლეთით. ამ მიჯნის ერთ მხარეზე მდებარეობდა ეთნიკური საბერძნეთი; მიჯნის მეორე მხარეზე (ტრაპიზონის მხარის ჩათვლით) მდებარეობდა საქართველო.

ხოლო მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა ოფიციალურ სარწმუნოებად იქნა აღიარებული როგორც რომის იმპერიაში, ისე საქართველოში (ეს თითქმის ერთდროულად მოხდა IV საუკუნის პირველ ნახევარში), საქართველო ზდება ნაწილი დასავლეთის სამყაროსი. ამ დროიდან მოკიდებული, მთელ სამშუალო საუკუნეთა მანძილზე, საქართველო, როგორც თავისი ძველი კულტურით, ისე თავისი ისტორიის მაგისტრალური ხაზით, სახელმწიფოს პოლიტიკური მიზანდასახულობითა და ცივილიზაციის იდეალებით, არის განუყოფელი ნაწილი დასავლეთისა, ევროპის მსოფლიოსი.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ დასავლეთის ცივილიზაცია გახდა მთლიანად ევროპის კონტინენტის ცივილიზაციად სამშუალო საუკუნეებში. ანტიკურ ხანაში დასავლეთის ცივილიზაციის გავრცელების ძირითადი არე შემოიფარგლებოდა ხმელთაშუა ზღვის აუზით. დასავლეთის ცივილიზაციის არეში ანტიკურ ხანაში არ შედიოდა უდიდესი ნაწილი ევროპისა, მძიი ჩრდილოეთი ქვეყნები. ხოლო სამშუალო საუკუნეებში დასავლეთის ცივილიზაცია დროთა მანძილზე თანდათანობით იქცა სრულიად ევროპის ცივილიზაციად, დასავლეთის ცივილიზაციას ეზიარნენ ჩრდილო ევროპის ხალხები.

სამშუალო საუკუნეთა მეორე ნახევარში, XI—XIII საუკუნეებში, ევროპის კულტურული სამყარო განიყოფება ორ მთავარ რეგიონად:

I. აღმოსავლეთ ევროპის რეგიონი, რომელშიაც შედიან: ბიზანტია, ამიერკავკასიის ძველი კულტურული ქვეყნები — საქართველო და სომხეთი, ბალკანეთის სლავეთი, აღმოსავლეთი სლავეთი — კიევის რუსეთი.

II. დასავლეთ ევროპის რეგიონი, რომელშიაც შედის დასავლეთი ნაწილი ევროპისა: რომანული და კელტური ქვეყნები, გერმანული ქვეყნები, დასავლეთ სლავების ქვეყნები.

გაყოფა ევროპისა, დასავლეთის სამყაროსი, ამ ორ დიდ რეგიონად არ იყო დროებითი ან შემთხვევითი. მას სათავეები ანტიკურ სინამდვილეში ჰქონდა.

დასავლეთის დიდ ცივილიზაციას ანტიკურ ხანაში ორი მთავარი განშტოება მოეპოვებოდა — ელინური და რომაული.

აღმოსავლეთ ევროპის რეგიონი მემკვიდრეა ელინური ცივილიზაციისა; დასავლეთ ევროპის რეგიონი მემკვიდრეა რომაულისა.

•

ევროპის ქვეყნებში XI—XII საუკუნეებში იწყება ჰუმანისტური მოძრაობა, რაც საუკუნეთა შემდეგ ევროპის დიდი რენესანსით დაგვირგვინდა. ეს ჰუმანისტური მოძრაობა თავს იჩენს XI—XII საუკუნეებიდან ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, როგორც აღმოსავლეთ ევროპის მსოფლიოში, ისე დასავლეთ ევროპაში.

პირველსათავე ამ მოძრაობისა არის მთავარი ქვეყანა აღმოსავლეთ ევროპის მსოფლიოსი — ბიზანტია. და ეს ბუნებრივიცაა. ევროპის ქვეყანათა შორის ბიზანტიაში ყველაზე ძლიერი იყო ანტიკურობის ტრადიციების გადმო-

ნაშთები. ბიზანტია ეს ხომ იგივე საბერძნეთია, ცივილიზაცია ძველი ელინური ენისა, რომელზედაც შეიქმნა ანტიკურ ხანაში დიადი მწერლობა კაცობრიობისა, დიადი ფილოსოფია, შთავგონებული ადამიანის თავისუფალი სულით.

აქ საჭიროა აღინიშნოს ამასთან, რომ ანტიკურობის ტრადიციების გაღვიძებას ბიზანტიაში ადგილი ჰქონდა არა მხოლოდ XI საუკუნეში, არამედ ამაზე ადრეც, რამდენიმეგზის. ეს ტრადიციები ბიზანტიაში ხან ნელდება, ხან ისევ მძლავრდება. ასე, IX საუკუნის მეორე ნახევარში და X საუკუნის პირველ ნახევარში ჩვენ ვხედავთ ბიზანტიაში ანტიკური მწერლობისადმი ინტერესის ერთგვარ გამოღვიძებას, სდგება ქრესტომათიები და კრებულები, რომლებშიაც შეაქვთ ანტიკური მწერლობის ნაწარმოებნი, სწავლობენ მათ. მაგრამ ამას არ ჰქონდა ფართო მოძრაობის ხასიათი; ამასთან იგი არ ამაღლებულა რენესანსული სახის ჰუმანიზმის იდეებამდე.

ხოლო XI — XIII საუკუნეთა მანძილზე ევროპის მსოფლიოში თანდათანობით გაიშალა რენესანსული სულის ჰუმანიტური მოძრაობა, ჯერ ბიზანტიაში — XI საუკუნის ნახევრიდან, საქართველოში — XI საუკუნის დასასრულიდან, დასავლეთ ევროპაში — XII — XIII საუკუნეებში.

ასე, ერთმეორის მიდევნებით არსდება აკადემიები და უნივერსიტეტები: ბიზანტიაში (მანგანის აკადემია, XI საუკუნის შუა წლებში), საქართველოში (გელათის აკადემია, XII საუკუნის დასაწყისში), დასავლეთ ევროპაში (საფრანგეთში უმაღლესი სასწავლებლები პარიზისა და შარტრისა XII საუკუნეში, იტალიაში — ბოლონიის უნივერსიტეტი XIII საუკუნეში), რომლებიც ჰუმანიტური მოძრაობის კერები გახდნენ.

არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ ამასთან, რომ XI საუკუნეში ბიზანტიის ჰუმანიტური მოძრაობის მეთაურთა რიგებში ბერძნების გვერდით ჩვენ ვხედავთ ქართველებს, როგორც ცნობილია, კონსტანტინეპოლში 1083 წელს ანათემით შეაჩვენეს ბიზანტიური რენესანსის დიდი მოღვაწე ფილოსოფოსი იოანე იტალოსი. იოანე იტალოსის თანამოღვაწე იყო ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი, რომელიც ამ დროს ბიზანტიაში მოღვაწეობდა. ამ ქართველმა ფილოსოფოსმა იოანე პეტრიწიმ დევნა განიცადა იოანე იტალოსთან ერთად 1083 წელს. ჩვენამდე მოღწეულა წერილი იოანე იტალოსისა, მიმართული ქართველი ფილოსოფოსისადმი, რომელშიაც იგი მოიხსენებს, თუ რა სიმტკიცე, რა სიმაღლე სულისა გამოავლინა ნისმა ქართველმა მეგობარმა დევნის ჟამს.

იოანე პეტრიწი XI საუკუნის დასასრულს ბიზანტიიდან საქართველოში ჩამოიღის. საქართველოს მეფემ დავით აღმაშენებელმა, დიდმა სახელმწიფო მოღვაწემ, ჰუმანიტური მოძრაობის დიდმა მესვეურმა, იოანე პეტრიწი მოიწვია გელათის აკადემიაში. დავით აღმაშენებლის თანამედროვე ქართველი ისტორიკოსის თხზულებაში გ ე ლ ა თ ი, სადაც აკადემიასთან ერთად არსებობდა უმაღლესი სასწავლებელი, მოიხსენება „სასწავლოდ ყოვლისა კეთილისა“, „მოდკრად სწავლულებისად“, „სხვად ათინად“ (= მეორე ათინა); გელათს ეწოდება აგრეთვე „ახალი ათინა“. დავით აღმაშენებლის თანამედროვე პოეტი შავთელი (1) გელათს უწოდებს „ელადას“. ეს სახელწოდებანი გელათისა „სხვა ათინა“, „ახალი ათინა“, „ელადა“ კარგად გამოხატავს მნიშვნელობას გელათის აკადემიისა, როგორც ქართული ჰუმანიზმის კერისა.

არაა ამასთან მნიშვნელობას მოკლებული აღვნიშნოთ ისიც, რომ აქ მოხსენებული ქართველი ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის მეგვიდრეობას კარგად იცნობდა შოთა რუსთაველი, შოთას პოემაში არის ადგილები, სადაც გვაქვს გამოხმაურება იოანე პეტრიწის ფილოსოფიური იდეებისა.

III

ბიზანტია და საქართველო.
პოლიტიკური ვითარება ახლო აღმოსავლეთში
XI — XII საუკუნეთა მანძილზე

ჩვენ აქ მოგვიხდება შევეხოთ ზოგიერთ საკითხს ბიზანტიისა და საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან.

XII საუკუნის დასაწყისში შეიქმნა საქართველოს ძლიერი ზოგად-კავკასიური სახელმწიფო.

XII საუკუნის დასაწყისიდან XIII საუკუნის დასაწყისამდე ხდება თანდათან განმტკიცება საქართველოს სახელმწიფოსი.

XII — XIII საუკუნეთა საზღვარზე, თამარ დიდის ეპოქაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის (ბიზანტია—კავკასიის რეგიონის) პოლიტიკურმა ცენტრმა გადმოინაცვლა ბიზანტიიდან საქართველოში.

ჩვენ აქ მოკლედ განვიხილავთ, თუ რამ განაპირობა, რასთან იყო დაკავშირებული ეს დიდი ცვლილებანი აღმოსავლეთ ევროპის მსოფლიოს ამ ზონაში.

•

XI საუკუნის ნახევრიდან იწყება თურქების (სელჯუკების) დიდი გადმოსახლება შუა აზიიდან სამხრეთ კავკასიაში და ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში.

XI საუკუნის მეორე ნახევარში თურქებმა დაიპყრეს:

I. სამხრეთ კავკასიაში:

ა) სომხეთი, რომელიც ამ დროს აღარ წარმოადგენდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს, არამედ ბიზანტიის იმპერიის ფარგლებში იყო მოქცეული;

ბ) არანი (სამხრეთ-აღმოსავლეთი ამიერკავკასიის მხარე).

II. საკუთრივ ბიზანტიის იმპერიაში თურქებმა დაიპყრეს ანატოლიის (მცირე აზიის) დიდი ნაწილი.

ეს იყო არა მხოლოდ დაპყრობა, არამედ ამ ქვეყნების მერ ნაწილში ჩამოსახლება თურქი ნომადებისა, რამაც შესცვალა ამ მხარეთა ეთნოგრაფიული სახე. კერძოდ, ამ დროიდან მოკიდებული, ბიზანტია საბოლოოდ ჰკარგავს იმპერიის უაღრესად მნიშვნელოვან ტერიტორიებს, ცენტრალურსა და აღმოსავლეთ ანატოლიას, თურქთა მასიური ჩამოსახლების გამო.

რაც შეეხება ამიერკავკასიას, თურქთა მასიურ ჩამოსახლებას ადგილი ჰქონდა არანში, რის შედეგადაც ეს მხარე თურქული გახდა.

სომხეთში თურქების ჩამოსახლებას თუმცა ასეთი ფართო სახე არ მიუღია, მაგრამ ცალკეულ მხარეებში აქაც გაჩნდა მნიშვნელოვანი თურქული მოსახლეობა.

ხალხთა ეს დიდი მოძრაობა შეეხო აგრეთვე საქართველოს. XI საუკუნის ბოლო მეოთხედში საქართველო აწარმოებს განუწყვეტელ ბრძოლებს თურქებთან. თურქებმა დაიპირეს კიდევ აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთი მხარე და სცადეს აქ დასახლება და დამკვიდრება, თუმცა საბოლოოდ ფეხი ვერ მოიკიდეს. საქართველოს ხელისუფლება, გამაგრებული დასავლეთ საქართველოში და აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ მხარეებში, განაგრძობდა შეუწყვეტელ ბრძოლას თურქების წინააღმდეგ.

•

XI საუკუნის დასასრულს საერთაშორისო მდგომარეობა ძირეულად შეიცვალა.

თუ XI საუკუნის მეორე ნახევარში წარმოებდა თურქების შემოტევა დასავლეთისაკენ, XI საუკუნის ბოლოს იწყება ევროპის ხალხთა საწინააღმდეგო მოძრაობა აღმოსავლეთისაკენ, ჯვაროსანთა ლაშქრობანი.

დასავლეთ-ევროპელთა ჯვაროსნებმა 1096 წელს დაიკავეს იერუსალიმი. დააარსეს პალესტინაში დასავლეთ-ევროპელთა იერუსალიმის სამეფო, ხოლო სირიაში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, და ჩრდილო მესოპოტამიაში შეიქმნა დასავლეთ-ევროპელთა სამთავროები.

ჯვაროსანთა ომების გამო თანდათანობით შენედა თურქებისა და ახლო აღმოსავლეთის მუსულმანთა ექსპანსია საქართველოსა და ბიზანტიის წინააღმდეგ.

•

ასეთი იყო ვითარება, რომელიც შეიქმნა ახლო აღმოსავლეთში XI საუკუნის დასასრულისათვის.

საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური მდგომარეობა, რასაკვირველია, დიდად გააძლიერა იმ გარემოებამ, რომ ახლო აღმოსავლეთში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, დამკვიდრდნენ დასავლეთ-ევროპელები.

მაგრამ ამავე დროს საქართველოს უდიდესი საფრთხე შეუქმნა მეორე გარემოებამ, სახელობრ იმ შედეგებმა, რომლებიც მოჰყვა ხალხთა დიდ გადასახლებას XI საუკუნის მეორე ნახევარში. ეს საფრთხე იმაში მდგომარეობდა, რომ მას შემდეგ, რაც თურქებმა დაიკავეს ბიზანტიის აღმოსავლეთი ნაწილი, ცენტრალური და აღმოსავლეთი ანატოლია, საქართველო ტერიტორიულად მოსწყდა ბიზანტიას და, მაშასადამე, მოსწყდა ევროპას.

საქართველო განმარტოებული რჩება ამიერკავკასიაში. მას არა აქვს უშუალო კავშირი, საერთო საზღვარი — არც ბიზანტიელებთან, არც პალესტინა-სირიაში დამკვიდრებულ დასავლეთ-ევროპელებთან.

ხოლო მრავალერაინ ამიერკავკასიაში საქართველოს გარდა არ არსებობს არც ერთი სხვა დამოუკიდებელი სახელმწიფო.

საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელობამ XI საუკუნის დასასრულიდან (მას შემდეგ რაც დასავლეთ-ევროპელები დამკვიდრდნენ პალესტინა-სირიაში) დაისახა და განახორციელა დიდი გეგმა: გასწმინდა თურქთაგან საქართველოს მთელი ტერიტორია, ხოლო ამის შემდეგ გაათავისუფლა კავკასიის მთავარი ნაწილი — ვიდრე კასპიის ზღვამდე, დარუბანდის კარებამდე, და ამით საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ზოგად-კავკასიურ სახელმწიფოს.

ყოველივე ეს განხორციელებულ იქნა XII საუკუნის პირველ მეოთხედში, 1100—1125 წლებში.

საქართველოს სახელმწიფოს სათავეში ამ დროს არის დავით აღმაშენებელი, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე საქართველოს ისტორიისა, უგანათლებლესი ადამიანი საუკუნისა, ქართული ჰუმანიზმის დიდი მოღვაწე (დამაარსებელი გელათის აკადემიისა — „ახალი ათინისა“).

არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ, რომ პალესტინა-სირიაში დამკვიდრებული დასავლეთ-ევროპელები უდიდესი იმედით შესცქეროდნენ აღორძინებულ ძლიერ საქართველოს. ისინი საქართველოს სთვლიან თავის ბურჯად, ისეთ ძალად, რომლის შიშით მუსულმანები ვერ ბედავენ იერუსალიმის სამეფოს წინააღმდეგ გამოლაშქრებას.

დავით აღმაშენებლის თანამედროვე, ჯვაროსანთა ომების ისტორიკოსი გოტიე კანცლერი აგვიწერს ცნობილ დიდგორის ბრძოლას, რომელიც გადაიხდა საქართველოს ჯარმა დავით აღმაშენებლის მეთაურობით 1121 წელს. დიდგორის ბრძოლა უმთავრესი გადამწყვეტი ბრძოლა იყო დიდ ომში, რომელსაც აწარმოებდა საქართველოს წინააღმდეგ ახლო აღმოსავლეთის მუსულმანთა დიდი კოალიცია. გოტიე კანცლერი მოგვითხრობს, რომ მუსულმანთა ამ კოალიციამ „გადაწყვიტა საქართველოში ლაშქრობა დავით მეფის წინააღმდეგ, რათა მისი დაქცევისა ანუ განდევნის შემდეგ თავისუფლად და სრულად შეუდგეს იერუსალიმისა და ანტიოქიის დამორჩილებას და ამოწყვეტას“; მაგრამ დავით აღმაშენებლის ლაშქარმა, რომელიც 80.000 ჯარისკაცისაგან შედგებოდაო, მუსულმანები სასტიკად დაამარცხა და ამით იხსნაო საქრისტიანო.

არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ ამასთან ისიც, რომ იმავე გოტიე კანცლერის ცნობით, დავით აღმაშენებლის ჯარის შემადგენლობაში დიდგორის ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა საქართველოში ჩამოსული ფრანკების ერთი რაზმი.

მოგვყავს კიდევ ერთი ამონაწერი ამავე ეპოქის სხვა დოკუმენტიდან, წერილიდან, რომელიც დაწერილია დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ, დავითის მემკვიდრის დემეტრე I-ის დროს; ამ წერილში, რომელიც გაგზავნილია ანსელუსის, ქრისტეს საფლავის ფრანგი კლირიკოსის მიერ იერუსალიმიდან საფრანგეთში, პარიზში, და მიმართულია გალიენ ეპისკოპოსისა და პარიზის ნოტრ-დამის კრებულისადმი, სხვათა შორის, შემდეგს ვკითხულობთ:

„...ქართველთა მეფეს დავითს — კასპიის კარი (= დარუბანდის კარი), გოგსა და მაგოგს რომ ზღუდავს, ეპირა და სდარაჯობდა; მისი შვილი აქამდე მასვე ასრულებს, — ვისი ქვეყანა და სამეფო (საქართველო) მიდელთა და სპარსთა (მუსულმანთა) წინააღმდეგ, ჩვენი, ასე ვთქვათ, წინა ბურჯია“.

„ჩვენი“ — ე. ი. დასავლეთ-ევროპელთა იერუსალიმის სამეფოს წინა ბურჯი.

XII საუკუნის მანძილზე და XIII საუკუნის პირველ ათეულ წლებში საქართველოს და ბიზანტიის პოლიტიკური ისტორია სხვადასხვა რიგად წარიმართა.

ბიზანტია XII საუკუნის მანძილზე ინარჩუნებს თავისი დიდი კულტურის მთელ ბრწყინვალეობას, მაგრამ უკვე იწყება აღმოსავლეთ ევროპის ამ ოდესღაც უძლიერესი სახელმწიფოს დაისი.

ბიზანტიის სახელმწიფოსათვის საბედისწერო აღმოჩნდა ხალხთა ის დიდი გადასახლება, რომელსაც ადგილი ჰქონდა XI საუკუნის მეორე ნახევარში.

როგორც მოხსენებული გვქონდა, XI საუკუნის მეორე ნახევარში თურქ-სელჯუკებმა დაიკავეს ბიზანტიელთა ეროვნული ტერიტორიების დიდად მნიშვნელოვანი ზონა მცირე აზიაში, ცენტრალური და აღმოსავლეთი ანატოლია; თურქები აქ ჩასახლდნენ და დამკვიდრდნენ. ბიზანტიელთა ამ ძველ მიწა-წყალზე შეიქმნა და თანდათან გაძლიერდა თურქთა სახელმწიფო, რუმის სასულთნო, რომელიც XII საუკუნეში მეტად მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს ახლო აღმოსავლეთში.

ბიზანტიელთა ხელში XII საუკუნეში მცირე აზიაში დარჩა მხოლოდ დასავლეთი ანატოლია — ნიკეის ზონა, და ამას გარდა ვიწრო ზოლი შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, ადგილ-ადგილ გადაჭრილი თურქთა ხელში მყოფი ტერიტორიებით.

ამავე დროს ბიზანტიას ზიანი მიაყენა აგრეთვე ჯვაროსანთა დიდი მასების არაერთგზისმა გავლამ ბიზანტიის მიწა-წყალზე.

ხოლო 1204 წელს მოხდა უდიდესი კატასტროფა ბიზანტიის ისტორიაში: ამ წელს, მეტად რთულ პოლიტიკურ ვითარებაში, რომელიც შეიქმნა ევროპის ქვეყნების სხვადასხვა ჯგუფების მეტოქეობის გამო, ჯვაროსნებმა აიღეს კონსტანტინეპოლი (კონსტანტინეპოლი არასოდეს არ აღებულა მისი დაარსებიდან, IV საუკუნიდან, ვიდრე ამ დრომდე). 1204 წლიდან არსდება ლათინთა (დასავლეთ-ევროპელთა) სახელმწიფო ცენტრით კონსტანტინეპოლში, რომლის არსებობამ გასტანა 57 წელი.

1204 წლიდან ბიზანტიის სახელმწიფოს ხელისუფლება გადავიდა მცირე აზიაში და დამკვიდრდა ანატოლიის დაუპყრობელ ნაწილში, დასავლეთ ანატოლიაში, ცენტრით ქალაქ ნიკეაში. მხოლოდ 1261 წელს შესძლეს ბერძნებმა კონსტანტინეპოლის დაბრუნება და აღდგენა ბიზანტიის სახელმწიფოსი.

მას შემდეგ ბიზანტიის სახელმწიფომ იარსება კიდევ დიდი ხანი, ვიდრე 1453 წლამდე, მაგრამ ეს უკვე აღარ იყო ძველი ბიზანტიის იმპერია.

•

გავეცნოთ ამის შემდეგ პოლიტიკურ ვითარებას საქართველოსა და კავკასიაში XII — XIII საუკუნეებში.

საქართველოს სახელმწიფო, რომლის საზღვრებში XII საუკუნის პირველ მეოთხედში გაერთიანდა კავკასიის მთავარი ნაწილი, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, XII საუკუნის მანძილზე თანდათან განმტკიცდა და გაძლიერდა.

ხოლო XII — XIII საუკუნეთა საზღვარზე, თამარის ეპოქაში, საქართველო წარმოადგენს ევროპის ცივილიზაციის დიდ სახელმწიფოს ახლო აღმოსავლეთის მიჯნაზე. საქართველომ დაიჭირა ბიზანტიის ადგილი.

საქართველოს სახელმწიფო ამ ეპოქაში არის დიდი პოლიტიკური ცენტრი, რომელთანაც დაკავშირებულია კავკასიის ყველა ქვეყანა, რომელიც აერთიანებს კავკასიის ყველა ხალხს.

ჩვენ აქ საჭიროდ ვთვლით უფრო დაწვრილებით აღვნიშნოთ, თუ რას წარმოადგენდა, რა ტერიტორიულ საზღვრებში არსებობდა საქართველოს სახელმწიფო და საქართველოსთან პოლიტიკურად დაკავშირებული კავკასია თამარ დიდის ეპოქაში, XII — XIII საუკუნეთა საზღვარზე.

თამარ დიდის ეპოქის სახელით აქ ვგულისხმობთ თამარისა და მისი მემკვიდრის გიორგი-ლამას ნეფობას. დაწყებული 1184 წლიდან და გათავებული 1220 წლით (საზღვრები და პოლიტიკური ერთეულები აღნიშნულია 1220 წლისათვის).

1. საქართველოს სახელმწიფო.

ჩვენ აქ ჭერ შევჩერდებით საკუთრივ საქართველოს სახელმწიფოზე, გარდა პროტექტორატებისა და ვასალური ქვეყნებისა.

საქართველოს სახელმწიფო ამ ეპოქაში, როგორც მოხსენებული გეგონდა, მოიცავდა კავკასიის მთავარ ცენტრალურ ნაწილს შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე.

საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები იყო:

ჩრდილოეთით — კავკასიონის ქედი და მისი ჩრდილო განშტოებანი. საზღვარი იწყებოდა შავ ზღვასთან, ციხე-ქალაქთან ნიკოფსისა (იგივე „ძველი ლაზიკა“ — Παλαια Λαζიკη „ლახთა ქალაქი“ — VAGN ობსკ.) ნიკოფსია მდებარეობდა გელენჯიკსა და ტუაფსეს შუა, ტუაფსედან 20 კილომეტრის ჩრდილოეთით. აქედან დაწყებული, ვიდრე კასპიის ზღვამდე („ნიკოფსიითგან — დარუბანდამდის“, როგორც აღნიშნულია საისტორიო წყაროებში) საზღვარი მიჰყვებოდა კავკასიის მთავარ ქედს და მის ჩრდილოეთ განშტოებებს. ჭერ კიდევ დავით აღმაშენებლის დროიდან ყველა კარები კავკასიონისა, მათ შორის მთავარი კარები — დარუბანდი და დარიალანი საქართველოს სახელმწიფოს ეკუთვნოდა.

ეს არის ის მტკიცე სასაზღვრო ხაზი საქართველოს სახელმწიფოს, რომელზედაც საუბარია ზემოთ მოყვანილ წერილში ჭვაროსნების დროისა, რომელიც გაგზავნილია XII საუკუნის მეორე მეოთხედში იერუსალიმის დასავლეთ-ევროპელთა სამეფოდან პარიზში და სადაც ნათქვამია: „ქართველთა მეფეს დავითს — კასპიის კარი (= დარუბანდის კარი), გოგსა და მგოგს რომ ზღუდავს, ეჭირა და სდარაჯობდა, მისი შვილი [დემეტრე] აქამდე მასვე ასრულებს, ვისი ქვეყანა და სამეფო [საქართველო] მიდელთა და სპარსთა წინააღმდეგ ჩვენი [დასავლეთ-ევროპელთა] წინა ბურჯია“. (იხ. გვ. 15).

დასავლეთი საზღვარი — შავი ზღვა ნიკოფსიითგან რკინის-პალოს ოქამდე; აქ ქალაქ სოტრიპოლოთან, შიდა-საქართველოს ლაზია (ჩიხვის მხარე) ესაზღვრებოდა ტრაპიზონის მხარეს.

სამხრეთი საზღვარი — შავი ზღვის სანაპიროდან (შიდა-საქართველოს ლაზიის ქალაქ სოტრიპოლოლიდან) მიემართებოდა აღმოსავლეთის მიმართულებით. გასდევდა ჭერ სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიის ქედებს, გარე საზღვრებზე საქართველოს პროვინციებისა — სპერსის,

ტაოსა და ბასიანთა, ვიდრე ანისის საერისთავოში. აქედან საზღვარის ზაზი ძირითადად მიღებულია მდინარე არაქსის, გარე საზღვრებზე საქართველოს სახელმწიფოს სამხრეთ საერისთავოთა — ანისისა, დვინისა, სივნიეთისა და ხაჩინისა. ხაჩინის საერისთავოს სამხრეთ-აღმოსავლეთ მიწიდან საზღვარის ზაზი მიემართებოდა არაქსიდან ჩრდილოეთისაკენ (გარე საზღვარზე ხაჩინის პროვინციისა) და. მიადგებოდა მტკვარს ქალაქ განძის კართან, ქალაქის დასავლეთით. აქედან მოკიდებული საზღვარი იყო მდინარე მტკვარი ვიდრე კასპიის ზღვამდე.

აღმოსავლეთი საზღვარი — კასპიის ზღვა, მტკვრის შესართავიდან ვიდრე დარუბანამდე.

საქართველოს სახელმწიფოს, რომელსაც, ამრიგად, ეჭირა კავკასიის მთავარი ცენტრალური ნაწილი შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, მოიცავდა ზემოთ აღნიშნულ საზღვრებში ტერიტორიას 227.427 კვ. კილომეტრს. მოსახლეობა (1220 წლისათვის) 8.250.000 მცხოვრები*.

საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში შედიოდა:

1. საკუთრივ საქართველო (20 ქართული საერისთავო), რომელიც მოიცავდა ტერიტორიას 150.152 კვ. კილომეტრს. მოსახლეობა — 5.550.000 (სახელმწიფოს მოსახლეობის 67,3%).

2. ჩრდილოეთისომხეთი (საქართველოს სახელმწიფოს 4 სამხრეთი საერისთავო: ანისი, ბიჯინი, დვინი, სივნიეთი). ტერიტორია 25.700 კვ. კილომეტრი. მოსახლეობა — 950.000 (11,5%/).

3-ა. ჩრდილო-დასავლეთი ალვანეთი (კაბალის თემი, აღმინის-ტრაკიულად დაკავშირებული საქართველოსთან); ტერიტორია 5.385 კვ. კილომეტრი. მოსახლეობა — 150.000 (1,8%).

3-ბ. სამხრეთი ალვანეთი (ერთი საერისთავო: ხაჩინი); ტერიტორია 11.870 კვ. კილომეტრი. მოსახლეობა — 450.000 (5,5%).

4. შირვანი (ორი პროვინცია: საკუთრივ შირვანი და დარუბანდი). ტერიტორია 34.220 კვ. კილომეტრი. მოსახლეობა — 1,150.000 (13,9%).



საქართველოს სახელმწიფოს მიერ შემოერთებული მხარეების შესახებ საჭიროა აღინიშნოს შემდეგი.

ჩრდილოეთისომხეთი. საქართველოს სახელმწიფომ XII — XIII საუკუნეთა მანძილზე გაათავისუფლა ისტორიული სომხეთის ჩრდილოეთი ნაწილი ვიდრე არაქსის ზონამდე.

ბრძოლები სომხეთის ამ ტერიტორიების განთავისუფლებისათვის მუსულმანთა ბატონობისაგან ხანგრძლივი და მძიმე იყო, იგი გაგრძელდა მთელი საუკუნე. ახლო აღმოსავლეთის მუსულმანობა არ ურიგდებოდა ამ მხარეთა დაკარგვას და არაერთხელ უცდია მათი უკან დაბრუნება, რადგან სომხეთში მნიშვნელოვანი თურქულ-მუსულმანური მოსახლეობა იყო, რომელიც აქ დამკვიდრდა სელჩუკთა დიდი გადმოსახლების დროს XI საუკუნეში. ჩრდილოეთ სომხეთის ამ პროვინციების განთავისუფლება დაიწყო 1124 წლიდან, როდესაც ქართველთა

* იხ. ჰ. ინგოროვი. საქართველოს ტერიტორია და მოსახლეობა XII — XIV საუკუნეებში (თხზულებათა კრებული, ტ. V).

ჯარმა დავით აღმაშენებლის სარდლობით გაათავისუფლა ანისი. წყაროებში მოთხრობილია, რომ საქართველოს წარმომადგენლებმა, დავით აღმაშენებლის მოთავეობით, და სომეხი ხალხის წარმომადგენლებმა, ეკლესიამ, მთავრებმა და ქალაქის ხელისუფლებამ, საერთო საზეიმო კრება გამართეს ანისის განთავისუფლების გამო. ანისის საკათედრო ტაძარს, რომელიც მეჩეთად იყო ქცეული, ჩამოხსნეს ნახევარ-მთვარე და მის ნაცვლად აღმართეს ჯვარი. დავით აღმაშენებელი შევიდა ტაძარში, მიუახლოვდა საფლავს სომხეთის დედოფლისა, რომელიც ტაძარში იყო დაკრძალული, და ახარა მას ქვეყნის განთავისუფლება. ანისის კრება ეს იყო ზეიმი ქართველთა და სომეხთა, ამ ორი მოძმე ხალხის მეგობრობისა.

ში რ ვ ა ნ ი შემოერთებული იქნა საქართველოსთან დავით აღმაშენებლის დროს 1120 — 1124 წლებში.

საქართველოში შემავალი ქვეყნებიდან — ქრისტიანული ქვეყნები—საკუთარივე საქართველო (20 ქართული საერისთავო), ჩრდილოეთი სომხეთი (4 საერისთავო), და ალვანეთი (1 საერისთავო და 1 თემი) შეადგენდა ერთ უნიტარულ სახელმწიფოს. რაც შეეხება შირვანს, იგი ითვლებოდა საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში ავტონომიურ სამეფოდ, რომლის სათავეში იდგა ადგილობრივი დინასტი შირვან-შაჰი.

შირვანში დიდი იყო ირანული კულტურის ტრადიციები. ირანული მოსახლეობა გაჩნდა შირვანში ჯერ კიდევ ანტიკურ ხანასა და ადრეულ საშუალო საუკუნეებში. შირვანის ქვეყანაში მდებარეობს დარუბანდის კარები, სადაც კავკასიონის მთები ადგება კასპიის ზღვას და იკეტება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მომავალი გზები; დარუბანდის კარის დასაცავად ირანს ანტიკურ ხანასა და ადრეულ საშუალო საუკუნეებში შირვანში ჰყავდა მუდმივი გარნიზონები. ამ დროიდან გაჩნდა შირვანში ირანული მოსახლეობა (თათები — შირვანელი ირანელები). ხოლო შირვანის აბორიგენული მოსახლეობა იყო კავკასიელი ალვანები (ნაწილობრივ ირანიზებული), ლეზგები და ლეზგის ჯგუფის სხვა დაღისტნელი ტომები. თურქული მოსახლეობა შირვანში (დარუბანდელი ხაზარები და შირვანის სამხრეთ კანტონებში ჩამოსახლებული სელჯუკები) უმცირესობას წარმოდგენდა.

შირვანში XII — XIII საუკუნეებში შეიქმნა დიდი სკოლა ირანული პოეზიისა, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

დასასრულ საჭიროდ მიგვაჩნია ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში გავრთიანება კავკასიის დასახლებულ მხარეთა არ იყო შემთხვევითი ან დროებითი მოვლენა. საქართველოს ეს დიდი სახელმწიფო არსებობდა არა მხოლოდ XII საუკუნესა და XIII საუკუნის პირველ მეოთხედში, დავით აღმაშენებლისა და თამარ დიდის ეპოქაში, არამედ მან გაუძლო მრავალ განსაცდელს; იგი არ დარღვეულა მონგოლთა მფლობელობის დროსაც კი, და იარსება მონგოლთა მფლობელობის შემდეგაც, გიორგი ბრწყინვალის ჭანაში და მის მემკვიდრეთა დროს XIV საუკუნის მანძილზე.

II. საქართველოს სახელმწიფოს პროტექტორატები.

საქართველო — კავკასიის ქვეყნების პოლიტიკური თანამეგობრობა.

საქართველოს სახელმწიფოსთან (რომელიც, როგორც განვმარტეთ, მოიცავდა კავკასიის მთავარ ცენტრალურ ნაწილს შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე) დაკავშირებული იყო კავკასიის ყველა ქვეყანა. ეს კავშირი სხვადასხვა სახისა იყო.

ერთი რიგი კავკასიის ქვეყნები ითვლებოდნენ საქართველოს სახელმწიფოს პროტექტორატებად, შეადგენდნენ საქართველოს სახელმწიფოსთან მჭიდროდ დაკავშირებულ პოლიტიკურ გაერთიანებას, საქართველო — კავკასიის ქვეყნების პოლიტიკურ თანამეგობრობას.

ჩვენ აქ მიმოვიხილავთ ამ ქვეყნებს, საქართველოს სახელმწიფოს პროტექტორატებს.

საქართველოს სახელმწიფოს პროტექტორატები ორ ჯგუფად განიყოფიბოდა:

II-ა. ტრაპიზონის სამეფო — ქართული რეგიონი, დასავლეთი ლაზეთი.

II-ბ. საქართველოს სახელმწიფოს გარე პროტექტორატები: ჩრდილო კავკასიის ქვეყნები და კარნუ-ქალაქის საამირო (დასავლეთ ამიერკავკასიაში).

II-ა. ტრაპიზონის სამეფო.

ტრაპიზონის სამეფოს ძირითად ტერიტორიას შეადგენდა ქართული ქვეყანა, ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი კოლხეთი (ლაზეთი, ქანეთი), რომელიც მოიცავდა შავი ზღვის სანაპიროს ქალაქ სოტიროპოლიდან (რკინის-პალოს ოლქიდან) ვიდრე მდინარე თერმოდონამდე (ძველ-ქართული მხარეები ქალღია და ხალიბია-ტიბარენია).

საშუალო საუკუნეებში ეს ქართული ქვეყანა, რომელიც ბიზანტიის საზღვარზე მდებარეობდა, მოქცეული იყო ხან ბიზანტიის იმპერიის, ხან საქართველოს საზღვრებში (ასე, VIII — IX საუკუნეებში ეს მხარე საქართველოს საზღვრებში შედის).

საუკუნოვანი მეტოქეობა ბიზანტიასა და საქართველოს შორის ტრაპიზონის მხარის გამო დასრულდა თამარის მეფობის დროს 1203 — 1204 წლებში, როდესაც საქართველომ დაიპირა სამხრეთ-დასავლეთი კოლხეთის ისტორიული ტერიტორიები მთლიანად (ვიდრე მდინარე თერმოდონამდე) და ამას გარდა შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე მცირე აზიის ბერძნულ-ქართული მხარეები სამსონიდან ვიდრე ერაკლიამდე.

ვინაიდან ამ ახლად შემოერთებულ მხარეში, ზემოთ აღნიშნულ საზღვრებში, ბერძნული მოსახლეობა არანაკლები იყო, ვიდრე ქართული, საქართველოს მთავრობას, იმ პოლიტიკის თანახმად, რომელსაც იგი ანხორციელებდა ახლად შემოერთებული, განსხვავებული სახელმწიფოებრივი ტრადიციების მქონე ქვეყნების მიმართ, მიზანშეწონილად დაუწახავს ამ ახალი ტერიტორიების ორგანიზება ცალკე ერთეულებს — ტრაპიზონის სამეფოს სახით, საქართველოს სახელმწიფოს პროტექტორატის ქვეშ. სამეფოს სათავეში თამარმა დაადგინა.

ბიზანტიის ძველ იმპერატორთა შთამომავალი ალექსი კომნენი, აღზრდილი საქართველოში, რომელიც საქართველოს პოლიტიკის გამტარებელი იყო.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ კომნენთა დაყენებას ტრაპიზონის სამეფოს სათავეში საქართველოს მფარველობის ქვეშ, მეფის ტიტულით, გარკვეული პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა; ეს იყო მაჩვენებელი იმისა, რომ საქართველო არის მემკვიდრე და შემცველი ბიზანტიის იმპერიისა, რამდენადაც ბიზანტიის იმპერატორთა ძველი დინასტიის წარმომადგენელი, კომნენი, კეისარი, საქართველოს პროტექტორატს აღიარებდა.

აქ საჭიროა მოვიხსენოთ ამასთანავე, რომ ტრაპიზონის სამეფო ზემოთ აღნიშნულ საზღვრებში მხოლოდ დასაწყის პერიოდში არსებობდა, მცირე ხნის მანძილზე. თამარის გარდაცვალების შემდეგ, 1214 წელს, ტრაპიზონის სამეფომ ტერიტორიული ცვლილებები განიცადა. ტრაპიზონის სამეფო, 1214 წლიდან მოკიდებულ, საბოლოოდ ჩამოყალიბდა როგორც ქართული სახელმწიფო ქართულ მხარეთა საზღვრებში (სოტიროპოლიდან მდინარე თერმოდონამდე).

ამის შემდეგ ტრაპიზონის სამეფომ, რომელიც ქართულ ქვეყანას წარმოადგენდა, ქართული მოსახლეობით, იარსება ორ საუკუნე-ნახევარი (1214 წლიდან 1461 წლამდე). იგი ბოლომდე ქართული დარჩა (ბერძნულ წყაროებში ტრაპიზონის სამეფოს ეწოდება კოლხეთი, ლაზეთი; მოსახლეობას—კოლხები, ლაზები; მეფეებს — ტრაპიზონის, კოლხეთის, ლაზეთის მეფენი).

ტრაპიზონის სამეფო, ქართული რეგიონი (საზღვრებში სოტიროპოლიდან თერმოდონამდე) შეიცავს ტერიტორიას 18.751 კვ. კილომეტრს. მოსახლეობა XIII საუკუნეში (1220 წლისათვის) 700.000 მცხოვრები.

სულ ტერიტორია და მოსახლეობა სრულიად საქართველოსი (საქართველოს სახელმწიფოსი, ტრაპიზონის სამეფოთი) 1220 წლისათვის შემდეგია:

	ტერიტორია (კვ. კმ.)	მოსახლეობა
I საქართველოს სახელმწიფო	227.427	8.250-000
II-ა ტრაპიზონის სამეფო (ქართულ რეგიონი) . . .	18.751	700.000
სრულიად საქართველო . . .	246.178	8.950.000

საშუალო საუკუნეთა მასშტაბებით სრულიადი საქართველო, მოსახლეობის მიხედვით, ეკუთვნოდა ევროპის მსოფლიოს დიდი ქვეყნების რიცხვს.*

II-ბ. საქართველოს სახელმწიფოს გარე პროტექტორატები.

როგორც მოხსენებული გვექონდა, საქართველოს სახელმწიფოს გარე პროტექტორატები იყო ჩრდილო კავკასიის ქვეყნები და სამხრეთ-დასავლეთი ამიერკავკასიის ერთი მხარე:

* კერძოდ დასავლეთ ევროპის მთავარ ქვეყნებში XIII საუკუნის პირველ მეოთხედში (1220 წლისათვის) მოსახლეობა იყო (მილიონობით): საფრანგეთი—13; იტალია—8; გერმანია—7,3; ესპანეთი—5,4; ბრატანეთი (უელსით და შოტლანდით)—2,6. იხ. В. Урланис, Рост населения в Европе, 1941; S. U. Russel, Late ancient and mediaval populat.on, 1958.

A. ჩრდილო კავკასიის ქვეყნები:

1. დუნძეთი (თანამედროვე ავარია, შიდა-დაღისტანის სამფლობელოებით);
2. დურძუქეთი (საჩანო);
3. ოსეთი (3-ა. ბარის ოსეთი; 3-ბ. ზედა ოსეთი; 3-გ. აბსარეთი ოსეთისა);
4. ქაშაგეთი (საჩერქეზო: 4-ა. საკუთრივ ქაშაგეთი; 4-ბ. ზედა ჯიქეთი).

B. სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიის ქვეყანა:

5. კარნუქალაქის საამირო.

ყველა ზემოთ დასახელებული ქვეყანა, როგორც ტრაპიზონის სამეფო, ისე გარე პროტექტორატები (ჩრდილო კავკასია და კარნუქალაქი) ითვლებოდნენ საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური მფარველობის ქვეშ, და როგორც გადმოგვცემს XIII საუკუნის დასაწყისის ქართველი ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოდღვარი, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ იდეოლოგიას გამოხატავს, ყველა ეს მოკავშირე ქვეყანა საქართველოს სახელმწიფოს მიერ იყო „თავისუფლებითსა ცხოვრებასა და მტერთაგან უზრუნველობასა“.

ჩვენ საგანგებოდ შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას თამარის ეპოქის ისტორიკოსის ამ პოლიტიკურ ფორმულაზე, საიდანაც ვგებულობთ, თუ რა ზომილიმდე ასულა საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური იდეოლოგია XII — XIII საუკუნეებში, რუსთაველის ეპოქაში. საქართველოს სახელმწიფოებრივი დოქტრინის თანახმად — საქართველოს სახელმწიფო, მასთან ერთად საქართველოს სახელმწიფოში შემავალი ავტონომიური შირვანის სამეფო (მისი ორი ქვეყანა — შირვანი და დარუბანდი) და საქართველოს სახელმწიფოს ექვსი პროტექტორატი წარმოადგენდა ერთ პოლიტიკურ თანამშრომლობას, რომელსაც საქართველოს სახელმწიფომ მიანიჭა „თავისუფლებითი ცხოვრება“ და „მტერთაგან უზრუნველობა“.

მოგვყავს ისტორიკოსის ტექსტი (ქვეყნები ჩამოთვლილია გეოგრაფიული თანამიმდევრობით აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ):

„და წამებს ამას ყოველი მახლობელი სამეფო გარეშემო ქართლისა:

სახლი შარვანშეთი და დარუბანდელთა,

დუნძეთა (დაღისტნელთა),

დურძუქეთა (ჩაჩანთა),

ოვსთა,

ქაშაგეთა (ჩერქეზთა),

კარნუქალაქელთა,

და ტრაპიზონელთა,

რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ (საქართველოს მიერ) იყვნეს და მტერთაგან უზრუნველობასა“.

III. საქართველოს სახელმწიფოს ვასალური ქვეყნები კავკასიაში.

საქართველოს სახელმწიფოსთან პოლიტიკურად დაკავშირებული ქვეყნების მეორე ჯგუფს შეადგენდა საქართველოს სახელმწიფოს ვასალური მუსულმანური სამეფო-სამთავროები სამხრეთ ამიერკავკასიაში. ესენი იყვნენ:

1. არანის (განძის) სასულტნო;
2. ნახჭევანის საამირო;
3. შაჰ-არმენთახლათის სასულტნო;
4. ეზინკის (ერზინჯანის) საამირო.

ამ ოთხი მუსულმანური ვასალური სამეფო-სამთავროების პოლიტიკური სტატუსი შემდეგი იყო:

1. ეს ქვეყნები სცნობდნენ საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ სიუზერენიტეტს;

2. ვალდებულნი იყვნენ არ დაემყარებინათ პოლიტიკური და სამხედრო კავშირი სხვა მუსულმანურ სახელმწიფოებთან, რომლებიც საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებდნენ;

3. ამავე დროს საქართველო თავის მხრივ აძლევდა ამ მუსულმანურ ქვეყნებს, როგორც ეს აღნიშნული აქვს XIII საუკუნის ქართველ ისტორიკოსს, „ზავისა სიმტიცესა მათგან შეუცოდებლობასა შინა“, ე. ი. საქართველო აძლევდა ამ მუსულმანურ ქვეყნებს მუდმივი ზავის გარანტიას, რამდენადაც ისინი არ დაარღვევდნენ ვასალური ქვეყნების სტატუსით განსაზღვრულ ვალდებულებებს.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ვასალურ სახელმწიფოთა ამ მეორე ჯგუფს, გარდა ზემოდასახელებული ოთხი ქვეყნისა, XIII საუკუნის დასაწყისში ეკუთვნოდა აგრეთვე კარნუ-ქალაქის (არზრუმის) საამირო, მაგრამ 1210-იან წლებში კარნუ-ქალაქის მთავრობამ აღძრა შუამდგომლობა საქართველოს წინაშე, რათა მისთვის მიენიჭებინათ სტატუსი პროტექტორატისა, ე. ი. პირველი ჯგუფის ქვეყნებისა, მოკავშირე ქვეყნისა. საქართველოს სახელმწიფომ დააკმაყოფილა თხოვნა და, როგორც აღნიშნულია XIII საუკუნის დასაწყისის ქართულ მატრიანეში, საქართველოს სახელმწიფომ „შემოიხვეწა კარნუ-ქალაქელი მოყვრად და ერთგულად“. კარნუ-ქალაქს მოხსნეს ხარკი; ხოლო დაავალეს კარნუ-ქალაქს საჭიროების დროს გამოეყვანა ჯარი, რომელიც ამიერიდან საქართველოს ლაშქრის ნაწილად ითვლებოდა. ამასთან, რამდენადაც კარნუ-ქალაქის საამიროს მოსახლეობის უმრავლესობა ქრისტიანული (სომხური) იყო, საამიროს დროშაზე, მუსულმანური მთვარის გვერდით. გამოსახულ იქნა ქრისტიანული ჯვარი.

საქართველოს სახელმწიფოს გავლენის სფერო კავკასიის გარეთ, ჩრდილო ირანში.

საქართველოს სახელმწიფოსთან დაკავშირებული ქვეყნების მესამე ჯგუფს შეადგენდა საქართველოს გავლენის სფერო ჩრდილო ირანში (შიდა ხდარბადაგანში). XIII საუკუნის დასაწყისში, 1208/9 წელს, ჩრდილო ირანის

არდაველის სულტნის საქართველოს საზღვრებში შემოჭრისა და ანისის აოხრების საპასუხოდ, 1210 წელს საქართველოს ჯარმა ილაშქრა ირანში ვიდრე ხვარასნამდე და გურგანის ქვეყნამდე. ამ ლაშქრობის შემდეგ საქართველოს სახელმწიფოს გავლენის სფეროში შევიდა ჩრდილო ირანის (შიდა ადარბადაგანის) სამფლობელოები—არდაველისა, მარანდისა, თავრეუისა, მიანესი და ზანგანისა, რომელნიც ამ დროიდან საქართველოს „მოხარაჯე“ (მოხარკე) ქვეყნები გახდნენ. სამხრეთ საზღვარი საქართველოს სახელმწიფოს გავლენის სფეროში მოქცეული ირანის ადარბადაგანისა გასდევდა: სამხრეთ-დასავლეთ ხაზზე ქალაქ მარადის მხარის ჩრდილო მიჯნას; ზოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ ხაზზე — ი რ ა ნ ის ე რ ა ყ ი ს ჩრდილო მიჯნას.

ასეთი იყო პოლიტიკური ორგანიზაცია საქართველოს სახელმწიფოსი, რომლის გარშემო XII — XIII საუკუნეებში გაერთიანდა კავკასია, და როდესაც, როგორც აღნიშნავს ამ ეპოქის ისტორიკოსი, კავკასიის ხალხებმა საქართველოს მიერ მიიღეს „თავისუფლებითი ცხოვრება და მტერთაგან უზრუნველობა“.

ჩვენ ამით ვასრულებთ საქართველოს ისტორიული წარსულის ამ ზოგად მიმოხილვას.

საქართველო XII—XIII საუკუნეთა, როდესაც დაიწერა ვეფხისტყაოსანი, წარმოადგენდა ევროპის ცივილიზაციის დიდ სახელმწიფოს, დასავლეთის და აღმოსავლეთის მსოფლიოთა მიჯნაზე.

კარი მეორე

ქართული ლიტერატურის განვითარების გზაზე

და

რუსთაველი

XVIII საუკუნის ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი. შოთა რუსთაველის პოემას ადარებს აკოცხალ ზეს, რომლის რტოები მუდმივად გამოსცემენ ნაყოფს, ხოლო ფესვები ღრმად არის გადგმული მიწაში.

რუსთაველის პოემა მართლაც არის ასეთი მუდმივად ნაყოფის მომცემი ცოცხალი ხე ქართული პოეზიისა, რომლის ფესვები ღრმად არის გადგმული ქართულ მიწაში. რუსთაველის პოემა თავისი ძირებით ორგანულად დაკავშირებულია საქართველოს ძველ კულტურასთან, იგი არის ნაყოფი ძველი ქართული კულტურის მრავალსაუკუნოვანი განვითარებისა, უმაღლესი გამოვლინება ამ კულტურისა.

რუსთაველის ფენომენი შეუძლებელია გაგებულ იქნეს ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისთან დაკავშირების გარეშე, ძველი ქართული კულტურის რთული სპეციფიკისა და ლიტერატურული გარემოს გაუთვალისწინებლად.

ამის გამო, ვიდრე შევეჩებოდეთ შოთა რუსთაველის ცხოვრებასა და შემოქმედებას, ჩვენ აქ მოგვიხდება გავაშუქოთ მაგისტრალური ხაზები ძველი ქართული ლიტერატურის განვითარებისა, და ვუჩვენოთ ის პირობები, რომელთაც მოამზადეს რუსთაველის უკვდავი ქმნილების წარმოშობა.

•

ლიტერატურა ქართულ ენაზე შესაძლოა შესწავლილ იქნეს, ჩვენი ცოდნის თანამედროვე მდგომარეობაში, 15 საუკუნის მანძილზე. უძველესი ძეგლები ქართული ლიტერატურისა, რომლებიც ჭერჯერობით ცნობილია, ეკუთვნის IV და V საუკუნეებს ჩვენი წელთაღრიცხვისა.

მაგრამ დასაწყისი მწერლობისა ქართულს ენაზე, როგორც ეს შესაძლოა დადგენილ იქნეს მთელ რიგ მონაცემთა მიხედვით, ბევრად უფრო ადრინდელ ხანას ეკუთვნის, ვიდრე IV საუკუნე.

ქართული მწერლობის დიდი სიძველის მაჩვენებელია უწინარეს ყოვლისა თვით ქართული ანბანი, რომელიც თავისი ტიპით წარმოადგენს ფინიკიურ-ბერძნული ოჯახის ალფაბეტების ადრინდელ სახეობას. ქართული ანბანი არის განსტობება ბერძნულისა, მაგრამ არა კლასიკური ბერძნულისა, არამედ არქაული ბერძნულისა. რომ ქართული ანბანი მომდინარეობს არქაული ბერძნული ალფაბეტიდან, ამას ცხადყოფს ქართული და არქაული ბერძნულის შედარებითი პალეოგრაფიული ანალიზი (ქართულ ანბანში შერჩენილია არქაული ბერძნულიდან ასოთა მოხაზულობის თავისებურებანი, შერჩენილია აგრეთვე ასოთა რიგი, შერჩენილია გარკვეულ ადგილებში ის ასოები, რომლებიც გვიან ხანაში გამოაკლდა ბერძნულ ალფაბეტს; ამას გარდა ქართულ ალფაბეტში თავდაპირველად მიღებული ყოფილა არქაული ბერძნულისათვის დამახასიათებელი „ბუსტროფედონული“ წერა).

აღნიშნულის მიხედვით ქართული ანბანის წარმოშობა არ შეიძლება მიეკუთვნოს უფრო გვიან დროს, ვიდრე VII საუკუნე ძველი წელთაღრიცხვისა. ქართული მწერლობის ძველი ტრადიციების შესახებ დაცულია ცნობები საისტორიო წყაროებშიაც.

ძველქართულ მატრიანებში აღნიშნულია, რომ საქართველოს მეფემ ფარნავაზმა „შექმნა მწიგნობრობა ქართული“.

ფარნავაზის შეფობა ეკუთვნის ელინისტურ ეპოქას, ალექსანდრე მაკედონელის მექვიდრეების — დიადოხების ხანას, III საუკუნეს ძველი წელთაღრიცხვისა.

ფარნავაზის დროს, ჩანს, ჩატარდა რეფორმა ქართული ანბანისა, დართვა ანბანის ბოლოში ცალკე საგანგებო ნიშნებისა სპეციფიკური ქართული ბგერებისათვის (რაც არქაულ პერიოდში ნიშანთა შეერთებული დაწერილობით გადმოიცემოდა).

აღსანიშნავია ამას გარდა, რომ ამავე დროს მომხდარა აგრეთვე რეფორმა კალენდარისა, შემოღებულ იქნა ადგილობრივი ეროვნული ქართული წელთაღრიცხვა, რომლის დასაბამად მიღებულია 284 წელი ძველი წელთაღრიცხვისა. ეს თარიღი, 284 წელი, საიდანაც იწყება ქართული წელთაღრიცხვა, ეგრეთ წოდებული „ქართული ერა“, არის თარიღი საქართველოს (იბერიის) დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და ფარნავაზიანთა დინასტიის დამკვიდრებისა საქართველოში.

ამრიგად, ცნობა, რომ ფარნავაზმა „შექმნა მწიგნობრობა ქართული“, ქრონოლოგიურად ემთხვევა ამ ხანას, კალენდარის რეფორმას, ქართული ადგილობრივი წელთაღრიცხვის შემოღებას 284 წელს.

ქართული მწერლობის სიძველის მაჩვენებელია აგრეთვე ერთი ცნობა, რომელიც დაუტავს ანტიკური ხანის ბერძენ ავტორს ხარაქს პერგამელს (II საუკუნე ძველი წელთაღრიცხვისა). ხარაქსის ამ ცნობის თანახმად „ქრისოგრაფია“, ხელოვნება ოქროს ასოებით წერისა ტყავზე, კოლხეთიდან გავრცელებულა საბერძნეთში.

ასეთია ის მნიშვნელოვანი ცნობები, რომლებიც დაცულია ქართული მწერლობის არქაული ხანის შესახებ, როგორც ქართულ, ისე ბერძნულ წყაროებში.

დაღუბვა ქართული მწერლობის ადრინდელი ხანის ძეგლებისა, რომლებიც IV საუკუნეზე უწინარეს დროს ეკუთვნოდნენ, გამოწვეული იყო ქრისტიანობის გავრცელებით საქართველოში, რაც IV საუკუნის დასაწყისში მოხდა. მებრძოლი ქრისტიანული ეკლესია სდევნიდა ეგრეთ წოდებული „წარმართული“ ხანის ლიტერატურულ მემკვიდრეობას, და ამის შედეგად წინაქრისტიანული მწერლობის ძეგლები ზოგი მოსპობილ იქნა, ზოგიც თანდათანობით დაიწყებებს მიეცა და ამ გზით დაიღუპა. აქ ჩვენ გვაქვს ანალოგია ისლამის წინააღრინდელი ირანის ლიტერატურის ისტორიასთან, როდესაც, მუსულმანობის გაბატონების შედეგად, თანდათანობით მოისპოა უმდიდრესი, ისლამის წინააღრინდელი ირანული (ფაჰლავრი) ლიტერატურა.

მაინც წინაქრისტიანული ქართული მწერლობის გავლენა, ბუნებრივია, უკვალოდ ვერ გაქრებოდა, და ეს გავლენა მოჩანს კიდევ მომდევნო ხანის ქართულ ლიტერატურაში. ახალმა ქართულმა ლიტერატურამ, რომელიც IV საუკუნეში ქრისტიანობის საფუძველზე წარმოიშვა, შეითვისა ძველი „წარმართული“ მწერლობიდან როგორც ანბანი, ისე, ჩანს, ზოგიერთი ლიტერატურული ტრადიციებიც (კერძოდ, ტრადიცია საერო მხატვრული მწერლობისა). შეითვისა ამ ახალმა ლიტერატურამ ძველი ლიტერატურიდან სავსებით დამუშავებული, უადრესად მდიდარი სალიტერატურო ენა. უნდა გვახსოვდეს, რომ ახალი ქრისტიანული მწერლობის უძველეს ტექსტებში უკვე მოცემულია ქართული სალიტერატურო ენის კლასიკური ნიმუშები, და ისეთი ძეგლები, როგორცაა, მაგალითად, იაკობ ცურტაველის პაგიოგრაფიულ-ისტორიული თხზულება, რომელიც ზუსტად V საუკუნით თარიღდება, ეკუთვნის ძველი ქართული პროზის უბრწყინვალეს ნაწარმოებთა რიცხვს.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ წინაქრისტიანული პერიოდის ქართული მწერლობიდან, როგორც ირკვევა, მომდინარეობს ანტიკური ხანის საქართველოს (იბერიის) მეფეთა სია ექვსი საუკუნის მანძილზე, დაწყებული IV საუკუნის დასასრულიდან ძველი წელთაღრიცხვისა და მოყვანილი IV საუკუნის დასაწყისამდე ჩვენი წელთაღრიცხვისა და რომელიც წარმოდგენილია ქრისტიანობის ხანის ძველ-ქართულ საისტორიო თხზულებებში. ამ სიის ყოველმხრივი ანალიზი, მისი შეფარდება ბერძნული, რომაული და ძველ-ირანული წყაროების ჩვენებებთან, ადასტურებს, რომ ეს სია ავთენტიურია, აშკარაა, იგი ამოღებულია წარმართობის ხანის ძველ-ქართული საისტორიო თხზულებებიდან.

ქართული ლიტერატურის განვითარების გზები, დაწყებული IV საუკუნიდან — ვიდრე რუსთაველის ეპოქამდე, ე. ი. XII—XIII საუკუნეებამდე წარმოგვიდგენს თავისებურებებს, რომლებიც გამოარჩევს ქართულ ლიტერატურას საშუალო საუკუნეების აღმოსავლეთ-ევროპის ქრისტიანულ ლიტერატურათა ციკლიდან. პირველი და ძირითადი თავისებურება ის არის, რომ საქართველოში ბრწყინვალე განვითარება მიიღო წმინდა საერო მხატვრულმა მწერლობამ. როგორც ცნობილია, საქართველოს უაზლოეს მეზობლებს, ბიზანტიის წრისა და წინა აზიის ქრისტიანული მსოფლიოს ხალხებს, სირიე-

ლებსა და სხვებს, არ მოეპოვებოდათ საშუალო საუკუნეთა განმავლობაში. საერო სიტყვაჯაზმული ლიტერატურა ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, რომლის შედარებაც შეიძლებოდა ქართულთან. ქართული მწერლობა ამ მხრით წარმოადგენს ყველაზე შესანიშნავსა და ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას საშუალო საუკუნეების ქრისტიანულ ლიტერატურათა შორის.

სურათის სისრულისათვის საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ქართული მწერლობა საშუალო საუკუნეებისა, ცხადია, არ განისაზღვრებოდა საერო მხატვრული ლიტერატურის დარგით. ქართულ მწერლობაში მდიდრად იყო წარმოდგენილი ყველა დანარჩენი დარგები, რომლებსაც კი ვხვდებით საშუალო საუკუნეთა სხვა ქრისტიანულ ლიტერატურებში; ასეთებია: ჰიმნოგრაფია (სასულიერო პოეზია); ჰაგიოგრაფია (თავისებური ენარი სასულიერო მხატვრული მწერლობისა); თეოლოგიური ლიტერატურა; ცალკეა აღსანიშნავი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დარგი ძველი ქართული მწერლობისა — ისტორიოგრაფია, ანუ მხოლოდ სასულიერო, არამედ, პირველ რიგში, საერო, რომელმაც დაგვიტოვა უძვირფასესი მემკვიდრეობა, მთელი რიგი პირველხარისხოვანი ძეგლები; შემდეგ — საფილოსოფო ლიტერატურა (უმთავრესად ნეოპლატონიკოსები), აგრეთვე სამეცნიერო ლიტერატურის დარგები (მედიცინა და ბუნებისმეტყველება და სხვ.).

ქვემოთ, ძველი ქართული ლიტერატურის განვითარების მიმოხილვის დროს, ჩვენ მხედველობაში გვექნება პირველ რიგში საერო მხატვრული მწერლობა, და ძველი ქართული მწერლობის დანარჩენ დარგებს მხოლოდ მოკლედ შევხვებით.

ქართული მწერლობის განვითარების ისტორიაში, ვიდრე რუსთაველის ეპოქამდე, სამი პერიოდი განირჩევა, რომლებიც შემდეგს ქრონოლოგიურ რკალებს მოიცავს:

პირველი პერიოდი — IV საუკუნიდან ვიდრე VII საუკუნის ბოლომდე;

მეორე პერიოდი — VIII საუკუნიდან — XI საუკუნის მეორე ნახევრამდე;

მესამე პერიოდი — საკუთრივ რუსთაველის ეპოქა — შეიცავს ხანას XI საუკუნის მეორე ნახევრიდან XIII საუკუნის შუა წლებამდე.

•

პირველი — არქაული პერიოდი ქართული ლიტერატურისა, როგორც მოვიხსენიეთ, ეგრეთ წოდებულ „წარმართულ“ ხანაში იწყება და გრძელდება IV — VII საუკუნეთა მანძილზე.

ქართული ლიტერატურის ამ პირველ არქაულ პერიოდს ეკრძოდ ის ახასიათებს, რომ ქრისტიანული იდეოლოგია ამ დროს არ არის მთლიანად გაბატონებული. ქრისტიანობის გვერდით ჯერ ყოველ განაგრძობს არსებობას ძველი ქართული წარმართობა და მაზდეანობა. გავრცელება ჰქონია აგრეთვე მანიქეიზმის თავისებურ ქართულ სახეობას, რომელიც ქრისტიანობის და მანიქეიზმის რელიგიურ-ფილოსოფიური იდეების დახლოების ცდას წარმოადგენდა. ამას გარდა, თვით ქრისტიანული ეკლესია არ წარმოადგენდა ამ დროს მონოლითურ მთლიანობას, აქ ცალკეულ პერიოდებში აღვილი ჰქონდა განხეთქილებას, იგი იყოფოდა სექტებად და ფრაქციებად.

გასაგები ხდება ზემოაღნიშნულის შემდეგ, რომ ქრისტიანულ ეკლესიას ასეთ პირობებში არ შეიძლებოდა ჰქონოდა, და არცა ჰქონია შეუზღუდველი ბატონობა იდეოლოგიის სფეროში.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ქართული განათლება ამ ეპოქის დასაწყისში უპირატესად დასავლურია, ელინისტური.

ამის დამადასტურებელია კერძოდ ის ფაქტი, რომ III — IV საუკუნეთა საზღვარზე კოლხეთში არსებობდა რიტორიკული სკოლა, რომელიც დიდი სახელით სარგებლობდა თვით საბერძნეთში.

ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსი და ორატორი IV საუკუნისა თემისტო-ლი (317 — 390) გაღმოგვეცემს, რომ მან განათლება კოლხეთის ამ რიტორიკულ სკოლაში მიიღო. თემისტოლის წერს: „რიტორიკის ნაყოფნი მოვსწყვიტე ფა-ზისის (რიონის) მახლობლად, სადაც არგომ (არგონავტებმა) დაისადგურა: (კოლხეთში)“. თემისტოლის მოგვითხრობს, რომ კოლხეთის ეს სკოლა „ერთი კა-ცის სიბრძნემ და სათნოებამ განადგეს ელინური და აქციეს მუხების ტაძ-რად, რომელიც ასწავლიდა — თუ როგორ გაიწვრთნენ რიტორიკულ ხელოვ-ნებაში და როგორ ბრწყინავენ ელინთა საზეიმო დღეობებზე“.

გარდა იმისა, რომ თემისტოლის კოლხეთის ამ რიტორიკულ სკოლაში უსწავლია, ამ სკოლაშივე მიუღია განათლება თემისტოლის მამას, ევგენიოს ფილოსოფოსს. თემისტოლის წერს, რომ მისმა მამამ ევგენიოსმა „თავისი გან-თქმული ფილოსოფია სწორედ იქ (კოლხეთის რიტორიკულ სკოლაში) შეიძინა“ (ევგენიოსი, როგორც ცნობილია, შემდეგ ფილოსოფიის მასწავლებლად იყო კონსტანტინეპოლში).

ქართულ-ბერძნული კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან IV საუკუ-ნეში აქ საჭიროა მოვიგონოთ აგრეთვე სიახლოვე ელინურ ფილოსოფიურ წრეებთან ბაკურისა, ქართველი უფლისწულისა, საქართველოს მეფეთა შთამომავლისა, რომელიც IV საუკუნის ბოლო მეოთხედში გადასახლებულა ბიზანტიაში. აქ ბაკური მიუღიათ საიმპერატორო კარზე და დაუნიშნავთ იმპერიის სეფე-ჯარის უფროსად და პალესტინის მონაპირე მთავრად. IV საუ-კუნის ბერძენი მწერალი გელასი კესარიელი ბაკურს ასე მოიხსენიებს: „მეფის შთამომავალი, იბერთა შორის სახელოვანი“.

ბიზანტიაში ყოფნის დროს ბაკურს ჩვენ ვხედავთ ნეოპლატონიკოსთა ფი-ლოსოფიურ წრეში. ბაკური გასცნობა იმპერატორ იულიანე განდგომილის მასწავლებელსა და მეგობარს, გამოჩენილ ფილოსოფოსსა და რიტორს ლიბა-ნიუსს.

ბაკურს, ლიბანიუსთან დამეგობრების შემდეგ, 391 წელს გაუგზავნია ლი-ბანიუსისათვის ეპისტოლე ფილოსოფიური შინაარსისა. ეს ეპისტოლე ბაკური-სა ჩვენს დრომდე არ შემონახულა; მაგრამ ლიბანიუსის პასუხიდან ვგე-ბულობთ, რომ ბაკურის ეპისტოლეს საგანი ყოფილა ის ფილოსოფიური საკითხები, რომლებიც აღუღებდნენ ნეოპლატონიკოსთა წრეებს, რომ ეს ეპი-სტოლე დიდი ცოდნით და უნაკლო ფორმით, მაღალი რიტორიკული ხელოვ-ნებით ყოფილა დაწერილი.

უდიდესი მოვლენა ქართულ-ბერძნული კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან საშუალო საუკუნეებში არის მოღვაწეობა გამოჩენილი მოაზროვნის პეტრე იბერიელისა.

პეტრე იბერიელი (412 — 488) იყო ძე საქართველოს (იბერიის) მეფის ბაკურისა, რომელიც წყაროებში დიდი ბაკურის სახელით არის ცნობილი.

ბაკურ მეფე, რომის იმპერიასთან ურთიერთობის განმტკიცების მიზნით, 424 წელს იძულებული იყო წარეგზავნა თავისი შვილი მძევლად კონსტანტინე-პოლს თეოდოსი იმპერატორის კარზე. პეტრეს კონსტანტინეპოლში თან გაჰყვა ქართველთა ჯგუფი, მათ შორის იოანე ლაზი, მასწავლებელი პეტრესი, დიდად განათლებული ადამიანი, რომელსაც, როგორც ფიქრობენ მკვლევარნი, განათლება ჰქონდა მიღებული კოლხეთის ცნობილ ფილოსოფიურ-რიტორიკულ სკოლაში; პეტრეს თან გაჰყვა აგრეთვე ზაქარია ქართველი, პეტრესთან თანშეზრდილი, რომელმაც შემდეგ დაწერა პეტრე იბერიელის ბიოგრაფია; პეტრესთან, მთელი სიცოცხლის განმავლობაში, განუყრელად არიან ეს ორი პირი, მასწავლებელი პეტრესი იოანე ლაზი (რომელიც გარდაიცვალა 465 წელს) და ზაქარია ქართველი.

პეტრე განსაკუთრებული პატივით იყო მიღებული თეოდოსი იმპერატორის კარზე. კონსტანტინეპოლში ჩასვლის შემდეგ პეტრემ განაგრძო სწავლა და საფუძვლიანი განათლება მიიღო. მან „ისწავლა ენა ბერძნული და ასურებრივი და ფილოსოფოსობა სრული“, — როგორც აღნიშნულია ზაქარია ქართველის მიერ დაწერილ პეტრეს ბიოგრაფიაში.

უფრო გვიან პეტრე გაემგზავრა კონსტანტინეპოლიდან პალესტინაში და შედგა ბერად. პალესტინაში პეტრეს აირჩევენ მაიუმის (ლაზის) ეპისკოპოსად.

პეტრე იბერიელის უშუალო მოღვაწეობის ასპარეზი იყო პალესტინა, მაგრამ მას თავის სამშობლო იბერიასთან უახლოესი კავშირი ჰქონდა. ზაქარია ქართველის ბიოგრაფიის ცნობით პეტრემ — „აღაშენა სახლი სასტუმრო ქალაქსა შინა (იერუსალიმსა) და განუსვენებდა მომავალთა ძმათა ქართველთა და ბერძენთა“.

საქართველო IV — V საუკუნეებში ახლო ურთიერთობით იყო დაკავშირებული პალესტინასთან. V საუკუნის დასაწყისში პეტრე იბერიელის მამის ბაკურის მიერ იერუსალიმის მეზობლად აგებულ იქნა მონასტერი, რომელსაც დაუცავს უძველესი ქართული წარწერები, მათ შორის V საუკუნის დასაწყისისა.

თვით პეტრემ პალესტინაში (აგრეთვე ეგვიპტეთშიც) რამდენიმე მონასტერი დააარსა. მათ შორის მთავარი იყო იერუსალიმში აგებული მონასტერი ქართველ მოღვაწეთათვის, რომელსაც ეწოდებოდა ქართველთა ანუ იბერიელთა მონასტერი.

ქართველთა ეს სავანე, პალესტინის მეორე ცნობილ პუნქტთან, საბაწმინდის სავანესთან ერთად, გადაიქცა ქართული განათლებისა და მწიგნობრობის მნიშვნელოვან ცენტრად, აქ ფართოდ გაიშალა ქართული სალიტერატურო მოღვაწეობა ადრეულ საშუალო საუკუნეებში.

იმ წყაროებიდან, რომლებიც დღემდე ცნობილი იყო (პეტრე იბერიელის ბიოგრაფია ზაქარია ქართველისა, რომელიც ორი რედაქციით მოღწეულა, ასურულითა და ქართულით; „პლეროფორიები“ იოანე რუფუსისა; საეკლესიო ისტორია ზაქარია რიტორისა; საეკლესიო ისტორია ევაგრე სქოლასტიკოსისა და სხვ.), ჩვენ ვიცოდით, რომ პეტრე იბერიელი და იოანე ლაზი იყვნენ დიდად საჩინო წარმომადგენლები თეოლოგიური აზროვნებისა რომის (ბიზანტიის) მსოფლიოში V საუკუნეში. პეტრე იბერიელი ითვლებოდა მონოფიზიტური მოძღვრების ცნობილ ლიდერად და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში. მას დიდი პატივით ეპყრობოდნენ თვით მოწინააღმდეგენი.

ხოლო ამ ბოლო დროს იმ გამოკვლევათა შედეგად, რომლებიც გამოაქვეყნეს ქართველმა მეცნიერმა შალვა ნუცუბიძემ (1942 წ.) და ბელგიელმა მეცნიერმა ერნესტ ჰონიგმანმა (1952 წ.), დადგენილია, რომ პეტრე იბერიელი არის ავტორი ეგრეთწოდებული არეოპაგიტული კრებულისა. ფილოსოფიური ტრაქტატებისა, რომლებიც V საუკუნის მეორე ნახევარში იყო გამოქვეყნებული დიონისე არეოპაგელის სახელის წარწერით.

არეოპაგიტული კრებული ერთ-ერთი უდიდესი ძეგლია საშუალო საუკუნეთა ფილოსოფიური აზროვნებისა. არეოპაგიტული ფილოსოფია წარმოადგენს ქრისტიანობის შეფარდებას ნეოპლატონიზმის ფილოსოფიურ იდეებთან.

არეოპაგიტული კრებული პეტრე იბერიელს გამოუქვეყნებია ბერძნულად; უეჭველია იგი პარალელურად გამოქვეყნებული იყო ქართულად ან თვით პეტრეს მიერ, ან მის მოწაფეთა მიერ, რომლებიც მოღვაწეობდნენ პეტრეს დაარსებულ იერუსალიმის ქართულ სავანეში (იბერთა მონასტერში) და საბაწმიდაში, რომლებიც ქართული განათლებისა და მწიგნობრობის დიდ ცენტრებს წარმოადგენდნენ პალესტინაში V საუკუნიდან მოკიდებული.

არეოპაგიტული კრებულის ქართული ტექსტი V საუკუნისა ჩვენს დრომდე არ გადარჩენილა. ჩვენს დრომდე მოღწეულა არეოპაგიტული კრებულის მეორე ძველ-ქართული თარგმანი XI საუკუნისა, შესრულებული დიდი ქართველი მწერლისა და ფილოლოგის, ქართული ჰუმანიტური მოძრაობის მოღვაწის ეფრემ მცირის მიერ. XI საუკუნის ამ ძველ-ქართულ ტექსტს დართული აქვს კომენტარები მაქსიმე აღმსარებლისა და ეფრემ მცირისა.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ პეტრე იბერიელის დიონისე არეოპაგელის სახელით წარწერილ ფილოსოფიურ ტექსტებს კარგად იცნობს შოთა რუსთაველი. შოთა თავის პოემაში სახელდებით მოიხსენიებს ორ ფილოსოფოსს: პლატონს და დიონისეს, რომელსაც შოთა ასე უწოდებს: „ბრძენი დივოს“. შოთას პოემაში ჩვენ გვაქვს გამოხმაურება არეოპაგიტული ფილოსოფიის იდეებისა.

ჩვენ აქამდე ვეხებოდით ქართულ-დასავლური ურთიერთობის საკითხებს. ამასთან ერთად აქ აღვნიშნავთ აგრეთვე ფაქტს ქართულ-აღმოსავლურ ურთიერთობათა ისტორიიდან.

ჩვენ უკვე მოვიხსენეთ, რომ საქართველოში ამ ეპოქაში გავრცელება ჰქონდა მანიქეიზმის ქართულ სახეობას, რომელიც წარმოადგენდა ქრისტიანობისა და მანის რელიგიურ-ფილოსოფიური იდეების გაერთიანებას. ეს მოძღვრება განსაკუთრებით ფართოდ ყოფილა გავრცელებული V საუკუნეში. იყო პერიოდები V საუკუნის მანძილზე, როდესაც საქართველოს სახელმწიფოებრივი რელიგიური ორგანიზაციის — ქრისტიანული ეკლესიის — სათავეში იღვწენ ქრისტიანულ-მანიქეური სინკრეტული მოძღვრების მიმდევარნი.

ქართული მანიქეიზმის ამ თავისებურ სახეობას თავისი წარმომადგენლები ქართულ მწერლობაშიაც ჰყოლია. ამათ რიცხვს ეკუთვნოდა მოზიდანნი, რომელიც ქართული ეკლესიის მეთაური (მთავარეპისკოპოსი) იყო V საუკუნის 30-იან და 40-იან წლებში. ვახტანგ გორგასარის ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ მოზიდანნი „წერდა წიგნებსა ყოვლისა საცთურებისაჲსა“, რომლებიც ორთოდოქსალური ქრისტიანული მოძღვრების თვალსაზრისით მიუღებლად ითვლებოდნენ.

V საუკუნის ნახევარში, როდესაც ორთოდოქსალურმა ქრისტიანობამ მოიცა ძალა და ქართული ეკლესიის სათავეში ჩადგა მებრძოლი ქრისტიანობის წარმომადგენელი მიქაელი, მოზიდანის ნაწერებს ეკლესიამ აუტოლადვე გაუმართა.

ვახტანგ გორგასარის ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ მოზიდანის თხზულებანი ეცხლს მისცეს, „დაწვა ყოველი წერილი მისი ჭეშმარიტმან ეპისკოპოსმან მიქაელ“.

ჩვენ აქ არ ვეხებით IV—VII საუკუნეთა ქართული მწერლობის სხვადასხვა დარგებს, როგორცაა:

I. ისტორიოგრაფია (მთავარი ძეგლია „მოქცევა ქართლისა“, რომელშიაც დაცულია მეტად მნიშვნელოვანი ექსცერპტები წინაქრისტიანული ანტიკური ხანის საისტორიო თხზულებებიდან);

II. პაგოგრაფიული-ისტორიული ლიტერატურა (ამ დარგიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ძეგლებია: მარტვილობა შუშანიკისი — იაკობ ცურტაველისა, მარტვილობა ცხრათა კოლაელთა, მარტვილობა ევსტათი მცხეთელისა);

III. პოლიტიკური (რელიგიურ-პოლემიკური) ლიტერატურა (ეპისტოლენი კირიონ I ქართლისა კათალიკოზისა);

IV. ორიგინალური ქართული თეოლოგიური ლიტერატურა (ამ დარგიდან კერძოდ აღსანიშნავია ორი სიტყვა „ნათელთათვის“, წარწერილი ნინოს სახელით);

V. ჰიმნოგრაფიული პოეზია (ქრისტიანული ჰიმნები), რომელიც უაღრესად მდიდარ დარგს წარმოადგენს.

აქ ჩვენ მოკლედ შევჩერდებით საერთო მხატვრულ მწერლობაზე.

•

ამ ეპოქის ქართული საერთო მხატვრული მწერლობის ფართო დიაპაზონი შესაძლოა წარმოვიდგინოთ იმის მიხედვით, რომ VII საუკუნეში ქართულ ენაზე არსებულა თარგმანი ისეთი კაპიტალური ძეგლისა, როგორც იყო ირა-

ნული ეპოსის განთქმული კრებული „ხვატაჲ-ნამაკი“ ანუ „უფალთა წიგნი“ (ეპიკური ციკლი ფერიდუნიდან—ბაჰმანამდე). ეს კრებული „უფალთა წიგნი“, როგორც ცნობილია, არის პროტოტიპი ფირდოუსის „შაჰ-ნამესი“.

აღსანიშნავია, რომ „უფალთა წიგნის“ ქართული ვერსია, როგორც ირკვევა, შეიცავდა არა მხოლოდ პროზაულ მოთხრობას, როგორც ეს ფაბლაურ დედანში იყო, არამედ იგი ნაწილობრივ ლექსადაც ყოფილა დამუშავებული. „უფალთა წიგნი“-ს ჩვენს დრომდე მოღწეულ ექსცერატში, რომელიც დაუთავს ძველ-ქართულ ავტორს ლეონტი მროველს, შერჩენილია ტექსტი, დაწერილი რითმიან ლექსით, „დაბალი შაირის“ მეტრით. აქ მოცემულია უმეტესაქლებოდ იგივე სალექსო ფორმა დაბალი შაირისა, რაც ბევრად უფრო გვიან, XII—XIII საუკუნეთა საზღვარზე, გამოიყენა შოთა რუსთაველმა*.

რომ ამ პერიოდში ქართული ლექსი, მისი კლასიკური სახით, უკვე დამკვიდრებული ყოფილა ქართულ მწერლობაში, ამას ადასტურებს აგრეთვე ჩვენს დრომდე მოღწეული „პროკოპის მარტილობის“ ქართული ტექსტი. ეს ძეგლი ეკუთვნის ხანას არა უგვიანეს VI—VII საუკუნეთა (თარიღი ირკვევა იმის მიხედვით, რომ ძეგლში ჭერ კიდევ წარმართული ქართული საკალენდარო ტერმინოლოგია არის მიღებული). და აი ამ ძეგლში ჩვენ გვხვდება ციტატები ჰომეროსიდან, ლექსად, ოც-მარცვლელი ძველ-ქართული საზომით (ოთხმუხლი ხუთეულით).

ამავე პერიოდში, როგორც ეს დასტურდება მოსე ხორენელისა და გრიგოლ მაგისტროსის ცნობებით, ქართულად არსებულა ვერეთრაგნას ეპოსი ზეპირსიტყვიერების ციკლს, თუ იგი წერილობითი სახითაც იყო აღბეჭდილი (ყოველ შემთხვევაში აღსანიშნავია, რომ ვერეთრაგნის ეპოსის გამოძახილს ჩვენ ვპოულობთ ძველ-ქართული მწერლობის ძეგლში IX საუკუნისა „ჰამბავი ვახტანგ გორგასარისა“).

ამავე არქაულ პერიოდში ქართულ ენაზე არსებულა თარგმანი ანტიკური საისტორიო რომანისა ალექსანდრე მაკედონელის შესახებ, რომელიც კალისთენეს სახელით არის წარწერილი. ამ რომანს გავლენა მოუხდენია ძველ ქართულ ისტორიოგრაფიაზე.

ამავე ეპოქაში ქართულად არსებულა ისტორიული რომანი იულიანე განდგომილისა და იობიანეს შესახებ, რომელიც იულიანეს რომანის სახელით არის ცნობილი. იულიანეს რომანი ბერძნულ ენაზე დაიწერა V საუკუნეში. VI საუკუნის პირველ ნახევარში იგი უთარგმნიათ სირიულად. ქართულ ენაზედაც იგი თარგმნილი ყოფილა აღრეულ საშუალო საუკუნეებში და დიდი პოპულარობით სარგებლობდა ძველ-ქართულ ლიტერატურაში. ასე, ამ

* მოგვეყავს აქ, როგორც ერთ-ერთი უძველესი ნიმუში ქართული ლექსისა, ციტატი „უფალთა წიგნიდან“, რომელიც ეხება ირანული ეპოსის გმირს აფრიდონს, და რომლის შესახებ ეპოსში ნათქვამია:

„რომელმან შექრა ჯაჭვითა ბევრასჲ გუელთა უფალი,
დააბა მთასა რაას ზედა, რომელ არს კაცთ-შეუვალი“.

რომანით სარგებლობს ავტორი ვახტანგ გორგასარის ამბავისა (IX ს.) და თამარ მეფის ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოდვარი (XIII ს.). რომანს ჰოპულარობა არ დაუკარგავს გვიან ხანამდე.

•

გადავდივართ ქართული ლიტერატურის განვითარების მეორე პერიოდზე, რომელიც გრძელდება VIII საუკუნიდან XI საუკუნის მეორე ნახევარამდე. ეს არის ფეოდალიზმის ხანა საქართველოში.

დიდ როლს თამაშობს ამ ეპოქაში საქართველოს ეკლესია. იგი მონოლითურ ერთეულს წარმოადგენს. სექტებად დანაწილება მოისპო და ერთმა ბიზანტინოფილურმა ფრთამ (ქალკედონიტები) შეუზღუდავი ბატონობა მოიპოვა წამყვანი როლი ქართული ლიტერატურის ამ მეორე პერიოდში ეკუთვნოდა საქრისტიანო-სასულიერო მწერლობას. ეს არის კლასიკური ხანა ძველი ქართული სასულიერო მწერლობისა.

მაგრამ საერო მხატვრული მწერლობის ტრადიციები არ შეწყვეტილა ამ ეპოქაში, იგი განაგრძობდა არსებობას პარალელურად სასულიერო მწერლობასთან.

ამ ეპოქის სალიტერატურო ძეგლებიდან ცალკეა აღსანიშნავი ორი ნაწარმოები: ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა“ და უჯარმელის „ჰამბავი ვახტანგ გორგასარისა“.

ეს ორი ძეგლი წარმოადგენს საისტორიო თხზულებებს, ეპიურ ხაზებში დამუშავებულს.

ორივე ძეგლს აშკარად ეტყობა გავლენა საგმირო რომანების ეპოსისა; როგორც ირკვევა, ამ დროს ქართულად უკვე იწერებოდა საგმირო რომანები იმ ტიპისა, როგორც იყო, მაგალითად, შემდეგდროინდელი „ამირან-დარეჯანიანი“. მთელი რიგი ეპიზოდები ლეონტი მროველისა და უჯარმელის ისტორიულ-ეპიურ მოთხრობებში დამუშავებულია ასეთი საგმირო რომანების სპეციფიური სტილით.

საერო მწერლობა ამ პერიოდისა, როგორც ირკვევა, მდიდრდებოდა თარგმნილი ძეგლებით. ასე, ამ დროს უთარგმნიათ ქართულად განთქმული დიდაქტიკური ეპოსი „ქილილა და დამანა“, რომლისაგან გადარჩენილა მოკლე ექსცერპტი.

„ქილილა და დამანას“ რთული ლიტერატურული ისტორია ჰქონდა: მისი პროტოტიპი (ფანხატანტრა) ინდოეთში ჩამოყალიბდა, აქედან VII საუკუნეში წარმოიშვა ფაჰლავური რედაქცია, ხოლო უკანასკნელიდან მომდინარეობს არაბული ვერსია. უძველესი ქართული ვერსია თარგმნილი ყოფილა არაბულიდან, როგორც ამას ადასტურებს ქართულ ექსცერპტში დატული ლექსიკური ნიშნები.

ქართულ-არაბულ ახლო ურთიერთობას საერო მხატვრული მწერლობის დარგში მოწმობს კერძოდ ტერმინები „მოშაპირე“ (პოეტი) და „შაპირი“ (ლექსი), რომელიც ამ დროს არაბულიდან შემოდის ქართულ მწერლობაში და საყოველთაო გავრცელებას ღებულობს.

მეორე პერიოდის მხატვრულ მწერლობაში ცალკეა აღსანიშნავი ნაწარმოებნი, რომლებიც წარმოგვიდგენენ სასულიერო და საერო პოეზიის ელემენტების შეერთებას.

ასეთია, კერძოდ, ჰაგიოგრაფიული პოემა „აბუჯურა“, რომელიც IX საუკუნეს ეკუთვნის. ამ პოემას საერო პოეზიასთან აკავშირებს, ჯერ ერთი, ფორმა (იგი შეიცავს გართულ ტექსტს). სიუჟეტის მხრივაც იგი წარმოადგენს სასულიერო და საერო პოეზიის ელემენტების შეთავსებას (აქ დამუშავებულია, სასულიერო ელფერის დაცვით, რომანული ეპიზოდი).

საერო მწერლობის ელემენტებს შეიცავს აგრეთვე X საუკუნის განთქმული ქართველი მწერლის გიორგი მერჩულის თხზულება „გრიგოლ ხანძთელი“. ამ მრავალპლანიან ნაწარმოებში, რომელიც ეკუთვნის პირველი ათასწლეულის ქართული ლიტერატურის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებთა რიცხვს, ჩართულია ცალკე ნოველები რომანული შინაარსისა, რომლებიც გვისახავენ ქართული ფეოდალური საზოგადოების გარემოს. აღსანიშნავია ამასთან, რომ გიორგი მერჩულის თხზულებაში ჩვენ გვაქვს ბუნების გრძნობა, აქ ჩვენ გვხვდება არტიტულად დახატული ქართული პეიზაჟი.

ამ ეპოქის შესანიშნავ ლიტერატურულ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის განთქმული ქართული მოთხრობა „სიბრძნე ბალაჰვარისა“, რომელსაც მსოფლიო რეზონანსი ჰქონდა საშუალო საუკუნეთა მწერლობაში.

მოთხრობას „სიბრძნე ბალაჰვარისა“ საფუძვლად უდევს ინდური თქმულება ბუდას შესახებ. გარდა იმ ინტერესისა, რომელსაც იწვევდა ბუდას თავგადასავალი, ნაწარმოები ხიბლავდა მკითხველებს მაღალმხატვრული იგავებით.

ამ მოთხრობას რთული და საინტერესო ლიტერატურული ისტორია ჰქონდა. თქმულება ბუდას შესახებ, რომელიც ქართული მოთხრობის პროტოტიპი გახდა, ჩანს, პირველად ჩაწერილი იყო ფაქალურ (საშუალო ირანულ) ენაზე VI—VII საუკუნეებში. ფაქალურიდან მომდინარეობს არაბული ვერსიები VIII საუკუნისა.

ამავე ეპოქაში (არა უადრეს VIII საუკუნისა და არა უგვიანეს IX საუკუნისა) ქართველ მწერალს იოანე საბაჰმიდელს გადაუმუშავებია ეს თქმულება ბუდას შესახებ, მოუხდენია მისი შინაარსის ქრისტიანიზაცია და ახალი სახე მიუცია მოთხრობისათვის.

ქართული მოთხრობა შემდეგ ცნობილი გახდა მთელს ქრისტიანულ მსოფლიოში.

ქართულ მოთხრობას მსოფლიო რეზონანსი შეუქმნა მეორე ქართველმა მწერალმა ეფთიმე მთაწმიდელმა (958—1028). ეფთიმე ერთ-ერთი უბოჰულარესი ქართველი მწერალი იყო საშუალო საუკუნეებში, რომელმაც უკვდავყო თავისი სახელი თარგმანებით ბერძნული ენიდან ქართულ ენაზე. სიტყვის დიდი რსტატი, იგი თანაბარი ბრწყინვალეობით ფლობდა როგორც ქართულს, ისე ბერძნულს. ეფთიმემ მოახდინა ბუდას ლეგენდის ქართული ვერსიის ხელმეორე გადამუშავება, გააფართოვა იგი, და გამოაქვეყნა ეს ახალი რედაქცია ქართული მოთხრობისა ბერძნულ ენაზე, სათაურით: „მოთხრობა ბარლაამისა და იოსაფის შესახებ“.

ეფთიმეს რედაქცია XI საუკუნის შუა წლებში ბერძნულიდან ითარგმნა მეორე მსოფლიო ენაზე—ლათინურზე. ამის შემდეგ მოთხრობა—ეფთიმეს რედაქციით—ნამდვილს მსოფლიო რეზონანსს ღებულობს, იგი ითარგმნება ბერძნულიდან და ლათინურიდან ევროპისა და წინა აზიის ხალხთა ყველა ენაზე (ამასთან ზოგიერთ ენაზე იგი ითარგმნა რამდენიმეჯგზის). საშუალო საუკუნეთა მსოფლიოში იშვიათად თუ რგებია რომელიმე წიგნს ისეთი პოპულარობა, როგორც ამ ძველ-ქართულ მოთხრობას, დამუშავებულს ეფთიმე მთაწმიდელის მიერ.

აქ ჩვენ შევჩერდებით აგრეთვე ქართული მწერლობის ერთ ძეგლზე; რომელსაც ეწოდება „ქება და დიდება ამ ქართული სანასა“, რომელიც IX—X საუკუნეებს ეკუთვნის.

ამ ნაწარმოებში მოცემულია მესიანისტური შეხედულება ქართული ენის მაღალი დანიშნულების შესახებ. მწერლის განცხადებით, ქართული ენა დიდი ენაა, „შემკული და კურთხეული“, რომელშიაც დამარხულია „ყოველი საიდუმლო“, რომ ქართული ენა მარადეამ იარსებებს და თვით ხალხთა დიდი განკითხვა, რომელიც მოხდება მესიის მეორედ მოსვლის დროს, ქართულ ენაზედ შესრულდება.

ამვე დროს მწერალი ქართულ ენასა და ბერძნულ ენას ერთ სიმაღლეზე აყენებს, აღნიშნავს, რომ ეს ორი ენა მეგობრებია, რომ ამ ორ ენას მფარველობს ორი დედა—ნინო ქართველთა განმანათლებელი და ელენე დედოფალი, განმანათლებელი ბერძენთა. მწერლის სიტყვით, ნინო და ელენე არიან მოყვარულნი დანი, ისევე როგორც სახარებაში მოხსენებულნი დანი მარიამ და მართა.

ასეთია შინაარსი IX—X საუკუნეთა ამ ძეგლისა, რომელიც შთაგონებულია დედაენის დიდი სიყვარულით და ქართველ-ბერძენთა მეგობრობის გრძობით.

ჩვენ აქ არ ვეხებით მთელი მოცულობით ამ ეპოქის, VIII—XI საუკუნეთა უაღრესად მდიდარ, დიდი მასშტაბების მქონე ქართულ სასულიერო ლიტერატურას, სადაც წარმოდგენილია ყველა ის დარგი, რომლებიც ბიზანტიურ სასულიერო მწერლობაში არსებობდა.

აქ მოკლედ შევჩერდებით ძველ ქართულ ჰიმნოგრაფიულ პოეზიაზე.

ჰიმნოგრაფიული პოეზია სპეციფიკური დარგია საშუალო საუკუნეთა პოეზიისა, როგორც შინაარსით, ისე ფორმით. ჰიმნები—ეს პოეტური საგალობლებია ქრისტიანული ელფერიით, მათი თემატიკა შომდინარეობს ქრისტიანობის ისტორიისა და რელიგიური მოძღვრების რკალიდან; ხოლო ამასთან ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში გვაქვს ფილოსოფიური ლირიკის დიდი ნაკადი.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ჰიმნოგრაფიული პოეზია ორგახულად დაკავშირებულია მუსიკასთან, ჰიმნები იგალობებოდა.

ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზია იწყება IV საუკუნიდან, ქრისტიანობის დამკვიდრებიდან საქართველოში.

ხოლო ახალი ეპოქა ქართულ ჰიმნოგრაფიაში შექმნა VIII—IX საუკუნეთა მოღვაწემ გრიგოლ ხანძთელმა (758—860). გრიგოლ ხანძთელმა იგივე როლი შეასრულა ქართულ ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში, რაც იოანე და-

მასკელმა ბერძნულში. როგორც იოანე დამასკელი, ასევე გრიგოლ ხანძთელი არის ერთდროულად შესანიშნავი პოეტი და ამავე დროს დიდი მუსიკოსი-კომპოზიტორი. გრიგოლ ხანძთელს ეკუთვნის პოეტური ჰიმნების კრებული „დიდი იადგარი“, რომლის პოეზიას დიდად აფასებდნენ საშუალო საუკუნეებში, ხოლო მისი მუსიკა საფუძვლად დაედო მომდევნო პერიოდის ქართულ საეკლესიო გალობას.

შეორე დიდი ფიგურა ამ ეპოქის ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის არს მიქაელ მოდრეკილი, მრავალმხრივ შესანიშნავი პოეტი და ამავე დროს მუსიკოსი-კომპოზიტორი.

მიქაელ მოდრეკილს განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ჰიმნოგრაფიის ისტორიაში, კერძოდ იმ მხრივ, რომ მან დიდი შრომა გასწია ქართული ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობის სისტემატიზაციისათვის, მან შეაგროვა როგორც ჰიმნების პოეტური ტექსტები, ისე მათი მუსიკა. ჩვენს დრომდე მოღწეულა მიქაელ მოდრეკილის მიერ შედგენილი და მისივე რედაქტორობით გადაწერილი კრებული ქართული ჰიმნოგრაფიისა (გადაწერილია იგი 978 — 988 წლებში). პოეტური ტექსტები მიქაელის კრებულში გაწყობილია პარალელური მუსიკალური დამწერლობით, თავისებური მოხაზულობის ძველი ქართული სანოტო ნიშნებით.

ამჟამად ძველი ქართული სანოტო დამწერლობა ამოხსნილია, რის შემდეგაც ამეტყველდა ძველი ქართული მუსიკა მთელი თავისი სიდიადით.

ჩვენ აღარ ვჩერდებით დანარჩენ პოეტ ჰიმნოგრაფებზე. მოვიხსენებთ მხოლოდ იმ პოეტებს, რომელთა ლექსების მხატვრულ ფორმაში იჯრძნობა საერო პოეზიის გავლენა, რომელთაც შეუთვისებიათ საერო პოეზიის სპეციფიკური მეტრები და რითმა. ესენია X საუკუნის პოეტები: ფილიპე ბეთლემელი, იოანე-ზოსიმე, სტეფანე სანანოისძე.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ ამ ეპოქის ქართული მწერლობის დიდად მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს ქართული ისტორიოგრაფია. ამ ეპოქაში იწერება საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ძეგლები, რომლებიც შეტანილ იქნა ქართულ მატრიანთა დიდ კრებულში, რომელსაც „ქართლის ცხოვრება“ ეწოდება. იწერება აგრეთვე საეკლესიო ისტორიის შემცველი თხზულებანი.

ცალკეა აღსანიშნავი ისტორიულ-ბიოგრაფიული ლიტერატურა.

ამ უნარის ნაწარმოებთაგან პირველ რიგში უნდა მოვიხსენოთ იოანე საბანისძის თხზულება „მარტვილობა აბო თბილელისა“, ისტორიული ძეგლი VIII საუკუნისა, რომელშიაც ასახულია ეპოქა, ეროვნული იდეალები ეპოქისა.

ისტორიულ-ბიოგრაფიული ლიტერატურის უნარს ეკუთვნის აგრეთვე ორი ნაწარმოები, რომლებიც შეიცავენ ქართველ მწერალთა მოღვაწეობის აღწერას, და რომლებიც ძველ-ქართული ლიტერატურის მშვენიერებას წარმოადგენენ: ესენია:

ბიოგრაფია ქართველი მწერლის ეფთიმე მთაწმიდელისა (958 — 1028) და მთაწმიდელ ქართველ მოღვაწეთა, აღწერილი გიორგი მთაწმიდელის მიერ 1040-იან წლებში;

ბიოგრაფია გიორგი მთაწმიდელისა (1009 — 1065), აღწერილი გიორგი მცირის მიერ 1065 წლის ახლო.

ეს ორი ძეგლი დიდად მნიშვნელოვანი წყაროა ქართული კულტურის ისტორიისათვის, ამასთან ორივე ძეგლი აღბეჭდილია დიდი ლიტერატურული ღირსებებით.

მესამე პერიოდი ქართული ლიტერატურისა მოიცავს ხანას XI საუკუნის მეორე ნახევრიდან — XIII საუკუნის შუა წლებამდე. ეს არის რუსთაველის ეპოქა ქართული მწერლობისა, პერიოდი, რომელმაც უშუალოდ მოამზადა ნიადაგი შოთას გენიალური პოემის წარმოშობისათვის.

აღნიშნული პერიოდი ქრონოლოგიურად ემთხვევა საქართველოს პოლიტიკური ძლიერებისა და კულტურული დიდი აღორძინების ეპოქას.

რუსთაველის ფენომენის ახსნა შეუძლებელია ისე, თუ არ იქნა გათვალისწინებული უაღრესად ორიგინალური ქართული კულტურა XII — XIII საუკუნეთა.

მართლაც საიდან მომდინარეობს ის სიფართოე მსოფლმხედველობისა, ის კემპარიტი ჰუმანიზმის სული, რომლითაც გამსჭვალულია რუსთაველის პოემა?

აქ საჭიროა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ჰუმანიტური მოძრაობა რენესანსული სულისა (წინა რენესანსი), რომელიც დაიწყო საქართველოში XI საუკუნეში, ერთდროულად ბიზანტიასთან და დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ერთად, საქართველოს სპეციფიკურ პირობებში გაღრმავდა და ახალ სიმაღლემდე ავიდა.

ამის ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი წინაპირობა ის იყო, რომ საქართველო, ევროპის ცივილიზაციის ქვეყანა, იმყოფებოდა ორი მსოფლიოს მიჯნაზე, ქრისტიანული დასავლეთისა და მუსულმანური აღმოსავლეთისა. საქართველოს უშუალო ურთიერთობა ჰქონდა ორივე მსოფლიოსთან, საქართველოს ნიადაგზე ხდებოდა შეხვედრა და შეჯვარება როგორც ქრისტიანული დასავლეთის, ისე მუსულმანური აღმოსავლეთის კულტურათა. ეს გარემოება გახდა ერთ-ერთი მიზეზი, რომ საქართველოში დაძლეულ იქნა საშუალ-საუკუნეობრივი ვიწრო რელიგიური განკერძოება, გადალახულ იქნა საშუალ-საუკუნეობრივი კარჩაკეტილობა და განსაზღვრულობა, მოხდა განთავისუფლება საშუალ-საუკუნეობრივი აზროვნების არტახებიდან. ამ ნიადაგზე გაღრმავდა და ახალ სიმაღლეზე ავიდა ჰუმანიტური მოძრაობა საქართველოში.

დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურათა გამანაყოფიერებელი შეხვედრა და თავისებური სინთეზი საქართველოში გააადვილა განსაკუთრებით ხელსაყრელმა პირობებმა, რომლებიც შეიქმნა საქართველოში XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში. როგორც უკვე საუბარი გვქონდა ამ საგანზე, XII საუკუნის მანძილზე და XIII საუკუნის დასაწყისში საქართველო გადაიქცა დიდ სახელმწიფოებრივ გაერთიანებად, რომლის გავლენის სფეროში თანდათანობით შევიდა როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის კულტურული წრის ხალხები. XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში გაერთიანდა მთელი მრავალეროვანი კავკასია; საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში შევიდა კერძოდ შირვანი, სადაც ესოდენ ძლიერი იყო ირანული კულტურის ტრადიციები; საქართველოსთან პოლიტიკურად დაკავშირებულია ასევე რანის მხარე, განძის (განჯის) სასულთნო, ერთ-ერთი მთავარი ცენტრი ირანული პოეზიისა ამ

ეპოქაში. საქართველოსთან პოლიტიკურად დაკავშირებულია აგრეთვე ჩრდილო კავკასიის მთიელთა დიდი კოლექტივი, სადაც ქრისტიანობასთან ერთად გავრცელება ჰქონდა ადგილობრივ ხალხურ კულტებს; საქართველოს პროტექტორატს შეადგენს ტრაპიზონის სამეფო, რომელიც ადრე ბიზანტიის იმპერიაში შედიოდა და სადაც ქართველების გვერდით მოსახლეობდნენ ბერძნები; ტრაპიზონის სამეფო ეს არის ზონა, სადაც ეთნიკური საქართველო და ბერძნული ანატოლია ტერიტორიულად ესაზღვრებოდა ერთმანეთს ანტიკური ხანიდან მოკიდებული და სადაც ელინურ ტრადიციებს უძველესი სათავეები ჰქონდა.

აი ამ სახელმწიფოებრივ გაერთიანებაში, რომელსაც წარმოადგენდა XII — XIII საუკუნეთა საქართველო, სადაც კულტურულ თანამშრომლობას ეწეოდნენ ქართველებთან ერთად მეზობელი ერები, როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის კულტურული წრის ეროვნული კოლექტივები, წარმოიქმნა ბრწყინვალე ქართული კულტურა, ეს უაღრესად თავისებური და განუმეორებელი სინთეზი ორი კულტურისა, დასავლეთისა და აღმოსავლეთისა, რომლის მსგავსი ჩვენ არ გვაქვს მხვაგან საშუალო საუკუნეთა მანძილზე.

მხოლოდ ამ პირობებში, ამ ფონზე ხდება გასაგები რუსთაველის პოემა, ის სიფართოე მსოფლმხედველობისა, თავისუფალი ვიწრო ეროვნული კარჩაკეტილობისა და სარწმუნოებრივი განკერძოებისაგან, რომლითაც გამსჭვალულია ვეფხის-ტყაოსანი.

•

აქ საჭირო იქნება შევჩერდეთ იმაზე, თუ კონკრეტულად რა პირობებში და რა სახით ხდებოდა შეჯვარება საქართველოს ნიადაგზე დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან მომდინარე კულტურულ გავლენათა.

ჯერ დასავლეთის შესახებ.

თუ XI საუკუნემდე ქართველი მწერლები ბერძნულიდან თარგმნიდნენ უმთავრესად სასულიერო მწერლობის ძეგლებს, ხოლო საერო ლიტერატურიდან ქართველ მწერალთა ყურადღებას იქცევდა უმთავრესად საისტორიო ხასიათის ნაწარმოებნი (ხრონოლოგები, საისტორიო რომანები), XI — XIII საუკუნის საქართველოში სხვა სურათი გვაქვს: XI — XIII საუკუნის საქართველოში ჩვენ ვხედავთ ინტერესის გაღვივებას ძველი ელინური მსოფლიოსადმი, ძველი ბერძნული ლიტერატურისა და ფილოსოფიისადმი.

ეს მეტად მნიშვნელოვანი გონებრივი მოძრაობა — ინტერესი ანტიკური მსოფლიოსადმი არ დაწყებულა საქართველოში, მისი პირველსათავე, როგორც მოხსენებული გვქონდა, არის ბიზანტია, და მან აქედან გაიკვალა გზა საქართველოში. ეს მოძრაობა, მომდინარე ბიზანტიიდან, რომელთანაც საქართველო უახლოესად იყო დაკავშირებული თავისი კულტურით, არ დარჩენილა საქართველოში უცხო და ზერელე მოვლენად, არამედ ღრმა კვალი დააჩნია XI—XIII საუკუნეთა ქართულ კულტურას და ჰუმანიტარული ფერმეხტის როლი შეასრულა. ცხადია, XI საუკუნის საქართველოში შემზადებულყოფილა საამისოდ ნიადაგი, რაკი აქ ამ გონებრივს მოძრაობას ფართო გასაეალი მიეცა.

ბიზანტიის ჰუმანიტურ მოძრაობაზე XI საუკუნისა ჩვენ აქ შეგვიძლია არ გავაგრძელოთ სიტყვა. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ბიზანტიის ამ ჰუმანიტური მოძრაობის ყველაზე თვალსაჩინო ფიგურებია XI საუკუნის მოღვაწენი — მიქაელ პსელოსი და იოანე იტალოსი, რომელთაც გააცოცხლეს ბიზანტიაში ანტიკური ფილოსოფიის (უმთავრესად ნეოპლატონიზმის) ტრადიციები. ცენტრი ამ მოძრაობისა იყო მანგანის აკადემია, რომელიც დაარსდა კონსტანტინეპოლში XI საუკუნის ნახევარში.

აღსანიშნავია, რომ ბიზანტიის ჰუმანიტურ მოძრაობაში, თვით ადგილობრივ ბიზანტიაში, როგორც უკვე მოხსენებული გვქონდა, მონაწილეობას ღებულობენ ქართველები. ასე, ბიზანტიის ჰუმანიტური მოძრაობის მეთაურთა რიგებში, როგორც აღვნიშნეთ, იყო განთქმული ქართველი მოღვაწე ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი. როდესაც XI საუკუნის ოთხმოციან წლებში ბიზანტიაში დაიწყო რეაქცია ჰუმანიტური მოძრაობის წინააღმდეგ და ფილოსოფოსი იოანე იტალოსი ბიზანტიის ეკლესიამ შეაჩვენა, იოანე იტალოსთან ერთად დევნა განიცადა იოანე პეტრიწიმ.

XII საუკუნის დასაწყისში, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში არსდება გელათის აკადემია, რომელიც აგრძელებს კონსტანტინეპოლის მანგანის აკადემიის ტრადიციებს. გელათის აკადემიის პირველი რექტორი („მოდღართ-მოდღვარი“) არის არსენი იყალთოელი, ენციკლოპედისტი, რომელიც მანგანის აკადემიაში იყო აღზრდილი და სალიტერატურო მოღვაწეობა მანგანაში დაიწყო. არსენი იყალთოელი დაახლოებული პირია დავით აღმაშენებელისა, გელათის აკადემიის დამაარსებელისა.

გელათის აკადემიაში, დავით აღმაშენებელის საგანგებო მოწვევით, მოღვაწეობას იწყებს იოანე ფილოსოფოსი პეტრიწი.

დავით აღმაშენებლის მემკვიდრის დემეტრე I-ის დროს გელათის აკადემიაში მოღვაწეობს მეორე ფილოსოფოსი, რომელიც აგრეთვე იოანეს სახელს ატარებს: იოანე ფილოსოფოსი ჰიმპიმელი. დემეტრე I-ის გარდაცვალების შემდეგ (1156 წელს) იოანე ფილოსოფოსი ჰიმპიმელს დაუწერია აგრეთვე საისტორიო შრომა („ვასილოღრაფი“) დემეტრე I-ის მეფობისა.

დასახელებულთა გარდა გელათის სკოლას XII—XIII საუკუნეებში წარმოადგენს მთელი პლეადა მოღვაწეთა (პეტრე გელათელი, იეზეკიელი, არსენი ბულმაისიმისძე და სხვანი).

XII საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში, გარდა გელათისა, დაარსდა მეორე ცენტრი ქართული განათლებისა — იყალთოს აკადემია, რომლის ორგანიზებაში ღვაწლი მიუძღვის გელათის აკადემიის პირველ რექტორს არსენი იყალთოელს.

ქართველ მოღვაწეთა ელინოფილურმა წრეებმა XI — XIII საუკუნეებში გააცოცხლეს საქართველოში ბერძნული ფილოსოფიის ტრადიციები. მათ თარგმნეს ქართულად ბერძნული ფილოსოფიური ძეგლები, უმთავრესად ნეოპლატონიკოსები: პროკლე დიადოხოსი („კავშირნი“), პორფირი („შეყვანილება“), ამონიოს ერმიოსი (კომენტარები არისტოტელეს „კატეგორიებისა“ და პორფირის „შეყვანილებისა“), ნემესიოს ემესელი („ბუნებისათვის კაცისა“), ენოს დაზელის დიალოგი.

ნეოპლატონიკოსებს გარდა ითარგმნა არისტოტელე („კატეგორიები“, „პერი ერმინია“).

ცხადია, ამ დროსვე თარგმნილი იყო პლატონი, რომელსაც ხშირად ასახელებენ XII — XIII საუკუნეთა ქართულ ძეგლებში, მაგრამ ტექსტები არ გადაჩენილა.

ქართული ფილოსოფიური აზროვნება ამ ეპოქაში დიდ სიმაღლემდე აღწევს. ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი დიდი მოვლენაა არა მარტო ქართული ფილოსოფიის, არამედ ასევე საშუალო საუკუნეთა ევროპის ფილოსოფიის ისტორიაში. იოანე პეტრიწის ორიგინალური ფილოსოფიური ნაშრომი „განმარტება პლატონურისა ფილოსოფიისა“, სადაც ეს შესანიშნავი ქართველი მოაზროვნე სქოლასტიკური ფილოსოფიის საწინამდებდგო პოზიციებზე დგას და ანტიკური ფილოსოფიის ტრადიციებს აგრძელებს. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია, რომელიც ჩვენ საშუალო საუკუნეთა დასაველეთის ფილოსოფიამ დაგვიტოვა.

ინტერესები ქართული ელინოფილური წრებისა ამ ეპოქაში არ განისაზღვრებოდა მარტო ფილოსოფიით.

ჯერ კიდევ XI საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა ეფრემ მცირემ, ქართული ჰუმანიზმის დიდმა პიონერმა, ქართულ ენაზე დაწერა, ბერძნულ წყაროთა ფართო გამოყენებით, საყურადღებო ნაშრომი „ელინთა მეზღაპრება“ (ბერძნული მითოლოგიის მიმოხილვა), რომელიც ჩვენს დრომდე მოღწეულა.

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ XII საუკუნეში ქართველი მკითხველები, როგორც ირკვევა, გასცნობიან თვით ჰომეროსსაც. ჯერ კიდევ აკადემიკოსი ნ. მარი თავის შესანიშნავ გამოკვლევაში XII საუკუნის ქართველ მეხოტბეთა შესახებ დაასკვნია, ძველ ქართულ მწერლობაში დაცული ლიტერატურული ჩვენებების მიხედვით, რომ ქართულ ენაზე XII საუკუნეში უნდა არსებულიყო ჰომეროსის ეპოსი. ამის შემდეგ შესაძლო იგახდა უფრო ზუსტად დადგენა, რომ ჰომეროსის ეპოსი გადმოუღიათ ქართულად 1123—1125 წლებში, შემოკლებული გადმოცემის სახით. ჰომეროსის ეპოსის ეს ვერსია, როგორც ირკვევა, დიდი პოპულარობით სარგებლობდა ძველ ქართულ მწერლობაში.

რომ ქართული განათლება XII — XIII საუკუნეთა კლასიკურ ტრადიციებს შეიცავდა, ამის მაჩვენებელია ისიც, რომ XII საუკუნეში ქართულად უთარგმნიათ ანტიკური მწერლობის ძეგლი აფთონის რიტორიკა, რომელიც ძველად სასკოლო სახელმძღვანელოს როლს ასრულებდა.

დასავლური, ბერძნული წყაროებიდან მომდინარეობს აგრეთვე ფილოსოფიურ-დიდაქტიკური შინაარსის კრებულები XII საუკუნისა, ეგრეთ წოდებული აპოპთეგმები:

ა. „სიტყვანი და სწავლანი სამეცნიერონი“, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება: I. ბიბლიისა და ქრისტიანული ხანის მწერლობის ტექსტები; II. ანტიკური ხანის ფილოსოფოსთა, მწერალთა და სახელმწიფო მოღვაწეთა აფორიზმები, სენტენციები და დიდაქტიკური მაქსიმები.

ბ. „სიბრძნისაგან მრავალთა ფილოსოფოსთაჲსა, ძუელნი“ (რომელშიაც

წარმოდგენილია ანტიკური ხანიდან მომდინარე „ძველი“ ტექსტები ანალოგიური შინაარსისა).

ჩვენს დრომდე მოღწეულა აგრეთვე მესამე ნაწარმოები, რომელიც რუსთაველის ხანას ეკუთვნის — „სიბრძნისაგან პლატონ ფილოსოფოსისა“; იგი ორიგინალური ქართული თხზულებაა, რომელშიაც გვაქვს ანტიკური ხანის ბერძნული ფილოსოფიის (პლატონიზმის) ფართო გამომხატვა.

ამ მოკლე მიმოხილვიდან ცხადი ხდება, რომ XI — XIII საუკუნეთა საქართველოში დასავლეთის კულტურა წარმოდგენილი ყოფილა ძლიერი ნაკადით.



დიდი იყო აგრეთვე კავშირი აღმოსავლეთთანაც.

თარგმანები აღმოსავლური ენებიდან ქართულად XI საუკუნეზე უფრო ადრე ხანებშიც სრულდებოდა, და საკმაოდ ფართო მასშტაბით (ამის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი); ხოლო XI საუკუნიდან კულტურული კავშირი უფრო ორგანული ხდება და ლიტერატურული ურთიერთობა აღმოსავლეთთან განსაკუთრებით ფართო ხასიათს ღებულობს. ქართულ ენაზე ითარგმნება როგორც სამეცნიერო ხასიათის თხზულებანი (ასე, ამ დროიდან მოღწეულა ისეთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო ძეგლი, როგორცაა არაბული სამედიცინო ენციკლოპედია, განყოფილებებით ანატომიიდან და ფიზიოლოგიიდან, თარგმნილი ქართულად 1206 წლის ახლოს), ისე საერო მხატვრული ლიტერატურა.

მაგრამ ეს ცოტაა. ამ ეპოქაში არათუ ითარგმნებოდა ქართულად საერო მხატვრული შწერლობის ძეგლები, არამედ XII — XIII საუკუნეებში საქართველო თვით იყო ცენტრი აღმოსავლური, კერძოდ, ირანული პოეზიისა: საქმე ის არის, რომ შიდა საქართველოს მოსაზღვრე ორი მხარე ამიერ-კავკასიისა, სახელდობრ რ ა ნ ი ს მხარე — განძის (განჯის) სასულთნო (ვასალური სამეფო საქართველოს სახელმწიფოსი) და შირვანის მხარე (ვასალური სამთავრო საქართველოს სახელმწიფოსი) სწორედ ამ ეპოქაში წარმოდგენდნენ ირანული (სპარსული) ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს ცენტრს. ამ ორი მხარის რანის (განძის) და შირვანის პოეტთა სკოლას ეკუთვნოდნენ: განთქმული ნიზამი, უდიდესი ეპიკოსი აღმოსავლეთისა ფირდოუსის შემდეგ, ზაყანი, აბულალა, ფალაგი, ეხსიკეტი და სხვანი. ეს მწერლები, რომლებიც წარმოშობით კავკასიელები იყვნენ, მოქალაქეები საქართველოსთან პოლიტიკურად დაკავშირებული ქვეყნებისა, და რომელთა სალიტერატურო მოღვაწეობა აქ, კავკასიაში ჩატარდა, უშუალო ურთიერთობაში უნდა ყოფილიყვნენ და ყოფილან კიდევ ქართულ სალიტერატურო წრეებთან.

ქართულ მატინაეებში. დაცულია აღწერილობა, თუ როგორ ღებულობდნენ თბილისში, საქართველოს სამეფო კარზე მოსულს შირვან-შაჰს და როგორ იმართებოდა ზეიმები მგოსნების, პოეტურ ნაწარმოებთა მთქმელების მონაწილეობით.

შირვანელი პოეტი ზაყანი დაკავშირებულია საქართველოსთან თავისი შემოქმედებით, მისთვის ახლობელი ყოფილა საქართველოს გარემო და ამის გამოძახილი ჩვენ გვაქვს მის პოეზიაში.

ეგვევ ითქმის ნიშანის შესახებ. ნიშანის განთქმული პოემა „ლეილი და მეჯნური“, ეს უმშვენიერესი რომანტიული ეპოპეა აღმოსავლეთისა, როგორც გამოჩვეულია, დაკავშირებული ყოფილა თავისი წარმოშობით საქართველოსთან. ირკვევა ამასთან ისიც, რომ ამ ნაწარმოების ქართული თარგმანი გამოქვეყნდა იმავე წლებში, როდესაც დაიწერა დედანი.

გარდა იმისა, რომ საქართველოსთან პოლიტიკურ კავშირში მყოფი განცდა და შირვანი იყო მნიშვნელოვანი ცენტრი ამ ეპოქის აღმოსავლური, კერძოდ, ირანული პოეზიისა, თვით თბილისში, საქართველოს სატახტო ქალაქში, არსებობდა აკადემია ირანელი-არაბი სუფიებისა და პოეტებისათვის. ეს აკადემია დაარსებული იყო დავით აღმაშენებლის მიერ XII საუკუნის დასაწყისში (1123—1125 წლებში). იგი, ბუნებრივია, ასრულებდა ერთგვარი შუამავლის როლს საქართველოსა და აღმოსავლეთის კულტურული ურთიერთობის საქმეში ლიტერატურისა და ფილოსოფიის დარგში.

ქართულ-აღმოსავლური კულტურული ურთიერთობის ისტორიისათვის დამახასიათებელია, რომ ქართველი პოეტი XII — XIII საუკუნეთა ჩ ა ხ რ უ ხ ა ი ს ძ ე, მეორე, თანამედროვე რუსთველისა, გამოდიოდა ირანსა და არაბულ ქვეყნებში, როგორც მოგზაური პოეტი, ლექსებით სპარსულსა და არაბულ ენებზე.

ამავე დროს დადასტურებულია, რომ მუსულმანი პოეტები წერდნენ ოდებს თამარზე და საქართველოს მეფეებზე.

ქართული ლიტერატურისა და აღმოსავლური, პირველ რიგში, ირანული ლიტერატურის უშუალო ურთიერთობის ამ პირობებში გასაგები ხდება ის ახლო კავშირი, რომელიც ამ ლიტერატურათა შორის არსებობდა.



დასასრულ, დაგვრჩენია წარმოვადგინოთ რუსთაველის ხანის სალიტერატურო ძეგლთა მოკლე მიმოხილვა.

თუ რამდენად მრავალმხრივი იყო ქართული პოეზია ამ ეპოქისა, ამას გვიჩვენებს ჯერ მართო Ars poetica რუსთაველისა, რომელიც შენახულა ვეფხის-ტყაოსნის შესავალში. ამ პატარა ტექსტში გაბნეული რეალიებიდან ვხედავთ, რომ ამ დროს არსებობდა მთელი წრეები პოეტებისა. მათ შორის ყოფილან ისეთნი, რომელთათვის თვით გენიალური შოთა იმეტებს სახელს „ქარგი“.

მუშავდებოდა სხვადასხვა დარგები პოეზიისა; იწერებოდა მონუმენტური პოეტური ძეგლები, ეპიური პოემები, რომელთა შესახებ შოთა ამბობს:

„შაირობა პირველადვე სიბრძნისა ერთი დარგი...“

„ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა,
მობურთალსა — მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა,
მართ აგრევე მელქესესა — ლეჟსთა გრძელთა თქმა, და სევა,
რა მისკირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა“.

იყვნენ „ცოტა“ პოეტებიც, რომელთა შესახებ შოთა ირონიულად შენიშნავს:

„ვამსგავსე შვილდი ბედითი ყმაწვილთა მონადირეთა:
დიდსა ვერ მოჰკლვენ, ხელად აქვს ხოცა ნადირთა მცირეთა“.

ენიური პოეზიის გვერდით მუშავდებოდა მსუბუქი ლირიკის ჟანრები:

„არს მესამე ლექსი კარგი სანადიმოდ, სამღერელად,
სააწიკოდ, სალალბოდ, ამხანაგთა სათნვეულად,
ჩვენ მათიყა გვაშების, რაცა ოდენ თქვან ნათელად“.

ეს მრავალფეროვანი, მდიდარი პოეზია XII — XIII საუკუნეებისა ნაწილობრივ დაიღუპა მომდევნო ხანაში, იმ ბნელ საუკუნეთა მანძილზე, რომლებიც მოჰყვა მონგოლთა მფლობელობის დამყარებას საქართველოში XIII საუკუნიდან მოკიდებული, განსაკუთრებით კი XIV — XV საუკუნეთა საზღვარზე, თემურის გამანადგურებელი შემოსევების დროს.

ის ლიტერატურული ძეგლები, რომლებიც გადაურჩნენ ამ კატასტროფას და ჩვენს დრომდე მოაღწიეს, და აგრეთვე ლიტერატურული მასალები, რომლებიც მოიპოვება დაკარგულ ძეგლთა შესახებ (ლიტერატურული მოწმობანი, ექსცერპტები და სხვ.), მაინც იძლევა საშუალებას წარმოდგენა ვიქონიოთ შოთას ეპოქის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე.

ჩვენ აქ დავმყოფილდებით მთავარ სალიტერატურო ძეგლთა ჩამოთვლით.

ეს ძეგლები შესაძლოა დავანაწილოთ სამ ჯგუფად: სალიტერატურო ძეგლები აღმოსავლური წარმოშობისა (თარგმანები, გადმოკეთება); სალიტერატურო ძეგლები დასავლური წარმოშობისა; ორიგინალური ძეგლები.

აღმოსავლური წარმოშობის სალიტერატურო ძეგლები ამ პერიოდშიც საკმაოდ მრავალრიცხოვნად ყოფილა წარმოდგენილი. ასე, ირკვევა, რომ ქართულ ენაზე ამ დროს არსებულა: ფირდოუსის „შაჰ-ნამე“ (საგმირო ნაწილი, როსტომის ციკლი); ფახრედინ გურგანელის „ვისი და რამინი“; ნიზამის „ლეილი და მეჯუნის“; ნიზამის „ხოარო და შირინი“; რომანი „ვაჟე და აზრა“ (ჩანს, უნსურის ვერსია); უცნობი მწერლის რომანი „სალამან“; რომანი „ანალთ და შატბიერ“ დ. სხვ.

ჩვენ, რასაკვირველია, შემცდარი ვიქნებოდით, თუ დავასკვნიდით, რომ ამ ძეგლთა ქართული ვერსიები წარმოდგენდნენ ირანული ორიგინალების სიტყვასიტყვით თარგმანს. საქიროა აღენიშნოთ, რომ ძველ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში არსებობდა ტრადიცია ეგრეთ წოდებული თავისუფალი თარგმანებისა. ძველი ქართველი ავტორები ხშირად იძლეოდნენ უცხოურ ნაწარმოებთა თავისუფალ გადამუშავებას.

ამის მაგალითს წარმოგვიდგენს XII საუკუნის ქართული რომანი „ვირამიანი“, რომელიც ბევრ ხაზებში გვაგონებს დასავლურ თქმულებას ტრისტან და იზოლდას შესახებ. ქართული რომანი „ვისრამიანი“ თარგმნილია ფახრედინ გურგანელის ირანული დედნიდან, მაგრამ ქართველ ავტორს ბევრი თავისებურება შეუტანია ტექსტში. კერძოდ, ირანული „ვის-ო-რამინის“ სტილი ხასიათდება გადაკარბებული აღმოსავლური „უვაილოვნებით“, ხოლო ქართულ რომანში ეს ნაკლოვანება აცილებულია იშვიათი მხატვრული ტექტით. ქართული რომანის ავტორი სიტყვის ბრწყინვალე ოსტატია და ქართული „ვისრამიანი“ წარმოდგენს ძველი ქართული მხატვრული პროზის ერთ-ერთ შესანიშნავ ძეგლს.

რაც შეეხება დასავლური წარმოშობის სალიტერატურო ძეგლებს, მათ შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა ნაწილობრივ საუბარი. როგორც აღნიშნული გვქონდა, ქართულ ენაზე არსებულია ჰომეროსის ეპოსის შემოკლებული პროზაული ვერსია, რომელიც გამოუქვეყნებია უცნობ ქართველ მწერალს 1123—1125 წლებში.

უძველესი ლირიკოსი, რომლის ნაწერები ჩვენს დრომდე მოღწეულა არის შავთელი I, რომელსაც ეკუთვნის ლირიკული პოემა დავით აღმაშენებლის (1089—1125 წწ.) შესახებ. ამ პოემას „აბდულ-მესიანი“ ეწოდება. შავთელი I განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ძველ საქართველოში. ვეფხისტყაოსნის ცნობილ ბიბლიოგრაფიულ სტრაფში შავთელის შესახებ საგანგებოდ აღნიშნულია:

„აბდულმესია [უქია] შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა“.

ქართული ლირიკა თამარის ეპოქისა წარმოდგენილი ყოფილა მთელი რიგი პოეტებით, რომელთა შორის პირველ რიგში უნდა მოვიხსენოთ ორი ძმა ჩ ა ხ რ უ ხ ა ი ს ძ ე, რომელთა შესახებ დაცულია უწყება (რომელიც რუსთაველის ეპოქას ეკუთვნის):

„მესვეს ძეთა ჩახრუხასძეთა ექოთ თამარი, მეფე წყლიანი,
ა ეს თინათინ! ნუ ის თინათინ, არაბეთს იყო სულადიანი,
ჯერეთ ყმაწვილი, წმიდათ ნაწილი, სამოთხის ვარდი, პირად მზიანი“.

ჩახრუხაისძე I (ჩახრუხ ჩახრუხაისძე) არის ავტორი ლირიკული კრებულისა „თამარიანი“, რომელიც შეიცავს 12 ოდას მიძღვნილს თამარისადმი, დაწერილს სხვადასხვა დროს 1185—1210 წლების მანძილზე. თავსებით მართებულად უნდა ჩათვალოს „თამარიანის“ მეცნიერი მკვლევარის აკად. ნ. მარის შეფასება: ოდებში ეს კრებული წარმოადგენს ქართულ ლიტერატურაში შესანიშნავ ძეგლს თავისი თავისებურებებით და მათში XII საუკუნის დასასრულის კულტურულ-პოლიტიკური სახის ნათელი ანარეკლით.

ჩახრუხაისძე I ესმაურება მთელ რიგ მნიშვნელოვან მოვლენებს თავისი ქვეყნის ისტორიიდან; მისი პოეზია შთაგონებულია კეთილშობილი პატრიოტიზმით.

ჩახრუხაისძე II-ის (გრიგოლ ჩახრუხაისძის) პოეტური მემკვიდრეობა ფრაგმენტულად არის მოღწეული. შენახულია მისი ორი ოდა მიძღვნილი თამარისადმი, დაწერილი 1195 წლის ახლო ხანებში*.

* ჩახრუხაისძე II განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იმ მხრივ, რომ იგი არა მხოლოდ სახელგანთქმული ქართველი პოეტი იყო, არამედ ქართულთან ერთად იგი წერდა ლექსებს აგრეთვე სპარსულად და არაბულად. ჩახრუხაისძე II გამოდიოდა როგორც მოგზაური პოეტი ტრუბადური ჯერ კავკასიაში, საქართველოს სახელმწიფოს ვასალურ ქვეყნებში შირვანსა და განჯაში, სადაც მოღვაწეობდა საქართველოსთან მეგობრულ კონტაქტში მყოფი პოეტების დიდი სკოლა ნიშამი განჯელისა.

უფრო გვიან, XII საუკუნის ბოლო წლებში ჩახრუხაისძე II-ემ ჩაატარა დიდი მოგზაურობა აღმოსავლეთის და დასავლეთის ქვეყნებში, სადაც იგი გამოდიოდა როგორც მოგზაური პოეტი ტრუბადური ირანულ და არაბულ ქვეყნებში; მისმა გამოსვლებმა დიდი აღიარება პოეზიაში.

ჩახრუხაისძე II-ის ბიოგრაფია და მოგზაურობა აღწერილია ორ ელევგიაში, რომლებიც ეკუთვნის პოეტის ძმას ჩახრუხაისძე I-ს და პოეტს ბარამანს.

თამარის ეპოქაში მოღვაწეობს იოანე შავთელი (მეორე), რომელიც სახელოვანი პოეტი ყოფილა და რომელსაც თამარის მეორე ისტორიკოსი XIII საუკუნის პირველი მეოთხედისა ასე უწოდებს: „ფილოსოფოსი და რიტორი ლექსთა გამომქმელი“. მეორე წყაროში XIII საუკუნისა იოანე შავთელს ეწოდება: „სანთელი სულიერისა ფილოსოფოსობისა“. პოეტური შემკვიდრობა იოანე შავთელისა დაკარგულია; გადარჩენილა მხოლოდ ერთი ჰიმნი, „გალობანი ვარძიისანი“, რომელიც დაწერილია 1205 წელს.

აქ უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ XI — XIII საუკუნეთა ქართული ჰუმანისტური მოძრაობის დიდნი მესვეურნი, საქართველოს მეფენი — დავით აღმაშენებელი, დემეტრე I და თამარ დიდი, იყვნენ არა მხოლოდ განათლებული მეცენატები ქართული მწერლობისა.

დავით აღმაშენებლისაგან ჩვენს დრომდე მოღწეულა „გალობანი სინანულისანი“, პოეტური ნაწარმოები დიდი დიპაზონისა. ამას გარდა, XII საუკუნის საისტორიო ძეგლში „ისტორია-აზმანი შარავანდედთანი“ დაცულია ცნობა, რომ დავით აღმაშენებელმა 1121 წელს დიდგორის გამარჯვების გამო (როდესაც დამარცხებულ იქნა მუსულმანთა დიდი კოალიცია, შემოჭრილი საქართველოს საზღვრებში) დაწერა ქართველთა ეროვნული ზეიმის აღსანიშნავად „იამბიკო ხუთეული ოცდახუთ ლექსად“. ამას გარდა, შავთელის „აბდულმესიანის“ მიხედვით, რომელიც დავით აღმაშენებლისადმი არის მიძღვნილი, ირკვევა, რომ დავით აღმაშენებელს ეკუთვნოდა „იგავნი“, რომელსაც შავთელი ადარებს ბიბლიის ისო ზირაქის იგავებს.

დემეტრე I წყაროებში მოიხსენება როგორც ცნობილი პოეტი. მისი ლიტერატურული შემკვიდროებიდან გადარჩენილა რამდენიმე ლექსი, მათ შორის პოეტური ჰიმნი — „შენ ხარ ვენახი, ახლად აყვავებული“, რომელსაც დღემდე მღერიან საქართველოში.

თამარ დიდი ს პოეტური ნაწარმოები „ცასა ცათასა“ ეხება იმდენად მნიშვნელოვან მოვლენას ქართველი ხალხის ისტორიაში, რომ იგი შეტანილია ქართულ მატრიანთა დიდ კრებულში — „ქართლის ცხოვრებაში“.

ქართველი ისტორიკოსი XII საუკუნის დასასრულისა, ავტორი საისტორიო ძეგლისა „ისტორია-აზმანი შარავანდედთანი“ თავისი შრომის უკანასკნელ თავს მიუძღვნის შამქორის ომს. ამ ომის დროს საქართველო დიდი განსაცდელის წინაშე იდგა; ეს იყო მუსულმანთა „სალმართო ომი“, გამოცხადებული საქართველოს წინააღმდეგ. ხალიფის მოთავეობით ამ ომში საქართველოს წინააღმდეგ გაერთიანდა ახლო აღმოსავლეთის მუსულმან რა. ხალიფმა მუსულმანთა ლაშქარს, უძლეველობის ნიშნად, წარუმიძღვარა თავისი დროშა, მწვანე დროშა ისლამისა. მუსულმანთა ლაშქარი დამარცხდა შამქორში (1195 წელს). ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ ხალიფის დროშა, ტროფეის სახით მოტანილი თამარის წინაშე, თამარმა წარგზავნა გელათში, და ნიშნად ერის ზეიმისა დაწერა ლექსი („იამბიკო-ხუთეულის“ ფორმით). ისტორიკოსს მოჰყავს თამარის ეს ლექსი და ამით ამთავრებს თავის მოთხრობას.

თამარის ეს ლექსი აღბეჭდილია სიდიადით. იგი დიდ პოეზიას ეკუთვნის. თამარისაგან მოღწეულა აგრეთვე მოკლე ლექსები „ხუთეულები“ (ყოველი ლექსი ხუთ-ტიუპოვანია), რომლებიც წარმოადგენს ერთ ციკლს: „მზის შარავანდნი“. აქაც ჩვენ გვაქვს წამდვილი პოეზია. ყოველი „ხუთეული“, ეს ლაქონიური პოეტური ფორმა, აღბეჭდილია მხატვრული სრულყოფით.

XII — XIII საუკუნეების ქართული ეპოსი წარმოდგენილია ორი ჟანრით: პოეტური რომანტიული ეპოსით და სარაინდო რომანით.

სარაინდო რომანის ნიმუშს წარმოადგენს მოსე ხონელის „ამირან-დარეჯანიანი“. ეს ვრცელი სარაინდო რომანი დაწერილია XII საუკუნის ნახევარში და ჩვენ დრომდისაც მოღწეულა. მოსე ხონელის „ამირან-დარეჯანიანს“, ჩანს, კარგად იცნობდა რუსთაველი და შოთას პოემის ზოგიერთ ეპიზოდში შესაძლოა შემჩნეულ იქნეს მოსე ხონელის რომანის გამოძახილი.

რაც შეეხება პოეტურ რომანტიულ ეპოსს, ამ ჟანრის ნაწარმოებთა შორის, რომლებიც არსებულა XII — XIII საუკუნეებში, და რომელთა შესახებ შენახულია ლიტერატურული ცნობები, გადარჩენილა მხოლოდ ვეფხის-ტყაოსანი. ამის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რამდენად დიდი იყო ის კატასტროფა, რომელიც განიცადა საქართველომ მომდევნო საუკუნეებში და რამაც იმსხვერპლა კლასიკური ხანის ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის დიდი ნაწილი.

მეტად მნიშვნელოვანი ნაწარმოები რომანტიული ეპოსის ჟანრისა, როგორც ეს ირკვევა ლიტერატურული ცნობების მიხედვით, იყო განთქმული პოეტის — სარგის თმოგველის პოემა „დილარგეთიანი“, დაწერილი 1190-იან წლებში. პოეტ ჩახრუხაისძის I ოდის ტექსტის მიხედვით, სარგის თმოგველის პოემას დიდი სახელი ჰქონია მოპოვებული თანამედროვეთა შორის. ასევე ვეფხის-ტყაოსანის ბოლოში დართულ ბიბლიოგრაფიულ სტროფში მაღლად არის შეფასებული სარგის თმოგველის პოემა.

XII საუკუნის წყაროებში დაცულია ცნობები რომანტიული ეპოსის მთელი რიგი სხვა ძეგლების შესახებ, რომლებიც ჩვენს დრომდე არ მოღწეულა. ასეთებია რომანები: „ეთერიანი“, „ოსანოზ და შარიელ“ და სხვანი.

კერძოდ, XII საუკუნის რომანტიული ეპოსი „ეთერიანი“, როგორც ირკვევა, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა და იგი გადასულია ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში. „ეთერიანი“ („აბესალომ და ეთერი“), ფართოდ გავრცელებული პოეტური თქმულება ქართული ფოლკლორისა, წარმოადგენს, როგორც ირკვევა, XII საუკუნის ქართული რომანის ხალხურ ვერსიას.

წმინდა მხატვრული ლიტერატურის გვერდით ამ ეპოქაში მაღალ განვითარებას აღწევს მწერლობის სხვა დარგები. ეს ეხება, პირველ რიგში, ქართულ ისტორიოგრაფიას.

XII — XIII საუკუნეთა ქართული ისტორიოგრაფიის ოთხი ჩვენს დრომდე მოღწეული ძეგლი წარმოადგენს კლასიკური ხანის ქართული მწერლობის ნამდვილ მშეენებას. ეს ძეგლებია:

საქართველოს ისტორია გიორგი II-ისა და დავით აღმაშენებელის ხანისა (1072—1125 წლები), რომელიც დაწერილია 1125 წლის ახლოს.

„ისტორია-აზმანი შარავანდედთანი“, რომელიც აგვიწერს გიორგი III-ის ხანას და თაშარის ეპოქის პირველ პერიოდს (1155 — 1196 წლები). ამ ძეგლს თაშარის პირველ ისტორიას უწოდებენ. დაწერილია იგი 1196 წელს.

მეორე ისტორია თამარის ეპოქისა (მოიცავს თამარის მეფობის მეორე პერიოდის აღწერას, 1212 წლამდე), დაწერილია XIII საუკუნის პირველ მეოთხედში.

ბასილი ეზოსმოძღვარის ისტორია, რომელიც მოიცავს თამარის ეპოქის მთლიან აღწერილობას, დაწერილია XIII საუკუნის პირველ მეოთხედში.

არ არის არავითარი გადაქარბება, თუ ვიტყვით, რომ ქართული ისტორიოგრაფიის ეს ძეგლები დგანან ერთ რიგში ბიზანტიური ისტორიოგრაფიის საუკეთესო ძეგლთა გვერდით.

ეს ავტორები ქართული ჰუმანიზმის სკოლის წარმომადგენლები არიან მათი შრომები ფართო ისტორიულ ჰორიზონტს გადაგვიშლის.

ამავე დროს ეს ნაწარმოებნი კლასიკური ქართული პროზის უშესანიშნავესი ძეგლებია.



ჩვენ ამით ვამთავრებთ ქართული ლიტერატურის ამ ზოგად შიშობილვას. ასეთი იყო ქართული ლიტერატურის განვითარების გზები საუკუნეთა მანძილზე.

რუსთაველის პოემის წარმოშობა შემზადებულია საქართველოს მრავალსაუკუნოვანი კულტურით.

პარი მისამე

ცხოვრება შოთა რუსთაველისა

I

რუსთაველის საკითხი

არის ერთგვარი მსგავსება საშუალო საუკუნეთა უდიდესი პოეტური გენიოსის შოთა რუსთაველის ბედსა და ახალი ეპოქის უდიდესი გენიოსის შექსპირის ბედს შორის.

შექსპირი თითქმის ჩვენი თანამედროვეა, მაგრამ მისი ვინაობის საკითხი მაინც სადავოდ არის ქცეული და დღემდე გრძელდება კამათი იმის შესახებ, თუ ვინ იყო უკვდავი შემოქმედი პამლეტისა — მსახიობი სტრატფორდიდან. რეტლენდი, ბეკონი, თუ კიდევ სხვა ვინმე. მკვლევართა შორის პეტი თანხმობაა, მაგალითად, უძველესი ხანის მეორეხარისხოვანი ინგლისელი მწერლების შესახებ, ვიდრე დიდ ბრიტანელზე, მსოფლიო მწერლობის უდიდეს გენიოსზე შექსპირზე, რომლის ცხოვრება თითქმის ჩვენს დროს, უახლოეს საუკუნეებს, ბეჭდვითი ჩიტყვის ხანას ეკუთვნის.

ანალოგიური იყო რუსთაველის ბედი.

შოთა რუსთაველი თუმცა აღრინდელი მწერალია შექსპირთან შედარებით, მაგრამ რუსთაველის ცხოვრება ეკუთვნის საქართველოს ძველი ისტორიის ყველაზე ბრწყინვალესა და, ამასთან, ყველაზე ცნობილ ხანას, XII — XIII საუკუნეებს, ეპოქას, რომელიც საქართველოს ძველ ისტორიაში „ოქროს ხანის“ სახელწოდებით არის ცნობილი. მართალია, XII — XIII საუკუნეთა შემდეგ საქართველომ რამდენჯერმე განიცადა პოლიტიკური კატასტროფა და ამის გამო ძველი საქართველოს კულტურული და სალიტერატურო მემკვიდრეობა ნაწილობრივ ფრაგმენტული სახით არის მოღწეული, მაგრამ მაინც ამ ეპოქაზე, XII — XIII საუკუნეთა საქართველოზე, შედარებით პეტი ვიცით. მთელი რიგი ჩვენს დრომდე გადარჩენილი ისტორიულ-ლიტერატურული ძეგლები გვაძლევს საშუალებას ახლო გავითვალისწინოთ XII — XIII საუკუნეთა საქართველოს ისტორიული გარემო, აღვადგინოთ ეპოქის სურათი.

მაგრამ უდიდესი ადამიანი ეპოქისა — შოთა რუსთაველი — დიდხანს ჩრდილში იყო დარჩენილი. ცნობები მის შესახებ ცოტა შენახულა, ანუ, უფრო სწორად, ცნობები თუმცაღა მოიპოვება, მაგრამ ეს ცნობები არ იყო სათანადოდ ამოცნობილი.

ისევე როგორც დასავლეთის ლიტერატურაში არსებობს „შექსპირის საკითხი“, ქართულ ლიტერატურაში არსებობდა „რუსთაველის საკითხი“, ვეფხის-ტყაოსნის ავტორის ვინაობა, და მასთან დაკავშირებით ზოგიერთი სხვა საკითხიც პოემის შესახებ საკამათოდ იყო ქვეყლი.

•

რუსთაველის საკითხი ამჟამად გადაჭრილია. მეცნიერული მუშაობის შედეგად, რომელიც ჩატარებული იყო რუსთველოლოგიაში უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე, დადგენილია ვინაობა დიდი ქართველი პოეტისა.

რუსთაველი აღმოჩენილ იქნა მას შემდეგ, რაც ამომიფრულ იქნა ცნობები, რომლებიც დატულია ერთ ძველ-ქართულ საისტორიო ძეგლში („ეამთააღმწერელობა“), რამაც მოგვცა დასაყრდენი შოთა რუსთაველის პიროვნების ამოსაცნობად.

ცნობები ამ ძირითადი საისტორიო წყაროსი — „ეამთააღმწერელობისა“ (რომელიც XIV საუკუნის პირველ ნახევარს ეკუთვნის), და ამის გვერდით ის ჩვენებანი, რომლებსაც იძლევა ვეფხის-ტყაოსნის პროლოგი და თვით პოემის ტექსტის რეალიები, აგრეთვე მთელი რიგი ფრაგმენტული ცნობები, რომლებიც შერჩენილა სხვადასხვა ძველ-ქართულ ძეგლებში, — ყველა ამ წყაროთა ჩვენებანი ერთანმებთან და ავსებენ ერთიმეორეს; ანალიზი ამ წყაროებისა იძლევა საშუალებას ამოვიცნოთ პოეტის ვინაობა, ალვადგინოთ მთავარ ხაზებში პოეტის ბიოგრაფია და გადავწყვიტოთ თვით შოთას პოემის ვეფხის-ტყაოსნის შესახებ ძირითადი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები.

დასახელებული წყაროების მიხედვით დადასტურდა, რომ შოთა რუსთაველი არის ცნობილი ისტორიული მოღვაწე XII — XIII საუკუნეთა — შოთა ჰერეთის ბაგრატიონი, ერისთავთ-ერისთავი საქართველოს აღმოსავლეთ მხარეთა — ჰერეთისა და რუსთავისა. ირკვევა ამასთან, რომ შოთა, ვიდრე გაზღებოდა ერისთავთ-ერისთავი ამ გაერთიანებულ მხარეთა, ჯერ იყო მფლობელი რუსთავისა, საიდანაც მას მიუღია სახელწოდება რუსთაველი.

შოთა ჰერეთის ბაგრატიონი, შოთა რუსთაველი, საისტორიო წყაროების ჩვენების თანახმად, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე ყოფილა, დიდად დამსახურებული სამშობლო ქვეყნის წინაშე. XIII საუკუნის 30-იან — 40-იან წლებში, საქართველოს ძნელბედობის ხანაში, როდესაც საქართველო მონგოლთა შემოსევის დროს დიდი განსაცდელის წინაშე დადგა, შოთა, სხვა ქართველ პატრიოტებთან ერთად, ღირსეულად ხელმძღვანელობდა ქვეყნის საქმეებს.

შოთა უდიდადესი პოეტი, ხოლო ამავე დროს იგი იყო მამა ერისა, ქვეყნისათვის თავდადებული.

შოთა რუსთაველის საგვარეულო ისტორიიდან

თავდაპირველად შეეჩერდებით შოთას საგვარეულო ისტორიაზე. ეს ანტირესეს წარმოადგენს კერძოდ იმ მხრივაც, რომ შოთას პოემაში, როგორც შემდეგ გამოიკვევა, ჩვენ გვაქვს რემინისცენციები პოეტის საგვარეულო ისტორიიდან. ხოლო ამით ახალი სინათლე ეფინება თვით შოთას პოემას, პოემის ზოგ ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხს.

ბაგრატიონთა გვარეულობა, რომელსაც ეკუთვნოდა შოთა, არის საქართველოს ძველი სამეფო გვარეულობა. ბაგრატიონთა დინასტია იღგა საქართველოს სახელმწიფოს სათავეში ათასეულ წელზე მეტი, VI საუკუნიდან მოკიდებული ვიდრე 1801 წლამდე.

ბაგრატიონთა გვარი შთამომავლობით იყო საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით მხარიდან — მ ე ს ხ ე თ ი დ ა ნ .

ბაგრატიონთა გვარი საშუალო საუკუნეებში რამდენიმე შტოდ განიყოფებოდა.

მთავარი შტო იყო ქართლ-მესხეთის ბაგრატიონები, რომელთაგან მომდინარეობდა სრულიად საქართველოს სახელმწიფოს დინასტია — მეფეთა-მეფენი სრულიად საქართველოსი XI — XIII საუკუნეთა.

ერთ-ერთი გვერდის შტო ბაგრატიონთა გვარისა იყვნენ ჰერეთის ბაგრატიონები. ეს შტო ბაგრატიონთა გვარისა გადმოსახლდა მესხეთიდან საქართველოს აღმოსავლეთ მხარეში — ჰერეთში VIII საუკუნეში. VIII საუკუნის დასასრულს ისინი ზღებიან მეთაური ჰერეთის ფეოდალური სამეფოსი (რომელიც მოიცავდა კახეთის სამხრეთ ნაწილს, რუსთავის მხრიდან ვიდრე ალაზნის აუზის აღმოსავლეთ მიჯნებამდე).


ჰერეთის ამ ფეოდალურმა სამეფომ (სხვადასხვა საზღვრებში) იარსება XII საუკუნის დასაწყისამდე, 1117 წლამდე.

1117 წელს სრულიად საქართველოს მეფეთ-მეფემ დავით აღმაშენებელმა შემოიერთა ეს უკანასკნელი დამოუკიდებელი ფეოდალური სამეფო ჰერეთის მხარისა. მემბტიანის ცნობით, ჰერეთის სამეფოს მეთაური ამ დროს იყო ასათ I გრიგოლის ძე. ასათის თანამმართველი ყოფილა მისი ძმა შოთა (აღნიშნავთ, რომ სახელს შოთა ატარებდა არა მარტო პოეტი შოთა რუსთაველი, რომელიც უფრო გვიან ცხოვრობდა, არამედ გვარეულობის სხვა წევრებიც. სახელი შოთა საგვარეულო სახელია ჰერეთ-რუსთავის ბაგრატიონთა, ფართოდ გავრცელებული ამ გვარში).

ჰერეთის სამეფოს შემოერთებას არ მოჰყოლია რაიმე პოლიტიკური სახის გართულება. ჰერეთის მეფე-ყოფილი ასათ I პატივით არის მიღებული დავით აღმაშენებელის კარზე (იგი მოისხენება როგორც მონაწილე დავით აღმაშენებლის მიერ გამართული დიდი ისტორიული დარბაზობისა, რომელსაც დაესწრნენ როგორც საქართველოს, ისე საქართველოს სახელმწიფო-თან დაკავშირებული კავკასიის მხარეთა მფლობელები, და რომელიც „ნაქარმაგვის“ დარბაზობის სახელით არის ცნობილი).

ჰერეთის სამეფოს შემოერთებას სრულიად საქართველოს სახელმწიფოსთან არ მოჰყოლია აგრეთვე რაიმე ძირითადი ცვლილება მხარის ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ წყობილებაში. ჰერეთის ბაგრატიონები თუმცა ჰქარგავენ ამის შემდეგ სუვერენი მფლობელის უფლებებს, მაგრამ ჰერეთის ბაგრატიონებისათვის დაუტოვებით საგამგეოდ მათივე ძველი სამფლობელო. ჰერეთის ბაგრატიონთათვის მიუციათ თანამდებობა მხარის „ერისთავისა“ („ერისთავთ-ერისთავისა“) და ეს თანამდებობა რჩება ამ გვარში და მემკვიდრეობით გადადის გვარის უფროსზე XII და XIII საუკუნეთა განმავლობაში.

საისტორიო წყაროები ჩვენ გვაძლევს საშუალებას აღვადგინოთ გენეალოგიური შტო ჰერეთის ბაგრატიონთა, დაწყებული უკანასკნელი შეწყობიდან ვიდრე შოთა რუსთაველამდე.



ჩვენ აქ არ შევჩერდებით დაწვრილებით ჰერეთის ბაგრატიონთა გვარეულობის ისტორიაზე XII საუკუნის მანძილზე. ამ საუკუნეში იყო პერიოდები გვარის დიდი ამაღლებისა, ასევე ჩამომცრობისა.

ასე, დიდი აღზევაა გვარისა იწყება 1163 წლიდან, როდესაც ჰერეთის ერისთავმა გრიგოლ II განსაკუთრებული სამსახური გაუწია სახელმწიფოს დიდ ომებში მუსულმანთა კოალიციის წინააღმდეგ.

უფრო გვიან, 1177/8 წლებში, იგივე გრიგოლ II მონაწილეობას იღებს ამბოხებაში ცენტრალური ზელისუფლების წინააღმდეგ, რასაც შედეგად მოჰყვა გვარის ძველი გავლენის შესუსტება.

მაგრამ თამარის გამეფების პირველი წლებიდანვე (თამარი გამეფდა 1184 წელს) ჰერეთის ბაგრატიონთა გვარი ისევ ამაღლდა და კვლავ დაიჭირა ერთი პირველ ადგილთაგანი სახელმწიფოში. ჰერეთის ერისთავობა ამ დროს უპყრია შოთას პაპას, უკვე მოხუცებულს, ასათ II გრიგოლის ძეს.

ასათ II, როგორც ირკვევა, განსაკუთრებული გავლენით სარგებლობდა სამეფო კარზე და ახლო მონაწილეობას იღებდა სახელმწიფო საქმეებში. მისი დიდი გავლენის მაჩვენებელია თუნდ ისიც, რომ თვით ომის საკითხები მისი წვევით წყდებოდა (როგორც ეს აღნიშნულია ქართულ მატრიანებში 1187 წლისათვის).

1192/3 წ. ასათ II მოუმატეს ახალი სამფლობელო რუსთავის მხარე და დაადგინეს სამეფო კარის ვაზირად („მეკუტრულეთ-უხუცესად“).

ასათ II, იმის შემდეგ, რაც მან ვაზირის თანამდებობა მიიღო, თავის მმართველობაში დაუტოვებია რუსთავის მხარე, ხოლო საკუთრივ ჰერეთის ერისთავობა გადაუცია თავისი შვილის გრიგოლ III-ისათვის, თამარის მეფობის პირველ ნახევარში.

გრიგოლ III-ის, შოთას მამის, სახელმწიფო მოღვაწეობა მძლიანად თამარის ეპოქას ეკუთვნის.

გრიგოლ III აგრეთვე დაახლოებული პირია სამეფო კარისა. ასე, 1195 წელს გრიგოლი მოხსენებულია თამარის კარის წარჩინებულთა და „შინაურთა“ შორის; ჩვენ მას ვხვდებით საზეიმო დარბაზობაზე, რომელიც განართა თამარმა ირანის დიდი ათაბაგისა და შირვან-შაჰის მიღების დროს. როგორც ჩანს თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობებიდან, გრიგოლი სახელგანთქმულ რაინდად ითვლებოდა.

გრიგოლს, რომელიც მამის სიცოცხლეშივე ჰერეთის ერისთავად იყო დადგენილი 1192/3 წელს, მამის გარდაცვალების შემდეგ (1196 წლის ახლო) მიუღია კარის ვაზირის („მეკუტრულეთ-უხუცესის“) თანამდებობა.

გრიგოლი გარდაცვილია თამარის მეფობის მეორე ნახევარში (ზოგიერთი სინქრონიზმებით 1204 წლის ახლო ხანებში).

ასეთია საგვარეულო ისტორია ჩვენი პოეტისა.

III

ისტორიის ანარქალი ვეფხის-ტყაოსანში

შოთა რუსთაველის საგვარეულო ისტორია, რომელსაც აქ გავეცანით, წარმოდგენს ინტერესს კერძოდ იმ მხრივაც, რომ მისი მიხედვით შუქი ეფინება შოთა რუსთაველის უკუდავი პოემის ვეფხის-ტყაოსანის ტექსტსაც, პოემის ზოგიერთ ისტორიულ-ლიტერატურულ პრობლემას. ჩვენ გვეძლევა საშუალება ამოვიცნოთ ვეფხის-ტყაოსანის ისტორიული ქარგა, ამოვშიფროთ პოემაში წარმოდგენილი ისტორიული რემინისცენციები.

კერძოდ, პოემაში მოთხრობილი ისტორია ინდოეთის სამეფო გვარეულობის ორი შტოსი, რომელთაგან უფროსი შტოს წარმომადგენელი არის მეფეთ-მეფე ინდოეთისა, ხოლო იმავე სამეფო გვარეულობის მეორე, უმცროსი შტოს წარმომადგენელი არის მეფე ინდოეთის ერთი ნაწილისა, „მეშიდე“ სამეფოსი, — იდენტურია საქართველოს სამეფო გვარეულობის ორი შტოს ისტორიასთან. აქ ჩვენ გვაქვს არა ზოგადი შეხვედრა ცალკეულ ზაზებში, არამედ სრული დამთხვევა.

ასე, შეადარეთ:

1. „ინდოეთს შვიდთა მეფეთა ყოვლი კაცი ზართ მცნობელი“ — მოგვითხრობს შოთა (იხ. ვეფხის-ტყაოსანი, სტროფი 267). საქართველოს სახელმწიფოს XII — XIII საუკუნეთა საისტორიო წყაროებში ეწოდება „შვიდ სამეფოდ განწესებული“ (ისტორიულად XII — XIII საუკუნეთა საქართველოს დიდი სახელმწიფო, რომელიც აერთიანებდა ქვეყნებს „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“, შვიდი ძველი სამეფოს გაერთიანებას წარმოადგენდა).

2. ინდოეთის შემადგენელი „შვიდი სამეფოდან“ ექვსი სამეფოს მფლობელი არის ფარსადანი, ხოლო მეშვიდე სამეფოს ფლობს სარიდანი, მამა ტარიელისა; ორივენი, როგორც მეფეთ-მეფე ინდოეთისა („ექვსი სამეფოს“ მფლობელი), ისე მეფე „მეშვიდე სამეფოსი“, ერთსადიმავე გვარეულობას ეკუთვნიან („თვით ჩემივე გვარი არსა“ — ამბობს სარიდანის მემკვიდრის ტარიელის შესახებ მეფეთ-მეფე ინდოეთისა ფარსადანი; იხ. ვეფხის-ტყაოსანი; სტროფი 274). — ასეთივე სურათი გვაქვს საქართველოში XII საუკუნისათვის: „შვიდ სამეფოდ განწესებული“ საქართველო XII საუკუნის დასაწყისში გაერთიანებულია ერთ სახელმწიფოდ სრულიად საქართველოს მეფეთ-მეფის მფლობელობის ქვეშ; ხოლო ერთი ნაწილი საქართველოსი, უკანასკნელი დამოუკიდებელი ქართული სამეფო ჰერეთის მხარისა („მეშვიდე სამეფო“), — არაა გაერთიანებული სრულიად საქართველოს სახელმწიფოსთან. როგორც საქართველოს სახელმწიფოში, ისე მის ცალკე ნაწილში („მეშვიდე სამეფოში“) მეფობს ერთიადიმავე ბაგრატიონთა გვარეულობის ორი შტო.

3. შემდგომი საბოლოო გაერთიანება ინდოეთის ნაწილისა („მეშვიდე სამეფოსი“) სრულიად ინდოეთის სახელმწიფოსთან ხდება ნებაყოფლობით. სარიდანი, მეფე ინდოეთის „მეშვიდე სამეფოსი“, აღიარებს სრულიად ინდოეთის მეფეთ-მეფის სიუზერენიტეტს; ასე შთავრდება, მშვიდობიანი გზით, გაერთიანება ინდოეთის ქვეყნებისა. — ასეთივე სურათი გვაქვს XII საუკუნის საქართველოში. XII საუკუნის ათიან წლებში (1117 წელს) სრულიად საქართველოს სახელმწიფოს უერთდება უკანასკნელი დამოუკიდებელი ქართული სამეფო ჰერეთის მხარისა („მეშვიდე სამეფო“), რომლის უკანასკნელი მეფე იყო ასათ I გრიგოლის ძე ჰერეთის ბაგრატიონი (მისი თანამმართველია ძმა, რომელიც შოთას სახელს ატარებს, — შოთა I გრიგოლის ძე).

4. მას შემდეგ, რაც ინდოეთის „მეშვიდე სამეფოს“ მფლობელმა აღიარა სრულიად ინდოეთის მეფეთ-მეფის სიუზერენიტეტი, იგი ისევ რჩება მთავარ ხელისუფლად თავის ქვეყანაში. თუმცა სარიდანი აღარ არის ამის შემდეგ „კეისარი“ (სუვერენი ხელმწიფე), სხვა მხრივ იგი არის „პატრონი“ თავის ქვეყნისა, მხარის უზენაესი გამრიგე ხელისუფალის — ერისთავთ-ერისთავის უფლებებით: „სხვად პატრონია, მართ ოდენ არა აქვს კეისარობა“ (იხ. ვეფხის-ტყაოსანი, სტროფი 272). — საკვებით ანალოგიურია ჰერეთის ბაგრატიონთა მდგომარეობა ჰერეთის სამეფოს შემოერთების შემდეგ. ჰერეთის ბაგრატიონნი ისევ რჩებიან მთავარ ხელისუფლად ჰერეთის ქვეყანაში; და თუმცა ისინი აღარ არიან ამის შემდეგ „კეისარი“ (სუვერენი ხელმწიფე), სხვა მხრივ ისინი არიან „პატრონი“ თავის ქვეყნისა, მხარის უზენაესი გამრიგე ხელისუფალის — ერისთავთ-ერისთავის უფლებებით.

5. ამას ერთვის აგრეთვე შემდეგი გარემოებაც: გარდა იმისა, რომ „მეშვიდე სამეფოს“ ყოფილი მეფე სარიდანი დატოვებულ იქნა მთავარ ხელისუფლად (ერისთავთ-ერისთავად) თავის ქვეყანაში, იგი ამავე დროს არის ვაზირი სრულიად ინდოეთის მეფეთ-მეფის კარზე.

ასევე ჰერეთის ბაგრატიონნი: გარდა იმისა, რომ ისინი არიან მთავარი ხელისუფალნი (ერისთავთ-ერისთავნი) თავის ქვეყანაში, მათ უჭირავთ ვაზირის თანამდებობა საქართველოს მეფეთ-მეფის კარზე.

რომ არ შევჩერდეთ ძველ პერიოდზე, ასეთი მდგომარეობა გვაქვს თამარის ეპოქაში; ასე, როგორც აღვნიშნეთ, მეფის თამარის დროს შოთას პაპა ასათ II, ხოლო შემდეგ მამა შოთასი გრიგოლ III, იყვნენ სამეფო კარის ვაზირნი („მეჭურჭლეთ-უხუცესი“).

უფრო გვიან თვით შოთაც სამეფო კარის ვაზირი ყოფილა („მეჭურჭლეთ-უხუცესი“). მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ ისტორიული რემინისცენციები შოთას პოემაში არ ამოიწურება მხოლოდ იმით, რაც აქ გვქონდა აღნიშნული. შოთას პოემის ისტორიული ქარგის საკითხს ჩვენ ისევ დავუბრუნდებით.

IV

ორი პორტრეტი კომპიხსა

ისტორიამ ჩვენ შემოგვინახა ორი პორტრეტი შოთა რუსთაველისა.

პირველი — ჩართულია ვეფხის-ტყაოსნის ხელნაწერში.

მეორე — ფრესკა, დაცული იერუსალიმის ჯვარის ძველ-ქართულ მონასტერში.

ა

პირველი პორტრეტი შოთასი ჩართული ვეფხის-ტყაოსანში

პირველი პორტრეტი შოთასი თან ახლავს ვეფხის-ტყაოსნის ხელნაწერს. შოთას ეს პორტრეტი ეკუთვნის XV საუკუნეს (უფრო ზუსტად, დროს არა უგვიანეს XV საუკუნისა).

პორტრეტისა და მასთან დაკავშირებული წყაროების შესწავლიდან ირკვევა მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი. ეს პორტრეტი შექმნილია არა XV საუკუნეში, ან მის ახლოს, არამედ ძველს ტრადიციას გადმოგვცემს, მომდინარეობს ვეფხის-ტყაოსნის უძველესი, დასურათებული ხელნაწერებიდან. წყაროების ჩვენებათა მიხედვით ეს სურათი გავრცელებული ყოფილა საშუალო საუკუნეებში, მას კანონიზაცია ჰქონია მიღებული ქართულ ლიტერატურულ წრეებში.

აქ საჭიროა ვიცოდეთ ამასთან, რომ ხელნაწერი წიგნის მხატვრული გამოცემის საქმე განსაკუთრებით მალა იდგა XII — XIII საუკუნეებში, შოთა რუსთაველის ეპოქაში. რომ ვეფხის-ტყაოსნის პირველი ხელნაწერები დასურათებული იყო, ამის შესახებ დაცულია პირდაპირი მითითება პოემის

ინტერპოლაციებში (დამატებებში). ასე, პოემის უძველესი ინტერპოლატორი (რედაქტორი) მითითებას აძლევს მხატვარს, ლექსად, — დახატოს პოემის ერთ-ერთი პასაჟი, — პოემის ორი გმირი, ტარიელი და ავთანდილი, რომელნიც მიემართებიან ქაჯეთის ციხის ასაღებად (სტროფი* 1294):

„აჰა, მხატვარო, დახატენ ძმათ უმტიკესნი ძმობილნი,
იგი მიჯნურნი მნათობთა, სხვისა ვერვისგან სწრობილნი,
ორნივე გმირნი მოყმენი, მამაცობისა ცნობილნი;
რა ქაჯეთს მივლენ, გასინჯოთ თმი ლახვართა სობილნი“.

ვეფხისტყაოსნის ამ უძველეს მხატვრულ გამოცემებში, ცხადია, ჩართული იყო, თანახმად ტრადიციისა, პორტრეტი პოეტისა, რომლის პირი დაცულია ჩვენს დრომდე მოღწეულ ზემოდასახელებულ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერში.

ვეფხისტყაოსანი დაწერილია, როგორც ეს შემდეგ იქნება დადგენილი, 1196 — 1207 წლებს შორის; ეს არის შოთას ცხოვრების შუაღლე, შოთა ამ დროს 30 — 41 წლისაა.

დასახელებულ პორტრეტზე შოთა ამავე ხნისა არის წარმოდგენილი. პორტრეტი წარმოგვიდგენს პოეტს ვეფხისტყაოსნის დაწერის ხანაში.

ბ

მიორე პორტრეტი პოეტისა,
იერუსალიმის ფრესკა

XVIII საუკუნის ქართველმა მოგზაურმა ტიმოთე გაბაშვილმა, რომელმაც 1757 — 1759 წლებში მოიხილა და აღწერა ქართული კულტურის ძველი კერები საბერძნეთსა და პალესტინაში, კერძოდ აღწერა სიძველენი იერუსალიმის ჯვარის ქართული მონასტრისა.

ტიმოთე გაბაშვილი თავის „მიმოსვლაში“ წერს, რომ „ოდეს ჯვარის მონასტერი დაძველებულა“ — „გუმბათს ქვეითნი სვეტნი განუახლებია და დაუხატვინებია შოთა რუსთაველს, მეკუპრკლეთ-უხუცესს. თითონაც შიგ ხატია მოხუცებული“.

აღსანიშნავია, რომ ტიმოთე, კლერიკალურად განწყობილი მწერალი, უარყოფითად ეკიდება შოთას და აღნიშნავს, რომ შოთა იყო „მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართველთა სიწმიდისა წილ ბოროტი ბილწება და განრყვნა ქრისტიანობა“. ტიმოთე გაბაშვილის ამ რეპლიკის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რა მტრულად ყოფილან განწყობილნი შოთას მიმართ კლერიკალური წრეები.

ტიმოთე გაბაშვილის შემდეგ იერუსალიმის სიძველენი და შოთას ფრესკა აღწერეს XIX საუკუნეში ქართველმა მეცნიერებმა ნ. ჩუბინაშვილმა (1845 წ.) და ალ. ცაგარელმა (1883 წელს).

XIX საუკუნის დასასრულს მონასტრის დღევანდელმა მფლობელებმა ბერძენმა ბერებმა, ჯვარის მონასტრის რესტავრაციის დროს, თეთრი ფერით დაფარეს შოთას ფრესკა, არ იცოდნენ რა მისი მნიშვნელობა.

1960 წელს საგანგებო ექსპედიციამ, რომელშიაც შედიოდნენ პოეტი ირაკლი აბაშიძე და ცნობილი ქართველი მეცნიერები აკაკი შანიძე და გიორგი წერეთელი, იმოგზაურა იერუსალიმში. რაკი ცნობილი იყო, თუ რომელ სვეტზე და რა ადგილას იყო გამოსახული შოთას პორტრეტი, მათ სათანადო წამლებით ჩამოაცილეს ზევითა თეთრი ფერი, რის შემდეგაც აღდგა შოთას პორტრეტი. როგორც გამოიჩვენა, შეთეთრების დროს XIX საუკუნის დასასრულს, შოთას პორტრეტი არ დაზიანებულა.

ექსპედიციამ ჩამოიტანა ფერადი ფოტო პორტრეტისა და გამოაქვეყნა იგი, რითაც კარგი სამსახური გაუწია რუსთველოლოგიას.

*

„თუ პირველ პორტრეტზე, რომელიც დართული აქვს ვეფხის-ტყაოსანს, შოთა 30 — 40 წლისად არის წარმოდგენილი, იერუსალიმის ფრესკაზე შოთა წარმოდგენილია ღრმად მოხუცებული.“

აქ საკითხია აღვნიშნოთ, რომ ძველ-ქართული წყაროები თავის მხრივ ადასტურებენ, რომ შოთას ღრმა სიბერემდე მიუღწევია.

XV—XVI საუკუნეთა ერთ პოეტურ ტექსტში — „რუსთაველისა და სერაპიონის გაბაასება“ — შოთა შემდეგი სიტყვებით მიმართავს სერაპიონს:

„რას მიმერჩი ბერი ზერსა...“

„ბერი“, როგორც ეს ჩანს თვით სერაპიონის ბოლოსიტყვაობიდან, აქ ნიშნავს არა სასულიერო პირს, არამედ მოხუცებულს (ყამათში მონაწილე სერაპიონი ერისკაცი იყო, და ამასთან ღრმად მოხუცებული).

აღსანიშნავია, რომ თვით XVII საუკუნემდისაც შენახულა იგივე გადმოცემა, რომ შოთამ ღრმა სიბერემდე მიაღწია. არჩილ მეფის პოემაში — „თეიმურაზისა და რუსთაველის გაბაასება“ — თეიმურაზი შემდეგი სიტყვებით მიმართავს შოთას:

„ბერი ხარ და ლიტრით მოგცემ სიჭაბუკის შენა ფაზარს.“

ამრიგად, წყაროების ამ ცნობას, რომ შოთამ ღრმა სიბერემდე მიაღწია, ადასტურებს იერუსალიმის ფრესკა.

*

რა დროს ეკუთვნის შოთას ფრესკა?

ამ საკითხის გადაჭრაში სინათლე შეიტანა იერუსალიმის ჭვარის სამონასტრო მატეიანეებმა.

1956 წელს (ე. ი. უფრო ადრე, ვიდრე გამოვლენილი იქნებოდა იერუსალიმის ფრესკა) თბილისში მიღებული იყო მიკროფილმი იერუსალიმის ჭვარის სამონასტრო მატეიანეებისა, ეგრეთ წოდებული „აღაპთა წიგნისა“. მატეიანეში შეტანილია მოსახსენებელი შოთასი, რომელიც სახელმწიფო ვაზირის „მეჭურჩულეთ-უხუცესის“ ტიტულით მოიხსენება.

მატიანისა და მასთან დაკავშირებული სხვა წყაროების ყოველმხრივი შესწავლის შედეგად გამოირკვეა, რომ შოთას ეს მოსახსენებელი ჩაწერილია მატიანეში XIII საუკუნის 40-იან წლებში, 1245 — 1250 წლებს შორის. ისიც ირკვევა, თუ ვის მიერ არის ჩაწერილი მატიანეში: ჩაუწერია იგი საქართველოდან ჩამოსულს ანტონ ალავერდელ ეპისკოპოსს (მისი სხვა ჩანაწერებიც შენახულა იერუსალიმის ჭვარის მონასტრის ხელნაწერებში).

მოსახსენებელი შოთასი, ჩაწერილი მატიანეში, და შოთას ფრესკა ერთდროულია. ამრიგად, ეს წლები, 1245 — 1250, არის თარიღი შოთას ფრესკისა.

საჭიროა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ შოთას ფრესკა გვაძლევს საშუალებას შევამოწმოთ შოთას დაბადების თარიღი.

შოთა, როგორც ირკვევა ისტორიულ წყაროთა რამდენიმე სინქრონიზმის მიხედვით, დაბადებულა 1166 (1165/6) წლის ახლოს. ამრიგად, იმ დროს, რადროსაც ეკუთვნის იერუსალიმის ფრესკა, ე. ი. 1245 — 1250 წლებს შორის, შოთა მოხუცი ყოფილა, 80 წლამდე მიღწეული. ხოლო იერუსალიმის ფრესკაზე შოთა ასევე ღრმა მოხუცად არის წარმოდგენილი.

▼

შოთა რუსთაველის იერუსალიმური ფრესკა, როგორც ისტორიის დოკუმენტი

შოთა რუსთაველის იერუსალიმის ფრესკა არის არა მხოლოდ ხელოვნების ძეგლი, რომელიც წარმოგვიდგენს შოთას პორტრეტს, არამედ იძლევა შესაძლებლობას ერთზეულ კიდევ შევამოწმოთ ისტორიული ცნობები შოთა რუსთაველის შესახებ.

ამ ფრესკიდან ირკვევა ორი რამ:

1. შოთა ამ ფრესკაზე წარმოდგენილია როგორც საქართველოს სახელმწიფოს ვაზირი;

2. ამავე დროს შოთა ფრესკაზე წარმოდგენილია პორფირის სამოსელში, რაც ადასტურებს, რომ შოთა რუსთაველი სამეფო გვარეულობას ეკუთვნის. ჩვენ უკვე განმარტებული გვქონდა, რომ ჰერეთისა და რუსთავის გაერთიანებული საერისთავო, რომლის სათავეში იდგა შოთა, ეს იყო ყოფილი სამეფო ჰერეთისა („მეშვიდე სამეფო“); ამის გამო ერისთავი ამ მხარისა არის „მეფეთა აღდილსა მჭდომი“, ამასთან იგი არის პირდაპირი შთამომავალი, მემკვიდრე ჰერეთის მეფეთა, ამიტომაც იგი ატარებს პორფირის სამეფო სამოსელს („სხვადაპატრონია, მართ ოდენ არა აქვს კეისარობა“).

გავცნოთ ამის შემდეგ იერუსალიმის ფრესკას. ჩვენ აქ დეტალურად განვიხილავთ ამ ფრესკას, რადგან მისი მიხედვით დასტურდება მეტად მნიშვნელოვანი ფაქტები შოთას ბიოგრაფიისა.

თავდაპირველად შევჩერდებით შოთას ჩაცმულობის იმ დეტალებზე, საიდანაც ირკვევა, რომ შოთა რუსთაველი გამოსახულია ფრესკაზე როგორც ვაზირი.

თამარის ეპოქის საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, რომ ვაზირთათვის განუკუთვნილი იყო განსაკუთრებული სამოსელი — მოსასხამი, რომელსაც „სკარამანგი“ ეწოდება.

თამარის პირველ ისტორიაში მოთხრობილია, რომ, როდესაც თამარის მეფობის დასაწყისში „თანადგომითა და ერთნებაობითა შვიდთავე სამეფოთა დიდებულთათა“ დაამტკიცეს ვაზირნი, ისტორიკოსის სიტყვით, ვაზირთა — „შთააცვეს ტანსა მათსა სკარამანგი, და დასვეს სელებითა ოქროქედილითა, რომელნიმე მარჯვენით მისსა (თამარისა), რომელნიმე მარცხენით“.

ამას გარდა, ვაზირთათვის განუკუთვნილი იყო თავისებური თავსარქმელი, თეთრი ფერის მრგვალი ქული.

იერუსალიმურ ფრესკაზე შოთას ზევიდან აცვია სავაზირო მოსასხამი, რომელსაც სკარამანგი ერქვა. სკარამანგი შოთასი პორფირის (ძოწეულის) ქსოვილისაა. სკარამანგს საყელოზე დადებული აქვს ყარყუმის (სიასამურის) ფართო ბეწვეული. ამას გარდა, სკარამანგს ქვემო მხრიდან მთლიანად ყარყუმის ბეწვეული აქვს დადებული (ეს ჩანს სკარამანგის გადაწეული მარცხენა პირიდან).

სკარამანგს ქვევით შოთას აცვია ძველ-ქართული კაბა მწვანე ფერისა. შოთას წელთ არტყია სარტყელი იმავე პორფირის (ძოწეულის) ქსოვილისა, რომლისგანაც არის სკარამანგი; ქსოვილის სარტყელი შეკრულია ბალთით.

შოთას ახურავს თავისებური თავსარქმელი, თეთრი ფერის მრგვალი ქული.

აქ საჭიროა შევადაროთ შოთას ჩაცმულობა ამავე ეპოქის სხვა მასალებს. შოთას ეპოქიდან (XII საუკუნე — XIII საუკუნის პირველი ნახევარი) ჩვენ ღრომდე მოღწეულია ფრესკა ვაზირის სუმბატ ორბელიანისა (იგი იყო ვაზირი მანდატურთ-უხუცესი); ფრესკა ვაზირის სუმბატ ორბელიანისა, დახატული მის სიციოცხლეში, XII საუკუნის მესამე მეოთხედში, შენახულა ბეთანიაში.

ჩაცმულობა ამ ორი ვაზირისა, შოთასი და სუმბატ ორბელიანისა, ერთგვარია; ორივეს ზევიდან აცვია მოსასხამი სკარამანგი; სკარამანგს ქვევით — ძველ-ქართული კაბა; კაბაზე — ქსოვილის სარტყელი, ბალთით შეკრული. ორივეს თავზე ახურავს თავისებური ქული, თეთრი ფერის მრგვალი თავსაბურავი.

აქ საჭიროა ზაზი გავუსვათ შემდეგსაც.

რომ თეთრი მრგვალი ქული შოთას ფრესკისა სპეციფიკური ვაზირთა თავსაბურავი იყო, ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა შემდეგის მიხედვით. აღნიშნული სახის ქულით წარმოდგენილი არიან ფრესკებზე არა მხოლოდ სამოქალაქო ვაზირნი, მანდატურთ-უხუცესი ორბელიანი და მეჭურჭლეთ-უხუცესი რუსთაველი, არამედ აგრეთვე სასულიერო პირი, ვაზირი მწიგნობართ-უხუცესი; ყინწისის ფრესკაზე მწიგნობართ-უხუცესი ანტონი, მიუხედავად იმისა, რომ იგი მთავარეპისკოპოსი იყო, გამოსახულია არა მღვდელმთავრის

მიტრით, არამედ სავაზირო თეთრი, მრგვალი თავსაბურავით, რადგან ანტონი არა მარტო ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი იყო, არამედ ამავე დროს იგი იყო სავაზიროს მეთაური, პირველი ვაზირი.

ბ

შოთა რუსთაველი, ბაზრაბიონი,
პირველი და რუსთაველი მთავარი

შოთას ჩაცმულობაში ჩვენ გვაქვს სპეციფიკური ელემენტები მეფეთა სამოსელისა, რაც მხოლოდ სამეფო პრეროგატივას წარმოადგენდა.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ჩაცმულობა ორი ვაზირისა, შოთასი და სუმბატ ორბელიანისა, ერთმანეთის მსგავსია. მაგრამ მათ შორის ამავე დროს არსებითი სხვაობაა. საქმე ის არის, რომ სუმბატ ორბელიანის სამოსელი უფრო სადაა, ხოლო შოთას სამოსელში არის ისეთი ნიშნობლივი ელემენტები, რაც მას, სრულიად გარკვევით, აახლოებს არა სავაზირო სამოსელთან, არამედ სამეფო სამოსელთან.

1. სუმბატ ორბელიანის მოსახსამი — სკარამანგი შავი ფერისაა; შოთას სკარამანგი კი პო რ ფ ი რ ი ს ა ა (ძოწუელისა), ხოლო პორფირის სამოსელის ტარება სამეფო პრეროგატივა იყო, როგორც საქართველოში, ისე ბიზანტიაში (შეადარეთ ვეფხის-ტყაოსანში აღწერა მეფის თინათინის გამოსვლისა: „სკიპტროსან-გვირგვინოსანსა შეენოდა ცმა პო რ ფ ი რ ი ს ა“).

2. შოთას სამოსელი სკარამანგი არა მხოლოდ პორფირისაა, როგორც სამეფო სამოსელი, არამედ იგი, სამეფო სამოსელის მსგავსად, მორთულია ყარყუმის (სიასამურის) ბეწვეულით.

რას წარმოადგენდა სამეფო საზეიმო სამოსელი, რომელსაც „პორფირი“ ერქვა? იგი იყო გრძელი მანტია პორფირის (ძოწუელის) ქსოვილისა. სამეფო პორფირს ქვემო მხრიდან დადებული ჰქონდა ყარყუმის ბეწვეული.

ასეთივეა შოთას მოსახსამი სკარამანგი. მასაც ქვემო მხრიდან მთლიანად ყარყუმის ბეწვეული აქვს დადებული, ასევე ყარყუმის ფართო ბეწვეული დადებული აქვს შოთას სამოსელს საყელოზედაც (აღვნიშნავთ ამასთან, რომ ვაზირის ორბელიანის სამოსელს ყარყუმის ბეწვეული არა აქვს, რადგან ყარყუმის ბეწვეულით მორთვა ამ დროს მიღებული იყო სამეფო საზეიმო სამოსლისა).

ვეფხის-ტყაოსანში სამეფო სამოსლად მოიხსენება როგორც პორფირი, ისე ყარყუმი. თინათინს შინაურობაში (არა სამეფო გამოსვლის დროს) აცვია „ყარყუმნი უსაპრონი“ (იხ. სტროფი 91); ხოლო „საპირიანი ყარყუმი“ ეს არის თვით მანტია პორფირისა (რომლის საპირე მხარეა პორფირის ქსოვილი, ხოლო ქვედა მხარე — ყარყუმი).

3. აღსანიშნავია ამას გარდა შემდეგი: ვაზირს ორბელიანს აცვია სკარამანგი (მოსახსამი) შავი ფერისა; ხოლო ქვედა სამოსელზე, რომელიც მწვანე ფერისაა, არტყია სარტყელი ისევე შავი ფერისა (იმავე ქსოვილისა, რომლისაგან არის სკარამანგი).

შოთას აცვია სკარამანგი პორფირისა; ხოლო ქვედა სამოსელზე, კაბაზე, რომელიც მწვანე ფერისაა, არტყია სარტყელი პორფირისა, ე. ი. იმავე ქსოვილისა, რომლისაგან არის სკარამანგი.

უნდა ვიცოდეთ, რომ სარტყელი პორფირის ქსოვილისა აგრეთვე სამეფო სამოსლის კუთვნილება იყო, როგორც საქართველოში, ისე ბიზანტიაში. ასე, XI საუკუნის იოანე ოქროპირის კრებულის ცნობილ მინიატურაზე მეფეს ნიკიფორე ბოტანიატს სამეფო სამოსელზე — ბისონზე — არტყია სარტყელი ძოწეულის ქსოვილისა.

4. ს ე გ მ ე ნ ტ ე ბ ი. შოთას პორფირის სამოსელზე ჩვენ გვაქვს ეგრეთ-წოდებული სეგმენტები (segmentae, στυμντα), რაც აგრეთვე დამახასიათებელი ნიშნეულობაა მეფეთა სამოსელისა; სეგმენტებს შოთას სამოსელზე ქმნის შეხამება ამგვარი იერის ძოწეულის ფერისა.

მეფეთა სამოსელზე პორფირის ანუ ძოწეულის ფერი ორგვარი იერისა იყო: მკვეთრი (მოჭირებული) ძოწეულისა და ღია (იისებრი) ძოწეულისა. შოთას სამოსელის ძირითადი ფონი მკვეთრი ძოწეულის ფერისა არის; ხოლო მკვეთრი ძოწეულის ეს არე დასერილია ღია (იისებრი) ძოწეულის ირიბად გავლებული ზოლებით, რომელნიც ერთმანეთს გადაჰკვეთენ, როგორც ბალის მკედები. ეს ქმნის სამოსელზე გეომეტრიული სახის ორნამენტს, — მკვეთრი ძოწეულის ფერის რომბების ბადეს. ამასთან, ყოველი მკვეთრი ძოწეულის რომბის შუაგულში ჩასმულია ნიშანი თეთრი ფერისა. სამეფო სამოსელის ამგვარ ორნამენტს სეგმენტები ეწოდებოდა.

ასეთივე სახის სეგმენტებით, მკვეთრი ძოწეულის ფერი რომბების ბადით, დაფარულია თამარ მეფის პორფირის სამოსელი ვარძიის ფრესკაზე: ამასთან აქაც, ყოველი მკვეთრი ძოწეულის ფერის რომბის შიგნით იისფერი ძოწეულის გულია, შუაში თეთრი ნიშნით.

ასეთი სეგმენტები რომბის სახეობისა ჩვენ გვაქვს მეფეთა სამოსელზე როგორც საქართველოში (ვარძიის, ატენის, უღაბნოს ფრესკები), ისე ბიზანტიის მეფეთა სამოსელზე.

რომბების შუაგულში ჩასმული თეთრი ნიშანი ხან გეომეტრიული სახისაა (ოთხკუთხი, წრე, ოთხი შვერილით), ხან ოთხფურცელა ყვავილისა. კერძოდ, ოთხფურცელა ყვავილი ჩვენ გვაქვს თამარის სამოსელზე, პოდირის სამაჯურებზე ბეთანიის ფრესკაში, აგრეთვე მეფეთა ატენის ფრესკებზე. ასეთივე ოთხფურცელა ყვავილია გამოსახული ბიზანტიის მეფეთა სამოსელზედაც (მინიატურა ნიკიფორე ბოტანიატისა). ამის გადმონაშთი შერჩენილი იყო აგრეთვე, საშუალო საუკუნეებიდან მოკიდებული, დასავლეთ ევროპის სამეფო სამოსელზედაც (ასე, შროშანის თეთრი ყვავილები საფრანგეთის მეფეთა სამოსელისა).

*

ასეთია დასკვნები, რაც გამომდინარეობს შოთას ფრესკის განხილვიდან. აქ საჭიროა აგრეთვე შემდეგი აღვნიშნოთ.

ისევე როგორც სამეფო ნიშნებს ატარებდნენ მხოლოდ მეფენი (და არა სამეფო სახლის დანარჩენი წევრები), ასევე ჰერეთის ბაგრატიონთა გვარეულობაში განსაკუთრებული პატივის ნიშანს, პორფირის სამოსელს, ცხადია, ატარებდნენ არა გვარეულობის წევრნი საერთოდ, არამედ მხოლოდ მეთაურნი

სახლისა, ჰერეთის ერისთავნი, რომელნიც ფაქტიურად იყვნენ მმართველნი ქვეყნისა, „მეფეთა ადგილსა მჯდომნი“.

ამრიგად, ჩვენ წინაშე სრულიად ნათელი სურათია. იერუსალიმის ფრესკაზე შოთა გამოსახულია:

ა) როგორც ერისთავი, მთავარი ჰერეთისა (ჰერეთისა და რუსთავის გაერთიანებული საერისთავოსი), „მეფეთა ადგილსა მჯდომი“, პორფიროსანი, ბაგრატიონთა გვარეულობისა, შთამომავალი და მემკვიდრე ჰერეთის ქვეყნის მეფეთა;

ბ) ამავე დროს შოთა ფრესკაზე გამოსახულია როგორც საქართველოს სახელმწიფოს ვაზირი, მეჭურჭლეთ-უხუცესი.

—

გადავდივართ პოეტის ცხოვრების მიმოხილვაზე.

VI

შოთას ოჯახური ბაგრატიონი.

სიზაბუჯისა და ასალბაზრდომისი წლები

შოთა რუსთაველი დაიბადა 1166 (1165/6) წლის ახლოს, როგორც ამას ადასტურებს ისტორიულ წყაროთა რამდენიმე სინქრონიზმი.

შოთა იყო შვილი ჰერეთის ერისთავის გრიგოლ III-ისა. შოთა, ჩანს, უფროსი ვაჟი იყო გრიგოლისა, რადგან ჰერეთის ერისთავობა გრიგოლის შემდეგ შოთაზე გადავიდა.

გრიგოლს, შოთას გარდა, მეორე ვაჟიც ჰყოლია, ტ ბ ე ლ ი, რომელიც განთქმული სამხედრო მოღვაწე ყოფილა. ტბელს, როგორც სახელოვან მხედართმთავარს, მოიხსენებს XIII საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოდღარი.

შოთას ბავშვობის წლების შესახებ ცნობები არ შენახულა. შოთას ჩვენ ვხვდებით მეფის თამარის კარზე XII საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც იგი დავაყაყებულა და სალიტერატურო ასპარეზზეა გამოსული.

სად და როგორი განათლება მიიღო ჩვენმა პოეტმა, არც ამის შესახებ მოღწეულა პირდაპირი ცნობები. მაგრამ შოთას, როგორც უმაღლესი არისტოკრატის წარმომადგენელს, ფართო და მრავალმხრივი განათლება უნდა მიეღო და მიუღია კიდევ. შოთა, დიდი მეთაური ჰუმანიზმისა, ფილოსოფოსი-მოაზროვნე, უგანათლებლესი ადამიანია თავისი საუკუნისა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მთელი ოჯახური წრე შოთა რუსთაველისა უმაღლეს ინტელექტუალურ ელიტას ეკუთვნის. შოთას ძმის ტბელის ასული ბორენა პოეტი ყოფილა. ლექსი ამ პოეტი ქალისა, მოღწეული ჩვენს დრომდე, რომელიც შოთას პოეზიას ეხმაურება, აღბეჭდილია მაღალი კულტურით. ანდა ბრწყინვალე წარწერა შოთას ძმის ტბელისა, რომელიც დატულია შოთას ოჯახიდან მოღწეულ ერთ ძეგლზე — დიდი ხელოვნებით შესრულებულ წმინდა გიორგის ხატზე — გვიჩვენებს, რომ ეს სამხედრო მოღვაწე, განთქმულ მხედართმთავარი, მაღალი ლიტერატურული განათლების მქონე ადამიანია.

უძველესი ჩვენს დრომდე მოღწეული ცნობა გრიგოლ ჰერეთის ბაგრატიონის მემკვიდრეთა — შოთას და ტბელის შესახებ ეკუთვნის თამარის მეფობის პირველ პერიოდს, 1191 წელს

თამარის პირველ ისტორიაში — „ისტორია-აზმანი შარავანდედთანი“ (რომელიც დაწერილია 1196 წელს) მოთხრობილია, რომ 1191 წელს მეფის თამარის კარზე მიღებულ იქნენ უმაღლეს ხელისუფალთა, მხარეების ერისთავთა სხვადასხვა გვარეულობის წარმომადგენლები, რომლებიც „საპატრონოდ“ დალოცეს, გადასცეს ლენები — ზოგს პირველად, ზოგს კი ახალი ლენები მოუმატეს. მათ შორის მოიხსენებიან ჰერეთის ბაგრატიონები, გრიგოლ ჰერეთის ერისთავის შვილები — „გ რ ი გ ო ლ ის ძ ე ნ ი“. ამ ცნობის მიხედვით ირკვევა, რომ გრიგოლის ძეთა — შოთას და ტბელის — „დალოცვა“ საპატრონოდ 1191 წელს მომხდარა.

ჩვენ უკვე მოხსენებული გვექონდა, რომ ამავე ხანებში, ერთი-ორი წლით გვიან, სახელდობრ 1192/3 წელს, შოთას პაპამ ჰერეთის ერისთავმა ასათ II-ემ მიიღო ახალი სამფლობელო — რუსთავის მხარე და სამეფო კარის ვაზირის მუქურჭლეთ-უხუცესის თანამდებობა. ამ დროს ასათ II-ეს საკუთრივ ჰერეთის ერისთავობა გადაუტოვა თავისი შვილის გრიგოლ III-ისათვის, ხოლო თავის მფლობელობაში დაუტოვებია მხოლოდ რუსთავის მხარე.

ასათ II ამ დროისათვის უკვე მოხუცებული იყო. ასათ II-ეს ამის შემდეგ ბევრი აღარ უცოცხლია. იგი გარდაცვლილა, როგორც მოვიხსენეთ, თამარის მეფობის პირველ ნახევარშივე, 1192/3-ის მომდევნო ახლო წლებში. რუსთავის მფლობელობა ამის შემდეგ მიუღია შოთას, როგორც გვარის პირველ მემკვიდრეს.

ამრიგად, შოთა, ვიდრე იგი გახდებოდა ერისთავი სრულიად ჰერეთისა (ჰერეთის და რუსთავის გაერთიანებული სამფლობელოსი), ჯერ ყოფილა მფლობელი რუსთავისა, რუსთაველი.

აქ საჭიროა მოვიხსენოთ ამასთან, რომ ჩვენს დრომდე მოღწეულა დოკუმენტი XII საუკუნის დასასრულისა, რომელიც რუსთავის სამფლობელოს ერთი თემიდან (ყინვანიდან) მომდინარეობს, და რომელსაც ამტკიცებს შოთა. ამ დოკუმენტის შოთასეული ხელმოწერიდან დასტურდება, რომ შოთა ამ დროს ჯერ კიდევ არ ყოფილა ერისთავი სრულიად ჰერეთისა (იგი ჯერ კიდევ არ ატარებს ერისთავის ტიტულს), არამედ მხოლოდ მფლობელი რუსთავის მხარისა, რუსთაველი.

შოთა გახდა ერისთავი სრულიად ჰერეთისა (ჰერეთისა და რუსთავის გაერთიანებული საერისთავოსი) უფრო გვიან, XIII საუკუნეში. შოთა მოიხსენება ჰერეთის ერისთავად XIII საუკუნის პირველ ნახევარში (საისტორიო ძეგლში „ჟამთააღმწერელობა“). ასევე ერისთავად არის წარმოდგენილი შოთა იერუსალიმის ფრესკაზე, რომელზედაც უკვე გვექონდა საუბარი.

რეზიდენცია რუსთავის მხარისა, რომლის მფლობელი გამხდარა შოთა 1192/3 წლის ახლო ხანებში, იყო განთქმული ციხე-ქალაქი რუსთავი, რომელიც მდებარეობდა დედაქალაქის თბილისის მეზობლად. ქალაქი რუსთავი, საიდანაც მიიღო ზედწოდება ჩვენმა პოეტმა, ცნობილია წყაროებში ჯერ კიდევ

ანტიკური ხანიდან. თამარის ეპოქაში, XII—XIII საუკუნეებში, იგი ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ ქალაქად ითვლებოდა.

თვით თამარსაც, წყაროების ცნობით, უწარმოებია მშენებლობა ქალაქ რუსთავისა.

VII

შოთას არმოღწეული კოეზური თხზულებანი:

ა. პოემა იოსებ მშენიერზე

ბ. პოემა „ქებანი“

როგორი იყო პოეტის ვზა ახალგაზრდობის წლებში? ეს ჩვენ არ ვიცით. ვიცით მხოლოდ, რომ აღზეუება რუსთაველის პოეტური გენიისა მეფის თამარის ეპოქას ეკუთვნის.

თამარის კარზე შემოკრებილია ინტელექტუალური ელიტა ქვეყნისა, პლეადა პოეტებისა, მწერლებისა, მოაზროვნეთა. აქ ჩვენ ვხედავთ ახალი ეპოქის კულტურულ გარემოს.

თვით თამარი იყო არა მხოლოდ მეცენატი. ეს გენიალური ქალი ნამდვილი ცენტრალური ფიგურაა ეპოქისა. ჩვენ ყველგან და ყველაფერში ვხედავთ მის შთამაგონებელ გავლენას.

შოთასაგან ჩვენს დრომდე მართო ვეფხის-ტყაოსანი მოღწეულა. იყო იგი ერთადერთი თხზულება ჩვენი პოეტისა? როგორც ირკვევა, არა.

აქ საჭიროა შევნიშნოთ, რომ თუნდაც არ შენახულიყო ცნობები შოთას სხვა თხზულებათა შესახებ, ჯერ მართო თვით ვეფხის-ტყაოსნის განხილვას უნდა მივყევანეთ იმ დასკვნამდე, რომ ვეფხის-ტყაოსანი არ უნდა იყოს შოთას პირველი ნაწარმოები. მართლაც, ვეფხის-ტყაოსანში შოთა ჩვენ გვევლინება როგორც დასრულებული არტისტი. ვეფხის-ტყაოსანი ჯერ მართო წმინდა ფორმალური მიღწევების მხრით წარმოადგენს უნაკლო შედეგს, აქ ყველაფერში იგრძნობა გამოცდილი ხელოვანის ხელი და, რასაკვირველია, ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთი სრულქმნილი ხელოვნების ძეგლი პოეტს შეექმნა პირველის ხელშეხებით. ჩანს, ვეფხის-ტყაოსანი არ არის შოთას პირველი პოეტური ნაწარმოები, ვეფხის-ტყაოსანის შექმნას, ჩანს, წინ უსწრებდა სხვა ნაწარმოებნი ჩვენი პოეტისა.

და მართლაც, ირკვევა, რომ შოთას ვეფხის-ტყაოსანზე აღრე გამოქვეყნებული ჰქონია ორი თხზულება: პოემა-რომანი იოსებ მშენიერზე და პოემა „ქებანი“.

ეს ორი აღრინდელი ნაწარმოები შოთასი ჩვენს დრომდე არ მოღწეულა. ისინი დაკარგულან ისევე, როგორც მრავალი სხვა თხზულება კლასიკური ხანის ქართული პოეზიისა.

აქ ჩვენ შევჩერდებით ამ ძეგლებზე და განვიხილავთ ცნობებს, რომლებიც მათ შესახებ მოიპოვება.

ჭერ სიუჟეტის საკითხზე.

ბიბლიური ლეგენდა იოსებ მშვენიერზე, როგორც ცნობილია, დიდი პოპულარობით სარგებლობდა საშუალო საუკუნეთა მწერლობაში. სხვადასხვა ქრისტიანულ ლიტერატურაში შენახულა მოთხრობა-აპოკრიფი იოსების და ასანეთის (იოსების მიჯნური ქალის) შესახებ. ბიბლიის პოეტური ლეგენდა მოთხრობა-აპოკრიფში განვრცობილია და შევსებული ახალი რომანტიული დეტალებით.

იგივე ლეგენდა იოსებ მშვენიერზე განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა მუსულმანურ მწერლობაში. ასე, ირანულ ლიტერატურაში ეს სიუჟეტი პირველად დაამუშავეს X — XI საუკუნეებში აბულ-მოუვიდ ბალხელმა, ბახტიარ აჰვაზელმა და ირანის უდიდესმა გენიამ ფირდოუსმა. XII საუკუნეში ამავე სიუჟეტს ამუშავებს ჰამაყ ბუხარელი. შემდეგშიაც ამ სიუჟეტისათვის არაერთგზის მიუმართავთ ირანელ პოეტებს, მათ შორის სპარსეთის უკანასკნელ დიდ კლასიკოსს ჯამის. სულ ცნობილია 13 ირანული რომანი-პოემა იოსებ მშვენიერზე.

ირანულსა და სხვა მუსულმანურ ვერსიებში იოსებ მშვენიერის რომანი ცნობილია სახელწოდებით: იოსებ და ზულეიხა; ხოლო ქრისტიანულ ვერსიებში, როგორც მოხსენებული გვქონდა, რომანს ეწოდება: იოსებ და ასანეთ (ე. ი. გმირი ქალის სახელი ასანეთ მუსულმანურ თქმულებაში შეცვლილია სახელით ზულეიხა).

აი, ეს განთქმული რომანტიული სიუჟეტი იოსებ მშვენიერზე, როგორც ირკვევა, დაუმუშავებია შოთა რუსთაველს. ცნობა შოთას ამ თხზულების შესახებ დაუცავს XVI საუკუნის პირველი ნახევრის ერთ ქართველ პოეტს.

ამ ქართველ პოეტს, რომლის სახელი უცნობია, და რომელიც XVI საუკუნის პირველ ნახევარში ცხოვრობდა, ეკუთვნის ახალი პოემა იოსებ მშვენიერზე. ეს პოემა მოღწეულა უნიკალურ ხელნაწერში, რომელიც ამავე ეპოქაში, XVI საუკუნის პირველ ნახევარში არის გადაწერილი (ხელნაწერი S — 1283).

XVI საუკუნის ამ ქართველი პოეტის ახალ პოემას იოსებ მშვენიერზე დართული აქვს შესავალი, რომელშიაც ავტორი გადმოგვცემს ბიბლიოგრაფიულ ცნობას ამავე თქმულების წინათ-არსებული ძველი ქართული ტექსტის შესახებ. ეს ძველი ტექსტი, „ამბავი აღრინდელი“, მის დროს, ე. ი. XVI საუკუნეში დაზიანებულად ყოფილა წარმოდგენილი, მისგან მხოლოდ მცირე ნაწყვეტი ყოფილა გადარჩენილი („ცოტა იყო დანარჩომი“-ო, გადმოგვცემს ავტორი). აი ეს ძველი ტექსტი, როგორც ირკვევა XVI საუკუნის ამ ავტორის ჩვენებიდან, შოთა რუსთაველს ჰკუთვნებია, რუსთაველის „ნასაქმი“ ყოფილა. სრული ტექსტი შოთას ამ თხზულებისა, ჩანს, დაღუპულა იმ „უამთასიავის“ საუკუნეებში, რომლებიც თან მოჰყვა მონგოლთა მფლობელობის დამყარებას საქართველოში და XVI საუკუნეში უკვე აღარ მოიპოვებოდა.

აი ამ გარემოებით, შოთას სრული ტექსტის დაკარგვით ყოფილა გამოწვეული XVI საუკუნის პოეტის ეს ახალი შრომა. XVI საუკუნის პოეტს განუზრახავს იმავე სიუჟეტის ხელახლა დამუშავება, იოსებ მშვენიერის ამბავის სრულ-

ლი სახით აღდგენა, რისთვისაც მას უსარგებლოა ამ თქმულების მუსულმანური ვერსიით (სახელდობრ, ჯამის ტექსტით). XVI საუკუნის პოეტი ამის გამო მოკრძალებით მოგვითხრობს პოემის შესავალში, რომ საქმე, რომელიც მან იკისრა, ძნელი გასაბედავია, რადგან მას უხდება — ლექსად თქმა „დაჯარა“ იმავე ამბისა, რომელიც ძველად დაუმუშავებია ისეთ უდიდეს ხელოვანს, როგორც რუსთაველი იყო; ამიტომაც იგი მოკრძალებით შესთხოვს რუსთაველს, რომ მისცეს „ნება თქმისა“.

პოეტი შემდეგი სიტყვებით მიმართავს რუსთაველს:

„აწ, რუსთველო, გეთხოვები, რომე მომცე ნება თქმისა,
არ გასწყრე და არ ამიყო, თხოვნა მე მაქვს ამ ქოქისა, —
რომე კადრე უკადრობა დაჯარა თქვენი ნასაქმისა,
თქვენვე იცით, სხვავე არგებს, დასნეულდეს რა აქიმსა“.

თანამედროვე მკითხველისათვის რომ საესებით ნათელი იყოს ამ სტროფის შინაარსი, აქ საჭირო იქნება ზოგიერთი განმარტება.

ა. „დაჯარა“ პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს მოწყობას, ხოლო პოეტიკაში „დაჯარა“ ნიშნავდა ლექსად თქმას, ე. ი. ძვირფასი თვალის დაჯარა-მოწყობას. (ასე, იხ. ვეფხისტყაოსანში: „მარგალიტი წყობილი“ — ე. ი. ლექსი. შეადარეთ ანალოგიური თქმა: „მით მიჯრით მიწყობილისა“). ამრიგად, XVI საუკუნის პოეტის სიტყვები: „დაჯარა თქვენის ნასაქმისა“ — ნიშნავს: „ლექსად თქმა თქვენის (რუსთაველის) ნასაქმისა“.

აქ საჭიროა მოვიხსენოთ აგრეთვე ამავე ეპოქის მეორე პოეტის ქაიხოსროს თხზულება „ომიანიანი“, სადაც ტერმინი „ჩამოჯარა“ (იგივე „დაჯარა“) ასევე აღნიშნავს ლექსად თქმას, თხზვას. „ომიანიანის“ ლექსითი ნაწილის ეპილოგში ნათქვამია:

„ლექსი დადგეს და ხიტყვები აწ სხვაებრ გაგრძელდებისა,
ვიცი, ამბავთა ჩამოჯარა უმეცრად დამედებისა“.

ბ. განმარტებას საჭიროებს აგრეთვე უკანასკნელი ტაქტი: „თქვენვე იცით, სხვავე არგებს, დასნეულდეს რა აქიმსა“. XVI საუკუნის პოეტი აქ იგონებს რუსთაველის ერთ სენტენციას. რუსთაველი ვეფხისტყაოსანში ერთ ადგილას ამბობს (სტროფი 603):

„რა აქიმი დასნეულდეს, რაზომ გინდა საქმარნი,
მან სხვა უხმოს მყურნალი და მაჯამისა შემტყობარნი,
მას უამბოს, რაცა სჭირდეს სენი ცეცხლთა მომდებარნი;
სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარნი“.

XVI საუკუნის ქართული პოეტი რუსთაველს აღარებს განთქმულ ეპიკს, რომელიც დასნეულებულა. რუსთაველი სნეულად იმის გამოა წარმოდგენილი, რომ მისი თხზულება, იოსებ შვენიერის ამბავი, დაზიანებულად იყო მოღწეული, მცირე ნაწყვეტის სახით ყოფილა გადარჩენილი. ხოლო თავისთვის XVI საუკუნის ეს ქართული პოეტი აღარებს უბრალო მკურნალს, რომელსაც უხდება უწყალო განთქმულ ეპიკს რუსთაველს, ე. ი. მოახდინოს აღდგენა რუსთაველის დაკარგული ნაშრომისა. აი ამიტომ არის, რომ XVI საუკუნის პოეტი, რომელმაც გამოიჩინა კადნიერება და გაბედა რუსთაველის ძველი „ნასაქმის“ განახლება, იმავე ძველი ამბავის ხელახლა თქმა, მოკრძალებით მიმართავს რუსთაველს და თავის გასამართლებლად მოაგონებს მას, თქვენვე, რუსთაველო, იცით, სხვავე არგებს, რა აქიმი დასნეულდესო.

გარდა იმისა, რომ XVI საუკუნის ამ ქართველ პოეტს დაუცავს საყურადღებო ცნობა შოთა რუსთაველის არმოღწეულ თხზულებაზე იოსებ შვენიერის შესახებ, XVI საუკუნის ამ პოეტის პროლოგი ყურადღებას იქცევს იმ მხრივაც, რომ გვიჩვენებს, თუ რა განუზომელი ავტორიტეტით სარგებლობდა

შოთა ძველ-ქართულ პოეზიაში: შოთა მიჩნეული იყო პოეზიის უდიდეს და უცხოველ მეტრად. იმავე პროლოგში, XVI საუკუნის ეს პოეტი ამბობს რუსთაველზე:

„მელქსენო, ნუ გგონიათ თავი რუსთვლის დასადარი,
რომე აღრძნეთ უმეცურად, თავსა ირქვათ მისი დარი,
ლექსთა ბოლო შემოგაკლდესთ და შეიქმნათ სიტყვა მკვდარი;
მას მუფუმ განგებითა წყალობისა დასცა დარი“.

ასეთია ეს საყურადღებო ცნობები, რომლებსაც გადმოგვცემს XVI საუკუნის პოეტი. ირკვევა, ამრიგად, რომ შოთას დაწერილი ჰქონია რომანი-პოემა იოსებ მშვენიერზე, რომელიც ჩვენს დრომდე არ მოღწეულა და რომლისაგან XVI საუკუნეში მხოლოდ მცირე ნაწყვეტი ყოფილა გადარჩენილი.

რასა ხანით იყო დამუშავებული შოთას თხზულებაში ეს ლეგენდა, ამის შესახებ ცნობები არ შენახულა. შესაძლოა მხოლოდ დაეასკენათ, რომ შოთას, როგორც ჩანს, უმთავრესად უსარგებლია იოსებ მშვენიერის ლეგენდის ქრისტიანული და არა მუსულმანური ვერსიით. ეს შემდეგის მიხედვით ირკვევა. თამარის ეპოქის საისტორიო ძეგლში — თამარის პირველ ისტორიაში „ისტორია-აზმანი შარავანდედთანი“, — რომელიც დაწერილია 1196 წელს, მოყვანილია იმ დროს ცნობილი ქართული რომანების პერსონაჟების სია და მათ შორის მოიხსენება იოსებ მშვენიერის რომანის პერსონაჟებიც: „იოსებ და ასანეთ“. აქ, როგორც ეს დასტურდება თარიღების შეხვედრიდან, იგულისხმება შოთას რომანი. ხოლო რაკი რომანის გმირ-ქალს რქმევია ასანეთ, როგორც ეს ქრისტიანულ ლეგენდაშია, და არა ზულეიხა — მუსულმანურის მსგავსად, ამის მიხედვით საფიქრებელი ზდება, რომ ამ რომანის დამუშავების დროს შოთას უმთავრესად უსარგებლია ლეგენდის ქრისტიანული და არა მუსულმანური ვერსიით.

ამას გარდა, ირკვევა ისიც, რომ შოთას ეს რომანი-პოემა იოსებ მშვენიერზე დაუწერია ვეფხის-ტყაოსნის უწინარეს. საქმე ის არის, რომ თამარის პირველ ისტორიაში, სადაც, როგორც აღნიშნული გვქონდა, მოხსენებულია გმირები იმ დროს ცნობილი რომანებიდან, დასახელებულია იოსებ მშვენიერის რომანის პერსონაჟები, ხოლო ვეფხის-ტყაოსნის გმირები მოხსენებული არაა. ამის მიხედვით ვეფხის-ტყაოსანი ამ დროს ჯერ კიდევ არ ყოფილა ცნობილი. შოთას იოსებ მშვენიერის რომანი, ჩანს, ვეფხის-ტყაოსანზე ადრე გამოუქვეყნებია და მას თამარის მეფობის პირველ ათეულში უკვე პოპულარობა ჰქონია მოპოვებული.

აი ყოველივე ის, რაც ჭერჭერობით შესაძლოა ითქვას შოთა რუსთაველის ამ დაკარგული თხზულების — პოემა-რომანის „იოსებ მშვენიერის“ შესახებ.



ბ. პოემა — „ქებაანი“

შოთას მეორე თხზულება „ქებაანი“, რომელიც აგრეთვე არ მოღწეულა ჩვენს დრომდე, მოხსენებული აქვს თვით შოთას ვეფხის-ტყაოსნის პროლოგში. „ქებაანი“ შოთას დაწერილი ჰქონია ვეფხის-ტყაოსანზე ადრე და მიძღვნილი ყოფილა თამარისადმი, ისევე, როგორც მეორე პოემაც ვეფხის-ტყაოსანი.

ვეფხის-ტყაოსნის პროლოგში შოთა რამდენჯერმე უპირისპირებს ერთმანეთს ამ ორ ნაწარმოებს — თამარის ახალ „ქებას“ (ე. ი. ვეფხის-ტყაოსნის) და აღრინდელ ნაწარმოებს, რომელიც აგრეთვე თამარის „ქებას“ შეიცავდა.

ასე, პროლოგის ერთ ადგილას შოთა წერს:

„თამარს ვაქებღე მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხელი!
უქვენი ქებანი ვისნი მე, არ ავად გამოჩეული:
მელნად ვისმარე გიშრის ტბა, კალმად მე — ნაი რხეული!
ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული“.

ახალ ქართულზე სიტყვისიტყვივით თარგმანში ეს ტექსტი შემდეგს აღნიშნავს:

„მეფის თამარის ქებას ვიწყებ („თამარს ვაქებღე“) — მე, დამფრქვეველი სისხლისა ცრემლთა! თამარის ქებანი მე უწინაც მითქვამს („უქვენი“), და იგი ქებანი არ იყო ცუდად შერჩეული: მელნად მე მაშინ მქონდა გიშრის ტბა (თამარის თვალები), ხოლო კალამი თვით მე ვიყავ, რხეული ლერწამი („ნაი რხეული“)! ვინც მოისმენს (იმ პირველ ქებათა), მისი გული ლახვარით განიგვირება“.

რომ შოთა აქ თავის აღრინდელ ნაწარმოებს გულისხმობს, რომელიც პოეტს ვეფხის-ტყაოსანზე აღრე დაუწერია, ეს უდავოა: პოეტი მის შესახებ წარსულ დროში ლაპარაკობს: „უქვენი“ — ე. ი. უწინ მითქვამს, წარსულში ვთქვიო.

ხოლო როდესაც შოთა აღრინდელი ნაწარმოების მოგონების შემდეგ თვით ვეფხის-ტყაოსანზე გადლის, იგი ვეფხის-ტყაოსანს წარმოგვიდგენს, როგორც ახალი პოეტური შთაგონების საგანს:

„თვალთა, მისგან (ე. ი. თამარისგან) უნათლოთა, ენატრამცა ახლად ჩენა“.

შოთა პროლოგის სხვა ადგილასაც უპირისპირებს ერთმანეთს თამარის ახალ „ქებას“ (ე. ი. ვეფხის-ტყაოსნის) და აღრინდელ ნაწარმოებს, რომელიც ასევე თამარის „ქებას“ შეიცავდა, და ამბობს:

„ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ ვინცა მიქია“.

ამრიგად, თვით შოთას ამ ჩვენებათა მიხედვით ცხადი ხდება, რომ შოთას ვეფხის-ტყაოსანზე აღრე დაწერილი ჰქონია სხვა პოეტური ნაწარმოები, რომელიც, ვეფხის-ტყაოსნის მსგავსად, თამარისადმი ყოფილა მიძღვნილი, თამარის „ქებას“ შეიცავდა.

საკითხავია ამის შემდეგ, თუ რას წარმოადგენდა შოთას ეს პოეტური ნაწარმოები „ქებანი“.

პოემის ზოგი კომენტატორი ფიქრობდა, რომ ეს „ქებანი“ შეიცავდა ლირიკულ ოდებს. მაგრამ ეს შეხედულება არ არის მართალი. ვეფხის-ტყაოსნის რეალიზების გათვალისწინება გვიჩვენებს, რომ შოთას ეს თხზულება „ქებანი“ წარმოადგენდა არა ოდებს, არამედ იგი იყო პოემა-რომანი, ე. ი. ისეთივე ფორმის ნაწარმოები, როგორიცაა ვეფხის-ტყაოსანი.

მართლაც განვიხილოთ პოემის ტექსტის სათანადო ჩვენებანი.

1. ტერმინი: „ქებანი“. — კომენტატორების მცდარი დასკვნა, რომ ეს „ქებანი“ ვითომ წარმოადგენდა ოდების კრებულს, წარმოიშვა იქიდან, რომ სიტყვა „ქებანი“ აქ გაგებულ იქნა პირდაპირი მნიშვნელობით: „ქება“ — ე. ი. ხობა, მამსაღამე, ოდა. მაგრამ საქმე ის არის, რომ თვით შოთას ტერმინოლოგიით — „ქებანი“ ნიშნავს არა ოდას, არამედ პოემა-რომანს. ასე, თავის მეორე ნაწარმოებსაც, პოემა ვეფხის-ტყაოსანს, შოთა უწოდებს იმავე სახელს: თამარის „საქებელნი“, „ქებანი“.

მართლაც ვეფხის-ტყაოსნის იმავე პროლოგში, შოთა—პირველ „ქებათა“ მოხსენების შემდეგ გადადის თავის ახალ შთაგონებაზე, თვითონ პოემა ვეფხის-ტყაოსანზე და წერს:

„სამთა ფერთა საქებელთა ლამის ლექსთა უნდა ვლენა“.

„ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია“.

„მისი სახელი შეფარვით ქვემოთ მიტყვამს, მიქია“.

„თამარს ვაქებ დე შეფსა...“

ყველა ამ შემთხვევაში თამარის „საქებელნი“, „ქებანი“ აღნიშნავს უკვე თვითონ პოემას—ვეფხის-ტყაოსანს. შოთა აქ არავითარ განსხვავებას არა სდებს თავის აღრინდელ ნაწარმოებსა და ვეფხის-ტყაოსანს შორის. ამრიგად, შოთას ტერმინოლოგიით „ქებანი“ აქ ნიშნავს პოემას, პოემა-რომანს.

(თუ რა გზით წარმოიშვა ეს ტერმინი „ქებანი“ პოემის მნიშვნელობით, ადვილი გასაგებია: პოემა ჩვეულებრივ განიყოფებოდა ცალკე კარებად, და თითოეულ კარს ეწოდებოდა „ქება“, ე. ი. რაფსოღია; აქედან წარმოსდგა შემკრებელობითი სახელი „ქებანი“, ე. ი. „ქებათა“ კრებული, რაფსოღიები, პოემა).

მაგრამ გარდა პოემის პირველი პროლოგის ამ პირდაპირი ტექსტუალური ჩვენებისა, მთელი რიგი მოსაზრება ეთანხმება იმას, რომ შოთას პირველი „ქებანი“ წარმოადგენდა პოემას და არა ლირიკულ ოდებს.

ამას გვაფიქრებინებს, სხვათა შორის, პოემის მეორე პროლოგი *Ars poetica* — „სწავლისათვის მოშაირეთა“, რომელიც მოთავსებულია ვეფხის-ტყაოსნის იმავე შესავალში, პირველი პროლოგის გვერდით. პოემის ამ მეორე პროლოგში შოთა აღნიშნავს, რომ ნამდვილ პოეტს შეეფერება მონუმენტური ფორმები პოეზიისა.

გადავიკითხოთ ვეფხის-ტყაოსნის მეორე პროლოგის ტექსტი.

შაირობა პირველადვე სიბრძნისა ერთი დარგი,
საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი,
კვლავ აქაცა ვაგებოს, ვინცა ისმენს კაცი ვარგი.
გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი.

ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა,
მოზურთალსა — მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა,
მართ აგრევე მულქესება — ლექსთა გრძელთა თქმა, და ხევა,
რა მისჭირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა...

მეორე ლექსი — ცოტაი, ნაწილი მოშაირეთა,
არ ძალ-უც სრულ-ქმნა სიტყვათა გულისა გასაგმირეთა;
ვაშვავსე მშვილდი ბედითი ყმაწვილთა მონადირეთა:
დიდსა ვერ მოკლევნ, ხელად აქვს ხოცა ნადირთა მცირეთა.

არს მესამე ლექსი კარგი—სანადიმოდ, სამღერელად,
სააშვიოდ, საღაღობოდ, ამხანაგთა სათნველად;
ჩვენ მათიცა გვეამების, რაცა ოდენ თქვან ნათელად.
მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად.

ამრიგად, შოთა, როგორც ვხედავთ, „ცოტა“ ლექსებს, პატარა ფორმებს, არც კი სთვლის ღირსად ნამდვილი პოეზიის სახელისა.

ხოლო ამავე დროს თავის პირველ ნაწარმოებს „ქებანი“ შოთა აგვიწერს სრულებით საწინააღმდეგო ხაზებით, ვიდრე „ცოტა“ ფორმის ლექსებს. შოთა თავის პირველ „ქებათა“ შესახებ შემდეგს ამბობს:

„უთქვნი ქებანი ვისნი (თამარისნი) — მე, არ ავად გამოჩრეული...
ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული“.

მკითხველმა მიაქციოს ყურადღება ცალკე გამოთქმებს: შოთამ Ars poetica-ში აღნიშნა, რომ „ცოტა“ ლექსებს ფორმაში შეუძლებელია „სრულქმნა სიტყვათა გულისა გასაგმირეთა“. ხოლო შოთას „ქებანი“, თვით მისივე სიტყვით, წარმოადგენდა სრულებით სხვას; აქ იყო სწორედ ის, რაც, შოთას სიტყვით, შესაძლოა მიღწეულ იქნას მონუმენტურ პოეტურ ფორმაში: მხატვრული სრულქმნა, რომელსაც ძალუძს განგმირვა გულთა („ვინცა ისმინოს“— ამბობს შოთა თავის პირველ ნაწარმოებზე — „დაესვას ლახვარი გულსა ხეული“).

ამრიგად, ყოველივე იმის შემდეგ, რაც აქ იყო აღნიშნული, ირკვევა, რომ „ქებანი“, რომელიც შოთას დაუწერია ვეფხის-ტყაოსანზე აღრე და რომელიც, ვეფხის-ტყაოსანის მსგავსად, თამარისადმი ყოფილა მიძღვნილი, წარმოადგენდა პოემას, იმავე ფორმის ნაწარმოებს, როგორიც არის შოთას მეორე „ქებანი“— ვეფხის-ტყაოსანი.

დასასრულ დაგვრჩენია აღვნიშნოთ შემდეგიც. რომ შოთას ვეფხის-ტყაოსანზე აღრე უცდია პოემა-რომანის ფორმა, ამას გვაფიქრებინებდა თვით ვეფხის-ტყაოსანის არტისტულად შეზომილი უნაკლო ხელოვნება. ვეფხის-ტყაოსანში ჩვენ გვხვბლავს პოემის შინაგანი ფორმა, ამბის არტისტული გაშლა. შო-

თა ჩვენ გვევლინება როგორც უცთომელი ხელოვანი პოემა-რომანის ფორმისა. ასეთი არტისტულად შეზომილი უნაკლო ხელოვნება, რასაკვირველია, არ იბადება თავიდანვე სრულქმნილი, როგორც ათინა ზევსის თავიდან. ამის მიხედვით ისედაც საფიქრებელი იყო, რომ ვეფხის-ტყაოსანი არ უნდა ყოფილიყო შოთას პირველი ცდა პოემა-რომანის ფორმისა, და როგორც გამოირკვა — არც ყოფილა.

ასეთია ის ცნობები, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება შოთას ორი პოემა-რომანის შესახებ, რომლებიც ჩვენს დრომდე არ მოღწეულა, და რომლებიც ვეფხის-ტყაოსანზე ადრე ყოფილა დაწერილი, 1190-იან წლებში.

VIII

კოემა ვეფხის-ტყაოსანი

თარიღი კომიისა

შოთას პოემის ვეფხის-ტყაოსანის შესახებ ჩვენ საგანგებოდ გვექნება ქვემოთ საუბარი. აქ კი, პოეტის ცხოვრების ამ მიმოხილვაში, მხოლოდ განვსაზღვრავთ დროს, თუ როდის დაიწერა პოემა.

პოემა ვეფხის-ტყაოსანი მიძღვნილია მეფის თამარისადმი. თამარი გამეფდა 1184 წელს, გარდაიცვალა 1212 წელს. ამის მიხედვით პოემა დაწერილია ამ წლების მიანძილზე, 1184-დან 1212 წლამდე.

მაგრამ შესაძლოა ამ თარიღის კიდევ უფრო დაზუსტება: პოემა დაწერილია არა უადრეს 1196 წლისა და არა უგვიანეს 1207 წლისა.

პოემა რომ დაწერილია არა უადრეს 1196 წლისა, ამას შემდეგი ადასტურებს.

ა. ძველ-ქართულ საისტორიო ძეგლში „ისტორია-აზმანი შარავანდელთანი“ (თამარის პირველი ისტორია) არის ცალკე ნაკვეთი, სადაც ჩამოთვლილია იმ დროს ცნობილ მხატვრულ ნაწარმოებთა პერსონაჟები. ამას გარდა ჩახრუხაისძის ოდებში (განსაკუთრებით V-ში) არაერთგზის მოიხსენებიან იმ დროს ცნობილ მხატვრულ ნაწარმოებთა გმირების სახელები. აქ დასახელებულნი არიან მოქმედნი პირნი „ვისრამიანიდან“, „ამირან-დარეჯანიანიდან“, „დაკარგული პოემა-რომანებიდან“—„დიდარგეთიანი“, „ეთერიანი“, „ანალათ-შატბიერი“, „ოსანო-შარიელი“, „რადარ“, „რაშენ“, — პერსონაჟები ჰომეროსის ილიადისა, ფიროფუსის „შაჰ-ნამესი“, ნიშამის „ლეილ-მეჯნუნისა“, „ხოსრო-შირინისა“, უცნობი ავტორის „სალამანისა“ და სხვ. მათ შორის არ არის მოხსენებული ვეფხის-ტყაოსანის გმირთა სახელები. ცხადია, ამ დროს ვეფხის-ტყაოსანი ჯერ კიდევ არ ყოფილა დაწერილი.

ჩახრუხაისძის ოდები დაწერილია სხვადასხვა დროს, 1187 წლიდან 1193 წლამდე. ხოლო „ისტორია-აზმანი შარავანდელთანი“ დაწერილია თამარის მეფობის მეთორმეტე წელს, ე. ი. 1196 წელს.

ამრიგად, 1196 წელი არის თარიღი, რომლის უადრეს არ დაწერილა ვეფხის-ტყაოსანი.

ბ. რომ ვეფხის-ტყაოსანი დაწერილია თამარის მეფობის მეორე ნახევარში, XII — XIII საუკუნეთა საზღვარზე, ამას საცხებით ეთანხმება აგრეთვე ის რეალიები, რომლებსაც იძლევა პოემის გეოგრაფია.

ასე, ვეფხის-ტყაოსანში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ აქ „ხვარაზმი“ წარმოდგენილია როგორც ძლიერი სახელმწიფო; „ხვარაზმი“ პოემაში გაიგივებულია ირანთან, ხვარაზმი და ირანი (სპარსეთი) ერთსა და იმავეს ნიშნავს. ხოლო ასეთი მდგომარეობა, როდესაც ხვარაზმის მფლობელთა ხელში გაერთიანებული იყო ირანი, ხვარაზმი წარმოდგენდა ირანის სინონიმს, მეტად ხანმოკლე დროის მანძილზე გაგრძელდა. ამას ადგილი ჰქონდა სწორედ ამ ხანაში, 1194 წლის შემდგომ პერიოდში, XII საუკუნის ბოლოს და XIII საუკუნის პირველ ოცეულში.

ხოლო ვეფხის-ტყაოსანი რომ დაწერილი არის არა უგვიანეს 1207 წლისა, ამას შემდეგი გვაფიქრებინებს.

როგორც ცნობილია, თამარმა თავისი ძე გიორგი-ლაშა ჯერ კიდევ ყმაწვილი, 12 წლისა, აკურთხა მეფედ 1206 წელს, ხოლო 1207 წლიდან, როდესაც გარდაიცვალა დავითი, გიორგი-ლაშა გახდა თანა-მეფე და თანამმართველი თამარისა. თუ ჩვენ ვაერთიანებთ საშუალო საუკუნეთა ეტიკეტს, ძნელი წარმოსადგენია, რომ პოემაში ავტორს ამა თუ იმ სახით არ მოეხსენებია გიორგი-ლაშა, თუკი პოემა 1206—7 წლებზე გვიან ყოფილიყო დაწერილი.

აქ საპირთა მოვიხსენოთ აგრეთვე, რომ კრებულს „თამარისანი“ (რომელშიაც შეტანილია ჩაბრუნებისის ოდები და ორი ელეგია) დართული აქვს ბოლოსიტყვა ლექსად: ამ ლექსში, რომელიც ეკუთვნის კრებულის შემდგენელს და რომელიც დაწერილია თამარის სიცოცხლეში, თამარის მეფობის ბოლო პერიოდში, მოიხსენება ვეფხის-ტყაოსნის პერსონაჟი თინათინ, რომელსაც პოეტი ადარებს თამარს. ამრიგად, აქ ჩვენ გვაქვს თვით თამარისდროინდელი პირდაპირი ლიტერატურული ცნობა ვეფხის-ტყაოსანზე.

ამრიგად, ვეფხის-ტყაოსანი დაწერილია თერთმეტი წლის მანძილზე, 1196—1207 წლებს შორის. ეს არის წლები, როდესაც შოთა რუსთაველის ცხოვრების მზე შუადღეს უახლოვდებოდა. შოთა ამ დროს არის 30—41 წლისა.

IX

შენა ვეფხის-ტყაოსნისა. კოლმეცა რუსთაველთან

შოთა რუსთაველის ცხოვრების შუა პერიოდის შესახებ ჩვენ ცოტა ვიცით, მისი ბიოგრაფიის მხოლოდ ცალკეული ფურცლებია ამოკითხული, სახელწოდების, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. ხოლო ბევრი რამ შოთას ბიოგრაფიიდან ბურუსით არის მოცული; ზოგ საგანზე კი ბუნდოვანი, ნაგვიანევი გადმოცემებია მოღწეული.

ამ ნაგვიანევი გადმოცემათა მიხედვით საფიქრებელი ხდება, რომ შოთას განუცდია ჩვეულებრივი ხვედრი დიდ ადამიანთა, რომელნიც ხსნიან ახალ ეპოქას. შოთას გენიალური პოემა დვენის საგანი გამხდარა კლერიკალურად განწყობილი წრეების მიერ.

ცნობილია, რომ გვიან ეპოქაში, ასე XVIII საუკუნეში, შოთას პოემა კლერიკალურ წრეებში დიდ ოპოზიციას იწვევდა. თვით განათლებულმა ანტონ I კათალიკოსმაც კი გაილაშქრა შოთას წინააღმდეგ და თავის „წყობილისიტყვაობაშიაც“ არ დაავიწყდა აღენიშნა, რომ შოთა „ამაოდ დაშვრა, საწუხ არს ესე“.

სრულიად გარკვეული ბრალდებით მიმართავს შოთას ცნობილი მწერალი და მოგზაური ტიმოთე გაბაშვილი (XVIII ს.):

„ესე იყო მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართველთა სიწმიდის წილ ბოროტი ბილწება და განრყენა ქრისტიანობა“.

XVII საუკუნის პოეტის არჩილ მეფის ცნობილ პოემაში—„თეიმურაზისა და რუსთაველის გაბაასება“, თეიმურაზი აგრეთვე ბრალდებით მიმართავს შოთას და აღნიშნავს, რომ შოთა ქრისტიანობის ზოგ დოგმატებს არ იზიარებდა.

ვეფხისტყაოსნის შესახებ მოღწეული მასალებიდან ირკვევა, რომ მტრული დამოკიდებულება კლერიკალური წრეებისა შოთას პოემისადმი ძველი დროიდანვე მოდის და ის ოპოზიცია შოთას პოემის მიმართ, რომელსაც ჩვენ ვხედავთ XVII — XVIII საუკუნეებში, არის ნაგვიანევი გამოძახილი დევნისა, რომელსაც პოემა წინა საუკუნეებში განიცდიდა. ამას ადასტურებს ვეფხისტყაოსნის ძველი ინტერპოლაციების განხილვა.

ასე, ვეფხისტყაოსნის ერთ პოლემიკურ დამატებაში, რომელიც ჩართულია ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში და რომელიც დაახლოვებით XIV საუკუნით თარიღდება, ნათქვამია, რომ შოთას პოემაში არაა ხსენება სამებისა და რომ მისი გადაკითხვა წაწყმედას უდრის; ინტერპოლატორი წერს შოთას პოემის შესახებ:

...არ ასხენებს სამებასა ერთ-არსულად,
არას გვარგებს საუკუნოს, რა დღე იქმნას აღსასრულად.

ამრიგად, ვეფხისტყაოსნის მიუღებელი ყოფილა კლერიკალური წრეებისათვის, როგორც თავისუფალი სულით გამსჭვალული ნაწარმოები. შოთას დაუშსახურებია კლერიკალების გულისწყრომა, როგორც ქართული ჰუმანიზმის მეთაურს.

აქ საჭიროა აგრეთვე აღვნიშნოთ შემდეგი. ძველ-ქართულ საისტორიო წყაროებში დაცული ცნობებიდან ირკვევა, რომ თამარის მეფობის ბოლო პერიოდში გაძლიერებულა კლერიკალური რეაქცია ჰუმანისტური მოძრაობის წინააღმდეგ. ეს რეაქცია კლერიკალურ-კონსერვატორთა წრეებისა იმდენად ძლიერად გრძნობდა თავს, რომ თამარის გარდაცვალების შემდეგ, თამარის მემკვიდრის ლაშა-გიორგის დროს, იგი არ მოერიდა მეფესთან კონფლიქტს და მეფის ტახტიდან გადაყენებაც კი განიზრახეს, რადგან მეფე ჰუმანისტური მოძრაობის მიმდევარი და მფარველი იყო.

ბუნებრივია, რომ ეს წრეები, რომლებიც არ ერიდებოდნენ თვით მეფესთან კონფლიქტს, არ დაინდობდნენ არც შოთას, როგორც მეთაურს ქართული ჰუმანიზმისა. შოთას, როგორც ირკვევა, დევნა განუცლია.

შოთას რომ დევნა განუცლია, შოთა რომ ერთხანს უცხოეთში ყარობად ყოფილა წასული, მოშორებული სამშობლოს, ამას ცხადყოფს ზოგიერთი ადგილი პოემისა.

ვეფხის-ტყალსანი, როგორც ცნობილია, ცალკეულ კარებად განიყოფება. ცალკე კარები ზოგჯერ იწყება ლირიკული შესავალით, სადაც პოეტი პირველი პირით გვესაუბრება.

კერძოდ, პოემის XVII კარი („წასვლა ავთანდილისაგან ფრიდონისასა“) იწყება შემდეგი ლირიკული შესავალით, სადაც პოეტი თავის პირად აღსარებას გადმოგვცემს. პოეტი ამბობს:

„ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!
ყოვლიმც შენი მონღობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი საღით ძირსა?!
მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა!“.

(სტროფი 886)

ეს სტროფი ენება თვით შოთას:

ა. ამ სტროფს არა აქვს უშუალო, გადაბმული კავშირი კონტექსტთან; ქვევით იწყება დამოუკიდებელი მოთხრობა, ავთანდილის მოგზაურობის აღწერა.

ბ. პოეტი აქ, როგორც ვხედავთ, თვითონ გვესაუბრება პირველი პირით თავის თავზე: „ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა! ყოვლიმც შენი მონღობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!“ „ჩემებრ“, — როგორც ვხედავთ, პირდაპირი მითითებაა თავის თავზე*. პოეტი მოწყვეტილია თავის სამშობლოს და სამკვიდროს, იგი უცხოეთში იმყოფება: „სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი საღით ძირსა!“.

ამრიგად, შოთა ერთხანს უცხოეთში ყოფილა გადახვეწილი, ვეფხის-ტყალსანში, როგორც ირკვევა, არის სტროფები, რომლებიც პოეტს ჩაურთავს პოემაში, როდესაც იგი მოშორებული იყო სამშობლოს და უცხოეთში ყარბაღ იმყოფებოდა.

•

გარდა ზემოთ მოყვანილი სტროფისა „ვა, სოფელო“, პოეტის უცხოეთში ყარბობის დროს, ჩანს, ეკუთვნის აგრეთვე მეორე სტროფი, ლირიკული შესავალი, რომლითაც იხსნება პოემის III კარი („ავთანდილისაგან მის ყმძსა ძებნად წასლვა“):

„ამ საქმესა მემოწმების მე დივანი ბრძინსა ეზროს:
საბრალოა, ოდეს ვარდი დაეთრთილოს, დაცაეზროს,
ვის ბალახში არა ჰგვანდეს და ლერწამი ტანად ეზროს,
იგი საღმე გაღარბდეს, სამყოფთაგან იაბეზროს“.

(სტროფი 144)

რომ მკითხველისათვის ზედმიწევნით ცხადი იყოს შინაარსი ამ სტროფისა, მოგვყავს განმარტება ცალკე ადგილებისა და მეტაფორებისა:

* აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ პოემის ორ ძველ ხელნაწერში ამ სტროფის პირველი ტაეპი აკითხვის შემდეგნაირად:

„ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას მაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!
არაა გამორიცხული, რომ ეს წაითხვა („რას მაბრუნებ“) პირველადი იყოს, რადგან ამას ეფარდება მეორე ტაეპის ტექსტი: „ყოვლიმც შენი მონღობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!“

ა. „სამყოფთაგან იაბეზროს“ — ეს ნიშნავს: „მამულისაგან განიდევნოს, გაძევებულ იქმნას“. შეადარეთ ანალოგიური ტექსტი: „მეყვისი გააძოს და მამულისაგან გააბეზროს“ (იხ. ბექა-ალბულას კანონთა კოდექსი, § 48).

ბ. მეტაფორა: „ბალახში არა ჰგვანდეს“ ნიშნავს: „ფერნამკრთალი (ცრემლთა დენისაგან)“. ბალახში ანუ ბაღახში, ე. ი. ბაღახშანური ლალი აქ შედარებულია პირისახესთან.

გ. მეტაფორა: „ლერწამი ტანად ეზროს“, ე. ი. „ტანად ლერწამის ზრო ჰქონდეს“, — ნიშნავს: გალუული იყვის, ვით ლერწამი (სევდისაგან).

დ. დივანი — პოეტურ თხზულებათა კრებული.

ამრიგად, ეს სტროფი სიტყვასიტყვის თარგმანში ახალ-ქართულზე, მეტაფორების გახსნით, გადმოგვცემს შემდეგს:

„ამას მემოწმება მე „დივანი“ ბრძენის ეზროსი: საბრალოა, ოდეს ვარდი—სახე დაითრთვილება. დაზრება ცრემლით! საბრალოა, ვინც ფერმკრთალია ცრემლთა დენით, გალუული სევდისაგან, ვით ლერწამი, უცხოეთში გარდაიხევეწება საყარბოდ, „აბეზარ-ქმნილი“ მისი მამულიდან“.

ვის ეხება ეს სტროფი?

პოემის ტექსტთან ამ სტროფს არა აქვს პირდაპირი კავშირი. მართალია, ამის შემდეგ იწყება ავთანდილის მოგზაურობის აღწერა, მაგრამ იგი არ ყოფილა სამშობლოდან „აბეზარ-ქმნილი“. იგი წავიდა ტარიელის საძებრად თავისი მიჯნურის თინათინის დავალებით, აქ იყო სამსახური მიჯნურისა, აქ არ იყო მამულიდან „აბეზარ-ქმნა“.

ამას გარდა უაღრესად მნიშვნელოვანია თვით ის გარემოებაც, რომ შოთა იგონებს და მოწმედ მოჰყავს დივანი (პოეტურ თხზულებათა კრებული) ბრძენის ეზროსი. ეზრო, იგივე ეზრა (იბნ-ეზრა) არის ცნობილი ებრაელი პოეტი XI—XII საუკუნეთა. მასვე ეკუთვნის შრომები ფილოსოფიიდან, პოეტიკიდან და ლიტერატურათმცოდნეობიდან (წერდა ებრაულად და არაბულად). დაიბადა 1055 წელს არაბულ ესპანეთში (გრენადაში), გარდაიცვალა 1139 წელს ემიგრაციაში, ქრისტიანულ ესპანეთში. ციკლი ლექსებისა, დაწერილი უცხოეთში ყარბობის დროს, რომლებიც შევიდა ეზრას დივანში, გამსჭვალულია სევდით სამშობლოზე. კერძოდ ეზრას ლექსი „ყარბობის“ (= „ღარბობის“) მწარედრო“ პირდაპირ ეხმაურება რუსთაველის ლექსს (შეადარეთ ბოლო ტაეპი რუსთაველის ლექსისა: „იგი სადმე გადარბდეს, სამყოფთაგან იაბეზროს“).

X

საქართველო გიორგი-ლაშას დროს.
გიორგი-ლაშას დასავლური პოლიტიკა

1212 წელს გარდაიცვალა დიდი თამარი.

მემკვიდრე თამარისა არის გიორგი-ლაშა, რომელიც მეფობს 1212—1223 წლებში.

შოთა დაბრუნებულა საქართველოში ხანმოკლე ექსორიობის შემდეგ 1210-იან წლებში, ან თამარის მეფობის დასასრულს, ან გიორგი-ლაშას მეფობის დასაწყისში.

აქ საჭიროა შეეჩერდეთ გიორგი-ლაშას მეფობაზე. იგი გადაგვიშლის ახალ ფურცელს ქართული ჰუმანისტური მოძრაობის ისტორიიდან.

•

გიორგი-ლაშა თუმცა სრულებით ახალგაზრდა გარდაიცვალა, 30 წლისა, მაგრამ თერთმეტი წლის მანძილზე, როდესაც მეფობდა ლაშა, იგი ღირსეულად ხელმძღვანელობდა საქართველოს დიდ სახელმწიფოს.

გიორგი-ლაშა იყო გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი და დიდი მხედართმთავარი. ლაშას დროს საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები და პოლიტიკური გავლენის სფერო გაფართოვდა. მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

გიორგი-ლაშას დროინდელ მემკვიდრეს საგანგებოდ აღნიშნული აქვს, რომ ლაშა იყო არა მხოლოდ დიდი მხედართმთავარი (რომელსაც იგი დავით აღმაშენებელს ადარებს); მემკვიდრე საჭიროდ სთვლის საგანგებოდ ხაზი გაუსვას, რომ ლაშა იყო „ბედნიერი ქვეყანისა ნაყოფთა მოსღვისათვის“, დიდად ზრუნავდაო ქვეყნის მეურნეობის აყვავებისა და ხალხის კეთილდღეობისათვის¹.

მემკვიდრე წერს, რომ გიორგი-ლაშა იყო „დაჭირებულთა განმკითხველი, ბჭე და მოსამართლე“. გიორგი-ლაშა და მისი თანამოღვაწენი ყოფილან მეურვე და მზრუნველი არა მარტო დიდებულთა, არამედ „წერილი ერისა“; მემკვიდრის სიტყვით, ლაშა იყო „მოყვარული ყოველთა კაცთა, დიდთა და მცირეთა“ (შეადარეთ შოთა:

„დიდთა და წერილთა წყალობა შენცა ნუ მოგწყინებინ...“

„ყოვლთა სწორად წყალობას ვითა თოვლსა მოათოვდეს!...“)

იმავე მემკვიდრის სიტყვით, ლაშა და მისი თანამოღვაწენი არა მარტო თავისუფალთა, არამედ მონების მიმართაც შემწყნარებლობას იჩენდნენ. მემკვიდრეს საჭიროდ მიაჩნია საგანგებოდ აღნიშნოს, რომ გიორგი-ლაშა, უძლიერესი ხელმწიფე — „შვიდთა სამეფოთა მეფე“ — იყო „ერთისაცა მონისა მათრახისა არა მკრველი“, — მის მიერ ერთი მონაც არ დასჯილაო (შეადარეთ შოთა: „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები“).

ყველა ამ ცნობაში, რომელთაც გადმოგვცემს გიორგი-ლაშას მემკვიდრე, არ შეიძლება არ დაეინახოთ გამოძახილი იმ დიდი ჰუმანისტური მოძრაობისა, რომელიც გაიმალა საქართველოში XII—XIII საუკუნეთა საზღვარზე.

•

გიორგი-ლაშას დროს ბრძოლას ძველსა და ახალს შორის გამწვავებული სახე მიუღია.

გიორგი-ლაშას, ჰუმანისტური მოძრაობის გულმხურვალე მიმდევარსა და დიდ მფარველს, მიუღია ამ ახალი მოძრაობის წარმომადგენლნი სამეფო კარზე, როგორც სახელმწიფო საქმეების უახლოესი მრჩეველნი და ხელმძღვანელებნი.

¹ შითთებანი ძირითად წყაროებზე (1—69), რომლებიც საფუძვლად დაედო მონოგრაფია შოთა რუსთაველის საისტორიო მიმოხილვას 1212—1250 წლების მანძილზე, იხ. გვ. 233—239.

ამას დიდი განხეთქილება გამოუწვევია სამეფო კარზე. კონსერვატიულად განწყობილი ძველი სახელმწიფო მოღვაწენი არ დარიდებიან მეფესთან კონფლიქტს. სამეფო კარი დაუტოვებიათ ძველ ვაზირებს, მათ შორის ლაშას გამზარდელს, დიდად დამსახურებულ მოღვაწეს ივანე ათაბაგს. კლერიკალურ-კონსერვატიული იდეოლოგიის გამომსახველი ისტორიკოსი ეამთაალმწერელი ვაღმონიძე 2:

„უმეტეს ივანე ათაბაგი და ვარამ გაგელი ზაქარიას-ძე განეყენებოდეს დარბაზს ყოფისაგან; არ თავს-ვიდებთო — ეტყოდეს (გიორგი-ლაშას) — შენსა მეფედ ყოფასა, უკეთუ არა განეყენო ბოროტთა კაცთა სიახლესა“ (კლერიკალი ისტორიკოსი „ბოროტთა კაცთა“ სახელით ნათლავს ჰუმანისტური მოძრაობის წარმომადგენელთ; ახალი თაობის თავისუფალი მოაზრობა მას მიაჩნია ქრისტიანობიდან განდგომად).

ამრიგად, ოპოზიცია კონსერვატიული წრეებისა იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ ამას თვით სამეფო ტახტი შეურყევეია. ამ გავლენიან კონსერვატიულ წრეებს, ჩანს, მეფის გადაყენებაც კი განუზრახავთ: „არა თავს ვიდებთო შენსა მეფედ ყოფასა“ — შეუთვლიათ მათ გიორგი-ლაშასათვის.

გიორგი-ლაშა იძულებული გამხდარა ანგარიში გაეწია ოპოზიციისათვის და განხეთქილების თავიდან ასაცილებლად უცდია შემოერიგებინა ძველნი ვაზირნი.

მაგრამ ეს შერიგება კომპრომისული იყო. თუმცა ამის შემდეგ სახელმწიფო საქმეთა ხელმძღვანელებად ძველნი ვაზირნი არიან, მაგრამ ლაშას არ უღალატნია თავის შეხედულებათათვის; იგი ისევ განაგრძობდა ახლო ყოფნას ჰუმანისტურ წრეებთან, მათი გავლენა არ შემცირებულა.

ლაშას მეფობის ბოლო წლებში ეს კომპრომისული ზავი ისევ დარღვეულა. იმავე კლერიკალი ისტორიკოსის ცნობით, გიორგი-ლაშას მეფობის ბოლო პერიოდში სამეფო კართან ისევ დაახლოებულნი არიან ახალი მოძრაობის წარმომადგენელნი („მეფისა კარსა ზედა არა ყოფისა ღირსნი და აწ კარსა ზედა მყოფნი“). საქართველოს ორივე კათალიკოზი და კონსერვატიული წრეები ჩამოშორებიან სამეფო კარს. იგივე ეამთაალმწერელი წერს:

„დაღაცათუ კათალიკოზთა ორთავე და თავადთა ამის სამეფოსათა, და უმეტესად ივანე ათაბაგსა, უძმოდთ საქმე ესე, — არღარა ინებეს მის თანა სამარადისოდ ყოფა, არამედ განეშორნენ და თავის-თავისად იყოფოდეს“ 3.

ასეთი სახე მიიღო ბრძოლამ ძველსა და ახალს შორის XIII საუკუნის პირველ მეოთხედში.

მიუხედავად იმისა, რომ კონსერვატიული დასის ერთგვარი საბოტაჟი სირთულეებს ქმნიდა, გიორგი-ლაშა და მასთან დაახლოებული ჰუმანისტური წრეები ცუდად არ ხელმძღვანელობდნენ ქვეყანას.

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ დიდი თამარის ეპოქაში საქართველოს სახელმწიფომ დაიკავა მაღალი ადგილი ძველი ბიზანტიის იმპერიისა და წარმოდგენდა ევროპის ცივილიზაციის დიდ სახელმწიფოს აღმოსავლეთის საზღვარზე.

ხოლო გიორგი-ლაშას დროს საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები და პოლიტიკური გავლენის სფერო კიდევ უფრო გაფართოვდა.

ჯერ ერთი, გიორგი-ლაშას დროს გაძლიერდა და განმტკიცდა საქართველოს გავლენა ჩრდილო ირანში, — ირანის ადარბადაგანში, როგორც ამას ადასტურებენ წყაროები — ქართული (გიორგი-ლაშას მატინე), სპარსულ-არაბული (ნესევი, ჯუვეინი, რაშიდ-ად-დინი, იბნ-ალ-ასირი, გეოგრაფიული ძეგლი XIII საუკუნის დასაწყისისა „აჟაბ-ად-დუნია“), სომხური (მხითარ აირივან-ქელი)⁴.

ხოლო კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო საქართველოს გავლენის სფეროში შემოყვანა ხ ლ ა თ ი ს ს ა ს უ ლ თ ნ ო ს ი, რომელსაც ეკირა ისტორიული სომხეთის ტერიტორიები (ვანის ტბის ზონა და ზემო ევფრატის სექტორები ვიდრე მესოპოტამიამდე), რის გამო ხლათის სულთანი „შაჰი-არმენის“ — სომხეთის მეფის — ტიტულს ატარებდა.

ჩვენ აქ უფრო დაწვრილებით ამ მეორე ფაქტს შევეხებით, საქართველოსა და ხლათის ურთიერთობას, რადგან ამას კავშირი აქვს იმ ისტორიულ ამბებთან, რაზედაც ჩვენ საუბარი გვექნება მომდევნო თავებში.

ხლათის სასულთნოში, ისტორიულ სომხეთში, ძირითადი მკვიდრი მოსახლეობა სომხური იყო, მაგრამ აქ აგრეთვე იყო მუსულმანთა საკმაოდ დიდი მოსახლეობა, და პოლიტიკური ძალაუფლება, XI საუკუნიდან მოკიდებული (სელჯუკების დიდი გადმოსახლების დროიდან), მუსულმანთა ხელში იყო.

გიორგი-ლაშას დროს ხლათის სასულთნო შედიოდა როგორც შემადგენელი ნაწილი ეგვიპტე-სირია-მესოპოტამიის გაერთიანებულ დიდ მუსულმანურ სახელმწიფოში, რომლის სათავეში იდგა მელიქ-ალ-ადილი (1193—1218), ძმა და შემკვიდრე დიდი სალადინისა, იერუსალიმის დამპყრობელისა. ეგვიპტე-სირია-მესოპოტამია ამ დროს არ იყო მჭიდროდ დაკავშირებული ერთიანი უნიტარული სახელმწიფო, არამედ წარმოადგენდა სამი სამეფოს კავშირს: ე გ ვ ი პ ტ ე (სადაც იჭდა დინასტიის მეთაური მელიქ-ალ-ადილი), ს ი რ ი ა და მ ე ჯ ო პ ო ტ ა მ ი ა.

რაც შეეხება ხლათის სასულთნოს, იგი უფრო გვიან იყო შემოერთებული (1207 წლიდან), და უნიტარული იყო დაკავშირებული მესოპოტამიის სამეფოსთან. ლაშა-გიორგის დროს მესოპოტამიის და ხლათის ამ გაერთიანებული სამეფოს სათავეში არის მელიქ აშრაფი (1211—1237), ძე ზემოთ დასახელებული მელიქ-ალ-ადილისა.

გიორგი-ლაშას მემატინის ცნობით, ლაშამ თავისი მეფობის პირველ პერიოდში ილაშქრა „დიდსა სპარსეთსა“ და შემოიმტკიცა ჩრდილო ირანი (ირანის ადარბადაგანი)⁵.

იგივე მემატინე გადმოგვცემს, რომ ლაშამ ირანში ლაშქრობის შემდეგ დაიპყრო ხ ლ ა თ ი ს ქ ე ე ყ ა ნ ა — „შემოიხვეწა ხ ლ ა თ ე ლ ი (მფლობელი ხლათისა), და ძღვევაშემოსილმან მას ზედა, მისცა ზავისა სიმტკიცენი — მათგან შეუცოდებლობასა შინა...“⁶.

ხლათის სასულთნო ამის შემდეგ საქართველოს პოლიტიკური გავლენის სფეროში შემოდის, ხლათის სასულთნო ხდება საქართველოს სახელმწიფოს ვასალურ სამეფოდ⁷.

ეს მოხდა 1215—1217 წლებში (არა უგვიანეს 1218 წლისა, რადგან ამ დროს მამა ხლათის მფლობელისა, მელიქ-ალ-ადილი, ცოცხალი ყოფილა).

ხლათის სასულთნოს დაპყრობა, როგორც ირკვევა, დიდი ბრძოლების შემდეგ მომხდარა.

ქართველთა ძლევამოსილ ლაშქრობას უდიდესი გამოხმაურება ჰქონდა ახლო აღმოსავლეთში. ამან დიდად აამაღლა საქართველოს სახელმწიფოს ავტორიტეტი და ქართველ ჯარს უძლევლობის პრესტიჟი განუმტკიცა.

ევროპელი ჯვაროსნები, რომელთაც ამის წინა პერიოდში დაჰკარგეს იერუსალიმი (იგი აიღო სალადინმა 1187 წელს), და რომელთაც XIII საუკუნის დასაწყისში იერუსალიმის მეზობლად ეპირათ დასავლეთ პალესტინისა და სირიის ხმელთაშუა ზღვის სანაპირო, უდიდესის სიხარულით შეეგებნენ ქართველთა გამარჯვებას. ევროპელებს იმედი მოეცათ, რომ ქართველები, ხლათის სასულთნოს აღების შემდეგ, შემოვიდოდნენ აგრეთვე სირიაში, რომ სირია-ეგვიპტის მუსულმანობა ვერ გაუმკლავდება ქართველ ჯარს, და რომ ქართველები შეძლებენ თვით იერუსალიმის განთავისუფლებას.

თუ რა აღფრთოვანება გამოუწვევია ევროპელ ჯვაროსანთა შორის ქართველთა მიერ ხლათის დაპყრობას, თუ როგორი დიდი იმედები აღუძრავს მათში, ამას ცხადყოფს ერთი უაღრესად საყურადღებო დოკუმენტი, წერილი გაგზავნილი პალესტინის ჯვაროსანთა წრიდან საფრანგეთში, ბეზანსონის მხარის მთავარეპისკოპოსისა და მთავრის ამედე დე ტრემლის სახელზე (ბეზანსონის მხარე ამ დროს დამოუკიდებელ სამთავროს წარმოადგენდა საფრანგეთში, ბეზანსონის მთავარეპისკოპოსი ამ მხარის მთავარი იყო).

წერილი გაგზავნილია 1215 წლის ახლო, ე. ი. სწორედ იმ წლებში, როდესაც ქართველმა ჯარმა დაიპყრო ხლათის ქვეყანა.

წერილში ვკითხულობთ:

„ი ვ ე რ ი ი თ გ ა ნ — ქრისტიანენი, გეორგენებად წოდებულნი, ურიცხვი მხედრობით და ქვეითი ჯარით, ღმრთის აღმაფრთოვანებელი დახმარებით, ძალითა ფრიად აღჰურვილით, ურწმუნო წარმართთა წინააღმდეგ სწრაფად აღდგნენ, და აიღეს რა უკვე 300 ციხე და 9 დიდი ქალაქი, მაგარნი დაიპყრეს, ხოლო სუსტნი ნაცარტუტად აქციეს. აღნიშნულ ქალაქთაგან ერთი, ეფრატზე მდებარე, ყველა წარმართთა ქალაქთა შორის წარჩინებული ყოფილა და დიდი. ამ დიდი ქალაქის პატრონი ბაბილონის სულთანის შვილი იყო; და ზემოთ ნათქვამ ქრისტიანეთაგან ტყვედ ქმნილს, თავი მოეკვითა, თუმცა უზომო ოქროს განძის მიცემა აღუთქვა.“

„ზემოთ-აღნიშნულნი (ივერიელნი) წმიდის ქალაქის იერუსალიმის მიწის სახსნელად მოვლენ და მთელ საწარმართოს დაიმორჩილებენ. მათი წარჩინებული მეფე თექვსმეტი წლისაა (— სინამდვილეში გიორგი-ლაშა ამ დროს, 1215 წლისათვის, 23 წლისა იყო), ალექსანდრეს ბადალი ძალითა და სიკეთით, თუმცა არა სარწმუნოებით“ (— ე. ი. ალექსანდრეს ბადალი არისო ძალითა და სიკეთით, ხოლო სარწმუნოებით ალექსანდრეზე მაღლა დგასო, ვინაიდან ალექსანდრე წარმართი იყო, ხოლო ლაშა ქრისტიანი).

„ჰაბუჟი ესე დედის მისის დედოფლის უძლიერესის თამარის ძვლებს თან ატარებს, რომელმაც, სანამ ცოცხლობდა, იერუსალიმად წასვლის აღთქმა დასდვა და შეილსა თვისსა სთხოვა, თუ მიიცვალებოდა, ძვლები მისი უფლის საფლავთან წაესვენებიათ. მან კი, დიდის დედის თხოვნათა ყურადმღებელმა და

დედის ალექსის შესრულების მსურველმა, დააპირა მისი (ნეშტის) წმიდა ქალაქში წამოღება წარმართთა ნებით თუ უნებლიეთ¹⁸.

ეს წერილი დაწერილია იერუსალიმში პირველად მიღებული ცნობების მიხედვით და აგრეთვე გავრცელებული ხმების მიხედვით.

წერილში დასახელებული ბაბილონის სულთნის შვილი, მეთაური ხლათის სახელმწიფოსი, არის ზემოთ მოხსენებული მელიქ აშრაფი (შვილი ეგვიპტე-სირია-მესოპოტამიის გაერთიანებული სახელმწიფოს მეთაურის მელიქ-ალ-ადილისა). როდესაც ქართველთა ჯარმა აიღო ხლათის ქვეყანა, ქართველებს ტყვედ წამოუყვანიათ მელიქ აშრაფი; ამის გამო ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ სირია-პალესტინის ჯვაროსანთა შორის, გავრცელებულა ხმები, ვითომც ხლათის სულთანი ქართველებმა სიკვდილით დასაჯეს. მაგრამ ეს ხმები არ იყო მართალი. დაზავების შემდეგ მელიქ აშრაფი გიორგი-ლაშამ გაათავისუფლა და დასტოვა ხლათის მფლობელად, როგორც საქართველოს „ყმად ნაფიცი“, ვასალი საქართველოსი. ქართველი მემართანე, როგორც აღნიშნული გვქონდა, გადმოგვცემს, რომ გიორგი-ლაშამ „შემოიხვეწა ხლათელი (მფლობელი ხლათისა), და ძლევამოსილმან მას ზედა მისცა ზავისა სიმტკიცენი მათგან შეუცოდებლობასა შინა“.

ასევე გავრცელებულ ხმებს ემყარებოდა წერილის ცნობა თამარის შესახებ. თამარის ნეშტი არავის შეუწუხებია. თამარი დაკრძალეს გელათში 1212 წელს, იანვარში, როგორც ამას ადასტურებს სამი ქართველი ისტორიკოსი XIII საუკუნის დასაწყისისა (ბასილი ეზოსმოდგვარი; თამარის II ისტორიკოსი, ავტორი „ისტორია-აზმათა“ მეორე ნაწილისა; ლაშა-გიორგის მემართანე)¹⁹.

•

აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ხლათის სასულთნოს შემოყვანა საქართველოს გავლენის სფეროში, ეს იყო ერთ-ერთი დიდი აქცია დასავლური პოლიტიკისა, რომელსაც ატარებდა ამ ეპოქაში საქართველო.

ამავე დასავლური პოლიტიკით იყო ნაკარნახევი უდიდესი მნიშვნელობის აქტი საქართველოს სახელმწიფოს ისტორიისა — ტრაპიზონის სამეფოს დაარსება დიდი თამარის მიერ XIII საუკუნის დასაწყისში.

ტრაპიზონის სამეფოს სახით საქართველომ შექმნა ხიდი, მტკიცე დასაყრდენი ევროპასთან კავშირის დასამყარებლად კონსტანტინეპოლის გზით.

ხოლო საქართველოს პოლიტიკური გავლენის სფეროში შემოყვანა ხლათის ქვეყნისა, ეს იყო ახლად გადადგმული ნაბიჯი, რომელიც საბოლოოდ ისახავდა მიზნად უშუალო კავშირის დამყარებას დასავლეთ-ევროპელებთან, რომლებიც ამ დროს დაემკვიდრებულნი იყვნენ სირია-პალესტინაში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე.

და ეს ასეც გაუგიათ სირია-პალესტინაში მკვიდრ დასავლეთ-ევროპელებს, როგორც ეს ჩანს ზემოთ მოყვანილი წერილიდან.

ამას გარდა, თვით ეს ფაქტი, რომ მესოპოტამია-ხლათის მეფე მელიქ აშრაფი ვახდა ვასალი საქართველოსი, იმას მოასწავებდა, რომ მუსულმანთა საკავშირო სახელმწიფო ეიუბიანთა დინასტიისა, რომელიც ფლობდა იერუსალიმს, არც ისე ძლიერია; მუსულმანთა ამ სახელმწიფოს სამი საკავშირო სამე-

ფოდან (ეგვიპტე, სირია, მესოპოტამია-ხლათი) უკვე გამოაკლდა მესამე — მესოპოტამია-ხლათი.

უნდა ვიცოდეთ ამასთან, რომ საკუთრივ მესოპოტამია, ერთი ნაწილთაგანი მესოპოტამია-ხლათის სამეფოსი — ეს არის ძველი ედესის სამთავრო, რომელიც XII საუკუნის პირველ ნახევარში დასავლეთ-ევროპელებს ეპყრათ და 1143 წელს დაპყარეს; ამრიგად, რამდენადაც მეტი ამრაფი საქართველოს სახელმწიფოს ვასალი გახდა, საქართველოს გავლენა გავრცელდა აგრეთვე მესოპოტამიაზე, რომელიც აღრე დასავლეთ-ევროპელებს ეკუთვნოდა.

ყოველივე ამის გამო, როგორც საქართველოში, ისე ევროპაში ფიქრობდნენ, რომ შეერთებული ძალები ქართველთა და დასავლეთ-ევროპელთა შეძლებენ საერთო პოლიტიკური მიზნების განხორციელებას სირია-პალესტინაში.

*

ევროპაში პალესტინიდან მიღებულ ისეთი სახის წერილებს, როგორც არის ზემოთ მოყვანილი, უდიდესი ყურადღებით ეკიდებოდნენ, ფართოდ ავრცელებდნენ მათ და ჯვაროსანთა ლაშქრობის დაწყებისას საჯაროდ კითხულობდნენ.

1219 წლიდან დაიწყო ევროპელ ჯვაროსანთა ახალი ლაშქრობა ახლო აღმოსავლეთში. ჯვაროსნებმა გადმოსხეს დესანტი ეგვიპტეში (რომელიც ეგვიპტე-სირია-მესოპოტამიის მუსულმანთა გაერთიანებული სახელმწიფოს ცენტრს წარმოადგენდა) და აიღეს ქალაქი დამიეტა, რომელიც დიდ სიმაგრედ ითვლებოდა. ჯვაროსანთა ეს ლაშქრობა, რომელიც დამიეტის ომის სახელით არის ცნობილი, გაგრძელდა 1219 — 1221 წლებში.

ევროპელებმა ლაშქრობის დაწყება აცნობეს საქართველოში გიორგი-ლაშას და სთხოვეს დახმარება. ერთ ევროპულ მატთანში ამ ეპოქისა აღნიშნულია, რომ დამიეტის აღების შემდეგ 1220 წელს რომის პაპა ჰონორიო III-ემ გამოგზავნა წერილი და თავისი ელჩები „ქართველთა ქვეყანაში, რომლებიც არიან კაცნი მართლმორწმუნენი, ძლიერნი ომში, და სთხოვდა მათ, რათა თავის მხრიდან ომი დაეწყათ სარკინოზთა წინააღმდეგ“ (ქრონიკა XIII საუკუნის გერმანელი მემატიანის ალბერტ მონაზონისა)¹⁰.

წყაროებში დაცულია ამასთან ცნობა იმის შესახებ, რომ ქართველებმა საპასუხო წერილი მისწერეს დასავლეთის ჯვაროსნებს და შეატყობინეს, რომ ისინი არ დააყოვნებენ გამოლაშქრებას და აღთქმას სდებენ, რომ არ ჩამორჩებიან ფრანკებს (ევროპელებს) თურქთა დამარცხებასა და პალესტინის განთავისუფლების საქმეში¹¹.

საქართველოში შეუდგნენ ლაშქრობისათვის მზადებას.

მაგრამ საქართველოს საზღვრებს ამ დროს მოადგნენ მონგოლები.

XI

დიდი პოეტი—მამა მარისა

ბოლო პერიოდი შოთა რუსთაველის ცხოვრებისა:
1220—1250 წლები

XIII საუკუნის 20—30-იანი წლები არის ეპოქალური ზღურბლი, მოსაბრუნე მიჯნა აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა ისტორიაში.

XIII საუკუნის 20—30-იანი წლებიდან დაიწყო, მონგოლთა მოთავეობით, აღმოსავლეთი და ცენტრალური აზიის ხალხთა დიდი მოძრაობა დასავლეთისაკენ, მათი წამლეკავი შემოტევა დასავლეთზე, ევროპული კულტურის წრის ქვეყნებზე. მსხვერპლი ამ შემოტევისა გახდნენ: საქართველო და სსრკ-ს — ევროპის მსოფლიოს სამხრეთ-აღმოსავლეთ მიჯნაზე, და აღმოსავლეთი სლავები. რუსეთის სსრკ-ს — ევროპის ჩრდილო-აღმოსავლეთ მიჯნაზე.

საქართველოს სახელმწიფოს ამ უდიდესი პოლიტიკური კრიზისის დროს შოთა რუსთაველი ჩვენ გვევლინება, როგორც დიდი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე: შოთა, და მის გვერდით პლეადა ქართველი პატრიოტებისა, თავდადებით ხელმძღვანელობენ საქვეყნო საქმეებს ერის განსაცდელის ეამს.

შოთა რუსთაველი უდიადესი პოეტი, ხოლო ამავე დროს შოთა რუსთაველი არის მამა ერისა.

•

შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის საკითხებთან დაკავშირებით ჩვენ ამ მოგვიხდება დაწვრილებით გავაშუქოთ ფაქტები საქართველოს ისტორიისა მონგოლთა შემოსევის ეპოქიდან, რადგან შოთა რუსთაველი უახლოესი მონაწილეა ამ დიდი, მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიული ამბებისა.

ისტორიული ფაქტები, რომლებზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი, ღირს-სანსოვარია არა მარტო საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით, არამედ ზოგად-ევროპული ისტორიის თვალსაზრისით.

აღმოსავლეთ ევროპის მსოფლიოს ხალხებმა ამ ეპოქაში უდიდესი მსხვერპლი გაიღეს ევროპული კულტურის დაცვის საქმეში. ეს ეხება, პირველ რიგში, როგორც აღვნიშნეთ, აღმოსავლეთ ევროპის მსოფლიოს სანაპირო ქვეყნებს, საქართველოსა და რუსეთს.

რუსმა ხალხმა გადაიტანა უდიდესი სიმძიმე მონგოლთა შემოსევისა ევროპის აღმოსავლეთ მიჯნაზე. ამავე დროს, ევროპის მსოფლიოს სამხრეთ-აღმოსავლეთ მიჯნაზე, საქართველოში, ქართველმა ხალხმა ასევე უდიდესი მსხვერპლი გაიღო.

მონგოლთა შემოსევა დიდად შეფერხდა და შენელდა რუსეთში, ასევე კავკასიაში, საქართველოში, და ვერ შესძლო ფართოდ გავრცელებულიყო დასავლეთის მსოფლიოს ქვეყნებზე.

ქართველი ერის ისტორიის ამ განსაცდელიანი ეპოქიდან ჩვენ გვინათებს შარავანდელით მოსილი სახე შოთა რუსთაველისა, დიადი პოეტისა და დრის მამისა.

1

მონგოლთა პირველი ლაშქრობა ევროპის მსოფლიოს ძველხანაში

ბრძოლები საქართველოში 1220—1222 წლებში.

ბრძოლები რუსეთის საზღვარზე 1223 წელს

1220 წლისათვის მონგოლთა სახელმწიფოს ფარგლებში უკვე შედიოდა დიდი ნაწილი აზიისა, ჩრდილო ჩინეთის მიჯნებიდან მოკიდებული ვიდრე კასპიის ზღვამდე.

1220 წელს მონგოლთა შემოტევის შედეგად დაემხო ხვარაზმის იმპერია, უძლიერესი სახელმწიფო ისლამისა აზიაში, რომელიც მოიცავდა შუა აზიის ქვეყნებსა და სრულიად ირანს, სპარსეთსა და ავღანისტანს—ინდოეთის მისადგომებამდე.

ამის შემდეგ მონგოლთა სახელმწიფოს ხელმძღვანელნი დასავლეთის ქვეყნების დაპყრობაზე ფიქრობენ.

მონგოლთა პირველი ლაშქრობა დასავლეთში, ევროპის მსოფლიოს ქვეყნებში, მოეწყო 1220—1223 წლებში. ეს იყო დიდი სამხედრო დაზვერვითი ექსპედიცია. მონგოლეთის სახელმწიფოს მეთაურმა ჩინგის-ყაენმა დაავალა ლაშქრობის მხედართმთავრებს ევლოთ ბრძოლებით დასავლეთის მიმართულლებით, სადამდისაც შეძლებდნენ, და ჩრდილოეთის გზით, შავი ზღვისა და კასპიის ზღვის ჩრდილოეთ მხარეებზე გამოვლით, დაბრუნებულიყვნენ მონგოლთა სახელმწიფოში. ჩინგის-ყაენმა ამ დიდ სამხედრო ექსპედიციას სამი წლის ვადა დაუნიშნა.

პირველი ქვეყანა დასავლეთისა, რომლის საზღვრებსაც მოადგნენ მონგოლები, იყო საქართველო. 1220 წლის ბოლოს, ზამთრის პირას, მონგოლებმა გადმოლახეს ამიერკავკასიის სამხრეთი სანაპირო მდინარე არაქსი და შემოვიდნენ არაქსის ქვეყანაში, რომელიც კასპიის ზღვის პირას მდებ-

ბარეობდა და მუსულმანებით (თურქ-სელჯუკებით) იყო დასახლებული. არანო ამ დროს საქართველოს სახელმწიფოს ვასალურ მხარეს წარმოადგენდა. ნომადი მონგოლები არანის განთქმულ საზამთრო საძოვრებზე დაბანაკდნენ¹².

საქართველოს მეფემ ლაშა-გიორგიმ კავშირი დაამყარა მეზობელ ქვეყნებთან მონგოლთა უკუსპიკეველად.

ცნობილი არაბი ისტორიკოსი იბნ-ალ-ასირი (1160 — 1234), თანამედროვე აღწერილი ამბებისა, შემდეგს გადმოგვცემს:

„გაგზავნეს ქართველებმა ელჩები უზბეგთან, ადარბადაგანის მფლობელთან, რათა დაედვით ზავი, დაემყარებინათ თანხმობა და ერთად გამოსულიყვნენ თათრების (მონგოლების) წინააღმდეგ.

მათ დადევს ზავი და შეთანხმდნენ—შეკრებილიყვნენ ერთად და მოეწყით ლაშქრობა, როცა კი ზამთარი გავიდოდა.

ქართველებმა აგრეთვე გაგზავნეს ელჩები ხლათის და მესოპოტამიის მფლობელთან მეფე ალ-აშრაფთან*, რათა გაერთიანებულნიყვნენ ქართველებთან.

ყველა ისინი ჰფიქრობდნენ, რომ თათრები დარჩებოდნენ საზამთრო აღმოსავლეთში (არანის ყიშლაყებზე) გაზაფხულამდე. მაგრამ თათრები სხვარგად მოიქცნენ. ისინი დაიძრნენ და შეუტიეს ქართველთა ქვეყანას¹³.

1220 წლის დასასრულს და 1221 წლის იანვარ-თებერვალში ქართველებსა და მონგოლებს შორის რამდენიმე ბრძოლა გაიმართა¹⁴. პირველ ბრძოლებში ქართველებმა დამარცხება განიცადეს. ქართველებისათვის სრულიად უცხო იყო მონგოლთა ბრძოლის თავისებური წესები. ამასთან, მონგოლთა სამხედრო ხელოვნება დიდ სიმალეზე იდგა (უნდა ვიცოდეთ ამასთან, რომ მონგოლთა განკარგულებაში იყო აზიის მოწინავე ქვეყნების, კერძოდ ჩინური, სამხედრო ტექნიკა).

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ამ უცნობი ხალხის—მონგოლების შესახებ მრავალი ლეგენდა ვრცელდებოდა. როდესაც მონგოლები მოუახლოვდნენ საქართველოს, ქრისტიანულ ქვეყანას, თვით მონგოლებმა, დეზორიენტაციის მიზნით, გაავრცელეს ხმები, ვითომც ისინი ქრისტიანები არიან**. ამან ხელი შეუწყო მონგოლთა დაზვერვის მუშაობას და, როგორც აღნიშნულია იმდროინდელ ოფიციალურ დოკუმენტებში, გაუადვილა მონგოლებს პირველ გამარჯვებათა მოპოვება.

ხოლო ბოლო გადამწყვეტი ბრძოლა ქართველთა და მონგოლთა შორის, რომელიც 1221 წლის თებერვალში მოხდა, ქართველთა დიდი გამარჯვებით დასრულდა. ქართველებმა აიღეს მთავარი სადგური მონგოლებისა არანში (ბალის წყალთან) და დიდი ზარალით უკუსპიკეეს ისინი¹⁵.

* როგორც აღნიშნული გვქონდა, ალ-აშრაფი, მეფე ხლათისა და მესოპოტამიისა, 1215 — 1217 წლებიდან საქართველოს სახელმწიფოს ვასალი იყო.

** საქართველოს სოფლებში მონგოლები შემოდინდნენ ჭვარის წინ წამძღვარებით (ასევე ჭვარის წინ წამძღვარებით იწყებდნენ ისინი ბრძოლასაც).

ამის შემდეგ მონგოლებმა შესცვალეს თავისი ექსპედიციის გეგმა. მათ გადაწყვიტეს გასცლოდნენ საქართველოს და განეგრძოთ სანხედრო ექსპედიცია დასავლეთისაკენ სხვა გზით, საქართველოს გვერდის ავლით: სანელდობრ, მათ გადაწყვიტეს დაბრუნებულიყვნენ ირანის ადარბადაგანში, გადაელახათ ადარბადაგანსა და მესოპოტამიას შუა მდებარე მთები, და მესოპოტამიაზე გავლით (არბელისა და დიარბექირის გზით) გადასულიყვნენ ანატოლიაში, რუმის ქვეყანაში, ბიზანტიის ძველ მიწა-წყალზე, აქედან კი გზი აეღოთ ნიკეის ბერძენთა სამეფოსა და კონსტანტინეპოლისაკენ.

მონგოლებმა დასტოვეს ამიერკავკასია და გადავიდნენ ირანის ადარბადაგანში 1221 წლის თებერვალში. მაგრამ მონგოლებმა ვერ შესძლეს ამ ახალი გეგმის განხორციელება. ლაშა-გიორგიმ აცნობა მონგოლთა ჯარის მოძრაობა მესოპოტამიის მფლობელებს და დარაზმა ისინი.

ამას გარდა ლაშა-გიორგიმ საგანგებო ელჩი გაგზავნა ბაღდადში ხალიფას წინაშე, რათა მას მონაწილეობა მიეღო ამ საერთო ღონისძიებაში, მონგოლთათვის გზების შეკვრაში.

როდესაც მონგოლები მიაღწენენ მესოპოტამიის მოსაზღვრე მთებს, ყველა უღელტეხილი მათ დაეკეტილი დახვდათ, ხოლო მესოპოტამიის მფლობელთა ჯარები, გამაგრებული მთიანეთის მიუდგომელ ვიწროებში, საომრად გამზადებული. მონგოლებმა მესოპოტამიაში გადახვლა ვეღარ მოახერხეს.

მონგოლები დარჩნენ ირანის ადარბადაგანში 1221 წელს, ჩააქრეს ზურგს უკან მოწყობილი აჯანყება ირანელებისა და დაიპყრეს ამ ქვეყნის ყველა მთავარი ცენტრი¹⁶.

1221 წლის დასასრულს მონგოლებმა ახალი გეგმა დასახეს; მათ გადაწყვიტეს ხელახლა დაბრუნებულიყვნენ ამიერკავკასიაში, და საკუთრივ საქართველოს გვერდის ავლით, გაეარათ აღმოსავლეთი ამიერკავკასია და კასპიის ზღვის ნაპირას მდებარე განთქმული დარუბანდის კარის გავლით—გადასულიყვნენ ჩრდილო კავკასიაში, აქედან კი ყივჩაღეთსა და რუსეთში.

1222 წლის დასაწყისში მონგოლები ადარბადაგანიდან ამიერკავკასიაში შემოვიდნენ, არანის მხარეში. საქართველოს მთავრობა, რომელიც თვალს ადევნებდა მონგოლების ყოველ მოძრაობას, მომზადებული შეხვდა მონგოლთა დაბრუნებას. საქართველოს ჯარები საომრად გაეწყო საქართველოს აღმოსავლეთ საზღვრებთან¹⁷.

ამავე დროს საქართველოს მეფემ აცნობა თავის ვასალს შირვან-შაჰს, რათა დაეკეტა დარუბანდის კარები, რომელიც შირვანის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ასეთივე განკარგულება დარუბანდის კარების დაკეტვის შესახებ გაეგზავნა აგრეთვე პირადად დარუბანდის მმართველს, საქართველოს მეფის ადგილობრივ ვასალს.

როდესაც კი მონგოლებმა გაიგეს, რომ საქართველომ შეკრიბა ჯარი და საბრძოლოდ ემზადება, მონგოლები სასწრაფოდ აიყარნენ არანიდან და საკუთრივ საქართველოს გვერდის ავლით ჩავიდნენ შირვანში, რათა აქედან გზა გაეკაფათ დარუბანდისაკენ. შირვანში მათ ალყა შემოარტყეს დედაქალაქს შემახას, აიღეს იგი და ააოხრეს. აქედან მონგოლები გაემართნენ დარუბანდისაკენ, მაგრამ დარუბანდის კარები მათ დაეკეტილი დახვდათ. მონგოლები

ამრიგად ჩიპში აღმოჩნდნენ. მონგოლებს არაფერი დარჩენოდათ ვარდა იმისა, რომ კავკასიონის მთების უვალი უღელტეხილებით, დიდის ხიფათით, გადასულიყვნენ ჩრდილო კავკასიაში, ხოლო აქედან ყივჩაღეთში¹⁸.

XIII საუკუნის ისტორიკოსები შემდეგს გადმოგვცემენ მონგოლთა ლაშქრობის შესახებ შირვანის მხარეში.

არაბი ისტორიკოსი იბნ-ალ-ასირი (1160 — 1234) წერს:

„თათრები გაუსწორდნენ რა ქალაქს (შემახას, შირვანის დედაქალაქს), მოინდომეს წასულიყვნენ (სამშობლოში) დარუბანდის გზით, მაგრამ ვერ მოახერხეს (დარუბანდის კარის დაკეტვის გამო). მაშინ თათრებმა აცნობეს შირვან-შაჰს, დარუბანდ-შირვანის მეფეს, რათა მას გამოეგზავნა ელჩები ზავის დასადგებად. შირვან-შაჰმა გამოეგზავნა მოლაპარაკების საწარმოებლად თავისი ათი დიდებული. თათრებმა მოჰკლეს ერთი მათგანი, ხოლო დანარჩენებს უთხრეს: „თუ თქვენ გვიჩვენებთ გზას, რომლითაც გადავალთ დარუბანდზე, გაჩუქებთ სიცოცხლეს, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენც მოგვკლავთ ისევე, როგორც ზოგალოთ ეს კაცი“. ხოლო მათ უპასუხეს, რომ დარუბანდზე გადასასვლელად არ არსებობს არავითარი გზა (დარუბანდის კარის გაუვლელად), არის მხოლოდ ერთი ადგილი, რომლითაც შეიძლება მისი შემოვლა. თათრები გაჰყვნენ მათ და განვლეს ეს ადგილი, მოიტოვეს რა უკან დარუბანდი“¹⁹.

მეორე თანამედროვე ავტორი, სომეხთა ისტორიკოსი XIII საუკუნისა კირაკოს განძაყელი შემდეგს გადმოგვცემს:

„საქართველოს მეფემ (ლაშამ) ხელახლა შეჰყარა ლაშქარი, უფრო მრავალრიცხოვანი, ვიდრე პირველად და მოემზადა გამკლავებოდა თათრებს. თათრებმა (არანიდან, სადაც ისინი დაბანაკებულნი იყვნენ) აჰყარეს დედაწული (ცოლ-შვილი), წაიღეს საქონელი და გაემართნენ დარუბანდის კარებისაკენ, იმ განზრახვით. რომ შინ (მონგოლეთში) დაბრუნებულყვნენ. მაგრამ შირვანელებმა, რომლებიც ფლობდნენ დარუბანდს, არ გაატარეს ისინი. მაშინ თათრებმა მიუდგომელი უვალი გზებით გადალახეს კავკასიონის მთები; გზაში შეხვედრილ უფსკრულებს ისინი ავსებდნენ ხეებით, ქვებით, ჰყრიდნენ შიგ თავის ბარგს, ცხენებსაც კი, სამხედრო საქურველს, და ამრიგად გადალახეს იგი და გაემართნენ სამშობლოსაკენ“²⁰.

როგორც ვხედავთ, მონგოლთა ეს პირველი ექსპედიცია საქართველოში 1220—1222 წლების მანძილზე საბოლოოდ მონგოლთა მარცხით დამთავრდა. მონგოლთა უკანასკნელ უკანდახევას საქართველოდან უწესრიგო ლტოლვის სახე მთლიან.

ხოლო, რაც მთავარია, მონგოლებმა ვერ შესძლეს თავისი ფართოდ დასახული გეგმების განხორციელება, ვერ გაიკაფეს გზა დასავლეთის შიშართულებით, ვერ მოახერხეს გასულიყვნენ ანატოლიაში, რუმის ქვეყანაში, ბიზანტიის ძველ მიწა-წყალზე, ხოლო აქედან ბერძენთა ნიკეის სამეფოში, რომელიც კონსტანტინეპოლის ლათინთა სამეფოს ესაზღვრებოდა. ქართველებმა ორგანიზება გაუწიეს და დარაზმეს მეზობელი ქვეყნები, შეჰყარეს მონგოლთა გარშემო გაუვალი წრე. ქართველებმა დაამარცხეს მონგოლები არა მხოლოდ მილიტარულად, არამედ აგრეთვე პოლიტიკურად.

თანამედროვენი, რომელნიც მომსწრენი იყვნენ, თუ როგორ სწრაფად დაიპყრეს მონგოლებმა აზია, მონგოლთა უკუქცევას საქართველოდან 1222 წელს საქართველოს გამარჯვებად სთვლიდნენ. ასეთია შეხედულება როგორც ლაშა-გიორგის დროინდელი ქართველი მემართანისა, ისე უცხოელებისა, სომეხი და არაბი ისტორიკოსებისა.

კერძოდ, ზემოდასახელებული არაბი ისტორიკოსი იბნ-ალ-ასირი გადმოგვცემს, თუ რა პასუხი ვასცეს ქართველებმა ხვარაზმშაჰის ჭალალედინის ელჩებს, როდესაც ჭალალედინმა ომი გამოუცხადა საქართველოს. იბნ-ალ-ასირი წერს:

„ჭალალედინი, მას შემდეგ, რაც იგი ირანის ადარბადაგანში მოვიდა (ლტოლივილი ირანის დაპყრობელ მონგოლთაგან), სულ ამას იმეორებდა: „მე მინდა გავილაშქრო საქართველოზე, შევება მათ და დავიპყრო მათი ქვეყანა“.

„ამიტომაც, როგორც კი მან დაიჭირა ადარბადაგანი, შეუთვალა ქართველებს, რომ ომს უცხადებს მათ, რაზედაც ქართველებმა შემდეგი უპასუხეს:

„ჩვენთან მოვიდნენ თათრები, რომლებმაც, შენც კარგად იცი, თუ რა დღე დააწიეს შენს მამას; მამაშენი შენზე ძლიერი იყო, შენზე დიდ-სულთვანი, შენზე მეტი ლაშქარი ჰყავდა, მაგრამ შენც კარგად იცი, თუ როგორ მიიტაცეს თათრებმა თქვენი ქვეყნები. ხოლო ჩვენ თათრები არად ჩავგადეთ, და მათ ისლა დაურჩათ საზრუნავი, რომ როგორმე ცოცხლად გაელწიათ თავი ჩვენი ქვეყნიდან“²¹.

ჩვენ აქ აღარ გავაგრძელებთ საუბარს იმის შესახებ, თუ როგორი იყო თავგადასავალი მონგოლთა ლაშქრისა, როცა მან 1222 წელს დასტოვა ამიერკავკასიის საზღვრები და, დარუბანდის გვერდის ავლით, კავკასიის უვალი უღელტეხილებით, გადავიდა ჩრდილო კავკასიაში.

მონგოლთა ლაშქარმა ამის შემდეგ მოიკრიბა ძალები, განვლო ბრძოლებით აღმოსავლეთ ევროპის ველები ვიდრე რუსეთის საზღვრებამდე; კალკასთან რუს-მონგოლთა ცნობილი ბრძოლის შემდეგ (1223 წელს) მონგოლები დაიძრნენ აღმოსავლეთისაკენ, ბრძოლებით გაიარეს ვოლგისპირეთის ხალხთა მამულები და დაბრუნდნენ აზიაში, მონგოლეთის სახელმწიფოში.

2

1223 — 1235 წლები

მონგოლთა საქართველოდან უკუქცევის შემდეგ ერთი წელიც არ იყო გასული, როდესაც 1223 წელს, 18 იანვარს, გარდაიცვალა საქართველოს მეფე გიორგი-ლაშა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 30 წლისა. საქართველომ დაკარგა დიდი სახელმწიფო მოღვაწე.

გიორგი-ლაშას შემდეგ, მომდევნო ოცი წლის მანძილზე საქართველოს სახელმწიფოს სათავეში არის რუსულად მეფე (1223—1243), გიორგი-ლაშას და.

1223 წლიდან საქართველოში ისევ შეუდგნენ სამზადისს დასავლეთ-ევროპელებთან ერთად ჭვაროსანთა ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად, როგორც ეს შეთანხმებული იყო დასავლეთთან გიორგი-ლაშას მიერ.

რუსულან მეფე 1224 წლის დასაწყისში სწერდა რომის პაპს ჰონორიო III-ეს:

„ვაუწყებთ თქვენს სიწმინდეს, რომ ძმა ჩემი ქართველთა მეფე მიიცვალა და მისი სამეფო მე მივიღე... დამიეტში მყოფის თქვენის ელჩისაგან მივიღეთ თქვენი დიდებული რჩევა და ბრძანება, რათა ჩემი ძმა წასულიყო ქრისტიანების შესაწვენელად. ისიც ამ ზრახვისა და წასვლის მზადებაში იყო, როდესაც ბოროტნი თათარნი შემოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში... დიდი უბედურება მიაცენეს ჩვენს ერს... ჩვენ მათ არ ვუფრთხილდებოდით, რადგან ქრისტიანები გვეგონა*, მაგრამ როდესაც ვსცანიით, თუ რა ქრისტიანებიც იყვნენ, მაშინ შევკრიბეთ ყოველი ჩვენი ძალა და წინ აღვუდექით, 25.000 კაცი გავეწყვიტეთ, ბევრიც დაგატყვევეთ და დანარჩენი მათი მხედრობა ჩვენი ქვეყნიდან განვდევნეთ...

ხოლო აწ განვიხარეთ, რა შეეიტყეთ, რომ თქვენის ბრძანებით იმპერატორი სირიაში უნდა წამოვიდეს წმინდა ადგილების დასახსნელად. გთხოვთ გვაცნობოთ, თუ როდის უნდა გამოიაროს იმპერატორმა, რათა ჩვენც წმინდა ადგილების დასახსნელად გავგზავნოთ ჩვენი მხედართმთავარი ივანე მთელის ჯარით... ეგრეთვე ვაუწყებთ, რომ ამ ჩვენმა მხედართმთავარმა და ჩვენის სამეფოს სხვა მთავრებმა მიიღეს ჯვაროსნობა და წასვლას ელიან...“²².

რომის პაპი ჰონორიო III რუსულან მეფეს საბასუხო წერილში სწერდა:

„გვახარებს თქვენი მორწმუნეობა... რომელიც დიდად სათნო საყოფელია, რადგან მას იცავთ ურწმუნოთა შორის, რომლებთანაც სტხოვრობთ, და ბრწყინავთ, როგორც ნათელი სიბნელეში და შრომანი ეკლებში...

„შესახებ იმისა, რომ გასურთ შეიტყოთ დრო წასვლისა ჩვენის საყვარლის შეილის ფრიდრიხ ბრწყინვალისა, რომის იმპერატორისა და სიცილიის მეფისა, რათა თქვენც თქვენის მხედრობით მონაწილეობა მიიღოთ წმინდა ადგილების დასახსნაში, — ვაუწყებთ ამ წერილით, რომ ეს იმპერატორი დიდის ძალით შეიქურვა და მომავალი იოანე ნათლისმცემლის დღესასწაულის (29 აგვისტოს) შემდგომ ერთის წლით მიდის ბუერის სამზადისით და თან მიჰყავს აურაცხელი მორწმუნე ერი... გამხნევებთ, თანახმად თქვენის დაპირებისა ეცადოთ და ისე მოამზადოთ თქვენი მხედრობა, რათა თქვენის დიდებულების შესაბამისად სამსახური მიაგოთ იესო ქრისტესა...

„აწ თქვენ ეს წიგნი წააკითხეთ ყველა თქვენთა ქვეშევრდომთა...“²³.

საქართველოში შემცდარნი იყვნენ, როცა ფიქრობდნენ, რომ მონგოლების პირველი ექსპედიციით დასრულდა შემოტევა აზიიდან.

ეს შემოტევა გაგრძელდება შემდეგაც, გაგრძელდება მანამდე, ვიდრე მონგოლები საბოლოოდ არ დაიპყრობენ აღმოსავლეთ ევროპის მსოფლიოს სანაპირო ქვეყნებს, ჩრდილოეთის საზღვრებზე — რუსეთის სახელმწიფოს, სამხრეთის საზღვრებზე — საქართველოს სახელმწიფოს.

* 1224 წლის მეორე წერილში რომის პაპისადმი (რომელიც მიწერილია საქართველოს სახელმწიფოს ვაზირის ივანე ათაბაგის მიერ) აღნიშნულია: „თათარნი ჯვართ წარმძღვანებლენი შემოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში (საქართველოში)“.

მონგოლები ისევ დაბრუნდებიან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, და კერძოდ საქართველოში, 1236 წელს, 13 წლის შემდეგ პირველი ექსპედიციიდან.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ეს მოკლე შუალედი პერიოდი მონგოლთა პირველ და მეორე ექსპედიციას შორის, — სრულებითაც არ იყო საქართველოსათვის შესვენების წლები. ამ შუალედი პერიოდის მანძილზედაც საქართველოს მშვიდობა არ უნახავს.

ისევე როგორც ოქეანის ფსკერზე მომხდარი დიდი მიწისძვრის შემდეგ დაიძვრის გიგანტური ტალღები — ცუნამი — რომელიც წალეკავს სანაპირო მხარეებს, ასევე ხალხთა დიდი მოძრაობა, დაწყებული აზიაში მონგოლებით, არ ნელდება, იგი ვრცელდება სხვა მეზობელ ხალხებზედაც.

1223 წელს ამიერ-კავკასიაში შემოიჭრა დიდი მასა ყივჩაღებისა.

არაბი ისტორიკოსი XII — XIII საუკუნეთა იბნ-ალ-ასირი გადმოგვცემს: „მას შემდეგ, რაც თათრებმა (მონგოლებმა) დაიკავეს ყივჩაღთა მიწები, ყივჩაღები გაიფანტნენ. ერთი ნაწილი წავიდა რუსეთის მხარეს, სხვები გაიფანტნენ თავის მთებში, ხოლო უმრავლესობა შეიკრიბა და გაემართა დარუბანდ-შირვანისაკენ“²⁴.

ყივჩაღებმა აიღეს დარუბანდი და შემოვიდნენ ამიერკავკასიაში ახალი მიწა-წყლის საძიებლად.

1223 — 1224 წლებში ქართველებს ბრძოლა უხდებათ ყივჩაღებთან. ყივჩაღები მარცხდებიან²⁵.

მაგრამ ეს იყო შედარებით პატარა ეპიზოდი.

ხოლო ამის მომდევნო ხვარაზმელთა შემოსევა საქართველოში ჯალალედინის მეთაურობით იყო ნამდვილი კატასტროფა.

მას შემდეგ რაც მონგოლებმა დაიპყრეს ხვარაზმის იმპერია და დაპყვიდრდნენ ირანში, ნაწილი შიდა ირანის მოსახლეობისა, შევიწროებული მონგოლთაგან, დაიძრა დასავლეთისაკენ, მათთან ერთად დაიძრნენ ხვარაზმის არმიის გადარჩენილი ნაწილები, ხვარაზმშაჰის ჯალალედინის მოთავეობით.

შიდა ირანიდან გადმოსული ეს დიდი მასა შეჩერდა ირანის ადარბადაგანში, სადაც ჯერ არ იყვნენ მონგოლები. ჯალალედინმა მოახდინა ორგანიზება ირანის ამ დიდი მხარისა, ირანის ადარბადაგანისა, ასევე შიდა ირანიდან გადმოსული მასებისა, კავშირი გააბა მეზობელ მუსულმანურ ქვეყნებთან, შექმნა დიდი არმია, და 1225 წელს დაიძრა საქართველოსაკენ.

საქართველოს ჯარი, რომელიც უძლიველად ითვლებოდა ახლო აღმოსავლეთში, დამარცხდა გენერალურ ბრძოლაში²⁶. ძველი მემკვიდრე ამის მიზეზად ასახელებს ღალატს, ფეოდალთა მოქიშპეობას. მართალია ეს თუ არა, ამას არა აქვს მნიშვნელობა, მაგრამ ერთი ცხადი იყო, რომ საქართველოს ამ დროს აკლდა გამოცდილი ხელმძღვანელი, როგორც იყო დიდი სახელმწიფო მოღვაწე გიორგი-ლაშა.

ხვარაზმელებმა, გენერალური ბრძოლის მოგების შემდეგ, აიღეს თბილისი.

ჯალალედინმა გადაწყვიტა ქართველი მოსახლეობის მთლიანად მოსპობა თბილისში. არაბი ისტორიკოსი იბნ-ალ-ასირი, თანამედროვე მომხდარი ამბებისა, წერს: „ამოწყვიტეს ქალაქში მყოფი ყველა ქართველი, არ დაინდეს არც

დიდი, ა-რც პატარა²⁷. ქართულ მატრიანთა ცნობით თბილისში ამ დროს დაი-
ლუპა ასი ათასამდე აღამიანი²⁸.

აქ მოხსენებული არაბი ისტორიკოსი იბნ-ალ-ასირი თბილისის აღებას,
დასავლეთის ქრისტიანული ქვეყნის საქართველოს დამარცხებას, აცხადებს
აღმოსავლეთის ზეიმაღ. იბნ-ალ-ასირი წერს:

„ჯალალედინის ამ გამარჯვებას ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა მუსულმა-
ნური ქვეყნებისათვის და მუსულმანთათვის, რადგან ქართველები ყოველთვის
სჯობნიდნენ მათ და ექცეოდნენ ისე, როგორც მოისურვებდნენ. ისინი აღარბა-
დაგანის (ჩრდილო ირანის) რომელ ნაწილსაც სურდათ, შეესეოდნენ და არავის
მხრით წინააღმდეგობას არ ხვდებოდნენ. ამასვე შერებოდნენ არზრუმის მხარე-
ში, ასე რომ, მისი მფლობელი ატარებდა ქართველთა მეფის მიერ ბოძებულს
საპატიო სამოსელს, და მას (მუსულმანს) მალა ეკირა დროშა, რომლის მარჯ-
ვენა კუთხეში გამოსახული იყო ჭვარი... ქართველთა ძლევამოსილებამ იქამდე
მიადწია, რომ რუქნ-ად-დინს, რომელიც იყო მბრძანებელი იკონიისა და მუ-
სულმანთა მფლობელობაში მყოფი რუმის ყველა მხარეებისა, და რომელმაც
შეჰკრიბა უთვალავი ჯარი, როგორც თავისი, ისე სხვათა (მუსულმანურ სამფ-
ლობელოთა) და გამოემართა არზრუმისაკენ, — თავს დაესხნენ ქართველები,
გააქციეს და სასტიკად დაამარცხეს...“

შემდეგ იბნ-ალ-ასირი ჩამოთვლის მუსულმანთა მთელ რიგ დიდ მეფეებს,
რომლებიც ქართველებმა დაამარცხეს XII საუკუნის მანძილზე და აღნიშნავს:

„ეს ქვეყანა (საქართველო) სახიფათო მხარე იყო ირანელთათვის ჯერ
კიდევ ისლამის დრომდე, და ასეთად რჩება იგი მუსულმანთათვის დღევანდელ
დღემდე. ვერავინ, გარდა ჯალალედინისა, ვერ გაბედა წასულიყო ქართველთა
წინააღმდეგ და მოქცეოდა მათ ისე, როგორც ის მოექცა“²⁹.

ხვარაზმელთა თარეში გაგრძელდა საქართველოში ექვსი წელი, 1231
წლამდე. მართალია, ხვარაზმელებმა ვერ შეძლეს გადასულიყვნენ ვერც დასავ-
ლეთ საქართველოში, ვერც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, ამას გარ-
და მათ ვერ დაიპყიდრეს ვერც ერთი მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე აღმოსავ-
ლეთ საქართველოსი, გარდა თბილისისა, მაგრამ მათმა თარეშმა უდიდესი
ზიანი მიაყენა აღმოსავლეთ საქართველოს მხარეებს.

1231 წელს მონგოლთა დიდი ჯარი შემოვიდა ირანის აღარბადაგანში და
მოახდინა ოკუპაცია ირანის ამ უკანასკნელი დაუპყრობელი ქვეყნისა. ჯალა-
ლედინმა დაჰკარგა დასაყრდენი აღარბადაგანში, გადაიხვეწა ამ მხრიდან, და
იმავე 1231 წელს დაილუპა. ხვარაზმელთა ჯარი დაიქსაქსა და დაიშალა.

ასე დასრულდა ხვარაზმელთა ყოფილი იმპერიის ეს უკანასკნელი გა-
ბრძოლება.

•

რა ურთიერთობა დამყარდა საქართველოსა და მონგოლებს შორის 1231
წლიდან, მას შემდეგ რაც მონგოლებმა მოახდინეს ირანის აღარბადაგანის ოკუ-
პაცია?

მონგოლები იმავე 1231 წელს შემოვიდნენ ამიერკავკასიაში, დაიკავეს
ამიერკავკასიის მხოლოდ ერთი ქვეყანა — არანი (რომელიც მუსულმანებით,

თურქ-სელჯუკებით იყო დასახლებული და რომელიც ადრე ირანის ადარბადაგანს ეკუთვნოდა) და აქ გაჩერდნენ. საკუთრივ საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები მათ არ გადმოულახავთ. მონგოლები სცნობდნენ საქართველოს, როგორც დასავლეთის, ევროპის წრის ქრისტიანულ სახელმწიფოს. მონგოლებს, როგორც შემდეგ გამოიჩვენება, განკარგულება ჰქონდათ დიდი ყაენისა, რათა არ შეპხებოდნენ ჯერ დასავლეთის ქვეყნებს. ამრიგად, საზღვარი მონგოლეთის იმპერიასა და დასავლეთის მსოფლიოს შორის საქართველოს სახელმწიფოს სამხრეთ საზღვრებთან გატარდა.

ადარბადაგანში დამკვიდრებული მონგოლები თანდათანობით აფართოებენ თავის ტერიტორიას საქართველოს სამხრეთით, — მუსულმანთა ქვეყნების მიმართულებით, ხოლო საქართველოს არ ეხებიათ. უფრო მეტიც, როდესაც მონგოლებმა დაიჭირეს ყოფილი ხლათის სასულთნო, საქართველომ შემოიერთა რამდენიმე ჩრდილოეთი კანტონი ხლათის სასულთნოსი (სურმანი, ვალაშკერტი, ზემო-არაქსისა და ზემო-ეფფრატის თემები), რომლებიც ქრისტიანებით — სომხებით იყო დასახლებული³⁰. მონგოლებს ამის გამო არავითარი რეაგირება არ მოუხდენიათ, ისინი ურიგდებიან საქართველოს სახელმწიფოს ამ აქციას.

ამრიგად, ყველაფერი თითქოს იმას უჩვენებდა, რომ მონგოლეთის იმპერიასა და საქართველოს შორის ნორმალური ურთიერთობა მყარდება. ხუთი წლის მანძილზე, 1231 წლიდან 1236 წლამდე, საზღვარზე მშვიდობა არ დარღვეულა.

მაგრამ ეს იყო არა ზავი, არამედ სიწყყნარე ქარიშხლის წინ.

3

მონგოლთა უპრუღთაის დადგენილება 1235 წელს
ეპროპის მსოფლიოს ევანუბის წინააღმდეგ ლაშქრობის დაწყების შესახებ

*

მონგოლთა ლაშქრობა საქართველოში და აღმოსავლეთ ეპროპაში
1236—1241 წლებში

1235 წელს შედგა მონგოლთა სახელმწიფოს ყურულთაი, რომელზედაც დაადგინეს მოეწყით დიდი ლაშქრობა დასავლეთში ევროპის მსოფლიოს ქვეყნების დასაპყრობად. მონგოლეთის სახელმწიფო ამ დროს უძლიერეს იმპერიას წარმოადგენს, მასში გაერთიანებულია აზია, დაწყებული ჩინეთიდან (ჩრდილო ჩინეთი მონგოლთა იმპერიაში შედიოდა) — ვიდრე კასპიის ზღვამდე. აღმოსავლეთ ევროპის ზონამდე — ჩრდილოეთის მხრით, და კავკასიამდე, საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებამდე — სამხრეთის მხრით.

1236 წელს მონგოლთა ლაშქარი დაიძრა დასავლეთისაკენ ორი მიმართულებით: ერთი — რუსეთის სახელმწიფოსა და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებისაკენ; მეორე — კასპიის ზღვის სამხრეთით — საქართველოსა და ანატოლიისაკენ (რუმის, ბიზანტია).

მონგოლთა ჩრდილოეთის ლაშქარი, რომლის სათავეში იყო ბათო ყაენი, შემოვიდა რა ევროპაში 1236 წელს, დაიჭირა ვოლგისპირეთის ხალხთა მიწები. ხოლო 1237—1240 წლებში დაიპყრო რუსეთი, 1241 წელს სლავების ქვეყნებიდან დაეშვა უნგრეთის ველზე. აქ შეჩერდა მონგოლთა ეს ლაშქრობა, რომლის შედეგად მათ დაიპყრეს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები.

მონგოლთა სამხრეთის ლაშქარი, რომელიც, კასპიის ზღვის სამხრეთიდან შემოვლით, დაიძრა ამიერკავკასიისაკენ, შემოიჭრა საქართველოში იმავე 1236 წელს, როდესაც დაიწყო საერთო შემოტევა ევროპის ქვეყნებზე.

ამას მოჰყვა მონგოლ-ქართველთა ექვსწლოვანი ომი 1236—1241 წლების მანძილზე, ე. ი. სწორედ იმავე წლებში, როდესაც მიმდინარეობდა მონგოლთა ომები ჩრდილოეთში, რუსეთში, აღმოსავლეთ ევროპაში, — უნგრეთამდე.

ჩვენ აქ აღვნიშნავთ მთავარ ეტაპებს, თუ როგორ მიმდინარეობდა მონგოლ-ქართველთა ეს ექვსწლიანი ომი.

ა

პირველი პერიოდი მონგოლ-ქართველთა ომისა: 1236—1237 წლები

ჩვენ უკვე მოხსენებული გვექონდა, რომ ირანის საბოლოოდ დაპყრობისა და მისი უკანასკნელი პროვინციის ირანის ადარბადაგანის ოკუპაციის შემდეგ მონგოლები 1231 წელს შემოვიდნენ ამიერკავკასიაში და დამკვიდრდნენ უშუალოდ საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებთან. მონგოლები, როგორც მოვიხსენეთ, სცნობენ საქართველოს როგორც დასავლეთის, ევროპის წრის, ქრისტიანულ სახელმწიფოს და ფაქტიური საზღვარი მონგოლეთის იმპერიისა გატარდა საქართველოს სახელმწიფოს სამხრეთ მიჯნებთან.

ხუთი წლის მანძილზე, როგორც მოვიხსენეთ, საქართველოსა და მონგოლების საზღვარზე სიწყნარე იყო, ზავი არ დარღვეულა.

ხუთი წლის მშვიდობის შემდეგ, 1236 წელს, როდესაც ჩამოვიდა მონგოლთა ახალი ჯარი (რომელიც, მონგოლთა 1235 წლის ყურულთაის დადგენილების თანახმად, მოწადებული იყო დასავლეთის ქვეყნების დასაპყრობად), მონგოლები ომის გამოუცხადებლად არღვევენ ზავს საქართველოსთან; მონგოლები იწყებენ მოულოდნელს შეტევას საქართველოზე მთლიანი ფრონტით, შირვანის ქვეყნიდან, ე. ი. კასპიის ზღვიდან მოკიდებული, ვიდრე საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ მხარემდე, ზემო-არაქსის ზონამდე.

ქართველი ისტორიკოსი ეამთაღმწერელი გადმოგვცემს, რომ მონგოლებმა არანის ქვეყნიდან —

„იწყეს რბევად და ოხრებად საქართველოსა:

[1] იწყეს დარუბანდით აღმობართ, ქვეყანასა შარვანისასა,

[2] დაკაბალას,

[3] ჰერეთს, [4] კახეთს,

[5] [ქართლისა] სომხითს (=ქვემო-ქართლს),

და ქვეყანასა არშაკუნიანთასა — [6] დვინსა და [7] ანისსა“.

თავდასხმა იმდენად მოულოდნელი იყო და შეტევა ისეთი სისწრაფით-ჯანაფითარეს მონგოლებმა, რომ საქართველოს სახელმწიფომ ვერც კი მოასწრო-

ჯარის მთლიანი მობილიზება, ვიდრე მტერი საქართველოს დედაქალაქს თბილისს არ მოუახლოვდა.

საქართველოს მთავრობამ დასტოვა თბილისი და პოლიტიკური ცენტრი გადაიტანა ქალაქ ქუთაისში³².

ბრძოლები გრძელდებოდა მთელი 1236 წელი.

ქართველთაგან მიტოვებული თბილისის აღების შემდეგ, მონგოლები შეიქრენ საქართველოს სახელმწიფოს ცენტრალურ პროვინციებში, საკუთრივ ქართლში და ზემო-ქართლში (მესხეთის მხარეებში)³³.

მონგოლთა შეტევა შეჩერებულ იქნა დასავლეთ საქართველოს საზღვრებთან. აქ, ლიხის მთებისა და ღაღოს მთების ზონაში, ქართველებმა შექმნეს თავდაცვის მტკიცე ბარიერი, რომლის გარღვევა მონგოლებმა ვერ შეძლეს მონგოლ-ქართველთა ექვსწლოვანი ომის მთელ მანძილზე.

ბ

მონგოლ-ქართველთა ომის მეორე პერიოდი; 1237—1240 წლები

მონგოლ-ქართველთა ომის მეორე პერიოდი მოიცავს 1237 — 1240 წლებს. ამ პერიოდში საქართველოს სახელმწიფოს სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვა მდგომარეობა დამყარდა.

1. დასავლეთი საქართველო რჩება დაუპყრობელი; მაგრამ დასავლეთი საქართველო მხოლოდ თავდაცვას ახერხებს.

2. საქართველოს სახელმწიფოს სამხრეთი ნაწილი მთლიანად ოკუპირებულია მონგოლთა მიერ, სახელდობრ: ქვემო ქართლი, ანისის მხარე და დვინის მხარე.

ამ მხარეთა ერისთავები 1236 — 1237 წლებში დაეზავნენ მონგოლებს, აღიარეს მონგოლთა ბატონობა.

ერისთავთა შორის, რომელთაც ზავი დასდეს მონგოლებთან, არის სამი ვაზირი საქართველოს სახელმწიფოსი, რომელთაც ჩვენ კიდევ შევხვდებით. ეს სამი ვაზირია: ავაგ მხარგრძელი (ერისთავი დვინისა), შანშე მხარგრძელი (ერისთავი ანისისა) და ვარამ გაგელი (ერისთავი ქვემო-ქართლის გავის მხარესა). მონგოლებმა ისინი პატივით მიიღეს, დაუბრუნეს მათი სამფლობელოები და ისინი გახდნენ ვასალები მონგოლებისა. განსაკუთრებული პატივი მიაგეს მონგოლებმა ავაგ მხარგრძელს, რომელიც პირველი იყო საქართველოს სახელმწიფოს დიდ ხელისუფალთა შორის, რომელმაც აღიარა მონგოლთა ბატონობა³⁴.

საქართველოს სახელმწიფოს ყოფილნი ვაზირნი, მას შემდეგ რაც ისინი მონგოლთა ვასალები გახდნენ, არ სწყვეტენ ფარულ კავშირს საქართველოს მთავრობასთან.

განსაკუთრებით მძიმე, შეიძლება ითქვას დანაშაულებრივი იყო მოქმედება ავაგ მხარგრძელისა, საქართველოს სახელმწიფოს ამირსპასალარისა (მთავარსარდლისა), რომელმაც არც ერთი ბრძოლა არ გაუმართა მტერს, თვით თავი შეაფარა ციხეს და შემდეგ პირველი დანებდა მონგოლებს, რის გამოც მან მონგოლთა სრული ნდობა დაიმსახურა და, როგორც აღვნიშნეთ, მას განსაკუთრებული პატივი მიაგეს კიდევ. მას შემდეგ ავაგ

მხარგრძელი თან ახლავს მონგოლებს ლაშქრობაში საქართველოს მხარეთა წინააღმდეგ. ავაგის „თანა-დახვდომით“ აიღეს მონგოლებმა ანისი და თბილისის კარი სამშვილდე. საერთოდ შემდეგში ავაგი უფრო თავის სამფლობელოზე ზრუნავდა, ვიდრე საქართველოზე.

ჩვენი დიდი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი ავაგის მოქმედებას ფაქტობრივ ლაღატის სახელით ნათლავდა და ეს ასეც იყო. საერთოდ ავაგმა დიდი პოლიტიკური ორჭოფობა და სიმბლადლე გამოიჩინა; მონგოლთა ხანის ისტორიკოსი ჟამთააღმწერელი წერს მის შესახებ: „ავაგი, რომელი თათართა დიდად პატივითა შეეწყნარა, არაართა ნიჭთა და ზნეთა სამამაქათოა მქონებელი“, ყოველგვარ მამაცობას, ვაჟაკობას მოკლებულია³⁵.

შერიგება მონგოლებთან ამ სამი ვაზირისა, რასაკვირველია, დიდი პოლიტიკური მარცხი იყო სახელმწიფოსი, ამან ხელი შეუწყო მონგოლთა მდგომარეობის განმტკიცებას საქართველოს სახელმწიფოს სამხრეთ პროვინციებში.

3. მესამე ზონა საქართველოსი — ცენტრალური საქართველო (საკუთრივ ქართლი და მესხეთის მხარენი) — სხვა სურათს წარმოგვიდგენს. ეს ზონა აგრეთვე ოკუპირებულია მონგოლთა მიერ, მაგრამ ქვეყანა დამშვიდებული არაა; არც ადგილობრივი ერისთავები დაზავებიან მონგოლებს³⁶.

4. საქართველოს მეოთხე ზონაში, სახელდობრ საქართველოს აღმოსავლეთ მხარეებში, ჰერეთსა და კახეთში, სრულიად განსაკუთრებული მდგომარეობა შეიქმნა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი მხარე, ჰერეთი და კახეთი, ტერიტორიულად მოწყვეტილი იყო დასავლეთ საქართველოს (სადაც იმყოფებოდა თავისუფალი საქართველოს მთავრობა) და გარშემორტყმული იყო მონგოლთა მიერ ოკუპირებული პროვინციებით სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან (ხოლო ჩრდილო-დასავლეთის მხრით ეს მხარეები ესაზღვრება კავკასიონის მთებს), მაინც ჰერეთი და კახეთი, მოქცეული მონგოლთა ნახევარკალში, მტკიცედ იდგნენ მტრის წინააღმდეგ, და მონგოლებმა ვერ შესძლეს დაპყრობის იყენენ ამ მხარეებში.

ერისთავთ-ერისთავი სრულიად ჰერეთის მხარისა (ჰერეთის და რუსთავის გაერთიანებული საერისთავოსი) ამ დროს არის შოთა რუსთაველი, ჰერეთის ბაგრატიონი. ერისთავთ-ერისთავი კახეთის მხარისა ამ დროს არის თორღვა პანკელი.

ქართველი ისტორიკოსი ჟამთააღმწერელი მონგოლთა ზანისა აგვიწერს იმ უაღრესად რთულ ვითარებას, რომელიც შეიქმნა საქართველოში მონგოლთა მოულოდნელი შემოსევის გამო. ისტორიკოსი წერს, რომ მონგოლთა შემოტევამ, განსაკუთრებით სისწრაფით ჩატარებულმა, დიდი დეზორგანიზაცია შეიტანა სამხედრო ხელმძღვანელობაში; რომ დაპყრობილი აღმოსავლეთი და სამხრეთი საქართველო მოსწყდა თავისუფალ დასავლეთ საქართველოს; ამავდროს დაპყრობილი საქართველოს ცალკე მხარეების ხელმძღვანელთ, მოწყვეტილთ ერთიმეორისაგან, არ ჰქონდათ შეთანხმებული გეგმა, „შეუზრახებელი იყვნენ და შეუთქმელ“; ამან გამოიწვია, აღნიშნავს ისტორიკოსი, რომ „ძლიერნი იგი საქართველოსანი“, „სახელგანსმენილნი“ (სახელგანთქმულნი), „მხნენი“, დამარცხდნენ, შიეცნენო „სრულსა მოოხრებდასა“.

ისტორიკოსი წერს:

„... მეფე რუსუდან დაპყრობდა ლიხთ-იქით, და ვერცა ლიხთ-აქეთ გარდამოვიდის, და ვერცა ამიერნი ვაზირნი მის წინაშე მოვიდიან უცალოებისა ძლით, გარნა ლტოლვილნი. და ესრეთ ურთიერთას შეუზრახებელ იყვნენ და

შეთუქმელ, რამეთუ ძლიერნი იგი საქართველოსანი და სახელგანსმენილნი უღონო იქნეს, ყოვლადვე ვერ შემმართებელნი ხსენებულცა წყობისა (ბრძოლისა) ყოფად თათართა, [თვინიერ ჰერ-კახთა], რამეთუ ჰერეთი და კახეთი ტყეთა მიერ ძლიერად იცვებოდეს. მაშინ მკვიდრნი საქართველოსანი, სახელოვანი და წყობათა (ბრძოლათა) შინა მხნენი, სრულიადსა მოოხრებუსა მიეცნეს...“³⁷.

ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ მთელს აღმოსავლეთსა და სამხრეთ საქართველოში მხოლოდ ჰერეთ-კახეთი აწარმოებდაო ბრძოლას მონგოლთა წინააღმდეგ, და თან უმატებს, რომ ამას ხელს უწყობდაო ბუნებრივი პირობები, „რამეთუ ჰერეთი და კახეთი ტყეთა მიერ ძლიერად იცვებოდეს“-ო³⁸. ამით ისტორიკოსი ერთგვარად ბოღინს ხდის მათ, ვინც ვერ მოახერხა „შემართება“ ბრძოლისა.

მაგრამ სამშობლოს თავდადებულ დამცველებს შოთა რუსთაველის მხარეში, ჰერეთსა და რუსთავში, ასევე შოთას მხარესთან დაკავშირებულ საეკლესიო კახეთში, ცხადია, ხელს უწყობდა არა მხოლოდ ბუნებრივი პირობები, არამედ მათ წარმართავდა ვალი სამშობლო ქვეყნის წინაშე. მათ კარგად ახსოვდათ რუსთაველის მცნება: „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა ვით ქვიტკორსა“. ეს სიტყვები რუსთაველისა, ცხადია, არაერთგზის გაუმეორებიათ სამშობლოს დამცველებს.

ბ

რუსულან მეფის მიმართვა რომის პაპისადმი 1239 წელს

მონგოლ-ქართველთა ომი გრძელდებოდა. 1239 წელს ქართველებს ერთგვარი წარმატებისათვის მიუღწევიათ მონგოლებთან ომში. ეს ირკვევა რომის პაპის გრიგოლ IX-ის წერილიდან საქართველოს მეფის რუსულანისადმი.

1239 წელს რუსულან მეფემ მიმართა რომის პაპს, რათა დასავლეთს დახმარება აღმოეჩინა საქართველოსათვის. ქართველები საუკუნის მანძილზე ჯვაროსანთა მოკავშირენი იყვნენ. საქართველო იყო, როგორც ეს აღნიშნულია XII საუკუნის დოკუმენტში, „წინა ბურჯი“ ევროპისა აღმოსავლეთში, საქართველო წარმოადგენდა საფარს დასავლეთ-ევროპელთა სამფლობელოებისა პალესტინა-სირიაში³⁸.

დასავლეთ ევროპაში ამ დროს ჯერ კიდევ იდგა საკითხი ჯვაროსანთა ლაშქრობის შესახებ აღმოსავლეთში. ხოლო თვით პალესტინაში ისევ არსებობდა დასავლეთ-ევროპელთა იერუსალიმის სამეფო, ცენტრით ქალაქ იერუსალიმში, რომლის გვირგვინი 1229 წელს მიიღო იმპერატორმა ფრიდრიხ II-ემ. იერუსალიმის სამეფო არის ფრიდრიხ II-ის მფლობელობაში 1229 წლიდან 1244 წლამდე.

რუსულან მეფის წერილი, მიმართული რომის პაპის გრიგოლ IX-ისადმი, არ მოღწეულა, ყოველ შემთხვევაში დღემდე აღმოჩენილი არაა. მოღწეულა საპასუხო წერილი გრიგოლ IX-ისა, გამოგზავნილი რომიდან 1240 წელს, 13 იანვარს.

ამ წერილიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ 1239 წელს საქართველოს ერთგვარი წარმატებისათვის მიუღწევია მონგოლებთან ომში.

გრიგოლ IX საბასუხო წერილში, 1240 წლის 13 იანვრის თარიღით, სწერს რუსუდანს:

„ჩვენი სიზარული შეასუსტა და გაგვიძწარა იმ ამბავმა, რომ სარწმუნოების მტერნი თათარნი შემოსულან თქვენს სამეფოში და დიდი ვნება მოუყენებიათ თქვენთვის. გარნა ვინუგეშეთ იმით, რომ თუმცა პირველში მტრისაგან დაძლეულხართ, მერმე კი დაგიძლევიათ — და თქვენის მავნებლის მტრისათვის დიდი ზარალი მიგიყენებიათ“³⁹.

რუსუდანის წერილში ეს ბოლო გამარჯვება შესაძლოა გაზვიადებული იყო, მაგრამ, ცხადია, ქართველებს მოუპოვებიათ ნაწილობრივი წარმატება ომის მსვლელობაში 1239 წელს, რის შემდეგაც რუსუდანს დახმარებისათვის მიუპართავს დასავლეთისათვის.

ამ გამარჯვებას, ცხადია, ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოში (რადგან მონგოლები დასავლეთ საქართველოში სიერთოდ არ გადასულან), ხოლო რაკი აღმოსავლეთ საქართველოში ბრძოლები ამ დროს წარმოებდა მხოლოდ ჰერეთ-კახეთში, ისიც ირკვევა, რომ ქართველთა გამარჯვებას 1239 წელს ადგილი ჰქონდა სწორედ ამ მხარეებში, ჰერეთ-კახეთში (არაა გამორიცხული, რომ ამ დროს დაჰყარდა კავშირი დასავლეთ საქართველოსა და ჰერეთ-კახეთს შორის ქართლის მთიანეთის გზით).

დახმარება დასავლეთ ევროპიდან ვერ განხორციელდა.

რომის პაპი მწუხარებით ატყობინებდა რუსუდანს, რომ ამჟამად დასავლეთის მხედრობა „ვერ შოდის თქვენს შესაწევნებლად თათრების წინააღმდეგ“, და ვერც პალესტინის ჯვაროსანთა მხედრობა შესძლებს წამოსვლას დასახმარებლად, რადგან ისინი ვერ შესძლებენო გაარღვიონ სირიის მუსულმანთა რკალი.

პაპის წერილი მხოლოდ ნუგეშსა და გამხნევებას შეიცავდა.

4

საზავო მოლაპარაკება და ზავის დადება მონგოლებთან
შოთა რუსთაველის მონაწილეობით 1242—1248 წლებში

1241 წელს ფაქტიურად დასრულდა ომი. მონგოლებმა მოახდინეს ოკუპაცია აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოსი.

ექვსწლოვანი ომის მანძილზე მონგოლებმა მრავალგზის მიმართეს საქართველოს მთავრობას — დაედოთ ზავი. ასეთი წინადადება მოსდიოდა საქართველოს მთავრობას როგორც ამიერკავკასიის მონგოლთა სარდლობისაგან, ისე ჩრდილოეთის მხარეთა ყაენის ბათოსაგან. მაგრამ საქართველოს მთავრობა, გამაგრებული დასავლეთ საქართველოში, არ სთვლიდა საქმეს ჯერ კიდევ საბოლოოდ წაგებულად და უარით ხვდებოდა მონგოლთა წინადადებებს.

მაგრამ 1241 წლიდან მოკიდებული, როდესაც მონგოლები მტკიცედ დამკვიდრდნენ აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში, მდგომარეობა შეიცვა-

ლა. 1241 წელს უკვე ორივე მხარე აწარმოებს ნიადაგის მოსინჯვას ზავისათვის 40.

1242 წელს, ე. ი. ომის მეშვიდე წელს, სახელმწიფო თათბირზე საბოლოოდ გადაწყდა ზავის დადება მონგოლებთან. მრავალწლოვანი გათიშვა სახელმწიფოს ცალკეულ მხარეთა ამ დიდი ომის პირობებში ქმნიდა იმის საფრთხეს, რომ დაირღვეოდა საქართველოს სახელმწიფოს მთლიანობა. ამის გამო სახელმწიფო თათბირზე ზავის დადება მონგოლებთან აუცილებლად იქნა მიჩნეული.

სახელმწიფო თათბირმა მოლაპარაკების წარმოება მონგოლებთან მიანდო ოთხ პირს.

სამი მათგანი იყვნენ საქართველოს ძველი ვაზირნი, რომელთაც ჩვენ უკვე ვიცნობთ: ავაგ მხარგრძელი, შანშე მხარგრძელი და ვარამ გაგელი. ეს სამი მოღვაწე, როგორც მოხსენებული გვქონდა, იყვნენ მთავრები საქართველოს სახელმწიფოს სამხრეთ მხარეთა, რომლებიც დაიპყრეს მონგოლებმა ომის პირველ წელსვე, 1236 წელს. ამ სამმა მოღვაწემ თავიდანვე, 1236 — 1237 წლებიდან, აღიარეს მონგოლთა ბატონობა, მიიღეს მათგან მათი ძველი სამფლობელონი სამხრეთ საქართველოში, გახდნენ მონგოლთა ვასალები, იმყოფებოდნენ მონგოლთა სამსახურში და სარგებლობდნენ მონგოლთა პატივითა და ნდობით.

ამგვარად, ეს სამი მოღვაწე, როგორც ვასალები მონგოლებისა, არც კი იყვნენ სინამდვილეში საქართველოს წარმომადგენლები, არამედ ნეიტრალები, რომელთაც უნდა გაეადვილებინათ კონტაქტი ორი მხარისა.

ხოლო ვინ იყო მეოთხე ელჩი, საქართველოს ნამდვილი წარმომადგენელი? ეს იყო შოთა რუსთაველი, ერთადერთი წევრი დელეგაციისა, რომელიც წარმომადგენდა თავისუფალ, დაუპყრობელ საქართველოს.

აქედან ჩვენ შეგვიძლია გავითვალისწინოთ, თუ რა უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა შოთა, როგორი საყოველთაო აღიარება ჰქონდა მას მოპოვებული თავის ქვეყანაში, როგორც ერის დიდ ხელმძღვანელს. დიდი პოეტი, მეთაური ჰუმანისტური მოძრაობისა საქართველოში, იყო ნამდვილი მამა ერისა.

საქართველოს საზავო დელეგაცია ჩავიდა არანში, ამიერკავკასიის მონგოლთა სარდლობის ბანაკში, 1242 წელს 41.

მონგოლები ამ დროს სალაშქროდ იყვნენ გამზადებულნი, მიემართებოდნენ მცირე აზიაში, რუმის სულთნის წინააღმდეგ. აღვნიშნავთ, რომ მონგოლთა ლაშქარში მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა ქართველთა მხედრობა, გაწვეული აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოდან, ე. ი. საქართველოს იმ ნაწილებიდან, რომლებიც მონგოლებს ჰქონდათ დაპყრობილი.

მონგოლებმა თან გაიყოლეს ლაშქრობაში ქართველთა საზავო დელეგაცია („...დიდნი იგი მთავარნი საქართველოსანი“, როგორც მოხსენებულია მატიაწეში).

მონგოლები, მცირე აზიაში ძღვეამოსილი ლაშქრობის შემდეგ, დაბრუნდნენ ამიერკავკასიაში 1243 წელს. მონგოლთა სარდლობის ბანაკში გაიმართა

ქართველ-მონგოლთა საზავო მოლაპარაკება, რომლის შედეგად მიღწეულ იქნა შეთანხმება.

მთავარი მუხლები შეთანხმებისა იყო:

1 საქართველოს სახელმწიფო აღდგენილ იქნება ძველ საზღვრებში შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, ე. ი. იმ საზღვრებში, რომლებშიაც იგი არსებობდა მონგოლთა შემოსევამდე (საქართველოს სახელმწიფოში შედის შირვანის ავტონომიური სამეფო).

2. საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოს მეთაურებად მონგოლები აღიარებენ რუსუდან მეფესა და მის ვაჟს დავით VI-ეს (დავით VI 1236 წელს, ჭერ კიდევ მონგოლთა შემოსევამდე, მეფედ იყო კურთხეული და რუსუდანის თანამმართველი იყო).

3. საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფო სცნობს მონგოლთა პროტექტორატს და იხდის ხარაჯას ⁴².

მიღწეულ შეთანხმებათა შესახებ აცნობეს საქართველოს მთავრობას ქუთაისში.

რუსუდან მეფე, მისი ვაჟი მეფე დავით VI, დასავლეთ საქართველოს დიდებულთა თანხლებით, გამოემართნენ თბილისისაკენ ⁴³.

ლიხის მთასთან მათ შეეგებნენ საზავო დელეგაციის წევრები—შოთა რუსთაველი და სამი ვაზირი ⁴⁴; მათთან ერთად შეეგებნენ აღმოსავლეთ საქართველოს დიდებულები.

საქართველოს მთავრობა, შვიდი წლის შემდეგ თბილისის დატოვებიდან, კვლავ დამკვიდრდა საქართველოს დედაქალაქში.

საზავო დელეგაციის წევრებმა, შოთა რუსთაველმა და სამმა ვაზირმა, მათთან ერთად საქართველოს დიდებულებმა, ქართული ლაშქრის თანხლებით, წაიყვანეს დავით მეფე არანის ქვეყანაში ქალაქ ბარდაეში, სადაც მონგოლთა სარდლობის მთავარი ბანაკი იყო. მემატიანე მოგვითხრობს, რომ ელჩებმა „მიიყვანეს დავით მეფე დიდითა პატივითა და ლაშქრითა“ მონგოლთა უმაღლესი სარდლობის, ოთხი ნოინის წინაშე; მემატიანის გადმოცემით, მონგოლთა ნოინებმა „განიხარეს და პატივი უყვეს მეფესა და მთავართა საქართველოსათა და მოსცეს ყოველი საქართველო... და ესრეთ კეთილად შეიწყნარეს და ვით მეფე, რომელ ნარინ დიდებითა უწოდეს, ესე იგი არს სეფისპირი დავით“ ⁴⁵.

„ყოველი საქართველო“ ნიკოფსიიდან დარუბანდამდე ისევ გაერთიანდა საქართველოს მთავრობის ხელისუფლების ქვეშ. მაგრამ ეს უკვე აღარ იყო თავისუფალი საქართველო, არამედ საქართველო, ვასალი მონგოლებისა.

შოთა რუსთაველი, რომელმაც იხილა საქართველოს მზე საუკუნოვანი დიდების ზენიტში, გახდა მოწამე, თუ როგორ დაიბურა იგი მზე შავი ღრუბლებით.

ეს იყო უდიდესი ტრაგედია ერის დიდი მამისა.

•

შოთა რუსთაველი მონგოლთა შემოსევების ხანაში უკვე მოხუცებული იყო.

მონგოლთა პირველი გამოჩენის დროს, 1220 წელს, შოთა იყო 54 წლისა. ხოლო მონგოლ-ქართველთა ექვსწლოვანი ომის დასაწყისში, 1236 წელს, შოთა იყო 70 წლისა.

როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, შოთა რუსთაველმა ღრმა სიბერემდე შიალწია, გარდაიცვალა 1250 წლის ახლო, როდესაც იგი 84 წლამდე იყო მიწვენილი.

უკანასკნელი შვიდი წელი შოთას ცხოვრებისა, 1243 — 1250 წლები, ასევე დამძიმებული იყო მისი სამშობლოს ძნელბედობის გამო, ახალ განსაცდელთა გამო.

რუსთაველი, მამა ქვეყნისა, ამჟამადაც განუყრელია თავის ხალხთან.

5

**მონგოლთა მიერ საჯავო შეთანხმებათა დარღვევა.
მონგოლთა მხარტველოზის შეიშლება საქართველოში.
მონგოლთა შოთას წინააღმდეგ**

ზავის დადების შემდეგ, იმავე 1243 წელს, მონგოლებმა დაარღვიეს მიღწეული შეთანხმებანი. საქართველოს ახალგაზრდა მეფე დავით VI მათ გაგზავნეს მონგოლეთში მეფედ დასამტკიცებლად. ამრიგად, მონგოლთა მთავარსარდლობის მიერ დავით VI-ის მეფედ აღიარება 1243 წელს მოტყუება აღმოჩნდა.

დავით VI ჭერ წარგზავნეს მონგოლთა ჩრდილო ულუსში, ეგრეთწოდებულ ოქროს ურდოში, ბათო ყაენის წინაშე, ხოლო ამ უკანასკნელმა დავით VI გაგზავნა დიდ ყაენთან, ყარაყორუმში (ჩრდილო ჩინეთის საზღვართან). ამის შემდეგ დავით VI-ის შესახებ წლების მანძილზე არავითარი ცნობა არ იყო. რუსულდან მეფე გარდაიცვალა იმავე 1243 წელს.

ქვეყანა დარჩა ეროვნული მთავრობის გარეშე.

მონგოლებმა შემოიღეს თავისი მმართველობა საქართველოში. ქვეყანა დიდ განსაცდელში ჩაუარდა.

•

ერთ-ერთი პირველი ღონისძიება, ჩატარებული მონგოლთა ხელისუფლების მიერ, იყო ახალი სამხედრო-ადმინისტრაციული დაყოფა საქართველოსი. საქართველოს სახელმწიფო დაყოფილ იქნა ცხრა სამხედრო ოლქად; აქედან საქართველოში, გარდა შირვანის ავტონომიური სამეფოსი, — 8 ოლქი; შირვანი — 1 ოლქი.

ყოველი სამხედრო ოლქი ვალდებული იყო გამოეყვანა საგანგებო მუდმივი ჯარი — 10.000 მეომარი, რომელიც გადადიოდა მონგოლთა მთავარსარდლობის განკარგულებაში. ეს ჯარი, 10.000 მეომარი ყოველი ოლქიდან (ხოლო საქართველოს სახელმწიფოს ცხრა ოლქიდან საერთო ჯამით 90.000 მეომარი), ირიცხებოდა მონგოლთა ლაშქრის შემადგენლობაში, დანიშნული იყო მონგოლთა სამხედრო ექსპედიციებისათვის საქართველოსა და ამიერკავკასიის გარეთ. ეს ქართული ჯარი შედიოდა მონგოლთა ლაშქრობაში როგორც ცალკე ნაწილი, ქართული ნაწილი, ქართული სარდლობით.

საქართველოს სახელმწიფო არა მხოლოდ ვალდებული იყო ჰყოლოდა ეს საგანგებო დანიშნულების 90.000-იანი მუდმივი ჯარი მონგოლთა საზღვარგარეთულ ექსპედიციებში მონაწილეობის მისაღებად, არამედ ვალდებული იყო შეენახა კიდევ ეს ჯარი, მომარაგებული ჰყოლოდა სურსათით, ცხენებით და ყოველგვარი საჭურველით.

ამ ხარჯების დასაფარავად საქართველოზე გაწერილი იყო საგანგებო გადასახადები. სახელდობრ, ქართულ მატანეთა ცნობის თანახმად, სრული მიწის მქონებელი გლეხების ყოველ ათ ოჯახს გამოჰყავდა ერთი ჯარისკაცი; ამ ათი ოჯახიდან ერთი ოჯახი, რომელსაც ფაქტიურად გამოჰყავდა ჯარისკაცი, თავისუფლდებოდა ყოველგვარი სამხედრო გადასახადისაგან, ხოლო დანარჩენი იხდიდა სამხედრო გადასახადს, ყოველგვარ ხარჯს, რაც საჭირო იყო ჯარისკაცის შენახვისათვის, ასევე ცხენისა და ყოველგვარი საჭურველის შექმნისათვის.

საქართველოს ახალი სამხედრო-ადმინისტრაციული დანაწილება 8 სამხედრო ოლქად (შირვანს გარდა) ჩატარებული იყო იმრიგად, რომ ყოველ ოლქზე საშუალოდ მოსულიყო სრული მიწის მქონებელი გლეხობა არა ნაკლებ 90.000 ოჯახისა, რათა ერთ ოლქს შესძლებოდა გამოეყვანა 10.000 მეომარი (ათი კომლიდან 1 ჯარისკაცი), ე. ი. სრული სექსპედიციო კორპუსი ⁴⁶.

აქ საჭიროა ვიცოდეთ, რომ მონგოლთა ამ ადმინისტრაციულ რეფორმამდე, საქართველოს სახელმწიფო, გარდა შირვანის ავტონომიური სამეფოსი, განიყოფებოდა 25 მთავარ ადმინისტრაციულ ერთეულად, დიდ საერისთავოებად.

ახალი სამხედრო-ადმინისტრაციული დანაწილების დროს ძველი დანაწილება დიდ საერისთავოებად უცვლელად დარჩა, ამ დიდ საერისთავოთა სათავეში დარჩნენ იგივე ძველი ერისთავები, რომლებიც მემკვიდრეობით ფლობდნენ ამ საერისთავოებს.

ხოლო 8 ახალი სამხედრო ოლქი წარმოადგენდა ამ საერისთავოთა გაერთიანებებს; ყოველ ოლქში გაერთიანებული იყო ერთიდან ოთხ საერისთავომდე, ისეთი ვარაუდით, რომ ყოველ ოლქში ყოფილიყო გადამხდელი გლეხობა (სრული მიწის მქონე) არა ნაკლები 90.000 ოჯახისა.

ამ ახლად შექმნილი 8 ოლქის სათავეში მონგოლებმა დამტკიცეს უმაღლესი ხელისუფალნი, ოლქის მეთაურები, რომლებსაც „დუმნის-თავი“ ანუ „დუმნის მთავარი“ ეწოდებოდა („დუმანი“ — 10.000).

ყოველ ოლქში უმაღლეს ხელისუფლად („დუმნის მთავრად“) დამტკიცებულ იქნა ერთ-ერთი ერისთავი ოლქის საზღვრებში შემავალ საერისთავოთაგან. ეს იყო საერთო წესი.

ერთადერთი გამონაკლისი მონგოლებმა დაუშვეს შოთას მიმართ, იგი არ დამტკიცეს დუმნის მთავრად. ჩვენ ვხედავთ, და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, საქართველოს მთავართა შორის მონგოლთათვის ყველაზე მიუღებელი იყო შოთა რუსთაველი.

ჩვენ აქ ჩამოვთვლით, თუ ვინ დაამტკიცეს მონგოლებმა დუმნის მთავრებად. ზოგ მათგანს უკვე იცნობს მკითხველი, ხოლო ზოგს ჩვენ შევხვდებით მომდევნო მოთხრობის დროს.

მონგოლთა ხანის ქართველი ისტორიკოსის ეამთაღმწერელის ცნობათა თანახმად საქართველოს სახელმწიფოში, გარდა შირვანის ავტონომიური სამეფოსი, დაარსდა, როგორც მოვიხსენეთ, რვა ოლქი 47.

ა. დასავლეთ (იზირ) საქართველოში — 2 ოლქი:

I. ზღვისპირა ოლქი. მასში შევიდა 4 საერისთავო (1. ოდიში; 2. გურია; 3. სვანეთი; 4. ცხუმი). ღუმნის მთავრად დამტკიცებულ იქნა ოდიშის ერისთავი ცოტნე დადიანი. ამ დიდი ქართველი პატრიოტისა და გმირის შესახებ ჩვენ შემდეგ გვექნება საუბარი.

II. ქუთაისის ოლქი. მასში შევიდა სამი საერისთავო (5. რაჭა-თაკვერი; 6. სამოქალაქო; 7. არგვეთი). ღუმნის მთავრად დამტკიცებული იქნა რაჭა-თაკვერის ერისთავი კახაბერიძე.

ბ. აღმოსავლეთ (ამირ) საქართველოში — 4 ოლქი:

III. ქართლის ოლქი. მასში შევიდა სამი საერისთავო (8. ქართლი; 9. თბილისი — დომენი მეფისა; 10. ორბეთი). ღუმნის მთავრად დამტკიცებული იქნა ქართლის ერისთავი გრიგოლსურამელი.

IV. ზემო-ქართლის (მესხეთის მხარეთა) ოლქი. მასში შევიდა ოთხი საერისთავო (11. თორი; 12. თმოგვი; 13. სამცხე; 14. შავშეთ-კლარჯეთ-ტაონი). ღუმნის მთავრად დამტკიცებულ იქნა თორის ერისთავი გამრეკელი თორელი.

V. ქვემო ქართლის ოლქი. მასში შევიდა სამი საერისთავო (15. გაგი; მასთან გაერთიანებულ იქნა ტერიტორიისა და მოსახლეობის სიმციროს გამო, მეზობელი საერისთავონი, ეგრეთ წოდებული „სანაპირონი“. 16. ლორე, რომელიც ამაზე აღრე დაკავშირებული იყო ანისთან; 17. კენი, რომელიც ამაზე აღრე დაკავშირებული იყო დვინთან). ღუმნის მთავრად დამტკიცებულ იქნა ერისთავი ვაგისა ვარამგაგელი.

ამ პირს უკვე იცნობს მკითხველი. იგი იყო მონაწილე საქართველოს საზავო დელეგაციისა შოთა რუსთაველთან ერთად.

VI. ჰერეთ-კახეთის ოლქი. მასში შევიდა სამი საერისთავო: 18—19. ჰერეთისა და რუსთავის გაერთიანებული საერისთავო; 20. კახეთის საერისთავო.

ღუმნის მთავრად მონგოლებმა არ დაამტკიცეს არც შოთა რუსთაველი (ერისთავი ჰერეთ-რუსთავისა) და არც თორღვაპანკელი (ერისთავი კახეთისა).

ყოველგვარი წესის დარღვევით ღუმნის მთავრად დამტკიცებულ იქნა არა საერისთავოთა მეთაური ერთ-ერთი ერისთავი, არამედ „მცირე ერისთავი“, ვასალი ჰერეთის ერისთავისა ეგარსლან ბაკურციხელი. მის შესახებ ჩვენ ისევ გვექნება საუბარი.

VII. ანისის ოლქი. მასში შევიდა ერთი საერისთავო (21. ანისისა, მასთან გაერთიანებული ზემო-არაქსისა და ზემო ევფრატის კანტონებით). დუმნის მთავრად დამტკიცებული იქნა შ ა ნ შ ე მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ი, ერისთავი ანისისა.

ეს პირი აგრეთვე ნაცნობია, იგი იყო მონაწილე საქართველოს საზავო დელეგაციისა შოთასთან ერთად.

VIII. ღვინის ოლქი. მასში შევიდა ოთხი საერისთავო (22 — 23. ღვინისა და ბიჭნისის გაერთიანებული საერისთავო; 24. სივნიეთი; 25. ხაჩინი). დუმნის მთავრად დამტკიცებულ იქნა ა ვ ა გ მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ი, ერისთავი ღვინისა*.

სურათი, ამრიგად, ნათელია.

ის გათვლილია, რომ მონგოლებს არ დაუმტკიცებიათ „დუმნის მთავრად“ არც ერთი ერისთავი ჰერეთ-კახეთისა, არც შოთა, ერისთავი ჰერეთ-რუსთავისა, და არც თორღვა პანკელი, ერისთავი კახეთისა, ცხადია, იმიტომ იყო გამოწვეული, რომ შოთა რუსთაველის და თორღვა პანკელის საერისთავოებმა არა სცნეს მონგოლთა ბატონობა, როდესაც მთელი აღმოსავლეთი და სამხრეთ საქართველო უკვე დაპყრობილი ჰქონდათ მონგოლებს და, გარემოცულნი მტრისაგან, მონგოლთა ნახევარკალში მყოფნი, წლების მანძილზე განაგრძობდნენ უსწორო ბრძოლას, ვიდრე არ დაიდო მონგოლ-ქართველთა ზავი.

აქ საჭიროა მოვიგონოთ ამასთან, რომ შოთა არ იყო უბრალო ერისთავთ-ერისთავი, არამედ „მეფეთა ადგილსა მჭდომი“, მისი საერისთავო ყოფილი სამეფო იყო („მეშვიდე სამეფო“); თვით შოთა ადგილობრივ მეფეთა შთამომავალია, ბაგრატიონთა გვარისა, რის გამო იგი, მეფეთა მსგავსად, პორფიროსანი იყო. მით უფრო მრავლის მეტყველია ეს ფაქტი, რომ მონგოლებმა მიანიც გვერდი აუარეს შოთას. შოთას მონგოლები, როგორც ირკვევა, არ ენდობოდნენ.

შოთა მიუღებელი იყო მონგოლთათვის ბევრნაირად: ჯერ ერთი, როგორც ბოლომდე მებრძოლი მონგოლთა წინააღმდეგ ომის მსვლელობის დროს; ხოლო ამასთან ერთად, როგორც საზავო დელეგაციის წევრი, რომლის შემადგენლობაში, დელეგაციის ოთხ წევრთა შორის, შოთა ერთადერთი წარმოდგენდა თავისუფალ, დაუპყრობელ საქართველოს. ამასთან დაკავშირებით მრავლის მეტყველია ის ფაქტიც, რომ დელეგაციის ოთხ წევრთაგან მონგოლებმა სამი დაამტკიცეს „დუმნის მთავრებად“ (ავაგ მხარგრძელი, შანშე მხარგრძელი და ვარამ გაგელი), ხოლო შოთა რუსთაველის დამტკიცებისაგან თავი შეიკავეს.

6

მგარსლან ბაქარციხელი, საპარტიველოს მფიც მრვალოთაის აღმასრულებელი.
მგარსლანის კავშირი შოთა რუსთაველთან

მგარსლან ბაქარციხელი დადგენილი იყო მონგოლთა მიერ არა მხოლოდ ჰერეთ-კახეთის უმაღლეს ხელისუფლად, დუმნის მთავრად, არამედ, ვინაიდან საქართველო, რუსუდანის გარდაცვალების შემდეგ, უმეფოდ იყო დარჩენილი,

* ავაგ მხარგრძელი სამხედრო-ადმინისტრაციული დანაწილების ჩატარების დროს მონგოლეთში იმყოფებოდა, დიდი ყანის კარზე. ავაგის ჩამოსვლამდე ღვინის ოლქის განმგებლობა მონგოლებმა დროებით ჩააბარეს ავაგის ნათესავს შანშე მხარგრძელს.

მონგოლებმა ეგარსლანს დაავალეს საქართველოს მეფის მოვალეობის აღსრულება და ყველა ღუმნის მთავარი მას დაუმორჩილეს.

ვინ იყო ეგარსლან ბაქურციხელი?

ეგარსლანი, ვიდრე იგი აღზევდებოდა მონგოლთა მიერ, იყო „მცირე“ ერისთავი, ვასალი შოთა რუსთაველისა (ბაქურციხის თემი, რომლის მფლობელი იყო ეგარსლანი, ჰერეთის საერისთავოს ნაწილს შეადგენდა).

ეგარსლანი არაა ორდინარული პიროვნება. მონგოლთა დროის ქართველი ქაშთაღმწერელი მას ასე მოიხსენიებს: „კაცი საკვირველი“.

ეგარსლანი კარგი ორატორი ყოფილა, „ღრმად მოუბარი“, როგორც აღნიშნავს იგივე ისტორიკოსი.

ეგარსლანი, მონგოლთა ხანის იმავე ისტორიკოსის ცნობით, დიდი სამხედრო მოღვაწე იყო, „მხედრობისა ცოდნითა აღსავსე“.

მონგოლთა დროის ისტორიკოსს საჭიროდ მიაჩნია ამავე დროს ისიც აღნიშნოს, რომ ეგარსლანი, როგორც „მცირე ერისთავი“, ღარიბი ყოფილა („არაარათა ნიჭთა მქონებელი სახმართა“). თავისი ახალი მალალი მდგომარეობა მას არ გამოუყენებია მოხვეჭისათვის⁴⁸.

ეგარსლანმა მონგოლთა ყურადღება, ცხადია, მიიპყრო თავისი დიდი სამხედრო ტალანტით.

ეგარსლანის აღზევება მონგოლთა მიერ იწყება 1243 წლის დასასრულიდან, როდესაც იგი პერეთ-კახეთის ღუმნის მთავრად და მეფის მოვალეობის აღმასრულებლად დანიშნეს. ხოლო ამაზე ადრე, 1242 — 1243 წლების საზღვარზე, მონგოლებმა ილაშქრეს მცირე აზიაში რუმის სულთანის წინააღმდეგ. მონგოლთა ამ ლაშქრობაში, როგორც მოხსენებული გვექონდა, მონაწილეობას ღებულობდა ქართველთა ჯარი. საფიქრებელია, ამ ლაშქრობის დროს, როდესაც მონგოლებმა და ქართველებმა დიდი ბრძოლები გადაიხადეს, ეგარსლანმა მიიპყრო მონგოლთა სარდლობის ყურადღება, როგორც მხედართმთავარმა, „სამხედრო ცოდნითა აღსავსემ“.



ეგარსლანს, როგორც მეფის მოვალეობის აღმასრულებელს, დიდი ავტორიტეტი მოუპოვებია.

მონგოლთა ხანის ქართველი ისტორიკოსი გადმოგვცემს:

„ესე ეგარსლან, კაცი საკვირველი და მხედრობისა ცოდნითა აღსავსე, ეზომ განდიდნა, რომელ კნინდა და სახელისდებადცა მეფობისა იკადრა, და ყოველი ქართველთა ნათესავი ბრძანებასა მისსა მორჩილებდეს, ვითარცა მეფესა“⁴⁹.

მაგრამ მალალი ფეოდალური წრეები ვერ შეირიგებოდნენ ეგარსლანის ხელისუფლებას, რადგან იგი არა საჩინო გვარის წარმომადგენელი იყო.

1245 წელს საქართველოს დიდებულთა საგანგებო კრებაც კი შედგა, სადაც მსჯელობის საგანი იყო, თუ როგორ მოეხერხებინათ ეგარსლანის გადაყენება. მონგოლთა ხანის ქართველი ისტორიკოსი გადმოგვცემს 1245 წლისათვის:

„მაშინ შეკრბეს დიდებულნი ამის სამეფოსანი, რამეთუ ეძვინებოდა (უძძიმდათ) მთავარ ყოფა მათ ზედა ეგარსლანისა, არა მათგან უგუარაიანისისა კაცისა. ამისათვის შეკრბეს მთავარნი საქართველოსანი: შანშე, ვარამ გაგელი, ყვარყვარე ჭაყელი, სარგის თმოგველი..., სურამელი გრიგოლ, გამრეკელი თორელი, ორბელინი და მრავალნი ერისმთავარნი“⁵⁰.

აქ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ საქართველოს მთავართა შორის, რომელნიც შეიკრიბნენ ეგარსლანის გადასაყენებლად, ჩვენ ვერ ვხედავთ შოთას.

ხოლო ოდნავ ამაზე ადრე, იმავე 1245 წელს, როდესაც მზადდებოდა კოხტის-თავის შეთქმულება, ჩვენ ვხედავთ ამავე მთავართა უმრავლესობას და მათთან ერთად ეგარსლანსა და შოთა რუსთაველს⁵¹.

ამრიგად, საქართველოს მთავართა პირველ კრებაზე 1245 წელს ერთად არიან ეგარსლანი და შოთა; ხოლო მეორე კრებაზე იმავე 1245 წელს, როდესაც დგას საკითხი ეგარსლანის გადაყენებისა, არ იწვევენ, ბუნებრივია, ეგარსლანს, მაგრამ ამ კრებას არ ესწრება შოთა.

აშკარაა, შოთა მხარს უჭერს ეგარსლანს, შოთა არის მფარველი ეგარსლანისა.

პირველი შეხედვით ეს უცნაურად უნდა გვეჩვენოს.

მართლაც, მონგოლების აქცია, დანიშვნა ჰერეთ-კახეთის გაერთიანებულ მხარეთა უმაღლეს ხელისუფლად, „დუმნის მთავრად“, არა შოთასი, არამედ შოთას ვასალს ეგარსლანისა, ეს იყო შოთას უფლებათა უგულვებელყოფა.

ხოლო რით აიხსნება, რომ შოთა, მიუხედავად ამისა, მხარს უჭერდა ეგარსლანს?

ამის გამოცნობა არაა ძნელი.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ შექმნილ ვითარებაში, საქართველოს უმეტობის ხანაში, თანამდებობა მეფის უფლებათა აღმასრულებელისა იყო ერთადერთი პოლიტიკური ინსტიტუტი, რომლის გარშემო გაერთიანებული იყო საქართველო. ამ ინსტიტუტის გარეშე აღარ არსებობდა სხვა გამაერთიანებელი ცენტრი, ნონგოლთა დროის ქართველი ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ამ ანარქიულ ხანაში გაძლიერდა ფეოდალური პარტიკულარიზმი, — „თვითთელი ერისმთავარი თავისა თვისისათვის განაგებდა და ზრუნავდა“, ერისთავები უშუალო კავშირს ამყარებდნენ მონგოლთა სარდლობასთან⁵². ასეთ ვითარებაში გადაყენება ეგარსლან ბაკურციხელისა, რომელმაც ასეთი განსაკუთრებული ავტორიტეტი მოიპოვა და ფაქტიურად სათავეში ჩაუდგა ქვეყანას, ეს იქნებოდა საფრთხეში დაყენება საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობისა.

ამის გამო იყო, რომ შოთა მხარს უჭერდა და მფარველობდა ეგარსლანს.

მაგრამ არა მხოლოდ ამის გამო.

როგორც შემდეგ დაეინახავთ, ეგარსლანის არჩევანში მონგოლები მოტყუვდნენ. ეგარსლანი არ იყო მონგოლთა კაცი.

ეგარსლანი, რომელიც, როგორც ჰერეთის ქვეყნის ერთი თემის ერისთავი, ახალგაზრდობიდანვე შოთას გარემოცვას ეკუთვნოდა, იყო ნების აღმასრულებელი არა მონგოლებისა, არამედ შოთა რუსთაველისა და ნისი დანისა.

7

კოხტის-თავის შემთავლება მონგოლთა წინააღმდეგ, შოთა რუსთაველის, ეგარსლანისა და ცოტნე ღაღინის მონაწილეობით 1245 წელს

1245 წელს საქართველოში მოეწყო დიდი შეთქმულება, რომელიც ისახავდა მიზნად მონგოლთა მფლობელობის დამხობას საქართველოში. შეთქმულებას დიდი მასშტაბები ჰქონდა. შეთქმულების ხელმძღვანელი იყვნენ: შოთა

რუსთაველი, ეგარსლანი, ცოტნე დადიანი და მათ გარშემო შემოკრებილი პატრიოტთა დასი.

აღმოსავლეთ საქართველოს ერთ სიმაგრეში, კოხტის-თავის ციხეში, 1245 წელს შეთქმულებმა მოიწვიეს უკანასკნელი დიდი თათბირი.

თათბირს დაესწრნენ წარმომადგენლები საქართველოს ყველა მხრიდან. მონგოლთა ხანის ქართველი ისტორიკოსის ჟამთააღმწერლის ცნობით თათბირს ესწრებოდნენ ⁵³:



1. ეგარსლანი, ერისმთავარი, საქართველოს მეფის მოვალეობის აღმასრულებელი.



დასავლეთ საქართველოდან — ორი წარმომადგენელი ამ ქვეყნის ორი აღმინისტრაციული ოლქისა:

2. ცოტნე დადიანი, ერისმთავარი („დუმნის მთავარი“) დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა მხარეთა, განთქმული გმირი, რომელიც ხელმძღვანელობდა დასავლეთ საქართველოს თავდაცვას მონგოლ-ქართველთა ექვსწლოვან ომში — 1236 — 1241 წლებში.

3. კახაბერიძე — ერისმთავარი („დუმნის მთავარი“) დასავლეთ საქართველოს ზემო მხარეთა.



აღმოსავლეთ საქართველოს მხარეებს წარმოადგენენ შემდეგნი პირნი: ჰერეთ-კახეთის მხარეთ:

4. შოთა რუსთაველი, ერისთავი ჰერეთის და რუსთავის გაერთიანებულ მხარეთა;

5. თორღვა პანკელი, ერისთავი კახეთის მხარისა;

მათთან ერთად იყვნენ ჰერეთ-კახეთის ყველა თემის ერისთავები („მცირე“ ერისთავები). მონგოლთა დროის ქართველი ისტორიკოსი ჟამთააღმწერელი ჰერეთ-კახეთის წარმომადგენელთ ასე მოიხსენებს: „შოთა, თორღვა და სრულნი ჰერ-კახნი“.

ამრიგად, თათბირზე სრულად ყოფილა წარმოდგენილი შოთა რუსთაველის გარემოცვა, რომელიც მონგოლ-ქართველთა ექვსწლოვანი ომის დროს თავდადებულად იცავდა საქართველოს აღმოსავლეთ სანაპირო მხარეებს — ჰერეთსა და კახეთს.

6. საკუთრივ ქართლის მხარეებს წარმოადგენდნენ თემთა ერისთავები (ერისმთავარი გრიგოლ სურამელი თათბირს არ დასწრებია).

7. ქვემო-ქართლს წარმოადგენდა ერისმთავარი („დუმნის მთავარი“) ვარამგაგელი, რომელსაც უკვე იცნობს მკითხველი (ყოფილი წევრი საზავო დელეგაციისა, შოთა რუსთაველთან ერთად).

მესხეთის მხარეებს წარმოადგენენ:

8. გამრეკელი თორელი, ერისმთავარი („ღუმნის მთავარი“) მესხეთის მხარეთა.

9. ყვარყვარე ციხისჯვარელი, ერისთავი სამცხისა (და მასთან ერთად ამ მხარის თემთა ერისთავები).

10. საგის II თმოგველი, ერისთავი თმოგვისა.

11. შეეშეთ-კლარჯეთ-ტაოთა საერისთავოს წარმოადგენდნენ თემთა ერისთავები (საერისთავოს მეთაური ფანასკერტელი თათბირს არ დასწრებია).

საქართველოს სახელმწიფოს სამხრეთ მხარეებს წარმოადგენდა:

12. შანშე მხარგრძელი, ერისმთავარი („ღუმნის მთავარი“) ანისის მხარისა და დროებით განმგებელი ღვინის მხარისა, მასაც უკვე იცნობს მკითხველი (ისიც საზავო დელეგაციის წევრი იყო შოთა რუსთაველთან ერთად).

თათბირზე გადაწყდა არ დაეყოვნებიათ ომის დაწყება მონგოლებთან; დაინიშნა თარიღი გამოსვლისა და დაზუსტდა მოქმედების გეგმა.

პირველ რიგში კრებამ სასწრაფოდ გაგზავნა ცოტნე დადიანი და კახაბერისძე დასავლეთ საქართველოში, რათა მათ თავიანთ მხარეებში შეეყარათ ლაშქარი. დასავლეთ საქართველოში ბევრად ადვილი იყო ლაშქრის შემოკრება და სამხედრო სამზადისის ჩატარება, რადგან დასავლეთ საქართველოში მონგოლთა გარნიზონები არ იყო (მონგოლები ლიხის მთის საზღვრებს ვერ გასცილდნენ).

რაც შეეხება აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს, სადაც მძლავრობდნენ მონგოლები, ლაშქრის შეკრება ნაწილ-ნაწილ და ფარულად უნდა ჩატარებულიყო, რისთვისაც დაინიშნენ სანდო ემისარები.

შეთქმულების მეთაურნი მთავარნი, მათ შორის შოთა, ჯერ კიდევ კოხტისთავის ციხეში იმყოფებოდნენ, როდესაც კოხტის ციხეს გარს შემოერთყა მონგოლთა ჯარი; მონგოლთა სარდლობას ცნობა მოუვიდა, რომ ქართველი მთავრები ერთად არიან შეკრებილნი კოხტის ციხეში, და ეპყრა აიღეს, ხომ არ მზადდებოთ აჯანყება. რაკი ქართველთა ლაშქრის შეკრება ჯერ არც კი დაწყებულ იყო, წინააღმდეგობის გაწევას, რასაკვირველია, აზრი ეკარგებოდა. ამიტომაც შეთქმულებსაც აღარ გაუწევიათ წინააღმდეგობა. შეთქმულების ყველა მონაწილე მთავრები, და მათ შორის მოხუცი შოთა, შეიპყრეს მონგოლებმა და წაიყვანეს ანისის ქვეყანაში, მონგოლთა მთავარსარდლობის წინაშე⁵⁴.

ანისში დატყვევებული საქართველოს მთავრები დაჰკითხეს მონგოლთა ნოინებმა; მაგრამ შეთქმულთა გატეხა ვერ შესძლეს. ყველა შეთქმულის პასუხი ერთი იყო — რომ შეიკრიბნენ არა განდგომისათვის, არამედ შინაურ საქმეთა განსაგებლად. მონგოლთათვის ხარაჯის გადახდის მოსაგვარებლად.

რაკი შეთქმულნი ვერ გატეხეს, ამის შემდეგ მონგოლებმა მიმართეს ველურ სასაჯელს. საქართველოს მთავრებს გახადეს სამოსელი, შეუტრეს მხრე-

ბი, და მათი დამცირების მიზნით, დასვეს ისინი ქალაქ ანისის მოედანზე შიშველნი და მხარდაკარული აუტანელ სიციხეში. ყოველდღე წარმოებდა მათი დაკითხვა, მაგრამ, მიუხედავად აუტანელი სატანჯველისა, შეთქმულნი მაინც ვერ გატეხეს. „ყოველთა დღეთა ჰკითხვიდეს მიზეზსა შეკრებისასა, — წერს მონგოლთა დროის ქართველი ისტორიკოსი ჟამთააღმწერელი, — და უკეთუ არა აღიარონ ჰეშმარიტი, სიკვდილსა მისცენ ყოველნი ესე ზემოხსენებულნი მთავარნი. ხოლო იგინი დაამტკიცებდეს: „შევეკრებითო, რათა განვაჩინოთ ხარაჯა“. და ამას ჰირსა და სატანჯველსა იყვნეს, — არცა ირწმუნებდეს სიტყვასა მათსა და არცა განუტევებდეს“⁵⁵.

შეთქმულთ მოელოდათ სიკვდილით დასჯა. მონგოლებმა ასეთ შემთხვევაში არ იცოდნენ შებრალება.

შეთქმულნი იხსნა ცოტნე დადიანის გმირულმა თავდადებამ.

მოთხრობას ცოტნე დადიანის შესახებ შესაძლოა ეპიგრაფად წამძღვარებოდა შოთა რუსთაველის სიტყვები:

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჰირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“.

და ეს არა იმის გამო, რომ შოთას ეს სიტყვები შეეფარდება ცოტნეს თავდადებას, არამედ იმის გამო, რომ მონგოლთა დროის ჟამთააღმწერელს, რომელიც აგვიწერს ცოტნეს საქმეს, ჩანს, აგონდებოდა, სახარების სიტყვებთან ერთად, შოთას ეს სიტყვებიც. მონგოლთა დროის ჟამთააღმწერელი ასე აფასებს ცოტნეს საქმეს: „უფროს ამისა სიყვარული არა არს, რათა დაღვას კაცმან სული თვისი მოყვისსა თვისისათვის“, და კიდევ: „მოვიდა კაცი, რათა დაღვას სული თვისი მოყვარეთათვის“.

ცოტნე დადიანი, როგორც ზევით გვეჩვენა მოხსენებული, კოხტის კრების შიერ გაგზავნილი იყო თავის მხარეში ლაშქრის შესაყრებად. როცა პაემანი მოახლოვდა, ცოტნე დაიძრა მომზადებული ლაშქართა და მოადგა დასავლეთ საქართველოს საზღვარს ლადოს მთებთან (ზეკარის უღელტეხილთან). აქ ცოტნემ გაიგო, რომ აჯანყების საქმე უკვე ჩამოილია, რომ აჯანყების მოთავე ყველა მთავარი მონგოლებმა შეიპყრეს. რაკი საქართველოს დანარჩენ მხარეებში ჯარის შეკრების შესაძლებლობა უკვე მოხსნილი იყო მთავრების დატყვევების გამო, ომის გამოცხადებას მართო ერთი ოლქის ჯარებით (რვა ოლქიდან), რასაკვირველია, აღარავითარი აზრი არა ჰქონდა; ამიტომ ცოტნემ უკან დააბრუნა შეყრილი ლაშქარი, ხოლო თვითონ პირადად ფადაწყვიტა ანისში წასვლა, თავისი ტყვედ მყოფი მეგობრების ბედის გასაზიარებლად.

„ვითარ აუწყეს ცოტნეს წარსხმა უოველთა მთავართა საქართველოსათა ანისად, — წერს ჟამთააღმწერელი, — ყოველთავე ყოფა სატანჯველთა შინა ზოროტთა, მწუხარე იქინა უზომოდ, და თვისად სიკვდილად შერაცხა საქმე ოგი, და წარავლინა (უკან დააბრუნა) ლაშქარი თვისი და ორითა კაცითა

წარვიდა ანისად, დამდეგი სულისა თვისისა... რომელ ყო პატიოსანმან ამან
კაცვან ცოტნე სათოება მაღალი და განსათქმელი... განვლო სამცხე და ჯავა-
ხეთი და მივიდა ანისსა.

„... და ესე მთავარი — ტყვენი (ქართველნი), მხარდაკრულნი, შიშველ-
ნი მოედანსა შინა მსხდომარე იყვნეს. ვითარცა იხილნა ცოტნე — წარჩინებუ-
ლნი ესრეთ უპატიოდ მსხდომარენი და სიკვდილად განწირულნი, გარდახდა
ცხენისაგან და დააბნია სამოსელი თვისი; განშიშვლდა და შეიკრნა მხარნი და
დაჯდა წარჩინებულთა თანა მწუხარედ“.

ჟამთაღმწერელი განაგრძობს:

„და ვითარ იხილეს თათართა, განკვირდეს და მსწრაფლ აუწყეს ნოინთა
(მთავარსარდალთა), ვითარმედ ცოტნე დადიანი მოვიდა ორითა კაცითა და
განიძარცვა სამოსელი თვისი, და შეკრული დაჯდა ქართველთა თანა. კეთილად
მეცნიერნი იყვნენ ცოტნესი, რომლისათვის განკვირდეს თათარნი, და წინაშე
მათსა მოუწოდეს, და ჰკითხვიდეს მიზეზსა მუნ მისლვისა მისისა და ამის საქ-
მისა ქმნასა, რომელი მან ჰყო“.

ცოტნემ იგივე პასუხი გასცა ნოინებს, რასაც იმეორებდნენ დატყვევებუ-
ლი ქართველები. ჟამთაღმწერლის უწყებით ცოტნეს პასუხი შემდეგი იყო:

„ჩვენ ყოველნი ამად შევიკრიბენით, რათა განვაგოთ ხარაჯა თქვენი — ესე
იყო მიზეზი შეკრებისა ჩვენისა. აწ თქვენ ძვირისმოქმედად (ბოროტმოქმე-
დად) შეგვრაცხენით, და მე ამის ძლით (ამის გამო) მოვედ წინაშე თქვენსა,
რათა გამოიკითხოთ, და უკეთუ ღირსი რაიმე სიკვდილისა გვიქმნიეს, მეცა
ამათანა მოკვდებ, და უკეთუ უბრალონი იყვნენ, მეც უბრალოდ შევირაცხო,
რამეთუ თვინიერ ჩემსა არაა უქმნიეს“ 56.

ბარბაროსი მონგოლები განაცვიფრა და ჩააფიქრა იმდენად არა ცოტნეს
სულის სიდიადემ, რომ მან გასწირა თავი სასიკვდილოდ და მოვიდა თავის
მეგობრებთან მათი ხედრის გასაზიარებლად, არამედ სულ სხვამ: მონგოლებმა
კარგად იცოდნენ, რომ თუკი ცოტნე თვით არ მოსულიყო ანისს, ვერასგზით
ვერ შეიბყრობდნენ მას; მონგოლებმა ვერ გადალახეს ლიხის მთა, დასავლეთ
საქართველოში მონგოლთა რაზმები არ იყო და, ცხადია, მათ ხელი არ მიუწვ-
დებოდათ ცოტნემდე, რომელიც მფლობელი იყო როგორც ოდიშისა, ისე სვა-
ნეთისა, და რომელსაც ყოველთვის შეეძლო შეეფარებინა თავი მიუვალ სვა-
ნეთში ან კავკასიის მთიანეთში.

ამან ჩააფიქრა მონგოლები და შეაცვლევინა გადაწყვეტილება ქართველ
მთავართა სიკვდილით დასჯისა. მათ ივარაუდეს, რომ თუკი ქართველები მარ-
თლაც აჯანყებას აწყობდნენ. მათი თანამოზიარე ცოტნე არასგზით არ ჩამოვი-
დოდა ანისში, არ ჩაუვარდებოდა ხელთ მონგოლებს.

ამას ერთვოდა კიდევ ორი რამ:

მონგოლებს, ჯერ ერთი, მართლაც არ ჰქონდათ რაიმე ხელმოსაჭიდებელი
საბუთი იმისა, თუ რისთვის იყვნენ ქართველი მთავრები შეკრებილნი, აჯანყე-
ბის მოსაწყობად, თუ შინაურ საქმეთა გამო, კერძოდ, მონგოლთა ხარაჯის საქ-
მის მოსაგვარებლად (რაც მართლაც დიდად საჭირობოროტო საკითხი იყო); შე-
თქმულება არავის არ გაუცია.

ამას გარდა მონგოლებმა, ჩანს, ანგარიში გაუწიეს იმასაც, რომ დატყვევე-

ბულ ქართველ მთავართა შორის იყვნენ მონგოლთა მიერ პატივცემულნი პირნი, მონგოლთა ძველი ვასალები — შანშე მხარგრძელი და ვარამ გაგელი.

მონგოლებმა დატყვევებული ქართველი მთავრები გაათავისუფლეს.



ხოლო ეკვი იმისა, რომ ქართველ მთავართა დიდი შეკრება შესაძლოა აჯანყებას ისახედაო მიზნად, მაინც დარჩა.

და ეს არა მხოლოდ ამიერკავკასიის მონგოლთა შორის.

როდესაც მომხდარი ამბების შესახებ ცნობამ მიაღწია მონგოლეთის იმპერიის ცენტრში ყარაყორუმში, იქ მდგომარეობა ისე შეუფასებიათ, რომ აჯანყება მართლაც მზადდებოდა, და დაუსკვნიათ, რომ საქართველო აჯანყების საზღვართან დგასო.

ამას ადასტურებს ცნობა ევროპელი მწერლის პლანო კარპინისა, რომელიც 1240-იან წლებში ყარაყორუმში იყო, რომის პაპის მიერ დიდი ყაენის წინაშე წარგზავნილი საელჩოს შემადგენლობაში. პლანო კარპინი აღნიშნავს თავისი მოგზაურობის წიგნში 1247 წლისათვის (ე. ი. ორი წლის შემდეგ კოხტის-თავის შეთქმულებისა) ყარაყორუმში გაგონილ ამბავს: მონგოლები მოშორებით მცხოვრებ ერებს, რომლებიც, ამასთანავე, მათ (მონგოლებს) დიდად არაფრად ავლებენ, — რბილად ეპყრობიან, და მარტო ხარაჯის აკრეფით კმაყოფილდებიან, როგორც, მაგალითად, ისინი ქართველებს მოექცნენ, რომელთაგან მარტო ხარაჯას ჰკრეფენ, მაგრამ მაინც შეგვიძლია დახამდვილებით ვთქვათ, რომ ქართველები აჯანყების წერტილამდე არიან მისული⁵⁷.

პლანო კარპინი სცდება, როცა აღნიშნავს, რომ ქართველები მარტო ხარაჯას იხდიან; სხვა რომ არა ითქვას რა, საქართველოს მონგოლთაგან შეწყერილი ჰქონდა 90.000 ჯარისკაცის გამოყვანა საქართველოს გარეთ მონგოლთა ექსპედიციებში მონაწილეობის მისაღებად.

ხოლო პლანო კარპინის ცნობაში ის არის საყურადღებო, რომ კოხტის-თავის შეთქმულთა საქმე თუმცა ვერ განხორციელდა, მაგრამ მას მაინც გამოჩნაურება ჰქონია, რომ ქართველები მონგოლებს დიდად არაფრად ავლებენ და აჯანყების საზღვრამდე არიან მისულნი.

8

1245—1247 წლები

კოხტის-თავის შეთქმულების ჩაშლის შემდეგ საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდა. აღარ არსებობდა საყოველთაო აღიარების მქონე საქართველოს ცენტრალური მთავრობა. ფეოდალურ წრეებში კიდევ უფრო იზიზარდა ოპოზიცია საქართველოს პირველი ერისმთავარის ეგარსლანის წინააღმდეგ.

ამავე დროს არავითარი ცნობა არ იყო საქართველოს ახალგაზრდა მეფის დავით VI-ის (რუსუდანის ძის) შესახებ, რომელიც მონგოლთა მიერ წარგზავნილი იყო მეფედ დასამტკიცებლად დიდი ყაენის წინაშე ყარაყორუმ-

ში; სამი წლის მანძილზე ამბავის მოუსვლელობის გამო საფიქრებელი ხდებოდა, რომ იგი შესაძლოა ცოცხალი არ ყოფილიყო.

1245 წელს საქართველოში მოვიდა ცნობა, რომ საქართველოს მეორე უფლისწული დავითი, მეფის გიორგი-ლაშას ვაჟი, რომელიც 1236 წელს რუმის სულთანის კარზე იყო წარგზავნილი, და რომელიც დაღუპულად ითვლებოდა, ცოცხალი არისო.

ამ ცნობის მიღების შემდეგ ქართველ მთავართა ერთი ჯგუფი ჩავიდა მონგოლთა მთავარ ბანაკში და, როგორც გადმოგვცემს მონგოლთა დროის ისტორიკოსი ჟამთააღმწერელი, შემდეგი მოახსენეს მონგოლთა მთავარსარდლობას: „ვინათგან წარავლინეთ მეფე ჩვენი ნარინ დავით (რუსუდანის ძე) ყაენს წინაშე და არა უწყით რა შეემთხვა, და დედა მათი რუსუდან გარდაიცვალა, — არა არს ნათესავი მეფეთა ჩვენთა... აწ გვასმიეს — შვილი მეფისა ჩვენისა ლაშასი სახელით დავით — ცოცხალ არს... აწ გვედრებით, რათა წარავლინოთ ერთი ვინმე სახელოვანი კაცი და მოიყვანოთ დავით მეფე და ყოთ ჩვენ ზედა მეფედ“. 58

მონგოლთა მთავარსარდლობამ ყურად იღო ეს თხოვნა და რუმის სასულთნოში გაემართა თვით ერთ-ერთი მთავარსარდალი, წარჩინებული ნოინი (სულ მთავარსარდლებად ოთხი ნოინი იყო). ქართველ მთავართაგან ნოინს გაჰყენენ ვარამ გაგელი და სარგის II თმოგველი. მათ რუმის სასულთნოში მოიძიეს ტყვედ მყოფი დავით ლაშას ძე და ჩამოიყვანეს საქართველოში.

დავით ლაშას ძეს მიეგებნენ საქართველოს მთავარნი, მათ შორის შოთა რუსთაველი 59. ყველა მოელოდა, რომ დავით ლაშას ძეს მონგოლები მეფედ აღიარებდნენ, შესრულდებოდა ქართველ მთავართა პირველი თხოვნა. ამაში ეჭვი არავის ჰქონდა, რადგან დავითის მოსამძიებლად და ჩამოსაყვანად თვით მონგოლთა ნოინი წავიდა.

ქართველი მთავრები, მათ შორის შოთა, გაჰყენენ დავით ლაშას ძეს მონგოლთა ბანაკში 60. მაგრამ ქართველ მთავრებს იმედი გაუცრუვდათ. მონგოლთა ხანის ქართველი ისტორიკოსი ჟამთააღმწერელი აღნიშნავს, რომ როდესაც დავით ლაშას ძე წარსდგა ნოინთა წინაშე, ნოინებმა „მეფობა ვერ დაუმტკიცეს, არამედ წარავლინეს ბათო ყაენისსა“.

ამრიგად, მონგოლებმა იგივე მოიმოქმედეს, რაც დავით VI-ის (რუსუდანის ძის) მიმართ.

ბოლო საქმე ამით კიდევ უფრო რთულდებოდა. დავით VI რუსუდანის ძის გვერდით (რომელიც ქართველთაგან უკვე მეფედ იყო კურთხეული) ფაჩნდა მეფობის მეორე პრეტენდენტი — დავით ლაშას ძე.

დავით ლაშას ძეს ბათო ყაენთან, მონგოლთა ჩრდილოეთ ულუსში. წაჰყვა სამი ქართველი დიდებული, მათ შორის სარგის II თმოგველი. ბათო ყაენმა თავის მხრით დავით ლაშას ძე გაგზავნა ყარაყორუმში დიდი ყაენის წინაშე (დავითს აქაც გაჰყვა სარგის II თმოგველი).

მთელი ეს ისტორია საქართველოს მეფის დამტკიცებისა გაგრძელდა ამის შემდეგ კიდევ ორი წელი. მონგოლებმა ერთგვარად „სოლომონისებური“ გადაწყვეტილება მიიღეს. 1247 წელს მათ მეფედ დამტკიცეს ორივე დავითი, პირველ მეფედ დავით ლაშას ძე, თანამეფედ დავით რუსუდანის ძე.

ორივე დავითი ჩამობრუნდა საქართველოში და დაიპირეს საქართველოს ტახტი 1247 წელს⁶¹.

ამრიგად, დამთავრდა ეს გარდამავალი პერიოდი და საქართველოს სახელმწიფომ 1247 წლიდან მიიღო მონგოლთა ვასალური სახელმწიფოს სტატუსი.

საქართველო რჩება ამის შემდეგ მონგოლთა იმპერიის სფეროში 80 წელი, XIV საუკუნის 20-იან წლებამდე, როდესაც, გიორგი ბრწყინვალის დროს, საქართველო კვლავ აღიდგენს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და დაიწყება ახალი პერიოდი საქართველოს ისტორიისა.

9

1247 — 1250 წლები

როგორც აღნიშნული გვქონდა, მონგოლთა დროის ისტორიკოსის ეამთა-აღმწერელის თხზულებაში შოთა მოიხსენება 1245 წელს, როდესაც იგი, სხვა ქართველ მთავრებთან ერთად, შეეგება რუმის სასულთნოდან დაბრუნებულ დავით ლაშას ძეს.

შოთა ამ დროს მოხუცია, 79 წელს მიწევნილი.

შოთას ცხოვრების ბოლო პერიოდს ეკუთვნის შოთას ფრესკა იერუსალიმის ჭვარის ძველ-ქართულ მონასტერში.

შოთა იერუსალიმის ფრესკაზე წარმოდგენილია როგორც საქართველოს სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფალი, ვაზირი მეკურკლეთ-უხუცესი და ერისთავთ-ერისთავი.

იერუსალიმის ფრესკა, როგორც განმარტებული გვქონდა, დახატულია 1245 — 1250 წლებს შორის; უფრო დაზუსტებით იგი უნდა მიეკუთვნოს 1247 — 1250 წლებს.

ქართველი მოგზაური ტიმოთე გაბაშვილი, რომელმაც XVIII საუკუნის შუა წლებში აღწერა ჭვარის მონასტერი და მისი სიძველენი, გადმოგვცემს შემდეგს ცნობას:

„ოდეს ჭვარის მონასტერი დაძველებულა... გუმბათს ქვეითნი სვეტნი განუახლებია და დაუხატენებია შოთა რუსთაველს, მეკურკლეთ-უხუცესს. თითონაც შიგ ხატია მოხუცებული“.

ამ ცნობას ტიმოთე გაბაშვილი, როგორც მოხსენებული გვქონდა, შემდეგს უმატებს:

„ესე (შოთა) იყო მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართველთა სიწმიდისა წილ ბოროტი ბილწება და განრყენა ქრისტიანობა“⁶².

დაეტოვოთ ჯერ გვერდზე ტიმოთე გაბაშვილის ეს ბოროტი რეპლიკა, მიმართული შოთას წინააღმდეგ, მას ჩვენ ისევ დაუბრუნდებით.

ეს მოსაზრება ემყარება მხოლოდ იმ ფაქტს, რომ ჭვარის მონასტერში დახატულია შოთას სურათი. თავდაპირველად ისიც კი ითქვა, რომ შოთა ამ სურათის ქვეშ არისო დასაფლავებული.

ამრიგად, ტიმოთე გაბაშვილის ძირითადი ცნობის თანახმად, შოთას სურათი იერუსალიმის ჭვარის მონასტერში დაუხატავთ იმ პერიოდში, როდესაც

ჩატარებულა ჯვარის მონასტრის რესტავრაცია, კერძოდ, რესტავრაცია მხატვრობისა. ხოლო თუ ჩვენ გავითვალისწინებთ იმ კატასტროფულ ვითარებას, რომელშიაც იმყოფებოდა საქართველო მონგოლ-ქართველთა ექვსწლოვანი ომის დროს და მონგოლთა მფლობელობის დამყარების პირველ წლებში, ვიდრე 1247 წლამდე, როდესაც საქართველოში ისევ აღდგენილ იქნა მეფობა და იწყება ერთგვარი სტაბილიზაცია, რასაკვირველია, გამორიქებულია, რომ 1247 წლამდე საქართველოს სახელმწიფოს ხელისუფლებას და მის ვაზირს მეპურქლეთ-უხუცესს შოთა რუსთაველს ეფიქრათ შორეული იერუსალიმის ჯვარის მონასტრის რესტავრაციაზე. ჯვარის მონასტრის რესტავრაცია და განახლება მისი მხატვრობისა, ცხადია, ეკუთვნის დროს 1247 წლის შემდეგ. 1247 — 1250 წლებს.

ამრიგად, 1247 — 1250 წლებში შოთა ცოცხალი იყო. შოთა ამ დროს ყოფილა ვაზირი მეპურქლეთ-უხუცესი საქართველოს სახელმწიფოსი და მისი დავალებით ჩაუტარებიათ ნაწილობრივი რესტავრაცია ჯვარის მონასტრისა (გუმბათის ოთხი სვეტის განახლება), და კერძოდ განახლება ჯვარის მხატვრობისა; ამ დროსვე დაუხატავთ შოთას პორტრეტი.

10

ისტორიული სინამდვილე შოთა რუსთაველის ცხოვრების ბოლო წლების შესახებ. მოხსნა ლეგენდებისა

შოთა რუსთაველმა თავისი ცხოვრება საქართველოში. დაასრულა. შოთას ნეშტი განისვენებს საქართველოში.

შოთა რუსთაველის შესახებ გამოითქვა მოსაზრება, ვითომც შოთა რუსთაველი თავისი ცხოვრების ბოლო წლებში იერუსალიმში, ჯვარის მონასტერში მკვიდრობდა და იქ არისო დასაფლავებული.

მაგრამ ყოველივე ეს მცდარი, სავსებით ილუზორული მოსაზრებაა.

ვინაიდან ამ საგანზე ბოლო წლებში ბევრი დაიწერა როგორც ქართულ, ისე რუსულ ლიტერატურაში, აგრეთვე პრესაში (კერძოდ პალესტინის პრესაში) და საკითხი თანდათან ლეგენდარულ სამოსელში გაეხვია, აუცილებელი ხდება შევჩერდეთ ამ საგანზე.

მოსაზრებას, რომ შოთა იერუსალიმში, ჯვარის მონასტერში მკვიდრობდა, იქ გარდაიცვალა და დასაფლავდა, კიდევ ექნებოდა რაიმე საფუძველი, თუკი შოთა ბერად ყოფილიყო შემდგარი.

მაგრამ შოთა არ იყო ბერი.

ჯერ ერთი, ფრესკაზე შოთა გამოსახულია არა როგორც ბერი, არამედ როგორც საერო პირი. შოთას აცვია არა ბერის სამოსელი, არამედ პორფირის სამოსელი, ისევე როგორც მეფეებს ეცვათ. შოთა ამ დროს არის არა ბერი, არამედ ერისთავთ-ერისთავი პერეთისა და რუსთავის გაერთიანებული მხარისა (ეს მხარე, როგორც განმარტებული გვექონდა ზემოთ სპეციალურ ნარკვევში, ძველად წარმოადგენდა ფეოდალურ სამეფოს, შოთა იყო სამეფო გვარეულობის წევრი, ბაგრატიონი, შთამომავალი და შემკვიდრე ამ მხარის ძველთა

მეფეთა, იგი ითვლებოდა მეფის მოადგილედ თავის მხარეში, იყო „მეფეთა ადგილსა მჭდომი“; ამის გამოა, რომ შოთას პორფირის სამოსელი აცვია). შოთა ამავდროს არის სახელმწიფოს ვაზირი მეჭურჭლეთ-უხუცესი.

რომ შოთა არ იყო ბერი, ამას აგრეთვე ისიც ადასტურებს, რომ შოთასათვის სახელი არ შეუცვლიათ, როგორც ეს ბერად შედგომის დროს იყო მიღებული.

ხოლო ის გარემოება, რომ შოთას სურათი გამოსახულია ჭვარის მონასტერში, სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ შოთა თვით პირადად ყოფილიყო იერუსალიმში, და მით უფრო იმას, რომ შოთა იერუსალიმშია დასაფლავებული. იერუსალიმის ჭვარის მონასტერში არა მარტო შოთა, არამედ მრავალი ათეული მოღვაწე იყო გამოსახული, მაგრამ ეს როდი ნიშნავს მათ ყოფნას იერუსალიმში, და არც იმას, რომ ისინი იერუსალიმში გარდაიცვალნენ და დასაფლავდნენ. ასე, მაგალითად, ჭვარის მონასტერში გამოსახულნი არიან ლევან II დადიანი, მარიამ დედოფალი (მეუღლე როსტომ მეფისა) და სხვანი, მაგრამ კარგად არის ცნობილი, რომ არც ლევან II დადიანი, და არც მარიამ დედოფალი, ასევე მთელი წყება ჭვარის მონასტერში გამოსახულ პირთა, იერუსალიმში არ ყოფილან.

როგორც ცნობილია, სახელმწიფოს მეთაური პირნი, მეფენი, ვაზირნი, დიდნი ხელისუფალნი თავისი მისიის შესასრულებლად იერუსალიმში ჩვეულებრივ ვზავნიდნენ თავიანთ რწმუნებულებს (ეს იმით იყო გამოწვეული, რომ დიდ ხელისუფალთ, განსაკუთრებით ვაზირთ, არ ჰქონდათ შესაძლებლობა ხანგრძლივ ჩამოშორებოდნენ სახელმწიფოებრივ საქმეთა ხელმძღვანელობას, ხოლო იერუსალიმში მგზავრობა დიდ დროს ითხოვდა). ასე, მაგალითად, XIII საუკუნის პირველ ნახევარში, შოთას ხანაში, თავისი რწმუნებულნი გაუგზავნიდა იერუსალიმში: გიორგი-ლაშას — მესტუმერი შალვა (ვაზირის მეორე მოადგილე); ცოტნე დადიანს — ჭერ გრიგოლ დრანდელი მთავარეპისკოპოსი, ხოლო შემდეგ იოანე მთავარეპისკოპოსი ⁶³.

ხოლო შოთას, საქართველოს სახელმწიფოს ვაზირს მეჭურჭლეთ-უხუცესს, თავის წარმომადგენლად იერუსალიმში წარუგზავნია ანტონი ალავერდელი (კახეთ-ჰერეთის მხარეთა პირველი ეპისკოპოსი). ანტონი ალავერდელის ხელით არის ჩაწერილი ჭვარის ალაბთა წიგნში მოსახსენებელი როგორც თვით ანტონისა, ისე შოთასი (ამას გარდა ანტონის ჩანაწერი მოიპოვება იერუსალიმის ჭვარის სხვა ხელნაწერშიაც) ⁶⁴.

ჰერეთ-რუსთავის ბაგრატიონთა სახლი, ჩანს, ძველნი ქტიტორნი (მეურვენი) იყვნენ იერუსალიმის ჭვარის ქართული მონასტრისა, ისევე როგორც ოდიშის ერისთავთა გვარეულობა, ცოტნე დადიანის სახლი. შოთასთვის, ჰერეთ-რუსთავის მთავართა სახლის მეთაურისათვის, მიუმართავთ, რომ იერუსალიმის ჭვარის ქართული მონასტერი, კერძოდ მხატვრობა, განახლებას მოითხოვდა. შოთას, რომელიც არა მარტო მეთაური იყო ჰერეთის და რუსთავის მთავართა სახლისა, არამედ ამავე დროს იყო აგრეთვე საქართველოს სახელმწიფოს ვაზირი მეჭურჭლეთ-უხუცესი, მიუღია მონაწილეობა ჭვარის განახლებაში; უნდა ვიცოდეთ ამასთან, რომ ჭვარის ქართული საეპისკოპოსოსათვის სათანადო ბრწყინვალეობით დაეცას მოითხოვდა საქართველოს სახელმწიფოს პრესტიჟი და ამაზე ზრუნვა ევალებოდა შოთას, როგორც ვაზირს მეჭურჭლეთ-უხუცესს.

აღსანიშნავია ამას გარდა, რომ ჯვარის განახლებაში იმავე 1247—1250 წლებში მონაწილეობა მიუღია არა მარტო შოთას, მისი მისიის შემსრულებლის ანტონი ალავერდელის მეშვეობით, არამედ აგრეთვე ცოტნე დადიანს, მისი მისიის შემსრულებლის გრიგოლ დრანდელის მეშვეობით. როგორც ირკვევა, ჯვარის განახლება 1247—1250 წლებში საერთო საქმეა შოთას და ცოტნეს სახლთა (ამას ადასტურებს ჯვარის სამონასტრო მატინის — ალაბთა წიგნის ჩანაწერები და ჩვენს დრომდე მოღწეული ფრესკა დრანდელისა, და დიანთა სახლის წარმომადგენლისა)⁶⁵.

ის გარემოება, რომ შოთა რუსთაველისა და ცოტნე დადიანის წარმომადგენლები ერთად აწარმოებენ ჯვარის განახლებას, მოულოდნელს არას შეიცავს. შოთა და ცოტნე, განთქმული გმირი (მონაწილე შოთასთან ერთად კობტის-თავის შეთქმულებისა), ოჯახურადაც დაახლოებულნი იყვნენ: ცოტნე დადიანის მეუღლე არის შოთას ძმისწული — ბო რ ე ნ ა, პოეტი ქალი, რომელიც ჩვენ ზემოთ გვყავდა მოხსენებული⁶⁶.

აქ საჭიროა აღნიშნოთ აგრეთვე, რომ სვეტი, რომელზედაც გამოსახულია შოთა, ოთხ-კუთხია, ოთხ მხარეს შეიცავს. ამ სვეტზე გამოსახული ყოფილა ოთხი პორტრეტი (თითო პორტრეტი თითო მხარეს), რომლებიც ერთ კომპლექსს შეადგენდა. სახელდობრ, როგორც ირკვევა, ამ კომპლექსში წარმოდგენილი იყო ორი ჯგუფი⁶⁷.

- | | | |
|---------------|---|--|
| პირველ ჯგუფში | { | 1. შოთა;
[2. შოთას წარმომადგენელი ანტონი ალავერდელი]. — |
| მეორე ჯგუფში | { | [3. ცოტნე];
4. ცოტნეს წარმომადგენელი გრიგოლ დრანდელი. — |

ამ ოთხი პორტრეტიდან დღემდე გადარჩენილია ორი: 1 და 4. არ მოღწეულა ორი: 2 და 3.

რომ შოთა არ ყოფილა იერუსალიმში (ისევე როგორც არ ყოფილა იერუსალიმში ცოტნე), და რომ ჯვარის მხატვრობის განახლებას ხელმძღვანელობდა არა შოთა, არამედ შოთას წარმომადგენელი ანტონი ალავერდელი (და ცოტნეს წარმომადგენელი გრიგოლ დრანდელი), ამის მაჩვენებელია, კერძოდ, სრულიად უფერული, ტრაფარეტული წარწერები, რომლებიც ახლავს მხატვრობას. მოვიგონოთ, თუ რა ბრწყინვალე წარწერებით არის შემკული შოთას და ცოტნეს ოჯახთა ჩვენ დრომდე მოღწეული ძეგლები, — წარწერა შოთას ძმის ტბელისა წმინდა გიორგის ხატზე (რომელიც შეუქმნიათ ტბელის გამარჯვებათა აღსანიშნავად), და წარწერა პოეტი ქალის ბორენასი (ტბელის ასულისა და ცოტნე დადიანის მეუღლისა) ღვთისმშობლის ხატზე (ეს უკანასკნელი წარწერა ლექსად არის შესრულებული).

რომ შოთა არ ყოფილა იერუსალიმში, ამის ერთ-ერთი მკვიდრი საბუთია აგრეთვე შემდეგი.

ჯვარის მონასტერში, როგორც ცნობილია, დაცულია ძველ-ქართულ ხელნაწერთა მდიდარი კოლექცია. ამ ხელნაწერთა კოლექციის შესწავლა ჯერ კიდევ XVIII საუკუნიდან დაიწყო, XVIII საუკუნის შუა წლებში იგი შეისწავლა ტიმოთე გაბაშვილმა. XIX და XX საუკუნეთა მანძილზე ეს ხელნაწერები

შეისწავლეს და აღწერეს მთელმა წყებამ მეცნიერთა—ნიკოლოზ ჩუბინაშვილმა, ალექსანდრე ცაგარელმა, ნიკო მარმა, რობერტ ბლეიკმა, ეერარ გარიტმა. ამ მეცნიერთა მიერ, ხელნაწერთა აღწერის დროს, ხელნაწერებში ჩართული ანდერძებისა და სხვა ჩანაწერების გამოვლენის მიზნით, არაერთგზის არის გადაშინჯული ხელნაწერთა ყოველი გვერდი; მაგრამ ვერც ერთმა მეცნიერმა ვერ მიაგნო შოთა არუსთაველის ჩანაწერის რაიმე კვალს*.

ამავე დროს იერუსალიმის ხელნაწერებში მოიპოვება სამი ჩანაწერი ანტონი ალავერდელისა, შოთას მიერ წარგზავნილი პირისა.

თუკი შოთა მართლაც იერუსალიმში ჯვარის მონასტერში მკვიდრობდა და იქ მოღვაწეობდა, როგორ მოხდა, რომ ჯვარის სავანის ხელნაწერებში არ შერჩენილა არაერთი ამისი კვალი, არ მოიპოვება არც ჩანაწერები შოთასი, არც თანამედროვეთა ჩანაწერები შოთას იერუსალიმში ყოფნისა ან იერუსალიმში გარდაცვალების შესახებ.

ყოველსავე ზემოაღნიშნულს ემატება აგრეთვე შემდეგი. შოთა 1247 — 1250 წლებში, რა დროსაც შესრულდა ჯვარის მონასტრის რესტავრაცია, ღრმად მოხუცებული იყო; უნდა ვიყოდეთ ამასთან, რომ 1247 — 1250 წლები არის ხანა, როდესაც საქართველოს და იერუსალიმს შუა მდებარე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები სრულიად აფორიაქებულია როგორც მონგოლების, ისევე სხვადასხვა მოთარეშე რაზმების მიერ; მათი შიშით ზოგჯერ მთელი კუთხეები იყრებოდა ადგილიდან და ეძებდა თავშესაფარს მეზობელ ქვეყნებში. რასაკვირველია, დაუჭერებელია, რომ საქართველოს ხელისუფლებას ნება მიეცა სახელმწიფო ვაზირისათვის, რომელიც 80 წელს იყო გადაცილებული, გამგზავრებულიყო შორეულ პალესტინაში ასეთ სახიფათო ვითარებაში. ამის ნებას მოხუც შოთას არც ხელისუფლება და არც მახლობლნი პირნი მისცემდნენ.

დასასრულ, რომ შოთა არ ყოფილა იერუსალიმში, ეს გამომდინარეობს აგრეთვე ტიმოთე გაბაშვილის უწყებებიდან. ტიმოთე გაბაშვილი თავის ცნობას შოთას შესახებ, როგორც მოხსენებული გვექონდა, ამთავრებს შემდეგი სიტყვებით: „ესე იყო მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართველთა სიწმინდისა წილ ბოროტი ბილწება და განრყვნა ქრისტიანობა“. თუკი იერუსალიმში ტიმოთეს დროს, XVIII საუკუნეში არსებელიყო რაიმე გადმოცემა იმის შესახებ, რომ შოთამ არა მარტო საფასე გაიღო ჯვარის განახლებისათვის, როგორც სახელმწიფოს ვაზირმა, არამედ თვით შოთა ჩამოვიდა იერუსალიმში, ჯვარის მონასტერში მკვიდრობდა და ამით „შეინანა ცოდვანი“ და შენდობა მოიპოვა (მით უფრო თუ იგი ბერადაც შედგა), ტიმოთე არ მოიხსენებდა შოთას ასეთი შეურთებლობით; და საზოგადოდ კლერიკალურ წრეებში არ იქნებოდა ის მტრული განწყობილება შოთას მიმართ, რაც დამოწმებულია ყველა წყაროში, რომლებიც კი კლერიკალთა დასიდან მომდინარეობენ.

* თბილისში ამჟამად მიღებულია მიკროფილმები იერუსალიმის ჯვარის კოლექციის ხელნაწერთა, მათ შორის XIV საუკუნეზე აღრიხნული ძველ-ქართული ხელნაწერებისა, რომლებშიაც შესაძლოა ყოფილიყო შოთასი ან შოთას შესახებ რაიმე ჩანაწერი; ჩვენ ვაღვსინჯეთ ყველა ხელნაწერი, მაგრამ ასეთი ჩანაწერი არ აღმოჩნდა.

და საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ შოთას შემოსევა რაღაც კლერიკალური ელფერით, დამორჩებული ისტორიულ სინამდვილეს.

•

ჩვენ ამით დავასრულებთ საუბარს აქ აღძრული საკითხის შესახებ.

ამრიგად, ყველაფერი გვიჩვენებს, რომ შოთა არ ყოფილა იერუსალიმში, და მით უფრო ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია მოსაზრება, რომ შოთა იერუსალიმში გარდაიცვალა და იერუსალიმში დასაფლავდა.

ერთადერთი, რაც ირკვევა შოთას ცხოვრების ბოლო წლების შესახებ, არის შემდეგი: შოთას, საქართველოს სახელმწიფოს ვაზირს, 1247 — 1250 წლებში წარუგზავნია ანტონი ალავერდელი იერუსალიმში საგანგებო მისიით; ანტონის, შოთას დავალებით, ჩაუტარებია რესტავრაცია იერუსალიმის ჭვარის ქართული მონასტრისა, რომლის სათანადო ბრწყინვალეობით დაცვას მოითხოვდა საქართველოს სახელმწიფოს პრესტიჟი, და რაზედაც ზრუნვა ვვალებოდა შოთას, როგორც ვაზირს, მეკუპრკლეთ-უხუცესს.

•

შოთა ამ დროს, 1247 — 1250 წლებში, როგორც მოვიხსენეთ, ღრმად მოხუცებული იყო. თვით პორტრეტზედაც შოთა ღრმა მოხუცად არის წარმოდგენილი.

ჩვენ არ გვაქვს პირდაპირი ცნობა, თუ როდის გარდაიცვალა შოთა. შეიძლება მხოლოდ ითქვას, რომ შოთა გარდაიცვალა 1250 წლის ახლო.

1250 წლისათვის იგი იქნებოდა 84 წლისა.

შოთას უცხოვრია იმდენი, რამდენიც გოეთეს, ვოლტერს, ლევ ტოლსტოის.

•

შოთა რუსთაველის ნეშტი განისვენებს არა უცხოეთში, არამედ მის სამშობლოში, საქართველოში.

ხოლო სად?

ცნობილია, რომ დიდი გვარეულობის წევრთ კრძალავდნენ საგვარეულო ტაძარში, მათ სამფლობელოში (იმ შემთხვევაშიაც, როდესაც დიდი გვარეულობის წევრი უცხოეთში გარდაიცვლებოდა, წესად იყო მიღებული მისი სამშობლოში ჩამოსვენება, საგვარეულო ტაძარში დაკრძალვა) *.

* მოვიგონოთ, თუ როგორ მწუხარებას გამოთქვამს დავით გურამიშვილი, რომ მას, უცხოეთში მყოფს, არ ეღიარება საგვარეულო ტაძარში დაკრძალვა.

ან მოვიგონოთ ისტორიაში ცნობილი მაგალითი XI საუკუნის დიდი ფეოდალის ლიპარიტ ორბელიანის ნეშტის ჩამოსვენებისა საქართველოში. ლიპარიტ ორბელიანმა ბერად შედგამის შემდეგ საკუთარი მონასტერი ააგო უცხოეთში, ანტიოქიის მახლობლად, შავ-მთაზე, სადაც იგი წლები მოღვაწეობდა. მიუხედავად იმისა, რომ შავ-მთა წმინდა ადგილად ითვლებოდა და თვით მონასტერი საკუთარი, ლიპარიტისეული იყო, ლიპარიტის გარდაცვალების შემდეგ მისი ნეშტი არ დატოვეს უცხოეთში, შავ-მთაზე ჩავიდნენ ლიპარიტის ვასალები, წამოასვენეს მისი ნეშტი საქართველოში და დაკრძალეს მის რეზიდენციაში კაცხში.

როგორც მოხსენებული გვექონდა, 1192/3 წლებში გაერთიანდა ჰერეთის და რუსთავის საერისთავონი და შეიქმნა ერთი დიდი საერისთავო ჰერეთის ბაგრატიონთა მთავრობის ქვეშ. შოთას პაპამ, ასათ III ჰერეთის ბაგრატიონმა, რომლის დროსაც მოხდა მხარეთა გაერთიანება, რეზიდენცია რუსთავში გადმოიტანა.

თვით შოთას რეზიდენცია რუსთავი იყო. აქედან მიიღო მან თავისი სახელწოდება რუსთაველი.

XII — XIII საუკუნეთა საზღვარზე, თამარის მეფობის დროს, მოხდა გაერთიანებული საერისთავოს რეზიდენციის დიდი განახლება. წყაროებში დაცულია ცნობა, რომ რუსთავში ახალი მშენებლობა ჩატარებული იყო „დიდისა და ღმრთივ-ბრწყინვალისა მეფის თამარის მიერ“. ამას წერს კახთა მეფე დავით გუჯარში 1722 წლისა, და იქვე მეფე დავითი ურთავს ცნობას, თუ რას ემყარება ეს მისი უწყება: „ესრეთ ვიუწყეთ ძველთა მონახულთა მოხელეთაგან და მეფეთა გუჯართაგანცა“⁶⁸.

ამას გარდა, ერთ ძველ პოეტურ ტექსტში — „გაბაასება რუსთაველისა და სერაპიონისა“, რომელიც ეკუთვნის XV — XVI საუკუნეთა პოეტს სერაპიონ სოგრატის ძე კედელაურს, რუსთაველს მიეწერება სიტყვები, რომ რუსთავი თამარმა ააშენა⁶⁹.

ამრიგად, რუსთავი, განახლებული XII — XIII საუკუნეთა საზღვარზე, იყო რეზიდენცია გაერთიანებული საერისთავოსი 1192/3 წლებიდან მოკიდებული ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს, ვიდრე 1250 წლამდე, როდესაც გარდაიცვალა შოთა.

ყველაფერი გვაფიქრებინებს, რომ შოთა რუსთაველი დაკრძალულია მის მშობლიურ რუსთავში, რუსთავის ძველი კათედრალის სანახებში, სადაც მოისმის მშობლიური მტკვრის ნელი ხმოვანება.

ხოლო ჩვენ აქ გვინდა მოვიგონოთ აგრეთვე აღმოსავლეთის ერთი ძველ-თაძველი სიბრძნე, გადმოცემული ბიბლიაში.

როდესაც ამ წიგნში საუბარია ერის წინამძღვართა გარდაცვალების შესახებ, აქ არაა ნათქვამი, თუ სად დაასაფლავეს ისინი, არამედ აქ ყოველთვის შემდეგია ნათქვამი:

„გარდაიცვალა და შეუერთდა თავის ერს“.

ასევე შოთა, გარდაცვალების შემდეგ, თავის ერს შეუერთდა.

კარი მეოთხე

კომედი ვეფხის-ტყაოსანი

II

ვეფხის-ტყაოსნის ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები

სიუჟეტი; კომედიის ორიგინალობა

ვიწყებთ შესწავლას ვეფხის-ტყაოსნისა, საშუალო საუკუნეთა მსოფლიო პოეზიის ამ უდიადესი ძეგლისა.

ჩვენ აქ პირველ რიგში შევჩერდებით ვეფხის-ტყაოსნის ზოგიერთ ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხზე.

თავდაპირველად განვიხილავთ სიუჟეტის საკითხს.

თუ როგორი წარმოშობისაა ვეფხის-ტყაოსნის სიუჟეტი, ამ საგანზე სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა შეხედულება არსებობდა. გამოთქმული იყო მოსაზრება, თითქოს ვეფხის-ტყაოსანი წარმოადგენდეს ქართულ ფოლკლორში დაცული ხალხური თქმულების გადამუშავებას. გამოთქმული იყო აგრეთვე შეხედულება, რომ ვეფხის-ტყაოსნის სიუჟეტი ირანული ლიტერატურიდან უნდა მომდინარეობდეს. დასასრულ შეხედულება, რომელიც საბოლოოდ დამკვიდრდა, ის არის, რომ ვეფხის-ტყაოსნის სიუჟეტი ორიგინალურია და რომ პოეტს რაიმე უშუალო პროტოტიპი სიუჟეტისა არ ჰქონია.

რომ ვეფხის-ტყაოსნის სიუჟეტი ორიგინალურია, ამას საბოლოოდ შექი მოეფინა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც შესაძლო გახდა პოეტის ბიოგრაფიის აღდგენა, და ამასთან დაკავშირებით ისტორიული ქარგის ამოცნობა ვეფხის-ტყაოსნის მოთხრობაში.

ვეფხის-ტყაოსნის ისტორიულ აბრისს ჩვენ საგანგებოდ ვეხებით ქვემოთ, მეორე თავში. აქ ჯერ განვიხილავთ, თუ რას ემყარებოდა სხვადასხვა შეხედულებანი პოემის სიუჟეტის შესახებ.

პირველი ჰიპოთეზა, რომ ვეფხის-ტყაოსნის სიუჟეტი ფოლკლორიდან მომდინარეობს, ძირითადადში იმას ემყარება, რომ ქართულ ფოლკლორში ამჟამად მოიპოვება თქმულემანი ვეფხის-ტყაოსნის ციკლისა, — ხალხური ვეფხის-

ტყაოსანი; შოთას პოემის პირველწყაროდ ვეფხის-ტყაოსნის ეს არსებული ხალხური ვერსიები არის მიჩნეული.

მაგრამ ეს შეხედულება ვერ უძლებს სერიოზულ კრიტიკას. შოთას პოემა-სა და ხალხური ვეფხის-ტყაოსნის შედარებითი შესწავლა არ სტოვებს ეპეს, რომ შოთას პოემა კი არ არის დამოკიდებული ხალხური ვეფხის-ტყაოსნიდან, არამედ პირიქით, ხალხური ვეფხის-ტყაოსანი მომდინარეობს შოთას პოემიდან. აქ ჩვენ უცილობელად გვაქვს ლიტერატურული ნაწარმოების შემდეგდროინდელი გახალხურების მაგალითი. შოთას პოემა, როგორც ცნობილია, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა უძველესი დროიდანვე და იგი საუკუნეთა განმავლობაში გადასულა ხალხში, დამკვიდრებულა ფოლკლორში და ამ გზით წარმოშობილა ვეფხის-ტყაოსნის არსებული ხალხური ვერსიები.

ჩვენ ამით, რასაკვირველია, არ გვინდა ვთქვათ, რომ ვეფხის-ტყაოსანში არ იყოს ქართული ფოლკლორიდან მომდინარე ელემენტები. ასეთი ელემენტები პოემაში, უეჭველია, მართლაც არის. მაგრამ ეს ეხება არა სიუჟეტის მთლიან აღნაგობას, არამედ სიუჟეტის ცალკეულ ელემენტებს.

ამასთან აქ საჭიროა ზაზი გავუსვათ შემდეგ გარემოებას. შოთას პოემის ფოლკლორული წყაროები, როგორც ირკვევა, უნდა ვეძიოთ არა ხალხურ ვეფხის-ტყაოსანში (— ეს უკანასკნელი, როგორც აღვნიშნეთ, შოთას პოემიდან მომდინარეობს), არამედ სხვა თქმულებებში, და პირველ რიგში ქართული ფოლკლორის უძველეს და უშესანიშნავეს ძეგლში — ამირანის თქმულებაში. ასე, მაგალითისათვის აღვნიშნავთ, რომ შოთას პოემის გმირთა სამება, რომელიც ქაჭეთის ციხიდან გამოიხსნის ნესტან-დარეჯანს, ბევრ ზაზებში გვაგონებს ამირანის თქმულების სამ გმირს, რომლებიც ზეციური კოშკიდან გამოიყვანენ მზეთა-მზეს ქეთუ-კამარს.

მაინც შეხვედრა შოთას პოემისა ფოლკლორთან, და კერძოდ ამირანის თქმულებასთან, არ სცილდება, როგორც აღვნიშნეთ, სიუჟეტის ცალკეულ ეპიზოდებს. შოთას, როგორც ირკვევა, უსარგებლია ქართული ფოლკლორული წყაროებით, ხალხური შემოქმედების ნოტივებით, მაგრამ ისიც უდავოა, რომ პოემის სიუჟეტი, მთლიანად აღებული, არ მომდინარეობს ფოლკლორიდან.

განვიხილოთ ამის შემდეგ ვეფხის-ტყაოსნის სიუჟეტის ირანულობის პიპოთეზა.

შეხედულება, რომ ვეფხის-ტყაოსნის სიუჟეტი ირანული ლიტერატურიდან უნდა მომდინარეობდეს, ემყარებოდა ვეფხის-ტყაოსნის ნაგვიანვე ხელნაწერებში დაცულ ერთ სტროფს. ამ სტროფში აღნიშნულია, თითქოს ვეფხის-ტყაოსნის სიუჟეტი აღებულია ირანული მოთხრობიდან („სპარსული ამბავიდან“).

ამ ცნობას, რასაკვირველია, არ შეეძლო არ გამოეწვია დიდი ინტერესი და ამ საგანზე მთელი ლიტერატურა შეიქმნა. საკითხის შესწავლას უკვე ორ საუკუნეზე მეტი ისტორია აქვს (ვეფხის-ტყაოსნის სიუჟეტის „სპარსულობის“ საკითხი პირველად კრიტიკულად განიხილა ვახტანგ VI-მ ვეფხის-ტყაოსნის კომენტარებში, რომელიც 1712 წელს გამოქვეყნდა).

ახლა ჩვენ უკვე შეგვიძლია შევაჯამოთ ამ ხანგრძლივი კვლევის შედეგები და საბოლოო პასუხი გავცეთ აღძრულ საკითხს.

ეს პასუხი უთუოდ უარყოფითია. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ცნობა ვეფხის-ტყაოსნის სიუჟეტის „სპარსულობაზე“ არ შეეფერება სინამდვილეს; ირკვევა, რომ ვეფხის-ტყაოსნის სიუჟეტი ღრმად ორიგინალურია და რომ პოემის მოთხრობას ძირები საქართველოს სინამდვილეში აქვს.

რომ ეს ასეა, ცხადი გახდება შემდეგი მიმოხილვიდან.

1. თავდაპირველად საჭიროა აღინიშნოს, რომ ყველა ის ადგილი ვეფხის-ტყაოსნისა, რომლებიც ეხება ვეფხის-ტყაოსნის „ამბავის“ საკითხს, და რომლებიც მოიპოვება ვეფხის-ტყაოსნის ნაგვიანეგ ხელნაწერებში, არ ეკუთვნის თვით პოემის ავტორს, არამედ წარმოადგენს ინტერპოლაციას, გვიანი დროის ჩამატებას. რომ აქ საქმე გვაქვს გვიანი დროის დანართებთან, ეს ცხადი ხდება ტექსტების ფილოლოგიური ანალიზიდან და ვეფხის-ტყაოსნის პროლოგისა და ეპილოგის პირვანდელი აღნაგობის გათვალისწინებიდან. მათ დანართობას ადასტურებს აგრეთვე ვეფხის-ტყაოსნის ხელნაწერების ტრადიციის მერყეობა. ასე, მაგალითად, ირკვევა, რომ სტროფი, რომელიც ვეფხის-ტყაოსნის ამბავის „სპარსულობას“ ეხება, თავდაპირველად არ შედიოდა პოემის ტექსტში, არამედ მიწერილი ყოფილა შენიშვნის სახით ხელნაწერის არშიაზე. ამით იხსნება, რომ შემდეგ ამ სტროფისათვის გარკვეული ადგილი ვერ მიუჩენიათ. შემდეგი დროის გადამწერებმა არ იციან, თუ პოემის რომელ ადგილას ჩააყრონ ეს სტროფი, რომელიც არშიაზე ყოფილა დართული და ათავსებენ ამ სტროფს ხან ვეფხის-ტყაოსნის პროლოგში, ხან პროლოგის გარეთ—პირველ თავში.

ხელნაწერთა შედარებითი შესწავლიდან ისიც დასტურდება, რომ არსებობდა ისეთი ძველი არქეტიპი პოემისა, სადაც ეს დანართი სტროფი „სპარსულობის“ შესახებ საერთოდ არ მოიპოვებოდა.

2. ამრიგად, თუმცა ირკვევა, რომ ის ადგილები ვეფხის-ტყაოსნისა, რომლებიც ეხება ვეფხის-ტყაოსნის „ამბავის“ საკითხს და რომლებიც მოიპოვება ვეფხის-ტყაოსნის ნაგვიანეგ ხელნაწერებში, შემდეგ არის ჩამატებული, მაგრამ ამით, რასაკვირველია, კითხვა არ წყდება. გამოსარკვევი რჩება, რა მიზნით დაიწერა ეს ყალბი ინტერპოლაციები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ვეფხის-ტყაოსნის ამბავს არა აქვს კავშირი საქართველოსთან, რომ აქ მოთხრობილია „ამბავნი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი“.

ამ საკითხზე ამომწურავ პასუხს ვიძლევიტ ცალკე სპეციალურ ნარკვევში. იხ. დამატება I: „ვეფხის-ტყაოსნის შესავალისა და დასასრულის გვიანდელი რედაქციები (შოთა რუსთაველის ტექსტი, შევსებული X.III—XIV საუკუნეთა დანართებით)“.

აქ წინასწარ, საერთო ორიენტაციისათვის, შევჩერდებით ვეფხის-ტყაოსნის ეპილოგის ძირვანდელ ინტერპოლაციაზე, რომელიც ჩართულია პოემაში ბოლო-ტემის სახით და რომელიც ეკუთვნის XIII—XIV საუკუნეებს, აქ პირველად გვხვდება ეს უწყება, რომ ვეფხის-ტყაოსანი არის „ამბავი უცხონი“; აქედან მომდინარეობს და ამას ეხმაურება სხვა უფრო გვიანდელი დანართები.

როგორც ცნობილია, კამათი ვეფხის-ტყაოსნის გარშემო, პოემის დამცველთა და პოემის მოწინააღმდეგეთა შორის საუკუნეთა მანძილზე გრძელდებოდა (იხ. ზემოთ, გვ. 72—73). დანართი, რომელსაც აქ ვეფხით, პოემის მოწინააღმდეგეთა დასის წარმომადგენელს ეკუთვნის. ეს ყალბი ტენდენციური დანართი, შეტანილი პოემაში, მიზნად ისახავს დააშროს პოემას დიდი თამარის სახელი.

ჭერ ერთი, ამ ინტერპოლატორს გადაუკეთებია ვეფხის-ტყაოსნის შოთა რუსთაველის ბოლო-თქმის ნამდვილი ტექსტი (1511 სტროფი), შეუცვლია აქ თამარის სახელი დავითის (დავით სოსლანის) სახელით, ხოლო ამის მომდევნოდ ჩაურთავს ყალბი ტენდენციური სტროფი, რომელშიაც კეთილშობილი:

„ესე ამბავნი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი,
პირველ ზნენი და საქმენი, ქებანი მათ მეფეთანი,
ვპოვე და ლქესად გარდაუთქვენ, ამითა ვილაყებთანი“.

ამრიგად, ყალბისმქნელის ეს ტენდენციური დანართი ისახავს მიზნად დააშროს პოემას თამარის სახელი, განამტკიცოს შეხედულება, რომ ვეფხის-ტყაოსანი ვითომც არ არის თამარის ქება, რომ იგი ვითომც საერთოდ არ ეხება საქართველოს, არამედ არის „ამბავნი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი“, „პირველ ზნენი და საქმენი, ქებანი მათ მეფეთანი“.

სხვას რომ თავი დავანებოთ, ეს ყალბი სტროფი დიამეტრალურად ეწინააღმდეგება თვით შოთას უწყებას პოემის პროლოგში, რომლის გენიალურ სტროფებში ჩვენ კეთილშობილი, რომ ვეფხის-ტყაოსანი არის სწორედ „თამარის ქებანი“: „თამარს ვაქებდენ...“, „მისი სახელი შეფარვით ქვემოთა მითქვამს, მიქია“ („ქვემოთ“ — პოემაში).

(აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ თამარი გარდაცვალების შემდეგ წმინდანად იყო აღიარებული და ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ პოემის მოწინააღმდეგენი ცდილობდნენ დაეშორებინათ თამარის სახელი პოემისაგან, რომელსაც არ შეიწყნარებდა ეკლესია და კლერიკალურად განწყობილი წრეები).

აქ მივუთითებთ აგრეთვე ამ ყალბი სტროფის ერთ დეტალზე. მოვიგონოთ, რომ შოთა პოემის პროლოგში პოეზიას აღიარებს სიბრძნედ: „შაირობა პირველადეც სიბრძნისაა ერთი დარგი, საღმრთო საღმრთოდ გასაგონი...“

ხოლო ინტერპოლატორი პოეზიას, — თვით შოთას პოემას, — ასე უწოდებს: „ლაყებობა“: „ამითა ვილაყებთანი“.

ტექსტის გაყალბება ამაზე შორს ძნელად თუ წავა!

ამ ტენდენციური სტროფის სიყალბე, როგორც მითითებული ნიშნებით, ისე ყველა სხვა ნიშნებითაც, არ იწვევს ეჭვს.

(დაწვრილებით ამ ტენდენციური ინტერპოლატიის შესახებ იხ. გვ. 192—194).

3. ვეფხის-ტყაოსნის სიუჟეტის საკითხის შესახებ არაა მნიშვნელობას მოკლებული ერთი ტექსტი, რომელიც XIV საუკუნით თარიღდება. ეს ტექსტი, როგორც ირკვევა, ეკუთვნის XIV საუკუნის პირველი ნახევრის პოეტს სარგის მცირე თმოგველს და შეტანილია ვეფხის-ტყაოსნის ხელნაწერში*.

სარგის თმოგველის ამ ტექსტის თანახმად ვეფხის-ტყაოსანი წარმოადგენს ქებას თამარისა (— „სიტურფითა ვინ შუქთა ჰფენს ხმელთა შინა“). ამასთან აქ საგანგებოდ აღნიშნულია, რომ ქებანი, რომელიც შოთამ ჰყადრა თამარს, არაღვის უთქვამს შოთაზე წინ.

ამ ტექსტში სარგის თმოგველი თვით შოთას ალაპარაკებს ვეფხის-ტყაოსნის შესახებ და წარმოათქმევინებს შემდეგს სიტყვებს:

„...კვლავ ქებანი ვკადრენ ვის მე, არვის უთქვამს ჩემსა წინა.

მისთვის (—თამარისათვის) ვლექსობ, სიტურფითა ვინ შუქთა ჰფენს ხმელთა შინა“.

* ხელნაწერში S — 2074 ეს ტექსტი აღნიშნულია თმოგველის სინტაქსით („თ“).

ამრიგად, ეს ცნობა ვეფხის-ტყაოსნის ორიგინალობას გულისხმობს და სიუჟეტის უცხოურ წარმოშობას გამოირიცხავს. ამ გადმოცემას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა იმის გამო, რომ იგი ძველ ხანას, XIV საუკუნის პირველ ნახევარს ეკუთვნის და ახლოა თვით შოთას ეპოქასთან.

4. რომ ვეფხის-ტყაოსნის სიუჟეტი არ არის „სპარსული“ (ირანული) წარმოშობისა, ამას გადაჭრით ადასტურებს ის გარემოება, რომ ამ სიუჟეტის კვალს ჩვენ ვერ ვპოულობთ ირანულ ლიტერატურაში.

ვეფხის-ტყაოსნის სიუჟეტის ძიება ირანულ მწერლობაში უკვე ორას წელზე მეტია რაც წარმოებს.

ვახტანგ VI, ვეფხის-ტყაოსნის პირველი მეცნიერი გამომცემელი და კომენტატორი, საგანგებოდ დაინტერესებული იყო ვეფხის-ტყაოსნის სიუჟეტის საკითხით და ცდილა გამოერკვია, მოიპოვება თუ არა ირანულ ლიტერატურაში ისეთი ნაწარმოები, რომელიც ვეფხის-ტყაოსნის მსგავს სიუჟეტს შეიცავდეს. ვახტანგ VI ირანულ კულტურაზე იყო აღზრდილი და მას ჰქონდა შესაძლებლობა ამ საკითხის გამო ამომწურავი ძიება ეწარმოებია. და ვახტანგი ამ ძიებამ უარყოფით დასკვნამდე მიიყვანა. ვეფხის-ტყაოსნის კომენტარებში, რომელიც 1712 წელს გამოქვეყნდა, ვახტანგი აცხადებს, რომ ვეფხის-ტყაოსნის სიუჟეტი სპარსულ მწერლობაში არ არის, „სპარსშიდ ეს ამბავი არსად აოგება“ — გადმოგვცემს ვახტანგი.

ძიება ვეფხის-ტყაოსნის სიუჟეტისა ვახტანგ VI-ით არ დასრულებულა. ამის შემდეგ სხვებიც, და მათ შორის ისეთი ავტორიტეტული მკვლევარი და ერუდტი, როგორც იყო აკადემიკოსი ნიკო მარი, განაგრძობდნენ ძებნას ვეფხის-ტყაოსნის სიუჟეტის პროტოტიპისა, მაგრამ უშედეგოდ. ირანულ მწერლობაში არავითარი მსგავსი არ აღმოჩნდა.

5. როდესაც ვეფხის-ტყაოსნის სიუჟეტის პროტოტიპის ძიება ირანულ ლიტერატურაში უშედეგოდ დასრულდა, ამის შემდეგ ჰიპერკრიტიკოსთა მიერ წამოყენებულ იქნა ასეთი მოსაზრება: თუმცადა ვეფხის-ტყაოსნის ამბავი ირანულ მწერლობაში არ არის, მაგრამ, შესაძლოა ასეთი სიუჟეტი არსებულებოდა და შემდეგ დაკარგულიყო.

მაგრამ ასეთი მოსაზრება მოკლებულია საფუძველს და აი რატომ.

საქმე ის არის, რომ ირანულ ლიტერატურაში არ მოიპოვება ისეთი სიუჟეტი, რომელსაც არ ჰქონდეს მთელი რიგი განშტოებანი. არის სიუჟეტები, რომლებიც ათჯერ და მეტადაც დამუშავებულა. ასე, მაგალითად, თემა იოსებ-ზილიზანიანისა მარტო ირანულად, თურქული ვერსიების მიუთვლელად, დამუშავებული იყო 13-ჯერ, ლეილ-მეჩუნის სიუჟეტი დამუშავებული იყო ირანულად 18-ჯერ, თურქულად 10-ჯერ.

და განა წარმოსადგენია, რომ ირანულად არსებულებოდა ისეთი შინაარსის ნაწარმოები, როგორიც არის ვეფხის-ტყაოსანი, რომელიც ჯერ მარტო თავისი ამბით, თავისი სიუჟეტით გენიალობის ბეჭედს ატარებს, და რომ ასეთს ნაწარმოებს არ ჰქონოდა განშტოებანი ირანულსა და სხვა აღმოსავლურ ლიტერატურაში? თუკი ლეილ-მეჩუნის 28-ჯერ იქნა დამუშავებული ირანულად და თურქულად, ნუთუ ვეფხის-ტყაოსნის რომანტიულ სიუჟეტს ნაკლები გამოძახილი უნდა ჰქონოდა? თავისთავად ცხადია, ვეფხის-ტყაოსნის სიუჟეტი

ირანული წარმოშობისა რომ ყოფილიყო, ჩვენს დრომდე მოაღწევდა ან მისი დედანი, ან მისი შემდეგდროინდელი გადამუშავება, ან მიზაძეები. მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არც ირანულსა და არც სხვა აღმოსავლურ ლიტერატურაში არ არის.

საქმე ის არის, რომ ირანულსა და სხვა აღმოსავლურ ლიტერატურაში არათუ არ მოიპოვება ვეფხის-ტყაოსნის სიუჟეტის შემცველი ნაწარმოებები, არამედ აქ არც ერთ სალიტერატურო წყაროში არ ვხვდებთ არავითარი ხსენება ან ციტატი ვეფხის-ტყაოსნიდან, არავითარი — თუნდ შორეული — მოგონება ვეფხის-ტყაოსნისა; არსად არ არის მოხსენებული ვეფხის-ტყაოსნის თუნდაც რომელიმე გმირის სახელიც კი. ვერსად ვერ ვპოულობთ გამომახილს არათუ სიუჟეტისას, არამედ ცალკეული ნიშნეული ადგილებისა. ავიღოთ, მაგალითად, ისეთი მკვეთრი სიმბოლური სახე, როგორც არის ვეფხის ტყავით შემოსვა მიჯნურობის გამო. მიჯნურობის ამგვარს სიმბოლიკას ვერ ვპოულობთ ვერც ირანულს და ვერც საერთოდ აღმოსავლურ ლიტერატურაში.

6. რომ ვეფხის-ტყაოსნის სიუჟეტი არ არის ირანული (სპარსული) წარმოშობისა, ამის მაჩვენებელია კერძოდ ანტისპარსული ტენდენცია, რომელსაც შეეცავს პოემა. ვეფხის-ტყაოსანი აღბეჭდილია ინტერნაციონალური სულით, იგი გამსჭვალულია ფართო ჰუმანიტარული შემწყნარებლობით. აქ ერთგვარი სიყვარულით არის დახატული აღმოსავლეთის სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენელნი — არაბნი, ინდონი, და სხვ., მაგრამ ამავე დროს პოემაში შეინიშნება გარკვეული ანტისპარსული ტენდენცია (რაც აიხსნება საქართველოსა და ირანის პოლიტიკური ურთიერთობით გარკვეულ ზანაში). ვეფხის-ტყაოსანში წარმოდგენილია ერთადერთი მოქმედი პირი სპარსელი და ისიც უბედურებისა და ფათერაკის განმასახიერებელი: სპარსეთის ხელმწიფის ხვარაზმ-შაჰის შვილი. ამასთან სპარსელები, როცა კი მათზეა საუბარი, მოიხსენებიან ერთგვარის ანტიპათიითა და სიძულვილის გრძნობით („ასე ამბად არ ეგებეს, რომე სპარსნი გაგვიხასდენ“; „ჰკადრე თუ, სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჭამასა“; სტროფები 486, 489). თუკი ვეფხის-ტყაოსნის სიუჟეტი სპარსული წარმოშობისა ყოფილიყო, რასაკვირველია, უცნაური იქნებოდა ეს ანტისპარსული ტენდენცია, რომელსაც ვხედავთ ვეფხის-ტყაოსნის მოთხრობაში.

7. ძირითადი და გადამწყვეტი მნიშვნელობის ჩვენება, რომლის მიხედვითაც ირკვევა ვეფხის-ტყაოსნის ორიგინალობა, ეს არის პოემაში დასახული ისტორიული გარემო. ავიღოთ მაგალითისათვის ქალის კულტი და რაინდობა, რომლითაც შთაგონებულია პოემა და რაც არის მამოძრავებელი საწყისი პოემის სიუჟეტისა. ქალის კულტი და რაინდობის ინსტიტუტი იმ სახით, როგორადაც იგი დახატულია ვეფხის-ტყაოსანში, საქართველოს სინამდვილიდან არის აღებული, და მას არა აქვს ანალოგია ისლამის აღმოსავლეთში.

იგივე ითქმის პოემის ტიპების შესახებ. ასე, — ქალი ვეფხის-ტყაოსანში, ნესტან-დარეჯანი, თინათინი, ასმათი, ფატმანი — სრულებით სხვა არსებაა, ვიდრე ქალი მუსულმანურ აღმოსავლეთში, მუსულმანურ ლიტერატურაში და ცხოვრებაში. ისლამის გავრცელებისა და ჰარამხანის რეჟიმის შემოღების შემდეგ ქალმა მუსულმანურ მსოფლიოში დაჰკარგა დამოუკიდებელი მდგომარეობა. ხოლო ვეფხის-ტყაოსანი არა მხოლოდ თავისი ცნობილი აფორიზმით

„ლეკვი ლომისა სწორია, ძე იყოს თუნდა ზეაღია“ — არამედ მთელი თავისი შინაარსით ამტკიცებს ქალისა და ვაჟის თანასწორობის იდეას. პოემის გმირი ქალები ნესტანი, თინათინი, ასმათი, ფატმანი, ისეთივე დამოუკიდებლობისა და აქტივობის სულს ამჟღავნებენ, როგორც პოემის გმირი ვაჟები — ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი. ვეფხის-ტყაოსანში გადმოცემულია არა მხოლოდ ქალის კულტი. პოემაში ამასთან ერთად წამოყენებულია პრინციპი ქალისა და ვაჟის თანასწორობისა პოლიტიკურ ცხოვრებაში, პოემის სიუჟეტი ამ მაღალი იდეის განსაზღვრებას შეიცავს. ვეფხის-ტყაოსანი წარმოგვიდგენს სულ სხვა სამყაროს, ვიდრე ამას ჩვენ ირანულ-არაბულ ლიტერატურაში ვხედავთ, ვეფხის-ტყაოსანში ასახულია ქართული გარემო, პოემა თავისი ძირებით უღრმესად არის დაკავშირებული საქართველოს სინამდვილესთან.

8. რომ ვეფხის-ტყაოსანი ორიგინალური ნაწარმოებია, ამისი მაჩვენებელია არა მხოლოდ ის გარემოება, რომ ვეფხის-ტყაოსანში ასახულია ქართული გარემო. ამას ემატება აგრეთვე შემდეგი. ვეფხის-ტყაოსანში აშკარად შეიხიშება XII საუკუნის საქართველოს გარკვეული ისტორიული მოვლენების გამოქაჩილი მოვიგონოთ, მაგალითად, ვეფხის-ტყაოსანში აღწერილი ქალის გაქვების ამბავი არაბეთსა და ინდოეთში. ეს ამბავი თავისი დამახასიათებელი დეტალებით წარმოგვიდგენს გამოქაჩილს საქართველოს ცნობილი ისტორიული ამბებისას. აქ ჩვენ გვაქვს პოეტურ ასპექტში წარმოდგენილი თამარის გაქვების ისტორია. ანალოგიურ მოვლენას საქართველოს გარეშე არსად არ ჰქონია ადგილი იმდროინდელ აღმოსავლეთში.

9. ამრიგად, ყოველივე იმის მიხედვით, რაც ზევით იყო გამორკვეული, გადაწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს კითხვა, რომ ვეფხის-ტყაოსანის სიუჟეტი არაა ირანული წარმოშობისა, რომ ვეფხის-ტყაოსანის ამბავი უღრმესი ორიგინალობის ბეჭედს ატარებს.

მაგრამ ამის გარდა, ვეფხის-ტყაოსანის სიუჟეტის ორიგინალობას განსაჯუთრებით მკვეთრად და საბოლოოდ ადასტურებს შემდეგი:

ვეფხის-ტყაოსანში, როგორც ირკვევა, გვაქვს არა მხოლოდ Dichtung, არამედ Wahrheit — ისტორიული სინამდვილის ანარეკლი, მოცემული პოეტურ ასპექტში; პოემაში არის გარკვეული ისტორიული ქარგა, რომელიც ორგანული ნაწილია მოთხრობისა, ორგანულად არის შექსოვილი სიუჟეტთან. ამის მიხედვით უღრმესი ორიგინალობა ვეფხის-ტყაოსანის სიუჟეტისა სრულიად ნათელი და ცხადლივ დასაანახი ხდება.

გადავდივართ ამის შემდეგ ვეფხის-ტყაოსანის ისტორიული ქარგის განხილვაზე.

II

ამოზი და სინამდვილე ვეფხის-ტყაოსანში

„სიყვარული აღგვამალღებს“ — ამბობს შოთა.

ეს არის ის ამაღლებული მიჯნურობა, რომელიც, დანტეს სიტყვით, ამოძრავენს ვარსკვლავებს.

ჩვენ მოკრძალებით მოვიხსენებთ პოეტის ამაღლებულ სიყვარულს, იდეალურ თაყვანისცემას თამარისადმი, რომლითაც განათებულია ვეფხის-ტყაოსანი.

ჩვენ ვეხებით ამ უმშვენიერეს რომანტულ ისტორიას არა როგორც ფაქტს შოთას ბიოგრაფიისა; იგი შეუქსა ჰუენს თვით შოთას პოემას; იგი იძლევა თვით ვეფხის-ტყაოსნის გასაღებს.

ვეფხის-ტყაოსანი არის ზრავალწახნაგოვანი ძვირფასი თვალი. ხოლო ერთ წახხავში შეინიშნება ისტორიული სინამდვილის გამონათება.

ეს, რასაკვირველია, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ვეფხის-ტყაოსანში მოთხრობილია შოთასი და თამარის ბიოგრაფია.

ეს ნიშნავს იმას, რომ პოემის იდეალური პერსონაჟები პოეზიის ჯადოსნურ სარკეში გამონათებით განასახიერებენ მათ გრძნობებსა და განცდებს.

ეს ნიშნავს აგრეთვე იმას, რომ პოემის იდეალურ გმირებზე გადატანილია ცალკეული ხაზები თამარისა და შოთას ცხოვრებიდან.

აი ასეთ ასპექტში ისმის საკითხი ვეფხის-ტყაოსნის ისტორიულობის შესახებ. ვეფხის-ტყაოსანი, რასაკვირველია, არის Dichtung — პოეზია, მაგრამ ამასთან ერთად, როგორც ირკვევა, პოემაში მოცემულია Wahrheit — სინამდვილის ანარეკლი

ა

ვეფხის-ტყაოსნის პირველი პროლოგი

ვიდრე შევეუდგებოდეთ ვეფხის-ტყაოსნის შიფრის ამოხსნას, გადავიკითხოთ ვ ე ფ ხ ის - ტ ყ ა ო ს ა ნ ის პ ი რ ვ ე ლ ი პ რ ო ლ ო გ ი.

საჭიროა ვიცოდეთ, რომ ჩვენს დრომდე მოღწეულ ხელნაწერებში ვეფხის-ტყაოსანს დართული აქვს სამი პროლოგი, სამი დამოუკიდებელი ნაწარმოები:

პირველი პროლოგი — „ამბვისა დასაწყისი პირველი“;

მეორე პროლოგი — „სწავლისათვის მოშაირეთა“;

მესამე პროლოგი — „კარი მიჯნურობისა“.

სამივე პროლოგი დაწერილია ძველ-ქართულ პოეზიაში მიღებული ფორმით, რომელსაც ერქვა „ხუთეული“, თითოეული ნაწარმოები შედგება ხუთი სტროფისაგან.

პირველი და მეორე პროლოგი ეკუთვნის შოთა რუსთაველს; ისინი აღბეჭდილია შოთას ბრწყინვალე, განუმეორებელი ხელოვნებით. მესამე პროლოგი ეკუთვნის რუსთაველის სკოლის უცნობ პოეტს.

გარდა ამ სამი პროლოგისა ვეფხის-ტყაოსნის გვიანი დროის ხელნაწერებში ჩართულია მთელი რიგი ინტერპოლაციები, რომელთა შორის სამი დამატება წარმოადგენს პოლემიკას, მიმართულს რუსთაველის წინააღმდეგ („ხეამიაღისა გაჰელაგნებისათვის“, „პირველ თავი დასაწყისი...“, „სალმართო მიჯნურობისათვის“).

ამ წინასწარ განმარტებათა შემდეგ მოგვყავს ვეფხის-ტყაოსნის პირველი პროლოგი რუსთაველისა.

ამბვისა დასაწყისი პირველი

1. რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბურითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის შიერითა.
2. ჰე ღმერთო ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა,
შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა,
მომეც მიჯნურთა სურვილი სიკვდილმდე გასატანისა,
ცოდვათა შესუბუქება მუნ თანა წასატანისა.
3. თამარს ვაქებდე მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული!
ვთქვენი ქებანი ვისნი მე, არ ავად გამორჩეული:
მელნად ვისმარე გიშრის ტბა, კალმად მე — ნაი რხეული!
ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული.
4. თვალთა, მისგან უნათლოთა, ენატრამცა ახლად ჩენა,
აჰა გული გამიჯნურდა, მისვდომია ველთა რბენა!
მიაკეთ, ვინ ხორცთა დაწვად კმარის, მისცეს სულთა ღებენა:
სამთა ფერთა საქებელთა ლამის ლექსთა უნდა ვლენა.
5. ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინ ცა მიქია;
ესე მიჩნს დიდად სახელად, არ თავი განმიქიქია!
იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია.
მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია.

მოგვეყავს პროლოგის 3, 4 და 5 სტროფების თარგმანი ახალ-ქართულზე მეტაფორების გახსნით:

„მეფის თამარის ქებას ვიწყებ მე — დამაფრქვეველი სისხლისა ცრემლთა თამარის ქებანი მე უწინაც მითქვამს, და იგი ქებანი არ იყო ცუდად შერჩეული. მელნად მე მაშინ მქონდა გიშრის ტბა [თამარის თვალები, როჰლის ხილვას იმ დროს ღირს ვიყავე]; ხოლო კალამი თვით მე ვიყავ, რხეული ლერწამი [გალეული ლერწამის მსგავსად მიჯნურობის სეველით]*. ვინც მოისმენს (იმ პირველ ქებათა), მისი გული ლახვარით განიგვირება.

„ჩემს თვალებს, რომელთაც აღარ უნათებს [შზე — თამარ], ვით არ მოენატროს მისი ახლად ხილვა. აჰა გული მოიცვა მიჯნურობამ და მას ხვედრად ერგო ველად გაჭრა! ევედრეთ, რათა მან [შზე — თამარმა], რომელსაც აქვს ძალი დასწვას [თავისი სხივებით] სხეული, მიანიჭოს [მისი სახის ხილვით] ლხენა სულს: [ახალი ზეშთაგონება] — ქება „სამთა ფერთა“ — ლამის მოითხოვს თვით ლექსთა [ხენით] გარდამოვლენას.

„ჩემი აწ ცანით ყოველმან, მე ვაქებ მასვე, ვისაც ვაქებდი, — ზეციერ მნათობს [თამარს]; ** ეს არის სამარადისო ძეგლი სახელისა. აქ არ არის შეუ-

* მოგვეყავს ორი პარალელური ადგილი პოემიდან, სადაც წარმოდგენილია იგივე შედარება: ტანი, გალუული მიჯნურობის სეველისაგან ვით ლერწამი-კალამი.

ა. ნესტანი, ქაქეთის ციხეში ტყვედ მყოფი, ასე იწყებს თავის წერილს ტარიელისადმი:

„ჰე, ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან მონადეაწები,
ტანი კალმად მაქვს, კალამი — ნალველთა ამონაწები...“

ბ. რუსთაველთან ლერწმის სინონიმი არის „ნაი“.

ავთანდილი, გალუული მიჯნურობის სეველიდან ვით „ნაი“ (= ლერწამი), მნათობთა ლოცვაში ასე მიმართავს მნათობს ოტარიდს (= შერკურის), რომელიც წარმოდგენილი ჰყავდათ, როგორც ზეციერი მწერალი, მფარველი მწერალთა:

„დაჟე წერად ჭირთა ჩემთა, მელნად მოგცემ ცრემლთა ტბასა,
კალმად გიკვეთ გაწლობილსა (= გამხდარს) ტანსა წვრილსა, ვითა ნასა“.

(ასეთია პირვანდელი ტექსტი. რადგან „ნაი“ შემდეგ ხანაში ნაკლებ გასაგები გახდა, ფრაზა „ვითა ნასა“ ზოგ დედანში ასე შეუსწორებიათ: „ვით ლერწამსა“; მაგრამ აქ შესწორებით დაირღვა რითმა. უფრო გვიან დარღვეული რითმა აღუდგენიათ შემდეგნაირად: „ვითა თმასა“, რის გამო საერთოდ დაირღვა სტრიქონის აზრი, რადგან კალამი არის „ნაი“ = ლერწამი და არა თმა).

სიტყვები ავთანდილისა, რომელიც მიჯნურობის სეველისაგან გალუულია ვით „ნაი“ („კალმად გიკვეთ გაწლობილსა ტანსა წვრილსა, ვითა ნასა“), იგივეა, რაც რუსთაველისა: „კალმად მე — ნაი რხეული“.

** მესხეთე სტროფის პირველი ტაუპის ტექსტი: „მას ვაქებ, ვინცა მიქია“ წარმოადგენს ზმა-შირის (ორი სახის წაკითხვას); პირველი ძირითადი წაკითხვა: „მას ვაქებ, ვინცა მიქია“; ზმა-შირის მეორე პარალელური წაკითხვა არის (როგორც ეს პირველად აღნიშნა ნ. მარმა): „ვინ ცამ იქია“, ე. ი. ციური, ზეციერი მნათობი. შეადარეთ პარალელური ადგილები პოემიდან; სტროფი 626, 3—4:

„პირი მისი უნათლვა სინათლესა ზესთა-ზესა,
სახლ-სამყოფი არა მმართებს, ცამცა გაიდარბაზესა!“

(შეადარეთ აგრეთვე სტროფები 1469, 1065 და სხვ.)

რომ აქ არის ასეთი სახის ზმა-შირი, ამას ადასტურებს რითმის ორგანიზაციის განმეორება: 1. „მიქია“ (|| „იქია“); 4. „მიქია“.

რაცებმა! იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჭიქი [განრისხებული მშვენიერი ვეფხი]! მისი სახელი შეფარვით არის დასახული და ნაქები ქვემორე [—ვეფხის-ტყაოსანში]“.

ასეთია ტრაგიკული გრძობით გამსკვალული პოეტის სიტყვები.

შოთა აღარებს თამარს ჭიქს, მშვენიერს, მაგრამ განრისხებულს ვეფხს. იგი ამბობს თამარის შესახებ:

„იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჭიქია“

მაგრამ შოთა ამბობს ამაზე მეტსაც. პოეტი გადმოგცემს, რომ თვით ვეფხის-ტყაოსანი შთაგონებულია თამარით, რომ ქვემორე (ე. ი. ვეფხის-ტყაოსანში) განსახიერებულია თამარ:

„ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინ/ცა შიქია,

იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჭიქია,
მისი სახელი შეფარვით ქვემორე [ე. ი. პოემაში] მითქვამს, შიქია“.

ვეფხის-ტყაოსანი, როგორც გამორკვეულია, დაწერილია 1196 — 1207 წლებს შორის.

ამ დროს თამარ მეფე გათხოვილია, იგი არის ხელმწიფე, დიდი ხელმძღვანელი ქვეყნისა; მისი მეუღლეა დიდად სახელოვანი და ღირსეული თანამოღვაწე თამარისა დავით სოსლანი. თამარს ჰყავს შვილები გიორგი-ლაშა და რუსუდანი.

რასაკვირველია, ყოვლად წარმოუდგენელია, რომ შოთას ეს ლექსი გამოეჭყეყნებია თამარის სიცოცხლეში, და საერთოდ დაეწერა იგი გამოსაჭყეყნებლად. ეს არის პოეტის მონოლოგი თავის თავთან.

ამ ლექსის გამოჭყეყნება, სხვას რომ თავი დავანებოთ, იქნებოდა დარღვევა მიჯნურობის კოდექსისა, და საერთოდ დარღვევა ყოველგვარი რაინდული ეტიკეტისა. თვით შოთა პოემაში ავთანდილის პირით ამბობს (სტროფი 668):

„კვლავ იტყვის: „ბულო, რასდენცა გაქვს სიკვდილისა წადება
სჯობს სიოცხლისა გაძლება, მისთვის თავისა დადება;
მაგრამ დამალე, არ გაჩნდეს შენი ცეცხლისა კვლა დება,
ავად შეჭურვოს მიჯნურსა მიჯნურობისა ცხადება“.

ვიდრე ვავაგრძელებდეთ საუბარს, აქ მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას, კერძოდ, შემდეგს.

ეს სტროფი, რომელსაც წარმოთქვამს სევდით შეპყრობილი ავთანდილი, სადაც ავთანდილი ამბობს, რომ მის გულს სიკვდილი სწადია („გულო, რასდენცა გაქვს სიკვდილისა წადება...“), ეხმაურება პროლოგის მეორე სტროფს, რომელსაც წარმოთქვამს თვით შოთა. პროლოგის მეორე სტროფში რუსთაველი შესთხოვნ ზენას:

„შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა,
მომეც მიჯნურთა სურვილი სიკვდილმდე გასატანისა...“

რად არის აქ ხსენებული სატანა? პოემაში სატანა ყოველთვის მოიხსენება თვითმკვლელობის ზრახვასთან ერთად.

შოთა, როდესაც წერს ამ თავის ტრაგიკულ აღსარებას, ვეფხის-ტყაოსნის შესავალს, იმდენად არის შეპყრობილი სევდით, რომ იგი თვითმკვლელობაზე-დაც კი ფიქრობდა, აქაც არის იგივე „სიკვდილის წადება“.

რომ სატანის მოხსენება პოემის პროლოგში თვითმკვლელობის ზრახვასთან არის დაკავშირებული, ამას ადასტურებს პოემის პარალელური ადგილები. პოემის ერთ ადგილას ავთანდილი ამბობს:

„...თავსა ნუ მოიკლავ, სატანასგან ნუ იქმ ქმნილსა!“

პოემის მეორე ადგილას ავთანდილი შემდეგი სიტყვებით მიმართავს მიჯნურობის სევდით დაბნედილ ტარიელს, რომელიც სიკვდილის პირას არის მისული:

„ყმაზან უთხრა: „რაშიგან ხარ, შენ საქმესა რად იქმ ავსა?
ვინ მიჯნური არ ყოფილა, ვის სახმილი არა სწავესა?
ვის უქმნია შენი მსგავსი სხვასა კაცთა ნათესავსა?
რად სატანას წაუღიხარ, რად მოიკლავ ნებით თავსა.“

ეს იგივეა, რასაც თვით შოთა ამბობს ზემოთ მოყვანილ აღსარებაში, როდესაც პოეტი მიმართავს ზენას:

„შენ დამიფარე, ძღვეა მეც დათრგუნვად მე სატანისა,
მომეც მიჯნურთა სურვილი სიკვდილმდე გასატანისა...“

•

ჩვენ ისევ ვუბრუნდებით მიჯნურობის კოდექსს — რუსთაველთან. როგორც მოვიხსენეთ, აუცილებელი მცენება მიჯნურობის კოდექსისა, რაინდული ეტიკეტისა, ის არის, რომ „ავად შეპყვრობს მიჯნურსა მიჯნურობისა ცხადება“. ამას გვაძინევს ავთანდილი პოემის ზემოთ ციტირებულ ადგილას.

პოემის სხვა ადგილასაც ავთანდილი შესთხოვს ზენას, მისცეს ძალა მიჯნურობის დაფარვისა:

„იტყვის: ღმერთო, მიჯნურობა არ დამანდეს, დამცავფარე,
დათმობასა ვაჯების: „გულსა შენ რა მოუგვარე...“

ამრიგად, შოთას ეს ლექსი, ვეფხის-ტყაოსნის პირველი პროლოგი, როგორც ვთქვით, არის პოეტის მონოლოგი თავის თავთან და არაერთარ შემთხვევაში არ იყო დანიშნული გამოსაქვეყნებლად.

ვეფხის-ტყაოსნის ავტორის სიცოცხლეში გამოქვეყნდა ყოველგვარი შესავლის გარეშე.

გვიან, თამარისა და შოთას გარდაცვალების შემდეგ, შოთას უახლოესმა მეგობარმა (როგორც იყო ავთანდილისათვის შერმადინი)—ვეფხის-ტყაოსანს დაუერთო შესავალი, რომელშიაც შევიდა:

შოთას ზემოთ მოყვანილი ლექსი (პოემის პირველი პროლოგი);

მეორე ლექსი შოთასი „სწავლისათვის მოშაირეთა“, რომელიც სრულიად დამოუკიდებელ ნაწარმოებს წარმოადგენს და ვეფხის-ტყაოსანთან არაა უშუალოდ დაკავშირებული.

ამას გარდა შესავალში დამატებულია, არა ჩანს ვის მიერ და როდის, მესამე ლექსი, წარწერით: „კარი მიჯნურობისა“, რომელიც ეკუთვნის რუსთაველის სკოლის უცნობ პოეტს (შესაძლოა სწორედ უცნობი პოეტი იყო რუსთაველის ის შერმადინი, რომელმაც გადაარჩინა რუსთაველის ზემოთ დასახელებული ორი ლექსი).

ამ განმარტებათა შემდეგ განვაგრძობთ განხილვა პოემის პირველი პროლოგისა, რუსთაველის ამ ტრაგიკული აღსარებისა.

პოეტი, როგორც ვნახეთ, აღარებს თამარს ჭიქს, მშვენიერს, მაგრამ განრისხებულ ვეფხს; პოეტი გადმოგვცემს, რომ ვეფხის-ტყაოსანი შთაგონებულია თამარით, ქვემოთ (ვეფხის-ტყაოსანში) განსახიერებულია თამარ:

„თამარს ვაქებუე ზეფხსა...“

„ოგა ზემი ხიფობღე, უწყალო ვითა ჭიქია,

მისი სახელი შევარეთ ქვეშორე (გ. ა. პოემაში) მოქვაშს, მიქია“.

ეს სიმბოლიკა ვეფხი — ჭიქი ხსნის პოემის იდეალური პერსონაჟების ვინაობას.

მკითხველმა, რასაკვირველია, კარგად იცის, თუ ვინ არის წარმოდგენილი პოემაში ამ სახით: ეს არის პოემის გმირი ქალი ნესტან-დარეჯანი. პოემის მთავარი შინაარსი ეს არის ამბავი ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის მიჯნურობისა და „შემოსვა ტარიელისაგან ვეფხის ტყავისა“. ტარიელი თავის მიჯნურს ნესტან-დარეჯანს წარმოიდგენს მშვენიერი, მაგრამ განრისხებული ვეფხის სახით, და მისი სიუჟარულს ნიშნად ვეფხის ტყავს ატარებს.

ეს სახე: ნესტან-დარეჯან, მშვენიერი, მაგრამ განრისხებული ვეფხი, ანაბეჭდს მთელს პოემას, და პოეტი ლეიტმოტივის მსგავსად უბრუნდება ამ სახეს პოემის ნთელ რიგ ადგილებში.

მოგვიანოთ ჭერ ერთი ადგილი პოემისა, სადაც გენიალურ სიმბოლიკაში გახსნილია პოემის არსი.

ტარიელს მისი მეგობარი ავთანდილი პოულობს ველად; ტარიელი ცნობადაკარგულია, ერთკენ უძევს მოკლული ლომი, მეორე მხრივ — ვეფხი. ავთანდილი დადი სიათუთით და ბრძნული შეგონებით გრძნობაზე მოიყვანს ტარიელს, რომელიც ამ ქვეყანას უკვე აღარ ეკუთვნოდა.

აი ამ ღრუს არის, რომ ავთანდილი მიმართავს ტარიელს სიტყვებით, რომელიც ზემოთ გვქონდა მოყვანილი (სტროფი 812):

„ამან უხარა: „რამიგან ხარ, შენ საქმესა რად იქმ ავსა?

უნ მიჭური არ ვოფილა, ვის სახილი არა სწავსა?

ვის უწმია შენი მტავები სხვასა კაცთა ნათესავსა?

რად ხატანს წაუღხარ, რად მოიკლავ ნებით თავსა“.

ეს სტროფი, როგორც ვხედავთ, იგივეა, რაც რუსთაველის აღსარება პირველ პროლოგში:

„შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრუნვად მე სატანისა,

მიბეგ მიჯნურთა სურვილი სიკვდილმდე გასატანისა...“

უადრესად ნიშნეულია ის დამთხვევა, რომ პოემის სწორედ ამ ნაწილში, სადაც გახსნილია ვეფხის-ტყაოსნის არსი, მოყვანილია ის უადრესად ნიშანდობლივი სტროფი, შეგონება ავთანდილისა, მიმართული ტარიელისადმი, რომელიც ეხმაურება თვით შოთას აღსარებას პოემის პირველ პროლოგში.

*

პოემის სხვა ადგილას, ზემოთ მოხსენებული ეპიზოდის უფრო ადრე, ტარიელი მოუთხრობს თავის მეგობარს ავთანდილს მისი მიჯნურობის ამბავს და ამთავრებს შემდეგი სიტყვებით (სტროფები 597—598):

„აჰა, ძმაო, მაშინდითგან აქა ვარ და აქა ვვლდები,
ხელი მინდორს გავიჭრები, ზოგჯერ ვტირ და ზოგჯერ ვბნდები.

რომე ვეფხი მშვენიერი სახელ მისად დამისახავს,
ამად მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინახავს“.

როგორც ვხედავთ, აქ ჩვენ გვაქვს სრული პარალელი იმისა, რასაც შოთა გადმოგვცემს თავის შესახებ:

„თამარს ვაქებდუ მეფესა სისხლისა ცრუმლ-დათხეული...
.
.
.
„თვალთა, მისგან უნათლოთა, ენატრამცა ახლად ჩენა,
„აჰა გული გამოჩუნრდა, მიხვდომია ველთა რბენა!
.
.
.
„იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჟიქია!
მისი სახელი შეფარვით ქვემორე (გ. ი. პოემაში) მოთქვამს, მიქია“.

პროლოგის ამ სტროფებში გახსნილია ძირითადი პოეტური სახე ვეფხის-ტყაოსნისა.

არ შეიძლება არ შევნიშნოთ ამასთან, რომ დამთხვევა პოემისა და პროლოგისა, წარმოდგენა ერთ სიმბოლიურ რკალში ნესტან-დარეჯანისა და თამარისა, ჩანს, არის პოეტის დიდი პირადი ტრავმის ნაჩრდილი. ტარიელს, ორეულს პოეტისა, თანა სდევს, როგორც განუყრელი აჩრდილი, მოგონება ნესტან-დარეჯანთან უკანასკნელი შეხვედრისა, როდესაც ღვთაებრივი ნესტანი, „ნათელთა სახე“, მშვენიერება და სიბრძნე, განრისხებული სახით წარმოუდგა:

„ქვე წვა ვით კლდისა ნაპარლსა ვეფხი პირ-გამეხებული,
ვერცა მზე ჰგვანდა, ვერც მთვარე, ხე ალვა, ვდემს ხებული..
მერე წამოჯდა წარბ-შერჭმით გამწყრალი, განრისხებული“.
(სტროფი 468)

აი ამ შეხვედრის შემდეგ, როდესაც ტარიელმა ნესტანი განრისხებული იხილა, და რასაც, უფრო გვიან, მოჰყვა მათი საბედისწერო განშორება, ტარიელს აღარ ასვენებს მოგონება ამ შეხვედრისა:

„...მომგონა, ოდეს ჩემსა საყვარელსა წავეკიდე,
სული სრულად არ ამომხდეს, რა გიკვირს თუ ცრემლსა ვღვრიდე!“
(სტროფი 848)

ამას ეხმაურება პოეზიის ქაღოსნურ სარკეში არეკლილი პოეტის აღსარება პოემის პროლოგში.

ამრიგად, ამ გამკვირვალე ჩვენებათა მიხედვით, ნესტან-დარეჯანი წარმოკვიდგენს პოეტურ ასპექტში თამარს, ტარიელი — შოთას.

განავაგრძოთ ისევე ვეფხის-ტყაოსნის წაკითხვა.

ბ

ნესტან-დარეჯანი და თამარი

მსგავსება ისტორიული თამარისა და ვეფხის-ტყაოსნის ნესტან-დარეჯანისა იმდენად ახლოა, რომ პოემის დაკვირვებულ მკვლევართ არ დარჩენიათ ეს შეუძინველად და არაერთგზის ყოფილა აღნიშნული, რომ ნესტან-დარეჯანში პოეტს განსახიერებელი უნდა ჰყავდესო თამარი. ნესტან-დარეჯანის შესახებ ვეფხის-ტყაოსანში მოთხრობილია:

ნესტან-დარეჯანის მამა მეფე ფარსადანი, ინდოეთის შვიდთა სამეფოთა მპყრობელი, კარგა ხნის განმავლობაში უშვილოა და იგი მწუხარებით არის შეპყრობილი, რომ უმემკვიდროდ რჩება. შემდეგ მას მიეცემა ქალი ნესტან-დარეჯანი. რაკი ფარსადანს ვაჟიშვილი არა ჰყავს, იგი გადაწყვეტს ქალის გამეფებას.

თავდაპირველად მოვაგონებთ მკითხველს, რომ საქართველოს სახელმწიფო XII — XIII საუკუნეებში იწოდებოდა „შვიდი სამეფო“-ს გაერთიანებად. ამ ეპოქის ქართულ საისტორიო ძეგლებში საქართველოს ჩვეულებრივი სახელია: „შვიდნი სამეფონი“.

ასე, XII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი, თხზულებაში „ისტორიამზამნი შარავანდედანი“, გიორგი III-ის გამეფების გამო წერს:

„იპყრა შარავანდედი მეფობისა, შვიდ სამეფოდ განწესებული“.

თამარის გამეფების გამო (1184 წ.) ისტორიკოსი აღნიშნავს:

„შემოკრბეს შვიდთავე სამეფოთა დიდებულნი, რომელნიცა ღირს იყვნეს განზრახვად და გამორჩევად...“

თამარს — ისტორიკოსის სიტყვით — მისი გამეფების დროს „თაყვანი სცეს და დალოცეს და აღიდეს სპათა შვიდისავე სამეფოსათა“.

XIII საუკუნის რასაწყისის ქართველი მემატიანე გიორგი-ლაშას (1212 — 1223) ასე უწოდებს: „შვიდთა სამეფოთა მეფე“.

თამარის მამა, მეფე გიორგი III, რომელიც ფარსადანის მსგავსად „შვიდთა სამეფოთა“ მპყრობელი არის, კარგა ხნის განმავლობაში უშვილო იყო, ისევე როგორც მეფე ფარსადანი. შემდეგ გიორგი III-ეს მიეცემა ქალი თამარი. თამარი — ნესტანის მსგავსად ერთადერთი მემკვიდრეა გიორგი III-ისა. რაკი მეფეს ვაჟიშვილი არა ჰყავს, იგი გადაწყვეტს ქალის გამეფებას.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ნესტან-დარეჯანის ოდელაღურ პორტრეტში განმეორებულია ცალკეული ხაზები თამარის ბიოგრაფიისა.

ტარიელ — შოთა
ტახტის მემკვიდრე

დაეუბრუნდეთ ამის შემდეგ ისევ ტარიელს.

ჩვენ უკვე გვქონდა დაწვრილებით საუბარი იმის შესახებ, რომ ვეფხის-ტყაოსანში ტარიელის საგვარეულო ისტორიის სახით მოთხრობილია შოთას საგვარეულო ისტორია. ამრიგად, ვეფხის-ტყაოსნის მოთხრობის თანახმად ტარიელი არის ორეული შოთასი.

ხოლო ვეფხის-ტყაოსნის ისტორიზმი ამაზე არ სრულდება. მთავარი და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ის არის, რომ შოთას, ისევე როგორც ტარიელს, ტახტის მემკვიდრის უფლებები ჰქონდა.

მდგომარეობა აქ სავსებით ანალოგიურია.

მოვიგონოთ ჭერ ვეფხის-ტყაოსნის მოთხრობა.

როგორც იცის მკითხველმა, ინდოეთში, ვეფხის-ტყაოსნის მოთხრობის თანახმად, ერთი და იმავე სამეფო გვარეულობის ორი შტო იყო. პირველი ძირითადი შტო — ესენი არიან მეფეთა-მეფენი სრულიად ინდოეთისა (რომელიც შვიდი სამეფოს გაერთიანებას წარმოადგენდა). ხოლო მეორეა ამავე გვარის გვერდის შტო, — სახელდობრ ინდოეთის „მეშვიდე სამეფოს“ ყოფილი მფლობელები.

და აი ინდოეთში პირველი ძირითადი მამრობითი ხაზი შეწყდა. სრულიად ინდოეთის ტახტი, ბუნებრივი მემკვიდრეობის წესით, უნდა გადაეიდეს ამავე გვარეულობის მეორე გვერდის შტოზე, ე. ი. ინდოეთის „მეშვიდე სამეფოს“ ყოფილ მფლობელებზე, რომლის წარმომადგენელია ტარიელი.

და როდესაც უფლებრივი საკითხი დაისმის, ტარიელი შემდეგი სიტყვებით მიმართავს ფარსადანს (სტროფები 508 — 509):

„იცი, ინდოთა სამეფო რაზომი სრა-საჯდომია:
ამოწყდა მათი ყველაი, მამული თქვენ დაგრჩომია,
ერთილა მე ვარ მემკვიდრე, თქვენის მონობის მნდომია;
სამართლად ტახტი უჩემოდ არვისად მისახდომია!

ვერ გათნე, თქვენმან კეთილმან, აწ ვეე არ მართალია:
ღმერთმან არ მოგცა ყმა-შვილი, გიზის ერთაი ქალია,
სხვა მეფე დაჯდეს ინდოეთს, მერტყას მე ჩემი სრმალია?!“

სავსებით ანალოგიურია ის ვითარება, რომელსაც ჩვენ ვხედავთ XII საუკუნის საქართველოში.

როგორც იცის მკითხველმა, საქართველოში ამ დროს ერთი და იმავე სამეფო გვარეულობის — ბაგრატიონთა გვარის — ორი შტო იყო: პირველი — შტო — ესენი იყვნენ მეფენი სრულიად საქართველოსი (რომელიც „შვიდი სამეფოს“ გაერთიანებას წარმოადგენდა); ხოლო მეორე შტო — პერეთის მთავრები, „მეშვიდე სამეფოს“ ყოფილი მფლობელები.

სრულიად საქართველოს მეფეთ-მეფეს გიორგი III-ეს ვაჟი არ ჰყავდა. ამავე დროს ძირითადი შტოს ერთადერთი მემკვიდრე მამრობითი ხაზით — დემნა ბატონიშვილი — იღუპება. ამრიგად, სამეფო გვარეულობის ძირითადი

შტოს მამრობითი ხაზი შეწყდა. ამის შემდეგ სრულიად საქართველოს ტახტი, ბუნებრივი მემკვიდრეობის წესით, უნდა გადასულიყო ამავე გვარეულობის მეორე გვერდის შტოზე — პერეთის მთავართა სახლზე, რომლის წარმომადგენელიც იყო შოთა.

ამრიგად, მდგომარეობა ტარიელისა და შოთასი ანალოგიურია — შოთა და ტარიელი ტახტის მემკვიდრენი არიან.

აქ აღძრულ საკითხთან დაკავშირებით დიდად მნიშვნელოვანია აგრეთვე შემდეგი ჩვენება. პოემის ერთ-ერთ უძველეს ინტერპოლაციაში, რომელიც XIII—XIV საუკუნეებს ეკუთვნის (არა უგვიანეს XIV საუკუნის შუა წლებიცაა), შოთას პირდაპირ ეწოდება ტარიელის „დარი“.

ეს ინტერპოლატორი, რომელიც შოთას სთელის ტარიელის ორეულად, ჯერ წერს ტარიელის შესახებ:

„შო, დაუსდეთ ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობილი...“

ხოლო ამას უშუალოდ მოჰყვება სტროფი, სადაც ინტერპოლატორი რუსთაველს წარმოათქმევინებს შემდეგს:

„მე რუსთველი ხელობითა
(—მიჟნურობითა; ხელი=მიჟნური),
ვიქმ საქმესა ამა დარი
(=ტარიელის დარი),
ვის შორილობს ჯარი სპათა,
მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი...“

ამრიგად, XIII—XIV საუკუნეთა ეს ინტერპოლატორი იგივეობის ნიშანს ატარებს ტარიელსა და შოთას შორის, შოთა, მისი სიტყვით, არის ტარიელის „დარი“, ტარიელის ორეული.

ეს დიდად მნიშვნელოვანი უწყებაა XIII—XIV საუკუნეთა ინტერპოლატორისა, რომელიც გასაგებია ზღვება მას შემდეგ, რაც ამოცნობილ იქნა შოთას საგვარეულო ისტორია, ვინაობა შოთასი.

•

განვაგრძოთ ისევ ძიება.

„ვეფხისტყაოსანში“ ტარიელისა და სამეფო ოჯახის დამოკიდებულების შესახებ მოთხრობილია შემდეგი.

რაკი ინდოეთის „შვილთა სამეფოთა“ მეფე ფარსადანი უშვილო იყო და ტახტი უმემკვიდროდ რჩებოდა, ფარსადანმა გადაწყვიტა შვილად აეყვანა და თავის მემკვიდრედ გაეზარდა ტარიელი, რადგან იგი „თვით ჩემივე გვარი“ არისო.

ტარიელი მოგვითხრობს (სტროფები 274—275):

„ძე არ ესეა მეფესა და დედოფალსა შუისა დარსა,
კმუნვა ჰქონდა, ჯამი იყო, მით აუხუნეს სპანი ზარსა.
გა, კრულია დღემცა იგი, მე მივეცი ამირბარსა!
მეფემ ბრძანა: „შვილად გაუზრდი, თვით ჩემივე გვარი არსა.“

„მეფემან და დედოფალმან მამიყვანეს შვილად მათად,
სამპატრონოდ მზრდიდეს სრულთა ლაშქართა და ქვეყანათად,
ბრძენთა მიმცეს სასწავლებლად ხელმწიფეთა ქცევა-ქმნათად“.

როდესაც ტარიელი ხუთი წლისა შესრულდა, მეფეს ეყოლა ქალი ნესტან-დარეჯანი, ტარიელი და ნესტან-დარეჯანი ერთად იზრდებიან.

ნესტან-დარეჯანი გახლება შვიდი წლისა. მეფე გადაწყვეტს თავისი ქალი გახადოს მემკვიდრედ და აღზარდოს მეფედ. ხოლო ტარიელს, რაჟი მას სამეფოდ აღარ ზრდიან, დაუბრუნებენ მამას (სტროფები 280—281):

„მას ქალსა ნესტან-დარეჯან იყო სახელად ხმოხილი;
შვილისა წლისა შეიქმნა ქალი წყნარი და ცნობილი...
მეფე ქალსა ვით ხედვიდა მეფობისა ქმნისა მწთომსა,—
მამასავე ხელთა მიმცეს...“

შოთას ახალგაზრდობის წლების შესახებ ცნობები არ შენახულა, მაგრამ ზოგიერთ გარემოებათა გამო საფიქრებელია, რომ შოთას თავგადასავალი ბავშვობის წლებში იგივე უნდა ყოფილიყო, რაც ტარიელისა.

გიორგი III გამეფდა 1156 წელს. იგი ათეულ წელიწადზე მეტი უშვილო იყო. გიორგის, ბუნებრივია, უნდა ეფიქრა ტახტის მემკვიდრეზე. დემნა ბატონიშვილი, ძე მისი ძველი მეტოქის დავითისა, ცხადია, მიუღებელი იყო გიორგისათვის (ამ ორ ოჯახს შორის ძველი მტრობა იყო და უფრო გვიან დემნა დაიღუპა კიდეც ამ მტრობის შედეგად). და რაჟი სამეფო გვარეულობის ძირითადი შტოს მამრობითი ხაზის წარმომადგენელი სხვა არავინ იყო, გიორგის მემკვიდრე უნდა აერჩია ბაგრატიონთა გვარის გვერდის შტოდან — ჰერეთის ბაგრატიონთა გვარიდან.

და მართლაც, როგორც ეს ზევითაც გვქონდა აღნიშნული, XII საუკუნის 60-იან წლებში იწყება ჰერეთის ბაგრატიონთა გვარის ამალეობა და გიორგი III მათ წყალობით უტკეერის. 1163 წელს, იმ სამსახურისათვის, რომელიც გაუწიეს სახელმწიფოს ჰერეთის ბაგრატიონებმა, გიორგი III მათ სამფლობელოებს ერთიორად გაადილებს. ეს მოხდა 1163 წელს.

ამის ახლო ხანებში, 60-იანი წლების ნახევარში, დაახლოებით 1165/6 წლებში, დაიბადა შოთა. უშვილო და უმემკვიდრო გიორგიმ, საფიქრებელია, შოთა აღსაზრდელად აიყვანა:

არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ ამასთან, რომ ვეფხისტყაოსნის ცნობით ტარიელი უფროსი იყო ნესტანზე ხუთი წლით. შოთაც აგრეთვე დაახლოებით ხუთი წლითვე იყო უფროსი თამარზე;

1170/1 წელს, მანამდე უშვილო გიორგი III-ეს ეყოლა ქალი თამარი.* როდესაც თამარი წამოიზარდა, გიორგი III-ემ გადაწყვიტა თავისი ქალი გამოეცხადებია მემკვიდრედ და სამეფოდ აღეზარდა. შოთა ამის შემდეგ უნდა დაებრუნებინათ თავისი მშობლებსათვის, ისე როგორც ეს ვეფხისტყაოსანშია მოთხრობილი.

*რომ თამარ 1170/1 წლებში დაიბადა, ეს ირკვევა თამარის მკითხველებში დაცული სინქრონიკული ცნობებიდან. 1184 წელს, როდესაც გამეფდა თამარი, იგი ჯერ კიდევ არასრულწლოვანი „ყრმა“ ყოფილა.

და მართლაც, რომ 70-იანი წლების ბოლოს მომხდარა განხეთქილება გიორგი III-ეს და ჰერეთის ბაგრატიონთა სახლს შორის, ეს ცხადი ხდება მომდევნო პოლიტიკური ამბებიდან. ჰერეთის ბაგრატიონები ამ დროიდან ოპოზიციასში უდგებიან გიორგი III-ეს (თუმცა, როგორც ვნახეთ, ოსინი სწორედ გიორგი III-ის მიერ იყენენ დაწინაურებულნი). 1177 — 1178 წლებში, როდესაც მოეწყო აჯანყება გიორგი III-ის წინააღმდეგ, ჰერეთის ბაგრატიონებს ჩვენ ვხედავთ გიორგი III-ის მოწინააღმდეგე ბანაკში.

ჰერეთის ბაგრატიონებმა აჯანყების დროს დიდი ბრძოლა გაუმართეს გიორგი III-ეს და ააზნდრეს მის წინააღმდეგ არა მარტო ჰერეთი, არამედ მოკავშირე დაღისტანი და კავკასიის მთიელები. გიორგი III-ის ბედი, ჰერეთის ბაგრატიონთა განდგომის გამო, სასწორზე იდო.

დ

მეფის-ბაჟანის დანარჩენი პარონაშვიდი

გარდა იმისა, რომ ვეფხის-ტყაოსნის მთავარ პერსონაჟებზე — ტარიელსა და ნესტანზე, აგრეთვე ფარსადანზედაც, გადატანილია — როგორც ირკვევა — ზოგიერთი ხაზები შოთასი, თამარისა და გიორგი III-ის ბიოგრაფიისა, პოემის დანარჩენ პერსონაჟებშიაც შესაძლოა ამოცნობილ იქნას ისტორიულ პირთა მოგონება.

ასე, ხვარაზმშას შვილი, მოწვეული ნესტანის საქმროდ, რომელიც უბედურად იღუპება, პოეტურ ასპექტში წარმოგვიდგენს თამარის საქმროდ მოწვეულ ანდრია ბოგოლიუბსკის შვილს გიორგის, რომელსაც თანამედროვე საისტორიო წყარო „სვე-უბედურს“ უწოდებს.

ასევე შესაძლოა ამოცნობილ იქნას დავარ, მამიდა და აღმზრდელი ნესტან-დარეჯანისა, რომელიც, ჩანს, არის რუსუდანი, მამიდა და აღმზრდელი თამარისა. რუსუდანი, ქართველთა და სპარსთა ღედოფლად წოდებული, ირანში იყო ფათხოვილი და დაქვრივების შემდეგ იგი საქართველოში დაბრუნდა. რუსუდანი უდიდესი გავლენით სარგებლობდა საქართველოში, როგორც აღმზრდელი თამარისა, და თამარის ახალგაზრდობის დროს რუსუდანი ფაქტიური რეგენტი იყო სახელმწიფოსი.

საისტორიო წყაროები რუსუდანს წარმოგვიდგენს, როგორც უაღრესად დამსახურებულ პიროვნებას. შოთა კი რუსუდანს — დავარს წარმოგვიდგენს ბნელი ფერებით. რისთვის? ცხადია, იმის გამო, რომ რუსუდანმა საბედისწერო როლი ითამაშა თამარის პირად ცხოვრებაში, რადგან მან, როგორც ეს ირკვევა საისტორიო წყაროებიდან, ნება დართო გიორგი „სვე-უბედურის“ მოწვევას. თამარმა, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ქალმა, თუმცაღა უდიდესი წინააღმდეგობა გაუწია ამას, მაგრამ ვერას გახდა და თამარის პირადი ცხოვრება უბედურად მოეწყო.

მსგავსება რუსუდანისა და დავარისა იმდენად ახლოა, რომ პოეტი თითქოს შეგნებულად ხაზს უსვამს მათს იგივეობას, რომ მკითხველს არ დარჩეს ამაში ეჭვი.

როგორც რუსუდან, ისე დავარ, — ორივე დაა მეფისა; ორივე უცხოეთშია გათხოვილი; ორივენი დაქვრივდებიან და სამშობლოში ბრუნდებიან; ორივენი ზრდიან მეფის ერთადერთ ქალიშვილსა და ტახტის მემკვიდრეს; ორივენი განდებიან მიზეზი თავისი აღზრდილის პირადი უბედურებისა.

•

დასასრულ, ისტორიული შიფრის საკითხთან დაკავშირებით, აქ საჭიროა დამატებით ხაზი გავუსვათ აგრეთვე შემდეგ დეტალსაც.

როგორც მოვიხსენეთ, შოთას პოემაში „შვიდ სამეფოდ“ განწყობილი ინდოეთი ეს არის „შვიდ სამეფოდ“ განწყობილი საქართველო.

რომ პოემაში ქართული სამყაროა დახატული და რომ უცხოეთის ქვეყნების დასახელება პოეტური ხერხია მხოლოდ, ამის ერთ-ერთი მაჩვენებელი შემდეგიც არის. პოემაში ეს „უცხოელი“ გმირები ქართულად მეტყველებენ. ასე, საუბარი არაბეთის დედოფლის თინათინისა და არაბეთის სპასპეტის ავთანდილისა ქართულად მიმდინარეობს. შოთა, აგვიწერს რა თინათინისა და ავთანდილის საუბარს, შემდეგს გადმოგვცემს ავთანდილს შესახებ (სტროფი 650):

„ყმა ტკბილი და ტკბილ-ქართული, სიკეთის ხელის მხდელი,
მუსა ასრე ეუბნების ვით გაზრდილსა ამო მზრდელი“.

ავთანდილი ტკბილ-ქართულად მეტყველებს.

ასეთია ის უაღრესად ნიშნული ჩვენება თვით პოეტისა იმის შესახებ, თუ ვინ არიან პოემის გმირნი.

•

წარმოდგენილი მიმოხილვიდან, ამრიგად, ირკვევა, რომ ვეფხის-ტყაოსანში გაირჩევა ისტორიული სინამდვილის ანარეკლი.

ვიმეორებთ, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ვეფხის-ტყაოსანში ჩვენ გვქონდეს ისტორიული ამბების უბრალო ქრონიკა. ვეფხის-ტყაოსანი, ეს არის Dichtung — პოეზია; იგი არის, როგორც მოვიხსენეთ, პოეზიის მრავალწახნაგოვანი ძვირფასი თვალი, რომლის ერთ წახნაგში შეინიშნება Wahrheit — სინამდვილის გამოჩენა. ისტორიული სინამდვილე აქ პოეტურ ასპექტშია მოცემული, და ბევრ შემთხვევაში ძნელია ხაზის გავლება, თუ სად თავდება Dichtung და სად იწყება Wahrheit*.

* ჩვენ ამგზის არ ვეხებით ისტორიულ რეპრეზენტაციებს არაბეთის გმირთა პერსონაჟებში. უპველია, ჩვენ გვაქვს ერთგვარი პოეტური დუბლირება ინდოეთისა და არაბეთის გმირების სახით. ავთანდილ (—„ქე დიდებულთა დიდ-გვართა, ზრდილი მეფეთა შვილობით“) — სახეცელი პოეტური ორეულია ტარიელისა, როგორც თინათინ მეორე ასპექტია ნესტანისა, როსტევან — ფარსადანისა. სწორედ ამ პოეტურ დუბლირებაში არის გენოალური სილიადე რუსთაველის ხელოვნებისა, რომელიც ერთი და იმავე მხატვრული პროტოტიპის სხვადასხვა პოეტურ პლანში წარმოდგენით შლის ზღვარს Dichtung-სა და Wahrheit-ს შორის.

მინც, ვეფხის-ტყაოსანში ისტორიული ელემენტები გაცილებით მეტი უნდა იყოს, ვიდრე ეს ამჟამად შეგვიძლია გავარჩიოთ.

აქ საჭიროა დამატებით აღინიშნოს აგრეთვე შემდეგიც. ვეფხის-ტყაოსნის ისტორიული ელემენტების სრულს ამოშიფრვას აძნელებს, კერძოდ, ის გარემოება, რომ ჩვენს დრომდე არ მოღწეულა ცნობები XII საუკუნის ისტორიის ისეთი მხარეების შესახებ, რაც ჩვენი საკითხისათვის განსაკუთრებით საინტერესო უნდა ყოფილიყო. თამარის ეპოქიდან ჩვენ დრომდე შენახულა მხოლოდ ოფიციალური ხასიათის მატრიანები, რომლებიც, ბუნებრივია, გვერდს უვლიან ისეთ მოვლენებს, რაც ლეგიტიმურის თვალსაზრისით მიუღებელი იყო.

თამარის კურთხევა 1178 წელს, ხოლო შემდეგ თამარის გამეფება 1184 წელს, ეს იყო ტახტის მემკვიდრეობის ახალი წესის დამკვიდრება, რადგან მანამდე არ ყოფილა შემთხვევა, რომ საქართველოს ტახტზე ქალი ასულიყო. და ჩვენ არ ვიცით კარგად, თუ როგორ ჩატარდა თამარის გამეფება. ვიცით მხოლოდ, რომ თამარის მეფობის პირველ წლებში (1184-5 წ.) ადგილი ჰქონდა დიდ პოლიტიკურ კრიზისს და რომ ხელისუფლებისათვის იბრძოდა რამდენიმე პოლიტიკური დასი. ოფიციალური ისტორიკოსები ყრუდ ეხებიან ამ ბრძოლას და, როგორც ჩანს, გვერდს უვლიან ისეთ ამბებს, რაც ლეგიტიმურის თვალსაზრისით არ იყო მისაღები.

კერძოდ, როგორი იყო ამ კრიზისის წლებში მდგომარეობა ჰერეთის ბაგრატიონთა გვარისა, რომელსაც, ბუნებრივი მემკვიდრეობის წესით, შესაძლოა პრეტენზიები ჰქონოდა საქართველოს სამეფო ტახტზე? აქ იდგა სწორედ ის კითხვა, რომელიც აღძრულია ვეფხის-ტყაოსანში (სტროფები 508—509):

„იგი, ინდოთა სამეფო რაზომი სრა-საჯდომია:
ამოწყდა მათი ყველაი, მამული თქვენ დაგროშოია,
ერთილა მე ვარ მემკვიდრე, თქვენის მონობის მნდომია;
სამართლად ტახტი ურემოდ არვისად მისახდომია.

„ვერ გათნვე, თქვენმან კეთილმან, აწ ვეე არ მართალია:
ღმერთმან არ მოგცა ყმა-შვილი, გიზის ერთაი ქალია,
სხვა მეფე დაჯდეს ინდოეთს, მერტყას მე ჩემი ხრმალია?!“

ოფიციალური ისტორიკოსები ამ კითხვაზე არას გვიპასუხებენ. ხოლო საქმის საერთო ვითარების გათვალისწინებიდან უნდა დავასკვნათ, რომ საქართველოს ფეოდალური დაჯგუფებანი წინააღმდეგნი ყოფილან, რომ წინ წამოწეულიყო ამ დროს უკვე მათივე თანაბარი ჰერეთის ბაგრატიონთა გვარეულობა, რომელსაც მეფობის ხარისხი უკვე აღარ ჰქონდა, ერისთავის ტიტულს ატარებდა და სხვა ფეოდალურ გვარებთან თანაბარ პირობებში იყო ჩაყენებული. ფეოდალური წრეების თათბირმა 1185 წელს, როგორც ცნობილია, გადაწყვიტა თამარის საქმროს უცხოეთიდან მოწვევა (ისევე, როგორც ვეფხის-ტყაოსანში უცხოეთიდან იწვევენ ზვარაზმშაპის ვაჟს) და თავისი არჩევანი გიორგი სვე-უბედურზე შეაჩერა. ეს მოხდა, როგორც ისტორიკოსები ადასტურებენ, წინააღმდეგ თამარის სურვილისა, და ეს იყო მიზეზი თამარის პირადი უბედურებისა.

ჩვენ დავამთავრეთ საუბარი ვეფხის-ტყაოსნის ისტორიული შიფრის შესახებ.

საბედისწერო 1185 წელს, როდესაც თამარის პირადი ცხოვრება ასე უბედურად მოეწყო, თამარ და შოთა ჯერ სრულებით ახალგაზრდები არიან. თამარ 15-ისა, შოთა 20-ისა. მათი მეგობრობა ახალგაზრდობის კლემამოსი-ლებითა და სინათლით არის მოსილი. ეს მეგობრობა არის ის მაღალი მიჯნურობა, ის წმინდა ნათელი, რომელიც ჩვენ შუქსა გვფენს შოთას პოემის ფურცლებიდან.

როდესაც ნესტანის საქმრო უცხოეთიდან მოიწვიეს, ამას მოჰყვა ნესტანის დაკარგვა.

საბედისწერო 1185 წელს გზები თამარისა და რუსთაველისა დაშორდა ერთმანეთს.

„ორნივე სწორად ნათობენ, მოჰმორდეს, მოეშოროსა,
ართუ იგი მოჰმორდეს, მართ ცამან მოაშოროსა“.

(სტროფი 1488)

მას შემდეგ, რაც ორი მნათობი დაშორდა ერთმანეთს, დიდი რუსთაველი მოგვევლინა როგორც პოეტი.

დიდი თამარი გახდა მსახური ქართველი ერისა, თამარი, ბრძენი წინამძღვარი საქართველოსი, „ლამაზი დედა ქართველთა“, რომლის სახელი უდიდესი სიყვარულით შემოსა ერმა.

*

დანტემ პირველი ლექსები Vita nuova-სი მიუძღვნა ახალგაზრდა ბეატრიჩეს, ვიდრე ბეატრიჩე ჯერ კიდევ ამქვეყნად იყო.

ხოლო უფრო გვიან, როდესაც დანტემ დაგვიხატა სახე ბეატრიჩის თავის Divina-ში, ღვთაებრივ პოემაში, ბეატრიჩე არ არის ამქვეყნად, იგი ზეცად არის ამალღებული. ბეატრიჩეს სახეს დანტე ხელმეორედ იხილავს მას შემდეგ, რაც იგი განვლის ჯოჯოხეთს, განსაწმენდელს, და მიაღწევს მესამე რკალს, საიდანაც გაიხსნება ზეცა.

შოთა ამბობს ერთგან თავის ნათელ გმირთა შესახებ (სტროფი 626):

პირი მათი უნათლესა სინათლესა ზესთა-ზესა,
სახლ-სამყოფი არა მართებს, ცამცა გაიდარბაზესა“.

ვეფხის-ტყაოსანი არის არა აღრინდელი Vita nuova, არამედ გვიანი Divina, ღვთაებრივი პოემა.

ამდენად ნესტანი არ არის ისტორიული თამარი, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, ის დიდი თამარი, რომელიც შემდეგ გახდა ბრძენი ხელმძღვანელი ერისა.

ნესტანი არის ნათელი ჩვენება პოეზიისა, თამარ ყრმა-ქალი, არეკლილი პოეზიის ჭადოსნურ სარკეში.

და თვით შოთა, როდესაც იგი უფრო გვიან წერდა თავის ღვთაებრივ პოემას ვეფხისტყაოსანს, უკვე არის სხვა შოთა. შოთა ამ დროს არ არის ორეული ტარიელისა. შოთა არის ბრძენი ავთანდილი. იგი არის ავთანდილი — ორფეოსი, რომლის სიმღერა-ლოცვაში მნათობთადმი მეტყველებს უკვდავი პოეზია.



ჩვენ აქ ვეფხისტყაოსნით ამ ორ მნათობს, თამარსა და შოთას, რომელთა სახეები გვინათებენ პოეზიის მარადიული ზეციდან.

ვაჟა-ფშაველა, მემკვიდრე ჩუქთაველისა ქართულ პოეზიაში, ასე მიმართავს დიდი თამარის ნათელ ჩვენებას:

„შენ და შოთას მარჯვენას
ვმთხვიე ზედა-ზედაო“.

III

რუსთაველის მსოფლმხედველობა

შოთა არის უდიდესი პოეტი-მოაზროვნე საშუალო საუკუნეთა.

თვით შოთა თავის *Ars poetica*-ში აყენებს პრინციპს პოეზიისა და სიბრძნის სიმფონიის შესახებ:

„შირობა ბირველადვე ხიბრძნისაა ერთი ღარგი“.

შოთას ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, როგორც ირკვევა, რთული მოვლენაა: იგი განაყოფიერებულია როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის, და აგრეთვე XI — XII საუკუნეთა ქართული ფილოსოფიური სკოლის მოწინავე ფილოსოფიური იდეებით.

ჩვენ აქ საუბარი გვექნება შოთა რუსთაველის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ამოსავალი საფუძვლების შესახებ.

1

შოთა რუსთაველის თავისუფალი მოაზრობა და ალირიკალური წრებების ოპოზიციი

ვეფხისტყაოსნის შესახებ მასალების შესწავლიდან გამომიკვამ უაღრესად მნიშვნელოვანი გარემოება, რომ შოთას პოემას სდევნიდა ეკლესია. შოთა რუსთაველს ქრისტიანული მოძღვრებიდან გადახრას სწამებდნენ, მისი ნაწარმოები სარწმუნოებრივ საცთურად ყოფილა აღიარებული.

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ თვით ვეფხისტყაოსნის ჩვენ დრომდე მოღწეულ ხელნაწერებში ჩართულია დამატება, სადაც აღნიშნულია, რომ ვეფხისტყაოსანი დაშორებულია ქრისტიანობას, რომ ვეფხისტყაოსანში არ არის ხსენება სამებისა და რომ მისი წაქიბვა წაწყმედას უღრის:

„...არ ახსენებს სამებასა ერთ-არსულად,
არას გვარგებს საკუნოს, რა დღე იქმნას აღსასრულად“.

ეს პოლემიკური დამატება, მიმართული რუსთაველის წინააღმდეგ, როგორც აღნიშნული გვქონდა, ძველი ზანისაა, ეკუთვნის დაახლოებით XIV საუკუნეს.

პოლემიკური დანართის ავტორი მართალია, როდესაც აფრთხილებს მკითხველებს, რომ შოთა „არ ახსენებს სამებასა ერთ-არსულად“.

ვეფხისტყაოსანი, როგორც ცნობილია, იხსენება ფილოსოფიური ხედვით ღვთაების შესახებ („რომელმან შექმნა...“), მაგრამ აქაც, შესავალ სტროფში, წინააღმდეგ მიღებული წესისა, არ არის ხსენება სამებისა, არ არის აღნიშნული ღვთაების სამი ჰიპოსტასობა.

საქიროა ვიცოდეთ, რომ რუსთაველის ეპოქის ქართულ პოეზიაში, ღვთაების სახელთან ერთად, მისი სამი ჰიპოსტასობის აღნიშვნა ჩვეულებრივი წესი იყო. ეს მით უფრო მიუცილებელი იყო პოემის შესავალში.

შავთელი, მაგალითად, ასე იწყებს თავის ოდა-პოემას:

„სამებით ღმერთმან,
არსებით ერთმან,
მომცეს მე სწავლა თქვენდა შემკობად...“

ან მიემართოთ ყველაზე უფრო საერო პოეტს კლასიკური ეპოქისა — ჩახრუხანძისს. მის ოდებში, სადაც კი მოხსენებულია ღვთაების სახელი, ჩვეულებრივ აღნიშნულია მისი სამ-სახეობა.

ჩახრუხანძისე, მაგალითად, ასე იწყებს ერთ ოდას (II):

„სიბრძნით ქმნა ღმერთმან,
სამებით ერთმან,
ცა და ქვეყანა, არს ზენიერა!“

ასევე სხვა ხოტბებშიც ჩვენ გვხვდება სამ-სახეობის მოხსენება; მაგალითად, ხოტბა I:

„სონდა შექმნა ცისა,
შვილ სვეტ-მტკიცისა,
ერთ არსებასა სამ-სახიერსა!“

ხოტბა VII:

„სამებად ქსული,
საუფლო სული
მისთვის მოგებრა, — არს თქვენი მცველი“.

ასევე დანარჩენ ხოტბებშიც.

ბოლო ვეფხისტყაოსანში არ არის ხსენება სამებისა არც პროლოგში, და არც აგრეთვე თვით პოემაში. ვეფხისტყაოსანში ღვთაების სახელი მოხსენებულია 193-ჯერ, ხოლო არც ერთხელ არ არის აღნიშნული მისი სამ-სახეობა.

სავსებით უდავოა, რომ ღვთაების სამი ჰიპოსტასობის დადგენა შოთას პოემაში არ არის შემთხვევითი მოვლენა. ეს, ცხადია, დაკავშირებულია პოეტის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობასთან, რომელიც უარყოფდა ღვთაებაში ყოველგვარ განყოფას და ატრიბუტებს.

გადმოცემა იმის შესახებ, რომ შოთა არ იყო ორთოდოქსი, ჩვენ გვხვდება უფრო გვიან ხანაშიაც. ამ გადმოცემას XVII—XVIII საუკუნეებამდეც მოუღწევია. პოეტ არჩილს (XVII საუკ.) პოემაში „თეიმურაზისა და რუსთაველის

გაბაასება“ აღნიშნული აქვს, რომ შოთა ზოგ ქრისტიანულ დოგმატებს არ იზიარებდა.

ასე, „თეიმურაზისა და რუსთაველის გაბაასებაში“ აღნიშნულია, რომ შოთას არ სჯერა დოგმატი ქრისტეს ქალწულისაგან შობის შესახებ. შემდეგ თეიმურაზი მოაგონებს რა შოთას უკანასკნელი განკითხვის დღეს, ასეთი სიტყვებით მიმართავს მას:

„კვალად მოვიდეს იესო, მუნ აღსასრული ვამისა,
ანგელოზთ დასი მოჰყვება, გვიჩვენებს დიდებას მისსა...
წინასწარმეტყველთ ექნებათ წოგნები მათი ხელთაო,
ეს ამისთვის ვთქვით, გერწმუნათ, რად არ ირწმუნეთ ხელთაო!“
(იხ. მეფურთმეტე პასუხი მეფისა)

სრულიად გარკვეული ბრალდებით მიმართავს შოთას ცნობილი მწერალი ტიმოთე გაბაშვილი (XVIII საუკ.) იგი შემდეგს წერს შოთას შესახებ:

„ესე იყო მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართველთა სიწმიდისა წილ ბოროტი ბილწება და განრყვნა ქრისტიანობა“.

2

შოთა და ანტიკაური ფილოსოფია

გადავდივართ შოთას ფილოსოფიური მსოფლმხედველობის განხილვაზე. ჩვენ აქ პირველ რიგში გავეცნობით ორ ადგილს პოემისა — ნესტან-დარეჯანის წერილსა და ავთანდილის ლოცვას მნათობთადმი.

*

ნესტან-დარეჯანის წერილი

ნესტან-დარეჯანის წერილში, რომელიც ერთი უდიადესი ფურცელია ვეფხისტყაოსნისა, შოთა გადმოგვცემს თავის შეხედულებას მსოფლიო წყობაზე, ადამიანის ბუნებაზე, მეტემსახოზე.

მოვიგონოთ ჭერ, თუ რა პირობებში იწერება ეს წერილი.

ნესტან-დარეჯანი დატყვევებულია ქაჯეთის ციხეში. რაკი არავითარი იმედი ტყვეობიდან გამოხსნისა არ არის, ნესტან-დარეჯანი გადაწყვეტს გადავარდეს ქაჯეთის ციხის მაღალი კლდეებიდან და თავი მოიკლას. და აი წერილში, რომლითაც იგი მიმართავს თავის მიჯნურ ტარიელს, ნესტან-დარეჯანი წერს: (სტროფები 1224 — 1226):

„...სული ჩემი შეივედრე, ზეცით მომხვედენ ნუთუ ფრთენი.

ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლავ დამხსნას სოფლისა შრომასა,
ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერსა თანა ძრწომასა,
მომცნეს ფრთენი და აფრინდე, მივხვედე მას ჩემსა ნდომასა,
დღისით და ღამით ვხვედვიდე მზისა ელვათა კრთომასა.

მზე უშენოდ ვერ იქმნებოდა, რათგან შენ ხარ მისი წილი,
განაღამცა მას ეახელ მისი ეტლი, არ თუ წბილი;
მუნა განახო, მასვე გსახო, განმინათლო გული ჩრდილი,
თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილმცა მქონდეს ტკბილი“.

მოგვეყავს ტექსტის თარგმანი ახალ-ქართულად:

„... სული ჩემი შეივდრე, რათა ზეციით მომენიქოს ფრთები.

„ღმერთსა შემევდრე, რომ კვლავ (ხელახლად, სიკვდილის შემდეგ) განმამოროს ამქვეყნიურ შრომასა, ბუნების ოთხ ელემენტთან — ცეცხლსა, წყალსა, ჰაერსა და მიწასთან — შეძერწას, მომიცეს ფრთები და აღფრინდე მზისკენ, ვეწიო ჩემს სასურველს, დღისით და ღამით ვხედავდე მზისა ელვათა კრთომასა.

„მზე უშენოდ ვერ იქნება, რადგან შენ მისი წილი ხარ, უცილობელად მას ეახლები, ვინაიდან შენ ხარ მისი ეტლი, არათუ წბილი (მისგან მოკვეთილი); მუნ (მზეში) განახო, მის (მზის) სახედ გიხილო, განმინათლო გული ჩრდილის თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილი ტკბილი მომენიქოს“.

*

აქ წარმოდგენილი ფილოსოფიური კონცეფცია ეწინააღმდეგება ქრისტიანობის თეოსოფიას.

ჯერ ერთი, ქრისტიანული მოძღვრებისათვის სრულიად უცხოა მეტემფსიხოზის იდეა, რომელიც პანთეისტური ფილოსოფიიდან მომდინარეობს. შოთას შეხედულების თანახმად ბუნებაში წარმოებს მიმოქცევა მეტემფსიხოზის სახით: ადამიანი, როგორც ყოველი არსი, კვლავ განმეორებით ხორციელდება, ღებულაობს მატერიალურ სახეობას, ჩამოიჭრება „სოფლის შრომაში“, კვლავ შეიძერწება ბუნების ოთხი ელემენტისაგან: ცეცხლისა, წყალისა, ჰაერისა და მიწისაგან.

ამას გარდა, ქრისტიანობისათვის ასევე უცხოა სოლარიზმი, მატერიალური სინათლის — მზის — ღვთაებრივ საწყისად აღიარება, მოძღვრება „მზის წილ“ სულთა შესახებ, რომლებიც სინათლის — „მზის“ წმინდა ემანაციაა წარმოადგენენ, მომდინარეობენ მზისაგან და მზესვე უბრუნდებიან.

საიდან მომდინარეობს ეს ფილოსოფიური კონცეფცია შოთასი?

გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ შოთას ეს შეხედულება ვითომც შეეთვისებინოს ნეოპლატონიკოსებიდან. მაგრამ ეს არ არის სწორი.

სათავე შოთას ამ ფილოსოფიური კონცეფციისა ჩვენ გვაქვს ანტიკურ ფილოსოფიაში — ამას ჩვენ მივეყვართ ემპედოკლესთან.

აღსანიშნავია, რომ ეს ფილოსოფიური კონცეფცია ემპედოკლესი გადმოსულა აგრეთვე აღმოსავლეთშიც. კერძოდ, ემპედოკლეს ეს კონცეფცია შეუთვისებია მანის (მანი მოღვაწე III საუკუნისა. ახალი წელთაღრიცხვით; მოძღვრება მანისა — მანიქეიზმი — გავრცელებით სარგებლობდა საშუალო საუკუნეებში, III საუკუნიდან მოკიდებული, როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთშიც).

ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი. ძველ-ქართულ ტექსტში XII საუკუნისა, რომელიც მომდინარეობს გელათის სკოლიდან, მოიპოვება ახალი, მეცნიერებაში დღემდე უცნობი უწყება, რომლის მიხედვით დასტურდება, რომ მანის მოძღვრების პანთეისტური ფილოსოფია მატერიალისტური ელფერისა („გვამითი გვამად სულთა ცვალება“, ბუნების მიმოქცევა მეტემფსიზოზის სახით) შეთვისებული ყოფილა ბერძნული ანტიკური ფილოსოფიიდან, ემპედოკლესაგან. ამ უწყების თანახმად მანი „სპარსეთიდან საბერძნეთს“ ჩამოსულა (საფიქრებელია — ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში — განათლების დასამთავრებლად) და აქ შეუსწავლია ანტიკური ფილოსოფია; ამ უწყების ცნობით — მანის „მოძღვრად აქენდა ვო დ ა ნ ტ ო ს, ტერეინთად სახელდებული“, რომელიც იყო მოძღვარი ემპედოკლეს ფილოსოფიისა („სწავლულთა ემპედოკლომსაგან“). ამ უწყების თანახმად, ეს მოძღვრება, მომდინარე ემპედოკლესაგან, მატერიალისტური ელფერისა იყო: „გვამითი გვამად სულთა ცვალებად მთქმელი...“, შესაქმნეს კაცთასა არა სახიერისა ღმრთისაგან მეტყველი, ვინაითგან [სული] ზრწნილებასა და ცვალებასა შინა არსო“. ე. ი. ეს მოძღვრება აღიარებდაო სხეულიდან სხეულში სულთა მიმოქცევას, და რომ აღამიანი შექმნილი არისო „არა სახიერისა ღმრთისაგან“, არამედ არისო ნაყოფი ბუნების მიმოქცევისა, რადგან სული აღამიანისა „ზრწნილებასა და ცვალებასა შინა არსო“ (ე. ი. შექერწილი ბუნების ოთხ ელემენტთან).



გავეცნოთ ამის შენდეგ შოთას ეპოქის მეორე ძეგლს.

XI — XII საუკუნეთა განთქმულმა ქართველმა ნეოპლატონიკოსმა ფილოსოფოსმა იოანე პეტრიწიმ თარგმნა ქართულად ნეოპლატონიზმის მიმდევარი ბერძენი ავტორის ნემესიოსის თხზულება „ბუნებისათვის კაცისა“ (თარგმანი შესრულებულია XII საუკუნეში, გელათში).

ნეოპლატონიკოსი ავტორის ნემესიოს ემესელის ამ თხზულებაში, რომელიც გადმოულია ქართულად ნეოპლატონიკოს იოანე პეტრიწის, მოიპოვება კრიტიკა მანის (=ემპედოკლეს) ფილოსოფიურ დებულებათა; და ჩვენ ვხედავთ, რომ ნეოპლატონიკოსი ავტორი ნეოპლატონიზმის პოზიციებიდან აკრიტიკებს სწორედ იმ ფილოსოფიურ კონცეფციას, რომელიც წარმოდგენილია შოთას პოემის ზემოთ მოყვანილ ტექსტში (ნესტან-დარეჯანის წერილში).

აი რას წერს ნეოპლატონიზმის მიმდევარი ფილოსოფოსი ნემესიოს ემესელი, აკრიტიკებს რა მანის ფილოსოფიურ კონცეფციას, დამოკიდებულა ემპედოკლესაგან:

„ისინი ამბობენ, რომ სული უკვდავია და უზრწნელი, რომ ერთი არისო სული ყოველთა (ე. ი. ერთია სული მთელი სამყაროსისა), და რომ ეს ერთი სული ვანყოფილია და დაჭრილი ცალკეულ სხეულებში, როგორც სულიერში, ისე უსულოში, რომ ზოგიერთ სხეულს მეტი აქვთ იგი (სული), ზოგს კი ნაკლები; მეტი აქვთ — სულიერ სხეულებს, ნაკლები — (ეგრეთ წოდებულ) უსულო სხეულებს; ზოლო ყველაზე მეტი აქვთ ციურ სხეულებს (მნათობებს). ამრიგად, ერთი საყოველთაო სულის ნაწილები დაყოფილიაო ცალკეულ სულებში.

„და თუკი ისინი ამბობდნენ, რომ იგი (ერთი საყოველთაო სული) განი-
ყოფება განუყოფელად, ისევე, როგორც ხმა მსმენელთა შორის, ეს არ იქნებო-
და ისეთი ბოროტება.

„მაგრამ ისინი ამბობენ, რომ განყოფილი არისო თვით არსება სულისა; ხოლო ყველაზე უბოროტესი ის არის, რომ ისინი ფიქრობენ, თითქო სული იყოფებოდეს შენაწევრებული (შეძერწილი) ოთხ ელემენტთან (ცეცხლსა, წყალსა, ჰაერსა და მიწასთან), რომ სული მათთან (ოთხ ელემენტთან) ერთად გაუნაწილდება სხეულებს. მათი (სხეულების) შექმნის დროს, და ისევე თავის-
თავს უბრუნდება სხეულთა გახარწვის დროს, როგორც წყალი, განაწილებული და შემდეგ ხელახლად შეერთებული და შერეული (პირველწყაროსთან). ისინი ამტკიცებენ, რომ წმიდა სულებს შეიერთებს სინათლე, ვინაიდან ეს სულნი არიან ნათელნი; ხოლო მატერიისაგან შებღალულ სულებს შეიერთებს ოთხი ელემენტი ბუნებისა (ცეცხლი, წყალი, ჰაერი და მიწა) და ამ ოთხი ელემენტის გზით გადადის მცენარეებსა და ცხოველ (ცოცხალ) არსებებში.

„ამრიგად, ისინი დასკრიან მის (სულის) არსებას, სთვლიან სულს სხეუ-
ლოვნად, მიაწერენ მას ვნებას (ტანჯვას), ზოლო ამავე დროს სულს უკვდავად სთვლიან! მაგრამ ამით ისინი წინააღმდეგობაში ვარდებიან, ვინაიდან ისინი ამბობენ, რომ შებღალული სულნი შეუერთდებიან (შეეძერწებიან) ოთხ ელემენტსო (ცეცხლსა, წყალსა, ჰაერსა და მიწასა) და ერთურთში აღირევიანო; და კვალად ამბობენ, რომ შებღალულნი სულნი, იცვლებიან რა სხეულთა სხვადასხვა სახეობაში, მათთა შეცდომათა შესაბამისად ისეებიან ამ ქვეყნად განმეორებით განხორციელების დროსო“.

ამრიგად, ფილოსოფიური კონცეფცია, რომელსაც აკრიტიკებს ნეოპლა-
ტონიკოსი ავტორი, იგივეა, რაც გამოთქმული აქვს შოთას ვეფხის-ტყაოსანში.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ XIV საუკუნის ქართული ისტორიკოსის ჟამთააღმწერლის ცნობით შოთას სწამებდნენ „მანის ფერობას“, გადახრას მანის ფილოსოფიისადმი (ე. ი. ემპედოკლეს ფილოსოფიისადმი).

ნემესიოს ემესელის თხზულების იოანე პეტრიწისეული ტექსტი, როგორც ცნობილია, ფართო გავრცელებით სარგებლობდა XII — XIV საუკუნეთა საქართველოში, ეს იყო ქართული უმაღლესი განათლების აუცილებელი სახელმძღვანელო. და საკმაო იყო ჟამთააღმწერელს, ამ კლერიკალურად განწყობილ მწერალს (რომელიც დიდად განათლებული ადამიანია, შეიძლება ითქვას, ენციკლოპედიური ცოდნით აღჭურვილი), წაეკითხა ნემესიოსის თხზულებაში დახასიათება მანის (= ემპედოკლეს) ფილოსოფიისა, რათა მას შოთას პოემაში დაენახა მანის ფერობა, მანის (ე. ი. ემპედოკლეს) ფილოსოფიისაკენ გადახრა.

*

ავთანდილის ლოცვა შეიღთა მნათობთადმი

გავეცნოთ ამის შემდეგ შოთას პოემის მეორე ტექსტს.

რუსთაველის პოემაში, როგორც ცნობილია, მოიპოვება ლოცვა შეიღთა მნათობთადმი, რომელსაც წარმოთქვამს ავთანდილი, პოემის გმირი, რომელიც

რუსთაველის ფილოსოფიურ იდეათა გადმოცემა. მნათობთა ეს ლოცვა, სადაც რუსთაველი ლეგენდარული ორფეოსის მსგავსად გააცოცხლებს მთელ ბუნებას, სადაც რუსთაველის საზეიმო ლექსი მოისმის როგორც ნამდვილი სიმფონია, — ეს ლოცვა ავთანდილისა, ნესტან-დარეჯანის წერილთან ერთად, მსოფლიო პოეზიის დიად შედევრთა რიცხვს ეკუთვნის.

მნათობთა ლოცვა ავთანდილისა გამსჭვალულია ასტრალიზმის სულით.

მნათობთა ამ ლოცვაში წარმოდგენილია კოსმიური კრებული შეიღბა მნათობთა (მზე და ექვსი მნათობი). შვიდ მნათობთა ეს კრებული რუსთაველის პოემაში წარმოდგენილია როგორც ღვთაებრივი ძალის შემცველნი.

რომ ბოლომდე გასაგები გახდეს მნათობთაღმი ამ ლოცვის ფილოსოფიური კონცეფცია, საჭიროა მოვიგონოთ ნემესიოს ემესელის ზემოთ მოყვანილი ტექსტი, რომლის მიხედვით, ემპედოკლეს = მანის მოძღვრების თანახმად, ღვთაება წარმოდგენილი იყო, როგორც წმინდა შეურევნელი ზენა სინათლე, ხოლო ზეციური მნათობები — როგორც უშუალო გამოვლინება ღვთაება-სინათლისა. ამ სწავლის თანახმად „ბუნება ნათლისა ერთია (ერთ-არსია) მარტივი და ჰემარიტი“, და ამის გამო ზეციური მნათობები, როგორც სინათლის შეურევნელი განსახიერება, არიან ღვთაებრივობის მატარებელნი. შვიდ მნათობთა კრებულის სათავეში არის მზე, რომელსაც ეწოდება „ღვთაების ნათელი“ და „უდიდესი ნათელი არსება“ (მანიქეური ტექსტები); „მნათობელი მზე“ არის „გონიერი სინათლე (resp. ცეცხლი) ერთისა (ღვთაებისა)“, „უდიდესი სახეობა ჰარმონიისა“ (ემპედოკლე).

მივმართოთ ამის შემდეგ ავთანდილის ლოცვას.

პირველ ყოვლისა, აქ ყურადღებას იქცევს მნათობთა რიგი. ავთანდილის ლოცვა შედგება შვიდი სტროფისაგან, თითოეული სტროფი თითოეული მნათობისათვის არის მიძღვნილი. მნათობები ჩამოთვლილია შვიდგეი თანამიმდევრობით: 1. მზე; 2. სატურნი (— ზუალი); 3. იუპიტერი (— მუშთარი); 4. მარსი (— მარხი); 5. ვენერა (— ასპიროზი); 6. მერკურა (— ოტარიდი); 7. მთვარე.

აქ ჩვენს წინაშე წარმოდგენილია მნათობთა რიგი განთქმული ასტრონომის პტოლომეოსის სისტემის თანახმად, რომელი სისტემაც მიღებული იყო როგორც ანტიკურ მსოფლიოში, ისე საშუალო საუკუნეებში.

აქ არის მხოლოდ ერთი, მაგრამ რადიკალური განსხვავება: იმ დროს, როდესაც პტოლომეოსის სისტემაში მზეს უჭირავს მეოთხე ადგილი, რუსთაველის ტექსტში მზეს პირველი ადგილი აქვს მიკუთვნებული.

შეცვლა რუსთაველის მიერ მნათობთა იმ რიგისა, რომელიც დადგენილი იყო პტოლომეოსის სისტემაში. და რომელიც მიღებული იყო საშუალო საუკუნეებში, უადრესად საგულისხმოა და მნიშვნელოვანი. იგი მომდინარეობს ზემოთ განხილული ფილოსოფიური კონცეფციიდან.

შოთა მზეს წარმოვედგენს, როგორც წყაროს კოსმოსური წყობისა. მზე, შოთას წარმოდგენით, არის მნათობთა უფალი (ანუ, როგორც პოემაშია ნათქვამი — „მნათობთა უზეშთესი“). მზე არის თავკიდური მსოფლიო ჰარმონიისა და მზეს ემორჩილება ყველა მნათობი (სტროფი 774):

„ვის შორჩილებენ ციერნი ერთის იოტის წამისად“.

ამის გამოა, რომ რუსთაველის პოემაში მნათობთა ლოცვა იხსნება მზის სახელით. პოეტი ასე გადმოგვცემს აეთანდილის ლოცვის დაწყებას (სტროფი 892):

„მიზავალი ცაჲ შესტირს, ვუნების ეტლა მზესა:

აჲ, ღმერთო, გვაჯუბი, შენ უმძლესთა მძლეთა მძლესა“.

როგორც ვხედავთ, რუსთაველი აქ მზეს, როგორც ღვთაების წმინდა ემანაციას, პირდაპირ უწოდებს ღმერთს. მზე — ღმერთი, მზე — „უმძლესთა მძლეთა მძლე“, მზე — წყარო კოსმიური სინათლისა, რომელიც იმარჯვებს ბნელზე, invictus sol!

დასასრულ, რამდენიმე შენიშვნა ემპედოკლეს შესახებ.

თავდაპირველად აღვნიშნავთ, რომ ემპედოკლეს ფილოსოფიური ტექსტები დაწერილია ლექსად, ისევე როგორც ანტიკური ფილოსოფიის ზოგი ძეგლი, როგორც პარმენიდისა, ლუკრეციუსისა.

ემპედოკლეს შესახებ ლუკრეციუსი წერს:

„მის ღვთაებრივ გულში დაბადებულნი ლექსნი ხმამაღლად ჟღერენ ღღემღე და გადმოგვცემენ ისეთ აღმოჩენებს, რომ გვიძნელდება ვთქვათ, ადამიანი იყო იგი დაბადებით (და არა ღმერთი)“.

ემპედოკლეს გენიალური იდეები ცოცხლობენ საუკუნეები. მას ეკუთვნის იდეა ცოცხალ არსებათა ბუნებრივი ევოლუციისა; მან დასაბა სურათი მსოფლიოს ბუნებრივი კანონზომიერი განვითარებისა ევოლუციის გზით. დიდად ნაყოფიერი იყო ასევე იდეა ემპედოკლესი, რომ ბუნების საფუძველია არა ერთი რომელიმე სახეობა მატერიისა (როგორც ამას ფიქრობდა მილეტის ფილოსოფიური სკოლა), არამედ წყება პირველ-ელემენტებისა.

შოთა იცნობდა მანის (მას საერთოდ კარგად იცნობდნენ XII საუკუნის საქართველოში, როგორც ეს დასტურდება ამ ეპოქის ქართული ძეგლებიდან) მაგრამ შოთა იცნობდა თვით პირველწყაროს მანის ფილოსოფიისა — ემპედოკლეს.

ამას ადასტურებს კერძოდ ის გარემოება, რომ შოთას პოემაში ჩვენ გვაქვს შეხვედრა ემპედოკლეს ტექსტთან ნიშანდობლივ დეტალებში.

ნესტან-დარეჯანის წერილში, რომელიც ზემოთ იყო მოყვანილი, ჩვენ ვკითხულობთ:

„სული ჩემი შეივდრე, ზეით მომხედენ ნუთუ ფრთენი.

ღმერთსა შემევდრე, ნუთუ კვლავ დამხსნას სოფლისა შრომასა,
ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერსა თანა ძრწომასა,
მომცნეს ფრთენი და ავფრინდე, მივხვდე მას ჩემსა ნდომასა,
ღღისით და ღამით ვხედვიდე მზისა ელვათა კრთომასა.

მზე უშენოდ ვერ იქნების, რათგან შენ ხარ მისი წილი,
განაღმე მას ვახელ, მისი ვტლი, არ თუ წბილი,
მუნა განხო, მასვე გასხო...“

ემპედოკლეს ტექსტში, როპელიც იმავე ფილოსოფიურ კონცეფციას შეიცავს, ვკითხულობთ:

„ო, რა სიმაღლიდან გარდმოვიჭერ მე (ზეციით) მიწაზე, რათა აქ მწირად შევლო“.

„იგი ბრუნდება (ზეცად), ღებულობს თავის თავდაპირველ თვითებას (ბუნებას), შორდება რა სოფელს, გაუხარელ სადგურს.

„მიემართება ჰეშმარიტების ველისაკენ, რომელიც დასტოვა მან, როდესაც ფრთების უეცარი დაკარგვის გამო (ჩამოიჭრა ზეციდან სოფლად), განსახიერდა მიწიერ სხეულში“.

შოთას ზეპირად ახსოვს ემპედოკლეს ტექსტი. იგი იმდენად ახლოა შოთასათვის, რომ შოთას ლექსში გადმოსულა, რემინისცენციის სახით, ემპედოკლეს ტექსტის ცალკე ღეტალი, ნიშნული სახე — „ფრთები“.

ემპედოკლე:

„...როდესაც ფრთების უეცარი დაკარგვის გამო (ჩამოიჭრა ზეციდან სოფლად), განსახიერდა მიწიერ სხეულში“.

შოთა:

„... ზეციით მომხვედენ ნუთუ ფრთენი..
ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლავ
ღამხსნას სოფლისა შრომასა,
ცეცხლსა, წყალსა და მიწასა,
ჰაერსა თანა ძრწომასა,
მომცნეს ფრთენი და აღფრინდე...“
(სტროფები 1225 — 1226)

ემპედოკლეს ფილოსოფიური ტექსტებიდან გადარჩენილ ფრაგმენტებს სულ ამჟამად ცნობილია 450 ტაეპი ემპედოკლეს ტექსტებისა.

უნდა აღენიშნოთ ამასთან, რომ ბიზანტიაში X — XII საუკუნეებში ჯერ კიდევ დაცული იყო მთელი რიგი ძველი ბერძნული ნაწარმოებნი, რომლებიც ამჟამად დაკარგულია (ეს ირკვევა, სხვას რომ თავი დაეანებოთ, სვიდას ლექსიკონიდან X საუკუნისა, სადაც მითითებულია და ციტირებული მრავალი ძეგლი, რომლებიც ჩვენ დრომდე არ მოღწეულა).

არაა გამორიცხული, რომ XII საუკუნეში ჯერ კიდევ არსებობდა ემპედოკლეს სრული ტექსტები, და რომ მისი პირები მოიპოვებოდა გელათის აკადემიაში (გელათის აკადემია აგრძელებდა კონსტანტინეპოლის მანგანის აკადემიის ტრადიციებს; გელათის აკადემიის პირველი რექტორი იყო არსენი იყალთოელი, რომელმაც განათლება მანგანის აკადემიაში მიიღო და ლიტერატურული მოღვაწეობაც მანგანაში დაიწყო).

საყურადღებოა, რომ გელათის აკადემიაში XII საუკუნეში დაცული ყოფილა მასალები ძველ ავტორებზე, რომლებიც ჩვენ დრომდე არ მოღწეულა. ასე, ჩვენ უკვე მოხსენებული გვეონდა გელათის სკოლიდან მომდინარე XII საუკუნის ტექსტი, რომელშიაც დაცულია ცნობა მანის შესახებ, რომ მანი საბერძნეთში ჩასულა სპარსეთიდან, რომ საბერძნეთში მისი მასწავლებელი იყო „ვოდანტოს, ტერევინთად სახელდებული“, რომელიც ემპედოკლეს ფილოსოფიის მიმდევარი ყოფილა. ეს ცნობები სრულიად ახალია, უცნობი როგორც ბერძნულ, ისე აღმოსავლურ წყაროებში. გელათის აკადემიაში, სა-

დაც დატული ყოფილა ასეთი დაწვრილებითი ცნობები ემპედოკლეს ფილოსოფიის ადვოკატების შესახებ, საფიქრებელია, დატული იყო თვით ემპედოკლეს ფილოსოფიური ტექსტები.

3

შოთა და ჰრისტიანიზმი. არეოპაგიტული განმარტება ჰრისტიანობისა

ზემოაღნიშნულის შემდეგ დადგენილად ჩაითვლება, რომ შოთას ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაში არის ემპედოკლეს ფილოსოფიის გამოძახილი.

მაგრამ ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს აგრეთვე შემდეგი.

თუმცა შოთას ფილოსოფიური მსოფლმხედველობა ემპედოკლეს ფილოსოფიის ელემენტებს შეიცავს, მაგრამ ჩვენ შემკლარი ვიქნებოდით, თუ შოთას ფილოსოფიური მსოფლმხედველობის წრეს მარტოოდენ ემპედოკლეს ფილოსოფიით განვსაზღვრავდით. ვეფხის-ტყაოსნის დაკვირვებული შესწავლიდან ცხადი ხდება, რომ შოთას ფილოსოფიური მსოფლმხედველობა რთული მოვლენაა, რომ ემპედოკლეს მოძღვრების იდეები მხოლოდ ერთ-ერთი კომპონენტია შოთას ფილოსოფიური მსოფლმხედველობისა.

როგორია, კერძოდ, შოთას დამოკიდებულება ჰრისტიანობისადმი?

ეს კითხვა საგანგებო განხილვას მოითხოვს.

ვეფხის-ტყაოსნის შესახები მასალების შესწავლიდან, როგორც ვნახეთ, გამოირკვა უაღრესად საყურადღებო გარემოება, რომ შოთას პოემას სდევნიდა ეკლესია, რომ შოთას ჰრისტიანობიდან განდგომილად სთვლიდნენ. და თუცა კლერიკალური წრეები შოთას მტრულად უცქეროდნენ თავისუფალი მოაზრობისა და „გარეშე“, ეკლესიის მიერ არშეწყნარებული, ფილოსოფიური იდეების გაზიარებისათვის, მაგრამ ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ თვით შოთა ასევე უარყოფით უცქეროდა ჰრისტიანობას.

შოთას მსოფლმხედველობაში ბევრი რამ იყო „ერეტიკული“, რაც აშორებდა მას ჰრისტიანობის ვიწრო საეკლესიო გაგებისაგან. როგორც ეს დასტურდება წყაროების ერთხმივი მოწმობის მიხედვით, შოთა დიდ თავისუფალ მოაზრობას იჩენდა, არ იზიარებდა საეკლესიო დოგმატებს და კერძოდ ისეთ უმნიშვნელოვანეს დოგმატს, როგორც არის ღვთაების სამი ჰიპოსტასობა. ამ საგანზე ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი.

მაგრამ შოთა ღებულობს ჰრისტიანობას, როგორც დიად ეთიკურ მოძღვრებას. ამასთან შოთა ღებულობს ჰრისტიანიზმის ფილოსოფიურ-რელიგიურ არსს, არა ვიწრო ეკლესიური გაგებით, არამედ არეოპაგიტული ფილოსოფიის ასპექტში.

შოთას პოემაში მოიხსენებიან „ფილოსოფოსნი“; მოიხსენებიან აგრეთვე „მოაბადნი“ (ამ მეორე სახელით აღინიშნებიან აღმოსაყლეთის ფილოსოფოსნი — მოძღვარნი); ხოლო სახელდებით პოემაში მოიხსენებიან: პლატონი, მოციქულნი და დიონოსი არეოპაგელი.

ავთანდილის ანდერძში შოთა ასახელებს მოციქულებს: მოციქულები მოხსენებული არიან როგორც დიდნი მოძღვარნი, მქადაგებელნი მაღალი სიყვარულისა (იხ. სტროფი 730):

წაგივითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ,
ვით იტყვიან, ვით აქებენ? — ცან, ცნობანი მიაფერენ:
„ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ა ღ გ ვ ა მ ა ღ ლ ე ბ ს“, — ვით ეგვანნი ამას ვღერენ!...“

ამ პათეტიკური სიტყვებიდან ჩვენ ვხედავთ, თუ რაოდენ მაღლა აყენებს შოთა ქრისტიანობის დიად ეთიკურ მოძღვრებას.

უაღრესად მნიშვნელოვანია შოთას პოემის ტექსტში მოხსენება დიონოსი არეოპაგელისა. ის გარემოება, რომ ფილოსოფოსებიდან, პლატონს გარდა, შოთას სახელდებით მოხსენებული ჰყავს მხოლოდ დიონოსი არეოპაგელი, ცხადია, არაა შემთხვევითი მოვლენა, ეს გვიჩვენებს, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა შოთა არეოპაგიტულ ფილოსოფიას; შოთა დიონოსი არეოპაგელს უწოდებს ბრძენს („ბრძენი დიენოს“).

შოთას აღიარებით დიენოს ბრძენმა გაააცხადა (ცხადი გახადა) „ღ ა რ უ ლ ი“ არსი იმისა, თუ რა არის ღმერთი, — რომ იგი არის საწყისი კეთილისა, რომელიც გამორიცხავს ბოროტს. შოთა წერს:

„ამ საქმესა დაწარულსა ბრძენი დიენოს გააცხადებს:
ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს,
ავსა წამ-ერთ შუამოკლებს, კარგსა ხან-გრძლად გააკვლადებს,
თავსა მისსა უკეთესსა უზადო ჰყოფს, არ აზადებს“.

(სტროფი 1413)

ეს შეხედულება არ არის უბრალო ციტირება დიენოს ბრძენის აზრისა, არამედ იგი არის ერთ-ერთი საფუძველი შოთას ფილოსოფიური კონცეფციისა. შოთას შეხედულებით ღვთაება არის „ბოროტის უმყოფო“, თვით ღვთაების არსში არის კეთილი მხოლოდ, ბოროტი მისგან არ მომდინარეობს. და თუმცა ბოროტება არსებობს, მაგრამ მას აქვს სხვა, ღვთაებისაგან არ მომდინარე საწყისი. ამასთან ბოროტი წარმავალი ბუნებისაა, იგი ხანმოკლეა; ბნელი ბოროტისა ჰქრება, როდესაც მას აღდება სინათლე კეთილისა:

„მზე მოგვახლა, უკუნი ჩვენთვის აღარა ბნელია,
ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

(სტროფი 1282)

„ყველაკაი ღმერთსა მხადლობს, გაამაღლეს მათნი ხმანი,
თქვეს: „ბ ო რ ო ტ ი ს უ მ ყ ო ფ ო ო“, კეთილნია შენი მზანი“.

(სტროფი 1429)

შოთა მრავალგზის აღნიშნავს, რომ ბოროტი ხანმოკლეა და წარმავალი:

„იტყვის „ღმერთო, რა გმსახურო, განმინათლდა რაღვან ბნელი,
ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია შენი გრძელი“.

(სტროფი 1356)

„უმსგავსო საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია...“

(სტროფი 1021)

რუსთაველის წარმოდგენით ღვთაება არის „ძალთა მეცნიერი“, „საზღვართა განმსაზღვრელი“, მიზეზთა მიზეზი:

„ვინ არს ძალთა მეცნიერი, შემწედ ყოვლთა მიწიერთად,
ვინ საზღვარსა დაუზღვრებს...“

(სტროფი 731)

ამრიგად, შოთა, რომელსაც ბევრი რამ აშორებდა ქრისტიანობის საეკლესიო გააგებისაგან, რომელიც არ იზიარებდა თვით ისეთ უმნიშვნელოვანეს საეკლესიო დოგმატებს, როგორცაა ღვთაების სამი ჰიპოსტასობა, — ღებულობს ქრისტიანობას, როგორც მაღალ ეთიკურ მოძღვრებას. ამასთან შოთა ღებულობს ქრისტიანობის რელიგიურ-ფილოსოფიურ არსს, არა ვიწრო ეკლესიური გაგებით, არამედ არეოპაგიტული ფილოსოფიის ასპექტში.

შოთა უცქერის ქრისტიანობას, პირველ რიგში, როგორც ფილოსოფოსი. მას შესაძლოდ მიაჩნია შეათავსოს და შეათანხმოს ქრისტიანობის იდეები ფილოსოფიასთან, სხვა ფილოსოფიურ მოძღვრებათა იდეებთან.

შოთა ამ მხრივ ბევრ ხაზებში გვაგონებს ქართველ ფილოსოფოსს იოანე პეტრიწს, რომელიც პროკლე დიადოხოსის ტექსტის ცნობილ ბოლოსიტყვაში იძლევა ცდას ნეოპლატონიზმის და ქრისტიანობის იდეების შეთანხმებისა. შოთა გვაგონებს თვით ნეოპლატონიკოს პროკლე დიადოხოსსაც, რომელსაც ასე მაღლა აყენებდა შოთა, და რომლის შესახებ დამკვიდრებული იყო შეხედულებაც, რომ იგი არის „უსაღმრთოესი განმმარტებელი („თარგმანი“) ყველა რელიგიურ სწავლათა“.

*

მას შემდეგ, რაც გავეცანით შოთას დამოკიდებულებას ქრისტიანობის მიმართ, საქირთა აგრეთვე გავითვალისწინოთ შოთას დამოკიდებულება ისლამისადმი.

შოთა ხალბთა მეგობრობის უდიდესი მომღერალია საშუალო საუკუნეებში; შოთა სიმპატიით აგვიწერს მუსულმანურ ქვეყნებს, მაგრამ მუსულმანური რელიგიისადმი დაუფარავ ირონიას ამჟღავნებს. ასე, მუსულმანური რელიგიური წესები ვეფხის-ტყაოსანში პირდაპირ მოხსენებულია „ჩმახის“ სახელით (იხ. სტროფი 302).

ამრიგად, ისლამს, ამ მონოლითურ რელიგიურ მოძღვრებას, რომელიც სპეციფიკური რელიგიური ვიწრო განკერძოების სულით არის აღბეჭდილი და ნაკლებ ფილოსოფიურია მთავარ რელიგიურ მოძღვრებათა შორის, შოთა უარყოფითად უცქეროდა.

4

შოთა და ნეოპლატონიზმი.

შოთა და ძარითული ფილოსოფიური სკოლა

შოთა ახლოს იცნობდა ბერძნული და ქართული ნეოპლატონური სკოლის ფილოსოფიურ მემკვიდრეობას.

ვეფხის-ტყაოსანში გვაქვს შეხვედრითი ხაზები ბერძენი ნეოპლატონი-

კოსების ტექსტებთან, რომლებიც ქართულად ვადმოიღო იოანე ფილოსოფოს-მა პეტრიწიმ. ასევე არის შეხვედრითი ხაზები იოანე ფილოსოფოსის ორიგინალურ ფილოსოფიურ ნაშრომთან — „განმარტება პლატონური ფილოსოფიისათვის და პროკლესთვის დიალოზისა“. კერძოდ, იდენტურია ფილოსოფიური ტერმინოლოგია შოთასი და ქართული ნეოპლატონური სკოლისა.

ამას გარდა, შოთას პოემაში გვაქვს გამოძახილი XII საუკუნის ქართველი ავტორის (ანონიმის) თხზულებისა, რომელსაც ეწოდება „სიბრძნისაგან პლატონ ფილოსოფოსისა“. ამ თხზულებას პლატონთან აკავშირებს მხოლოდ ზოგიერთი შეხვედრის ხაზი, ისე კი ეს თხზულება არის XII საუკუნის ქართველი ავტორის ორიგინალური ნაწარმოები, რომელიც ამოფარებია ძველი ფილოსოფოსის პლატონის ავტორიტეტს, და თავისი თხზულება პლატონის სახელის ზედწარწერით გამოუქვეყნებია. ეს ნაწარმოები შეიცავს ფილოსოფიურ-დიდაქტიკური ხასიათის მაქსიმუმს, სენტენციებსა და აფორიზმებს. ამ ნაწარმოების გავლენის კვალი შეინიშნება ვეფხის-ტყაოსნის ზოგიერთ ადგილებში. კერძოდ ავთანდილის ანდერძის დასაწყისში მოყვანილი სენტენცია «პლატონისგან სწავლად თქმული» (სიცრუისა და ორპირობის შესახებ, იხ. სტროფები 728 — 729) ჩვენ გვხვდება XII საუკუნის ამ ძეგლში. შოთა რუსთაველი კარგად იცნობდა პლატონს, ხოლო შოთა ამავე დროს გაცნობილი ყოფილა XII საუკუნის ქართველი ავტორის დასახელებულ თხზულებასაც.

დასასრულს საჭიროა აღვნიშნოთ, რომ შოთა თუმცა ახლო არის გაცნობილი ქართული ნეოპლატონური სკოლის მემკვიდრეობას და შეინიშნება ზოგიერთი შეხვედრითი ხაზი ვეფხის-ტყაოსნის ცალკეულ ადგილებსა და ნეოპლატონიკურ ტექსტებს შორის, მაინც გავლენა ნეოპლატონიზმისა შოთას მსოფლმხედველობაზე არაა იმდენად მნიშვნელოვანი, როგორც ამას დღემდე ფიქრობდნენ. შეხვედრა ვეფხის-ტყაოსნისა ნეოპლატონიკურ ტექსტებთან არ ეხება ფუძემდებლურ ფილოსოფიურ საკითხებს, ძირითად ფილოსოფიურ საკითხებში ნეოპლატონური ფილოსოფია და შოთას ფილოსოფიური კონცეფცია დაშორებულნი არიან ერთმანეთს.

აღსანიშნავია ამასთან შემდეგი. ჩვენ მოხსენებული გვქონდა, რომ ქართული ნეოპლატონური ფილოსოფიური სკოლის მეთაური იოანე პეტრიწი ცნობილ ბოლოსიტყვაში პროკლე დიალოზის ტექსტისა იძლევა ცდას ქრისტიანობისა და პლატონიზმის იდეების შეთანხმებისა. იოანე ფილოსოფოსის ტექსტი შეიცავს ღვათების სამი ჰიპოტასობის აპოლოგიას. იოანე ფილოსოფოსმა, ჩანს, ეს შემარტივებელი იჯანცხადება სამი ჰიპოტასის შესახებ ეკლესიის შემოტყვის თავიდან ასაცილებლად დაურთო.

ამ შემთხვევაშიაც შოთა, რომელიც — „არ ახსენებს სამებასა ერთარსულად“, და იოანე ფილოსოფოსი — სამი ჰიპოტასობის აპოლოგეტი, დაშორებულნი არიან ერთმანეთს.

5

კანთაიისტური ფილოსოფიური კონცეფცია

შოთას ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ძირითადი ამოსავალი საფუძვლები, როგორც წარმოდგენილი ვიმოხილვიდან გამოირკვა, ჩვენ შეგვიძლია გავითვალისწინოთ ნესტან-დარეჯანის წერილისა და ავთანდილის მნათობთადმი ლოცვა-მიმართვის მიხედვით, და აგრეთვე ვეფხის-ტყაოსნის იმ სტროფების მი-

ხედვით, სადაც გვაქვს „ბრძენი დიენოსის“ ფილოსოფიური იდეების გამოხმაურება.

შოთას ფილოსოფიურ სამყაროს გვაგრძობინებს ამას გარდა პოემის მთელი რიგი აღვილები, კერძოდ, ავთანდილის ანდერძი, პოეტის სხვადასხვა სწავლანი, სენტენციები, აფორიზმები, უხვად გაშლილი პოემის ფურცლებზე.

ჩვენ აქ შევჩერდებით შოთას ფილოსოფიურ კონცეფციაზე სამყაროს წყობის შესახებ.

შოთას ფილოსოფიური კონცეფცია სამყაროს წყობისა — ეს არის პანთეიზმი.

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ნეოპლატონიკოსი ავტორი, აკრიტიკებს რა ემპედოკლეს მოძღვრების იმ იდეებს, რომლებიც წარმოდგენილია ვეფხის-ტყაოსანში (ნესტან-დარეჯანის წერილში და ავთანდილის მნათობთადმი ლოცვა-მიმართავაში), აღნიშნავს, რომ ეს ფილოსოფიური კონცეფცია არ არის იდეალისტური, არამედ მატერიალიზმს წარმოადგენსო.

მაგრამ ნეოპლატონიკოს ავტორს ეს კონცეფცია მატერიალიზმად ეჩვენება ნეოპლატონიკური იდეალიზმის თვალსაზრისით. სინამდვილეში კი ნეოპლატონიკოსი ავტორის მიერ მატერიალიზმად აღიარებული მოძღვრება წარმოადგენს პანთეიზმს.

ნეოპლატონიკოსი ავტორი ასე ახასიათებს ამ მოძღვრებას:

„ისინი ამბობენ, რომ სული უკვდავია, და უხრწნელი, რომ ერთი არისო სული ყოველთა (ე. ი. ერთია სული სამყაროსა), და რომ ერთი სული განყოფილია და დაჭრილი ცალკეულ სხეულებში, როგორც სულეირში, ისე უსულოში, რომ ზოგიერთ სხეულს მეტი აქვს იგი (სული), ზოგს კი ნაკლები: მეტი აქვთ — სულეირ სხეულებს, ნაკლები — (ეგრეთწოდებულ) უსულო სხეულებს, ზოლო ყველაზე მეტი აქვთ ციურ სხეულებს (მნათობებს). ამრიგად, ერთი საყოველთაო სულის ნაწილები დაყოფილიაო ცალკეულ სულებში“.

ავტორი დაასკვნის:

„და თუკი ისინი ამბობდნენ, რომ იგი (ერთი საყოველთაო სული) განიყოფება განუყოფელად, ისევე როგორც ხმა მსმენელთა შორის, ეს არ იქნებოდა იმდენი ბოროტება. მაგრამ ისინი ამბობენ, რომ განყოფილი არისო თვით არსება სულისა“.

ამრიგად, ნეოპლატონიკოსი ავტორის შეხედულებით ბოროტებაა იმისი წარმოდგენაც კი, რომ ერთი საყოველთაო უკვდავი და უხრწნელი სული სამყაროსი (იგივე ღვთაება) დანაწილებული იყოს ბუნებაში, ბუნების ცალკე სხეულებში. უფრო ნაკლები ბოროტება იქნებოდაო, ამბობს ნეოპლატონიკოსი ავტორი, თუ ჩვენ დაუშვებდით შემდეგსო: რომ ერთი საყოველთაო უკვდავი და უხრწნელი სული სამყაროსი იძლევა არა მატერიალური სახის განფენას ბუნებაში, თავისი არსების დაუქრელად და დაუნაწილებლად, ისევე როგორც ხმა, თვის შორის განუყოფელი, ესმის ყოველთა მსმენელთა, თვით ხმის დაუნაწილებლადო; ზოლო ამ მცდარი მოძღვრების მიმდევარი სთვლიანო, ამბობს ნეოპლატონიკოსი ავტორი, რომ ერთი საყოველთაო უკვდავი და უხრწნელი

სული (ღვთაება) თავისი არსებით ნაწილდება ბუნებაში, და, რაც უფრო მეტი ბოროტებაა, სული მათ წარმოდგენილი აქვთო, როგორც შერწყმული და შექერწილი მატერიისთან, ბუნების ოთხ ელემენტთანო.

შოთას ფილოსოფიური კონცეფცია კოსმიური წყობისა ეს არის, როგორც ვხედავთ, პანთეიზმი, ღვთაების ყოვლადობა ბუნებაში.

საერთო აბრისი შოთას პანთეისტური ფილოსოფიური კონცეფციისა შემდეგია.

ღმერთი, შოთას წარმოდგენით, არის საყოველთაო უკვდავი სული სამყაროსი. იგი არის თავკიდური კოსმიური წყობისა, — მიზეზთა-მიზეზი და „საზღვართა განმსაზღვრელი“ (სტროფი 731).

ღვთაება, საყოველთაო უკვდავი სუბსტანცია ბუნებისა, იმანენტურია ყოველს არსებულში, იგი განფენილია მთელს სამყაროში — მზესა და ზეციურ მნათობებში, ადამიანში, ცხოველ (ცოცხალ) არსებებში, ეგრეთწოდებულ უსულო ბუნებაში; იგი შექერწილია თვით ბუნების პირველად ოთხ ელემენტთან: ცეცხლსა. წყალსა, ჰაერსა და მიწასთან.

ბუნებაში წარმოებს მუდმივი მიმოქცევა მეტემფსიხოზის სახით.

ღვთაების შეურევნელი და წმინდა ემანაცია მატერიის ასპექტში არის სინათლე. „ბუნება სინათლისა ერთია (ერთ-არსია) მარტივი და ქეშმარიტი“.

ისევე, როგორც მზე, შეურევნელი და წმინდა სინათლე, არის სრულყოფილი ემანაცია ღვთაებისა და ამდენად არის ღმერთი, ასევე ადამიანი, რომელშიაც სრულყოფილად ხორციელდება სინათლე და სიკეთე, აღწევს გაღვთაებებს, იგი არის „მზისა წილი“, როგორც ნესტან-დარეჯან და ტარიელი, თინათინ და ავთანდილი, როსტევანი. პოემაში მათ არა მარტო მეტაფორულად, არამედ ყოველგვარი მეტაფორის გარეშე ეწოდებათ მზე და ღმერთი.

„...ღმერთი და ღმრთულებრ ცხოველი“
(სტროფი 795)

„მე ღმრთისაებრად მომიტყბა გამწყარალი გამჭისებული,
ანუ მზე იყო ქვეყანად...“
(სტროფი 484)

პირი მათი უნათლეა სინათლესა ზესთა-ზესა...
(სტროფი 626)

მზე უშენოდ ვერ იქნების, რათგან შენ ხარ მისი წილი,
განალამცა მას ეახელ, მისი ეტლი, არ თუ წილი.
მუნა განხო. მასვე გსახო...“

(სტროფი 1226)

შოთა თვით თამარ მეფეს, ისევე როგორც ნესტან-დარეჯანსა და თინათინს, უწოდებს ღმერთს, რომლის „ეტლი“ (ზოლიაკო, „მარები“) არის თვით მზე; თამარ მზის ეტლზე ამალღებულები, არის ნათელთა სახე, შუქთა მფენელი:

„ქართველთა ღმრთისა თამარის, ვის მზე მსახურებს მარებლად...
ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს შუქთა მარებლად...“
(სტროფი 1511)

შოთას სწავლით კოსმიურ წყობას საფუძვლად უდევს ეთიკური საწყისი, სიკეთე.

ღვთაება, ერთი საყოველთაო სული, რომელიც განფენილია მთელს ბუნებაში, არის „ბოროტის უმყოფო“, არსება სიკეთისა მარადისია, ბოროტებისა ხანმოკლე და წარმავალი. ბნელი ბოროტისა ქრება, როდესაც მას აღდება სინათლე კეთილისა:

„მზე მოგვახლა, უკუნი ჩვენთვის აღარა ბნელია.

ბოროტსა სძლია კეთილმან, არხება მისი გრძელია“.

(სტროფი 1282)

ჩვენ ამით ვამთავრებთ შოთას ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ამ მოკლე ზოგად მიმოხილვას.

როგორც ვნახეთ წარმოდგენილი მიმოხილვიდან, შოთამ დაარღვია საშუალო-საუკუნეობრივი აზროვნების ვიწრო არტახები, განშორდა ვიწრო რელიგიურ განკერძოებას. შოთას პოემა აღბეჭდილია ჭეშმარიტი თავისუფალი მოაზრობით, შოთა გვევლინება არა როგორც ბრმა მიმდევარი საყოველთაოდ აღიარებული დოგმებისა, არამედ თავისუფლად მოაზროვნე ღრმა ფილოსოფოსი პანთეისტი. ბოლო ამავე დროს, რაც საჭიროა ცალკე და საგანგებოდ იქმნეს აღნიშნული, შოთას პოემა განსაკუთრებული ნამდვილი ჰუმანიზმით რუსთაველმა მიაღწია ფილოსოფიური ხედვის ისეთ სიფართოეს და ჰუმანიზმის სულის ისეთს სიმადლეს, ზადამდისაც არ მისულა არც ერთი პოეტი საშუალო საუკუნეთა დასავლეთისა.

რუსთაველის პოემა
და მისი სიტუაცია საზოგადოებაში

ყოველი გენიოსი ქმნის დროისა და სივრცის ფარგლებში. რუსთაველის პოემის ფონი არის საშუალო საუკუნეთა ქართული გარემო, საშუალო საუკუნეთა ქართული მსოფლიო. მაგრამ შოთას პოემა ეკუთვნის კაცობრიობის გენიის იმ უღიადეს ქმნილებებს, რომელთა მნიშვნელობა არაა დაკავშირებული ამა თუ იმ ეპოქასთან, რომლებიც არ ჰკარგავენ თავის ცხოველმყოფელობას მას შემდეგაც, რაც გადავიდა ის ისტორიული გარემო, რომელსაც იგი ასახავდა. ეპოქის გარდასვლასთან ერთად იჩრდილება ის, რაც წარმოვალა. ხოლო რჩება უკვდავი პოეზია, თავისი ზოგადკაცობრიული შინაარსით.

საკაცობრიო იდეალებს საშუალო საუკუნეთა მსოფლიო ლიტერატურაში არ ჰყოლია უფრო დიდი მომღერალი, ვიდრე რუსთაველი იყო. რუსთაველის პოემაში მეტყველებს ადამიანის თავისუფალი სული. ადამიანის სულიერი ცხოვრების წყაროები, რომლებიც სანახევროდ გადამშრალი იყო საშუალო საუკუნეებში, რუსთაველის პოემაში აღწევს თავის სავესებას. რუსთაველი უდიდესი ჰუმანისტია, რომლის მსგავსი არ იცის საშუალო საუკუნეთა მსოფლიო ლიტერატურაში.

რას შეიცავს ვეფხისტყაოსანი, რომ საუკუნეთა მანძილზე არ აკლდება შთამაგონებელი ძალა და მუდმივ რჩება ცოცხალ და მოქმედ პოეტურ ქმნილებად?

ორი უღიადესი და უმშვენიერესი გრძნობა ადამიანისა — მ ე გობრობა და ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი. აი რას უმღერის შოთა რუსთაველი თავის პოემაში, უმღერის ისეთი სრული პოეტური ხმით, როგორითაც იშვიათად თუ ვისმე უმღერია რუსთაველზე ადრე ან რუსთაველის შემდეგ.

სიმფონია სიყვარულისა და მეგობრობისა გაშლილია პოემაში ცისარტყელის მრავალფეროვნებით:

სიყვარული ნესტანისა და ტარიელისა, ასევე, სხვა განათებით, სიყვარული თინათინისა და ავთანდილისა, — ეს არის უკვდავი ჰიმნი, მიძღვნილი ადამიანის სულის სინათლისადმი.

მეგობრობა ვაჟთა — ტარიელისა, ავთანდილისა, ფრიდონისა, — ეს უდიდესი გრძნობა, რომელიც განასახიერებს ძმობას არა მხოლოდ ადამიანთა შორის, არამედ, ძმობას ხალხთა შორის.

მეგობრობა ქალთა — ნესტანისა და ასმათისა, ნესტანისა და ფატმანისა, — რომელსაც არ აფერხებს მათი სხვადასხვა სოციალური ფენებისადმი კუთვნილება.

მეგობრობა ვაჟისა და ქალისა, — ტარიელისა და ასმათისა, — ჭეშმარიტად უმშვენიერესი ფურცელი მსოფლიო პოეზიისა, უნაზესი და უკეთილშობილესი გრძნობით შთაგონებული.

და ყოველივე ეს განსახიერებულია ისეთ სრულქმნილ მხატვრულ ფორმებში, რომელიც უშუალოდ მიდის ადამიანის იგულთან და სამუდამოდ აღიბეჭდება მასში.

რუსთაველი თავის პოემაში უმღერის მშვენიერებისა, კეთილისა და სიძარტლის ძლევაობისილებას. რუსთაველი თავისი პოემის გენიალურ სიმბოლურ სახეებში წარმოგვიდგენს, თუ როგორ დაამხეს მეგობრობისა, გმირობისა და სიყვარულის გრძნობით შთაგონებულმა რაინდებმა ბოროტების, სიბნელისა და ძალმომრეობის სიმბოლო ქაჩეთის ციხე, და როგორ გაათავისუფლეს მათ მთვარე, რომელიც გველს ჰყავდა დატყვევებული.

რუსთაველის პოემა გამსჭვალულია მაღალი ეთიკური იდეალებით.

რუსთაველის პოემაში იდეა მეგობრობისა და სიყვარულისა შემოსილია ზნეობრივი სიმადლის შარავანდედით, იგი არის გამოვლინება ადამიანის ბუნების სიდიადისა.

სიყვარული რუსთაველის პოემაში არის წყარო ზნეობრივი განახლებისა. იგი ითხოვს მიჯნურისაგან არა ცრემლსა და ბნელას, არამედ საგმირო საქმეებს:

„ბედითი ბნელა, სიკვდილი, რა მიჯნურობა გგონია?
სჯობს საყვარელსა უჩვევ საქმენი საგმირონია!“

იდეა მეგობრობისა რუსთაველის პოემაში დასახულია როგორც უმაღლესი ნორმა ადამიანის მოქმედებისა. მეგობრობა პოემაში წარმოდგენილია არა როგორც უბრალო ყოფაცხოვრებითი ურთიერთობა ადამიანთა, არამედ საფუძველი, რომელზედაც შენდება საზოგადოება.

მეგობრობა, — ეს ძირითადი ლეიტმოტივი ვეფხის-ტყაოსნისა, — მიმართულია ზოგადდაცობრიული იდეალების სამსახურისადმი.

რუსთაველი ქადაგებს ძმობას არა მხოლოდ ადამიანთა შორის, არამედ ძმობას ხალხთა შორის.

რუსთაველის პოემაში მოცემულია უდიადესი მსოფლიო პოეზიაში — პოეტური განსახიერება ხალხთა ძმობის იდეისა, სამი ნათელი გმირის მეგობრობის სახით, — რომლებიც გაერთიანებული არიან ერთი აზრით და ერთი გულისთქმით კეთილისა და სიძარტლისათვის სამსახურის საქმეში.

რუსთაველმა მეგობრობის ნიადაგზე დააახლოვა და დააკავშირა სხვადასხვა ხალხთა წარმომადგენლები და ამით იგი, ეროვნული და სარწმუნოებრივი განკერძოებისა და კარჩაკეტილობის ხანაში, ამაღლდა კაცობრიობის მაღალ იდეამდე.

ამავე დროს რუსთაველის პოემის გმირები გამსჭვალული არიან პატრიოტიზმით, თავისი ქვეყნისა და მშობლიური ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და თავდადების გრძნობით. ამ მხრივ ვეფხისტყაოსანი ყოველი დროის ადამიანის შეგნებაში ღრმად ნერგავს თავისი სამშობლოსადმი სიყვარულისა და ერთგულების უწმინდეს იდეას.

ასე, პატრიოტიზმის უკეთილშობილესი გრძნობის განსახიერებას წარმოგვიდგენს, მაგალითად, პოემის გმირი ქალი ნესტან-დარეჯანი. ნესტანი, ჯერ კიდევ ყრმა-ქალი, როდესაც მის გულში პირველად აინთება მიჯნურობის ნათელი, იგი თავისი სიყვარულის ოცნებას აერთებს თავისი სამშობლოს დიდების ოცნებასთან. იხლო შემდეგ, როდესაც ნესტანი გაივლის ცხოვრების ეკლიან გზას, ქაჩეთის ციხეში ტყვედ მოხვდება და საბოლოოდ გადაიწყვეტს გამოხსნის იმედს, სიკვდილის მოლოდინში უკანასკნელ გამოსათხოვარ წერილში ისევ მოუწოდებს თავის მიჯნურს ტარიელს სამშობლოს სამსახურისათვის.

რუსთაველის პოემა გამსჭვალულია მაღალი ზნეობრივი სტოიციზმისა და გმირული აქტივობის სულით. პოემის გმირები ადამიანური ბუნების ღირსი აქვდავენებენ.

•

როდესაც ჩვენ ვიხილავთ რუსთაველის პოემის სპეციფიკას, საჭიროა აღინიშნოს რუსთაველის პოემის ღრმა რეალიზმი. პოემაში წარმოდგენილი გმირები ნამდვილი ცოცხალი ადამიანებია. პოემაში მოცემულია რეალურ ადამიანურ ურთიერთობათა დრამა. რუსთაველის პოემის გმირებთან შედარებით საშუალო საუკუნეთა როგორც აღმოსავლეთის, ისე განსაკუთრებით დასავლეთის ლიტერატურის პერსონაჟები ერთგვარი სქემატურობისა და იკონოგრაფიული განყენებულობის ბეჭედს ატარებენ.

რუსთაველი დიდი მესაიდუმლეა ადამიანის სულისა. ბრძენი პოეტი შეუდარებელი ხელოვანია ადამიანის გრძნობათა გადმოცემისას.

პოეტი ერთგვარი უცდომელი ხელოვნებითა და უცდომელი გაგებით წარმოგვიდგენს სხვადასხვა სახეს, სხვადასხვა ტიპებს. პოემაში სრულყოფილი ხელოვნებით გაშლილია ტარიელის დიონისური ბუნება — მისი მღვდლარე სულით. ამის გვერდით ასეთივე მხატვრული სიმართლით მოცემულია აპოლონიური სახე ბრძენი აეთანდილისა, აღბეჭდილი ჰარმონიული მთლიანობით.

ამნიარადვე უნაკლო ხელოვნებით დახატულია უკვდავი სახეები ნესტან-დარეჯანისა და თინათინისა, რომლებიც „მარად-ქალური“-ს სხვადასხვა სახეს, სხვადასხვა სულიერ სამყაროს წარმოგვიდგენენ.

ამ ოთხი მთავარი გმირის გარეშე მოცემულია გალერეა პერსონაჟებისა, რომლებიც ასახული არიან მხატვრული სინამდვილითა და ადამიანის ბუნების ღრმა ცოდნით. ფრიდონ — დიადი სახე უებრო კეთილშობილი რაინდისა; როსტევეან — იდეალი საშუალო საუკუნეთა მონარქისა, „მაღალი, უხვი, მდაბალი“; ასმათ — განსახიერება მეგობრული ერთგულებისა და თავდადებისა, ერთ-ერთი უმშვენიერესი სახე მსოფლიო ლიტერატურაში; ფატმან, ვულგარული, მაგრამ ნათელი და კეთილი ერთსა და იმავე დროს, რომელიც იმდენად

ცოცხლად არის დახატული, რომ მისი ლანდი თითქოს დგება პოემის გვერდებთან; ფარსადან სიუჟეტური და სარიდან ვასალი; ვაზირი სოგრატი და მოყმე შერმადინ: ვაჰართ-უხუცესი უსენ, მებაღე უსენისა, რამაზ ხატავლი, მელიქ-სურხაი ზღვთა სამეფოდან, დავარ აღმზრდელი ნესტანისა, დარბაზის ხასი ჭანაგირი, კარისკაცები, მეომრები, მოქარავენი ვაჰრები, მეკობრეები, მონები, — ვაცოცხლებული არიან პოემაში ზოგჯერ თარიოდგ ხანმოკლეობით.

ეს მრავალფეროვნება სახეებისა, რაც ასეთი ღინამდვილითა და მხატვრული ჩაწვდომით არის მოცემული პოემაში, ამჟღავნებს რუსთაველის ხელოვნების სიღრმესა და სირთულეს.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ რუსთაველის რეალიზმზე, აქ საჭიროა აღინიშნოს აგრეთვე შემდეგი: რუსთაველის რეალისტური ხელოვნებისათვის სრულებით უცხოა ელემენტები ნაივეური ნატურალიზმისა, რაც საშუალო საუკუნეთა უსრულ ხელოვნებაში რეალისტური მანერის განუყრელი თანამგზავრი იყო. რუსთაველის ხელოვნება სავსებით დაცილებულია ნაივერ ნატურალიზმს.

რუსთაველის მხატვრობა — ეს არის ბრძნულად შეზომილი და ფაქიზად ორგანიზებული ხელოვნება. რუსთაველის რეალისტურ მანერას ახასიათებს ის, რასაც გოეთე უწოდებს ყოვლადობას *Algemeinheit*. ეს იყო პრინციპი ელინური ხელოვნებისა კლასიკურ ხანაში. რუსთაველის სახეები ინდივიდუალურია, მაგრამ ინდივიდუალურში ყოველთვის მონახულია ტიპიური; შემთხვევითი ხაზების იქით ყოველთვის გამოსკვირს მოვლენის ტიპიური სახე.

ამის გამოა, რომ რუსთაველის ტიპაჲი არაა მიჯაჭვული გარკვეულ დროსა და გარემოსთან, არამედ ზოგადკაცობრიული ყოვლადობის სიმალდემდე აღწევს. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ რუსთაველის გავლენა სცილდება იმ ეპოქასა და იმ წრეს, რომელმაც იგი წარმოშვა, და ეს გავლენა არ სუსტდება საუკუნეებთან ერთად.



აქ ორიოდგ სიტყვა რუსთაველის ფორმის შესახებაც:

რუსთაველის ხელოვნებაში პირველ რიგში აღსანიშნავია „შინაგანი ფორმა“ ვეფხისტყაოსნისა, სიუჟეტის არტიტული არქიტექტონიკა.

დრამატული გაშლა ამბისა და მდგომარეობათა შეპირისპირება მოცემულია იმ სახით, რომ მაქსიმალურად გამოვლინებულია ყოველი გმირის ბუნება. თითოეული სიტუაცია ახალ ასპექტში წარმოადგენს პოეტურ ნააზრევს. იშვიათად თუ რომელიმე მხატვარი ფლობდა სიუჟეტს ასეთი სისრულით. მოთხრობის ყოველი დეტალი განსაკუთრებული ოსტატობით არის შეწონილი ზოგად მხატვრულ მიზნებთან. პოეტი თავიდანვე მთლიანად იტაცებს მკითხველის ყურადღებას და ინტერესი შეუწულებლად იზრდება პოემის ფინალამდე.

შინაგან ფორმასთან — სიუჟეტის არქიტექტონიკასთან ერთად — გარეგანი ფორმა პოემისა, ე. ი. ლექსი, უდიდესი არტიტულობით არის აღბეჭდილი.

ცალკეა აღსანიშნავი მეტრული წყობა პოემისა. პოემა დაწერილია ორი ერთიმეორისაგან განსხვავებული მეტრით, ეგრეთ წოდებული „მაღალი შაირით“ და „დაბალი შაირით“. პირველი ამათგანი — „მაღალი შაირი“ მუსიკალურად „მეჟორის“ ინტონაციას ქმნის, მეორე — „დაბალი შაირი“ — მინორის მუსიკალურ წყობას განასახიერებს.

ამ ორი მეტრის — მაღალი და დაბალი შაირის არტიტული შეთავსებით რუსთაველმა ბრწყინვალედ გადაჭრა შემდეგი ფორმალური ამოცანა: მან დასძლია ის მონოტონურობა, რომელსაც ქმნის ერთი მეტრის ხმარება, რაც ჩვეულებრივია და ერთგვარ წესად არის ქცეული ეპიურ ნაწარმოებებში (ჰექსამეტრი ანტიკური პოეზიისა, ჰეროიკული ლექსი ფიროფისისა, ალექსანდრიული ლექსი ფრანგული კლასიკისა და სხვა).

რუსთაველის ეს ახალი არტიტული საშუალება — ორი მეტრის ხმარება ეპიურ ნაწარმოებში — მხატვრული თვალსაზრისით ერთგვარ საფრთხეს შეიცავდა: ამას შეეძლო მიეცა ნაწარმოებისათვის წმინდა ლირიულობის ელფერი და ერთგვარი ხელოვნურობის ბეჭედი დაესვა მისთვის.

მაგრამ ეს საფრთხე აცილებულია შოთას პოემაში იმით, რომ აქ აღებულია არა კონტრასტული რიტმული წყობა, არამედ მუსიკალურად შეხამებული თანაბარ-სილაბიანი საზომები: როგორც მაღალი შაირი, ისე დაბალი შაირი თექვსმეტმარცვლოვან მეტრს წარმოადგენს. ეს თანაბარ-სილაბიანობა ამ ორი მეტრისა, მაღალი და დაბალი შაირისა, უზრუნველყოფს ტალღისებურ გადასვლას ერთი მეტრიდან მეორეზე და აერთიანებს მათ ერთ მთლიან მუსიკალურს სისტემაში.

ამ ახალი მხატვრული საშუალებით, მაჟორული და მინორული რიტმების პარმონიული შენაცვლებით, შოთა განსაკუთრებულ მხატვრულ ეფექტს აღწევს. ლექსი ამით იძენს მხატვრული გამომეტყველების ახალს ძალას, მუსიკალური ინტონაციის მრავალფეროვნებას. რუსთაველის ლექსი ქდერს, როგორც რთული ორკესტრის მიერ შესრულებული სიმფონია.

შოთას ლექსის ფორმალური მხარეებიდან აქ საჭიროა შევჩერდეთ — რითმაზე და ალიტერაციაზე.

რითმა რუსთაველის ლექსის პოეტური მეტყველების უბრწყინვალესი ინსტრუმენტია.

რუსთაველი ნამდვილი ჯადოქარია რითმისა. პოემაში ჩვენ გვხვდება მხოლოდ მდიდარი, პოლიფონიური ორმარცვლიანი და სამმარცვლიანი რითმები, ამასთან თითოეული ტიპის რითმას გარკვეული მუსიკალური მნიშვნელობა აქვს: ორმარცვლიანი რითმა მიღებულია მაჟორის (მაღალი შაირის) მეტრისათვის. სამმარცვლიანი რითმა მინორის (დაბალი შაირის) მეტრისათვის.

მსოფლიო პოეზიაში ცოტაა ნაწარმოები, რომელიც შეედრებოდეს შოთას პოემას რითმების ზომიერდრითა და მუსიკალური გაწყობით. თვით დანტეს ღვთაებრივი კომედიის ტერცინების გართიმულობა ნაკლებ რთულია, ვიდრე რუსთაველის კატრენების რითმები. დანტეს ტერცინები მიწყობით სამ ერთნაირ რითმას მოითხოვს, ხოლო რუსთაველის კატრენი — ოთხ რითმას. დანტეს ტერცინები — იტალიური ენის ბუნებრივი ტონიზმის თანახმად — ორმარცვლოვან რითმაზე არის გაწყობილი, ხოლო რუსთაველის ლექსში ერთიმეორეს ენაცვლება ორმარცვლიანი და სამმარცვლიანი რითმა.

და მიუხედავად ამ განსაკუთრებული სირთულისა, რომელსაც წარმოადგენს ვეფხის-ტყაოსნის გართიმულობა, რუსთაველი თითქოს უბრალო ხელშეხებით სძლევს ამ სიძნელეს. რუსთაველი ნამდვილი ჯადოქარია სიტყვისა. რუსთაველის რითმა სინონიმია უმაღლესი პარმონიისა და არტიტულობისა.

ამასთან რუსთაველის რითმას არ ამჩნევია ხელოვნურობის ბეჭედი, რუსთაველის რითმა ყოველთვის ორგანულად იბადება სტრიქონიდან.

რუსთაველი ავრთვე შეუდარებელი ოსტატია ალიტერაციისა.

რუსთაველის პოემაში სხვადასხვა ტიპის ალიტერაცია გვხვდება. განსაკუთრებით ტიპურია სილაბურ-ტონური ალიტერაცია, როდესაც თანხმოვანის ხმაური ეყრდნობა ხმოვანსა და მახვილს. ამით ალიტერაციის მუსიკალური ელერა ერთიორად მატულობს. ასე, მაგ., ალიტერაცია თანხმოვნისა შ და ხმოვნისა ე, მახვილზე დაყრდნობით.

„ღღნი შეშლით შეეკენს, ბალი ზღმა შე-რა-შენდა“.

ასევე მუსიკალური ეფფონიის უმაღლეს სახეობად უნდა ჩაითვალოს რთული ტიპი ალიტერაციისა, რომელიც ვეფხის-ტყაოსანს გარდა იშვიათად თუ გვხვდება პოეზიაში და რომელსაც შესაძლოა ვუწოდოთ ვერბალური ალიტერაცია და ალიტერაცია სახეებისა, როგორც მაგალითად:

„შე აღარ მწეობს ჩვენთანა, დარი არ დარიბს დარულად“

ანდა:

„ხად წაიყვან ხადურხა, ხად აღუფხვი ხადით ძირსა“.

რუსთაველი უდიდესი ოსტატია პოეტური მეტაფორისა. პოეტი იყენებს მეტაფორათა მთელ პალიტრას, დაწყებული მარტივი შედარებიდან, და დასრულებული ურთულესი ფილოსოფიური პარალელიზმით.

რუსთაველის აფორიზმებში აღბეჭდილია შეუდარებელი პოეტური გამომეტყველებითა და ლაკონური სიმკვეთრით ბრძენი პოეტის ნააზრევი. რუსთაველის აფორიზმები შევიდა ხალხური სიტყვიერების საუნჯეში და ბრძენი პოეტის სენტენციებს დღემდის იმეორებს ხალხი ანდაზების სახით.

ასეთია ვეფხის-ტყაოსნის პოეტური მეტყველების ცალკეული, დამახასიათებელი ელემენტები.

მიუხედავად რთული ორკესტრიურობისა, რომელსაც წარმოგვიდგენს რუსთაველის ლექსი, რუსთაველის პოეტური სტილი კეთილშობილი, დიადი უბრალოებით არის აღბეჭდილი. კონტურები, რუსთაველის კალმით მოხაზული, ნათელია და გამჭვირვალე, პოეტური ენა — დინამიური და მკვეთრი, სახეები ცოცხალია და პლასტიკური.

ასეთია საფუძვლები რუსთაველის დიდი ხელოვნებისა.

რუსთაველის გენია პარმონიულია. მისი მაღალი და კეთილშობილი ხელოვნება უზადოა. „უცდომელი ხელოვანი“ გინდათ უწოდოთ რუსთაველს.

ხოლო რუსთაველის შემოქმედების სიდიადე, წარუვალი მნიშვნელობა რუსთაველის პოეზიისა იმაში მდგომარეობს, რომ დიდი ხელოვნება პოეტისა ემსახურება ადამიანის დიად იდეალებს.

ქარი მხუთე

საპარტველო XII — XIII საუკუნეთა

კულტურული და ლიტერატურული ურთიერთკავშირი
აღმოსავლეთ ევროპის მსოფლიოსთან

(საბერძნეთი, ტრაპიზონის ქართულ-ბერძნული სამეფო,
კიევის რუსეთი)

I

საპარტველო XII — XIII საუკუნეთა

რუსთაველის ეპოქის მიმოხილვის დასასრულს ჩვენი საუბრის საგანი იქნება საქართველოს და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კულტურული და ლიტერატურული ურთიერთკავშირი აღრეული რენესანსის ხანაში.

წინასწარ აქ მოგვიხდება შევჩერდეთ საქართველოს ზოგად-კავკასიური სახელმწიფოს ისტორიის საკითხებზე.

•

საქართველოს ზოგად-კავკასიური სახელმწიფო, როგორც ამის შესახებ დაწვრილებით გვქონდა საუბარი პირველ კარში, ჩამოყალიბდა XII საუკუნის პირველ მეოთხედში დავით აღმაშენებლის დროს. ეს არის ხანა რენესანსის განთიადისა საქართველოში, რომლის ერთ-ერთი პირველი დიდი მანათობელი კერა იყო გელათის აკადემია — „ახალი ათინა“, დაარსებული დავითის მიერ XII საუკუნის დასაწყისში.

საქართველოს ზოგად-კავკასიურმა სახელმწიფომ დიდი ევოლუცია განიცადა და განმტკიცდა XII საუკუნის მანძილზე, ამასთან ახალი პოლიტიკური შინაარსი მიიღო. უდიდესი მონაპოვარი აღრეული რენესანსის ხანისა საქართველოში XII საუკუნეში ის იყო, რომ საქართველოს ზოგად-კავკასიური სახელმწიფო თამარის ეპოქაში იქცა კავკასიის ხალხთა ნამდვილ თანამეგობრობად. ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ თამარის ეპოქის ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოძღვარი, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს ძირითად პოლიტიკურ დოქტრინას გამოხატავს, აღნიშნავს, რომ არა მხოლოდ სა-

ქართველოს უნიტარული სახელმწიფო, რომელშიაც გაერთიანებული იყო საქართველოსთან ერთად ჩრდილოეთი სომხეთი (არაქსის ამიერი) და კავკასიის აზერბაიჯანი, ისტორიული კავკასიის ალვანეთი (შირვანის ავტონომიური სამეფო და სამხრეთ-ალვანეთის მხარე), არამედ ამასთან ერთად საქართველოს სახელმწიფოს პროტექტორატები, მათ შორის შიდა-პროტექტორატი ქართულ-ბერძნული ტრაპიზონის სამეფო და პროტექტორატები ჩრდილოეთ კავკასიისა, რომელნიც საქართველოს სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ, ე. ი. სრულიად კავკასია, ისტორიკოსის სიტყვით „თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ (საქართველოს მიერ) იყვნეს და მტერთაგან უზრუნველობასა“.

აქ ჩვენ მოვიხსენებთ ერთ ძეგლს, საგალობელს, რომელიც თამარის ეპოქას ეკუთვნის, და რომელიც, როგორც ირკვევა, არის გამოძახილი საქართველოს სახელმწიფოს ჰიმნისა.

ამ საგალობელში, რომელსაც ეწოდება „სიონით, რომელ არს სამსტროამ“ („სამსტროამ“ = სამეთვალყურო) *, მოხაზულია საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია, და აქ საქართველოს ამალეების წყაროდ აღიარებულია არა ძალა, არამედ „სწავლა, სჯულთა ძალი და მადლთა მუშაკობა“.

მოგვყავს ტექსტი ამ საგალობელისა (ფინალი, VIII გალობა):

„ვითარ სამსტროამ უდაბნოს,
ვითარ ქსელი მთასა ზედა და ნიში — ბორცვსა,
და მწიფე მარცვალი მჭახსა მტევანსა შინა,
პპოვეთ თქვენ ვრი ქართველთაჲ,
რომელი ზღვადმდე (დარუბანდისა) და მდინარედ (რახსისა)
განავრცეთ დიდებითა,
დაფარვად მთათა (კავკასთა),
უმადლეს ყოფად ნაძვთა მათ ღმრთისათა,
რადცა არიან:
სწავლითა, სჯულთა ძალთა და მადლთა მუშაკობითა“.

•

ჩვენ აქ მოგვიხსენებთ გავეცნოთ, ზოგადად, მთავარ ასპექტებში თამარის მოღვაწეობას, რადგან ეს ჩვენ მოგვცემს საშუალებას სწორად ამოვხსნათ უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობები საქართველოს შესახებ, რომლებიც მოიპოვება საშუალო საუკუნეთა უცხოურ წყაროებში.

საქართველოს ადრეული რენესანსის ხანაში თამარი იყო დიდი პოლიტიკური ლიდერი საქართველოსი და კავკასიისა, რომელმაც უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვა როგორც საქართველოში და კავკასიაში, ისე კავკასიის გარეთ.

თამარმა არა მხოლოდ დაუსახა თავის ქვეყანას საგნად „სწავლა, სჯულთა

* „მსტოვარი“ — მეთვალყურე, „სამსტროამ“ — სამეთვალყურო.

ძალი და მადლთა მუშაკობა“, არამედ თვით იყო ერთ-ერთი განმანათლებელი ქვეყნისა.

თამარს უგანათლებულესი აღძვირნი ეპოქისა. თამარის განთქმული იამბიკო ხუთეული „ცასა ცათასა“, აგრეთვე იამბიკონნი „მზის შარაენდნი“ ამშვენებენ XII — XIII საუკუნეთა ქართულ პოეზიას.

„ცასა ცათასა“, რომელიც შეტანილია ქართულ მატრიანებში, თამარმა დაწერა აღსანიშნავად დიდი ეროვნული ზემისა. ხოლო თამარის მთელი ცხოვრება მხოლოდ სახელმწიფო მოღვაწეობისადმი იყო მიძღვნილი.

თამარი გარდაიცვალა ახალგაზრდა, 43 წლისა. თანამედროვე ქართველი ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოდვარი წერს, 'ომ ქალის ბუნებამ ვერ აიტანა ის განუწყვეტელი შრომა, რომელსაც თამარი ქვეყნის საქმეთა კეთილად განგებისათვის ეწეოდა. თანამედროვე ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ თამარი ერთხანს მალავდა თავის ავადმყოფობას, რათა არავინ შეეწუხებია. ხოლო გვიან, როდესაც იგი დაუძლურდა და ნახევარი წლის მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უკვე აჩრდილად იყო ქცეული, მან მოუწოდა თავის თანამოღვაწეთ, და როგორც ისტორიკოსი ამბობს— „განიტკიცა თავი თვისი და მხნედ მკლამარე“ გამოეთხოვა მათ. უკანასკნელი სიტყვები თამარისა, ისტორიკოსის უწყებით, ეხებოდა ისევ საქართველოს ქვეყანას („სამეფო ესე“) და ქართველ ხალხს („ერი ესე“).

თამარის მეფობის დროს საქართველომ მრავალი ომი გადაიხადა. მაგრამ ეს იყო საქართველოს და კავკასიის ხალხთა თავდაცვითი ომები. კავკასიის ყველა ხალხი, განურჩევლად სარწმუნოებისა, ქრისტიანების გვერდით მუსულმანები, ერთად იბრძოდნენ, რათა ჰქონოდათ, როგორც ისტორიკოსი ამბობს, „თავისუფლებითი ცხოვრება“.

ხოლო რამდენადაც კი ეს შესაძლებელი იყო, თამარი იღვწოდა ომის აცილებისათვის როგორც საქართველოსა და კავკასიაში, ასევე საქართველო-კავკასიის მეზობელ ქვეყნებში.

თანამედროვე ქართველი ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოდვარი გადმოგვცემს:

„არა შინებითა უთქმიდა მეზობელთა, არამედ უფროსლა სცვიდა მაშინებელთაგან...“

„ბჭედ ჯდა შორის თავისა თვისისა და მეზობელთა მეფეთა არა მიშეებად ბრძოლისა, არცა გარდადებად უღელსა მძლავრობისასა ურთიერთას, და სახედ თავსა თვისსა მისცემდა და ამისათვის მათ ზედა მეორე სოლომონ იქმნა მეფეთა შორის“.

ამას წერს თამარის თანამედროვე ქართველი ისტორიკოსი.

როგორც შემდეგ დავინახავთ, ესევეა დამოწმებული უცხოურ წყაროებში.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან ისიც, რომ საქართველოს სახელმწიფომ იკისრა მფარველობა ქრისტიანული მოსახლეობისა კავკასიის მეზობელ მუსულმანურ სამფლობელოებში, სადაც ადგილობრივი ქრისტიანები (სომეხები, სირიელები, მცირე აზიელი ბერძნები) დიდ შევიწროებას და დისკრიმინაციას განიცდიდნენ, იხდიდნენ საგანგებო ხარკსა და სხვ. თამარის ეპოქის იგივე თანამედროვე ქართველი ისტორიკოსი ბასილი წერს თამარის სახელმწიფო ღონისძიებათა შესახებ: „არა ოდენ თვისსა სამეფოსა (საქართველოსა) იყო კეთილიანობა, არამედ ყოველთა ქრისტიანეთათვის; და რომელნი მძლავრობდეს

ქრისტიანეთა, ყოველთა მიუმცნო, რათა აზატად (თავისუფლად) იყვნენ: და დამორჩილდნენ შიშითა და სიყვარულითა მისითა“.

ამასვე ადასტურებენ აგრეთვე თანამედროვე სომეხთა ისტორიკოსები. ასე, კირაკოს განაჯელი გადმოგვცემს, რომ კავკასიის სამხრეთით მდებარე შაჰ-არმენთა მულმანურ სასულტნოში, მას შემდეგ, რაც საქართველოსთან ხელშეკრულება დაიდო, ქრისტიანული სომხური მოსახლეობის მდგომარეობა დიდად გაუმჯობესდა, საგანგებო ხარკები შემცირდა და სხვ.

სომეხთა მეორე ისტორიკოსი ვარდან დიდი ასევე წერს: „მეფის თამარის ეამს ქრისტიანენი გაძლიერდნენ“.

•

მაუწყებელი დიდი ჰუმანიზმისა, რომლითაც ხასიათდებოდა ადრეული რენესანსის ხანა საქართველოში თამარის დროს არის შემდეგი ისტორიული ფაქტები.

ჯერ ერთი, თამარმა საქართველოში აღკვეთა ბარბაროსული სასჯელები, რომლებიც მიღებული იყო ყველგან საშუალო საუკუნეებში, როგორც დაბრმავება და ასოთა მოკვეთა (ხელისა და სხვ.). ასოთა მოკვეთა ზოგჯერ იეზუიტურ სახეს ღებულბდა. ასე, მაგალითად, ბიზანტიაში საეკლესიო მწერალს მაქსიმე აღნაარებელს, რომელსაც მართლმადიდებლური სარწმუნოებიდან გადახრას სწამებდნენ, მოჰკვეთეს ენა, რათა ქადაგება არ შესძლებოდა, მოჰკვეთეს მარჯვენა, რათა არ შესძლებოდა წერა, შემდეგ კი გადაასახლეს სამშობლოდან.

ხოლო თამარმა არათუ საყოველთაოდ მოსპო ეს ბარბაროსული სასჯელები — დაბრმავება და ასოთ მოკვეთა, არამედ თამარმა ფაქტიურად აღკვეთა თვით სიკვდილით დასჯა, სიკვდილით დასჯა დარჩა მხოლოდ გაუსწორებელ მკვლელთათვის (რომელთაც დაარღვიეს მცნება „არა კაც კლა“; მკვლელობა ჩაიღინეს, ისიც თავდასხმის და არა თავდაცვის დროს).

როდესაც სასამართლოს განაჩენით ვინმე სიკვდილით, ანდა ასოთ მოკვეთა, ან დაბრმავებით უნდა დასჯილიყო, განაჩენის აღსრულებისათვის საჭირო იყო თამარის დამტკიცება. ხოლო თამარი, როგორც შეუცვლელი წესი, ასეთ განაჩენებს არ ამტკიცებდა და ამ გზით ყველა ამგვარი სასჯელები გააუქმა და მოსპო. კერძოდ, პოლიტიკური დანაშაულისათვის სასჯელი იყო ან ციხე ან ექსორია (საქართველოს საზღვრებიდან გაძევება).

როგორც ყველა ისტორიკოსები ერთხმად ადასტურებენ, ამ წესებიდან თამარის მთელი მეფობის მანძილზე არ ყოფილა არავითარი გამონაკლისი, გარდა ერთი შემთხვევისა: გუზან ტაოსკარელი, ქვეყნის მოღალატე შეიპყრეს და სამსჯავროს განაჩენის თანახმად იგი დააბრმავეს, ისე, რომ ამის შესახებ არ აცნობეს თამარს, იცოდნენ რა რომ თამარ ამის ნებას არ დართავდა.

ეს ფაქტი აღნიშნული აქვს თამარის ეპოქის ყველა ისტორიკოსს. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე აღნიშნავს, რომ თამარის დროს „სამეფოსა შინა ერთიცა მსახური არ გაპატიებულა (არ დასჯილა), თვინიერ (გარდა) გუზან ტაოსკარელისა“.

ასევე, თამარის თანამედროვე ისტორიკოსი — „ისტორია-აზმანთა“ ავტორი წერს: „თამარისა მოწყალებისათვის კმა გეყავნ, დადიანი ვარდან, გუზან (ტაოსკარელი), რომელი თვალმრუმე ოდენ ყვეს (დააბრმავეს), ბოცო ბოცოსძე და

ამათნი მიმდგომნი, რომელნი ჩანან შეწყალებულნი“ (ყველანი შეწყალებულ იქნაო, გარდა გუზან ტაოსკარელისა).

თამარის ეპოქის მესამე ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოდვეარი ამასვე წერს რომ თამარის მეფობის დროს „არცა ვის ღირსსა სიკვდილისასა და არცა პატივისასა მიეხადა თანანადები, არცა ვინ ბრძანებითა მისითა ასო-მოკვეთილ იქნა და არცა სიბრმითა დაისაჯა, თვინიერ (გარდა) გუზან (ტაოსკარელისა), ღირსისა სიკვდილისა“.

გარდა იმისა, რომ თამარმა ფაქტიურად გააუქმა სიკვდილით დასჯა და აღკვეთა ბარბაროსული სასჯელები, ამავე დროს თამარმა აკრძალა გლეხთა და მონათა მათრახის დაკვრა.

თამარის პირველი ისტორიკოსი („ისტორია-აზმანთა“ ავტორი), რომელმაც თავისი მატთანე დაასრულა მე-12 წელს თამარის მეფობისა, წერს: „მისსა განგებასა თორმეტსა წელიწადსა შინა არცა ტაჯვანავი (მათრახი) უბრძანა ვის სადმე კრვად, კიდე მქონებელი ყოელისა მესისხლეობისა, მბნელობობისა და ასოთა მოღებისა“; ისტორიკოსი ამასთან უმატებს: „არავის უხილავს თვინიერ ამისსა (თამარისა) კაცისა უენებლობასა შინა უენებლად და მშვიდობით დაჰირვა ქვეყნისა“.

აღვნიშნავთ ამასთან, რომ გიორგი-ლაშას დროინდელი ისტორიკოსი ამასვე წერს გიორგი-ლაშას შესახებ: „შვიდთა სამეფოთა მეფე მონისაცა ერთისა მათრახისა არა მკერელი“.

იგივე შემატთანე ამბობს ლაშა-გიორგის შესახებ:

„მოყვარული ყოველთა კაცთა დიდთა და მცირეთა“; „ბედნიერი ქვეყნისა ნაყოფთა მოსლეისათვის“.

ამასვე ამბობს რუსთაველი:

„ყოფლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს...“
„დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგწყინების...“

თამარის ეპოქაში, თამარის და ლაშას დროს ჩვენ ვხედავთ დიდ მზრუნველობას ქვეყნის ეკონომიკური აღორძინებისათვის. ამ დროს ჩატარებულ იქნა დიდი საირიგაციო სამუშაოები. ამავე დროს მოშენდა და ახლად იქნა დასახლებული ძველი მოოხრებული სანაპირო პროვინციები. გლეხთა მდგომარეობა გაუმჯობესდა.

ლაშა-გიორგის დროინდელი შემატთანე, აღნიშნავს რა საქართველოს კეთილდღეობას თამარის მეფობის ხანაში, წერს: „და იყო მდიდრად ესე სამეფო, რომელ აზნაურისა ყმანი მათთა პატრონთა სწორად იმოსებოდეს“.

თამარის პირველი ისტორიკოსი, რომელმაც თავისი შრომა დაამთავრა თამარის მეფობის მეორემეტე წელს (1196 წ.), გადმოგვცემს თამარის მეფობის შესახებ:

„გააზნაურდეს ქვეყნის-მოქმედნი (გლეხნი) და გადიდებულდეს აზნაურნი... მეფობასა შინა ამისა (თამარისა), რომელი ჩანს დაწერასა შინა ამისსა ათერთმეტთა მოქცევთა ჟამთა თამარ სამგზის სანატრელისათა*, რომელმან სიმშვიდითა და ვითიანითა, სიბრძნითა სოლომონიანითა, სიმხნითა

* ე. ი. თამარის მეფობის ათერთმეტი წლის დამთავრების შემდეგ, მეორემეტე წლის დასაწყისში.

და საურავთა დღესისთა ზვალისად არა მიგდებითა ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ი ა ნ ი თ ა,
— იპყრნა ზღვით პონტოსით (შავი ზღვითგან) ზღვამდე გურგანისად (— კას-
პიისა,) და სპერიტგან დარუბანდამდის, და ყოვლისა კავკასიისა იმერელნი და
აპერელნი ზაზარეთამდის და სკვითამდის“.

ჩვენ აქ მივაქცევთ მეითხველის ყურადღებას, რომ ქართველი ისტორიკოსი
აქ აღარებს თამარს ალექსანდრე მაკედონელს (რომელიც სახელმწიფოებრივი
სიბრძნით იდეალად ითვლებოდა ანტიკურ ხანაში და საშუალო საუკუნეებში)
— „სიმხნითა და საურავთა დღესისთა ზვალისად არა მიგდებითა“; რის შედეგად
თამარმა გააერთიანა თავისი სამართლიანი და ბრძნული მმართველობის ქვეშ
სრულიადი კავკასია.

ჩვენ შემდეგ ვნახავთ, ალექსანდრეს აღარებს თამარს არა მხოლოდ XII სა-
უკუნის ქართველი ისტორიკოსი, არამედ ამავე ეპოქის უცხოელი ავტორი,
რომელიც აღნიშნავს იმავე ღირსებებს, სიმხნესთან ერთად განუწყვეტელ შრო-
მას ქვეყნისათვის.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ აგრეთვე „წვრილი ერისათვის“, ხალხისათვის,
მზრუნველობის სხვა ფაქტებიც.

საისტორიო წყაროებში აღნიშნულია, რომ თამარის ეპოქაში ღარიბ-გლა-
ხაკათვის, შეუძლოთათვის ზრუნავდა სახელმწიფო. წყაროებში ამის შესახებ
ჩვენ ვკითხულობთ:

„ყოვლისა სამეფოსა მისისა შემოსავალნი, რაცა იყო შინათ თუ გარეთ,
ყოვლისა ნათათი გლახაკთა მიეცემოდა დაუკლებელად ერთისა ქრთილისა
მარცვლამდეცა“.

რათა დახმარება წესიერად ყოფილიყო განაწილებული, თამარს დანიშნუ-
ლი ჰყავდა საქართველოს ყველა მხარეებში განსაკუთრებული მოხელეები:
„განეჩინნეს ხარჭმუნონი მოხელენი“.

თამარს მიეწერება სიტყვები: „მე ვარ მამა ობოლთა და მსაჯული ქვრივთა“.
თანაჲდროვე ისტორიკოსი ამას უმატებს: „აცხოვრებდა ერს თვისსა სიბ-
რძნისა წინაჲდომითა და სიმართლითა“.

ყოველივე რაც აქ ითქვა, იგივეა, რასაც ამბობს რუსთაველი თამარის შე-
სახებ:

„ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მათოვდეს,
ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს.

ქართველთა დ მ რ თ ი ს ა თამარის, ვის მზე მსახურებს
მარტლად (ე. ი. ზოდიაკოდ)
ესე ამბავნი გავლქსენ მე მათად საქებარებლად“.

შოთა უწოდებს თამარს ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა ლმერთს.
ქართველმა ხალხმა მას უწოდა ქართლის დედა.
საჭიროა ისიც აღვნიშნოთ, რომ თამარ, თავისი აღამიანური სათნოებისათ-
ვის და თავდადებული ღვაწლისათვის ქვეყნის წინაშე, გარდაცვალების შემ-
დეგ, მაშინვე (XIII საუკუნის დასაწყისში) წმინდანად იქნა აღიარებული.

საქართველოს ისტორიის მანძილზე წმინდანად იყვნენ აღიარებული ქალთა
შორის — სამი: ნინო (IV ს.), თამარ (XIII ს.) ქეთევან წამებული (XVII ს.).
ამ სამებას უმღერის არა მხოლოდ ძველი, არამედ ახალი ქართული პოე-
ზია: აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ილია ქავკაძე.

როგორც ვნახეთ, ისინი უმღერიან იმავე მნათობებს, რომელსაც უმღეროდა რუსთაველი, ხალხი.

ჩვენ ამით ვამთავრებთ საუბარს თამარის ეპოქის საქართველოზე და თამარის მოღვაწეობაზე.

ყოველივე რაც ითქვა, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ საქართველო თამარის ეპოქისა, ეს იყო რაღაც უტოპიური ქვეყანა, სადაც განხორციელდა ყველა ჰუმანისტური იდეალები, არამედ მხოლოდ იმას, რომ საშუალო საუკუნეთა პირობებში, როდესაც პირველად ამოაშუქა რენესანსის განთიადმა, საქართველო აღრეული რენესანსის ხანისა, თამარის და რუსთაველის ეპოქისა, ეს იყო მოწინავე ქვეყანა აღმოსავლეთ-ევროპის რეგიონისა, რომლის ფარგლებშიაც გაერთიანებული იყო საქართველო და კავკასია, რომელმაც, თამარის ეპოქის ისტორიკოსის სიტყვებით, საქართველოს მიერ მიიღო „თავისუფლებითი ცხოვრება და მტერთაგან უზრუნველობა“.

ამავე დროს ეს არის ის სამყარო, რომელიც წარმოდგენილია ვეფხისტყაოსანში; ამის გამოა, რომ პოემა შთაგონებულია დიდი ჰუმანისტური იდეალებით, პირველ რიგში ხალხთა მეგობრობის სულით.

შოთას პოემა ეხმაურება ეპოქას.

კერძოდ, შოთას პოემაში ასახული მეგობრობა სამი ქვეყნის წარმომადგენელთა — ტარიელისა, ავთანდილისა და ფრიდონისა არის სრული ანალოგი თამარის ეპოქის კავკასიის ხალხთა მეგობრობისა.

შოთა ასე ამთავრებს თავის პოემას სამი ხალხის მეთაურთა (ტარიელის, ავთანდილის და ფრიდონის) ურყევი მეგობრობის უწყებით (იხ. პოემის უკანასკნელი ორი დამამთავრებელი სტროფი):

მათ სამთავგ ხელმწიფეთა საწადელნი გაუსრულდეს,
მოიმატეს სამეფონი, გახელმწიფდეს, გამორკმულდეს.

ყოვლთა სწორად წყალობათა ვითა თოვლსა მოათოდეს,
ობოლ-კერივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს,
აჟთა მქმნელნი დაამინნეს, კრავნი ცხვართა ვერ უწოვდეს,
მიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთგან სძოვდეს.

მიმოხილვის დასასრულს მოგვყავს უწყება თამარის თანამედროვე ისტორიკოსის ბასილი ეზოსმოძღვრისა, თუ როგორი განუზომელი მწუხარებით შეხვდა თამარის გარდაცვალებას მთელი საქართველო და როგორი გამოხმაურება ჰქონდა თამარის ღვაწლს უცხოეთში.

„იცვალა ფერი ქართველთა მხიარულებისა, რამეთუ განბიცნეს (დალუმდეს) ბაგენი მათნი, რომელთა პირსა შინა პირველ სხვა არარა მოაქვნდა, ვითარ თამარ. რამეთუ სახლთა ზედა აკროსტიხურად თამარის შესხმათა დასწერდეს, ბეჰედთა ზედა და არგანთა შეამკობდეს და ზედა თამარის ქებასა დასწერდეს. და ყოველთა პირნი ერთბამად მზა იყვნეს, რათა ღირსი რამე თამარის საქებლობის სიტყვა აღმოთქვან. მემროწლენი (მწყემსნი), ყრმანი განპებასა შინა ორნატასა (ხვნის დროს), თამარის ქებასა მელეჟსებოდიან; ერასყს მყოფნი მე-

ებნენი. ვინა ვეჩანგენი თამარის შესხმათა მუსიკელობდიან; ფრანგნი და ბერძენნი, ზღვასა შინა მენავენი ნიავეკეთილობასა შინა თამარის ქებასა იტყობიან.

ესრეთ ყოველი სოფელი საესე იყო მის მიერთთა ქებითა, და ყოველი ენა აღიღებდა, რომელსაცა ოდენ სახელი მისი ასმიოდეს.

ხოლო საქმეთა მისთათვის რაღდა სახმარ არს თქმად, რამეთუ კიდით კიდემდე განისმნეს, ვითარცა თვით მოწამე არს ყოველი ჩვენ მიერ ხილული, სიტყვისაებრ ბრძნისა“.

•

ვადავდივართ განხილვაზე იმ უაღრესად მნიშვნელოვან ცნობათა, რომელსაც გადმოგვცემს თამარის თანამედროვე თვითმხილველი ისტორიკოსი ბასილი ეზონსმოდვარი, საიდანაც ვგებულობთ, თუ რა დიდი გამოხმაურება ჰქონდა უცხოეთში თამარის მოღვაწეობას, თუ რა დიდი აღიარება ჰქონდა საქართველოს, როგორც მოწინავე ქვეყანას აღმოსავლეთ ევროპისა.

პირველ რიგში ჩვენ შევჩერდებით ერთ უაღრესად მნიშვნელოვან ლიტერატურულ ძეგლზე საშუალო საუკუნეთა, რომლის პირველდენი დაწერილი ყოფილა XIII საუკუნეში ბერძნულ ენაზე, ხოლო შემდეგ, როგორც ირკვევა, იმავე XIII საუკუნეში უთარგმნიათ რუსულ ენაზე. ბერძნული პირველდენი არ მოღწეულა, ყოველ შემთხვევაში ჭერჭერობით აღმოჩენილი არ არის; რაც შეეხება რუსულ თარგმანს, მისი მრავალი დენდებია მოღწეული და როგორც დატურდება, იგი დიდი პოპულარობით სარგებლობდა რუსეთში საუკუნეთა მანძილზე.

ეს ლიტერატურული ძეგლი წარმოადგენს მხატვრულ ნაწარმოებს — პოემას; ბერძნულ ენაზე იგი ლექსად ყოფილა დაწერილი, ხოლო რუსულად იგი გადმოკლებულია პროზად.

პოემა ეხება საქართველოს (ივერიას) და ივერიის დედოფლის თამარის მოღვაწეობას; მას ეწოდება:

„საქვირველი თქმულება და სასარგებლო თხრობა

დინარ (თამარ) დედოფლისა,

ივერიის ხელმწიფისა...“*

ეს ლიტერატურული ძეგლი შინაარსის მიხედვით ექვს თავად განიყოფება: I. დინარის (თამარის) გამეფება ივერიაში. მეფობის პირველი წლები.

II. ივერიისა და სპარსეთის ურთიერთობა დინარის გამეფების შემდეგ.

III. სპარსეთის შემოტევა ივერიაზე. დინარის გამამხნევებელი სიტყვა ივერიის დიდებულთა წინაშე.

IV. ივერიის ჭარის საოპრად მომზადება და გალაშქრება. დინარის ლოცვა ივერიისათვის ვარძიის ლეთისმშობლის ტაძარში.

* აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ თბრობის ტექსტი, მთლიანად აღებული, არ ტოვებს არავითარ ეჭვს, რომ „დინარ დედოფალი, ივერიის ხელმწიფე“ არის დიდი თამარ დედოფალი, ივერიის (საქართველოს) ხელმწიფე. როგორც ცნობილია, შეცვლა უცხოური სახელების ძველ-რუსულში (სლავურში, ასევე ბერძნულშიც) ახლო მდგომი ფონეტიკური ვარიანტით (როგორცაა თამარ-დინარ) ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა.

V. ომი. ივერიელთა გამარჯვება.

VI. ივერიის აღზევება დინარ დედოფლის დროს.

მოთხრობა სრულდება შემდეგი თხრობით ივერიის აღზევების შესახებ დინარ დედოფლის დროს:

„იწყო თავისი ქვეყნის მართვა წყნარად და მშვიდად. სპარსელებსაგან სიკვდილამდე ხარკს იღებდა. იმ დროიდან (სპარსთა ზედა გამარჯვების შემდეგ) ვერაფერს ბედავდა მასზე გამოლაშქრებას მეზობელ ქვეყნებიდან და ლეთისმშობლის მფარველობის ქვეშ არის*. დღემდე ივერიის სახელმწიფო განუყოფელია. ხოლო (მეფენი) არიან ებრაელთა მეფის დავითის ნათესაობიდან (დავითიან ბაგრატიონი)“.

ეს ლიტერატურული ძეგლი — „თხრობა დინარ (თამარ) დედოფლის, ივერიის ხელმწიფისა“ ას ოცდაათი წელია მეცნიერული შესწავლის საგანია მთელ რიგ გამოჩენილ რუს და ქართველ მეცნიერთა.

აქ საჭიროა თავდაპირველად აღენიშნოთ შემდეგი. ვინაიდან ამ ნაწარმოების ბერძნული პირველდენი არ მოღწეულა, მეცნიერები ფიქრობდნენ, რომ თხრობა დინარ (თამარ) დედოფლის შესახებ ორიგინალური რუსული თხზულებაა; ამასთან თარიღს ამ თხზულებისა უფრო გვიან ხანაში ვარაუდობდნენ, რა დროიდანაც მოღწეულა რუსული ხელნაწერები.

საკითხს შუქი მოეფინა გამოჩენილი რუსი მეცნიერის აკად. ა. სობოლევსკის შრომებით (1897—1926 წწ.).

აკად. ა. სობოლევსკიმ დაადგინა, რომ თხრობა დინარის (თამარის) შესახებ არაა ორიგინალური რუსული თხზულება, არამედ თარგმნილია ბერძნულიდან, ამასთან ბერძნული ორიგინალი ლექსად იყო დაწერილი, წარმოადგენდა პოემას (რუსული თარგმანის ცალკეულ ადგილებს შერჩენილი აქვს რიტმიზებული სტრუქტურა, რომელთა მიხედვით დადგენილია ბერძნული ორიგინალის მეტრი — 8-ტერფიანი იამბი, რომელიც მიღებულია ამ ეპოქის ბერძნულ პოეზიაში).

ამ ბერძნულ პოემას ა. სობოლევსკი თამარის გარდაცვალების (1212 წ.) ახლო დროს მიაკუთვნებს, ხოლო მის რუსულ თარგმანს შესრულებულად თვლის იმავე XIII საუკუნის მეორე მეოთხედში. მონგოლების დამკვიდრებამდე რუსეთში (ამას მეცნიერი ძეგლის ენობრივი მხარის ანალიზის საფუძველზე განსაზღვრავს).

ა. სობოლევსკის გამოკვლევების დებულებანი გაიზიარეს დიდმა ქართველმა მეცნიერებმა — ივ. ჯავახიშვილმა, ს. ჯანაშიამ და ნ. ბერძენიშვილმა. ამ მეცნიერთა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში, რომელიც 1948 წელს გამოქვეყნდა, გადმოცემულია, რომ თამარის ეპოქაში საბერძნეთში დაიწერა დიდი პოემა ლექსად, რომელიც ხობტას ასხაჰს თამარ მეფესა და საქართველოს და რომ შემდეგ ეს პოემა ბერძნულიდან რუსულად ითარგმნა და დიდი პოპულარობით სარგებლობდა რუსეთში.

* როგორც ცნობილია, ძველ-ქართული მესიანისტური გადმოცემის თანახმად (რასაც უცხოეთშიაც ჰქონდა გავრცელება) საქართველო ითვლებოდა ლეთისმშობლის წილბდობილად, რჩეულ ქვეყნად.

აქ საქიროა აღენიშნოთ ამასთან, რომ აკად. ა. სობოლევსკიმ სწორად მიაგნო და დააზუსტა, თუ რომელ ბერძნულ მხარეში წარმოიშვა თხრობა დინარ (თამარ) დედოფლის, ივერიის ხელმწიფის შესახებ. იგი წერს:

«Мы имеем в повести о Динаре одно из произведений трапезундо-греческой литературы, пришедшие на Русь через Корсунь, который во времена латинской империи в Константинополе входил в состав трапезундского царства. Думаю, что она пришла на Русь не одна (ср. повесть о Дигенисе, также о Вавилонском царстве, где действует обещание, т. е. грузин)»¹.

ჩვენ უკვე გვქონდა დაწვრილებითი საუბარი იმის შესახებ (იხ. გვ. 20—21), რომ 1203-1204 წლებში საქართველომ შემოიერთა მცირე აზიის მოსახლერე შავი ზღვის სანაპირო ტერიტორიები, რომელიც ბიზანტიის საზღვარზე მდებარეობდა და რომელიც ეთნოგრაფიულად, მოსახლეობის შემადგენლობის მხრით, ორ მხარეს წარმოადგენდა: ქართულსა და ბერძნულ-ქართულს.

I. პირველი—ქართული მხარე. ეს არის ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი კოლხეთი (ქალდია და ტიბარენია), რომელიც VIII—XII საუკუნეებში სადავო ზონას წარმოადგენდა საქართველოს და ბიზანტიას შორის და რომელიც მოიცავდა ტერიტორიას საქართველოს რკინის-პალოს (სოტიროპოლის) ოლქიდან ვიდრე მდინარე თერმოდონამდე, მდინარე ღალისის ზონამდე. ეს ისტორიული ქართული მხარე შეიცავდა ხუთ კანტონს: ლაზია, ტრაპიზონი, კერასუნტი, კოტიორა, ლიპანი. ამ მხარის მთავარი ცენტრი იყო ქალაქი ტრაპიზონი.

II. მეორე — ბერძნულ-ქართული მხარე. ბერძნულ-ქართული მოსახლეობით, უპირატესად ბერძნული დედაენით (ნაწილობრივ ბერძნულ ენაზე გადასული ძველი ხეთურ-ქართველური მოსახლეობით). ეს მხარე შეიცავდა ოთხ კანტონს: სანსონი, სინოპი, ამასტრია, ერაკლეა. ამ მხარის მთავარი ცენტრი იყო ამასტრია.

1203-4 წლებში შემოერთებული ეს ორი მხარე, ვინაიდან განსხვავებული ისტორიული ტრადიციების მქონე იყო და ორენოვანი, ქართული და ბერძნული ენებით, საქართველოს მთავრობამ იმ პოლიტიკის თანახმად, რომელსაც იგი ახორციელებდა ამ ეპოქაში, ჩამოაყალიბა ცალკე ავტონომიური — ტრაპიზონის სამეფო, საქართველოს სახელმწიფოს პროტექტორატის ქვეშ.

ტრაპიზონის სამეფოს სათავეში თამარმა დაადგინა ალექსი ანდრონიკეს ძე კომნენი, რომელიც ნათესავი იყო თამარისა და საქართველოში აღზრდილი. 1204 წელს ალექსი კომნენი თამარის კარზე იმყოფებოდა; ტრაპიზონის მეფედ კურთხევის შემდეგ იგი გადადის ტრაპიზონში და სათავეში უდგება სახელმწიფო მშენებლობას. ეს გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე არის გამტარებელი საქართველოს პოლიტიკისა ახლად დაარსებულ სამეფოში.

როგორც აღნიშნული გვქონდა, თამარ მეფის ისტორიკოსი ბასილი ეზოს-მოძღვარი შემდეგს გადმოგვცემს საქართველოს პროტექტორატის ქვეშ მყოფ ავტონომიურ ქვეყნებზე, მათ შორის ტრაპიზონის ავტონომიური სამეფოს შესახებ:

„მოწამე არს სახლი შარვანშეთი და დარუბანდელთა (შირვანის ავტონომიური სამეფო) ლუნძთა (ღალისტენელთა), ქაშაგთა (ჩერქეზთა), კარნუ-ქალა-

¹ А. И. Соболевский, К повести о царице Динаре (Изв. АН СССР, 1928 г., т. 1, кн. 2), стр. 395.

ქელთა (მცირეაზიის სანაპირო მხარე) და ტრაპიზონელთა, რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ (საქართველოს მიერ) იყვნეს და მტერთაგან უზრუნველობასა“.

საქართველოს თელიდნენ თავის მფარველად როგორც ტრაპიზონის სამეფოს ბერძნები, ისე ბერძნული მოსახლეობა მცირე აზიის თურქთა დიდი სახელმწიფოსი—იკონიისა, სადაც მოსახლეობის ნახევარს შეადგენდა ძველი ბერძნული მოსახლეობა (იკონიის სასულთნოს ამ ხანაში ქართულად ეწოდება „დიდი საბერძნეთი“, ხოლო თურქულად — ორი სახელი: „იკონიის სასულთნო“ და პარალელურად „პრომი“, რაც ქართულ „დიდ საბერძნეთს“ შეესატყვისება).

საქართველოს გაძლიერებამ მცირე აზიის ჩრდილოეთ ნაწილში, ტრაპიზონის ქართულ-ბერძნული სამეფოს ორგანიზების შემდეგ, დიდი რეაქცია გამოიწვია იკონიის სასულთნოში და აქ დაიწყეს ომისათვის მზადება.

იკონიის სასულთნოს ხელმწიფემ, სულთანმა ნუქარდინმა, კავშირი დაამყარა და შესძლო გადმობირება აღმოსავლეთის, სირია-მესოპოტამიის მხარეების მუსულმან მფლობელთა.

1205 წელს, მესამე წელს ტრაპიზონის სამეფოს დაარსებისა, მუსულმანთა ამ დიდმა კოალიციამ ომი გამოუცხადა საქართველოს, მაგრამ ბასიანის დიდ ომში ნუქარდინი და მისი მოკავშირეები სასტიკად დამარცხდნენ.

შამქორის ომი 1195 წელს და ბასიანის ომი 1205 წელს ეს იყო ყველაზე დიდი ომები მუსულმანურ სამყაროსთან, რომლებიც საქართველომ გადაიხადა თამარის ეპოქაში.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ საქართველოს სახელმწიფოს დიდ გამარჯვებას, მცირე აზიისა და აღმოსავლეთის მუსულმანთა გაერთიანებული კოალიციის დამარცხებას 1205 წელს, დიდი შედეგები მოჰყვა; ამის შედეგად დიდად გაუმჯობესდა მდგომარეობა ქრისტიანი მოსახლეობისა მთელ რეგიონში, ბერძნებისა—მცირე აზიაში, სომხებისა და სირიელებისა—აღმოსავლეთში. ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ ქრისტიანული მოსახლეობა მცირე აზიაში და მუსულმანურ აღმოსავლეთში დიდ შევიწროებასა და დისკრიმინაციას განიცდიდა, იხდიდნენ სავანეებო ხარკსა და სხვა. ხოლო მუსულმანთა კოალიციის დამარცხების შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. ჩვენ უკვე მოხსენებული გვქონდა, რომ თამარის ეპოქის ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოდვარი შემდეგს გადმოგვცემს თამარის მიერ მიღებულ სახელმწიფო ღონისძიებათა შესახებ:

„არა მარტო ოდენ თვისსა სამეფოსა (საქართველოსა) იყო კეთილიანობა, არამედ ყოველთა ქრისტიანეთათვის; და რომელნი მძლავრობდეს ქრისტიანთა, ყოველთა მიუშენო, რათა აზატად (თავისუფლად) იყვნენ, და დამორჩილდნენ შიშითა და სიყვარულთა“. ამასვე ადასტურებენ XIII საუკუნის სომეხთა ისტორიკოსები (კირაკოს განძაკელი, ვარდან დიდი).

ჩვენ მოკლედ გავეცანით ცნობებს საქართველოს მეზობელ მცირე აზიის ქართულ-ბერძნული ტრაპიზონის სამეფოს შესახებ, აგრეთვე მცირე აზიის იკონიის სასულთნოს ბერძნული მოსახლეობის შესახებ.

ამის შემდეგ ჩვენ განვიხილავთ ცნობებს ევროპის შესახებ.

წყარობას მიხედვით ირკვევა, რომ კონსტანტინეპოლის ლათინთა იმპერიაში, რომელიც იმავე ხანებში, 1204 წელს დააარსდა, საქართველოს სთვლიდნენ მოწინავე ქვეყნად და ქრისტიანთა მფარველად ლათინთა იმპერიის როგორც ძირითადი მოსახლეობა—ევროპის, კონსტანტინეპოლის რეგიონის ბერძნები, ასევე ამ მხარეთა იტალიელები („ლათინნი“ ანუ „ფრანგნი“).

რათა ზუსტად გავივით ქვემოთ მოყვანილი ცნობები, აქ საჭიროა აღვნიშნოთ წინასწარ, რომ თამარის მეფობის ბოლო პერიოდში, 1204-1212 წლებში, ტრაპიზონის სამეფოს საზღვრები შავი ზღვის სანაპიროზე უშუალოდ ადგილობრა ევროპის საბერძნეთს, რომელიც ლათინთა იმპერიაში შედიოდა (საზღვარი იყო მდინარე სანგარიუსი; ტრაპიზონის სამეფოს დასავლეთი თემი—ერაკლეა 150 კილომეტრით იყო დაშორებული თვით დედაქალაქს, ქ. კონსტანტინეპოლს). ჩვენ უკვე მოყვანილი გვქონდა XIII საუკუნის დასაწყისის ქართველი ისტორიკოსის ბასილი ევოსმოდვარის ცნობები, თუ როგორი განუზომელი მწუხარებით შეხვდნენ თამარის გარდაცვალებას და როგორი დიდი გამოხმაურება ჰქონდა თამარის ღვაწლს უცხოეთში. ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ თამარის შესახებ ლექსები იწერებოდა და იმღერებოდა როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, ბერძენთა ქვეყნებში, ასევე ლათინთა („ფრანგთა“—იტალიელთა) მიერ; თამარის შესახებ ლექსები იმღერებოდა ზოგ მუსულმანურ ქვეყნებშიაც, ასე, ერაყში. ისტორიკოსი წერს:

„ე რ ა ყ ს მყოფნი მეჩანგენი თამარის შესხმათა მუსიკელობდიან;

„ფ რ ა ნ გ ნ ი (კონსტანტინეპოლის ლათინთა იმპერიის იტალიელნი) და ბ ე რ ძ ე ნ ნ ი (იმავე კონსტანტინეპოლის მხარეთა, აგრეთვე ტრაპიზონის სამეფოსი)—ზღვასა შინა მენავენი ნიავეკეთილობასა შინა თამარის ქებასა იტყვიდნან. ესრეთ ყოველი ქვეყანა სავსე იყო მის მიერითა (თამარის მიერითა) ქებითა, და ყოველი ენა აღიდებდა, რომელსაცა ოდენ სახელი მისი ასმიოდეს. ხოლო საქმეთა მისთაჲვის რადლა სახმარ არს თქმად, რამეთუ კიდით-კიდემდე განისმნეს, ვითარცა თვით მოწაჲ არს ჩვენ მეგრ ხილული, სიტყვისაებრ ბრძნისა“.

XIII საუკუნის ათიანი წლების დასაწყისის (1212 წლის ახლო დროის) ქართული საისტორიო ძეგლის ზემოთ მოყვანილი ცნობებით ახალი შუქი ეფინება ისტორიას ბერძნული პოემისას — „საკვირველი თქმულება და სასარგებლო თხრობა დინარ (=თამარ) დედოფლისა, ივერიის ხელმწიფისა...“

ბერძნულ პოემაში, რომელიც თამარს ეხება და რომელიც ამავე დროს, 1212 წლის ახლო დაიწერა, ბუნებრივია, გამოხმაურება უნდა ჰქონოდა ფოლკლორიდან მომდინარე ხალხურ თქმულებას, ლექსებს, რომელთაც ქართველი ისტორიკოსის ცნობით მღეროდნენ ბ ე რ ძ ე ნ ნ ი (ტრაპიზონის სამეფოსი და კონსტანტინეპოლის მხარეთა)—„ზღვასა შინა მონავენი ნიავეკეთილობასა შინა“, აგრეთვე „ფრანგნი“ (იტალიელნი) ლათინთა იმპერიისა.

ქართული წყაროების ეს ცნობები ამართლებს და ზუსტად ემთხვევა დიდი რუსი მეცნიერის აკად. ა. სობოლევსკის დასკვნებს, რომ ბერძნული პოემა დინარის (თამარის) შესახებ ეს არისო «Одно из произведений трапезундо-греческой литературы, пришедшей на Русь через Корсунь, который во времена Латинской империи в Константинополь входил в состав трапезундского царства».

აქ ჩვენ გვაქვს, ჯერ ერთი, ზუსტი დამთხვევა თარიღისა (1212 წლის ახლო დრო). ამას გარდა ქართულ წყაროში პირდაპირ მოხსენებულია იგივე ბერძენი ტრაპიზონის სამეფოსი და კონსტანტინეპოლის მხარეთა, აგრეთვე „ფრანგნი“ (იტალიელნი) ლათინთა იმპერიისა.

განვიხილოთ ამის შემდეგ პოემა დინარის (თამარის) შესახებ სხვა მთავარ ასპექტებში.

როდესაც ჩვენ განვიხილავთ პოემას, პირველ რიგში, ცხადია, გათვალისწინებული უნდა გვქონდეს, რომ მოთხრობა დინარის (თამარის) შესახებ ეს არ არის მშრალი ისტორია, არამედ მხატვრული ნაწარმოები, აპიტომაც, ბუნებრივია, მასში ჩვენ გვაქვს გამომდახილი ხალხური ფოლკლორისა, იმ სიმღერებისა თამარზე, რომელსაც მღეროდა ხალხი.

მავრამ ფოლკლორული ელემენტები აქ მაინც მეორადია. ხოლო მთავარი ის არის, რომ პოემაში ჩვენ გვაქვს საქართველოს აღიარება მოწინავე ქვეყანად და აქ მალალი შეფასება აქვს თამარის სახელმწიფო მოღვაწეობას. ამასთანავე აქ ჩანს დიდი ცოდნა საქართველოს საერთო ვითარებისა და თამარის ღვაწლისა.

გადავიკითხოთ პირველი თავი მოთხრობისა:

„გარდაიცვალა რა ივერიის ხელმწიფე... რომელსაც არ დარჩა ვაჟიშვილი, არამედ ერთად-ერთი ასული 15 წლისა...“

იგი [დინარ დედოფალი, ივერიის ხელმწიფე] ბრძენი იყო და მართვა-მგეობა დაიწყო... მეფე ალექსანდრეს ანდერძთა მიხედვით. იგი სიყვარულით ეპყრობოდა მასზე დამოკიდებულ მბრძანებელთ და წყალობდა ხალხს. იგი ყველაზე მეტი გულმოდგინებით სწავლობდა საღმრთო წერილს და წინახდელ მეფეთა ცხოვრებას, თუ როგორი იყო საქმენი მათნი და მათი ცხოვრების წესი და ამ შესწავლით თავის თავში სამხედრო მამაცობა განიშტკიცა. როგორც ფუტყარი თავლსა ჰკრეფს ყვავილთაგან, ისე დედოფალი დინარ ჰკრებდა სიბრძნეს ღირსსახსოვარ წიგნებიდან და დიდის სათნოებით განაგებდა თავის სახელმწიფოს, უდიდესად ზრუნავდა თავის სამფლობელოზე. როგორც დახელოვნებულ მესაქეს გაჰყავს გემი ზღვის მღელვარე ტალღებში, იგი ზრუნავდა იმაზე, რათა უზრუნველ ეყო მშვიდობა თავის ქვეყნისათვის“.

ამასვე გადმოგვცემენ თამარის შესახებ თანამედროვე ქართველი ისტორიკოსები.

თამარის პირველი ისტორიკოსი — ავტორი „ისტორია-აზმანთა“ პირველი წიგნისა (რომელიც დაწერილია მე-11 წელს თამარის მეფობისა, 1195 წელს) წერს თამარის შესახებ:

„თამარ სამგზის სანატრელმან სიმშვიდითა დავითიანითა, სიბრძნითა სოლომონიანითა, სიმხნითა და საურავთა დღესისთა ხვალისად არა მიგდებითა ალექსანდრიანითა [—ალექსანდრე მაკედონელის ანდერძთა თანახმად], იპყრნა ზღვად პონტოსით ზღვადმდე გურჯანისა და სპერითგან დარუბანდამდის და ყოველნი კავკასიისა იმერელნი და ამერელნი“.

ჩვენ აქამდე ვეხებოდით იმ დიდ აღიარებას, რომელიც მიუღია საქართველოს სახელმწიფოს და თამარის მოღვაწეობას მეზობელ ქვეყნებში:

პირველ რიგში—ტრაპიზონის სამეფოს ქართულსა და ბერძნულ მოსახლეობაში;

ასევე ევროპის საბერძნეთში, ლათინთა იმპერიაში: პირველ რიგში — კონსტანტინეპოლის რეგიონის ძირითადი მოსახლეობის — ბერძენთა შორის; ასევე ლათინთა—„ფრანგთა“ (იტალიელთა) შორის.

ხოლო აქ საჭიროა ამავე დროს ხაზგასმით აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ ასეთივე დიდი აღიარება მიუღია საქართველოს სახელმწიფოს და თამარ მეფის მოღვაწეობას რუსეთში, რასაც ადასტურებს ლიტერატურული ისტორია იმავე ძეგლისა—„სასარგებლო თხრობა დინარ (თამარ) დედოფლისა, ივერიის ხელმწიფისა“.

ეს ლიტერატურული ძეგლი, პოემა საქართველოს შესახებ, როგორც დადგენილია, დაიწერა ბერძნულად თამარის გარდაცვალების (1212 წ.) ახლო დროს, ხოლო მისი თარგმანი რუსულ ენაზე, შესრულებული პროზაული მოთხრობის სახით ეკუთვნის XIII საუკუნის მეორე მეოთხედს, მონგოლთა მფლობელობის დამყარებამდე რუსეთში (მოთხრობა, როგორც ირკვევა, განუვრცობათ ზოგიერთი ახალი შემატებით).

რუსული მოთხრობა—„სასარგებლო თხრობა დინარ (თამარ) დედოფლისა ივერიის დედოფლისა“, როგორც ირკვევა, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა რუსეთში, იგი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საკითხავი წიგნი ყოფილა რუსეთში; XVI-XVIII საუკუნეებიდან ჩვენს დრომდე მოღწეულია ასზე მეტი ხელნაწერი მოთხრობისა.

თხზულებისადმი დიდ ინტერესს იჩენენ არა მარტო მწიგნობრობის მოყვარულნი, არამედ მემატიანენი, სახელმწიფო მოღვაწენი, თვით სამეფო კარი.

მოთხრობა დინარის (თამარის) შესახებ შეაქეთ XVI საუკუნის რუსეთის მატიანეში, ქრონოგრაფში.

მოთხრობა დინარის (თამარის) შესახებ გამოყენებულია ეპისკოპოს ვასიანის ეპისტოლეში რუსეთის მეფის ივანე III-ის მიმართ, რომელიც ამ ეპოქის პოლიტიკურ ვითარებას ეხება.

ასევე მოთხრობას დინარის (თამარის) შესახებ ხშირად ახსენებენ მთელი რიგი ძეგლები, რომლებიც ეხებიან რუსეთის დიდად მნიშვნელოვან ბრძოლას ყაზანის წინააღმდეგ.

ხოლო, რაც მთავარია, რუსეთის მატიანეთა ცნობით, ყაზანისათვის ბრძოლის დროს რუსეთის მეფე ივანე მრისხანემ ლაშქრისადმი მიმართულ სიტყვაში მოიხსენა ივერიის დედოფლის დინარის (თამარის) ღვაწლი და მისაბამ მაგალითად აღიარა იგი.

ჩვენ ამით დავამთავრებთ მიმოხილვას წყაროებისა, საიდანაც დასტურდება, თუ რა დიდი აღიარება ჰქონდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში საქართველოს სახელმწიფოს, როგორც მოწინავე ქვეყანას რუსთაველის ეპოქაში, საქართველოს რენესანსის ხანაში, XII — XIII საუკუნეებში.

პარი მემქნა

რუსთაველი და საპარტველო

რუსთაველი ეკუთვნის მსოფლიოს.

მაგრამ რუსთაველი შეიღია ქართველი ხალხისა, მისი ღვიძლი.

გაღიან საუკუნეები, რაც ამობრწყინდა რუსთაველის პოეზიის ვარსკვლავი და იგი უკლები ბრწყინვალეობით ნათობს ქართული პოეზიის ცაზე.

რუსთაველმა განუზომელი გავლენა მოახდინა ქართულ ლიტერატურაზე, როგორც ძველ-ქართულ მწერლობაზე, ისე ახალზე.

ძველი ქართული მწერლობა—რუსთაველის ეპოქიდან ვიდრე XVIII საუკუნემდე — ატარებს რუსთაველის დიადი გენიალობის წარუშლელს ბეჭედს. მართალი იყო ძველი ქართველი პოეტი არჩილი, როდესაც იგი თავის ცნობილ პოემაში—“თეიმურაზისა და რუსთაველის გაბაასება“—რუსთაველს წარმოათქმევინებს შემდეგ სიტყვებს:

„მე ვარ ძირი ლექსთა თქმისა,
მელექსენი ჩემზედ შენობს“.

შემთხვევითი როდი იყო, რომ ძველი ქართველი პოეტები შემოქმედებით მუშაობას იწყებდნენ ზოლმე რუსთაველის სახელით და მიმართავდნენ მას, როგორც პოეზიის ნამდვილს მუზას:

„ჰე, რუსთველო, გეთხოვები, რომე მომცე ნება თქმისა...“

ძველი ქართული მწერლობა დავალებული იყო რუსთაველისაგან დიდი ლიტერატურის სტილით, დავალებული იყო რუსთაველისაგან იღეებით, მაღალი საკაცობრიო იდეალებით, პოეტური ფორმის ტრადიციით, და თვით ენით, ახალი სალიტერატურო ენით, რომლის ფუძემდებელიც რუსთაველი იყო.

XVIII საუკუნის ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი გამოთქვამს მთელი ქართული მწერლობის შეხედულებას რუსთაველზე, როდესაც იგი შოთას ადარებს ცოცხალ ხეს, რომლის ფესვები ღრმად არის გადგმული მიწაში და რომლის შტოები მუდმივად ნაყოფთა მოპყვებელია:

„ოღესაც ბრძენმან რიტორმან შოთამ რგო ივათ ხეო და
ფესვ-ღრმა ჰყო, შტონი უჩინა, ზედ ხილი მოიწეოდა,
ორგზითვე ნაყოფს მოსცემდა, ვისგანაც მიიწეოდა...“

XVIII და XIX საუკუნეთა მიჯნაზე ქართულ ლიტერატურაში გასდევს ეპოქალური ზღვარი, სრულდება ძველი ქართული ლიტერატურის ციკლი და

იწყება ახალი; თუ XIX საუკუნემდე ქართული მწერლობა თავისებურად აერთებდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ლიტერატურათა ტრადიციებს, XIX საუკუნიდან ქართული ლიტერატურა საბოლოოდ შედის დასავლეთის ლიტერატურათა წრეში.

მაგრამ რუსთაველის გავლენა ამის შემდეგაც, ქართული მწერლობის ამ ახალ ციკლში, ოდნავად არ შემცირებულა. რუსთაველი, როგორც იყო. ისევე დარჩა უაქტივესი ფაქტორი ქართული მწერლობისა და მისი გავლენა შეუწყვეტლად გრძელდება ახალ ქართულ ლიტერატურაში XIX და XX საუკუნე-თა მანძილზე. ის დიადი განახლება ქართული მწერლობისა, რომელიც დაიწყო XIX საუკუნის პირველ ნახევარში ნიკოლოზ ბარათაშვილმა და რომელიც შეასრულა XIX საუკუნის მეორე ნახევარში ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა და ვაჟა-ფშაველამ, თუ ერთი მხრით ევროპის ლიტერატურის ტრადიციას ემყარება, მეორე მხრით ძველი ქართული ლიტერატურის მემკვიდრეობიდან უშუალოდ აგრძელებს რუსთაველის ტრადიციას. შემთხვევითი როდია, რომ ბარათაშვილმა „მერანში“ თავდადებული მხედარი წარმოგვიდგინა შოთას ავთანდილის ორეულის სახით და „მერანის“ უკვდავ სტროფებში ავთანდილის „ახლერძისა“ და „მნათობთა ლოცვის“ ენით ამეტყველდა. შემთხვევითი როდია, რომ აკაკის ლირიკის უბრაწყინვალესი ლექსები შოთას პოეტური სახეების საუნჯეში ლებულობენ სათავეს. რუსთაველი, როგორც იყო ძველად. ისევე რჩება დღემდე ქართული მწერლობის შთაბავონებელ წყაროდ და წამყვან ძალად. რუსთაველის პოეზიის გავლენა გასდევს მთელ ქართულ პოეზიას, როგორც გოლფშტრემის მდინარება, და რუსთაველის უკვდავი შაირის პულსაცია დღემდე შეუწყვეტლად იგრძნობა თანამედროვე ქართულ პოეზიაში.



ჩვენ აქამდე ვეხებოდით ვეფხის-ტყაოსანს, როგორც ლიტერატურულ მოვლენას.

მაგრამ ამასთან აქ საქირთა ხაზი გავუსვით იმ უაღრესად მნიშვნელოვანსა და საგულისხმოდ გარემოებას, რომ ვეფხის-ტყაოსანის როლი ქართული კულტურის ისტორიაში არ შემოიფარგლებოდა იმით, რომ იგი იყო წმინდა ლიტერატურული ფაქტორი. ვეფხის-ტყაოსანის გავლენის წრე გასცილდა ვიწრო ლიტერატურულ ფარგლებს და იგი გადაიქცა ნამდვილ ხალხურ საუნჯედ. პოემა უაქტივესი დროიდანვე შეითვისა ხალხმა, იგი ნამდვილ ხალხურ ნაწარმოებად იქცა. ვეფხის-ტყაოსანის გახალხურება იმდენად შორს წავიდა, რომ წამალა ზღაპრი მწერლობასა და ზეპირსიტყვაობას შორის, ვეფხის-ტყაოსანი გადავიდა ფოლკლორში და რუსთაველის პოემის გარშემო შეიქმნა ხალხურ თქმულებათა ციკლი.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ რუსთაველის პოემას მის სამშობლოში ერთი ისეთი პოპულარობა, რომელიც იშვიათად თუ რგებია ლიტერატურულ ხაწარმოებს. საქართველოში შექმნილი იყო ძველად და დღემდინაც ცოცხალი რუსთაველის პოემის ნამდვილი კულტი. ვეფხის-ტყაოსანი პოპულარობით ეტოქებოდა თვით რელიგიურ ლიტერატურას, და რუსთაველის „სამა-

ირო“ წიგნს—ვეფხისტყაოსანს გულისხმობდა ძველი ქართველი პოეტი, რო-
დესაც წერდა:

„საღმრთო წიგნი ბევრი წასდა უკდოთა და უბედობით.
საშაიროს ინახავენ სტავერის ბუღით და ნახლობით“.

ამაო იყო კლერიკალური წრეების ნიერ გამართული დევნა, ვეფხისტყა-
ოსანმა იპოვა გზა ხალხის გულისაქენ. ქართველი ხალხი მიმართავდა ვეფხისტ-
ყაოსანს ჭირსა და ლბინში, როგორც სიბრძნის დაუშრეტელ წყაროს. ძველი
ქართველი პოეტი წერს შოთახე:

„საქართველო სავე არის, მისი წიგნი ყველგან გაქუხს,
ვის ლბინი აქვს მას უნობენ, ანუ გული ვისცა უწუხს!“

თუ რა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველი ხალხი
ვეფხისტყაოსანს, ამისი ერთ-ერთი მკვერმეტყველი მაჩვენებელია კარგად ცნო-
ბილი ჩვეულება ვეფხისტყაოსანის მზითვად გატანებისა. ეს ჩვეულება, რომე-
ლიც დამოწმებულია ძველ საქართველოში, ცოცხალი იყო თვით XIX საუ-
კუნეშიაც კი. ახალგაზრდა ქალს შეჰქონდა საქმროს ოჯახში ვეფხისტყაოსანი,
რუსთაველის სიბრძნე.

„შოთახ პოემას ეთმობოდა საგანგებო კუთხე ახლად შექმნილ ოჯახში.
რუსთაველის პოემის ბრძნული სტრიქონები ნანად ესმოდა ახალ თაობას..
და შემდეგ, როცა ბავშვი წამოიზრდებოდა, იგი რუსთაველის წიგნზე იწყებდა
ქართული ანბანის სწავლას.

ვეფხისტყაოსანი შევიდა ქართველი ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში.
ქართველი პოეტი თეიმურაზ II (1700—1761) თავის წიგნში საქართვე-
ლოს ხნეობათა შესახებ („სარკეთქმულთა“) მოგვითხრობს,
რომ სიმღერა რუსთაველის სტროფებისა („რუსთაველის მუნასიბები“) მიღე-
ბული ყოფილა ძველი ქართული ქორწილის რიტუალში. ასე, როდესაც სასიძო
 („მეფე“) მაყრიონით სასძლოსთან („დედოფალთან“) წასასვლელად გაემგზავ-
რებოდა:

„მეფის წასვლის დროს ასტეზონ
სამაღლად თვით მაყრულები,
თქვან მუნასიბი ლექსები
რუსთველისაგან იქმულები“.

აგრეთვე, როდესაც ქორწილი დასრულდებოდა და მეფე ასადგომად გა-
ემზადებოდა—

„მემაყრულეთ თქვან რუსთვლისა
მუნასიბები ქებისა“.

შემდეგ, როდესაც დედოფალს ვაეის სახლში წამოიყვანდნენ და მეფე-
დედოფალი მაყრიონის თანხლებით დაიძვროდა—

„მოაგონდეს რუსთვლის ლქსია,
შემოსძახონ წამ ასია:
— „მოიყვანეს იგი პირშუე“
და შემდგომი ამისია.

კულტი ვეფხისტყაოსანისა მოჩანს ყოფა-ცხოვრების წვრილმანებში. ასე,
თქვენ შეხედებით უბრალო თიხის კურკელს, რომელზედაც გლებ მუქურკელს

მობლომებით ამოუწახნაგებია რუსთაველის აფორიზმი. ანდა შეხვდებით რუსთაველის ბრძნულ სიტყვებს — ამოქარგულს ხელმანდილზე და სხვა.

ქარვად არის ცნობილი, თუ რამდენად ფართოდ იყო გავრცელებული ვეფხის-ტყაოსნის ტექსტების ზეპირი ცოდნა. იყვენენ ვეფხის-ტყაოსნის მთქმელები, რომელთაც ზეპირად იცოდნენ პოემა. ამასთან იყვენენ ვეფხის-ტყაოსნის ხალხური ვერსიების რეციტატორები, რომლებიც ასრულებდნენ შოთას პოემის ფოლკლორულ ვარიანტებს საკრავის აკომპანიმენტი.

ვეფხის-ტყაოსნის აფორიზმები შევიდა ხალხური სიტყვიერების საუნჯეში და ხალხი იმეორებს შოთას სიტყვებს ანდაზებისა და სენტენციების სახით.

•

ყოველივე ამის შემდეგ, რასაც გავეცანით, გასაგებია ის დიდი როლი, რომელიც შეასრულა რუსთაველმა კერძოდ ქართველი ერის ისტორიის ტრავიკულ პერიოდებში.

ვეფხის-ტყაოსანი ღრმად არის დაკავშირებული ქართველი ხალხის ცხოვრებასთან, თვით ქართველი ხალხის არსებობასთან. რუსთაველის პოემამ შთაბერა ქართველ ხალხს გამძლეობის სული, გადაარჩინა ქართველი ხალხი ისტორიულ განსაცდელთა საუკუნეებში, როდესაც მას ეროვნული, სულიერი გადაგვარება მოელოდა.

ვეფხის-ტყაოსანში პოულობდა ქართველი ხალხი მორალური გამხნეების წყაროს განსაცდელის დროს.

„ხმს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“.

„ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა ვით ქვიტირსა“.

„სჯობს სიციცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

რუსთაველის სიტყვა იყო შთამაგონებელი გმირობისა. ზნეობრივი სტოციზმი. სიდიადე ბუნებისა, რომელსაც ამქლავენებენ ვეფხის-ტყაოსნის გმირები, იყო შთამაგონებელი მაგალითი ქართველი ხალხისათვის.

რუსთაველის ვეფხის-ტყაოსანი იყო აღმზრდელი ქართველი ხალხისა, საიდანაც იგი ითვისებდა მაღალ ჰუმანისტურ მორალს. რუსთაველი იყო ხალხის სიბრძნის სალარო, რუსთაველის სიტყვები მიჩნეული იყო, როგორც უტომელი სახელმძღვანელო ნორმა მოქმედებისა.

შოთა რუსთაველი საუკუნეთა განმავლობაში იყო მეგობარი, მასწავლებელი ქართველი ხალხისა.

და დიდი ქართველი პოეტი აკაკი წერეთელი გამოხატავს ქართველი ხალხის გულისთქმას, როდესაც იგი რუსთაველს მიმართავს:

სულმნათო!
შენ ნიშნად უკვდავებისა
ერს მოვლენიხარ განგებით!

ქეშპარიტად, რუსთაველი არის ნათელი ნიშანი მისი ერის უკვდავებისა.



ვეფხისტყაოსნის
შესავალი და ბოლო-თქმის

ტექსტოლოგიური ნარკვევი



ვეფხის-ტყაოსნის შესავალი და ბოლო-თქმა

ტექსტოლოგიური ნარკვევი

წ ი ნ ა ს ი ტ ე ვ ა

ქართული მეცნიერების ვალია დაამთავროს ვეფხის-ტყაოსნის ტექსტის დადგენა, რათა შოთას პოემა ნათობდეს თავისი ნამდვილი, თავდაპირველი ბრწყინვალეობით. აღადგინოს ჭეშმარიტება. ხოლო რუსთაველთან ჭეშმარიტება არის მშვენიერება და სიბრძნე პოეზიისა.

ამ ნარკვევში ჩვენ ვეხებით ვეფხის-ტყაოსნის შესავალისა და ბოლო-თქმის ტექსტებს.

ვეფხის-ტყაოსნის შესავალსა და ბოლო-თქმას რთული ისტორია აქვს. უველაზე ადრინდელი ჩვენს დრომდე მოღწეული დედანი ვეფხის-ტყაოსნისა არის ვახტანგისეული დედანი, რომლის პირველწყარო XIV საუკუნის პირველ ნახევარს ეკუთვნის.

ხოლო ვეფხის-ტყაოსნის დაწერის დროიდან (1196 — 1207 წწ.) ვიდრე ვახტანგისეულ დედანამდე საუკუნე-ნახევარმა განვლო. ამ ხნის მანძილზე პოემის შესავალსა და ბოლო-თქმას მნიშვნელოვანი ცვლილება განუცდია.

ცნობილია, რომ შოთა რუსთაველის, ქართული რენესანსის, ქართული ჰუმანიზმის დიდი მეთაურის გარშემო საუკუნეთა მანძილზე კამათი იყო გამართული მის მოწინააღმდეგეთა და დამცველთა შორის.

ამ კამათის ანარეკლი ჩვენ გვაქვს კერძოდ ვეფხის-ტყაოსნის შესავალსა და ბოლო-თქმაში. აქ ჩართულია ინტერპოლაციები როგორც რუსთაველის დამცველთა (ორი შემატება), ისე რუსთაველის მოწინააღმდეგეთა (ოთხი შემატება).

ამას გარდა პოემის შესავალსა და ბოლო-თქმაში ჩვენ გვაქვს რამდენიმე ჩანართი სტროფი არა პოლემიკური ხასიათისა (ინტერპოლაცია-პარაფრაზები).

ამრიგად, ვეფხის-ტყაოსნის შესავალისა და ბოლო-თქმის ეს გვიანდელი რედაქცია, რომელიც წარმოდგენილია ვახტანგისეულ დედანში, ეს არის შოთა რუსთაველის ტექსტი, შევსებული XIII — XIV საუკუნეთა ჩანართებით.

ამ ჩანართებმა იმდენად შეზღავნა ვეფხის-ტყაოსნის შესავალისა და ბოლო-თქმის ნამდვილი ტექსტი, რომ გამოითქვა კიდევ ეპიკები, ეპუთენისო თუ

არა პოემის შესავალი და ბოლო-თქმა თვით რუსთაველს? ასე, ვეფხის-ტყაოსნის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 1903 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ პოემის შესავალი და ბოლო-თქმა არ ეკუთვნის რუსთაველს.

იმავე წერა-კითხვის საზოგადოების 1920 წლის გამოცემაში ასევე უარყოფილია ვეფხის-ტყაოსნის შესავალისა და ბოლო-თქმის შოთასადმი ეკუთვნობა (ამ გამოცემაში შესავალი პოემისა დაიბეჭდა ზედწერილით: „ვეფხის-ტყაოსნის თავნართი“, ხოლო ბოლო-თქმა ზედწერილით: „ვეფხის-ტყაოსნის ბოლონართი“).

ამას გარდა 1914 და 1926 წლის გამოცემებში (რომლებიც ი. აბულაძის რედაქტორობით გამოვიდა) ვეფხის-ტყაოსნის შესავალი დაიბეჭდა ზედწერილით: „შესავალი, რომელიც მიეწერება შოთა რუსთაველს“; ხოლო ბოლო-თქმა: „დასასრული, რომელიც მიეწერება შოთა რუსთაველს“.

რასაკვირველია, ეს საოცარი გაუგებრობაა. თქმა იმისი, რომ ვეფხის-ტყაოსნის შესავალისა და ბოლო-თქმის ძირითადი ტექსტები არ ეკუთვნისო რუსთაველს, მკრეხელობაა. ვეფხის-ტყაოსნის პირველი შესავალი — «ამბვისა დასაწყისი პირველი» (რომელიც წარმოადგენს პოემის წინასიტყვაობას) და „სწავლსათვის მოშაირეთა“ აღბეჭდილია ნამდვილი გენიალობით, რუსთაველის უცთომელი და განუმეორებელი ხელოვნებით.

•

გდავდივართ ვეფხის-ტყაოსნის შესავალისა და ბოლო-თქმის ტექსტოლოგიურ განხილვაზე.

პირველ რიგში შევჩერდებით ვეფხის-ტყაოსნის ბოლო-თქმაზე, რადგან აქ, შოთა რუსთაველის ნამდვილ ტექსტთან ერთად, მოთავსებულია ყალბი ტენდენციური დამატება, რომელიც იძლევა დასაყრდენს სხვა გვიანდელ დანართების ამოსაცნობად.

თავი პირველი

I

ვეფხისტყაოსნის ბოლო-თქმა

შოთა რუსთაველისა

(პოემის 1511 სტროფი)

ვეფხისტყაოსნის მოთხრობას შოთა რუსთაველი ამთავრებს ბოლო-თქმით, რომელიც შეიცავს თამარის აპოთეოზს, წარმოგვიდგენს თამარს როგორც ღვთაების ნათელ სახეს.

როგორც ეს დასტურდება პირველწყაროების შესწავლიდან და არსებული დედნების ტექსტუალური ანალიზიდან, პოემის ბოლო-თქმის პირველადი ტექსტი შემდეგაა:

ქართველთა ღმრთისა თ ა მ ა რ ი ს, ვის მზე მსახურებს
მარებლად,

ესე ამბავი გავლექსე მე მათად საქებარებლად,
ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს შუქთა მარებლად,
ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა გამახარებლად.

ვეფხისტყაოსნის გვიანდელ დედნებში რუსთაველის ეს სტროფი, პოემის ბოლო-თქმა, დამახინჯებულად არის წარმოდგენილი, ტენდენციურად გადაკეთებული:

1. ჯერ ერთი, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სახელი „თამარის“ შეცვლილია სახელით „დავითის“;

2. ამას გარდა, არის აგრეთვე სხვა ნაკლებ მნიშვნელოვანი ცვლილებანი, დაზიანებული ადგილები.

სტროფი ვახტანგისეულ დედანში (რომლის არქეტიპი XIV — XV საუკუნეებს ეკუთვნის) და უფრო გვიანდელ ხელნაწერებში (ხოლო მათი მიდევნებით გამოცემებში) ასე იკითხვის დაზიანებული სახით:

ქართველთა ღმრთისა და ვ ი თ ი ს, ვის მზე მსახურებს სარებლად,
ესე ამბავი გავლექსე მე მათად საკამათებლად,
ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მარებლად,
ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა გამახარებლად.

ისტორიული რეალიებისა და თვით ვეფხის-ტყაოსნის შესავალის პირდაპირ ჩვენებათა მიხედვით სრულიად უდავოა, რომ პოემის ამ ბოლო-თქმაში ნაცვლად სახელისა „დავითის“ თავდაპირველად იყო „თ ა მ ა რ ი ს“. პოემის შესავალის გენიალურ სტროფებში პოეტმა გვაძინო, რომ მისი შთავონების საგანი არის თამარ:

„თამარს ვაქებდე მუფხსა...“
„რემი აწ ცანთ ყოველმან მას ვაქებ, ვინცა მიქია...“
„მისი სახელი შეფარვით ქვემოთ მითქვამს, მიქია“.
(„ქვემოთ“ — ვეფხის-ტყაოსანში).

ამას გარდა, თვით მიმართვა „ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა ლ მ რ თ ი“ შესაძლოა მხოლოდ თამარს იგულისხმებდეს: მხოლოდ თამარს (და არა დავითს) მიემართება „ლმერთის“ სახელწოდება („სამებასა თანა ოთხებად აღზევებული“) თამარის ეპოქის საისტორიო ძეგლში „ისტორია-აზნანი შარავანდედთანი“ და ეს არაერთგზის.

ხოლო, გარეშე ამისა, პირდაპირი შინაარსი ამ სტროფისა ადამტურებს, რომ იგი ეხება საქართველოს მეფეთ-მეფეს, ქვეყნის უზენაეს მეთაურს, თამარს.

თუ რა მიზეზით მოხდა გვიან ხანაში ასეთი ტენდენციური გადაკეთება ტექსტისა, შეცვლა პოემის ბოლო-თქმაში თამარის სახელისა დავითის სახელით, ეს საკითხი გაშუქებული გვაქვს ქვემოთ გამოკვლევებში.

აქ კი ჯერ შევხერხდებით ამ სტროფის ცალკეულ დამახინჯებულ სიტყვებსა და რითმებზე.

სტროფი საერთოდ საგრძნობლად დაზიანებულია, რაც იმიტაც აიხსნება, რომ ეს სტროფი პოემის დასასრულია, ხოლო ხელნაწერის ბოლო ფურცლები ადვილად ზიანდებოდა.

პ ი რ ვ ე ლ ი ტ ა ე პ ი.

ნამდვილი ტექსტი პირველი ტაეპისა, როგორც მოვიხსენეთ, შემდეგია:

„ქართველთა ღმრთისა თამარის, ვის მზე მსახურებს მარებლად“.

ბოლო სარიტმო ძიტყვა დედნებში წარმოდგენილია ორი ვარიანტიც:
1. „სარებლად“; 2. „მარებლად“.

1. „ს ა რ ე ბ ლ ა დ“ (ასეა ვახტანგისეულ დედანში და მის მიმდგომ ხელნაწერთა ერთ ჯგუფში);

2. „მ ა რ ე ბ ლ ა დ“ (ასეა ხელნაწერთა მეორე ჯგუფში: IV — EIR. VI — J).

ჩვენ უპირატესობას ვაძლევთ წაკითხვას „მ ა რ ე ბ ლ ა დ“.

აქ საუბრობა თავდაპირველად აღენიშნოთ, რომ პოემაში სიტყვა „რ ე ბ ა“-ს სხვადასხვა ფორმებს შორის, ფორმა „სარებლად“, ან მისი მიმდგომი, საერთოდ არ გვხვდება; გვხვდება „მარებლად“, „მარები“.

განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს შეხვედრა პოემის ბოლო-თქმისა (ე. ი. ჩვენი ტექსტისა) პოემის 175 სტროფთან. შეადარეთ:

ბოლო თქმა: „...ვის მზე მსახურებს მარებლად“		სტროფი 175,4 „...მის მზისა მარებლად“
---	--	---

ორივე სტროფში, ანალოგიურ კონტექსტებში, ჩვენ გვაქვს: „მზე“, „მარებლად“.

ნიშანდობლივი დამთხვევაა. ეს გვაძლევს საფუძველს უპირატესობა მივანიჭოთ წაკითხვას „მარებლად“.

პოემის ბოლო-თქმის ამ პირველ ტაეპს ჩვენ ქვემოთ ისევ დავუბრუნდებით, როდესაც დავადგენთ მთელი სტროფის სრულ ტექსტს, გავეფიქრავთ მის შინაარსს. ამის შემდეგ ნათელი გახდება, თუ რას ნიშნავს სახეთა ეს მწყრივი: „ქართველთა ღმრთისა თამარის, ვის მზე მსახურებს მარებლად“. აქ არის თამარის ამოთეოზი, გაღმერთება თამარისა: მზე აქ წარმოდგენილია, როგორც ზეციერი ზოლიაკო (იგივე „ეტლი“, „მარები“) თამარისა, „ქართველთა ღმრთისა“. ანალოგიურ სახეთა მწყრივს, როგორც შემდეგ ვნახავთ, ჩვენ სხვაგანაც ვხვდებით პოემაში.

მეორე ტაეპი.

ექვს არ იწვევს, რომ გვიანდელ დედნებში დაზიანებულად არის წარმოდგენილი მეორე ტაეპის ტექსტი; გვიანდელ დედნებში მეორე ტაეპი ასე იკითხვის:

„ესე ამბავი გავლექსე მე მათად საკამათებლად“.

რითმა სტროფისა (შაირის 4 სალექსო სტრიქონისა) არის: „არ ე ბ ლ ა დ“, ხოლო „საკამათებლად“ ტლანქად არღვევს რითმათა მწყობრს.

ტექსტი დაზიანებული მეორე ტაეპისა, ანალოგიური კონტექსტების საფუძველზე, ასე უნდა იქნეს აღდგენილი:

«ესე ამბავი გავლექსე მე მათად საქებარებლად“.

პოემა არის თამარის ქება. შეადარეთ პოემის შესავალი, რომელიც არაერთგზის გვქონდა ციტირებული: „თამარს ვაქებდე მეფესა...“, „ვთქვენი ქებანი...“, „სამთა ფერთა საქებელთა...“, „ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია“, „მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია“.

აქ მარტოოდენ ერთი სიტყვაა: ქება.

ცხადია ამის მიხედვით, რომ ბოლო-თქმაში იყო „საქებარებლად“ და არა „საკამათებლად“.

დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ წარმოშობა დაზიანებული სახეობისა „საკამათებლად“ ადვილად ასახსნელია გრაფიკულ ნიღადაზე. როგორც მოვისხსენეთ, ეს სტროფი პოემის დასასრულია, ხოლო ხელნაწერის ბოლო ფურცლები

აღვილად ზიანდებოდა; საკმარისი იყო, სიტყვა „საქებარებლად“ ხელნაწერში გამჭრალებული ყოფილიყო, რათა იგი წაეკითხათ როგორც „საკამათებლად“:

სა[ქებ]ა[რ]ებლად.

სა[კამ]ა[თ]ებლად.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ აგრეთვე შემდეგი.

ფორმა „საქებარი“ და აქედან წარმოება სარიტომო სიტყვისა „საქებარებლად“ (ლიცენცია) — რუსთაველურია.

„ვერ მოგია ქება მათი, ვერა ქება საქებარი“
(სტროფი 839)

„საქებარი“ — აქედან ნაწარმოები „საქებარებლად“ (რითმაში), — შეადა-რეთ ანალოგიური ლიცენცია: „მთვარე“ — აქედან ნაწარმოები „მთვარებლად“ (ასევე რითმაში):

„აგენა მივა, ნახეო, იგი მწეებრ და მთვარებლად“
(სტროფი 175)

ასეთი სახის ლიცენციას, როგორცაა „მთვარებლად“, „საქებარებლად“, არაერთგზის მიმართავს რუსთაველი ლექსის და რითმების ორკესტრირების დროს.

•

აქ საჭიროა ცალკე შევხედოთ მეორე ტაუბის ტექსტზე, რომელიც წარმოდგენილია შანი-ტე — ბარამიძის გამოცემაში 1966 წლისა; ტექსტი აქ ასე იკითხვის:

„ესე ამბავი გავლექსე მე მათად მოსახმარებლად.

ამრიგად, ნაცვლად პირველი ტექსტისა „საქებარებლად“, და ნაცვლად დაზიანებულ ტექსტისა „საკამათებლად“ (რომელიც წარმოდგენილია ვახტანგისეულ დედანში და მიმდგომ ხელნაწერებში), აქ ჩვენ ვკითხულობთ „მოსახმარებლად“. ეს წაკითხვა „მოსახმარებლად“ წარ-მოდგენილია ხელნაწერთა ერთ მცირე არა ძირითად ჯგუფში (FIR) და აქედან მოხვდა იგი და-სახელებულ გამოცემაში.

რასაკვირველია, ეს ვარიანტი ყოვლად მიუღებელია. ტაუბის აზრი დაბნეულა, „მოსახმარებლად“ ამ კონტექსტში გაუგებარია, არაფერს იგი არ ეფუძრება.

როგორ წარმოიშვა ეს ვარიანტი? ცხადია, ერთ-ერთ გადაწყვეტას, მოშაირეს, რომელსაც შეუნიშნავს, რომ II ტაუბის დაზიანებული სარიტომო სიტყვა „საკამათებლად“ არღვევს სტრო-ფის რითმას „არებლად“, შეუცვლია იგი, მაგრამ შეუცვლია ყოვლად უხეიროდ.

•

დასასრულ, ტაუბის პირველი ნახევრის შესახებ. რას ნიშნავს „ესე ამბავი გავლექსე“?

ვეფხისტყაოსნის ცალკეულ კარებს ეწოდება „ამბავი“ („ამბავი პირველი როსტევან არაბთა მეფისა“, „ამბავი ტარიელის გამიჯნურებისა“, „ამბავი ნურადინ ფრიდონისა“, „ამბავი ავთანდილის არაბეთს შექცევისა“, „ამბავი „ნესტან-დარეჯანის ქაჯთაგან შეპყრობისა“ და სხვ.).

ამავე დროს მთელ პოემასაც ასევე ეწოდება „ამბავი“ (მხოლოდით რიცხვში); ასე, მაგალითად, პოემის პროლოგს ვეფხის-ტყაოსანში აქვს ასეთი ზედწერილი: „ამბვისა დასაწყისი პირველი“.

ამრიგად, ამ სტროფში „ამბავი“ ზოგადი სახელწოდებაა პოემისა, იგი აღნიშნავს პოემა — რომანს („ამბავს“, მოთხრობას). „ესე ამბავი გავლექსე“ — ეს პოემა, რომანი ლექსად ვთქვი.

აღნიშნავთ ამასთან, რომ ტერმინი „ამბავი“ პოემის მნიშვნელობით ჩვენ გვხვდება აგრეთვე მრავლობით რიცხვში — „ამბავნი“, ისევე როგორც პოემის შუორე სახელწოდებაც ორგვარი სახით გვხვდება: „ქება“ და „ქებანი“¹.

მ ე ს ა მ ე ტ ა ე პ ი.

ამ ტაეპის ტექსტს ჩვენ ასე აღვადგენთ:

„ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს შუქთა მარებლად“.

დღენებში ჩვენ გვაქვს ასეთი ვარიანტები: „ზართა მარებლად“². „გზათა მარებლად“³, „მათად მარებლად“⁴, მაგრამ არც ერთი მათგანი მოთხრობას არ ეფარდება.

ტექსტის სწორი ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა აქვს პოემის ერთ პარალელურ ადგილს, 135 სტროფს. ჩვენ გვაქვს ასეთი შეფარდება ჩვენს ტექსტსა (ე. ი. პოემის ბოლო-თქმასა) და 135 სტროფს შორის:

ბ ო ლ ო - თ ქ მ ა :

ვინ არის აღმოსავლეთით
დასავლეთს შუქთა მარებლად,
ორგულთა მათთა დამწველად,
ერთგულთა გამახარებლად.

ს ტ რ ო ფ ი 135:

ყოელთა მზეებრ მოგვფინოს,
ვარდს არ ზრვიდეს, არ აჟნობდეს.
შემცოდესა ყველაჟასა
ვითა ცვილსა დააღნობდეს.

ეს ტექსტები ერთი შინაარსისაა. 135 სტროფში ასეთი სურათია: „მზეებრ მფენელი“, — ერთგულთა ახარებს („ვარდს არა ზრავს, არ აჟნობს“), ხოლო ორგულთა (შემცოდეთა) სწევავს („ვითა ცვილსა დააღნობს“).

იგივეა ბოლო-თქმაში: „ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს შუქთა მარებლად, ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა გამახარებლად“.

ცხადია, აქ არის „შუქთა“: აქ ნაჩვენებია მზის გზა („აღმოსავლეთით დასავლეთს“); იგი არის დამწველი ორგულთა, ხოლო ერთგულთა სიხარულს ანიჭებს.

ამრიგად, ვარიანტი „ზართა“ („ზართა მარებლად“), რომელიც წარმოდგენილია ვახტანგისეულ დედანში, კონტექსტს არ უდგება.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ პოემაში ჩვენ საერთოდ არ გვხვდება ასეთი

¹ იხ. გვ. 68 — 70.

² დღენებში: I — W (ვახტანგისეული); II — UV; III — ABCD; IV — EFHIRA'

³ დღენებში — IV — J.

⁴ დღენებში: II — G; IV — X.

სახის გამოქვეყნება „ზართა რება“ („ზართა მარებლად“). ხოლო „შუქთა რება“ მიღებულია: (შეადარეთ სტროფი 1343: „ამას ჰგვანდეს ოდეს ერთგან მუშთარ, ზუალ [=მნათობნი] შეიყარენენ... დაშვენდენ და შუქნი არენენ“).

მ ე ო თ ხ ე ტ ა ე პ ი.

ტექსტი მეოთხე ტაეპისა პოემის ყველა გამოცემაში, ვიდრე 1937 წლამდე ასე იბეჭდებოდა:

ორგულთა მათა დამწველად, ერთგულთა დამამაგრებლად.

რითმა სტროფისა არის „არებლად“, ხოლო აქ წარმოდგენილი სარიტმო სიტყვა „დამამაგრებლად“ არღვევს რითმას.

პირველწყაროებში დაცულია სამი ვარიანტი სარიტმო სიტყვებისა:

1. „გამახარებლად“. — წარმოდგენილია შემდეგ დედნებში: II — UV; III-a D; IV — FHIR.

2. „დამამაგრებლად“ || „გამამაგრებლად“ (მიმდგომი წაკითხვებით) — წარმოდგენილია შემდეგ დედნებში: I — W (ვახტანგისეული); II — ABC; IV — EX; VI — J.

3. „მაგულოვნებლად“ — წარმოდგენილია დედანში II — G.

რასაკვირველია, სწორია პირველი ვარიანტი. იგი არა მხოლოდ აღადგენს დაზიანებულ რითმას, არამედ კარგად უდგება მთელ კონტექსტს.

„რუსთველიანაში“ (1926) ჩვენ აღვადგინეთ (დედნების ჩვენებათა გათვალისწინების საფუძველზე) სწორი წაკითხვა რითმისა „გამახარებლად“.

მას შემდეგ ეს წაკითხვა გაზიარებულ იქნა 1937 წლის საიუბილეო გამოცემაში და მიღებულია ყველა მომდევნო გამოცემაში.

• • •

სტროფის ტექსტუალური განხილვის შემდეგ ჩვენ შევეხებით სტროფს მთლიანად.

თავდაპირველად დასადგენია, თუ რას ნიშნავს „ვის მზე მსახურებს მარებლად“ (ტექსტში: „ქართველთა ღმრთისა თ ა მ ა რ ი ს, ვის მზე მსახურებს მარებლად“).

პოემაში სიტყვა „მარებელი“ („მარებლად“) გვხვდება ორი მნიშვნელობით:

1. ერთი მნიშვნელობაა ჩვეულებრივი: „მარებელი“ — მრებელი¹.

2. ამავე დროს „მარებელი“ ეწოდება ზოდიაკოს, მნათობს — „ეტლს“. მზეს მიეკუთვნება თორმეტი ზოდიაკო ანუ „ეტლი“ (ვარსკვლავედნი — „ლომი“, „ვერძი“, „სარატანი“ და სხვანი). თითოეულ ამ თორმეტ ზოდიაკოთა შორის არის „ეტლი“, ანუ „მარებელი“ მზისა ერთი თვის მანძილზე. ასე, ლომის ვარსკვლავი ხდება „მარებლად“ მზისა ივლისში.

¹ იხ. სტროფი 39,1: „შევსხათ ჩვენთანა მარებლად“.

ზეციერ „ეტლს“, მზის ზოდიაკოს, ეწოდება აგრეთვე „მზის საჯღომი“:

მოწურული იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსლვა მწვანისა,
ვარდის ფურცლობა, ნიშანი, დრო მათის პაემანისა,
ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა სარატანისა.

(სტროფი 1249)

პოემის გმირებს შოთა ხშირად წარმოგვიდგენს ასტრალურ სახეებში.
ნესტან-დარეჯანს, როდესაც იგი ცხენზეა ამხედრებული, შოთა ასე დაგვი-
ხატავს:

პგევანდა, ოდეს ლომსა შეჯდეს მზე, მნათობთა უზეშთესი.
(სტროფი 1127,3)

ნესტან-დარეჯანი — მზე; ლომი — „ეტლი“, ზოდიაკო მზისა.
ასევე, მეორე ადგილას, ტარიელი შედარებულია მზესთან, ხოლო ტაიჭი,
რომელზედაც ზის ტარიელი, წარმოდგენილია როგორც „ეტლი“, „მარებელი“
ტარიელისა:

ოდენ ჩნდა შავი ტაიჭი
მისი მის მზისა [=ტარიელისა] მარებლად.
(სტროფი 175,4)

სახე ნესტანისა, დახატული პოეტის მიერ, ეუფარდება თამარის სახეს.
მაგრამ თამარი უზენაესია. ნესტანი არის მზე; ხოლო თამარი არის
ღმერთი („ნათელთა სახე“¹):

ქართველთა ღმრთისა თამარის, ვის მზე მსახურებს
მარებლად.

„ეტლი“-ზოდიაკო ნესტანისა, მზისა, არის მზის ზოდიაკონი.
ხოლო ზოდიაკო თამარისა, ღმრთისა, არის თვით მზე; თამარს „მზე
მსახურებს მარებლად“ („ეტლად“; „ზოდიაკოდ“).
წარმოდგენილ განმარტებათა შემდეგ ნათელი ხდება „ბოლო-თქმის“
შინაარსი. „ბოლო-თქმა“ გვაუწყებს:

„ქართველთა ღმრთისა თამარის, ვისაც მზე მსახურებს ზეციერ ზო-
დიაკოდ („ეტლად“, „მარებლად),

„ესე ამბავი გავლექსე მე მისად საქებრად, —
„ვინცა [— თამარ, „ნათელთა სახე“, მზე-ზოდიაკოზე ამალღებული],
არის აღმოსავლეთით დასავლეთამდე შუქთა მარებლად,
ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა გამახარებლად“.

ასეთი დიადი, გრანდიოზული სურათით ამთავრებს შოთა ვეფხისტ-
ყაოსანს.

¹ შეად. სტროფი 678.2. „ღმერთმან, ნათელთა სახემან“.

II

ვეფხის-ტყაოსნის შოთა რუსთაველის „ბოლო-თქმის“ ტენდენციური გადაკეთება და დამატება სალბი სტროფისა „დავითის ქმნანი“

ჩვენ უკვე გვქონდა ზემოთ საუბარი იმის შესახებ, რომ ვეფხის-ტყაოსნის შოთა რუსთაველისეული ბოლო-თქმა ყალბისმქნელს ტენდენციურად გადაკეთებია, წარუხოცავს ბოლო-თქმის ტექსტში სახელი „თამარის“ და მის ნაცვლად ჩაუწერია სახელი „დავითის“.

ხოლო ტექსტის გაყალბება ამით არ სრულდება. ვეფხის-ტყაოსნის ბოლო-თქმის ტენდენციურად გადაკეთებასთან ერთად ყალბისმქნელს დაუმატებია ახალი სტროფი „დავითის ქმნანი“; იგი შეიცავს ქებას დავითისას, ე. ი. იმ პირისა, რომლის სახელი ყალბისმქნელმა წინ წამოსწია და ჩასწერა პოემის ბოლო-თქმაში თამარის სახელის ნაცვლად. გადაკეთება ბოლო-თქმისა და დამატება სტროფისა „დავითის ქმნანი“ ეს ერთი, ერთმანეთთან გადამბეჭული ყალბისმქნელობაა.

ვიღრე შევეუდგებოდეთ იმის გარკვევას, თუ რა მიზანს ისახავდა ყალბისმქნელი, გადავიკითხოთ ჯერ ეს ორი სტროფი: ა) ტენდენციურად გადაკეთებული ბოლო-თქმა და ბ) დამატებული ყალბი სტროფი „დავითის ქმნანი“.

ა

[ვეფხის-ტყაოსნის „ბოლო-თქმის“ ტენდენციურად გადაკეთებული ტექსტი, რომელშიაც სახელი „თამარის“ შეცვლილია სახელით: „დავითის“]

ქართველთა ღმრთისა და ვითის, ვის მზე მსახურებს მარებლად,
ესე ამბავნი გაგლექსენ შე მათად სა[ქებარ]ებლად,*
ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს შუქთა მარებლად,
ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა გამახარებლად.

ბ

[ყალბი სტროფი — „დავითის ქმნანი“
ღართული ვეფხის-ტყაოსნის „ბოლო-თქმის“ ტენდენციურად გადაკეთებულ ტექსტთან].

და ვითის ქმნანი ვითა ვთქვენ სიჩალხე-სიხაფეთანი!
ესე ამბავნი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი,
პირველ ზნენი და საქმენი, ქებანი მათ მეფეთანი,
ვპოვენ და ლექსად გარდავთქვენ, ამითა ვილაყფეთანი.

* „საქებარებლად“ გვიან ხანაში გადამახინჯებულა როგორც „სა[კამათ]ებლად“, რის გამო დარღვეულია სტროფის რითმა „არებლად“ (იხ. ზემოთ, გვ. 187 — 188)

რა დროს ეკუთვნის ვეფხის-ტყაოსნის ბოლო-თქმის ტენდენციური გადაკეთება და დამატება ყალბი სტროფისა „დავითის ქმნანი“?

რამდენადაც გადაკეთებული ტექსტი და დანართი ყალბი სტროფი წარმოდგენილია ვახტანგისეულ დედანში, ისინი XIV საუკუნის ნახევარზე გვიანდელი არაა.

აქ საჭიროა პასუხი გავცეთ მთავარ კითხვას: რა მიზანს ისახავდა ყალბის-ქმნელი?

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმ პოლემიკის შესახებ, რომელიც წარმოებდა საუკუნეთა მანძილზე ვეფხის-ტყაოსნის გარშემო. ამას გარდა ჩვენ ქვემოთაც გავეცნობთ ვეფხის-ტყაოსნის სხვადასხვა პოლემიკურ ინტერპოლაციებს, მიმართულს რუსთაველისა და ვეფხის-ტყაოსნის წინააღმდეგ.

როგორც ირკვევა ამ წყაროების მიხედვით, ოპოზიცია ვეფხის-ტყაოსნის წინააღმდეგ პირველ რიგში გამოწვეული იყო შოთას თავისუფალი მოაზრებოთ; კლერიკალურ-რეაქციული წრეები ებრძვიან შოთას, როგორც ქართული ჰუმანისტური მოძრაობის მეთაურს.

ხოლო ამას ემატებოდა აგრეთვე მეორე გარემოებაც.

კლერიკალურ-რეაქციული წრეები ცდილობენ დააშორონ ვეფხის-ტყაოსნის თამარის სახელი.

ეს მით უფრო, რომ თამარი, გარდაცვალების შემდეგ, XIII საუკუნეში აღიარებული იყო საეკლესიო წმინდანად, XIII — XIV საუკუნის ძეგლებში თამარი მოიხსენება წმიდის, ნეტარის, სანატრელის სახელით. ზოლო ის გარემოება, რომ ვეფხის-ტყაოსნთან (რომელსაც კლერიკალური წრეები არაპრისტიანულ ნაწარმოებად თვლიდნენ) დაკავშირებული იყო სახელი თამარისა, წარმოადგენდა ერთგვარ სარწმუნოებრივ საცთურს.

აი აქ არის მიზეზი ვეფხის-ტყაოსნის ბოლო-თქმის ტენდენციური გადაკეთებისა. ყალბისმქნელი ცდილობს დააშოროს ვეფხის-ტყაოსნის თამარის სახელი; ამის მისაღწევად, როგორც ვნახეთ, ყალბისმქნელი მკრეხელობასაც კი არ დარიდებია, ამოუშლია პოემის ბოლო-თქმიდან თამარის სახელი.

მაგრამ ეს ცოტაა. ინტერპოლატორი, იმისათვის რომ საკვებით გამორიცხოს თამარის კავშირი ვეფხის-ტყაოსნთან, ყალბ სტროფში „დავითის ქმნანი“ ცდილობს განამტკიცოს შეხედულება, რომ ვეფხის-ტყაოსანი არათუ არ არის „თამარის ქმნანი“, არამედ პოემა საერთოდ არაა დაკავშირებული საქართველოსთან, რომ აქ არ არის პოეტური გარდასახვა საქართველოს სინამდვილისა, რომ პოემის იდეალურ პერსონაჟებში სრულებითაც არ არის საქართველოს ისტორიული სინამდვილის რაიმე გამომხატულება, რომ იგი არის „ამბავნი უცხონი“, „უცხოთა ხელმწიფეთანი“, „პირველ ზნენი და საქმენი, ქმნანი მათ მეფეთანი“, და რომ ეს უცხო „ამბავნი“, ლექსად თქმულნი, პირველ რიგში მიეძღვნა დავითს (და არა თამარს).

როგორც ვხედავთ, ყოველივე და დიამეტრალურად ეწინააღმდეგება ვეფხის-ტყაოსნის ნამდვილ ტექსტს, პოემის შოთასეულ წინასიტყვაობას («ამბავისა დასაწყისი პირველი»), რომლის გენიალურ სტროფებში თვით შოთა გვამცნობს, რომ ვეფხის-ტყაოსანი არისო „თამარის ქმნანი“: „თამარს ვაქებდე...“,

„მისი სახელი შეფარვით ქვემოთ მითქვამს, მიქია“ („ქვემოთ“ — ე. ი. პოემაში).

აქ საჭიროა აღვნიშნოთ აგრეთვე კიდევ ერთი დეტალი, ზემოთ განხილული ყალბი სტროფის შეპირისპირება რუსთაველთან. რუსთაველმა პოემის მეორე პროლოგში „სწავლისათვის მოშაირეთა“ გვამცნო, რომ პოეზია არის სიბრძნე: „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი, საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი...“ ხოლო ყალბისმქნელი პოემისა — თვით შოთას პოემას, — ასე უწოდებს: „ლაყბობა“; იგი შოთას მიაწერს შემდეგ სიტყვებს ვეფხის-ტყაოსნის გამო: „ამითა ვილაყბეთანი“.

როგორც აღვნიშნავდით, ტექსტის გაყალბება ამაზე შორს ძნელად თუ წავა. ინტერპოლატორი შართლაც დიდი მოხერხებით, შეფარვით ცდილობს გააბათილოს შოთას პოემა.

დასასრულ დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ ეს ყალბი სტროფი „დავითის ქმნანი“ ყველაზე აღრინდელი ტექსტია, რომელმაც მისცა დასაბამი ლეგენდას, რომ ვითომც ვეფხის-ტყაოსანი არის „ამბავნი უცხონი“ და არა „თამარის ქებანი“.

აღსანიშნავია ამასთან ისიც, რომ ლეგენდის ამ პირველ ვარიანტში ჯერ კიდევ არ არის საუბარი არც თარგმნისა და არც რაიმე ერთი პირველწყაროს შესახებ, არამედ ვითომც შოთამ საერთოდ გამოიყენა უცხოური წყაროები „ამბავნი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი“, „პირველ ზნენი და საქმენი, ქებანი მათ მეფეთანი“ და ეს შეკრებილი მასალა ლექსად გარდათქვა.

ასეთია ვეფხის-ტყაოსნის ბოლო-თქმის ტექსტის ტენდენციურად გადაკეთების ისტორია.

გადავდივართ ამის შემდეგ კვლევა-ძიების მეორე ძირითად საგანზე — ვეფხის-ტყაოსნის შესავალზე.

თავი მეორე

ვეფხისტყაოსნის შესავალი

I. «ამბვისა დასაწყისი პირველი». — II. «სწავლისათვის მოზაირეთა». —
III. «ჟარი მიჯნურობისა».

ვეფხისტყაოსნის შესავალი მიჩნეული იყო როგორც ერთი პროლოგი, ერთი მთლიანი უნიტარული ტექსტი.

მაგრამ ეს შეცდომაა. პოემის შესავალის ფილოლოგიური და პოეტური ანალიზი არ სტოვებს ეჭვს, რომ იგი შეიცავს სამ პოეტურ ტექსტს, სამ დამოუკიდებელ ნაწარმოებს.

როგორც ირკვევა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში დაცული ზედწერილების მიხედვით, ეს სამი პოეტური ტექსტი შემდეგ სათაურებს ატარებენ:

I. პირველი პოეტური ტექსტი: «ამბვისა დასაწყისი პირველი» (იწყება სიტყვებით: «რომელმან შექმნა სამყარო...»). იგი წარმოადგენს პოემის წინასიტყვაობას.

როგორც ცნობილია, პოემა-რომანის ერთ-ერთი სახელწოდებაა ძველ ქართულად «ამბავი» (ასე ეწოდებოდა, კერძოდ, თვით ვეფხისტყაოსანს; იხ. ამის შესახებ ზემოთ, გვ. 187 — 188), ამრიგად, ამ პირველი პოეტური ტექსტის თვით ზედწერილი «ამბვისა დასაწყისი პირველი» პირდაპირ მიუთითებს, რომ იგი პოემის წინასიტყვაობაა.

აღენიშნავთ, ამასთან, რომ ეს პირველი პოეტური ტექსტი მოიხსენება ვეფხისტყაოსნის ერთ ძველ ინტერპოლაციაში (ლექსში), რომელიც XIII — XIV საუკუნეებს ეკუთვნის; ინტერპოლაციაში იგი ასეა შითთებული: «პირველ-თავი დასაწყისი»; ამრიგად, ამ ლექსში-ინტერპოლაციაში თითქმის უცვლელად არის გადატანილი და განმეორებული ამ პირველი პოეტური ტექსტის სახელწოდება: «ამბვისა დასაწყისი პირველი» — «პირველ-თავი დასაწყისი» (ამ ინტერპოლაციის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ, გვ. 202—203).

II. მეორე პოეტური ტექსტი ხელნაწერში ატარებს სათაურს «სწავლისათვის მოზაირეთა». იგი არის დამოუკიდებელი ნაწარმოები — სწავლაზე პოეზიაზე — *Ars poetica*, თავისი დასაწყისით და დასასრულით.

III. მესამე პოეტური ტექსტი ვეფხისტყაოსნის ყველა ხელნაწერში გამოყოფილია ცალკე სათაურით: «ჟარი მიჯნურობისა». ესეც დამოუკიდებელი ტექსტია, ასევე თავისი დასაწყისით და დასასრულით.

პოემის სამივე შესავალი წარმოადგენს შინაგანი მთლიანობით აღბეჭდილ პოეტურ ტექსტს; ხოლო ამას გარდა მათ თავისთავად სახეობას ადასტურებს აკრეთვე მათი გარეგანი ფორმა: სამივე პოეტური ტექსტი დაწერილია ძველ-ქართული პოეზიის კლასიკური ფორმით — «ხუთეული» (ხუთი ხანა), რომელიც მიღებული იყო XII — XIII საუკუნეთა ქართულ პოეზიაში მცირე ფორმის ნაწარმოებთათვის.

ჩვენ აქ მოვიხსენებთ ორ ძეგლს XII საუკუნისა.

პირველი პოეტური ძეგლი თარიღდება 1121 წლით, როდესაც საქართველოს ჯარმა დიდგორის ბრძოლაში დაამარცხა საქართველოს საზღვრებში შემოჭრილი მუსულმანთა დიდი კოალიციის მხედრობა (რასაც შედეგად მოჰყვა თბილისის განთავისუფლება). დავით აღმაშენებელმა, რომელიც იყო არა მხოლოდ ბელადი ერისა, არამედ დიდი განმანათლებელი, ქართველი ხალხის ზემის აღსანიშნავად დაწერა „იამბიკო ხუთეული, ოცდახუთ ლექსად აღწერილი“. ამის შესახებ დაცულია ცნობა XII საუკუნის საისტორიო წყაროში (იხ. ზემოთ, გვ. 46). თვით ტექსტი ამ ძეგლისა არ მოღწეულა.

74 წლის შემდეგ, დიდი თამარის დროს, ქართველმა ჯარმა შამქორის ბრძოლაში ასევე დაამარცხა საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებული მუსულმანთა დიდი კოალიცია. ქვეყანა გადაურჩა დიდ განსაცდელს (ეს იყო მუსულმანთა „საღმართო ომი“, გამოცხადებული ხალიფის მიერ საქართველოს წინააღმდეგ). ქართველი ერის ამ ზემის დროს დიდმა თამარმა (ისევე როგორც ძველად დავით აღმაშენებელმა) დაწერა ლექსი „ცასა ცათასა“. ეს იამბიკური ლექსი თამარისა, დაწერილი 1195 წელს, შეტანილია XII საუკუნის ქართულ საისტორიო ძეგლში „ისტორია-აზმანი შარაეანდელთანი.“ დაწერილია იგი იმავე სალექსო ფორმით „ხუთეული“.

თამარის ამ ლექსის შესახებ ჩვენ გვქონდა საუბარი (იხ. ზემოთ, გვ. 46): იგი დიდ პოეზიას ეკუთვნის. ამავე დროს იგი არის ძეგლი, რომელშიაც აღბეჭდილია XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფოს სიდიადე.

ის გარემოება, რომ XII საუკუნის მანძილზე დავით აღმაშენებელი და თამარი მიმართავენ „ხუთეულის“ სალექსო ფორმას, ნაწარმოებებში, რომლებიც ქართველი ერის დიდი ზემის გამო იყო დაწერილი, ადასტურებს, რომ ეს ფორმა „ხუთეული“ ტრადიციით ყოფილა განმტკიცებული. „ხუთეული“ ქართულ პოეზიაში ისეთივე ტრადიციული ფორმა ყოფილა, როგორც სონეტი (ოთხეული) დასავლეთის პოეზიაში.

*

ისტორიული და ლიტერატურული საკითხები ვეფხის-ტყაოსნის შესავლის სამი პოეტური ტექსტის შესახებ ჩვენ უკვე განხილული გვქონდა მონოგრაფიაში „შოთა რუსთაველი“ (იხ. გვ. 125 — 140) და ამ საკითხებზე აქ აღარ შეეჩერდებით.

ამგზის ჩვენ მხოლოდ განუყოფრებით გადავიკითხავთ ამ სამ ტექსტს და დაწერალებით განვიხილავთ იმ დანართებს. რომლებიც ჩართულია ამ ტექსტებში XIII — XIV საუკუნეთა მანძილზე.

ვეფხისტყაოსნის პირველი შესავალი

„ამბვისა დასაწყისი პირველი“

შოთა რუსთაველისა

მოგვყავს შოთა რუსთაველისეული შესავალი «ამბვისა დასაწყისი პირველი», რომლითაც იხსნება ვეფხის-ტყაოსანი.

•

ამბვისა დასაწყისი პირველი

- 1 რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა.
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერთა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა.
- 2 ჰე ღმერთო ერთო, შენ შექქე შენ სახე ყოვლისა ტანისა,
შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა,
მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდილმდე გასატანისა,
ცოდვათა შესუბუქება, მუნ თანა წასატანისა.
- 3 თამარს ვაქებდღე მეფესა სისხლისა ცრემლდათხეული!
ვთქვენი ქებანი ვისნი მე, არ ავად გამორჩეული:
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა, კალმად მე — ნაი რხეული!
ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული.
- 4 თვალთა, მისგან უნათლოთა, ენატრამცა ახლად ჩენა,
აჰა, გული გამიჯნურდა, მიხვდომია ველთა რბენა!
მიაჯეთ, ვინ ხორცთა დაწვად კმარის, მისცეს სულთა ლხენა:
სამთა ფერთა საქებელთა ლამის ლექსთა უნდა ვლენა.
- 5 ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ ვინცა მიქია,
ესე მიჩნს დიდად სახელად, არ თავი განმიქიქია!
იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია.
მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია.

ორი პოლემიკური შემატება
რუსთაველის მოწინააღმდეგეთა

ვეფხისტყაოსნის პირველ შესავალს («ამბავისა დასაწყისისა») დართული აქვს ორი პოლემიკური შემატება რუსთაველის მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან. ჩვენ აქ გავეცნობით ამ ტექსტებს.

I — a

პირველი შემატება:

ხვაშიადისა ზამთლავანებისათვის

(პოლემია, მიმართული რუსთაველის წინააღმდეგ,
დანართი XIII — XIV სიუჟეტთა)

ტექსტი ამ პირველი შემატებისა (I — a) ასე იკითხვის:

- ა ხაშს თავისსა ხვაშიადსა არვისთანა ამქლავნებდეს,
არ ბედითად „ჰაი“ ზმიდეს, მოყვარესა აყივნებდეს,
არსით უჩნდეს მიჯნურობა, არა სადა იფერებდეს,
მისთვის ჭირი ღზინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოიდებდეს.
- ბ მას უშმაგო ვით მიენდოს, ვინ მოყვარე გაამქლავნოს,
ამის მეტი რამცა ირგო, მას ავნოს და თვითცა ივნოს!
რათამცალა ასახელა, რა სიტყვათა მოაყივნოს?
რა ჰგავა, თუ მოყვარესა კაცმან გული არ ატკივნოს!
- გ მიკვირს კაცი რად იფერებს საყვარლისა სიყვარულსა,
ვინცა უყვარს — ვინ აყივნებს, მისთვის მკვდარი — მისთვის წყლულსა?!
თუ არ უყვარს, რათადა სძულს? რად აყივნებს ვინც არ სძულსა!
— ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა!

ეს სტროფები არ წარმოადგენენ რაიმე სიძნელეს ენის მხრივ, მაგრამ რათა თანამედროვე მკითხველისათვის ბოლომდე ცხადი იყოს შინაარსი, მოგვეყავს მისი სრული ტექსტი ახალ ქართულზე. აი მისი ზედმიწევნით აღექვატური თარგმანი:

„ნამდვილი მიჯნური არავისთან არ უნდა ამქლავნებდეს თავის საიდუმლოს; იგი არ უნდა ოხრავდეს საბრალოდ და ამით არ უნდა აყენებდეს შეურაცხებას თავის მოყვარეს. მას არას შემთხვევაში არ უნდა გამოაჩინდეს მისი მიჯნურობა, იგი არსად არ უნდა იფერებდეს ამას. მისთვის ჭირი მას უნდა მიაჩნდეს ღზინად, მისთვის იგი მზად უნდა იყვეს ცეცხლოდ მოიდოს.

1 სიტყვები, რომლებიც იგულისხმება კონტექსტის მიხედვით, ჩასმულია სწორ ფრჩხილებში: []

„ხოლო ვინ მიენდობა, გარდა შმაგისა, ისეთ ადამიანს, რომელმაც მოყვარე გაამელა-
ნა? რას ირგებს იგი ამით? აენებს მას და თავის თავსაც იენებს! რითღა ასახელა მან იგი,
როცა თავისი სიტყვით [საიღუმლოს გამოცხადებით] შეურაცხყო რა საპირობაა, რომ
კაცმა თავის მოყვარეს გული ატყინოს!..

„მივიჩინო, კაცი რისთვის იფერებს, თითქოს იგი მიჯნური იყვეს?! [როდის მომხდარა],
რომ მიჯნური შეურაცხება მიეგო [საიღუმლოს გამოცხადებით] მისთვის, ვინც უყვარს! მის-
თვის მკვლარს — შეერცხვინა მისთვისვე დაწყულულებული ხოლო თუ არ უყვარს, — რისთვის
სძულს და ან რისთვის არცხვენს, ვინც არ სძულს [მაგრამ] ავს კაცს ავი სიტყვა ურჩევნია
სულსა და გულს!“

•

რასაკვირველია, ჩვენ სრულიად ყალბი წარმოდგენა უნდა გვქონდეს რუს-
თაველის გენიალურ ხელოვნებაზე, რომ მას მიეაწერათ ასეთი ტექსტი... ეს
ვულგარული ჩეზონიერობა, და ამავე დროს უღაზათო განმეორება ერთისა და
იმავე ფრაზებისა სამი სტროფის მანძილზე, ცხადია, არ ეკუთვნის შოთას, ამ
უცთომელს პოეტს. ამ სტროფების სიყალბეს ამხელს, გარდა მის საერთო
ვულგარული სტილისა და შინაარსისა, აგრეთვე ფორმალური ნიშნები: საკმაოა
აღენიშნოთ, რომ ამ ყალბ დამატებაში წარმოდგენილია დარღვევა ქართული
რითმის ისეთი ელემენტარული კანონისა, როგორცაა ერთ-მარცვლოვანი (ვა-
ჟური) რითმის ხმარება ორსა და მრავალ-მარცვლოვან სიტყვებში: „გამამელა-
ნოს — ივენოს“; ამისი მაგალითი არ არის ვეფხისტყაოსანში, არა თუ ნამდვილ
ტექსტში, არამედ ჩამატებულ ადგილებშიც*.

ყველა ეს ნიშნეულობა არ სტოვებს არავითარ ეჭვს, რომ ეს სტროფები
ყალბია.

მაგრამ ეს ტექსტი სხვა მხრივ იწვევს ჩვენს ინტერესს; არ არის საპირო-
დიდი გონებაშავილობა იმის გამოსაცნობად, რომ ეს ტ ე ქ ს ტ ი წ ა რ მ ო ა დ-
გ ე ნ ს პ ო ლ ე მ ი კ ა ს, — მ ი მ ა რ თ უ ლ ს პ ი რ ა დ ა დ თ ვ ი თ ო ნ რ უ ს-
თ ა ვ ე ლ ი ს წ ი ნ ა ა ლ მ დ ე გ.

მართლაც, გავითვალისწინოთ ამ ტექსტის შინაარსი. როგორც ვნახეთ.
სამი სტროფის მანძილზე ყალბისმქნელი აწეული ტონით ცდილობს დაგვი-
მტკიცოს, რომ ისეთი პირი, რომელიც გამოამყვანებს თავის მიჯნურობას.
სრულიად არ არის ნამდვილი მიჯნური; რომ ასეთ ადამიანს ალაპარაკებს მხო-
ლოდ ბოროტი განზრახვა და „სიავე“, რომ ასეთ ადამიანს ყურს ათხოვებს
მხოლოდ შმაგი, გონებადაკარგული, ხოლო ჰკვიანი მას არ მიენდობა!

საკითხავია, ვის გულისხმობდა ყალბისმქნელი, როცა სწერდა ამ ტირა-
დას? ყველაფრიდან ცხადია, რომ მას მხედველობაში ჰყავს სწორედ რუსთავე-
ლი. მართლაც, შოთა სჩადის სწორედ იმას, რასაც ეკამათება და ჰკიცხავს ყალ-
ბისმქნელი; რუსთაველმა პოემის წინასიტყვობაში გამოაცხადა თავისი ამაღ-
ლებული მიჯნურობა მეფის თამარისადმი. აი სად არის მთელი ამ პოლემიკის
სათავე.

* აღსანიშნავია აგრეთვე უმწეო განმეორება ერთისა და იმავე სიტყვებისა. ასე: — მო-
ყვინება („აყვინებდეს“, „მოაყვინოს“, „აყვინებს“); გამელავენება („ამელავენებდეს“, „გამამელა-
ვენოს“).

შეიძლება მკითხველმა იფიქროს, რომ ეს დამატება ყალბისმქნელისა წარმოადგენს უბრალო სენტენციებს, და მას არა ჰყავს მხედველობაში რუსთაველი; მაგრამ ასეთი დასკვნა, რასაკვირველია, შეცდომა იქნებოდა. მართლაც, მკითხველმა გაითვალისწინოს შემდეგი:

ყალბისმქნელს პოემის შესავალში შეუტანია თავისი დამატება; ცხადია, იგი კარგად იცნობს ამ შესავალის შინაარსს, კარგად იცის, რომ რუსთაველი აქ ლაპარაკობს თავის მიჯნურობაზე. რასაკვირველია, მას შეუძლებელია არ სცოდნოდ, რომ ეს მისი დამატება დიამეტრალურად ეწინააღმდეგება იმას, რასაც გადმოგვცემს რუსთაველი. ხოლო რაკი ყალბისმქნელს მაინც შეაქვს ტექსტში ეს თავისი ინტერპოლაცია, რომელიც საწინააღმდეგოა რუსთაველისა, ცხადია, იგი განზრახ არის მიმართული მის წინააღმდეგ, განზრახ არის დაწერილი რუსთაველის გასაბათილებლად.

ამრიგად, ვაგება ამ ტექსტისა სხვანაირად შეუძლებელია, თუ არ დავასკვნით, რომ აქ წარმოდგენილია ფარული პოლემიკა რუსთაველის წინააღმდეგ. და მართლაც, გარდა საზოგადო ტენდენციისა, რომელსაც ჩვენ ვხედავთ ამ დამატებაში, ცალკე სტრიქონებში წარმოდგენილია პირდაპირი პოლემიკური შებრუნება თვითონ რუსთაველის სიტყვებისა. ჩვენ აქ ხაზგასმით აღვნიშნავთ ამ შემთხვევებს, რადგან ეს ტექსტი საზოგადოდ დიდ ინტერესს შეიცავს, და შუქსა ჰყენს ზოგს ბუნდოვან კითხვას, რომლებიც ჩვენ შეგვხვდება წინამდებარე გამოკვლევის დროს.

აი, თვით ეს მაგალითები:

*

ა. რუსთაველი პოემის შესავალში გადმოგვცემს, რომ იგი შთაგონებულია თამარის მიჯნურობით, რომ მან უძღვნა თამარს ქებანი, და რომ თვით ეს პოემაც — ვეფხის-ტყაოსანი არის სამარადისო ძეგლი თამარის სადიდებლად:

„ჩემი აწ ცანით ყოვლმან, მას ვაქებ ვინცა მიქია.
ესე მიჩნს დიდად სახელად!“

ყალბისმქნელი მოკამათის ტონით აბრუნებს რუსთაველის ფრაზას და ამბობს:

„მას უშმაგო ვით მიენდოს, ვინ მოყვარე გაამქლავნოს!
რათამცაღა ასახელა რა სიტყვითა მოყვიროს!“

[= „ვინ მიენდობა, გარდა შმაგისა, ისეთ აღამიანს, რომელმაც მოყვარე გაამქლავნა; რითღა ასახელა მან იგი, როცა თავისი სიტყვით (საიდუმლოს გამოცხადებით) შეურაცხყოლ“].

როგორც ვხედავთ, აქ განმეორებულია საკამათო შებრუნებით თვით რუსთაველის სიტყვები: რუსთაველი: — „ესე მიჩნს დიდად სახელად!“ ყალბისმქნელი: „რათამცაღა ასახელა!“

ბ. რუსთაველი პოემის შესავალში, გადმოგვცემს რა თავის ახალ შთაგონებას, წერს:

„თვალთა მისგან (ე. ი. თამარისგან) უნათლოთა ენატრამცა ახლად ჩენა:
აჰა, გული გამიჯნურდა, მიჰსვლამია ველთა რბენა!
მიაჯეთ, ვინ ხორცთა დაწვად კმარის, მისცეს სულთა ღზენა!“

აქედ ყალბისმქნელი მოკამათის ტონით უპასუხებებს რუსთაველს:

„ხამს მიჯნური ხვაშიადასა არვისთანა ამელაუნებდეს,
არ ბედითად „ჰაი“ ზმიდეს, მოყვარება აყივნებდეს,
მისთვის ჭირი ღზინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოიდებდეს!“

(= „ნამდვილი მიჯნური არავისთან არ უნდა ამელაუნებდეს თავის საიდუმლოს; აგი არ უნდა ოხრავდეს საბრალოდ და ამით არ უნდა აყენებდეს შეურაცხებას თავის მოყვარეს. მისთვის ჭირი მის უნდა მიაჩნდეს ღზინად, მისთვის იგი მზად უნდა იყვეს ცეცხლიც მოიღოს“).

როგორც ვხედავთ, ყალბისმქნელს სურს დაამტკიცოს, რომ რუსთაველი არ არის გულწრფელი, რომ მას ალაპარაკებს არა მოჯნურობა, არამედ თამარის შეურაცხების განზრახვა, რადგან ნამდვილი მიჯნური არასოდეს არ იქცევაო ისე, როგორც ამას სჩადისო რუსთაველი.

აღსანიშნავია, რომ ამ ყალბ სტროფშიც არის რუსთაველის სახეების პირდაპირი რემინისცენია:

რუსთაველი:

„მიაჯეთ ვინ ხორცთა დაწვად კმარის, მისცეს სულთა ღზენა!“

ყალბისმქნელი:

„მისთვის ჭირი ღზინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოიდებდეს“.

(ე. ი. თუ რუსთაველი ხორცთა დაწვად სჩადის, ნამდვილი მიჯნური არასოდეს არ ეტყობა ამას, რადგან იგი მზად არის მიჯნურისათვის ცეცხლი მოიღოსო).

ც. ყალბისმქნელი თავის დამატების უკანასკნელ სტროფში ისევ უბრუნდება რუსთაველის არაგულწრფელობას, და ხაზგასმით აღნიშნავს:

„მივივრს კაცი რად იფერებს საყვარლისა სიყვარულსა?
ვინცა უყვარს — ვინ აყივნებს, მისთვის მკვდარი — მისთვის წყლულსა!
თუ არ უყვარს რათაღა სძულს? რად აყივნებს ვინც არ სძულსა!“

(= მივივრს კაცი რისთვის იფერებს, თითქოს იგი მიჯნური იყვეს?! [როდის მომხდარა] რომ მიჯნურს შეურაცხება მიეგო [საიდუმლოს გამოცხადებით] მისთვის, ვინც უყვარს მისთვის მკვდარს — შეეცხვინა მისთვისვე დაწყულულებული ხოლო თუ არ უყვარს, — რისთვის სძულს და ან რისთვის არცხვენს, ვინც არ სძულს!)

აქედან ინტერპოლატორი აკეთებს დასკვნას, რომ რუსთაველს ალაპარაკებს ბოროტი განზრახვა, და თვით პოლემიკას ასრულებს ასეთი სიტყვებით:

„აჲსა კაცსა ავი სიტყვა, ურჩენია სულსა, გულსა!“¹

I — b

მეორე შემატება

«პირველ-თავი დასაწყისი...»

(პოლემიკა, მიმართული ვეფხის-ტყაოსნის წინააღმდეგ,

დანართი XIII — XIV საუკუნეთა)

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს მეორე პოლემიკური შემატება, სადაც ინტერპოლატორი სრულიად იხდის ნიღაბს, და პირდაპირ ეკამათება ვეფხის-ტყაოსნის ავტორს. ინტერპოლატორი წერს:

„პირველ-თავი დასაწყისი ნა თქვა მ ი ა ი გ ს პ ა რ ს უ ლ ა დ,
უხმობთ ვეფხის-ტყაოსნობით, ა რ ა ს შ ე ი ქ მ ს ხ ო რ ც ს, ა რ, ს უ ლ ა დ!
საერთა, ა რ ა ხ ს ე ნ ე ბ ს ს ა მ ე ბ ა ს ა ე რ თ ა რ ს უ ლ ა დ!
ა რ ა ს გ ვ ა რ გ ე ბ ს ს ა უ კ უ ნ ო ს, რ ა დ დ ე ი ქ მ ნ ა ს ა ლ ხ ა ს რ უ ლ ა დ!“²

ამ ტექსტის შესახებ საკიროა განმარტება. მკითხველმა იცის, რომ ვეფხის-ტყაოსანში, გარდა აქ მოყვანილი სტროფისა, შეტანილია აგრეთვე მეორე სტროფი, რომელიც გადმოგვცემს, თითქოს ვეფხის-ტყაოსანი არის სპარსულიდან გადმოღებული „ამბავის“ გალექსვა. ეს მეორე სტროფი პოემის „მზვის“ (სიუჟეტის) სპარსულობის შესახებ, როგორც ეს გამოირკვევა შემდეგი გამოკვლევიდან, ნაკვიანევ დამატებას წარმოადგენს, სადაც ტრადიცია სრულიად დაბნელებულია.

¹ აქ განხილული შემატება ყალბისმქნელს მიუწერია პოემის შესავალთა ბოლოს (მესამე შესავლის დასასრულს), როგორც ერთგვარი ვერდიქტი რუსთაველის წინააღმდეგ.

ჩვენ ამ პოლემიკურ დანართს ვუწოდებთ პირველი შესავლის («ამბავისა დასაწყისის») შემატებას იმის გამო, რომ იგი თავისი შინაარსით წარმოადგენს პოლემიკას მიმართულს რუსთაველის წინააღმდეგ პირველი შესავლის ტექსტზე დამყარებით; სწორედ პირველ შესავალშია სიტყვები რუსთაველისა თამარის შესახებ — „ჩემი აჲ ცანით ყოველმან მას ვაქებ, ვინცა მიქია, ესე მიჩნს დ ი ღ ა დ ს ა ხ ე ლ ა დ“ (იხ. სტროფი მე-5), რასაც ყალბისმქნელი პოლემიკურად აბრუნებს და პასუხად წერს: „რათამცალა ასახელა, რა სიტყვითა მოაყვივნოს“ (შემატების ბ სტროფი).

აქ საკიროა აღნიშნით აგრეთვე, რომ ერთ ხელნაწერში (III — D) შემატების ეს ბ სტროფი (სადაც მითითებულია ტექსტი — „რათამცალა ასახელა...“) გადატანილია შესავალთა ბოლოდან ც. ი. მესამე შესავლის დასასრულიდან პირველ შესავალში, სტროფთან, რომელიც იწყება სიტყვებით: „მე, რუსთვალი, ხელობითა [= მიჯნურობითა] ვიქმ საქმესა ამა დარა...“ ცხადია, III — D ხელნაწერის ვადაშწერს კარგად სცოდნია, თუ ვის წინააღმდეგ არის მიმართული ყალბისმქნელის ტირადა.

² ეს მეორე შემატება მოთავსებულია პოემის პირველი შესავლის („ამბავისა დასაწყისის პირველის“) წინ.

ხოლო აქ დაბეჭდილი სტროფი უფრო ძველია თავისი შინაარსით; ამ სტროფში ტერმინი „სპარსული“ ჯერ კიდევ არ ნიშნავს ამბავს, სიუჟეტს: „სპარსული“ — აქ აღნიშნავს თვითონ ვეფხისტყაოსნის მსოფლმხედველობას, ვეფხისტყაოსნის არაქრისტიანული იდეებს. მართლაც, მკითხველი დააკვირდეს კონტექსტს: ტერმინი „სპარსული“ აქ მიემართება თვით ქართულ ტექსტს; თვით პოემა, ქართული ტექსტი არისო — „სპარსული“ („ნათქვამია იგ სპარსულად“).

ამნაირად, ვეფხისტყაოსნის წინააღმდეგ აქ წამოყენებულია გარკვეული ბრალდება. ვეფხისტყაოსანი, ინტერპოლატორის მტკიცებით, არ არის ქრისტიანული ნაწარმოები, აქ გადმოცემულია არაქრისტიანული სწავლა, „სპარსული“ მოძღვრება. მართლმორწმუნე ინტერპოლატორი აფრთხილებს მკითხველებს, რომ ვეფხისტყაოსანში არ არის ხსენება სამებისა, რომ მისი გადაკითხვა წაწყმედას უდრის („არას გვარგებს საუკუნოს, რა დღე იქმნას აღსასრულად!“).

ეს პოლემიკური შემატება, რომელიც წარმოდგენილია ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში, ვახტანგს აღარ შეუტანია 1712 წლის გამოცემაში, რადგან თვით შინაარსიდან აშკარა იყო, რომ ეს სტროფი არ არის რუსთაველისა. სტროფი ეკუთვნის მე-13 საუკუნეს ან მე-14 საუკუნის პირველ ნახევარს, არა უგვიანეს (თარიღი ირკვევა იმის მიხედვით, რომ ეს სტროფი, როგორც მოვიხსენეთ, თავისი შინაარსით უფრო არქაულია, ვიდრე მეოთხე შემატება, რომელიც ვეფხისტყაოსნის „ამბავის“ სპარსულობაზე მოგვითხრობს).

* * *

ვეფხისტყაოსნის პირველი შესავალის (ამბავისა დასაწყისისა)

ორი შემატება

რუსთაველის დამცველთა

ვეფხისტყაოსნის პირველ შესავალს («ამბავისა დასაწყისისა») დართული აქვს ორი შემატება (რიგით მესამე და მეოთხე), რომლებიც ეკუთვნის რუსთაველის დამცველთ.

ჩვენ აქ გავეცნობით ამ ტექსტებს.

I—c

მესამე შემატება —

უწყება რუსთაველის შესახებ, რუსთაველის თქმულად აღწერილი:

რუსთაველი ღმერთი ბარბაქადისა

(დანართი XIII—XIV საუკუნეთა)

ტექსტი მესამე შემატებისა ასე იკითხვის:

- ა აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება,
ძალი მომუც და შეწვენა, შენგნით მაქვს — მივსცე გონება;
მით შევეწივნეთ ტარიელს, ტურფადცა უნდა ხსენება,
მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირს ერთმანეთის მონება.

ბ მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობილი, მისებრი მართ დაბადებით ვინმეცა ყოფილა შობილი! დავჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულ-ლახვარ-სობილი, აქამდის ამბვად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი.

გ მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი: ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი! დავუძღურდი, მიჯნურთათვის კვლავ წამალი არსით არი, ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი.

ეს ტექსტი შეიცავს მეტად მნიშვნელოვან გადმოცემას რუსთაველის შესახებ, რუსთაველის თქმულად აღწერილს.

ვეფხისტყაოსნის შესავალის ეს ტექსტი შემდეგ რომ არის ჩართული ვეფხისტყაოსანში, ამას პირველ რიგში ადასტურებს ხელნაწერთა ჩვენება. ხელნაწერთა შესწავლიდან ირკვევა, რომ ეს შემატება, რომელიც სამი სტროფისაგან შედგება და ერთს მთლიანს წარმოადგენს, თავდაპირველად არშიაზე ყოფილა მიწერილი (საქორაო ვიცოდეთ ამასთან, რომ ინტერპოლაციების მოთავსება არშიებზე მიღებული იყო, ამის ტრადიცია შერჩენილია ვეფხისტყაოსნის XVI — XVII საუკუნეთა ხელნაწერებშიაც).

ვეფხისტყაოსნის შესავალის ამ შემატების სტროფების თანრიგი პოემის მოღწეულ ხელნაწერებში სამგვარად არის წარმოდგენილი.

1) დედნების უმრავლესობაში თანრიგი სწორად არის დაცული: ეს პირველი შემატება (სტროფები ა, ბ, გ) მოთავსებულია ვეფხისტყაოსნის პირველი შესავლის (აჰმზისა დასაწყისისა) მესამე სტროფის შემდეგ.

2) დედნების მეორე წყებაში (V — O და არქეტები დედნისა VI — J) შემატება (სტროფები ა, ბ, გ) მოთავსებულია ვეფხისტყაოსნის პირველი შესავლის მესამე სტროფის წინ, რაც კონტექსტს არ უდგება.

3) დედნების მესამე წყებაში (III—D) თანრიგი სრულიად არეულია. სახელდობრ, შემატების გ სტროფი მოთავსებულია პირველი შესავლის (აჰმზისა დასაწყისისა) მესამე სტროფის შემდეგ; ხოლო დანარჩენი სტროფები ვადატანილია ვეფხისტყაოსნის მესამე შესავალში («ჯარი მიჯნურობისა») და მოთავსებულია ამ მესამე შესავალის პირველ სტროფთან (სახელდობრ შემატების ბ სტროფი მოთავსებულია შესავალის პირველი სტროფის წინ, ხოლო შემატების ა სტროფი მოთავსებულია შესავალის პირველი სტროფის შემდეგ).

ამრიგად, სტროფების თანრიგის მერყეობაში ჩვენ გვაქვს აშკარა კვალი იმისა, რომ ვეფხისტყაოსნის ეს მესამე შემატება თავდაპირველად არშიაზე იყო მოთავსებული, ინტერპოლაციების ტრადიციის თანახმად.

ეს მესამე შემატება რომ არ ეკუთვნის თვით რუსთაველის კალამს, ამას ადასტურებს აგრეთვე ტექსტის პოეტური ანალიზი. საკმარისია თვალი გადავაკლათ თუნდაც პირველი (ა) სტროფის შეუწყობელ რითმებს, რათა ეს ნათელი

გახდეს; აქ დარღვეულია ელემენტარული წესები დაბალი შიარის დაქტილური რითმების შეთანხმებისა¹.

ამრიგად, მესამე შემატების ავტორი არ არის ბრწყინვალე ვერსიფიკატორი; ხოლო ცნობები, რომელსაც იგი გადმოგვცემს, მნიშვნელოვანია.

მესამე შემატების ავტორი ეკუთვნის რუსთაველის დამცველთა ბანაკს, მესამე შემატებაში წარმოდგენილია სრულიად საწინააღმდეგო კონცეფცია, ვიდრე ვეფხის-ტყაოსნის ბოლო-თქმის გადაყვებულ ტექსტში და დამატებულ ყალბ სტროფში „დავითის ქმნანი“. რუსთაველის მოწინააღმდეგეთა წრის ეს წარმომადგენელი (რომელიც XIII საუკუნის მეორე ნახევრის ავტორია) ცდილობს დაამოკროს ვეფხის-ტყაოსნის თამარის სახელი, განამტკიცოს შეხედულება, რომ ვეფხის-ტყაოსანი არ არის თამარის ქებანი, რომ პოემა საერთოდ არ არის დაკავშირებული საქართველოსთან, რომ აქ არ არის პოეტური გარდასახვა საქართველოს სინამდვილისა.

ხოლო მესამე შემატებაში გადმოცემულია სრულიად საწინააღმდეგო შეხედულება. ამ მესამე შემატების ავტორი ვეფხის-ტყაოსნის იდეალურ პერსონაჟებში ხედავს ისტორიული სინამდვილის ასახვას, იგი იგივეობის ნიშანს ატარებს ტარიელსა და რუსთაველს შორის. ეს ავტორი, რომელიც XIII — XIV საუკუნეთა მიჯნაზე ცხოვრობდა, რუსთაველს წარმოათქმევინებს სიტყვებს;

„მო, დაუხდეთ ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობილი...“

„მე რუსთველი ხელობითა (—მიყნურობითა)

ვიქმ საქმესა ამა დარი (=ტარიელის დარი),

ვის მორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ მისთვის მკვდარი...“

ინტერპოლატორი წარმოგვიდგენს რუსთაველს, როგორც ტარიელის „დარს“, სწორს, ტარიელის ორეულს, ისევე როგორც თამარი არის „დარი“, alter ego ნესტან-დარეჯანისა.

აქ ჩვენ გვაქვს საფუძველი და სრული გამართლება იმ კონცეფციისა, რომელიც წარმოდგენილია წინამდებარე შრომაში ვეფხის-ტყაოსნის ისტორიული ასპექტისა და შოთა რუსთაველის შესახებ.

ჩვენ ვნახეთ, რომ ვეფხის-ტყაოსნის შესავალში შოთა მიმართავს თამარს როგორც თანასწორი თანასწორს. აგრეთვე ამ მესამე შემატებაში, რომელიც ეკუთვნის რუსთაველის დამცველის კალამს, რუსთაველი ასევე წარმოდგენილია როგორც თამარის გვერდით მდგომი.

ყოველივე ეს გასაგები ხდება მას შემდეგ, რაც საისტორიო წყაროებიდან დადასტურდა, რომ შოთა არის ბაგრატიონთა გვარისა, სამეფო გვარის გვერდის შტოს, ჰერეთის ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენელი. აქ ჩვენ გვაქვს იგივე სურათი, რაც პოემაში მოთხრობილია ინდოეთის სამეფო გვარეულობის ორი

¹ რითმა სტროფისა არის „ონება“ (მეორე და მეოთხე ტაქებში: „გონება“, „მონება“). პირველ და მესამე ტაქებში რითმები არაა შეთანხმებული: პირველ ტაქში გვაქვს რითმა „ანება“ („ხელოვნება“), მეოთხეში — „ენება“ („ხსენება“). ანეთი დაწლევია დაბალი შიარის რითმათა შეწყობის ელემენტარული წესებისა რუსთაველთან ერთხელაც არ გვხვდება.

შტოს შესახებ. ამრიგად, შოთას მიმართ სავსებით შეფარდებულია XIII—XIV საუკუნეთა ავტორის ეს უწყება, რომ შოთა არის „დარი“ ტარიელისა.

ამრიგად, შოთას ბიოგრაფია, აღდგენილი ისტორიული წყაროების საფუძველზე, აქ პოულობს ახალ დადასტურებას.

I — d

მეოთხე გვიანდელი შემატება

«მამ აშაპი სპარსული...»

(დანართი XIV—XV საუკუნეთა)

ტექსტი ამ გვიანდელი მეოთხე შემატებისა (რომელიც ერთ სტროფს შეიცავს) ასე იკითხვის:

ესე აშაპი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგოგმანები,
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები;
ჩემმან ხელ-მქმნელმან და-ვე-მერთო! ლაღმა და ლაღაზმა ნები.

ეს სტროფი, როგორც ირკვევა, ყველაზე გვიანდელია ვეფხის-ტყაოსნის შესავალისა და ბოლო-თქმის დანართებს შორის.

ამ საკითხზე აქ უფრო დაწვრილებით შევჩერდებით.

ვეფხის-ტყაოსნის სამივე შესავალისა და ბოლო-თქმის დანართი სტროფებია XIII — XIV საუკუნეთა ორ ჯგუფად განიყოფება:

პირველი ჯგუფი: დანართები, რომლებიც მოიპოვება როგორც ვახტანგისეულ დედაწიში, ისე ყველა ხელნაწერში;

მეორე, უფრო გვიანდელი ჯგუფი: დანართები, რომლებიც არ მოიპოვება ხელნაწერთა ნაწილში.

ამ მეორე ჯგუფს ეკუთვნის:

1. შემატება მეხუთე — «სადმართო მიჯნურობისათვის», რომლის შესახებ შემდეგ გვექნება საუბარი; იგი ჩართულია მესამე შესავალში («ქარი მიჯნურობისა»). ამ მეხუთე შემატებას არ იცნობს ერთი ხელნაწერი: III — D.

2. დანართი სტროფი „თუ მოყვარე მოყვრისათვის...“, რომელიც ჩართულია მესამე შესავალში («მიჯნურობის კარშა») *; ამ სტროფს არ იცნობს ხელნაწერი III — D და იგი არ ყოფილა აგრეთვე არქეტიპში ხელნაწერისა VI—J.

1 ვეფხის-ტყაოსნის ხელნაწერებში ეს სიტყვა წარმოდგენილი ყოფილა შემდეგი კარიანტებით: „ღამართა“, „და-ვე-მერთო“ (= დამართო-ვე), „ღამმართოს“.

კარიანტი „ღამმართა“ წარმოდგენილია ვეფხის-ტყაოსნის უძველეს თარიღიან ხელნაწერში IV—E. დედნებში III — ACX თავდაპირველი წაკითხვა ყოფილა „და-ვე-მერთო“ (= დამართო-ვე).

უფრო გვიან ეს ტექსტი „და-ვე-მერთო“ დაზიანებულა („და-ვე-მერთო“ — „და-ვე-მერთო“). ა. შანიძე ამ დაზიანებულ წაკითხვას ასე აღადგენს: „და-ვე-მერთოს“, მაგრამ უფრო მართებულია მისი აღდგენა როგორც „და-ვე-მერთო“ (რაც უახლოვდება გამოსავალ დასაყრდენს, ACX ხელნაწერთა ტექსტს).

* ტრადიციული ტექსტის 31-ე სტროფი.

უფრო გვიან, როდესაც ეს სტროფი შეუტანიათ VI — J ხელნაწერის არქეტაპში, იგი ჩაუწერიათ არა ვეფხის-ტყაოსნის შესავალში («მიწნურობის კარში»), არამედ სრულიად უადგილოდ, თვით პოემის ტექსტში.

3. შემატება მეოთხე — სტროფი «ესე ამბავი სპარსული...»

ეს სტროფი არ ყოფილა არქეტაპში, საიდანაც მომდინარეობენ მთელი რიგი ხელნაწერები: IV — I, V — O [K], VI — J. უფრო გვიან, როდესაც ეს სტროფი შეუტანიათ არქეტაპში ხელნაწერისა VI — J, იგი ჩაუწერიათ არა ვეფხის-ტყაოსნის შესავალში («ამბვისა დასაწყისი პირველი»), არამედ სრულიად უადგილოდ მოუთავსებიათ თვით პოემის ტექსტში (კარში: «ამბავი პირველი როსტევიან არაბთა მეფისა»).

ასეთია ქრონოლოგიური თანრიგი ვეფხის-ტყაოსნის დამატებათა მეორე გვიანდელი ჯგუფისა; მათ შორის, ხელნაწერთა ამ დოკუმენტური ჩვენების თანახმად, ყველაზე გვიანდელია დანართი «ესე ამბავი სპარსული...»

ხოლო რამდენადაც ვეფხის-ტყაოსნის ვახტანგისეული დედნისა და ხელნაწერების საერთო ტექსტი, როგორც დადგენილია, ეკუთვნის XIV საუკუნის პირველ ნახევარს (უფრო ადრინდელია, ვიდრე დაიწერებოდა ვეფხის-ტყაოსნის დამატება — «ინდო-ხატაელთა ამბავი»)¹. ამის მიხედვით ეს სამი დანართი მეორე ჯგუფისა, რომლებიც არ მოიპოვება ხელნაწერთა ნაწილში, უნდა მიეკუთვნოს XIV — XV საუკუნეებს. ყოველ შემთხვევაში, დროს არა უადრეს XIV საუკუნის ნახევარისა.



სტროფი «ესე ამბავი სპარსული...» რომ გვიანდელი დანართია, ამას, გარდა ხელნაწერთა დოკუმენტური ჩვენებისა, ადასტურებს აგრეთვე მთელი რიგი სხვა ნიშნები, კერძოდ სტროფის პოეტიკა და ლექსიკა.

1. განვიხილოთ ჯერ გამოთქმა «მ არ გალიტი ობოლი» — ტაეპში: «ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგომანები».

«მარგალიტი ობოლი» აქ აღნიშნავს: იშვიათი, «უცხო», უბადლო მარგალიტი. ეს გამოთქმა არ არის რუსთაველური. ვეფხის-ტყაოსანში მარგალიტი მოხსენებულია 41-ჯერ, მაგრამ გამოთქმა «მარგალიტი ობოლი», გარეშე ამ ჩანართი სტროფისა, ერთხელაც არ გვხვდება პოემაში. «უცხო», იშვიათი მარგალიტის აღსანიშნავად რუსთაველი სულ სხვა სიტყვას ხმარობს: «ღარიბი», ღარიბი მარგალიტი. აღსანიშნავია ამასთან, რომ ამ სიტყვას «ღარიბი» (ამ მნიშვნელობით «უცხო», იშვიათი) შოთა ხმარობს არა მარტო მარგალიტის აღსანიშნავად, არამედ სხვა შემთხვევაშიც. ასე, შოთა ნესტანის მშვენიებას ასე აგვიწერს (სტროფი 356,4):

„საკვირველი და ღარიბი, უცხო პირით და ტანითა“²

ანდა უცხო რიდე, რომელიც ტარიელმა მოიპოვა ხატათში და რომელსაც შემდეგ ატარებს ნესტანი, ასე აქვს შოთას აღწერილი (სტროფი 448,4):

„იგი უცხო და ღარიბი, მტკიცისა რასმე შავისა“.

¹ იხ. პ. ინგოროყვა, რუსთველიანა (თხზულებათა კრებული, ტ. I, გვ. 32—35).

² ვარიანტი: „საკრძალავი და ღარიბი, უცხო პირით და ტანითა“.

ამრიგად, შოთას პოეტიკაში სახე „ღარიბი“ ყველა ამ შემთხვევაში ნიშნავს „უცხო“, რომელსაც ტოლი, ცალი არა ჰყავს, მარტოა, შოკლებული მოყვარე-მეგობარს; ამდენად არის „ღარიბი“.

ასევე ამ შემთხვევაშიც შოთა იშვიათი მარგალიტის მიმართ ხმარობს იმავე პოეტურ სახეს: ღარიბი მარგალიტი.

სტროფი 1504: „მოუდიოდის ძღვენია, რა მარგალიტი ღარიბი“.

სტროფი 1293: „ოქროც თანა წაიტანეს, მარგალიტი ღარიბები“.

სტროფი 1306: „თვალ-მარგალიტი ღარიბი უძღვნა ოქროსა გობითა“.

სტროფი 319: „მეფემან გასცნა მრავალნი თვალნი ღარიბად
ქებულნი“.

რაც შეეხება სიტყვას „ობოლი“, პოემაში ეს სიტყვა გვხვდება ხუთჯერ, ყველა შემთხვევაში ჩვეულებრივი მნიშვნელობით, იგი საერთოდ ერთხელაც არ გვხვდება როგორც პოეტური სახე:

სტროფი 742: „მიეც გლახაკთა საქურჭლე, ათავისუფლე მონები,
შენ დაამდიდრე ყოველი ობოლი, არას მქონები“.

სტროფი 1144: „მოგვიკვდა შემწე ქვრივისა, შემწყნარებელი ობლისა“.

სტროფი 768: „ვამლოცველნეთ დავრდომილნი, ობოლნი და ქვრივნი
სხვანი“.

სტროფი 209: „გაგარისხე, დარჩომილ ვარ ღარიბად და ამად ობლად“.

სტროფი 1510: „ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს,
ობოლ-ქვრივნი დაამდიდრეს და გლახაკნი არ ითხოვდეს“

2 — 4. შოთას ლექსიკონს არ ეკუთვნის აგრეთვე მთელი რიგი სიტყვები ამ სტროფისა:

„საგოგმანები“; პოემაში ერთხელაც არ გვხვდება არც ეს სიტყვა და არც სხვა, ნაწარმოები ამავე ფუძიდან.

„საქოკმანები“; არც ეს სიტყვა ეკუთვნის შოთას ლექსიკონს, პოემაში არ გვხვდება ამ ფუძიდან ნაწარმოები სიტყვები.

ლიცენცია „ნები“ (რითმაში) მნიშვნელობით „ნება“ („და-ვე-მართო ნები“, ე. ი. „დამართო ნება“) აგრეთვე არაა რუსთაველური. ანალოგიურ შემთხვევაში რუსთაველი ხმარობს ჩვეულებრივ გამოთქმას: „დამართო ნება“ (|| „დაპართო ნება“; სტროფი. 224: „დაპმორჩილდა, დაპართო ნება“, — ასევე რითმაში).

არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ, რომ ეს უხვირო ლიცენცია „ნები“ (რითმაში) ერთხელ კიდევ გვხვდება (აგრეთვე რითმაში), მაგრამ არა ნამდვილ ტექსტში, არამედ ყალბ სტროფში (ტრადიციული ტექსტის სტროფი 697); აშკარაა აქ ერთ და იმავე ინტერპოლატორთან გვაქვს საქმე.

ამრიგად, ჩვენს წინაშე ნათელი სურათია. როგორც ხელნაწერთა ჩვენება, ისე თვით პოეტიკა და ლექსიკა სტროფისა ადასტურებს, რომ სტროფი „ესე ამბავი სპარსული...“ არ ეკუთვნის რუსთაველს.

განვიხილოთ ამის შემდეგ შინაარსი ამ მეოთხე შემატებისა.

რამდენადაც ეს დანართი სტროფი, როგორც გამოირკვეა, ყველაზე გვიან-დელია ვეფხის-ტყაოსნის შესავალისა და ბოლო-თქმის განხილულ დანართთა შორის და ამის მიხედვით ეკუთვნის XIV—XV საუკუნეებს (ე. ი. ყოველ შემთხვევაში საუკუნე-ნახევრით, ან შესაძლოა ორი საუკუნით და მეტიც) დაშორებულია ვეფხის-ტყაოსნის ხანას, ბუნებრივია, რომ ამ ხნის მანძილზე გადმოცემები რუსთაველის შესახებ თანდათანობით ბურუსში გახვეულა (მით უფრო რომ XIII—XIV საუკუნეთა მანძილზე მონგოლთა მფლობელობის ხანაში, ჩვენ გვაქვს დიდი ტეხილი საქართველოს ისტორიაში). ამიტომაც რომ ინტერპოლატორი, რომელსაც უკვე აღარ ჰქონდა ცოცხალი გადმოცემა რუსთაველის შესახებ, ემყარება უკვე ცნობილ ტექსტებს და ძირითადად მათ იმეორებს.

სახელდობრ, ეს სტროფი „ესე ამბავი სპარსული...“ ძირითადად არის შემდგომი გამოძახილი (ცალკეულ ადგილებში სიტყვა-სიტყვით განმეორება) ვეფხის-ტყაოსნის ბოლო-თქმის ყალბი სტროფისა „დავითის ქმნანი“, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი (იხ. გვ. 192—194). ამ ყალბისმქნელს, როგორც ვნახეთ, შოთა რუსთაველისეული ბოლო-თქმის ტექსტიდან, ჭერ ერთი, ამოუშლია სახელი „თამარის“ და მის ადგილას ჩაუწერია „დავითის“; ხოლო დამატებულ ყალბ სტროფში, რომელიც დავითს მიეძღვნის („დავითის ქმნანი“), ის ტენდენციური აზრია გატარებული, რომ ვეფხის-ტყაოსანი არის არა თამარის ქმნანი, არამედ „ამბავნი უცხონი“ (ამით ინტერპოლატორს სურს დააშოროს პოემას თამარის სახელი) და რომ ეს გალექსილი „უცხო ამბავნი“ მიეძღვნა პირველ რიგში დავითს (და არა თამარს).

მოგვყავს შეპირისპირებით ამ ორი სტროფის ტექსტი:

ვეფხის-ტყაოსნის ბოლო-თქმის
ყალბი სტროფი:

დავითის ქმნანი ვითა ეთქვენ
სიჩალხე-სიხაფეთანი!
ესე ამბავნი უცხონი,
უცხოთა ხელმწიფეთანი,
პირველ ზნენი და საქმენი,
ქებანი მათ მეფეთანი,
ვაოვენ და ლექსად გარდავთქვენ,
ამითა ვილაყფეთანი!

ვეფხის-ტყაოსნის შესავალის
მეოთხე შემატება:

ესე ამბავი სპარსული,
ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი,
ხელის-ხელ საოგმანები,
ვაოვენ და ლექსად გარდავთქვი,
საქმე ვქმენ საუკმანები,
ჩემვან ხელ-მქმნელმან [— თამარმა]
და-ვე-მართო
ლაღა და ლამაზა ნები!

აქ ყურადღებას მივაქცევთ შემდეგს.

1. ბოლო-თქმის ყალბისმქნელი, როგორც ეს ცხადია თვით ტექსტიდან, რუსთაველის მოწინააღმდეგეა. ყალბისმქნელმა, როგორც ვნახეთ, ამოშალა რუსთაველის ბოლო-თქმიდან სახელი „თამარის“, მის ნაცვლად ჩაწერა „დავი-

თის“ და ამას დაურთო აქ მოყვანილი ყალბი სტროფი „დავითის ქმნანი“: პოემა ცხადდება დავითისადმი მიძღვნილად.

რაც შეეხება მეოთხე შემატების გვიანდელ ინტერპოლატორს, იგი რუსთაველის დამცველთა დასს ეკუთვნის. ჟერ ერთი, იგი პოემას თამარისადმი მიძღვნილად სთვლის.

ამას გარდა იგი იმასაც აღნიშნავს, რომ ამ პოემის დაწერით „საქმე ვქმენ „საქოქმანები“ (აქ, ცხადია, იგულისხმება ის კამათი, რაც ვეფხის-ტყაოსანმა გამოიწვია).

აქედანაც ჩანს, რომ მეოთხე შემატება („უე ამბავი სპარსული..“) დანართს წარმოადგენს. რად უნდა მიეჩნა შოთას ვეფხის-ტყაოსნის დაწერა „საქოქმანო საქმედ“; საიდან უნდა სცოდნოდა მას პოემის წერის დროს, რომ პოემა ასეთ დიდს, მრავალსაუკუნოვან კამათს გამოიწვევდა?

რუსთაველის მოწინააღმდეგეთა გასაბათილებლად მეოთხე შემატების ავტორი აცხადებს, რომ თვით თამარმა მოიწონაო პოემა, თვით დამართოო ნება მისი გამოქვეყნებისა: „ჩემმან ხელმქმნელმან [—თამარმან] და-ვე-მართო ლაღმა და ლამაზმა ნები“.

2. რას გულისხმობს ინტერპოლატორი, რომ თამარმა მოიწონაო პოემა? ამის დადგენაც შესაძლებელია.

საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, რომ თამარს მშენებლობა ჩაუტარებია რუსთავეში (—იგულისხმება თბილისის რუსთავეი). ცნობილ ღვთაების გუჯარში 1722 წლისა დავით კახთა მეფე წერს ქალაქ რუსთავეის შესახებ, რომ „დიდსა და ღმრთივ-ბრწყინვალესა“ მეფესა თანარს „...ამ ბოსტან-ქალაქსა (რუსთავესა) შინა მამულნი და საყდარნი მეტოქნი მღვთაებისა სახელსა ზედა აღშენებული ქონიან... ესრეთ ვიუწყეთ ძველთა მონახულთა მოხელეთაგან და მეფეთა გუჯართაგანცა“¹.

ამისგან დამოუკიდებლად დამოწმებულია მეორე ანალოგიური გადმოცემა, რომ თამარმა შოთას პატივისცემის ნიშნად რუსთავეი გააშენა. ეს გადმოცემა დაცული აქვს ქართველ პოეტს სერაპიონ სოგრატის-ძე საბაშვილს; სერაპიონი ერთ პოეტურ ტექსტში — „რუსთაველთან გაბაასება“ (რომელიც დაწერილია XV—XVI საუკუნეთა საზღვარზე) რუსთაველს წარმოათქმევინებს შემდეგ სიტყვებს („აქა რუსთაველისაგან პასუხის შექცევა“);

„...მე გავლექსე ლამაზ-ენა,
აშიკი ვარ თვალ-წარბისა,
ვინ სოფელი დააშვენა [—თამარისი],
...მათ აუბნეს ტკბილად ენა,
მან რუსთავეი ამიშენა“².

მეტად საგულისხმო დამთხვევაა გადმოცემათა (არაა ინტერესს მოკლებული აღენიშნოთ ამასთან, რომ ამ ძველი გადმოცემის თანახმად შოთას სამშობლოდ თბილისის რუსთავეი ითვლება).

3. დაუბრუნდეთ ამის შემდეგ ისევ ყალბი სტროფს „დავითის ქმნანი“.

¹ იხ. პ. ინგოროყვა, რუსთველიანა (თბილუბათა ჟრბული, ტ. I, გვ. 95).

² იხ. იქვე, გვ. 96—97.

მას შემდეგ, რაც ამ ყალბისმქნელმა ტენდენციური მიზნით პირველად შეთხზა ლეგენდა, რომ ვეფხის-ტყაოსანი უცხოური წარმოშობისაა (რათა დაე-შორებინა პოენისაგან თამარის სახელი) და ეს ლეგენდარული ცნობა, პოემის შინაგანი გაბათილების მიზნით, ჩაიწერა ვეფხის-ტყაოსნის ტექსტში, ამან თავისი კვალი დასტოვა და მას გამოხმაურება ჰქონდა.

გვიანდელი ინტერპოლატორი მეოთხე შემატებისა მას იმეორებს, მაგრამ ზოგიერთი შეცვლით.

სახელდობრ, ლეგენდის პირველ ვარიანტში, რომელიც ჩაწერილია ყალბ სტროფში „დავითის ქმნანი“, ჯერ კიდევ არაა საუბარი არც თარგმანისა და არც საერთოდ რაიმე ერთი პირველწყაროს შესახებ, არამედ შოთამ ვითომც გამოიყენა უცხოური წყაროები, „ამბავნი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი, პირველ ზნენი და საქმენი, ქებანი ზათ მეფეთანი“ და ეს გამოკრებილი მასალები ლექსად გარდათქვა.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, პოეტი სერაპიონ სოგრატის-ძე საბავშვილო ზემოთ მოხსენებულ „რუსთველთან გაბაასებაში“ (რომელიც XV—XVI საუკუნეთა მიჯნას ეკუთვნის) არ ლაპარაკობს თარგმანის შესახებ; მეტიც, იგი საერთოდ უარყოფს პოემის უცხოურობას და ვეფხის-ტყაოსანს სთვლის თამარის ქებად („აშიკი ვარ თვალ-წარბისა, ვინ სოფელი დააშვენა“).

ხოლო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უძველესი ცნობა ვეფხის-ტყაოსნის შესახებ, რომელიც ეკუთვნის პოეტ სარგის III თმოგველს, რომელმაც XIV საუკუნის პირველ ნახევარში დაწერა ვეფხის-ტყაოსნის დამატება „ინდო-ხატაელთა ამბავი“. სარგის თმოგველი ერთ ინტერპოლატიაში (რომელიც შეტანილია ვეფხის-ტყაოსანში თმოგველის ინიციალით „თ“) და რომელიც თვით შოთას პოემას ეხება, გვამცნობს, რომ ვეფხის-ტყაოსანი წარმოადგენს ქებას თამარისა, და აქ საგანგებოდ ხაზგასმით აღნიშნულია პოემის ორიგინალობა. ამ ინტერპოლატიაში (რომელიც შოთას თქმულად არის აღწერილი) შემდეგი უწყებაა ვეფხის-ტყაოსნის შესახებ:

„კვლავ ქებანი ვეადრე ვის მე, არვის უთქვამხ ჩემსა წინა,
მისთვის (=თამარისთვის) ვლექსობ, სიტერფითა ვინ შექსა ჰვენს ხმელთა შინა“.

ვის ეკამათება პოეტი ასეთი აწეული პოლემიკური ტონით, რომ ვეფხის-ტყაოსანი თავისთავადია, ქართული, რომ იგი არის ქებანი თამარისა, რომ იგი „არვის უთქვამხ ჩემსა წინა“.

აშკარაა, სარგის თმოგველი აქ ეკამათება თავის უფროს თანამედროვეს, ინტერპოლატორს, რომელმაც ჩაწერა ვეფხის-ტყაოსანში ყალბი ტენდენციური სტროფი „დავითის ქმნანი“.

სარგის თმოგველი, რომელმაც XIV საუკუნის პირველ ნახევარში დაწერა ვეფხის-ტყაოსანის დამატება „ინდო-ხატაელთა ამბავი“, ცხადია, კარგად იყო ორიენტირებული ვეფხის-ტყაოსნის ისტორიის საკითხებში, უქვევლია, მას პირდაპირი ცნობები და გადმოცემები ჰქონდა შოთას და მისი პოემის შესახებ, და ამის გამო სარგის თმოგველის ამ უწყებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, მეტი, ვიდრე ტენდენციურ ცნობას ყალბი სტროფისა „დავითის ქმნანი“ (და ამ უკანასკნელისაგან დამოკიდებულ მეოთხე შემატებას).

4. მეოთხე შემატებაში ყურადღებას იქცევს აგრეთვე შემდეგი.

ჩვენ უკვე აღნიშნული გვექონდა რომ ყალბ სტროფში „დავითის ქმნანი“, სადაც პირველად ჩნდება ტენდენციურად შექმნილი ლეგენდა ვეფხის-ტყაოსნის ამბავის უცხოურობის შესახებ, ჯერ კიდევ არ არის საუბარი არც თარგმანისა და არც რაიმე ერთი პირველწყაროს შესახებ, არამედ ვითომც შოთამ გა-მოიყენა უცხური წყაროები, „ამბავნი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი, პირველ ზნენი და საქმენი, ქებანი ნათ მეფეთანი“ და ეს შეკრებილი მასალა ლექსად გარდათქვა. ხოლო გვიანდელი დროის მეოთხე შემატებაში ვეფხის-ტყაოსანი ცხადდება სპარსულიდან გადმოღებულად.

საიდან გაჩნდა აქ „სპარსული“?

„სპარსული“, ცხადია, აქ გადმოვიდა მეორე შემატებიდან — „პირველ-თავი დასაწყისი...“, რომელზედაც ზემოთ გვექონდა საუბარი და რომელიც ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ამ მეოთხე გვიანდელ შემატებას.

მოვიგონოთ მისი ტექსტი; ამ მეორე შემატებაში ჩვენ ვკითხულობთ:

პირველ-თავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად,
უხმობთ ვეფხის-ტყაოსნობით, არას შეიქმს ხორცს, არ, სულად,
საეროა, არ ახსენებს სამებასა ერთ-არსულად,
არას გვარგებს საუკუნოს რა დღე იქმნას აღსაარულად.

ამ აღნიშნულ მეორე შემატებაში ინტერპოლატორი ეკამათება შოთასეულ ვეფხის-ტყაოსნის პირველ შესავალს «ამბვისა დასაწყისი პირველი» (რომელსაც ინტერპოლატორი ასე უწოდებს: „პირველ-თავი დასაწყისი“); ინტერპოლატორი აღნიშნავს, რომ შოთას პოემის ამ შესავალში (რომელიც იწყება სიტყვებით: „რომელმან შექმნა სამყარო...“) ღვთაება არაა მოხსენებული როგორც „ერთ-არსი სამება“ (როგორც ამას ქრისტიანული მოძღვრება მოითხოვს).

ამ სტროფში, როგორც ეს განმარტებული გვექონდა ზემოთ, „სპარსული“ სრულიადაც არ აღნიშნავს ამბავს, სიუჟეტს, არამედ აღნიშნავს ვეფხის-ტყაოსნის მსოფლმხედველობას, პოემის არაქრისტიანულ იდეებს; ტერმინი „სპარსული“ აქ მიემართება თვით ქართულ ტექსტს. ინტერპოლატორის მტკიცებით, ვეფხის-ტყაოსანი არ არის ქრისტიანული ნაწარმოები, რომ მასში არ არის ხსენება სამებისა და რომ მისი წაკითხვა წაწყმედას გამოიწვევს¹.

აი აქედან გაჩნდა ვეფხის-ტყაოსნის მეოთხე შემატებაში „სპარსული“..

ამრიგად, მეოთხე შემატება „ესე ამბავი სპარსული“ ემყარება ძირითადად ყალბ სტროფს „დავითის ქმნანი“ (სადაც ჩვენ გვაქვს აშკარად შოგონილი ტენდენციური ცნობა ვეფხის-ტყაოსნის ამბავის უცხოურობის შესახებ); ამავე დროს აქ არის მცდარი ინტერპრეტაცია მეორე შემატებისა — „პირველ-თავი დასაწყისი“, სადაც „სპარსული“ არ ნიშნავს ამბავს, სიუჟეტს, არამედ არაქრისტიანულ მსოფლმხედველობას (რომელიც ვითომც არუსთაველმა გამოამჟღავნა პოემის შესავალში „ამბვისა დასაწყისი პირველი“, სადაც არ არის ხსენება სამებისა).

¹ იხ. ზემოთ, გვ. 202 — 203.

დასასრულ, აქ ერთხელ კიდევ პარალელურად გადავიკითხოთ ტენდენციურად შეთხზული ყალბი სტროფი „დავითის ქმნანი“ და მისი გვიანდელი გამომშაურება მეოთხე შემატება „ესე ამბავი სპარსული...“.

ა) ყალბი სტროფი „დავითის ქმნანი“ (XIII საუკუნის მეორე ნახევარი):

„... ესე ამბავნი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი,
ვაოვენ და ლექხად გარდავთქვენ, ამითა ვილაუფეთანი“.

ბ) მეოთხე შემატება (XIV — XV საუკ.):

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ვაოვენ და ლექხად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საქოქმანები“.

როგორც ვხედავთ, მეოთხე შემატების ავტორის თითქმის უცვლელად გადმოუწერია ყალბი სტროფის ტექსტი (შეუცვლია მხოლოდ „ამბავნი უცხონი“ სიტყვებით „ამბავი სპარსული“, რაც, როგორც ვნახეთ, წარმოადგენს მცდარ ინტერპრეტაციას მეორე შემატებისა „პირველ-თავი დასაწყისი“).

სხვადასხვა პოეზიის შეფასება. რუსთაველით — პოეზია „სიბრძნისა ერთი დარგი, სიღმრთო, სიღმრთოდ გასაგონი...“; ყალბი სტროფის ავტორის განცხადებით ვეფხის-ტყაოსანი არის გასართობი ლაყბობა; ხოლო გვიანდელი მეოთხე შემატების ავტორის განცხადებით ვეფხის-ტყაოსანის დაწერა ეს იყო „საქმე საქოქმანები“.

ჩვენ განვიხილეთ მეოთხე შემატება ყველა ასპექტში. როგორც გამოიჩვენა, იგი არათუ არ ეკუთვნის რუსთაველს, არამედ არის ერთ-ერთი უგვიანესი დაწართი პოემის შესავალისა.

I

ვეფხის-ტყაოსნის პირველი შესავალის

(«ამბავისა დასაწყისისა»)

ცალკეული დანართი სტროფები

ჩვენ განვიხილეთ ვეფხის-ტყაოსნის პირველი შესავალის («ამბავისა დასაწყისი პირველისა») ოთხი შემატება პოლემიკური ხასიათისა, რომელთაგან ორი შემატება ეკუთვნის რუსთაველის მოწინააღმდეგეებს (შემატება პირველი და მეორე), ორი რუსთაველის დამცველებს (შემატება მესამე და მეოთხე).

გარდა ამ ოთხი შემატებისა ვეფხის-ტყაოსნის პირველ შესავალში მოიპოვება ორი ჩანართი სტროფი, რომლებიც არ ატარებენ პოლემიკურ იერს. როგორც ზემოთ განხილულნი, არამედ წარმოადგენენ ეგრეთ წოდებულ ინტერპოლაცია-პარაფრაზებს. ინტერპოლაციები აქ არ ისახავენ რაიმე პოლემიკურ მიზნებს, არამედ იძლევიან ძირითადი ტექსტის ერთგვარ კომენტარებას, ეხმაურებიან მას, იძლევიან ძირითადი ტექსტის ნაწილობრივ განვითარება-შევესებას.

ჩვენ აქ გავეცნობით ამ ორ ინტერპოლაცია-პარაფრაზს.

პირველი დანართი სტროფი.

მისი ტექსტი ასე იკითხვის:

I, 3¹ მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა,
ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა,
ბროლ-ბალახშისა თლილისა, მით მიჯრით მიწყობილისა,
გასტესს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა.

ეს დანართი სტროფი არის გამოძახილი, გაგრძელება-შევესება «ამბვისა დასაწყისის» მე-3 სტროფისა: „თამარს ვაქებდე მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეულს“.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ დანართი სტროფი, როგორც ირკვევა, თავდაპირველად არშიაზე ყოფილა მიწერილი. ამით არის გამოწვეული, რომ გვიან ხანაში, როდესაც ეს სტროფი ტექსტში შეუტანიათ, იგი სხვადასხვა ხელნაწერებში სხვადასხვა ადგილას მოხვედრილა. რამდენადაც ეს დანართი სტროფი თავისი შინაარსით წარმოადგენს „ამბვისა დასაწყისის“ მე-3 სტროფის გაგრძელებას, მისი ადგილია მე-3 სტროფის შემდეგ; ასეა ეს ხელნაწერთა ერთ ჯგუფში. ხოლო ხელნაწერთა მეორე ჯგუფში (IV — I, V — O, VI — J) სტროფი მოთავსებულია არა მე-3 სტროფის შემდეგ, როგორც კონტექსტი მოითხოვს, არამედ მე-3 სტროფის წინ.

ამრიგად, აქაც ჩვენ გვაქვს კვალი იმისა, რომ ეს დანართი სტროფი თავდაპირველად არშიაზე იყო მიწერილი და შემდეგ არის შეტანილი ტექსტში.

დანართი (რამდენადაც იგი ვახტანგისეულ დედანში მოიპოვება) უნდა მიეკუთვნოს XIII — XIV საუკუნეებს.

სტილის მიხედვით ეს დანართი სტროფი არ უდგება «ამბვისა დასაწყისის» მაღალ პოეზიას, სულის ამ ღაღადისს, არ უდგება მის საერთო პოეტურ ტონალობას.

ბ

მეორე დანართი სტროფი.

მისი ტექსტი მეორე საიუბილეო გამოცემაში (1966) ასეა წარმოდგენილი:

ვის კშვნის, — ლომსა, — ხმარება შუბისა, ფარ-შიშშერისა
— მეფისა მზის თამარისა, ღაწვ-ბალახშ, თმა-გიშერისა, —
მას, არა ვიცი, შევკადრო შესხმა ხოტბისა შერისა?
მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მართ მიშერისა.

სტროფი მიძღვნილია დავითისადმი.

ეს დანართი სტროფი პოემის შესავალისა უფრო გვიანდელია, ვიდრე პოემის ბოლო-თქმის ყალბი სტროფი „დავითის ქმნანი“.

ჩვენ უკვე გვქონდა დაწვრილებითი საუბარი იმის შესახებ, თუ რა მიზანს ისახავდა პირველი ინტერპოლატორი, რომელმაც ტენდენციურად გადააქეთა პოემის ბოლო-თქმა, წინ წამოსწია დავითი და ჩაურთო პოემის ბოლო-თქმას

„დავითის ქმნანი“ (გვ. 192 — 194); ამ საგანზე აქ აღარ გავაგრძელებთ სიტყვას.

რაკი პოემის ბოლო-თქმაში ეს ყალბი სტროფი „დავითის ქმნანი“ ჩაიწერა და დამკვიდრდა, უფრო გვიანი დროის ინტერპოლატორს საჭიროდ დაუნახავს, რათა პოემის შესავალშიც ყოფილიყო რაიმე ამისი გამოხმაურება და ჩაურთავს ეს სტროფი „ვის შეენის ლომსა...“

ავტორი ამ სტროფისა არ არის ცუდი ვერსიფიკატორი. მაგრამ პოეტიკა ამ სტროფისა, მთელი პოეტური ლექსიკონი, დიდად დაშორებულია რუსთაველს; იმდენად დაშორებული, რომ დღემდე საკამათოდ ითვლება, თუ როგორ უნდა იქნას წაკითხული და გაგებული ბოლო ორი ტაეპი ამ სტროფისა.

ამ ბოლო ორ ტაეპს ნ. მარი ასე კითხულობს (1910 წ.):¹

მას არა ვიცი შევკადრო შესხმა ხოტბისა, შერისა,
მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხაშს მართ და შერისა.

I საიუბილეო გამოცემა (1937 წ.):

მას, არა ვიცი, შევკადრო შესხმა ხოტბისა შე-, რისა,
მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხაშს, მართ მი-, შერისა.

II საიუბილეო გამოცემა (1966 წ.):

მას, არა ვიცი, შევკადრო შესხმა ხოტბისა შერისა?
მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხაშს, მართ მიშერისა.

ნ. მარი სტროფის ბოლო ორ ტაეპს ასე თარგმნის:

«Его ли я дерзну воспеть и прославить в стихах?
Вонстину взирающие на него невольно вкушают сахар и молоко».

== „მას, არა ვიცი, შევკადრო შესხმა ხოტბისა, შაირისა (= შერისა)? მისნი მჭვრეტელნი მართლაც (უნებლიეთ) მიირთმევენ შაქარსა და რძეს“.

I საიუბილეო გამოცემის ტექსტის შინაარსი, მცირე ვარიაციით, იგივეა:

„მას, არა ვიცი, შევკადრო შესხმა ხოტბისა რისა,
მისნი მჭვრეტელნი მართლაც (უნებლიეთ) მიირთმევენ შაქარსა და რძეს“.

II საიუბილეო გამოცემის ტექსტი:

„მას არა ვიცი, შევკადრო შესხმა ხოტბისა „შერისა“ (შაირისა?)

მისნი მჭვრეტელნი მართლაც (უნებლიეთ) მიირთმევენ „მიშერის“

(საუკეთესო) შაქარს“.

(„მიშერის“ ზოგი განმარტავს როგორც „მისირის“, ე. ი. ეგვიპტის, ეგვიპტურ შაქარს, საუკეთესოს მნიშვნელობით).

ამ ტექსტს, რომელი ვარიანტიც არ ავიღოთ, არაფერი აქვს საერთო რუსთაველის პოეტიკასთან.

განსაკუთრებით დაშორებულია რუსთაველს ბოლო ტაეპის ტექსტი, რომელიც მჭვრეტელთ ეხება.

¹ ნ. მარი, ТР, XII, გვ. 1.

ბ. მარი ამ ბოლო ტაეპის ერთგვარი გამართლებისათვის აღნიშნავს:

«Шота часто пользуется зрителями для выражения тех или иных чувств к герою для их восхваления. Это обычный его прием».

მაგრამ საქმე ის არის, რომ მკვრეტელნი თუმცა მართლაც ხშირად მოიხსენებოდა პოემაში, მაგრამ ისინი არც ერთხელ არ გამოხატავენ თავის გრძნობას იმ სახით, რასაც მეოთხე ტაეპში ვხედავთ.

პოემაში სიტყვა „მკვრეტელი“, „მკვრეტი“ გვხვდება 111-ჯერ; კვრეტა 77-ჯერ; მაგრამ პოემაში არ არის არცერთი შემთხვევა, რომ გვხვდებოდეს მეოთხე ტაეპის ანალოგიური სახე, თითქოს მკვრეტელნი გმირთა ცქერის დროს უნებლიეთ მიირთმევენო შაქარსა და რძეს (ან „მიშერის“ შაქარს).

რუსთაველის მხატვრული პალიტრა სულ სხვაა.

მკვრეტელნი ვეფხის-ტყალსაში სულ სხვაგვარად გამოხატავენ თავის გრძნობას პოემის გმირთა მიმართ.

რათა საკითხში სრული სინათლე იყოს შეტანილი, მოგვყავს რამდენიმე მაგალითი.

1. სტროფები 1106, 1110 (ნესტანი, ტყვე, ზღვათა მეფის წინაშე მიგვრილი):

„ვით მზემან მისნი მჭვრეტელნი შექმნა თვალისა მფახველად;
მეფემან ბრძანა: აგმხადა ნახული მე უნახველად,
ღმრთისაგან კიდე ვინმე იყო კაცი ამისად მსახველად!

ანუ არის ბრძენი ვინმე, მაღალი და მაღლად მხედი,
...სხვაგან არის, სხვაგან ფრინავს, გონება უც ვითა ტრედი.

2. სტროფი 2 (თინათინი):

სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტოდ ასული,
სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული,
მან მისთა მჭვრეტთა წაულის გული, გონება და სული,
ბრძენი ხამს მისად მაქებრად და ენა ბევრად ასული.

3. სტროფი 1356 (ფატმანი ეგებება ტყვეობიდან გამოხსნილ ნესტანს):

ფატმან ხათუნს მისსა მჭვრეტსა ედებოდა ცეცხლი ნელი...
იტყვის: «ღმერთო, რა გამსახურო, გამინათლდა რადგან ბნელი!
ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია შენი გრძელი».

4. სტროფები 1487, 1488 (ნესტანისა და თინათინის გაყრა):

ერთმანერთისა გაყრილნი ქალნი ორნივე, დობილნი.
ერთმანერთისა დად-ფიცნი, სიტყვისა გამონდობილნი,...
ტიროდეს; მათთა მჭვრეტელთა გულნი-მცა ესხნეს წრთობილნი.

* ნესტანის.

მთვარე ცისკრისა ვარსკვლავსა რა თანა-შეესწოროსა,
ორნივე სწორად ნათობენ...

მათად საჭვრეტლად მჭვრეტელმან, ხამს, თავი იქედგოროსა.

5. სტროფი 1470 (ნესტანი და თინათინი, ტარიელსა და ავთანდილს თანა):

...ნესტანჯარ ახლავს თინათინს, ვინ მჭვრეტთა ამაზრუნენია,
ჰგავს თუ ცა მოდრკა ქვეყანად, შგყრილან ოთხნი მუნენია.

6. სტროფი 1360 (ტარიელი და ნესტანი):

დასხდეს ორნივე ქალ-ყმანი პირითა ელვა-მკრთალითა,
მათნი მჭვრეტელნი დაიწუნეს ცეცხლითა მართ ახალითა.

7. სტროფი 422 (ომგადახდილი ტარიელი):

...ტარიელ საჭვრეტლად სასურველია,
მან განანათლოს მჭვრეტელთა გული, რაზომცა ბნელია.

8. სტროფი 1439:

ტარიელს პირსა ციმციმი ათქს უნათლესი ბაზმისა,
ჭვრეტა ახელებს მჭვრეტელსა ყოფა-ქცევისა და ზმისა.

9. სტროფი 922 (ავთანდილისა და ფრიდონის პირველი შეხვედრა):

რამჭვრეტელთა იგი ნახონ, მზე მათთანა გააფლიდონ.

10. სტროფები 1004, 1006 (ავთანდილი):

ყმა მოვა, მისთა მჭვრეტელთა შუქნი მზედ გაიცადიან...

მისთა მჭვრეტთა დაუსახეს ვეფხსა ტოტი, ლომსა თათი.

11. სტროფი 1017 (ფატმანი ავთანდილისადმი წერილში):

შენ გტრფიალობენ მჭვრეტელნი, შენთვის საბრალოდ ბნდებთან,
ვარდი ხარ, მიკვირს, ბულბულნი რად არ შენ ზედა კრფებთან!

12. სტროფი 732:

მზისა შუქთა ვერ მჭვრეტელი ია ხმების, ვარდი ჭნების.

ჩვენ აღარ გავაგრძელებთ მაგალითების მოყვანას. აღენიშნავთ, რომ პოემის მთელ მანძილზე 188 შემთხვევაში, სადაც პოემაში მოიხსენება მჭვრეტელი, ჰვრეტა, არ არის არც ერთი მაგალითი, სადაც მჭვრეტელნი თავის გრძნობას გამოხატავდნენ ასეთ ვულგარულ ნატურალისტურ ასპექტში, თითქოს მჭვრეტელნი გმირთა ცქერის დროს უნებლიეთ მიირთმევდნენ შაქარსა და რძეს (ან მისიონის შაქარს).

ამ სტროფის ავტორი არ არის რუსთაველი.

რომ ავტორი ამ სტროფისა არ არის რუსთაველი, ამას, გარდა აღნიშნული-
სა, ისიც ადასტურებს, რომ ლექსიკონი ამ სტროფისა საერთოდ არაა რუსთავე-
ლური.

1. სიტყვა შ ი მ შ ე რ ი (ფრაზაში: „ვის შვენის ლომსა ხმარება შუბისა, ფარ-
შომშერისა“). შიმშერი სპარსული სიტყვაა, აღნიშნავს ხმალს. პოემაში ხმალი
(ხრმალი) მოიხსენება 41-ჯერ, ხოლო შიმშერი არ გვხვდება არც ერთხელ. უფრო
მეტეც, სიტყვა შიმშერი საერთოდ არ იხმარება ქართულში, იგი არაა გაქართუ-
ლებული უცხო სიტყვა; ამდენად იგი არის ბარბარიზმი.

გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ეს არაქართული სიტყვა რუსთაველმა
ვითომც რითმის გამო იხმარა. მაგრამ ნუ დაგვაფიწყდება, რომ შოთას, რომელ-
საც სიტყვა ხმალი დასახელებული აქვს 41-ჯერ, გამოყენებული აქვს ეს სი-
ტყვა რითმებშიაც, და ეს არაერთხელ, სხვადასხვა სახით (სტროფი 979: „ხრმა-
ლი“; სტროფი 509: „ხრმალია“; სტროფი 973: „ხრმალითა“; სტროფი 928:
„ხრმალთა“; სტროფი 1090: „ხრმალები“).

2. „შ ე რ ი“ (ფრაზაში: „მას არა ვიცი შეეკადრო შესხმა ხობისა, შე-
რისა“). რას აღნიშნავს ეს სიტყვა არაა უდავოდ დადგენილი. კონტექსტის მი-
ხედვით ნ. მარი ვარაუდობს, რომ „შერი“ აქ აღნიშნავს შაირს. ნ. მარის აზ-
რით „შერი არის არაბულიდან მომდინარე მწიგნობრული სახეობა სიტყვისა
„შაირი“ («в книжной грузинской передаче»), ხოლო „შაირი“ არისო ხალხუ-
რი ფორმა. მაგრამ „შერი“ შაირის მნიშვნელობით ძველ-ქართულ ლიტერატუ-
რაში არსად გვხვდება. ხოლო, რაც მთავარია, რუსთაველთან ჩვენ ყოველთვის
გვაქვს „შაირი“ და არა „შერი“ (იხ. პოემის მეორე შესავალი: „სწავლისათვის
მოშაირეთა“).

3. სტროფის ბოლო ტაქს, როგორც აღვნიშნეთ, ორგვარად კითხუ-
ლობენ:

ა) „მისთა მჭერეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მართ, მი-, შერისა.

ბ) „მისთა მჭერეტელთა ყანდისა მირთმა ხამს, მართ, მიშერისა.

პირველ ვარიანტს „შერი“ ხსნიან, როგორც სპარსულ სიტყვას; სპარსუ-
ლად იგი რძეს ნიშნავს. მაგრამ რუსთაველის პოეტიკაში „რძე“ არსად არ არის
რამე სახით გამოყენებული, არც ქართულად („რძე“) და არც სპარსულად.

მეორე ვარიანტის „მიშერი“ ვითომც არის „მისირი“, ე. ი. ეგვიპტე (მისი-
რის ყანდი, ე. ი. ეგვიპტური ყანდი, საუკეთესო შაქრის მნიშვნელობით). მაგ-
რამ რუსთაველთან არ გვხვდება არც „მიშერი“, არც „მისირი“. შოთა პოემაში
ამ ქვეყანას უწოდებს ისე, როგორც ეს უძველესი დროიდანვე მიღებული
იყო ქართულ მწერლობაში: ეგვიპტე (იხ. სტროფი 965, სადაც ვაჭრები მო-
გვითხრობენ: „...ქარავანი ე გ ვ ი პ ტ ი თ გამოვემართეთ ერითა“).

ყოველივე იმის შემდეგ, რაც ზემოთ იყო აღნიშნული, საკითხი ამ მეორე
ინტერპოლაციის შესახებ გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს. იგი დანართს
წარმოადგენს.

ჩვენ ასე დაწვრილებით შეეჩერდით ამ სტროფზე, რათა ნათელი გამხდა-
რიყო, რომ დავითი არ არის მოხსენებული არც პოემის რუსთაველისეულ

ბოლო-თქმაში (მისი სახელი, როგორც გამორკვეულია, აქ ყალბისმქნელს ჩაურთავს) და არც პოემის შესავალში.

პოემა მიძღვნილია თამარისადმი.

•

ჩვენ დავამთავრეთ განხილვა ვეფხის-ტყაოსნის პირველი შესავალისა «ამბვისა დასაწყისი პირველი»

როგორც გამოიკვეა, ვეფხის-ტყაოსნის ამ შესავალს, რომლითაც იხსნება პოემა, რთული ისტორია აქვს: შესავალის დამატებებში ჩვენ გვაქვს გამოძახილი საუკუნოვანი კამათისა, რომელიც გამართული იყო შოთას პოემის გარშემო. სახელდობრ, როგორც დადასტურდა, აქ ჩართულია ოთხი შემატება, რომელთაგან ორი ეკუთვნის რუსთაველის მოწინააღმდეგეებს, ორი რუსთაველის დამცველთ (ამას გარდა ორი სტროფი წარმოადგენს ინტერპოლაცია-პარაფრაზს).

მას შემდეგ რაც პოემის პროლოგს ჩამოშორდა ეს გვიანდელი სხვადასხვა სახის დანართები, ჩვენს წინაშე აღდგა შოთას ქმნილება თავისი პირვანდელი ბრწყინვალეობით.

პოემის ეს შესავალი, რომელიც იწყება სიტყვებით — „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა“ და სრულდება სიტყვებით — „მისი სახელი შეფარვით ქვემოთ მითქვამს, მიქია“ — პოეზიის უღიადესი ქმნილებაა. მას დაცვა არ ესაჭიროება.

აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ პოემის შესავალი «ამბვისა დასაწყისი პირველი», რომელიც ხუთ სტროფს შეიცავს, არა მხოლოდ აღბეჭდილია შინაგანი მთლიანობით, არამედ თავისი სახეობით და მოცულობით წარმოადგენს კლასიკურ ფორმას «ხუთეული», რომლითაც იწერებოდა ამ სახის ნაწარმოებნი XII საუკუნეში.

•

გადავდივართ განხილვაზე ვეფხის-ტყაოსნის მეორე შესავალისა «სწავლისათვის მოშაირეთა». რუსთაველის ეს Ars poetica აგრეთვე დაწერილია კლასიკური ფორმით «ხუთეული».

II

ვეფხისტყაოსნის მეორე შესავალი

«სწავლისათვის მოშაირეთა»

შოთა რუსთაველისა

მოგვყავს მეორე შესავალი ვეფხისტყაოსნისა.

სწავლისათვის მოშაირეთა

- 1 შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი, საღმრთო საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგიჴ კვლავ აქაცა ეამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი. გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი.
- 2 ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა, მობურთალსა — მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა, მართ აგრევე მელექსესა — ლექსთა გრძელთა თქმა, და ხევან, რა მისჭირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა.
- 3 მაშინლა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა, რა ველარ მიჰხვდეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა, არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვა მცირობა, ხელ-მარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იხმაროს დიდი გმირობა.
- 4 მეორე ლექსი — ცოტაი, ნაწილი მოშაირეთა, არ ძალ-უც სრულ-ქმნა სიტყვათა გულისა გასაგმირეთა; ვამსგავსე მშვილდი ბედითი ყმაწვილთა მონადირეთა: დიდსა ვერ მოჰკლვენ, ხელად აქვს ხოცა ნადირთა მცირეთა.
- 5 არს მესამე ლექსი კარგი სანადიმოდ, სამღერელად, სააშვიკოდ, სალალობოდ, ამხანაგთა სათნეველად; ჩვენ მათიცა გვეამების, რაცა ოდენ თქვან ნათელად. მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად.

ცალკეული ღანართი სტროფები

«სწავლისათვის მოშაირეთა»

ვეფხის-ტყაოსნის მეორე შესავალში «სწავლისათვის მოშაირეთა» არ არის ღანართები პოლემიკური იერისა, რომლებიც ეხებოდეს ვეფხის-ტყაოსანსა და რუსთაველს.

აქ მოიპოვება მხოლოდ ინტერპოლაცია-პარაფრაზები, ორი ჩანართი სტროფი, რომლებიც არის გამოხმობრება-გამოძახილი «სწავლისათვის მოშაირეთა»-ს რუსთაველის ტექსტისა, ვითომდა განვითარება-შეესება რუსთაველის თქმულისა.

ეს ინტერპოლაციები შემდეგია.

ა

II, 4¹ მოშაირე არა ჰქვიან, თუ ადმე თქვას ერთი, ორი,
თავი ყოლა ნუ ჰგონია მელექამთა კარგთა სწორი;
განადა თქვაა ერთი, ორი, უშგავსო და შორი-შორი,
მაგრამ იტყვის „ჩემი სჯობსო“, უცილობლობს ვითა ჯორი.

ეს ჩანართი სტროფი არის გამოხმობრება «სწავლისათვის მოშაირეთა»-ს მეოთხე სტროფისა, რომელშიაც რუსთაველი ეხება მცირე მოშაირეებს, «ცოტა», დიდ შინაარსს მოკლებული ლექსების ავტორებს.

რამდენად უშინაარსთა ინტერპოლატორის ჩანართი, ხოლო რამდენად ბრწყინვალეა რუსთაველის თქმული.

შეადაროს მკითხველმა ინტერპოლატორის ზემოთ მოყვანილი ჩანართი და თვით რუსთაველის სიტყვები, რომელიც «ცოტა» ლექსების მოშაირეთ ეხება. (მეოთხე სტროფი):

მეორე ლექსი — ცოტაი, ნაწილი მოშაირეთა,
არ ძალ-უც სრულ-ქმნა სიტყვათა გულისა გასაგმირეთა;
გამსგავსე მშვილდი ბედითი ყმაწვილთა მონადირეთა:
დიდსა ვერ მოკლვენ, ხელად აქვს ხოცა ნადირთა მცირეთა.

„არ ძალ-უც სრულ-ქმნა სიტყვათა გულისა გასაგმირეთა“—აი რის გამოა რუსთაველი რომ არ შეიწყნარებს იმ მოშაირეთა, რომელთა ლექსი «ცოტაა», დიდ შინაარსს მოკლებული.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან შემდეგიც. ღანართი სტროფი «მოშაირე არა ჰქვიან...», როგორც ირკვევა, თავდაპირველად არშიაზე ყოფილა მიწერილი (ინტერპოლაციების ტრადიციის თანახმად).

უფრო გვიან, როდესაც ეს ლექსი გადაუტანიათ პოემის შესავალის ტექსტში, იგი ჩაუწერიათ თხრობის ბუნებრივ თანრიგთან შეუფარებლად. თხრობის მიხედვით ეს ჩანართი უნდა მოთავსებულიყო მეოთხე სტროფის შემდეგ, ხოლო ჩაუწერიათ იგი მეოთხე სტროფის წინ, რაც არ უფარდება თხრობის ბუნებრივ მდინარებას.

ესეც, რასაკვირველია, მაჩვენებელია, რომ სტროფი ჩანართია.

მეორე ჩანართი სტროფი მოთავსებულია «სწავლისათვის მოშაირეთა»-ს ბოლოს. იგი ასე იკითხვის:

II, 5¹ ხამს, მელექსე ნაჭირვებსა მისსა ცუდად არ აბრკობდეს,
ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშვიობდეს,
ყოფსა მისთვის ხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს,
მისგან კიდე ნურა უნდა, მისთვის ენა-მუსიკობდეს.

ეს ჩანართი სტროფი აგრეთვე „მცირე“ მოშაირის ნახელავია. ჯერ ერთი, ეს მრავალსიტყვაობა, — ამ მოშაირისათვის უცხოა რუსთაველის თქმა: „გრძელ-ლი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი“.

ხოლო, რაც მთავარია, აქ დავიწროებულია თვით პოეზიის არსი, რაც რუსთაველმა თავის Ars poetica-ში ასე ბრძნულად, ასე სავსებით წარმოგვიდგინა.

რომ ეს სტროფი არ არის რუსთაველისა, ამას ადასტურებს აგრეთვე მთელი რიგი ნიშნობლივი დეტალები.

ჯერ ერთი. ინტერპოლატორი იგივეობის ნიშანს ატარებს მიჯნურობასა და აშვიობას შორის („ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშვიობდეს“), ხოლო რუსთაველთან მიჯნურობა სხვაა, აშვიობა სხვა. პოემაში სიტყვა „აშვიობა“ ერთხელაც არ მიემართება არც ნესტანს, არც თინათინს. „აშვიობა“ მიემართება ფატმანს. („აშვიობა“ მიემართება აგრეთვე ასმათის მოგონილ ფლორტს, როდესაც ასმათი, ნესტანის დავალებით, მიმოწერას აწარმოებს ტარიელთან).

განსხვავებულია აგრეთვე ლექსიკონი:

1 — 2. ტაეპი პირველი:

ხამს მელექსე ნ აჭ ი რ ვ ე ბ ს ა მისსა ცუდად არ ა ბ რ კ მ ბ დ ე ს...

აქ მართო ერთ ტაეპში ჩვენ გვხვდება ორი სიტყვა, რომლებიც არ ეკუთვნის რუსთაველის ლექსიკონს.

ჯერ ერთი, „ნაჭირვები“ უხერხული გამოთქმაა ლექსის მიმართ; ამას გარდა, სიტყვა „ნაჭირვები“ (ან მისგან ნაწარმოები) პოემაში საერთოდ არ გვხვდება.

არ გვხვდება აგრეთვე პოემაში სიტყვა „ბრკობა“ („აბრკობდეს“) ან ამავე ძირიდან ნაწარმოები.

3. ტაეპი მეოთხე:

მისგან კიდე ნურა უნდა, მისთვის ე ნ ა-მ უ ს ი კ ბ დ ე ს.

გამოთქმა „ენა-მუსიკობდეს“ არაა რუსთაველური. პოემაში სიტყვა „მუსიკა“ ან მისგან ნაწარმოები სიტყვები საერთოდ არ გვხვდება. მუსიკა (ვოკალური, ინსტრუმენტალური) პოემაში სხვა სიტყვებით აღინიშნება.

ჩვენ ამით ვამთავრებთ საუბარს «სწავლისათვის მოშაირეთა»-ს ორი დანართი სტროფის შესახებ.

«ქარი მიჯნურობისა»

მოგვყავს მესამე შესავალი ვეფხისტყაოსნისა — «ქარი მიჯნურობისა». მისი პირველადი ტექსტი ასე იკითხვის.

•

ქარი მიჯნურობისა

- *1 რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს, მუშა მიწყვიე მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს; კვლავ მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს, არცა ვისგან დაიწუნოს, არცა სხვასა უწუნობდეს.
- *2 მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი; მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი: იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი, ნურვინ გარევთ ერთმანერთსა, გესმას ჩემი ნაუბარი!
- *3 არს პირველი მიჯნურობა არ-დაჩენა ჭირთა, მალვა, თავის-წინა იგონებდეს, ნიადაგმცა ჰქონდა ხალვა, შორით ბნელა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა, დასთმოს წყრომა მეფეთაგან, მისი ჰქონდეს შიში, კრძალვა.
- *4 ამა საქმესა მიჯნური ნუ უხმობს მიჯნურობასა, დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა ლმობასა; ესე მღერასა ბედითსა ჰგავს, ვაჟთა ყმაწვილობასა. კარგი მიჯნური იგია, ვინ იქმს სოფლისა თმობასა.
- *5 მიჯნურსა თვალად სიკეთე ჰმართებს, მართ ვითა მზეობა, სიბრძნე, სიმდაბლე, სიუხვე, სიყმე და მოცალეობა, ენა, გონება, დათმობა, თუც ეძლოს მძლეთა-მძლეობა, — ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა.

საღმრთო მიჯნურობისათვის

(პოლემიკა ვეფხის-ტყაოსნის წინააღმდეგ,

დანართი XIV—XV საუკუნეთა)

მესამე შესავალში — «კარი მიჯნურობისა» — ჩართულია შემატება „საღმრთო მიჯნურობისათვის“, რომელიც შეიცავს პოლემიკას ვეფხის-ტყაოსნის წინააღმდეგ მისი საერო ხასიათის გამო.

ეს არის, რიგის მიხედვით, მეხუთე პოლემიკური შემატება ვეფხის-ტყაოსნის შესავალთა (ჩვენ უკვე გავეცანით ოთხ შემატებას, ჩართულს პირველ შესავალში — I — a, b, c, d).

მოგვყავს ტექსტი ამ მეხუთე პოლემიკური შემატებისა:

- ა მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა, მით რომე შმაგობს მისისა ვერ-მიხვდომისა წყენითა; ზოგთა აქვს საღმრთო სიახლე, დაშვრების აღმაფრენითა, კელავ ზოგთა ქვე უც ბუნება კკლუცთა ზედან ფრფენითა.
- ბ ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა, ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა; იგია საქმე საზეო, მიმცემი აღმაფრენათა, ვინცა ჟცდების, თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა.
- გ მას ერთსა მიჯნურობასა ჰკვიანნი ვერ მიჰხვდებიან, ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან; ვთქვენ ხელობანი ქვენანი. რომელნი ხორცთა ჰხვდებიან, მართა მასვე ჰბაძვენ. თუ ოდეს არ სიძვენ, შორით ბნდებიან.

რადგან ეს დანართი დაწერილია რთული თავისებური ენით (რომელიც დიდად დაშორებულია რუსთაველის ნათელ ენას) და რადგან მისი გაგება თანამედროვე მკითხველისათვის შესაძლოა საძნელო დარჩეს, მოგვყავს მისი სრული თარგმანი ახალ-ქართულ ენაზე¹:

„მიჯნური არაბულ ენაზე ეწოდება შმაგს, რადგან იგი შმაგობს წყენისაგან, რომ ვერ აღწევს მიზანს. [მიჯნურობა ორ-გვარია:] ზოგს [მიჯნურს] აქვს მიახლოება ღვთაებასთან და უძლევა აღმაფრენას; ხოლო ზოგს [მიჯნურს] მდაბალი, ქვენა ბუნება აქვს და გატაცებულია კკლუცთა სილამაზით („კკლუცთა ზედან ფრფენითა“).

„პირველი მიჯნურობის შესახებ ვიტყვი, რომ იგი არის ტომი გვართა ზენათა (ზეციდან მომდინარე), ძნელად გამოსათქმელი, გაპირვებით გამოსაგები ენის მიერ; იგია საზეო საქმე, აღმაფრენათა მომნიჭებელი. ვინც ცდილობს გაჰყვეს მას [საღმრთო მიჯნურობას], მას ასცილდება მწუხარება („თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა“).

¹ სიტყვები, რომლებიც იგულისხმება კონტექსტის მიხედვით, ჩასმულია სწორ ფრჩხილებში [].

„იმ პირველს [სალმრთო] მიჯნურობას ჰქვიანნი [ე. ი. ვინც არ არის შეპყრობილი სალმრთო აღმადგენით] ვერ მიხედებიან, თუნდაც ენა დაილალოს [ამ საგანზე საუბარი], ხოლო მსმენელი უსმენდეს მას ყურთა დამძიმებამდე. ხოლო მეორე სახის მიჯნურობა („ხელობანი“), — ხორციელი სიყვარული („რომელიც ხორცთა ხვდებიან“), ეს არის მდაბალი, „ქვენა გრძობა“. სწორედ ამას [ქვენა გრძობას] ბაძვენ ეს მეორე სახის მიჯნურნი, როცა ისინი არ სიძვენ, არამედ შორით ბნდებიან“.

როგორც ვხედავთ, ამ სტროფებში გადმოცემულია ვეფხის-ტყაოსნის მსოფლმხედველობის დიამეტრალურად საწინააღმდეგო იდეები. ვეფხის-ტყაოსნის გპირთა მიჯნურობას ამ დამატების ავტორი უპირდაპირებს სალმრთო მიჯნურობას, „სალმრთო სიახლეს“. ხოლო ის „შორით ბნდა“, რომელიც გადმოცემულია ვეფხის-ტყაოსანში, ინტერპოლატორის აზრით არის იგივე მდაბალი „ქვენა“ გრძობა, რომელიც არაფრით არ განსხვავდება „სიძვიდან“.

მკითხველმა მიაქციოს ამასთან ყურადღება, რომ ამ დანართში პოლემიკური იერით არის შებრუნებული „მიჯნურობის კარი“—ს ძირითადი სტროფების გამოთქმები. მიჯნურობის ძირითად ტექსტში ნათქვამია:

„მიჯნურობა სხვა რამეა. არ სიძვისა დასადარი,
იგი სხვაა, სიძვა სხვაა. შუა უზის დიდი ზღვარი,
ნურვინ გარეთ ერთმანერთსა, გესმას ჩემი ნუბარი!“

არს პირველი მიჯნურობა... შორით ბნედა, შორით კედობა...

ხოლო „სალმრთო მიჯნურობის“ ავტორი ამბობს, რომ ყოველი ხორციელი სიყვარული— ქვენა გრძობაა:

„თქვენ ხელობანი („ხელობა“=მიჯნურობა) ქვენანი,
რომელნი ხორცთა ხვდებიან“,

და რომ ამ ქვენა გრძობას ბაძვენ ისინიც, რომლებიც არ სიძვენ, არამედ შორით ბნდებიან:

„მართ მასვე ბაძვენ, თუ ოღეს არ სიძვენ, შორით ბნდებიან“.

ამრიგად, ეს ინტერპოლატორი, „სალმრთო მიჯნურობის“ ავტორი, უარყოფს შოთას პოემას: იგი ვეფხის-ტყაოსნის მიჯნურობას მდაბალს. „ქვენა“ გრძობას უწოდებს, და ამას იგი „სალმრთო სიახლეს“ უპირისპირებს. როგორც ვხედავთ, „სალმრთო მიჯნურობის“ ავტორი სულ სხვა სამყაროს ეკუთვნის, ვიდრე რუსთაველი, ავტორი ვეფხის-ტყაოსნისა.

•

დასასრულ, ამ მეხუთე შემატების თარიღის შესახებ.

ჩვენ უკვე აღნიშნული გვექონდა, რომ ვეფხის-ტყაოსნის შესავალისა და ბოლო-თქმის დანართი სტროფები, რომლებიც ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს, ორ ჩვეულებრივ განიყოფება.

პირველი ჩგუფი: დანართები, რომლებიც მოიპოვება როგორც ვახტანგისეულ დედანში, ისე ყველა ხელნაწერში.

მეორე, უფრო გვიანდელი ჩგუფი: დანართები, რომლებიც არ მოიპოვება ხელნაწერთა ნაწილში.

ამ მეორე ჩგუფის ეკუთვნის:

1. შემატება მეხუთე — «საღმრთო მიჯნურობისათვის», რომელსაც აქ ვეხებით; იგი არ მოიპოვება ხელნაწერში III — D.

2. დანართი სტროფი „თუ მოყვარე მოყვრისათვის...“; ამ სტროფს არ იცნობს ხელნაწერში III — D. იგი არ ყოფილა აგრეთვე არქტივში ხელნაწერისა VI — J.

3. შემატება მეოთხე — სტროფი „ესე აშბავი სპარსული...“; იგი არ ყოფილა არქტივში ხელნაწერებისა IV—I, V—O [K]. VI—I

მათი ქრონოლოგიური თანამიმდევრობაც, ცხადია, ასეა: 1, 2, 3.

ეს დანართი სტროფები მეორე ჯგუფისა, როგორც ამის შესახებ ზემოთ გიქონდა საუბარი, ეკუთვნის ღროს არა უადრეს XIV საუკუნის ნახევრისა (იხ. ზევით, გვ. 236 — 207).

აქ საჭიროა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ შემატება «საღმრთო მიჯნურობისათვის» თავდაპირველად, როგორც ირკვევა, არშიაზე ყოფილა მიწერილი (ინტერპოლაციების ტრადიციების თანახმად).

უფრო გვიან, როცა ეს შემატება არშიიდან ტექსტში შეუტანიათ, თანრიგი არეულა. ყველა მოღწეულ დედანში ამ შემატებაში შემაჯალი სტროფები ასეა არეული წარმოდგენილი: ჯერ მეორე სტროფი (ბ), შემდეგ შესამე (გ), ხოლო ბოლოში პირველი სტროფი (ა), რის გამოც ირღვევა მოთხრობის ბუნებრივი მდინარება.

III I

მეფხის-ტყაოსნის მესამე შესავალი

(«მიჯნურობის კარისა»)

ცალკეული დანართი სტროფები

ვეფხის-ტყაოსნის მესამე შესავალში — «მიჯნურობის კარში», გარდა პოლემიკური შემატებისა «საღმრთო მიჯნურობისათვის», ჩართულია ორი ინტერპოლაცია-პარაფრაზი, რომლებიც არის გამოხმაურება «მიჯნურობის კარის» ტექსტებისა.

ჩვენ აქ გავეცნობით ამ ინტერპოლაციებს.

ა

პირველი ინტერპოლაცია — „ხაშმ მიჯნური ხანიერი...“ არის გამოძახილი, ანუ უფრო სწორედ ვულგარიზებული განმეორება «მიჯნურობის კარის» მეორე სტროფისა („მიჯნურობა არის ტურფა...“).

რათა ეს ნათელი გახდეს, ჩვენ აქ ერთიმეორის გვერდით გადავიკითხოთ პირველწყარო (მეორე სტროფი «მიჯნურობის კარისა») და მისი გამოძახილი (ინტერპოლაცია: „ხაშმ მიჯნური ხანიერი...“)

მიჯნურობის კარის მეორე სტროფი:

მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი;
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი.
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი,
ნურგინ გარევეთ ერთმანეთსა, გესმას ჩემი ნაუბარი!

ინტერპოლაცია „ხამს მიჯნური ხანიერი...“:

ხამს მიჯნური ხანიერი, არ მეძავი, ბილწი მრუმი,
რა მოშორდეს მოყვარესა, გაამრავლოს სულთქმა, უში,
გული ერთსა დაჯეროს, კუშტი მიძხედეს, თუნდა ქუში;
ძძულს უგულო სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლაში-მტლუში.

ეს რაც ზომიერი შეგონების სახით არის მოცემული „მიჯნურობის კარის“ მეორე სტროფში, განმეორებულია ინტერპოლაციაში, მხოლოდ ძალზე ვულგარობებული სახით (მოვიგონოთ თუნდაც ვულგარული „მტლაში-მტლუში“) და მრავალბუნებობით; ინტერპოლატორისათვის უქმად დარჩენილა რუსთაველის მცნება: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი“.

ბ

მეორე ინტერპოლაცია აქ იკითხვის:

თუ მოყვარე მოყვარისათვის ტირს, ტირილსა ემართლების;
სიარული, მარტობა ჰშვენის, გაჭრად დაფთვლების;
იგონებდეს, მისგან კიდე ნურაოდეს მოცლებინს,
არ დააჩნდეს მიჯნურობა, სჯობს, თუ კაცსა ეახლებინს.

ეს ინტერპოლაცია არის გამოძახილი, ძირითადში განმეორება, „მიჯნურობის კარის“ მესამე სტროფისა. შეადარეთ:

„მიჯნურობის კარის“
მესამე სტროფი:

ინტერპოლაცია:

„არს პირველი მიჯნურობა
არ დაჩენა ჭირთა, მალვა“

„არ დააჩნდეს მიჯნურობა,
სჯობს თუ კაცსა ეახლებინს“

„თავის წინა იგონებდეს“

„იგონებდეს, მისგან კიდე
ნურაოდეს მოცლებინს“

„ნიადაგმცა ჰქონდა ხალვა-
[„ხალვა“ = მარტობა]“

„...მარტობა ჰშვენის“

„შორით ბნელა, შორით კვლომა“

„თუ მოყვარე მოყვარისათვის
ტირს, ტირილსა ემართლების“

ამრიგად, ინტერპოლაციაში ჩვენ გვაქვს მიჯნურობის კარის მესამე სტროფის უბრალო პარაფრაზი, ამასთან დაწერილი უფერული სუსტი შაირით.



დასასრულ, ამ მეორე ინტერპოლაციის თარიღზე. ეს ინტერპოლაცია ერთ-ერთი ყველაზე გვიანდელია ვანხილულ ინტერპოლაციებს შორის.

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ ყველა დანართები, რომლებიც განხილვის საგანს შეადგენს ამ ნარკვევში, ორ წგუფად განიყოფება. პირველი წგუფია დანართები, რომლებიც მოიპოვება როგორც ვახტანგისეულ დედანში, ისე ყველა ხელნაწერში; მეორე უფრო გვიანდელი წგუფია დანართები, რომლებიც არ მოიპოვება ხელნაწერთა ნაწილში.

ამ მერე ვვიანდელ ჩგუეს ეკუთენის:

1. შემატება «საღმრთო მიწნურობისათვის» (რომელიც ჩართულია «მიწნურობის კარში»); ამ შემატებას «საღმრთო მიწნურობისათვის» არ იცნობს ერთი ხელნაწერი 111 — D (ამ შემატების შესახებ ჩვენ უკვე გვეონდა საუბარი, იხ. გვ. 226).

2. ინტერპოლაცია «თუ მოყვარე მოყვრისათვის...», რომელიც აქ ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს; ამ ინტერპოლაციას არ იცნობს იგივე ხელნაწერი 111 — D და ამას გარდა იგი არ ყოფილა არქეტაში ხელნაწერისა, VI—I. ოფრო ვიან, როდესაც ეს ინტერპოლაცია შეუტანიათ VI — J ხელნაწერის არქეტაში, იგი ჩაუწერიათ არა ვეფხის-ტყაოსნის შესავალში, არამედ სრულიად უადგილოდ, თითო პოემის ტექსტში: აქ ჩვენ გვაქვს აშკარა მარევენებელი იმისა, რომ ეს სტროფი ვეფხის-ტყაოსნის სტრუქტურაში ვეფხის-ტყაოსნის ტექსტში.

3. ამავე მერე ვვიანდელ ჩგუეს ეკუთენის აგრეთვე შემატება «ესე ამბავი სპარსული...»; მგი არ ყოფილა არქეტაში, საიდანაც მომდინარეობენ მთელი რიგი ხელნაწერები: IV — I V — O [K], VI — J. (იხ. დანართის დაწვრილებითი განხილვა ზემოთ, გვ. 207).

ქრონოლოგიური თანრიგი მერე ჩგუეს ამ სამი დანართისა იგივეა, რაც აქ ჩამოთვლილია: 1, 2, 3.

ყველა ეს დანართები, როგორც ეს ზემოთ გვეონდა დადგენილი, ეკუთენის XIV—XV საუკუნეებს, დროს არა უადრეს XIV საუკუნის ნახევრისა.

აქ საჭიროა ისიც აღვნიშნოთ, რომ ინტერპოლაცია «თუ მოყვარე მოყვრისათვის...», რომელიც აქ ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს, თავდაპირველად არშიაზე ყოფილა მიწერილი (ინტერპოლაციების ტრადიციის თანახმად), სახელობრ, ვეფხის-ტყაოსნის სამივე შესავალთა ბოლოს. უფრო გვიან, როდესაც ეს ინტერპოლაცია სხვადასხვა დროს შეუტანიათ ტექსტში, იგი მოხუდრილა სხვადასხვა ადგილებში. ერთ არქეტაში (საიდანაც მომდინარეობს ხელნაწერი V — O) იგი შეუტანიათ «მიწნურობის კარის» პირველი სტროფის შემდეგ. მერე არქეტაში (საიდანაც მომდინარეობს სხვა ხელნაწერები) იგი ჩაუწერიათ ვეფხის-ტყაოსნის შესავალთა ბოლოშივე, შემდგომად შემატებისა «ხეაშიადისა გამელავენებისათვის».

ადგილის ასეთი მერეყობა აგრეთვე მარევენებელია, რომ სტროფი დანართია.

ჩვენ ამით ვამთავრებთ ვეფხის-ტყაოსნის მესამე შესავალის — «მიწნურობის კარის» ინტერპოლაციების განხილვას.

დასკვნები

ჩვენ განვიხილეთ ძირითადი ტექსტოლოგიური საკითხები ვეფხის-ტყაოსნის შესავლისა და ბოლო-თქმისა.

ვეფხის-ტყაოსნის შესავლის ფილოლოგიური და პოეტური ანალიზის შედეგად დადგენილია, რომ ვეფხის-ტყაოსნის შესავალი შეიცავს სამ პოეტურ ტექსტს, რომლებიც ხელნაწერებში დატული ზედწერილების მიხედვით ატარებენ შემდეგ სათაურებს:

I. «ამბვისა დასაწყისი პირველი» (იწყება სიტყვებით: «რომელმან შექმნა სამყარო...») იგი წარმოადგენს პოემის წინასიტყვაობას.

II. «სწავლისათვის მოშაირეთა». იგი არის დამოუკიდებელი პოეტური ტექსტი, სწავლა პოეზიაზე — *Ars poetica*, თავისი დასაწყისით და დასასრულით.

III. მესამე პოეტური ტექსტი ვეფხის-ტყაოსნის ყველა ხელნაწერში გამოყოფილია ცალკე სათაურით «კარი მიწნურობისა».

როგორც გამოიჩევა, პოემის სამივე შესავალი დაწერილია ძველ-ქართული პოეზიის კლასიკური ფორმით «ხუთეული» (=ხუთი ხანა), რომელიც მიღებული იყო XII—XIII საუკუნეთა ქართულ პოეზიაში მცირე ფორმის ნაწარმოებთათვის (კერძოდ, როგორც აღნიშნული გვექონდა, ხუთეულის ფორმით არის შესრულებული დიდი თამარის «ცათა ცათასა», რომელიც დაწერილია საქართველოს სახელმწიფოს ეროვნული ზემის გამო 1195 წელს. და რომელიც შეტანილია XII საუკუნის ქართულ საისტორიო ძეგლში «ისტორია-აზმანი შარავანდედთანი»). «ხუთეული» ძველ-ქართულ პოეზიაში ისეთივე ტრადიციული ფორმა ყოფილა, როგორც სონეტი (ოთხეული) დასავლეთის პოეზიაში.

გარდა იმისა, რომ დადგენილი იქნა პირველადი სახე ვეფხის-ტყაოსნის შესავლის სამი პოეტური ტექსტისა და პოემის ბოლო-თქმისა, ამავე დროს შუქი მოეფინა ვეფხის-ტყაოსნის შესავლისა და ბოლო-თქმის დანართების ისტორიას, დადგენილ იქნა მათი მოცულობა და ქრონოლოგია.

როგორც გამოიჩევა, ვეფხის-ტყაოსნის შესავლის და ბოლო-თქმის ტექსტებს რთული ისტორია აქვს. აქ არის გამოძახილი საუკუნოვანი კამათისა, რომელიც გამართული იყო პოემის გარშემო: პოემის შესავალსა და ბოლო-თქმას არის შემატეხანი როგორც რუსთაველის მოწინააღმდეგეთა, ისე რუსთაველის დამცველთა.

ჯერ პოემის ბოლო-თქმის შესახებ. როგორც გამოიჩვენა, პოემის ბოლო-თქმა XIII საუკუნის მეორე ნახევარში ტენდენციურად გადაუქცევიდათ, ამოულიათ ბოლო-თქმის ტექსტიდან სახელი „თამარის“, მის ნაცვლად ჩაუწერიათ სახელი „დავითის“ და დაურთავეთ ყალბი სტროფი „დავითის ქანანი“. მიზანი ამ ინტერპოლაციისა ის არის, რათა დააშოროს ვეფხის-ტყაოსანს თამარის სახელი. კლერიკალურ-რეაქციული წრეები ვეფხის-ტყაოსანს არა-ქრისტიანულ ნაწარმოებად სთვლიდნენ, ხოლო თამარი XIII საუკუნეში აღიარებული იყო საეკლესიო წმინდანად. ამის გამოა, რომ ინტერპოლატორი ცდილობს განამტკიცოს შეხედულება, ვეფხის-ტყაოსანი არ არის თამარის „ქებანი“ (როგორც თვით რუსთაველი ამბობს), რომ ვეფხის-ტყაოსანი ვითომც საერთოდ არ არის დაკავშირებული საქართველოსთან, არამედ რომ იგი არის „ამბავნი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი, პირველ ზნენი და საქმენი, ქებანი მათ მეფეთანი“.

აქ საჭიროა აღინიშნოს ამასთან, რომ ამ ყალბ სტროფს გამოუწვევია პასუხი XIV საუკუნის პირველი ნახევრის პოეტის სარგია III თმოგველისა, რომელიც ამხილებს ყალბისმქნელს, აღნიშნავს, რომ ვეფხის-ტყაოსანი არის თამარის ქებანი და საგანგებოდ ხაზს უსვამს შოთა პოემის სრულს ორიგინალობას („კვლავ ქებანი ვკადრე ვა მე, არ ვის უთქვამს ჩემსა წინა“, — ამ სიტყვებს წარმოათქმევიანებს შოთას სარგის თმოგველი თავის დამატებაში).

აქ საჭიროა ისიც აღინიშნოს, რომ პოემის შინაგანი გაყალბების მიზნით ინტერპოლატორი პოეზიას, თვით შოთას პოემას, „ლაყობას“ უწოდებს („ამითა ვილაყბეთანი“); ყოველივე ეს საპირისპიროდ თვით რუსთაველისა, რომელიც პოეზიას აღიარებს სიბრძნედ („შაირობა პირველადე სიბრძნისა ერთი დარგი, საღმრთო საღმრთოდ გასაგონი...“)

ეს პოემის ბოლო-თქმის დანართი ტექსტების გამო.

რაც შეეხება პოემის შესავალს, აქ შეტანილია სამი პოლემიკური შემატება მიმართული რუსთაველისა და რუსთაველის პოემის წინააღმდეგ: 1. „ხვა-შიადისა გაქლავნებისათვის“, რომელიც მიმართულია პირადად რუსთაველის წინააღმდეგ; 2—3. „პირველი-თავი დასაწყისი“ და „საღმრთო მიჯნურობისათვის“, რომლებიც მიმართულია ვეფხის-ტყაოსანის წინააღმდეგ მისი „საერო“ ხასიათის გამო.

ამას გარდა ექვემოტანელად დადგენილია თარიღი ყალბი სტროფისა „ესე ამბავი სპარსული“, რომელიც ეკუთვნის XIV — XV საუკუნეებს (დროს არა უადრეს XIV საუკუნის ნახევრისა) და რომელიც იმეორებს ტენდენციურად შეთხზულ ცნობას ყალბი სტროფისას „დავითის ქანანი“.

•

ვეფხის-ტყაოსანის შესავალი და ბოლო-თქმა პირველად დაიბეჭდა ამ აშკარა დანართებს გარეშე.

მას შემდეგ, რაც პოემის პროლოგსა და ეპილოგს ჩამოშორდა სხვადასხვა ჯახის დანართები, პოეზიის დიადი ქმნილება ისევე აელვარდა თავისი პირველადი სინათლით.

მაგრამ არა მხოლოდ ეს.

ჩვენ ამით მოვიხადეთ ვალი რუსთაველის წინაშე. რასაკვირველია, მართლაც რომ მკრეხელობა იყო, შოთას პოემის გამოცემებში რომ იბეჭდებოდა თვით პირადად შოთას წინააღმდეგ მიმართული პოლემიკური შემატება, ასევე გეფხის-ტყაოსნის წინააღმდეგ მიმართული პოლემიკური შემატებები, ანდა ტენდენციურად შეთხზული გვიანდელი ყალბი ცნობები პოემის უცხოურობის შესახებ, იბეჭდებოდა ტექსტი, სადაც პოეზია, თვით შოთას პოემა, აღიარებულია „ლაყბობაჲ“, იბეჭდებოდა აგრეთვე პოემის ბოლო-თქმის გადაკეთებული ტექსტი, სადაც წარხოცილია თამარის სახელი.

დიდად საიწუხაროა ამავე დროს, რომ ეს ყალბი დანართები გადავიდა პოემის თარგმანებში, მათ შორის გადავიდა ყოველსავე საფუძველს მოკლებული ტენდენციური დანართი პოემის უცხოური, არაქართული წარმომავლობის შესახებ, რამაც შებღალა ჭეშმარიტება, ეჭვის ქვეშ დააყენა ის, რაც უეჭველია, პოემის ორიგინალობა და ამასთან ერთად XII საუკუნის საქართველოს დიდი კულტურის თავისთავადობა.

მაგრამ, როგორც იტყვის ბრძენი რუსთაველი, უმსგავსო საქმე ყოველი მოკლეა...

თვით რუსთაველის მზეს ოდნავადაც ვერ უახლოვდება ვერავეთარი ჩრდილი.

მზე დგას ზენიტში.

შენი შენები

მონოგრაფიისა „შ.ი.თა რუსთაველი“

შანიშვიძე
მონოგრაფიის «შოთა რუსთაველი (1168—1250)»

წყაროები მონოგრაფიის შესამე კარისა

(საქართველოს ისტორიის მიმოხილვა, 1212 — 1250 წლები)

• • •

წყაროები, რომლებიც საფუძვლად დაედვა მონოგრაფიას «შოთა რუსთაველი», დეტალურად არის განხილული ჩვენს ორ შრომაში: რუსთველიანა (თხზულებათა კრებული, I, გვ. 7 — 252) და რუსთველიანას ეპილოგი (გვ. 525 — 884).

დამატებით აქ მოგვყავს საგნის ლიტერატურა, ნუსხა ძირითადი საისტორიო წყაროებისა, რომლებიც საფუძვლად უდევს საქართველოს ისტორიის მიმოხილვას 1212 — 1250 წლების მანძილზე (მონოგრაფიის შესამე კარი).

A

საისტორიო წყაროების ნუსხა

I ქართველი ისტორიკოსები

1. თამარის II ისტორია (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 78 — 114).
2. ბასილი ეზოსმოდვარი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი (თამარის III ისტორია, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 115 — 150).
3. გიორგი-ლაშას მათიანე (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 365 — 371).
4. უამთა-აღმწერელი (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 151 — 325).

II სხვადასხვა ქართული საისტორიო წყაროები

5. ტიმოთე გაბაშვილი. მიმოსლვა¹.
6. არსენი მწიგნობართ-უხუცეს ჭყონდიდელის სიგელი 1241 წლისა².
7. დავით კახთა მეფის სიგელი 1722 წლისა³.
8. იერუსალიმის ჭვარის ქართული სავანის აღაპებია⁴.
9. იერუსალიმის ჭვარის ქართული სავანის ფრესკები და მათი წარწერებია⁵.

¹ გამოცემები: 1852 წ. (გვ. 154, 159) და 1956 წ. (გვ. 80, 82).

² ს. კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, II, 1925 წ., გვ. 131 — 133; დამატება-შესწორებანი ი. ცინცაძისა, საქართველოს არქივი, 1927 წ., გვ. 25 — 27.

³ ს. კაკაბაძის გამოცემა, ისტორიული საბუთები, I. 1913 წ., გვ. 33 — 34.

⁴ პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი, გვ. 821 — 834, 846 — 853.

⁵ პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი, გვ. 720 — 724, 728 — 739.

III. მიმოხვარა საქართველოს მეფეთა და ვაჟირთა რომის პაპებთან

10. წერილი ქართველთა [მეფის გიორგი-ლაშასი] დახვედრის ქვარონებისადმი 1220 წლისა.
- 11 — 12 რუსუდან მეფის წერილი რომის პაპის მონორიო III-დმი და ხაპასუხო წერილი რომის პაპისა 1224 წლისა 7.
- 13 — 14. ივანე ათაბაგის წერილი რომის პაპის მონორიო III-დმი და ხაპასუხო წერილი რომის პაპისა 1224 წლისა 8.
15. რომის პაპის მონორიო III-ის წერილი მეფის რუსუდანისადმი 1233 წლისა 8.
16. რომის პაპის გრიგოლ IX-ის წერილი მეფის რუსუდანისადმი 1240 წლისა 10.

IV. სომეხთა ისტორიკოსები

17. კიაკოხ განძაკელი. მატიანე 11.
18. ვარდან აღმოსავლელი. მატიანე 12.
19. გრიგოლ ანკრელი (მალაქია აბელი). მშვილდოსანთა ტომის [მონგოლთა] მატიანე 13.
20. მხითარ აირივანელი. ქრონოგრაფიული მატიანე 14.
21. ხტეფანოს ორბელიანი. სიენიეთის მატიანე 15.

V. აღმოსავლელი ისტორიკოსები

(არაბულ და სპარსულ ენებზე მწერალნი)

22. იბნ-ალ-ახირი. მატიანეთა სრული კრება 16.
23. ნეზევი. მატიანე სულთან ჭალაუდინ მანკობირტისა 17.

6 მის. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902 წ., გვ. 7.

7 ლათინური ტექსტები გამოქვეყნებულია მის. თამარაშვილის დასახელებულ შრომაში, გვ. 563 — 654, 565 — 566; ქართული თარგმანები — გვ. 7 — 8, 9 — 11.

8 ლათინური ტექსტები — მის. თამარაშვილის შრომაში, გვ. 564 — 565, 567; ქართული თარგმანები — გვ. 8 — 9, 11 — 12.

9 ლათინური ტექსტი — მის. თამარაშვილის შრომაში, გვ. 567 — 568; ქართული თარგმანი — გვ. 12 — 13.

10 ლათინური ტექსტი — მის. თამარაშვილის შრომაში, გვ. 568 — 572; ქართული თარგმანი — გვ. 14 — 17.

11 სომხური ტექსტი 1909 წლის გამოცემა; რუსული თარგმანი ტ. ტერ-გრიგორიანისა, 1946 წლის გამოცემა; ფრანგული თარგმანი მარი ბროსესი, 1870 წლის გამოცემა.

12 სომხური ტექსტი 1861 წლის გამოცემა, მ. ემინის რედაქციით; რუსული თარგმანი მ. ემინისა, 1861 წლის გამოცემა.

13 სომხური ტექსტი 1870 წლის გამოცემა, კ. პატკანიანის რედაქციით; რუსული თარგმანი კ. პატკანიანისა, 1871 წლის გამოცემა.

14 სომხური ტექსტი 1869 წლის გამოცემა; რუსული თარგმანი 1869 წლის გამოცემა (Труды ЗВРОАО. XIV). რედაქცია სომხური ტექსტისა და რუსული თარგმანი კ. პატკანიანისა.

15 სომხური ტექსტი 1910 წლის გამოცემა; ფრანგული თარგმანი მარი ბროსესი, 1864 — 1866 წ. გამოცემა.

16 რუსული თარგმანები: 1. ვ. ტიხენაუზენისა (კრებული: Сборник материалов, относящихся к истории Золотой Орды, т. I. 1884); 2. პ. ენუესი, 1940 წლის გამოცემა.

17 პარიზული გამოცემა 1895 წლისა: Historie du Sultan Djelal-ed-din Mankobirti par Mohammed en-Nesawi; თარგმანი ფრანგულად ო. ჰუდასი.

24. ჭუვეინი. «მატიანე ქვეყნის დამპყრობელისა» [ჩინგის ყაენისა] 18.
 25. რაშიდ-ად-დინი. «მატიანეთა კრება» 19.

V-ა.

26. აქაიბ-ად-დუნია» (ანონიმური გეოგრაფიული თხზულება XIII საუკუნის პირველ ნახევრისა) 20.

VI. დასავლური საისტორიო წყაროები

27. წერილი ანსელუს იერუსალიმელისა, მიმართული ვალონ ეპისკოპოსისა და პარიზის ნოტრ-დამის კრებულისადმი 1125 — 1130 წ. წ. 21.
 28. წერილი პალესტინიდან ბენანსონის მხარის მთავარეპისკოპოს აშელე დე ტრემელისადმი 1215 წლის ახლო დროისა 22.
 29. ალბერტ მონაზონი. მათიანე 23.
 30. პლან კარპინი. მოგზაურობა 24.

18 გამოცემა: Juwayni, The Tarikh-i Jahan-Cusha (მატიანე ქვეყნის დამპყრობელისა [ჩინგის ყაენისა]), E.-J. W. Gibb Memorial Ser., vol. XVI, part 1, 2, 3, Leyden and London, 1912, 1916, 1937.

19 სპარსული ტექსტი ა. ალი-ზადეს რედაქციით, გამოცემა 1956 წლისა; რუსული თარგმანი (Рашид-ад-дин, Сбраник летописей) ა. არეადისის, 1946 წლის გამოცემა.

20 რუსული თარგმანი (გამოკრებით) ა. ალი-ზადესი (შებანილია წიგნში: Социально-экономическая и политическая история Азербайджана в XIII—XIV веках, 1956 წლის გამოცემა); კერძოდ ცნობა ქართველთა ლაშქრობის შესახებ ირანის აზერბაიჯანში გვ. 50 (შეად. გიორგი-ლავას მათიანის ცნობა, ქ. ცხ., 1, გვ. 370).

21 ლათინური ტექსტი Migne, Patrologia lat., t. 162, გვ. 729—731; ქართული თარგმანი ზ. ავალიშვილისა, წიგნში «ქვაროსანთა დროიდან» 1929 წ., გვ. 28—29. წერილის თარიღად ევროპელი მეკლევეარნი 1108 წელს სვლიდნენ (ამავე თარიღს იმეორებს ზ. ავალიშვილი), მაგრამ, როგორც ეს დადგენილი გააქვს შრომაში «რუსთველიანას ეპილოგი» (გვ. 817 — 819), წერილი გაგზავნილია პალესტინიდან პარიზში 1125 — 1130 წლებში.

22 ლათინური ტექსტი წერილისა გამოცემულია რეინოლდ რეჩინტის მიერ კრებულში Regesta Regni Hierosolymitani, 1893 წ. გვ. 233—234; ქართული თარგმანი ზ. ავალიშვილისა (წიგნში «ქვაროსანთა დროიდან», გვ. 137 — 138). წერილის ისტორიული ინტერპრეტაცია (კერძოდ თარიღის დადგენა) იხ. რუსთველიანა, დამატებითი შენიშვნები (თხზულებათა კრებულო, 1, გვ. 813 — 814).

23 გამოქვეყნებულია სერიაში Monumenta Cermaniae historica t. XXIII. — ცნობა 1221 წლის თარიღით, გვ. 911.

24 ლათინური ტექსტი, ფრანგული თარგმანით, იხ. ბერეირონის გამოცემა Relation du voyage du Plan Carpin en Tartarie (კერძოდ გვ. 50, გამოსხმურება კობტის-თავის შეთქმულებებისა მონგოლეთში).

წმაროვაი ცალკეული უნიფონების

I. გიორგი ლაშას მფრობა (1212—1223 წწ.)

- უნიფონა 1 (გვ. 76): გიორგი-ლაშას მათიანე (3).
 უნიფონები 2, 3 (გვ. 77): ეამთა-ალმწერელი (4).
 უნიფონა 4 (გვ. 78): გიორგი-ლაშას მათიანე (3); მხითარ აირიფანელი (20); იბნ-ალ-ასირი (22); ნესევი (23); ჭუევინი (24); რაშიდ-ად-დინი (25); აფაიბ-ად-დუნია (26).
 უნიფონები 5,6 (გვ. 78): გიორგი-ლაშას მათიანე (3).
 უნიფონა 7 (გვ. 78): გიორგი ლაშას მათიანე (3); ეამთა-ალმწერელი (4); მხითარ აირიფანელი (20).
 უნიფონა 8 (გვ. 80): წერილი ამდე ტრემლისადმი 1215 წლის ახლო დროისა (28);
 უნიფონა 9 (გვ. 80): თამარის II ისტორიკოსი (1); ბასილი ეზოსმოდღვარი (2); გიორგი-ლაშას მათიანე (3).
 უნიფონა 10 (გვ. 81): ალბერტ მონაზონის მათიანე (29).
 უნიფონა 11 (გვ. 81): წერილი ჭართველთა დასაეღეთის ჭვაროსნებისადმი 1220 წლისა (10).

II. მონგოლთა პირველი ლაშარობა მვროსის ძვენებში

საბართველთა და კივივის რუსეთში 1220 — 1223 წლებში

- უნიფონები 12, 13 (გვ. 84): იბნ-ალ-ასირი (22); რაშიდ-ად-დინი (25).
 უნიფონები 14, 15 (გვ. 84): გიორგი-ლაშას მათიანე (3); ეამთა-ალმწერელი (4); კირაკოს განძაკელი (17); ვარდან აღმოსავლელი (18); გრიგოლ ანკელი (19); იბნ-ალ-ასირი (22); რაშიდ-ად-დინი (25); რუსულან მეფისა და ივანე ათაბაგის წერილები რომის პაპის ჰონორიო III-დმი (11, 13).
 უნიფონა 16 (გვ. 85): იბნ-ალ ასირი (22); ჭუევინი (24); რაშიდ-ად-დინი (25).
 უნიფონა 17 (გვ. 85): გიორგი-ლაშას მათიანე (3). — კირაკოს განძაკელი (17); ვარდან აღმოსავლელი (18).
 უნიფონები 18—20 (გვ. 86): გიორგი-ლაშას მათიანე (3); კირაკოს განძაკელი (17); იბნ-ალ-ასირი (22); რაშიდ-ად-დინი (25).
 უნიფონა (21): იბნ-ალ-ასირი (22);

III. 1223 — 1235 წლები

- უნიფონები 22, 23 (გვ. 88): რუსულან მეფისა და ივანე ათაბაგის წერილები რომის პაპის ჰონორიო III-დმი და საპასუხო წერილები რომის პაპისა (11 — 14);
 უნიფონა 24 (გვ. 89): იბნ-ალ-ასირი (22).
 უნიფონა 25 (გვ. 89): კირაკოს განძაკელი (17); იბნ-ალ-ასირი (22).
 უნიფონები 26—29 (გვ. 89—90): ეამთა-ალმწერელი (4); კირაკოს განძაკელი (17); ვარდან აღმოსავლელი (18); სტეფანოს ორბელიანი (21); იბნ-ალ-ასირი (22); ნესევი (23); ჭუევინი (24); რაშიდ-ად-დინი (25).
 უნიფონა 30 (გვ. 91): ეამთა-ალმწერელი (4); რომის პაპის ჰონორიო III-ის წერილი რუსულან მეფისადმი 1233 წლისა (15).

IV. მონგოლთა ლაშარობა საბართველთაში 1236 — 1241 წლებში

- უნიფონები 31—33 (გვ. 92—93): ეამთა-ალმწერელი (4).
 უნიფონები 34, 35 (გვ. 93—94): ეამთა-ალმწერელი (4); კირაკოს განძაკელი (17); სტეფანოს ორბელიანი (21).
 უნიფონები 36, 37 (გვ. 94—95): ეამთა-ალმწერელი (4).
 უნიფონა 38 (გვ. 95): წერილი ანსელუს იერუსალიმელისა (27).
 უნიფონა 39 (გვ. 96): წერილი რომის პაპის გრიგოლ IX-ისა რუსულან მეფისადმი 1240 წლისა (16).

V. საზავრო მოლაპარაკება და ზავის დადება გონგოლებთან
ზოთა რუსთაველის მონაწილეობით 1241—1243 წლებში

შენიშვნა 40 (გვ. 97): სიგელი ირსენი შწიგნობართ-უხუცეს ჰუონდიდელისა 1241 წლისა (6); კირაკოს განძაკელი (17).

შენიშვნა 41 (გვ. 97): ეამთა-ალმწერელი (4).

შენიშვნა 42 (გვ. 98): ეამთა-ალმწერელი (4); პლან კარპინი (30).

შენიშვნები 43—45 (გვ. 98): ეამთა-ალმწერელი (4).

VI. 1243 — 1245 წლები

შენიშვნები 46—52 (გვ. 100—104): ეამთა-ალმწერელი (4).

VII. ძიხტინ-თავის შემოქმედება

ზოთა რუსთაველისა და ცოტნე დადინის მონაწილეობით 1245 წელს

შენიშვნები 53—56 (გვ. 105—108): ეამთა-ალმწერელი (4).

შენიშვნა 57 (გვ. 109): პლან კარპინი (30).

VIII. 1245 — 1250 წლები


შენიშვნები 58—61 (გვ. 110—111): ეამთა-ალმწერელი (4).

შენიშვნა 62 (გვ. 111): ტიმოთე გაბაშვილი (5).

შენიშვნები 63, 64 (გვ. 113): იერუსალიმის ჯვარის ქართული საეპისკოპოსოს ილაპები (8).

შენიშვნები 65 — 67 (გვ. 114): იერუსალიმის ჯვარის ქართული საეპისკოპოსოს ფრესკები და შათი წარწერები (9).

შენიშვნები 68, 69 (გვ. 117): დავით კახთა მეფის სიგელი 1722 წლისა (7).



ძველი ქართული
ლიტერატურის ისტორიის
მოკლე მიმოხილვა

ანტიკური ხანა. საშუალო საუკუნეები რუსთაველის ეპოქამდე



ნაწილი პირველი

პირველი პერიოდი ქართული
ლიტერატურისა
ანტიკური ხანა

VII საუკუნიდან ძველი წელთაღრიცხვისა —
IV საუკუნემდე ახალი წელთაღრიცხვისა

პარი პირველი

ქართული მწერლობის დასაწყისი

პირველი პერიოდი ქართული მწერლობისა — ანტიკური ხანა

ქართულ კულტურას უძველესი სათავეები აქვს.

ქართველი ერი არის კულტურის მემკვიდრე ხეთას წრის ხალხთა, რომელთაც უძველეს ხანაში შექმნეს ბრწყინვალე, ერთ-ერთი წამყვანი კულტურა ძველი აღმოსავლეთისა.

არქაული დამწერლობის ძეგლები, რომლებიც ეკუთვნიან მეორე და პირველ ათასწლეულებს ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს, შეიცავენ ცნობებს ქართველი ხალხის უშუალო წინაპრების, ხეთას ჯგუფის ხალხების — მუსხების (მესხების), თობელების (პიბერების), კასხების (კოლხების) შესახებ. რომელთაც ხელმძღვანელი როლი ეკუთვნოდათ ხეთას ხალხთა კოლექტივში წინა-ანტიკური ხანიდან მოკიდებული გიღრე მე-7 საუკუნემდე ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს.

ხეთას სახელმწიფოებრივ გაერთიანებათა კატასტროფის შემდეგ მცირე აზიის ტერიტორიაზე მე-7 საუკუნის მეორე ნახევარში, ძველი წელთაღრიცხვისა, მთავარმა ცენტრმა ქართველი ხალხის კულტურისა გადმოინაცვლა კავკასიაში, საქართველოს თანამედროვე მიწა-წყალზე.

ჩვენ აქ არ შევლივართ ქართველი ხალხის უძველესი ისტორიის განხილვაში და აგრეთვე არ ვეხებით საკითხს მცირე აზიის ხეთურ-ქართველური იეროგლიფური დამწერლობის შესახებ. ჩვენ მიმოხილვას ვიწყებთ საკუთრივ ქართული ლიტერატურიდან, რომელიც საქართველოს თანამედროვე მიწა-წყალზე განვითარდა და რომელიც სარგებლობდა არა არქაული ქართველური ძირის განსხვავებული ენით (როგორც იყო ხეთურ-ქართველური), არამედ საკუთრივ ქართული ენით, ე. ი. იმ ენით, რომლითაც დაწერილია ქართული მწერლობის ძეგლები ანტიკური ხანის დასასრულიდან, IV საუკუნიდან, ქრისტიანობის ხანიდან მოკიდებული, იმ ენით, რომლითაც დაწერილია შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი და რომლის ტრადიციები განუხრებლად გრძელდება მომდევნო საუკუნეებში.

ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანებანი კავკასიის ტერიტორიაზე — იბერია და კოლხეთი — განვითარების მაღალ დონეს აღწევენ ანტიკურ ეპოქაში.

განთქმული გეოგრაფოსი სტრაბონი, რომელმაც თავისი შრომა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში გამოაქვეყნა, ასე იწყებს იბერიის აღწერილობას:

„და მართლაც იბერია თავის მეტ ნაწილში მშვენივრად არის დასახლებული ქალაქებითა და აგარაკებით, ასე რომ აქ გვხვდება ... ხუროთმოძღვრული ხელოვნების თანახმად ნაგები საცხოვრებელი სახლები, ბაზრები, და სხვა საზოგადოებრივი შენობანი“.

იბერიის კულტურის მაღალ დონეს ამ ეპოქაში მოწმობენ ჩვენ დრომდე მოღწეული მატერიალური კულტურის ძეგლები.

ბომპეტუსის ლაშქრობათა შემდეგ იბერია შედის ახლო პოლიტიკურსა და კულტურულ ურთიერთობაში დასავლეთის ქვეყნებთან. ამავე დროს იბერია უშუალო ურთიერთობაში იმყოფებოდა ირანის აღმოსავლურ იმპერიასთან.

იბერია ამ ხანაში მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფაქტორს წარმოადგენდა ახლო აღმოსავლეთში. საკმაო მოვიგონოთ, რომ იბერიის მეფე ფარსმან I (I საუკ.) წარმატებით უწყედა მეტოქეობას თვით ირანის იმპერიას. ცნობილია, რომ იბერიამ ერთხანად გააერთიანა თავისი მფლობელობა ირანის გავლენის სფეროებზე, პირველ საუკუნეში იბერებმა დაიპყრეს არაქსის აუზი, არმენია, და არმენიის მფლობელებად პირველ საუკუნეში ჩვენ ვხედავთ ფარსმან I-ის ძმას მითრიდატ იბერიელს და ფარსმან I-ის შვილს რადამისტის. (იხ. C. Tacitus, Annales, VI, 32—36, XI, 8—9, 44—51, XIII, 37).

იბერიის მნიშვნელოვანი პოლიტიკური ხვედრითი წონის მაჩვენებელია თუნდაც, მაგალითად, ის საგანგებო მიღება, რომელიც გაუმართავთ რომში იბერიის მეფის ფარსმან II-ისათვის (II საუკუნე), ანტიკური ხანის ისტორიკოსი დიონ კასიუსი მოგვითხრობს:

„ფარსმან გაემგზავრა რომს მეუღლის თანხლებით... მისი სამფლობელონი გაფართოებულ იქმნენ, და თითონ მას რომში არაჩვეულებრივი პატივი მიაგეს. მეუღლესთან ერთად მას უფლება მისცეს მსხვერპლი შეეწირა კაპიტოლიუმში, და თვით ფარსმანის ქანდაკება, ცხენოსანი სახით წარმოდგენილი, დადგმულ იქმნა ბელონის ტაძარში“.

ეს მოხდა მეორე საუკუნის 40-იან წლებში.

აქ საჭიროა გავითვალისწინოთ აგრეთვე შემდეგი:

იბერიის კულტურა ამ ეპოქაში უპირატესად დასავლეთის ელინისტურ სამყაროსთან არის დაკავშირებული. ამავე დროს იბერია აღმოსავლურ კულტურასთან კავშირში იმყოფება.

რაც შეეხება მეორე ქართულ მხარეს, კოლხეთს, იგი თავისი კულტურით უახლოესად დაკავშირებულია ელინურ მსოფლიოსთან.

კოლხეთის კულტურის მაღალი დონისა და ელინურ სამყაროსთან ახლო კავშირის მაჩვენებელია, კერძოდ, ის ფაქტი, რომ III—IV საუკუნეებში კოლხეთში არსებობდა განთქმული რიტორიკული სკოლა, რომელიც დიდი სახელით სარგებლობდა თვით საბერძნეთში.

ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსი და ორატორი IV საუკუნისა თემისტოხოსი (317—390) გადმოგვცემს, რომ მან განათლება კოლხეთის ამ რიტორიკულ სკოლაში მიიღო. თემისტოხოსი წერს: «რიტორიკის ნაყოფი მოვწყვეტე ფაზისის (რიონის) მახლობლად, სადაც არგომ (არგონავტებმა) დაისადგურა (კოლხეთში)». თემისტოხოსი მოგვითხრობს, რომ კოლხეთის ეს სკოლა «ერთი კაცის სიბრძნემ გახადეს ელინური და აქციეს მუზების ტაძრად, რომელიც ასწავლიდა — თუ როგორ გაიწვრთნა რიტორიკულ ხელოვნებაში და როგორ ბრწყინავდე ელინთა საზეიმო დღეობებზე».

გარდა იმისა, რომ თემისტოხოსს კოლხეთის ამ რიტორიკულ სკოლაში უსწავლია, ამ სკოლაში მიუღია განათლება თემისტოხოსის მამას, ევგენიოს ფილოსოფოსს. თემისტოხოსი წერს, რომ მისმა მამამ ევგენიოსმა «თავისი განთქმული ფილოსოფია სწორედ აქ (კოლხეთის სკოლაში) შეიძინა». ევგენიოსი, როგორც ცნობილია, შემდეგ ფილოსოფიის მასწავლებლად იყო კონსტანტინეპოლში.

რომ კოლხეთმა ანტიკურ ეპოქაში განვითარების მაღალ დონეს მიაღწია, ამის შესახებ აქ მოვიყვანთ კიდევ ერთ ცნობას აგათია სქოლასტიკოსისა, რომელიც საშუალო საუკუნეთა დასაწყისის მწერალია. აგათია კარვად იცნობდა კოლხეთს; მან დაგვიტოვა ვრცელი ისტორია იმ ბრძოლებისა, რომელსაც აწარმოებდა რომი და ირანის სასანიანთა იმპერია — კოლხეთში პოლიტიკური გავლენის მოპოვების მიზნით.

აგათია შემდეგსა წერს დასავლეთ-საქართველოს ქართველური ტომის კოლხების — ლაზების შესახებ (კოლხნი ძველი სახელწოდება; ლაზნი — ახალი სახელწოდება კოლხთა იმავე ეთნიური ჯგუფისა. კოლხეთს გვიან ანტიკურ ეპოქაში ეწოდება ლაზნიკა):

«ლაზები — დიდი და მეტად სახელოვანი ხალხია. ისინი მბრძანებლობენ სხვა დიდ (კავკასიურ) ტომებზე. ლაზები ამაყოფენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედმაღლობენ, და უნდა ითქვას, არც თუ უსაფუძვლოდ. იმ ხალხთა შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოებზე არიან დამოკიდებულნი (— ლაზიკის სამეფო ამ დროს რომის გავლენის სფეროშია მოქცეული), მე არ მეგულება არც ერთი სხვა ხალხი, ესოდენ სახელგანთქმული და მორკმული, ბედნიერი თავისი სიმდიდრითა და ქვეშევრდომთა სიმრავლით, ხელსაყრელი (გეოგრაფიული) მდებარეობით, მოსავლიანობის სიჭარბით, და თვით ხალხის ხასიათის სილამაზითა და სიქვიპიტით... მას შემდეგ [რაც არგო მოადგა კოლხეთის ნაპირს] — კოლხებმა ხელი მიჰყვეს მეზღვაურობას, და ვაჭრობაშიაც დიდს სარგებლობას ნახულობენ. და საერთოდ ისინი სრულებითაც არ არიან ბარბაროსები, და არც ეწევიან ისეთ ცხოვრებას, როგორსაც უკანასკნელნი. რომაელებთან კავშირის დამყარების შემდეგ ლაზები-კოლხები გადავიდნენ მოწესრიგებულ სახელმწიფოებრივ წყობილებაზე და კანონებზე დამყარებულ ცხოვრებას ეწევიან... აი ასეთი არიან ლაზები».

რომ ლაზიკა-კოლხეთში სახელმწიფოებრივი წყობილება მართლაც კარგად ორგანიზებული და დაწინაურებული ყოფილა, ამისი მაჩვენებელია თუნდაც ის გარემოება, რომ კოლხებს ნოწყობილი სახელმწიფო არქივები ჰქონიათ, სადაც შეგროვილი ყოფილა სახელმწიფოსათვის ყველა მნიშვნელოვანი საბუთები. ლაზების დესპანების სიტყვიდან ირკვევა, რომ ლაზებს სახელმწიფო არქივებში დაცული ჰქონიათ დოკუმენტები, ზავის წიგნები და ხელშეკრულებათა პირები, რომლებითაც კი ლაზები ოდესმე სხვა სახელმწიფოებს შეპყრიან.

•

ჩვენ აქ მოკლედ შევეხებით ალფაბეტის (ანბანის) ისტორიის ზოგ საკითხს. როდესაც ჩვენ ვითვალისწინებთ ქართველი ტომების — იბერების და კოლხების — კულტურულ დონეს ანტიკურ ეპოქაში, საგულევებელი ხდება, რომ მათ ამ ხანაში უნდა ჰქონოდათ მწერლობა, და, როგორც ირკვევა, ჰქონიათ კიდევც.

ქართული მწერლობის დიდი სიძველის მაჩვენებელია, პირველ ყოვლისა, თვით ქ ა რ თ უ ლ ი ა ლ ფ ა ბ ე ტ ი.

ქართული ანბანის შემოღების თარიღი შესაძლოა ზუსტად დადგენილ იქნას თვითონ ანბანის პალეოგრაფიულ თავისებურებათა მიხედვით.

ქართული ანბანი ეკუთვნის არქაული პერიოდის მცირე აზიის ალფაბეტების ჯგუფს. ქართული ანბანი არაა შექმნილი თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ იგი ჩამოყალიბებულია ჯერ კიდევ იმ ხანაში, როდესაც ხეთას ქართველი ხალხის ერთი ნაწილი — ჰ ი ბ ე რ ე ბ ი (თობელები) და მ ე ს ხ ე ბ ი მცირე აზიის ტერიტორიაზე მკვიდრობდნენ. ჰიბერებს (თობელებს) და მესხებს, როგორც ირკვევა, თავდაპირველად იეროგლიფური დამწერლობა ჰქონდათ¹; ხოლო ხეთას სახელმწიფოებრივი გაერთიანების არსებობის უკანასკნელ პერიოდში, მე-8—7 საუკუნეთა მიჯნაზე (ჩვენს ერამდე), ისინი გადასულან ალფაბეტურ დამწერლობაზე.

ქართული ალფაბეტური დამწერლობის შემოღება მიეკუთვნება ძველ ისტორიაში კარგად ცნობილ ქართველური ხეთას უკანასკნელი დიდი სახელმწიფო მოღვაწის მეფე მითას ხანას, რომელიც წყაროებში მოხსენებულია მითა მესხის სახელით.

მითას დროს მცირე აზიის ქართველური ტომები — მესხები და თობელები ახლო ურთიერთობაში შედიან ელინურ მსოფლიოსთან. მითა მესხის ხეთას სახელმწიფო გაფართოვდა დასავლეთის მიმართულებით, გაერთიანდა ვიღრე ტროამდე და ბერძნული კუნძულების ზონამდე.

¹ ხეთას მსოფლიოს ქართველი ტომების — თობელებისა და მესხების უძველეს დამწერლობას წარმოადგენს ევრეთოლდებული „ხეთური“ იეროგლიფური დამწერლობა, რომელიც დღემდე არ იყო სათანადოდ აღმოფხვრული. აეტორს ჩატარებული აქვს მუშაობა ხეთური იეროგლიფური დამწერლობის დეშიფრებაზე, რომელიც ახსნას ქართველური ენების საფუძველზე პოულობს (შრომა დამზადებულია გამოსაცემად).

სწორედ ამავე ეპოქაში IX — VIII საუკუნეებში პირველად ჩამოყალიბდა ალფაბეტი (ანბანი), რომელმაც შესცვალა ადრინდელი პრიმიტიული სახის დამწერლობა — იეროგლიფები. ალფაბეტი (ანბანი) პირველად იქნა შემოღებული IX—VIII საუკუნეთა მიჯნაზე (ეგვიპტური იეროგლიფური დამწერლობის გვიანდელი სტადიის მონაცემებზე დამყარებით).

ფინიკიური ალფაბეტი შეიცავს 22 ასოს. ფინიკიური ანბანი არ შეიცავს ხმოვანი ბგერების აღმნიშვნელ ასოებს, არამედ მხოლოდ თანხმოვნებს და რამდენიმე ხორხის მიერ ნახეარ-ხმოვანს. ხმოვანი ბგერების ასოთა უქონლობა დიდი დეფექტია ფინიკიური ანბანისა.

ფინიკიურმა ანბანმა თანდათან ფართე გავრცელება მიიღო კერძოდ მეზობელ საბერძნეთში. ისტორიული გადმოცემით ფინიკიური ანბანი პირველად ჩამოიტანა საბერძნეთში კადმოსმა, რომელსაც ამ ღვაწლისათვის ღვთაების პატივი მიაკუთვნეს და საბერძნეთის საკულტო ცენტრში დელფოსში კადმოსის სახელობის სამისნო იქნა აგებული.

როდესაც ქართველურ ხეათში გაიგეს ფინიკიური ანბანის ჩატანა საბერძნეთში (დელფოში), — ამის შემდეგ მოხდა შეხვედრა ქართველურ ხეთას და საბერძნეთის წარმომადგენელთა ანბანის საკითხთა გამო.

ალფაბეტის რეფორმისათვის შეიქმნა ქურუმთა საგანგებო კომისია. ბერძნების მხრით კომისიაში მონაწილეობა მიუღიათ პალამედსა და სიმონიდს, რომლებიც შთამომავლობით კუნძულ კეოსიდან იყვნენ, ხოლო ქართველური ხეთადან მითა მესხის წარმომადგენელთ. სხდომები იმართებოდა დელფოს სამისნოში და ამით ქართველმა ხეთებმა და ბერძნებმა განმეორებით ახალი პატივი მიაგეს კადმოსის ხსოვნას. სხდომას, ჩანს, ესწრებოდა თვით მითა მესხი. ბერძნთა განთქმული ისტორიკოსი ჰეროდოტე გადმოგვცემს, რომ მითა მესხი პირველი იყო, არა ელინთა შორის, რომელმაც თაყვანი სცაო ელინურ რელიგიურ სიწმინდეებს და ელინური კულტის ცენტრში დელფოში დასტოვაო საჩუქრად ოქროს ტახტი (ჰეროდოტეს, მისივე სიტყვით, თვით უნახავს ეს ტახტი, რომელიც მის დროს ჯერ კიდევ უოფილა დაცული დელფოში. არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ, რომ ჰეროდოტე, რომელიც პერიკლეს თანამედროვე იყო და ფიდიასის მომსწრე, დიდად აქებს მითას ოქროს ტახტის ხელოვნებას, იგი მას შესანიშნავ ძეგლად სთვლის. ამის მიხედვით შესაძლოა წარმოვიდგინოთ, თუ როგორ მაღლა მდგარა ხელოვნება, კერძოდ ოქრომქანდაკებლობა მესხთა და თობელთა შორის).



ფინიკიური ალფაბეტის რეფორმა, მისი მორგება ქართულ და ბერძნულ ენებთან რთულ პრობლემას წარმოადგენდა.

ფინიკიურ ანბანში ხმოვანთა აღმნიშვნელი ასოების უქონლობა, ცხადია, დიდი ნაკლი იყო, მაგრამ თვით ფინიკიურისათვის გადაუჭრელ სიძნელეს არ წარმოადგენდა, ვინაიდან ფინიკიურში და საერთოდ სემურ ენებში სიტყვის ჩონჩხს წარმოადგენდა თანხმოვნები და სიტყვების ამოკითხვა თანხმოვანთა მი-

ხედვით არაა დიდად საძნელო. სულ სხვაა ქართული და ბერძნული ენები, რომლებშიაც ხმოვანი ბგერები ორგანიული, შერწყმული ნაწილია სიტყვისა, ხმოვანი ასოები აუცილებელი ნაწილია ანბანისა.

ხეთურ-ქართულმა და ბერძნულმა კომისიამ ეს პრობლემა ბრწყინვალედ გადაჭრა, მოახდინა ანბანის ვოკალიზაცია, სახელდობრ შემოიღო ხმოვანი ასოები — ა, ე, ი, ო, უ (ოჟ), და აგრეთვე დაუმატა რამდენიმე თანხმოვანი ქართული ბგერა, რომლებიც ფინიკიურს აკლდა (ყ, ლ და სხვ.).

ამ გზით წარმოიშვა გაერთიანებული ხეთურ-ქართული და ბერძნული ანბანი.

ძირითადი საფუძველი, რასაც დაემყარა ეს რეფორმა, იყო ხეთურ-ქართველური არქაული იეროგლიფური დამწერლობა.

როგორც აღნიშნული გვექონდა, ფინიკიური ანბანი ხმოვნებს არ შეიცავდა მხოლოდ იმის გამო, რომ იგი ჩამოყალიბდა ეგვიპტური არქაული იეროგლიფური დამწერლობის საფუძველზე, რომელსაც არ გააჩნდა ხმოვანი ბგერების აღმნიშვნელი ნიშნები. ხოლო სულ სხვა სახისა იყო ხეთური იეროგლიფური დამწერლობა. იგი ვოკალიზებული იყო, მას გააჩნდა ხმოვანის აღმნიშვნელი ნიშნები. ეს ხმოვნები (— ა, ე, ი, ო, უ—ოჟ) მთლიანად უცვლელად გადმოვიდა ახალ ხეთურ-ქართველურ და ბერძნულ საერთო ანბანში¹.

ხეთურ-ქართველური და ბერძნული გაერთიანებული ანბანის შექმნამ უდიდესი როლი შეასრულა ანბანის განმტკიცება-გავრცელებაში და საზოგადოდ მწერლობის წარმატების საქმეში. ხეთურ-ქართველური და ბერძნული გაერთიანებული ანბანი სწრაფად გავრცელდა ხეთას მსოფლიოს მეზობელ მცირე აზიაში, გავრცელდა საბერძნეთის დასავლეთ კოლონიებში, იტალიაში. რომაული ანბანიც ერთ-ერთი განშტოებაა იმავე ხეთურ-ქართველური და ბერძნული გაერთიანებული ანბანისა.

ჩვენ ამ მოკლე ცნობებით დავამთავრებთ ანბანის გენეზისის საკითხთა მიმოხილვას.

აქ საქმროა გავითვალისწინოთ აგრეთვე შემდეგი.

ჯერ კიდევ წინა ანტიკურ ხანაში II—I ათასწლეულებში ძველი წელთაღრიცხვისა ხეთას ქართველ ტომთა — მესხებისა და თობელების (ჰიბერების) არქაულ იეროგლიფური დამწერლობა გავრცელებით სარგებლობს კავკასიის ქართველურ ქვეყნებში. მით უმეტეს ახალი სრულყოფილი დამწერლობა, ალფაბეტური დამწერლობა, შემოღებული VII საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა, მიღებულია კავკასიის ქართველურ ქვეყნებში. ხეთას ქართველური

¹ რომ ახალი ქართულ-ბერძნული ანბანი ხეთურ-ქართველურ იეროგლიფურ დამწერლობას დაემყარა, ამას ადასტურებს ყველა სხვა ნიშნები. ასე, ფინიკურ დამწერლობაში ტექსტი იწერება მარჯვნიდან მარცხნისაკენ და ასოებსაც პირი მარცხნისაკენ აქვს მიქცეული. ხოლო ხეთურ-ქართველურ და ახალ ბერძნულ ანბანში მიღებულია პუსტროფდონული ორკარიზი წერა, როგორც ხეთურ იეროგლიფურ დამწერლობაში მიღებული.

სამყარო და კავკასიის ქართველური ქვეყნები — იბერია და კოლხეთი — ერთ კულტურულ წრეს წარმოადგენს ამ ეპოქაში.

•

ქართული მწერლობის შესახებ ანტიკურ ეპოქაში ჩვენ შევჩერდებით აქ თორ მეტად მნიშვნელოვან ცნობაზე, რომლებიც დაცულია — ერთი ქართულ წყაროში, მეორე ბერძნულში.

ელინისტურ ხანაში, როდესაც ალექსანდრე მაკედონელის იმპერია (რომლის გავლენის სფეროში შედიოდა კავკასია), ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ, დიადოხების ხანაში, დანაწილდა ცალკე საფლობელოებად, იბერიამ გამოაცხადა დამოუკიდებლობა III საუკუნის პირველ მეოთხედში, იბერიაში მკვიდრდება ფარნავაზიანთა დინასტია¹.

დინასტიის დამაარსებლის, იბერიის დიდი მეფის ფარნავაზის შესახებ ძველ ქართულ საისტორიო წყაროში — ლეონტი მროველის მატიანეში „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ დაცულია შემდეგი ცნობა:

„ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლისა (ე. ი. იბერიისა) ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული... ამანვე შექმნა მწიგნობრობა ქართული“.

ფარნავაზის დროს, ჯერ ერთი, ჩანს, ჩატარდა შევსება ქართული ანბანისა, დაშვება ძველი ანბანის ბოლოში ცალკე საგანგებო ნიშნებისა სპეციფიკური ქართული ბგერებისათვის (რაც არქაულ პერიოდში, ჩანს, ნიშანთა შეერთებულა დაწერილობით გადმოიცემოდა).

ხოლო, რაც მთავარია, მატიანეში საუბარია მწერლობის აღორძინებაზე ფარნავაზის დროს, რომ ფარნავაზმა „განავრცო ენა ქართული“, „ამანვე შექმნა მწიგნობრობა ქართული“.

აღსანიშნავია ამას გარდა შემდეგი:

ძველი ქართული წარმართული კალენდარის შესწავლიდან დასტურდება, რომ III საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა მომხდარა მოწესრიგება ქართული კალენდარისა და შემოდებულ იქნა ნაციონალური წელთაღრიცხვა, რომლის დასაბამად მიღებულია 284 წელი ჩვენს ერამდე. ეს თარიღი, 284 წელი, საიდანაც იწყება ქართული ნაციონალური წელთაღრიცხვა, არის თარიღი იბერიის დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, ფარნავაზის გამეფებისა და ფარნავაზიანთა დინასტიის დამკვიდრებისა იბერიაში.

რასაკვირველია, არსებობა ისეთი მოწესრიგებული კალენდარისა, როგორც არის ძველ-ქართული წარმართული კალენდარი (რომელიც ანტიკური ხანიდან ქრისტიანულ ხანაში გადმოვიდა), რომელიც თავისი სისტემით ყოველმხრივ სრულყოფილია (კერძოდ, ყურადღებას იქცევს მდიდარი ძველ-ქართული საკალენდარო ტერმინოლოგია, ქართული თვეთა სახელებით და სხვ.) — ლიტერატურის განვითარებებს მალალ დონეს გულისხმობს.

¹ „მეფენი ფარნავაზიანი“ (ფაქტოს ბიზანტიელი).

ამრიგად, ცნობა, რომ ფარნავაზმა „შექმნა მწიგნობრობა ქართულში“ — ქრონოლოგიურად ემთხვევა და დასტურდება ისეთი დოკუმენტური ჩვენებით, როგორც არის რეფორმა კალენდარისა და ქართული ნაციონალური წელთაღრიცხვის შემოღება 284 წელს¹.

ქართული მწიგნობრობის არქაული ეპოქის შესახებ საგულისხმო ცნობა აქვს დატული აგრეთვე ანტიკური ხანის ბერძენ ავტორს ხარაქს პერგამელს (II საუტ. ჩვენი ერასი).

უძველესი დროიდან — ჯერ კიდევ ჰომეროსის ეპოქიდან — ცნობილია ლეგენდა არგონაველთა მოგზაურობის შესახებ კოლხეთში.

ლეგენდა გადმოგვცემს, რომ არგონაველნი მოვიდნენ კოლხეთში, რათა წაეღოთ ოქროვანი საწმისი (ვერძის ოქროსსაწმისიანი ტყავი).

ეს ლეგენდა დიდი პოპულარობით სარგებლობდა ანტიკურ ხანაში და მას სხვადასხვა ინტერპრეტაციას აძლევდნენ ანტიკური ხანის ავტორები.

კერძოდ ხარაქს პერგამელს დაცული აქვს ასეთი განმარტება ამ ლეგენდისა. „ოქროს საწმისი“ ეს არისო „ოქრო-დამწერლობა“ ანუ „ხრისოგრაფია“, ე. ი. განსაკუთრებული ხელოვნება წერისა ოქროს ასოებით. წესები ამ ხელოვნებისა, ოქროს ასოებით წერისა, აღწერილი იყოო ტყავეზზე, და რომ არგონავეტებმა ამ მეტად მნიშვნელოვანი ხელოვნების შესათვისებლად იმოგზაურესო საბერძნეთიდან კოლხეთში.

ხარაქსის ეს ცნობა მეტად საგულისხმოა.

რასაკვირველია, არგონაველნი არ მოსულან საქართველოში ამგვარი კეთილშობილური მიზნით, რომ შეესწავლათ კოლხებრსაგან „ოქრო-დამწერლობა“, ხელოვნება წერისა ოქროს ასოებით. არგონაველთა ინტერესები, ალბათ, ბევრად უფრო პროზაული და მატერიალური ხასიათისა იყო, მათ, ალბათ, კოლხეთის ოქრო უფრო აინტერესებდათ, ვიდრე კოლხთა მწიგნობრობა.

მაგრამ ხარაქს პერგამელის ცნობა იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ ხარაქსის დროს, როგორც ირკვევა, კოლხეთში გავრცელებული იყო „ოქრო-დამწერლობა“ (ხრისოგრაფია), ანუ ხელოვნება ოქროს ასოებით წერისა.

ხრისოგრაფია, ოქროვანი ასოებით წერა ტყავზე ანუ პერგამენტზე, საბერძნეთშიაც იყო ცნობილი (კერძოდ იგი ცნობილი იყო თვით პერგამში, რომე-

¹ აღვნიშნავთ აქვე, რომ ძველ-ქართულ ნაციონალურ ერას, რომელიც 284 წლიდან იწყება, ქართულად ეწოდება „ალექსანდრეს (ალექსანდრობითი) წელი“. როგორც ცნობილია, დიადოხების ეპოქის ყველა დინასტი, რომელთაც ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დანაწილების შემდეგ გამოაცხადეს დამოუკიდებლობა, ხელისუფლების პირველსათავედ ალექსანდრე მაკედონელს სთვლიდნენ, როგორც იმპერიის დამაარსებელს, ხოლო თავის თავს აღიარებდნენ ალექსანდრე მაკედონელის მემკვიდრედ ანუ მოსაყდრედ თავიანთ სამფლობელოში. აქედან წარმოსდგება ეს სახელწოდებაუ ძველი ქართული წელთაღრიცხვისა „ალექსანდრეს წელი“.

ლიც მწიგნობრობის განთქმულ ცენტრად ითვლებოდა ელინისტურ ხანაში, და საიდანაც იყო თვით ხარაქს პერგამელი). მაგრამ ხრისოგრაფია განსაკუთრებით კოლხეთში ყოფილა მიღებული, იგი, როგორც ირკვევა, სპეციფიკურ კოლხურ ხელოვნებად ითვლებოდა. ხარაქსი იმ აზრს ადგა, რომ კოლხებმა კი არ შეითვისეს ხრისოგრაფია ბერძნებისაგან, არამედ, პირიქით, ხრისოგრაფია საბერძნეთში კოლხებისაგან ვავრცელდაო.

ხარაქსის ცნობიდან ისიც ირკვევა, რომ მწიგნობრობა კოლხეთში უძველესი ხანის ამბად ითვლებოდა. მწიგნობრობა, კერძოდ, ხრისოგრაფია, არა მარტო ხარაქსის დროს არსებულა კოლხეთში, არამედ, ხარაქსის შეხედულუბით, იგი უძველესი ხანიდან—თვით არგონაველთა ეპოქიდან მომდინარეობდა.

ასეთია ის მნიშვნელოვანი ცნობები, რომელიც დატულია ქართული მწერლობის არქაული ხანის შესახებ როგორც ქართულ, ისე ბერძნულ საისტორიო წყაროებში.



უძველესი ქართული ლიტერატურული ძეგლები ანტიკური ხანისა ჩვენს დრომდე არ მოღწეულა, გარდა რამდენიმე ექსცერპტულად დაცული ტექსტისა, რომელთა შესახებ ქვემოთ გვაქვს საუბარი.

ქართული მწერლობის ადრინდელი ხანის ძეგლების დაღუპვა გამოწვეული იყო უმთავრესად ქრისტიანობის ვავრცელებით. ქრისტიანობა გაბატონებულ სახელმწიფო სარწმუნოებად იქცა საქართველოში მე-4 საუკუნის დასაწყისში. მებრძოლი ქრისტიანული ეკლესია სდევნიდა ეგრეთ-წოდებულ „წარმართული“ ხანის ლიტერატურულ მემკვიდრეობას. ჩვენამდე შენახულა პირდაპირი ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოში ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში აუტოლადფეს უმართავდნენ არა უფრო „წარმართულ“ ლიტერატურას, არამედ ქრისტიანობიდან გადახრილ „ერეტკული“ იდეებს შემცველ თხზულებებსაც. ასე, მაგალითად, მე-5 საუკუნის პირველ ნახევარში დაწვეს ქართველი მწერლის მობიდანის თხზულებანი, რომელიც მანიქეიზმის მოძღვრების იდეების შემცველი ყოფილა. „დასწვა ყოველი წერილი მისი (მობიდანისი) ქეშმარიტმან ეპისკოპოსმან (საქართველოს ეკლესიის ეპისკოპოსთა მთავარმან) მიქაელ“ — გადმოგვცემს მემატინანე.

თუ რა წესით ხდებოდა ხოლმე ჩვეულებრივ „სჯულის განწმედა“ ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში, აღვნიშნავთ აქ მის ერთ მაგალითსაც, რომელიც ეხება ჰერაკლე კეისარის ხანას, მე-7 საუკუნის პირველ მესამედს. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანობას საქართველოში უკვე სამი საუკუნის ისტორია ჰქონდა განვლილი, წარმართთა და მაზდეანთა დევნა, „სჯულის განწმედა“ ცეცხლითა და მახვილით ჯერ კიდევ არ ყოფილა დასრულებული. მემატინანე მოგვითხრობს:

„ამან ჰერაკლე ტფილისს და მცხეთას და უუარმას განავლინნა ქადაგნი, რათა ყოველნი ქრისტიანენი ქალაქთა შინა ეკლესიათა შინა შემოკარბენ, და ყოველნი მოგვნი და ცეცხლის-მსახურნი, ანუ მოინათლენ, ანუ მოისრნენ. ხოლო მათ ნათლის-ღება არა ინებეს, ზაკვით თანა-

აღერინეს ქრისტიანეთა, ვიდრემდის ყოველთა ზედა წარმართთა მახვილი, და ეკლესიათა შინა მდინარენი სისხლისანი დიდდეს. ხოლო ჰერაკლე განწმინდა სჯული ქრისტიესი“.

ასეთ პირობებში, როდესაც მეზობლი ქრისტიანული ეკლესია ცეცხლითა და მახვილით სდევნიდა თავის მოწინააღმდეგეებს, — სპობდა წარმართობის, მაზღეანობისა და ერეტიკოსობის ყოველგვარ ნაშთს, — განადგურდა ძველქართული „წარმართული“ ხანის მწერლობა. „წარმართობის“ დროიდან მომდინარე სალიტერატურო ძეგლები მოსპობილ იქნენ, ხოლო ზოგი მათგანი თუ შემთხვევით გადაარჩა, ისინიც თანდათან დავიწყებას მიეცა და დაიღუპა, რადგან მათ გადაწერასა და გავრცელებას არავინ მისდევდა.

ძველი ქართული „წარმართული“ ხანის ქართული მწერლობის ბედი ჩვენ ბევრ რამეში გვაგონებს ისლამის წინააღმდეგელი ირანული ლიტერატურის ბედს.

როგორც ცნობილია, ირანული მწერლობა წინამუსულმანური ხანისა თითქმის მთლიანად დაღუპულია, გარდა სრულიად მცირე მოცულობის ფრაგმენტებისა. სალიტერატურო მოწმობათა მიხედვით, და აგრეთვე თარგმანებისა და ექსცერპტების მიხედვით, რომლებიც უმთავრესად არაბულ ლიტერატურაშია შერჩენილი, უცილობელი ხდება, რომ ირანული მწერლობა, რომელიც ფაჰლავურ (საშუალო-ირანულ) ენაზე არსებულა, წარმოდგენდა დიდი მასშტაბის ლიტერატურას. აქ ბრწყინვალე განვითარება მიუღია საერო მხატვრულ მწერლობას (—საისტორიო-საგმირო ეპოსი, რომანტიკული ეპოსი, საზღაპრო ეპოსი, დიდაქტიკური ეპოსი, ლირიკა); არსებობდა სამეცნიერო მწერლობის დარგებიც (მათემატიკა, ასტრონომია, კოსმოგრაფია, მედიცინა), ფილოსოფიური ლიტერატურა, ეთიკური ხასიათის თხზულებანი („ფენდ-ნამე“), ენციკლოპედია („ინ-ნამე“), დოგმატურ-რელიგიური ლიტერატურა. — მთელი ეს მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა ძველი, წინამუსულმანური ხანის ირანისა დაიღუპა მომდევნო ეპოქაში, რომელიც მოჰყვა ისლამის გავრცელებას ირანში.

უძველესი „წარმართული“ ხანის ქართული მწერლობა თუმცაღა განადგურდა მომდევნო ეპოქაში, მაგრამ მისი გავლენა, ბუნებრივია, უკვალოდ ვერ გაქრებოდა და არც გამქალა. გავლენა „წარმართული“ ხანის ქართული მწერლობისა მოჩანს შემდგომი ხანის ქართულ ლიტერატურაში. ახალმა ქართულმა მწერლობამ, რომელიც მე-4 საუკუნეში ქრისტიანობის საფუძველზე წარმოიშვა, შეითვისა ძველი წარმართული მწერლობიდან როგორც ანბანი, ისე, ჩანს. ზოგიერთი ლიტერატურული ტრადიციებიც (კერძოდ, ტრადიციები საერო მხატვრული მწერლობისა). შეითვისა ამ ახალმა ლიტერატურამ ძველი ლიტერატურიდან სავსებით დამუშავებული, უაღრესად მდიდარი სალიტერატურო ენა. უნდა გვახსოვდეს, რომ ახალი ქრისტიანული მწერლობის უძველეს ტექსტებში უკვე მოცემულია ქართული სალიტერატურო ენის კლასიკური ნიმუშები. და ისეთი ძეგლები, როგორცაა, მაჟალითად. იაკობ ცურტაველის თხზულება, რომელიც ზუსტად მე-5 საუკუნით თარიღდება, ეკუთვნის ძველი ქართული პროზის უბრწყინვალეს ნაწარმოებთა რიცხვს.

ამრიგად, ქრისტიანული ხანის ქართულმა მწერლობამ, როგორც მოვიხსენეთ, შეითვისა წარმართული ხანის ქართული მწერლობიდან გამომუშავებული სალიტერატურო ენა, და ზოგიერთი სალიტერატურო ტრადიციაც (— კერძოდ ტრადიციები საერო მხატვრული მწერლობისა).

მაგრამ „წარმართული“ მწერლობის მემკვიდრეობა მართო ამით არ განისაზღვრება.

ამას გარდა, როგორც ირკვევა, ჩვენს დრომდე გადაჩენილა თვით ფრაგმენტებიც წარმართული ხანის ძველი ქართული მწერლობისა. ასე, წარმართული მწერლობის მთელი რიგი ფრაგმენტები და ნაწყვეტები მოიპოვება გადმონაწერებისა და ექსცერპტების სახით ადრეული ქრისტიანობის ხანის ძეგლებში. აღვნიშნავთ აქ ზოგიერთ ასეთ ექსცერპტს.

1

ქართულ მატიანეში „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომელიც ქრისტიანობის ხანის ერთ-ერთ უძველეს საისტორიო უხზულებას წარმოადგენს, შეტანილია უაღრესად საყურადღებო ცნობა ქართველ ტომთა ერთი ნაწილის სამხრეთიდან — არიან-ქართლიდან (ხეთას მსოფლიოდან) გადმოსახლების შესახებ IV საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა.

ეს ცნობა დიდი სიძველეთაა აღბეჭდილი და ავთენტურობის ბეჭედს ატარებს. ცნობაში აღნიშნულია გადმოსახლებულ „სახლთა“, ე. ი. „გვართა“ რაოდენობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და საყურადღებო ცნობები ანტიკური ხანის პანთეონზე, საიდანაც დასტურდება ინდენტურობა წარმართული ხანის ხეთას მსოფლიოს და ივერიის (ქართლის) პანთეონთა. ამ ცნობათა შემცველი ტექსტი, როგორც ირკვევა, მომდინარეობს რომელიღაც ძველი და ამასთან კარგად ორიენტირებული წარმართული ხანის საისტორიო ძეგლიდან, რომელიც ეხებოდა ხეთას მსოფლიოს ქართველ ტომთა—მესხებისა და თობელების (იბერების) ერთი ნაწილის ტერიტორიულ გადმონაცვლებას (მცირე აზიიდან, ხეთას კაპადოკიიდან) საქართველოში — ქართლის მესხეთში და შიდა ივერიაში (მცხეთა-არმაზის ზონაში) V—IV საუკუნეებში ძველი წელთაღრიცხვისა.

2

იმავე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანეში წარმოდგენილია მთლიანი სია წარმართული ხანის საქართველოს (იბერიის) მეფეებისა (მოკლე, საისტორიო ცნობების დართვით) — ექვსი საუკუნის მანძილზე, დაწყებული IV საუკუნის დასასრულიდან ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს და მოყვანილი IV საუკუნის დასაწყისამდე ჩვენი წელთაღრიცხვისა (ქრისტიანობის დამყარებამდე საქართველოში მირიან მეფის დროს).

როგორც ამას ცხადყოფს ამ სიის ყოველმხრივი ანალიზი. მისი ცნობების შეფარდება უცხოურ წყაროებთან, ასევე მცხეთა-არმაზის გათხრების მონაცემებთან. ეს ისტორიული ტექსტი, უცილობლად, ავთენტურობის ბეჭედს ატარებს.

რებს; მეფეთა ნუსხა, როგორც ირკვევა, სრულია, ქრონოლოგიური თანამიმდევრობა ზუსტი, ასევე სხვა ცნობები (კერძოდ, უწყება ძველ-ქართული პანთეონის შესახებ) სინამდვილეს ასახავს.

ამრიგად, დასტურდება, რომ „მოქცევა ქართლისაჲ“-ს ეს ისტორიული ტექსტი, რომელიც ეხება ანტიკურ ხანას, ექვს საუკუნე-ნახევრის პერიოდს, მომდინარეობს წარმართული ხანის ძეგლებიდან, არის გამოჩვენებული ძველი ქართული საისტორიო თხზულებებიდან.

როგორც ირკვევა, არმაზში, რომელიც ანტიკურ ხანაში ქართლის (იბერიის) სახელმწიფოს ჯერ პოლიტიკური ცენტრი იყო, ხოლო შემდეგ ქართლის მთავარ საკულტო ცენტრს წარმოადგენდა, დგებოდა ქართლის სახელმწიფო მატთანები.

რომ პირველწყარო „მოქცევა ქართლისაჲ“-ს მატანისა არმაზშია შედგენილი, ამაზე არის მითითება ტექსტის იმ ნაწილში, რომელიც ეხება ორმეფობის ხანას ქართლში (ივერიაში) ¹.

ვამთავრებთ რა ზოგად მიმოხილვას „მოქცევა ქართლისაჲ“-ს ისტორიული ტექსტისას, რომელიც ეხება ქართლს (იბერიას) ანტიკურ ხანაში ექვს საუკუნე-ნახევრის მანძილზე, აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ ისტორიულ ძეგლს ჩვენ ვუძღვენი ცალკე სპეციალური გამოკვლევა („ძველ ქართული მატანე „მოქცევა ქართლისაჲ“ და ანტიკური ხანის მეფეთა სია“ რომელიც გამოქვეყნდა 1941 წელს ², და რომელიც აქვე იბეჭდება (იხ. გვ. 503 — 565); მკითხველი აქ გაეცნობა საკითხს ყველა ასპექტში.

გარდა „ქართლის მოქცევა“-ს მატანისა, ანტიკური ხანის ძველ-ქართულ საისტორიო ძეგლთა ვრცელი ექსცერატები ჩვენ გვაქვს VIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის თხზულებაში „ცხოვრება (ამბავი) ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“.

ლეონტი მროველის თხზულებაში წარმოდგენილია თანამიმდევრობით ზუსტად იგივე სრული სია იბერიის მეფეთა, რაც მოიპოვება „მოქცევა ქართლისაჲ“-ს მატანეში (ე. ი. დაწყებული მე-4 საუკუნის დასასრულიდან ძველი წელთაღრიცხვისა — ვიდრე მე-4 საუკუნის დასაწყისამდე).

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ლეონტი მროველის თხზულებაში ექსცერატები ძველ-ქართული საისტორიო თხზულებებიდან ბევრად უფრო ფართოდ არის გამოყენებული, ვიდრე „მოქცევა ქართლისაჲ“-ს მატანეში. კერძოდ, აქ დაცული ცნობები იძლევა დასაყრდენს, რათა დავაზუსტოთ ქრონოლოგია.

მკითხველი ამ საკითხს დაწვრილებით გაეცნობა მითითებულ გამოკვლევაში „ძველი ქართული მატანე „მოქცევა ქართლისაჲ“ და ანტიკური ხანის მეფეთა სია“ (იხ. გვ. 503 — 565) ³.

¹ „მოქცევა“-ს მატანის ამ ტექსტში მცხეთას (ქვეყნის პოლიტიკურ დედაქალაქს) ეწოდება „იმიერი“, ხოლო არმაზს (საკულტო ცენტრს) ეწოდება „ამიერი“.

² იხ. „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, XI-ბ, 1941 წ., გვ. 259—320.

³ ლეონტი მროველის შესახებ იხ. აგრეთვე ჩვენი მონოგრაფია „ლეონტი მროველი ქართველი ისტორიკოსი — ჰამბავთა მწერალი — VIII საუკუნისა“ (დაიბეჭდება თხზულებათა კრებულს V ტომში).

წარმართული ხანის ძველ-ქართული მწერლობის მეტად მნიშვნელოვანი ექსცერპტები მოიპოვება აგრეთვე ძველ-ქართულ საკალენდარო-ქრონოლოგიურ ტექსტებში.

ანტიკური ხანის ქართული კალენდარი ჩვენ განხილული გვაქვს სპეციალურ მონოგრაფიაში „ძველ-ქართული წარმართული კალენდარი“, რომელიც გამოქვეყნდა 1929—1933 წლებში¹. ამის გამო ამ საგანზე აღარ შევჩერდებით. დადგენილია, რომ ძველ-ქართული კალენდარი ადრეულ ანტიკურ ეპოქაში არის ჩამოყალიბებული. უფრო გვიან ხანაში, 284 წელს ძველი წელთაღრიცხვისა, მომხდარა არქაული ქართული კალენდრის მოწესრიგება, რა დროიდანაც იწყება ნაციონალური ქართული ერა, ალექსანდრეს (ალექსანდრობითი) წელთაღრიცხვის სახელით ცნობილი.

აქ ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ ახალ პერიოდზე, ქრისტიანობის ხანაზე. ძველ-ქართული წარმართული კალენდარი, როგორც ცნობილია, გადმოვიდა ქრისტიანულ ხანაშიაც და ერთხანად იგი ხმარებაში იყო ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში. IV—V საუკუნეებში ჯერ კიდევ ქართული წარმართული კალენდარია მიღებული; V საუკუნის დასასრულიდან VII საუკუნემდე ქართული კალენდრის გვერდით პარალელურად ხმარებაში შემოდის ზოგადქრისტიანული რომაული კალენდარი; ხოლო VII საუკუნიდან მოკიდებული წარმართული ქართული კალენდარი საბოლოოდ შეცვალა რომაურმა კალენდარმა, მაგრამ ზოგი ელემენტი ძველ-ქართული კალენდრისა ისევ ხმარებაში დარჩა VII—X საუკუნეებში.

ადრეული საშუალო საუკუნეებიდან ჩვენამდე მოღწეულა მთელი რიგი ადრინდელი საკალენდარო ქრონოლოგიური თხზულებებისა. ასე, სამი საკალენდარო-ქრონოლოგიური ტექსტი მოიპოვება 870—904 წლებში გადაწერილ ქართულ ხელნაწერში (S-38). მოღწეულა აგრეთვე საკალენდარო-ქრონოლოგიური ტრაქტატი, გადამუშავებული ქართველი მეცნიერის იოანე-ზოსიმე სინელის მიერ მე-10 საუკუნის ნახევარში.

იოანე-ზოსიმე სინელის ტრაქტატიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ მის დროს ჯერ კიდევ ხმარებაში ყოფილა საკალენდარო-ქრონოლოგიური აღრიცხვისა და საკალენდარო სხვადასხვა ელემენტების გაანგარიშებისათვის (მზისა და მთვარის მოქცევა, ზედნადები და სხვა) ორგვარი სისტემა: ერთი ეს იყო „საეკლესიო“—ქრისტიანული გაანგარიშება, ხოლო მეორე სისტემას ეწოდებოდა გაანგარიშება „დღე ან თა“. ეს უკანასკნელი ძირითადად ძველ-ქართული წარმართული კალენდრიდან მომდინარეობდა.

მოღწეული საკალენდარო-ქრონოლოგიური ძეგლების შედარებითი შესწავლა ცხადყოფს, რომ ის საკალენდარო-ქრონოლოგიური ტექსტები, რომლებიც დაცულია S-38 ხელნაწერში, შეიცავს პირდაპირს ექსცერპტებს წარმართობის ეპოქის საკალენდარო-ქრონოლოგიური თხზულებებისა. ეს დასტურდება პირველ რიგში ტერმინოლოგიის მიხედვით.

¹ საქართველოს მუზეუმის მოამბე (დაიბეჭდა თხზულებათა კრებულის V ტომში).

ასე, ტერმინი „უამი“.

„უამი“ ძველ-ქართულ ქრისტიანულ მწერლობაში ნიშნავდა ზოგადი მნიშვნელობით „დროს“, ხოლო ვიწრო მნიშვნელობით „საათს“. ამგვარი მნიშვნელობა აქვს ამ ტერმინს უკვე ქრისტიანული ხანის პირველ ძეგლებში, როგორცაა დაბადებისა და სახარების თარგმანები მე-4 — 5 საუკუნეებისა.

ხოლო S-38 ხელნაწერში დაცულ საკალენდრო ტექსტში ტერმინი „უამი“ სულ სხვას ნიშნავს, „უამი“ აქ ეწოდება არა დროს — ზოგადად, და არა საათს ვიწრო მნიშვნელობით, არამედ „უამი“ ეწოდება 30-დღიან თვეს. და, მართლაც, როგორც ირკვევა, ასეთი ყოფილა სიტყვა „უამი“-ს თავდაპირველი, უძველესი მნიშვნელობა.

ამრიგად S-38-ის საკალენდრო ტექსტში ტერმინი „უამი“ მოცემულია ისეთი მნიშვნელობითა და შინაარსით, რაც ხმარებიდან გამოსულა ჭერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში, ბევრად ადრე, ვიდრე ქართულად ითარგმნებოდა ქრისტიანობის პირველი ძეგლები — სახარება და ბიბლია.

აღვნიშნავთ ამასთან, რომ წარმართული ხანიდან მომდინარეობს როგორც საკალენდრო ტექსტები და აგრეთვე ტერმინოლოგია, კერძოდ, თვეების სახელები (— სურწყუნისი, ივრიკისაჲ, ქველთობისაჲ, ტირისკნისი, ტირისდენისაჲ და სხვ.), ისე მნათობთა სფეროების სახელები: ცორანო, კირანო, მელტარო და სხვა, ზოდიაკოთა ძველი სახელწოდებანი (სახუ — ქალწული და სხვ.), ანდა შზის ვახაფხულის ბუნობის (დღე-ღამის გასწორების) ასტრონომიული წერტილის აღმნიშვნელი ტერმინი მარიოტა, ასევე, მთელი რიგი სხვა ტერმინებისა.

დასასრულ აქ შევჩერდებით კიდევ ერთ სალიტერატურო ცნობაზე, რომელიც წარმართული ხანის სალიტერატურო მემკვიდრეობას ეხება.

ქართულ საისტორიო წყაროებში დაცულია გადმოცემა, რომ ქართულ ენაზე წინაქრისტიანულ ხანაში არსებობდა „წიგნი ნებროთისი“.

ასე, ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი მოგვითხრობს, რომ წარმართობის ხანის ქართველმა მეფემ მირიანმა, მოისმინა რა ქადაგება ნინოსი, „იწყო გამოძიება სჯულისა“ და გადაიკითხაო წარმართული „ნებროთისი წიგნი“, რომელიც თან ჰქონდაო მირიან მეფეს.

ვახტანგ გორგასარის მემკვიდრე, აგრეთვე მოგვითხრობს ნებროთისი წიგნის შესახებ, რომ „მამათა ჩვენთა ფარულად ეპყრათ წიგნი ესე“, და რომ ნებროთისი წიგნი ხელთა ჰქონდაო ზემოთ მოხსენებულ მეფეს მირიანს.

რას წარმოადგენდა ეს წიგნი?

ლეონტი მროველი და ვახტანგ გორგასარის მემკვიდრე, შედარებით გვიანი დროის, ქრისტიანობის ხანის მწერლებია და ისინი უკვე აღარ იცნობენ ამ წიგნის შინაარსს. მათ დრომდე, ჩანს, მოუღწევია მხოლოდ ცნობას, რომ წარმართულ ხანაში ქართულ ენაზე არსებულა წიგნი, რომელიც „ნებროთისი წიგნის“ სახელით ყოფილა ცნობილი, და ამ გადმოცემას ისინი ავსებენ „განძთა ქვაბის“ მოთხრობიდან ამოღებული ცნობებით.

„ნებროთისი წიგნი“, ჩანს, წარმოადგენდა მაზღეიზმის (ზოროასტრიზმის), ე. ი. ცეცხლის თაყვანისმცემლობის მოძღვრების შემცველ რომელიღაც თხზულებას. მაზღეიზმი (ზოროასტრიზმი), როგორც ამის შესახებ ქვემოთ გვექნება

საუბარი, ფართო გაერცელებით სარგებლობდა წინაქრისტიანულ საქართველოში.

ნებროთი — მზღდენობის მოძღვრად და დამაარსებლად იყო მიჩნეული; ნებროთი არის alter ego ზოროასტრიზა (ზარატუსტრასი).

VI—VIII საუკ. ერთ ძეგლში, რომელსაც „განძთა ქვაბი“ ეწოდება, და რომელიც ასურული ენიდან არის გადმოღებული ქართულად, მოიპოვება საყურადღებო ცნობები ნებროთ-ზარატუსტრას და მისი წიგნის შესახებ. აქ ჩვენ ვკითხულობთ:

„და ღლეთა ნებროთ გმირისათა გამთხნდა ცეცხლი აღმოსავალით, რამეთუ გამოვიდა ქვეყანით, და ვითარცა იხილა ნებროთ, თაყვანისცა, და დაადგინა მღღენი, რათა თაყვანისცემდენ ცეცხლსა და აკმევდენ გუდნარქსა... მათ ეამთა შევიდა ნებროთ იანკონს... და ვითარცა მიიწია საცავსა მის ზღვისასა, პოვა მუნ იონიტან... და დაადგრა მის თანა სამ წელ და ისწავა ნებროთ იონიტანისაგან წიგნი სიბრძნისა... და აღმოვიდა აღნოსავალად, იწყო წუთად წიგნსა მას, და ფრიად დაუკვირდა ესე ყოველსა ერსა, ვითარ იგი ნებროთ სიბრძნის-მეტყველებდა...“

„ხოლო იგი წიგნი, რომელი ისწავა ნებროთ იონიტან გრძნელისაგან, არა შეიწყნარეს მოძღვართა ეკლესიისათა, ამისთვის რამეთუ ვარსკვლავთ-რიცხვაჲ არს. აწამედ სპარსნი უწოდენ ღირსად წმიდად, ხოლო ბერძენნი უწოდენ ვარსკვლავთ-რიცხვად წიგნსა მას, ხოლო მოგვნი ფედ სახელსდებენ, რომელ არს წიგნი სიტყვისა. ესე არს წიგნი გრძნებისა და მოძღვრება ეშმაკთა სიბილწისა, და უმეცარნი იტყვიან, ვითარმედ ქემზარტ არსო, ხოლო არს კარი გრძნებისა და შეგინებისა“.

ამრავალ, როგორც ირკვევა, „ნებროთის წიგნი“-ს სახელით ცნობილი უოქალა ზოროასტრული თხზულება. და გასაგებია ამის შემდეგ. რომ წინაქრისტიანულ საქართველოში, სადაც ზოროასტრიზში ფართო გაერცელებით სარგებლობდა, ქართულ ენაზე ზოროასტრული თხზულებანი არსებულებო.

არა ინტერესს მოკლებული აღენიშნოთ, რომ, როგორც ამას გადმოგვცემს ისტორიკოსი ლეონტი მროველი, მირიან მეფე, ვიდრე იგი ქრისტიანობას მიღებდა, „სჯულს გამოძიების“ საკითხთა გამო „ნებროთის წიგნს“ მიმართავდა.

უღრო გვიანაც, მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა განმტკიცდა საქართველოში და სახელწოდო რელიგიად იქნა აღიარებული, მზღდენური „ნებროთის წიგნი“ უბრალოდ კიდევ ვადარჩენილა და, როგორც გადმოგვცემს ნახტანგ გორგასანის მემორიალი. „ნაშაჲ ჩვენთა ფარლად ეპყრათ წიგნი ესე“.

კარი მეორე

პართული უკველესი ეპიკური თქმულეგანი და ხალხური სიტყვიერების სხვა ნაწარმომანი

წინაქრისტიანული ანტიკური ხანის ძველ საქართველოში არსებულა მითოლოგიური და საგმირო ეპოსი, აგრეთვე ხალხური სიტყვიერების სხვა დარგები. რომელსაც მოუთხრობდნენ და მღეროდნენ მგოსნები (რაფსოდები).

ჩვენ აქ ვეხებით ძველ ეპიკურ თქმულებებს და ხალხური სიტყვიერების სხვა ნაწარმოებთ, რამდენადაც მათ უშუალო გავლენა ჰქონდათ მომდევნო ხანაში წარმოშობილ ქართულ საერო მხატვრულ მწერლობაზე.

•

ძველი მგოსნების (რაფსოდების) შესახებ და აგრეთვე ძველ ქართულ ეპიკურ თქმულებათა გამო საყურადღებო ცნობები დაცულია საისტორიო წყაროებში.

აქ ჩვენ შევიჩერდებით ზოგიერთ ცნობებზე და მაგალითებზე.

ა

გლოვა ქართველთა მეფისა ფარსმან ქველისა

ქვემოთ მოყვანილი ფოლკლორული ძეგლი ეხება II საუკუნის ქართველთა მეფეს ფარსმან III-ს. იგი დიდად ცნობილი ისტორიული პიროვნებაა, მას ფარსმან ქველის სახელწოდება მიემაართებოდა (მეფობდა 130—160-იან წლებში).

ძველი ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი მოგვითხრობს რა საქართველოს აღზევების შესახებ ფარსმან ქველის დროს, გადმოგვცემს, რომ ღვაწლმოსილი ქართველი მეფე სპარსთა დამარცხებული მეფის მიერ ვერაგულად მოწყობილი ღალატით დაიღუპა.

მოგვყავს ლეონტი მროველის უწყება და ტექსტი „გლოვისა“.

მამის იქმნა გლოვა და ტირილი და ტყემა ყოველთა ქართველთა ზედა, წარჩინებულთაგან ვიდრე გლასადმდე, და იტყებდეს თავთა მათთა, და ყოველთა შინა ქალაქებთა და დაბნებთა დახსდიან მ გ ო ს ა ნ ნ ი გლოვისანი, და შეეკრიბან ყოველნი, და იქსენებდიან სიქუელისა და სიშენისა, და სიშუენიერისა და ხანიერებასა ფარსმან ქუელისასა და იტყოდეს ესრეთ:

1. ვაი ჩუნდა,
რამეთუ მოგუძინა ' ჩუნ სუემან ბოროტმანი
2. და მეფე ჩუენი,
რომლისა მიერ კსნილ ვიყვენით ' მონებისაგან მტერთაჲსა, —
3. მოიკლა იგი
კაცთა მათ ' მგრძნებულთაგან.
4. და აწ მივეცენით
ჩუნ წარტყუნევად ' ნათესავთა უცხოთა

ყურადღებას იქცევს სალექსო ფორმა ამ არქაული ტექსტისა. აქ ჩვენ გვაქვს უძველესი სახეობა ლექსისა, „წყობილი სიტყვა“, ურითმო რიტმიზებული ტექსტი, როგორც ბიბლიურ ფსალმუნებში (ესევე სალექსო ფორმა „წყობილი სიტყვა“ მიღებულია ქრისტიანობის აღრეული ხანის ქართულ საგალობლებში).

ბ.

ბრძოლა ქართველთა მეფის მირვან I-სა და ღურძუკთა

ქვემოთ მოყვანილი შეორე ფოლკლორული პოეტური ძეგლი, რომელიც მოჰყავს იმავე ისტორიკოსს ლეონტი მროველს, და რომელიც საქართველოს მეფის მირვან I-ს ეხება, ბევრად აღრინდელია, ვიდრე განხილული პირველი ძეგლი ფარსმან ქუელის შესახებ. მეფე მირვან ერთ-ერთი უახლოესი მემკვიდრეა პირველი მეფის ფარნავაზისა, იგი მეფობდა II საუკუნის დასაწყისში ძველი წელთაღრიცხვისა. ლეონტი მროველთან დაცული უწყებების თანახმად მირვან I-მა პირველად შეაბა კარი დარიალს და ამით საქართველოს მტკიცე გუჟული ზღუდე შეუქმნა ჩრდილოეთით, კავკასიონის ხაზზე. მირვან I-ს დარიალის კარის შებმის უწინარეს ბრძოლა მოუხდა ჩრდილო კავკასიის ტომთან ღურძუკებთან, რომელნიც საქართველოს საზღვრებში შემოიჭრნენ.

ბრძოლა ასეა აღწერილი ამ ფოლკლორულ ძეგლში „წყობილი სიტყვით“:

1. 4 მოგიძინა M, მოგუძინა B, მოგუძუნა A || 5 ჩუნ სუემან] სიკუდილმან M || 6 ჩუნ abs. M.

2. 4-5 რომლისაგან BM || 6 მონებისაგან ABM.

3. 2 იგი abs. AB || 4 მათ abs. A || 4-5 კაცთაგან მგრძნებავთა M. კაცთა გრძნულთაგან A.

4. 4 ჩუნ abs. M || 4-7 უცხოთა ნათესავთა A.

- I მაშინ მირვან გარდაჲდა ცხენისაგან,
და მივიდა ქუეითთა თანა თჳსთა,
და წარუძლუა წინა ქუეითთა,
და ზურგით შემოადგინნა მკედარნი;
-
- II და მივიდა კართა მათ შინა
ვითარცა ჯიქი სიფიცხლითა,
ვითარცა ვეფუხ სიმენითა,
ვითარცა ლომი ზახილითა.
-
- III იქმნა მათ შორის
ბრძოლა სასტიკი;
-
- IV ხოლო მირვანს ვერ აკუეთდა მახული ღურბუკთა
ვითარცა კლდესა სიპსა,
და დგა იგი უძრავად
ვითარცა კოშკი მტკიცე.

ქართული ხალხური სიტყვიერების ეს უძველესი ძეგლი, აღბეჭდილი ხალხურობით, წარმოადგენს „წყობილი სიტყვის“ ლექსთწყობის შესანიშნავ ნაწარმოებს თავისი მკვეთრი, ჩამოსხმული რიტმიკით.

ბ

ბრძოლა გმირთა და სასტიკება ჰაერისა

ძველი ქართული ხალხური სიტყვიერების უაღრესად მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს უძველესი ჩვენ დრომდე მოღწეული ფოლკლორული ტექსტი, რომელიც დაუცავს იმავე ძველ ქართველ ისტორიკოსს ლეონტი მროველს.

ეს ძეგლი ეხება მითურ ასპექტში კავკასიის ისტორიის უძველეს პერიოდს, წარმოგვიდგენს ბრძოლას კავკასიელთა (თარგამოსიანთა) და მომხდურ ნებროთიანთა, რომელიც კავკასიელთა გამარჯვებით თავდება.

I. —² მირიან M || 6 და abs. BM || 14 და abs. BM.

II. —² მოვიდა M || 7 ჯიქუი M || 8 სიფიცხითა B.

მოგვყავს ტექსტი ძეგლისა.

ბრძოლა გმირთა და სასტიკება ჰაერისა

1. იქმნა მათ შორის ბრძოლა სასტიკი —
რომელი ემსგავსა სასტიკებასა ჰაერისასა;
2. რამეთუ მტუერი ფერქისა მათისა —
ვითარცა ღრუბელი სქელი;
3. ელვა აბჯრისა მათისა —
ვითარცა ელვა ცისა;
4. კმა პირისა მათისა —
ვითარცა კმა ქუხილისა;
5. სროლა ისრისა მათისა —
ვითარცა [ტეხა მუხისა];
6. ტყორცა ქვისა მათისა —
ვითარცა სეტყუა ქშირი;
7. და დათხევა სისხლისა მათისა —
ვითარცა წუმისა ლუარი¹.

ამ უძველეს ფოლკლორულ ხალხური სიტყვიერების ტექსტში, როგორც ვხედავთ, თავიდან ბოლომდე გატარებულია პარალელიზმი ბრძოლის აღწერისა და ბუნების მოვლენათა შორის.

ბუნების სურათი (ტაროსის შეცვლა) აქ თანამიმდევრულად იშლება ასეთის თანდათანობით:

ჯერ იწყება „ს ა ს ტ ი კ ე ბ ა ჰ ა ე რ ი ს ა“;
გამოჩნდება „ღ რ უ ბ ე ლ ი ს ქ ე ლ ი“;
ღრუბელში გამოკრთება „ე ლ ვ ა ც ი ს ა“;
შემდეგ „ხ მ ა ქ უ ხ ი ლ ი ს ა“;
ამას მოჰყვება „ტ ე ხ ა მ ე ხ ი ს ა“;
მას უკან „ს ე ტ ყ ვ ა ხ შ ი რ ი“.
და ბოლოს „წ ვ ი მ ი ს ა ღ ვ ა რ ი“.

ბუნება აქ მოცემულია ორგანულ მთლიანობაში, როგორც „ჰაერის სასტიკების“ თანდათან გაშლა და ამის გვერდით მისი შესაფარდი სურათი კავკასიელთა (თარგამოსანთა) და ნებროთიანთა ბრძოლისა მითოლოგიურ ასპექტში გადატანილი.

ამ ძეგლის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ უძველესი ხანის რაფსოდების პოეტური სტილის შესახებ.

¹ იხ. პ. ინგოროყვა, ლეონტი მროველი, ენიშის მოამბე, 1941 წ., X, გვ. 102—103.

აღსანიშნავია, რომ ეპოსის ამ ფრაგმენტში არის ერთგვარი შეხვედრა უძველეს ქართულ ეპიკურ თქმულებასთან ამირანის შესახებ.

ამირანს ძველი ეპოსის ერთი ლექსი ადარებს საავდროდ გამზადებულს ღრუბელს; ემსგავსაო —

„ამირან — შავსა ღრუბელსა,
საავდროდ გამზადებულსა“.

ლეონტი მროველის თხზულებაში დაცული ეპიკური ფრაგმენტი იძლევა გარკვეულ პარალელიზმს ამირანის ეპოსის იმ ეპიზოდთან, სადაც აღწერილია ტაროსის ღვთაების („ღრუბელთა ბატონის“) ასულის კამარ-ქალის მოტაცება ზეციური კოშკიდან ამირანის მიერ. ამირანს მოჰყავს მოტაცებული კამარ და მათ გზაში პირელად „წამოეწია ღრუბელი“; ქალი ამბობს: „ეს მამა-ჩემის ქარი წამოვიდა და მისი ჩრდილია“. შემდეგ „წამოეწიათ წინწალი“; ქალი ამბობს: „მამა-ჩემის ქარი ზღვას გამოვიდა, იმათი ფეხის ნამია“. შემდეგ დაიწყება „კოკისპირული წვიმა“, იწყება ბრძოლა ამირანსა და კამარის შამას (ტაროსის ღვთაებას) შორის, და ეპოსის სიტყვებით — „ამირანის ხმალი კამარის შამის მუზარადს რომ მოხვდებოდა, ნაპერწყლის ცეცხლი ენთებოდა“.

პარი მესამე

ქართული უძველესი მითოლოგიური ეპოსი

ამირანის ეპოსი ვარათრაგის ეპოსი

როგორც წარმოდგენილი ზოგადი მიმოხილვიდან გამოიკვეა, ანტიკურ ხანაში ქართულ ენაზე არსებულია მდიდარი ხალხური მხატვრული სიტყვიერება, კერძოდ ეპიკურ თქმულებათა ციკლი საქართველოს ისტორიულ მოღვაწეთა შესახებ.

ზოლო ამის გვერდით ანტიკურ ხანაში ქართულ ენაზე არსებულია მდიდარი მითოლოგიური ეპოსი.

ქართული უძველესი წინაქრისტიანული მითოლოგიური ეპოსის ძეგლთაგან ჩვენ გამოვყოფთ და საგანგებოდ შევჩერდებით ორ ციკლზე:

პირველი და მთავარია — ამირანის (პრომეთეს) ეპოსი.

მეორე — ვარათრაგის (ვახტანგის) ეპოსი.

ჯერ ჩვენ საუბარი გვექნება მეორე, უფრო გვიანდელ ვარათრაგის ეპოსზე.

1.

ვარათრაგის (ვახტანგის) ეპოსი

ვარათრაგნი (იგივე ვარათრანგი, ვახტანგი, ვაჰაგნი) მაზდეანური ღვთაების სახელია. მაზდეანობა (ზოროასტრიზმი), როგორც აღნიშნული გვექონდა, უძველესი დროიდანვე თანდათანობით დამკვიდრდა საქართველოში. საისტორიო წყაროების ცნობებიდან დასტურდება, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში მაზდეანური კულტი საქართველოში ფართო გავრცელებით სარგებლობდა.

აქ სჭირია აღვნიშნოთ ამასთან, რომ ქართული მაზდეანობა არ უნდა წარმოვიდგინოთ ჩვენ შეურევენელად, როგორც იგი ირანში იყო მიღებული, ორთოდოქსალური ზოროასტრიზმის სახით. მაზდეანობის გარდაქმნა ქართულ ნიადაგზე, მისი შერევა ძველ-ქართულ წარმართობასთან და ჩამოყალიბება საქართველოში სინკრეტული ქართულ-მაზდეანური კულტისა დასტურდება მთელი რიგი ჩვენებებით.

ამის მაჩვენებელია ის გარემოება, რომ საქართველოში მიღებული ყოფილა მზღდენურ ღვთაებათა წარმოდგენა კერპ-ქანდაკებათა სახით, რაც ორთოდოქსალური ზორაოასტრიზმის თვალსაზრისით შეუწყნარებელი იყო. ასე, საქართველოში კერპის სახით ყოფილა წარმოდგენილი მზღდენური ღვთაება ვარათრაგნი (ვაჰაგნი).



როგორც ირკვევა წყაროებიდან, საქართველოში წინაქრისტიანულ ხანაში არსებულა ვარათრაგნის ებოსი, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

ძველი სომეხთა ისტორიკოსი მოსე ხორენელი, — რომელიც ბაგრატიონთა კარზე მოღვაწეობდა, ახლო იცნობდა საქართველოს და, როგორც ირკვევა თვით მისი ისტორიის ტექსტიდან, იცოდა ქართული ენა და ქართულ მსოფლიოსთან იყო დაკავშირებული, — გადმოგვცემს უაღრესად საინტერესო ცნობას ვარათრაგნის ებოსის შესახებ, რომელიც წარმართულ ხანაში გავრცელებული ყოფილა ივერიაში (საქართველოში). იგი წერს:

„... ვ ა ჰ ა ვ ა ნ ი (ვ ა რ ა თ რ ა გ ნ ი). ამ უკანასკნელის შესახებ ლეგენდა მოგვითხრობს:

„მშობიარობის ტყვილებს განიცდიდა ზეცა და დედამიწა.
მშობიარობის ტყვილებით შეპყრობილი იწვა ძოწითმოსილი ზღვა.
ზღვამ შვა წითელი ლერწამი.
ლერწამის ყელიდან ამოდიოდა კვამლი.
ლერწამის ყელიდან ამოდიოდა ალი.
ალიდან ამოდიოდა ვაჟი.
მას ჰქონდა თმები ცეცხლისა,
მას ჰქონდა წვერი ალისებრი,
ხოლო თვალები — მზე“.

„ჩვენ თვით გავვიგონია, — განაგრძობს მოსე ხორენელი, — თუ როგორ მღეროდნენ ამას ქნარის აყოლებით. შემდეგ სიმღერაში უმღეროდნენ ვაჰაგნის (ვარათრაგნის) ბრძოლას ვეშაპებთან (დრაკონებთან) და ვაჰაგნის მათზე გამარჯვებას. ყოველივე, რასაც მღეროდნენ მგოსნები (ვაჰანგი — ვარათრაგნის შესახებ) დიდად ემსგავსებოდა ჰერაკლეს გამირობათა მოთხრობას. მღეროდნენ აგრეთვე მის ამოთეოზს. და იქ ივერთა (ქართველთა) ქვეყანაში ამართული იყო კერპი (ქანდაკება) მისი სიმალისა, რომელსაც მსხვერპლით პატივსცემდნენ“.

მეორე მწერალი — გრიგოლ მაგისტროსი — აგრეთვე მოგვითხრობს, რომ ქართველი მგოსნები ვარათრაგნის (ვაჰარანის) შესახებ ლექსებსა თხზავდნენ და სიმღერით ღმერთსავეთ აღიდებდნენო.

ვარათრაგნი მზის ღვთაების ასპექტია — როგორც ირანულ, ისე კავკასიურ პანთეონში¹. უძველესი ლექსი ვარათრაგნის დაბადების შესახებ, რომელიც

¹ კავკასიური პანთეონის ძველი ინტერპრეტატორები, ადრეული ქრისტიანული ხანის მწერლები, კავკასიურ ღვთაებას ვაჰაგნის (ვარათრაგნის) უფარდებენ ელინურ აპოლონს (იხ. აგათანგელოსი).

ზემოთ მოვიყვანეთ, იძლევა სურათს მზის დაბადებისა — ძოწითმოსილი ზღვის წიაღიდან. ცეცხლის თმებით, ალისფერი სახით, და მზე — თვალით.

„მზის-თვალი“ ვართრავნი ებრძვის სიბნელეს, რომელიც, მითოლოგიურად „ვეშაპის“ სახით არის განსახიერებული; ვართრავნი ამარცხებს ვეშაპს და ჰკლავს კიდეც. ვართრავნის მუღმივი ებითეცია „ვიშაპაკალ“ (ვეშაპა-კალ“), ე. ი. ვეშაპის მკვლელი.

•

გარდა ამ ცნობებისა, რომლებიც დაუცავთ მოსე ხორენელსა და გრიგოლ მაგისტროსს ვართრავნის ეპოსის შესახებ, რომელსაც ასეთი ფართო გავრცელება ჰქონია საქართველოში, ჩვენ გვაქვს ერთგვარი გამოძახილი ვართრავნის ეპოსისა ერთ ძველ ქართულ თხზულებაში, რომელსაც ეწოდება „ჰამბავი ვახტანგ გორგასარისა“.

თუმცა ეს ძველ-ქართული თხზულება უკვე ქრისტიანულ ეპოქას ეკუთვნის, ავტორს აქ შეუნახავს უძველესი ქართული წარმართული ეპოსის ზოგიერთი გადმონაშთი.

თხზულება „ჰამბავი ვახტანგ გორგასარისა“ ლეგენდურ ასპექტში წარმოგვიდგენს V საუკუნის საქართველოს მეფის ვახტანგ დიდის თავგადასავალს.

თხზულება დაწერილია IX საუკუნეში, ე. ი. ოთხი საუკუნით დაშორებულია ვახტანგის ეპოქას. ავტორი იძლევა ვახტანგის აპოთეოზს, იგი წერს ეპიკურ-საისტორიო მოთხრობას და მას მოთხრობის პირველ ნაწილში გადააქვს ვახტანგ მეფის პიროვნებაზე წარმართული ღვთაება ვართრავნი — ვახტანგის ეპოსის ელემენტები.

აღნიშნავთ აქ ზოგიერთ რეალიას, საიდანაც დასტურდება, რომ ვახტანგ გორგასარის ამბავში მოიპოვება ზოგიერთი ანარეკლი ვართრავნის ეპოსისა.

ჩერ თვით სახელის შესახებ. „ვახტანგ გორგასარის ჰამბავში“ აღნიშნულია, რომ ვახტანგ გორგასარს ერქვაო „სპარსულად“ ხუ არა (ხუასრო) ვართრავნი, ხოლო ქართულად ეწოდაო ვახტანგ“¹.

ხუარა — ეს არის მარდენური ტერმინი-მითოლოგემა, აღნიშნავდა მარდენურ ღვთაებათა მზიურ ბრწყინვალეობას, იგი მიემართებოდა მარდენიზმის ნათლოსან ღვთაებათა იახატებს, რომელთა რიცხვს ეკუთვნოდა ღვთაება ვართრავნი. ამრიგად „ვახტანგ გორგასარის ჰამბავში“ დაცულია პირდაპირი ჩვენება, რომ მოთხრობაში გადატანილია მარდენური ღვთაების ვართრავნის თქმულებათა ელემენტები.

შემდეგ, სიტყვა „ვართრავნი“, რომელიც შედის ღვთაების სახელში „ვართრავნი“, აღნიშნავს ფარს.

ხოლო ვახტანგის შესახებ „ჰამბავში“ მოთხრობილია, რომ ვახტანგს ჰქონდაო ჭადოსნური ფარი, ვიგრის ტყაყისა, რომელსაც ვერ ჰკვეთდა მახვილი.

¹ ხელნაწერებში სახელის დაწერილობა ოდნავი სახესხვაობით არის წარმოდგენილი: „ხუარა ვართრავნი“ — „ხუასრო ვართრავნი“.

საინტერესოა თვით ეს „ვიგრი“, რომლის ტყავისაგან შექმნილია ეს ჭადოსნური ფარი. „ვიგრი“ — ნიშნავს ვეშაპს. გარდა ამ ტერმინისა „ვიგრი“, ძველ ქართულში შერჩენილია მითოლოგიურ წარმოდგენათა აღმნიშვნელი ანალოგიური რთული ტერმინები: *ვიგრ-დევი (ე. ი. ვეშაპი ბოროტი არსება), *ვიგრ-კურო (მინოტავრი, დრაკონი).

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ „ვახტანგ გორგასარის ჰამბავში“ მოიხსენება უმცროსი დაი ვახტანგისა მიჰრანდუხტ (ესეც თეოფორული სახელია (დაკავშირებული ღვთაების სახელთან „მიჰრა“). იგი შეეფარდება სომხური ვერსიის ნათლოსან ღვთაება ქალს „ლუსინ“ („ნათლოსანი“ იაზატი).

„ვახტანგ გორგასარის ჰამბავში“ აგრეთვე დასახელებულია ვახტანგ-ვარათრაგნის მეორე უფროსი დაი, რომელსაც ეწოდება „ხუარა-მზე“ (ე. ი. იმავე თეოფორული ეპითეტის „ხლარა“-ს დართვით) და რომელიც „ჰამბავში“ წარმოდგენილია როგორც მითოლოგიური ზღაპრული არსება.

ასე, მაგალითად, „ვახტანგ გორგასარის ჰამბავში“ მოთხრობილია ერთ ადგილას ვახტანგისა და მისი დის ხუარა-მზის შესახებ, რომ ვახტანგი იყო „უშაღლეს ყოველთა კაცთა... უშვენიერეს სახითა, ძლიერი ძალითა, რამეთუ სიმაღლე მისი იყო ათორმეტი ბრჭლითა მეტი კაცისა და იყო საზარელ და გოლიათ... ჭურვილი ქვეითი ირემსა მიეწიის, უპყრის რქა და დაიჭირის, და ცხენი ჭურვილი აღიღის ნხართა და მცხეთით აღვიდოს ციხესა არმაზისასა... და ერთი დაჲ მისი ხუარა-მზეცა იყო ძლიერი და შვენიერი...“

ვახტანგის (ვარათრაგნის) უმცროს დას, ნათლოსან ღვთაების განსახიერებას („მიჰრანდუხტ“ || „ლუსინ“-ს) მოწინააღმდეგე ძალები, კავკასიონის მთიელები, გაიტაცებენ, წაიყვანენ ტყვედ, ამასთან ქვეყანასაც მოაოხრებენ და წარტყვენავენ; ნათლოსანი „მიჰრანდუხტ“ || „ლუსინი“ ტყვეებთან ერთად მიჰყავთ კავკასიონის მთებში (ოვსეთ-ჩერქეზეთში).

„ვახტანგ გორგასარის ჰამბავში“ აღწერილია ვახტანგის ლაშქრობა კავკასიონში ტყვეების გამოსახსნელად. ლაშქრობის ამ აღწერილობაში, რომელიც საგმირო რომანის ელფერითაა გადმოცემული, შეინიშნება ზოგიერთი ელემენტი ვარათრაგნის ეპოსიდან.

ვახტანგი მისული თავისი სპით კავკასიონში, გამოითხოვს ორთაბრძოლაში მოწინააღმდეგე მხარის გმირ ბუმბერაზს ზალათარს.

აღწერა ორთა ბრძოლისა ასე იწყება:

„ვახტანგ აღჯდა ტაიქსა შეჭურვილი ჭავშნითა და აღილო ფარი მისი ვიგრის ტყავისა, რომელსა ვერ ჰკვეთდა მახვილი...“

ამრიგად, აქაც მოხსენებულია ფარი „ვიგრის ტყავისა, რომელსა ვერ ჰკვეთდა მახვილი“, რომელიც ღვთაება ვახტანგ-ვარათრაგნის მოიპოვა ბოროტი ძალის — ვეშაპის — მოკვლის შემდეგ, რის გამო ვახტანგს (ვარათრაგნის) ეწოდა „ვეშაპის მკვლელი“ („ვეშაპაკალ“).

ვახტანგ-ვარათრაგნი გაიმარჯვებს ორთაბრძოლაში, თავისი ჭარბით მოვლის და მოსტყვენავს კავკასიონს (ოვსეთ-ჩერქეზეთს), გამოიხსნის თავის ნათლოსან დას, გაათავისუფლებს წაყვანილ ტყვეებს.

ეს ეპიზოდი ვახტანგ გორგასარის ამბავისა (პირველი თავი), როგორც ირ-
კვევა, დიდი პოპულარობით სარგებლობდა შორეულ წარსულში, რასაც მოწ-
მობს შემორჩენილი ზალხური ლექსი:

„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა;
იღბუზუნად ფეხი შესდგა,
დიდმა მთებმა შექმნეს დრეკა;
ოვსეთი გადაიარა,
ჩერქეზეთში გადარეკა“.

ამირანის (პრომეთეს) აპოსოფი

ამირან-პრომეთეს თქმულება—ეს არის ერთი უდიადესი თქმულებათაგანი,
რომელიც ძველმა მსოფლიომ გვიანდერა. ამირანი არის განსახიერება ადამიანის
თავისუფლებას მოყვარული სულისა. ამირანის მიერ ცეცხლის მოტაცე-
ბა ზეციდან, მინიჭება ცეცხლისა ადამიანთათვის, ამირანის ტიტანიური ამბო-
ხება, მისი გმირული შეუდრეკელობა, და დასასრულ, ამირანის ტრაგიკული
ბედი, — დღემდე იწვევს კაცობრიობის უმაღლეს აღიარებას.

ქარლ მარქსის სიტყვით, პრომეთე ყველაზე მეტად დიდებული წმინდანი
და წამებულა ფილოსოფიის ისტორიაში.

ძველი-ელნიური გადმოცემა პრომეთეს მიჯაჭვის ადგილად კ ა ვ კ ა ს ი ა ს
თვლიდა. ეს იმიტომ, რომ თქმულება კავკასიიდან არის გადასული ელნიურ
მსოფლიოში. და მართლაც, თვით ელნი მწერლები პირდაპირ აღნიშნავენ, რომ
პრომეთეს თქმულება კავკასიური წარმოშობისაა.

ელნი მწერლებს ამასთან ერთად დაუცავთ საყურადღებო დეტალები პრო-
მეთეს თქმულების ძველი კავკასიური ვერსიის შესახებაც. მათი სიტყვით, ის,
რასაც ელნი მწერლები მოგვითხრობენ პრომეთეს შესახებ, კავკასიური თქმუ-
ლების განმეორებას წარმოადგენსო. ფილოსტრატე ათინელი (II—III ს.) აღ-
ნიშნავს, რომ კავკასიაში ყველას სჯერაო, რომ პრომეთე ნამდვილად არსებობ-
და, გადმოცემას სინამდვილედ სთვლიან, და მოუთხრობენ, რომ პრომეთე
დასჯილ იქნაო ზევსის მიერ კაცთმოყვარეობისათვის.

ფლავიუს არიანე, რომელმაც 134 წელს მოვლო დასავლეთ საქართველოს
(კოლხეთის) სანაპირო, მოგვითხრობს: „კავკასიონის ერთი მწვერვალი გვიჩვენ-
ებს, რომელსაც სახელად ეძახიან ს რ ო ბ ი ლ ი, და რომელზედაც თქმულების
თანახმად ზევსის ბრძანებით მიჯაჭვული იყო პრომეთეოსიო“.

ფილოსტრატე ათინელისა და სხვა ბერძენი ავტორების ცნობათა მიხედვით
ამირანის მიჯაჭვის ადგილის შესახებ რამდენიმე გადმოცემა არსებულა საქარ-
თველოში. ფილოსტრატე აღნიშნავს, რომ ერთი თქმულების თანახმად ამირანი
მიჯაჭვული იყო კავკასიონის ორთავიან მწვერვალზე; მეორე გადმოცემით
ამირანი კავკასიონის ქედის გამოქვაბულში იყო მიჯაჭვული, და ამ გამოქვაბუ-
ლის მთის ძირს უჩვენებენ ზოლმეო.

არსებულა მესამე გადმოცემაც (— და ეს გადმოცემა ყველაზე უძველე-
სია), რომლის თანახმად ამირანის მიჯაჭვის ადგილად მიჩნეული ყოფილა ფ ა

ს ი ს-მ თ ა, ე. ი. კავკასიონის მთის ის მწვერვალი, საიდანაც ლებულოზს სათავეს როინი (კლასიკური ფ ა ს ი ს ი). ამ მთას, როგორც ირკვევა, „ამირანი“-ს (|| „ამარანი“-ს) მთა რქმევია (ამ სავანზე დაწერილებით საუბარი გვაქვს ქვემოთ).

•

ქართულ ენაზე დღემდე მოღწეულია პრომეთე-ამირანის (მიჭაქველი ამირანის) დიადი ეპოსის ზეპირსიტყვიერი ვერსიები. ეპოსი პროზაული მოთხრობის სახით არის გადარჩენილი (ზოგიერთი ლექსითი ნაწყვეტის ჩართვით).

ჩვენ აქ შევჩერდებით თქმულების მთავარ მომენტებზე.

ამირანი არის შვილი ცხოველთა მფარველი ღვთაება-ქალის დალისა, რომელსაც აგრეთვე ეწოდება „აფსაათი“ (იგივე* ფასა, ფასათი), რაც ამირანის მთის — „ფასის“ მთის სახელშიაც არის დატული. ამირანის დაბადების შესახებ მითოლოგიურ მოთხრობას (რაც ინტერესს წარმოადგენს თქმულების მითოლოგიის ანალიზისათვის) აქ არ ვეხებით.

ამირანი გმირია. ამირანის გმირული მოღვაწეობის მთავარი საქმეა ზეციდან ცეცხლის მოტაცება. ჩვენს დრომდე მოღწეულ ქართულ ეპოსში ზეციდან ცეცხლის მოტაცება მითოლოგიზებულია ზენა ღვთაების ქალს ქეთუ-კამარის ზეციდან მოტაცების სახით.

ამირანი ებრძვის ავ სულებს. ამირანის გმირობა კაცთმოყვარეობით არის შთაგონებული. ჯერ კიდევ ანტიკური ხანის ჩანაწერში — ფილოსტრატეს გადმოცემაში — ხაზგასმულია, რომ კავკასიურ თქმულებაში პრომეთე-ამირანი კაცთმოყვარე გმირად იყო წარმოდგენილი და ამირანი კაცთმოყვარეობის გამო იქნა დასჯილი.

ასევე ეპოსის ქართულ ვერსიაშიც მოთხრობილია ამირანის კაცთმოყვარეობის შესახებ, რომ ამირანმა ადამიანის საქმელი პური გასინჯა და როდესაც პურს ხელი მოუჭირა, ნახა, რომ პურს სისხლის წვეთმა გამოჟონაო. ამირანს უნდოდა, რომ ადამიანის პური სისხლით კი არ ყოფილიყო შესერილი, ადამიანს უსისხლო პური ჰქონოდაო.

ამას ეხმაურება აგრეთვე ბერძნული მითი, რომ პრომეთემ არა თუ მხოლოდ ცეცხლი მიანიჭა ადამიანებს, არამედ ადამიანს სხვადასხვა ხელობა და შეცნეობა შეასწავლაო.

•

ჩვენ აქ ჯერ შევჩერდებით პრომეთე-ამირანის სახელის შესახებ და აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა ეპოქაში გადავიდა პრომეთე-ამირანის კულტი საქართველოდან საბერძნეთში.

ბერძნულად ამირანს პრომეთე ეწოდება. პრომეთე ეს არ არის საკუთარი სახელი. არამედ სახელწოდება, პრომეთე ბერძნულად ნიშნავს: „წინასწარმეტყველი“. ხოლო გმირის პირველადი სახელია ქართული „ამირანი“, რაც დასტურდება ბერძნული წყაროებითაც.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ, ამასთან, რომ ამირანი-პრომეთე ეს იყო არამხოლოდ ეპოსის გმირი, არამედ მას ღვთაების სახით თაყვანსა სცემდნენ. პრომეთე-ამირანის კულტი უძველესი ხანიდან გადასულა კავკასიიდან საბერძნეთში. პრომეთე-ამირანის ყოველწლიურ ღვთაწაულებს ეწოდებოდა პრომეთიები. ბერძნულ წყაროებში დამოწმებულია, რომ პრომეთეს ათინაში ისეთ-სავე პატივსა სცემდნენ როგორც ათინას.

ამავე დროს პრომეთეს შესახებ თქმულება იყო დიდი თემა მწერლობისა. ესქილემ მას უძღვნა ტრაგედიები, რომელთაგან ჩვენს დრომდე მოაღწია ერთმა („მიჯაჭვული პრომეთე“). იწერებოდა „არგონავტიკა“ — არგონავტების მოგზაურობის შესახებ კოლხეთში ოქროს საწმისის მოსაპოვებლად.

ყველაფერი ადასტურებს, რომ პრომეთე-ამირანის შესახები თქმულება გადასულა საბერძნეთში უძველეს ხანაში, მეორე ათასწლეულში ძველი წელთაღრიცხვისა, რა დროსაც ეკუთვნის თქმულება არგონავტების მოგზაურობის შესახებ კოლხეთში.

აპოლონ როდოსელის „არგონავტიკაში“ მოთხრობილია, რომ, როდესაც არგონავტები მიუახლოვდნენ ზღვით კოლხეთს, მათ დაინახესო — „მალალი მწვერვალები კავკასიისა, სადაც პრომეთე, მიჯაჭვული კავკასიონის კლდეზე, თავისი ნაღველით ჰკვებავდა არწივს“.

მათ დაინახეს აგრეთვე თვით არწივი, რომელიც მიფრინავდა ჭერ კავკასიონისკენ პრომეთესთან, ხოლო საღამო ემას ბრუნდებოდა კავკასიონიდან.

აპოლონ როდოსელის იმავე „არგონავტიკაში“ დასახელებულია არა მართო „კ ა ვ კ ა ს ი ო ნ ი“ და ქვეყანა „კ ო ლ ხ ე თ ი“, არამედ მდინარე „ფ ა ს ი ს ი“ (=რიონი) „ქ უ თ ა თ ი ს ი ს“ ქვეყანა, „კ ი რ კ ე ს ვ ე ლ ი“, მთა „ა მ ა რ ა ნ თ ა“ (= „ამირანთა“ resp „ამირან-მთა“).

არგონავტიკაში მოთხრობილია კოლხეთის შესახებ:

„აქ ქ უ თ ა თ ი ს ი ს ქვეყანაში არის ფართე, რომელსაც დიდი მორევები მოეპოვება, მდინარე „ფ ა ს ი ს ი“; მომდინარეობს რა მთებიდან „ა მ ა რ ა ნ თ ა“, და რწყავს „კ ი რ კ ე ს“ ველს, იგი ერთვის ზღვას“.

აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ არგონავტიკაში კოლხეთის ყველა გეოგრაფიული სახელწოდებანი ქ ა რ თ უ ლ ი ა:

1. ჭერ თვით სახელწოდება „კ ო ლ ხ ე თ ი“ მომდინარე სატომო სახელიდან „კ ო ლ ხ ი“ (შეადარეთ თავისი წყობით სხვა ქართულ სატომო სახელებს: კოლ-ხი || მეს-ხი, ჯავა-ხი, ტაო-ხი, კახი — *კას-ხი და სხვანი);

2. მდინარე „ფ ა ს ი ს ი“, რომელიც მომდინარეობს კავკასიონის მთების შტოლდან, რომლის სახელია „ფასის მთა“;

3. თვით „ფ ა ს ი ს მ თ ა“, რომელსაც „არგონავტიკაში“ ეწოდება „ა მ ა რ ა ნ თ ა“ (= * „ა მ ი რ ა ნ -თ ა“, resp „ამირან-მთა“);

4. „ქ უ თ ა თ ი ს“ ქვეყანა;

5. „კ ი რ კ ე ს“ ველი.

ამრიგად, მეორე ათასწლეულისათვის ძველი წელთაღრიცხვისა საქართველო-კოლხეთის ტერიტორიაზე დამოწმებული გეოგრაფიული სახელები ყველა — ქართული წარმოშობისაა. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტია საქართველოს უძველესი ისტორიისა, საიდანაც დასტურდება, რომ კოლხეთი და მი-

სი მიმდგომი მხარენი, ხეთადან ვიდრე კავკასიონის ქედამდე, ქართველ ტომთა სამკვიდრო ყოფილა.

•

აქ საჭიროა შევეხოთ აგრეთვე ზაკითხს, თუ რა კავშირი აქვს სახელწოდებას მდინარისა „ფასისი“, და სახელწოდებას მთისა ფასის მთა“ ამირანის ეპოსთან.

ქართული ეპოსის თანახმად ამირანი არის შვილი ღვთაება— ქალისა, რომელსაც ერქვა დალი, და რომლის თეოფორული (საღმრთო) სახელია აფსათი (=ფასათი), რაც დაკავშირებულია მთის სახელთან ფასის მთა და მდინარის სახელთან ფასისი. ქართული თქმულების თანახმად ოქროსთმიანი ღვთაება = ქალი აფსათი (=ფასათი) არის მფარველი ცხოველთა, ადგილის დედა და მფარველი ფასის მთის არეთა, საიდანაც მომდინარეობს ფასისი (=რიონი).

ამრიგად, ეპოსის თანახმად ამირანი მიჯაჭვულია თავის ღვთა-სამშობლოში, ფასის მთაზე, რომელსაც მიეპარებოდა აგრეთვე სახელი * ამირანთა (resp. ამირან-მთა).

ასეთია გეოგრაფიული არე ამირანის თქმულებისა. როგორც გამოიკვეა, აქ ჩვენ გვაქვს ერთი მთლიანი არე შიდა კოლხეთისა: ფასის-მთა (=ამირან-მთა), საიდანაც ღებულობს სათავეს მდინარე ფასისი, რომელიც, გაივლის რა ქუთათისის ქვეყანას და კირქეს ველს, შეერთვის ზღვას.

•

ქართულ ენაზე დღემდე შენახულა პრომეთე-ამირანის დიადი ეპოსი — მთელი რიგი ზეპირსიტყვიერი ვერსიების სახით. ეპოსი ნაწილობრივ პროზაული, ნაწილობრივ ლექსითი ტექსტების სახით არის წარმოდგენილი.

ამირანის თქმულების პირვანდელი სახის მთლიანად აღდგენა ყველა ვერსიების საფუძველზე — შორს წაგვიყვანდა, და აქ შევჩერდებით მხოლოდ ზოგიერთ მთავარ მომენტზე.

ამირანი არის შვილი ცხოველთა მფარველის ღვთაება — ქალის დალისა, რომელსაც აგრეთვე ეწოდება „აფსათი“, იგივე * ფასა, რაც ამირანის მთის — ფასის მთის სახელწოდებაშიაც არის დაცული. ამირანის დაბადების შესახებ მითოლოგიურ მოთხრობას (— რაც ინტერესს წარმოადგენს თქმულების მითოლოგიის ანალიზისათვის) — აქ აღარ ვეხებით.

ამირანი გმირია. ამირანის გმირული მოღვაწეობის მთავარი საქმეა — ეცილან ცეცხლის მოტაცება. ქართულ ეპოსში ეს ეპიზოდი მითოლოგიზირებულია ზენა — ღვთაების ქალის ქეთუ-კამარის მოტაცების სახით.

ამირანი ებრძვის ავსულებს. დრაკონებს. ამირანის გმირობა კაცთმოყვარეობით არის შთაგონებული (ჯერ კიდევ ანტიკური ხანის ჩანაწერებში — ფილოსტრატეს გადმოცემაში — ხაზგასმულია, რომ კავკასიურ თქმულებაში ამირანი კაცთმოყვარე გმირად იყო წარმოდგენილი და ამირანი კაცთმოყვარე-

ობის გამო იქნა დასჯილი). ქართულ ეპოსში, კერძოდ, მოთხრობილია, რომ ამირანმა ადამიანის საქმელი პური გაშინჯა, და როდესაც ხელი მოუჭირა, ნახა, რომ პურს სისხლის წვეთმა გამოჟონაო. კაცთმოყვარე, გმირს უნდოდა, რომ ადამიანს უსისხლო პური ჰქონოდაო.

ეპოსის თანახმად ამირანის გმირული მოღვაწეობა ტრაგიკულად სრულდება. კაცთმოყვარე დიდი გმირი შეებრძოლა ღმერთს. ამის შედეგად ამირან დაისჯება. ამირანს ღმერთი მიჯაჭვავს კავკასიონის ქედის გამოქვაბულში და ზევდნან მას კავკასიონის მთა დაეფარება.

მიჯაჭვეულ ამირანთან ერთად გამოქვაბულში იმყოფება მისი ერთგული ფრთოსანი გოშია, ორბის ნაშობი ყურშია. ამირანის გვერდით გდია მისი გორდა ხმალი, მაგრამ იმდენად მოშორებით, რომ ამირანი ვერ მოსწვდომია ხმალს, რომ მით განჰკვეთოს ჯაჭვი.

წლის მანძილზე გოშია ლოკავს ჯაჭვს, და ჯაჭვი წვრილდება. გმირის განთავისუფლების უამი თითქოს ახლოვდება.

მაგრამ სწორედ ამ დროს მოფრინდება ფრინველი (ეს ის ფრინველია, — ორბი, — რომელიც თქმულების ელინურ ვერსიაშიც არის მოხსენებული და რომელიც მიჯაჭვეული გმირის გულ-ღვიძლს მიეჭრება და კორტნას დაუწყებს). ამით ისარგებლებენ ღვთაების მიმდგომნი არსებანი — მქედლები, რომლებიც სამყარ დაპყრავენ კვერს და გაწერილებული ჯაჭვი ისევ გამრთელდება, ხოლო ამოვარდნაზე მიმდგარი ჯაჭვის მანა ისევ ძირამდის ჩაესობა მიწაში.

აქაც ჩვენ გვაქვს შეხვედრა ბერძნულ მითთან. ბერძნული მითის თანახმად ამირანი მთაზე მიაჯაჭვა ჰეფესტმა, მქედელთა ღვთაებამ.

აქ საჭიროა ისიც აღვნიშნოთ, რომ საქართველოში, უკვე ქრისტიანობის ხანაში, წესად ყოფილა შემორჩენილი, რომ ყოველ წელს დიდ ხუთშაბათს მქედლები კვერს დაპყრავდნენ, რომ ამირანის ჯაჭვი გამსხვილებულიყო და მიბმულ გმირს თავი არ გაეთავისუფლებია. ასეა ეს აღნიშნული ამირანის ქართული ხალხური ეპოსის მთელ რიგ ვერსიებში (ფშაურში, კახურში, ქართლურში). რისთვის იყო დანიშნული ეს დრო — დიდი ხუთშაბათის დამე? ქრისტიანულ ხანაში ამირანის მიჯაჭვა შეუფარდებიათ ქრ-ის-ტ-ე-ს-ჯ-ვ-ა-რ-ც-მ-ა-ს-თ-ან (მქედლებს მიერ კვერის დაკვრა ამირანის ჯაჭვის გასამაგრებლად ზდება დიდ ხუთშაბათ დამეს; ხოლო ამ დამის მომდევნო დღეს, დიდ პარასკევს, სახარების თანახმად, მოხდა ქრისტეს ჯვარცმა).

•

ასეთია ზოგადი ქარგა ამირანის დიადი ეპოსისა.

ამირანის ეპოსი, როგორც ირკვევა, უძველესი ნაციონალური თქმულებაა ქართველი ტომებისა.

აღსანიშნავია, რომ ამირანის ეპოსს გაელენა მოუხდენია სხვა, უფრო გვიან წარმოშობილ ძველ-ქართულ ეპიკურ თქმულებებზე.

კერძოდ, ამირანის თქმულების ელემენტები გადასულა ვარათრაგნის იმ ეპოსშიაც, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ასე, ვარათრაგნის ეპოსიდან შემდეგი საყურადღებო ეპიზოდი აქვს მოთხრობილი მე-7 საუკუნის ავტორს ანანია შირაკელს.

ამ მოთხოვნის თანახმად ვარაუთარაგნი (ვაპაგანი) მოჰპარავს ღვთაებას ბარ-შამს ჩალას; და როდესაც ვარაუთარაგნი ამ ქურდობის შემდეგ სწრაფად მიემართება უკან, ჩალას ცის კაბადონზე სცივია პატარ-პატარა ნაფცქვენები, რომლისაგანაც ცაზე გაჩნდება მცირე ვარსკვლავთა ის გაბმული ზოლი-სარტყელი, რომელსაც „ირმის ნახტომი“ ეწოდება. ვარსკვლავთა ამ სარტყელის ძველი მითოლოგიური სახელია „ჩალის ქურდის ნაკვალევი“ და ეს სახელი დაკავშირებულია ჩალის მოპარვის მითოსთან.

ეს ეპიზოდი ვარაუთარაგნის ეპოსში, როგორც ირკვევა, გადასულია ამირან-პრომეთეს ეპოსიდან. აქ ჩვენ გვაქვს გამოძახილი პრომეთეს მიერ ცეცხლის მოტაცების თქმულებასთან.

პრომეთე მოჰპარავს ზევსს ცეცხლსა და მას სწორედ ჩალა-ლერწაში დამალავს. და ვარსკვლავთა ზოლი ცაზე გაჩნდება არა ჩალის უბრალო ნაფცქვენებიდან, არამედ ჩალა-ლერწაში დამალული ცეცხლის ნაპერწკლებიდან. ვარსკვლავთა ზოლი-სარტყელი—„ჩალის ქურდის ნაკვალევი“ — ეს არის ის ასტრალური გზა, რომელსაც გაივლის ცეცხლის მომტაცებელი პრომეთე-ამირანი.

•

ჩვენ აქ ზოგადად, ძირითად ხაზებში შევეხეთ ამირან-პრომეთეს ეპოსის პრობლემებს. უფრო სრულად ამირანის ეპოსს ჩვენ განვიხილავთ ცალკე გამოკვლევაში.

დაგვიჩენია დასასრულ აღვნიშნოთ, რომ პრომეთე-ამირანის თქმულება, რომელიც უძველეს ხანაში შეიქმნა და რომელსაც თავისი დიადი ზოგადკაცობრიული იდეალებით უდიდესი დიაპაზონის გამოხმაურება ჰქონდა ანტიკურ ხანაში, ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ თანდათან დავიწყებას მიეცა. საშუალო საუკუნეთა ევროპის ლიტერატურაში მას გამოხმაურება აღარ ჰქონია.

რაც შეეხება საქართველოს, აქ ამირანის ეპოსი ზეპირმა სიტყვიერებამ შემოგვინახა.

15 საუკუნის მანძილზე, მე-4 საუკუნიდან ვიდრე მე-19 საუკუნემდე (რადროდინაც იწყება ამირანის ქართული ეპოსის სხვადასხვა ვერსიების ჩაწყობა) — ეპოსმა, ცხადია, მრავალი ცვლილება განიცადა, მაგრამ მან, როგორც ირკვევა, შეინარჩუნა ძირითადი მაგისტრალი.

ამირანის ღვაწლი არის ზეციდან ცეცხლის მოტაცება, რაც ზეპირსიტყვიერებით ქართულ ეპოსში მითოლოგიზებულია ზენა-ღვთაების ასულის ქეთუ-კამარის ზეციდან მოტაცების სახით.

ამირანი ქართული ზეპირსიტყვიერების ეპოსში, ისევე როგორც ანტიკური ხანის პრომეთე-ამირანის შესახებ თქმულებაში, წარმოდგენილია, როგორც კაცთმოყვარე გმირი. ქართულ თქმულებაში მოთხრობილია, რომ ამირანმა ადამიანის საჭმელი პური გასინჯა და როდესაც პურს ზელი მოუჭირა, პურიდან სისხლმა გამოჟონაო. ამირანის სურვილი იყო, რათა ადამიანს უსისხლო პური ჰქონოდაო.

რაც შეეხება საშუალო საუკუნეთა ქართულ საერო მწერლობას, ამირანის ეპოსის თემა არ გამზდარა ცალკე საერო მწერლობის დამუშავების საგანი.

მაგრამ საშუალო საუკუნეთა ქართულ საერო მწერლობაში მაინც შეინიშნება მისი გამოძახილი.

ასე, ძველ-ქართულ საგმირო რომანს, რომელსაც ამირან-დარეჯანი იწოდება, და რომელიც ეკუთვნის XII საუკუნის ქართველ მწერალს მოსე ხონელს, შეინიშნება ზოგიერთ ხაზებში ამირანის ხალხური თქმულების გამოძახილი (თვით სახელი ამ რომანის გმირისა „ამირანი“ — მომდინარეობს ამირანის ძველ-ქართული ხალხური ეპოსიდან. აგრეთვე სახელწოდებაში ამირანის დედისა „დარეჯანი“ არის გამოძახილი ხალხური ეპოსის ამირანის დედისა — დალი II * დარი, იგივე დარეჯანი).

შეხვედრა ამირანის ეპოსთან ჩვენ გვაქვს აგრეთვე დიდი რუსთაველის უკვდავ პოემაში ვეფხისტყაოსანი. ასე, შოთას პოემის გმირი სამება, რომელიც ქაჭეთის ციხიდან გამოიხსნის ნესტან-დარეჯანს, ბევრ ხაზებში გვაგონებს ამირანის ქართული თქმულების სამ გმირს, რომლებიც ზეციურ კოშკიდან გამოიყვანენ მზეთა-მზეს ქეთუ-კამარს.

რუსთაველის პოემა, რასაკვირველია, სულ სხვა სამყაროა, ვიდრე ამირანის ეპოსი, შეხვედრები აქ არც იყო მოსალოდნელი, ამის გამო ეს ერთი შეხვედრა, ახალ მხატვრულ ასპექტში გადატანილი, არაა მნიშვნელობას მოკლებული.

ხოლო მთავარი კი ის არის, რომ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან შემოქმედებითს მემკვიდრეობაში შოთა რუსთაველის დიადი ვეფხისტყაოსანი და მის გვერდით უძველესი ქართული ნაციონალური ეპოსი პრომეთე-ამირანისა ეხმაურებიან ერთმანეთს თავისი უნივერსალური დიაბაზონით, დიადი ზოგადკაცობრიული იდეალებით.

ნაწილი მეორე

მეორე პერიოდი ქართული
ლიტერატურისა

გვიანი ანტიკური ეპოქა და ადრეული ფეოდალიზმის ხანა-
მე-4 — 7 საუკუნეები

მეორე პერიოდი ქართული ლიტერატურისა

გვიანი ანტიკური ეპოქა და აღმართული ფეოდალიზმის ხანა

ქართული მწერლობის მეორე პერიოდი მოიცავს დროს მე-4 საუკუნიდან მოკიდებული — ვიდრე მე-7 საუკუნის ბოლომდე. ეს არის ანტიკური ეპოქის დასასრული და ფეოდალიზმის ადრეული ხანა.

დასაწყისი ახალი პერიოდსა ქართულს მწერლობაში უკავშირდება ქრისტიანობის განმტკიცებას საქართველოში.

ქრისტიანობა საქართველოში ვრცელდება ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდანვე, რა დროიდანაც ქრისტიანობა მოეფინა საქართველოს მეზობელ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს და რომის იმპერიის პროვინციებს.

საისტორიო წყაროების ჩვენებათა მიხედვით ირკვევა, რომ ქრისტიანობა ფართო გავრცელებით სარგებლობდა საქართველოში უკვე მე-3 საუკუნეში¹. ხოლო მე-4 საუკუნის 30-იან წლებში იბერიაში (აღმოსავლეთი საქართველო) ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად იქნა აღიარებული.

შემდეგ ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად აღიარებულ იქნა აგრეთვე დასავლეთ საქართველოში, ლაზიკის (კოლხეთის) სამეფოში.

ქრისტიანობის განმტკიცება საქართველოში დიდი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტორს წარმოადგენდა. პირველ რიგში ამასთან დაკავშირებით წყდება საქართველოს კულტურული ორიენტაციის საკითხი. ქართველი ხალხი, რომელსაც ისტორიამ არგუნა ხვედრად აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურულ მსოფლიოთა მიჯნაზე მკვიდრობა, ქრისტიანობის გზით მტკიცედ უკავშირდება დასავლეთის, ევროპის მსოფლიოს. მთელ საშუალო საუკუნეთა მანძილზე ეს განსაზღვრავდა ქართველი ხალხის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ძირითადს გეზს.

¹ ამის შესახებ დატულია საყურადღებო ჩვენება ძველი ქართველი მწერლის იოანე საბანის-ძის თხზულებაში.

თუ მე-4 საუკუნე — ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად აღიარება იბერიაში — არის დასაწყისი ახალი პერიოდისა ქართულ მწერლობაში, ერთი ციკლი ქართული მწერლობის განვითარებისა მთავრდება მე-7—8 საუკუნეთა საზღვარზე.

ეს შემდეგთან იყო დაკავშირებული.

მე-7 საუკუნის შუა წლებში საქართველოში, როგორც ცნობილია, პირველად ჩნდებიან არაბთა რაზმები, ხოლო მე-7—8 საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოში არაბთა მფლობელობა მტკიცედ მყარდება.

აქ ჩვენ გვაქვს დიდი ისტორიული მნიშვნელობის ტეხილი. არაბთა მფლობელობის დამკვიდრება წარმოადგენდა არა მარტო მნიშვნელოვანი პოლიტიკური კატეგორიის მოვლენას, არამედ ამასთან დაკავშირებული იყო ძირითადი ხასიათის სოციალური ძვრები როგორც საქართველოში, ისე მთელს ახლო აღმოსავლეთში.

ახალი ფეოდალური საქართველო, რომელიც წარმოიშვა უფრო გვიან, არაბთა მფლობელობის შესუსტებისა და დაცემის შემდეგ, განსხვავდება ძველი, წინა პერიოდის მე-4—7 საუკუნეების საქართველოსაგან, რომელიც უპირატესად ჯერ კიდევ ანტიკური ეპოქის საზოგადოებრივ ურთიერთობათა წრეშია მოქცეული.

ამრიგად, ის პერიოდი ქართული მწერლობისა, რომლის მიმოხილვას აქ ვიწყებთ, და რომელიც გრძელდება მე-4 საუკუნიდან მე-7 საუკუნემდე, მკაფიოდ შემოფარგლულ ისტორიულ ეპოქას მოიცავს.

•

ქართული მწერლობის ამ მეორე პერიოდში, მე-4—7 საუკუნეებში, ქართული მწერლობის სახეს ძირითადად განსაზღვრავს და თავის ბეჭედს ასევემს ახლად დაკვიდრებული მოძღვრება — ქრისტიანობა.

ქართულ ლიტერატურაში მე-4—7 საუკუნეთა მანძილზე ვითარდება მწერლობის ყველა ის სპეციფიური დარგები, რომლებმაც განვითარება მიიღო ქრისტიანულ მსოფლიოში, ელინურ-რომაულ ქვეყნებში და ახლო აღმოსავლეთში.

ქრისტიანული მწერლობის დარგებს ამ ეპოქაში წამყვანი როლი ეკუთვნით ლიტერატურაში.

მაგრამ ქართული ლიტერატურის სპეციფიკა ამ ეპოქაში მარტო ამით არ განისაზღვრება.

უნდა გვახსოვდეს, რომ ქრისტიანობა თუმცა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა იბერიაში მე-4 საუკუნის პირველ ნახევარში, მაგრამ ქრისტიანული იდეოლოგია ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ გაბატონებული. ქრისტიანობის გვერდით ისევ განაგრძობდა არსებობას ძველი წარმართობა და მაზდეანობა. საკმაოა მოვიგონოთ, რომ მცხეთაში, ქართული ეკლესიის ამ დედა-ქალაქში, ქრისტიანეთა კათოლიკოზის გვერდით დროგამოშვებით იჭრდა ხოლმე მაზდეანთა მთავარ-მოგვი. მაზდეანობას მიმდევრები ჰყოლია როგორც არისტოკრატის ფენებში, ისე — როგორც ძველი ისტორიკოსი გადმოგვცემს — „წვრილი

ერის“ წრეებში. ფართო გავრცელება ჰქონია აგრეთვე შანიჭეველობას, სინკრეტულ მანიჭეურ-ქრისტიანულ კულტს. ამასთან თვით ქრისტიანული ეკლესია არ წარმოადგენდა ერთს მონოლითურ მთლიანს, იგი იყოფოდა სხვადასხვა ფრაქციებად (ქალკედონიანნი-დიოფიზიტები, მონოფიზიტები, ნესტორიანნი და სხვ.).

გასაგები ზდება, ზემოთ აღნიშნულის შემდეგ, რომ ქრისტიანულ ეკლესიას არ შეიძლებოდა ჰქონოდა, და არცა ჰქონია ამ ეპოქაში შეუზღუდველი ბატონობა იდეოლოგიის სფეროში, და ქრისტიანულ სასულიერო მწერლობას არ ეკუთვნოდა ერთადერთი მონოპოლისტის როლი. მის გვერდით არსებულა საერო მხატვრული მწერლობის ტრადიციები, რომელიც განაგრძობდა წინა-ქრისტიანული „წარმართული“ ხანის მწერლობის ტრადიციებს.

მე-4—7 საუკუნეების ქართული მწერლობის ძეგლთა მიმოხილვას ჩვენ შემდეგი თანამიმდევრობით წარმოვადგენთ. პირველ რიგში განვიხილავთ თეოლოგიურ ლიტერატურას და მწერლობის იმ დარგებს, რომლებიც თეოლოგიური ლიტერატურის გავლენის ქვეშ ვითარდებოდა: შემდეგ — საკუთრივ მხატვრულ მწერლობას. დასასრულ შევეხებით მწერლობის დანარჩენ დარგებს: ისტორიოგრაფიას, ფილოსოფიას, სამეცნიერო მწერლობას.

თავი პირველი

თარგმნილი თეოლოგიური ლიტერატურა

თეოლოგიური ქრისტიანული ლიტერატურა საქართველოში — ისევე როგორც მთელ რიგ სხვა ქვეყნებში — თავდაპირველად თარგმანებით იწყება. თარგმანები სრულდებოდა პირველ რიგში ბერძნული ენიდან, და აგრეთვე სხვა ენებიდანაც, რომელზედაც ქრისტიანული მწერლობა აღრევე განვითარდა. ამის გამო თეოლოგიური ლიტერატურის მიმოხილვას თარგმნილი ძეგლებიდან ვიწყებთ.

1. ბიბლია

ერთი პირველი ძეგლთაგანი, რომელიც ითარგმნა ქართულ ენაზე ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად, ეს იყო ბიბლია.

ბიბლიის სახით ჩვენ გვაქვს არა ერთი წიგნი, არამედ მთელი კრებული. ბიბლიის სახით გაერთიანებული იყო მთელი მრავალსაუკუნოვანი დიდი ლიტერატურა ებრაელი ხალხისა, და აგრეთვე ელინურ ენაზე დამუშავებული ქრისტიანობის ძირითადი „კანონიკური“ წიგნები („ოთხთავი“ — სახარება, მოციქულთა აქტები, ეპისტოლენი).

ბიბლია საშუალო საუკუნეთა მანძილზე წარმოადგენდა ქრისტიანული იდეოლოგიის ქვაკუთხედს, მას განსაკუთრებული გავლენა ჰქონდა ხალხის ზნეობრივ შეგნებაზე, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეზე.

ბიბლიის ცალკეული წიგნები ქართულ ენაზე, ჩანს, ითარგმნებოდა თანდათანობით. ხოლო ბიბლია სრული მოცულობით უკვე არსებულა ქართულს ენაზე მე-4—5 საუკუნეებში.

თარგმანი ბიბლიის პირველი ნაწილისა, რომელიც ძველი ებრაული ლიტერატურის ძეგლებს შეიცავს (ე. ი. ბიბლია, გარდა საკუთრივ ქრისტიანული წიგნებისა), თავდაპირველად, ჩანს, ითარგმნა ქართულად უშუალოდ ებრაული ენიდან. ამის მაჩვენებელია, კერძოდ, ის გარემოება, რომ ბიბლიის „კანონი“ (წიგნთა შემადგენლობა და თანრიგი) თავდაპირველად, ჩანს, იგივე იყო ძველ-ქართულში, როგორც ებრაულ ბიბლიაში არის მიღებული, და რაც უცნობია სხვა ქრისტიანულ ვერსიებში.

ის გარემოება, რომ ბიბლია ქართულად უშუალოდ ებრაულიდან უთარგმნიათ, ებრაული სპეციფიკის დაცვით, იმით აიხსნება, რომ საქართველოში, კერძოდ საქართველოს დედა-ქალაქ მცხეთაში, უძველესი დროიდანვე არსებობდა ებრაული კოლონიები, რომელთა შორის, როგორც ირკვევა, მრავლად ყოფილან ქრისტიანული მოძღვრების მიმდევარნი, და რომლებიც ქართველებთან ერთად გაერთიანებულნი იყვნენ მცხეთის ქართული ქრისტიანული ეკლესიის ფარგლებში.

ქართულ-ებრაული ლიტერატურული თანამშრომლობა ადრეულ ქრისტიანულ ხანაში ქართული კულტურის ისტორიის საინტერესო ფურცელს წარმოადგენს, მაგრამ ამ საგანზე აქ დაწვრილებით ვერ შევჩერდებით¹.

შემდეგ ბიბლიის წიგნთა ეს პირვანდელი ებრაულიდან მომდინარე თარგმანები შეწამებულ და შეფარდებულ იქნა როგორც აღმოსავლურ ქრისტიანულ ვერსიებთან, ისე ბერძნულ ვერსიასთან (სეპტანტა)².

•

ადრინდელ ქრისტიანულ ქართულ მწერლობაში განსაკუთრებული ყურადღების საგანი, ცხადია, უნდა ყოფილიყო კერძოდ ბიბლიის მეორე ნაწილი, საკუთრივ ქრისტიანული წიგნები, პირველი რიგში „ოთხთავი“ (სახარება). ოთხთავი მე-4—6 საუკუნეთა განმავლობაში რამდენჯერმე უთარგმნიათ ქართულ ენაზე სხვადასხვა ქართულ სალიტერატურო სკოლებში. სულ ამ ეპოქიდან ოთხთავის ოთხი სხვადასხვა რედაქცია მოღწეულა ჩვენს დრომდე. პირველი სამი რედაქცია, როგორც ირკვევა, მე-4 და მე-5 საუკუნეებს ეკუთვნის. ხოლო მეოთხე რედაქცია, „საბაწმიდური“—სახელით ცნობილი, შესრულებული ყოფილა მე-5—6 საუკუნეებში პალესტინაში, საბაწმიდის სავანეში, სადაც ადრინდნე არსებობდა ქართული კოლონია, და რომელიც ძველი ქართული მწიგნობრობის მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა.

ოთხთავის ამ ძველ თარგმანთა შორის ყველაზე მეტი ავტორიტეტი და ფართო გავრცელება ჰქონია ამ უკანასკნელს — „საბაწმიდურს“ რედაქციას, და იგი ხმარებაში დარჩა საქართველოში მე-5—6 საუკუნეებიდან მოყო-

¹ დამატებით იხ. შენიშვნა 1 (გვ. 328—331); „ქართული და ქრისტიანულ-ებრაული წიგნების ურთიერთობა ქრისტიანობის ადრეულ ხანაში“.

² იხ. დამატებით შენიშვნა 2 (გვ. 331—341).

დებული მე-11 საუკუნემდე, ვიდრე იგი არ შესცვალა გიორგი მთაწმინდელის მიერ შესრულებულმა ახალმა თარგმანმა¹.

დასასრულ დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ ამ უძველეს ხანაში ქართულ ენაზე არსებული ბიბლიის ცალკე წიგნთა წმინდა სამეცნიერო გამოცემებიც, კომენტარების დართვით. ასე, ჩვენ დრომდის შენახულა ერთი ასეთი ძეგლი — ეპისტოლეთა წიგნისა და მოციქულთა აქტების სამეცნიერო გამოცემა. ბერძნული დედანი ამ გამოცემისა 399 წელს ეკუთვნის, ხოლო ქართული ტექსტი გამოცემისა მე-6—7 საუკუნეთა საზღვარზეა შესრულებული². გამოცემას დართული აქვს შესავალი, პავლეს ბიოგრაფია, ჭტიქომეტრიული განრიგება. ყოველ ეპისტოლეს წინ უძღვის განმარტებითი ცნობა, სადაც აღნიშნულია, თუ როდის და რა პირობებში დაიწერა ეპისტოლე, ნაჩვენებია, თუ რომელ წყაროებს ემყარება ეპისტოლეთა ესა თუ ის ადგილი, და მოყვანილია ციტატების სრული ტექსტები წყაროებიდან.

განსაკუთრებით საგულისხმოა ის გარემოება, რომ ციტატები ანტიკური ხანის პოეტური ძეგლებიდან გადმოღებულია ქართულად სალექსო მეტრის დაცვით.

ასე, მაგალითად, „ლაკონიკესი დემოდესი პირველი იგავი“ — მოყვანილია ეგრეთ წოდებული იამბიკური საზომით. (ქართული იამბიკონი წარმოადგენს ბერძნული იამბიკური ტრიმეტრის გადმოღებას ქართულ პროსოდიასთან შეფარდებით). მეორე ციტატი „ეპემენდესი კრეტელისა მისნისა ზმამ“ იცავს ბერძნული ორიგინალის რთულ მეტრულ წყობას.

გამოცემა ფილოლოგიური მხრით კარგად არის შესრულებული — დახვეწილი ტერმინოლოგია, პუნქტუაციის ზუსტად დამუშავებული სისტემა და სხვ. ეს გამოცემა მაჩვენებელია ქართული მწიგნობრობის მაღალი დონისა ამ ეპოქაში.

2. პაპიოგრაფიული მწარმოება. აპოკრიფები

ძველი ქრისტიანული ლიტერატურის მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენდა ეგრეთ წოდებული პ ა გ ი ო გ რ ა ფ ი უ ლ ი მწერლობა.

პაპიოგრაფიის სახელით ცნობილია თავისებური მხატვრულ-ისტორიული ჟანრის თხზულებანი, რომლებშიაც მოთხრობილია ქრისტიანულ მოღვაწეთა თავგადასავალი, ანდა ქრისტიანული მსოფლიოს შესახები სხვადასხვა გადმოცემები. პაპიოგრაფიულ თხზულებებში თემა გაშლილია მხატვრული მოთხრობის სახით. პაპიოგრაფიული დარგის თხზულებანი მეტწილად წარმოადგენენ ერთგვარ სასულიერო რომანებს, რომლებშიაც ისტორიული გადმოცემა ჩვეულებრივ შემკულია ხოლმე სხვადასხვა ლეგენდებით, ანდა წმინდა ლეგენდარულ თხრობას წარმოადგენენ.

პაპიოგრაფიული ჟანრის მწერლობა თავდაპირველად ბერძნულ ენაზე წარმოიშვა მეორე საუკუნეში და მან შეითვისა ელინისტური რომანის ზოგიერთი ელემენტი.

¹ ოთხთავის ძველ-ქართული ვერსიების შესახებ იხ. დამატებით შენიშვნა 3 (გვ. 341—345).

² თარიღი ირკვევა საკალენდარო ტერმინოლოგიის მიხედვით.

ქართულ ენაზე ჰაგიოგრაფიული მწერლობა ჩნდება ქრისტიანობის დამკვიდრებასთან ერთად დაახლოებით მე-4 საუკუნიდან, ხოლო მეხუთე საუკუნეში ქართულად უკვე არსებულა ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა კრებულები. ასე, მე-5 საუკუნის ქართულ ძეგლში, შუშანიკის ბიოგრაფიაში, მოხსენებულია „წიგნი მოწამეთანი“¹.

ქართულ ენაზე ჰაგიოგრაფიული მწერლობის ყველაზე ძველი ჩვენ დრომდე მოღწეული თხზულება არის „მარტვილობა კალისტრატესი“; ქართული ვერსია ამ თხზულებისა, როგორც ირკვევა ტექსტში დაცული რეალების მიხედვით, ჩანს, ეკუთვნის მე-4 საუკუნის პირველ ნახევარს. ეს არის ერთი უძველესი ძეგლთაგანი ქრისტიანული მწერლობისა ქართულ ენაზე, რომელიც ჩვენს დრომდე გადარჩენილა².

ეს თხზულება ბევრნაირად არის საინტერესო, როგორც ისტორიული და ყოფა-ცხოვრების შესახები რეალებით, ისე კერძოდ იმ მხრივაც, რომ აქ აღბეჭდილია იმდროინდელი წარმოდგენები მსოფლიოს კოსმოგრაფიული წყობის შესახებ. დიდ ინტერესს შეიცავს ძეგლში დაცული ასტრონომიული ცნობები, კერძოდ ძველ-ქართული ასტრონომიული ტერმინოლოგია.

დროის მიხედვით „კალისტრატეს მარტვილობას“ ბევრით არ არის დაშორებული ორი ჰაგიოგრაფიული თხზულება: „მარტვილობა მამაისი“ და „მარტვილობა ფოკასი“, რომელთა ქართული ვერსიები, ტექსტში დაცული მონაცემების მიხედვით, ეკუთვნიან მე-4 საუკუნეს, ან ყოველ შემთხვევაში მე-5 საუკუნის დასაწყისზე უფრო გვიან დროს ვერ მიეკუთვნება³.

მე-5 საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება ორი ძეგლი, რომლებიც სტეფანე პირველ-მარტვილს ეხება, და კირილე იერუსალიმელის სამი საკითხავი. ამავე დროიდან მომდინარეობს აგრეთვე ორი ჰაგიოგრაფიული ტექსტი, რომლებიც შეიცავს მოთხრობას მე-3 საუკუნის ქრისტიან მოღვაწეთა კოზმანისა და დამიანეს შესახებ⁴.

პირველი წყება ძეგლებისა (მარტვილობანი კალისტრატესი, მამაისი და ფოკასი), ჩანს, ბერძნულიდან არის თარგმნილი. მეორე წყება ძეგლთა (სტეფანე პირველ-მარტვილის შესახები თხრობანი და კირილე იერუსალიმელის საკითხავები) თარგმნილია სირიულიდან.

ამ თარგმანების მომდინარეობა ორი კულტურული მსოფლიოდან — დასავლეთიდან (ბერძნული) და აღმოსავლეთიდან (სირიული) კარგად გვისურათებს ქართულ კულტურულ ურთიერთობათა წრეს ამ ხანაში.

უფრო გვიან, მაგრამ უკვე მე-5 საუკუნიდან, რა დროიდანაც ვითარდება სომხური ქრისტიანული მწერლობა, იწყება ახლო ლიტერატურული ურთიერთობა ამ ორი მოძმე ხალხისა, ქართველებისა და სომხებისა, რომელთაც აერთებდათ როგორც გეოგრაფიული მეზობლობა, ისე საერთო ისტორიული თავგადასავალი. ქართულ ენაზე მე-5 საუკუნიდან ჩნდება თარგმანები სომხური-

¹ ასევე „მცირე კანონში“, რომელიც მე-6 — 7 საუკუნის მიჯნას ეკუთვნის, არის მითითება იმავე ტიპის კრებულებზე — „მოწამეთა“, „მარტვირთა“.

² თარიღის შესახებ იხ. შენიშვნა 4 (გვ. 345 — 347).

³ თარიღის შესახებ იხ. იგივე შენიშვნა 4.

⁴ თარიღის შესახებ იხ. იგივე შენიშვნა 4.

დან, ისევე როგორც სომხურ ენაზედაც ითარგმნება თხზულებანი ქართული ენიდან (—როგორც, მაგალითად, განთქმული ძეგლი — ბიოგრაფია შუშანიკისი).

ამ ეპოქის ქართულ თარგმნილ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურას — ბერძნულიდან, სირიულიდან, სომხურიდან, — აქ აღარ ვეხებით მთელი მოცულობით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ ხანიდან, მე-4—7 საუკუნეებიდან, ქართულ ენაზე მოღწეულია ორმოცზე მეტი ჰაგიოგრაფიული თხზულება, მათ შორის ისეთებიც, რომელთა დედნები სხვა ენებზე აღარ გადაარჩენილა, და მხოლოდ ქართულად არის შენახული.

ჰაგიოგრაფიული მწერლობის მონათესავე ქანრს წარმოადგენს ეგრეთ წოდებული „აპოკრიფები“, ან როგორც ძველ-ქართულად ეწოდებოდა „დაფარული“ (დაფარულნი წიგნნი).

აპოკრიფები თავისი ფორმით აგრეთვე მხატვრული მწერლობის ქანრს განეკუთვნება, თეოლოგიური იერით. აპოკრიფები შეიცავენ წმინდა ლეგენდარული ხასიათის მოთხრობებს ძველ ბიბლიურ თემებზე და საკუთრივ ქრისტიანულ თემებზე, არსებობდა ბიბლიის აპოკრიფული წიგნები, სახარებათა აპოკრიფული ვერსიები, სხვადასხვა ლეგენდარული გადმოცემები ბიბლიურ და ქრისტიანულ მოღვაწეთა შესახებ, აპოკალიფსური ხასიათის თხრობანი და სხვა.

„აპოკრიფები“ არ სარგებლობდა დიდი ნდობით ორთოდოქსალურ ქრისტიანულ წრეებში, რამდენადაც აპოკრიფები არათუ შორდებოდნენ რელიგიის საფუძვლად მიჩნეული „კანონიკური წიგნების“ ტრადიციას, არამედ ზოგჯერ ამ უკანასკნელთა საწინააღმდეგო ტენდენციასაც შეიცავდნენ და „მწვალებლობის“ (ერეტიკულობის) იერით იყვნენ აღბეჭდილნი.

ორთოდოქსალური ეკლესია აპოკრიფებს ორ ჯგუფად ჰყოფდა: ერთი ჯგუფი, რომელიც „შეიწყნარეს მოძღუართა ეკლესიისათა“, სახელდობრ ისეთები, რომლებიც თუმცა სცილდებოდნენ „კანონიკურ“ წიგნთა მიერ მოცემულ ფარგლებს, მაგრამ შეიცავდნენ ვარიაციებს იმავე თემაზე და „მართლმორწმუნეობის“ თვალსაზრისით სახიფათოდ არ იყვნენ მიჩნეულნი; მეორე ჯგუფს წარმოადგენდა აკრძალული აპოკრიფები, რომელთაც ებრძოდა ეკლესია, და რომელთა ხმარებიდან ამოღებისა და მოსპობის შესახებ ეკლესიას არაერთხელ გამოუცია დადგენილება. არსებობდა აკრძალული წიგნების საგანგებო ინდექსები. ასეთია, მაგალითად, ინდექსი ძველი ქართველი ავტორის ეფთიმე მთაწმიდელისა.

ქართულ ენაზე აპოკრიფული მწერლობა უკვე ადრეულ ქრისტიანულ ხანაში გაჩენილა.

შევჩრდებით აქ ზოგიერთ აპოკრიფზე, რომლებიც მე-4—7 საუკუნეებიდან მომდინარეობენ.

უძველესი, ჩვენს დრომდე მოღწეული ქართული აპოკრიფული ძეგლი ეს არის „კითხვა-მიგება უფლისა და პავლესი“, რომელიც, სამწუხაროდ, ფრაგმენტულად არის მოღწეული.

აპოკრიფი, ჩანს, ეკუთვნის ქრისტიანობის პირველ საუკუნეებს, როდესაც დიდ უთანხმოებას ჰქონდა ადგილი „ებრაულ-ქრისტიანულსა“ და „წარმართულ-ქრისტიანულ“ წრეებს შორის და ექვეს ქვეშ იყო დაყენებული „წარმართთა“ მოციქულის პავლეს მისია. ძველი მომდინარეობს „წარმართულ-ქრისტიანული“ წრეებიდან, იგი პავლეს განდიდებას ისახავს მიზნად და ამ გზით „წარმართ-ქრისტიანთა“ პოზიციების განმტკიცებას.

ბერძნული პირველწყარო ამ ძეგლისა მე-2 საუკუნეში უნდა იყოს წარმოშობილი, ხოლო ქართული ტექსტი, ჩანს, ეკუთვნის მე-4 საუკუნეს ან მის ახლო დროს, როდესაც საქართველოში, კერძოდ მცხეთაში, როგორც ირკვევა, „ებრაულ-ქრისტიანული“ წრეები არსებობდა¹.

მეორე ძველი აპოკრიფული თხზულება ეს არის „მიმოდასლვა მოციქულთა“. თუ პირველი აპოკრიფი — „კითხვა-მიგება უფლისა და პავლესი“ — ინტერესს წარმოადგენს ქრისტიანული იდეოლოგიის ისტორიის თვალსაზრისით, მეორე ძველი, „მიმოდასლვა მოციქულთა“, ლიტერატურული მხრით არის საინტერესო. „მიმოდასლვა“ წარმოადგენს ტიპურ ლეგენდარულ-ზღაპრული ქანრის აპოკრიფულ მოთხრობას, ფანტასტიურ ხაზებში გაშლილს.

„მიმოდასლვა“ დატულია მე-6 საუკუნეში გადაწერილ ძველ ქართულ — ეგრეთ წოდებულ „ხანმეტურ“ ხელნაწერში, ხოლო თვით თხზულება ან ამ დროისაა, ან შესაძლოა უფრო ადრინდელიც.

ამავე ეპოქიდან ქართულ ენაზე შენახულა ბიბლიის აპოკრიფული წიგნები, ეზდრა III-ისა და ეზდრა IV-ის სახელით ცნობილი.

ქართულ ენაზე მოიპოვება აგრეთვე სახარების აპოკრიფული ვერსიებიც. ერთი ამთავანია „სიყრმე უფლისა“, რომელიც ეგრეთწოდებული თომა სახარების ვერსიას წარმოადგენს. ამ აპოკრიფში აღწერილია ქრისტეს ბავშვობის წლები, რომლის შესახებაც „კანონიკური“ სახარებანი სდუმან. მაგრამ ამ აპოკრიფში ქრისტეს პიროვნების საერთო ხასიათი იმდენად განსხვავებულია „კანონიკურ“ სახარებებში წარმოდგენილ ქრისტეს სახელთან შედარებით, რომ ეს აპოკრიფი ქრისტიანულმა ეკლესიამ აკრძალულ წიგნად გამოაცხადა. ასე, „სიყრმე უფლისა“ შეტანილია აკრძალულ წიგნთა იმ ცნობილ ინდექსში, რომელიც ქართველ მწერალს ეფთიმე მთაწმიდელს ეკუთვნის².

აპოკრიფულ სახარებათა ჯგუფს ეკუთვნის აგრეთვე მეორე ძველი — პილატუს აქტები, ანუ ეგრეთ წოდებული ნიკოდიმოსის სახარება, რომელშიაც აღწერილია, თუ როგორ გაასამართლეს და საკვიდლით დასაჯეს ქრისტე. ეს თხზულება — აპოკრიფების მეორე ჯგუფს ეკუთვნოდა, სახელდობრ იმ ჯგუფს, რომელიც ეკლესიის მიერ შეწყნარებული იყო და საკითხავ წიგნად ნებადართული.

¹ დამატებით იხ. შენიშვნა 5 (გვ. 348).

² „სიყრმე უფლისა“, გარდა ზოგადი ინტერესისა, საგულისხმოა, კერძოდ, ძველ ქართულ სამწიგნობრო ტექნიკისა და დამწერლობის ისტორიის თვალსაზრისით. აქ ჩვენ ვხვდებით მდიდარი ტერმინოლოგია დამწერლობის სხვადასხვა სახეების აღსანიშნავად: „სამკედელი“, „წარმატებული“, „იქცევისი“, „ზუეუნი“, „კეცილი“, „მიმოქცეული“, „კვივირისი სხე“, „ფერად საფასე“, „მართლიად შობილი“.

3. თეორიული თეოლოგიური ლიტერატურა

ამავე პერიოდში, მე-4—7 საუკუნეთა მანძილზე, ქართულ ენაზე ჩნდება თეორიული ხასიათის თეოლოგიური (თეოლოგიურ-ფილოსოფიური) ლიტერატურა, ჯერ თარგმნილი, შემდეგ ორიგინალურიც.

უძველესი თხზულებანი ამ დარგისა შეტანილია ძველ-ქართულ კრებულში, რომელსაც „მრავალთავი“ ეწოდება. „მრავალთავი“ წარმოადგენს დიდი მოცულობის ენციკლოპედია-ქრესტომათიას, რომელშიაც შესულია უმთავრესად ქრისტიანობის იდეოლოგ-მოდელვართა თხზულებანი (ჰაგიოგრაფიული ტექსტების დართვით).

ეს კრებული „მრავალთავი“ თავდაპირველად შეუდგენიათ მე-6 საუკუნის ბოლოს, ან მე-7 საუკუნის დასაწყისში¹. თხზულებანი, რომლებიც შესულია ამ კრებულში, ნაწილობრივ ამ დროს, მე-6—7 საუკუნეთა მიჯნას ეკუთვნის, ხოლო ნაწილობრივ აქ უფრო ადრინდელი ხანის ძეგლებიც არის მოთავსებული.

„მრავალთავი“ ამის შემდეგ თანდათან იესებოდა ახალი ნაწარმოებებით. როგორც ეს ირკვევა „მრავალთავის“ მოღწეული რედაქციების შედარებითი შესწავლიდან, „მრავალთავი“ მე-7 საუკუნის დასასრულისათვის უკვე შეიცავდა ოთხმოცდათამდე სხვადასხვა თხზულებას, რომლებიც ეკუთვნიან ცნობილ თეოლოგებს — იოანე ოქროპირს, კირილე იერუსალიმელს, გრიგოლ ნეოკესარიელს, მელქი ანტიოქელს, ანთიმატროს ბოსტრელს, ივლიანე ტაბია-ქალაქელს, ევსუქი იერუსალიმელს, სებერიან გაბალოველს და სხვებს.

(„მრავალთავის“ შეესება ახალი ნაწარმოებებით გრძელდებოდა ქართული მწერლობის შემდეგ პერიოდშიც, მე-8—10 საუკუნეთა მანძილზე. მე-10 საუკუნის დასასრულისათვის „მრავალთავი“ წარმოადგენდა ვრცელ ენციკლოპედიას, რომელშიაც შედიოდა 240-მდე სხვადასხვა სახელწოდების თხზულება).

გარდა იმ ძეგლებისა, რომლებიც „მრავალთავის“ კრებულში არის შეტანილი, ქართულ ენაზე ამის გარეშე ცალკე არსებულა მთელი რიგი თეოლოგიურ-ფილოსოფიურ თხზულებათა, მათ შორის თარგმანები ძნეთ კაპიტალურ ნაწარმოებთა, როგორიცაა გრიგოლ ნოსელის „კაცისა შესაქმე“, იპოლიტე რომის პაპის კომენტარები, ბასილი დიდისა და ათანასე ალექსანდრიელის თხზულებანი².

ცალკეა აღსანიშნავი ეპიფანე კვიპრელის ეგზეგეტიური ნაწარმოები „თვალთავი“, რომელსაც გავლენა მოუხდენია შემდეგი დროის მხატვრულ მწერლობაზედაც³.

¹ იხ. შენიშვნა 6 (გვ. 348).

² იხ. შენიშვნა 7 (გვ. 349).

³ იხ. აქვე შენიშვნა 7.

ორიგინალური თეოლოგიური ლიტერატურა

ქართული მწერლობის იმ პერიოდში, რომელიც შეადგენს აქ ჩვენი მიმოხილვის საგანს, ე. ი. მე-4—7 საუკუნეთა მანძილზე, თარგმნილი თეოლოგიური ლიტერატურის გვერდით ქართულ ენაზე შეიქმნა ორიგინალური თეოლოგიური ლიტერატურა.

ქართული ორიგინალური თეოლოგიური ლიტერატურის ძირითად საგანს ამ ეპოქაში შეადგენდა პოლემიკა წარმართობა-მაზდეანობისა, მანიქეველობისა და ქრისტიანული „მწვალებლური“ (ერეტიკული) სექტების გარშემო.

ჩვენ უკვე მოხსენებული გვექონდა, რომ მე-4—7 საუკუნეებში ქრისტიანული ეკლესია არ სარგებლობდა შეუზღუდავი ბატონობით და რომ ქრისტიანობის გვერდით საქართველოში გავრცელება ჰქონდა წარმართობას, მაზდეანობას და მანიქეველობას; ამას გარდა თვით ქრისტიანული ეკლესია არ წარმოადგენდა მონოლითურ მთლიანს, იგი იყოფოდა სხვადასხვა ფრაქციებად (არიანები, მონოფიზიტები და დიოფიზიტები, ნესტორიანნი, ორიგენიტები და სხვ.).

იდეური ბრძოლა, რომელიც წარმოებდა სხვადასხვა მიმართულებათა შორის, აღბეჭდილია ამ ეპოქის ლიტერატურულ ძეგლებში.

სურათი ამ ბრძოლისა დიდ ინტერესს წარმოადგენს ძველი საქართველოს კულტურის ისტორიის თვალსაზრისით, რადგან ეს ბრძოლა იყო არა მარტოდენ თეორიული ინტერესის საგანი, არამედ ამასთან დაკავშირებული იყო საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური ორიენტაციის საკითხები.

1. მანიქეველი მწერალი მოგიდან
(მე-5 საუკ.)

პირველ რიგში აქ მანიქეველობაზე შევჩერდებით.

ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში საქართველოში — როგორც მოვიხსენეთ — გავრცელება ჰქონია მანიქეველობას, მაინც რელიგიურ-ფილოსოფიურ მოძღვრებას. მანიქეველობა, როგორც ირკვევა, იმდენად ფართოდ ყოფილა გავრცელებული, რომ მე-5 საუკუნეში იგი ერთხანად გაბატონებულ რელიგიურ მოძღვრებადაც კი ქცეულა. ქართული მანიქეველობა ამ ხანაში, ჩანს, წარმოადგენდა ქრისტიანობისა და მანის მოძღვრების იდეების გაერთიანების ცდას.

მანიქეველობას თავისი წარმომადგენლები ქართულ მწერლობაშიაც ჰყოლია. ამათ რიცხვს ეკუთვნოდა მოზიდან, რომლის მოღვაწეობა მე-5 საუკუნის 30-იან და 40-იან წლებს ეკუთვნის. ვახტანგ გორგასარის ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ მოზიდან „წერდა წიგნებსა ყოვლისა საცთურებისა“, რომელიც მიმართული იყო ორთოდოქსალური ქრისტიანობის იდეების წინააღმდეგ. ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ მოზიდანის თხზულებანი ფარულად ვრცელდებოდა საქართველოში.

მე-5 საუკუნის ნახევარში, როდესაც ორთოდოქსალურმა ქრისტიანობამ ძალა მოიცა და ქართული ეკლესიის სათავეში ჩადგა მებრძოლი ქრისტიანობის წარმომადგენელი მიქაელ მთავარეპისკოპოსი, მობიდანის ნაწერებს ეკლესიამ აუტოდაფე გაუშართა. ვახტანგ გორგასარის ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ მობიდანის თხზულებანი ცეცხლს მისცეს, „დაწვა ყოველი წერილი მისი ჰეშმარიტმან ეპისკოპოსმან მიქაელ“.

2. კოლუმბია წარმართობასა და გაზღვანობასთან

ქრისტიანობის მთავარი მეტოქე ამ ეპოქაში მაინც იყო იმდენად მანიქეველობა არა, რამდენადაც წარმართობა და მაზღვანობა (ზოროასტრიზმი), განსაკუთრებით მაზღვანობა. მაზღვანობას ზურგს უმაგრებდა ირანის იმპერია, რომელიც ამ ხანაში შემოტევას აწარმოებდა კავკასიაში და თავისი პოზიციების გასამაგრებლად მფარველობას უწევდა ირანის ოფიციალურ რელიგიას მაზღვანობა-ზოროასტრიზმს.

ამიტომ ქართულ ენაზე ამ ეპოქაში, ცხადია, უნდა არსებულიყო ანტი-მაზღვანური თხზულებანი და, როგორც ირკვევა, არსებულა კიდევც. ექსცერპტები ანტიმაზღვანური პოლემიკისა დატულია ევსტათი მცხეთელის შესახებ ტექსტში, რომელიც მე-6 საუკუნეს ეკუთვნის, აგრეთვე აბიბოს ნეკრესელის შესახებ ტექსტში, რომლის პირველდენი მე-6—7 საუკუნეთა საზღვარზე ყოფილა დაწერილი.

არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ, რომ ქართველ ავტორებს ანტი-მაზღვანურ პოლემიკაში გამოუყენებიათ ბერძნული ფილოსოფია (მოდღერება ბუნების ოთხი ელემენტის შესახებ).

3. კოლუმბია აზიანობასთან. ნინოს სახელით წარწერილი სიტყვა

ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში არიანობა წარმოდგენდა ერთ-ერთ გავლენიან სექტას, რომელსაც ორთოდოქსალური ეკლესია უტყეროდა როგორც „მწვალებულს“ (ერეტიკულს).

არიანულ მოძღვრებას საქართველოშიაც ჰქონია გამოძახილი.

ჩვენს დრომდე მოღწეულა საყურადღებო ძეგლი — სიტყვა „ნათელთათვის“, რომელიც წარწერილია იბერიაში ქრისტიანობის გამავრცელებელი მოღვაწე-ქალის ნინოს სახელით.

ეს სიტყვა ქართული საორატორო ხელოვნების უძველესი და ამასთან მნიშვნელოვანი ძეგლია. ეს სიტყვა, ქადაგების სახით დაწერილი, არ არის მოკლებული ერთგვარ მხატვრულობას, მიუხედავად იმისა, რომ იგი ძირითადად თეოლოგიურ-ფილოსოფიურ საკითხებს ეხება. სიტყვას გასდევს გარკვეული ანტიარიანული ტენდენცია, იგი არიანული დოქტრინის კრიტიკას ისახავს მიზნად.

ვინ არის ავტორი ამ სიტყვისა? სიტყვა, როგორც მოვიხსენეთ, მიეწერება ნინოს, მე-4 საუკუნის ცნობილს მოღვაწე-ქალს. მაგრამ იგი არ ეკუთვნის

თვით ნინოს. ეს სიტყვა მიუწერიათ ნინოსათვის, როგორც უდიდესი ავტორიტეტით მოსილი მოღვაწისათვის, იმ მიზნით, რათა ამ ნაწარმოებს მეტი გავლენა და გასავალი ჰქონოდა ხალხში.

ვინ მიაკუთვნა ნინოს ეს სიტყვა? თვით ავტორმა გამოაქვეყნა იგი ნინოს სახელის ზედწარწერით? თუ იგი შემდეგ ხანაში მიაწერეს ნინოს? ეს გამოუჩვენებელი რჩება.

ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია, რომ ეს უცნობი ქართველი ავტორი, ნინოს სახელს ქვეშ ამოფარებული, ძველი მწერალია, და რომ ს ი ტ ყ ვ ა „ნ ა თ ე ლ თ ა თ ვ ი ს“ ქართული მწერლობის ადრინდელ ხანას ეკუთვნის, ეპოქას არა უგვიანეს მე-5—7 საუკუნეებსა. ამას ადასტურებს როგორც ნაწარმოების ენის თვისებები, რომელიც განსაკუთრებული არქაულობით არის აღბეჭდილი, ისე თვით შინაარსი. არიანობა, რომლის წინააღმდეგ ძირითადად მიმართულია ეს სიტყვა, ამ ხანაში სარგებლობდა გავლენით აღმოსავლეთში.

4. მონოფიზიტობა და დიოფიზიტობა საპატრიარქოში.

კირიონ I დიდი

საქართველოსი და აგრეთვე კავკასიის მეზობელი ქვეყნების, სომხეთისა და ალვანეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქრისტიანობის მრავალი ფრაქციებიდან ყველაზე მეტი მნიშვნელობა ჰქონდა მონოფიზიტობას და დიოფიზიტობას. ამ ორი ფრაქციის ხანგრძლივი ბრძოლა კავკასიაში გარკვეულ პოლიტიკურ ელფერს ატარებდა, ეს იყო არსებითად ბრძოლა აღმოსავლეთისა და დასავლეთის პოლიტიკური ორიენტაციის ჯგუფთა შორის.

451 წელს მომხდარმა ქალკედონის კრებამ, რომელმაც დიოფიზიტობის დოქტრინა მიიღო, ხოლო მონოფიზიტობა მწვალებლობად აღიარა, ორ ბანაკად გაჰყო იმდროინდელი ქრისტიანული მსოფლიო. დასავლეთში, ბერძნულ-რომაულ მსოფლიოში, ქალკედონიტურმა დიოფიზიტურმა მიმართულებამ გაიმარჯვა, აღმოსავლეთში — მონოფიზიტურმა მოძღვრებამ მიიღო უპირატესობა.

საქართველოში და კავკასიის მეზობელ ქვეყნებში — სომხეთსა და ალვანეთში მე-5 საუკუნის მანძილზე ორივე ფრაქციას ჰყავდა მიმდევრები, ხოლო მე-6 საუკუნის დასაწყისისათვის აქაც მონოფიზიტურმა მიმართულებამ გაიმარჯვა. 506 წელს შედგა ქართველ-სომეხ-ალვანთა შეერთებული კრება, რომელმაც უარყო ქალკედონის კრების დადგენილებანი და მონოფიზიტობას მიემხრო.

კრების დასრულების შემდეგ ქართველებმა, სომხებმა და ალვანელებმა გაგზავნეს ეპისტოლე ირანის იმპერიაში შემავალი ქრისტიანი ხალხების მიმართ, რომელშიაც ამცნებდნენ თავის გარდაწყვეტილებას და მონოფიზიტობის დოქტრინას იცავდნენ.

აღსანიშნავია, რომ ეს ისტორიული ეპისტოლე, კავკასიის ხალხთა სახელით შედგენილი და მიმართული ირანის ქრისტიანი ხალხებისადმი, გადაგზავნილი ყოფილა ირანში — მეტი სიმტკიცისათვის — თვით ორიგინალების სახით — ქართულ სომხურ და ალვანურ ენებზე.

მაგრამ მე-6 საუკუნის მანძილზე მდგომარეობა შეიცვალა.

ირანის იმპერიაში, რომელიც შემოტევის აწარმოებდა კავკასიაზე მე-4—6 საუკუნეთა განმავლობაში, მე-6 საუკუნის პირველ მესამედში დაიპყრო იბერია, შოახდინა მისი ინკორპორაცია და იბერიაში მიეფობა მოსაო.

რაც შეეხება სომხეთსა და ალვანეთს, აქ ირანი კიდევ უფრო ადრე გაბატონდა, ვიდრე იბერიაში.

ირანის იმპერია თავისი მდგომარეობის განსამტკიცებლად საქართველოში, სომხეთსა და ალვანეთში, ისევე როგორც თვით ირანის შიდაპროვინციების ქრისტიანულ წრეებში, გარკვეულ პოლიტიკას აწარმოებდა სარწმუნოებრივ საკითხებში. ირანი ქრისტიანული ფრაქციებიდან მფარველობას უწევდა მონოფიზიტურ ფრაქციას — იმ მიზნით, რომ აღმოსავლეთის ქრისტიანული ქვეყნები ჩამოეშორებია დიოფიზიტური მოძღვრების მიმდევარი ბერძნულ-რომაული მსოფლიოდან.

ამ ნიადაგზე ბრძოლა მონოფიზიტობასა და დიოფიზიტობას შორის გარკვეულ პოლიტიკურ ელფერს ღებულობს.

ირანის მფლობელობის დამყარებას შედეგად მოჰყვა ანტიირანული განწყობილების გაძლიერება საქართველოში, პირველ რიგში, ცხადია, იმ წრეებში, რომლებიც საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენას ისახავდნენ მიზნად. ფართო ფენებში ძლიერდება სიმპათია საბერძნეთ-რომისადმი, მით უფრო, რომ საქართველო თავისი კულტურის სათავეებით დასავლეთის, ბერძნულ-რომაული კულტურის ხალხთა წრეს ეკუთვნოდა.

შექმნილ ისტორიულ პირობებში თანდათან იზრდება და ძლიერდება დიოფიზიტური ელინოფილური ფრაქცია, ხოლო მე-6 საუკუნის დასასრულისათვის ეს ელინოფილური ფრაქცია საბოლოოდ უპირატესობას ღებულობს საქართველოში.

ელინოფილური დიოფიზიტური ფრაქციის ლიდერია განთქმული მოღვაწე და მწერალი კირიონ I დიდი, რომლის მოღვაწეობა მე-6 საუკუნის დასასრულსა და მე-7 საუკუნის დასაწყისს ეკუთვნის.

•

კირიონ I (ერისკაცობაში სვიმეონ) შთამომავლობით მესხეთის პროვინციიდან იყო, ჯავახეთის თემიდან, სოფელ სკუტრიდან. პირველდაწყებითი განათლება თავის სამშობლო სოფლის სკუტრის სკოლაში მიიღო. ამის შემდეგ კირიონ სწავლის დასამთავრებლად გაემგზავრა საბერძნეთში. სწავლობდა ქალაქ კოლონიასში (ბერძნული მცირე აზია). სწავლის დამთავრებამდე კირიონმა დაჰყო საბერძნეთში წლები და საფუძვლიანი ელინური განათლება მიიღო.

მე-6 საუკუნის დასასრულს კირიონს ირჩევენ საქართველოს კათალიკოსად. იგი სათავეში უდგება ელინისტურ-დიოფიზიტურ ფრაქციას და მისი მოღვაწეობის შედეგად ელინისტური ფრაქცია საბოლოოდ იმარჯვებს საქართველოში.

კირიონი დიდი მასშტაბის პოლიტიკური მოღვაწეა და ამასთან დიდი მწერალიც. ჩვენამდე მოღწეულა პოლემიკური შინაარსის ეპისტოლენი კირიონისა, მიმართული სომხეთის საეკლესიო მოღვაწეებისადმი, რომლებიც მონოფიზი-

ტური მოძღვრების დოქტრინას იცავდნენ და რომლებიც პროირანული პოლიტიკური მიმართულების გამტარებელნი იყვნენ კავკასიაში. კირიონის ეპისტოლენი აღბეჭდილია განსაკუთრებული პოლიტიკური ტაქტით, დიდი პოლიტიკური შორსმხედრეობით.

კირიონის ეპისტოლენი ეს არის იმდენად კონფესიური არა, არამედ პირველ რიგში პოლიტიკური ლიტერატურის უძველესი და ამასთან მეტად მნიშვნელოვანი ძეგლი.

კირიონის ეპისტოლენი არსებულა როგორც ქართულად, ისე სომხური თარგმანის სახით. აგრეთვე საფიქრებელია, რომ კირიონის ეპისტოლენი თარგმნილი იყო კავკასიის მესამე ხალხის — ალვანთა ენაზედაც, რამდენადაც ალვანეთი აგრეთვე ჩარეული იყო იმავე იდეური ბრძოლის წრეში.

კირიონის ეპისტოლენთა სომხური თარგმანი შეტანილია ცნობილ ქრესტომათია-კრებულში „ეპისტოლეთა წიგნი“. კირიონის ეპისტოლენი მოყვანილია აგრეთვე ისტორიკოს უხთანესის საისტორიო თხზულების ტექსტშიაც.

კირიონს, გარდა კავკასიელი მოღვაწეებისა, მიმოწერა ჰქონია იერუსალიმთან და რომთან, მაგრამ ეს მიმოწერა არ შენახულა. მოღვაწელთა მხოლოდ საპასუხო ეპისტოლე რომის პაპის გრიგოლ I დიდისა (590—604 წ.) მიმართული კირიონისადმი.



ამავე ეპოქას, როდესაც გამწვავებული პოლემიკა სწარმოებდა მონოფიზიტებსა და დიოფიზიტებს შორის, ეკუთვნის აგრეთვე ერთი ორიგინალური ძეგლი ქართული თეოლოგიური ლიტერატურისა, რომელიც მონოფიზიტების წინააღმდეგ არის მიმართული. ეს არის სიტყვა, რომელსაც ეწოდება: „თქმული დედისა ჩვენისა ნინოასი, რომელმან ქადაგა ქრისტე ქართლს შინა“.

ამრიგად, ეს სიტყვა მიეწერება განთქმულს მოღვაწე-ქალს ნინოს, რომელმაც მე-4 საუკუნეში ქრისტიანობა იქადაგა ქართლში (იბერიაში). მაგრამ ავტორი ამ ნაწარმოებისა, ცხადია, არ არის თვით ნინო, რადგან ნინოს დროს საქართველოში ადგილი არ ჰქონდა ამ სახის ფრაქციულ ბრძოლას მონოფიზიტებსა და დიოფიზიტებს შორის. ჩვენ უკვე მოხსენებული გვქონდა, რომ ნინოს სახელს ქვეშ ამოფარებულია უცნობი ქართველი მწერალი მე-5—7 საუკუნეებშია, რომელმაც გამოაქვეყნა ანალოგიური ძეგლი — ანტიარჩანული თხზულება „ნათელთათვის“. როგორც იკვეცა, ამავე ძველ-ქართველ მწერალს ეკუთვნის აგრეთვე ეს მეორე პოლემიკური თხზულებაც, რომელიც მონოფიზიტური დოქტრინის წინააღმდეგ არის მიმართული. ორივე თხზულება ქადაგების სახით არის დაწერილი და მათი სახით ჩვენ გვაქვს საორატორო ხელოვნების უძველესი ქართული ძეგლები.

5. კოლემიკა ნესტორიანობასთან, ორიგენი და ორიგენიანნი

საქართველოში მე-4—7 საუკუნეთა მანძილზე გარდა არიანებისა და მონოფიზიტ-დიოფიზიტებისა სხვა გავლენიანი სექტებიც არსებობდნენ. ასეთი იყო, შავალითად, ნესტორიანთა ფრაქცია. საქართველოში გამოძახილი ჰქონდა აგრეთვე ორიგენის „მწვალებლურ“ იდეოლოგიასაც.

ნესტორიანობა და ორიგენიტობა გაცხოველებული კამათის საგანად იყო ქვეყნული ქრისტიანულ მსოფლიოში, და საქართველოშიაც, ცხადია, არაერთი თხზულება დაწერილა მათი მოძღვრების გამო. ცნობილია, რომ კირიონ I-ს საგანგებო მიმოწერა ჰქონდა ნესტორიანთა შესახებ რომის პაპთან გრიგოლ I დიდთან.

სამწუხაროდ, ქართული თხზულებანი, რომლებიც ნესტორიანობასა და ორიგენიტობას ეხებოდნენ, ჩვენ დრომდე არ მოღწეულა. გვაქვს მხოლოდ ცნობა თარგმნილი ტექსტების შესახებ.

ამის გამო ჩვენ აქ ამ უკანასკნელთ შევხებით.

ჯერ ორიგენისა და ორიგენიტების შესახებ.

•

ორიგენი (III საუკ.) განთქმული ფილოსოფოს-თეოლოგოსი, ერთი უშესანიშნავეს ავტორთაგანია ძველ ქრისტიანულ მწერლობაში. ორიგენმა ჩამოაყალიბა ქრისტიანული დოგმატიკა ანტიკურ-ელნიური ფილოსოფიის გამოყენებით.

ორიგენის დიდს ლიტერატურულ მემკვიდრეობაში იყო თხზულებანი, რომელთაც ეკლესია „მწვალებლურად“ (ერეტიკულად) სთვლიდა, რომლებშიაც ორთოდოქსალური ქრისტიანობის თვალსაზრისით ბევრი საკამათო და მიუღებელი აზრებია გამოთქმული. „ორიგენეს მწვალებელსა, — ნათქვამია აკრძალულ წიგნთა ძველ-ქართულ ინდექსში, — მრავალი წიგნები აღუწერია და არა შესაწყნარებელ არს“.

ორიგენის ეს „მწვალებლური“ წიგნები ადრევე უთარგმნიათ ქართულ ენაზე.

ორიგენის იდეოლოგიის მიმდევარი ქართველი წრეები—როგორც ირკვევა — არ დაკმაყოფილებულან ორიგენის თხზულებათა გადმოღებით, და მასთან ერთად უთარგმნიათ ქართულად ორიგენიტების ნაწერებიც, რომლებიც ორიგენის „ერეტიკულ“ მოძღვრებას იცავდა. სახელდობრ, უთარგმნიათ განთქმული „აპოლოგია ორიგენისა“, რომელიც ეკუთვნოდა პამფილ ექსარიელისა და სახელოვანი ისტორიკოსის ევსემი ექსარიელის კალამს. ერთი ძველი ქართველი ავტორის დახასიათებით, ეს თხზულება — აპოლოგია ორიგენისა — „მრავალთა რათმე საქმეთა წარმოიტყვის, და თხრობათა თვითო-სახეთა, მრავლითა ფილოსოფოსობითა დაწერილ არს იგი, არამედ წვალებანი მრავალნი ჩაურთავენ, და მისთვის არა შეიწყნარებს ეკლესია“.

კამათი ორიგენის „მწვალებლობის“ გამო არ შეწყვეტილა თვით ორიგენის დროიდან, მე-3 საუკუნიდან დაწყებული მე-6 საუკუნემდე, ვიდრე 543 წელს იმპერატორის იუსტინიანე დიდის მიერ კონსტანტინეპოლში მოწვეულმა საეკლესიო კრებამ საჯაროდ არ დატყვევებინა ორიგენის „მწვალებლური“ იდეოლოგია.

განსაკუთრებით გამწვავებულნი ბრძოლა სწარმოებდა ორიგენიზმის გამო მე-5—6 საუკუნეთა საზღვარზე პალესტინის საბას საუჯანეში, სადაც მრავლად იყვნენ როგორც ორიგენის მიმდევარნი, ისე ანტიორიგენიტები. საბას საუჯანე ამ დროს ქართული მწიგნობრობის მნიშვნელოვანი ცენტრს წარმოადგენდა და

საფიქრებელია, აქ ითარგმნა პირველად ორიგენისა და ორიგენიანთა თხზულებანი და აქედან გავრცელდა იგი საქართველოში.

ორიგენისა და ორიგენიანთა „მწველებლური“ თხზულებანი, მიუხედავად დევნისა, გადარჩენილა ქართულად თვით მე-10—11 საუკუნეებამდე. მე-10 საუკუნის დასასრულს ქართველი მწერალი სტეფანე სანანოის-ძე შევითხვას უგზავნის ბიზანტიაში განთქმულ ქართველ მოღვაწეებს იოანე და ეფთიმე იბერიელებს, —რამდენად მისაღები არისო ორიგენის აპოლოგია, რომელიც „უწინარეს მრავლისა ეამისა“ უთარგმნიათო ქართულად. ამაზე ბიზანტიიდან მიღებული იქნა პასუხი, რომ ეს თხზულება „არა შესაწყნარებელ არს, კარგნიცა საქმენი მრავალნი სწერია, გარნა ღვარძლიცა წველებიისა თანა შთაუთესავს და მით უხმარ არს იგი“.

მე-11 საუკუნის დასაწყისში, ეფთიმე იბერიელი, უდიდესი ავტორიტეტით მოსილი ქართველი მწერალი, თავის ცნობილ ეპისტოლეში თეოდორე საბაწმინდელისადმი ადგენს აკრძალულ წიგნთა დაწვრილებითს სიას, და ამ აკრძალულ წიგნთა რიცხვში შეაქვს ორიგენისა და ორიგენიანთა თხზულებანი.

•

ეს ორიგენიზმის ისტორიის შესახებ საქართველოში.

რაც შეეხება ნესტორიანობას და მის გარშემო საქართველოში წარმოებულ ლიტურგიატურულ კამათს, ამის ერთ-ერთი ჩვენს დრომდე გადარჩენილი ძეგლი არის ბერძნულიდან გადმოღებული აპოლინარი ლაოდიკელის ტრაქტატი, რომელიც ნესტორიანობის დოქტრინის კრიტიკას ისახავს მიზნად, და რომელიც ქართული მწერლობის აღზინდელი ხანიდან მომდინარეობს. ეს პოლემიკური ტრაქტატი, რომელიც ჩვეულებრივ ათანასე, ალექსანდრიელს მიეწერება ხოლმე, მაგრამ რომელიც, როგორც დადგენილია, აპოლინარი ლაოდიკელის კალამს ეკუთვნის, შეტანილია ძველ ქართულ ქრესტომათიამში, რომელსაც „მრავალთავი“ ეწოდება.

თავი მესამე

ბიოგრაფიული ისტორიულ-მხატვრული ლიტერატურა.

იაკობ ცურტაველი

საკუთრივ თეოლოგიური მწერლობის მიმოხილვის შემდეგ ჩვენ აქ შევეხებით ძველი ქართული მწერლობის ერთს საპეციფიურ დარგს, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ სახელს:

ბ ი ო გ რ ა ფ ი უ ლ ი ისტორიულ-მხატვრული ლიტერატურა.

ეს ეანრი წარმოადგენდა მე-4—7 საუკუნეთა ქართული ორიგინალური მწერლობის ერთ-ერთ წამყვან დარგს. ამ ეანრში მე-4—7 საუკუნეთა ქართულმა მწერლობამ დაგვიტოვა მთელი რიგი მნიშვნელოვანი თხზულებანი, მათ შორის ისეთი უნიკალური ძეგლი, როგორც არის იაკობ ცურტაველის — ბ ი ო გ-

რა ფაქტის შესახებ, რომელიც ძველი ქართული მხატვრული პროზის ბრწყინვალე ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის.

ჯერ თვით ქანრის ხასიათს შესახებ.

ამ ქანრის მწერლობას ჩვეულებრივ ჰაგიოგრაფიულ მწერლობას ეძახიან, ზოგჯერ კი მას ისტორიულ მწერლობას მიაკუთვნებენ (როგორც, მაგალითად, აკად. ივანე ჯავახიშვილი). მაგრამ საქმის ვითარებასთან უფრო ახლო ვიქნებით, თუ ამ ქანრს ეუწოდებთ ზემოთ აღნიშნულ ნიშანდობლივ სახელს: ბიოგრაფიული ისტორიულ-მხატვრული ლიტერატურა.

რამი მდგომარეობს დამახასიათებელი ნიშნეულობა ამ ქანრისა?

ამ ქანრის თხზულებებში მოცემულია ხოლმე მოღვაწეთა ბიოგრაფიები. ამდენად იგი, რასაკვირველია, ისტორიული მწერლობის დარგს უახლოვდება.

მაგრამ აქ ჩვენ გვაქვს არა უბრალო ბიოგრაფია, ჩვეულებრივი გაგებით, არამედ მოღვაწე აქ წარმოდგენილია მხატვრული ნაწარმოების გმირის ასპექტში. ამ გმირის ცხოვრების შესახები მოთხრობა ჩვეულებრივ არ სცილდება დოკუმენტულობის ფარგლებს, მაგრამ მოთხრობა მხატვრულ ფორმამაა გაშლილი.

თუ ჩვენ მოვისურვებდით მოკვენახა პარალელი ამ ძველ ქანრსა და თანამედროვე ლიტერატურის ქანრთა შორის, იგი *mutatis mutandis* უახლოვდება თანამედროვე მწერლობის ბიოგრაფიულ-დოკუმენტურ რომანს, დოკუმენტური მხატვრული პროზის ქანრებს¹.

ვიძლევიტ აქ მოკლე მიმოხილვას ამ ქანრის ძველ-ქართულ ნაწარმოებთა, რომლებიც მე-4—7 საუკუნეებს ეკუთვნის.

1. ბიოგრაფია ცხრათა ყრმათა კოლაელთა.

ბიოგრაფიული ლიტერატურის ყველაზე ადრინდელი ძეგლი, რომელიც ჩვენ დრომდე მოღწეულა, ეს არის — ბიოგრაფია ცხრათა ყრმათა კოლაელთა. თხზულება ეხება ეპოქას, როდესაც ძველი ქართული წარმართობა, განსაკუთრებით საქართველოს სანაპირო პროვინციებში, ჯერ კიდევ მტკიცედ გრძნობდა თავს, ხოლო ქრისტიანობა „ახალ-ნერგი“ იყო, ახლად ფრცვლდობდა საზოგადოებაში.

მოქმედება სწარმოებს საქართველოს ერთ-ერთ სანაპირო პროვინციაში, კოლას თემის ერთ სოფელში. მოთხრობაში აღწერილია თავგადასავალი ცხრა ბავშვისა, რომლებიც წარმართი მშობლების შვილები იყვნენ, დაუმეგობრდნენ თავისი სოფლის ქრისტიან ბავშვებს, მათთან ერთად თამაშობდნენ, და მათი სიყვარულით მოინათლენ კიდევ. ამის გამო ბავშვებს ტრაგიკული ბედი ეწიათ. სოფლის მოსახლეობის იმ ნაწილმა, რომელიც წარმართობას მისდევდა, ხოლო ასეთები აქ უპირაველსობას შეადგენდნენ, სოფლის მთავარს

¹ ძველი ქართული მწერლობის ქანრების შესახებ იხ. დამატებით შენიშვნა (გვ. 349—351).

უჩუმატის თანხმობით, ბავშვები — მოუხედავად მათი მცირეწლოვანობისა — სიკვდილით დასაჯეს წარმართობიდან განდგომის გამო.

მოთხრობა დიდი უბრალოებით არის დაწერილი, რეალისტური მანერით. თვით თანამედროვე მკითხველიც უგულისყურით გადაიკითხავს ამ მარტივ მოთხრობას ბავშვთა მეგობრობისა და მათი ტრაგიკული თავგადასავალის შესახებ.

ბიოგრაფია ცხრათა კოლაელთა, როგორც ეს დასტურდება ტექსტის რეალიზმის მიხედვით, ჩანს, დაწერილია მე-4—5 საუკუნეებში, არა უგვიანეს.¹

2. ბიოგრაფია შუშანიკ დედოფლისა.

ამ თხზულებას, რომელიც ეყუთუნის განთქმულ ქართველ მწერალს იაკობ ცურტაველს და რომელიც დაწერილია მე-5 საუკუნეში (474—483 წლებს შორის) უფრო დაწერილებით ვეხებით ქვემოთ ცალკე.

3. ბიოგრაფია ევსტათი მცხეთელისა.

თხზულება დაწერილია მე-6 საუკუნის მეორე ნახევარში.

ეს თხზულება ბევრნაირად არის საყურადღებო. იგი ინტერესს წარმოადგენს კერძოდ ამ მხრივაც, რომ ამ წარმოდგენილია მე-6 საუკუნის საქართველოს დაბალი სოციალური ფენები.

ევსტათი მცხეთელი, მთავარი გმირი მოთხრობისა, ხელოსანია, მეზამლეთა ამქარის წევრი. ევსტათი წარმოშობით ირანელი ყოფილა, ქალაქ განძაკიდან. ახალგაზრდობისას იგი ჩამოსულა საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთაში (541 წ.). მცხეთაში ევსტათის შეუსწავლია ხელოსნობა, მეზამლეობა, და შემდეგ ცოლ-შვილსაც მოჰკიდებია. ევსტათი დაახლოვებია ქართულ წრეებს, უარუყვია ირანული ნაციონალური მახდენური რელიგია და მიუღია ქრისტიანობა, რაც ქართველობასთან შეერთებას, მის გაქართველებას მოასწავებდა.

ამ დროს, მე-6 საუკუნის 30-იანი წლებიდან, იბერია (აღმოსავლეთი საქართველო) დაპყრობილი ჰქონდათ ირანელებს (მათი მფლობელობა იბერი-აში მე-6 საუკუნის 70-იან წლებამდე გაგრძელდა). ირანელები მფარველობას უწევდნენ და ავრცელებდნენ ირანელთა ნაციონალურ მახდენურ კულტს.

ევსტათი მცხეთელის მიერ უარყოფა მამეული მახდენური სჯულისა და შეერთება ქართველობასთან გახდა მიზეზი მისი დევნისა. მცხეთის ირანული კოლონიის დაბეზლებით ევსტათი ორგზის იყო დატყვევებული საპყრობილეში. ბოლოს ევსტათი გაასამართლა ტფილისში ირანელთა მარზაპანმა (ირანული ხელისუფლების მეთაურმა) და ევსტათი სიკვდილით დასაჯეს, როგორც მახდენობიდან განდგომილი.

თხზულებაში ცხოვლად არის წარმოდგენილი მე-6 საუკუნის საქართველოს ყოფა-ცხოვრება. ევსტათის ბიოგრაფიის ფონზე მოცემულია საქართველოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ამსახველი სურათები. ავტორი რეალისტური სტილის მწერალია, და საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ რეალისტური მანერა დამახასიათებელია ძველი ქართული ბიოგრაფიული ჟანრის მწერლობისათვის.

¹ იხ. შენიშვნა 9 (გვ. 294).

ევსტათი მცხეთელის ბიოგრაფიის ავტორი განათლებული პირია, საკმაოდ ფართო ლიტერატურული ინტერესებით. იგი გაცნობილია არა მხოლოდ თეოლოგიურ მწერლობას (—თხზულებაში მოცემულია საინტერესო „თარგემი“ ბიბლიის წიგნთა), არამედ მისთვის არც ფილოსოფიური ლიტერატურა ყოფილა უცხო. ასე, თხზულებაში წარმოდგენილია ანტიმზადეანური პოლემიკა, რომელშიაც ავტორი ფილოსოფიურ მომზადებას, ბერძნული ფილოსოფიის ცოდნას ამჟღავნებს.

4. ბიოგრაფია პეტრე იბერიელისა (412—488 წწ.).

პეტრე იბერიელი განთქმული მოღვაწე იყო მე-5 საუკუნისა¹. იგი იყო შვილი იბერიის მეფის ბაკურისა.

ბაკურ მეფე, რომის იმპერიასთან ურთიერთობის განმტკიცების მიზნით, იძულებული გახდა წარეგზავნა თავისი შვილი მძევლად კონსტანტინეპოლს, თეოდოსი იმპერატორის კარზე. პეტრეს გაგზავნა კონსტანტინეპოლში მოხდა 424 წელს, როდესაც პეტრე ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, 12 წლისა. პეტრეს კონსტანტინეპოლში თან გაჰყვა ქართველი სეფეწულების ამაღა.

პეტრეს ფართო განათლება მიუღია. მას შეუსწავლია „ყოველივე სწავლულება“ და „ფილოსოფოსობა სრული“.

პეტრე იბერიელი უფრო გვიან გაემგზავრება კონსტანტინეპოლიდან პალესტინაში და შედგება ბერად. პალესტინაში პეტრეს აირჩიევენ მაიუმის მთავარეპისკოპოსად.

პეტრე იბერიელი იყო ერთ-ერთი უსაჩინოესი წარმომადგენელი თეოლოგიური აზროვნებისა რომის იმპერიაში მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში. იგი ითვლებოდა მონოფიზიტური იდეოლოგიის ცნობილ ლიდერად და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც ელინურ მსოფლიოში, ისე აღმოსავლეთში. მას დიდის პატივისცემით ეპყრობოდენ თვით მოწინააღმდეგენიც.

პეტრე იბერიელის უშუალო მოღვაწეობის ასპარეზი იყო სირია-პალესტინა და ეგვიპტე, მაგრამ მას თავის სამშობლო იბერიასთან არ შეუწყვეტია კავშირი. ბიოგრაფიის ცნობით, პეტრემ „აღაშენა სახლი სასტუმრო ქალაქსა შინა (იერუსალიმსა) და განუსვენებდა მომავალთა მშათა ქართველთა და ბერძენთა“. ამას გარდა პეტრეს საგანგებოდ აღუშენებია პალესტინაში ცალკე მონასტერი-სავანე ქართველ მოღვაწეთათვის, რომელსაც ეწოდებოდა ქართველთა ანუ იბერთა მონასტერი.

ი ბ ე რ თ ა ეს სავანე, პალესტინის მეორე ცნობილ პუნქტთან, — ს ა ბ ა წ მ ი დ ის სავანესთან ერთად, გადაიქცა ქართული განათლებისა და მწიგნობრობის მნიშვნელოვან ცენტრად, აქ ფართოდ გაიშალა ქართული სალიტერატურო მოღვაწეობა აღრეულ საშუალო საუკუნეებში.

პეტრე იბერიელის ბიოგრაფია დაუწერია მის მოწაფეს ზ ა ქ ა რ ი ა ქ ა რ თ ე ე ლ ს — მე-5 საუკუნის დასასრულში. ზაქარია ქართველი თან გაჰყოლია პეტრე იბერიელს ქართლიდან, ქართველ სეფეწულებთან ერთად. პეტრე იბე-

¹ პეტრე იბერიელის ერისკაცობის სახელი იყო ნ ა ბ ა რ ნ უ გ ი. პეტრე მას ბერად შედგომის შემდეგ ეწოდა.

რიელის მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ვიდრე მის ფარდაცვალებამდე, ზაქარია თან ხლებია განუყრელად პეტრეს, როგორც მისი მოწაფე და უახლოესი მეგობარი. ბიოგრაფია პეტრე იბერიელისა ზაქარია ქართველს ფამოუქვეყნება ასურულ ენაზე (— პალესტინაში ამ დროს ასურული ენა ფართო გავრცელებით სარგებლობდა), და აგრეთვე, ჩანს, ქართულ ენაზედაც თავის თანამემამულეთათვის¹. უნდა აღნიშნოს, რომ პეტრე იბერიელის ბიოგრაფიაში გამოსკვივის ქართული პატრიოტიზმი. იბერია აქ დახასიათებულია, როგორც ღვთივ-ეურთხეული სამეფო.

ზაქარია ქართველის შემდეგ პეტრე იბერიელის ბიოგრაფია სხვებსაც აღუწერიათ, და ამ შემდეგდროინდელ რედაქციებზე საფუძვლად დასდებია ზაქარია ქართველის ნაშრომი. ასე, ჩვენ დრომდე მოღწეულა ასურულ ენაზე, პეტრე იბერიელის ცხოვრების ტექსტი მე-6 საუკუნისა, რომელიც, როგორც ირკვევა, ძირითადად დაყარებულია ზაქარია ქართველის თხზულებაზე. ზაქარია ქართველის მიერ დაწერილი ბიოგრაფიით უსარგებლია აგრეთვე მე-6 საუკუნის ბერძენ მწერალს ზაქარია რიტორს, რომელიც ვრცლად მოგვითხრობს პეტრე იბერიელის ცხოვრების შესახებ.

რაც შეეხება პეტრე იბერიელის ბიოგრაფიის პირვანდელ, ძველ-ქართულ დედანს, იგი ჩვენ დრომდე არ გადარჩენილა, როგორც სამართლიანად აღნიშნავს აკად. ივ. ჯავახიშვილი, პეტრე იბერიელის ცხოვრება, საფიქრებელია, მოუპაათ იმის გამო, რომ პეტრე მონოფიზიტური იდეოლოგიის ლიდერად ითვლებოდა, ხოლო საქართველოში, მე-7 საუკუნეთა საზღვარზე, როგორც აღნიშნული გვქონდა, ანტიმონოფიზიტურმა იდეოლოგიამ საბოლოოდ გაიმარჯვა და ამის შემდეგ მონოფიზიტობა მწვალებლურ (ერეტყულ) მოძღვრებად იყო მიჩნეული.

ბევრად უფრო გვიან, როდესაც ძველი იდეოლოგიური ბრძოლების სიმწვავე მინელდა, და პეტრე იბერიელის მონოფიზიტობა აღარ ითვლებოდა ისეთ უშუალო საცთურად, ერთ ქართველ მწერალს (მაქარიას) ზელმეორედ გადმოუკეთებია ასურული ფინიდან ქართულ ენაზე ზაქარია ქართველის მიერ შედგენილი პეტრე იბერიელის ბიოგრაფია, მაგრამ გადმოუკეთებია იმრიგად, რომ ყველა ის ადგილები, რომლებიც პეტრე იბერიელის მონოფიზიტობაზე მიუთითებდა, ან მთლად ამოუგდია, ან შეუცვლია. ეს მეორე გადაკეთებული ქართული რედაქცია პეტრე იბერიელის ცხოვრებისა ჩვენ დრომდისაც არის გადარჩენილი.

პეტრე იბერიელის ბიოგრაფიის მოღწეული ვერსიები — ასურული, ქართული და ბერძნული — წარმოადგენენ მეტად მნიშვნელოვან წყაროს მე-5 საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის. ზაქარია ქართველის თხზულება, რომელიც საფუძვლად უდევს პეტრე იბერიელის ბიოგრაფიის ყველა ამ შემდეგდროინდელ რედაქციებს, შინაარსიანი ნაწარმოებია, დიდი ცოდნით შედგენილი. როგორც სამართლიანად აღნიშნავს აკად. ივ. ჯავახიშვილი, ავტორს „ქართული ცხოვრების დიდი ცოდნა ეტყობა, და ქართველთა მაშინდელი პოლიტიკური მდგომარეობაცა და იდეალიც საუცხოოდ აქვს დასურათებული“.

¹ შტრ. აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I (1928 წ.), გვ. 202.

დასასრულ დაგვიჩენია აღვნიშნოთ, რომ მე-5 საუკუნის ამ ავტორის, ზ ა ქ ა რ ი ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს სალიტერატურო მოღვაწეობა არ განისაზღვრებოდა მარტო პეტრე იბერიელის ბიოგრაფიის შედგენით. ასე, ზაქარია ქართველს, გარდა პეტრე იბერიელის ბიოგრაფიისა, აღუწერია პეტრეს თანამოღვაწის ისა ი ა ა ს უ რ ი ს ცხოვრება.

5. ბიოგრაფია რაუდენისი.

რაუდენი იყო მამამძღვე (აღმზრდელი) საქართველოს დედოფლის, იბერიის მეფის ვ ა ხ ტ ა ნ გ დ ი დ ი ს (გორგასარის) მეუღლისა. რაუდენი დაიღუპა ირანელების წინააღმდეგ ერთ-ერთ ბრძოლაში იმ ნაციონალური ომის დროს, რომელსაც აწარმოებდა იბერია ირანის იმპერიის აგრესიიდან თავდასაცველად მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში.

რაუდენის ბიოგრაფიის პირველ-დედანი ჩვენ დრომდე არ გადარჩენილა, შენახულა მხოლოდ რაუდენის ბიოგრაფიის ამ პირველ-დედნიდან მომდინარე მოკლე მოსახსენებელი, შეტანილი ვახტანგ გორგასარის მატეიანეში. შენახულა აგრეთვე რაუდენის ბიოგრაფიის გვიანდელი მეტათრასული რედაქცია, დამყარებული „ძველ მატეიანეთა“ და „უწყებათა“ ცნობებზე.

6. ბიოგრაფია აბიბოს ნეკრესელისა.

აბიბოს ნეკრესელი მე-6 საუკუნის მოღვაწეა. მან გააერთილა ქრისტიანობა კახეთის მთიან რაიონებში, სადაც ამ დრომდე ჯერ კიდევ წარმართობა იყო შერჩენილი.

მე-6 საუკუნის 30-იანი წლებიდან, როგორც მოხსენებული ჰქონდა, იბერია ირანელებმა დაიპყრეს და ირანელები, თავისი პოლიტიკური გავლენის განმტკიცების მიზნით, ავრცელებდნენ ირანელთა ნაციონალურ მაზდეანურ კულტს. აბიბოს, დამკველი ქრისტიანობისა, რომელიც ამ დროს ქართველთა ნაციონალურ აღსარებად ითვლებოდა, ილაშქრებს მაზდეანობის წინააღმდეგ არის გამო ირანელები აბიბოსს შეიპყრობენ. აბიბოსს გაასამართლებს ირანელთა მთავარი ხელისუფალი მარზაპანი. აბიბოსს სიკვდილით დასჯიან ბარბაროსული წესით, ჩაქოლვით.

აბიბოს ნეკრესელის ვრცელი ბიოგრაფია დაწერილი ყოფილა მე-6—7 საუკუნეთა საზღვარზე (არა უგვიანეს 643 წლისა). შემდეგ ამ ვრცელი ბიოგრაფიის მიხედვით შეუდგენია მოსახსენებელი აბიბოს ნეკრესელის შესახებ მე-9 საუკუნის ქართველ ავტორს არსენი კათალიკოსს (820—882 წ.). ჩვენ დრომდე ეს უკანასკნელი, არსენის მიერ შედგენილი მოსახსენებელი გადარჩენილა.

ამას გარდა ცნობები აბიბოს ნეკრესელის ბიოგრაფიიდან შეტანილია ძველი ქართველი ისტორიკოსის ჯუანშერის მატეიანეში (9—10 ს.).

7. ბიოგრაფიები იოანე ზედაზნელისა და მისთა მოწაფეთა.

იოანე ზედაზნელი, რომელსაც ძველი ქართველი მემატიანე უწოდებს „ქართლისა ვანმანათლებელს“, და იოანე ზედაზნელის მოწაფეთა მთელი ჯრებული (რომელთა რიცხვს ეკუთვნოდნენ — შიო მღვიმელი, დავით გარეჯელი,

ძვე წილკნელი, ანტონი მარტყოფელი, იოსებ ალავერდელი, ზენონ იყალთო-ელი და სხვანი) — მე-6 საუკუნის მოღვაწეებია. მათ დააარსეს ქართლსა და კახეთში მთელი რიგი სავენებისა, რომელთაც, განსაკუთრებით კი შიო-მღვი-მეს, დავით-გარესჯასა და იყალთოს — მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნოდათ ქართული განათლებისა და მწიგნობრობის ისტორიაში სამშუალო-საუკუნეთა მანძილზე.

ქართული ისტორიკოსი ჯუანშერი აღმოგვცემს, რომ „ქართლის განმანათ-ლებელის“ იოანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების ბიოგრაფიები აღიწერა და გავრცელდა საქართველოში.

ეს ბიოგრაფიები ჩვენს დრომდე მხოლოდ გადაკეთებული, „განახლებუ-ლი“ სახით არის მოღწეული. საეკლესიო ლიტერატურაში გამოთქმულია მო-საზრება, რომ იოანე ზედაზნელი და მისნი მოწაფენი ნესტორიანული მოძღვ-რების მიმდევარნი უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო რაჟი საქართველოში მე-7 სა-უკუნის შემდეგ ნესტორიანობა მწვალებლურ (ერეტყულ) მოძღვრებათა რიცხვს მიეკუთვნებოდა, ჩანს, ამით იყო გამოწვეული, რომ იოანე ზედაზნე-ლისა და მისი მოწაფეების ბიოგრაფიები „განუახლებიათ“ შემდეგს ხანაში.

•

**იაკობ ცუტაველის
ბიოგრაფია უზუნაიისი**

ძველი ქართული ბიოგრაფიული ჟანრის ლიტერატურაში განკერძოებუ-ლი ადგილი უჭირავს იაკობ ცუტაველის თხზულებას, შუშანიკ დედოფლის ბიოგრაფიას.

ამ თხზულების სახით მე-4—7 საუკუნის ქართულმა მწერლობამ დაგვი-ტოვა მადალი რანგის ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც საბოლოოდ რჩება ქართული სიტყვიერების კლასიკურ მემკვიდრეობაში.

ქართულმა მხატვრულმა სიტყვამ ამ ნაწარმოებში მიაღწია თავის ნამდვილ სრულყოფას. ამდენად იაკობ ცუტაველი ძველი ქართული ლიტერატურის დიდ ფუძემდებელთა რიცხვს ეკუთვნის.

ჩვენ აქ უფრო დაწვრილებით გავაცნობთ მკითხველს ამ თხზულებას.

•

შუშანიკ დედოფალი მე-5 საუკუნის მოღვაწეა. შუშანიკი იყო მღვდელ-სამხრეთ-ქართლის მფლობელი მთავარის ვარსკენისა.

მოთხრობა შემდეგ ისტორიულ ფონზე იშლება.

სამხრეთ-ქართლის ეს სამთავრო (— რომელსაც ამ დროს „გოგარენი“ ეწოდებოდა) — მდებარეობდა ირანის იმპერიის სანაპიროზე. იმ დროისათვის, რომელსაც ეხება მოთხრობა — მე-5 საუკუნის მეორე ნახევრისათვის — სამ-ხრეთ-ქართლის სამთავრო ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა ირანის სასანიანთა იმპერიისაგან.

ეს ხანა, მე-5 საუკუნე, მნიშვნელოვანი ეპოქაა კავკასიის ხალხთა ცხოვრებაში. ეს არის ეპოქა ნაციონალური ომებისა ირანსა და კავკასიის ქვეყნებს შორის. ირანის იმპერია ამ ხანაში — როგორც ეს ზემოთაღ გვექონდა აღნიშნული — შემოტევას აწარმოებდა კავკასიაზე. ამ უსწორო და მწვავე ეპიზოდებით აღსავსე ბრძოლაში პირველად დაეცა სომხეთი. მე-5 საუკუნის პირველ ნახევარში ირანელებმა მოსპეს მეფობა სომხეთში და სომხეთის ინგოპორაცია მოახდინეს. ამ დროიდან შემოტევა ირანისა საქართველოზე ძლიერდება. ნაციონალური ომები ირანსა და საქართველოს სამფლობელოთა შორის დროგამოშვებით გრძელდება მე-5—6 საუკუნეთა მანძილზე. ბოლოს ირანი ახერხებს იბერიაში (აღმოსავლეთ საქართველოში) მტკიცედ დამკვიდრებას; მე-6 საუკუნის 20—30-იან წლებში ირანელები მოსპობენ მეფობას იბერიაში, შეიერთებენ იბერიას, და ბრძოლის ცეცხლს დასავლეთ საქართველოში, ლაზიკის (ყოლხეთის) სამეფოში გადაიტანენ. ირანელთა მფლობელობა იბერიაში ამის შემდეგ ნახევარი საუკუნე გრძელდება, მე-6 საუკუნის 80-იან წლებამდე.

უფრო ადრე, ჭერ კიდევ მე-5 საუკუნის პირველი ნახევრიდან, სომხეთის სამეფოს დაცემის შემდეგ, ირანის გავლენა პირველ რიგში ძლიერდება სწორედ სამხრეთ-ქართლის სამთავროში („გოგარენ“-ში), რომელიც ერთგვარ ბუფერს წარმოადგენდა იბერიის სამეფოსა და ირანის იმპერიას შორის. სამხრეთ-ქართლი ადრევე მოექცა უახლოეს ვასალურ დამოკიდებულებაში ირანის სამეფო ტახტთან.

ასეთია ის ისტორიული ფონი, რომელზედაც იშლება იაკობ ცურტაველის მოთხრობა. იგი იძლევა ამ ეპოქიდან აღებულ ერთ დრამატულ ეპიზოდს. იგი აგვიჩვენებს ოჯახურ დრამას, რომელიც ამ ისტორიულ გარემოში გაინაცვალა.

იაკობ ცურტაველის მოთხრობა, რომელიც ყოფა-ცხოვრებითი რომანის ხაზებშია გაშლილი, უახლოესად გვაგრძობინებს ეპოქას.



იაკობ ცურტაველის მოთხრობა იწყება იმით, რომ სამხრეთ-ქართლის მთავარი ვარსკენ გაემგზავრება კტეზიფონში ირანის მეფეთა-მეფის კარზე¹. ვარსკენ ირანული ორიენტაციის მომხრედ ითვლებოდა, და ახლობელნი გრძნობდნენ, რომ მისი გაგზავრება ირანში კარგს არას მოასწავებდა.

შუშანიც ღედოფალა, მეუღლე ვარსკენისა, წინასწარ გრძნობს ვარსკენის რენეგატულ განზრახვას და გულსიტკივილით ელის ვარსკენის დაბრუნებას.

ვარსკენი, მისული ირანის მეფეთა-მეფის კარზე, უარყოფს ქრისტიანობას და აღიარებს ირანელთა ნაციონალურ კულტს—მარზანობას. ეს ნიშნავდა არა მარტო სჯულის გამოცვლას, არამედ ამავე დროს ვარსკენის ნაციონალურ რენეგატობასაც მოასწავებდა. ასე შეაფასეს კიდევ ვარსკენის საქციელი იბერიაში. (ასეთი შეფასება მისცა ვარსკენის საქციელს იბერიის ხელისუფლებამ, და იბერიის მეფე ვახტანგ დიდი შემდეგ სიკვდილით დასჯის კიდევ ვარსკენს, როგორც ირანელთა ერთგულ ყმასა და სამშობლოს მოღალატეს).

ირანის სამეფო კარი ვარსკენის მარზანობაზე გადასვლას კმაყოფილებით

¹ ეს მოხდა 466 წელს.

შეხვდება. ვარსკენს პატივს მიაგებენ, შერათავენ ცოლად მეფის ასულს, და დაჯილდოებულს გამოისტუმრებენ თავის სამფლობელოში.

ვარსკენ თავისი ერთგულების დასამტკიცებლად აღუთქვამს მეფეთა-მეფეს ირანულ მანქანობაზე მოაქციოს თავისი პირველი კანონიერი მეუღლე, „ბუნებითი ცოლი“ — დედოფალი შუშანიკი, და გახადოს ისიც თავისი პოლიტიკური ზრახვების თანამოზიარე; ასევე მანქანობაზე მოაქციოს თავისი შვილები.

ვარსკენ, ირანიდან წამოსული, მოუახლოვდება რა თავისი სამფლობელოს საზღვრებს, წინასწარ წარმოგზავნის მონას — დესპანს, რათა აცნობოს სამთავროში მისი მისვლა და რათა შეეგებნენ მას მისი ძენი და ქვეშევრდომნი აზნაურნი.

როდესაც დესპანი წარსდგება შუშანიკ დედოფლის წინაშე და გადასცემს მას ვარსკენის მოკითხვას, დესპანი ჯერ მალავს საქმის ნამდვილ ვითარებას, მაგრამ შემდეგ შუშანიკ გაიგებს დესპანისაგან ვარსკენის განდგომას.

შეფთოებული შუშანიკ მამონე გადაწყვეტს განშორდეს რენეგატს. ახალგაზრდა ქალის ცხოვრება დასრულდა. შუშანიკ აღარ დაუტღის ვარსკენის დაბრუნებას, გამოეთხოვება მწუხარებით შეპყრობილი თავის ოჯახს, ტირილით გამოეთხოვება და დალოცავს შვილებს, დასტოვებს სასახლეს და დასახლდება ერთ მცირე სახლში იმავე დაბაში.

აქედან იწყება დრამატული პერიპეტეებით აღსავსე მოთხრობა შუშანიკის ტრაგიკული ბედის შესახებ.

დაბრუნებული ვარსკენ აღშფოთებულია, რომ დედოფალმა გაბედა ურჩობა, არ გაიზიარა ვარსკენის პოლიტიკური ზრახვები და დაჰგმო მისი რენეგატული განდგომა.

ვარსკენი მიიწვინ ცდილობს დაიცვას დეკორუმი, შეირიგოს და დაბრუნოს სასახლეში დედოფალი შუშანიკი. მაგრამ შუშანიკ უარით უპასუხებს ვარსკენის მოწოდებას. „არა ვეზიარო საქმეთა შენთა“ — იყო შუშანიკის პასუხი.

ამის შემდეგ ვარსკენ წარგზავნის შუშანიკთან თავის ძმას ჯოჯიკს, რომელიც ბავშვობიდანვე თანშეზრდილი მეგობარი იყო შუშანიკისი. ჯოჯიკის, მისი ცოლის და კარის ეპისკოპოსის დაჟინებულ თხოვნით, შუშანიკ ბოლოს გულისტკივილით დათანხმდება სასახლეში დაბრუნებას. შუშანიკ თან წამოიღებს თავის საყვარელ წიგნებს. მაგრამ როდესაც შუშანიკ ვარსკენის რეზიდენციაში მოვა, მას გული არ აძლევს ნებას შევიდეს თავის სადედოფლო სასახლეში და დასახლდება იქვე მცირე სენაქში.

შუშანიკსა და ვარსკენს შუა ხიდი საბოლოოდ ჩატეხილია. ისინი ორ სხვადასხვა მსოფლიოს წარმოადგენენ. მცირეოდენი მიზეზი საკმაოა, რომ განხეთქილებამ მათ შორის კიდევ მეტი სიშწავით იფეთქოს. ამისი საბაბიც მალე გაჩნდება.

რამდენიმე დღის შემდეგ ვარსკენ მოაწყობს პურობას ქართული წესების დარღვევით, ირანული წესის თანახმად. შუშანიკს აიძულებენ დაესწაროს პურობას. პურობის დროს მოხდება სცენა. ვარსკენი, მბობროტებული შუშანიკის შეურიგებლობით, შეურაცხყოფას მიაყენებს შუშანიკს, სცემს დედოფალს,

და გასცემს განკარგულებას, რათა შეიპყრან შუშანიკი და ბორჯილები დაადონ.

როცა ვარსკენი გულისწყრომისაგან მცირედ დაცხრება, მისი ახლობელი პირის — ფინზე სპარსის რჩევით — ვარსკენს გასცემს ახალ ბრძანებას, ახსნან შუშანიკის ბორჯილი, მაგრამ არ გაათავისუფლონ კი, არამედ დატყვევებული ჰყავდეთ ზენაკში და ყველას აეკრძალოს მისი ნახვა.

ვარსკენი შემდეგ სანადაროდ იგემგზავრება. ვარსკენის არყოფნის დროს შუშანიკს ფარულად ინახულებს იაკობ, მწერალი, ის პირი, რომელმაც აღწერა შუშანიკის ეს ბიოგრაფია. იაკობ ახლო მეგობარი იყო შუშანიკისი. იაკობ ნუგუმსა სცემს ჰიკვდილის პირამდე მისულს შუშანიკს.

მას შემდეგაც იაკობ არაერთგზის ახერხებს ფარულად ინახულოს ტყვეობაში მყოფი შუშანიკი და გაამხნევოს იგი.

შუშანიკ ტყვეობაში არის რამდენიმე თვე.

ჩვენ აქ აღარ შევეუდგებით დაწვრილებით მოთხრობას შუშანიკის თავგადასავალისა, რომელიც დრამატული ეპიზოდებით არის საესე. ვარსკენ ამის შემდეგაც არ სტოვებს განზრახვას მოსტეხოს შუშანიკის სიმტკიცე. და როდესაც ვარსკენს საბოლოოდ დარწმუნდება, რომ შუშანიკ არასდროს არ შეურიგდება ვარსკენის რენეგატულ განდგომას და არ გახდება მისი თანამოზიარე, — ვარსკენ მიუსჯის შუშანიკს სამუდამო ტყვეობას და ბრძანებს მოათავსონ შუშანიკი ქალაქს გარეთ ციხეში. ხალხი ტირილით გააცილებს შუშანიკს ციხის კარებამდე.

შუშანიკ ციხეში იმყოფება ექვსი წელი.

მთელ ქართლში გაითქმის შუშანიკის ამბავი. შუშანიკ საყოველთაო სიყვარულს დაიმსახურებს ხალხში. შუშანიკ დედოფლის სახელი ქვეყნის საქმისათვის თავდადებული გმირის შარავანდედით შეიმოსება.

ვარსკენს ხანგრძლივად, ოთხი წლის მანძილზე მოუხდება საქართველოს გარეთ ყოფნა (— ვარსკენი ირანის ხელისუფლების დავალებათა შესასრულებლად იგემგზავრება დარუბანდის ციხე-სიმაგრეში, რომელიც ირანის იმპერატორის სანაპიროზე მდებარეობდა და იცავდა ირანს ჰუნების შემოსევისაგან). ვარსკენის არყოფნის დროს ხალხი ახდილად იწყებს სიარულს შუშანიკთან ციხეში. ქართლის სხვადასხვა კუთხეებიდან — სხვადასხვა წრის ხალხი, „აზნაურნი და უაზნონი“, თავისუფალი და მონა, მოდიან შუშანიკის სანახავად და მისგან რჩევა-დარიგებებს მისაღებად.

ბედისწერამ არ დაიშურა შუშანიკისათვის მრავალგვარი მწუხარება.

ჯერ კიდევ შუშანიკის პირველი ტყვეობის დროს, მის ციხეში ვადაყვანამდე, შუშანიკის ერთი ვაჟი მტკვარში დაიღუპა. შემდეგ ვარსკენმა მახლდებთანავე მოაქცია მისი სხვა შვილები და ამით საბოლოოდ დააშორა დედას. შუშანიკისათვის ეს მფორე სიკვდილი იყო.

ვარსკენმა აცნობა ირანის მეფეთა-მეფეს შვილების მახლდებთანავე მოქცევა და შუშანიკ დედოფლის დატყვევება, რომ შუშანიკ დაისაჯაო იმის გამო, რადგან არ აღიარა ირანის მეფეთა-მეფის სჯული, და შეუდგაო თავისი მამის კვალს, რომელიც ძველად წინააღუდგა მეფეთა-მეფეს და ირანის საწინააღმდე-

გო ამბობენის მოთავე და „ქვეყნისა მახრებელი“ იყო. „ქვეყნის ახრებად“ სთვლიდა ვარსკენ ირანის საწინააღმდეგო მოქმედებას.

შუშანიკ დასწულდა, ვერ გაუძლო ექსი წლის ტყვეობას, შვილების დაშორებას, „დადნა, ვითარცა ავლი“ — ავტორის სიტყვით.

დიდი ღრამატიწმით არის აღბეჭდილი სიკვდილის პირას მყოფ შუშანიკთან უკანასკნელი გამოთხოვების სცენა.

როდესაც ახლობელნი გაიგებენ, რომ შუშანიკ სიკვდილის პირას იმყოფება, მასთან გამოსათხოვებლად მივლენ ჯოჯიკ (ძმა ვარსკენისა) თავისი ოჯახით და ახლობელნი პირნი.

ჯოჯიკ სცევარულით მოიკითხავს თავის სიყრმის მეგობარს, ბავშვობიდანვე თანშეზრდილს შუშანიკს, და ჯოჯიკის კითხვაზე, თუ როგორ არის, მომავლდავი შუშანიკ მშვიდად მიუგებს: „კეთილ (კარგად) ვარ, არამედ ყოველთა წარსავალსა გზასა მეცა წარვალ“.

ჯოჯიკ ხედავს, რომ შუშანიკის აღსასრული მოახლოებულია, რომ შუშანიკ დღესვე აღსრულდება, და ეედრებით მიმართავს შუშანიკს:

„მაკურთხე მე, და ცოლი ჩემი, მხევალი შენი, და შვილნი ჩემნი, და მონამხევალნი ჩემნი, და, თუ რაიმე შეგცოდნეთ ვითარცა კაცთა საწუთროისათა და ქვეყნის მოყვარეთა, მოგვიტყვენ და იწუ მოიხსენებ სიმდაბლეთა ჩვენთა“.

შუშანიკ, ვიდრე აკურთხებდეს, გულისტკივილით წარმოთქვამს: „ჰყავთ წარმდებად (ჰქმენით უწესოდ) საქმე ესე ჩემი, რამეთუ არავეინ იპოვა კაცთაგანი, რომელსამცა აქვნდა წყალობა და ტკივილი ჩემთვის, რომელმანცა შეაჯერა უღმრთოსა მას საწუთროსა მეუღლესა ჩემსა (ვარსკენს)“.

ჯოჯიკ და მისი ცოლი უპასუხებენ, რომ ისინი ბევრს ეცადნენ შუშანიკის ხვედრის შემსუბუქებისათვის ვარსკენის წინაშე, „გარნა არა იყო სმენა, არცა სიტყვა“.

ამის შემდეგ შუშანიკ წარმოთქვამს სიტყვებს, რომლებიც ისმის, როგორც ისტორიის სამსჯავროსადმი მიმართული:

„განვისაჯნეთ მე და ვარსკენ — მუნ, სადა იგი არა არს თვალდება (მოკერძება)..., სადა არა არს რჩევა (გარჩევა) მამაკაცისა და დედაკაცისა, სადა მე და მან სწორი სიტყვა ვთქვათ... მიავოს მას უფალმან, ვითარ მან უყამოდ ნაყოფნი ჩემნი მოისთვლნა, და სანთელი ჩემი დაშრიტა, და ყვავილი ჩემი დააქნო, და შვენიერება სიკეთისა ჩემისა დააბნელა, და დიდება ჩემი დაამდაბლა!“

ამის შემდეგ შუშანიკ აკურთხებს და გამოეთხოვება თავის მანლობლებს. შუშანიკის უკანასკნელი სიტყვებია:

„... ესე ყოველი ცხოვრება, ვითარცა ყვავილი ველთა, წარმავალ არს და დაუდგრომელ, და ვინ სთესა — მოიმკოს, და ვინ განაზნია გლახაკათვის — შეჰკრიბოს, და რომელმან განსწიროს თავი თვისი — მან ჰპოვოს იგი, რომელმან აღიღოს“.

ქართლის მოსახლეობაში ადრევე გავრცელდა ხმა, რომ შუშანიკი სიკვდილის პირას იმყოფება, და ციხეში დაიწყო დენა ხალხმა ქართლის ყოველი კუთხიდან, საზოგადოების ყოველი წრიდან — „ახნაურნი და უახნონი“, თავისუფალნი და მონანი, მამანი და დედანი, რომელნიც, ავტორის სიტყვით, „გულ-

სმოდგინებით მონაწილე ყოფილიყენეს "შრომათა მისთა" (— თანამოაზრენი და თანამოზიარე იყენენ "შუშანიკის ღვაწლისა) და ყველანი მოღვაწე ქალს „სანატრელობით, ვითარცა ახოვანსა მხნესა მიჰვედრიდეს" და „მადლობით წარგზავნიდეს“.

შუშანიკი აღსრულდა და დასაფლავებული იქმნა ხალხის მიერ დატირებული.¹

ამაზე სრულდება იაკობ ცურტაველის მოთხრობა.

აქ არაა აღწერილი ვარსკენის შემდგომი თავგადასავალი, რაც იაკობ ცურტაველის თხზულების გამოქვეყნების შემდეგ მომხდარა.

იბერიის მეფემ ვახტანგ გორგასარმა, როდესაც იგი 483 წელს შეუღდა მზადებას ირანის საწინააღმდეგო ომისათვის, სიკვდილით დასაჯა ვარსკენ, როგორც ირანელთა ერთგული ყმა და რენეგატი. ვარსკენის სიკვდილით დასჯა ეს იყო სიგნალი ომის დაწყებისათვის.

უფრო გვიან, შემდეგ საუკუნეებში, შუშანიკის ნეშტი გადმოსვენებულ იქნა ქვემო-ქართლიდან საქართველოს დედაქალაქ თბილისში და დასაფლავებულ იქნა ქალაქის აკროპოლისში, მეტეხში.

შუშანიკის ბიოგრაფია დაწერილია დიდი რეალისტი მხატვარის მიერ, რთული და არტისტულად შეზომილი ხელოვნებით.

თხზულებაში წარმოდგენილი გმირები — ეს არის არა იკონოგრაფიული ტიპები, არამედ ნამდვილი ცოცხალი ადამიანები. იაკობ ცურტაველის თხზულება თავისუფალია სქემატიზმისაგან, იმ ერთგვარი იკონოგრაფიული განყენებისაგან, რომელიც ახასიათებდა ადრეულ საშუალო საუკუნეთა მხატვრულ ნაწარმოებთ.

ჩვენს წინაშე ცოცხლდება გადასული ეპოქა, ახლობელი ხდება სრულეობით სხვა საზოგადოების ხალხი, გასაგები ხდება სრულეობით სხვა ისტორიული წრისა და იდეური სამყაროს ადამიანთა სულისკვეთება.

განსაკუთრებით ცოცხლად არის დახატული მოთხრობის მთავარი გმირი შუშანიკი. ახალგაზრდა ქალი, რომელსაც დიდი ტვირთის აღება უხდება, ღირსეულად ხვდება თავის ხვედრს. მაგრამ ეს არის არა გმირი, განყენებულ ასპექტში აღებული, არამედ ნამდვილი ადამიანი, ყოველდღიურ ყოფაცხოვრების გარემოში წარმოდგენილი. დიდი სიმართლით არის დახატული ამ ქალის სახე, დიდი ფსიქოლოგიური სინამდვილით არის გადმოცემული ყოველი მისი მოქმედება, სიტყვა. ჩვენ ნათლად ვხედავთ ქალს, გმირული სიმშვიდით აღსაჯეს, მაგრამ მწუხარებისაგან დამძიმებულს; შეუღრეკელს, ზოგჯერ გაკერპებულსაც (— მოიგონეთ პურობის სცენა), ზოგჯერ დედობრივი შურენვე-

¹ შუშანიკი გარდაიცვალა 474 წელს.

ლობითა და სინაზით აღსავსეს, მაგრამ რომლის სინაზეს თან ახლავს გმირის ერთგვარი პირქუსობა. დაუვიწყარი, მკვეთრად გამოკვეთილი სახეა.

ასევე ცოცხლად არის დახატული ვარსკენ, „უბადრუქი და სამგზის საწყალობელი“, ასევე ჭოჭიკ და მოთხრობის სხვა პერსონაჟები.

ზოგჯერ ესა თუ ის სახე ერთ-ორი ხაზმოსმით არის გაცოცხლებული, როგორც, მაგალითად, ციხის მცველი, ანდა, მაგალითად, სპარსი, რომელიც მოგზავნილია ვარსკენის მიერ შუშანიკის ზრახვათა გასაგებად, ხოლო შემდეგ — როგორც გვაგრძნობინებს ავტორი — შუშანიკის ღირსეული დახვედრის შთაბეჭდილების ქვეშ — იცვლება და ცდილობს მოაღბოს ვარსკენ სიტყვებით: „ნუ რას ფიცხელსა ეტყვი მას (შუშანიკს), რამეთუ დედათა ბუნებაჲ იწრო არს!“

მოთხრობაში, მოქმედ გმირებთან ერთად, მოცემულია თვით მწერლის ავტობიოგრაფიკი. ეს იშვიათი მოვლენაა საშუალო საუკუნეთა აპერსონალურ, არაინდივიდუალისტურ ლიტერატურაში. ავტობიოგრაფი დახატულია დიდი ღირსებით და თავდაპირით. ავტორი თავის თავს შორეულ პლანზე აყენებს, მაგრამ ჩვენ ცოცხლად წარმოგვიდგება დარბაისელი ბრძენი მწერალი, ნათელი ხედვით, ადამიანთა დიდი ცოდნით, საჭიროების დროს — გაბედული და თავგანწირული. განსაკუთრებული სისათუთით და კდემამოსილებით არის გადმოცემული ავტორის მოკრძალებული მეგობრობა შუშანიკთან.

თხზულებაში არ არის ფერების სიჭარბე, რაც ახასიათებდა საშუალო საუკუნეთა ხელოვნებას მისი განვითარების დაბალ საფეხურზე. პირიქით, აქ ჩვენ გვაქვს არტისტულად შეზომილი ხელოვნება, ფერების დიდი ეკონომია. უმაღლესი დრამატული ეპიზოდები გადმოცემულია რამდენსამე მკვეთრ ხაზებში. ასე, მაგალითად, ის ღრმა მწუხარება, რომელიც განიცადა შუშანიკმა, როდესაც გაიგო, რომ მისი შვილები მაზდენობაზე მოაქციეს და სამუდამოდ დააშორეს დედას, ავტორს გადმოცემული აქვს ერთ აბზაცში. აღწერა ამ ეპიზოდისა სრულდება სიტყვებით: „და მივედ, და ვიხილე შუშანიკ, დამშრალი და დაბუშებული ტირილითა...“ ავტორი ამაზე წყვეტს სიტყვას. თქვენ ხედავთ დედას, მწუხარებით თავდახრილს და დადუმებულს.

მოთხრობაში მოცემულია ყოფაცხოვრებითი სურათები. სცენების აღწერაში მოჩანს მხატვრის მახვილი თვალი.

მოთხრობა ზოგჯერ იუმორითაც არის შეზავებული (— იშვიათი ზაზი ამ ეპოქის თხზულებებში). მოვიგონოთ ოდნავი კომიზმით აღბეჭდილი სცენა, როდესაც დიაკონი, დაინახავს რა შუშანიკს, რომელიც ციხეში გადაპყავთ, უნდა გაამხნევოს შუშანიკ, და უთხრას: „მტკიცედ დეგ!“ მაგრამ ამ დროს დიაკონს თვალს შეასწრებს იქვე მდგომი ვარსკენ, დიაკონი შეკრთება, მოახერხებს მხოლოდ თქვას: „მტკი...“ და შეშინებული სწრაფად გაიქცევა.

სევდიანი იუმორით არის შეზავებული შუშანიკის პასუხი ვარსკენისადმი, როდესაც ვარსკენ ემუქრება შუშანიკს საქართველოდან გაძევებას.

მოთხრობის პასაჟები ნამდვილი არტისტული სრულყოფით, ფსიქოლოგიური სიმართლითა და სიმახვილით არის აღბეჭდილი. დიდი მხატვრის უცთომელი ხელოვნებით არის, მაგალითად, აღწერილი სცენა, როდესაც შუშანიკს დაითანხმებენ სასახლეში დაბრუნებაზე, იაკობის შეხვედრანი შუშანიკთან ციხე-

ში, უკანასკნელი გამოთხოვების სცენა და სხვ. ცოცხლად არის გადმოცემული მასიური სცენები, ასე — შუშანიკის ციხეში გადაყვანის სცენა და ხალხის „ამბოხი“. ამასთან ავტორი ნამდვილი ოსტატია დიალოგისა.

დასასრულ, არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ ისიც, რომ იაკობ ცურტაველის თხზულებაში ჩვენ გვაქვს ბუნების აღწერა, რაც იშვიათი მოვლენაა საშუალო-საუკუნეთა მწერლობაში. ნამდვილი რეალისტი მხატვარის ხელით — მკვეთრი სახეებით, კოლორიტულად წარმოგვიდგენს ავტორი ბუნებას ცურტავეის მხარისა, რომელიც უღაბნოს სანაპიროზე მდებარეობდა:

„უამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწველი იგი მხურვალეზა მზისაჲ, ქარნი ხორშაკნი, და წყალნი ბეწებელნი, რომლისა მკვიდრნი მის ადგილისანი სავსენი სენითა, წყლითა განსივებულნი და განყვითლებულნი, დაწერტილნი და დამქცნარნი და დამოიერებულნი, ჩარადოვანნი, პირ-მსივანნი და დღე-მოკლედ ცხოვრებულნი. და მოხუცებულნი არავენ არს მათ ქვეყანათა...“

იაკობ ცურტაველის თხზულებას ყოველსავე ამასთან ერთად წარუვალ მნიშვნელობას ანიჭებს ქართულ ლიტერატურაში მისი ენა, ბრწყინვალე და ამავე დროს უაღრესად ხალხური, დაწმენდილი წყაროს თვალცივით, იმდენად ნათელი და გამკვირვალე, რომ 15 საუკუნის შემდეგაც მისი უწვლილესი ნიუანსური მოქცევები საგრძნობია თანამედროვე მკითხველისათვის. აქ ჩვენ გვაქვს ნათელი, დაუტვირთავი სტილი, უცთომელის მხატვრული ტაქტიკა და ზომიერებით აღბეჭდილი.

ყოველივე ამით აიხსნება, რომ ამ ნაწარმოებმა გაუძლო 15 საუკუნის გამოცდას, და მიუხედავად იმისა, რომ აქ დახატულია სულ სხვა საზოგადოება, გადმოცემულია ჩვენთვის უცხო ისტორიული გარემო და იდეური სამყარო, ეს ნაწარმოები დღემდე ჩიება ქართული სიტყვიერების კლასიკურ შემკვიდრებაში, როგორც ქართული მხატვრული პროზის ერთ-ერთი ბრწყინვალე ძეგლი.



ვინ იყო ეს პირველი ცნობილი დიდი ქართველი მწერალი? ცნობები მის შესახებ ცოტა შენახულა.

მწერალს, როგორც ეს ჩანს თვით მისი თხზულების ტექსტიდან, ერქვა იაკობ. მას ვეძახით ცურტაველს, რადგან მისი მოღვაწეობის ადგილი იყო სამხრეთ-ქართლის დედაქალაქი ცურტავეი. ხოლო წარმოშობით იგი, ჩანს, არ იყო სამხრეთ-ქართლიდან, არამედ ჩრდილო-ქართლიდან, საკუთრივ იბერიის სამეფოდან. იაკობ აგვიწერს სამხრეთ-ქართლის ბუნებას, როგორც უცხო, არა-სამშობლო ქვეყნისას.

466 წელს, და ამის შემდეგაც მომდევნო წლებში, 466—474 წლების მანძილზე, იაკობ სამხრეთ-ქართლში ყოფილა, სამხრეთ-ქართლის მთავარის (პიტიახშის) კარზე.

ბიოგრაფია შუშანიკისა იაკობს დაუწერია შუშანიკის გარდაცვალების შემდეგვე, 474 წლის ახლო (ყოველ შემთხვევაში 483 წლის უწინარეს, უფრო ადრე, ვიდრე ვახტანგ გორგასარი სიკვდილით დასჯიდა ვარსქენს).

იაკობ ცოცხალი ყოფილა 506 წელსაც. იგი დასწრებია კავკასიის ხალხთა — ქართველთა, სომეხთა და ალვანთა შეერთებულ ანტიქალკედონურ კრებას და ხელი მოუწერია მის აქტებზე. ამ კრების შესახებ, რომელიც 506 წელს შედგა, ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი.

ჭერ კიდევ მე-5 საუკუნის სამოციან წლებში იაკობ, ჩანს, უკვე ლიტერატორი ყოფილა. როდესაც 467 წელს მის თვალწინ დაიწყო ეს ტრაგიკული ამბავი, პირველად მოხდა შუშანიკის და ვარსქენის განხეთქილება, იაკობს, შუშანიკის გმირობის მხილველს, შაშინვე განუზრახავს შუშანიკის ცხოვრების აღწერა (იხ. შუშანიკის ბიოგრაფია, თავი II).

მას შემდეგ, 40 წლის მანძილზე, იაკობს, საფიქრებელია, სხვა თხზულებებიც უწერია, მაგრამ ჩვენ დრომდე არ მოღწეულა.

რომ იაკობის ლიტერატურული მეგვიდრეობა არაა მთლიანად შენახული, ეს ჩანს თვით შუშანიკის ბიოგრაფიიდან. შუშანიკის ბიოგრაფია, ჩვენს დრომდე მოღწეული, არის მხოლოდ ნაწილი უფრო ვრცელი თხზულებისა. იგი იწყება ex abrupto სიტყვებით: „და აწ დამტყიცებულად მიგიბრუნა თქვენ აღსასრული შუშანიკისი“, და იქვე, რამდენიმე სტრიქონის ქვემოთ არის შითხება ამ უფრო ვრცელი მოცულობის თხზულების წინა ნაწილზე, რომელიც აღარ შენახულა.

•

აქ საჭიროა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ იაკობ ცურტაველის თხზულებას, „ბიოგრაფია შუშანიკისი“, დიდი გამოძახილი ჰქონდა არა მარტო ქართულ ლიტერატურაში, არამედ მოძმე სომხურ მწერლობაშიც. იაკობ ცურტაველის თხზულება ადრევე უთარგმნიათ ქართულიდან სომხურ ენაზე. იაკობ ცურტაველის თხზულების ქართული ტექსტიდან არის დამოკიდებული სომხურს ენაზე მოღწეული შუშანიკის „მეტაფრასი“ (გადაკეთებული ბიოგრაფია) და აგრეთვე შუშანიკის ცხოვრების მოკლე მოსახსენებელი. იაკობ ცურტაველის თხზულების გამოძახილი ჩვენ გვაქვს აგრეთვე მე-10 საუკუნის საომეხთა ისტორიკოსის უხთანესის თხზულებაში და შემდეგდროინდელს სომხურ სტინაქსარებში.

ქართულს ლიტერატურაში იაკობის თხზულება ითვლებოდა საშუალო საუკუნეებში მისაბამ მაგალითად და მისი გავლენის კვალს ჩვენ ეპოქაობით მომდევნო ხანის ამავე ენარის ქართულ ბიოგრაფიულ ლიტერატურაში. იაკობ ცურტაველის თხზულების გამოძახილი ჩვენ გვაქვს აგრეთვე ძველ-ქართულ ისტორიულ მწერლობაშიც, „მოქცევაჲს“ მატიანეში, ჯუანშერის ქრონიკაში, ასევე ძველ ქართულ ჰიმნოგრაფიულ ლიტერატურაში. იაკობის თხზულებას არ დაუკარგავს პოპულარობა ძველი ქართული მწერლობის უკანასკნელ პერიოდამდე. მე-18 საუკუნეში ანტონ I თავის „მარტირიკაში“ და მე-19 საუკუნის დასაწყისში იოანე ბაგრატიონი თავის „კალმასობაში“ იაკობის თხზულების მიხედვით აგვიწერენ შუშანიკის თავგადასავალს.

ვამთავრებთ რა მე-4—7 საუკუნეთა ბიოგრაფიული ისტორიულ-მხატვრული ჟანრის ლიტერატურულ ძეგლთა მიმოხილვას, საქიროა აღვნიშნოთ ამ ძეგლთა პოლიტიკური მიზანდასახულობა. წარმოდგენილი მიმოხილვიდან ცხადია, რომ ისეთი ნაწარმოებნი—როგორცაა ბიოგრაფია შუშანიკისი, ბიოგრაფია ევსტათი მცხეთელისა, ან ბიოგრაფიები აბიბოს ნეკრესელისა და რაჟდენისი, რომლებიც გარკვეულ ანტიირანულ პოლიტიკურ ტენდენციას ატარებდნენ, და ეს სწორედ იმ ხანაში, როდესაც ირანი შემოტევას აწარმოებდა საქართველოზე — ასეთი ლიტერატურული ნაწარმოებნი დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტორს წარმოადგენდნენ. ასევე მომდევნო ხანაშიაც, არაბთა მფლობელობის დროს, ანტიარაბულ ტენდენციას ატარებდნენ, ანტიარაბულ განწყობილებას აღვიძებდნენ — ისეთი თხზულებანი, როგორცაა ბიოგრაფიები აბო ტფილელისა, კონსტანტი კახისა, გობრონისი. ძველ ქართულ ბიოგრაფიულ ისტორიულ-მხატვრულ ლიტერატურაში გვირებდა არიან წარმოდგენილნი საქართველოს პოლიტიკურ-საზოგადოებრივი იდეალების დამცველნი მოღვაწენი, რომელნიც ქედს არ იხრიან უცხოელ მოძალადეთა წინაშე, იღვწიან ამა თუ იმ სახით, ამა თუ იმ ასპარეზზე, ქართული საქმისათვის, ემსახურებიან იმ იდეებს, რომლებიც გარკვეულ ეპოქაში ქართველი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნებას უწყობდა ხელს. ამ ლიტერატურას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის ეროვნული შეგნების განმტკიცებაში, ეროვნული ენერჯის მობილიზაციაში, ქართველი ხალხის პოლიტიკური ორიენტაციის სწორად წარმართვაში.

ამაში მდგომარეობდა ძველი ქართული ბიოგრაფიული ისტორიულ-მხატვრული ლიტერატურის პოლიტიკური მნიშვნელობა, მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური დიდი როლი.

თავი მეოთხე

საერო მხატვრული მწერლობა

ქართული მწერლობის სპეციფიკური დარგის — ბიოგრაფიული ლიტერატურის განხილვის შემდეგ გადავდივართ ქართული მხატვრული მწერლობის ძირითად დარგთა განხილვაზე.

ქართული მწერლობის იმ პერიოდში, რომელიც აქ ჩვენი მიმოხილვის საგანს შეადგენს, მე-4—7 საუკუნეთა მანძილზე, ქართულ ენაზე არსებულა საერო მხატვრული ლიტერატურა.

თუ ბიოგრაფიული ჟანრის მწერლობა თავისი ტრადიციებით უშუალოდ უკავშირდება საკუთრივ ქრისტიანულ მწერლობას, აქ არის მისი სათავეები და აქედან ვითარდება იგი. ქართული საერო მხატვრული •

მწერლობა — თავისი სათავეებით — როგორც ჩანს, დაკავშირებული იყო „წარმართული“ ხანის ქართული მწერლობისა და ზეპირისტყვეიერების ტრადიციებთან.

ამის მაჩვენებელია, ჯერ ერთი, ის გარემოება, რომ ქართული მწერლობის იმ ძეგლებში, რომლებიც ქრისტიანობის ხანაში შეიქმნა, ჩვენ გვაქვს გადაწმითი „წარმართული“ ხანის საგმირო და მითოლოგიური ეპოსისა, რომელსაც, როგორც გამოირკვა, ძველი ქართველი მგოსნები — რაფსოდები მოუთხრობდნენ. ასეთ გადაწმითს წარმოადგენს კერძოდ ვარათრავანის (ვახტანგის) ეპოსი, რომლის შესახებაც უკვე გვქონდა საუბარი. ასეთი გადაწმითები ჩვენ გვაქვს აგრეთვე ლეონტი მროველის თხზულებაში, რომელსაც ქვემოთ ვეხებით.

რომ ქართული საერო მხატვრული ლიტერატურა ამ ეპოქისა განაგრძობდა ტრადიციებს წინაქრისტიანული „წარმართული“ ხანის მწერლობისა, ამის მაჩვენებელია აგრეთვე ის უაღრესად საგულისხმო გარემოება, რომ ამ ეპოქაში, ადრეულ ქრისტიანულ ხანაში, როდესაც მეზობელი ქრისტიანული ეკლესია ექვემდებარებდა და სდევნიდა ყოველსავე „არაქრისტიანულს“, ხოლო განსაკუთრებით გამძაფრებით ებრძოდა პირველ რიგში ირანულ მანდიანობას, როგორც ქრისტიანობის ყველაზე სამიშ მეტოქეს საქართველოში, აი ამ დროს ჩვენ გვაქვს ფაქტები ქართული ლიტერატურის ურთიერთობისა ირანულ „არაქრისტიანულ“ ფაქლურ ლიტერატურასთან.

ამ ეპოქის ქართული მწერლობისათვის არ ყოფილა აგრეთვე უცხო ანტიკური ელინური ლიტერატურის ტრადიციებიც.

აქ ჩვენ პირველ რიგში ამ მნიშვნელოვან ფაქტზე, ქართულ-ფაქლური და აგრეთვე ქართულ-ელინური ლიტერატურული ურთიერთობის საკითხებზე შევიჩერდებით.

ა.

ირანული მარსი „უფალთა წიგნი“

(ხვატად-ნამაკი)

ჩვენ უკვე მოხსენებული გვქონდა, რომ საშუალო ირანული, ეგრეთწოდებული ფაქლური ლიტერატურა დიდი დიაპაზონის მწერლობას წარმოადგენდა და აქ ბრწყინვალე განვითარება მიიღო კერძოდ საერო მხატვრული ლიტერატურის დარგში. ოქროს ხანა ფაქლური საერო მხატვრული მწერლობისა ეს არის მერ-საუკუნე და მე-7 საუკუნის პირველი ნახევარი.

მთავარი ძეგლი ფაქლური მხატვრული მწერლობისა იყო „უფალთა წიგნი“ (ხვატად-ნამაკი), — ირანის მითოლოგიური, საგმირო და საისტორიო ეპოსის დიდი კრებული, რომელშიაც გაერთიანებული იყო ირანის ნაციონალური თქმულებანი. „უფალთა წიგნი“, როგორც ცნობილია, არის პროტოტიპი დიდი ფირდოუსის „შაჰ-ნამე“-ში. (ფირდოუსის „შაჰ-ნამე“ წარმოადგენს ფაქლური ეპოქიდან მომდინარე „უფალთა წიგნის“ ახალ რედაქციას, „უფალ-

თა წიგნის“ გადამუშავებას ლექსად ახალ-სპარსულ ენაზე, ცვლილებებით და დამატებებით).

ფაქტობრივი მწერლობის ეს განთქმული კრებული „ხვატამ-ნამაკი“ შედგენილ იქნა თავდაპირველად მე-6 საუკუნის ნახევარში, ირანის მეფის ხოსრო-ანუშირვანის დროს (531—579 წ.). კრებულში შევიდა ძველი ირანული რაფ-სოდებისა და ეპიურ-ისტორიულ ამბავთა მთქმელების მიერ შემონახული ირანის ნაციონალური თქმულებანი, დაწყებული მითიური ხანიდან ვიდრე ხოსრო-ანუშირვანის დრომდე.

კრებული „ხვატამ-ნამაკი“ (ისევე: როგორც ფირდოუსის „შაჰ-ნამე“) სამ ძირითად ციკლად იყოფოდა: პირველი ციკლი — მითიური ეპოსი; მეორე ციკლი — საგმირო ეპოსი (— ფირდონიდან — ვაჰამანამდე); მესამე ციკლი — ისტორიულ-ეპიური თხრობა (— ალექსანდრე მაკედონელის ეპოქიდან დაწყებული).

ხოსრო-ანუშირვანის შემდეგ კრებული შევსებულ იქნა სასანიანთა უკანასკნელი მეფის იეზდიგერდის დროს, მე-7 საუკუნის პირველ ნახევარში.



ქართულ ენაზე, მე-6 — 7 საუკუნეთა მანძილზე ფაქტობრივი ენიდან გადმოღულიათ ძირითადი, მხატვრულის მხრით ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი „ხვატამ-ნამაკის“ კრებულისა, სახელდობრ მეორე ციკლი, საკუთრივ საგმირო ეპოსი (ციკლი ფირდონიდან — ვაჰამანამდე)¹:

«უფალთა წიგნის»-ს ამ ძველ-ქართულ ვერსიას ქართულად ჩემევი. ცეხორება სპარსთა».

აღსანიშნავია, რომ „ცხოვრება სპარსთა“-ის ქართული ტექსტი, როგორც ირკვევა, შეიცავდა არა მხოლოდ პროზაულ მოთხრობას, როგორც ეს ფაქტობრივი დედანში იყო, არამედ აქ ჩართული ყოფილა ლექსად გაწყობილი ადგილები. „ცხოვრება სპარსთა“-ის ექსცერპტებში, რომლებიც დაუცავს ძველ-ქართულ ავტორს ლეონტი მროველს, შერჩენილა ტექსტი, დაწერილი რითმიანი ლექსით—„დაბალი შაირის“ მეტრით. აქ მე-7—8 საუკუნის ამ ნაწყვეტში უკვე მოცემულია უმეტესაგვარად იგივე სალექსო ფორმა „დაბალი შაირისა“, რაც ბევრად უფრო გვიან, მე-12—13 საუკუნეთა საზღვარზე გამოიყენა შოთა რუსთაველმა.

მოგვყავს აქ, როგორც ერთ-ერთი უძველესი ნიმუში ქართული ლექსისა, ციტატი „ცხოვრება სპარსთა“-დან, რომელიც ეხება ირანული ეპოსის გმირს აფრიდონს, და რომლის შესახებ ეპოსში ნათქვამია:

„რომელმან შეპკრა ჭაქვითა ბევრახვ გუილთა უფალი,
და „დაბა მთახა რახ ზელა, რომელ არს კაცო-შეუალი“².

¹ რომ ტექსტი უშუალოდ ფაქტობრივი იყო გადმოღებული, ამას ადასტურებს ონომასტიკონი.

² რა აა ს მთა ეწოდება მთას, რომელზედაც, ეპოსის თანახმად, მიჰაქველ იქნა ბერასფი.

ამ ციტატას ლექსით, ამოღებულს „ცხოვრება სპარსთა“-ის ძველ-ქართული ვერსიიდან ლეონტი მროველი ურთავს შენიშვნას: „ესევეითარი წერილ არს ცხოვრებასა სპარსთასა“.

„უფალთა წიგნი“-ს ეს ძველი ქართული ვერსია „ცხოვრება სპარსთა“ დიდი პოპულარობით სარგებლობდა ძველ-ქართულ მწერლობაში და იგი გავრცელებულ საკითხავ წიგნად დარჩენილა თვით მე-12 საუკუნემდე.

ქართველი მწერალი ლეონტი მროველი (8 ს.) სარგებლობს „უფალთა წიგნი“-ს ამ ძველ ქართული ვერსიით თავისი ისტორიულ-ეპიური თხზულების ერთი კარის დამუშავების დროს.

ქართველი პოეტი შავთელი, ავტორი „აბდულ-მესიანისა“ (მე-12 საუკუნის 20-იანი წლები), რომლის პოემაშიაც გვაქვს ირანული ეპოსის გამომძახილი, აგრეთვე იცნობს ირანულ ეპოსს არა ფირდოუსის „შაჰ-ნამედან“, არამედ იმავე „უფალთა წიგნი“-ს ძველი ქართული ვერსიიდან¹.

მხოლოდ უფრო გვიან, მე-12 საუკუნეში, 1125 წლის შემდეგ (1125—1196 წლებს შორის) ქართულად ითარგმნება ფირდოუსის „შაჰ-ნამე“ და იგი იჭერს „უფალთა წიგნი“-ს ძველი ქართული ვერსიის ადგილს.



დასასრულ დაგვრჩენია აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ ქართული მწერლობის ამ არქაულ ეპოქაში ქართულად გადმოიწილიათ არა მხოლოდ „უფალთა წიგნის“ მეორე ძირითადი ციკლი — საგმირო ეპოსი (თქმულებანი ფირდონიდან — ვაჰშანამდე), არამედ აგრეთვე ზოგიერთი ნაწილი „უფალთა წიგნის“ მესამე ციკლისაც, ე. ი. ისტორიული თხრობისა. ასე, თხრობა ურმიზდისა და ვაჰრამ-ჩუბინის შესახებ, რომლის ექსცერპტი დაცულია ჭუანშერის ძველ-ქართულ მატიანეში.

ეს უკანასკნელი ნაწყვეტი გადმოღებულია „უფალთა წიგნის“ იმ ნაწილიდან, რომელიც დამუშავებულ იქნა სასანიანთა უკანასკნელი მეფის იეზდიგერდის დროს, მე-7 საუკუნის პირველ ნახევარში.

ბ.

ალექსანდრიანი

ქართული ლიტერატურისათვის ამ ეპოქაში, როგორც აღვნიშნეთ, არ ყოფილა აგრეთვე უცხო ანტიკური ელინური ლიტერატურის ტრადიციები.

ამისი მაჩვენებელია ის გარემოება, რომ ამ ეპოქაში ქართულ ენაზე უთარგმნიათ ცნობილი ანტიკური რომანი ალექსანდრე მაკედონელის შესახებ „ალექსანდრიანი“, კალისტენის (არისტოტელის ძმისწულის) სახელით წარწერილი.

ამ რომანს გავლენა მოუხდენია უძველეს ქართულ საისტორიო თხზულებებზე, რომლებიც მოგვითხრობენ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის შესახებ კავკასიაში.

¹ გმირი უორუთ, მოხსენებული შავთელის პოემაში, უცნობია ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ ტექსტით.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ თუმცა ქართულ ენაზე ამ ხანაში ჯერ კიდევ არ მოიპოვებოდა ჰომეროსის ეპოსიდან მომდინარე ტექსტები (— ცნობა ჰომეროსის ეპოსის ქართული ვერსიის შესახებ უფრო გვიან დროიდან მოღწეულა, რის შესახებაც ქვემოთ გვაქვს საუბარი—), მაგრამ ინტერესი ჰომეროსის პოემებისადმი ქართულ მწერლობაში, როგორც ირკვევა, უძველესი დროიდანვე არსებულა.

მე-6—7 საუკუნის ქართულ თარგმნილ ტექსტში — ბიოგრაფია პროკოპისი — ჩვენ გვხვდება ციტატი ჰომეროსიდან, რომელიც მე-6—7 საუკუნის ქართველ მწერალს ლექსად გადმოუღია (ეგრეთწოდებული „ბისტიკაური“ საზომით).

ინტერესს ჰომეროსისადმი ძველ-ქართულ მწერლობაში ადასტურებს ძველი ქართული „სასწავლო წიგნი“, რომელიც შედგენილია ქართულად ბერძნული მასალების საფუძველზე (ძირითადად ეპიფანე კვიპრელის ტექსტის მიხედვით) მე-8 საუკუნის დასაწყისში (716—717 წლის ახლო). ქართველ ავტორს საკვიროდ დაუნახავს შეეტანა ამ „სასწავლო წიგნი“ უწყება ჰომეროსის ილიადისა და ოდისეის შესახებაც. ეს უწყება ჰომეროსზე ამოღებულია დიონისი თრაკიელის ცნობილი თხზულებიდან $\tau\acute{\epsilon}\chi\upsilon\ \nu\alpha\rho\alpha\mu\alpha\tau\iota\kappa\acute{\iota}$.

ქართული მხატვრული მწერლობა ამ ეპოქისა, გარდა იმისა რომ იგი ახლო ურთიერთობაში იყო ამ ეპოქის ირანულ (ფაჰლავურ) მწერლობასთან, და რომლისთვისაც არც ანტიკური ელინური მწერლობის ტრადიციები ყოფილა უცხო, ამავე დროს — როგორც ეს მოსალოდნელი იყო — ურთიერთობაში ყოფილა ახლო აღმოსავლეთის მეზობელი ხალხების — სირიელებისა და სომხების მწერლობასთანაც. ამისი მაჩვენებელია ი უ ლ ი ა ნ ე ს რ ო მ ა ნ ი ს შესახებ ცნობები, ასევე ფ ი ზ ი ო ლ ო გ ო ს ი ს ძველ-ქართული ვერსია.

3.

იულიანეს რომანი

იულიანეს რომანის სახელწოდებით ცნობილია ისტორიული რომანი რომის იმპერატორთა ი უ ლ ი ა ნ ე გ ა ნ დ გ ო მ ი ლ ი ს ა და ი ო ბ ი ა ნ ე ს (ივბიმიანოსის) შესახებ.

ეს რომანი პირვანდელი სახით უფრო ვრცელი მოცულობის ყოფილა, მის პირველ ნაწილში საუბარი ყოფილა კონსტანტინე დიდისა და მისი შვილების შესახებ, მაგრამ რომანის ეს პირველი კარები არ მოღწეულა და გადარჩენილი ნაწილი იულიანე განდგომილსა და იობიანეს ეხება. რომანი ისახავს მიზნად წარმართი იმპერატორის იულიანე განდგომილისათვის შარავანდელის მოხსნას, და მისი ბემკვიდრის ქრისტიანი იმპერატორის იობიანეს პიროვნების გასაღებებას.

იულიანეს რომანი თავდაპირველად ბერძნულ ენაზე ყოფილა შედგენილი. მე-6 საუკუნის დასაწყისში (502—532 წელს შორის) იგი გადაუქეთებია და გადაუმუშავებია სირიულ ენაზე უცნობ ავტორს. რომანი, სირიული ვერსიის სახით მოღწეული, ინტერესს წარმოადგენს ლიტერატურული მხრით, მხატვ-

რულად არის დამუშავებული, და იძლევა ანტიკური ეპოქის დასასრულისა და ადრეული საშუალო საუკუნეების ყოფა-ცხოვრების სურათებს.

იულიანეს რომანის სირიული ვერსია, როგორც ირკვევა, ქართულად უთარგმნიათ ადრეულ საშუალო საუკუნეებში და იგი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ძველ-ქართულ ლიტერატურაში.

ასე, ამ რომანით ფართოდ სარგებლობს უჯარმოელი, ავტორი „ვახტანგ გორგასანის ჰამზავისა“ (მე-9 საუკუნე), და აგრეთვე თამარ მეფის ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოდვარი (მე-13 საუკ. პირველი მეოთხედი). რომანს პოპულარობა არ დაუკარგავს თვით გვიან ხანამდე, მე-17 — 18 საუკუნემდე. ასე, მე-17—18 საუკუნის ქართველი პოეტი ა რ ჩ ი ლ ი (1647—1713 წ.) თავის ერთ პოემაში ემყარება იულიანეს ამ ძველ რომანს და მისი მიხედვით აგვიწერს იულიანე განდგომილისა და იობიანეს (იებიმიანოსის) თავდადასავალს.

დ.

დიდაქტიკური მარსია

დიდაქტიკური ეპოსის ძეგლი, რომელიც მსოფლიო ლიტერატურაში „ფიზიოლოგოსის“ სახელით არის ცნობილი, და რომლის ძველ-ქართულ ვერსიას ეწოდება „სახისა სიტყუაჲ მხეცთათჳს“, შეიცავს ელემენტებს ცხოველთა ეპოსიდან. აქ აღწერილია სხვადასხვა ცხოველთა ზენენი, აგრეთვე ნაწილობრივ მცენარეთა და ქვათა თვისებანი.

ქართული ვერსია ფიზიოლოგოსისა 34 თავისაგან შედგება. აქ წარმოდგენილია მოთხრობა როგორც რეალურ ცხოველებზე (—ლომი, ვარხვი, ბუ, ორბი, კანჯარი, გველი, ჭინჭველი, მარტორქა და სხვ.), ისე მითიურ არსებათა შესახებაც (ზღვის-ქალნი, ე. ი. სირინოზნი, ვირკურონი, ფენიქსი). თითოეული მოთხრობა ამა თუ იმ ცხოველის, მცენარისა და ქვის თვისების შესახებ სრულდება დიდაქტიკური ხასიათის სწავლით.

ფიზიოლოგოსის ლიტერატურული ისტორია შემდეგია.

ფიზიოლოგოსი თავდაპირველად ბერძნულად ჩამოყალიბდა გვიან ანტიკურ ხანაში. ბერძნულიდან ეს ძეგლი უთარგმნიათ ან გადმოუყეტებიათ მთელ რიგ ენებზე. კერძოდ იგი უთარგმნიათ სომხურად მე-5—7 საუკ. ფარგლებში.

ქართული ვერსია ფიზიოლოგოსისა, როგორც ირკვევა ტექსტის ფილოლოგიური ანალიზიდან, — დამოკიდებულია სომხური ვერსიიდან.

ქართული ვერსია დროის მიხედვითაც ბევრით არაა დაშორებული სომხურს. ქართული ვერსია ფიზიოლოგოსისა წარმოშობილა იმავე მე-5—7 საუკუნეთა ფარგლებში (რაც დასტურდება იმის მიხედვით, რომ აქ იხმარება ამ ეპოქაში მიღებული ძველ-ქართული წარმართული საკალენდარო ტერმინოლოგია).

„ფიზიოლოგოსი“ — არსებულის სახით სასულიერო-ქრისტიანული მწერლობის დარგს ეკუთვნის, და არა საერო მხატვრულ მწერლობას. ჩვენ აქ შევჩერდით მასზე იმდენად, რამდენადაც ცხოველთა ეპოსის ელემენტები მას ერთგვარად აკავშირებს საერო მხატვრული მწერლობის ტრადიციასთან. ხოლო დიდაქტიკური სწავლა, რომელიც თან ახლავს ფიზიოლოგოსის ყოველ ცალკე მოთხრობას. ამ თხზულებას სასულიერო-ქრისტიანული მწერლობის ნაწარმოებად ხდის.

მე-4—7 საუკუნეებში ქართულ ენაზე განვითარება მიუღია პოეზიის დარგს, რაც დასტურდება საღმრთო მებრძობის არსებობით ამ ხანაში.

მე-4—7 საუკუნეთა ძეგლებში ჩვენ შემდეგი საში საღმრთო ზომა გვხვდება:

1. **„დაბალი შაირი“** — თექვსმეტმარცვლოვანი ლექსი, ქართული ეპოსის კლასიკური მებრძობი. როგორც მოხსენებული გვქონდა, „უფალთა წიგნის“ ძველი ქართული ვერსიის ერთ ფრაგმენტში ჩვენ გვხვდება ტექსტი, დაწერილი რითმიანი ლექსით, „დაბალი შაირის“ მებრძობით.

2. **„ბისტიაური“** — ოცმარცვლოვანი ლექსი (ოთხ-მუხლი ხუთეული). ამ მებრძობით უსრულდება ციკლი პომეროსიდან პროკოპის მარტილობის ძველ-ქართულ ვერსიაში (მე-6 — 7 საუკ.).

3. **„იამბიკონი“** — თორმეტმარცვლოვანი ლექსი. ეს საზომი ჩვენ გვხვდება მე-6 — 7 საუკუნის ერთ ტექსტში (ლაკონიკესი დემოდესი პირველი იგავი)¹.

ამ მებრძობა შორის — პირველი მებრძობი „დაბალი შაირი“, ჩანს, ხალხური პოეზიიდან არის შეთქმებული ლიტერატურაში: „დაბალი შაირი“ ეს არის ერთ-ერთი ძირითადი საღმრთო წყობა ქართული ხალხური პოეზიისა.

დაბალი შაირის მებრძობი მტკიცედ დამკვიდრდა ლიტერატურაში. უფრო გვიან ამ მებრძობის უბრწყინველესი ნიმუშები მოგვცა შოთა რუსთაველმა ვეფხისტყაოსანში. მას შემდეგ ვიდრე დღევანდლამდე ეს საზომი რჩება ქართული პოეზიის ერთ-ერთ ძირითად მებრძობად.

მეორე მებრძობი — **ბისტიაური** — აგრეთვე ორიგინალური ქართული წარმოშობისაა. იგი ემყარება ქართულ პროსოდიასში ბუნებითად მოცემულ წყობას. ეს მებრძობი აგრეთვე საბოლოოდ შეითვისა ქართულმა პოეზიამ და, „ბისტიაური“ მებრძობი — როგორც წმინდა სახით (ოცმარცვლოვანი ლექსი), ისე მისი სახესხვაობანი — ათმარცვლოვანი და ხუთმარცვლოვანი მებრძობები (რომლებიც წმინდა ბისტიაური ტაემის ორად და ოთხად დანაწევრებას წარმოადგენს) — ერთი გავრცელებული საზომთაგანია ქართულ პოეზიაში, როგორც საშუალო საუკუნეებში, ისე შემდეგაც. კერძოდ თანამედროვე პოეზიაში ბისტიაურის სახეობა — ათმარცვლოვანი ლექსი — ყველაზე ზშირად ზმარებული მებრძობი წარმოადგენს.

მესამე მებრძობი, დადასტურებული ამ ეპოქაში — **იამბიკონი** — როგორც ირკვევა, ბერძნულის გავლენით არის შექმნილი. ქართული „იამბიკონი“ წარმოადგენს ბერძნული იამბიკური ტრიმეტრის გადმოღებას ქართულ პროსოდიასთან შეფარდებით. ეს მებრძობი გავრცელებით სარგებლობდა საშუალო-საუკუნეებში, იგი წარმოადგენდა ძველი ქართული პიმნოგრაფიის კლასიკურ მებრძობს. ახალ-ქართულ პოეზიაში აღარ იხმარება.

¹ ქართულია მე-6 — 7 საუკუნის ძეგლში — მოიქულთა ეპისტოლეთა წიგნის სამეცნიერო გამოცემის კომენტარებში.

აქ საკიროა შეევხოთ აგრეთვე რითმის წარმოშობის საკითხს ქართულ პოეზიაში.

წინასწარ ერთი შენიშვნა.

როდესაც ჩვენ ქვემოთ ვიხილავთ რითმის საკითხს, მხედველობაში გვაქვს არა პრიმიტიული რითმა, რომელსაც შემთხვევითი ხასიათი აქვს, და სპორადიულად თავს იჩენს ხოლმე ყველგან, არამედ მხედველობაში გვაქვს რითმა, აყვანილი პოეტური ორგანიზაციის სიმალლემდე, რითმა, როგორც ორგანიზებული ელემენტი წყობილი სიტყვისა.

რითმა ამგვარის გაგებით, როგორც გარკვეული პოეტური ფუნქციის მატარებელი ელემენტი სალექსო სტრიქონისა, დასავლეთის ძველმა ანტიკურმა ელინურმა და რომაულმა პოეზიამ არ იცის. რითმა დასავლეთში ჩნდება მხოლოდ გვიანი დროის ლათინურ ლექსში. ხოლო ევროპის ხალხთა პოეზიაში რითმა საბოლოოდ მკვიდრდება აღმოსავლური — არაბული — პოეზიის ზეგავლენით, ესპანეთის არაბთა მეშვეობით. ევროპის ხალხთა პოეზია დავალებულია აღმოსავლეთიდან ბეერის მხრით, და კერძოდ ამ მხრივაც, აღმოსავლეთიდან მომდინარე მხატვრულად სრულყოფილი პოეტური ფორმის ათვისებით.

როგორი წარმოშობისაა რითმა ქართულ პოეზიაში?

ახლო აღმოსავლეთის ხალხთა შორის, რომელთაც საშუალო საუკუნეებში დიდი მასშტაბის საერო მხატვრული ლიტერატურა ჰქონდათ, — ირანელებს, არაბებსა და ქართველებს, — სამივე ამ ხალხთა პოეზიაში მიღებულია რითმა.

არაბულ პოეზიაში რითმა ჩვენ გვხვდება უძველესი დროიდანვე. რითმიანი ლექსი უკვე სავსებით ჩამოყალიბებული კლასიკური ფორმით არის მოცემული იმ უძველეს არაბულ ლექსებში, რომლებიც მე-6—7 საუკუნეებიდან მომდინარეობენ, თავდაპირველად ზეპირი სახით ვრცელდებოდნენ, და შემდეგ იქმნენ ჩაწერილი და შეკრებილი „მოალაკათ“-ის კრებულის სახით. რითმა იმდენად ბუნებრივი ელემენტია არაბული მხატვრული სიტყვისა, რომ რითმა მიღებულია როგორც ლექსში, ისე პროზაშიც. არსებობდა ფორმა რითმიანი პროზისა („საჟ“); არსებობდა აგრეთვე გარდამავალი ფორმა რითმიან ლექსსა და რითმიან პროზას შორის („რაჟაზ“). კერძოდ მუჰამედის ყურანი ნაწილობრივ რითმიანი პროზის ტექსტს შეიცავს.

რაც შეეხება ირანულ პოეზიას, — თუ რა დროიდან შემოდის აქ რითმა, გამორკვეული არაა. ირანულ პოეზიაში, რომელიც ისლამის დაშვებების შემდეგ აღორძინდა ახალ-ირანულ ენაზე მე-9—10 საუკუნიდან მოკიდებული, — რითმა მიუცილებელი ელემენტია ლექსისა. რითმის წარმოშობის შესახებ ირანულ პოეზიაში ორგვარი შეხედულება არსებობს. ერთი შეხედულების თანახმად რითმა ირანულ პოეზიაში შეთვისებული უნდა იყოს არაბული პოეზიის ზეგავლენით. მეორე შეხედულების თანახმად, რითმა უნდა არსებულყოფი ირანულ პოეზიაში არაბების უწინარეს ხანაშიაც, აღრინდელ ირანულ ფაჰლავრ ლიტერატურაში, საშუალო საუკუნეთა დასაწყის პერიოდში. მაგრამ ეს მეორე შეხედულება — რითმის არსებობის შესახებ ფაჰლავრ პოეზიაში — მხოლოდ ჰიპოთეტიურ მოსაზრებებს ემყარება, რადგან ფაჰლავრი

ლიტერატურა დაიდუპა და ფაქლური პოეზიის ძეგლები ჩვენს დრომდე არ გადარჩენილა. უძველესი ჩვენს დრომდე შენახული რითმიანი ლექსის ნიმუშები ირანულ ენაზე ეს არის ახალ-სპარსული პოეზიის ძეგლები მე-9—10 საუკუნისა.

რითმის არსებობის შესახებ აღრინდელი ზანის ირანულ ფაქლურ ლიტერატურაში შენახულა შემდეგი პოეტური ლეგენდა, რომელიც დაუცავს დოვლეთ-შაჰს. ამ ლეგენდის თანახმად, ირანის ძველი ეპოსის პოპულარული გმირი ბაჰრამ-გური (420—438 წ.) და მზეთუნახავი დილარამ-ჩანგი შეყვარებულნი იყვნენ, მათი გულები ერთი ტაქტით სცემდა, და ამის გამო მათი სატრფიალო საუბარი გამოსახებოდაო რითმიანი ლექსით; ყოველ კითხვაზე, ყოველი პასუხი სრულდებოდაო შეწყობილი ხმაურით, ექოს მსგავსად, რაც მათი გულების შეწყობილი ხმაურის გამოძახილი იყო.

ქართულ ლიტერატურაში რითმიანი ლექსის უძველესი ნიმუში ჩვენ გვხვდება უკვე ადრეულ საშუალო-საუკუნეებში, მე-6—7 საუკუნეთა მიჯნაზე, სახელდობრ „დაბალი შაირი“-ს ზემოთ მოხსენებულ ფრაგმენტში. ამრიგად, რითმიანი ლექსი თითქმის ერთდროულად არის დადასტურებული ქართულსა და არაბულში.

ორიგინალური წარმოშობისაა რითმა ქართულ პოეზიაში, თუ შეთვისებული?

თუ აქ გავლენას დავუშვებდით, ყოველ შემთხვევაში გავლენა არაბულია — ცხადია, გამორიცხულია. ურთიერთობა არაბულ მსოფლიოსთან უფრო გვიან იწყება. არაბეთი ამ დროს წარმოადგენდა ერთგვარ terra incognita-ს, არაბები ამ დროისათვის ჯერ კიდევ არაბისტანის ნახევარკუნძულზე მკვიდრობდნენ იზოლირებულ მდგომარეობაში, და ჯერ არ დაწყებულიყო არაბთა ძლევამოსილი გავრცელება ახლო აღმოსავლეთში. არაბთა ტალღამ საქართველომდე უფრო გვიან მოაღწია.

ამრიგად, თუ აქ გავლენას ჰქონდა ადგილი, ეს შესაძლოა ყოფილიყო გავლენა ფაქლური ლიტერატურისა, თუკი, რასაკვირველია, ფაქლურ პოეზიაში მართლაც იხმარებოდა ამ დროისათვის რითმა, რაც ჯერ კიდევ დადასტურებული არაა.

მაგრამ თუნდაც ფაქლურ პოეზიაში ამ დროისათვის მართლაც ყოფილიყო ხმარებაში რითმა, ეს, ცხადია, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ რითმა ქართულმა პოეზიამ ფაქლურიდან შეითვისა. სრულიად უდავოა, მაგალითად, ის გარემოება, რომ არაბულ პოეზიაში რითმა წარმოიშვა და ორგანიზებული სახე მიიღო დამოუკიდებლად ფაქლურისაგან. ასევე, რასაკვირველია, ფაქლურსა და ქართულშიაც რითმა შესაძლოა გაჩენილიყო ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად.

საფუძველი რითმის გაჩენისა სამსავე ლიტერატურაში — ირანულში (ფაქლურში), ქართულში და არაბულში — ყველა ნიშნებით ამ ხალხთა ფოლკლორულ პოეზიაში უნდა ვეძიოთ, რომელსაც ადრევე მიუღწევია განვითარების მაღალ დონემდე.

კერძოდ აღსანიშნავია, რომ ქართულ ხალხურ პოეზიაში რითმას ძველი სათავეები უჩანს, რითმა შეადგენს ხალხური ლექსის ორგანულ ელემენტს.

ქართულ ხალხურ პოეზიაში ურითმო ლექსი მხოლოდ იშვიათი გამოხატვის სახით თუ გვხვდება. უძველესი ფოლკლორული ეპიკური ფრაგმენტები, როგორც, მაგალითად, ამირან-პრომეთეს ეპოსის პირველადი ფენა, არქაულობით აღბეჭდილი, რამდენიმე უძველესი რითმიანი ლექსის ვადანაშის შეიცავს. რითმა გვხვდება ვარათაგნი-ვანხტანგის ეპოსის ფრაგმენტშიაც. რითმა შეიღებულა აგრეთვე უძველეს ქართულ მითოლოგიურ და მაგიურ ხალხურ ლექსებში.

ამის მიხედვით საფუძველი გვეძლევა დავასკვნათ, რომ რითმა წარმოადგენს ქართული წყობილი სიტყვის ბუნებრივი განვითარების ნაყოფს. ქართული სილაბური ლექსი, ნელი ტალღისებური მახვილით, ჩანს, ადრევე დაყარდობია რითმას, როგორც სალექსო სტრიქონის შემკვერელსა და ჰედის მიმცემ ელემენტს. ქართულ ხალხურ ლექსს, ჩანს, ადრევე აუთვისებია რითმა, როგორც პოეტური მეტყველების ბუნებითად მოცემული საწყისი, ხოლო ხალხური პოეზიიდან იგი შემდეგ გადასულა ლიტერატურაში.



აქ საკირია შევჩერდეთ ქართულ სალექსო საზომებზე. ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლიდან ირკვევა, რომ მთელი რიგი მეტრები ქართულმა ლიტერატურამ ხალხური პოეზიიდან შეითვისა. როგორც აღვნიშნავდით, ხალხური პოეზიიდან მომდინარეობს ძველი ქართული ლიტერატურის კლასიკური მეტრი „დაბალი შაირი“, და აგრეთვე „მაღალი შაირი“, რომელთა წმარება ფოლკლორის უძველეს ნიმუშებშია დადასტურებული და რომლებიც ქართული ხალხური პოეზიის ძირითად მეტრულ წყობას წარმოადგენენ.

ეს ორი საზომი, რომელიც ხალხური პოეზიიდან არის შესული ლიტერატურაში, ანონიმურია. რაც შეეხება ძველი ქართული პოეზის სხვა საზომებსა და სტროფულ წყობას, მათ ჩვეულებრივ მიემართება ხოლმე ამა თუ იმ პოეტისა თუ მგოსან-რაფსოდის სახელი.

საზომთა ეს სახელები განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ლიტერატურის ისტორიისათვის, რადგან მათ ზოგჯერ შემოუნახავთ ჩვენება უძველეს პოეტთა შესახებ.

აქ ჩვენ შევჩერდებით საზომზე, რომელსაც ეწოდება „ბისტოკაური“.

„ბისტოკაური“, როგორც მოხსენებული გვექონდა, ეწოდება ოცმარცვლოვან ლექსს (ოთხ-მუხლი ხუთეული). იგი ერთ-ერთი არქაული საზომთაგანია ქართულ ლიტერატურაში. ეს საზომი — როგორც აღვნიშნეთ — ჩვენ გვხვდება უკვე მე-6—7 საუკუნის ტექსტში: ამ საზომით არის შესრულებული ფრაგმენტი ჰომეროსიდან, დაცული პროკოპის ბიოგრაფიის ძველ-ქართულ ვერსიაში, რომელიც მე-6—7 საუკუნეებს ეკუთვნის.

სახეწოდება საზომისა „ბისტოკაური“ ნიშნავს ბისტოკას შემოღებულს, იგივე როგორც სხვა ანალოგიური სახელი „ძაგნაკორული“ ნიშნავს პოეტ ძაგნაკორელის შემოღებულს, ანდა „ჩახრუხაული“ აღნიშნავს პოეტ ჩახრუხას (ჩახრუხაისძის) შემოღებულს. როდის ცხოვრობდა პოეტი ბისტოკა, — ამის შესახებ ფარკვეული ცნობები

არ მოღწეულა. დაკულია მხოლოდ ნაგვიანევი ლიტერატურული გადმოცემა, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ ბისტიკა ძველი დროის შოართული ხალხური მგოსანი-რაფსოდი ყოფილა. სალიტერატურო გადმოცემაში აღნიშნულია, რომ ბისტიკა არ იყო „დიდი გვარისა“, არამედ ხალხის წრიდან, მდბალი ფენებიდან იყო გამოსული. ბისტიკას ლექსებს დიდი პოპულარობა ჰქონია მოპოვებული ხალხში და შემდეგ, გვიან ხანაშიაც, ბისტიკას ლექსებს შოართული სახალხო რაფსოდები სტიქისა და ჭიანჭურზე ამღერებდნენ.

ბისტიკა, ჩანს, ეკუთვნოდა იმ ძველ-ქართულ რაფსოდ-მგოსანთა რიცხვს, რომელთა შესახებ მოგვითხრობენ ლეონტი მროველი, მოსე ზორენელი და გრიგოლ მაგისტროსი, როდესაც ისინი ძველი იბერიის ხალხურ პოეზიასა და ეპიკურ ამბავთა მთქმელებს ეხებიან.

დასასრულ დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ სახელწოდება ამ ძველი მგოსან-რაფსოდისა „ბისტიკა“ წარმოადგენს არა საკუთარ სახელს, არამედ ზედწოდებას; „ბისტიკა“ — „ბისტი-ანი“ ნიშნავს ბრმას. ბისტიკა, როგორც ირკვევა, ბრმა ყოფილა, და ამის გამო დარქმევიდა მას ეს სახელი.

ამრიგად, ბისტიკა — ეს ბრმა რაფსოდი ძველი ქართული პოეზიისა — უნებლიეთ გვაგონებს პოეზიის დიდი პატრიარქის ბრმა რაფსოდის პომეროსის სახეს.

თავი მეხუთე

ჰიმნოგრაფია

საერო მხატვრული ლიტერატურის პარალელურად ძველ ქართულ მწერლობაში ჩვენ გვაქვს მხატვრული მწერლობის დიდად მნიშვნელოვანი დარგი — ჰიმნოგრაფია, რომელიც ქრისტიანულ კულტთან იყო დაკავშირებული.

ჰიმნოგრაფიული ძეგლები წარმოადგენს პოეტურ საგალობლებს ქრისტიანული ელფერით. აქ მოცემულია პოეტურ ფორმაში — ლოცვა-ფსალმუნი, ქება (ოდა) ქრისტიან მოღვაწეთა, ანდა ფილოსოფიურ-რელიგიური ხედვა.

ქართული ჰიმნოგრაფია წარმოიშვა ქართული მწერლობის მეორე პერიოდში. უძველესი ჰიმნოგრაფი, რომლის ვინაობა ცნობილია, ეს არის შიომღვიმელი (მე-საუკ.), რომლის ორი ჰიმნი, მისი სახელით ზედწარწერილი, ჩვენს დრომდის მოღწეულა. ამას გარდა ჰიმნოგრაფიულ კრებულებში ჩვენ გვხვდება რამდენიმე ათეული ანონიმური ჰიმნი, წარწერით: „ძუელნი“, „ძუელნი ქართულნი“, რომლებიც ქართული ჰიმნოგრაფიის აღრინდელი პერიოდიდან მომდინარეობენ.

ქართულ ჰიმნოგრაფიის თავისებური პოეტური ფორმა აქვს, განსხვავებული საერო პოეზიის ფორმისაგან. თუ ქართული საერო მხატვრული მწერლობა — თავისი ფორმით — აგრძელებდა ქართული ძველი ხალხური პოეზიის ტრადიციას, და მდიდრდებოდა „არაქრისტიანულ“ ლიტერატურებთან ურთიერთობით, — ქართული ჰიმნოგრაფია უშუალოდ დაკავშირებულია ქრისტიანულ მწერლობასთან, პირველ რიგში ადრეულ-ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიასთან.

ქართულ ჰიმნოგრაფიაში მიღებულია „თავისუფალი“ რთული მეტრი.

შემდეგ ქართულ ჰიმნოგრაფიაში ხმარებაში შემოდის იამბიკური საზომი, ბერძნულის გავლენით შემოღებული, ბერძნული იამბიკური ტრიმეტრის შეფარდებით.

ქართულმა ჰიმნოგრაფიამ არ იცის რითმა, როგორც არ იცის რითმა არც ბიზანტიურმა ჰიმნოგრაფიამ. მხოლოდ გვიან, უკვე შემდეგს ეპოქაში, ქართულ ჰიმნებში ჩნდება რითმა, და აგრეთვე საერო პოეზიის სპეციფიური მეტრები, — ქართული საერო და ხალხური პოეზიის ზეგავლენით.

ჰიმნები იგალობებოდა ხოლმე და აქედან წარმოსდგება ჰიმნების სახელწოდება „გალობანი“.

ჰიმნების საგალობელი ხმები ორგვარი ყოფილა — ბერძნული და ორიგინალური ქართული (რაც საგანგებოდ აღნიშნულია საგალობელთა მე-10 საუკუნის ერთ კრებულში).

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან ისიც, რომ ქართული ჰიმნოგრაფია აგრძელებდა არა მხოლოდ ბერძნული ქრისტიანული ჰიმნოგრაფიის ტრადიციებს, არამედ ქართულ ჰიმნოგრაფიას მასთან ერთად, ჩანს, განუცდია აგრეთვე გავლენა არაორთოდოქსალური (არაქრისტიანული) მანიქეური ჰიმნოგრაფიისა.

მე-5 საუკუნეში, როგორც მოხსენებული გვექონდა, საქართველოში ფართო გავრცელებით სარგებლობდა სინკრეტული ქრისტიანულ-მანიქეური კულტი და გავლენა მანიქეური საკულტო ჰიმნებისა ამ დროიდან უნდა შემოჰკრიდყო ქართულ ჰიმნოგრაფიაში.

რომ ქართულ ჰიმნოგრაფიას განუცდია გავლენა მანიქეური ჰიმნოგრაფიისა, ამის მაჩვენებელია საგალობელ-ჰიმნების თვით სახელწოდება „იადგარი“. ეს ტერმინი ამ მნიშვნელობით, როგორც გამოჩვენებულია სპეციალურ ლიტერატურაში, მანიქეური წარმოშობისაა. „იადგარი“ ეწოდებოდა მანიქეურ საკულტო ჰიმნს, საგალობელს მოღვაწე-წმიდანის სახსოვრად. ქართულ ჰიმნოგრაფიაშიც ეგვე ტერმინი „იადგარი“, შეთვისებული მანიქეველთაგან, ამასვე აღნიშნავდა.

რამი გამოიხატა ნიშანდობლივ მანიქეური გავლენა ქართულ ჰიმნოგრაფიაში?

მანიქეველთა შორის, როგორც ცნობილია, განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობდა მუსიკა, როგორც ჰიმნების აუცილებელი თანამყოფი ელემენტი. მანიქეველებს ღვაწლი მიუძღოდათ თვით მუსიკის თეორიის დამუშავებაშიაც. ქრისტიანულმა ქართულმა ჰიმნოგრაფიამ, ჩანს, შეთვისა მანიქეველთაგან ზოგიერთი საგალობელი ხმები; მაგრამ არ არის გამორიცხული ისიც, რომ მანიქეურ ჰიმნებს გავლენა ჰქონოდათ ქრისტიანული ქართული ჰიმნების პოეტურ გაფორმებაზე, მით უფრო, რომ ჰიმნებში ფორმა და საზომი შეფარდებულია ხოლმე საგალობელ ხმებთან.

თავი მეთექვსმე

ისტორიოგრაფია. ფილოსოფია. სამეცნიერო მწერლობა

დასასრულ, ჩვენ აქ წარმოვადგენთ მე-4 — 7 საუკუნეთა ქართული მწერლობის დანარჩენი დარგების — ისტორიოგრაფიის, ფილოსოფიის და სამეცნიერო მწერლობის — მოკლე მიმოხილვას.

ისტორიოგრაფია

ისტორიოგრაფია — ქართული მწერლობის დიდად მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენდა მე-4 — 7 საუკუნეებში.

სამწიგნობროდ, ძველი ქართული ისტორიოგრაფიის მთელი რიგი ძეგლები, როგორც ირკვევა, დაკარგულია, ანდა ფრაგმენტებისა და ექსცერპტების სახით არის გადაჩენილი.

ვიძლევიტ აქ საისტორიო ძეგლთა ჩამოთვლას.

1. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“

ჩვენამდე მოღწეულა საისტორიო ნაწარმოები, რომელსაც ეწოდება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, და რომელიც შეიცავს საქართველოს მოკლე ისტორიას ათი საუკუნის განმავლობაში. ეს საისტორიო თხზულება შემდეგი ნაწილებსაგან შედგება:

1. უწყება ქართველთა ერთი ნაწილის გადმოსახლების შესახებ თანამედროვე საქართველოს მიწა-წყალზე სამხრეთიდან (ხეთას მსოფლიოდან) და გადმოცემა ალექსანდრე მაკედონელის კავკასიაში ლაშქრობის შესახებ.

2. ქართველი მეფენი წარმართობის ხანისა (— მოიცავს ეპოქას ექვსი საუკუნე ნახევრის მანძილზე: იწყება მე-4 საუკუნის დასასრულიდან ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს, და სრულდება მე-4 საუკუნის დასაწყისში ჩვენი წელთაღრიცხვისა).

3. მეფობა მირიანისა, ნინოს მოღვაწეობა, და ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში (მე-4 საუკუნის პირველი ნახევარი).

4. საქართველოს მომდევნო ისტორია — სამი საუკუნის განმავლობაში, დაწყებული მე-4 საუკუნის ნახევრიდან და მოყვანილი მე-7 საუკუნის 40-იან წლებამდე.

მატიანის ძირითადი ტექსტი მე-7 საუკუნის 40-იან წლებზე სრულდება¹.

შედარებითი შესწავლა ამ ძეგლისა და ორი სხვა ძველ-ქართული საისტორიო თხზულებისა — ლეონტი მროველისა და ჭუანჭუჭყის მატიანეებისა — გვიჩვენებს, რომ მე-7 საუკუნეში ქართულად არსებულა სხვა უფრო ვრცელი მატიანე, რომელიც ეხებოდა იმავე ათსაუკუნოვან პერიოდს (— ე. ი. მე-4 საუკუნის ბოლოდან ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს — ვიდრე მე-7 საუკუნემდე ჩვენი წელთაღრიცხვისა). „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მემატიანე, ერთი მხრით, ხოლო ლეონტი მროველი და ჭუანჭუჭყის, მეორე მხრით, — მისდევენ ერთი და იმავე ძველი მატიანის ქარგას, ზოგიერთი ვარიაციებით. ამასთან „მოქცევაჲ“-ს მატიანეში შერჩენილია ისეთი ნიშნობლივი მარჯვენებლები, საიდანაც ირკვევა, რომ „მოქცევაჲ“-ს ავტორს შემოკლებით გადმოჰოცია ძველი ვრცელი მატიანის ტექსტი.

აღსანიშნავია, რომ „მოქცევაჲ“-ს მატიანეში ჩვენ გვაქვს საერო მხატვრული მწერლობის გავლენის კვალიც. როგორც მოხსენებული გვქონდა, ალექსანდრე მაკედონელის ისტორია აქ გადმოცემულია კალისტენისადმი მიწერილი „ალექსანდრიანი“-ს მიხედვით. „ალექსანდრიანი“-ს გავლენა ჩვენ გვაქვს აგრეთ-

¹ დამატებით იხ. შენიშვნა 10 (გვ. 319).

ვე ლეონტი მროველის საისტორიო თხზულებაშიაც. (ტექსტების ანალიზიდან ირკვევა, რომ „ალექსანდრიანი“ თავდაპირველად გამოყენებული ყოფილა იმ ვრცელ საისტორიო პირველწყაროში, რომლისაგანაც დამოკიდებული არიან „მოქცევაჲ“-ს ავტორი და ლეონტი) ¹.

დასასრულ არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ ისიც, რომ ქართულ ისტორიულ თხზულებებს კარგად იცნობენ სომეხთა ისტორიკოსები, რომლებიც სარგებლობენ ქართული წყაროებით.

ასე „მოქცევაჲ“-ს მატინის ძველი პირველწყარო (ანდა შესაძლოა თვით „მოქცევაჲ“-ს ტექსტიც) სცნობია სომეხთა ისტორიკოსს მოსე ხორენელს, რომელსაც მოჰყავს ქართული წყაროებიდან ცნობები საქართველოს შესახებ ².

ექსცერპტები ქართული წყაროებიდან (— ნინოს მოღვაწეობის შესახებ) შეტანილი ყოფილა აგრეთვე სომეხური საისტორიო-ჰაგიოგრაფიული ძეგლის აგათანგელოსის ძველ ვერსიაში.

2. ბრიგოლ დიაკონი

უძველეს ქართველ ისტორიკოსთა რიცხვს ეკუთვნის გრიგოლ დიაკონი, რომელსც დაუწერია „წიგნი ქართველთა მოქცევისა“, მოკლე, მოთხრობა ნინოს მოღვაწეობისა და საქართველოს გაქრისტიანების შესახებ.

ეს ავტორი — გრიგოლ დიაკონი — მოხსენებულია ჩვენს დრომდე მოღწეულ „ქართლის მოქცევაჲ“-ს მატინებში, და თვით ნაწყვეტებიც გრიგოლ დიაკონის თხზულებიდან იმავე „მოქცევაჲ“-ს მატინებში არის შეტანილი.

როდის ცხოვრობდა გრიგოლ დიაკონი, ამისი ზუსტად გარკვევა, მასალეების სიმცირის გამო, ძნელია, მაგრამ ზოგიერთ ნიშნეულობათა მიხედვით საფიქრებელი ხდება, რომ იგი მე-4 — 5 საუკუნის მწერალი უნდა ყოფილიყო ³.

3. მახინაე საარსთა მფლოგაელოგისა კართლს მე-6 საუკუნეში

გამონაკრები ამ საისტორიო თხზულებისა დაცულია ქელქმისეულ ცნობილ ხელნაწერში. ექსცერპტს დართული აქვს შენიშვნა: „ესე აღწერილი გამოყრებილად არს“.

ამ საყურადღებო ტექსტში, რომელიც მოკლე „გამონაკრების“ სახით არის მოღწეული, მოთხრობილია სპარსთა მფლობელობის დამყარება ქართლში (იბერიაში) და კავკასიის მთიანეთში მე-6 საუკუნეში. ფაქტობრივ ცნობები ამ ტექსტისა იმდენად ზუსტი და ნიშანდობლივია, რომ ავტორი, ჩანს, ბევრით არ იყო დაშორებული იმ ეპოქიდან, რომელსაც იგი აღწერდა. ტექსტის მიხედვით საფიქრებელი ხდება, რომ შემატინე ერაკლე კეისარის ხანის მე-7 საუკუნის პირველი მესამედის შემატინე უნდა ყოფილიყო ⁴.

¹ იხ. პ. ინგოროვა, „რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა“ (შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემა „რუსთაველის კრებული“, 1938 წ., გვ. 59—60).

² იხ. შენიშვნა 11 (გვ. 320).

³ შენიშვნა 12 (გვ. 320).

⁴ შენიშვნა 13 (გვ. 320).

4. ვახტანგ გორგასარს მატინან

ქართული მწერლობის იმ პერიოდში, რომელზედაც აქ გვაქვს საუბარი, არსებულა მატინანე. ქართველი განთქმული სახელმწიფო მოღვაწისა, საქართველოს მეფის ვახტანგ გორგასარისა (მე-5 საუკუნის მეორე ნახევარი).

ეს ძველი მატინანე ექსცერპტულად არის გამოყენებული უფრო გვიანი დროის უჯარმოელის თხზულებაში, და აგრეთვე არსენის მეტაფრასში, რომლებიც ვახტანგ გორგასარის მეფობას ეხებიან¹.

5. აბიათარის მატინან

ქართულ მატინანეთა კრებულის „ქართლის ცხოვრების“ ანა-დედოფლი-სეულ ხელნაწერში დაცულია ცნობა ერთი ძველ-ქართული საისტორიო თხზულების შესახებ, რომელიც ასეთ სათაურს ატარებდა:

„ცხოვრება და მოქცევა ქართლისა და მოთხრობა ნათესავობისა, და თუ რომელნი რომელთა ტომთანი ვართ, ანუ თუ ვითარ მოვიქვეცით და მივიღეთ სჯული ქრისტიანობისა... — აღწერილი აბიათარისი“.

ტექსტი ამ საისტორიო თხზულებსა დაკარგულია, ამის გამო ნაწარმოების ხასიათი და თარიღი გაურკვეველი რჩება.

აღენიშნავთ მხოლოდ, რომ ძველი ქართული სალიტერატურო ტრადიცია აბიათარს მე-4 საუკუნის დასაწყისის მოღვაწედ სთვლიდა, რომელსაც, ნინოსთან ერთად, ღვაწლი მიუძღოდა საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებაში².

ფილოსოფია

ქართული მწერლობის იმ პერიოდში, რომელიც აქ ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს, ე. ი. მე-4—7 საუკუნეთა მანძილზე, ფილოსოფიის წამყვან დარგს წარმოადგენდა ქრისტიანული თეოლოგიურ-ფილოსოფიური ლიტერატურა. ქართულ ენაზე, როგორც მოხსენებული გვქონდა, ამ ეპოქაში უთარგმნიათ ქრისტიანული თეოლოგიურ-ფილოსოფიური აზროვნების ცნობილ წარმომადგენელთა თხზულებანი — ორიგენისა, იოანე ოქროპირისა, გრიგოლ ნოსელისა და სხვათა.

ქრისტიანული თეოლოგიურ-ფილოსოფიური იდეოლოგიის გავლენის ქვეშ ვითარდებოდა ქართული ორიგინალური თეოლოგიური ლიტერატურა, რომელიც უმთავრესად მახდენობა-მანიჭველობისა და ქრისტიანობის სხვადასხვა ფრაქციების დოგმატურ-თეორიულ საკითხებს ეხებოდა.

მაგრამ ინტერესი ფილოსოფიისადმი ქართულ წრეებში — როგორც ირკვევა — მარტო ქრისტიანული თეოლოგია-ფილოსოფიით არ განისაზღვრებოდა.

¹ იხ. შენიშვნა 14 (გვ. 321).

² ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ აქ დასახელებული ნაწარმოები უშუალოდ აბიათარის მიერ იყო დაწერილი. ისევე, როგორც ნინოს სახელის ზედწერილით ქვეყნდებოდა თხზულებანი შემდეგ ხანაში, ასევე შესაძლოა ეს თხზულებაც შემდეგ ხანაში იყო გამოქვეყნებული აბიათარის სახელის ზედწარწერით (დამატებით იხ. შენიშვნა 15, გვ. 321).

ამის გვერდით ამ ეპოქაში ქართული მწერლობისათვის არ ყოფილა აგრეთვე უცხო ანტიკური ელენური ფილოსოფიის ტრადიციები.

ეს გარემოება დიდად საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს ქართული განათლების ისტორიისათვის მე-4—7 საუკუნეებში და ჩვენ აქ ამაზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას.

პირველ რიგში აქ შევჩერდებით მე-4 საუკუნის ერთს მოღვაწეზე; ეს არის ბაკური, რომელიც, როგორც ირკვევა, დაკავშირებული ყოფილა თავისი დროის ბერძნულ ნეოპლატონიკურ ფილოსოფიურ წრეებთან.



ბაკური

ბაკურის შესახებ საყურადღებო ცნობები შენახულა ანტიკურ ბერძნულსა და ლათინურ და აგრეთვე ქართულ წყაროებში.

ბაკური იყო შვილიშვილი იბერიის მეფის მირიანისა, რომლის დროსაც ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადდა იბერიაში, მე-4 საუკუნის პირველ ნახევარში¹.

ჩვენ უკვე მოხსენებული გვექონდა, რომ ამ ეპოქაში ხშირ მოვლენას წარმოადგენდა უფლისწულების წარგზავნა მძევლად მოკავშირე სახელმწიფოთა კარზე პოლიტიკური კავშირის განმტკიცების მიზნით. ბაკური ბავშვობის დროს მძევლად ყოფილა გაგზავნილი იბერიის სამეფოდან რომის იმპერატორის კარზე და ბავშვობა ბაკურს საბერძნეთ-რომში გაუტარებია.

მას შემდეგ, რაც იბერიაში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადდა, და ამით მტკიცე კავშირი რომსა და იბერიას შორის უზრუნველყოფილად იყო მიჩნეული, ახალგაზრდა ბაკური დაუბრუნებიათ იბერიაში.

ბაკურს, იბერიაში დაბრუნების შემდეგ, როგორც ჩანს, თავი უსახელებია სახელმწიფო მოღვაწეობით თავის სამშობლოში. თანამედროვე საისტორიო წყარო ბაკურს „იბერთა შორის სახელოვანს“ უწოდებს.

ხანმოკლე დროის მანძილზე ბაკურს იბერიის სამეფო ტახტიც სკერია (მე-4 საუკუნის 60-იან წლებში). მაგრამ შემდეგ, არა ჩანს კარგად რა მიზეზისა გამო, იგი იძულებული გამხდარა სამეფო ტახტი დაეტოვებია (საფიქრებელია, ამის მიზეზი იყო გართულებული პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა ირანის იმპერიის შემოტევის შედეგად კავკასიაში, რასაც შემდეგ, 368 წელს, იბერიის სამეფოს ორად დანაწილება მოჰყვა. ბაკური, ამ გართულებულ პოლიტიკურს ვითარებაში, ჩანს, ადრევე, იძულებული გამხდარა დაეტოვებია იბერია, რაკი ბაკური დასავლეთის ორიენტაციის მეტად საჩინო პოლიტიკურ ფიგურას წარმოადგენდა).

ბაკური გადასახლებულა რომის იმპერიაში. აქ ბაკური მიუღიათ საიმპერატორო კარზე. ბაკური დაუნიშნავთ იმპერიის სეფეჟარის უფროსად და პალესტინის მონაპირე მთავრად.

¹ ძველი ქართული მტიანის „მოქცევა ქართლისაჲ“-ს ცნობით — ბაკურის მამა იყო რევი, შვილი მირიანისა (მორე უფრო გვიანდელ წყაროში — ლონტი მროველის თხზულებაში — ბაკური მოხსენება მირიანის არა შვილიშვილად, არამედ შვილად).

ბაკურს, როგორც პალესტინის მონაპირე მთავარს რეზიდენციად ჰქონდა იერუსალიმი, მაგრამ ამავე დროს ბაკურს ურთიერთობა ჰქონია რომის იმპერიის სხვა კულტურულ ცენტრებთანაც. ბაკურს დროგამოშვებით ჩვენ ვხედავთ კონსტანტინეპოლში, ანტიოქიაში, იტალიაში.

ბაკური ახლო მეგობრობით ყოფილა დაკავშირებული თავისი დროის ლიტერატურულ წრეებთან. კერძოდ, ის ცნობები, რომლებიც დატულია ბერძნულსა და ლათინურ ლიტერატურაში, გელასი კესარიელისა და რუფინუსის თხზულებებში, იბერიაში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ, მომდინარეობს ბაკურის გადმონაცემიდან. გელასი კესარიელი ასე ამთავრებს მოთხრობას იბერიაში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ:

„ეს ჩვენ ვვიამბო ფრიად სარწმუნო ბაკურიმ, კაცმა ღვთისმოსავმა, მეფის შთამომავალმა, და იბერთა შორის სახელოვანმა, რომელიც გახდა რომაელთა მთავარი, და აწარმოა ომი ბარბაროს საჩივროთა წინააღმდეგ პალესტინის მთიანეთში და მათზე ბრწყინვალე გაპარჯება მოიპოვა“.

ბაკური მეტად კოლორიტული ფიგურაა. ბუნებას ყველაფერი უხვად გაუმეტებია ამ ადამიანისათვის. ბაკური ხიბლავდა თანამედროვეებს ნათელი გონებით და მაღალი სულიერი თვისებებით. ამავე დროს ბაკური გარეგნულადაც მშვენიერი ვაჟკაცი ყოფილა. თან შეუღარებელი რაინდი, განთქმული თავისი ვაჟკაცობითა და მხნეობით.

გიორგი ამარტოლი, თანამედროვეთა ცნობებზე დამყარებით, ასე აგვიწერს, მაგალითად, ერთს ბრძოლას, რომელშიაც ბაკური იღებდა მონაწილეობას. ეს იყო ბრძოლა ევგენიოს ტირანის წინააღმდეგ, რომელიც ბაკურისთვის ტრაგიკულად დასრულდა. გიორგი ამარტოლი წერს:

„სარდლები... საბრძოლველად გამხვედნენ, განსაკუთრებით ბაკური, კაცი ყოვლად ღირსეული — როგორც რწმენითა და სათნოებით, ისე თავისი სულიერად და ხორციელი სილაშქარით. ვინც მის ახლოს მოხვდებოდა, ზოგს შუბით დაანარცხებდა, ზოგს ისრებით, ზოგს კიდევ მახელით. მან გარღვია მტრის ლეგიონი, რომელიც მკიდრად იყო შეერთებული, დამარცხებული ჯარის შუა წყებები გასწი-გამოსწია და გვაშების გორაკებს გვერდი აუხვია და თვით ტირანთან მივიდა...“

ბაკური, რომლის სახე ერთგვარი რომანტიზმით არის მოსილი, ეს უებრო რაინდი, რომელიც იძულებული გახდა მოშორებოდა სამშობლო ქვეყანას და უცხოეთში გადახვეწილიყო, „კაცი ყოვლად ღირსეული“ — თანამედროვეთა სიტყვები რომ გავიმეოროთ, მომხიბლველი „სულიერი და ხორციელი სილაშქარით“, — ბევრ რამეში გვაგონებს თავის სახელოვან თანამედროვეს იულიანე განდგომილს. ბაკურიც — იულიანეს მსგავსად — შეპყრობილი ყოფილა „ფილოსოფიური ერაზმით“, მას, როგორც ირკვევა, არ აკმაყოფილებდა ქრისტიანობა, მისი გული, როგორც ფიგურალურად ამბობს თანამედროვე მწერალი, „განგმირულ იქმნა სულ სხვა ისრით“, რამაც ბაკური ელინური ფილოსოფიის კარამდე მიიყვანა.

ბაკური ბავშვობის დროს წარმართობაში იყო აღზრდილი, შემდეგ ბაკური — იბერიის სამეფო სახლთან ერთად — ქრისტიანობა მიიღო. ქრისტიანობის მიმდევრად დარჩა იგი კარგა ხანს. მაგრამ ბოლოს ბაკურს აღარ აკმაყოფილებს ქრისტიანობა და იგი ელინური ფილოსოფიის ადეპტი ხდება და ელინური წარმართული იდეოლოგიისაკენ იხრება.

ბაკურს მისი ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში ჩვენ ვხედავთ ნეოპლატონიკოსების ფილოსოფიურ წრეში, განთქმული ფილოსოფოსის იამბლიხოსის მიმდევართა შორის. იამბლიხოსი, როგორც ცნობილია, ნეოპლატონიკური ფილოსოფიის ერთ-ერთი ფუძემდებელთაგანი იყო. ამასთან იამბლიხოსი ითვლებოდა ელინური წარმართული იდეოლოგიის მთავარ ბაირახტრად.

ბაკური საგანგებოდ ფასცნობია იუ ლ ი ა ნ ე გ ა ნ დ გ ო მ ი ლ ის ცნობილ მასწავლებელს, ფილოსოფოსსა და რიტორს ლიბანიუსს. ბაკურისა და ლიბანიუსის დაახლოება მომხდარა კონსტანტინეპოლის პრეფექტის არისტანიტის მეშვეობით. ლიბანიუსი ანტიოქიაში მოღვაწეობდა და არისტანიტი ბაკურის შესახებ საგანგებო წერილს უგზავნის ლიბანიუსს კონსტანტინეპოლიდან ანტიოქიაში.

ბაკური სწვევია ლიბანიუსს ანტიოქიაში და მათ შორის ამ დროიდან ფილოსოფიური შეგობრობა დამყარებულია.

ლიბანიუსი ბაკურისთან პირველი შეხვედრის შემდეგ ატყობინებს არისტანიტს: „იყო ჩემთან იბერთა მეფე ბაკური..., რომელიც მეტად მომეწონა. იგი სულთაყ ისევე მშვენიერია, როგორც სხეულთაყ. მე უკვე ვიცი, რამ გახდა ეს აღაპიანი ჩვენი, და საიდან არის ის ისარი, რომელმაც განგმირა იგი“.

ბაკური, როგორც ირკვევა, ფართოდ განათლებული ადამიანი ყოფილა, დიდის მოწაღდებით, ფართო ფილოსოფიური პორიზონტით.

ბაკურს, ლიბანიუსთან დამეგობრების შემდეგ, 391 წელს გაუგზავნია ლიბანიუსისათვის ეპისტოლე ფილოსოფიური შინაარსისა. ეს ეპისტოლე ბაკურისა ჩვენ დრომდე არ შენახულა; მაგრამ ლიბანიუსის პასუხიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ ბაკურის ეპისტოლის საგანი ყოფილა ის ფილოსოფიური საკითხები, რომლებიც აღელვებდა ნეოპლატონიკოსთა წრეებს, რომ ეს ეპისტოლე დიდი ცოლით და უნაკლო ფორმით იყო დაწერილი, აღბეჭდილი იყო — ლიბანიუსის გამოთქა რომ გავიმეოროთ — „ფილოსოფიური ეროსით“.

ლიბანიუსი შემდეგით უპასუხებს ბაკურს მის ეპისტოლეზე:

„ძვირფასო ბაკური! მივიღე შენი ეპისტოლე... შენ არა მხოლოდ გამოსთქვამ იმ აზრებს, რაც ჩვენ წრეშია მიღებული, არამედ გამოსახავ იმ აზრებს ისეთივე (სრულყოფილი) ფორმით, როგორც ეს ჩვენ (ელინ რიტორებს) გეჩვენება. შენ შეპყრობილი ხარ ფილოსოფიური ეროსით! შენ გიყვარს ლოგოსი და შეყვარებული ხარ ლოგოსის მიერ! შენ შეიყვარე ღმერთები (ელინთა) და ღმერთები შეგიყვარებენ შენ“.

აპრიგად, ბაკურ არა მხოლოდ ნეოპლატონური ფილოსოფიის ადეპტი ყოფილა, არამედ, როგორც ირკვევა, იგი ელინური წარმართობისაკენაც გადახრილა.

ჩასაკვირველია, არა აქვს იმას მნიშვნელობა, ოფიციალურად ჩამოშორდა თუ არა ქრისტიანობას ბაკური. ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ ბაკური

გამოხიბლულა ქრისტიანობისაგან, მისი გული „განგმირულა სულ სხვა ისრით“, და ბაქურის მსოფლმხედველობა, დაშორებული ქრისტიანულ იდეოლოგიას, აღბეჭდილი ყოფილა მის ფილოსოფიურ ეპისტოლეში.

აი, ძირითადში ის ცნობები, რომლებიც მოღწეულა პირველი ქართველი ფილოსოფოსის, „იბერთა შორის სახელოვანის“ ბაქურის შესახებ.

ბაქური გარდაიცვალა 394 წელს. ჩვენ უკვე მოხსენებული გვქონდა, რომ ბაქური მონაწილეობდა ბრძოლაში ევგენიოს ტირანის წინააღმდეგ. ბაქური დაიღუპა ამ ბრძოლაში 394 წელს, მდინარე ფრიგიდასთან, იტალიაში.



არისტოტელეს თარგმანი. — ძართულ-სომხური ურთიერთობა ფილოსოფიური ლიტერატურის დარგში. — პროკლე დიალოგოსის თარგმანი

ქართული მწერლობის ამავე პერიოდში ქართულ ენაზე, როგორც ირკვევა, უთარგმნიათ ანტიკური ელინური ფილოსოფიის ძეგლები, ასე, არისტოტელის და ნეოპლატონიკოსები.

ჯერ არისტოტელის შესახებ.

არისტოტელის ამ ეპოქაში შესრულებული ძველი ქართული თარგმანი ჩვენ დრომდე არ მოღწეულა. მაგრამ შენახულა ამ ძველი ქართული თარგმანიდან მომდინარე სომხური თარგმანი არისტოტელისა.

ჯერ კიდევ აკად. ნ. მარბა მიაქცია ყურადღება, რომ არისტოტელის პერი დიკაჟიას-ის სომხურ თარგმანში შერჩენილია ქართული ტერმინოლოგიის გადანაშთი. ამ ტერმინოლოგიის მიხედვით დასტურდება, რომ სომხური ტექსტი არისტოტელისა ქართულიდან არის თარგმნილი. სომხური ტექსტი არისტოტელისა მე-7 საუკუნეს ეკუთვნის. ძველი ქართული თარგმანი ამაზე ადრე ყოფილა შესრულებული.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეპოქაში ახლო აღმოსავლეთის მოწინავე ხალხებს, ქართველებსა და სომხებს, ახლო ურთიერთობა ჰქონიათ როგორც ლიტერატურის სხვა დარგებში, ისე ფილოსოფიის დარგშიაც.

ამასთან დაკავშირებით არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ, კერძოდ, ის ფაქტი, რომ მე-7 საუკუნის სომეხი ფილოსოფოსი, რომელიც „დავით უძლეველის“ სახელით არის ცნობილი, და რომელიც ყველაზე მაჩინო ფიგურაა ძველი სომხური ფილოსოფიის ისტორიაში, ჩანს, უახლოესად დაკავშირებული იყო ქართულ წრეებთან.

დავით უძლეველს ეკუთვნის კომენტარები არისტოტელის პერი დიკაჟიას-ისა. და შესაძლოა თვით არისტოტელის თხზულების ტექსტიც დავითის მიერვე იყოს თარგმნილი ქართულიდან სომხურ ენაზე.

დავითის ურთიერთობის შესახებ ქართულ წრეებთან მეტად საგულისხმო ცნობებს იღაღმგვეცემენ სომხური წყაროები. ასე, არაქელ სიენიელს დაეუღო აქვს ასეთი ცნობა:

„სომხებმა, რომელთაც ამხილებდა იგი (დავით ფილოსოფოსი), შეიზიზღეს (მოიძულეს) დავით, და მისი სიტყვები, და მიაყენეს მას შეურაცხყოფა მოქმედებით, და დავით გადასახლდა საქართველოში, სადაც იგი სიკვდილამდე დარჩა“.

გარდა არისტოტელისა, ქართულ ენაზე ამ ეპოქაში, ჩანს, არსებობდა ნეო-პლატონიკოსთა თხზულებანი.

განთქმულმა ქართველმა ფილოსოფოსმა და მე-11—12 საუკუნის ქართული ჰუმანისტური მოძრაობის მეთაურმა იოანე ფილოსოფოსმა, როგორც ცნობილია, ქართულ ენაზე თარგმნა ნეოპლატონიკოსის პროკლე დიადოხოსის „კაჲ შირნი“, რომელსაც კომენტარების სახით დაურთო თავისი ორიგინალური ფილოსოფიური ნაშრომი. იოანე ფილოსოფოსის კომენტარებში აღნიშნულია, რომ პროკლეს ტექსტის ეს თარგმანი ხელმეორედ არის შესრულებული. ძველი თარგმანი, ჩანს, უკვე აღარ აკმაყოფილებდა ახალ ფილოსოფიურ მიმართულებას, რომელიც მე-11—12 საუკუნეებში აღორძინდა საქართველოში და ამით ყოფილა გამოწვეული იოანე ფილოსოფოსის მიერ პროკლეს თხზულების ხელმეორედ თარგმანი¹.

სამწუხაროდ, ეს ძველი პირველი თარგმანი პროკლეს თხზულებისა, რომელზედაც მითითება დაცულია იოანე ფილოსოფოსის თხზულებაში, ჩვენ დრომდე აღარ ვაღარჩენილა, რომ შესაძლო ყოფილიყო იმისი გარკვევა, თუ სახელდობრ როდის, ან ვის მიერ იყო შესრულებული ეს ძველი თარგმანი.

დასასრულ დაგვრჩენია აღნიშნოთ, რომ ძველი ქართული ფილოსოფიური მწერლობის ანარეკლი ჩვენ გვაქვს ამ ეპოქის სალიტერატურო ძეგლებშიაც, — ევსტათი მცხეთელის ბიოგრაფიის ტექსტში (6 საუკ.) და აბიზოს ნეკრესელის მოსახსენებელში (— დამოკიდებულია მე-7 საუკუნის დასაწყისის დედნიდან).

ქართველ ავტორებს ელინური ფილოსოფიის ელემენტები გამოუყენებიათ ირანული მანდიზმის საწინააღმდეგოდ მიმართულ პოლემიკაში.

სამეცნიერო ლიტერატურა

ამ ეპოქის საკუთრივ სამეცნიერო ლიტერატურის დარგიდან ჩვენ დრომდე ვაღარჩენილა ქრონოლოგიურ-საკალენდარო ტრაქტატი, რომელსაც ეწოდება: „გამოძიებისათვის ეამთა და წელთა, მცხრალისათვის და ნაკისათვის, მთოვარისა ზედანადებისათვის, ხუთეულისა და ექვსეულისა და შვიდეულისათვის“. ეს თხზულება, რომელშიაც ნაწილობრივ გამოყენებულია ძველი ქართული წარმართული კალენდრიდან მომდინარე ელემენტები, დაუმუშავებიათ რომაული კალენდარის შემოღების შემდეგ. ამ ძეგლის რამდენიმე რედაქცია მოღწეულა ჩვენს დრომდე. პირველი დედანი, როგორც ირკვევა, შედგენილი ყო-

¹ იოანე ფილოსოფოსი თავის კომენტარებში (ბოლოსიტყვაობაში), ეხება რა ამ წიგნის მეორედ თარგმნის მიზეზს (— „არამედ მიზეზი აწ კულად ვარდმოლებისა წიგნისა ამის ესეობს“), — იძლევა საერთო კრიტიკას ძველი მთარგმნელების მეთოდისა, რომლებიც, იოანეს შეფასებით, თავისუფლად ეკიდებოდნენ სათარგმნელ ტექსტებს და არ იცავდნენ სრულ ზედმიწევნილობას.

ფილა მე-6—7 საუკუნეებში, როდესაც საქართველოში რომაული კალენდრის ხმარება დაშვებულა.

ამ ორიგინალურ ძველ-ქართულ ძეგლს გარდა, ინტერესს წარმოადგენს ბერძნულიდან თარგმნილი გრიგოლ ნოსელის ცნობილი თხზულება „კაცისა შესაქმისათჳს“, კერძოდ, 30-ე თავი, რომელსაც ეწოდება:

„სიტყვა მკურნალთაგან, რომელი მოასწავებს ასოთა გვამთა კაცთასა, დაბადებისა შინა მათსა“.

ამ ტექსტში განხილულია ადამიანის ანატომია.

ყურადღებას იქცევს ამ ძეგლის მდიდარი, ზუსტად დამუშავებული სამეცნიერო ტერმინოლოგია.

საეციკლოპედიო ხასიათის ენციკლოპედია და უნივერსალი
„ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვის“

მეორე ნაწილისა

- I. ქართული და ქრისტიანულ-ებრაული წრეების ლიტერატურული ურთიერთობა ქრისტიანობის ადრეულ ხანაში.
- II. ბიბლიის ძველ-ქართული ვერსიები.
- III. ოთხთავის ძველ-ქართული ვერსიები.
- IV. უძველესი ჰაგიოგრაფიული ძეგლების დათარიღებისათვის.
- V. «კითხვა-მიგება უფლისა და პავლესი» და «მომოდასლვა მოციქულთა».
- VI. მრავალთავი.
- VII. თეოლოგიური ლიტერატურის ძეგლები.
- VIII. ძველი ქართული მწერლობის დარგები: აპოკრიფები, ჰაგიოგრაფია, ბიოგრაფიული ლიტერატურა, ისტორიოგრაფია.
- IX. ბიოგრაფია ცხრათა კოლაელთა.
- X. «მოქცევაი ქართლისაი»-ს პირვანდელი შედგენილობა.
- XI. მოსე ხორენელი და ქართული წყაროები.
- XII. გრიგოლ დიაკონის მატეანე.
- XIII. მატეანე სპარსთა მფლობელობისა ქართლს მჲ-ნ საუკუნეში.
- XIV. ვახტანგ გორგასარის შესახები არქაული ექსცერპტები.
- XV. აზიათარის მატეანე.

I

ქართული და ქრისტიანულ-ებრაული წრეების ლიტერატურული
ურთიერთობა ქრისტიანობის ადრეულ ხანაში

(შენიშვნა 1, გვ. 328 — 331)

საქართველოში ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ებრაული კოლონიების არსებობა დასტურდება როგორც საისტორიო წყაროების ცნობებით, ისე მცხეთის რაიონში აღმოჩენილი ეპიგრაფიული ძეგლებით. (მცხეთაში არსებულა ცალკე „უბანი ჰურიათა“, და საისტორიო წყაროს ჩვენებით „მკვდრ იყვნეს მცხეთას შინა ფრიალნი ერნი ჰურიათანი“. ებრაული კოლონიები ყოფილა მცხეთას გარეთაც; ასე, საქართველოში არსებულა ცალკე ებრა-

ული თემი ხერკში, აგრეთვე ებრაული კოლონია მოხსენებელია ურზნისში, კარსანში, ბოდბეში, კოდის-წყაროში, სობისში, ციხე-დიდში).

საქართველოში მოსახლე ებრაელობა ადრევე გაქართველებულა და მათ ეწოდებოდათ „ჭურჩიანი ქართველნი“ (ერთ ტექსტში — „აღწერილი სიდონი-აღსი“ — ქართველი ებრაელები პირდაპირ ჩათვლილად ქართველებად).

ქართველ ებრაელთა შორის ადრიდანვე გავრცელებულა ქრისტიანობა. აღსანიშნავია, რომ ქართული წყაროების ცნობით, ნინოს უახლოესი თანამშრომელი ქრისტიანობის გავრცელების საქმეში ყოფილან ქართველი ებრაელები. ქართველები და ქრისტიანობის მიმდევარი ქართულ-ებრაული წრეები გაერთიანებული იყვნენ მცხეთის ქართული ქრისტიანული ეკლესიის ფარგლებში.

ქართული და ებრაულ-ქრისტიანული წრეების ახლო ურთიერთობის შესახებ საყურადღებო ჩვენებებს შეიცავს ნინოს ცხოვრების ვერსიები.

აღსანიშნავია, რომ ნინოს ცხოვრების ვერსიებს გასდევს გარკვეული ტენდენცია, მიმართული ქართველ ებრაელთა რეაბილიტაციისაკენ. ნინოს ცხოვრების აღმწერი იმ აზრს ატარებს, რომ ქართველი ებრაელები „უდანაშაულონი“ არიან ქრისტეს წინაშე, რომ ქართველი ებრაელები არ არიან თანაზიარი ებრაელობისა ქრისტეს სიკვდილით დასჯის საქმეში, და რომ ქართველი ებრაელები თავიდანვე ქრისტიანობისაკენ მიდრეკილი იყვნენ. (ქართველ ებრაელთა ამ რეაბილიტაციას ისახავს მიზნად ნინოს ცხოვრების ავტორი, როდესაც აგვიწერს ელიოზის დედის მიერ დამოდღვრას თავის შვილსა; ელიოზის დედის გარდაცვალებას; ელიოზის, ლონგინოზ კარსანელის, თაღენას და მისაელის მოგზაურობას პალესტინაში და პალესტინიდან ქრისტეს კვართის მოტანას; ელიოზის დღს აშბავს, და სხვ.).

ამგვარი ტენდენცია ნინოს ცხოვრებისა, მიმართული ქართველ ებრაელთა რეაბილიტაციისაკენ, პირველის შეხედვით სრულებით უცნაურია საშუალო-საუწყუნეთა ქრისტიანულ თხზულებაში, მაგრამ ეს გასაგები ხდება მას შემდეგ, როცა გავითვალისწინებთ ამ ტენდენციის მთავარ მიზანს: ეს არის არსებითად ცდა თვით ქართული ეკლესიის რეაბილიტაციისა; რამდენადაც ქართული ქრისტიანობა უძველეს ხანაში ებრაულ ქრისტიანობასთან იყო დაკავშირებული, ნინოს ცხოვრების ავტორი, ქართველ ებრაელთა რეაბილიტაციის გზით ისახავს მიზნად მოახდინოს რეაბილიტაცია ქართული ეკლესიისა და ქართული ქრისტიანობის უძველესი ტრადიციებისა.

არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ ამასთან ერთად, რომ ქართულ-ებრაულ ახლო ურთიერთობას უძველეს ხანაში მოწმობს ძველ-ქართული საეკლესიო ტერმინოლოგია, ასე, ტერმინი „სიონი“. თვით გადმოცემა პირველი ქრისტიანული ეკლესიისა აშენების შესახებ საქართველოში, მოთხრობა მცხეთის პირველი ტაძრის „ახალი სიონი“-ს შესახებ, — იმავე ქართულ-ებრაულ ტრადიციებთან არის დაკავშირებული.

ასეთ პირობებში, როდესაც ვითვალისწინებთ ქართული ქრისტიანობის უძველეს ტრადიციებს, გასაგები ხდება ახლო ურთიერთობა ქართული და ქართულ-ებრაული წრეებისა კერძოდ ლიტერატურის დარგში, და პირველ რიგში

ის გარემოება, რომ ქართული ბიბლია, როგორც ირკვევა, თავდაპირველად ებრაულიდან ყოფილა თარგმნილი.

რომ ბიბლიის „კანონი“, ბიბლიური წიგნთა შემადგენლობა და თანრიგი ქართული ბიბლიის უძველეს ვერსიაში იგივე იყო, როგორცაჲ ჩვენ ებრაულ ბიბლიაში ვხედავთ, ეს ცხადი ვახდება ჩვენთვის, როდესაც განვიხილავთ ბიბლიის წიგნთა შემადგენლობას (იხ. ქვემოთ, შენიშვნა 2, ბიბლიის ძველ-ქართული ვერსიები).

აქ საჭიროა აღვნიშნოთ დამატებით, რომ იმავე წინოს ცხოვრებაში დაცულია უღარესად საყურადღებო ჩვენებაანი, რომელიც არქაულ ეპოქაში არსებული ქართულ-ებრაული ლიტერატურული ურთიერთობის გამოძახილს წარმოადგენს.

წინოს ცხოვრებაში მოიხსენიება ქართველი ებრაელი აბიათარი, რომელსაც ეწოდება „ახალი პავლე“, და რომელიც წარმოდგენილია როგორც ბიბლიის მცოდნე სჯულის მეცნიერი, „რომელი ფრიად მეცნიერი იყო ძუელისა შჯულისა“ (ე. ი. ბიბლიისა), — წინოს ცხოვრების სიტყვით.

წინოს ცხოვრებაში აბიათარის შესახებ აღნიშნულია, რომ „მირიან მეფე... მარადის ჰკითხავნ ჰურიან-ყოფილსა აბიათარს ძუელთა და ახალთა წიგნთასა“. აბიათარი წინოს ცხოვრებაში წარმოდგენილია როგორც უახლოესი თანამშრომელი და თანამოღვაწე წინოსი ქრისტიანობის ქადაგების საქმეში. (წინოს ცხოვრებას ვერსიაში, რომელიც ქართლის ცხოვრების კრებულშია შეტანილი, ვკითხულობთ: „აბიათარი მღვდელი, ახალი იგი პავლე, რომელი უშიშად და უცხრომელად ქადაგებდა ქრისტესა ჯუარცუმულსა, რომელი ფრიადი მეცნიერი იყო ძუელისა შჯულისა (ბიბლიის წიგნთა), და ახალი ესე სჯული ესწავა წინოსაგან, და უმეტეს წინოსასა ამხილებდა ყოველსა კაცსა და ასწავებდა ქეშმარიტსა ჯუარცუმულსა ქრისტესა“.).

რომ ქართულ-ებრაული წიგნები ანლო თანამშრომლობას ეწეოდნენ ქართველებთან ლიტერატურის დარგში, და რომ ქართველ ებრაელებს თავისი წვლილი შეუტანიათ ქართული მწერლობის განვითარების საქმეში, ამისი მაჩვენებელია თუნდაც ის ტრადიცია, რომელიც აბიათარსა და მასთან ერთად ქართველ ებრაელ ქალს სიდონიას (აბიათარის ასულს) წარმოავდიდებს პირველ ქართველ ქრისტიან მწერლებად. აბიათარს და სიდონიას მიეწერება მთელი წყება ფსევდო-ეპიგრაფიკულ ტექსტებისა ქრისტიანობის გავრცელების შესახებ საქართველოში (იხ. „აღწერილი აბიათარ ჰურიანსა, რომელი იყო პირველ მღვდელი ბაგინსა შინა ჰურიანთასა მცხეთას და ნათელ ილო...“ თავი იბ; „მეორე თქმული მისივე აბიათარ მღვდლისაჲ კუართისათჳს უფლისა...“; „რომელი აღწერა დედაკაცმან ჰურიანმან სახელით სიდონია, ასულმან აბიათარ მღვდლისამან“, თავი ზ; „თქმული მისივე სიდონიასი“. თავი ლ; „აღწერილი მისივე სიდონიასი, რომელი იხილა და აღწერა [მოქცევაჲ მირიან მეფისაჲ]“, თავი თ; „მისივე აღწერილი აღშენებისათჳს ეკლესიასა“ [თავი ი]; „თქმული მისივე [სასწაულთათჳს სუეტისა ცხოველისა]“, თავი ია).

დასასრულ, ცალკეა აღსანიშნავი მეტად საყურადღებო ცნობა, რომლის მიხედვითაც აბიათარ ყოფილა ავტორი საისტორიო თხზულებისა: ცხო-

რება და მოქცევა ქართლისა და მოთხრობა ნათესავობისა, და თუ რომელი რომელთა ტომთანი ვართ, ანუ თუ ვითარ მოვიქცით და მივიღეთ სჯული ქრისტეანობისა... აღწერილი აბიათარისი“ (იხ. ზე-მთ, გვ. 321, და შენიშვნა 15, გვ. 354 — 355).

II

ბიბლიის ძველ-ქართული ვერსიები I

(შენიშვნა 2, გვ. 280 — 281)

იმ განსაკუთრებული ინტერესის გამო, რომელსაც წარმოადენს ბიბლიის ძველ-ქართული ვერსიები ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით, ჩვენ აქ წარმოვადგენთ ბიბლიის ყველა არსებული ტექსტების რედაქციულ კლასიფიკაციას.

ეს მით უფრო აუცილებელი ჩანს, რომ სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე არ ყოფილა სათანადოდ გაშუქებული რედაქციული დიფერენციაცია ტექსტებისა, და ბიბლიის ვერსიები მიჩნეული იყო ძირითად ფენაში ერთი დროსა და ერთი წარმოშობის ძეგლებად, ამ დროს როდესაც ქართულ ბიბლიას, როგორც ირკვევა, უარესად რთული ისტორია ჰქონია.

ჩვენ დრომდე მოღწეული ბიბლიის ძველ-ქართული ტექსტები, როგორც ირკვევა, შემდეგ ჯგუფებად უნდა დანაწილდეს:

1. არქაული ვერსიები. შეიცავს ძირითადში მე-4—5 საუკუნის ტექსტებს, ნაწილობრივ რედაქტირებულს შემდეგს საუკუნეებში.

2. „მცირე კანონი“-ს ლექციონარი დაბადებითგან. მე-6 — 7 საუკ.

3. „დიდი კანონი“-ს ლექციონარი დაბადებითგან. მე-8 საუკ.

4. გიორგი მთაწმინდელისა: ლექციონარი დაბადებითგან და დავითნი. მე-11 საუკ.

5. არსენი იყალთოელისა: ბიბლიის ოც-და-ორი წიგნი (პირველი ნაწილი ბიბლიისა, გარდა წინასწარმეტყველთა და დავითნისა). მე-11 — 12 საუკ.

6. გელათელი ანონიმისა: წინასწარმეტყველნი. 12 საუკ.

7. იოანე კიმჭიმელისა: ეკლესიასტე. 12 საუკ.

8. არსენი თარგმანისა: ქება-ქებათა. 12—13 საუკ.

1. არქაული ვერსიები

ბიბლიის წიგნთა არქაული ვერსიები, როგორც აღვნიშნეთ, ძირითადში შეიცავს მე-4—5 საუკუნის ტექსტებს, რომელთაც მიმდევრო საუკუნეებში განუცლიათ რედაქციული ცვლილებანი სხვადასხვა სახისა და სხვადასხვა მოცულობისა.

ეს არქაული ვერსიები ორ ძირითად რედაქციად ნაწილდება. ამათგან, როგორც პირველ რედაქციას, ისე მეორე რედაქციას მოეპოვება ქვე-რედაქციული განშტოებანი.

სახელდობრ, არსებული დედნები წარმოგვიდგენენ შემდეგს რედაქციულ დიფერენციაციას:

1 ამ მიმოხილვაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს საკუთრივ ბიბლია, გარდა „ახალი აღ-
თქმის“ წიგნებისა.

ა. პირველი რედაქცია.

პირველი რედაქცია წარმოდგენილია სამი დენით, რომელთაც ვაერთებთ A ჯგუფის სახელწოდებით:

A¹ = ხელნაწერი საქართველოს მუზეუმისა № 51/A, ძირითადი ნაწილი. შეიცავს 18 ტექსტს: გამოსლვათა (ნაწილი)¹, ლევიტელთა, რიცხვთა, მეორე სჯული, ისუ ნავესი, მსაჯულთა. რუთი, მეფეთა I—IV, ეზრა I (არაკანონიკური), ნეემია, ესთერი (ძველ ებრაულს მიმდგომი მოკლე ვერსია), იობი, ივანე სოლომონისნი, ეკლესიასტი, ქებათა-ქება.

A² = ხელნაწერი საქ. მუზეუმისა № 104/S: რიცხვთა.

A³ = ეგვიპტური პალმფესტიები (ამჟამად დაკული ბრიტანეთის ოქსფორდის ბოლდენისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების წიგნთსაცავებში); შეიცავს იერემია წინასწარმეტყველის ტექსტს. უძველესი ფრაგმენტი ქართული ბიბლიისა (ტექსტი ხანმეტურია).

ბ. პირველი რედაქციის განშტოებანი.

პირველი რედაქციის ქვე-რედაქციული განშტოებანი წარმოდგენილია თერთმეტი დენით, რომელთაც ვაერთებთ a ჯგუფის სახელწოდებით:

a¹ = ხელნაწერი საქ. მუზეუმისა № 646/A. შეიცავს ტექსტებს: მეფეთა I—IV, ნეშტთა I—II, ესთერი, ტობია, ივლითი, ეზრა I (არაკანონიკური), ეზრა კანონიკური, ნეემია.

a² = ხელნაწერი ქუთაისის მუზეუმისა № 28. შეიცავს ტექსტებს: შესაქმე, გამოსლვათა, ლევიტელთა, რიცხვთა, მეორე სჯული.

a³ = ხელნაწერი ქუთაისის მუზეუმისა (მე-9 — 10 საუკუნის ფრაგმენტი ასომთავრულით): შესაქმე².

a⁴ = ეზრაძინური ფრაგმენტი: მეფეთა IV³.

a⁵ = იერუსალიმური ხელნაწერი №113/3: მეფეთა I—IV.

a⁶ = ხელნაწერი საქ. მუზეუმისა № 51/A, მეორე ნაწილი: ნეშტთა I—II, ეზრა კანონიკური, ტობია, ივლითი, ესთერის შემატებანი (ლუკიანეს ვერსიით), სიბრძნე სოლომონისი.

a⁷ = ბაქარისეული ბიბლიის 7 ტექსტი: გამოსლვათა, ლევიტელთა, რიცხვთა, მეორე სჯული, ისუ ნავესი, მსაჯულთა, რუთი.

a⁸ = ხელნაწერი საქ. მუზეუმისა № 1207/H: გამოსლვათა (ნაწილი)⁴, ლევიტელთა, რიცხვთა, მეორე სჯული.

a⁹ = ხელნაწერი საქ. მუზეუმისა № 243/A: მეორე სჯული.

a¹⁰ = ხელნაწერი საქ. მუზეუმისა № 885/H: მეორე სჯული, ისუ ნავესი, მსაჯულთა, რუთი, იობი, (დფეექტი), ნეშტთა I—II, ესთერი, ტობია, ივლითი, ეზრა I (არაკანონიკური), ეზრა კანონიკური, ნეემია.

a¹¹ = ხელნაწერი საქ. მუზეუმისა № 570/A: მეფეთა III—IV, ნეშტთა I—II, ესთერი, ტობია, ივლითი, ეზრა I (არაკანონიკური), ეზრა კანონიკური, ნეემია.

ხელნაწერები a⁸, a⁹, a¹⁰, a¹¹ — რედაქციულად ახლო დგანან ერთმეორესთან. დანარჩენები უფრო დაცილებულია ერთმეორესს.

¹ „გამოსლვათა“ წიგნი 51/A ხელნაწერში ორი განსხვავებული რედაქციის ვაერთიანებას წარმოადგენს: ნაწილი შეიცავს არქაული ვერსიის პირველი რედაქციის ტექსტს, ხოლო ნაწილი არსენი იყალთოელის ტექსტს.

² ეს საუკრადღებო ფრაგმენტი გელათიდან არის ჩამოტანილი ქუთაისის მუზეუმში. (როდესაც ჩვენ ეს ხელნაწერი ვაგვინჩეთ, იგი ჯერ კიდევ არ იყო შეტანილი კატალოგში და სამუზეუმო ნომრით აღნიშნული; ამის გამოა, რომ ეს ხელნაწერი უნომროდ გვაქვს აქ მოხსენებული).

³ იხ. H. Mapp, Эпигнадзьянский фрагмент... (ХВ, II, стр. 378—388).

⁴ „გამოსლვათა“ წიგნი 1207/H ხელნაწერში აგრეთვე წარმოადგენს ორი განსხვავებული რედაქციის ვაერთიანებას: ნაწილი შეიცავს არქაული ვერსიის პირველი ქვე-რედაქციის ტექსტს, ხოლო ნაწილი არსენი იყალთოელის ტექსტს.

გ. მეორე რედაქცია.

მეორე რედაქცია წარმოდგენილია ცნობილი იერუსალიმური ხელნაწერით (№1/7—11), რომელსაც აღვნიშნავთ ლიტერით B.

შეიცავს შემდეგს ტექსტებს: (თავი აკლია), 12 მცირე წინასწარმეტყველნი, ესაია, იერემია, ბარუქი, გოდებანი, ებისტოლე იერემიასი, იეზეკიელი, დანიელი, ეზრა I (არაკანონიკური), ნეემია, ეზრა IV (ბოლო აკლია).

დ. მეორე რედაქციის განშტოება.

მეორე რედაქციის ქვე-რედაქციული განშტოება წარმოდგენილია ორი დედნით, რომელთაც ვაერთებთ ხ ჩვეუთს სახელწოდებით:

h¹ = ოშური (ათონური) ხელნაწერი, რომელიც შეიცავს ტექსტებს: შესაქმე, გამოსლვათა, ლევიტელთა, (დეფექტი), მსაჯულთა, რუთი, იობი, მეფეთა I—IV, იგავნი სოლომონისნი, ეკლესიასტე, ქებათა-ქება, სიბრძნე სოლომონისი, სიბრძნე ზირაქისი, 12 მცირე წინასწარმეტყველნი, ესაია, იერემია, ბარუქი, გოდებანი, ებისტოლე იერემიასი, იეზეკიელი, დანიელი, ეზრა I (არაკანონიკური), ეზრა კანონიკური (გამოკრებელი), ნეემია, ეზრა IV, ესთერ-მარდოქე, იედითი, ტობია.

h² = ხანმეტი ესაია, დაცული საქ. მუზეუმის პალიმფსესტების კოლექციაში¹.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ ქართული ბიბლიის არქაული ვერსიების ისტორიისათვის ინტერესს წარმოადგენს მე-10 საუკუნის ქართული მწერლის იოანე-ზოსიმეს ტექსტი: „წიგნი ბექდულნი ძუელისა შკელისანი“. იოანე-ზოსიმეს ეს ტექსტი ორ სიას შეიცავს. პირველ ძირითად სიას აღვნიშნავთ ლიტერით Z; მეორე სიას (დაძაბების სახით დართულს არ-შიაზე) — Z¹.

Z-ში წიგნები ჩამოთვლილია ასეთი თანამიმდევრობით: დაბადება, გამოსლვათა, ლევიტელთა, რიცხეთა, მეორე სჯული, ისუ ნავესი, მსაჯულთა, რუთი, მეფეთა, (I—IV), ნეშტა (I—II), ეზრა (I—II, ე. ო. პირველი არა კანონიკური, და მეორედ — კანონიკური), დანიელი, ესთერ-მარდოქე, ფსალმუნნი, იგავნი, < სიბრძნე სოლომონისი >, ისუ ზირაქი, ეკლესიასტე, ქებათა-ქება, 12 წინასწარმეტყველნი, ესაია, იერემია, ბარუქი, გოდებანი, იეზეკიელი, იობი.

Z¹-ში ჩამოთვლილია ბიბლიის მხოლოდ მეორე ნაწილის წიგნები, ასეთი თანამიმდევრობით: იობი, დავითნი, იგავნი, ეკლესიასტე, ქებათა-ქება, სიბრძნე სოლომონისი, ეზრა, ესთერი, იედითი, ტობია, ისუ ზირაქი, 12 წინასწარმეტყველნი, ესაია, < იერემია >, ბარუქი, გოდებანი, ებისტოლე იერემიასი, იეზეკიელი, დანიელი.

¹ ბიბლიის არქაული ვერსიების ზემოთ ჩამოთვლილი 17 დედნის გარდა მოიპოვება კიდევ რამდენიმე დედანი, რომელთა რედაქციული კუთვნილება გამორკვეული არა გვაქვს:

ა. სინური ხელნაწერი №34/19: შეიცავს შესაქმის ფრაგმენტს.

ბ. საქ. მუზეუმის ხელნაწერი № 1085/A: შეიცავს გამოსლვათა ფრაგმენტს.

გ — ე) დაბადების სამი არახანმეტური პალიმფსესტები, დაცული საქ. მუზეუმის პალიმფსესტთა კოლექციაში.

ამას გარდა, რამდენიმე შენიშვნა „დავითნის“ ხელნაწერებზე.

დავითნის ტექსტი ჩვეულებრივ არ შეჰქონდათ ბიბლიის კრებულებში, რადგან დავითნი ცალკე ხელნაწერების სახით იყო გავრცელებული. ბიბლიის კრებულში დავითნი გვხვდება მხოლოდ ერთხელ (51/A ხელნაწერში). შეიცავს გიორგი შთაწმინდელის ტექსტს.

რაც შეეხება დავითნის ცალკე ხელნაწერებს, ასეთები მრავლად შენახულა. დავითნის არქაული ვერსიები წარმოდგენილია ხელნაწერებში: სინური № 1 (კილისა), 29/4, 2, 3, 22/5, საქ. მუზეუმის ხელნაწერი 38/A (სამეცნიერო გამოცემა), საქ. მუზეუმის ხელნაწერები 5222/S, 5223/S, 5161/S, 1090/A, 1798/H, საქ. ცენტრ. არქივის ხელნაწერი № 171, ათონური ხელნაწერი № 2 და სხვ.

ქართული ბიბლიის არქაული ვერსიების ხელნაწერებისა და რედაქციული დიფერენციაციის მიმოხილვის შემდეგ ჩვენ აქ შევეხებით ძირითად საკითხს, თუ როგორი იყო არქაული ქართული ვერსიის თავდაპირველი „კანონი“, წიგნთა შემადგენლობა და თანრიგი.

დღენების შესწავლიდან ირკვევა, რომ ბიბლიის არქაული ქართული ვერსია თავდაპირველად შეიცავდა 23 წიგნს, შემდეგი თანრიგით:

I ჯგუფი [სჯულდება]

1. შესაქმე
2. გამოსლვათა
3. ლევიტელთა
4. რიცხვთა
5. მეორე სჯული

II ჯგუფი [წინასწარმეტყველნი]

[ა] პირველნი წინასწარმეტყველნი

6. ისუ ნავესი
7. მსაჯულთა
8. ზეფთა I—II
9. ზეფთა III—IV

[ბ] შემდგომნი წინასწარმეტყველნი:

10. 12 მცირე წინასწარმეტყველნი
11. ესაია
12. | იერემია
- | ბარუქი
13. იეზეკიელი

III ჯგუფი [მაგობრაფთა]

14. რუთი
15. იობი

- | | |
|--|--------------|
| <ol style="list-style-type: none"> 16. დავითნი 17. იგავნი 18. ეკლესიასტე 19. ქებათა-ქება 20. გოდებანი | ¹ |
|--|--------------|

21. | ეზრა I (არაკანონიკური)
- | ნეემია
22. დანიელი
23. ესთერი.

¹ ხუთი წიგნი, მე-16 დან მე-20-მდე (ე. ი. დავითნი, იგავნი, ეკლესიასტე, ქებათა-ქება და გოდებანი) შემდეგ ზეით გადლუტანიათ, ამრიგად: პირველი ოთხი (ე. ი. დავითნი, იგავნი, ეკლესიასტე, ქებათა-ქება) მოუთავსებიათ მე-9-ს შემდეგ (ე. ი. „ზეფთა“-ს შემდეგ), ხოლო მე-ხუთე (ე. ი. გოდებანი) მოუთავსებიათ მე-12-ს (ე. ი. ბარუქის) შემდეგ.

საკმაოა გადავხედოთ ამ სიას, რათა ჩვენთვის ცხადი გახდეს, რომ ბიბლიის არქაული ქართული ვერსია ორგანულად უკავშირდება ებრაულ ბიბლიას¹.

ამავე დროს არქაული ქართული ვერსია არსებითად დამორბეულია ბერძნულ სექტანტის:

1) ბერძნულ სექტანტაში, როგორც ცნობილია, არის მთელი რიგი ზედმეტი წიგნებისა, რომელიც ქართულ ბიბლიაში თავდაპირველად არ ყოფილა (ისევე როგორც არც ებრაულ ბიბლიაშიაც არ მოიპოვება ეს წიგნები).

2) ამას გარდა წიგნების თანრიგი ქართულ ბიბლიაში სულ სხვა ყოფილა ვიდრე სექტანტაში (როგორც ცნობილია, სექტანტაში წიგნები დალაგებულია განსხვავებული თანამიმდევრობით, ოთხ ჯგუფად: სჯულდება, ისტორიული წიგნები, სამოძღვრო წიგნები და წინასწარმეტყველნი).

აღსანიშნავია, რომ შემდგომ ხანაში ქართული ბიბლიის რედაქტორებს ნაწილობრივ შეუფარდებიათ წიგნების თანრიგი ბერძნულთან, მაგრამ ეს შეთანხმობა ბოლომდე არაა მიყვანილი. სახელობრ, ხუთი წიგნი: დავითნი, ივანე, ეკლესიასტე, ქებათა-ქება და გოდებანი აღრევე გადაუტანიათ ბოლოდან (მესამე ჯგუფიდან) შუა ნაწილში (იხ. ზემოთ, გვ. 334, სქემა, და შენიშვნა 1.) ხოლო რაც შეეხება ჰაგიოგრაფიის განყოფილების დანარჩენ ექვს წიგნს (ე. ი. რუთი, იობი, ეზრა, ნეემია, დანიელი, ესთერი) — ჩვენ გვაქვს გარკვეული ჩვენება, რომ ეს ექვსი წიგნი არათუ თავდაპირველად, არამედ შემდეგ ხანაშიაც ბოლოში იყო მოთავსებული (ე. ი. მესამე ჯგუფში, ჰაგიოგრაფიის განყოფილებაში), ისევე როგორც ეს ებრაულ კანონშია მიღებული².

ამრიგად, უშუალო კავშირი ქართული ბიბლიისა ებრაული ბიბლიის ტრადიციასთან — უდავოა.

¹ ებრაულთან აახლოებს ქართულ ბიბლიას როგორც წიგნთა თანრიგი (დანაწილება სამ ჯგუფად), ისე წიგნთა შემადგენლობა. წიგნთა შემადგენლობის მხრით მხოლოდ შემდეგი სხვაობაა: 1. ქართულში არ ყოფილა თავდაპირველად უკანასკნელი წიგნი „ნეშტა“ (რომელიც „მეფეთა“-ს პარალელურ ტექსტს შეიცავს); 2. ეზრა კანონიკურის ნაცვლად არის ეზრა I არაკანონიკური (ეს შესაძლოა მეორადი მოვლენა იყოს); 3. იერემიას შემდეგ ჩართულია ბარუქი.

² რომ კერძოდ წიგნები: ეზრა, ნეემია, დანიელი და ესთერი — ქართული ბიბლიის ბოლოს, ე. ი. მესამე ჯგუფს (ჰაგიოგრაფიის განყოფილებას) ეკუთვნის, ეს ჩანს შემდეგიდან:

ა) ეზრა, ნეემია და ესთერი ბოლოში (მესამე ჯგუფის ადგილას) არის მოთავსებული ბიბლიის ძველ კოდექსებში: ოსკურში (ბ¹) და იერუსალიმურში (B).

ბ) Z-ში, ისტორიულ წიგნთა წყებაში ესთერი თან ერთად მოთავსებულია დანიელი (იმ დროს როდესაც სექტანტის დანაწილების თანახმად ესთერი და დანიელი სხვადასხვა ჯგუფებს ეკუთვნიან). აქედან ცხადია, რომ ქართულ ბიბლიაში ესთერი და დანიელი თავდაპირველად ჰაგიოგრაფიის მესამე განყოფილებაში ყოფილან მოთავსებული, რადგან მხოლოდ აქ შესაძლოა შეხვედროდნენ ერთმანეთს ესთერის და დანიელის ტექსტები; როგორც ცნობილია, ებრაულ ბიბლიაში მესამე ჰაგიოგრაფიულ განყოფილებაში ესთერი და დანიელი მართლაც ერთმეორის მიღვევებით იწერებოდა.

რაც შეეხება რუთისა და იობის წიგნებს, რომ ეს ორი წიგნიც ქართული ბიბლიის ბოლოს, ე. ი. მესამე ჯგუფს (ჰაგიოგრაფიის განყოფილებას) ეკუთვნის, ეს დასტურდება შემდეგიდან:

ა) იობის წიგნი Z-ს კანონში მოთავსებულია ბოლოში (მესამე ჯგუფის ადგილას), ებრაული კანონის განლაგების შესაბამისად.

ბ) ქართული ბიბლიის პირველი და მეორე ქვე-რედაქციის ხელნაწერებში (იხ. ხელნაწერები ა¹ და ბ¹) ისტორიულ წიგნთა წყებაში ერთად არის მოთავსებული რუთი და იობი (იმ დროს როდესაც სექტანტის დანაწილებით რუთი და იობი სხვადასხვა ჯგუფებს ეკუთვნიან). აქედან ირკვევა, რომ ქართულ ბიბლიაში რუთი და იობი თავდაპირველად ჰაგიოგრაფიის მესამე განყოფილებაში ყოფილან მოთავსებული, რადგან მხოლოდ აქ შესაძლოა შეხვედროდნენ ერთმანეთს რუთის და იობის ტექსტები; როგორც ცნობილია, ებრაულ ბიბლიაში მესამე ჰაგიოგრაფიულ განყოფილებაში რუთი და იობი მართლაც ერთ წყებაში იყვნენ მოთავსებული.

არქაული ქართული ბიბლია, რომელიც, როგორც ირკვევა, ძირითადად ებრაული ბიბლიის ვანშტოებს წარმოადგენდა, შემდეგ თანდათან შეუქნიათ ახალი წიგნებით.

თავდაპირველად ეს თერის წიგნის შესახებ.

ესთერის წიგნი, როგორც ცნობილია, სამი სხვადასხვა რედაქციით არის შენახული: 1 მოკლე ძველებრაული ვერსია; 2. ლუკიანეს ვერსია; 3. სეპტანტის ვერსია.

ქართულ ბიბლიაში თავდაპირველად მოთავსებული ყოფილა მოკლე ძველებრაული სიმღვამი ტექსტი. მას შემდეგ ქართულად უთარგმნიათ დანარჩენი რედაქციებიც, ე. ი. ლუკიანეს ვერსია და სეპტანტის სიმღვამი ტექსტი.

პირველი ძველებრაული სიმღვამი ვერსია დაცულია პირველი რედაქციის ხელნაწერში A¹. მეორე, ლუკიანეს ვერსია დაცულია პირველი რედაქციის განშტოების ხელნაწერებში (ა ქვეყნის ხელნაწერები). მესამე — სეპტანტის სიმღვამი ვერსია დაცულია მეორე რედაქციის განშტოების ხელნაწერში (ბ¹).

გარდა ესთერის ვერსიებისა, ქართულად უთარგმნიათ შემდეგი წიგნები, რომლებშიც ქართული ბიბლიის პირვანდელ შემადგენლობაში არ ყოფილა:

- ნეშტა I და II¹
- ეზრა კანონიკური 2
- ეზრა IV³
- ივლითი⁴
- ტობია⁴
- ეპისტოლე იერემიასი⁵
- სიბრძნე სოლომონისი⁶
- სიბრძნე ზირაქისი⁶

ქართველ ავტორებს უთარგმნელად დაუტოვებიათ არაკანონიკური მკაბელთა წიგნები (და აგრეთვე არაკანონიკური აპოკრიფი ეზრა III).

ამ დამატებით წიგნთა თარგმანებში, ჩანს, შესრულებული ყოფილა არა უკვიანეს მე-5 — 6 საუკუნეებისა, რადგან თარგმანებში მიღებულია ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი წარმართული ხანდან შერჩენილი საკულენდარო ტერმინოლოგია.

ჩვენ ამაზე დავამთარგმნებთ ქართული ბიბლიის არქაული ვერსიების მიმოხილვას.

რაც შეეხება ქართული ბიბლიის შემდგომდროინდელ ვერსიებს, მათ შესახებ დავამაყოფილდებით მოკლე შენიშვნებით.

¹ ნეშტა I და II არის ა ქვეყნის ხელნაწერებში და Z-ში. არ არის ბ ქვეყნში. (რედაქციული დიფერენციაციის მიხედვით არ უნდა ყოფილიყო აგრეთვე A-ში და დეფექტურად დაცულს B-ში).

² კანონიკური ეზრას ტექსტი სრულად არის წარმოდგენილი ა ქვეყნის ხელნაწერებში, ხოლო შემოკლებული სახით ბ-ში. კანონიკური ეზრა არ არის B-ში და Z-ში (რედაქციული დიფერენციაციის მიხედვით არ უნდა ყოფილიყო აგრეთვე A ქვეყნში).

³ ეზრა IV არის B და ბ ქვეყნებში, არაა ა ქვეყნის ხელნაწერებში და Z-ში (არ უნდა ყოფილიყო, რედაქციული დიფერენციაციის მიხედვით, აგრეთვე A ქვეყნში).

⁴ ივლითი და ტობია არის ა და ბ ქვეყნებში და Z²-ში. არაა Z-ში (რედაქციული დიფერენციაციის მიხედვით არ უნდა ყოფილიყო A-ში. არა ჩანს, დეფექტების გამო, იყო თუ არა B-ში).

⁵ ეპისტოლე იერემიასი არის B და ბ ქვეყნებში და Z²-ში, არაა Z-ში (არა ჩანს, დეფექტების გამო, იყო თუ არა A და ა ქვეყნებში).

⁶ სიბრძნე სოლომონისი და სიბრძნე ზირაქისი არის ბ¹-ში, Z-ში და Z²-ში (აგრეთვე, სპორადული სახით, ხელნაწერ 51/A-ს არა ძირითად ფენში). არაა ა ქვეყნის ხელნაწერებში. არ უნდა ყოფილიყო, რედაქციული დიფერენციაციის მიხედვით, A-ში. გამოურკვეველია, დეფექტების გამო, იყო თუ არა B-ში.

2. „მცირე კანონი“-ს ლექციონარი

მე-6—7 საუკუნეთა მიჯნაზე, როგორც ეს გამოჩევილი გვაქვს სპეციალურ გამოკვლევაში, ქართულად შემოღებულ იქნა „მცირე კანონი“¹. ამავე ხანებში, შეფარდებით „მცირე კანონ“-თან შეუდგენიათ ლექციონარი, საკითხავები ბიბლიიდან („ძველი და ახალი აღთქმის“ წიგნებიდან).

ჩვენს დრომდე მოღწეულა ფრაგმენტი ასეთი ლექციონარისა, მე-7 საუკუნის ხანმეტე პალიმფსესტი (საქ. მუზეუმის ხელნაწერი № 999 ბ/Н), რომელშიაც დატულია საკითხავები: შესაქმიდან (თავები: IX, XVII), სოლომონის იგავთაგან (თავი IX), და აგრეთვე მათედან (თავები XXIV—XXVI, ეგრეთ წოდებული „ქანქარა“).

ლექციონარის შედგენის დროს საფუძვლად აუღიათ ბიბლიის არქაული ვერსიის ტექსტები, მაგრამ მასში შეუტანიათ ზოგიერთი სტილისტური ცვლილებანი.

3. „დიდი კანონი“-ს ლექციონარი

მე-8 საუკუნის ნახევარში საქართველოში ნაცვლად „მცირე კანონი“-სა შემოღებულ იქნა „დიდი კანონი“ („იერუსალემის განჩინება“).

„დიდი კანონ“-ში შეტანილია ვრცელი ლექციონარი ბიბლიისა, ე. ი. ბიბლიის ტექსტები, წლის მანძილზე ცალკე საკითხავების სახით დანაწილებული².

„დიდი კანონი“-ს რედაქტორებს ლექციონარის შედგენის დროს უსარგებლიათ ქართული ბიბლიის არქაული ვერსიებით, მაგრამ ტექსტი საგრძობლად არის გადაშუშავებული³.

4. გიორგი მთაწმიდელის ლექციონარი გიბლიითან და დანიშნენ

მე-11 საუკუნეში განთქმულმა ქართველმა მწერალმა გიორგი მთაწმინდელმა, როგორც გადმოგვცემს მისი ბიოგრაფი, ქართულად თარგმნა ბერძნულიდან „საწინასწარმეტყველო საწველიწლო“.

ამ ძეგლის ჩვენს დრომდე მოღწეულ მე-11 საუკუნის ხელნაწერის ანდერაში (იხ. ხელნაწერი საქ. მუზეუმისა № 1350/Н) აგრეთვე დადასტურებულია გიორგი მთაწმინდელის ავტორობა; ანდერაში აღნიშნულია, რომ „საწველიწლო საწინასწარმეტყველო, წესსა ზედა ბერძულსა“ არის „ახალ თარგმნილი გიორგი მთაწმინდელისა, სრული ყოვლითურთ და უნაკლულთა“.

„საწველიწლო საწინასწარმეტყველო“ წარმოადგენს ლექციონარს ბიბლიიდან, ცალკე საკითხავების სახით დანაწილებულს წლის მანძილზე. „საწინასწარმეტყველო“ ეწოდება იმის გამო, რომ აქ სქარბობს საკითხავები „წინასწარმეტყველოთ“ წიგნებისა, მაგრამ ამასთან ერთად აქ მოყვანილია საკითხავები ბიბლიის ყველა დანარჩენი წიგნებიდან⁴.

გიორგი მთაწმინდელი ამ შრომის შესრულების დროს მოქცეულა ისევე, როგორც ის მოქცეა სახარების თარგმნის დროს, ე. ი. ცდილა არ დაშორებოდა ძველ ტრადიციას; გიორგი

¹ იხ. ჩვენი გამოკვლევა: „ძველ ქართული წარმართული კალენდარი“ (საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. VI, ტფ. 1931, გვ. 400—415).

² ლექციონარში, გარდა საკუთრივ ბიბლიის წიგნებისა, ჩართულია აგრეთვე საკითხავები „ახალი აღთქმიდანაც“.

³ „დიდი კანონი“, ბიბლიის ლექციონარით, ჩვენს დრომდე მოღწეულა მთელი რიგი ხელნაწერების სახით:

1. კალის ხელნაწერი მე-8—9 საუკუნისა (დატულია სვანეთში, სოფ. კალაში),
2. ლაპლის ხელნაწერი მე-10 საუკუნისა (დატულია სვანეთში, სოფ. ლაპილში),
3. სინური ხელნაწერი № 37/30 982 წლისა,
4. პარიზის ეროვნული წიგნთსაცავის ხელნაწერი № 3 (ancien fonds) — მე-11 საუკუნისა (საქ. მუზეუმში მოიპოვება მისი ფოტოპირი),

და ამას გარდა მთელი რიგი ფრაგმენტები (მათ შორის პალიმფსესტები).

⁴ „საწინასწარმეტყველოში“ ჩართულია აგრეთვე საკითხავები „ახალი აღთქმიდანაც“.

მთაწმიდელს საფუძვლად აუღია ბიბლიის არქაული ვერსიების ტექსტი, რომელიც „შეუწამებია“ ბერძნულთან და სტილისტურად გადამუშავებია ბერძნულთან უფრო ზუსტი შესატყვისობის მისაღწევად.

გარდა ბიბლიის ამ ვრცელი ლექციონარისა, გიორგი მთაწმიდელს უთარგმნია ცალკე წიგნად „დავითნი“, იმავე მეთოდით, ე. ი. ძველი ქართული ტექსტებისთვის ანგარიშის გაწეით¹.

5. არსენი იყალთოელის თარგმანები

გიორგი მთაწმიდელის შემდეგ ქართული ბიბლიოლოგიის დარგში მუშაობას აწარმოებს არსენი იყალთოელი, ზღ-XI—XII საუკუნის მწერალი, ქართული ჰუმანისტური სკოლის გამოჩენილი მოღვაწე, გელათის აკადემიის ცნობილი ხელმძღვანელი.

არსენი იყალთოელის ღვაწლი ქართული ბიბლიის ისტორიაში გამოირკვა მას შემდეგ, რაც ჩვენ დავადგინეთ, რომ ჩვენს დრომდე მოღწეული ხელნაწერი ბიბლიისა 1108/A (პირველი ნაწილი), რომელიც გელათის წიგნთსაცავში ინახებოდა, და რომელსაც ამის გამო „გელათურ ბიბლიას“ ეუწოდებთ, წარმოადგენს არსენი იყალთოელის ავტოგრაფს.

ამ ავტოგრაფული ხელნაწერისა, ბაქარისეული ბიბლიის ტექსტისა და სხვა მასალების შედარებით ანალიზის საფუძველზე გამოირკვა, რომ არსენი იყალთოელს მართლაც დიდი შრომა ჩატარებია ამ დარგში; არსენი იყალთოელს ხელახლა უთარგმნია ქართულად მთელი ბიბლია, გარდა წინასწარმეტყველთა და დავითნისა.

არსენი იყალთოელის თარგმნილი ტექსტებიდან ჩვენს დრომდე მოღწეულა შემდეგი 22 ტექსტი:

შესაქმე, გამოსლვათა, ლევიტელთა, რიცხვთა, მეორე სჯული, ისუ ნავესი, მსაქულთა, რუთი, მეფეთა I—IV, ნეშტთა I—II, ეზრა I—II, ნეემია, იობი, იგავნი სოლომონისნი, ეკლესიასტე, ქებათა-ქება, სიბრძნე სოლომონისნი².

არსენი იყალთოელის ეს თარგმანი შესრულებულია მე-11—12 საუკუნეთა საზღვარზე, 1003 წელზე უფრო ადრე (ავტოგრაფული ხელნაწერი არსენისა 1103 წლის უწინარეს არის გადაწერილი).

თარგმანი შესრულებულია ბერძნული სეპტანტიდან. არსენი, თარგმნის დროს, ბუნებრივია, ითვალისწინებდა ყველა არსებულ ქართული ვერსიების ტექსტებს და ანგარიშს უწევდა მათ, მაგრამ მაინც არსენი უფრო თავისუფლად ეკიდება ტრადიციას და ნაკლებ ემორჩილება მის, ვიდრე, მაგალითად, გიორგი მთაწმიდელს.

ბიბლიის თარგმანი არსენის ავტოგრაფულ ხელნაწერში წარმოადგენს სამეცნაერო გამოცემას, თარგმანს დართული აქვს ვრცელი კომენტარები, ეგზეგეტიური კატეხეზები, აგრეთვე ბერძნულიდან გადმოღებული.

¹ აქ საჭიროა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ გიორგი მთაწმიდელზე ადრე დავითნი უთარგმნია იმავე მთაწმიდელთა სკოლის მეორე ცნობილ ავტორს — ეფთიმე მთაწმიდელს, მაგრამ ეფთიმეს ეს თარგმანი აღარ გამოუშვია ვასაერცელებლად ერთი განსაკუთრებული შემთხვევის გამო. გიორგი მთაწმიდელი მის მიერ თარგმნილ დავითნის ანდერძში მოკეთობრობს, რომ ეფთიმე მთაწმიდელმა „დავითნი სთარგმნა, და მწერალს ვისმე მისცა დაწერად (ე. ი. ვადასაწერად), და მან ვანრჳჳუნა და უქმარ ჳჳი, და მვირითგან სხუთა არალარა სთარგმნა, არამედ ქართულნი დავითნი თანა ესხნიან, და სადაცა სიტყუაა ეკმარებოდა, მუნით იწამის“. („ქართულნი დავითნი“ — ეწოდებოდა ამ ხანაში დავითნის ძველ-ქართულ ვერსიებს).

ეფთიმეს მიერ თარგმნილი დავითნის ტექსტი, არც შუი პირველ-დედანი, და არც ვადამწერლის მიერ „განრჳჳენილი“ (ე. ი. გადაკეთებულ-შესწორებული), ჩვენს დრომდე არ შენახულა.

რაც შეეხება გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილ დავითნის ტექსტს, მან კანონიზაცია მიიღო და შეცვალა ძველ-ქართული თარგმანები. გიორგი მთაწმიდელის თარგმანი მოღწეულა მთელი რიგი ხელნაწერების სახით.

² ამას გარდა არსენი იყალთოელს, საფიქრებელია, თარგმნილი ჰქონდა ბიბლიის ამავე ნაწილის დანარჩენი ტექსტებიც: ესთერი, ივლითი, ტობია (და აგრეთვე შესაძლოა ისო ზირაქი და ნაპაღენი), მაგრამ ეს ტექსტები ჩვენს დრომდე არ მოღწეულა.

არსენი იყალთოელის მიერ თარგმნილ ბიბლიის ტექსტს, როგორც ირკვევა, საკმაოდ ფართო გავრცელება მოუღია; მას თუმცა არ შეუცვლია ძველ-ქართული ბიბლიის არქაული ვერსიები (რომლებიც ძველი ტრადიციით იყო დაქანონებული და ავტორიტეტით მოსილი), მაგრამ ამ არქაული ვერსიების გვერდით არსენის ტექსტიც პარალელურად ყოფილა მიღებული.

არსენი იყალთოელის თარგმნილი ტექსტები დატულია შემდეგს დედნებში:

1. არსენის ავტოგრაფში 1108/A: ლეიტელთა, რიცხვთა, მეორე სჯული, ისე ნავესი, მსაქულთა, რუთი.

2. ბაქარისეულ ბიბლიაში: შესაქმე, მეფეთა I—IV, ნეშტთა I—II, ეზრა I—II, ნეემია, იობი, ივანე სოლომონისნი, ეკლესიასტე, ქებათა-ქება, სიბრძნე სოლომონისი¹.

3. საქ. მუზეუმის ხელნაწერებში 179/A: შესაქმე და გამოსლავთა.

4. საქ. მუზეუმის ხელნაწერში 1207/H: შესაქმე და გამოსლავთა (ნაწილი)².

5. საქ. მუზეუმის ხელნაწერი 51/A: შესაქმე და ნაწილი გამოსლავთა².

6. ჩინარეთები ოშკური ბიბლიისა (ხელნაწერები საქ. მუზეუმისა 471/A და 422—397/S, პირები ოშკური ბიბლიისა; არსენისეული ტექსტებით შეესებულია ის ადგილები, რომლებიც ოშკურ ბიბლიას აკლდა).

7. გელათური პირი: რიცხვთა, მეორე სჯული, ისე ნავესი, მსაქულთა.

6. გელათური ანონიმის თარგმანები

არსენ იყალთოელის შრომა გაუგრძელება მე-12 საუკუნის ქართველ მწერალს, რომლის ენათბა უცნობია, და რომელსაც ჩვენ გელათელ ანონიმს ვეძახით. სტილის მიხედვით ეს მწერალი ეკუთვნის გელათის აკადემიის სალიტერატურო სკოლას, რომელიც დააფუძნეს იოანე ფილოსოფოსმა და არსენი იყალთოელმა.

ამ გელათელ ანონიმს ბიბლიიდან უთარგმნია წინასწარმეტყველთა ტექსტი, ე. ი. სწორედ ის ნაწილი, რომელიც არსენი იყალთოელის შრომას აკლდა.

გელათელი ანონიმის ეს შრომა, აგრეთვე ავტოგრაფის სახით მოღწეული, დატულია არსენი იყალთოელის ავტოგრაფთან ერთად, იმავე ხელნაწერ კრებულში 1108/A (ორივე ავტოგრაფი, არსენისა და გელათელი ანონიმისა, ინახებოდა გელათის წიგნოსაცავში).

თარგმანი შესრულებულია ბერძნული სეპტანტის მიხედვით. შეიცავს შემდეგ ტექსტებს: ესაია, იერემია, გოდებანი იერემიასნი, ბარუქი, ებისტოლე იერემიასი, იეზეკიელი, დანიელი, 12 მცირე წინასწარმეტყველნი (ოსე, იოველი, ამოსი, აბდია, იონა, მიქია, ნაუმი, ამბაკომი, სოფონია, ანგია, ზაქარია, მალაქია).

თარგმანს, თითოეული ავტორის წინ, დართული აქვს შესავალი განმარტებითი ბართი. დართული აქვს აგრეთვე სქოლიოები.

•

აქ საჭიროა შევეხოთ გელათელი ანონიმის „წინასწარმეტყველთა“ ტექსტის შემდგომ ისტორიასაც.

მე-18 საუკუნის 10-იან წლებში სულხან-საბა ორბელიანის მოთავეობითა და უახლოესი მონაწილეობით შემდგომიან ბიბლიის გამოცემას ტფილისში.

¹ ბაქარისეული ბიბლიის რედაქტორები, როგორც გამორკვეული გვაქვს, იცნობდნენ „გელათურ ბიბლიას“, რომელშიაც შეტანილია არსენის ავტოგრაფი. ბაქარისეულ გამოცემაში მოთავსებულ არსენის ტექსტებს საფუძვლად დასდებდა თვით ეს არსენისეული ავტოგრაფი, ტექსტი აუწყევით ავტოგრაფიდან ამოღებული ფურცლებიდან (ავტოგრაფს ამჟამად აკლია სწორედ ის ნაწილი, რომელიც შესულია ბაქარისეულ გამოცემაში).

² ნაწილი „გამოსლავთა“ ამ ხელნაწერში არქაული ვერსიის (პირველი ქვე-რედაქციის) მიმდგომ ტექსტს შეიცავს.

³ ამ ხელნაწერშიაც ნაწილი „გამოსლავთა“ შეიცავს არქაული ვერსიის (პირველი ქვე-რედაქციის) მიმდგომ ტექსტს.

განზრახული ყოფილა ბიბლიის ორ ტომად გამოცემა: პირველად უნდა გამოსულიყო წინასწარმეტყველნი და „ახალი აღთქმის“ წიგნები, ხოლო მეორედ — ბიბლიის პირველი ნაწილი ვიდრე წინასწარმეტყველებამდე.

სულხან-საბა ორბელიანს წინასწარმეტყველთა ტექსტის სასტამბოდ გასამზადებლად აღუიარა გელათელი ანონიმის ზემოთ ხსენებული ავტოგრაფული ხელნაწერი, დაუუკია ხელნაწერის ტექსტი თავებად და მუხლებად, და შეუტანია ტექსტში ზოგიერთი უმნიშვნელო, არასრებითი ხასიათის რედაქციული ცვლილებანი (ავტოგრაფულ ხელნაწერში თავებად და მუხლებად დაყოფა და სარედაქციო შესწორებანი ჩანიშნულია თვით საბას ხელით). შემდეგ გელათელი ანონიმის ეს ავტოგრაფული ხელნაწერი, გასწორებული და დასაბეჭდად გაწყობილი საბას მიერ, გადაუციათ სტამბში და ამ დედნიდან აუწყვიათ ტექსტი (ხელნაწერს ატყვია სტამბაში აწყობის ნიშნები, სტამბური ლაქები).

უკვე დაბეჭდილი ყოფილა წინასწარმეტყველთა ტექსტი მთლიანად და აგრეთვე ნაწილი „ახალი აღთქმის“ ტექსტისა, როდესაც საბას, 1716 წელს ევროპიდან დაბრუნების შემდეგ, მოუხვეწეს დევნა.

ხელმძღვანელმა კლერიკალურმა წრეებმა საეკვოდ ჩათვალეს ქართული ბიბლიის ტექსტი, რომლის რედაქცია ჩატარებული იყო კათოლიკობისადმი მიდრეკილი საბას მიერ, და ბიბლიის დაბეჭდილ ნაწილს აუტოდაფე გაუმართეს, დასწვეს.

ამრიგად, ბიბლიის ტფილისური გამოცემა აღარ განხორციელდა და დაბეჭდილი ნაწილი დაიღუპა.

მინც საბას და მის მგობრებს გადაურჩენიათ დამეჭდილი ნაწილის ზოგიერთი ცალკე.

ერთი ასეთი ნაბეჭდი ცალი შენახულა ბიბლიის ხელნაწერში 51/A (ეს ხელნაწერი 51/A გადაწერილობა საბას, აუტოდაფეს შემდეგ, მე-18 საუკუნის ათიანი წლების დასასრულს; ბიბლიის პირველი ნაწილი ვიდრე წინასწარმეტყველებამდე გადაწერილია ხელით, ხოლო ამის შემდეგ ჩართულია ის ნაწილი ბიბლიისა, რომელიც უკვე დაბეჭდილი იყო, ე. ა. წინასწარმეტყველნი სრულად და ნაწილი „ახალი აღთქმისა“. ბოლოში დართულია კონკორდანსი, შედგენილი საბას მიერ და გადაწერილი თვით საბას ხელით).

ეგზემპლარი ბიბლიის ამ ტფილისური გამოცემისა, რომელიც დაწვეს ტფილისში (ე. ა. წინასწარმეტყველნი და „ახალი აღთქმის“ ნაწილი) ხელში ჰქონია აგრეთვე ბაქარისეული ბიბლიის გამოცემელ კომისიას, როდესაც ბაქარის მოთავეობით შეუდგნენ ბიბლიის ბეჭდვის მოსკოვში. ბიბლიის ბაქარისეულ 1743 წლის გამოცემაში წინასწარმეტყველთა ტექსტი უცვლელად არის გადმობეჭდილი ამ ტფილისური გამოცემიდან, რომელიც საბას რედაქციით არის დამზადებული.

ამრიგად, მე-12 საუკუნის ქართველი მწერლის გელათელი ანონიმის მიერ თარგმნილი წინასწარმეტყველთა ტექსტი საში დედნის სახით არის მოღწეული: ავტოგრაფი მე-12 საუკუნისა, ტფილისური გამოცემა მე-18 საუკუნის ათიანი წლებისა და ბაქარისეული გამოცემა 1743 წლისა¹.

7 — 8. იოანე მიმვიმელისა „ეკლესიასტი“. არსენი თარგმანისა „ძებათა-ძება“.

მე-12 საუკუნეში ქართველმა მწერალმა, რომელიც იოანე ფილოსოფოსი კიმვიმელის სახელით არის ცნობილი, თარგმნა ბერძნულიდან ქართულად კომენტარი ეკლესიასტიისა — მიტროფანე ზმირნელისა და ოლიმპიოდორე ალექსანდრიელისა. კომენტარებთან ერთად იოანეს უთარგმნია ბერძნულიდან თვით „ეკლესიასტის“ ტექსტი.

¹ ტფილისურსა და ბაქარისეულ გამოცემებს მნიშვნელობა ენიჭებათ გელათელი ანონიმის წინასწარმეტყველთა ტექსტის სრულად აღდგენაში, რადგან მე-18 საუკუნის შემდეგ ავტოგრაფული ხელნაწერის ცალკეული ნაწილები დაკარგულა და ამჟამად ავტოგრაფში ტექსტი ნაკლულევანად არის დაცული.

მას შემდეგ, მე-12 საუკუნის დასასრულსა და მე-13 საუკუნის პირველი ნახევრის ქართველ შწერალს არსენის, რომელიც თარგმანის (ე. ი. კომენტატორის) სახელით არის ცნობილი, ქართულად შეუდგენია კომენტარი ჭებათა-ქებისა, და ამასთან დაკავშირებით მასაც ახლად უთარგმნია ბერძნულიდან ქართულად „ჭებათა-ქების“ ტექსტი.

ბიბლიის წიგნთა ამ თარგმანებს სპეციალური დანიშნულება ჰქონდათ. იოანე კიმპიმელსა და არსენის „ეკლესიასტე“ და „ჭებათა-ქება“ არ გამოუშვიათ ცალკე, არამედ მარტოოდენ კომენტარების თანამყოლი ტექსტების სახით ჰქონდათ მოცემული. ბიბლიის კრებულებში იოანე კიმპიმელისა და არსენის თარგმანები არ შესულა.

იოანე კიმპიმელისა და არსენის ამ ტექსტებით სრულდება ბიბლიური წიგნების თარგმნა ქართულს ენაზე ძველი ქართული ლიტერატურის კლასიკურ ეპოქაში.

III

ოთხთავის ძველ-ქართული ვერსიები

(შენიშვნა 3, გვ. 145).

„ოთხთავი“, აგრეთვე მნიშვნელოვანი ძველი უძველესი ხანის ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით, როგორც ირკვევა, ისეთივე რთული ისტორიის მქონეა, როგორც ბიბლიის პირველი ნაწილი; იგი არაერთგზის უთარგმნიათ ქართულად.

ოთხთავის ჩვენ დრომდე მოღწეული ვერსიები შემდეგ რედაქციებად ნაწილდება:

IV — V საუკ.

1. ხანშეტი პირველი („ევანგელიმ“).
2. ხანშეტი მეორე (პადიშურის მიმდგომი).
3. ხანშეტი მესამე (არქაული ლექციონარისა).

V—VI საუკ.

4. ხანშეტი მეოთხე („საბაწმინდური“).

VI—XI საუკ.

5. საბაწმინდურის „განშტოებანი“.

X — XI საუკ.

6. ეფთიმე მთაწმიდელისა.
7. გიორგი მთაწმიდელისა.

XI—XII საუკ.

8. არსენი იყალთოელისა.
9. იოანე კიმპიმელისა.
10. პავლე გელათელისა.

ქართული ოთხთავის არქაულ ვერსიებს გიორგი მთაწმიდელის ცნობილ ანდერძში ეწოდება „ხანმეტი“.

ეს სახელწოდება, როგორც ცნობილია, აღნიშნავს ამ არქაულ თარგმანთა ენის თავისებურებას, ეგრეთწოდებულ „ხანმეტობას“, რაც ახასიათებდა ქართულ სალიტერატურო ენას უძველეს ხანაში.

ჩვენ ვტოვებთ ამ ტერმინს „ხანმეტი“ ქართული არქაული რედაქციების აღსანიშნავად. ქარლული მწერლობის არქაული ეპოქიდან ჩვენს დრომდე მოღწეულა ოთხთავის სამი თარგმანი, შესრულებული სხვადასხვა სალიტერატურო სკოლებში:

1. პ ი რ ვ ე ლ ი ტ ე ქ ს ტ ი: „ე ვ ა ნ გ ე ლ ი მ“. მოღწეულა ფრაგმენტის სახით. იგი დაუკლავა ჰადიმური ოთხთავის დამატებაში („სტოვასა მას აღსამაღლებელისა ევანგელიმ მარკონის თავისაჲ“). ეს არის უძველესი ტექსტი ქართული ოთხთავისა, რომელიც ყველაზე მერჯიანად სხვაობას შეიცავს მომდევნო რედაქციებთან შედარებით.

2. მ ე ო რ ე ტ ე ქ ს ტ ი (ჰ ა დ ი მ შ უ რ ი ს მ ი მ დ გ ო მ ი). მეორე რედაქცია ქართული ოთხთავისა წარმოდგენილია სამ ხანმეტურ პალიმფსესტში:

ხანმეტი ოთხთავი — ხელნაწერი საქ. მუზეუმისა 999—ა/H.

ხანმეტი ოთხთავი — ხელნაწერი საქ. მუზეუმისა 844—ბ/H.

ხანმეტი ოთხთავი — ხელნაწერი სვანური (ახლად აღმოჩენილი).

ამას გარდა, მეორე რედაქციის ეგვიპტური წარმოდგენილია უძველეს თარიღიან ოთხთავის ხელნაწერში, ეგრეთ წოდებულ ჰადიმურში¹.

ამ მეორე რედაქციის მთარგმნელი იცნობს პირველი რედაქციის „ეევანგელიმ“-ს ტექსტს, არის შეხვედრა ცალკე წაკითხვებში, მაგრამ სხვაობა მათ შორის იმდენად არსებითია, რომ ამ ორი რედაქციის სახით ჩვენ გვაქვს ორი სავსებით დამოუკიდებელი თარგმანი.

3. მ ე ს ა მ ე ტ ე ქ ს ტ ი — ა რ ქ ა უ ლ ი ლ ე ქ ე ო ნ ა რ ი ს ა.

დაუკლავა ხანმეტი პალიმფსესტში 1445/H (ხელნაწერი საქ. მუზეუმისა; წარმოადგენს ლექციონარს ოთხთავიდან).

ტექსტი ამ მესამე რედაქციისა განსხვავდება სხვა ცნობილი რედაქციებიდან.

4. „საბაწმიდური“ (V—VI საუკ.)

გიორგი მთაწმიდელი, თავის ცნობილ ანდერძში, მოგვითხრობს რა ოთხთავის ძველქართულ თარგმანთა შესახებ, ცალკე აღნიშნავს ძველ-ქართულ თარგმანს: „ს ა ბ ა წ მ ი დ უ რ ი“.

თუ სახელდობრ რომელ რედაქციას მიემართებოდა ეს სახელწოდება, „საბაწმიდური“, დღემდე გაურკვეველად თვლებოდა სამეცნიერო ლიტერატურაში.

მაგრამ ამ საკითხის გადაჭრა ხერხდება ოთხთავის ერთი ხელნაწერის მიხედვით, რომლის ანდერძში პირდაპირ აღნიშნულია, რომ იგი დაიწერა „დ ე დ ი ს ა გ ა ნ ს ა ბ ა წ მ ი დ ი ს ა, განგებნასა ზედა ბერძულსა“².

სახელწოდება „საბაწმიდური“ წარმოსდგება პალესტინის „საბაწმიდის“ საეპარქიისად, სადაც აღრიცხვით არსებობდა ქართული კოლონია, და რომელიც ქართული მწიგნობრობის მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა ადრეულ საშუალო საუკუნეებში.

თარგმანი „საბაწმიდური“ სახარებისა შესრულებული ყოფილა საბაწმიდაში, ბერძნული ენიდან, მე-5—8 საუკუნეთა მიჯნაზე. ყოველ შემთხვევაში ეს თარგმანი არაა უგვიანესი მე-6 საუკუნისა, რადგან მე-6 საუკუნის ქართულ ძეგლებში ჩვენ უკვე გვაქვს ციტატები სახარებიდან „საბაწმიდური“ რედაქციის მიხედვით.

ჩვენს დრომდე გადარჩენილი უძველესი ხელნაწერები საბაწმიდური ოთხთავისა ეკუთვნის მე-6 — 7 საუკუნეებს.

¹ აქ საკიროა აღვნიშნოთ, რომ ჰადიმური ხელნაწერი შეიცავს ამ მეორე რედაქციის ტექსტს თავის ძირითად ნაწილში (ამას გარდა ჰადიმურში არის ნაწილი, რომელიც ახლო უდგება საბაწმიდურს და ამ უკანასკნელიდან მომდინარეობს).

² იხ. ჩვენს წერილი „ხანმეტი და საბაწმიდური“ (ენიშენის მოამბე, V).

ოთხთაის ამ ოთხი სხედასხვა თარგმანიდან, რომელიც არსებულა ქართულ ენაზე მე-4—6 საუკუნეებში, საბოლოო კანონიზაცია მიუღია „საბაწმინდური“ რედაქციას.

„საბაწმინდური“ ტექსტი ფართოდ ვრცელდება და საერთო ხმარებაში არის მე-6 საუკუნე-ნიდან მოკიდებული მე-11 საუკუნემდე, ვიდრე იგი მე-11 საუკუნის ნახევრიდან არ შეცვალა გიორგი მთაწმიდელის ახალმა თარგმანმა.

„საბაწმინდური“ რედაქცია წარმოდგენილია როგორც ოთხთაის კოდექსებში მე-6—11 საუკუნეებისა, ის „მცირე კანონი“-ს ლექციონარში (რომელიც მე-6—7 საუკუნეთა მიჯნაზე იყო შემოღებული) და აგრეთვე „დიდი კანონი“-ს ლექციონარში (რომელიც მე-8 საუკუნიდან შემოდის ხმარებაში).

ვიძლევით აქ „საბაწმინდური“ რედაქციის ძირითადი დედნების ჩამოთვლას:

ა) ოთხთაის კოდექსები:

1. ხანშეტი პალიმფესტი VI—VII საუკ. (საქ. მუზ. ხელნ. 89/A).
2. ხანშეტი პალიმფესტი VI — VII საუკ. (საქ. მუზ. ხელნ. 844 — გ/H).
3. ოპიზური 913 წლისა (ათონის კოდექცია).
4. შატბერდული 936 წლისა (საქ. მუზ. ხელნ. 1660/H).
5. შატბერდული 973 წლისა (საქ. მუზ. ხელნ. 1453/A).
6. ტბეთური 995 წლისა (ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის კოდექცია № 222 ი. ბ. ფ.).
7. პარხალური მე-9—10 საუკ. (საქ. მუზ. ხელნ. 4927/S).
8. ურბნისული მე-9—10 საუკ. (საქ. მუზ. ხელნ. 28/A).
9. ქსნის-ხევეური მე-9—10 საუკ. (საქ. მუზ. ხელნ. 509/A).
10. მარიაშის-სავანისა მე-9—10 საუკ. (საქ. მუზ. ხელნ. 98/A).
11. გაბრიელისეული მე-9—10 საუკ. (საქ. მუზ. ხელნ. 405/S, 359/A).
12. „ანბან-დიდი“ მე-9—10 საუკ. (საქ. ცენტრ. არქ. № 107).
13. რაქული (წესური) მე-9—10 საუკ. (ქუთ. მუზ. ხელნ. № 176).
14. სვანური (ქურაშული) მე-10 საუკ.
15. სვანური (ტვიბერული) მე-10 საუკ.
16. ტფილისური 1008 წლისა (ქუთ. მუზ. ხელნ. № 363).
17. ომური 1033 წლისა (დაცულა სვანეთში, მესტიაში).
18. ტყონდილური 1050 წლისა (საქ. მუზ. 391/S, 367/A).
19. პალესტინური 1048 წლისა (საქ. მუზ. ხელნ. №1741/H).
20. შავშთური 1054 წლისა (საქ. მუზ. ხელნ. 962/S და 1287—ა/A) ¹.

ბ) „მცირე კანონი“ ლექციონარები:

1. ლექციონარი ჰემეტი VII ს. (პალიმფს. საქ. მუზ. 1329/H).
2. ლექციონარი ხანშეტ-ჰემეტი VII ს. (ვრაცის ხელნაწერი).
3. ლექციონარი ხანშეტი VII ს. (პალიმფს. საქ. მუზ. 999—ბ/H).

გ) „დიდი კანონი“-ს ლექციონარი:

„დიდი კანონი“-ს ხელნაწერთაგან უძველესია კალური ხელნაწერი მე-8—9 საუკუნისა. („დიდი კანონი“-ს ხელნაწერთა ნუსხა იხ. ზევით, გვ. 337, შენიშვნა ზ).

მოყვანილი სიიდან ცხადია, თუ რამდენად ფართო გავრცელება ჰქონია საბაწმინდური ტექსტი (— იგი ხმარებაში ყოფილა საქართველოს ყველა პროვინციაში და აგრეთვე ქართულ საზღვარგარეთულ კოლონიებში), ამასთან რამდენად ხანგრძლივი ყოფილა ამ ტექსტის გავლენა (მე-6-დან— მე-11 საუკუნემდე).

¹ ამას გარდა საბაწმინდური ოთხთაის კოდექსი წარმოდგენილია მთელი რიგი ფრაგმენტების სახით. (საბაწმინდური ოთხთაის კოდექსები წარმოდგენილი უნდა იყოს აგრეთვე სინური კოდექციის ხელნაწერებში №№ 15/8, 38/12, 30/11 და 16/17, რომლებიც ამჟამად ჩვენთვის მისაწვდომი არ არის).

აღსანიშნავია, რომ აქ ჩამოთვლილი დედნები „საბაწმინდური“ ოთხთავისა ტექსტულებად არ ფარავენ სრული ზედმიწევნითობით ერთმეორეს. როგორც ჩანს, საბაწმინდური ოთხთავის ტექსტს საუკუნეთა განმავლობაში განუცდია ცვლილებანი, სხვადასხვა სალიტერატურო სკოლებში მოუხდენიათ მისი ნაწილობრივი გადაშუშვება-რედაქტირება, მაგრამ ეს რედაქციული შესწორებანი არ მიდის იმდენად შორს და მათ უფრო სპორადიული ხასიათი აქვთ; ყველა ამ დედნის სახით ძირითადად ჩვენ გვაქვს ერთი და იმავე თარგმანის, „საბაწმინდური“ ტექსტის განშტოებანი.

6—7. მარგმანები ეფთიმე მთაწმიდელისა და გიორგი მთაწმიდელისა (X—XI საუკ.)

ათონის სალიტერატურო სკოლამ, როგორც ცნობილია, ჩაატარა რევიზიონისტული მუშაობა, ხელახლა თარგმნა ქართულად მთელი რიგი წინათ არსებული ძეგლებისა ანდა „განახალა“ ძველი ხანიდან ნაანდერძები სალიტერატურო ძეგლები.

ამგვარი მუშაობა ჩატარებულ იქნა პირველ რიგში ოთხთავის¹ მიმართ.

პირველად ეს მუშაობა ჩაატარა ათონის სალიტერატურო სკოლის ფუძემდებელმა, გამოჩენილმა მწერალმა ეფთიმე მთაწმიდელმა (958—1028 წ.), რომელმაც ახლად თარგმნა ქართულად ოთხთავის ტექსტი.

ეფთიმესეული ოთხთავი დატულია საქ. მუზეუმის ხელნაწერში 484/A. ამას გარდა ეფთიმესეული ვერსია მათეს და იოანეს თავისა წარმოდგენილა ეფთიმეს მიერ თარგმნილ იოანე ოქროპირის კომენტარებთან ერთად, როგორც კომენტარების თანამყოლი ტექსტი).

მაგრამ ეფთიმე მთაწმიდელის თარგმანს არ მიუღია ფართო გავრცელება. ეს უნდა აიხსნას იმით, რომ ამ თარგმანის გამოქვეყნების დროს ათონის სალიტერატურო სკოლა ჯერ კიდევ „ახალწერი“ იყო, ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოპოვებული იმდენად ფართო გავლენა, და ეფთიმესეულმა ახალმა თარგმანმა ვერ დაჩრდილა ძველი „საბაწმინდური“ რედაქციის ტექსტი, რომელსაც შრავალსაუკუნოვანი ტრადიცია ჰქონდა და ავტორიტეტით იყო მოსილი.

უფრო გვიან, მე-11 საუკუნის შუა წლებში, ათონის სკოლის მეორე გამოჩენილმა მწერალმა გიორგი მთაწმიდელმა ხელახლა თარგმნა ქართულად ოთხთავი. გიორგი მთაწმიდელს ეს თარგმანი შეუსრულებია ტრადიციის ანგარიშ-გაწევით. გიორგი მთაწმიდელს საფუძვლად აუღია „საბაწმინდური“ ოთხთავის ტექსტი, რომელიც „მუეწამებია“ მე-11 საუკუნეში საბერძნეთში გავრცელებულ დედანთან, და სტილისტურად „განუახლებია“ იგი იმრიგად, რომ გიორგი მთაწმიდელის ეს ახალი თარგმანი არ არის ისე არსებითად დაცილებული ძველ ტრადიციას.

გიორგი მთაწმიდელის ამ ახალმა თარგმანმა, რომელიც, უნდა აღინიშნოს, ბრწყინვალე კლასიკური ქართულით არის შესრულებული, საბოლოოდ გაიმარჯვა და მან დაივიწყა ძველი თარგმანების ადგილი.

¹ აქ საჭიროა დამატებით აღვნიშნოთ შემდეგი:

„საბაწმინდური“ ტექსტი, თავდაპირველად, ცხადია, ხანმეტური და ჰემეტური ორთოგრაფიით იწერებოდა (იხ. ზემოთ მოყვანილ სიაში პირველი ორი ოთხთავის კოდექსი და „მცირე კანონი“-ს ლექციონარები).

მაგრამ შემდეგ, როდესაც ხანმეტ-ჰემეტობა ხმარებიდან გამოვიდა, „საბაწმინდური“ ტექსტი იწერებოდა ახალი ორთოგრაფიით (ისევე, როგორც ამას ვხედავთ ყველა სხვა ძეგლების მიმართაც). IX—XI საუკუნის ხელნაწერებში „საბაწმინდური“ ტექსტის შემტველი ხელნაწერები უკვე ახალი ორთოგრაფიით არის წარმოდგენილი.

ამიტომაც გიორგი მთაწმიდელი, როდესაც იგი XI საუკუნის ნახევარში ეხება სახარების რედაქციებს, ცალკე მოიხსენიებს ძველ „ხანმეტ“ ტექსტებს და ცალკე ასახელებს „საბაწმინდური“ ტექსტს, რადგან „საბაწმინდური“, როგორც საერთო ხმარებაში მიღებული რედაქცია, ამ დროისათვის გავრცელებული იყო არა „ხანმეტური“ სახით, არამედ ახალი ორთოგრაფიით იყო წარმოდგენილი.

XI—XII საუკუნის ქართული ჰუმანისტური სკოლის მწერლებმა — არსენი იხალთოელმა, იოანე ჰიმომელმა და პავლე გელათელმა თარგმნეს ბერძნულიდან ქართულად კომენტარები სახარებისა და კომენტარებთან დაკავშირებით განმარტებით თარგმნეს თვით ოთხთავის ცალკე წიგნები, როგორც კომენტარების თანამყოლი ტექსტი.

ეს ძეგლებია:

არსენი იხალთოელისა: კომენტარი იოანეს სახარებისა (იოანე ოქროპირით). კომენტართან ერთად თარგმნილია იოანეს სახარების ტექსტი.

იოანე ჰიმომელისა: კომენტარი მარკოზის და ლუკას სახარებისა (თეოფილაქტე ბულდარელით). კომენტართან ერთად თარგმნილია მარკოზის და ლუკას სახარების ტექსტები.

პავლე გელათელისა: კომენტარი იოანეს თავისა (თეოფილაქტე ბულდარელით). კომენტართან ერთად თარგმნილია იოანეს სახარების ტექსტი.

ამ თარგმანებს არ ჰქონდათ დამოუკიდებელი მნიშვნელობა, არამედ ვიწრო სპეციალურ მიზანს ემსახურებოდნენ, როგორც კომენტარების თანამყოლი დანართი (თვით ავტორებს არ გამოუშვიათ ეს თარგმანები ცალკე წიგნებად, კომენტარებისაგან დაშორებით).

ამის შემდეგაც ფართო საყოველთაო ხმარებაში ისევე რჩება გიორგი მთაწმიდელის თარგმანი, რომელმაც საბოლოო კანონიზაცია მიიღო.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ არსენი იხალთოელისა, იოანე ჰიმომელისა და პავლე გელათელის ეს თარგმანები, შედარებით გიორგი მთაწმიდელის თარგმანთან, მეტი ხელოვნურობით არის აღბეჭდილი (განსაკუთრებით უკანასკნელი ორისა), რაც გამოწვეულია ბერძნულთან სრული შესატყვისობის მიღწევის მიზნით. გიორგი მთაწმიდელის თარგმანი უფრო ბუნებრივი ქართული კოლორიტით არის აღბეჭდილი.

არსენი იხალთოელისა, იოანე ჰიმომელისა და პავლე გელათელის დასახელებული თარგმანებით სრულდება ოთხთავის ტექსტების თარგმნა ძველ-ქართულ მწერლობაში.

IV

უძველესი ჰაგიოგრაფიული ძეგლების დათარიღებისათვის

(შენიშვნა 4, გვ. 146 — 147).

ქართულ ენაზე მოღწეული უძველესი ნათარგმნი ჰაგიოგრაფიული ძეგლების დათარიღება მოჭირბადა მას შემდეგ, რაც ჩვენი უავარკვევით ძველ-ქართული კალენდრის ისტორია¹, და აგრეთვე დაედგინეთ ზოგიერთი სხვა ძირითადი საქართველოში მაჩვენებელი.

ჰაგიოგრაფიული ტექსტები, ამ სათარიღო მაჩვენებელთა მიხედვით, ნაწილდება შემდეგ ჯგუფებად:

a.

ნაწარმოებნი, რომლებშიაც მიღებულია წარმართული ხანიდან მომდინარე კალენდარი, და რომლებიც ეკუთვნის უფრო ადრინდელ დროს, ვიდრე საქართველოში რომაული კალენდარი იქნებოდა შემოღებული. ამის მიხედვით, ჭეშმომთ ჩამოთვლილი 15 ძეგლი თარიღდება IV—VI საუკუნეებით:

¹ იხ. ჩვენი წერილი: „ძველ-ქართული წარმართული კალენდარი“ (საქართველოს მუზეუმის შოაბე, ტ. VI და VII).

1. მარტილობა კალისტრატესი; 2—3. სტეფანე პირველ-მარტილის შესახები ორი ტექსტი (მარტილობა სტეფანესი და პოვნა სტეფანეს ნაწილთა); 4—6. კირილე იერუსალიმელის სამი საკითხავი (გამოჩინება ჯვარისა, რომელი გამოუჩნდა დიდსა კონსტანტინეს, პოვნა ჯვარისა, პოვნა სამსჭუალთა); 7. ცხოვრება კოზმან-დამიანესი; 8. მარტილობა კოზმან-დამიანესი; 9. მარტილობა ქრისტეფორესი — პირველი ვერსია; მარტილობა ქრისტეფორესი — მეორე ვერსია; 11. წამება ბიკტორისი—პირველი ვერსია; 12. მარტილობა თაღლელოსის; 13. მარტილობა ქუსტოსი და თანამოღვაწეთა; 14. მარტილობა ევბოლოსი და თანამოღვაწეთა; 15. მარტილობა სპევსიპესი და თანამოღვაწეთა.

b.

ნაწარმოებნი, რომლებშიაც პარალელურად იხმარება წარმართული და რომაული კალენდარი. ამის მიხედვით ქვემოთ დასახელებული 3 ძეგლი VI—VII საუკუნეებით თარიღდება:

1. მარტილობა პროკოპისი; 2. ბიოგრაფია პავლესი (მოციქულთა წიგნის სამეცნიერო გამოცემიდან); 3. მარტილობა ფილეკტემონისი.

c.

ნაწარმოებნი, რომელშიაც მიღებულია რომაული კალენდარი, ხოლო ტექსტი დაცულია „ხანმეტ“ ხელნაწერში. თარიღდება VII საუკუნით: მარტილობა ქრისტინამსი.

d.

ნაწარმოებნი, რომლებზედაც არის მითითება „მცირე კანონ“-ში. „მცირე კანონი“ ეკუთვნის VI—VII საუკუნეების მიჯნას. ამის მიხედვით ქვემოთ ჩამოთვლილი 8 ძეგლი ამ დროს უკვე არსებულა ქართულად:

1. მარტილობა ლეონტიოსისი; 2. მარტილობა უესტათისი; 3. მარტილობა პეტრე ალექსანდრიელისა; 4. მარტილობა ანტონინესი და თანამოღვაწეთა; 5. მარტილობა აღფიესი და თანამოღვაწეთა; 6. მარტილობა პავლე ეპისკოპოსისა; 7. მარტილობა პასარიონისი; 8. წამება მენაისი.

e.

ნაწარმოებნი, რომლებიც შეტანილია „მრავალთავი“-ს პირველ ფენში. „მრავალთავი“-ს პირველი ფენი ეკუთვნის აგრეთვე VI—VII საუკუნეთა მიჯნას; ამის მიხედვით ქვემოთ მოხსენებული 6 ძეგლი ამ დროს უკვე არსებულა ქართულად:

1—2. წამება პეტრესი და წამება პავლესი; 3. წამება იაკობისი, იესუს ძმისა; 4—5 წამება ორმოცთა სებასტიელთა; 6. წამება ათენაგენისა.

ი.

ნაწარმოებნი, რომლებიც ენობრივად უდგება ზემოთ დასახელებულ ძეგლებს, და ამის მიხედვით თარიღდება IV—VII საუკუნეებით.

მარტვილობანი: 1. მაშაისი; 2. ფოკაისი; 3. ვაროზისი; 4. ივლიანესი; 5. ანდრიაანესი და ანატოლესი; 6. კონონისი; 7. ტიმოთესი და მავრამასი; 8. ლონგინოზისი; 9. ბაბილამასი; 10. ბასილი ჰამელისა; 11. თეკლაისი.

გ.

ტექსტი VI—VII საუკუნეებისა, რომლის თარიღი ირკვევა ონომასტიკონისა და სხვა რეალების მიხედვით: მარტვილობა იზიტ-ბუზიტისი.

•

შედარებითი ანალიზი ამ ძეგლებისა იძლევა საშუალებას უფრო ზუსტად განესაზღვროთ ზოგიერთი ძეგლის თარიღი:

მარტვილობა კალისტრატესი, როგორც ირკვევა, IV საუკუნეზე გვიანი დროისა არ არის¹.

მარტვილობა მაშაისი და მარტვილობა ფოკაისი — ჩანს, აგრეთვე IV საუკუნეს ეკუთვნის, ყოველ შემთხვევაში V საუკუნეზე გვიანი არაა².

V საუკუნით თარიღდება: სტეფანე პირველ-მარტვილის შესახები ორი ტექსტი, კირილე იერუსალიმელის სამი საკითხავი და კოზმან-დამიანეს შესახები ორი ტექსტი³.

¹ სათარიღო მაჩვენებელი: ა) წარმართული საკალენდარო ტერმინოლოგია; ბ) ენობრივი ნიშნები, რომელიც განსაკუთრებული არქაულობით არის აღბეჭდილი; გ) ტერმინი „ფაროსეველი“ — ბრძენის მართლმორწმუნის მნიშვნელობით (ეკუთვნის უძველეს ეპოქას, როდესაც ქართულ ეკლესიაში ჭერ კიდევ ებრაულ-ქრისტიანული ტრადიციის იყო გაბატონებული, და წმიდა ქრისტიანული — სახარებიდან მომდინარე — ტერმინოლოგია ჭერ კიდევ არ ყოფილა საბოლოოდ განმტკიცებული).

აღსანიშნავია, რომ კალისტრატეს მარტვილობის ტექსტს, როგორც ირკვევა, იცნობდა ევსტათი მცხეთელის ბიოგრაფიის ავტორი.

² ამ ძეგლთა განსაკუთრებული სიძველის მაჩვენებელია მათი არქაული ენა; კერძოდ, ამ ტექსტებში ტერმინი „ბაგინი“ ეწოდება ყოველგვარ სამლოცველო სახლს (განურჩევლად იმისგან, ქრისტიანებისა იგი, ებრაელებისა თუ მზღვნიანებისა ან წარმართებისა. ქრისტიანული ეკლესიის მკრებელს, ურწმუნოს, — ამ ტექსტებში ეწოდება „ბაგინისმძარცველი“). ხოლო მე-5 საუკუნეში ტერმინი „ბაგინი“ ასეთი მნიშვნელობით უკვე აღარ იხმარებოდა; ქრისტიანულ სამლოცველო სახლს მე-5 საუკუნის ტექსტებში უკვე ეწოდება „ეკლესია“ (— ასე, იხ. მე-5 საუკუნის ტექსტი — ბიოგრაფია შუმანიკისი, იხ. აგრეთვე მე-4 — 5 საუკუნეების ბიოგრაფია ცხრათა ყრმათა კოლაელთა, აგრეთვე საკითხავი სტეფანე პირველ-მარტვილის ნაწილთა პოენისა, მარტვილობა ევბოლოსი და თანამოღვაწეთა, და სხვ.); ხოლო „ბაგინი“ მე-5 საუკუნიდან მოკიდებული ეწოდებოდა ებრაელთა სამლოცველო სახლს და წარმართთა საეკრძოს (იხ. საკითხავი სტეფანეს ნაწილთა პოენისა, საკითხავი კირილე იერუსალიმელისა, მარტვილობა ევბოლოსი და თანამოღვაწეთა).

³ თარიღი ირკვევა პირველ რიგში ენობრივი ნიშნების მიხედვით. კერძოდ, კოზმან-დამიანეს შესახები ტექსტი უკვე არსებულია ქართულად უფრო ადრე, ვიდრე შუმანიკის ბიოგრაფია დაიწერებოდა, ე. ი. მე-5 საუკუნის 70-იანი წლების უწინარეს.

„კითხვა-მიგება უფლისა და პაპლანის“ და „მომოდასლვა მოციქულთა“
(შენიშვნა, 5, გვ. 148)

ხანმეტე პალიმფსესტური ფრაგმენტები, დაცული საქ. მუზეუმის ხელნაწერში 373/H, რომელიც აკად. ივ. ჯავახიშვილს მოხსენებული აქვს როგორც ერთი ნაწარმოები — პირობითი სახელწოდებით „აპოკრიფული საქმენი მოციქულთანი“¹, როგორც გამოიჩვენა, შეიცავს ორს სხვადასხვა ნაწარმოებს:

1. „მომოდასლვა მოციქულთა“. სრული ტექსტი ამ ნაწარმოებისა აღმოჩნდა საქ. მუზეუმის ხელნაწერში 341/H².

2. „კითხვა-მიგება უფლისა და პაპლანის“. ეს მეორე ნაწარმოები ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ ზემოთ დასახელებული ხანმეტური ფრაგმენტის მიხედვით. (სახელწოდება ამ მეორე ნაწარმოებისა პირობითია, რადგან დასაწყისი, დასათურების შემცველი, არ შენახულა).

VI

მრავალთავი

(შენიშვნა 6, გვ. 149).

„მრავალთავი“-ს ტექსტები ივანელებულია რომაული კალენდრის მიხედვით, და ამის გამო (თუც ამგვარი განრიგება — რომაული კალენდრის თანახმად — თავდაპირველია) — მრავალთავის კრებულის შედგენა მე-6 საუკუნის დასასრულზე აღინიშნება დროს ვერ მოეკუთვნება.

Terminus post quem non ორკვევა შემდეგის მიხედვით. ჩვენ დრომდე მოღწეულა მრავალთავის ორი ხანმეტი ხელნაწერი (პალიმფსესტური ფრაგმენტების სახით დაცული); რომლებიც მე-7 საუკუნით თარიღდება. აღსანიშნავია, რომ მე-7 საუკუნის ამ ხელნაწერებში ჩვენ ვვაქვს მრავალთავის არა პირვანდელი დედანი, არამედ კრებული ამ დროს უკვე გართულებული ყოფილა დაწარმის სტატიებით (ეს ირკვევა „მრავალთავი“-ს ყველა არსებული რედაქციების შედარებით ანალიზიდან).

ამ სათარაო მანქნებელთა მიხედვით მრავალთავის კრებულს შედგენა მე-6—7 საუკუნეთა სანდვარს უნდა მიეკუთვნოს.

ეს არის ეპოქა, როდესაც ქართულ თეოლოგიურ აზროვნებას მოთავეობდა კირიონ I დიდი. საფიქრებელია, რომ კრებულს შედგენაში ან თვით კირიონს, ან კირიონის სკოლას მიუღია მონაწილეობა.

¹ იხ. აკად. ივ. ჯავახიშვილი, „ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები“, ტფ., უნივერსიტეტის შობაზე, II, 1922 — 1923 წ., გვ. 338, 345 — 346, 390 — 391.

² წარმოადგენს არახანმეტურ გადმონაწერს ხანმეტური პირველ-დენიდან.

თეოლოგიური ლიტერატურის ქაზაღა

(შენიშვნა 7, გვ. 150)

თეოლოგიური ლიტერატურის ძეგლები — ცრიგოლ ნოსელის „კაცისა შე-საქმე“, იპოლიტე რომის პაპის კომენტარები და ეპიფანე კვიპრელის „თულ-თაჲ“ (— ეს ნაწარმოებნი დაცულია ცნობილ შატბერდულ ხელნაწერში) ენობ-რივი ნიშნების მიხედვით უდგება მე-5—7 საუკუნეთა ქართულ ტექსტებს, და არა შემდგომი ხანის ძეგლებს.

ბასილი დიდი და ათანასე ალექსანდრიელი ციტირებულა არსენი მცხე-თელი კათალიკოსის ცნობილ ტრაქტატში „განყოფისათჳს ქართლისა და სომ-ხითისა“.

VIII

ქველი ქართული მწარმოების დარგები: აპოკრიფები, ჰაგიოგრაფია,
გიოგრაფიული ლიტერატურა, ისტორიოგრაფია

შენიშვნა 8 ა — დ (გვ. 158)

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც აღვნიშნეთ, არის ერთგვარ-ი შერყეობა ყანრების განსაზღვრაში, და დოკუმენტური მხატვრული პროზა (ე. ი. ბიოგრაფიული ისტორიულ-მხატვრული ლიტერატურა) ხან მიეკუთვნება ჰაგიოგრაფიის დარგს, ხან წმინდა ისტორიოგრაფიას.

ბევრად უფრო მიზანშეწონილი იქნება, და მეტი სინათლე იქნება შეტანი-ლი საგანში, თუ ამ ჯგუფის ძეგლებს ცალკე დარგის სახით გამოვყოფთ და დავარკვევთ ნიშანდობლივ სახელს: „ბიოგრაფიული ისტორიულ-მხატვრული ლიტერატურა“.

ოგი, ჯერ ერთი, იგანსხვადება წმინდა წყლის ჰაგიოგრაფიისაგან, სადაც მთავარი ხაზი ვიწრო თეოლოგიური მიზანდასახულობით განსაზღვრება ხოლ-მე, და რომლებიც მეტწილად ლეგენდარულ ასპექტშია გაშლილი.

ამავე დროს ბიოგრაფიული ისტორიულ-მხატვრული ლიტერატურა, რო-გორც აღვნიშნავდით, არ შეიძლება განეკუთვნოს არც წმინდა ისტორიოგრა-ფიას; ოგი თუმცა უახლოვდება ისტორიოგრაფიას მოთხრობის დოკუმენტური ხასიათით, მაგრამ შორდება ამ უკანასკნელს, რამდენადაც ოგი მხატვრული ნა-წარმოების ფორმაშია მოცემული.

გამოყოფა ბიოგრაფიული ლიტერატურისა (დოკუმენტური პროზის დარ-გისა) საკუთრივ ჰაგიოგრაფიის დარგიდან არანაკლებ გამართლებულია, ვიდ-რე განყოფა აპოკრიფული ლიტერატურისა და ჰაგიოგრაფიისა, რაც მიღებუ-ლია სამეცნიერო მწერლობაში, თუმცა აპოკრიფებსა და ჰაგიოგრაფიას ბევრი რამ აქვთ საერთო.

თუ ჩვენ ამგვარ დაჯგუფებას მოვიღებდით საფუძვლად, მაშინ ძველი ქართული მწერლობის ძირითადი ტიპური ძეგლები შემდგენიარად დანაწილდებოდა ცალკე დარგების მიხედვით: აპოკრიფები, წმინდა ჰაგიოგრაფია, ბიოგრაფიული ლიტერატურა (დოკუმენტური მხატვრული პროზა), ისტორიოგრაფია.

ა. აპოკრიფები.

ტიპურ აპოკრიფებს წარმოადგენს ორი ძეგლი: 1. მოსახსენებელი მიმოსლევათა და ქადაგებათა მოციქულისა ანდრეასი, შედგენილი მე-10—11 საუკუნის მწერლის ეფთიმე მთაწმიდელის მიერ ბერძნულ წყაროების საფუძველზე; 2. ახალი მოსახსენებელი ანდრეას მიმოსლევათა მე-13—14 საუკუნის მწერლის — აწყვერელი ანონიმისა¹.

ბ. საკუთრივ ჰაგიოგრაფიული მწერლობა.

ჰაგიოგრაფიული დარგის ძეგლებია: მე-10 საუკუნის მწერლის არსენი კათალიკოზის — ცხოვრება იოანე ზედაზნელისა და მოწაფეთა მისთა; მე-10 საუკუნის ანონიმისა — ცხოვრება დავით გარეშჯელისა; წამება დავით და ტირიქანისა (მე-9 საუკ., საბან იშხნელის სკოლა).

ჰაგიოგრაფიული მწერლობის თავისებურ სახეობას წარმოადგენს მე-11—12 საუკუნეთა მეტაფრასები: იოანე ზედაზნელისა (ორი მეტაფრასი), ისე წილენელისა (ორი მეტაფრასი), დავით გარეშჯელისა, შიოსი, რაჟდუნისა, დავით და კონსტანტინესი, არჩილისა.

ჰაგიოგრაფიული მწერლობის დარგს განეკუთვნება აგრეთვე ბასილი ვაჩეს-ძის თხრობა სასწაულთათვის შიოსთა.

გ. ბიოგრაფიული ისტორიულ-მხატვრული ლიტერატურა.

ბიოგრაფიული ლიტერატურის (დოკუმენტური მხატვრული პროზის) ტიპური ძეგლებია: ბიოგრაფიები — 1. ცხრათა კოლაელთა; 2. შუშანიკისა; 3. ევსტათი მცხეთელისა; 4. ჰაბომისი; 5. კონსტანტი კახაისი; 6. გობრონისი; 7. გრიგოლ ხანძთელისა.

ორი ძეგლი: 1) ბიოგრაფია იოანე და ეფთიმე მთაწმიდელთა და 2) ბიოგრაფია გიორგი მთაწმიდელისა, — როგორც მიზანდასახულობით, ისე შესრულებით, უფრო განეკუთვნება საკუთრივ ისტორიოგრაფიას, ვიდრე ბიოგრაფიულ მხატვრულ პროზას; ამ ორი ძეგლის სახით ჩვენ გვაქვს გარდამავალი სახეობა ამ ორ დარგს შორის.

¹ ჩართულია ექსცერპტის სახით შევსებულ ქართლის ცხოვრებაში.

მე-9 საუკუნის შწერლის არსენი კათალიკოზის — შესხმა და მოსახსენებელი აბიბოს ნეკრესელისა — წარმოადგენს ბიოგრაფიული და პანეგირიკული ჟანრების შეერთებას¹.

დ. ისტორიოგრაფია

უძველესი ჩვენს დრომდე მოღწეული ისტორიოგრაფიული ძეგლი არის „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ქართული ისტორიოგრაფიის ძეგლების სია წარმოადგენილია ჩვენს მიმოხილვაში და აქ მათ წამოთვლას აღარ შევუძღვებით.

IX

ბიოგრაფია ცხრათა სრვათა კოლაელთა

(შენიშნა 9, გვ. 159)

კოლაელთა ბიოგრაფიის განსაკუთრებული სიძველის მაჩვენებელია როგორც ისტორიული გარემო, ისე, კერძოდ, ლიტურგიული პრაქტიკა, რომელიც ასახულია ამ ნაწარმოებში, ლოცვა-მღვდელმსახურების („უამობის“) მარტივი სახე, ნათელღების არქაულობით აღბეჭდილი წესი (თვით გადმოცემა ქრისტეს დამით ნათელღების შესახებ, რომელზედაც საუბარია ამ ნაწარმოებში, ჩანს, ადრინდელი ქრისტიანული ტრადიციიდან მომდინარეობს).

ასეთი უაღრესად არქაული ლიტურგიული პრაქტიკა და წესები — მე-4 საუკუნის შემდეგ, და ყოველ შემთხვევაში მე-5 საუკუნის შემდეგ, მოსალოდნელი არ არის².

¹ ამას გარდა ბიოგრაფიული ჟანრის ძეგლებიდან გადაკეთებული სახით მოღწეულა: 1. ბიოგრაფია პეტრე ივერიელისა; 2. ბიოგრაფია სერაპიონ ზარზმელისა (მე-9 საუკუნის ავტორის ბასილი ზარზმელის თხზულება, გადაკეთებული მე-11 საუკუნეში); 3. ბიოგრაფია ილარიონ ქართველისა (ბასილი პროტოასკიტიის მე-9 საუკუნის ტექსტი, ჭერ გადამუშავებული ანონიმის მიერ მე-11 საუკუნეში, შემდეგ, მე-11—12 საუკუნეების საზღვარზე, „მეტაფრას-ქმნილი“ თოფილეს მიერ).

ამას გარდა არსებულა კიდევ მთელი რიგი ბიოგრაფიული ჟანრის ძეგლები, რომლებიც არ მოღწეულა, და რომელთაგან შენახულა ან მოკლე ექსცერპტები, ან ძირითადად გადამუშავებული პირები, ანდა მხოლოდ ბიბლიოგრაფიული ცნობებია მათ შესახებ დაცული. ასეთებია — ბიოგრაფიები: რაქუნისა, იოანე ზედაზნელისა და მოწაფეთა, აბიბოს ნეკრესელისა, არჩილისი, დავით და კონსტანტინესი, იოანე კათალიკოზისა, ილარიონ პარეხელისა და სხვათა.

² რაც შეეხება ტერმინს „სოფელი“, ეს ტერმინი იმავე მნიშვნელობით, როგორც ეს კოლაელთა ბიოგრაფიაშია მოცემული, დადასტურებულია უძველეს ქართულ ტექსტებში „ხან-მეტობის“ დროსა.

„მომკვევამ ქართლისაჲ“-ს პირველი შედგენილება

(შენიშვნა 10, გვ. 106)

«მოქცევაჲ ქართლისაჲ», როგორც ირკვევა, თავდაპირველად სრულდებოდა შემდეგ ადგილზე:

„ერისთავობდა სტეფანოზ, ძმ მისი, და ამან განიშორა ჭუარისა ეკლესიაჲ და დადვა კრებაჲ ჭუარის ჭუარობისაჲ ერთ თთუე, და ტფილისს დაჟდა სტეფანოზ“.

უფრო გვიან მატიაწასთვის დაუმატებიათ შემდეგი ადგილები:

1. ნაკვეთი, რომელშიაც საუბარია სამოელ და ევნონ კათალიკოსთა შესახებ, არაბთა მიერ ბაბილოვნის („ბაღდადი“-ს) აღებასა და ბერძენთა საბერძნეთს წასვლის შესახებ¹.
2. დიდ ერისთავთა სია².
3. ცხრა ცოლოსან კათალიკოსთა სია³.
4. კათალიკოსთა სია მამიდიდან — არსენიმდე⁴.

ამას გარდა, ჩანს, შემდეგ არის დამატებული ცნობა შუშანიკის შესახებაც, რაც ირკვევა იმის მიხედვით, რომ შუშანიკთან ერთად ჩართულია სამოელის (საქართველოს ეკლესიის მეთაურის) სახელი, მოხსენებული შუშანიკთან ერთად შუშანიკის ბიოგრაფიაში (ჭუანშერის ქრონიკა სათანადო ადგილას, საქართველოს ეკლესიის მეთაურთა სიაში, სამოელის სახელს არ იცნობს).

საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ, როგორც გამოირკვეა ჰელიშური ხელნაწერის აღმოჩენის შემდეგ, „ბაღდადი“ წარმოადგენს შემდეგდროინდელ გლოსას, და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს თავდაპირველ ტექსტში ყოფილა „ბაბილოვნის“.

XI

მოსე ხორენელი და ქართული წყაროები

(შენიშვნა 11, გვ. 106)

რომ მოსე ხორენელი ახლო იცნობდა ქართულ მსოფლიოს და მან იცოდა ქართული ენა, ეს ჩანს მისი ისტორიის ცნობილი ადგილებიდან, სადაც საუბარია ჯერეთორაგნა-ვაპანის ეპოსზე და „სეფეწულთა“ შესახებ.

¹ ჭუანშერის მატიაწეში კათალიკოსთა სია თავდება თაბორ კათალიკოსით (იხ. გვ. *415/197, *419/201), და თაბორის მომდევნო კათალიკოსებს სამოელსა და ევნონს ჭუანშერის ქრონიკა არ იცნობს. ამის მიხედვით აღნიშნული ნაკვეთის შესატყვისი ადგილი ჭუანშერის ქრონიკაში მომდინარეობს სხვა წყაროდან.

² ამ სიას არ იცნობს ჭუანშერი.

³ ამ სიას არ იცნობს არც ჭუანშერი და აგრეთვე არც სუმბატ დავითის-ძე, რომელიც თავისი თხზულების პირველ ნაწილში „მოქცევაჲ“-ს მატიაწეს მისდევს.

⁴ ეს სია არის მხოლოდ შტამბრდულ ვარიანტში და ამ სიას არ იცნობს არც ჰელიშური ვარიანტი, არც სუმბატ დავითის-ძე, არც ჭუანშერი და „მატიანე ქართლისაჲ“.

მოსე ხორენელის ისტორიაში დასახელებულია ქართველი მეფეები I—V საუკუნეთა: ფარამან, ქარძაჰ, მირიან, ბაკურ, არჩილ. უკანასკელი ოთხი მეფე მოხატულია იმავე საუკუნეებში და იმავე თანამიმდევრობით, როგორც ეს „მოქცევაჲ“-ს მატიანეშია აღნიშნული. რაც შეეხება პირველს, ფარქანანს, ეს არის „მოქცევაჲ“-ს ნატიანის წრაცმან (იგივე ბრაცმან ანუ ფარქანან), „მცხეთელი“, თანამეფე ქაოძამ „არმაზელისა“.

სხვაობა ფარქანანისა და ბრაცმანის სახელის დაწერილობისა გვაფიქრებინებს, რომ მოსე ხორენელის პირველწყარო არის არა უშუალოდ „მოქცევაჲ“-ს არსებული ტექსტი, არამედ მისი პირველწყარო, ან რომელიმე მისი ვარაუდით.

აღსანიშნავია ამას გარდა, რომ ყველა ნიშნებით „მოქცევაჲ“-ს მატიანის ან მისი პირველწყაროს გავლენით არის შევსებულ-გადაკეთებული ცნობა მოსე ხორენელისა, რომელშიაც მოთხრობილია ქართველთა გამოსახლების შესახებ სამხრეთიდან საქართველოს ტერიტორიაზე და ქართველთათვის სატრაპის დანიშვნა ალექსანდრე მაკედონელის მიერ.

XII

გრიგოლ დიაკონის მატიანა

(შენიშვნა 12, გვ. 107)

„მოქცევაჲ“-ს მატიანის მოთხრობა ნინოს მოღვაწეობის შესახებ, ჩანს, ძირითადადნი გრიგოლ დიაკონის მატიანაზე არის დამყარებული (უშუალოდ, ან „მოქცევაჲ“-ს პირველწყაროს მეშვეობით).

ხოლო ნინოს მოღვაწეობის შესახებ ტექსტის ერთი ნაწილი, სადაც აღწერილია ნინოს მოგზაურობა ქართლის მთიანეთში, კახეთსა და კუხეთში, იმდენად ნიშანდობლივია და სინამდვილეთ აღბეჭდილი, რომ მისი ავტორი, ჩანს, უახლოესი ეპოქის მოღვაწე ყოფილა.

ამის მიხედვით, გრიგოლ დიაკონი მეოთხე ან მეხუთე საუკუნის მწერლად არის მისაჩნები.

XIII

მატიანე საპრსთა ფლორეალოზისა ქართლს მ-ი საუკუნეში

(შენიშვნა 13, გვ. 107)

მოგვყავს ტექსტი მატიანის გამონაკრებისა, დაცული კელიშის ხელნაწერში:

„და ვითარცა მეფობამ დაესრულა ქართლს შინა, სპარსნი გაძლიერდეს, და ჰერეთი და სომხეთი დაიპყრეს, ხოლო ქართლი უმეტესად დაიპყრეს, და კავკასიანთა შევიდეს, და კარნი ოვსეთიანი აიგნეს, ერთი დიდი კარი ოვსეთისავე, და ორნი დედალეთს, და

ერთი პარკუანს დურძუკეთისასა. და იგი მთელნი გომარდად დაადგინნეს. და ს-ხმ (?) ვინმე კ-ცი (კაცი? კახი? კახამ?) დაადგინეს მთავრად წანარეთისა კვესა, და მორჩილებამ დასდევს მისი. და ოდეს ვრაკლე მეფე მოვიდა, მაშინ დაიპყუნეს სპარსნი. და სპარსთა ხაზარეთისა კარი შექმნეს, და ხაზარნი მეოტ ყვნეს. — ესე აღწერილი გამოკრებილად არს.

XIV

ვახტანგ გორგასარის შესახებ არაბული მსცავრებანი

(შენიშვნა 14, გვ. 107)

არქაული ექსცერპტები, რომლებიც დაეცულია უჯარმოელის (ქუანშერი-სად მიჩნეულ) თხზულებაში „ჰამბეცი ვახტანგ გორგასარისა“, და აგრეთვე არაენის მეტაფრასის იმ ნაწილში, რომელიც ვახტანგ გორგასარს ეხება, — ჩვეულებრივი საფუძვლიანობით გარკვეული აქვს აკად. ივ. ჯავახიშვილს (იხ. ქართველი ერის ისტორია, I, 1927 წ., გვ. 264 — 269, 291 — 295, 306 — 318). არაა გამორიცხული, რომ არსებობდა ვახტანგ გორგასარის არა ერთი, არამედ ორი ძველი მატთანე, რადგან წყაროებში შეიმჩნევა ორი ერთიპეორი-საგან განსხვავებული ძველი ტრადიცია ვახტანგის შესახებ.

XV

აბიათარის მატთანე

(შენიშვნა 15, გვ. 108)

აბიათარის მატთანე, სათაურის მიხედვით, ეხებოდა იმავე ქრონოლოგიურ ნაკვეთს, და იმავე ისტორიულ საკითხთა წრეს, რომელიც წარმოდგენილია „მოქცევაჲ“-ს მატთანეში.

მაგრამ შესაძლოა ამაზე მეტიც აღინიშნოს:

აბიათარის მატთანე, საფიქრებელია, იყო ერთ-ერთი ისტორიული ნაწარმოები, რომელზედაც დამყარებულია ქარვა „მოქცევაჲ“-ს მატთანისა (ანდა „მოქცევაჲ“-ს უახლოესი პირველწყაროსი).

ეს საფიქრებელი ხდება შემდეგის მიხედვით.

აბიათარის მატთანეში მოცემული ყოფილა „მოთხრობა ნათესავობისა, და თუ რომელნი რომელთა ტომთანი ვართ“. აბიათარი, საისტორიო ტრადიციის ცნობით, ქართველი ებრაელი იყო, და მის ნაწარმოებში, რომელიც შეიცავდა „მოთხრობას ნათესავობისა“, და უწყებას იმის შესახებ — „თუ რომელნი რომელთა ტომთანი ვართ“, — წარმოდგენილი ყოფილა ქართველთა და ქართველ ებრაელთა „ნათესავთ-მეტყველება“.

„მოქცევაჲ“-ს მატიანეში მართლაც წარმოდგენილია ქართველთა „ნათესავთ-მეტყველება“.

მაგრამ ამის გვერდით „მოქცევაჲ“-ს მატიანეში წარმოდგენილია აგრეთვე ქართველ ებრაელთა ნათესავთ-მეტყველებაც (აქ მოთხრობილია, თუ როგორ მოვიდნენ პირველად საქართველოს თანამედროვე მიწა-წყალზე „ნათესავნი მბრძოლნი ქალდეველთაგან გამოსხმულნი ჰურიანი“ და დააარსეს ქართველ ებრაელთა თემი ზანაუს, ხერკში; შემდეგ მოთხრობილია, რომ ქარძამსა და ბრაცმანის მეფობის დროს „ჰურიანი მოვიდეს შცხეთას და დასხდეს“).

ამრიგად, როგორც აბიათარის მატიანეში, ისე „მოქცევაჲ“-ს მატიანეშიც წარმოდგენილია ორი ხალხის საქართველოში პირველად დასახლების ამბავი და „ნათესავთ-მეტყველება“, ჯერ ერთი, ქართველთა ნათესავთ-მეტყველება და ამის გვერდით ქართველ ებრაელთა ნათესავთ-მეტყველება.

საშწუხაროდ, ცნობები ამ ერთ-ერთი უძველესი ქართველი იწერლის აბიათარის შესახებ მეტისმეტად მცირეა და შემდეგდროინდელ ტრადიციაში მისი სახე ლეგენდით არის შემოსილი.

აქ დაგვრჩენია მხოლოდ აღვნიშნოთ, აბიათარი, ჩანს, მართლაც მნ-შენელოვანი და სახელმოხვეჭილი მწერალი ყოფილა, რასაც გვიჩვენებს ის გარემოება, რომ შემდეგ ეპოქაში აბიათარი განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა და აბიათარის სახელით ქვეყნდებოდა ფსევდო-ეპიგრაფიკული თხზულებანი, როგორცაა ნინოს ცხოვრებაში ჩართული ცნობილი ტექსტი, აბიათარის სახელით წარწერილი (იხ. დამატებით შენიშვნა 1, გვ. 115—116).

ნაწილი მესამე

მესამე პერიოდი
ქართული ლიტერატურისა
ფეოდალიზმის ხანა

მე-8 საუკუნიდან — მე-11 საუკუნის მეორე ნახევრამდე

მესამე პერიოდი ქართული ლიტერატურის ისტორიისა მოიცავს ეპოქას მე-8 საუკუნიდან — მე-11 საუკუნემდე.

ეს არის ადრეული ფეოდალიზმის ხანა საქართველოში. ვიდრე ლიტერატურის საკითხების განხილვაზე გადავიდოდეთ, აქ საჭიროა გავითვალისწინოთ მაგისტრალურ ხაზებში საქართველოს პოლიტიკური ვითარება ამ ეპოქაში.

ჩვენ უკვე მოხსენებული გვეონდა, რომ არაბთა მსოფლიო იმპერიის დაარსება, გაერთიანება ხალიფატის კოლექტივში მთელი ახლო აღმოსავლეთისა, ტერიტორიებისა — შუა აზიიდან და ინდოეთის სანაპიროდან მოკიდებული ვიდრე ატლანტიკის ოკეანემდე, მალრიბამდე და არაბულ ესპანეთამდე, — ეპოქალური მნიშვნელობის ტეხილს წარმოადგენდა აღმოსავლეთის ხალხთა ცხოვრებაში; ამასთან დაკავშირებული იყო დიდი სოციალური ხასიათის ძვრები; ამავე დროს ამას მოჰყვა ძველ კულტურულ კავშირგაბმულობათა ნაწილობრივი შეცვლა და ახალ წრეში მოქცევა, ახალ კულტურულ ურთიერთობათა წარმოშობა და სხვ.

მაგრამ ერთი გარემოება — (და ეს კი ბევრნაირად მნიშვნელოვანი გარემოებაა) — უცვლელი რჩება. საქართველო ამ ახალი საერთაშორისო ვითარების დროსაც ისევ მოექცა აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურულ მსოფლიოთა უშუალო მიჯნაზე. ძირითადში დამყარდა ანალოგიური ვითარება, როგორც გვეონდა წინა ეპოქაში, ანტიკურ ხანაში. რომის იმპერიის ადგილი დაიკირა რომის იმპერიის ნაფუძარზე წარმოშობილმა ბიზანტიამ, ხოლო აღმოსავლეთით ირანის იმპერია შეცვალა არაბულმა ხალიფატმა. ურთიერთობა საქართველოსი ამ ორ სამყაროსთან, დასავლეთისა და აღმოსავლეთის მსოფლიოსთან, განსაზღვრავდა საქართველოს ისტორიის მაგისტრალს ამ ეპოქაში.

საქართველოს პოლიტიკური ისტორია ამ ხანაში შემდეგი სახით წარმართება.

არაბთა რაზმები პირველად ჩნდებიან კავკასიაში და კერძოდ საქართველოში უკვე მე-7 საუკუნის შუა წლებიდან. მას შემდეგ, რაც არაბებმა მკვიდრად მოიკიდეს ფეხი კავკასიაში, მოხდა ფაქტიური განაწილება საქართველოს პროვინციებისა არაბულ ხალიფატსა და რომის იმპერიის მემკვიდრის ბიზანტიის

იმპერიას შორის. მე-7 — 8 საუკუნეთა მანძილზე საქართველოს აღმოსავლეთ პროვინციებში განმტკიცდა არაბთა მფლობელობა, ხოლო საქართველოს დასავლეთი პროვინციები უპირატესად ბიზანტიის გავლენის სფეროში მოექცა.

მას შემდეგ — მე-8 საუკუნიდან მოკიდებული ვიდრე მე-11 საუკუნემდე — საქართველოს პოლიტიკური ვითარება შემდეგ სურათს წარმოადგენს.

მე-8 — 9 საუკუნეთა მიჯნაზე, როდესაც ოდნავ შენელდა არაბთა მფლობელობის „უამთა სიავე“, ხოლო ამავე დროს საქართველოს დასავლეთი მეზობელიც ბიზანტიის იმპერია დასუსტებული იყო არაბებთან საუკუნოვანი ომების შედეგად, — საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში თანდათან ყალიბდება ნახევრად დამოუკიდებელი ფეოდალური სამფლობელოები: დასავლეთ საქართველოში — აფხაზეთში, მესხეთ-ქართლში, კახეთში, ჰერეთში.

დასავლეთ საქართველოს სამეფო, ცენტრით ქალაქ ქუთაისში, დაარსდა მე-8 საუკუნის დასასრულს (786 წლის შემდეგ).

მესხეთ-ქართლის სამფლობელო, ცენტრით ქალაქ არჩანუჯში, დაარსდა მე-8 — 9 საუკუნეთა მიჯნაზე, 800-იანი წლების ახლო ხანებში (ამ სამთავროს მფლობელნი ჯერ ატარებდნენ „დიდი ერისთავის“ სახელსა და ბიზანტიურ სახელისუფლო ტიტულს „კურაპალატი“, ხოლო 888 წლიდან ისინი ლებულობენ სახელწოდებას: „ქართველთა მეფე“. აქ საკვირაო აღვნიშნოთ ამასთან, რომ ამ სამფლობელოში, „ქართველთა მეფის“ ფეოდალურ სახელმწიფოში, მე-9—10 საუკუნეებში შედიოდა უმთავრესად მისხეთის ქვეყნები, ხოლო საკუთრივ ქართლიდან აქ შედიოდა, ისიც დროგამოშვებით, შიდაქართლის მხოლოდ სანაპირო თემები).

კახეთის ცალკე ფეოდალური სამთავრო ამავე ეპოქაში დაარსდა, მე-8 — 9 საუკუნეთა მიჯნაზე, 800-იან წლების ახლო.

ჰერეთის სამთავროც, აგრეთვე ამავე ეპოქაში, მე-8 — 9 საუკუნეთა საზღვარზე ჩამოყალიბდა.

რაც შეეხება საქართველოს ცენტრალურ პროვინციას, ქართლს, ჩრდილო ნაწილი ქართლის პროვინციაა (შიდა-ქართლი) წარიღ-წერილ ფეოდალურ სამფლობელოებად იყო დანაწილებული (დროგამოშვებით იგი ხან არაბთა უშუალო განმგებლობაში იყო, ხან კი მისი ცალკე თემები არჩანუჯის „ქართველთა კურაპალატების“ და კახეთის მთავრების გავლენის ზონაში იყო მოქცეული; ხოლო უფრო გვიან მთელი ჩრდილო ქართლი დასავლეთ-საქართველოს სამეფოს ფარგლებში შევიდა).

ეს რაც შეეხება ჩრდილო-ქართლს. ხოლო სამხრეთი ქართლი, ქალაქ ტფილისით, არაბთა პირდაპირი მფლობელობის ქვეშ დარჩა. შემდეგ სამხრეთი ქართლი, ქალაქ ტფილისის მხარე, ნახევრად დამოუკიდებელი ტფილისის არაბული ემირატის სახით ჩამოყალიბდა, რომლის კავშირი ხალიფატის ცენტრთან თანდათან შესუსტდა, და ბოლოს ფაქტიურად წმინდა კავკასიურ სამფლობელოდ გადაიქცა.

მე-9 — 11 საუკუნეთა განმავლობაში წარმოებს საქართველოს ფეოდალური სამფლობელოების თანდათან კონსოლიდაცია, რაც მე-11 საუკუნეში სა-

ქართველოს პოლიტიკური გაერთიანებით დაგვირგვინდა. მე-10—11 საუკუნეთა მიჯნაზე, საბოლოოდ კი მე-11 საუკუნის პირველ წლებში, 1008 წელს, ფაქტურად გაერთიანდა დასავლეთ-საქართველოს და მესხეთ-ქართლის სამეფოები (ეს გაერთიანებული სამეფო მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს, მესხეთის პროვინციებსა და შიდა-ქართლს). 1009—1011 წლებში შემოერთებულ იქნა აგრეთვე კახეთი და ჰერეთი, ხოლო უფრო გვიან ერთხანად ტფილისის საამიროც საქართველოს გავლენის სფეროში მოექცა. და თუმცაღა მე-11 საუკუნის მანძილზე კახეთ-ჰერეთი ისევ მოსწყდა საქართველოს, და ვერც ტფილისის საამირო იქნა საბოლოოდ შემოერთებული, მაგრამ მაინც საქართველოს ეს მხარეებიც ამ დროიდან საქართველოს საერთო პოლიტიკური ცხოვრების ორბიტაში ექცევიან.

საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება საბოლოოდ დასრულდა მე-11—12 საუკუნეთა საზღვარზე, როდესაც, დაიბრუნდა აომამშენებლის ეპოქაში (1087—1125 წ.) შეიქმნა საქართველოს დიდი სახელმწიფო, რომლის გავლენა შემდეგ მთელ კავკასიაზედაც გავრცელდა.



როდესაც ჩვენ ვითვალისწინებთ საქართველოს პოლიტიკურ ვითარებას ადრეული ფეოდალიზმის ხანაში, მე-8—11 საუკუნეთა მანძილზე, აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ უკანასკნელი საუკუნე ამ ეპოქისა, მე-11 საუკუნე, როდესაც წარმოებს გაერთიანების გზაზე შემდგარი საქართველოს საბოლოო კონსოლიდაცია, — როგორც პოლიტიკური ისტორიის თვალსაზრისით, ისე ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისითაც ერთგვარ გარდამავალ ხანას წარმოადგენს. აქ სრულდება ქართული ლიტერატურის მესამე პერიოდი და იწყება მეოთხე პერიოდი. მე-11 საუკუნეში გადმოდის, ერთი მხრით, ტრადიციები მე-8—10 საუკუნეთა ადრეული ფეოდალიზმის ხანის მწერლობისა, ხოლო, მეორე მხრით, აქ თანდათან ისახება ახალი ტენდენციები, ახალი გზები, რაც შემდეგ — საქართველოს დიდ ფეოდალურ მონარქიაში — საბოლოოდ გაიშლება ახალი ჰახეობისა და ახალი დიაპაზონის ლიტერატურის სახით.



საქართველოს ადრეულ ფეოდალურ ხანაში, მე-8—11 საუკუნეებში, ფეოდალურ ურთიერთობათა გარემოს გათვალისწინების დროს, არ უნდა გავიწყდებოდეს, კერძოდ, ქართული ეკლესიის როლი ამ ეპოქაში. ადრეული ფეოდალიზმის სტრუქტურაში ეკლესიას მეტად მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის.

საქართველოს ეკლესია ამ ეპოქაში, მე-8—11 საუკუნეებში, მონოლითურ მთლიან წარმოადგენდა; სექტებად დანაწილება მოისპო და შეუზღუდავი ბატონობა მოიპოვა ერთმა ბიზანტინოფილურმა ფრთამ (ქალკედონიანნი).

ქართული ეკლესიის როლი და ავტორიტეტი ძლიერი იყო ამ ეპოქაში კერძოდ იმითმაც, რომ იგი იყო გამტარებელი დასავლეთის — ევროპის ქრისტიანული მსოფლიოს — კულტურული ორიენტაციისა. ეს წამყვანი ხაზი, რო-

შელსაც ატარებდა ეკლესია, ემთხვეოდა და ამაგრებდა საქართველოს იმ მუდმივ კულტურ-პოლიტიკის მაგისტრალს, რომელიც, საქართველოს ისტორიის მანძილზე, დასავლეთისაკენ — ევროპის მთაწობისაკენ — იყო მიმართული.

ქართული ეკლესიის როლი ამ ხანაში, მე-8 — 11 საუკუნეებში, ძლიერი იყო აგრეთვე იმიტომაც, რომ მისი გავლენა მთელ საქართველოზე ვრცელდებოდა: ამ ეპოქაში, როდესაც საქართველო დანაწილებული იყო ცალკე ფეოდალურ სამფლობელოებად, ეკლესია ერთგვარი გამაერთიანებელი ნაციონალური ცენტრის როლს ასრულებდა. მოვიგონოთ კლასიკური ფორმულა, წამოყენებული საქართველოს ეკლესიის მიერ საქართველოს ფეოდალურ ერთეულებად დანაწილების ხანაში, ფორმულა, რომელშიაც ასახულია საქართველოს ეროვნული მთლიანობის იდეა ეკლესიის ფარგლებში: „ქართლად ფრიადი ქვეყანაა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ეამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“ (გიორგი მერჩულე).

მე-8 — 11 საუკუნეთა ქართული მწერლობის ძეგლებს ჩვენ შემდეგი თანამიმდევრობით განვიხილავთ.

პირველ რიგში შევეხებით საკუთრივ თეოლოგიურ სასულიერო მწერლობას. შემდეგ განვიხილავთ იმ დარგებს, რომლებიც თეოლოგიური ლიტერატურის გავლენის ქვეშ ვითარდებოდა; ეს დარგებია — ჰაგიოგრაფია, ბიოგრაფიული ლიტერატურა, ჰიმნოგრაფია, საორატორო ხელოვნება. ამ ქანრებში მე-8 — 11 საუკუნის ქართულმა მწერლობამ დაგვიტოვა მთელი რიგი პირველხარისხოვანი ძეგლები, რომელთაგან ზოგიერთი, როგორც, მაგალითად, რომანი „სიბრძნე ბალაჰარისა“ — ნამდვილ მსოფლიო რეზონანსს ღებულობს საშუალ საუკუნეებში და ითარგმნება ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ყველა კულტურულ ენაზე.

მას შემდეგ შევეხებით ამ ეპოქის საერთო მხატვრულ მწერლობას, რომელიც, როგორც ირკვევა, უაღრესად ფრაგმენტული სახით არის მოღწეული, მაგრამ გადარჩენილი ძეგლების მიხედვით მაინც შესაძლო ხდება გავითვალისწინოთ მისი საერთო ხასიათი.

ცალკე გვექნება საუბარი ქართულ ისტორიოგრაფიაზე, რომელიც ამ ხანის ქართული მწერლობის დიდად მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენდა.

თავი პირველი

თეოლოგიური მწერლობა

მე-8 — 11 საუკუნეთა თეოლოგიურ მწერლობაზე (ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით) აქ დაკმაყოფილებით რამდენიმე ზოგადი ხასიათის შენიშვნით.

ქართული თეოლოგიური მწერლობა მე-8 — 11 საუკუნეებისა უახლოესად დაკავშირებულია ბიზანტიურ ლიტერატურასთან.

მას შემდეგ რაც საქართველოს ეკლესიამ საბოლოოდ გაწყვიტა კავშირი აღმოსავლეთის ქრისტიანობასთან და მტკიცედ დაუკავშირდა დასავლეთს, ბიზანტიური თეოლოგიური ლიტერატურა გახდა დასაყრდენი ქართული ნაციონალური თეოლოგიური აზროვნებისათვის.

მე-8 — 11 საუკუნეთა განმავლობაში ქართულ ენაზე ითარგმნა ან გადმოკეთებულ იქნა მთელი წყება მნიშვნელოვანი ძეგლები ბიზანტიის თეოლოგიური მწერლობისა.

საკუთრივ ბიზანტიურ ლიტერატურას გარდა ქართულ ენაზე ითარგმნებოდა თეოლოგიური ლიტერატურის ნაწარმოებნი აღმოსავლეთის სხვა ქრისტიან ხალხთა ენებიდანაც, რამდენადაც ამ უკანასკნელთა მწერლობა ბიზანტიური ლიტერატურის ტრადიციას განაგრძობდა და არსებითად ამ უკანასკნელის განშტოებას წარმოადგენდა; ასეთია სირიული მწერლობა (ორთოდოქსალური), არაბული ქრისტიანული მწერლობა და ნაწილობრივ სომხურიც, ეგრეთ წოდებული ქალკედონური ბიზანტინოფილური ფრთა ძველი სომხური მწერლობისა.

ბიზანტიური ლიტერატურის (და აგრეთვე ბიზანტიურის მიმდგომ აღმოსავლურ ლიტერატურათა) თეოლოგიური აზროვნების ძეგლების გადმონერგვისთვის ქართულს ნიადაგზე მუშაობდნენ თაობები, მთელი წყება სალიტერატურო სკოლებისა, — როგორც ადგილობრივი ქართული სკოლები (რომელთა შორის პირველ რიგში უნდა დაეასახელოთ კლარჯეთის სალიტერატურო სკოლა მე-8 — 10 საუკუნეებისა), ისე თვით ბიზანტიაში დაარსებული სალიტერატურო სკოლები.

განსაკუთრებით დიდი იყო ამ მხრივ ღვაწლი ათონის სალიტერატურო სკოლისა, რომელმაც ძირითადად შეაჯამა და დაავიკრივინა წინა თაობათა მუშაობა.

ჩვენ აქ მოკლედ შეეჩერდებით ათონის სალიტერატურო სკოლაზე, და ამ სკოლის ორ დიდ წარმომადგენელზე ეფთიმე მთაწმიდელზე (იბერიელზე) და გიორგი მთაწმიდელზე.

•

მე-10 საუკუნის მეორე ნახევარში ბიზანტიაში ათონის მთაზე დაარსებულ იქნა ქართული კოლონია. კოლონიის დამაარსებელი იყვნენ ქართველი მოღვაწეები — იოანე მთაწმიდელი და იოანე-თორნიკე. ეს პირნი კარგად ცნობილია როგორც ქართული, ისე ბერძნული საისტორიო წყაროებით. (ყერძოდ, იოანე-თორნიკე იყო ცნობილი მხედართმთავარი, ის პირი, რომელმაც ქართული მხედრობით დაამარცხა ბარდა სკლიაროსი 978 წელს და იხსნა კონსტანტინეპოლი).

ათონის ქართული კოლონიის დაარსების დროიდანვე აქ ჩაღდება ინტენსიური სალიტერატურო მუშაობა, ათონის ქართული კოლონია ხდება მთავარი ცენტრი ქართულ-ბიზანტიური კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობისა ამ ხანაში. ათონელმა მწერლებმა, როგორც წერს ძველი ქართველი

ისტორიკოსი, „აღაყვავეს ენამ ჩვენი“, „განანათლეს ქართველთა ენამ და ქვეყანამ“.

ათონის სალიტერატურო სკოლის მეთაურია ეფთიმე მთაწმიდელი, როგორც ეწოდება ამ მწერალს ძველ ქართულ მწერლობაში, ანუ ეფთიმე იბერიელი, რა სახელითაც ცნობილია იგი საშუალო საუკუნეთა მსოფლიო ლიტერატურაში.

•

ეფთიმე იბერიელი დაიბადა 958 წელს. იგი იყო შვილი ათონის ქართული კოლონიის დამაარსებელის იოანე მთაწმიდელისა. ეფთიმე ჯერ ბავშვი იყო, როდესაც იგი ბიზანტიაში ჩაიყვანეს. ბიზანტიაში ეფთიმემ საფუძვლიანი განათლება მიიღო. ყმაწვილ ეფთიმეს — გადმოგვცემს ბიოგრაფი — „მამამან იოანე — პირველად ქართული სწავლამ ასწავა, და მერმე ბერძნულად გაასწავლა ყოვლითავე სწავლულებითა სრულებით“.

ეფთიმეს ბიოგრაფი (— ეს ბიოგრაფი არის ეფთიმეს ლიტერატურული მემკვიდრე, ათონელთა სკოლის მეორე გამოჩენილი მწერალი მე-11 საუკუნისა გიორგი მთაწმიდელი) — სხვათა შორის აღნიშნავს, რომ ბიზანტიაში სწავლის დროს ყმაწვილი ეფთიმე ერთხანად ქართულს გადაეჩვია, „ძნიად უბნობნ ქართულად“, და ამის გამო მისი მამა იოანე „ფრიად მწუხარე იყო“. მაგრამ შემდეგ ეფთიმეს ქართული საგანგებოდ შეუსწავლია, იგი ქართული ენის უბრწყინვალესი მეტრი ხდება, და — გადმოგვცემს ბიოგრაფი — „მიერიტვან დაუყოვნებლად ვითარცა წყარო აღმოდინ უწმიდეს ყოველთა ქართველთასა“.

როდესაც ეფთიმემ სწავლა დაასრულა და ლიტერატურული ტალანტი გამოიჩინა, ეფთიმეს პირველი მეგზური ლიტერატურაში იყო მისი მამა იოანე, დიდი ქართველი პატრიოტი და ქართული მწერლობის დიდი მოამავე. ბიოგრაფი გადმოგვცემს: „ეტყვიან მამამ იოანე — ვითარმედ: შვილო ჩემო! ქართლისა ქვეყანამ დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან, და მრავალნი წიგნნი აკლიან, და ვხედავ რომელ ღმერთსა მიუმაღლებია შენდა, აწ იღვაწე, რათა განამრავლო სასყიდელი შენი“.

ეფთიმე იწყებს სალიტერატურო მუშაობას მე-10 საუკუნის 70-იან წლებში, და ვიდრე გარდაცვალებამდე, 1028 წლამდე, ნახევარი საუკუნის მანძილზე, მას კალამი ხელიდან არ გაუგდია. ბიოგრაფის სიტყვით „რამეთუთით არასცემდა განსვენებასა თავსა თვისსა, არამედ დღე და ღამე ტკბილსა მას თავლსა (წიგნთასა) შერებოდა, რომლისა მიერ დაატკბო ენამ ჩვენი“.

ეფთიმეს სალიტერატურო მოღვაწეობა მართლაც გრანდიოზულია ჯერ მართო თავიანი მოცულობით.

ეფთიმეს სალიტერატურო მოღვაწეობის მთავარი დარგი არის თეოლოგიური-ფილოსოფიური ლიტერატურა. დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე ეფთიმეს იურიდიული მეცნიერების, ქართული სამართლის დარგში. ამას გარდა ეფთიმე არის ავტორი „ბარლამის და იოსაფის“ რომანის ახალი ვერსიისა, რომელიც ითარგმნა საშუალო საუკუნეებში ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ყველა კულტურულ ენაზე და მსოფლიო პოპულარობა მოუპოვა ეფთიმეს სახელს.

ეფთიმეს სალიტერატურო მოღვაწეობის დეტალური მიმოხილვა შორს წაგვიყვანდა და აღვნიშნავთ აქ მთავარ მომენტებს.

თეოლოგიურ-ფილოსოფიური ლიტერატურის დარგში პირველ რიგში აღსანიშნავია ეფთიმეს „წინამძღვარი“, რომელიც მას დაუმუშავებია უმთავრესად იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ მიხედვით, და აგრეთვე იოანე დამასკელის სხვა ნაშრომთა გამოყენებით. ეს ნაშრომი წარმოადგენს საშუალო საუკუნეთა ლიტერატურულ საბურველში არისტოტელეს ფილოსოფიის ტრადიციის ერთგვარ განახლებას, არისტოტელეს ლოგიკისა და დიალექტიკის ელემენტების გადმონერგვას ქართულ მწერლობაში.

მეორე მნიშვნელოვანი ნაშრომი ეფთიმეაი თეოლოგიურ-ფილოსოფიური ლიტერატურის დარგში ეს არის გამოქვეყნება ქართულად მაქსიმე აღმსაარებლის თხზულებათა. მაქსიმე აღმსაარებელი მნიშვნელოვანი ფიგურაა საშუალო საუკუნეთა ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ლიტერატურაში, რამდენადაც იგი ნაწილობრივ ნეოპლატონიკური ფილოსოფიის ტრადიციების გაგრძელებელი იყო. ეფთიმეს გამოუქვეყნებია ქართულად მაქსიმე აღმსაარებლის ფილოსოფიურ-თეოლოგიურ თხზულებათა კრებული (ორ წყებად), და დაურთავს მაქსიმეს ბიოგრაფია, რომელიც ეფთიმეს ბერძნული წყაროების მიხედვით დაუმუშავებია.

რომ ეფთიმესთვის არ იყო უცხო ნეოპლატონური ფილოსოფიის ტრადიციები, ამისი მაჩვენებელია კერძოდ ის ფაქტი, რომ ეფთიმეს „ბარლამისა და იოსაფის“ რომანში ვრცლად გამოუყენებია მე-5 საუკუნის ნეოპლატონიკოსი ავტორის ნემესიოს ემესელია თხზულება „ბუნებისათვის კაცისა“, რომელიც ბიზანტიურ ლიტერატურაში უკვე გადავიწყებულ იყო, და რომლის ტრადიციის გამოყოცხლება პირველ რიგში ქართულ ლიტერატურულ წრეებს ეკუთვნის, ჭერ ეფთიმე იბერიელსა და შემდეგ მე-11 — 12 საუკუნეების ცნობილ ქართველ ფილოსოფოსს იოანეს.

თეოლოგიურ-ფილოსოფიური ლიტერატურის დარგში, გარდა დასახელებული შრომებისა, ეფთიმე იბერიელს ბერძნული ენიდან უთარგმნია ან გადმოუქცევია შემდეგი ძეგლები:

1. გრიგოლ თეოლოგოსის (ნაძიანძელის) თხზულებათა კრებული (26 ნაწარმოები), რომელსაც დართული აქვს მაქსიმე აღმსაარებლის კომენტარები და გრიგოლის ბიოგრაფია.
2. ბასილი კესარიელის ეთიკა (თხზულებათა კრებული, შერცავს 30 ნაწარმოებს), აგრეთვე მისივე კომენტარი ფსალმუნთა წიგნისა, ბასილი კესარიელის ბიოგრაფიის დართვით.
3. იოანე ოქროპირის თხზულებანი.
4. ეფრემ ასურის თხზულებანი.
5. გრიგოლ რომთა პაპის დიალოგონი (დიალოგები), ავტორის ბიოგრაფიით.
6. გრიგოლ ნოსელის თხზულებანი.
7. იოანე დამასკელის თხზულებანი.
8. იოანე სინელის კლემაქსი (იოანე სინელის ბიოგრაფიით).
9. მაკარი ეგვიპტელის თხზულებანი.

10. კრებული ისაკ ასურისა და სხვათა თხზულებებისა (12 ავტორი).

11. კასიანე რომაელის, ამბა დანიელის და ზაქარია კესარია-პალესტინელის თხზულებანი.

აქ ჩამოთვლილი ძეგლები წარმოადგენენ არა უბრალო თარგმანებს, არამედ მთელ რიგ შემთხვევებში თავისუფალ გადამუშავებას; როგორც ამას აღნიშნავს მე-11 საუკუნის ქართული მწერალი ეფრემ მცირე, ქართული ჰუმანიზმის დიდი პიონერი — ეფთიმეს „ხელეწიფებოდა შემატებაა ცა და კლებაა ცა“.

გარდა თეოლოგიურ-ფილოსოფიური ლიტერატურისა ეფთიმე იბერიელს, როგორც აღნიშნეთ, ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე იურიდიული მეცნიერების დარგში. ეფთიმეს მიერ ბერძნულ მასალებზე დამყარებით დამუშავებული „მჭულის კანონი“ (ნომოკანონი) მნიშვნელოვანი ძეგლია არა მარტო ქართული სამართლის ისტორიის თვალსაზრისით, არამედ თავისი ახალი იდეებით იგი საერთოდ ახალ საფეხურს აღნიშნავს საშუალო საუკუნეთა იურიდიული აზროვნების ისტორიაში. როგორც ეს ცხადყო აკად. ივ. ჯავახიშვილმა, რომელმაც ქართული სამართლის ისტორიას და კერძოდ ეფთიმე იბერიელის „მჭულის კანონს“ სპეციალური გამოკვლევა უძღვნა: ეფთიმე იბერიელმა მთელ რიგ შემთხვევებში წინ გაუსწრო თავისი ახალი იდეებით თანამედროვე ბიზანტიურ იურიდიულ მეცნიერებას.

ჩვენ აქ აღარ ვეხებით ეფთიმეს დანარჩენ ლიტერატურულ მემკვიდრეობას, ჰაგიოგრაფიისა, ბიბლიოლოგიისა, ჰიმნოგრაფიისა (სასულიერო პოეზიის) და სხვა დარგებში. ეს მემკვიდრეობაც ასევე მნიშვნელოვანია.

დასასრულ დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ ეფთიმე იბერიელმა არა მხოლოდ გადმონერგა ქართულად ბიზანტიური თეოლოგიურ-ფილოსოფიური მწერლობის ძეგლები, არამედ მან გააცნო ბერძნულ მსოფლიოს — და ბერძნულის საშუალებით ევროპის მსოფლიოსაც — ქართული ლიტერატურის ნაწარმოებნი. ეფთიმე იბერიელის ბიოგრაფი აღნიშნავს, რომ ეფთიმეს „ნამუშავევი ახარებს შორიელთა და მახლობელთა, და თარგმნილთა მისთა წიგნთა სიტკბოებამ, ვითარცა ნესტი (საყვირი) ოქროსამ ხმამალალი ოხრის (ღალადებს) ყოველსა ქვეყანასა, არა ხოლო ქართლისასა (საქართველომისასა), არამედ საბერძნეთისაცა: რამეთუ ბალაჰარი და აბუჟურამ და სხვანიცა რაოდენნიმე წერილნი ქართულისაგან თარგმნნა ბერძნულად“.

ბარლამ და იოსაფის რომანის ახალი ვერსიის შესახებ, რომელიც ეფთიმემ ბერძნულ ენაზე გამოაქვეყნა, და აგრეთვე მეორე ჰაგიოგრაფიული ძეგლის — პოემა „აბუჟურამ“-ს შესახებაც, — ჩვენ ქვემოთ გვექნება ცალკე საუბარი.

ბიორგბი მთაფრიძელი — მეორე დიდი ფიგურაა ათონელთა სალიტერატურო სკოლისა, ლიტერატურული მემკვიდრე ეფთიმე იბერიელისა. იგი დაიბადა 1009 წელს, გარდაიცვალა 1065 წელს.

გიორგი მთაწმიდელის სალიტერატურო მემკვიდრეობა შემდეგ დარგებს მოიცავს:

ბ ი ბ ლ ი ო ლ ო გ ი ა. გიორგი მთაწმიდელმა ახლად დაამუშავა ქართულს ენაზე ტექსტები: სახარებისა, ეპისტოლეთა და მოციქულთა აქტებისა (კომენტარების დართვით). აგრეთვე ფსალმუნთა წიგნი და საკითხავნი ბიბლიიდან. ამ ახალმა ტექსტებმა, რომლებიც შესრულებულია ფილოლოგიურის სიზუსტითა და ბრწყინვალე სალიტერატურო ენით, შესცვალა ძველად არსებული ქართული რედაქციები და მათი მნიშვნელობა ძველი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში დიდი იყო.

თ ე ო ლ ო გ ი უ რ - ფ ი ლ ო ს ო ფ ი უ რ ი ლიტერატურა. ამ დარგში გიორგი მთაწმიდელმა თარგმნა ბერძნულიდან ქართულად გრიგოლ ნოსელის ფილოსოფიურ-თეოლოგიურ თხზულებათა კრებული (14 ნაწარმოები, რომელთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა „დაბადებისათვის კაცისა“); შემდეგ თხზულებანი ბასილი კესარიელისა და იოანე ოქროპირისა (რომლებიც ეფთიმე იბერიელის თარგმანებში არ შესულა); აგრეთვე თხზულებანი თეოდორე სტუდიელისა, ეგნატე ანტიოქელისა, იოანე დამასკელისა, სოფრონ იერუსალიმელისა და სხვათა.

ჰ ი მ ნ ო გ რ ა ფ ი ა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გიორგი მთაწმიდელის ღვაწლი ჰიმნოგრაფიის (სასულიერო პოეზიის) დარგში. გიორგი მთაწმიდელმა თარგმნა ბერძნულიდან ქართულად თითქმის მთელი მემკვიდრეობა **ზ ი ზ ა ნ ტ ი უ რ ი** **ჰ ი მ ნ ო გ რ ა ფ ი ის ა**, რომელსაც საკუთარი ორიგინალური ჰიმნები დაურთო. გიორგი მთაწმიდელზე, როგორც გამოჩენილ სასულიერო პოეტზე, ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი, როდესაც ქართულ ჰიმნოგრაფიას შევეხებით.

ამას გარდა გიორგი მთაწმიდელს ეკუთვნის თარგმანები **ჰ ა გ ი ო გ რ ა ფ ი ის** დარგში, **ს ა ე კ ლ ე ს ი ო** **ს ა მ ა რ თ ლ ის** დარგში და სხვ.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელიც დაგვიტოვა გიორგი მთაწმიდელმა, და რომელმაც სამუდამოდ უკვდავყო გიორგი მთაწმიდელის სახელი ქართულს მწერლობაში, — ეს არის **ისტორია ათონის ქართული კოლონიისა და ბიოგრაფია იოანე და ეფთიმე იბერიელთა**. ეს თხზულება ახალ ეპოქას აღნიშნავს ქართულ ისტორიოგრაფიაში და საშუალო-საუკუნეთა ქართული მწერლობის მნიშვნელოვან ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის. გიორგი მთაწმიდელის ამ თხზულებაზე საუბარი გვაქვს ქვემოთ, როდესაც ქართულ ისტორიოგრაფიას ვეხებით.

დასასრულ დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ გიორგი მთაწმიდელი, გარდა იმისა, რომ იგი გამოჩენილი მწერალი იყო, იგი ამავე დროს საზოგადო მოღვაწეც არის.

თავისი ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში, გიორგი მთაწმიდელი, უკვე სახელმოხვეჭილი და ავტორიტეტით მოსილი მწერალი, ბრუნდება ბიზანტიიდან საქართველოში და ხუთი წლის განმავლობაში, 1060—1065 წლებში, იგი დიდ მუშაობას ატარებს დემოკრატიული მიმართულების განმტკიცებისათვის ქართულ საეკლესიო-საზოგადოებრივ ცხოვრებაში¹.

¹ იხ. თვ. ჭავჭავაძის, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, გვ. 74—80 (ტფ. 1929 წ.).

ამას გარდა გიორგი მთაწმიდელს ღვაწლი მიუძღვის საქართველოს ეკლესიის სრული დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეში. საქართველოს ეკლესია, როგორც ცნობილია, ძველად ერთხანს ანტიოქიის პატრიარქატის ფარგლებში შედიოდა. უფრო გვიან, მე-8 საუკუნის ნახევარში, საქართველოს ეკლესია თუშკა გამოეყო ანტიოქიის პატრიარქატს და ავტონომია მოიპოვა, მაგრამ მას შემდეგაც, ვიდრე მე-11 საუკუნის შუა წლებამდე, კიდევ შერჩენილი იყო ანტიოქიის პატრიარქატისაგან ნაწილობრივი (არსებითად ნომინალური) დამოკიდებულება. გიორგი მთაწმიდელი მონაწილეობას იღებს ანტიოქიაში გამართულ კრებაზე, რომელმაც განიხილა საქართველოს ეკლესიისა და ანტიოქიის პატრიარქატის ურთიერთობის საკითხები. გიორგი მთაწმიდელმა ამ კრებაზე დიდი პოლიტიკური ტაქტით დაიცვა საქართველოს უფლებები და ამ კრების შემდეგ დადასტურებულ იქნა საქართველოს ეკლესიის სრული დამოუკიდებლობა — დამოუკიდებელი პატრიარქატის სახით. ამას საშუალო საუკუნეთა პირობებში არა მარტო საეკლესიო მნიშვნელობა ჰქონდა, არამედ ზოგადპოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტს წარმოადგენდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცების თვალსაზრისით.

თავი მეორე

ჰაგიოგრაფიული რომანი „სიბრძნე ბალაჰვარისა“.

ჰაგიოგრაფიული პოემა „აბუკურა“¹.

ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ტრადიციები შემუშავდა ქართული მწერლობის მეორე პერიოდში, მე-4 — 7 საუკუნეებში.

ამ უარეს ტრადიციები გრძელდება შემდეგაც, ქართული მწერლობის მე-სამე პერიოდში, მე-8 — 11 საუკუნეებში.

მესამე პერიოდს, მე-8 — 11 საუკუნეთა ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურიდან ჩვენ აქ შევჩერდებით ორ ძეგლზე, რომლებიც ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს.

ერთი მათგანია — ჰაგიოგრაფიული რომანი „სიბრძნე ბალაჰვარისა“;

მეორეა — ჰაგიოგრაფიული პოემა „აბუკურა“.

1.

იოანე საბაწმიდელი და ეფთიმი იბარეელი.

რომანი „სიბრძნე ბალაჰვარისა“

„ბალაჰვარის“ რომანის ორი ვერსიის შესახებ გვექნება საუბარი.

პირველი ძველ-ქართული ვერსია რომანისა, როგორც ირკვევა, დაიწერა მე-9 საუკუნეში და მისი ავტორია იოანე საბაწმიდელი.

¹ ზოგიერთი სპეციალური ხასიათის შენიშვნები ამ ორი ძეგლის — „სიბრძნე ბალაჰვარისა“-ს და „აბუკურა“-ს შესახებ იხ. შენიშვნა I და 2.

შემდეგ, მე-10 — 11 საუკუნეთა მიჯნაზე მეორე ქართველმა მწერალმა, მკითხველისათვის უკვე ცნობილმა — ეფთიმე იბერიელმა გადაამუშავა და განავრცო ეს რომანი, მოგვცა მისი ახალი რედაქცია და ეს მეორე ვერსია ძველქართული რომანისა გამოაქვეყნა ბერძნულ ენაზე.

მას შემდეგ რომანი ნამდვილს მსოფლიო რეზონანსს აღწევს. ეფთიმე იბერიელის ეს ვერსია ქართული რომანისა ითარგმნება ბერძნული ენიდან ჯერ ლათინურად, და შემდეგ ევროპისა და წინა აზიის ხალხთა ყველა ენაზე. საშუალო საუკუნეთა მანძილზე ევროპაში და წინა აზიაში იშვიათად თუ რგებია რომელსამე ნაწარმოებს ისეთი პოპულარობა, როგორც ამ ქართულ რომანს; იგი წარმოადგენდა ყველაზე გავრცელებულ საკითხავ წიგნს საშუალო-საუკუნეთა მსოფლიოში.



გვაცნობთ მკითხველს მოკლედ რომანის შინაარსს (ჩვენ ჯერ ვეხებით რომანის პირველს ძველ ქართულ ვერსიას მე-9 საუკუნისა, რომელიც იოანე საბაწმიდელს ეკუთვნის) .

ინდოეთში მეფობს წარმართი კერპთმსახური მეფე ა ბ ე ნ ე ს ი, კაცი ბუნებით კეთილი, „მშვიდ, და მღაბაღ, და ფრიაღ მოწყალე გლახაკთა“. მას არა ჰყავს შვილი და იგი მწუხარებით არის შეპყრობილი. გვიან აბენესს მიეცემა ვაჟი, რომელსაც დაარქვეს ი ო დ ა ს ა ფ ი.

მეფე აბენესი შვილის დაბადებისას მოიწვევს ვარსკვლავთმრიცხველებსა და ფილოსოფოსებს: მეფეს სურს გაიგოს მათგან, თუ რა ბედი მოეღის მის შვილს. ვარსკვლავთმრიცხველნი და ფილოსოფოსნი უწინასწარმეტყველებენ იოლასაფს ბრწყინვალე მომავალს, ხოლო ერთი ყველაზე ცნობილი ასტროლოგი-ფილოსოფოსი აღნიშნავს, რომ იოლასაფი გადაუდგება მამეულს სჯულს წარმართობას და გახდება ქრისტიანობის მიმდევარი და გამავრცელებელი ინდოეთში.

აბენესი, გულმოდგინე მიმდევარი წარმართობისა, შეწუხდება ამ ამბის გამო. რათა აიცილნოს წინასწარმეტყველების ასრულება, აბენესი გასცემს ბრძანებას, გააძევონ მისი სამფლობელოდან ყველა ქრისტიანი. ბრძანება შესრულებული იქნა. გაძევებულთა შორის არის მეფის ყოფილი მეგობარი ბ რ ძ ე ნ ი ბ ა ლ ა ჰ ვ ა რ ი, რომელიც ფარულად ქრისტიანობას მისდევდა და რომლის ქრისტიანობა შემდეგ გამოაშკარავდა.

მეფემ თავის შვილს აუშენა ცალკე ქალაქი-სასახლე და იქ დააბინავა. დაუყენა საგანგებო მასწავლებელნი, რათა სიბრძნეში აღეზარდათ შვილი. მთავარ გამზრდელად დააყენა თავისი ერთგული მსახური ზ ა ნ დ ა ნ ი, რომელსაც მტკიცედ დაავალა, რომ არავინ ქრისტიანეთაგანი არ მიახლოვებოდა იოლასაფს.

როდესაც აბენესმა თავისი შვილი იოლასაფი ცალკე ქალაქ-სასახლეში მოათავსა, იგი ამით ცდილობდა არა მხოლოდ ქრისტიანებიდან დაშორებას იოლასაფისას, არამედ მას ამასთან სხვა უცნაური განზრახვაც ჰქონდა, შვილის უზომო სიყვარულით ნაკარანახევი. მეფეს უნდოდა მისი ერთადერთი საყვარელი შვილი აღზრდილიყო „სიხარულით და შვებით“, არ სცოდნოდა, თუ რა

არის მწუხარება, და არ გაეგო, თუ რა არის სიბერე ან სიკვდილი. ამიტომაც აბენესმა მტკიცედ ამცნო გამზრდელ ზანდანს, რომ ბერიკაცი ან სნეული არ ეჩვენებინათ იოდასაფისათვის, და არც სიკვდილი ეხსენებინათ მის შვილთან.

იოდასაფი დაჰაბუჯდა. ერთხელ იოდასაფმა მიმართა მამას — ქალაქის კარებს არ გავცილებივარო დღემდე, და მომეცი ნება, რომ ქვეყანა ვინახულო.

აბენესი შეწუხდა, საგონებელში ჩავარდა, მაგრამ მაინც ნება დართო. აბენესი ზომ იმას სცდილობდა, რომ შვილი „სიხარულითა და შვებით“ აღეზარდა, და შიშმა შეიპყრო, ვაითუ უარის თქმამ მწუხარებასა და ურვაში ჩაადგოსო ყმაწვილი. აბენესი მაინც შეეცადა გამოსავალი მოენახა. აბენესმა ფარულად დაავალა იოდასაფის გამყოლებს — ყოველი გამგზავრების წინ წარეგზავნათ წინამავალნი, და თუ ბერიკაცი, ან სნეულებით შეპყრობილი ვინმე შეხვედებოდათ, მოეშორებიათ გზიდან და აეცილებინათ მათი შეხვედრა იოდასაფთან.

ასეც იქცოდნენ. მაგრამ წინამავალნი რამდენჯერმე დაუდევრობას გამოიჩინენ და იოდასაფ შეხვედბა სნეულსაც და უმწგო მოხუცებულსაც. იოდასაფმა გაიგო, რომ ქვეყანა სულ სხვაა, ვიდრე მას უხატავდნენ.



რომ მკითხველი გაეცნოს რომანის სტილს, მოგვეყვას აქ ეს ცენტრალური ადგილი რომანისა, სადაც აღწერილია იოდასაფის შეხვედრა კეთროვანთან, ბრმათან და ბერიკაცთან. აქ აღბეჭდილია საშუალო საუკუნეთა ადამიანის მსოფლმხედველობა.

„ხოლო დღესა ერთსა ვიდოდა რა ყრმად იგი (იოდასაფ), იხილნა ორნი კაცი: ერთი გონჯი (კეთროვანი), და ერთი მწუხარე (ბრმა), რომელი სხვასა მიჰყვანდა. და ზარ-განხილ (შეძრწუნებულ) იქმნა და ჰკითხავდა მათთვის. და ჰრქვეს: „ესე კაცი არიან, და ვნებამ შემთხვევია, ვითარ სხვათაცა კაცთა შეემთხვევის“. და რქვა მან (ჰკითხა იოდასაფმან): „ესე ყოველთა შეემთხვევისა?“ ხოლო მათ ჰრქვეს: „არა, არამედ ზოგთა, რამეთუ რომელთამე შეემთხვევის, და რომელნიმე დაშთებიან“. მაშინ განჰკრთა გონებითა (იოდასაფ) და იქცა (დაბრუნდა) დამძიმებულნი.

და კვალად ოდესმე განვიდა (იოდასაფ)... წინამავალნი უღებ იქმნეს (წინამავალთ დაუდევრობა გამოიჩინეს) და ვერ იხილეს კაცი, მღებარე მოუძღურებულნი, რომლისა თმად სპეტაკ იყო, ვითარცა მატყლი, და პირსა მისსა კბილი არა იყო, და სიტყვად მისი ფლაფნით იყო.

და ვითარცა მივიდოდა ძე მეფისაჲ, იხილა იგი, და შეეზარა, და ჰრქვა (ჰკითხა) ზანდან მზარდულსა (გამზრდელსა): „რამ არს ესე?“

ხოლო მან (ზანდანმან) ჰრქვა: „და ესეცა კაცი არს“.

და ჰრქვა (იოდასაფმან): „და რასა შეუქმნიეს ესრეთ?“

ხოლო მან ჰრქვა: „წელიწადთა სიგრძესა.“

და ჰრქვა (იოდასაფმან): „რამ არს წელიწადი?“

მიუგო ზანდან: „ათორმეტი თვე“.

და ჰრქვა (იოდასაფმან): რამ არს თვე?“

მიუგო: „ოთხი კვირა“.

— „და რა ზომისა წელიწადისა შეიქმნების ესრეთ?“

მიუთვით: „ოთხმეოცდაათსა წელსა, გინა ასსა“.

ხოლო იყო იგი (იოდასაჲ) გონებითა ვრცელ და სიბრძნითა სავსე, და აღრაცხნა თვენი და წელიწადნი და ჰრქვა: „ვითარ ვხედავ, ადრე მიუთქს (მიპყვება) დღე დღესა, წელიწადი წელიწადსა, და ასთა წელიწადთა დასასრული ადრე იქმნების. აწ რაჲლა წინა უც (წინა უძევს) კაცსა ამას?“

ჰრქვა მას ზანდან: „ამისა შემდგომად სიკვდილი“.

და ჰრქვა იოდასაჲ: „და რაჲ არს სიკვდილი?“

ხოლო იგი (ზანდან) ვერლარას დაუფარავდა, ჰრქვა: „განქარდების სახსენებელი ამისი ქვეყნით“.

და ჰრქვა (იოდასაჲმან): „მამად ჩემი ესევეთარადვე იქმნებისა?“

და ჰრქვა: „ეგრეთ იქმნების“.

— „შენცა ესრეთვეა?“

და ჰრქვა: „ესრეთ“.

— „და მე ესრეთვეა?“

— „ეგრეთვე შენცა“.

— „და ყოველნი კაცი ესრეთვეა?“

— „ჰე, ეგრეთვე, უკეთუ საზომისა ამისისა მოიწიენენ. ხოლო ესეცა უწყოდე, რამეთუ რომელნიმე ოდეს იშენენ, მაშინვე წარიტაცებს სიკვდილი, და რომელთამე — მცირედ რაჲ აღიზარდნენ, და ზოგთა — ჰასაკთა რა მოვიდნენ.“

და ჰრქვა: „მე აწ თანა მაცა (თანა მაძევს) სიკვდილი?“

და ჰრქვა: „არა შენ ოდენ, არამედ ყოველთა კაცთა“.

მაშინ შეძრწუნდა ძე იგი მეფისამ, აღდუნა გული მისი, და ტიროდა და ეტყოდა ზანდანს მზარდულსა (აღმზარდელსა); „და არღარა არს ქვეყანამ, რომელსა ზედა არა მოიწეოდის კაცთა ზედა ესევეთარი საღმობამ (სატკივარი), ვითარ იგი წინამსწარ (ამას წინარე) ვიხილენ უძლურნი, და აწ ამასა ვხედავ? ხოლო კვალად უძნელეს აღმიჩნდა სიკვდილი!“

და კვალად იცემდა მკერდსა, და ტიროდა და ეტყოდა: „მაუწყე, თუ არსა ქვეყანამ, რომელსა შინა განვერე საღმობათაგან (თავი დავადწიოთ ტკივილთა)?“

მაშინ ტიროდა ზანდან მზარდულიცა და ეტყოდა: „არა არს ცასა ქვეშე ეგვეთარი ქვეყანამ, ჰოდ ძეო მეფისაო, რომელთა შინა განერნენ კაცი საღმობათაგან და სიკვდილისაგან!“

•

იოდასაჲ დაბრუნდება შეძრწუნებული და დამწუხრებული.

ამ დროს ბალაჰვარი, გადაძული ვაჰრის სახით, გამოცხადდება იოდასაჲის სასახლეში როგორც გამსყიდველი ძვირფასი თვალისა, რომელიც „ბრმათა აღუხილავს თვალთა, და ყრუთა ასმენს, და უტყვთა ამეტყველებს, და უძლურთა ჰკურნებს, და ნაკლულეფანთა განამდირებს...“ ეს ძვირფასი ზღაპრული თვალი, რასაკვირველია, არის არა თვალის თავისთავად, არამედ სიბრძნე. (აქედან სახელწოდებაც რომანისა: სიბრძნე ბალაჰვარისა).

ბალაჰვარი წარსდებდა იოდასაჲ-ს წინაშე.

იოდასაფი მიმართავს ბალაჰვარს აჩვენოს ეს ძვირფასი თვალი. ბალაჰვარი უპასუხებს: ეს ძვირფასი თვალი იმგვარი თვისებისაა, რომ თუ იგი იხილავ მოუშაბდებელმა ადამიანმა — დაბრმავდება; აწ მინდა გამოგცადო სიტყვით, ძალგაძის თუ არა მისი ხილვა.

ამის შემდეგ გაიმართება საუბარი ბალაჰვარსა და იოდასაფს შორის. ბალაჰვარი ესაუბრება იგავებით.

ეს იგავები, რომლებიც მართლაც დიდი პოეტურობით არის აღბეჭდილი, იყო ერთ-ერთი მიზეზი ამ რომანის განსაკუთრებული პოპულარობისა (სულ რომანში 11 იგავია მოყვანილი).

ბალაჰვარი თავისი საუბრით, რომლებიც იგავებით არის შეზავებული, თანდათან შეამზადებს იოდასაფს. ბოლოს იოდასაფი გახდება ბალაჰვარის მოძღვრების მიმდევარი.

იოდასაფი მიიღებს ქრისტიანობას. ბალაჰვარი ამის შემდეგ ისევ ფარულად წავა სასახლიდან და გაემართება უდაბნოში.

შემდეგი ისტორია მოკლედ ასეთია.

როდესაც მამა აბენესი გაიგებს, რომ იოდასაფი ქრისტიანული მოძღვრების მიმდევარი გახდა, დიდად შეწუხდება, იგი ცდილობს გადააჭეროს იოდასაფი, მაგრამ უშედეგოდ.

ამის შემდეგ გაიმართება საჯარო პაექრობა. პაექრობაზე მეფეს გამოჰყავს ნ ა ქ რ ი, რომელიც გარეგნულად ისე ჰგავს ბალაჰვარს, როგორც ორეული, მისი გარჩევა ბალაჰვარისაგან შეუძლებელია. ნაქორს, ბალაჰვარის სახით გამოყვანილს, დავალებული აქვს მეფისაგან განაცხადოს საჯარო პაექრობაზე, რომ ყველაფერი, რაც მან (ვითომდა ბალაჰვარმა) ესაუბრა იოდასაფს, ტყუილი იყო, იოდასაფის შეცდუნების მიზნით მოგონილი.

მაგრამ იოდასაფ მინც გამოიცნობს, რომ ნაქორ არ არის ბალაჰვარი. ამასთან საჯარო პაექრობაზე საქმე ისე წარიმართება, რომ ნაქორი იძულებული ხდება, რომ მან მართლაც ბალაჰვარობა იკისროს და ბალაჰვარის მოძღვრების დამცველად გამოვიდეს (იოდასაფი, ვითომც არმცნობი ნაქორისა, პაექრობის დაწყების წინ მიმართავს ნაქორს, როგორც ბალაჰვარს: თუ გამოირკვევა, რომ მატყუებდი, სიკვდილით დაისჯები, ვითარცა მაცდურიო. ნაქორი, შიშით შეპყრობილი, იძულებული ხდება მართლაც ბალაჰვარის როლის შესრულება იკისროს).

პაექრობა უშედეგოდ დასრულდა. მეფე აბენესმა ვერ მიაღწია საწადელს. ამასთან აბენესს თვითაც ეპვი აღეძვრის წარმართული მოძღვრების სიმართლეში.

შემდეგ — წარმართთა მოძღვარის თედმას შთაგონებით — ცდილობენ იოდასაფის დაბრუნებას წარმართობისადმი ქალების საშუალებით. ესეც ამოიყო; იოდასაფი თავს მტკიცედ დაიცავს.

როდესაც არც ერთმა ლონისძიებამ შედეგი არ მოიტანა, მეფე აბენესი ყრის ფარ-ხმალს. სახელმწიფო თათბირის შემდეგ აბენესი გადაწყვეტს თავისი სამეფო ორად გაჰყოს: ერთ ნაწილში თვით დარჩეს მეფედ, მეორე ნაწილში გაამეფოს იოდასაფი.

იოდასაფი აიღებს სახელმწიფო ხელისუფლებას ინდოეთის ერთ ნაწილში; მის გარშემო შემოიკრიბებიან ყველანი, ვინც კი ქრისტიანობას ფარულად მის-

დევდა, აგრეთვე ისინიც, ვინც ქრისტიანობის გამო განდევნილნი იყვნენ ინდოეთიდან.

იოდასაფი „სიმშვიდითა და მოწყალებით“ მართავს ქვეყანას. გაათავისუფლებს შეპყრობილთ საპყრობილებიდან, განუყოფს სიმდიდრეს გლახაკთა და უღონოთა; სამართალს უსჯის ქერივთა, ობოლთა და ყოველთა შევიწროვებულთა. „და ღონიერ იქმნეს ყოველნი გლახაკნი, და აღარავინ იპოვებოდა ქვეყანას შინა მისსა გლახაკნი, რომელიცა ითხოვდა ქველის-საქმარსა (დახმარებასა)“.

განვლის დრო. აბენესი გაგზავნის ელჩებს იოდასაფის სამეფოში — „რათა ცნან საქმე და ქცევამ ძისა მისისა“. ელჩები ხელაღვენ ქვეყნის აყვავებას. ელჩები თვითონაც ქრისტიანობისაკენ გადაიხრებიან.

როდესაც ელჩები დაბრუნდებიან აბენესთან, აბენესი გამართავს თათბირს. აბენესი და ყოველი ერი გადაწყვეტენ — შეუდგნენ იოდასაფის კვალს და „შეიწყნარონ წესი მისი“.

ამის შემდეგ მოხდება მამისა და შვილის შეხვედრა. აბენესი იოდასაფის მოძღვრების მიმდევარი გახდება, ქრისტიანობას აღიარებს, და მასთან ერთად მთელი მისი ერი.

აბენესი მშვიდად და ბედნიერად დაასრულებს თავის დღეებს.

როდესაც აბენესი, ბედნიერ სიბერეში მყოფი, მშვიდად გარდაიცვლება, იოდასაფი — ხელაღს რა მოწესრიგებულსა და მშვიდობაში მყოფს სამეფოს — გადადგება მეფობიდან, თავის მაგიერ დაადგენს ღირსეულ აღამიანს ბარაქიას, რომელსაც დამოძღვრავს კეთილ საქმეზე, ხოლო თვით იოდასაფი განმარტოვდება უდაბნოში და შეუდგება თავისი მოძღვრის ბრძენი ბალაჰვარის კვალს.

რომანის ლიტერატურული წყაროები. ავტორი. დრო.

რომანი „სიბრძნე ბალაჰვარისა“, როგორც ვნახეთ, ქრისტიანული ელფერიით არის დამუშავებული; მაგრამ სინამდვილეში იგი წარმოადგენს არა ქრისტიანულ ლეგენდას, არამედ ბუდიზმის ცნობილი მამათმთავრის ბუდას ისტორიის გადაკეთებას. იოდასაფი (ანუ უფრო ძველი გამოთქმით „ბოდასაფი“, „ბუდასაფი“) არის იგივე ბუდა (ბოდისატვა).

ბუდას ლეგენდა იმ რედაქციით, რომელიც ქართული რომანის პროტოტიპი გახდა, თავდაპირველად ჩაწერილ იქნა ფაჰლაურ (საშუალო სპარსულ) ენაზე მე-6 — 7 საუკუნეებში ჩვენი წელთაღრიცხვისა. ფაჰლაურიდან მომდინარეობს არაბული ვერსიები ლეგენდისა.

არაბულ ენაზე მოიპოვება ბუდას ლეგენდის ორი ვერსია, რომლებიც დამოკიდებულია ფაჰლაური პირველწყაროდან. ლეგენდის ერთი ვერსია არის „ბალაჰვარი და ბუდასაფი“ — და მეორე — მარტივად „ბუდასაფი“.

ეს არაბული ვერსიები ლეგენდისა ეკუთვნის მე-8 საუკუნეს. ოდნავ გვიან, მე-8 — 9 საუკუნეთა საზღვარზე, „ბალაჰვარისა და ბუდასაფის“ ლეგენდა ლექსად გადაიღო ცნობილმა არაბმა პოეტმა აბან ლაჰიყიმ (750 — 814 წ.).

ქართველ ავტორს, როგორც ირკვევა, წყაროდ ჰქონია არაბული პროზაული ვერსია ლეგენდისა — „ბალაჰვარი და ბუდასაფი“.

მავრამ ქართული რომანი „სიბრძნე ბალაჰვარისა“ წარმოადგენს არა თარგმანს არაბულიდან, არამედ ქართველ მწერალს გამოუყენებია არაბული ვერსია ლეგენდისა — როგორც მასალა. ასე, ბუდას ლეგენდის არაბულ ვერსიებში, არც მარტივ „ბუდასაფში“ და არც „ბალაჰვარისა და ბუდასაფში“, არათუ არ არის საუბარი ქრისტიანობის ქადაგების შესახებ ბუდასაფისათვის, არამედ იგი საერთოდ მოკლებულია ქრისტიანობის ელფერს და სიუჟეტის გაშლა აქ სხვაგვარად არის წარმართული.

ამდენად ქართული რომანი „სიბრძნე ბალაჰვარისა“ მთელი თავისი კონცეფციით და სიუჟეტური აღნაგობითაც ორიგინალურ ნაწარმოებს წარმოადგენს. ქართველ მწერალს ბუდას ლეგენდა არსებითად გადაუმუშავებია, შეუფარდებია იგი ქრისტიანობის, შეუხამებია თანამედროვე ქრისტიან მკითხველთა ლიტერატურულ მოთხოვნილებებსა და გემოვნებასთან, და რომანის „სიბრძნე ბალაჰვარისა“-ს სახით ახალი ნაწარმოები შეუქმნია.

ქართული რომანი აღბეჭდილია დიდი მხატვრული ღირსებებით. აქ გადმოცემულია საშუალო საუკუნეთა ადამიანის მსოფლმხედველობა. ამით აიხსნება, რომ რომანმა ასეთი პოპულარობა მოიპოვა.

ვინ იყო ავტორი რომანისა?

ლიტერატურული წყაროები ასახელებენ ორ პირს, რომელთაც ღვაწლი მიუძღოდათ რომანის დამუშავებაში. ესენია: ისაკ სოფრონისძე (ისაკ ძე სოფრონ პალესტინელისა) და იოანე საბაწმიდელი.

ისაკ სოფრონისძე რომანის შესავალში წარმოდგენილია როგორც მომთხრობელი: „გვიმთხრობდა ჩვენ... ისაკ, ძე სოფრონ პალესტინელისა, და არს წიგნი ესე სიბრძნე ბალაჰვარისა“.

ხოლო იოანე საბაწმიდელი არის ავტორი, მწერალი, რომელსაც ისაკ სოფრონისძის მომთხრობილი ამბით უხელმძღვანელობდა და დაუწერია რომანი „სიბრძნე ბალაჰვარისა“.

როგორც ისაკ სოფრონისძე, ისე მწერალი იოანე საბაწმიდელი პალესტინელი მოღვაწეები ყოფილან, ისინი მოღვაწეობდნენ პალესტინის საბაწმიდის საჯანეში. როგორც ეს წინათაც გვქონდა მოხსენებული, საბაწმიდაში არსებობდა ქართული კოლონია, და საბაწმიდა ქართული მწიგნობრობის უნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა საშუალო საუკუნეებში.

რომანი, როგორც ირკვევა, დაწერილია მე-9 საუკუნეში.¹

რომანის შემდგომი ლიტერატურული ისტორია.

ბალაჰვარისა და იოდასაფის ქართულ რომანს, როგორც მოხსენებული გვქონდა, მსოფლიო რეზონანსი შეუქმნა მეორე ქართველმა მწერალმა ეფთიმე იბერიელმა (958 — 1028 წ.).

ეფთიმე იბერიელი, როგორც ეს იცის მკითხველმა, ერთ-ერთი უპოპულარესი ქართველი მწერალი იყო საშუალო-საუკუნეებში და მან უკვ-

¹ იხ. შენიშვნა 1.

დავყო თავისი სახელი თარგმანებით ბერძნული ენიდან ქართულ ენაზე. სიტყვის დიდი ოსტატი, იგი თანაბარი ბრწყინვალეობით ფლობდა როგორც ქართულს, ისე ბერძნულს.

ეფთიმე იბერიელმა მოახდინა ქართული რომანის ხელმეორე გადაშუშავება, გააფართოვა იგი და ეს ახალი რედაქცია ქართული რომანისა გამოაქვეყნა ბერძნულ ენაზე, სათაურით: „მოთხრობა ბარლაამისა და იოსაფის შესახებ“.¹

რომანის ახალი რედაქცია ეფთიმე იბერიელისა მისდევს იოანე საბაწმიდელის ძველ ქართულ რედაქციას, იცავს მოთხრობის საერთო ქარგას, მაგრამ ტექსტი საგრძნობლად არის გაფართოებული. იოანე საბაწმიდელის ძველ ქართულ რედაქციასთან შეფარდებით ეფთიმე იბერიელის რედაქცია უფრო ქრისტიანიზებულია, ამასთან ეს ახალი რედაქცია უფრო მწიგნობრულ ხასიათს ატარებს, განვრცობილია ფილოსოფიურ-თეოლოგიურ მსჯელობათა ჩართვით.

კერძოდ, შევსებულია რომანის იგავებიც. იოანე საბაწმიდელის ძველ ქართულ რედაქციაში იყო 11 იგავი, ხოლო ეფთიმე იბერიელის რედაქციაში ამ 11 იგავს დამატებული აქვს 5 ახალი იგავი.

ეფთიმე იბერიელის რედაქციის ბერძნულ ენაზე გამოქვეყნებულ ტექსტს დართული აქვს ცნობა, რომ იგი „გადმოთარგმნილია იბერიელთა ენიდან ბერძნულ ენაზე ღირსი და კეთილ-სათნო კაცის, იბერიელად წოდებულის ეფთიმეს მიერ“.

ეფთიმე იბერიელის მიერ ბერძნულად გამოქვეყნებულ ამ ქართულ რომანს ადრევე მოუპოვევია დიდი პოპულარობა. ეფთიმე იბერიელის ბიოგრაფი გიორგი მთაწმიდელი წერს მე-11 საუკუნის 40-იან წლებში, რომ ეფთიმე იბერიელის „ნამუშავევი ახარებს შორიელთა და მახლობელთა... და ვითარცა ნესტვი (საყვირი) ოქრომასაჲ ხმაძალი ოხრის (ღალადებს) ყოველსა ქვეყანასა, არა ხლო ქართლისასა, არამედ საბერძნეთისაცა: რამეთუ „ბ ა ლ ა ჰ ე ა რ ი“ და „ა ბ უ კ უ რ ა მ“, და სხვანიცა რაოდენიმე წერილნი ქართლისაგან თარგმნა ბერძნულად“.

მე-11 საუკუნის ნახევარში, 1048 წელს, რომანის ეფთიმე იბერიელის რედაქცია ითარგმნება მეორე მსოფლიო ენაზე — ლათინურზე (ეს მეორე თარგმანიც ქართული წრეების ინიციატივით იქნა შესრულებული).

ამის შემდეგ ეს ქართული რომანი — ეფთიმე იბერიელის რედაქციით — მსოფლიო გავრცელებას ღებულობს, იგი ითარგმნება ბერძნულიდან და ლათინურიდან ევროპისა და წინა აზიის ყველა ხალხთა ენაზე (ამასთან მთელ რიგ ენებზე იგი ითარგმნება რამდენიმეჯერ), და ხდება ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ და გავრცელებულ საკითხავ წიგნად საშუალო საუკუნეებში.

კერძოდ, დასავლეთ ევროპაში არ დარჩენილა არც ერთი ენა და დიალექტი, რომელზედაც ლიტერატურა განვითარდა, რომ არ ყოფილიყო თარგმნილი ეს რომანი. ასეთივე პოპულარობა ჰქონდა რომანს ახლო აღმოსავლეთშიც.

¹ ეგზოტიკური სახელი „ბალაჰარი“ ეფთიმე იბერიელის რედაქციაში შეცვლილია ქრისტიანი მკითხველისათვის უფრო ადვილად ასათვისებელი სახელით „ბარლაამი“, ხოლო სახელი „იოსაფის“ შეცვლილია სახელით „იოსაფი“.

რომანის ლიტერატურული ისტორიის განხილვა მთელი მოცულობით შორს წაგვიყვანდა, ამ საგანს ჩვენ საგანგებოდ ვეხებით სხვა ადგილას. აქ კი შევჩერდებით მხოლოდ ამ რომანის გამოძახილზე საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხთა ლიტერატურებში.

რომანი — ეფთიმე იბერიელის რედაქციით — აღრევე ითარგმნა საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე.

ყველაზე ადრე საბჭოთა კავშირის ხალხებიდან ეს რომანი ჩნდება სომხურ ლიტერატურაში. სომხურად რომანი ითარგმნება მე-11 — 12 საუკუნეებში. უფრო გვიან რომანის ვრცელი ტექსტიდან სომხურ ენაზე დამუშავებულ იქნა აგრეთვე მოკლე მოთხრობა, რომელიც შეუსრულებია ვინმე ასატს („მცირედი მრავლისაგან გამოკრებულ ვყავ და ვთარგმნე იგი სომხურად“-ო, წერს ასატი). ასატის ეს შემოკლებული ტექსტი დატულია 1322 წლის ხელნაწერში. მას შემდეგ, საშუალო საუკუნეთა ცნობილმა სომხის მგოსანმა არაქელ ბაღეშელმა ლექსად გადაიღო ასატის მიერ დამუშავებული მოკლე ტექსტი რომანისა. არაქელ ბაღეშელის გალექსილი მოთხრობა 1434 წელს ეკუთვნის.

მე-13 — 14 საუკუნეებში სლავურ ენაზე ჩნდება ორი თარგმანი რომანისა (ბერძნულის საშუალებით). ერთი სლავური თარგმანი სამხრეთის სლავებში, ბულგართა და სერბთა შორის ვრცელდება, ხოლო მეორე თარგმანი ვრცელდება რუსეთში, აღმოსავლეთის სლავებში (— თანამედროვე რუსები, უკრაინელები და ბელორუსები).

მე-16 საუკუნეში, რუსეთის ისტორიაში კარგად ცნობილმა მოღვაწემ კნიაზ კურბსკიმ, იოანე მრისხანის თანამედროვემ, რომელიც იძულებული იყო მოსკოვიდან ემიგრაციაში წასულიყო, ხელახლა თარგმნა ეს რომანი ბერძნულიდან სლავურ ენაზე.

კნიაზ კურბსკის თარგმანიდან მომდინარეობს დასავლეთ-სლავური (ბელორუსული) ვერსია რომანისა, დაბეჭდილი 1637 წელს.

უკრაინაში, მე-17 საუკუნეში, უკრაინელმა ლაზარ ბარანოვიჩმა ჩერნიგოველმა პოლონურ ენაზე ლექსად გადაიღო ბარლამ და იოსაფის რომანი (უკრაინის ინტელიგენციაში ამ ეპოქაში, როგორც ცნობილია, პოლონური ენა ერთგვარი გავრცელებით სარგებლობდა). ლაზარ ბარანოვიჩის ეს გალექსილი ვერსია დაიბეჭდა კიევში 1670 წელს.

რომანს ფართო გამოხმაურება ჰქონდა დასავლეთსლავურ ენებზედაც. ჩეხურად იგი თარგმნა 1470 წელს ლავრენტი ტინ-გორშოველმა. მას შემდეგ იგი არაერთხელ დამუშავებულა ჩეხურ ენაზე.

პოლონურ ენაზე, უკრაინელ ლაზარ ბარანოვიჩ-ჩერნიგოველის შემდეგ, რომანი ლექსად გადაიღო მ. კულიგოვსკიმ (1688 წელს დაიბეჭდა კრაკოვში). ერთი საუკუნის შემდეგ პოეტმა პროფ. მ. ლიხოვეცკიმ ბარლამისა და იოსაფის რომანი დაამუშავა პოლონურ ენაზე დრამატული მისტერიის სახით (1760 წ.).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ — როგორც ეს გამოკვეთულია სპეციალურ ლიტერატურაში — ბარლამის და იოსაფის რომანს

დიდი გავლენა ჰქონდა რუსულ ხალხურ სიტყვიერებაზე. ბარლაამის და იოსაფის რომანის მოტივებს იმეორებს მთელი რიგი რუსული ხალხური თქმულებანი და ლექსები (კერძოდ, აქედან მომდინარეობს «стих о Иосафе царевиче»).



დამოუკიდებელი ლიტერატურული ისტორია ჰქონდა, კერძოდ, ბარლაამის და იოსაფის რომანის იგაგებს, რომელთაგან ზოგი მოხვედრილია იგავ-არაყთა სხვადასხვა „მოგზაურ“ კრებულებშიაც.¹

ასე, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა იგავი საწუთროსათვის (სპილოსაგან გაქცეული ხეზე ასული კაცის შესახებ), ანდა იგავი სამი მეგობრის შესახებ, იგავი მეფის შესახებ, რომელსაც ერთი წლით ირჩევენ, და სხვანი.

რომ მკითხველმა წარმოდგენა იქონიოს ამ იგავთა მხატვრული სტილის შესახებ, მოგვყავს აქ ერთი მათგანი.

თხრობა მესამე

(საწუთროსათვის)

„მსგავს არს საწუთროდ ესე კაცსა, რომელსა სდევდა პილოდ ამრიზებულნი (სპილო განრისხებული), და მიაწყვდია იგი ჭურღმულსა საშინელსა. და იხილნა ხენი, რომელსა ზედა აღზდა.

და იხილნა კვალად ორნი თავენი, ერთი შავი და ერთი თეთრი, რომელნი სჭრიდეს ძირთა მათ ხეთასა, რომელთა ზედა აღსრულ იყო კაცი. და შთახედნა ჭურღმულსა და იხილა ვეშაპი, რომელსა აღეშემო (დაელო) პირი და ეგულუბოდა შთანთქმად მისი.

და აღიხილნა ზე, და იხილა თაფლი მცირე, რომელი ჩამოსდიოდა ხეთა მათ, და იწყო ლოკად მისი. და კვალად არღარა მოიხსენა განსაცდელი, რომელსა შთავრდომილ იყო. ხოლო თავეთა მათ ხენი იგი წასჭრეს, და კაცი იგი დაეცა, და პილომან აღიტაცა და მიუგდო ვეშაპსა. —

„აწ, ძეო მეფისაო, პილოდ იგი სახე არს სიკვდილისა, რომელი სდევს ძეთა კაცისათა; და ხენი იგი საწუთრო არს; და თავენი იგი დღენი და ღამენი; და თაფლი იგი საწუთრომასა ამის სიტკბოება არს, და შეაქცევს კაცსა გემოვნება საწუთრომასა. და დღენი და ღამენი აღსრულდებიან, და სიკვდილი წაჩიტაცებს... და ესე არს ცხოვრება კაცთაა“.

ეს იგავი, აღბეჭდილი ღრმა პესიმიზმით, უკვდავ მხატვრულ ფორმაშია ჩამოყალიბებული. იგი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული იგავთაგანია მსოფლიო ლიტერატურაში.

რომ მართო რუსული ლიტერატურით დაკავაყოფილდეთ, ამ იგავის გამოხმაურება ჩვენ გვაქვს რუსულ მწერლობაში დაწყებული მე-12 საუკუნიდან (კირილ ტუროვსკი) ვიდრე მე-19 საუკუნემდე. მე-19 საუკუნეში ეს იგავი თარ-

¹ კერძოდ „ქილილა და დამანა“-ში.

განა რუსულ ენაზე (— რიუკერტის მიერ გერმანულად დამუშავებული ტექსტიდან) პოეტმა ე. უ. კოვსკიმ.

ამ იგავს მიმართავს ლევ ტოლსტოი თავის „ალსარებაში“.

2.

კოვია „აბუკურად“

იმავე ეპოქას და იმავე სალიტერატურო წრეს, — საბაწმიდელთა სალიტერატურო სკოლას, რომელმაც დაგვიტოვა „სიბრძნე ბალაჰვარისა“, ეკუთვნის აგრეთვე ჰაგიოგრაფიული პოემა:

მთხრობა აბუკურად ასი მიქაელისათვის საბაწმიდელისა (ანუ შემოკლებით „აბუკურად“).

შინაარსი ნაწარმოებისა მოკლედ შემდეგია.

პროლოგში მოთხრობილია საბაწმიდელების სტუმრობა თეოდორე აბუკურასთან (თეოდორე აბუკურა იყო ცნობილი მწერალი, რომელიც მოღვაწეობდა მე-8 საუკუნის ბოლო მეოთხედსა და მე-9 საუკუნის პირველ მეოთხედში).

აბუკურასთან სტუმრად მოსული საბაწმიდელები, რომელთა შორის ყოფილა ამა ბასილი საბაწმიდელიც, სთხოვეს აბუკურას, უამბოს მათ „სიტყვათ სულისა სარგებელი“. აბუკურა ჭერ გაუმასპინძლდება სტუმრებს, და შემდეგ უამბობს მათ მოთხრობას მიქაელ საბაწმიდელის შესახებ, ძველ ამბავს, რომელიც ასი წლის წინათ მომხდარა.

ამას მოჰყვება თვით ეს მოთხრობა, აბუკურას მიერ ნაამბობი.

აბუკურას მოთხრობა იწყება იმით, რომ მუსულმანთა ხალიფი აბდალმელიქი მურვანის-ძე (685 — 705 წ.), თავისი ცოლით დედოფლით „სეიდამ“-თ, შვილით, დიდებულებით, და რჩეული ჯარის თანხლებით დიდი ზეიმით მივა ბაბილონიდან (ბაღდადიდან) იერუსალიმში. იმავე დროს საბაწმიდიდან იერუსალიმში ჩამოდის მიქაელ საბაწმიდელი, ყმაწვილი კაცი, მონასტრის მოწაფე მორჩილი, რომელიც ხელოსნობას მისდევდა, აკეთებდა ყუთებსა და მალაქებს „ფრიად კეთილად ნაქმარსა“ და ჰყიდდა იერუსალიმში. ქულბაგში (ბაზარში) მიქაელს შეხვდება დედაფლის „სეიდამ“-ს მონა-საჰურისი, მოეწონება მიქაელის ნამუშევარი ნივთები — დიდი ხელოვნებით შესრულებული, და წაიყვანს მიქაელს დედაფალთან ნივთების საჩვენებლად.

როდესაც მიქაელ წარსდგება დედაფლის წინაშე, დედაფალი მოიხიბლება მიქაელის სილამაზით. დედაფალი გააბაშს სატრფიალო საუბარს მიქაელთან. მაგრამ მიქაელი დედაფლის სიყვარულს უპასუხოდ სტოვებს.

დედაფალი შეურაცხყოფილია. აღვსილი გულისწყრომით, იგი ბრძანებს მეჭკრან მიქაელი მშვილდის საბელით. დედაფალი მოითხოვს აბანოზის ფიცარს, რომელზედაც დაწერს მიქაელის დასმენას ხალიფისადმი, ვითომც მიქაელმა დედაფლის შეურაცხება განიზრახა. დედაფალი სთხოვს ხალიფს: ან ნუღა დასაჯო მიქაელ კადნიერებისათვის, ან მომეცი უფლება თვით შე დაესაჯო იგი ნებისაებრ ჩემისა.

დედაფლის მონა-საჰურისი წარადგენს საბლით შეკრულ მიქაელს ხალიფის წინაშე და მიართმევს დედაფლის წერილს ხალიფს.

ხალიფი გრძნობს, რომ დედოფლის წერილი ცილისწამებაა, რომ ყოველივე, რასაც დედოფალი სწერს, არის „ტყუილი და არა ყოფილი“.

ამის შემდეგ გაიმართება საუბარი ხალიფსა და მიქაელს შორის იგავ-არაკებით. ხალიფს მოეწონება მიქაელის ბრძნული იგავსიტყვაობა. საბოლოოდ დარწმუნებული მიქაელის სიმართლეში, ხალიფი ბრძანებს შეხსნან მიქაელს საბელი.

მაგრამ ხალიფი — პოეტის სიტყვით — „იყო ბრძენ სოფლისა, ხოლო სულელ წინაშე უფლისა“.

ხალიფი განიზრახავს მუსულმანობაზე მოაქციოს მიქაელი და დაიანლოვოს ეს ყმაწვილი, რომელიც მას მოსწონს.

გაიმართება საჯარო პაექრობა ქრისტიანობისა და მუსულმანობის შესახებ. ამ პაექრობაში, რომელიც პოემაში ვრცლად არის აღწერილი, მიქაელს დარჩება გამარჯვება.

პაექრობაზე დამსწრე გაბოროტებული მუსულმანები მოითხოვენ მიქაელის სიკვდილით დასჯას. ხალიფს ებრალება მიქაელ, უნდა მისი განთავისუფლება, მაგრამ ეს შეუძლებელი ხდება, „რამეთუ ერი განუკრთებოდა“.

მიქაელს ქალათი სიკვდილით დასჯის.

შემდეგ მიქაელის ნემსს მიახვეწებენ საბაწმიდაში, სადაც მას დაიტირებენ მისი მასწავლებელი და მეგობარნი.



ჰაგიოგრაფიული პოემა მოთხრობაა აბუკურაჰს მიქაელისათვის საბაწმიდელისა (ანუ შემოკლებით აბუკურაჰ) განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით იმ მხრივ, რომ აქ გვაქვს სასულიერო ქართული მწერლობისა და საერო ქართული მწერლობის ელემენტების შეერთება.

პოემას საერო მწერლობასთან აახლოებს ჯერ თვით სიუჟეტი, პოემაში შეტანილი რომანტიული მოთხრობა, რომელიც აქ ჯერ კიდევ სასულიერო ელფერის დაცვით არის წარმოდგენილი. ასეთია მესამე კარი პოემისა, სადაც დამუშავებულია იგივე სიუჟეტი, რომელიც ერთგვარ პარალელს წარმოადგენს იოსებ მშვენიერისა და პენტეფრეს ცოლის შესახებ ბიბლიურ თქმულებასთან.

იოსებ მშვენიერის შესახებ ორი რომანტიული თქმულება არსებობდა: ერთი ბიბლიურის მიმდგომი, როდესაც იოსებ მშვენიერმა უარყო პენტეფრეს მელლის სიყვარული, ხოლო მეორე თქმულება, რომელიც მოგვითხრობს იოსებ და ასანეთის მიჯნურობის შესახებ, და რომელიც ასე პოპულარულია საშუალო საუკუნეთა პოეზიაში (ქრისტიანულში — იოსებ და ასანეთ, მუსულმანურში — იოსებ და ზილიხან).

ხოლო ამას გარდა საერო მწერლობასთან აერთებს ამ ძეგლს თვით ფორმა, იგი დაწერილია რითმიანი ლექსით. ხოლო რითმა სასულიერო პოეზიისათვის უცხო იყო, რითმა სასულიერო პოეზიამ (ჰიმნოგრაფიამ) საერო პოეზიიდან შეითვისა.

თავისებურია აგრეთვე პოემის მეტრი, სალექსო საზომი. პოემაში ჩვენ

გვაქვს თავისუფალი რთული მეტრი, არათანაზომიერი ტაქები, გარკვეული წესით ერთმანეთთან შეთანაბრებული¹.

რათა მკითხველმა წარმოდგენა იქონიოს ჩვენს დრომდე მოღწეულ უძველეს ქართულ პოემაზე, რომელიც მეცხრე საუკუნეს ეკუთვნის, მოგვყავს აქ მესამე კარი პოემისა, სადაც აღწერილია შეხვედრა დედოფლის სეიდასი და მონაზონისა მიქაელ საბაწმიდელისა.

დედოფალი სეიდა პირველი შეხვედრისთანავე განიმსჭვალება სიყვარულით ახალგაზრდა მონაზონის მიქაელისადმი.

III

27. ა.	ვითარცა შევიდა კარსა ტაძრისასა კრაჲი იგი,	} (16)
	შევიდა გულსაცა დედაკაცისასა მგელი იგი,	
ბ.	რომელი არა დაცხრების ბრძოლასა მონაზონისასა.	} (16)
28. ა.	აღძრა სეიდა ცოლი ამირა-მუმნისსა და შთაუგდო ტრფიალებად მონაზონისსა, —	(13) (13)
ბ.	რამეთუ იყო გრძელ პასაკითა, და ჭაბუკ წამითა, და შუენიერ ხატითა, ხოლო ყვითელ პირითა — მძაფრითა მარხვითა, შრომითა და მღუპარებითა.	(10) (6) (8) (8) (6) (10)

[ს ე ი დ ა]

29.	«მ, ჳირვეულო ჭაბუკო! ტყუე თუ ხარ — გამოგვიდო, და სნეულ თუ ხარ — განგკურნო, გლახაკ თუ ხარ — განგამდიდრო!	(8) (8) (8) (8)
-----	--	--------------------------

[მ ი ქ ა ე ლ]

30. ა.	«ტყუეა ვიყავ სოფლისა, და აწ კსნილ ვარ უფლისა; მონაა ვიყავ ცოდვისა, აწ მონაა ვარ მალლისა;	(7) (7) (7) (7)
--------	---	--------------------------

¹ ეს არის ლექსთწყობა, რომელსაც ჩვენ ეუწოდებთ სილაბური უკვეთელი ლექსი — ტაეობრივი რიტმიკით. ასეთ ლექსთწყობაში სტროფში ყოველ ტაქს უპასუხებს ერთი ან რამდენიმე ამავე საზომის ინტიტაქტი; სტროფი შეკრულია რითმით.

ხელნაწერი Ath. — 57/8.

27. — 2₂ იგი abs. || 3₂ გულსა 28. — 1₂ სეიდა abs.

28. — 1₂ იყო + იგი. — 29. — 3₁ და abs.

30. — 4₁ + ხოლო აწ. —

ბ. არა ვარ სნეულ გუამითა, (8)
 არცა გლახაკ საფასითა, (8)

გ. არამედ სნეულ სულითა, (8)
 და ნაკლულ სინანულითა, (8)
 წყლულ ქრისტემს სიყვარულითაჲ (8)

[ს ე ი დ ა]

31. «მ ვაბუკო, (4)
 უბადრუკო (4)
 უკუეთუ მეგობარ ჩემდა იყო, (10)
 მე შენ კეთილი გიყო, (7)
 ცხორებამა შენდა ვიყო, (7)
 და შენ უფრომს მრავალთასა იყო!» (10)

[მ ი ქ ა ე ლ]

32. «მ დედაკაცო რაისა გნებაჲს ცხორებისა ჩემისა აწყუედაჲ, (10+10)
 და მოყუსთა ჩემთა მოწყუედაჲ, (10)
 და სულისა ჩემისა წარწყმედაჲ!» (10)

[ს ე ი დ ა]

33. «უკუეთუ არა მერჩედ გონებითა, (12)
 განეკაფო გუამი შენი გუემითა, (12)
 და განსაცდელთა სიმძაფრითა, (9)
 და გარდარეულითა ტანჯვითაჲ» (9)

[მ ი ქ ა ე ლ]

34. ა.	«მორჩილებამა	(4)	}
	შენი —	(2)	
	არს ურჩებამა	(4)	
	ლმერთისა ჩემისამ;	(6)	
ბ.	კუალად ნებამ	(4)	}
	შენი —	(2)	
	არსვე ვნებამ	(4)	
	თავისა ჩემისამ;	(6)	
გ.	ხოლო გუემამ	(4)	}
	ჩემი —	(2)	
	განსუენებამა	(4)	
	გუამისა ჩემისამ;	(6)	
დ.	ხატანჯველი	(4)	}
	ჩემი —	(2)	
	საშუებელი	(4)	
	სულისა ჩემისამ!»	(6)	

ბ. — 1₂ სნეული + ვარ. —

31. — 5₁ + და' ცხორებამა. — 32. — 3₁ და abs. —

34. — 3₁ — 2 ურჩებამა ურჩებამა || 5₁ კუალად] და || 7₁ არსვე abs. || 14₁ ჩემი abs. —

[ს ე ი დ ა]

35. ა.	ანუ არა მე ვარა —	(4) (3)
ბ.	საქებელ, საშუებელ, და საწადელ?!	(3) (3) (4)

[მ ი ქ ა ე ლ]

36.	ჰარა ხარ შენ საქებელ, არამედ საქიქებელ!	(7) (7)
	არა საშუებელ, არამედ ხაენებელ!	(5) (6)
	არა ხაწადელ არამედ ხაძაგელ!*	(5) (6)
37.	მამინ აღიძრა ახპიდი იგი გულითა, და აღივსო ტირილითა, გულის-წყრომითა მრავლითა, და უბრძანა შეკრვა მისი მშუღდის საბლითა და ტანჯვამ ტაჯგანაგითა.	(13) (8) (8) (13) (8)

„აბუკურა“-ს ტექსტის ლიტერატურული ისტორიის შესახებ ზოგიერთ სპეციალურ საკითხს დაწვრილებით ვეხებით ცალკე ნარკვევში.

აქ აღენიშნავეთ მხოლოდ, რომ პოემა „აბუკურა“, შემდეგ, მე-10 — 11 საუკუნეთა საზღვარზე, უთარგმნია ქართულიდან ბერძნულად იმავე განთქმულ ქართველ მწერალს ეფთიმე იბერიელს, რომელმაც გამოაქვეყნა ბერძნულად ძხალი რედაქცია რომანისა „სიბრძნე ბალაპვარისა“ და ამ რომანს მსოფლიო რეზონანსი მისცა.

თ ა ვ ი მ მ ს ა მ შ

ბ ი ო გ რ ა ფ ი უ ლ ი

ი ს ტ ო რ ი უ ლ - მ ხ ა ტ მ რ უ ლ ი ლ ი ტ მ რ ა ტ უ რ ა

ბიოგრაფიული ქანრის ლიტერატურული ტრადიციები შემუშავდა ქართული მწერლობის წინა პერიოდში, მე-4 — 7 საუკუნეებში. ხოლო თავის განვითარების უმაღლეს სახეს ლიტერატურის ეს ქანრი აღწევს ეპოქაში, რომელიც აქ ჩვენი მიმოხილვის საგანს შეადგენს.

მე-8 — 11 საუკუნეთა მანძილზე ქართულ ენაზე ამ ქანრში დაიწერა რამდენიმე ნაწარმოები, რომლებიც საბოლოოდ რჩება ქართული ლიტერატურის

მეკვიდრეობაში. საკმაო დაეასახელოთ თხზულებანი იოანე საბანის-ძისა და გიორგი მერჩულისა. ეს ძეგლები მხატვრული კულტურის მხრით უსწორდება ქართული სიტყვის უძველეს კლასიკურ შედევრს იაკობ ცურტაველის შუშანიკის ბიოგრაფიას; ხოლო ამავე დროს ძეგლები მე-8 — 11 საუკუნეებისა იდეოლოგიურად ახალი შინაარსით არის აღვსილი, როგორც, მაგალითად, იოანე საბანის-ძის თხზულება, ანდა მოცემულია ფართო ტილო, ფართო დიაპაზონის ნაწარმოები, რომელიც ასახავს მთელ ეპოქას, როგორც გიორგი მერჩულეს „გრივოლ ხანძთელი“.

ბიოგრაფიული ქანრის ლიტერატურა — წამყვანი დარგი ამ ეპოქის ქართული მწერლობისა — აღბეჭდილია ნამდვილი ნაციონალური კოლორიტით. ვიძლევიტ ამ ქანრის ნაწარმოებთა მოკლე მიმოხილვას.

1.

იოანე საბანისძე.

ბიოგრაფია აბოსი.

იოანე საბანისძე მე-8 საუკუნის მეორე ნახევრის მწერალია. მისი თხზულება — ბიოგრაფია აბოსი — დაწერილია 786 წლის შემდეგ, ამ წლის ახლო ხანებში.

თემა აბოს ბიოგრაფიისა უბრალოა, იგი ეხება ერთ ეპიზოდს არაბთა მფლობელობის ხანიდან საქართველოში. მაგრამ ეს ეპიზოდი ავტორს გამოყენებული აქვს როგორც ფონი ნაციონალური იდეოლოგიის პროპაგანდისათვის. აბოს ბიოგრაფიის სახით ავტორი ქმნის ღრმა პოლიტიკური შინაარსით აღვსილ ლიტერატურულ დოკუმენტს.

შინაარსი მოთხრობისა — რომელიც ისტორიული ფაქტების ზუსტად გადმოცემას ემყარება — შემდეგია.

ქართლის ერისმთავარი ნერსე, რომელიც მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში არაბების მიერ იყო დადგენილი როგორც წარმომადგენელი ადგილობრივი ქართული ნაციონალური ხელისუფლებისა ტფილისის არაბთა ამირასთან, ვერ დაიმსახურებს არაბთა ნდობას. არაბთა ხალიფის (არაბთა იმპერიის მეთაურის) აბდოლას (754—775 წ.) ბრძანებით ქართლის ერისმთავარს ნერსეს გაიწვევენ ხალიფატის რეზიდენციაში — ბაღდადში. აქ ნერსეს „ბოროტთა კაცთა შესმენით“ შეიპყრობენ და სამი წელი ტყვედ ჰყავთ საპყრობილეში.¹ ხალიფ აბდოლას სიკვდილის შემდეგ ახლად გამეფებული ხალიფი მაჰდი (775 — 785 წ.) გაათავისუფლებს ნერსეს, აღადგენს ნერსეს ქართლის ერისმთავრის უფლებასა და გამოისტუმრებს საქართველოში.

ნერსეს ბაღდადში ყოფნის დროს შეხვდება არაბი ყმაწვილი კაცი აბო, რომელიც სურნელებათა შეზაფების ხელოვანი ოსტატი იყო. აბო აიყვანა ნერსემ მსახურად. როდესაც ნერსე გამოემგზავრა საქართველოში, აბოც თან გამოჰყვა.

¹ ნერსეს დეტალები მოხუა 773 წელს.

აბო განათლებული ყმაწვილი კაცი ყოფილა, „სწავლულ იყო მწიგნობრობითა სარკინოზთაჲთა (არაბთაჲთა)“. საქართველოში — ტფილისში ჩამოსვლის შემდეგ აბო დაუახლოვდა ქართულ წრეებს, შეისწავლა ქართული ენა და ქართული ლიტერატურა („მესძინა სწავლად ქართულია მწიგნობრობისა და ზრახვისა სრულად“). აბო — გადმოგვეცემს ბიოგრაფი — ჰანგრძლივი სწავლისა და გამოძიების შემდეგ გამოიხიბლა მაჰმადიანობისაგან, რომელიც ავტორის სიტყვით — უსამართლობას ქადაგებს, „მახვილითა პყრობილს სჯულს“ წარმოადგენს, და ქრისტიანობისაკენ გადაიხარა. აბო ფარულად ქრისტიანობის მოძღვრების მიმდევარი ხდება, თუმცა ამის საჯაროდ განცხადებას ჯერ კიდევ ვერ ბედავს არაბთა შიშით.

ამის შემდეგ განვლის რამდენიმე ხანი და ქართლის ერისმთავარს ნერსეს ისევე დაატყდება არაბთა რისხვა. „და იყო დღეთა მათ შინა კვალად განრისხება ხელმწიფეთა მათ სარკინოზთა (არაბთა) ნერსე ერისთავსა ზედა და ივლტოდა იგი, რამეთუ სასტიკად ბრძოდეს მას არაბთა ერი“. დამარცხებული ნერსე თავს დააღწევს არაბებს, დატოვებს საქართველოს, და სამასი ერთგული კაცით განვლის დარიალის ხეობას და გადავა ხაზართა სამეფოში (ეხლანდელი სამხრეთი რუსეთი) ¹. ნერსეს მხლებელთა შორის არის აბოც.

აქ, ხაზარეთის სამეფოში, „განშორებული შიშისაგან და მძლავრებისაგან“ არაბთა, აბო ახილად მიიღებს ქრისტიანობას და მოინათლება.

ეს მომხდარა, როგორც ირკვევა, ხაზართა სამეფოს ვასალურ ქვეყანაში, ტეტრაქსი-გუთების მხარეში, რომელიც აზოვის ზღვის სანაპიროზე მდებარეობდა, იმ თემში, რომელიც რუსულ მათიანეებში „ტმუტარაკინი“-ს სახელით არის ცნობილი ². აზოვის გუთები ახლო ურთიერთობაში იყვნენ საქართველოსთან; ტეტრაქსი-გუთების მეზობელი თემის ტავრიდის (ყირიმის) გუთების ქრისტიანული ეკლესიის ხელმძღვანელი იოანე სწორედ ამ ხანებში, 758 წელს, ეპისკოპოსად ეკურთხა საქართველოში, მცხეთაში, ქართველთა კათალიკოსის მიერ.

ხაზარეთიდან ნერსე და მისი მხლებელნი, მათ შორის აბო, ჩამოვიდნენ დასავლეთ საქართველოში („აფხაზეთში“), რომელიც ამ დროს ბიზანტიის გავლენის სფეროში შედიოდა. ნერსე, და მასთან ერთად აბო, აფხაზეთში რჩებიან ერთ წლამდე ³.

ამ ხანებში არაბებმა ქართლის ერისმთავრად ნერსეს ადგილას დანიშნეს ნერსეს ნათესავი (დისწული) სტეფანოზი. ნერსე მოლაპარაკებას გამართავს არაბებთან, ნერსეს არაბები შემოირიგებენ და მისცემენ ნებას, დაბრუნდეს ქართლში, ტფილისში.

აფხაზეთის მთავარი ურჩევს აბოს — დარჩეს აფხაზეთში, რადგან აბოს, წარმოშობით არაბს და მაჰმადიანობისაგან განდგომილს, საფრთხე მოელოს არაბებისაგან. მაგრამ აბო, პროზელიტის გატაცებით — არ აქცევს ყურადღებას ამ გაფრთხილებას და ნერსესთან ერთად ტფილისში ბრუნდება.

¹ ნერსეს გადასვლა ქართლიდან ხაზარეთში მოხდა 781 წელს.

² „ტმუტარაკინი“ მოხსენებულია აგრეთვე იგორის ლაშქრობის ცნობილ რუსულ ეპოსში.

³ ნერსეს გადმოსვლა ხაზარეთიდან აფხაზეთში მომხდარა 781 წლის ბოლოს, და აქ ნერსე და მისნი მხლებელნი დარჩენილან 782 წლის მეორე ნახევრამდე.

აბო ტფილისში განცხადებულად მისდევს ქრისტიანობას. აბოს, როგორც არაბებისაგან განდგომილს და ქრისტიან ქართველებთან ერთობაში მყოფს, არაბები შეიპყრობენ და ციხეში ჩასვამენ. მცირე ხნის ტყვეობის შემდეგ, ქართლის ერისთავის გურგენის შუამდგომლობით, აბოს თუმცა ცოტა ხნით გამოუშვებენ საპყრობილედან, მაგრამ არაბთა ხელახალი დასმენის შედეგად აბოს ხელმეორედ დაატუსაღებენ. აბოს გაასამართლებს ტფილისის ამირა. ამირა ცდილობს შთააგონოს აბო, რომ მას, როგორც ნამდივლ არაბსა და მაჰმადიანობაში გაზრდილს, არ შეჰფერის არაბთა ნაციონალური რელიგიის უარყოფა და ქრისტიან ქართველებთან ერთობა; ჰპირდება აბოს პატივსა და წარჩინებას, მაგრამ აბო ნეოფიტის სიმტკიცით დგას ქრისტიანობაზე, და ეს მაშინ, როდესაც აბოსთან ერთად გასამართლებული ქრისტიანე და ქრისტიანეთა შთამომავალი — მუსულმანობაზე გადადის. როდესაც აბოს სიმტკიცეს ვერაფრით მოსდრეკენ, აბოს სიკვდილით დასჯას მიუსჯიან. აბოს ჯალათი თავს მოჰკვეთს. აბოს სხეულს გაიტანენ ქალაქგარეთ, დასწვავენ ნავთით, ხოლო მის დანაცრეხულ ძვლებს ჩაპყრიან მტკვარში, მეტეხის ხილთან.

აბოს სიკვდილით დასჯა მოხდა 786 წელს, 6 იანვარს.

•

იოანე საბანისძის თხზულება გამსჭვალულია ღრმა პატრიოტიზმით.

ეპოქა, რომელშიაც ცხოვრობდა ავტორი, და რომელსაც ეხება იგი თავის ნაწარმოებში, ეს იყო არაბთა მფლობელობის „უამთა-სიავის“ ხანა.

„ვართ ყურუსა ამის ქვეყანისასა, — წერს ავტორი, — მძღავრებნა ქვეშე (არაბთასა) დამონებულნი, და ნაკლულევიანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი ვითარცა რკინითა!..“

ქვეყანა დენაციონალიზაციის გზაზე იყო შემდგარი. მუსულმანობის გავლენა თანდათან ძლიერდებოდა საზოგადოებაში, არაბიზაცია ეტყობოდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს. ქართველობა ქრისტიანობის გავლენის შესუსტებასთან ერთად, — ხოლო ქრისტიანობა ამ ხანაში ქართველთა ნაციონალურ აღსარებას წარმოადგენდა, — ჰკარგავდა ეროვნულ სახესაც.

ავტორი ემყარება ქრისტიანობას, როგორც ეროვნული სახის შერჩენისა და განმტკიცების საშუალებას. ასეთ ასპექტში იძლევა ავტორი ქრისტიანობის აპოლოგიას. „ქრისტიანეთა სარწმუნოებამ დიდი მოძღვრებამ არს“, — ამბობს ავტორი, იგი მაღლა დგასო ვიდრე მაჰმადიანობა, რომელიც ძალადობას ქადაგებსო და არა სიმართლეს, რომელიც არისო „მახვილითა პყრობილი სჯული“.

და აი იმ გარემოებას, რომ აბო, წარმოშობით არაბი, გადაუდგა არაბების „მახვილითა პყრობილს“ უსამართლო მოძღვრებას და შეუერთდა ქართველობას, ავტორი იყენებს როგორც მძღავრ საპროპაგანდო საშუალებას ეროვნული იდეის განსამტკიცებლად. ეს მოხდაო მაშინ, — წერს ავტორი, — როდესაც თვითონ ქართველებიც კი ვერ იჩინენ სიმტკიცეს „და შიშითა განილევიან და ირყევიან ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“. ავტორი მისაბამ მაგალითად სახავს აბოს გმირობასა და სიმამაცეს და ცდილობს ამ მაგალითით „შერყეულნი განამტკიცოს“, ხოლო მტკიცენი კიდევ უფრო გაამხნევოს.

დასასრულ დაგვარჩენია აღვნიშნოთ, რომ ავტორი აკავშირებს საქართველოს — ქრისტიანობის გზით — დასავლეთის, საბერძნეთის დიდ კულტურულ მსოფლიოსთან. ქართველები არ არიან ბარბაროსნი, არამედ სწორნი ბერძენთა, აცხადებს ავტორი, „რამეთუ არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოებაი ესე (— დიდი მოძღვრება ქრისტიანეთა) მოიპოვეს, არამედ ჩვენცა (ქართველთა), შორეულთა ამათ მკვიდრთა!.. ამა ესერა ქართლისა მკვიდრთაცა აქეთ სარწმუნოებაჲ“ — ეროვნული სიამაყის გრძნობით აცხადებს ავტორი, რომელიც საქართველოს საბერძნეთის გვერდით აყენებს და დასავლეთის კულტურული მსოფლიოს სწორუფლებიან წევრად აღიარებს.

ასეთია იდეური მიზანდასახულობა იოანე საბანისძის თხზულებისა. ეს არის ერთი მეტად მნიშვნელოვანი ძეგლთაგანი ძველ ქართულ მწერლობაში, რომელშიაც ეროვნული მიმართულება ასე მკვეთრად არის გამოსახული.

მაგრამ იოანე საბანისძის თხზულება წარმოადგენს არა მხოლოდ მნიშვნელოვან დოკუმენტს ძველი საქართველოს პოლიტიკური აზროვნების ისტორიიდან, არამედ მაღალი რანგის ლიტერატურულ ნაწარმოებს.

აღსანიშნავია ნათელი არქიტექტონიკა ამ ძეგლისა, მისი შინაგანი განუყვეთელი მთლიანობა, მწყობრი მაგისტრალი მოთხრობისა, მკაცრად მიმართული ნაწარმოების ცენტრალური იდეის სრულყოფილი მხატვრული გამოვლენისაკენ. თავისი კლასიკური კეთილშობილი სტილით ეს ძეგლი უნებლიეთ გვაგონებს თავისი ეპოქის ქართული ხუროთმოძღვრების მონუმენტებს, ჰარმონიულის მთლიანობით აღბეჭდილთ.

როდესაც იოანე საბანისძის თხზულებას ვიხილავთ, პირველ რიგში და ხაზგასმით უნდა აღინიშნოს მისი დამახასიათებელი მხარე: რეალისტური მანერა წერისა. ამ მხრივ იოანე საბანისძე არის მეკვიდრე მე-5 საუკუნის დიდი ქართველი მწერლის იაკობ ცურტაველის სალიტერატურო ტრადიციისა. ავტორი აგვიწერს თავისი გმირის თავგადასავალს ყოველგვარი მისტიკური შეფერადების გარეშე, აქ მოცემულია ნამდვილი ცოცხალი მხატვრული სახე პროზელისა. ადრეულ საშუალო საუკუნეთა მწერლობაში ასეთი რეალისტური მანერა წერისა არც ისეთ ხშირ მოვლენას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ ავტორი გამოდის რეალიზმის შეგნებულ დამცველად და იდეოლოგიად ლიტერატურაში. ავტორი საჭიროდ თვლის აღნიშნოს თავისი თხზულების შესავალში, რომ იგი მიზნად ისახავს მოგვცეს „ქეშმარიტი და უტყუველი“ სურათი. ავტორის მხრით ეს არ არის უბრალო დეკლარაცია. ისტორიული გარემო, რომელიც წარმოდგენილია ნაწარმოებში, დახატულია დიდი სინამდვილით, ისტორიკოსის ნამდვილი სიზუსტით. არც ერთი ისტორიული ქრონიკა ამ ეპოქისა არ იძლევა ისეთ სრულსა და ნათელ სურათს მე-8 საუკუნის საქართველოს ისტორიული ვითარებისა, როგორც იოანე საბანისძის ნაწარმოები.

2.

მე-8 საუკუნის მოღვაწეთა შესახებ
გიორგაფიული ლიტერატურის სხვა ძეგლები

გარდა იოანე საბანისძის თხზულებისა ამავე ეპოქაში ქართულ ენაზე არსებულა ბიოგრაფიული ენარის მთელი რიგი სხვა თხზულებები.

ამათ რიცხვს ეკუთვნოდა ბიოგრაფია იოანე კათალიკოსისა, მე-8 საუკუნის შუა წლების მოღვაწისა, რომლის დროსაც მოხდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის გამოცხადება (ანტიოქიის პატრიარქატ-დან გამოყოფა). თვით იოანე კათალიკოსი მონაწილე ყოფილა ამ აქტისა (იგი ანტიოქიაში იყო წარგზავნილი). აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, საშუალო საუკუნეთა პირობებში საეკლესიო დამოუკიდებლობის მოპოვებას ჰქონდა არა მხოლოდ ვიწრო საეკლესიო მნიშვნელობა, არამედ პირველ რიგში ზოგადპოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტს წარმოადგენდა.

იოანე კათალიკოსი, გარდა იმისა, რომ იგი საზოგადო მოღვაწე ყოფილა, ამასთან ცნობილი მწერალიც იყო, და მას საშუალო საუკუნეებში იოანე ოქროპირს ადარებდნენ.

ამას გარდა ამავე ხანაში არსებულია ბიოგრაფია არგვეთელ მოღვაწეთა დავითისა და კონსტანტინესი (რომელნიც სიკვდილით დასაჯეს არაბებმა მურვან-ყრუს შემოსევის დროს დასავლეთ საქართველოში მე-8 საუკუნის 30-იან წლებში), და ბიოგრაფია არჩილ მეფისა (რომელიც არაბებმა აწამეს მე-8 საუკუნის შუა წლებში).

არსებულია აგრეთვე ბიოგრაფია სარმეან კათალიკოსისა (მე-8 საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეა).

მაგრამ ამ მოღვაწეთა ბიოგრაფიებიდან ჩვენ დრომდე გადარჩენილა ან მოკლე ექსცერპტები, ანდა შემდეგ დროში გადაკეთებულ-განახლებული პირები. პირველდენი ბიოგრაფიებისა დაკარგულია, ყოველ შემთხვევაში ჭერ-ჭერობით აღმოჩენილი არაა.

3.

ბიოგრაფია კონსტანტი კახასა

თემა ამ ნაწარმოებისა ანალოგიურია იოანე საბანისძის თხზულების თემატიკასთან.

მოთხრობის მთავარი მოქმედი პირი — კონსტანტი კახა ქართლის მთავარი იყო. 853 წელს, როდესაც არაბთა ჯარი ბულა-თურქის სარდლობით შემოვიდა კავკასიაში და ააოხრა სომხეთი და ქართლი, კონსტანტი კახა, ამ დროს უკვე ღრმა მოხუცებაში მყოფი (იგი 85 წლისა ყოფილა), დაატყვევეს არაბებმა, როგორც ბულა-თურქის საწინააღმდეგო კოალიციის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე, — „შეიპყრეს ხელად ვითარცა წინამძღვარი და წარჩინებული ყოვლისა ქვეყანისა ქართლისა... და შებოროტეს იგი და ეგრეთ წარიყვანეს ქალაქად ტფილისად და შეაყენეს იგი საპყრობილესა“. ტფილისში მოხუცი კახა დიდხანს არ გაუჩერებიათ; „შემდგომად მცირედთა დღეთა შეკრეს იგი ფიცხელითა საკრველითა რკინისათა და წარსცეს იგი ქვეყანად ბაბილონისა. ქალაქსა, რომელსა ჰქვია სამარია, მოჰგვარეს იგი მეფესა ისმაიტიელთასა (არაბთას), რომელსა ერქვა ჯაფარ ძე აბრაჰამისი“. ბაბილონში კახა, როგორც არაბთა წინააღმდეგო, სიკვდილით დასაჯეს იმავე 853 წელს, 10 ნოემბერს.

კახას ბიოგრაფიის ბოლოში მოყვანილია ეპისტოლე ბიზანტიის დედოფლის თეოდორასი და იმპერატორის მიხეილისა, რომელიც მათ გამოუგზავნიათ

კახას მეშვეილდრეთათვის, და რომლითაც ისინი ამხნევებენ არაბობისაგან შევიწროებულ ქართლის ქვეყანას.

კახას ეს ბიოგრაფია დაუწერია თანამედროვე მწერალს, იმავე 853 წლის ახლო ხანებში (853 — 856 წლებს შორის).

მიუხედავად იმისა, რომ ავტორი თანამედროვე ყოფილა, მისი ნაწარმოები ფაქტიური მასალების მხრით საკმაოდ ღარიბია. ავტორი მხოლოდ გაკვირით ებება ბულა-თურქის ლაშქრობას, არაფერს ამბობს იმ დიდ ბრძოლებზე, რომელიც ამ დროს სწარმოებდა საქართველოსა და სომხეთში, არ იძლევა ეპოქის გაშლილ სურათს. ავტორს თავისი მოთხრობა უმთავრესად შემოუფარგლავს კახას ქველმოქმედების აღწერითა და შემდეგ მისი მოწამებრივი აღსასრულის გადმოცემით.

4.

ბასილი ზარზმელი.

ბიოგრაფია სერაპიონ ზარზმელისა

ბასილი ზარზმელს დაუწერია ბიოგრაფია სერაპიონ ზარზმელისა, რომელშიაც მოთხრობილია სამონასტრო კოლონიზაციის ისტორია მესხეთის პროვინციაში მე-9 საუკუნეში.

ეს ბევრნაირად საყურადღებო ნაწარმოები გადაკეთებული სახით შენახულა.

პირველი დედანი ამ ნაწარმოებისა, რომელიც ბასილი ზარზმელის კალამს ეკუთვნოდა, დაწერილი ყოფილა მე-9 საუკუნის ბოლოს, 886 წლის ახლო ხანებში; ხოლო უფრო გვიან, მე-11 საუკუნეში, რომელიდაც მწერალს მოუხდენია ბასილი ზარზმელის თხზულების „გადამეტაფრასება“, შეუტანია მასში წმინდათა ცხოვრებებში მიღებული ტრაფარეტის მიხედვით რედაქციული ცვლილებები.

ტექსტის ანალიზიდან ირკვევა, რომ ეს შემდეგდროინდელი რედაქცია არ ყოფილა არსებითი ხასიათისა, რომ მოთხრობის გეგმა და ფაქტიური მხარე უცვლელად არის შერჩენილი.

მაინც მოთხრობის სტილს რედაქტორის ხელში განუცდია ერთგვარი გაუპიროვნება, მას დაკარგული აქვს ინდივიდუალური კოლორიტი, ამასთან ტრაფარეტული ხასიათის ჩანართები მოთხრობის მხატვრულ ღირებულებას ამცირებს.

მიუხედავად ამისა, ეს ნაწარმოები არ ჰკარგავს თავის მნიშვნელობას. როგორც პირველხარისხოვანი წყარო ძველი საქართველოს სოციალური ისტორიისათვის. როგორც აღენიშნეთ, ფაქტიური მხარე მოთხრობისა უცვლელად არის დატოვებული, მოთხრობაში წარმოდგენილია სურათი ადრეული ფეოდალიზმის სოციალურ ურთიერთობათა. მაღალ სოციალურ ფენებთან აქ წარმოდგენილია დაბალი ფენები, გლეხობა. მოცემულია ყუთაცხოვრების ცოცხალი სურათები.

სტეფანე გობრონი.

ბიოგრაფია გობრონისი

გიორგი მერჩულე, გამოჩენილი ქართველი მწერალი მე-10 საუკუნისა, რომლის შესახებ ქვემოთ გვაქვს საუბარი, თავის თხზულებაში „გრიგოლ ხანძთელი“ ასახელებს ოთხს ცნობილ ავტორს, რომელთაც თავი უსახელებიათ ბიოგრაფიული ლიტერატურის დარგში. ესენია: სოფრონ შატბერდელი, ილარიონ პარეხელი, გიორგი მაწყვერელი და სტეფანე მტბევარი. მე ვფიქრობდიო, — წერს გიორგი მერჩულე, — რომ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას აღწერდნენო ეს განთქმული მწერლები, „ბრძენნი და სრულნი“, შატბერდელი სოფრონ, პარეხელი ილარიონ, მაწყვერელი გიორგი და მტბევარი სტეფანე; და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისინი გარდაიცვალნენ, გაუბედურო შევდგომოდი გრიგოლ ხანძთელის ბიოგრაფიის აღწერასო.

ეს მწერლები, როგორც ირკვევა, მე-9 საუკუნის დასასრულისა და მე-10 საუკუნის პირველი ნახევრის ავტორები ყოფილან.

ამათგან პირველი სამი ავტორის: სოფრონ შატბერდელის, ილარიონ პარეხელისა და გიორგი მაწყვერელის თხზულებანი დაკარგულია. ხოლო მეოთხე ავტორის სტეფანე მტბევარის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან გადარჩენილა ერთი ძეგლი: ბიოგრაფია გობრონისი.

•

საგანი სტეფანე მტბევარის თხზულებისა არის არაბთა ლაშქრობა საქართველოსა და სომხეთში 914 წელს. ეს იყო არაბთა ერთ-ერთი დიდი ლაშქრობა კავკასიაში.

მოთხრობის ცენტრალური ფიგურა არის გობრონ, ქართველი მხედართმთავარი, რომელიც არაბთა შემოსევის დროს იცავდა მესხეთის მთავარ სიმაგრეს ყველის ციხეს, და გამირულად დაიღუპა 133 ქართველ მხედართან ერთად.

სტეფანე მტბევარს ეს თხზულება — ბიოგრაფია გობრონისი — დაუწერია 914 წლის ახლო ხანებში, არაბთა შემოსევის უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ¹.

ის დიდი შეფასება, რომელსაც აძლევს სტეფანე მტბევარს, როგორც მწერალს, მისი უმცროსი თანამედროვე გიორგი მერჩულე, არ არის ზედმეტად გადაჭარბებული.

სტეფანე მტბევარი დიდი ტემპერამენტის მწერალია. გობრონის ბიოგრაფია დაწერილია დიდი ექსპრესიით და კოლორიტული სტილით.

¹ თხზულება დაწერილია ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 918 წლისა, რადგან მისი დაწერის დროს ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა ამოტ შავშეთის ერისთავ-ერისთავი, რომელიც 918 წელს გარდაიცვალა.

საგულ-სხმა პოლიტიკური კონცეფცია ავტორისა. თხზულებას გასდევს არა მხოლოდ ანტიმუსულმანური, არამედ ანტიომხური ტენდენცია.

როგორც ცნობილია, საშუალო საუკუნეთა მანძილზე ორი მოძმე ქვეყანა—საქართველო და სომხეთი პოლიტიკური მეგობრობით იყვნენ დაკავშირებულნი. მაგრამ იყო ერთი პერიოდი — IX—X საუკუნეებში — როდესაც მათი ურთიერთობა დიდად გამწვავდა.

საჭიროა ვიცოდეთ, რომ მუსულმანთა (არაბთა და სპარსთა) ბატონობა ჯერ კიდევ VII საუკუნიდან დამკვიდრდა კავკასიაში; კერძოდ საქართველოში მათი მფლობელობის მთავარ ცენტრს წარმოადგენდა თბილისი, სომხეთში — ღვინი.

მუსულმანთა (არაბთა და სპარსთა) დამკვიდრებამ თბილისში საქართველოს მეზობელ სამთავროს ტერიტორიულად ჩამოაშორა ქართლის სამხრეთი სანაპირო ზონა (ლორე-ბამბაკი, გარდაბანის საერისთავო) რომლებიც უშუალოდ ეკვროდა სომხეთის სამთავროს.

სომხეთმა ისარგებლა ამ გარემოებით, რომ ქართლის ეს სამხრეთი სანაპირო მოწყვეტილი დარჩა შიდა-საქართველოს სამთავროსაგან და VIII—IX საუკუნეთა მანძილზე დაიპყრო და შეიერთა ეს ზონა.

მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა. რათა სამხრეთი ქართლის ეს სანაპირო ზონა უფრო შემოემტკიცებინა, სომხეთი შეეხზო სარწმუნოებასაც; გაავრცელა აქ სომხური ქრისტიანული აღსარება—გრიგორიანობა და ამით დააშორა ქართველთა ქრისტიანულ აღსარებას — მართლმადიდებლობას.

ამრიგად, ქართლის ამ სამხრეთ სანაპირო მხარეში წარმოიშვა და თანდათან ჩამოყალიბდა ქართულ-სომხური ეთნიკური ჯგუფი, რომელმაც საუკუნეთა მანძილზე იარსება და რომელსაც შემდეგი დროის ისტორიკოსები (—კერძოდ ვახუშტი) ასე ახასიათებენ:

„არიან სარწმუნოებითა სომეხნი, ხოლო ენითა და ქცევა-ზნითა ქართულთა“.



ჩვენი ავტორი სტეფანე მტბევიარი ვერ შერიგებია ვერც ქართლის სამხრეთი სანაპიროს შეერთებას სომხეთის მიერ, ასევე სომხური აღსარების გავრცელებას ქართულ დედა ენაზე მოლაპარაკე ქართველთა შორის.

სტეფანე მტბევიარი, აგვიწერს რა მუსულმანთა დიდ ლაშქრობას კავკასიაში, კერძოდ სომხეთში 910-იან წლებში, წერს:

„და მიშვებითა ღმრთისაჲთა აღიძრა მეფე სარკინოზთა (არაბთა) სახელით აბულკასიმ, ძე აბულსაჯისი ამირისა, უფალი სპარსეთისა, რომელსა ჰმონებდა სამოცი ქალაქი დიდ-დიდი და შეიდნი მეფენი მორჩილებდეს ძლიერნი. ესენი აღქურა ერთთა მრავლითა, კაეტებითა რჩეულითა. რომელთა ჰყვანდა ათასეული და ბევრეული, შევიდა (სომხითს) ქალაქსა ღვინისასა, და ოხრად გულისწყრომისა მათისაჲ მოასწავებდა ოხრებასა სომხეთისასა, ვითარცა ნინეველთა დაქცევასა! და რათამცა შეინახეს ამათცა?! (არა, რამეთუ) გულნი მათნი განფიცებულ იყვნეს ვითარცა რვალი, და დწყინებულ ვითარცა სამყარო. რამეთუ ცოდვაჲ წვალებისა მათისაჲ დაწერილ იყო ფიცარსა ჰას რკინასასა, ფრცხილითა ანდამატისაჲთა!..“

•

თუ ავტორი ასეთ შეურიგებლობას იჩენს სომხეთისადმი, მით უფრო კიდევ მეტი შეურიგებლობით არის იგი გამსჭვალული არაბებისადმი და სპარსელებისადმი და არ იშურებს რისხვას მათთვის.

ავტორი ახასიათებს არაბებს როგორც ბარბაროსებს და კოლორიტულ ფერებში აგვიწერს არაბებსა და მათ ქვეყანას:

„ესე დაშენებულ არს შორის უდაბნოთა ვრცელთა, რომელთა შორის დამკვიდრებულ არიან კაცნი მხეცისა ბუნებისანი, მტაცებელნი, რომლისა სახლი არს და ცხოვრება აქლემისა ზურგი...“

ავტორი თვლის არაბებსა და სპარსებს განსახიერებად იმ აპოკალიპტური ცხოველებისა — მგელისა, ვეფხვისა, დათვისა და ლომისა, — რომელთა შესახებ საუბარია ბიბლიაში.

„მგლად და ვეფხვად სიბოროტისა მათისა მძინვარებასა იტყვის, მხეცისა სახედ მოსწრაჲედ დათხევეასა სისხლისა... დათვად მოასწავეებს სპარსთა მეფობასა ბაბილოვს, ლომად სარკინოზთა (არაბთა) მეფობასა ბაბილოვნისასა“.

ავტორი სვამს ასეთ საკითხსაც, თუ როგორ მოხდა, რომ ამ უსჯულო ბარბაროსებმა დაიპყრეს მორწმუნეთა ქვეყნები, — და ამას პროვიდენციალურ განმარტებას აძლევს.

ჩვენი მწერალი ძველ ბიბლიურ წინასწარმეტყველებს ემსგავსება იმითაც, თუ როგორ აქვს მას წარმოდგენილი მომავლის იდეალი.

სტეფანე მტბევიარი აღიარებს, რომ ომი უსამართლობა არის, რომ მომავალში ომი უნდა მოისპოს. იგი იმორწმუნებს ბიბლიის სიტყვებს: „დასჭრიდეს მახვილებსა მათსა ნამგლად და ლახვრებსა მათსა სახნისად“. მოვა დრო და ომი გადავარდება „და არღარა ისწავებდენ მერმე ბრძოლასა, ვითარცა აწ ყოვლადვე არა ეკადრების ქრისტეანეთა აუგად მახვილისა პყრობა და არცა მხედარი აღჯდომად ცხენსა“. ყველანი გაერთიანდებიან ერთ ოჯახად: „მაშინ ძოვდენ მგელნი კრავთა თანა, და ვეფხი განისვენებდეს თიკანთა თანა, ხბო და (დათვი), და კურო და ლომი ერთად სძოვდეს“.

ასეთია მსოფლმხედველობა სტეფანე მტბევიარისა, ამ კოლორიტული ლიტერატურული ფიგურისა, რომელიც ძველ ბიბლიურ წინასწარმეტყველთა ორეულს წარმოადგენს ქართულ მწერლობაში.

•

დასასრულ დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ სტეფანე მტბევიარის თხზულება ინტერესს წარმოადგენს არა მხოლოდ როგორც საყურადღებო ლიტერატურული დოკუმენტი თავისი ეპოქისა, საშუალო საუკუნეთა მსოფლმხედველობის სპეციფიკით, არამედ როგორც ისტორიული ძეგლი, რომელშიაც აღბეჭდილია ისტორიული გარემო, — ცხოველი სურათი არაბთა ლაშქრობისა, ომისდროინდელი სცენები და სხვ.

ავტორი ასე აგვიწერს გარემოცვას არაბების მიერ მესხეთის ციხე-სიმაგრის ყველის ციხისა, (რომელიც იცავდა არტაანის მხარიდან გადმოსავალ გზებს აპარას და შავშეთ-კლარჯეთში, ერთი მხრივ, და ზემო სამცხეში, მეორე მხრივ):

„მოვიდეს (სპანი არაბთა), და მოადგეს ციხეს მას ყველისასა, გარე შეადგეს კარვები იგი მათი, ვითარცა თოვლი, რომელნი ზუთისა სოფლისა საზღვართა ოდენ ეტივნეს იწრობითა. და საბელნი იგი კარვებისა მათისაჲ განეთხზნა ურთიერთას, რამეთუ ესე იყო ჩვეულებად დადგრომისა მათისაჲ... ესრეთ განემზადნეს ბრძოლად ფილეკავნებითა¹ მათითა, და სიმრავლე ტყორცებულთა მათ ისართა შეიპყრობდა ჰაერსა მზისასა, რომელსა აქენდა ასეული ტვირთი აქლემისა ისარი ოდენ, და აგრეთვე ჰოროლი“...

როდესაც არაბებმა არტაანის მხარე დაიპყრეს და ყველის-ციხეს მოადგნენ, ზაფხული იდგა და მოსახლეობას ჭერ კიდევ არ ჰქონდა მომკილი ყანები და აღებული მოსავილი. შიმშილისაგან შევიწროებული ხალხი აღარ ერიდებოდა მტრის ლაშქარის თარეშსა და მინც გადიოდა არაბთა ჭარების მიერ გადათელილ ყანებში თავთავის ასაკრებად. „და ოდესმე გამოუტევნიან (არაბთა) სიმრავლენი იგი (სპათა თვისთა) ზღუარსა არტაანისასა, და რომელნი პოენიან თავთავისა მკრებელნი და მსხვერტელნი ყანობირისა მათისანი, — რომელნი შიშსა სიკვდილისასა შეურაცხ-ჰყოფდეს, — შეკრიბნიან მახლობელად ციხესა მას... და დაქრნიან ხორცნი მათნი“.

არაბების მიერ დაპყრილი პროვინციებიდან გადმოხვეწილი ლტოლვილებით აღვსილა აპარა და შავშეთი. „ურციხვნი იგი ერნი მართლმადიდებელთანი აპარას და შავშეთს შეწყვედილ იყვნეს, რომელნი ვითარცა მკალნი მოსკამდეს ფურცელსა ხეთასა და მწვანვილოვანსა ქვეყანისასა“.

ასეთია ეს სურათები არაბთა შემოსევის „ჟამთა-სიამისა“, აღბეჭდილი სტეფანე მტბევეარის თხზულებაში.

6.

გიორგი მერჩულე

გიორგი მერჩულე მე-10 საუკუნის მწერალია. მისი თხზულება — „გრიგოლ ხანძთელი“ — დაწერილია 950 წელს.

ამ ეპოქაში, მე-8 — 11 საუკუნეთა ქართულ ლიტერატურაში არის რამდენიმე მწერალი (— ზოგ მათგანს უკვე გავეცანით —), რომელთა ლიტერატურული შემკვიდრობა ახალ ერას აღნიშნავს ქართული მწერლობისა და ქართული კულტურის ისტორიაში: იოანე საბანისძე, მწერალი დიდი დიაპაზონისა, რომელიც განამტკიცებს ეროვნულ მიმართულებას ქართულ მწერლობაში; იოანე საბაწმიდელი — ავტორი ბალაჰვარის რომანისა; ათონის სკოლის კორიფეები — ეფთიმე იბერელი, გიორგი მთაწმიდელი. ამ დიდი მწერლების პლედას ეკუთვნის გიორგი მერჩულე.

¹ ფილეკავნი — კატაპულტი (ციხის სანგრევი მანქანა).

ხოლო როგორც მხატვარს, როგორც წმინდა ლიტერატურულ ტალანტს, გიორგი მერჩულეს შესაძლოა მიეკუთვნოს საპატიო სახელი ეპოქის პირველი მწერლისა.

გიორგი მერჩულემ „გრიგოლ ხანძთელი“-ს სახით შექმნა ნაწარმოები, რომელშიაც ასახულია მთელი ეპოქა.



გიორგი მერჩულემ, როგორც ფორმა, თავისი ნაწარმოებისათვის გამოიყენა ძველ-ქართულ ლიტერატურაში შემუშავებული ბიოგრაფიული ჟანრი. მაგრამ ამ ჟანრის ფარგლები მან გააფართოვა და მისი ნაწარმოები წარმოადგენს უფრო დოკუმენტურ რომანს, ვიდრე ჩვეულებრივი ტიპის ბიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებს.

ცენტრალური ფიგურა გიორგი მერჩულეს მოთხრობისა არის გრიგოლ ხანძთელი, გამოჩენილი ისტორიული მოღვაწე მე-8 — 9 საუკუნისა, მწერალი, მთავარი ხელმძღვანელი იმ დიდი კულტურული მშენებლობისა, რომელიც სწარმოებდა მესხეთში მე-8 — 9 საუკუნეებში, ხოლო გრიგოლ ხანძთელის გვერდით აქ წარმოდგენილია მთელი პლეადა პერსონაჟებისა, მთელი გალერეა ისტორიულ მოღვაწეთა. გიორგი მერჩულეს ნაწარმოები ეს არის ფართოდ გაშლილი ისტორიული ქრონიკა მე-8—10 საუკუნის საქართველოსი, ასახული დიდი მხატვრის მიერ.

მემკვიდრის სიზუსტე და დოკუმენტურობა ისტორიული ფაქტების გადმოცემისას, და ამავე დროს ნამდვილი მხატვრული სრულყოფა დახატული სახეებისა ქმნის ამ ნაწარმოებს დოკუმენტური მხატვრული პროზის უბრწყინვალეს ძეგლად.

არც ერთი მხარე ძველი საქართველოს საზოგადოების ცხოვრებისა არ რჩება მწერლის მხედველობის გარეშე. ჩვენ აქ ვეცნობით საშუალო საუკუნეთა ქართულ სამონასტრო და საეკლესიო ცხოვრებას. ვეცნობით საქართველოს სამეფო კარს. ამ დოკუმენტურ რომანში ასახულია მაღალი და საშუალო ფეოდალური წრე, და ამის გვერდით დაბალი სოციალური ფენები. გაშლილია ფართო პანორამა საზოგადოებრივი ცხოვრებისა, — ვეცნობით კულტურული მშენებლობის ისტორიას, პოლიტიკური ისტორიის ამბებს, ეპოქის ლიტერატურულ გარემოს. ჩვენ აქ ვისმენთ საშუალო საუკუნეთა ადამიანების საუბარს იმ საკითხებზე, რომელიც მათ აინტერესებდათ და აღელვებდათ.

რომანში მოცემულია ყოფა-ცხოვრების სურათები, დანახული მხატვარის მახვილი თვალით. ჩვენს წინ იშლება ოჯახური ტრაგედია — აღწერილი ნამდვილი რეალისტი რომანისტის მიერ. ვესწრებით პაექრობა-კრებებს. ვხედავთ ყანის მკის სურათს, მონადირეებს, მონასტრის დასანგრევად მოსულ სოფლის მოსახლეობას. ვესწრებით კათალიკოსის არჩევნებს, ვისმენთ თათბირსა და გაცხოველებულ კამათს იმის გამო, თუ რამდენად კანონიერია „მძლავრად“ არჩეული კათალიკოსის დატოვება საქართველოს საკათალიკოსო ტახტზე. ვკ-

თხულობთ წერილებს, მოწერილს ქართული საზღვარგარეთული კოლონიიდან და სხვა.

ასეთია ის დიდი მხატვრული ტილო, რომელიც დაგვიხატა გიორგი მერჩულემ, ისტორიულ-მხატვრული ეპოპეა, რომელშიც ასახულია ეპოქა. აქ ჩვენს წინაშე ცოცხლდებიან გადასული ეპოქის ადამიანები, ჩვენს წინაშე გაივლიან სახეები. აღვსილნი იმ ნამდვილი სიცოცხლით, რომელთაც მათ უკვდავ ხელოვნება ანიჭებს.

•

როდესაც ჩვენ ვიხილავთ გიორგი მერჩულეს ნაწარმოების სპეციფიკას, აქ საჭიროა ცალკე აღვნიშნოთ, კერძოდ, ერთი მხარე მერჩულეს შემოქმედებაში — რომანიული თემის დამუშავება. ეს თემატიკა ადრეულ საშუალო საუკუნეთა ქართულ მწერლობაში არ გვხვდება (თუ არ მივიღებთ მხედველობაში ჰაგიოგრაფიულ პოემას „აბუჯურა“, სადაც ეს თემა მხოლოდ მკრთალად არის მოხაზული). გიორგი მერჩულე ამ ახალი თემატიკით — რომანიული თემის მხატვრული დამუშავებით — წინ უსწრებს თავის ეპოქას, იგი ეხმაურება შემდეგი ხანის, რუსთაველის ეპოქის მე-11 — 13 საუკუნეთა ქართულ ლიტერატურას.

რომანი აშოტ დიდისა, გადმოცემული გიორგი მერჩულეს ნაწარმოებში, ეს არის ცალკე ნოველა, დიდი დრამატიზმით დამუშავებული, დაწერილი სრულყოფილი ხელოვნებით. რომანში აღბეჭდილია ღრმა სიყვარულის გრძნობა, რომელიც ადამიანს, მოშორებულს სატრფოსაგან, წარმოათქმევინებს სიტყვებს: „ნეტარ არს კაცი, რომელი არა ცოცხალ არს!“

მეორე რომანში, ადარნერსეს რომანიულ ისტორიაში, — ოჯახური ტრაგედიის ფონზე, მოცემულია მომხიბლავი სახე ქალისა, რომლის სათნო მოსიყვარულე გული ვერ შეცვალა განცდილმა ტრაგედიამ.

•

როდესაც ჩვენ გიორგი მერჩულის ნაწარმოების სპეციფიკას ვიხილავთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ აგრეთვე ერთი მხარეც გიორგი მერჩულის შემოქმედებაში, — ბუნების ღრმა გრძნობა, რომელიც აღბეჭდილია გიორგი მერჩულის რომანში. ბუნების გრძნობა იშვიათი მოვლენაა საშუალო საუკუნეთა მწერლობაში, არა მარტო ქართულში, არამედ საერთოდ საშუალო-საუკუნეთა სხვა ლიტერატურებში.

გიორგი მერჩულის რომანში მოცემულია არტიტულად დახატული ქართული პეიზაჟი, რეალისტურ ფერებში შესრულებული.

მოგვყავს აქ მერჩულის სტილის გასაცნობად აღწერა „კლარჯეთის უდაბნო“-სი, მესხეთის მთიანი მხარისა.

ქებაჲ კლარჯეთისა უდაბნოთაჲ

1. ა. რამეთუ ბუნებით ერთ-გუამ არს
ბ. ქუეყანაჲ უდაბნოთაჲ მათ,
და კეთილად შენავებულ
მზისაგან და ჰაერისა,

•
2. ა. რამეთუ არცა ფრიადი სიცხეჲ
ბ. შესწუავს მათ,
და არცა გარდარეული სიცივეჲ
შეაურეებს მყოფთა მისთა,

•
3. ა. არამედ განწესებით დგას
ბ. თუნსა საზღვარსა,
უნოტიოჲ, უხორმაკოჲ,
უმიწოჲ, მზუარეჲ,

•
4. ა. რამეთუ კაცთა
ბ. ნახუნდი ჟერტანი —
არაოდეს თიქიან ექმნებიან
სღვასა მათსა.

•
5. ა. ხოლო წყალი კეთილი
ბ. და შემაჲ ნებისაებრ —
უნაკლულოდ აქუს აღმოცენებული
ქეშათა მათ შინა.

•
6. ა. ურიცხვ მადნარი
ბ. და სიმრავლე წყალთა ჰამოთაჲ,
ბუნებით მხიარულებჲ
მოცემულ არს ღმრთისაგან.

•
7. ა. და არს იგი უგზო და მიუვალ რაითურთით
ბ. სოფლისა წესისა მცხოვრებელთაგან,
რამეთუ ღაღოთა მთათა შინა მაღალთა
არს მკედრობაჲ მათი,

8. ა. და მორტყნულ არს ერთ-კერძო მთაი იგი,
და ერთ-კერძო [ქვევნი კლარჯეთისანი,
ბ. ხოლო] შავშეთისად იდთა წყალთა შეკრებისა გარემოსლგაა
გარე-მოადგს ზღუდის სახედ უძრავისა.
9. ა. და ესრეთ ყოვლით კერძო შეზღუდვილ არიან
მთათა მიერ, და ქვევებისა,
ბ. და წყალთა მათგან
საშინელად ძნელოვანთა ადგილთა მავალთაჲსა.
-
10. ა. და მონასტერთა მათ შინა არა არს სათიბელი ქუეყანაჲ,
არცა ყანაჲ საჯნავი,
ბ. არამედ დიდითა შრომითა როჭიკისა მისლგაჲ აქუს
კარაულისა ზურგითა.
11. ა. და მცირედ ვენაჲნი ჳირით და ურვით დაუნერგვიან,
და ეგრეთვე მტილები,
ბ. ხოლო მხალთა ველისათაჲ
არს სიმრავლე ურიცხუ.
12. ა. და ანას ყოველსა თანა უშიშ არს გული მათი
უქრისტოთა მათ ურწმუნოთა შერყევისაგან,
ბ. და ყოვლისა ძრვისა
ჟამსა კელმწიფეთა მტერობისაჲსა,
13. ა. და ესრეთ მრავლით მშუდობითა
მეუდროებით არიან,
ბ. და ყოვლაღვე
ქრისტესა ადიდებენ.
14. ა. რამეთუ ლმერთმან დასაზამსავე დაბადებისაჲსა
უკუანასათოუს ჟამთა დაჰაღნა იგინი,
ბ. მონაზონთა სამკუდრებელად
და ყოველთა ქრისტეანეთა შესავედრებლად ორ-კერძოვე.

ამ პოეტურ ქმნილებაში აღსანიშნავია ბუნების ღრმა გრძნობა.

უნდა გვახსოვდეს, რომ საშუალო საუკუნეთა მსოფლიო პოეზიის ძეგლებში ბუნება იშვიათად არის ასახული, ბუნება აქ მხოლოდ სპორადული სახით გვხვდება, ისიც მკრთალად.

ამდენად გიორგი მერჩულის ეს პოეტური ქმნილება ერთი იშვიათ ძეგლთაგანია საშუალო საუკუნეთა პოეზიაში.

გიორგი მერჩულის თხზულებას წარუვალ მნიშვნელობას ანიჭებს ქართულ ლიტერატურაში მისი ნამდვილი ნაციონალური კოლორიტი.

ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მანძილზე ცოტაა თხზულება, რომელიც აღბეჭდილი იყოს ასეთი განუმეორებელი ორიგინალობით, ნამდვილი ნაციონალური ელფერით. გიორგი მერჩულის რომანს დიდი ნაციონალური ნაწარმოების სახეს ანიჭებს არა მარტო მისი ქართული თემატიკა, არამედ ამასთან ერთად მისი უნიკალური მხატვრული ფორმა.

7.

მე-11 საუკუნის ძეგლები

გიორგი მერჩულეს შემდეგ ბიოგრაფიული ქანრის ლიტერატურა გამდიდრდა რამდენიმე დიდად მნიშვნელოვანი ნაწარმოებით. ამათ რიცხვს ეკუთვნის მე-11 საუკუნის ძეგლები:

1. ბიოგრაფია იოანე და ეფთიმე იბერიელთა და ისტორია ათონის ქართული კოლონიისა (მე-10-11 საუკუნეთა ლიტერატურული ცენტრი), რომელიც დაწერა დიდმა ქართველმა მწერალმა გიორგი მთაწმიდელმა მე-11 საუკუნის 40-იან წლებში.

2. ბიოგრაფია გიორგი მთაწმიდელისა, დაწერილი მისი მოწაფის გიორგი მცირის მიერ 1065 წლის ახლო.

3. ბიოგრაფია ილარიონ ქართველისა.

პირველი ორი ძეგლი — გიორგი მთაწმიდელისა და გიორგი მცირის თხზულებანი, რომლებიც ქართველ მწერალთა ბიოგრაფიებს შეიცავს, წარმოადგენს ერთგვარ გარდამავალ სახეობას საკუთრივ ისტორიის დარგსა და ისტორიულ-მხატვრულ ქანრის შორის. ამის გამო მათ ქართული ისტორიოგრაფიის ძეგლებთან განვიხილავთ.

აქ ორიოდ სიტყვა მესამე ძეგლზე — ილარიონ ქართველის ბიოგრაფიაზე.

ილარიონ ქართველი, მთავარი მოქმედი პირი ამ ნაწარმოებისა, მე-9 საუკუნის მოღვაწე იყო (დაიბადა 816 წელს, გარდაიცვალა 882 წ.). მას მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის ქართულ-ბიზანტიური კულტურული ურთიერთობის განმტკიცების საქმეში. ილარიონი, რომელიც ჯერ საქართველოში და პალესტინაში მოღვაწეობდა, შემდეგ დამკვიდრდება ბიზანტიაში (— იმოგზაურა რომშიც, სადაც დაჰყო ორი წელი). ბერძნულ მცირე ოხიაში, კონსტანტინეპოლის ახლო, ულუმბოს მთაზე, მან დააარსა ქართული კოლონია. მის შემდეგ ილარიონის მოწაფეებმა მე-9 საუკუნის 80-იან წლებში თვით კონსტანტინეპოლში დააარსეს ქართული მონასტერი, „რომანა“-ს სახელით

ცნობილი, რომელიც წარმოადგენდა ქართულ-ბიზანტიური კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს ამ ეპოქაში.

ილარიონ ქართველის მოწაფეებს ადრევე დაუმსახურებიათ ავტორიტეტი ბიზანტიაში, და როგორც გადმოგვცემს ბიოგრაფი — თვით ბიზანტიის იმპერატორს ბასილი I მაკედონელს (867 — 886 წ.) მიუყვანია ილარიონის მოწაფეთათვის თავისი შვილები ლეონ და ალექსანდრე (— შემდეგ ბიზანტიის იმპერატორები: ლეონ VI, ბრძნად წოდებული, და ალექსანდრე I) და დაუვალეზა ილარიონის მოწაფეთათვის — „ასწავეთ წიგნი და ენა თქვენი“, ქართული ენა და მწიგნობრობა შეასწავლეთ ბიზანტიელ ეფლისაწულებსო.

ილარიონ ქართველის ბიოგრაფია პირველად დაუწერია მე-9 საუკუნეში ბერძნულად „ბასილი პროტოასიკრიტს და ფილოსოფოსს“ (ასეა მოხსენებული იგი ტექსტში), ხოლო მე-11 საუკუნეში უცნობ ქართველ მწერალს, ბასილის თხზულებისა და ქართული წყაროების გამოყენებით, დაუწერია ილარიონის ბიოგრაფიის ჩვენს დრომდე მოღწეული ქართული ტექსტი.

თხზულება მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს, როგორც ამსახველი ქართულ-ბიზანტიური კულტურული ურთიერთობისა ამ ეპოქაში.

თავი მეოთხე

ჰიმნოგრაფია

ჰიმნოგრაფია — სპეციფიკური დარგია საშუალო საუკუნეთა პოეზიისა, როგორც შინაარსით, ისე ფორმით, ჰიმნები — ეს პოეტური საგალობლებია ქრისტიანული ელფერით: ლოცვა-ფსალმუნი, ქება (ოდა) ქრისტიან მოღვაწეთა, ჰიმნები — შესხმანი, რომელთა თემატიკა მომდინარეობს ქრისტიანობის ისტორიისა და რელიგიური მითოლოგიის რეალიდან; ფილოსოფიურ-რელიგიური ხედვანი.

ფორმის მხრივ ქართული ჰიმნოგრაფია განსხვავდება ქართული საერო პოეზიის ტრადიციისაგან. ქართულ ჰიმნოგრაფიაში, როგორც მოხსენებული გვქონდა — მიღებულია თავისებური „თავისუფალი“ რთული მეტრი, რომელიც ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის „თავისუფალი“ მეტრის გავლენით არის შემუშავებული. ქართულ ჰიმნოგრაფიაში იხმარება აგრეთვე ეგრეთ წოდებული იამბიკური საზომი (12-მარცვლოვანი მეტრი), ესეც ბერძნულის გავლენით შემოღებული, ბერძნული იამბიკური ტრიმეტრის შეფარდებით. ბერძნული ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის გავლენა მოჩანს ძველი ქართული ჰიმნების როგორც ფორმაში, ისე შინაარსშიაც, თემების დამუშავებაში.

ქართული ჰიმნოგრაფია ჩაისახა ქართული მწერლობის წინა პერიოდში, მე-5 — 7 საუკუნეებში. მაგრამ განსაკუთრებით ბრწყინვალე განვითარებას ქართული პოეზიის ეს ჟანრი აღწევს იმ ხანაში, რომელიც აქ ჩვენი მიმოხილვის საგანს შეადგენს, მე-8 — 11 საუკუნეებში.

უძველესი ძეგლი ამ ეპოქის ქართული ჰიმნოგრაფიისა ეს არის ჩვენს დრომდე მოღწეული პოეტურ საგალობელთა კრებული (ვილ-ეტრატის კრე-

ბულის სახელით ცნობილი), გადაწერილი მე-8 — 9 საუკუნეთა საზღვარზე, მაგრამ თავის ძირითად ფენში დამოკიდებული უფრო ადრინდელი დედნებიდან¹. აღსანიშნავია, რომ ამ კრებულში ჩვენ გვხვდება ქართული თემატიაკა — ქება (ოდა) ქართველი მოღვაწის აბო ტფილელისა.

ახალი ეპოქა ქართულ ჰიმნოგრაფიაში შეუქმნია განთქმულ ქართველ მოღვაწეს გრიგოლ ხანძთელს (758 — 860 წ.). მას მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში დაუწერია პოეტური ჰიმნების კრებული „იადგარი“ — რომელსაც დიდად აფასებდნენ საშუალო საუკუნეებში (— „რომლისა სიტყვანი კეთილ არიან“-ო, წერს გრიგოლ ხანძთელის იადგარის შესახებ ქართული სიტყვის ისეთი დიდი ოსტატი, როგორც იყო მერჩულე).

მე-9 — 10 საუკუნეებში ქართული ჰიმნოგრაფია წარმოდგენილია პოეტების მთელი პლადით. მე-9 — 10 საუკუნის ქართველ ჰიმნოგრაფთა რიცხვს ეკუთვნიან პოეტები: მიქაელ მორდრეკილი, იოანე მტბევარი, იოანე მინჩხი, გიორგი მერჩულე, იოანე ქონჭოზის-ძე, ეზრა, კურდანი, სტეფანე სანანოის-ძე, ფილიპე ბეთლემელი, იოანე-ზოსიმე, მაკარი, აგრეთვე მთელი წყება ანონიმი ჰიმნოგრაფებისა. რომელთაც დაუწერათ სავალობელნი „ქართულნი“, ქებანი (ოდები) ქართველ მოღვაწეთა, ჰიმნები აკროსტიხებით და სხვა.

გრიგოლ ხანძთელის შემდეგ განსაკუთრებით თვალსაჩინო ფიგურაა ამ ეპოქის ქართულ ჰიმნოგრაფიაში მიქაელ მორდრეკილი, ეს მრავალმხრივ შესანიშნავი პოეტი, და ამავე დროს მუსიკოსი-კომპოზიტორი.

დიდი პოეტური ტემპერამენტი, რომლითაც აღბეჭდილია მიქაელის ჰიმნები, სიღრმე პოეტური შთაგონებისა, ამასთან ბრწყინვალე ენა, რომელშიაც გამოვლენილია ძველი ქართული ენის მაღალი მუსიკალობა, — მიქაელ მორდრეკის მტკიცე ადგილს ანიჭებს ქართული პოეტური სიტყვის ისტორიაში.

მიქაელ მორდრეკილი ამავე დროს არის რეფორმატორი ქართული ჰიმნოგრაფიის პოეტური ფორმისაც. მიქაელმა მოახდინა რეფორმა იამბიკური საზომისა. იამბიკონის ტრადიციული 12-მარცვლოვანი მეტრი, გაურკვეველი ცეზურით, მიქაელმა აქცია ორ-მუხლედ ლექსად, მუდმივის ცეზურით მე-5 ან მე-7 მარცვლის შემდეგ. ეს უჩვენებს მიქაელის მახვილ პოეტურ სმენას, მისი რეფორმა ქართული ენის პროსოდის სწორ გრძნობას ემყარება. იამბიკური ლექსი ამით სრულებით ახალ ელერას ღებულობს, ქართული ენის ბუნებრივ მუსიკალურ წყობასთან შეფარდებულს. მიქაელის ეს რეფორმა მიიღო ქართულმა პოეზიამ და მიქაელის შემდეგ იამბიკური მეტრი ამ ახალი „მიქაელური“ ფორმით დამკვიდრდა ქართულ პოეზიაში.

მიქაელ მორდრეკილს ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიაში დამსახურება მიუძღვის კერძოდ იმ მხრივაც, რომ მას ჩაუტარებია დიდი შრომა ძველი ქართული ჰიმნოგრაფიის ძეგლთა შეგროვებისათვის, მას სისტემაში მოუყვანია ძველი ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის ბერძენულ-ლათინური დამწერლობა. ჩვენს დრომ-

¹ იხ. ხელნაწერი საქართველოს მუზეუმისა H—2123 (ა, ბ, გ). რომ ეს ხელნაწერი, რომელიც მე-8—9 საუკუნეთა მიწნაზე არის გადაწერილი, დამოკიდებულია უფრო ადრინდელი დროის დედნებიდან, ეს ჩანს ოთხი გადაწერის შენიშვნების მიხედვით: „დედანი ურვილნი მქონდეს“, „დედაა ალქატი იყო“. რაკი დედნები, რომლითაც უხელმძღვანელნია გადაწერს, უკვე დაზიანებული ყოფილა („ურვილი“ და „ალქატი“ იყო), ცხადია, ეს პირვანდელი დედნები საკმაოდ ადრინდელ დროს ეკუთვნოდნენ.

დე მოდწეულა მიქაელ მოდრეკილის მიერ შედგენილი ქართული ჰიმნოგრაფიის დიდი კრებული, რომლის ანდერძშიაც მიქაელ გადმოგვცემს:

„მე — მიქაელ მოდრეკილმან — ვიღვაწე, და ყოვლათ კერძო შრომად ვაჩვენე უზეშთაეს ძალისა ჩემისა, და ფრიადითა ხარკებითა და გულს-მოდგინედ ძიებითა შევკრიბენ ძლისპირნი! ესე ყოვლით კერძოვე, რომელნი ვპოვენ ენითა ქართველთაჲთა... — სრულნი ყოვლითა განგებითა, და დაწვერენ წმიდასა ამას შინა წიგნსა, ყოვლითა განმარტებითა და ჭეშმარიტებითა“. კრებულში მიქაელ მოდრეკილის მოუთავსებია როგორც ორიგინალური ქართული ჰიმნები, ისე ბერძნულიდან თარგმნილნი.

მიქაელ მოდრეკილი, როგორც მოვიხსენეთ, მუსიკოსიც ყოფილა. მას არა მხოლოდ შეუკრებია ქართულ ენაზე არსებული ჰიმნები, არამედ შეუკრებებია მათი საგალობელი ხმებიც. მიქაელ მოდრეკილის კრებული ნოტირებულია, ჰიმნებთან ერთად ჩაწერილია ჰიმნების საგალობელი კილოც (თავისებური ძველ-ქართული სანოტო ნიშნებით, ეგრეთწოდებული ნეგმებით). კრებულის ანდერძში მიქაელ მოდრეკილი გადმოგვცემს, რომ საგალობელი ხმები გადატანილია სანოტო ნიშნებზე — „სიწმიდით და სიმართლით, სისწორითა კილომსაჲთა, და უცთომელობითა ნიშნისაჲთა“.



ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიის მემკვიდრეობაში ცალკეა აღსანიშნავი პოეტური ძეგლები, რომლებშიაც ჩვენ გვაქვს საერო პოეზიის გავლენა.

ამათ რიცხვს ეკუთვნის ფილიპე ბეთლემელის ჰიმნი, რომელიც დაწერილია „მაღალი შაირის“ მეტრით და რითმით („მაღალი შაირის“ მეტრი, აგრეთვე რითმა, უცხო იყო ჰიმნოგრაფიული პოეზიისათვის, იმ დროს როდესაც რითმა განუყრელი ელემენტია საერო პოეზიისა, ხოლო „მაღალი შაირი“ საერო პოეზიის კლასიკურ საზომს წარმოადგენს). ფილიპე ბეთლემელის ეს ჰიმნი მოდწეულია მე-10 საუკუნის ორ ხელნაწერში.

რითმიანი ლექსით არის დაწერილი აგრეთვე ჰიმნი, მიძღვნილი სტეფანესადმი, შეტანილი მიქაელ მოდრეკილის კრებულში.

საერო პოეზიის „მაღალი შაირი“-ს მეტრის გავლენით (შაირის ოთხმარცვლელი მუხლის დაცვით) დაწერილია მე-10 საუკუნის ავტორის იოანე-ზოსიმეს ანდერძი ჰიმნოგრაფიული კრებულის „იადგარი“-სა.



შემდეგს ხანაში, მე-10 საუკუნის დასასრულსა და მე-11 საუკუნეში, წამყვანი როლი ქართულ ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში ეკუთვნის ათონის სალიტერატურო სკოლას.

ათონის სკოლის მწერლებიდან ჰიმნოგრაფიული პოეზიის დარგში იღვწოდნენ თვით სკოლის დამაარსებელი ეფთიმე მთაწმიდელი (იბერიელი), ეზრას ათონელი, ზოსიმე ათონელი, ბასილი ათონელი, აგრეთვე ანონიმი ჰიმნოგრა-

1 ძლისპირნი — ჰიმნები.

ფები, რომელთაც დაუწერიათ ქებანი (ოდეები) იოანე მთაწმიდელისა და გიორგი მთაწმიდელისა.

ხოლო ნამდვილი დაგვირგვინება ამ ეპოქის ჰიმნოგრაფიული პოეზიისა ეს არის ათონელთა სკოლის გამოჩენილი მწერლის გიორგი მთაწმიდელის ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა.

გიორგი მთაწმიდელის შესახებ, რომელიც ეფთიმე იბერიელთან ერთად ყველაზე თვალსაჩინო ფიგურაა ათონელთა სალიტერატურო სკოლისა, ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. გიორგი მთაწმიდელის მდიდარსა და მრავალგვარ სალიტერატურო მემკვიდრეობაში, კერძოდ, ჰიმნოგრაფიულ პოეზიას საპატიო ადგილი უჭირავს.

ათონელთა სკოლა, როგორც მოხსენებული გვქონდა, მთავარ საქმედ ისახავდა საქართველოს დაახლოებას ბერძნულ კულტურულ მსოფლიოსთან და ამ მიზნით ათონელთა სკოლის მწერლებმა გადმოიღეს ქართულად, თარგმნეს ან გადმოაკეთეს — ბიზანტიური მწერლობის ძირითადი ძეგლები. კერძოდ ჰიმნოგრაფიის დარგში ეს შრომა ჩაუტარებია გიორგი მთაწმიდელს.

გიორგი მთაწმიდელს უთარგმნია თითქმის მთლიანად ყველა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ძეგლი ბიზანტიური ჰიმნოგრაფიული პოეზიისა. თარგმანი შესრულებულია ქართულ ჰიმნოგრაფიაში მიღებული „თავისუფალი“ რთული მეტრით.

თუ რამდენად კოლოსალურია გიორგი მთაწმიდელის მიერ ჩატარებული შრომა, ეს შესაძლოა წარმოვიდგინოთ ჯერ მარტო იმის მიხედვით, რომ გიორგი მთაწმიდელის მიერ ქართულ ენაზე გამოქვეყნებული ბიზანტიური ჰიმნების კრებული შეიცავს 16 დიდი მოცულობის ტომს.

ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ეს მართლაც გრანდიოზული კრებული, როგორადაც იგი გიორგი მთაწმიდელმა ქართულ ენაზე გამოაქვეყნა, არ არსებულა ამგვარი სრული, ერთად შეკრებილი და სისტემატიზირებული სახით თვითონ ბიზანტიაშიც. გიორგი მთაწმიდელი თავისი შრომის ბოლოსიტყვაობაში აღნიშნავს, რომ მან თვით ჩაატარა შრომა ბიზანტიური ჰიმნების შეგროვებასა და სისტემატიზაციაზე, ისარგებლა როგორც საკუთრივ ბიზანტიაში, ისე სირიაში გავრცელებული სხვადასხვა ჰიმნოგრაფიული კრებულებით, დაალაგა, შეარჩია, „გამოჰკრიბა“ ჰიმნოგრაფიული ტექსტები.

ბიზანტიური ჰიმნების ამ კრებულში გიორგი მთაწმიდელს თავისი საკუთარი ორიგინალური ჰიმნებიც შეუტანია.

გიორგი მთაწმიდელი ქართული სიტყვის დიდი ოსტატია, და მის მიერ გამოქვეყნებული ეს დიდი კრებული ჰიმნოგრაფიული პოეზიისა — თარგმნილი, გადმოკეთებული, და ორიგინალური ჰიმნები — აღბეჭდილია მაღალი ლიტერატურული ღირსებებით.

გიორგი მთაწმიდელი ამ კოლოსალური ნაშრომის ბოლოსიტყვაობაში, მის მიერ ჩატარებული შრომის მთელი სიდიადის შეგნებით, მიმართავს ქართველ მკითხველებს:

„...ყოველი ვითა ნათელი მზისაჲ ეგრე გამოგვიკრებია. და ერთი გვირგვინი — შემკული თვალთა და ანთრაკითა პატიოსნითა შეგვითხზავს, და ვიდრე აქამომდე ჩვენგან დაფარული ცაჲ, მრავალფერთა მთიებთა მიერ აღსავ-

სე, — საჩინოდ ყოველთა ქართველთა ზედა არა ჩვენ, არამედ ღმერთსა გარდაურთხამს, რათა ჰნათობდეს კილია-კიღეძღე ქვეყანისა ნათესავსა (ერსა) ჩვენსა (ქართველთასა)“.

თავი მესუთი

საგაფხვიდელი ქართველი პოეტი მე-9 საუკუნისა ავტორი პოეტიური ძეგლისა

„ამაჲა და დიდამაჲა ქართულისა ენისამ“

გადავდივართ განხილვაზე ძველი ქართული პოეზიის მეტად მნიშვნელოვანი ძეგლისა, რომელიც მე-9 საუკუნის დასაწყისის ეკუთვნის და რომელსაც ეწოდება „ქება და დიდება ქართულისა ენისა“.

ეს ძეგლი ეპოქის საყურადღებო ისტორიულ დოკუმენტს წარმოადგენს.

თხზულება შეიცავს ქართული ენის ხობტას. აქ მოცემულია მესიანისტური შეხედულება ქართული ენის მაღალი დანიშნულების შესახებ. ქართული ენა აღიარებულია რჩეულ ენად, რომელშიაც დამარხულია „ყოველი საიდუმლო“ და რომელსაც პოეტის რწმენით ეკუთვნის განსაკუთრებული როლი მსოფლიოს ენათა შორის.

გავაცნობთ მკითხველს შინაარსს ძველი ქართული პოეზიის ამ ძეგლისა, რომელიც ეროვნულ-პოლიტიკურ მანიფესტს წარმოადგენს.

„ქება“-ს გადაყვევართ ადრეული საშუალო საუკუნეების იდეურ სამყაროში. ავტორი თავის ეპოქის შვილია, მისი თხზულება აღბეჭდილია საშუალო საუკუნეთა მისტიკური მსოფლმხედველობით. „ქება და დიდება ქართულისა ენისა“ გაშლილია მისტიკურ-ეზოტერიული სიმბოლიკის ხაზებში.

ავტორი იწყებს შემდეგი განცხადებით: „დამარხულ არს (ე. ი. შენახულ არს) ენა ქართული დღემდეგ მეორედ მოსლვისა მესიისა (ქრისტესა) საწამებლად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“. ავტორს სწამს, რომ ქართული ენა ქრისტეს მეორედ მოსლვამდე იარსებებს და საბოლოო განსჯა ყველა ენის ხალხთა, რომელსაც მოაწყობს მესია (ქრისტე) მეორედ მოსლვის დროს, ქართულ ენაზე შესრულდება.

ავტორი ამასთან აღნიშნავს, რომ ქართული ენა ამჟამად თუმცა მიჩნეული არისო როგორც „მდაბალი და დაწყუნებული“ (ავტორი, როგორც ირკვევა, წერდა თავის თხზულებას არაბთა მფლობელობის „ჟამთა სიივის“ ხანაში), მაგრამ ეს, ავტორის აზრით, დროებითი მოვლენაა. ქართული ენა განსაკუთრებული მადლით არის აღბეჭდილი, „ყოველი საიდუმლო ამას ენასა (ქართულს ენასა) შინა დამარხულ არს“, ქართული ენა არის „შემკული და კურთხეული სახელითა უფლისათა“.

თვით ამ მოვლენაში, რომ ქართული ენა ამჟამად „დამდაბლებულია“, ავტორი ხედავს ეზოტერიულ აზრსა და მისტიკურ ჩვენებას: ქართული ენა არისო ლაზარე ენათა შორის, რომელიც ოთხი დღე მკვდარი იყო და რომელიც ნეოპიტე დღეს ქრისტეს ბრძანებით მკვდრეთით აღდგა.

დასასრულ ავტორი ემყარება ქართული წელთაღრიცხვის თავისებურებას (რომ ქართული წელთაღრიცხვა ას-ოთხი წელით მეტი არის სხვა ერების წელთაღრიცხვაზე) და ამავაივ ხედავს მისტიკურ ჩვენებას, რომ ქართული ენა უპირატესია სხვა ენებზე, აღბეჭდილი სიღრმადით.

აღსანიშნავია ამასთან, რომ მწერალი ქართულ ენას და ბერძნულ ენას ერთ სიმაღლეზე აყენებს, აღნიშნავს რომ ეს ორი ენა მეგობრებია, რომ ამ ორ ენას მფარველობს ორი ღედა, — ნინო, ქართველთა განმანათლებელი, და ელენე დედოფალი, განმანათლებელი ბერძენთა; პოეტის სიტყვით ნინო და ელენე არიან ორნი მოყვარულნი დანი, ისევე როგორც სახარებაში მოხსენებულნი მარიამ და მართა.

ამ წინასწარ განმარტებათა შემდეგ მოგვყავს თვით ტექსტი ამ ძეგლისაჲ რომელიც 10 სტროფს შეიცავს.

ქება და დიდება ქართულისა ენისაჲ

1. ა. **ღმარსულ არს ენა ქართული**
დღემდე მეორედ მოსლვისა მესიისა საწამებელად,
ბ. რათა ყოველსა ენასა
ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.

•

2. ა. **ღბ ესე ენაჲ**
მძინარე არს დღესამომდე,
ბ. და სახარებასა შინა ამას ენასა
ღაზარე პრქვან.

•

3. ა. **ღბ ახალმან ნინო მოაქცია**
და ჰელენე დედოფალმან,
ბ. ესე არიან ორნი დანი,
ვითარცა მარიამ და მართაჲ.

•

4. ა. **ღბ მეგობრობაჲ**
ამისთვის თქუა [მასხარებელმან],
ბ. რამეთუ ყოველი საიდუმლოჲ
ამას ენასა შინა დამარხულ არს.

•

5. ა. **ღბ ოთხისა დღისა მკუჟარი**
ამისთვის თქუა დავით წინამწარმეტყუელმან,
ბ. რამეთუ ათასი წელი —
ვითარცა ერთი დღეჲ.

6. ა. **ღბ** სახარებასა შინა ქართულსა ხოლო, თავსა მათვისსა,
წილი ზის, რომელ ასომ არს,
ბ. და იტყუს ყოვლად
ოთხ ათასსა მარავსა, —
7. ა. **ღბ** ესე არს ოთხი დღეა,
და ოთხისა დღისა მკუდარი,
ბ. ამისთვის მისთანავე დაფლული სიკუდილითა
ნათლისღებისა მისისაათა.
8. ა. **ღბ** ესე ენაა
შემკული / და კურთხეული სახელითა უფლისაათა,
ბ. მდაბალი / და დაწუნებული —
მოელის დღესა მას მეორედ მოსლვასა უფლისასა,
-
9. ა. **ღბ** სასწაულად ესე აქუს:
ას-ოთხი წელი
ბ. უმეტეს სხუათა ენათა
ქრისტემს მოსლვითგან ვიდრე დღესამომდე.
-
10. ა. **ღბ** ესე ყოველი, რომელი წერილ არს,
მოწამედ წარმოგიტხარ,
ბ. ას-ოთხი ესე წელი,
და წილი ანბანისა.

ასეთია შინაარსი ამ თავისებური პოეტური ძეგლისა. მიუხედავად იმისა, რომ გადატვირთულია მისტიციზმის ელემენტებით, იგი არაა მოკლებული დიდ პოეტურ პათოსს.

აღსანიშნავია ამავე დროს, რომ თხზულება, მიუხედავად მესიანისტური იმედებისა, აღბეჭდილია პესიმიზმით ქართული ენის თანამედროვე მდგომარეობის გამო; ავტორი, როგორც ვნახეთ, აღარებს ქართულ ენას მიძინებულ ლაზარეს, მწუხარებით არის, მოცული ქართული ენის დამდაბლების გამო, თუმცა ღრმადა სწამს ქართული ენის სიღიადე, მისი მომავალი და მაღალი მოწოდება.

თხზულება, როგორც ირკვევა, დაწერილია იმ ხანაში, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო შენელებული არაბთა მფლობელობის პირველი პერიოდის „ჟამთა სიჯვის“ ხანა.

რა დროს ეკუთვნის ეს ძეგლი, ვინ არის ავტორი, სად დაიწერა იგი?

სხვადასხვა წყაროების ჩვენებათა შეფარდებიდან დასტურდება, რომ ავტორი ამ ძეგლისა საბაწმინდელი მოღვაწე იყო, საბაწმინდის ქართული საეპი-

დან, რომელიც ქართული მწერლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი იყო.

ჩვენ დრომდე მოღწეული უძველესი პირი თხზულებისა საბაწმიდაში არის გადაწერილი 926 წელს ცნობილი ქართველი ჰიმნოგრაფის და მეცნიერის იოანე-ზოსიმე საბაწმიდელის მიერ (ეს დედანი დაცულია ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ტიშენდორფისეულ კოლექციაში gr — VII).

ამას გარდა ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ფონდში ჩვენ აღმოვაჩინეთ მთელი სერია ავტოგრაფებისა, რომელიც იმავე საბაწმიდელი მოღვაწის იოანე-ზოსიმეს მიერ არის გადაწერილი¹. მათ შორის არის დაწვრილებითი სარჩევი ერთი ხელნაწერისა, რომელშიაც შეტანილი ყოფილა 23 სხვადასხვა თხზულება. ამ 23 თხზულებიდან უკანასკნელი სამი თხზულება ერთ მთლიან ჯგუფს წარმოადგენს და ატარებს ასეთ სახელწოდებას:

«[ა] ქებაჲ საბაჲსი და საბაწმიდელთაჲ, [ბ] და ქართველთაჲ და [გ] ქართულისა ენისაჲ».

ეს ჩვენ გვაძლევს მტკიცე დასაყრდენს ზუსტად დავადგინოთ თარიღები, ავტორთა ვინაობა, ტექსტებთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

ყველა ეს ტექსტები — 1 „ქებაჲ საბაჲსი და საბაწმიდელთაჲ (საბაწმიდელ მოღვაწეთა)“, 2 „ქებაჲ ქართველთაჲ“ (ქართველ მოღვაწეთა), და 3 „ქებაჲ ქართულისა ენისაჲ“ დართული ჰქონია დამატების სახით უძველეს ქართულ პოემას, რომელსაც ეწოდება „ა ბ უ კ უ რ ა ა“.

ძველი ქართული პოეზიის ეს დიდად მნიშვნელოვანი ძეგლი „აბუკურაჲ“, როგორც დადგენილი გვაქვს, დაწერილია ქართველი პუეტის მიერ საბაწმიდაში, რომელიც დასავლეთ საქართველოდან (— აფხაზეთიდან) ყოფილა წარმოშობით და რომელსაც ამის გამო ვუწოდებთ „აფხაზი (ქართველი) მგოსანი საბაწმიდელი“. პოემის რეალიებიდან ზუსტად ირკვევა თარიღი, — პოემა დაწერილია მე-9 საუკუნის პირველ მეოთხედში.

საბაწმიდელ ქართველ მგოსანს, „აბუკურაჲს“ ავტორს, საჭიროდ დაუნახავს თავისი პოემისათვის ბოლოში, დამატების სახით, დაერთო სამი ნაწარმოები.

1. პირველი დამატება არის „ქებაჲ საბაჲსი და საბაწმიდელთა“ (საბაწმიდელ მოღვაწეთა), რომლის ავტორია არაბულ ენაზე მწერალი სირიელი ბასილი საბაწმიდელი, ცნობილი მოღვაწე, წინამძღვარი საბაწმიდის სავანისა მე-8 საუკუნის ბოლოს და მე-9 საუკუნის პირველ მეოთხედში. ბასილი საბაწმიდელის ეს თხზულება ქართველ მგოსანს, „აბუკურაჲ“-ს ავტორს, უთარგმნია ქართულად კლასიკური ქართული რითმით გაწყობილი ლექსით.

2 — 3. მეორე და მესამე დამატებები ყოფილა „ქებაჲ ქართველთაჲ“ (ქართველ მოღვაწეთა) და „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“. ამათგან „ქებაჲ ქართველთაჲ“ ჭერაჭერობით აღმოჩენილი არაა; ხოლო „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ დაწერილია არა კლასიკური ქართული რითმინო ლექსით, არამედ ურითმო „წყობილი სიტყვით“. ეს მეორე და მესამე დამატება, რომელიც ბუნებრივად ავსებდა პოემის მიერ მოხაზულ წრეს, როგორც

¹ №№ gr. VI, VII, VIII, XVII, XVIII, XIX, XXI, XXIV. Syr. 16/1, 16/2, 16/3.

ირაკვევა, შეუსრულებია „აბუკურამ“-ს ავტორის თანამედროვე საბაწმიდელ მოღვაწე მწერალს.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ მეორე და მესამე დამატება, გარდა იმისა, რომ ბუნებრივად ავსებენ პოემის მიერ მოხაზულ წრეს, პოემა „აბუკურამ“ და მისი დამატება „ქება და დიდება ქართულისა ენისა“ ხვდებიან ერთმანეთს საერთო იდეური მიზანდასახულობით, მაღალი პატრიოტული შრწამსით.

თავი მეექვსე

ქალაგება — მოძღვრებანი

საორატორო ხელოვნების ძეგლები

საორატორო ხელოვნება მე-8 — 11 საუკუნის ქართულ მწერლობაში წარმოდგენილია სხვადასხვა ხასიათის ძეგლებით.

საორატორო ხელოვნების ერთ-ერთი დარგი ძველ-ქართულ მწერლობაში — ეს არის ქაღალაგებანი. საშუალო საუკუნეთა მწერლობის ამ დარგის თხზულებანი თავისი შინაარსით ჩვეულებრივ თეოლოგიურ ლიტერატურას განეკუთვნება, ხოლო ფორმის მხრივ ისინი წარმოადგენენ საორატორო ხელოვნების ტიპურ ძეგლებს.

მეორე დარგი საორატორო ხელოვნებისა ძველ-ქართულ მწერლობაში ეს არის ეგრეთ წოდებული „ქებანი“ და „შესხმანი“.

ამავე ეპოქიდან მოღწეულა აგრეთვე სიტყვა, წარმოქმნილი გარკვეული შემთხვევის გამო — ქართველი მწერლის გიორგი მთაწმიდელის გარდაცვალებზე.

•

პირველი დარგი საორატორო ხელოვნებისა — ქალაგება-მოძღვრებანი ამ ეპოქის ქართულ მწერლობაში წარმოდგენილია იოანე ბოლნელის შიტყვების სახით.

იოანე ბოლნელი მე-9 საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეა. ჩვენს დრომდე მოღწეულა ამ შესანიშნავი მქალაგებლის 15 სიტყვა¹

იოანე ბოლნელი, როგორც ირაკვევა, განსაკუთრებული პოპულარობით ზარგებლობდა ძველ საქართველოში. ამისი მაჩვენებელია, ჯერ ერთი, მისი შიტყვების გავრცელების ფართო არე. თვით იოანე ბოლნელი ქართლის სანაპირო კუთხის მოღვაწეა, ხოლო მისი სიტყვების ტექსტი ადრევე ვრცელდება და იწერება ქართლის გარეშეც — კახეთის სამეფოში, მესხეთში (შავშეთ-

¹ ნუსხა იოანე ბოლნელის ტექსტებისა, და აგრეთვე განმარტება იოანე ბოლნელის ცხოვრების თარიღის შესახებ — იხ. შენიშვნა 5.

კლარჯეთსა და ტაოს პროვინციებში), აღწევს თვით საზღვარგარეთულ ქართულ კოლონიებშიაც. იოანე ბოლნელის ქადაგებანი შეუტანიათ ძველ-ქართულ ქრესტომათიაში „მრავალთავი“, და რაც განსაკუთრებით საყურადღებოა — შეუტანიათ იოანე ოქროპირის ქადაგებათა ნაცვლად. იმ ადგილებში, სადაც „მრავალთავის“ ძველ რედაქციებში მოთავსებული ყოფილა იოანე ოქროპირის სიტყვები, მათ ადგილას „მრავალთავის“ შემდგომი ხანის რედაქციებში იოანე ოქროპირის მაგიერ მოუთავსებიათ იოანე ბოლნელის სიტყვები. თუ გავიხსენებთ, თუ რა დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა იოანე ოქროპირი საშუალო სავუენეთა მსოფლიოში, შეცვლა იოანე ოქროპირის ტექსტებისა იოანე ბოლნელის ტექსტებით, მაჩვენებელია იოანე ბოლნელის მართლაც განსაკუთრებული ავტორიტეტისა და პოპულარობისა.

გადაკითხვა იოანე ბოლნელის სიტყვებისა გვიჩვენებს, რომ ის დიდი შეფასება, რომელიც მას ძველ საქართველოში დაუმსახურებია, არ არის გადაჭარბებული. იოანე ბოლნელის სიტყვები მაჩვენებელია საორატორო ხელოვნების მართლაც მაღალი დონისა საშუალო საუკუნეთა საქართველოში.

სიტყვები აგებულია დიდი მხატვრული ტაქტით. ნათელი არქიტექტონიკა სიტყვისა, დიდი ექსპრესია, სურათოვანი ენა, პათეტიკური და ამჟვე დროს ნათელი სტილი, — ახასიათებს იოანე ბოლნელის საორატორო ხელოვნებას.

იოანე ბოლნელი ფართოდ განათლებული ადამიანი ყოფილა, დიდი თეოლოგიურ-ფილოსოფიური მომზადებით.

საგანი, რომელსაც ეხება უმთავრესად იოანე ბოლნელის სიტყვები, — ეს არის რეტორიკა ქრისტიანული მოძღვრების არსისა.

აღსანიშნავია, რომ იოანე ბოლნელი თავის სიტყვებში არასოდეს არ ეშვება: დაწვრილმანებულ მორალიზატორობამდე, არამედ ქრისტიანული მოძღვრების ზოგადსა და ძირითად მხარეებზე ჩერდება. სახარების ცალკე ეპიზოდების, უმთავრესად კი სახარების პოეტური იგავების ფონზე, იოანე ბოლნელი შლის დიდი მხატვრულობით აღბეჭდილ სიტყვებს, როგორიც არის სიტყვა მდიდრისა და ლაზარესათვის, ფარისეველისა და მეზვერისათვის, ავაზაკთა მიერ დაჭრილი მოგზაურის შესახებ და სხვ.

არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ, რომ იოანე ბოლნელისათვის არაა უცხო პირვანდელი ქრისტიანობის ჰუმანიტური ტენდენციები. თავის სიტყვაში, რომელიც ეხება მდიდარსა და ლაზარეს, ავტორი შემდეგი სიტყვებით მიმართავს მდიდარს:

„ჰოა მდიდარო, რაჲსათვის იმოსები ძოწეულითა და ზეზითა!... შეკრულხარ სილადითა მით შენითა, შეკრულხარ ვეცხლის-მოყვარებითა შენითა და ანვაჰარებითა!.. რაჲსათვის შენ იხარებ მარადღე ბრწყინვალედ ღღე და ღამე, და ლაზარე (ლარიბი) ბჭეთა შენთა ზედ ძევს მწუხარე დასაარებული (დასწეული) და არა შეიწყალე იგი! რაჲსათვის ტაბლაჲ (სუფრა) შენი საცხე არს პურითა, ჰოა მდიდარო, ზე გარდაიდების, და ლაზარეს სწადიან ნაბიჭვერისაგან (ნასუფრალისაგან) ტაბლისა შენისა...“

სიტყვაში ხაზგასმულია, რომ მდიდარსა და ლარიბს შორის „მთხრებლი (უფსკრული) დიდი დახეტილ არს“.

გარდა სიტყვებისა, რომლებიც ქრისტიანული მოძღვრების არსის განმარტებას ისახავს მიზნად, ცალკეა აღსანიშნავი იოანე ბოლნელის ერთი სიტყვა,

რომელიც ყოფა-ცხოვრებას ეხება და მიმართულია სიმთვრალის წინააღმდეგ. ამ კოლორიტულ სიტყვაში, რომელიც არაა მოკლებული იუმორის გრძნობას, წარმოდგენილია ყოფა-ცხოვრების სურათი, სტუმრობის აღწერილობა და სხვ.



მე-8 — 11 საუკუნის ქართულ მწერლობაში საორატორო ხელოვნება, გარდა ქადაგება-მოძღვრებათა დარგისა, წარმოდგენილია აგრეთვე, როგორც აღნიშნეთ, მეორე სპეციფიკური ჟანრით, რომელსაც ეწოდება „ქება“ ანუ „შესხმა“.

„ქება“ ანუ „შესხმა“ წარმოადგენს სიტყვა-პანეგირიკს.

ყველაზე ტიპური, და ამასთან ყველაზე შესანიშნავი ძეგლი აქ ქანრისა არის „ქებაჲ აბოჲსი“, რომელიც ეკუთვნის მე-8 საუკუნის მწერალს იოანე საბანის-ძეს. ეს პოეტური სიტყვა-პანეგირიკი, რომელშიაც ავტორი განუმარტავს მსმენელთ აბოს ღვაწლის მნიშვნელობას, აღბეჭდილია პოლიტიკური სიმახვილით. ავტორი, არაბთა მძლავრობის ხანაში, წარმოუდგენს მსმენელთ თავდადებული გმირის აბოს სახეს, როგორც მისაბაძ მაგალითს.

მე-9 საუკუნის ავტორს არსენი კათალიკოსს (820 — 872 წ.) ეკუთვნის შესხმა და მოსახსენებელი აბო ბოსათვის ნეკრესელი. სიტყვა-პანეგირიკის ჩარჩოში აქ მოცემულია მე-6 საუკუნის მოღვაწის აბიბოს ნეკრესელის ღვაწლის მოთხრობა. ძეგლი წარმოადგენს პანეგირიკისა და ჰაგიოგრაფიის ჟანრების ერთგვარ გაერთიანებას.



ცალკეა აღსანიშნავი მე-11 საუკუნიდან მოღწეული სიტყვა, წარმოთქმული გამოჩენილი ქართველი მწერლის გიორგი მთაწმიდელის გარდაცვალებაზე, მისი მოწაფის — აგრეთვე მწერლის — გიორგი მცირის მიერ (ეს სიტყვა გიორგი მცირეს წარმოუთქვამს კონსტანტინეპოლში, 1065 წელს, როდესაც გიორგი მთაწმიდელის ნეშტი კონსტანტინეპოლიდან ათონში გადაასვენეს). სიტყვა არაა მოკლებული პოეტურობას და გამთბარია გულწრფელი გრძნობით თავისი მასწავლებლისადმი, რომლის სახითაც ქართულმა მწერლობამ თავისი ეპოქის უდიდესი წარმომადგენელი დაჰკარგა.

თავი მეშვიდე

საერო მხატვრული მწერლობა

მე-8 — 11 საუკუნეთა ქართულ ლიტერატურაში, იმ ჟანრების გვერდით, რომლებიც სასულიერო-ქრისტიანულ ელფერს ატარებენ, არსებობდა ჟანრები საერო მხატვრული მწერლობისა.

საერო მხატვრული მწერლობა ამ ეპოქისა დასაყრდენს პოულობდა საერო ფეოდალურ საზოგადოებაში, იგი იყო უშუალო ამსახველი საერო ფეოდალური გარემოსი, იდეებისა, მსოფლმხედველობისა.

ვიდრე გადავიდოდეთ საერო მხატვრული მწერლობის მიმოხილვაზე, აქ საჭიროა წინასწარ აღვნიშნოთ შემდეგი გარემოება: ძველი ეპოქის ქართული საერო მხატვრული მწერლობა საერთოდ, და კერძოდ საერო მხატვრული მწერლობა მე-8 — 11 საუკუნეებისა, როგორც ირკვევა, უაღრესად ფრაგმენტული სახით არის მოღწეული.

ამას, როგორც ეს გამოიკვეთილია სპეციალურ ლიტერატურაში, თავისი ისტორიული მიზეზები ჰქონდა. იმ არაერთგზისი ისტორიული კატასტროფების დროს, რომლებიც განიცადა საქართველომ წარსულში, და რამაც რამდენჯერმე გაამრუდა საქართველოს ისტორიული განვითარების ხაზი, — დაიღუპა წინა-ეპოქების კულტურული მემკვიდრეობის დიდი ნაწილი; ხოლო პირველ რიგში და უმთავრესად დაიღუპა საერო მწერლობის ძეგლები. გადარჩა შედარებით უფრო დაცული სამონასტრო წიგნთსაცავები (ისიც გადარჩა ნაწილობრივ, შეიძლება ითქვას, მრავლისაგან მხოლოდ უმცირეს შემთხვევებში), ხოლო სამონასტრო წიგნთსაცავებში საერო მწერლობის ძეგლებს იშვიათად თუ ჰქონდა ადგილი. ამის შედეგია, რომ საერო მწერლობის მემკვიდრეობა ასე ფრაგმენტულად არის მოღწეული¹.

მაგრამ ის ძეგლები, რომლებიც გადაურჩა ამ ისტორიულ კატასტროფებს და მოაღწია ჩვენს დრომდე, მაინც იძლევა საშუალებას ზოგადი წარმოდგენა შევადგინოთ ძველი ხანის საერო მხატვრული მწერლობის საერთო სურათის შესახებ.

პირველ რიგში აქ შევჩერდებით ისტორიულ-ეპიკური ქანრის ორ ნაწარმოებზე, რომელთა სახით ჩვენ გვაქვს ეპოქის მეტად საყურადღებო ლიტერატურული დოკუმენტები.

1.

საისტორიო „ჰამბაჰნი“

ძველ-ქართულ მწერლობაში საისტორიო დარგის თხზულებას ჩვეულებრივ ეწოდება „ცხოვება“. ეს ტერმინი „ცხოვება“ („ცხოვრება“) აღნიშნავდა იმ ცნებას, რომელსაც ჩვენ გამოვხატავთ სიტყვით: „ისტორია“.

მაგრამ ძველი ქართული საისტორიო მწერლობის მემკვიდრეობაში ორი ნაწარმოები წარმოადგენს ურთგვარ გამოჩაყლისს; მათ ეწოდება არა მხოლოდ „ცხოვება“, არამედ ამავე დროს მათ მიემართება მეორე სახელწოდებაც: „ჰამბაჰნი“.

ეს სახელწოდება „ჰამბაჰნი“, როგორც ირკვევა, სპეციფიკური ლიტერატურული ტერმინია, იგი აღნიშნავს ამ ძეგლების გარკვეულ ქანრობრივ თავისებურებას.

პირველი ნაწარმოები, რომელიც წარმოადგენს ამ ქანრს, — ისტორიულ „ჰამბაჰნი“ დარგს, — ეს არის ლეონტი მროველის თხზულება.

¹ იხ. ამ საგანზე უფრო დაწვრილებით ჩვენი წერილი: „რუსთაველის ეპოქის ლიტერატურული მემკვიდრეობა“ („რუსთაველის კრებული“, ტფ. 1938 წ.).

სახელწოდება ლეონტი მროველის თხზულებისა ორი ვარიანტით არის წარმოდგენილი:

პირველი სახელწოდება არის: „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველითგანთა მამათა და ნათესავთა“;

მეორე სახელწოდებაა: „ჰამბავი ქართველთა მეფეთა და პირველითგანთა მამათა და ნათესავთა“ (ამ მეორე სახელწოდებიდან მომდინარეობს ამ ძეგლის შემოკლებული სახელი: „ჰამბავი მეფეთა“) ¹.

ჩვენთვის ამ შემთხვევაში იმდენად საინტერესო არაა, თვით ავტორმა უწოდა თავის ნაწარმოებს „ჰამბავი“, თუ ამ ნაწარმოებს ეს სახელი „ჰამბავი“ შემდეგ მიაკუთვნეს. თუ სახელი „ჰამბავი“ შემდეგ არის მიკუთვნებული ამ ძეგლისათვის, რასაკვირველია, ეს საქმეს არა სცვლის; შემდეგი ხანის ჰარაველი მწიგნობარნი, ჩანს, კარგად არჩევენ, რომ თხზულება ლეონტი მროველისა ეს არის არა „ცხოვრება“, ე. ი. არა ისტორია ჩვეულებრივი გავებით, არამედ „ჰამბავი“ — ისტორიულ-ეპიკური ნაწარმოები ².

მეორე ნაწარმოები ამ ეპოქისა, რომელსაც აგრეთვე ეწოდება არა მხოლოდ „ცხოვრება“, არამედ „ჰამბავი“, ეს არის საისტორიო-ეპიკური თხზულება უჩარმელისა, შემდეგი სათაურით:

„ჰამბავი ვახტანგ გორგასარისა მშობელთა, და შემდგომად თვით მისი, დიდისა — მეფისა, რომელი უმეტესად სხვათა განთქმულად გამოჩნდა ყოველთა მეფეთა ქართლისათა“ ³.

ჩვენ აქ უფრო დაწვრილებით გავცენობით ამ ძეგლებს.

ა.

ლეონტი მროველი.

„ჰამბავი (ცხოვრება) ქართველთა მეფეთა
და პირველითგანთა მამათა და ნათესავთა“

ლეონტი მროველის თხზულებაში მოთხრობილია საქართველოს ისტორია — მითური ხანიდან მოცილებული.

მოთხრობა იწყება ზღაპრული ნებროთ გმირის ამბავით, რომელმაც ააშენა ბაბილონის გოდოლი, და რა დროსაც ვითომც შობდა ენათა განყოფა და

¹ ასე, ძველი ქართველი ავტორის არსენის თხზულებაში ლეონტი მროველის ეს ნაწარმოები მოხსენებულია ამ შემოკლებული სახელით: „ჰამბავი მეფეთა“.

² აღნიშნავთ ამასთან, რომ არ არის გამორიცხული, ეს ორმაგი სახელწოდება „ცხოვრება“ და „ჰამბავი“ თვით ლეონტი მროველისაგან მომდინარეობდეს. ამას გვაფიქრებინებს ლეონტი მროველის თხზულების ტექსტი; პირველი თავი მროველის თხზულებისა სრულდება ასეთი დასკვნითი უწყებით:

„აქამომდე დაწვრთ ქამბავი ესე რვათავე ძმათა“.

მეორე თავი ლეონტი მროველის თხზულებისა იწყება ასეთი ზედწერილით:

„აქათგან ვიწყით და წარმოვთქვით ქამბავი...“

³ ამ მეორე ძეგლსაც ზოგ ხელნაწერებში ეწოდება „ცხოვრება“, ზოგში — „ჰამბავი“.

ერებად დანაწილება. ავტორი ეხება კავკასიის ხალხთა („თარგამოსიანთა სახლის“) წარმოშობის საკითხს. ამას მოსდევს ლეგენდარული თხრობა საქართველოს ისტორიის უძველესი ხანის შესახებ („ჰამბავეი ქართლისა და ნათესაისა მათისა“), რომელიც მოყვანილია ნებროთ გმირის დროიდან ვიდრე ალექსანდრე მაკედონელის ეპოქამდე, მე-4 საუკუნემდე ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს.

აქ სრულდება ერთი ციკლი ლეონტი მროველის მოთხრობისა.

ალექსანდრე მაკედონელის შემდეგ ჩვენ გადმოვდივართ მითური ხანიდან ისტორიულ ხანაში. ლეონტი მროველის თხზულების შემდეგს ნაწილებში მოთხრობილია საქართველოს სამეფოს ჩამოყალიბება ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლის შემდეგ (მე-4 — 3 საუკუნეთა მიჯნაზე). ხოლო ამას მოსდევს მოთხრობა საქართველოს მომდევნო ისტორიის შესახებ შვიდ საუკუნენახევრის განმავლობაში.

მოთხრობა სრულდება მე-5 საუკუნის 20-იან წლებზე ჩვენი წელთაღრიცხვისა.

თვით ლეონტი მროველი, როგორც ირკვევა, მე-8 საუკუნის მწერალია; მისი თხზულება (— ამის დადგენა შესაძლოა ხდება სრული ზედმიწევნობით) დაწერილია მე-8 საუკუნის ნახევარში¹.

ლეონტი მროველის თხზულება ლეგენდარულ ხასიათს ატარებს. ეს ეხება ლეონტი მროველის თხზულების არა მარტო პირველ მითურ ნაწილს, არამედ ისტორიულ ნაწილსაც, ე. ი. ხანას ალექსანდრე მაკედონელის დროიდან ვიდრე მე-5 საუკუნემდე.

ლეონტი მროველს, როგორც ირკვევა, ხელთა ჰქონია უძველესი ქართული საისტორიო წყაროები, მაგრამ ლეონტი მროველის თხზულებაში მოთხრობა ისტორიულ პირთა შესახებ გახვეულია სხვადასხვა ლეგენდების საბურველში.

ხოლო მთავარი დამახასიათებელი ხაზი ლეონტი მროველის თხზულებისა არის არა ის, რომ იგი ლეგენდარულ ხასიათს ატარებს. ლეგენდარული ხასიათის თხზულებანი ქართულ ლიტერატურაში არა ერთია და ორი.

მთავარი აქ ის არის, რომ ლეონტი მროველის თხზულება წარმოადგენს საერთო მხატვრული მწერლობის სტილის ნაწარმოებს, ეპიკურ ზაზებში გაშლილს, საგმირო რომანის ელფერით.

ლეონტი მროველის თხზულებას, და აგრეთვე ამავე ეპოქის მეორე ნაწარმოებს, უჯარმელის თხზულებას („ჰამბავეი ვახტანგ გორგასარისა“) ცხადად ეტყობა გავლენა საგმირო რომანების ქანრისა. როგორც ირკვევა, ქართულ სა-

¹ ლეონტი მროველის თარიღის საკითხი დეტალურად გვაქვს განხილული სპეციალურ მონოგრაფიაში „ქართლის ცხოვრების კრებულის შედგენილობა. მე-8—11 საუკუნეთა ძეგლები“.

აღნიშნავთ აქვე, რომ ლეონტი მროველის თხზულების იმ დედანში, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ კრებულშია მოთავსებული, მე-8 საუკუნის ძირითად ტექსტთან ერთად მოიპოვება უფრო გვიანდელი დროის ჩანართი ნაწილი, რომელიც ეხება ქრისტიანობის გავრცელებას საქართველოში (ნინოს და ანდრია მოციქულის შესახებ ტექსტები). ეს ჩანართი ნაწილი, როგორც ირკვევა, ეკუთვნის მე-11 საუკუნის ავტორს (იოანე დეკანოზს).

ჩვენ აქ ამ მიმოხილვაში, საუბარი გვაქვს ლეონტი მროველის ძირითად ტექსტზე, რომელიც მე-8 საუკუნით თარიღდება (ე. ი. აღნიშნული გვიანდელი ჩანართის გამოკლებით).

ერო მწერლობას ადრიდანვე შეუთვისებია ტრადიციები ძველი ფაშლაური საგმირო ეპოსისა. ირკვევა ამასთან, რომ ამ ეპოქაში, მე-8 — 9 საუკუნეებში, ქართულად, ჩანს, უკვე იწერებოდა საგმირო რომანები იმ ტიპისა, როგორიც იყო, მაგალითად, შემდეგდროინდელი „ამირანდარეჯანიანი“. მთელი რიგი ეპიზოდები ლეონტი მროველისა და უჯარმელის ისტორიულ-ეპიკურ მოთხრობებში დამუშავებულია ასეთი საგმირო რომანების სპეციფიკური სტილით.

ასე, ლეონტი მროველის თხზულებაში საგმირო რომანის ყაიდაზე არის აღწერილი თარგამოსიანთა და ნებროთიანთა ომი; ისტორია ქართველი მეფის მირვანისა; ისტორია არბაქისა და აღორკისა; ისტორია აზორკის და ამაზაერის და სუმბატ ბივრატინის ლაშქრობათა; თავგადასავალი ქართველი მეფეების ფარსმან ქველისა, მირდატისა და მხედართმთავრის ფარნავაზისა; ისტორია ამაზასპისა და სხვ.

რომ მკითხველმა წარმოდგენა იქონიოს ლეონტი მროველის სპეციფიკურ ეპიკურ სტილზე, მოგვყავს აქ სანიმუშოდ ეპიზოდი, სადაც აღწერილია ბრძოლა ქართველი მეფის არბაქისა და სამეფო ტახტის პრედენდენტის აღორკისა. ჩვენ აქ თითქოს საგმირო რომანის ფურცელს გკითხულობთ, ფეოდალური ხანის ტურნირის აღწერილობას:

„ითხოვა ბრძოლა არბაქ აღორკისა.

„ხოლო აღორკი — სიხარულითა აღიჭურა საჭურველითა შვენიერითა და აღჯდა ტიპსა და ჰრქვა სპათა მისთა: „განმიმაგრეთ ზურგი კერძი ჩემი და ნუ შესძრწუნდებით!“ განვიდა ეგრეთვე არბაქ, შეიჭურა და განვიდა განწყობლთა შორის.

„აღიზახნეს ორთავე ხმითა სასტიკითა, და მიეტევენეს ურთერთას. და იწყეს ორთავე გვემრა ჰოროლითა და ვერა ჰკვეთეს საჭურველსა ერთმანერთისასა. და ბრძოლისა სიგრძესა შინა განუტყდა ჰოროლები, და აღმოიღეს ჩუგლუგები, და იწყეს ბრძოლა ჩუგლუგებითა. ოდეს უხეთქნიან ჩუგლუგები იგი საჭურველსა ზედა მათსა, ჰგვანდის ხმა იგი ხმასა მას უროსა მკედლისასა, რომელი ეცემის გვრდემლსა; და ხმა ზახილისა მათისა მსგავსი იყო ქუხილისა.

„მაშინ ვერ სძლეს ურთიერთას, დაშვრეს და უკუ-დგეს იმიერ და ამიერ. შეღამდა დღე იგი და განისვენეს ორთავე.

„და დილას კვალად გამოვიდეს, და აღიღეს მშვილდები, და იწყეს რბევად და სრვად ერთმან-ერთისა. ჰკრა აღორკი ისარი მკერდსა არბაქისსა, და ვერღარა უფარა სიმაგრემან საჭურველისამან, და განვარდა ზურგით, და ჩამოვარდა არბაქ ცხენისაგან“.

ანდა ავიდოთ მეორე ეპიზოდი ლეონტი მროველის თხზულებიდან, სადაც აღწერილია ბუმბერაზობა ქართველთა მეფის ამაზასპისა, მისი ბრძოლა კავკასიის მთიელებთან (ოვსებთან). აქაც ჩვენ გვაქვს არა ისტორიული მოთხრობა, არამედ საგმირო „ჰამბავი“, საგმირო რომანების სპეციფიკური სტილით:

„და იწყეს ბრძოლა ბუმბერაზთა.

„და განვიდა ამაზასპ (მეფე ქართველთა) მშვილდითა, და იწყო ბრძოლად გულითა ფიცხელითა, და მკლავითა ძლიერითა. ეზომ შორით ისროდა, რომელ დამართებითა მდგომთა ოვსთაგან არა შეიტყვებოდა; და არცა ინახოდა სიშო-

რითა, თუ ყოვლად აქვს მშვილდი. და მან ჰკრის ისარი, რომელსა ვერა და-
უდღის სიმაგრემან საქურველისამან.

„და მას ღღესა მოკლა ამაზასბ თავთავი ბუმბერეზი ათხუთმეტი რჩეული,
და ცხენი მრავალი. — და სხვათაცა ბუმბერეზთა ამაზასბისათა მოკლნეს ბუმ-
ბერეზნი მრავალნი ოვსთანი, და დასდვეს ღიღი ვნება ოვსთა ზედა.

„მას ღღესა შემოვიდა ამაზასბ მხედრითა ქალაქად, ხოლო ქვეითნი
იგი ღგეს ადგილსავე თვისსა კართა შინა...“¹.

„და ვითარ განთენდა, განვიდა შემდგომად ამაზასბ მუნვე და აღიხვნა ჰო-
როლნი. და გამოვიდა ოვსთაგან კაცი ერთი სახელით ხუანხუა, ურჩეულესი.
სპათაგან ოვსთასა. აღიზახნეს ორთავე და მიეტევნეს ურთიერთას. და პირველ-
სავე მოსლვასა სცნა ჰოროლნი ამაზასბ, განავლო ზურგიით, და მოკლა იგი.
და აღმოიხანდა ხრმალი და მიეტევა სხვათაცა ბუმბერეზთა და მოკლა ორნი
სხვანი ბუმბერეზნი.

„შემოიქცა და შემოვიდა [ამაზასბ] ქალაქად მხედრებითურთ, [ხო-
ლო] ღგეს ქვეითნი იგი ზუნვე, კართა შინა...“².

•

განსაკუთრებით ტიპიურია ისტორია ფარსმან ქველისა, რომე-
ლიც შეტანილია ლეონტი მროველის თხზულებაში, და რომელიც ცალკე დამ-
თავრებულ ეპიკურ მოთხრობას წარმოადგენს, დაწერილს საგმირო რომანის
კოლორიტული სტილით.

ეს მოთხრობა (რომელსაც, აღენიშნავთ ამასთან, არაფერი აქვს საერთო —
არსებული სახით — ნამდვილ ისტორიასთან, და რომელიც ლეგენდარულ
ასპექტშია მოცემული) შემდეგ ქარაზზე არის აგებული:

საქართველოში მეფობენ ორნი მეფენი. ერთი მათგანი ზის მცხეთას,
და მის სამფლობელოს შეადგენს მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანა.
ხოლო მეორე მეფის სატახტო ქალაქია არმაზი და მას უჭირავს მტკვრის
სამხრეთით მდებარე ქვეყნები.

არმაზელი და მცხეთელი მეფეები დიდ მეგობრობაში იყვნენ, ვიდრე არ
გამეფდა მცხეთაში მირდატ, ხოლო არმაზში — ფარსმან ქველიც.
მცხეთის მეფე მირდატ, მოთხრობის სიტყვით, „იყო კაცი ურვილი და მოსის-
ხლე“. ფარსმან ქველი კი ნამდვილი რაინდი იყო და იგი საყოველთაო სიყვა-
რულით სარგებლობდა. „ხოლო ფარსმან ქველი, — ნათქვამია მოთხრობაში, —
იყო კაცი კეთილი, უხვად მომნიჭებელი და შემნდობელი, ჰასაკითა შვენიერი,
ტანითა ღიღი და ძლიერი, მხნე მხედარი და შემმართებელი ბრძოლისა, უში-
ში ვითარცა უხორცო, ყოვლითავე უმჯობესი ყოველთა მეფეთა ქართლისათა...
ამისთვისცა უყვარდათ ესე მირდატის კერძთაცა ქართველთა“.

¹ სიტყვები: „შემოვიდა ამაზასბ მხედრითა ქალაქად, ხოლო ქვეითნი იგი ღგეს ადგალ-
სავე თვისსა კართა შინა“, — მეორდება მოთხრობაში რეფრენის სახით.

² მეორდება ზემოთ აღნიშნული რეფრენი მოთხრობისა: „შემოვიდა ქალაქად მხედრებით-
ურთ“ — „ღგეს ქვეითნი იგი მუნვე კართა შინა“.

მცხეთის მეფემ მირდატმა მოიყვანა ცოლი სპარსეთიდან, ნათესავი სპარსთა მეფისა. სპარსელების შთაგონებით მირდატ გადაემტერა ფარსმან არმანელს და განიზრახა მისი ვერაგულად დაღუპვა. „განიზრახა მუხთლად სიკვდილი ფარსმან ქველისა არმანელისა, და მოხადა (ე. ი. მოუწოდა) — სახლსა შინა თვისსა რეცა მეჭლიშად და განცხრომად“. ვინმე ერთგული წინდაწინვე გააფრთხილებს ფარსმანს განსაცდელის შესახებ, რომელიც მას ელის მეჭლიშის დროს. ფარსმან აღარ წავა წვეულებაზე.

ამის შემდეგ მირდატსა და ფარსმანს შორის აშკარა მტრობა ჩამოვარდება. მირდატის ქვეშევრდომნი, შეწუხებულნი მათი მეფის მესისხლეობისა და გულბოროტებისაგან, განუდგებიან მირდატს და მიემხრობიან ფარსმან ქველს; მირდატს გადაადგებენ ტახტიდან და იგი გადაიხვეწება სპარსეთში. ფარსმან გააერთიანებს ორსავე ქართულ სამეფოს, არმაზისას და მცხეთისას. მცხეთაში იგი გამგედ დასვამს თავის „ძძუქსმტე“-ს (ძიძიშვილს) ფარსმანს. ეს ფარსმანის აკრებულ დიდი რაინდია — „ეგრეთვე ქველი და გოლიათი, სარწმუნო და ერთგული“.

მირდატი გამოიყვანს სპარსეთიდან დიდ ლაშქარს და მოადგება საქართველოს. ფარსმან შეჰკრებს ქართულ ჯარს, შემოიერთებს სომეხებსაც, და შეეგებება მტერს რკინის-ხევის ვიწროვებში.

ბუმბერაზობა და ბრძოლები, რომლებიც იმართება ამ ორ ჯარს შორის, აღწერილია საგმირო რომანების ასეთი სპეციფიკური სტილით.

„და იწყეს ბრძოლა ბუმბერაზთა დღეთა მრავალთა.

„და რომელი გამოჩნდის ბუმბერაზი სპარსთა შორის მძლედ ბუმბერაზთა ზედა ქართლისათა და სომეხთისათა, მას ზედა განვიდის თვით ფარსმან მეფე ანუ სპასპეტი მისი ფარსმანს, და ესრეთ აჯობიან და სძლიან. ხოლო მოკლა ფარსმან ათშვიდმეტი ბუმბერაზი სპარსთა, ხოლო სპასპეტმან ფარსმანს მოკლა ბუმბერაზი ოცდასამი.

„მაშინ იყო სპარსთა შორის კაცი ერთი გოლიათი, სახელით ჭუმბერ, რომელი ლომსა ხელითა შეიპყრობდა. და მან სთხოვა ბრძოლა მეფესა ფარსმანს.

„ხოლო ფარსმან ქველი სიხარულითა აღიჭურა, და განვიდა. და აღიზახნეს ორთავე ხმითა სასტიკითა, და შეიტყვენეს ურთიერთას და იწყეს ბრძოლა ხრმლითა. და ზაჰმი ბრძოლისა მათისა ემსგავსა ზაჰმსა ქუხილისასა და [მეხის] ტეხისასა. [და] აჯობა ფარსმან, ჩამოაგდო და მოკლა. და მიიქცა სპისა მისისა კერძო, და ხმა უყო ხმითა დიდითა, და პრქვა: „აჰა, ლომო მძვინვარენო, ცხოვარი დასეტყულნი!“

სპარსთა ჯარი სასტიკად დამარცხდება, „აოტნეს, მოსწყვიდეს და ტყვეყვეს ურიცხვნი“, და მირდატ ისევ გადაიხვეწება სპარსეთში.

მაგრამ მირდატ არა ჰყრის ფარ-ხმალს, განვლის ხანი და მირდატ ისევ შემოდის ქართლში სპარსთა დიდი ლაშქარით, „სპითა უძლიერესითა“. ფარსმანს თუმცა ნაკლები ჯარი ჰყავს, „არა ჰყვეს სპანი მირდატისა სპათა ოდენი“, მაგრამ მაინც მხნედ ხვდება მტერს.

იწყება ისევ ბრძოლები და ბუმბერაზობა, „ყოველთა დღეთა იბრძოდიან ბუმბერაზნი“.

ფარსმან ქველი კვლავ ამარცხებს სპარსთა ლაშქარს:

«სიფიცილითა გულისა თვისისაჲთა ფარსმან მეფემან ქველმან არლარა განაზა სიმრავლე სპარსთა, არამედ განვიდა ჟამსა გინთიადისასა სპითა თვისითა, და დაესხა, და მოსცა სვემან მისმან ძლევა, აოტა ბანაკი მათი, და მოსწავიდა ურიცხვი. და წარვიდა მირდატ მეოტი სპარსეთადე».

ამის შემდეგ ფარსმან ქველი და მისი მხედრობა შიშის ზარს დასცემს თვით სპარსეთსაც.

«და მიერიოვან განითქვა სახელი ფარსმან ქველისა და სპასპეტისა მისისა ფარნავაზისა, და წინამძღვარ ექმნა იგი სპათა ქართლისა და სომხითისათა და იწყო ბრძოლად სპარსთა, და შესლვად სპარსეთს, და ვერლარა-ოდეს ვინ წინააღუდგა ფარსმან ქველსა».

მაგრამ სპარსელები მუხანათურად შურს იძიებენ ფარსმანზე. ფარსმანს მოსწამლავს სპარსელების მიერ მოგზაენილი, მოსყიდული შზარეული.

ფარსმანის სიკვდილს გლოჲობს მთელი ერი.

«ყოველთა შინა ქალაქებთა და დაბნებთა დასხდიან მგოსანნი გლოვისანი, და შეკრბიან ყოველნი, და იხსენებდიან სიქველესა და სიმხნესა, და სიმშვენიერესა და სახიერებასა ფარსმან ქველისასა, და იტყოდეს ესრეთ:

«ვამ ჩვენდა,
რამ მოგვძინა სვემან ბოროტმან!

და მეფე ჩვენი, —
რომლისგან ხსნილ-ვიყვენით — მონებისგან მტერთასა, —

მოიკლა იგი —
კაცთაგან მგრძნებელთაგან,

და აწ მივეცენით
ჩვენ წარტყვენვად ნათესავთა უცხოთა!»

•

ჩვენ ასე დაწვრილებით შევჩერდით ლეონტი მროველის თხზულების ცალკეულ ეპიზოდებზე, რათა გაგვეცნო ლეონტი მროველის „ჰამბავთა“ წიგნის ქართული ეპიკური სტილი.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან შემდეგი.

ლეონტი მროველის თხზულების ეპიკურ ეპიზოდებში ორმაგი გავლენა შეიმჩნევა:

ერთი მხრით, აქ ჩვენ გვაქვს, როგორც აღვნიშნეთ, გავლენა საგმირო რომანებისა.

მაგრამ ამის გვერდით ლეონტი მროველის თხზულებაში არის კვალნი ძველ-ქართული ფოლკლორული პოეზიის, ხალხური ეპოსის გავლენისა.

ხალხური ეპოსის გამოძახილი ჩვენ გვაქვს ნაწილობრივ იმ საგმირო მოთხრობაში ფარსმან ქველის შესახებ, რომელსაც ზევით შევეხეთ. ფარსმან ქველი — ლეონტი მროველის მოთხრობისა, ეს არის ლეგენ-

დარულ ასპექტში წარმოდგენილი იბერიის ცნობილი მეფე პირველი საუკუნისა ფარსმან, რომლის დროსაც, როგორც ეს კარგად ცნობილია კლასიკური ხანის საისტორიო წყაროებით, იბერია წარმატებით უწევდა მეტოქეობას სპარსეთს, პართეველთა იმპერიას. ფარსმანის სახე გადასულა ლეგენდაში, და მის შესახებ, როგორც ირკვევა, ხალხური თქმულებანი არსებულა, რომელსაც რაფსოდები, „მგოსანი“ მოუთხრობდნენ.

კიდევ უფრო მკვეთრად მოჩანს ხალხური ფოლკლორული საგის გამოძახილი ლეონტი მროველის თხზულების იმ ნაწილში, სადაც გადმოცემულია პირველი ქართველი მეფის ფარნავაზის (ფარნავაზიანთა დინასტიის დამაარსებლის) თავგადასავალი.

ასე, მაგალითად, სიზმარი ფარნავაზისა:

„მაშინ იხილა ფარნავაზ სიზმარი, რეცა იყო იგი სახლსა შინა უკაცურსა, და ეგულვებოდა განსლვა, და ვერ განვიდა;

„[და შემოვიდა] სარკმელსა მისსა შუქი მზისა, და მოერტყა წელთა მისთა გაზიდინი, და გამოიყვანა სარკმელსა მას;

„[და] ვითარ განვიდა ველად, იხილა მზე ქვე მდაბლად; მიჰყო ხელი მისი, და მოჰხოცა ცვარი პირსა [მზ]ისასა, და იცხო პირსა მისსა.“

ამ თქმულებაში პირდაპირ შერჩენილია ძველი მითოსის ანარეკლი.

ფოლკლორიდან სჩანს მომდინარეობს აგრეთვე თხრობა ფარნავაზის ნადირობისა და განძის პოვნის შესახებ. ეს ამბავი ხალხური საგის სტილით არის მოთხრობილი:

„ხოლო მას დღესა შინა განვიდა [ფარნავაზ], და ნადირობდა მარტოდ, და დევნა უყო ირემთა ველსა დილომისასა; და ივლტოდეს ირემნი ღირღალთა შინა ტფილისისათა;

„[და] მისდევდა ფარნავაზ, სტყორცა ისარი, და ჰკრა ირემსა; და მცირედ წარვლო ირემმან და დაეცა ძირსა კლდისასა;

„მოვიდა ფარნავაზ ირემსა ზედა, და დღე იგი მწუხრი გარდახდა; და დაჭდა ირემსა მას თანა, რათამცა დაჰყო მუნ ღამე, და დილეულმცა წარვიდა.

„ხოლო კლდისა მის ძირსა ქვაბი იყო, რომლისა კარი ამოქმნილ იყო ქვითა ძველად, და სიძველითა შეჰქმნოდა დარღვევა შენებულსა მას.

„მაშინ დაასხა წვიმა მძაფრი; ხოლო ფარნავაზ აღმოიღო ჩუგლუგი, და გამოარღვია კარი ქვაბისა მის, რათა მუნ-შივა დაიმშრალა წვიმისა მისგან;

„და შევიდა ქვაბსა მას, და იხილა მუნ შინა განძი მიუხვდომელი, ოქრო და ვეცხლი მიუწვდომელი...“

ხალხური ეპოსის გავლენა მოჩანს არა მარტო თქმულებათა შინაარსში, არამედ გარეგან ფორმაში, არქაულობით აღბეჭდილ რიტმულ წყობაში და ხალხური ეპოსისთვის დამახასიათებელ სახეების პარალელიზმში. ასეთია, მაგალითად, აღწერა იმ ბრძოლისა, რომელსაც აწარმოებს ქართველთა მეფე მირვან, „ტანითა სრული, შვენიერი, ძლიერი, ქველი.“

მირვან გაილაშქრებს კავკასიის მთიანეთში, ღურძლუკეთში. ქართველთა და ღურძლუკთა ჯარი შეხვდებიან კავკასიონის უღელტეხილზე, მთის კართან. აღწერა

ბრძოლისა მოცემულია შემდეგს არქაულს ეპიურ ფრაგმენტში, რომელიც „წყობილი სიტყვით“ არის შესრულებული:

„მაშინ მირვან გარდახდა ცხენისაგან,
[და] მივიდა ქვეითთა მისთა თანა;

და წარუძღვა წინა ქვეითთა,
[და] ზურგით შემოადგინნა მხედარნი;

და მივიდა კართა მათ შინა
— ვითარცა ჭიჭი სიფიცხლითა,

[მივიდა] ვითარცა ვეფხვი სიმხნითა,
— ვითარცა ლომი ზახხლითა...

ხოლო მირვანს ვერ ჰკვეთდა მახვილი დურძეკთა
— ვითარცა კლდესა სიპსა,

და დგა [იგი] უძრავად
— ვითარცა კოშკი მტყიცედ“.

ხალხური ეპოსიდან მომდინარეობს აგრეთვე ერთი ეპიური ფრაგმენტი, რომელშიაც აღწერილია თარგამოსიანთა და ნებროთიანთა მითიური ბრძოლა¹. ამ უაღრესად შესანიშნავი ეპიური ძეგლის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი.

მოგვყავს აქ ეს ეპიური ძეგლი სრულად აღდგენილი სახით:

„იქმნა მათ შორის ბრძოლა სასტიკი, — რომელი ემსგავსა სასტიკე ბასა ჰაერისასა:
„რამეთუ მტვერი ფერხისა მათისა, — ვითარცა ღრუბელი სქელი;
„ელვა აბჯრისა მათისა, — ვითარცა ელვა ცისა;
„ხმა პირისა მათისა, — ვითარცა ხმა ქუხილისა;
„სიმძლავრე ისრისა მათისა, — ვითარცა [ტეხა მეხისა];
„ტყორცა ქვისა მათისა, — ვითარცა სეტყვა ხშირი;
„და დათხევა სისხლისა მათისა, — ვითარცა [წვიმისა] ღვარი“.

რომ ეს ეპიური ძეგლი უძველესი ხალხური ეპოსის ნაშთს წარმოადგენს, ამას უჩვენებს ჯერ მარტო მისი წყობა, რომელიც თავიდან ბოლომდე აგებულია სახეების პარალელიზმზე. ხოლო რაც მთავარია, ხალხურ ეპოსთან მას აკავშირებს თვით მითოლოგიური მისი შინაარსი. აქ გადმოცემულია — მითო-

¹ ამ ტექსტს არავითარი კავშირი არა აქვს იმ მწიგნობრულ წყაროებთან, რომლის მიხედვითაც შედგენილია ლეონტი მროველის თხზულების სათანადო თავი ნებროთის შესახებ. (ეს ცხადია ძველი ქართული ხალხური ეპოსის ქვემოთ ნაჩვენები პარალელებიდან).

სის ასპექტში — სურათი კეთილი და ბოროტი სულების ბრძოლისა ტაროსის შეცვლის დროს.

ეს ჩანს ამ ტექსტის მეორე პარალელური მწკრივიდან, რომელშიაც აღბეჭდილია ტაროსის თანდათან შეცვლა. სურათი ტაროსის შეცვლისა აქ იშლება ასეთის თანდათანობით:

იწყება — „სასტიკება ჰაერისა“;
შემდეგ — „ღრუბელი სქელი“;
შემდეგ — „ელვა ცისა“;
შემდეგ — „ხმა ქუხილისა“;
შემდეგ — „ტეხა მებისა“;
შემდეგ — „სეტყვა ხშირი“;
შემდეგ — „წვიმისა ღვარი“.

ხოლო რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, აქ არის, როგორც აღვნიშნავდით, შეხვედრა უძველეს ქართულ ეპიურ თქმულებასთან ამირანის შესახებ. ამირანს ძველი ეპოსის ერთი ლექსი ადარებს საავდროდ გამზადებულს ღრუბელს; ემსგავსაო —

„ამირან — შავსა ღრუბელსა,
საავდროდ გამზადებულსა“.

ლეონტი მროველის თხზულებაში დაცული ეპიური ძეგლი იძლევა გარკვეულს პარალელიზმს ამირანის ეპოსის იმ ეპიზოდთან, სადაც აწერილია ტაროსის ღვთაების („ღრუბელთა ბატონის“) ასულის კამარ-ქალის მოტაცება ზეციური კოშკიდან ამირანის მიერ. ამირანს მოჰყავს მოტაცებული კამარ და მათ გზაში პირველად „წამოეწია ღრუბელი“; ქალი ამბობს: „ეს მამა-ჩემის ჯარი წამოვიდა და მისი ჩრდილია“. შემდეგ „წამოეწიათ წინკალი“; ქალი ამბობს: „მამა-ჩემის ჯარი ზღვას გამოვიდა, იმათი ფეხის ნამია“, შემდეგ დაიწყება „კოკისპირული წვიმა“. იწყება ბრძოლა ამირანსა და კამარის მამას (ტაროსის ღვთაებას) შორის, და ეპოსის სიტყვებით — „ამირანის ხმალი კამარის მამის მუზარადს რომ მოხვედებოდა, ნაპერწკალის ცეცხლი ენთებოდა“.

ბ.

„ჰამბავი ვახტანგ გორგასარისა“

მეორე თხზულება ისტორიულ-ეპიკური ჟანრისა, ჩვენს დრომდე მოღწეული ამავე ეპოქიდან, ეს არის „ჰამბავი ვახტანგ გორგასარისა“. სრული სახელწოდება ამ ძეგლისა, როგორც აღვნიშნეთ, შემდეგია:

„ჰამბავი ვახტანგ გორგასარისა მშობელთა, და შემდგომად თვით მისი, დიდისა — მეფისა, რომელი უმეტესად სხვათა განთქმულად გამოჩნდა ყოველთა მეფეთა ქართლისათა“¹.

¹ ამ ძეგლს ქართლის ცხოვრების კრებულის მარია დედოფლისეულ ხელნაწერში უპირავეს 294 — 400 გვერდები.

თხზულება, როგორც ირკვევა, დაწერილია მე-9 საუკუნეში¹.

ავტორის ვინაობა მოხსენებული არაა. თვით ნაწარმოების ტექსტის მიხედვით საფიქრებელი ხდება, რომ ავტორი უჯარმოს მხარიდან უნდა ყოფილიყო, და ამის გამო ავტორს ვუწოდებთ პირობითს სახელს: „უჯარმელი“.

თხზულება „ჰამბავი ვახტანგ გორგასარისა“ შეიცავს ცნობილი ისტორიული მოღვაწის, მე-5 საუკუნის საქართველოს მეფის ვახტანგ დიდის (გორგასარის) ისტორიას. ავტორს, როგორც ირკვევა, ხელთა ჰქონია ძველი მათიანე ვახტანგ გორგასარის შესახები, მაგრამ მას ამ ძველი მათიანიდან აუღია საერთო ქარგა და ზოგიერთი დეტალები, და ამ ისტორიულ ქარგაზე დაუწერია ისტორიულ-ეპიკური რომანი.

ვახტანგ გორგასარი ძველი საქართველოს ისტორიის დიდი ფიგურაა, იგი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა შემდეგს თაობებში და ვახტანგის სახელის გარშემო საუკუნეთა მანძილზე შექმნილა ლეგენდარული თხრობანი, ეპიური საგა.

ამავე დროს „წარმართულ“ ხანის საქართველოში არსებობდა მანღეანური ღვთაების ვახტანგ-ვარათრაგნის ეპოსი, რომელსაც მოუთხრობდნენ ძველი ქართველი „მგოსნები“, რაფსოდები. და აი ვახტანგ მეფის შესახებ ეპიკურ საგაში მომხდარა შერწყმა ისტორიულ პირის ვახტანგისა და მისი თანამოსახელე ღვთაების ვახტანგ-ვარათრაგნისა; ვახტანგ მეფეზე გადაუტანიათ მისი თანამოსახელე ღვთაების ვახტანგ-ვარათრაგნის ეპოსის ელემენტები.

უჯარმელი, ვახტანგ გორგასარის ბუძებულებული ჰეროიკული პორტრეტის დახატვის დროს, ხელმძღვანელობდა იმდენად არა ისტორიული წყაროებით, რამდენადაც ამ ეპიკური საგით — ვახტანგ გორგასარის ეპოსით, რომელიც მას მწიგნობრულად გადაუმუშავებია საგმირო რომანის ფორმაში.

რომ უჯარმელის თხზულებაში ვახტანგ მეფის პიროვნებაზე გადატანილია ელემენტები ღვთაების ვახტანგ-ვარათრაგნისა, ამის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა დაწერილებითი საუბარი და აქ ამაზე აღარ გავაგრძელებთ სიტყვას.

აქ დავეჩინება მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ უჯარმელის თხზულება — „ჰამბავი ვახტანგ გორგასარისა“ — შედარებით ლეონტი მროველის თხზულებასთან წარმოადგენს შემდეგს საფეხურს ისტორიულ-ეპიკური ჟანრის განვითარებაში. თუ ლეონტი მროველის თხზულებაში საგმირო მოთხრობათა ეპიკური სტილით დამუშავებულია მხოლოდ ცალკე ეპიზოდები, „ჰამბავი ვახტანგ გორგასარისა“ მთლიანად წარმოადგენს ტაპიურ ეპიკურ-ისტორიულ რომანს. ვახტანგ გორგასარის ლაშქრობა კავკასიის მთიანეთში ნათლოსანი დის გამოსახსნელად, ვახტანგის, თარხანის და ბაყათარის ბუმბერაზობის ამბავი, ვახტანგის შესვლა საბერძნეთს, პირველი ომი სპარსეთთან, ვახტანგ მეფის ლაშქრობა ჭოჩანეთს, ინდოეთს. სინდეთს და აბაშეთს (სინდთა მეფისა და ვახტანგის იგავ-სიტყვაობის ეპიზოდით), და დასაპარულ მეროე ომი სპარსეთთან, — რომლის დროსაც ვახტანგი ტრაგიკულად იღუპება. — მთელი სიუჟეტური რკალი თხზულებისა ტაპიური საგმირო-სარაინდო რომანის ელფერით არის დამუშავებული.

¹ ამ ნაწარმოების თარიღის საკითხი დაწერილებით გვაქვს განხილული ცალკე ნარკვევში. აქ აღვნიშნავთ, რომ „ჰამბავი ვახტანგ გორგასარისა“ დროს მიხედვით წინ უსწრებს ჭუნაშვილის მატაიანეს. ხოლო ჭუნაშვილის მატაიანე, როგორც ეს ზუსტად ირკვევა, დაწერილია 872 — 914 წლებს შორის.

რომანში — ძველი ისტორიის ფონზე — ასახულია ავტორის თანამედროვე საერო ფეოდალური გარემო, იდეალები, მსოფლმხედველობა.

ის დიდი პოპულარობა, რომელიც მოუპოვებია ადრეულ საშუალო-საუკუნეებში უჯარმელსა და ლეონტი მროველის თხზულებებს, აიხსნება სწორედ ამ გარემოებით, რომ აქ გამოხატულება ჰპოვა საერო ფეოდალური წრეების მსოფლმხედველობამ.

პოპულარობა ლეონტი მროველისა და უჯარმელის თხზულებათა იმდენად დიდი ყოფილა, რომ მათ დაუჩრდილავთ წინათ არსებული საისტორიო ნაწარმოებნი. და როდესაც მე-10 საუკუნეში შედგენილ იქნა საქართველოს ისტორიის განთქმული კრებული, „ქართლის ცხოვრების“ სახელით ცნობილი, აქ საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდის შესახებ შეუტანიათ არა ძველ ისტორიკოსთა მარტივი და შეუფერადებელი თხზულებანი, არამედ ლეონტი მროველისა და უჯარმელის ნაწარმოებთა ტექსტი.

2.

ლიტერატურული ურთიერთობა არაბულ მსოფლიოსთან.

თარგმანები არაბულიდან

აღნიშნულ ეპოქაში ქართული საერო მხატვრული მწერლობის ისტორიის თვალსაზრისით — ინტერესს წარმოადგენს, კერძოდ, ლიტერატურული ურთიერთობა არაბულ მსოფლიოსთან.

საქართველო ამ ეპოქაში, როგორც ცნობილია, უახლოესად დაკავშირებული იყო პოლიტიკურად არაბულ ხალიფატთან. საქართველოს პროვინციები (უბირატესად აღმოსავლეთ-საქართველოს პროვინციები) კარგა ხნის მანძილზე უშუალოდ ხალიფატის ფარგლებში იყო მოქცეული. შემდეგ, როდესაც ჩამოყალიბდა და თანდათან განმტკიცდა ცალკე ქართული ფეოდალური სამეფოები და სამთავროები — დასავლეთ-საქართველოსი, მესხეთ-ქართლისა („ქართველ კურაპალატთა“, შემდეგ „ქართველ მეფეთა“ სახელმწიფო), კახეთისა და ჰერეთისა — არაბთა პოლიტიკური გავლენა თუმცა შენეულდა თანდათან, მაგრამ არ გამქრალა და იგი კიდევ იგრძნობოდა აღმოსავლეთ საქართველოში მე-10 საუკუნემდე. ხოლო საქართველოს ერთ პროვინციაში, სახელდობრ სამხრეთ ქართლში, კარგა ხნის მანძილზე, თვით მე-12 საუკუნის დასაწყისამდე, შერჩა ცალკე არაბული სამფლობელო (ტფილისის არაბული ემირატი).

ქართული წრეები იმყოფებოდნენ ახლო ურთიერთობაში არაბულ მსოფლიოსთან ქართულ საზღვარგარეთულ კოლონიებშიაც — პალესტინაში, სირიაში, სინას-მთაზე.

ამ მრავალსაუკუნოვანმა ურთიერთობამ, ცხადია, თავისი კვალი დატოვა ქართულ მწერლობაში.

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ მე-9 საუკუნის ქართველმა მწერალმა იოანე საბაწმიდელმა ისარგებლა ბუდას ლეგენდის არაბული ვერსიით და დაწერა ქართულ ენაზე რომანი „სიბრძნე ბალაჰვარისა“, რომელმაც მსოფლიო რეზონანსი

მოიპოვა. მე-9 საუკუნეში ქართულად უთარგმნიათ არაბული ენიდან მნიშვნელოვანი საისტორიო ძეგლი, ანტიოქე სტრატეგის საისტორიო თხზულება. მე-9 — 10 საუკუნეებში, და შემდეგაც, ქართულად ითარგმნებოდა არაბული ენიდან ქრისტიანული მწერლობის ძეგლები (— არაბულ ენაზე, როგორც ცნობილია, ქრისტიანული მწერლობაც განვითარდა).

ცხადია, ამავე ეპოქაში ქართულ ენაზე ითარგმნებოდა არაბულიდან ს ა ე რ ო მ მ ხ ა ტ ე რ უ ლ ი მ წ ე რ ლ ო ბ ი ს ძეგლებიც.

კერძოდ ამ ეპოქაში ქართულ ენაზე უთარგმნიათ არაბულიდან განთქმული დიდაქტიკური ეპოსი „ქილილა და დამანა“, რომლის ექსცერპტი ჩვენს დრომდისაც გადარჩენილა.

„ქილილა და დამანა“-ს, როგორც ცნობილია, რთული ლიტერატურული ისტორია ჰქონდა. მისი პროტოტიპი (ფანჩატანტრა) ინდოეთში ჩამოყალიბდა. აქედან მე-6 საუკუნეში წარმოიშვა ირანული (ფაჰლაური) რედაქცია „ქილილა და დამანა“-სი, ხოლო მე-8 საუკუნეში „ქილილა და დამანა“ ითარგმნა ფაჰლაურიდან არაბულ ენაზე.

რომ ქართულს ენაზე „ქილილა და დამანა“ არაბული ენიდან უთარგმნიათ, ამას ადასტურებს ქართულ ექსცერპტში დაცული ლექსიკური ნიშნები. „ქილილა და დამანა“ უთარგმნიათ ქართულად მე-9 საუკუნეში. მას უკვე იცნობს მე-9 საუკუნის ქართველი ავტორი უჯარმელი, ავტორი „ვახტანგ გორგასარის ჰამბავეი“-სა.

გარდა პროზაული ძეგლებისა, ქართულ ენაზე არაბულიდან, ჩანს, ითარგმნებოდა პოეტური თხზულებებიც. ქართულ-არაბულ ახლო ურთიერთობას პოეზიის დარგში მოწმობს თვით ტერმინები „მოშაჰირე“ (მოზაირე, პოეტი) და „შაჰირი“ (შაირი, ლექსი), რომლებიც ამ დროიდან შემოდის ქართულ ლიტერატურაში და საყოველთაო გავრცელებას ღებულობს¹.

3.

საერო პოეზიის გავლენა სასულიერო-სამკლესიო პოეზიაზე.

ქართული საერო მხატვრული მწერლობის ისტორიასთან დაკავშირებით ცალკეა აღსანიშნავი ნაწარმოებები ამ ეპოქისა, რომლებიც წარმოგვიდგენენ სასულიერო და საერო პოეზიის ელემენტების შეერთებას, და რომლებშიაც მოჩანს საერო პოეზიის გავლენის კვალი.

ჩვენ უკვე განვიხილეთ ჰაგიოგრაფიული პოემა „ა ბ უ კ უ რ ა ე“, რომელიც მე-9 საუკუნეს ეკუთვნის: ამ პოემას საერო პოეზიასთან აკავშირებს, ჭერ ერთი, ფორმა (— იგი შეიცავს გარითმულ ტექსტს), და ამას გარდა სიუჟეტის მხრივაც იგი წარმოადგენს სასულიერო და საერო პოეზიის ელემენტების შე-

¹ ტერმინები „შაირი“, „მოშაირე“ — იმდენად გავრცელებული და საყოველთაოდ მიღებული ყოფილა ძველ-ქართულ მწერლობაში, რამე ეს არაბულიდან მომდინარე ტერმინოლოგია შესულა თვით ისეთ ქართულ ძეგლებშიაც კი, რომლებიც ბერძნულიდან არის თარგმნილი: Μέγαρις ὁ ἄριστος — „შენანდროს მოშაირე“, იხ. გიორგი ამარტოლის თარგმანი ბერძნულიდან, შესრულებული მე-11 საუკუნეში არსენი იყალთოელის მიერ (გამოცემა პროფ. ს. ყაუხჩიშვილისა, ტფ., 1920. გვ. 225).

თავსებას (— აქ დამუშავებულია, სასულიერო ელფერის დაცვით, რომანიული ეპიზოდი).

საერო პოენიას გავლენა მოუხდენია აგრეთვე ძველ-ქართულ ჰიმნოგრაფიაზე, რომელსაც შეუთვისებია საერო პოეზიიდან საერო პოეზიის სპეციფიკური მეტრები და რითმა (ჰიმნები ფილიპე ბეთლემელისა, სტეფანეს საგალობელი, იოანე-ზოსიმეს ანდერძი „ადგარისა“).

თანხმობა

ისტორიოგრაფია

ეპოქაში, რომელიც აქ ჩვენი მიმოხილვის საგანს შეადგენს, მე-8 — 11 საუკუნეებში, ქართული მწერლობის მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს ისტორიოგრაფია.

ამ დარგის მრავალგვარობა (და ამას გარდა ცალკეულ ძეგლთა რთული ლიტერატურული ისტორია) არ იძლევა საშუალებას ამ მოკლე ნარკვევში სათანადო სასრულით განვიხილოთ ძველ-ქართული ისტორიოგრაფიის ძეგლები, და იძულებული ვართ დავკმაყოფილდეთ ზოგადი ხასიათის მიმოხილვით.

პირველ რიგში აქ ჩვენ შევხვებით ქართული საისტორიო ძეგლების დიდ კრებულს, რომელსაც ეწოდება „წიგნი ქართველთა ცხოვრებისა“ ანუ მეორენაირად „ქართლის ცხოვრება“ — ე. ი. საქართველოს ისტორია¹.

1.

ქართლის ცხოვრების კრებულის

პირველი ნაწილი

ქართლის ცხოვრების კრებულის პირველი ნაწილი სრულდება კრებულის შემდგენელი რედაქტორის შემდეგი ბოლოსიტყვაობით:

„წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა ვიდრე ვახტანგისა ჯამდე (ვახტანგ გორგასარამდე) აღიწერებოდა ეამითი-ეამად. ხოლო ვახტანგ მეფისათჳს ვიდრე აქამომდე (— არჩილ მეფისამდე) აღწერა ჟუანშერ... და ამიერითჳს შემდგომთა ნათესავთა აღწერონ, ვითარცა იხილონ და წინამდებარეჲს ეამჲს უწყებად მოსცეს გონებასა მათსა ღმრთივ-განბრძობილსა“.

ქართლის ცხოვრების კრებულის ამ პირველ ნაწილში რედაქტორს შეუტანია სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ხასიათის ნაწარმოებნი. რედაქტორს კრებულის ამ პირველი ნაწილის შედგენის დროს უპირატესობა მიუცია არა ძველი წმინდა საისტორიო ხასიათის თხზულებებისათვის, არამედ უმთავრესად

¹ „ქართლი“ აქ აღებულია ფართო მნიშვნელობით და აღნიშნავს ცნებას „იბერია“, ანუ უფრო ზოგადი მნიშვნელობით „საქართველო“ (შეად. განმარტება ცნებისა „ქართლი“ მე-10 საუკუნის ქართველი მწერლის გიორგი მერჩულეს თხზულებაში). „ცხოვრება“ („ცხოვრება“) — ტანკვერი ტერმინია და აღნიშნავს ცნებას „ისტორია“.

ისტორიულ-ეპიკური ქანრის ნაწარმოებთათვის, როგორცაა ლეონტი მროველისა და უჯარმელის თხზულებანი. ასეთს ისტორიულ-ეპიკურ თხზულებებს, როგორც ირკვევა, განსაკუთრებული პოპულარობა ჰქონიათ მოპოვებული და მეტი ავტორიტეტით სარგებლობდნენ, ვიდრე ძველი საისტორიო ნაწარმოებნი, რომლებიც საქართველოს წარსულის შესახებ მარტივსა და შეუფერადებელ მოთხრობას შეიცავდნენ.

ქართლის ცხოვრების კრებულის ამ პირველ ნაწილში, სახელდობრ, შეტანილია შემდეგ ავტორთა თხზულებანი¹:

1. ლეონტი მროველი: „ცხოვრება (მამბავი) ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“.

ამ ძეგლის შესახებ, რომელიც მე-8 საუკუნეს ეკუთვნის, უკვე გვქონდა საუბარი.

2. იოანე დეკანოზი. ამ ავტორის ეკუთვნის შევსება ლეონტი მროველის თხზულების იმ ნაწილისა, რომელიც ეხებოდა ქრისტიანობის გავრცელებას საქართველოში.

როგორც ჩანს, ისტორია ქრისტიანობის გავრცელებისა საქართველოში, როგორადაც ეს გაშუქებული იყო მე-8 საუკუნის ძეგლში — ლეონტი მროველის ნაწარმოებში — არ ეთანხმებოდა ამა თუ იმ ხაზში იმ ოფიციალურ თვალსაზრისს, რომელიც შემდეგს ეპოქაში გამომუშავდა და გაბატონდა. ამის გამო „ახლად აღმწერელს“ იოანე დეკანოზს გამოუშვია ლეონტი მროველის თხზულებიდან ის ნაწილი, რომელიც ქრისტიანობის გავრცელებას ეხებოდა, და მის ადგილას შეუტანია კანონიზირებული ტექსტი ნინოს ბიოგრაფიისა (რომელიც სხვა წყაროების მიხედვით შეუქსია), და აგრეთვე ჩაუმატებია ცნობა ანდრია მოციქულის ქადაგების შესახებ საქართველოში.

3. მესამე ძეგლი ქართლის ცხოვრების კრებულისა ეს არის უჯარმელის თხზულება: „მამბავი ვახტანგ გორგასარისა...“ ამ ძეგლის შესახებაც, რომელიც მე-9 საუკუნეს ეკუთვნის, უკვე გვქონდა საუბარი.

4. მეოთხე ძეგლი, რომელიც შეტანილია ქართლის ცხოვრების კრებულში, არის თხზულება:

„წიგნი ქართველთა ცხოვრებისა ვახტანგ მეფისითგან ვიდრე არჩილ მეფისადმდე“².

ავტორი ამ ნაწარმოებისა, როგორც ეს აღნიშნულია ანდერძში, არის ჯ უ ა ნ შ ე რ ი.

ჯუანშერის ამ თხზულებაში მოთხრობილია საქართველოს ისტორია ორ-საუკუნე ნახევრის მანძილზე, იწყება ვახტანგ გორგასარის გარდაცვალებიდან

¹ სპეციალური ხასიათის საკითხები ქართლის ცხოვრების კრებულის შესახებ (ცალკე ავტორთა ტექსტების მოცულობა, თარიღის საკითხები და სხვ.) განხილული გვაქვს სპეციალურ ნარკვევში: „ქართლის-ცხოვრების კრებულის შედგენილობა. მე-8—11 საუკუნეთა ძეგლები“.

² ამ ძეგლს ქართლის ცხოვრების მარამ დედოფლისეულ ხელნაწერში უპირაეს გვერდები 400 — 432.

(302 წელს) და სრულდება არჩილ მეფის დროით (მე-8 საუკუნის 50-იანი წლები).

თვით ჭუანშიერი მე-9 — 10 საუკუნის მწერალი ყოფილა. მისი თხზულება, როგორც ეს ირკვევა თვით ნაწარმოებში დაცული რეალიებიდან, დაწერილია 872 — 914 წლებს შორის.

ქართული ისტორიოგრაფიისათვის ინტერესს წარმოადგენს ის პირველწყაროები, რომლითაც უსარგებლია ჭუანშიერს.

თავისი მატეიანის შედგენის დროს ჭუანშიერს ხელთა ჰქონია ორი ძველქართული საისტორიო თხზულება:

1. მ ა ტ ი ა ნ ე მე-6 — 7 საუკუნეებისა (— საიდანაც ჭუანშიერს ამოუღია მოთხრობა 502 წლიდან მოკიდებული ვიღრე მე-7 საუკუნის 40-იან წლებამდე); და

2. მ ა ტ ი ა ნ ე მ უ რ ვ ა ნ - ყ რ უ ს ლ ა შ ქ რ ო ბ ი ს ა და არჩილის მეფობისა (საისტორიო მოთხრობა მე-8 საუკუნის 30-იანი წლებიდან 50-იან წლებამდე). ეს მეორე საისტორიო თხზულება, როგორც ირკვევა, თანამედროვის მიერ ყოფილა აღწერილი, მე-8 საუკუნის ისტორიკოსის მიერ. ეს ძეგლი მნიშვნელოვანი ნაწარმოები ყოფილა; გადარჩენილი ექსცერპტები შეიცავს მთელ რიგ ძვირფას ავთენტიურ ცნობებს მე-8 საუკუნის საქართველოს ისტორიის შესახებ.

თვით ჭუანშიერი მდარე ღირსების ისტორიკოსია. იგი იძლევა ამ ორი ძველი საისტორიო თხზულების მექანიკურ გადამბას იმრიგად, რომ არც კი ავსებს იმ 90-წლიან ხარეზს, რომელიც ამ ორ საისტორიო წყაროს შუაში აკლდა (— მე-7 საუკუნის 40-იანი წლებიდან ვიღრე მე-8 საუკუნის 30-იან წლებამდე). სამაგიეროდ იგი უხვად ავსებს თავის კომპილაციურ ნაწარმოებს სხვადასხვა ლეგენდარული ხასიათის თხრობათა ჩართვით.

მნიშვნელობა ჭუანშიერის ტექსტისა, როგორც საისტორიო წყაროსი, უმთავრესად იმაში მდგომარეობს, რომ მას დაუტყავს, ამონაწერების სახით — თითქმის მთლიანად, ზემოთ დასახელებული ორი ძველ-ქართული საისტორიო თხზულება.

5. მეხუთე და უკანასკნელი ძეგლი „ქართლის ცხოვრების“ კრებულის პირველი ნაწილისა, ეს არის ტექსტი, რომელიც ატარებს სათაურს:

„წამება... არჩილისი, რომელი ესე იყო მეფე ქართველთა“¹.

არჩილი იყო ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი ძველი იბერიის („ქართლის“) დინასტიისა, რომელიც სიკვდილით დასაჯეს არაბებმა მე-8 საუკუნის 50-იან წლებში (859 წლის ახლო ხანებში), იმ დიდი და სისხლისმღვრელი ლაშქრობის დროს, რომელიც აწარმოეს არაბებმა კახეთში ხალიფის აბუ-ჯაფარის (მანსურის) მეფობაში².

არჩილის წამების ამბავი ქართლის ცხოვრების კრებულში თავდაპირველად მოკლე მოთხრობის „მოსახუნებელის“ სახით ყოფილა შეტანილი, რის შესახებაც დაცულია შემდეგი უწყება:

¹ ამ ძეგლს ქართლის ცხოვრების მარიაშ დედოფლისეულ ხელნაწერში უპირავს გვარდები 432 — 437.

² არაბულ წყაროებში მოხსენებული ლაშქრობა სანარეღო (წანართა) წინააღმდეგ.

„წიგნი ესე წამებისა (არჩილისი) იპოვა ესრეთ სულ-მცირედ აღწერილი, რომელ ეამთა-შლილობით ჭერისაებრ ვერავის აღწერა“.

არჩილის წამების ეს მოკლე მოსახსენებელი („სულ-მცირედ აღწერილი“) აღწერია მე-8 საუკუნის ავტორის, ცნობილს ლეონტი მროველს, რომელიც მოსწრებია არჩილის მეფობის ხანას, და იმ „ეამთა-შლილობას“, რომლის დროსაც აწამეს არჩილი.

ბევრად უფრო გვიან, უკვე მე-11 საუკუნეში, როდესაც ქართლის ცხოვრების კრებული უკვე შედგენილი ყოფილა, ეს მოკლე „მოსახსენებელი“ არჩილის წამების შესახებ, რომელიც ლეონტი მროველს ეკუთვნოდა, განუახლებია და განუვრცია იოანე დეკანოზს, რის შესახებაც ხელნაწერებში დატულია ასეთი ცნობა:

„ესე არჩილის წამება... ლეონტი მროველმან აღწერა, და ახლა [დ] იოანე დეკანოზმან აღწერა“.

არჩილის წამების „განახლება“ შემდეგით იყო გამოწვეული. არჩილი საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანად იყო აღიარებული, როგორც საქართველოსათვის წამებული, და ამის გამო შეუფერებლად დაუნახავთ, რომ არჩილის წამების ამბავი ქართლის ცხოვრებაში მოკლედ („სულ მცირედ“) იყო მოთხრობილი. ამით იყო ნაკარნახევი იოანე დეკანოზის ეს ახალი შრომა. (იოანე დეკანოზი, როგორც ირკვევა, სპეციალურად იყო დაინტერესებული საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხებით, და გარდა „არჩილის წამებისა“, მას შეუდგენია აგრეთვე კომპილაცია საქართველოს გაქრისტიანების შესახებ, რომელზედაც ზემოთ გეჰყონდა საუბარი).

იოანე დეკანოზს. არჩილის წამების ამ „ახლად აღწერილს“ მოთხრობაში მთლიანად გამოუყენებია ლეონტი მროველის ძველი ტექსტი, რომელიც მას ახალი დანართებით შეუსია¹.

აქეთია შედგენილობა „ქართლის ცხოვრების“ კრებულის პირველი ნაწილისა. ამრიგად კრებულის ამ პირველ ნაწილში შეტანილია სხვადასხვა დროის, სხვადასხვა ხასიათისა და საისტორიო მნიშვნელობის ნაწარმოებნი.

ქართულ მატთანეთა ეს კრებული „ქართლის ცხოვრება“, როგორც ირკვევა, გაუერთიანებიათ ერთ წიგნად, ერთი კრებულის სახით, მე-10 საუკუნეში².

2.

ქართლის ცხოვრების კრებულის მეორე ნაწილი

ქართლის ცხოვრების კრებული მე-11 საუკუნის დასაწყისის შემდეგ თანდათან იკვებოდა ახალი საისტორიო ძეგლების დართვით.

¹ რომ იოანე დეკანოზის „განახლებულს“ თხზულებაში არის ძველი ფენი, მე-8 საუკუნის ძველიდან მომდინარე. ამას ადასტურებს, ჭერ ერთი, ძველ-ქართული საკალნდარო ტერმინოლოგია (თვითა აღრიცხვა, რომელიც მე-8 საუკუნეში იყო მიღებული და შემდეგ აღარ იხმარებოდა) და აგრეთვე ზოგიერთი ნიშანდობლივი ისტორიული რეალიები.

² რაც შეეხება მე-11 საუკუნის ავტორის იოანე დეკანოზის დამატებულ ადგილებს, ისინი ჩართულია მას შემდეგ, როდესაც ქართლის ცხოვრება უკვე კრებულის სახით ყოფილა გაერთიანებული.

თუ პირველი ნაწილი ქართლის ცხოვრების კრებულისა შეიცავს მერ ნაწილად ისეთ ძეგლებს, რომლებშიც ისტორიული გადმოცემა შეფერილია ლეგენდებით, ქართლის ცხოვრების კრებულის შემდეგს ნაწილებში მოთავსებულა ნამდვილი საისტორიო თხზულებანი, რომლებიც, როგორც საისტორიო წყარო, წარმოადგენენ საკვებით სანდო დოკუმენტებს, აღბეჭდილს დიდი სიზუსტით. ეს საისტორიო ძეგლები, როგორც შინაარსით, ისე მეთოდით, ისტორიული კრიტიციზმით, და აგრეთვე თავისი ლიტერატურული ფორმითაც, მაჩვენებელია იმ მაღალი დონისა, რომლისთვისაც მიუღწევია ქართულ ისტორიოგრაფიას საშუალო საუკუნეებში.

ჩვენ აქ ჩამოვთვლით ქართლის ცხოვრების კრებულის მეორე ნაწილში მოთავსებულ თხზულებებს, რომლებიც მე-11 საუკუნეს ეკუთვნის.

1. მათიანე ქართლისა (წიგნი ქართველთა ცხოვრებისა არჩილ მეფისი-თან ბაგრატ III-მდე) ¹.

ეს ნაწარმოები ეხება საქართველოს ისტორიას ორ საუკუნე-ნახევრის განმავლობაში, იწყება მე-8 საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყვახილია 1014 წლამდე.

თხზულება დაწერილია მე-11 საუკუნის პირველ მესამედში, 1014 წლის ახლო ხანებში (არა უადრეს 1014 წლისა და არა უგვიანეს 1031 წლისა) ².

ავტორი კარგად არის ორიენტირებული საქართველოს პოლიტიკური ისტორიის მსვლელობის ამბებში, იგი გვაცნობს საქართველოს ფეოდალური სამეფოებისა და სამთავროების პოლიტიკურ ვითარებას. რასაკვირველია, შედგენა საქართველოს ყველა სამფლობელოთა მთლიანი ისტორიული მიმოხილვისა ორ საუკუნე-ნახევრის მანძილზე ადვილი საქმე არ იყო იმ ხანაში, და უნდა აღინიშნოს, რომ ავტორს ეს შრომა კარგად შეუსრულებია. ავტორი იჩენს ისტორიკოსის ნამდვილს კრიტიკულ ალღოს, მას დიდს შერჩევითა და გამოწვევილივით გამოუყენებია საისტორიო მასალები. დეტალური ანალიზი ამ საისტორიო თხზულებისა, ჩატარებული ეპოქის სხვა დოკუმენტებთან შედარების საფუძველზე, და აგრეთვე მისი შეფარდება უცხო ავტორების მიერ შემონახულ ცნობებთან, ცხადყოფს, რომ „მატიანე ქართლისა“, როგორც საისტორიო წყარო, სრული ნდობის ღირსია და მასში გადმოცემული ფაქტები დიდი სიზუსტით არის აღბეჭდილი.

აღსანიშნავია, რომ ავტორი თუმცა იცავს მემათიანის ტრადიციულ ობიექტურობას, და მოვლენათა შევსებისას დიდს სიტყვაძვირობას იჩენს, მაგრამ მის ნაწარმოებში მაინც მკვეთრად არის გამოვლინებული ძირითადი მამოძრავებელი პოლიტიკური იდეა თავისი ეპოქისა: ავტორის პოლიტიკური იდეალი არის გაერთიანებული საქართველო. მას საპიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ საქართველოს სისუსტის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის იყო,

¹ იმ ძეგლს ქართლის ცხოვრების კრებულის მარამ დედოფლისეულ ხელნაწერში უჭირავს: გვერდები 438 — 473.

² თარხი ირკვევა შედარებით ანალიზიდან შემდეგი სამი საისტორიო ძეგლისა: „მატიანე ქართლისა“, სუმბატ დაეილის-ძის მათიანე, და „ცხოვრება გიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ისა“ (იხ. უახველესი ნარკვევი: „ქართლის ცხოვრების კრებულის შედგენილობა. მე-8 — 11 საუკუნეთა ძეგლები“).

რომ „იქმნა სიძრავლე მთავართა ქვეყანასა ქართლისასა“ (ე. ი. საქართველო-ისა). ისტორიკოსი იზიარებს იმ პრაგმატულ პოლიტიკურ ხაზს, რომლის შედეგადაც სწორედ მის ეპოქაში დაიწყო საქართველოს ფეოდალურ სამეფოთა და სამთავროთა კონსოლიდაცია გაერთიანებული სახელმწიფოს სახით. მემატიანე სათანადოდ აფასებს თავისი დროის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის და ქართველი პატრიოტის იოანე მარუშის-ძის საქმიანობას, რომლითაც საფუძველი დაედო მესხეთის („ტაოს“), ქართლისა და დასავლეთ-საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას. ავტორი იზიარებს და ამართლებს ბაგრატ III-ის პოლიტიკას, რომელიც საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის განმტკიცებიაკენ იყო მიმართული.

ვინ იყო ავტორი ამ საისტორიო ძეგლისა? ამის შესახებ ცნობები არ შენახულა. (ავტორის ვინაობა, ცხადია, მოხსენებული იქნებოდა ისეთ ხელნაწერებში, რომლებშიაც ძეგლი წარმოდგენილი იყო ცალკე თხზულების სახით, მაგრამ ჩვენს დრომდე ასეთი ხელნაწერები არ მოღწეულა; დაცულია ამ ძეგლის მხოლოდ ის ტექსტი, რომელიც ქართლის ცხოვრების კრებულშია შეტანილი და, ამრიგად, სხვა მათიანებთან არის გაერთიანებულ-გადაბმული).

მაინც ავტორის ვინაობის შესახებ შესაძლოა გამოკვეთულ იქმნას ზოგი რამ თვით თხზულების ტექსტის რეალიების მიხედვით. ასე, ირკვევა შემდეგი: რომ ავტორი საერო პირი იყო:

იგი მომსწრე ყოფილა ბაგრატ III-ის მეფობისა.

იგი მოღვაწეობდა ქართლში და ყველა ნიშნებით იგი უფლის-ციხის მხარიდან იყო (რომელ მხარესაც იგი ახლო იცნობს და რომლის შესახებაც იგი უფრო ნიშანდობლივ ცნობებს იძლევა; ამას ჯარდა ზოგიერთი ნიშნების ნიხედვით ისიც საფიქრებელი ხდება, რომ ავტორი დაახლოებული პირი იყო ამ მხარის — უფლის-ციხის თემის — მფლობელ გვარეულობასთან).

რაკი ავტორის სახელი მოხსენებული არაა და უცნობი რჩება, ჩვენ მას პირობითად ვუწოდებთ სახელს: „უფლისციხელი“ („უფლისციხელი მემატიანე“).

2. ცხოვრება გიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ისა¹.

ეს მეორე საისტორიო თხზულება შეიცავს საქართველოს ისტორიის მიმოხილვას მე-11 საუკუნის მანძილზე, საქართველოს მეფეების გიორგი I-ისა და მისი მემკვიდრის ბაგრატ IV-ის დროს. იგი მოიცავს 58-წლოვან პერიოდს, იწყება 1014 წლიდან და სრულდება 1072 წლით.

ავტორი ბაგრატ IV-ის კარის მემატიანე ყოფილა, ბაგრატ IV-ის კარზე უცხოვრია.

პირველი ნაწილი თავისი თხზულებისა, რომელიც შეიცავს მოთხრობას 1031 წლამდე, ავტორს აღუწერია თავისი წინამორბედი ისტორიკოსის — სუმბატ დავითის-ძის „ბაგრატიონთა ისტორიის“ საფუძველზე, ხოლო მომდევნო ორმოცწლოვანი პერიოდი ავტორს დაუწერია როგორც „თვითმხილველსა და თანადამხდურს“ მემატიანეს.

¹ ამ ძეგლს ქართლის ცხოვრების კრებულის მარამ დედოფლისეულ ხელნაწერში უკირავს გვერდები 473 — 508.

ავტორის თხზულების ცალკეული ნაწილები „ჟამითი-ჟამად“ უწერია, იგი ჰკრებდა და იწერდა მასალებს როგორც თანამედროვე მომხდარი ამბებისა. ხოლო თხზულება მთლიანი სახით დაუშუშავებია 1072 — 1073 წლებში.

ნაწარმოები შეიცავს უხვ ცნობებს მე-11 საუკუნის საქართველოს ისტორიის შესახებ, რომელიც დიდი გამოწვლილივით არის შეკრებილი და სიზუსტით აღბეჭდილი. ამ ძეგლის მიხედვით შესაძლო ხდება სათანადო სისრულით და ზედმიწევნობით აღვადგინოთ საქართველოს პოლიტიკური ისტორია ამ ეპოქისა.

ისტორიკოსის პორიზონტი ფართოა. იგი კარგად არის ჩახედული როგორც საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების მიმართებაში, ისე საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებაში. მისი ისტორია საქართველოს ისტორიის ფარგლებით არის მოხაზული, მაგრამ ამასთან ირკვევა, რომ ავტორი კარგად იყო გაცნობილი ბიზანტიისა და აღმოსავლეთის საქმეთა მსვლელობას.

აღსანიშნავია ამასთან ისტორიკოსის მოთხრობის ობიექტური ხასიათი. ავტორის იდეალია გაერთიანებული საქართველო, იგი გამოდის დამცველად იმ პოლიტიკურ ხაზისა, რომელიც მიმართული იყო საქართველოს მთლიანობის განმტკიცებისაკენ; მაგრამ ამავე დროს ავტორი შემატყნის მიუღღგომელობითა და ობიექტური ტონით ავეიწერს საქართველოს უძლიერესი ფეოდალის ლპარბტ ორბელის საქმეს, რომელიც ერთხანად ქართლისა და მესხეთის პროვინციების უგვრგვინო მეფე გახდა, და „განხეთქა სამეფო“. ისტორიკოსის ობიექტურობის მაჩვენებელია თუნდ ის ფაქტი, რომ იგი აღნიშნავს მეფისა (და სამეფო კარის) შემედარსა და წინდაუხედავ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, რამაც, ერთი მხრით, შეაფერხა ტფილისის შემოერთებისა და შემომტკიცების საქმე, და ამავე დროს გახდა მიზეზი ლიპარიტის განდგომისა და „სამეფოს განხეთქისა“.

ის გარემოება, რომ ავტორი თანამედროვეა აღწერილი ამბებისა, ხშირად „თვითმხლელი და თანადახლერი“, — თხზულებას ანიჭებს განსაკუთრებულ სიციხველეს. და საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ისტორიკოსის თხზულება თავიდან ბოლომდე აღბეჭდილია საქმიანი ხასიათით. მოთხრობა იმდენად საფუძვლიანია და დატვირთული ფაქტიური ცნობებით, რომ შეუძლებელია თხზულებიდან გამოშვებულ იქმნას თუნდ ერთი ნაკვეთი.

ენ იყო ავტორი ამ საისტორიო ძეგლისა, — არც იმის შესახებ შენახულა ცნობები (ავტორის მოუხსენებლობა ამ შემთხვევაშიაც იმავე მიზეზით არის გამოწვეული, რა მიზეზითაც უცნობი რჩება ჩვენთვის მთელ რიგ სხვა ისტორიკოსთა სახელებიც. საქმე ის არის, რომ ჩვენს დრომდე არ მოღწეულა ისეთი ხელნაწერები, რომლებშიაც ეს ძეგლი ცალკე თხზულების სახით იყოს დაცული, და რომლებშიაც აღნიშნული იქნებოდა ავტორის ვინაობა, როგორც ამას, მაგალითად, „ბაგრატიონთა ისტორიის“ ავტორის სუმბატ დავითის-ძის მიმართ ვხედავთ. ჩვენს დრომდე შენახულა ამ ძეგლის მხოლოდ ის დედანი, რომელიც ქართლის ცხოვრებაშია შეტანილი, როგორც კრებულის ერთი შემადგენელი ნაწილთაგანი).

მანც თხზულების ტექსტის მიხედვით შესაძლო ხდება იმისი დადგენა, რომ ავტორი იყო მესხეთის მხრიდან, თორი-ახალქალაქის პრო-

ვიცი და ნ (ტექსტში ამის შესახებ მოიპოვება ნიშანდობლივი ჩვენებანი).

აღნიშნავთ აპასთან, რომ ეს ისტორიკოსი, როგორც ირკვევა, საერო პირი ყოფილა. მატიანეში არ შეინიშნება არავითარი კვალი კლერიკალური განწყობილებისა. ავტორის მხედველობის ცენტრში არის ქვეყნის პოლიტიკური ისტორია, თხზულება თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია საერო სულით.

3. ცხორება გიორგი II-ისა (1072 — 1089 წლ.)¹.

ამ ნაწარმოებიდან მხოლოდ ფრაგმენტი გადაჩენილა, მაგრამ გადარჩენილი ნაწილის მიხედვით მაინც შესაძლოა წარმოვიდგინოთ მისი ხასიათი. იგი იმავე ტიპის ნაწარმოებია, როგორც ზემოთ განხილული საისტორიო ძეგლი „ცხორება გიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ისა“. ეს ავტორი აგრეთვე თანამედროვეა აღწერილი ამბებისა, მე-11 საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის მწერალი.

ასეთია მოკლედ მე-11 საუკუნის ამ სამი საისტორიო ძეგლის მოცულობა და ზოგადი ხასიათი.

ამ მიმოხილვის დასასრულს დაგვრჩენია აღნიშნოთ, რომ ეს საისტორიო თხზულებანი კარგად გვისურათებენ ქართული ისტორიოგრაფიის მაღალ განვითარებას ამ ეპოქაში. აქ საჭიროა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას,—ეს ძეგლები დამუშავებულია არა უბრალო მარტივი მატიანის, არამედ პრაგმატიკული ისტორიის სახით. მათი ავტორები არიან არა ჩვეულებრივი ტიპის მემატიანეები, რომლებიც იძლეოდნენ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით უბრალო აღწერას სხვადასხვა ხასიათისა და სხვადასხვა მნიშვნელობის ამბებისას (რომელთაც ხშირად არავითარი კავშირი არ ჰქონდათ ერთმანეთთან), არამედ ჩამდვილი ისტორიკოსები, რომლებიც გადმოგვცემენ თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების გაშლილ მთლიან სურათს.

საერთო სტილით მე-11 საუკუნის ეს საისტორიო ძეგლები უახლოვდება თანამედროვე ბიზანტიურ საისტორიო თხზულებებს და ღირსებით არ დაუვარდება ამ უკანასკნელთ.

3.

საქართველოს პოლიტიკური ისტორიის სხვა ძეგლები

ქართული საისტორიო ძეგლების შეკრებამ „ქართლის ცხოვრების“ კრებული სახით გადაარჩინა ჩვენს დრომდე ის ნაწარმოებნი, რომლებიც მოხვდა ამ კრებულში. მაგრამ ამავე დროს „ქართლის ცხოვრების“ კრებულის შედგენამ ზელი შეუწყო დაკარგვას იმ ისტორიულ ნაწარმოებთა, რომლებიც კრებულში არ იყო მოთავსებული. „ქართლის ცხოვრების“ კრებულმა აღრევე მოიპოვა პოპულარობა, იგი ფართო საზოგადოებაში გავრცელებულ საკითხავ წიგნად გადაიქცა, და ამის შემდეგ ცალკე საისტორიო თხზულებები აღარ სარგებლობდნენ იმდენი ყურადღებით.

¹ ამ ძეგლს ქართლის ცხოვრების კრებულის მარია დედოფლის ხელნაწერში უპირავს გვერდები 508 — 512 (ამას გარდა ერთი ნაწყვეტი შენახულია ქართლის-ცხოვრების „ვახტანგისეული“ რედაქციის ხელნაწერებში).

ხოლო ასეთი საისტორიო თხზულებანი, რომლებიც არ მოხვდა ქართლის ცხოვრებას კრებულში, მრავლად ყოფილა. ქართლის ცხოვრების კრებული შედგენილი იყო გარკვეული გეგმით: აქ თითოეული ეპოქის შესახებ შეტანილი იყო თითო ნაწარმოები (იმ რიგად, რომ მთელი კრებული ერთ გაბმულ მოთხრობას იძლეოდა ქრონოლოგიური თანამიმდევრობით). ამრიგად, კრებულს გაერევი დარჩა სხვა საისტორიო თხზულებანი, რომლებიც პარალელურად იმავე ეპოქებს ეხებოდა.

ჩვენ აქ თავდაპირველად საუბარი გვექნება ისეთ საისტორიო თხზულებებზე, რომლებიც საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას ეხება.

მე-8 — 11 საუკუნეთა ასეთი ხასიათის თხზულებებიდან, რომლებიც არ შევიდა ქართლის ცხოვრების კრებულში, და რომლებიც საკმაოდ მრავალრიცხოვანი ყოფილა, ჩვენს დრომდე მთლიანი სახით მოღწეულა მხოლოდ სუმბატ დავითის-ძის თხზულება — ისტორია ბაგრატიონთა¹. დანარჩენი ძეგლებიდან გადარჩენილია მხოლოდ ექსცერპტები, ანდა უწყება მათ შესახებ.

ა. სუმბატ დავითის-ძე. ისტორია ბაგრატიონთა.

ეს ნაწარმოები, რომელსაც ეწოდება „ცხოვრება და უწყება ბაგრატონთა, ჩვენ ქართველთა მეფეთა“ — შეიცავს საქართველოს ისტორიის მიმოხილვას მე-6 საუკუნიდან დაწყებული ვიდრე მე-11 საუკუნემდე.

თხზულება დაწერილია 1031 წლის ახლო, რა თარიღზედაც წყდება მოთხრობა.

ეს ნაწარმოები, რომელიც საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს, ხუთი საუკუნის ისტორიულ მიმოხილვას მოიცავს, ცხადია, დამყარებულია სხვადასხვა ხასიათის მასალაზე, და ამის გამო თვით ნაწარმოების ცალკე ნაწილები სხვადასხვა ხასიათს ატარებს.

პირველი ნაწილი ნაწარმოებისა, მე-6 — 8 საუკუნეთა შესახებ, დამყარებულია უმთავრესად ძველ-ქართულ ქრონიკაზე, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატრიანზე და მის დამატებებზე.

ამას მოჰყვება საკმაოდ დაწერილებითი მოთხრობა აშოტ დიდი კურაპალატის შესახებ, რომელმაც მე-9 საუკუნის დასაწყისში დააფუძნა მესხეთ-ქართლის ფეოდალური სამთავრო, შემდეგ „ქართველთა სამეფოს“ სახელით ცნობილი, რომელიც საქართველოს ერთ-ერთ მთავარ ფეოდალურ სახელმწიფოებრივ ვაერთიანებას წარმოადგენდა ამ ეპოქაში. ეს მეორე ნაწილი სუმბატ დავითის-ძის თხზულებისა, ჩანს, ემყარება რომელიმე უცნობ ქართულ საისტორიო ქრონიკას მე-9 საუკუნისა.

მესამე ნაწილი ნაწარმოებისა მე-9 საუკუნიდან მე-11 საუკუნის დასაწყისამდე შეიცავს მშრალ მატრიანისებურ თხრობას მესხეთის ბაგრატიონთა შესახებ (გენეალოგია, თარიღები, მოკლე საისტორიო ცნობების დართვით). ეს მესამე ნაწილი ნაწარმოებისა ავტორის შეუდგენია ბაგრატიონთა საგვარეულო არქივის მასალებზე დამყარებით.

¹ სუმბატ დავითის-ძის თხზულება შეტანილია ქართლის ცხოვრების ერთ ხელთნაწარში. მაგრამ დანატყვის სახით. იგი ორგანულად არ არის გადაბმული კრებულის შემადგენლობაში.

მეოთხე და უკანასკნელი ნაწილი ნაწარმოებისა ავტორს აღუწერია როგორც „თვით-მხილველსა და თანადამხდურს“ თანამედროვეს. ეს მეოთხე ნაწილი უკვე ფართოდ გაშლილი საისტორიო მოთხრობაა, რომელშიაც გადმოცემულია მე-11 საუკუნის პირველი მესამედის ამბები, დაწერილებით აღწერილია ომები ბიზანტიის იმპერიასა და საქართველოს შორის მე-11 საუკუნის 20-იან წლებში, რომელთა მონაწილე, საფიქრებელია, თვით ავტორი იყო.

სუმბატ დავითის-ძე ბაგრატიონთა კარის ისტორიკოსია. იგი, ჩანს, თვითაც ბაგრატიონთა გვარეულობას ეკუთვნოდა. ავტორი თავის ნაწარმოებში ლეგიტიმისტურ თვალსაზრისს ატარებს, და იმ ანტაგონიზმის გაშუქების დროს, რომელიც არსებობდა ფეოდალებსა და გაერთიანებული საქართველოს მეფეთა შორის, ავტორი სამეფო კარის პოლიტიკის დამკველად გამოდის.

სუმბატ დავითის-ძის ნაწარმოებში ცალკეა აღსანიშნავი ერთი მხარე, რაც ამ ძეგლს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქართულ ისტორიოგრაფიაში: იგი მდიდარია პრეციზული, ზუსტად აღნიშნული ქრონოლოგიური ცნობებით. მე-9 — 11 საუკუნეთა ქართული ისტორიის დაწერილებითი ქრონოლოგიის დადგენა უმთავრესად ამ ძეგლის მიხედვით გახდა შესაძლებელი.

•

რაც შეეხება საქართველოს პოლიტიკური ისტორიის სხვა ძეგლებს, რომლებიც ჩვენს დრომდე არ შენახულა მთლიანი სახით, და რომლებიც მხოლოდ ექსცერპტულად არის დაცული, ჩვენ აქ მათ შესახებ დავკმაყოფილდებით მოკლე შენიშვნებით.

ბ. ორი ძეგლი: 1. მატიანე მე-6 — 7 საუკუნეებისა და 2. მატიანე მურვან-ყრუს ლაშქრობისა და არჩილის მეფობისა (8 საუკ.). — როგორც მოხსენებული გვექონდა, გამოყენებულია ჭუანშერის ქრონიკაში. როგორც ირკვევა ტექსტუალური ანალიზიდან, ეს ორი ძეგლი, ექსცერპტების სახით, მთლიანად არის გადმოწერილი ჭუანშერის კომპილაციურ თხზულებაში, და ამის გამო მათ აღდგენა შესაძლებელი ხდება.

პირველი მატიანე (რომელიც 6 — 7 საუკუნეებს ეხება), ჩანს, დაწერილი ყოფილა მე-8 — 9 საუკუნეებში. ხოლო მეორე ძეგლი (მატიანე მურვან-ყრუს ლაშქრობისა და არჩილის მეფობისა), როგორც უკვე ვუჩვენეთ, მე-8 საუკუნის ძეგლია, ჩანს, თანამედროვეს მიერ აღწერილი, და იგი პირველხარისხოვანი ისტორიულ დოკუმენტს წარმოადგენს, მეტად მნიშვნელოვანი საისტორიო ცნობების შემცველს¹.

გ. კუთხური მატიანეები ქართლისა, მესხეთისა და კახეთ-ჰერეთისა — ხელთა ჰქონია მე-11 საუკუნის დასაწყისის ისტორიკოსს „მატიანე ქართლისაჲ“ — ს ავტორს. მაგრამ ეს კუთხური მატიანეები ამ საისტორიო თხზულებაში მოყვანილია არა კომპილაციის წესით, არამედ გამოყენებულია როგორც წყარო. ამის

¹ აღდგენილი დედანი ამ მეორე ძეგლისა მოგვყავს ნარკვევში: „ქართლის ცხოვრების კრებულის შედგენილობა. მე-8—11 საუკუნეთა ძეგლები“.

გამო ამ კუთხურ მატიანეთა ტექსტის აღდგენა შეუძლებელი ხდება; შესაძლოა აღნიშნულ იქმნას, მხოლოდ ზოგადად, ცალკეული მატიანეთა ფრაგმენტები.

დ. ცხორება აფხაზთა მეფეთა. წყაროებიდან ირკვევა, რომ მე-10 საუკუნეში არსებულა ცალკე საისტორიო კრებული დასავლეთ-საქართველოს, ანუ იმდროინდელი ტერმინოლოგიით აფხაზეთის შესახებ: „ცხორება აფხაზთა მეფეთა“. ეს საისტორიო ძეგლიც დაკარგულია, ყოველ შემთხვევაში ჭერჭერობით აღმოჩენილი არ არის. „ცხორება აფხაზთა მეფეთა“ გამოუყენებია როგორც ერთ-ერთი წყარო იმავე „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორს. აქედან აქვს მას ამოღებული ცნობები დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიის შესახებ¹. როგორც ჩანს „მატიანე ქართლისაჲ“-ს ტექსტში შემონახული ექსცერპტებიდან, საისტორიო კრებული „ცხორება აფხაზთა მეფეთა“ მეტად საყურადღებო და შინაარსიანი საისტორიო თხზულება ყოფილა.

დაკავშირებით ამ უკანასკნელ საისტორიო თხზულებასთან „ცხორება აფხაზთა მეფეთა“— აქ შევხვებით ერთ საისტორიო დოკუმენტსაც, რომელსაც ეწოდება: „დივანი მეფეთა“.

ეს ძეგლი გამოუქვეყნებია საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეს, საქართველოს მეფეს ბაგრატ III (978 — 1014 წ.).

„მეფეთა დევანში“ მოყვანილია სია დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის“) მფლობელთა ოთხი საუკუნის განმავლობაში, მე-7 საუკუნიდან მოკიდებული ვიდრე მე-10 საუკუნემდე, ბაგრატ III-ის დრომდე. სია თავდება შემდეგი განცხადებით:

„და ამთსა შემდგომად ინება ღმერთმან და დავიპყარ მე ქვეყანა აფხაზეთისა, დედუღო ჩემი, ბაგრატ ბაგრატიანმან, ძემან სულქერთხუელისა გურგენისამან და ასულის-წულმან გიორგი აფხაზთა მეფისამან“.

ბაგრატ III გამეფდა დასავლეთ საქართველოში („აფხაზეთში“) 978 წელს.

რას წარმოადგენს ეს ძეგლი „დივანი მეფეთა“?

ამის გასაგებად საჭიროა გავითვალისწინოთ შემდეგი:

ბაგრატის გამეფება დასავლეთ-საქართველოში ნიშნავდა ძველი დინასტიის შეცვლას აქ და ახალი დინასტიის დამკვიდრებას. (ბაგრატ წარმოშობით ბაგრატიონი იყო, წარმომადგენელი მესხეთ-ქართლის, ანუ როგორც იმ დროს ეწოდებოდა — „ქართლის სამეფოს“ დინასტიის; ხოლო დასავლეთ-საქართველოს „აფხაზეთის“ ძველ დინასტიასთან იგი დაკავშირებული იყო დედის მხრით).

აი ამ გარემოებასთან, ძველი დინასტიის შეცვლასა და ახალი დინასტიის გამეფებასთან უნდა იყოს დაკავშირებული „მეფეთა დივანის“ გამოქვეყნება. „მეფეთა დივანი“, ჩანს, წარმოადგენს არა უბრალო საისტორიო მოსახსენებელს, არამედ აქტს, ერთგვარ მანიფესტს, რომლითაც ახლად გამეფებული მეფე, ახალი დინასტიის წარმომადგენელი, აღნიშნავს თავისი უფლების კანონიერებას, ნათესაობას ძველ დინასტიასთან, და ამასწინე დაკავშირებით მოპყავს თავის წინამოადგილეთა სია. (ასეთი შეხედულება გამოითქვა ამ საგანზე ბეგლის აღმოჩენმა და პირველმა გამოქმელებმა, და ეს შეხედულება სწორი უნდა იყოს).

მაგრამ დამოუკიდებლად იმისგან, თუ რას წარმოადგენს ეს ძეგლი, — არის იგი ჩვეულებრივი ტიპის საისტორიო მოსახსენებელი, თუ აქ ჩვენ გვაქვს აქტი-მანიფესტი, — ყოველ შემთხვევაში იგი წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან საისტორიო დოკუმენტს, სადაც მოყვანილია სია დასავლეთ საქართველოს დინასტიებისა ოთხი საუკუნის მანძილზე (რომელშიაც, მე-8 საუკუნის დასასრულთან მოკიდებული, ნაჩვენებია მეფეთა ინდიკტიონებიც, მათი მეფობის წლები).

¹ „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორი ერთ შემთხვევაში პირდაპირ აცტირებს ამ ძეგლს (იხ. გვ. 451/228, — უწყება გიორგი I-ისა და ბაგრატ უფლისწულის შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ დაწერილებითი მოთხრობა მათ შესახებ წარმოდგენილი არისო „ცხორებასა მათსა“, ე. ი. ცხორებასა აფხაზთა მეფეთას).

საქიბნავია, საიდან აუღია ეს ცნობები ბაგრატ III-ის? ყველა ნიშნებით იმავე საისტორიო კრებულიდან „აფხაზთა მეფეთა ცხოვრებიდან“, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, და რომელიც, როგორც ირკვევა, ბაგრატ III-ის დროს უკვე არსებულა.

4.

საეკლესიო ისტორიის ძმბლები

ამავე ეპოქიდან — მე-8 — 11 საუკუნეებიდან — ჩვენს დრომდე მოღწეულა საისტორიო ხასიათის ნაწარმოებნი, რომლებიც სპეციალურად საქართველოს და მეზობელი ქვეყნების ეკლესიის ისტორიის საქიბნებს ეხება.

ამათ რიცხვს ეკუთვნის არსენი საფარელის (კათალიკოსის) საისტორიო თხზულება:

„განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა“.

საგანი ამ თხზულებისა არის ისტორია საქართველოს და სომხეთის ეკლესიათა განხეთქილებისა, რამაც, ერთი მხრით, საქართველო მიიყვანა დასავლეთის ელინურ-რომაულ მსოფლიოსთან დაახლოებად, ხოლო სომხეთი და აშორა ეკლესიურად ელინურ-რომაულ მსოფლიოს და აღმოსავლეთს დაუკავშირა.

ავტორი იძლევა სომხეთის, საბერძნეთის და საქართველოს საეკლესიო ურთიერთობათა ისტორიულ მიმოხილვას მე-4 საუკუნიდან ვიდრე მე-8 საუკუნის 20-იან წლებამდე (726 წლამდე).

ისტორიკოსის მიერ წარმოდგენილი ანალიზი საქმის ვითარებისა იმ მხრით არის საყურადღებო, რომ იგი ხაზს უსვამს საკითხის პოლიტიკურ მხარეს; ავტორის გაშუქებით საეკლესიო განხეთქილება — „განყოფა სომეხთა ქართლისაგან“ — ეს იყო იმდენად არა დოგმატიკურ-რელიგიური უთანხმოებით გამოწვეული, არამედ ამას ელო პოლიტიკური სარჩული, და საკითხს წყვეტდა პროირანული (აღმოსავლური) და პრორომაული (დასავლური) პოლიტიკური ორიენტაცია გარკვეული წრეებისა.

არსენი საფარელის თხზულება დაწერილია მე-8 საუკუნის პირველ ნახევარში (726 წლის ახლო ხანებში, რა თარიღზედაც სრულდება ისტორიული მიმოხილვა).

ამ ეპოქის საქართველოს საეკლესიო ისტორიის ძეგლთა რიცხვს ეკუთვნის აგრეთვე მეორე ძეგლი: ისტორია საეკლესიო კრებათა და პაექრობათა.

ეს თხზულება ჩვენს დრომდე მთლიანად არ მოღწეულა. გადარჩენილა ამ თხზულების ერთი ნაწილი — სახელდობრ, აღწერა პაექრობისა, რომელიც გაიმართა ღრტილას კრებაზე 1046 წელს (ქართველ მოღვაწე ვფთიმე იერუსალიმელსა და სომეხთა წარმომადგენელს სოსთენს შორის).

თხზულება არ არის მოკლებული ლიტერატურულ ინტერესს. პაექრობა ცხოვლად არის აღწერილი. აღწერილობა შეზავებულია ყოფა-ცხოვრების დეტალებით.

ავტორი მე-11 საუკუნის მეორე ნახევრის მწერალია.

ისტორიული და ისტორიულ-ჰაბიტობრაფიული ძეგლები:

ა. წიგნი „ქართლისა მოკცევისა“

ბ. მიმოსვლა ანდრასი

საშუალო საუკუნეებში საქართველოს ისტორიის საკითხებიდან სპეციალური ინტერესის საგანს წარმოადგენდა ისტორია ქრისტიანობის გავრცელებისა საქართველოში.

ამ საკითხის გარშემო ქართულ ენაზე არსებულა მთელი წყება ისტორიული და ისტორიულ-ჰაგიოგრაფიული ძეგლებისა.

ძველთა ერთი წყება ეხებოდა მოლვაწე-ქალის ნინოს მიერ ქრისტიანობის ქადაგებას იბერიაში („ქართლში“), რის შედეგად ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად იქმნა აღიარებული იბერიაში მე-4 საუკუნეში.

ამას გარდა ქართულ ენაზე შენახულა ჰაგიოგრაფიული თხზულებანი, რომლებიც შეიცავეს თხრობას ანდრია მოციქულის ქადაგების შესახებ საქართველოში I საუკუნეში.

ჩვენ ჯერ პირველი წყების ძეგლებზე შევჩერდებით.

ა.

წიგნი „ქართლისა მოკცევისა“ — „ცხოვება ნინოჲსი“.

ნინოს მოღვაწეობა და ისტორია საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებისა მე-4 საუკუნეში — უძველეს ხანაშივე ყოფილა აღწერილი ქართულ ენაზე.

უფრო გვიან, საუკუნეთა განმავლობაში, ნინოს სახელის გარშემო შეიქმნა ლეგენდები. ამასთან, ქრისტიანობის გავრცელების ისტორია წარმოადგენდა არა მარტოდენ თეორიული ინტერესის საგანს, არამედ ქრისტიანობის გავრცელების ისტორიას უკავშირებდნენ ეკლესიის პოლიტიკის მიმართულებას ამა თუ იმ ეპოქაში. ამის გამო ნინოს შესახები გადმოცემა რამდენჯერმე იყო გადაშუშავებული და შეცვლილი.

ძეგლები, რომლებიც ეხებიან ნინოს მოღვაწეობასა და „ქართლის“ (იბერიის) გაქრისტიანების ისტორიას, ე. ი. „ქართლის მოქცევა“-ს, — შესაძლოა ორ ჯგუფად გავყოთ: პირველი ჯგუფი ეკუთვნის ხანას მე-7 საუკუნემდე, მეორე ჯგუფი ეკუთვნის ხანას მე-8 საუკუნიდან მოკიდებულს.

პირველი ჯგუფი, ე. ი. ძეგლები მე-7 საუკუნემდე, ძირითადად ისტორიული ხასიათის თხზულებებია. ამ ძეგლებში მოთხრობა ნინოს მოღვაწეობის შესახებ თუმცა თანდათან იცეზბოდა ლეგენდარული ხაზებით, და ცალკეული მომენტები თუმცა გაშუქებული იყო შეფარდებით საქართველოს ეკლესიის იმ ოფიციალურ პოლიტიკურ ხაზთან, რომელიც ამა თუ იმ ხანაში იყო მიღებული, მაგრამ მაინც ეს ძეგლები წარმოადგენს უპირატესად საისტორიო თხზულებებს და არა ლეგენდარულ თხრობას. ლეგენდარულია აქ უმ-

თავრესად აქსესუარები, ხოლო ძირითადი თხრობა ისტორიის ჩარჩოებს არ სცილდება.

სულ სხვა სურათი გვაქვს მეორე ჯგუფში, გვიანდელ ძეგლებში, მე-8 საუკუნიდან მოკიდებული. ამ გვიანდელ ძეგლებში ნამდვილი ისტორიიდან შერჩენილია ზოგადი ქარგა, ხოლო ლეგენდარული მომენტები აქ სჭარბობს და ჩრდილავს ნამდვილ ისტორიას.

ჩვენ ჯერ აქ ჩამოვთვლით პირველი ჯგუფის ძეგლებს, ე. ი. ისტორიულ თხზულებებს, რომლებიც ეკუთვნიან ხანას მე-7 საუკუნემდე.

1. უძველესი ხანის მე-4 — 5 საუკუნეთა ქართული ისტორიული პირველწყაროები თუმცა არ მოღწეულა ჩვენს დრომდე მთლიანი და პირვანდელის სახით, მაგრამ ისინი ექსცერპტულად მაინც არის გადარჩენილი. კერძოდ ერთი ტექსტი, რომელიც აგვიწერს ნინოს მსვლელობას და ქრისტიანობის გავრცელების ისტორიას ქართლის მთიანეთში, კახეთსა და კუხეთში (და რომელიც შეტანილია მე-7 საუკუნის ცნობილ საისტორიო თხზულებაში „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატთანში), როგორც ირკვევა, უცვლელად არის გადმოღებული ძირითად ნაწილში მე-4 — 5 საუკუნის ქართული საისტორიო ქრონიკიდან. ეს ტექსტი აღბეჭდილია დოკუმენტური ხასიათით და იმდენად ნიშანდობლივია და ზუსტი, რომ იგი, ჩანს, ეკუთვნის უახლოესი დროის ისტორიკოსს.

2. ნინოს მოღვაწეობა და ქართლის მოქცევის ამბავი აღუწერია ძველ ქართველ მემბტიანეს გრიგოლ დიაკონს, რომლის თხზულება მოიხსენება სახელწოდებით „მოკლედ აღწერილი წიგნი ქართლის მოქცევისა“ (ამ საისტორიო ძეგლიდან ექსცერპტის სახით გადარჩენილია ნაწყვეტი, რომელშიაც გადმოცემულია ერთი ეპიზოდი ნინოს მოღვაწეობიდან — აღმართვა მცხეთის ჯვარისა, რომელიც განსაკუთრებული კულტის საგანი გახდა საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრების დროიდან).

3. ძველ ხანას ეკუთვნოდა აგრეთვე მატთანე, რომელიც მიეწერებოდა აბიათარს, და რომელიც ატარებდა სახელწოდებას: „ცხორება და მოქცევა ქართლისა, და მოთხრობა ნათესავობისა, და თუ რომელნი რომელთა ტომთანი ვართ, ანუ თუ ვითარ მოვიქცეთ და მივიღეთ სჯული ქრისტეანობისა... აღწერილი აბიათარისი“. ეს თხზულება, როგორც ირკვევა, უფრო ადრინდელი ძეგლი ყოფილა, ვიდრე შატბერდულ-ჰელიშურ ხელნაწერებში დატული „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატთანე, და ამის მიხედვით იგი მე-7 საუკუნეზე უფრო ადრინდელ ხანას ეკუთვნოდა.

4. ზუსტად შეიძლება დათარიღდეს ნინოს ცხოვრების ის ტექსტი, რომელიც უთარგმნიათ ქართულიდან სომხურად და შეტანილი ყოფილა აგათანგელოსის სახელით ცნობილ თხზულებაში¹. ეს ტექსტი წარმოადგენს

¹ ახ. მოხე ხორენელი, წიგნი II, თავი 86.

უკვე მეორად საფეხურს ნინოს შესახები გადმოცემის დამუშავებისა, და ეკუთვნის იმ ხანას, როდესაც საქართველოს ეკლესია მონოფიზიტობას მიემხრო და განმტკიცდა ახლო კავშირი აღმოსავლეთის ეკლესიურ მსოფლიოსთან. ამის მიხედვით ეს ტექსტი მე-6 საუკუნით თარიღდება.

5. შემდეგი მესამე საფეხური ნინოს შესახები გადმოცემის დამუშავებისა წარმოდგენილია ცნობილ საისტორიო თხზულებაში, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია სახელწოდებით: „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატრიანე. ეს ძეგლი, პირველადი დედანი, როგორც ირკვევა, დაწერილია მე-7 საუკუნეში.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ეს თხზულება ეხება არა მხოლოდ „ქართლის მოქცევის“ (ე. ი. იბერიის გაქრისტიანების) ისტორიას, არამედ შეიცავს იბერიის ისტორიის მთლიან მიმოხილვას ათი საუკუნის განმავლობაში (იწყება მე-4 საუკუნის დასასრულიდან ჩვენს ერამდე და მოყვანილია მე-7 საუკუნის შუა წლებამდე ჩვენი წელთაღრიცხვისა). მაგრამ რაკი ამ მატრიანეში ცენტრალური ადგილი უჭირავს „ქართლის მოქცევის“, ე. ი. იბერიის გაქრისტიანების ისტორიას, ამის გამო მთელი ძეგლისათვის უწოდებიათ ეს სახელი: „მოქცევაჲ ქართლისაჲ“.

კერძოდ, რაც შეეხება ნინოს ცხოვრების ტექსტს, რომელიც შეტანილია ამ თხზულებაში, იგი ეკუთვნის ქართული ეკლესიის ისტორიის მესამე პერიოდს — ელინოფილურ ქალკედონურ ხანას (რომელიც საბოლოოდ მტკიცდება მე-6 საუკუნის უკანასკნელ მესამედსა და მე-7 საუკუნეში). მაგრამ ამასთან აღსანიშნავია, რომ ამ ძეგლში ჩვენ გვაქვს ორგვარი ხასიათის გადმონაშთი წინა ეპოქებისა: ერთი მხრით, აქ გამოყენებულია უძველესი მე-4 — 5 საუკუნის ქართული წყაროები ნინოს მოღვაწეობის შესახებ; ამავე დროს აქ არის გველენა ნინოს ცხოვრების შემდგომდროინდელი მე-6 საუკუნის ვერსიებისა, რომლებიც დამუშავდა მეორე პერიოდში, აღმოსავლეთის ეკლესიურ მსოფლიოსთან ერთობის დროს, მონოფიზიტთა ბატონობის ხანაში¹.

ასეთია ეს უძველესი ძეგლები, რომლებიც ეხებიან „ქართლის მოქცევის“ ე. ი. იბერიის გაქრისტიანების ისტორიას, და რომლებიც ეკუთვნიან ხანას მე-7 საუკუნემდე.

აქ დასახელებულ ძეგლებში, როგორც აღვნიშნეთ, მოთხრობა ნინოს მოღვაწეობის შესახებ თუმცა თანდათან ივსებოდა ლეგენდარული ხაზებით, და ამას გარდა ცალკეული მომენტების გაშუქება აქ შეფარდებული იყო ქართული ეკლესიის იმ ოფიციალურ პოლიტიკურ ხაზთან, რომელიც ამა თუ იმ ეპოქაში იყო მიღებული, მაგრამ მაინც ეს ძეგლები ძირითადად წარმოდგენდნენ საისტორიო თხზულებებს, მხოლოდ ნაწილობრივ შეფერილს ლეგენდით.

¹ ასე, მონოფიზიტობის ხანის გადანაშთი დაკავშირება ნინოს ბიოგრაფიასთან რიფსიმეანთა თავგადასავლისა.

უფრო გვიან, მე-8 საუკუნეში, ქართულ ენაზე იწერება ნინოს გა-
ნახლებული ცხოვრება, რომელიც ლეგენდარული ხასიათის
ჰაგიოგრაფიულ მოთხრობას წარმოადგენს. ამ ძეგლში ისტორიიდან შერჩენი-
ლია საერთო აბრისი, ისტორიული თხრობა აქ გახვეულია ლეგენდების სა-
ბურველში.

ამ ჰაგიოგრაფიულ თხზულებას, რომელიც შენახულა შატბერდისა და
ქელიშის ხელნაწერებში, მიემართება შემდეგი ორმაგი სახელწოდება:

„ცხოვრება ნინოასი“ ანუ „წიგნი ქართლისა მოქცე-
ვისაჲ“.

ქვემოთ, რათა გავარჩიოთ ეს თხზულება სხვა ნაწარმოებთან, რომლებიც ანალოგიურ
სახელწოდებას ატარებენ, ჩვენ მას ვუწოდებთ: „შატბერდულ-ქელიშური ნინოს ცხოვრება“
ანდა „ფსევდო-ეპიგრაფიკული ნინოს ცხოვრება“ (ეს ძეგლი, როგორც ქვემოთ დავინახავთ,
ფსევდო-ეპიგრაფიკული ნაწარმოებია, ე. ი. მოგონლი ავტორებისადმი მიწერილი).

ჩვენ უფრო დაწვრილებით შევჩერდებით ამ უკანასკნელ ძეგლზე, რად-
გან ამ ნაწარმოებმა ერთგვარი კანონიზაცია მიიღო საშუალო საუკუნეთა საქარ-
თველოში. ამასთან ეს ნაწარმოები ინტერესს წარმოადგენს არა მხოლოდ რო-
გორც ისტორიული დოკუმენტი, ამსახველი გარკვეული ეპოქის თვალსაზრი-
სისა, არამედ როგორც წმინდა ლიტერატურული ძეგლი — თავისი შინაარსით
და თავისი ფორმითაც.

ნაწარმოები ეკუთვნის ხანას, როდესაც, აღმოსავლეთის საეკლესიო ტრა-
დიციასთან საბოლოოდ კავშირის გაწყვეტის შემდეგ, ქართულ ეკლესიაში
მტკიცდებოდა ახალი მიმართულება საქართველოს ეკლესიის თვითმყოფობისა
და დასავლეთის ეკლესიასთან ერთობის ნიშნის ქვეშ.

ამ ნაწარმოების ავტორს (თუ ავტორთა კოლეგიას) თავისი ვინაობა დაუ-
ფარავს და თხზულება გამოუქვეყნებია როგორც ფსევდო-ეპიგრაფიკული ნა-
წარმოები: ძეგლი შედგენილია იმ სახით, თითქო იგი წარმოადგენს მე-4 საუ-
კუნის თვით ნინოსდროინდელი დოკუმენტების კრებულს.

გასაგებია, თუ რად მოქცეულა ავტორი ამრიგად. მას უხდებოდა ძველი
ტრადიციების შეცვლა და ახალ შეხედულებათა განმტკიცება. მაგრამ ძველი
ტრადიცია აღბეჭდილი იყო წინააღმდეგ საისტორიო თხზულებებში, და
იმ მიზნით, რათა ახალ შეხედულებებს ავტორიტეტი მოეპოვებია ფართო წრე-
ებში, ავტორს ნინოს ეს განახლებული ბიოგრაფია გამოუცხადებია უძველესი
ხაწის, თვით თანამედროვეთა მიერ აღწერილი დოკუმენტების კრებუ-
ლად.

ძეგლს ბოლოსიტყვაობის სახით დართული აქვს ასეთი უწყება:

„წიგნი ქართლისა მოქცევისაჲ, რომლითა ღმერთმან ნათელი გამოაბრ-
წყინვა, დასაბამი წმიდითა ეკლესიათა გამობრწყინებისაჲ... ვითარცა ტალან-
ტი წინამძღვართაგან დაფარული, — შემდგომად მრავალთა ქაშთა და წელთა
გპოვეთ“.

ამრიგად, ამ ბოლოსიტყვაობაში ავტორი აუწყებს მკითხველს, რომ ეს
ძეგლი დროთა განმავლობაში დაფარული იყო („ვითარცა ტალანტი წინამძღ-“

ვართაგან დაფარული“) და ვითომც ეს ძეგლი ახლად იქნა აღმოჩენილი: „შემდგომად მრავალთა ეამთა და წელთა ვპოვეთ“ იგიო.

თხზულება შედგება შესავალისა და ხუთი ნაწილისაგან, რომელთაგან თითოეული ნაწილი სხვადასხვა ავტორისაგან აღწერილად არის გამოცხადებული.

შესავალში მოთხრობილია, რომ როდესაც ნინომ დაასრულა ქართლის მხარეთა მოვლა და ქრისტიანობის გავრცელება, „მოიწია ქვეყანასა კოხეთისასა, დაბასა ბუდს, დასნეულდა სნეულებითა მით, რომლითაცა მოცაკვდა“.

მომაკვდავი ნინოს სარეკელთან შეიკრიბნენ „მეფენი ქვეყანისანი და მთავარი ღედებთურთ და სიმრავლე ერთა ძლიერთაჲ, რამეთუ ჰხედვიდა ყოველი კაცი პირსა ნინოასსა, ვითარცა ზეცისა ანგელოზისასა“.

შემოკრებილი ერი მწუხარებითა და ტირილით ეთხოვება ნინოს. ამ ღრს მეფის მემკვიდრის მეუღლე სალომე უჟარმელი და მასთან სხვებიც მიმართავენ ნინოს ვედრებით — უამბოს მათ მისი თავგადასავალი, „ვინაჲ ანუ ვითარ მოშვერ შენ ქვეყანასა ჩვენსა მაცხოვრად ჩვენდა, ანუ სადამე იყო აღზრდა შენი, დედოფალო, მაუწყე ჩვენ საქმე შენი“.

ნინომ აუსრულა ეს სათხოვარი თავის მოწაფეებს. „მაშინ იწყო სიტყვად ნინო და თქვა: ასულნო სარწმუნოებისანო..., გინებს გზათა ჩემთა ცნობაჲ, გლახაკისა მხველისა თქვენისათა, და გაუწყოცა; ესერა მოსრულა სული ჩემი ზორხსა ჩემსა და მეძინებთან ძილითა მით ღედისა ჩემისაჲთა საუკუნოდ. არამედ მოიხვენით აღსაწერელნი წიგნისანი და დაწერეთ სიგლახაკე ჩემი და უღები ცხოვრება ჩემი, რათა უწყოლიან შვილთაცა თქვენთა სარწმუნოებაჲ თქვენი“...

ამას მოსდევს პირველი ნაწილი თხზულებისა, რომელსაც ეწოდება „ანდერძი“ ნინოასი, რომელიც ვითომც თვით ნინოს ნაამბობს წარმოადგენს, ჩაწერილს ქალების — სალომე უჟარმელისა და პეროკავრი სივნიელის მიერ.

„ანდერძში“ ჭერ მოთხრობილია ნინოს „შმობელთა საქმე“, შემდეგ ნინოს აღზრდა, მოღვაწეობა და ცხოვრების გზა ვიდრე ქართლში მოსვლამდე.

ქართლში მოსვლის ამბავით სრულდება ნინოს ეს მოთხრობა.

ნინოს შემდგომი მოღვაწეობა და ქართლის გაქრისტიანების ისტორია წარმოდგენილია კრებულის მომდევნო ნაწილებში — ნინოს მოწაფეთა და თანამოღვაწეთა მოთხრობის სახით, თანამედროვეთა ერთგვარი „მემუარების“ სახით.

კრებულის კომპოზიცია ასეთია: პირველ ნაწილში — ნინოს ანდერძში — თვით ნინოს პირით მოთხრობილია ნინოს შმობელთა ამბავი და პირველი პერიოდი ნინოს ცხოვრებისა, ვიდრე ნინო ქართლში ჩამოვიდოდა და მცხეთაში დამკვიდრდებოდა; ხოლო ამის შემდეგ, ცხადია, აღარ იყო საჭირო ნინოს აჩრდილს შეწუხება: მომდევნო ამბავი უკვე იტოლნენ ნინოს მოწაფეებმა და თვითმხილველებმა, რომელთაც ვითომც აღწერეს მათ მიერ ნახული ამბავი.

ეს შემდგომი ნაწილები კრებულისა მიეწერება შემდეგ ავტორებს:

ნაწილი მეორე: „აღწერა ღედაკაცმან სიდონიანა“.

ნაწილი მესამე: აღწერილი აბოათარიისი.

ნაწილი მეოთხე: აღწერილი იაკობ მღდელისა.

ნაწილი მეხუთე: ანდერძი მიხრიან მეფისა.

მთელი ძეგლი შედგენილია გარკვეული ტენდენციით; მასალები შერჩეულია და გადამუშავებული იმრიგად, რათა განამტკიცოს იდეა ქართული ეკლესიის თვითმყოფობისა და დამოუკიდებლობისა, და ამავე დროს დასავლეთის მსოფლიოსთან კულტურული ნათესაობისა¹.

მოთხრობაში ნინოს პოეტური სახე ლეგენდების შარავანდდით არის შემოსილი.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ძეგლში მოთხრობა ნინოს შესახებ გაშლილია ჰაგიოგრაფიული რომანის ხაზებში. იგი არაა მოკლებული ერთგვარ მხატვრულობას.

მოგვყავს ამ ძეგლის მხატვრული თხრობის საერთო სტილის გასაცნობად აღწერილობა კერპთა დამხობისა, რომელიც ვითომც მოხდა ნინოს ლოცვით ნინოს მცხეთაში მოსვლისას:

„ხელისაგან იყო ხმაჲ ოხრისაჲ და საყვირისაჲ, და გამოვიდოდა ერი ურიცხვი ვითარცა ყვავილოსანნი...

„გამო-სადმე-ვიდოდა ნანა დეუფალი... და შეამკეს ფოლოცი (შუკა) ყოველი სამოსლითა თითო პირითა და ფურცლითა. და იწყო ყოველმან ერმან ქებად მეფისა, და მაშინ გამოვიდა მირეან მეფე თვალთ-შეუღგამითა ხილვითა...

„ხოლო მე წარვედ ხილვად არმაზისა, და აღივსნეს მთანი იგი დროშაითა და ერითა, ვითარცა ყვავილითა. ხოლო მე შეუსწრვე ციხედ არმაზდ, და დაედგ ახლოს კერპისა მის ნაპრალსა ზღუდისასა, და ვხედდვი საკვირველებათა...

„გიზილე, და აჰა დგა კაცი ერთი სპილენძისაჲ, და ტანსა მისსა ეცვა ჯაჭვი ოქროსაჲ, და ჩაფხუტი ოქროსაჲ და სამხარნი ესხნეს ფრცხილი და ბიერიტი, და ხელსა მისსა აქენდა ხრმალი ლესული, რომელი ბრწყინვიდა და იქცეოდა ხელსა შინა, რეცა თუ რომელი შეეხებინ — თავი თვისი სიკვდილ განიწირის...

„და მარჯულ მისა დგა კერპი ოქროსაჲ და სახელი მისი გაცი, და მარცხლ მისა კერპი ვეცხლისაჲ და სახელი მისი გაცაჲ, რომელნი იგი ღმრთად ჰქონდეს მამათა თქვენთა არიან ქართლით.

„მაშინ ვტიროდე და სულთ-ვითქვემდ ღმრთისა მიმართ ცთომათა მათთვის ქვეყნისა ჩრდილომასათა, დაფარვასა ნათლისასა და დაპყრობასა ბნელისასა...“

ნინო ილოცავს ერის ცთომათა განქარვებისა და კერპთა დამხობისათვის.

„და ვითარცა წამის-ყოფაჲ თვალისაჲ იყო, დასავლით ჰაერნი და ქარნი შეიძრნეს, და ხმა სცეს ქუხილთა ხმითა საზარელითა,

¹ აღსანიშნავია, რომ ამ ძეგლშიაც (ისევე, როგორც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს უფრო აღრინდელს მე-7 საუკუნის მატიაწეშიც) შერჩენილია ზოგიერთი გადანაშთი, შეტანილი ნინოს მოღვაწეობის აღწერილობაში იმ დროიდან, როდესაც ქართული ეკლესია აღმოსავლეთის ეკლესიის მსოფლიოსთან ერთობაში იმყოფებოდა; მაგრამ ასეთი გადანაშთების არსებობა იმით აიხსნება, რომ იგი განმტკიცებული იყო ხანგრძლივი ლიტერატურული ტრადიციით და მისი კვალის მთლიანად მოსპობა, ჩანს, აღარ იყო ისე მარტივად მოსახერხებელი.

„და აჩნდა ღრუბელი მოსწრაფე ნიშან-საშინელი, და მოიღო ნიავემან მზის დასავლისამან სული ჯერკვალი...“

„მაშინ ივლტოდა ყოველი კაცი სოფლად და ქალაქად, და ეცა მათ ღრომ, რათა შეიჭრნენ კაცნი საყოფლად.“

„და შეყს მოიწია რისხვისა იგი ღრუბელი, და მოიღო სეტყვაჲ ლიტრისა სწორი მას ადგილსა ოდენ, და დაღეწნა კერპნი იგი, და დაჴქვნა, და დააწველილნა, და დაარღვივნა ზღუდენი იგი ქარმან სასტიკმან, და შთაყარა კლდესა...“

კერპთა დამხოვის შემდეგ ნინო დამკვიდრდება მცხეთის ქალაქის განაპირას, მეფის ბაღში, ანუ როგორც ძველ-ქართულად ითქმოდა „მეფის სამოთხე-ში“ („სამოთხე“ ბაღს ნიშნავს).

ნინო აქ ლოცვის დროს იხილავს ჩვენებას:

„ვიხილე ჩვენებასა შინა, მცირედსა მას მირულებასა ჩემსა მუხლთა ზედა:

„მოვიდიან ფრინველნი ცისანი, შთავიდიან მდინარესა, დაიბანიან, და მოვიდიან სამოთხესა მას, და ბაბილოსა მას მოისთვლებდიან, და ყვავილსა მას ძოდნიან, და მოწლედ ჩემდამო დაღადებედ, რეცა ჩემი არს სამოთხე იგი.“

„გარე მომადგიან უღავილით, და ხმობედ ჩემდა მომართ მრავალ-ფერად, და შევნიერად იყო ხილვაჲ იგი მათი“...

*

დასასრულ, არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ აქ ერთი პრინციპული დებულება, რომელსაც ავტორი აყენებს: ავტორი აღიარებს მამაკაცისა და დედაკაცის თანასწორობას. ნინოს განახლებულ ბიოგრაფიაში ასეთი დებულება წარმოდგენილი, მცნების სახით:

„არცა მამაკაცებად, არცა დედაკაცებად, არამედ თქვენ ყოველნი სწორნი ხართ“.

ავტორი, როცა ამას წერდა, ცხადია, ის მიზანი ჰქონდა, რომ უნდოდა ამით შთაეგონებია მკითხველისათვის: ქართველები მოაქცია ქრისტიანობაზე—ქალმა, ნინომ, მაგრამ ამის გამო ქართული ქრისტიანობა არაფრით ნაკლები არ არის სხვა ერების ქრისტიანობასთან შედარებით, რადგან ქალი და მამაკაცი სწორნი არიანო.

მაგრამ დამოუკიდებლად იმისგან, თუ რა მოსაზრებიდან გამოდიოდა ავტორი, ყოველ შემთხვევაში ეს დებულება ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ, წამოყენებული ასე გარკვევით, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, იშვიათი შემთხვევაა ადრეულ საშუალო საუკუნეთა მწერლობაში.

დაგვრჩენია შევეხოთ ამ ძეგლის თარიღის საკითხს.

თხზულება, როგორც ვნახეთ, თუმცა გამოცხადებულია მე-4 საუკუნის ნაწარმოებად, მე-4 საუკუნის დოკუმენტების კრებულად, მაგრამ ტექსტის ანალიზი და ისტორიული კრიტიკა ჩვენ გვაძლევს საშუალებას საკმაოდ ზუსტად გავარკვეოთ დრო, თუ როდის იქნა ეს ძეგლი შედგენილი. ისტორიული რეალები, დატული ძეგლში, და კერძოდ საკალენდარო ხასიათის ჩვენებანი, რომ-

ლებიც ჩვენ ტექსტში გვხვდება, იძლევა საშუალებას საკმაოდ ზუსტად განვსაზღვროთ, რომ ძეგლი შედგენილი ყოფილა მე-8 საუკუნის შუა წლებში.



დამატებით, მიმოხილვის სისრულისათვის, ჩამდინიშე შენიშვნა მე-8—11 საუკუნეების დანარჩენ ძეგლთა შესახებაც, რომლებიც ნინოს მოღვაწეობას ეხებაან.

დამუშავება ნინოს შესახებ გადმოცემისა არ დასრულებულა ზემოთ განხილული ძეგლით ფსევდო-ეპიგრაფიკული ნინოს ცხორებათ.

როგორც მოხსენებული გვქონდა, ცნობილ ქართველ მწერალს ლეონტი მროველს, თავის თხზულებაში — „ცხოვრება (პამბაე) ქართველთა მეფეთა და პირველითგანთა მამათა და ნათესავთა“, იმ ნაწილში, რომელიც მე-4 საუკუნეს ეხებოდა, აღუწერია ცალკე თავის სახით ნინოს მოღვაწეობა და ქართლის გაქრისტიანების ისტორია.

ლეონტი მროველმა თავისი თხზულება გამოაქვეყნა მე-8 საუკუნის ნახევარში, ე. ი. იმავე ხანებში, როდესაც დაიწერა ფსევდო-ეპიგრაფიკული ნინოს ცხორება, ან ცოტათი ოდნავ ადრე. ყოველ შემთხვევაში ლეონტი მროველი, ჩანს, არ იცნობდა ფსევდო-ეპიგრაფიკულ ნინოს ცხოვრების ტექსტს, და ისტორია ქრისტიანობის გავრცელებისა საქართველოში აღწერილი ყოფილა უფრო ადრინდელი მასალების მიხედვით.

ამით აიხსნება ის ბედი, რომელიც სწვევია ლეონტი მროველის თხზულების სათანადო ნაწილს. მის შემდეგ, რაც განახლებული ფსევდო-ეპიგრაფიკული ნინოს ცხორება გამოქვეყნდა და მან თანდათან საყოველთაო ცნობა და ერთგვარი კანონიზაცია მიიღო, ლეონტი მროველის მიერ აღწერილი ნინოს ცხორება, ცხადია, მიუღებულად ჩაუთვლიათ, როგორც დამორჩეული ახალ, ოფიციალურად მიღებულ თეოსაზრისს.

ამიტომაც უფრო გვიან დროის მწერალს იოანე ღვთისმეტყველს მოუხდენია ლეონტი მროველის თხზულებას „განახლება“. სახელდობრ, როგორც მოხსენებული გვქონდა, იოანე ღვთისმეტყველს ამოუღია ლეონტი მროველის თხზულებიდან ის ნაწილი, რომელიც ეხებოდა ქრისტიანობის გავრცელებას საქართველოში, და მის მაგიერ ჩაუმატებია ახალი ტექსტი, დამყარებული ნინოს ფსევდო-ეპიგრაფიკულ ცხორებაზე.

იოანე ღვთისმეტყველს ამ დამატებას ეწოდება:

„მოქცევა მირიან მეფისა და მისთანა ყოვლისა ქართლისა... ნინო მოციქულისა მიერ“.

იოანე ღვთისმეტყველს ეს დამატება კომპილაციას წარმოადგენს. სახელდობრ, აქ კომპილაციის წესით გამოყენებულია შემდეგი წყაროები: 1) ფსევდო-ეპიგრაფიკული ნინოს ცხორება (ეს ძირითადი წყაროა); 2) „მოქცევა ქართლისაჲ“-ს მატეიანი; 3) რიფსიმეანთა მარტვილობა; 4) ბერძნული — გელასი კესარიელის მოთხრობიდან მომდინარე ტექსტი; 5) ზოგიერთი ნაწყვეტი ლეონტი მროველის ძველი ტექსტისა (ამას გარდა იოანე ღვთისმეტყველს, პირველი საუკუნის შესახებ მოთხრობაში, ჩაუმატებია ცნობა ანდრია მოციქულის შესახებ).

იოანე ღვთისმეტყველი მე-11 საუკუნის მწერალია.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ იოანე ღვთისმეტყველის ეს კომპილაციური დამატება საკმაოდ უხერხულად არის შედგენილი და ჩართული ლეონტი მროველის თხზულებაში. ძირითადი წყარო იოანე ღვთისმეტყველისა — ფსევდო-ეპიგრაფიკული ნინოს ცხორება არ არის მოკლებული კომპილაციურ მთლიანობას, როგორც კრებული „მეშვენიერი“ ტიპის თხრობათა. ხოლო იოანე ღვთისმეტყველის კომპილაციაში, ჭერ ერთი, სრულიად გადაუმუშავებლად არის შერწყმული სხვადასხვა ხასიათის ტექსტები, რის გამოც თხრობის წესი იშლება, და, ამის გარდა, იგი შექმნიურად არის ჩაყვრებული ლეონტი მროველის თხზულებაში იმ რიგად, რომ არღვევს ლეონტი მროველის თხზულების მკაფიოდ ჩამოყალიბებულ კომპოზიციურ აღნაგობას. ეს შეუძინებლად არ დარჩენიათ ძველ-ქართველ მწერლებს; ასე, ერთი ძველი ქართველი ავტორი სამართლიანად შენიშნავდა, რომ ეს დამატება „პამბაესა მეფეთასა თანა (ე. ი. ლეონტი მროველის თხზულებაში) აღრეულად სწერია“-ო.

ამავე ეპოქიდან, მე-8 საუკუნიდან ვიდრე მე-11 საუკუნის პირველ ნახევრამდე, სხვა თხზულებებიც მოღწეულა, რომლებიც ნინოს მოღვაწეობას ეხება. ასეთებია:

1. სვინაქსარი (მოკლე მოსახსენებელი) ნინოს შესახებ, რომლებიც დატულია სინას მთის ხელნაწერებში და კელიმურ ხელნაწერში. ამ სვინაქსარებში ჩვენ ვაქვს როგორც ძველი ტექსტების გადანაშთი, ისე უფრო გვიანდელი წარმოშობის თხრობა, რომ საქართველო წარმოადგენს ლეთისმშობლის წილხლოშილ ქვეყანას.

2. თხრობა „აღმართებაჲ პატროსინისა ჟვარისა მცხეთისაჲ და მერმე კვალად გამოჩინებაჲ მისი“.

3. თხრობა სუჯი დედოფლის შესახებ.

ეს ორი ტექსტი შეიცავს ნინოს შესახებ ლეგენდის შემდგომს განვითარებას.

ცალკე აღსანიშნავია საგალობლები (ჰიმნები) ნინოს შესახებ, რომლებიც მე-9 — 10 საუკუნეებს ეკუთვნის. მოღწეულა ორი წყება საგალობელთა: პირველი წყება დატულია კელიმურ ხელნაწერში და წვირმის მეთათე საუკუნის ხელნაწერში, მეორე წყება საგალობელთა შობაზეა სინას მთის მეთათე საუკუნის ხელნაწერებში (№ 59 და 64).

*

შომდევნო ხანაში, მე-11 საუკუნის მეორე ნახევრიდან მე-13 საუკუნემდე, ნინოს მოღვაწეობასა და საქართველოს გაქრისტიანების ისტორიას ეხებთან შემდეგი ავტორებია:

1. ფრემ მცირე — თხზულებაში: „უწყება მიზეზსა ქართველთა მოქცევისსა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენება“. ეს თხზულება, რომელიც მე-11 საუკუნის მეორე ნახევარშია დაწერილი, წმინდა სამეცნიერო ხასიათის გამოკვლევას წარმოადგენს და ძველი ქართული ისტორიოგრაფიის საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის.

2. ნიკოლოზ გულაბერისძე — „საიოთხავი სვეტისა ცხოველისა“... ეს მეორე თხზულება დაწერილია მე-12 საუკუნეში, თამარ მეფის ეპოქაში. იგი საყურადღებო ძეგლია თავისი ფილოსოფიურ-თეოლოგიური კონცეფციით. (ავტორი ნიკოლოზ გულაბერისძე ერთერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია მე-12 საუკუნის ქართული თეოლოგიურ-ფილოსოფიური სკოლისა).

3. არსენი. — „ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ და ღვაწლი... ნინოსისი, რომელმან ქადაგა... ქვეყანასა ჩრდილოეთისასა და განანათლა ნათესავი (ერი) ქართველთაჲ“. თხზულება დაწერილია მე-13 საუკუნეში.

ამ უკანასკნელი სამი ავტორის თხზულებათა შესახებ, რომლებიც ქართული მწერლობის შემდეგ პერიოდებს ეკუთვნის, უფრო დაწერილებით გვექნება საუბარი ამ მიმოხილვის შემდეგ ნაწილებში, როდესაც მე-11 — 13 საუკუნეთა ქართული მწერლობის ძეგლებს განვიხილავთ.

ბ.

მიმოსლვა ანდრეასი

ქართულ ორთოდოქსალურ წრეებს აინტერესებდა არა მხოლოდ გაშუქება გარკვეული თვალსაზრისით ნინოს მოღვაწეობისა და ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებულად გამოცხადებისა მე-4 საუკუნეში; ამასთან ერთად

1 ასე, ძველი ტექსტების გადანაშთს უნდა წარმოადგენდეს უწყება, რომ ნინომ დაითმინა „მრავალ გზის წამებანი მირიან ხელმწიფისაგან“..

გარკვეულ დროიდან დაისვა აგრეთვე საკითხი ქართული ქრისტიანობის ამა თუ იმ სახით დაკავშირებისა თვით მოციქულების მისიონერულ მოღვაწეობასთან. ამ უკანასკნელ გარემოებას მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ეკლესიის საერთაშორისო ავტორიტეტის განმტკიცებისათვის, განსაკუთრებით იმ ხანაში, როდესაც ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ შემოტევას აწარმოებდა ბერძნული ეკლესია.

ცლა საქართველოს ქრისტიანობის დაკავშირებისა ამა თუ იმ მოციქულის მოღვაწეობასთან სპორადიულად ჩვენ გვხვდება მე-11 საუკუნეზე ადრეც. ხოლო მე-11 საუკუნის დასაწყისში ამ საგანს სპეციალური შრომა უძღვნა განთქმულმა ქართველმა მწერალმა ეფთიმე იბერიელმა, რომელმაც საბოლოოდ განამტკიცა და ერთგვარი კანონიზაცია მიანიჭა იმ დებულებას, რომ ქართული ქრისტიანობა თავისი წარმოშობით დაკავშირებულია მოციქულების ხანასთან. ეფთიმე იბერიელის ამ შრომას ეწოდება: „მოსახსენებელი მიმოსვლათათვის და ქადაგებათა მოციქულისა ანდრეასი“. იგი მოგვითხრობს ანდრია მოციქულისა და მისი თანამოღვაწის სიმონ კანანელის ქადაგების შესახებ საქართველოში I საუკუნეში.

ეფთიმე იბერიელს ამ შრომის შედგენის დროს გამოუყენებია ლეგენდარული ხასიათის თხრობანი, რომლებიც მოიპოვებოდა მოციქულთა მისიონერულ მოღვაწეობაზე ბერძნულ წყაროებში (ძირითადი წყაროებია — აპოკრიფული ტექსტები ეპიფანესი და ნიკიტა პაფლაგონელისა, ფილოსოფოსად წოდებულისა).

თხზულება, როგორც საისტორიო წყარო, მოკლებულია მნიშვნელობას (საერთოდ მოციქულთა შესახები გადმოცემები, როგორც ცნობილია, გვიანდელი წარმოშობის ლეგენდებს წარმოადგენს). მაგრამ ეფთიმე იბერიელის ეს შრომა თავისი ეპოქისათვის წარმოადგენდა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტს, და მისი დებულებანი არაერთგზის ყოფილა გამოყენებული ბერძნული ეკლესიის პრეტენზიების გასაბათილებლად, როდესაც ბერძნული წრეები ილაშქრებდნენ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

ანდრია მოციქულის შესახები გადმოცემის დამუშავება ქართულ ენაზე არ დასრულებულა ეფთიმე იბერიელის ამ თხზულებით.

უფრო გვიან, მე-13 — 15 საუკუნეებში (თარღის ზუსტად დადგენა არ ხერხდება), ანონიმი ქართველი მწერალი, რომელსაც ჩვენ აწუხრელ ჰაგიოგრაფს ვუწოდებთ (მისი თხზულება დაწერილია აწყურში და აქედან არის ნაწარმოები ეს სახელი: აწყურელი ჰაგიოგრაფი) — აქვეყნებს ახალ თხზულებას ანდრიას მიმოსვლათა შესახებ. აწყურელი ჰაგიოგრაფის ამ ნაწარმოებში დაწვრილებით არის მოთხრობილი ანდრიას მისიონერული მოღვაწეობა მესხეთის თემებში. თხზულება დამუშავებულია გარკვეული პოლიტიკური ტენდენციით. ამ ძეგლს, რომელიც ინტერესს წარმოადგენს თავისი ეპოქის პოლიტიკური იდეოლოგიის გასათვალისწინებლად, ვეხებით ჩვენი წერილების სათანადო განყოფილებაში (13 — 15 საუკუნეები).

მწერალთა ბიოგრაფიები

თხზულებანი

გიორგი მთაწმიდელისა და გიორგი მცირისა

ქართული ისტორიოგრაფიის მიმოხილვის დასასრულს ჩვენ შევეხებით ორს ეპოქალურ ძეგლს ქართული საისტორიო მწერლობისა, რომლებიც შეიცავენ ქართველ მწერალთა ბიოგრაფიებს.

1. პირველი ძეგლია: ბიოგრაფია მე-10 — 11 საუკუნეების მოღვაწეთა იოანე და ეფთიმე მთაწმიდელთა (იბერიელთა). ავტორი ამ თხზულებისა არის გამოჩენილი ქართველი მწერალი მე-11 საუკუნისა გიორგი მთაწმიდელი (1009 — 1065 წ.). დაწერილია ეს თხზულება 1042 — 1044 წლებში.

2. მეორე ძეგლი არის ბიოგრაფია თვით გიორგი მთაწმიდელისა. ავტორი ამ მეორე ძეგლისა არის გიორგი მთაწმიდელის მოწაფე გიორგი მცირე. თხზულება დაწერილია გიორგი მთაწმიდელის გარდაცვალების შემდეგ უახლოეს წლებში, 1065 წლის ახლო.

ეს ორი ძეგლი ნამდვილი სამკაულია მე-11 საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიისა.

თუ ისეთი საისტორიო თხზულებანი, როგორცაა „მატიანე ქართლისაჲ“, „ცხოვრება გიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ისა“, ანდა სუმბატ დავითის-ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატთანთა“ — წარმოადგენენ ფასდაუდებელ წყაროს საქართველოს პოლიტიკური ისტორიის გასათვალისწინებლად ამ ეპოქაში, ეს ორი ძეგლი — მწერალთა ბიოგრაფიები — იძლევა საქართველოს კულტურული ისტორიის სურათს.

აქ მოკლედ შევჩერდებით ამ ძეგლებზე.

პირველი ძეგლის — გიორგი მთაწმიდელის თხზულების საგანია გაგვაცნოს საქმე ეფთიმე იბერიელისა და მისი თანამოღვაწეებისა, რომელთაც — ავტორის სიტყვით — „შეამკვეს და ალაყვავეს ენაჲ ჩენი და ქვეყანაჲ“.

ისტორიკოსის ზედმიწევნით აგვიწერს ავტორი ათონის სალიტერატურო სკოლის მეთაურის ეფთიმე იბერიელის მოღვაწეობას.

ჩვენ აქ არ შევუდგებით გიორგი მთაწმიდელის თხზულების შინაარსის გადმოცემას, რადგან ეფთიმე იბერიელის საქმესა და ათონის სკოლის მოღვაწეობას უკვე იცნობს მკითხველი.

აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ავტორი არ კმაყოფილდება მარტოოდენ ეფთიმე იბერიელისა და მის თანამოღვაწეთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის გადმოცემით, არამედ ამის გვერდით იგი იძლევა ეპოქის სურათს, დაწვრილებით მოგვითხრობს ათონის ქართული კოლონიის ისტორიას, ეხება თანამედროვე საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ისტორიის ამბებსაც და სხვ.

გიორგი მთაწმიდელის ნაწარმოები — ეს არის არა მარტო საისტორიო თხზულება, აღბეჭდილი ნამდვილი ისტორიული ძეგლის დოკუმენტური სი-

ზუსტითა და ზედმიწევნით, არამედ ამასთან ერთად მაღალი რანგის ლიტერატურული ნაწარმოები. გიორგი მთაწმიდელი არის არა მხოლოდ მემატიანე, გადასულ ამბავთა ზუსტად მომთხრობელი, არამედ ამავე დროს მწერალი, რომლის ნაწარმოებში ცოცხლდება ეპოქა.

გიორგი მთაწმიდელი ქართულ ისტორიოგრაფიაში ეკუთვნის საუკეთესო პორტრეტების რიცხვს. მისი თხზულების ფურცლებიდან დგება მონუმენტური ფიგურა ეფთიმე იბერიელისა, დახატული დიდი სინამდვილით, ყოველგვარი შეფერადების გარეშე, ამავე დროს მკვეთრად, ნამდვილი პორტრეტის ხელით. ასევე თხზულებაში მოცემულია ბრწყინვალე დასრულებული პორტრეტი იოანე იბერიელისა, დიდი ქართველი პატრიოტისა, რომლის მუღამი საზრუნავია ქართული საქმე და პირველ რიგში ქართული მწერლობის წარმატება.

ისტორიკოსის მიერ დახატულ პორტრეტებში ჩვენ ვხედავთ არა მხოლოდ მოღვაწეს, არამედ უახლოესად ვგრძნობთ ადამიანს, მის მორალურ სახეს. პორტრეტი ზოგჯერ გაცოცხლებულია ერთი-ორი ხაზმოსმით.

ასე, მაგალითად, პორტრეტი თორნიკისი, საქართველოს განთქმული მხედართმთავრისა, რომელმაც, უკვე ბერად შემდგარმა, დასტოვა მონასტრის კედლები, ქართული ჯარით დაამარცხა ბარდა სკლიაროსი და იხსნა კონსტანტინეპოლი, რის შედეგად საქართველოს ტერიტორია საგრძნობლად გაფართოებულ იქნა ახალი პროვინციების შემოერთებით; თორნიკე ღრმა მოხუცებაში მყოფი ისევ მონასტერში ბრუნდება და საშუალო საუკუნეთა ჩვეულების თანახმად მონასტერში ატარებს უკანასკნელ წლებს და „მომავალი ცხოვრებისათვის“, საიქიოსთვის ემზადება. გიორგი მთაწმიდელი თორნიკეს პორტრეტის დახატვის დროს ხაზს უსვამს, მაგალითად, ასეთ შტრიხს და ამით ცოცხლად გვაგრძნობინებს ომებში დაბერებული მეთომრის სახეს; იგი მოგვითხრობს: „ხოლო ვინამთგან დიდი თორნიკე ბრძოლათა შინა აღზრდილი იყო და სალაშქრო საქმეთა, ესევითართა საქმეთათვის უზნობამ და ჰამბავი უყვარდა“; და როდესაც მასთან მონასტერში სტუმრად შეიკრიბებოდნენ მოხუცნი „კაცი წარჩინებულნი და პატიოსანნი“, თორნიკე ომის ამბებზე, გადახდილ ლაშქრობათა შესახებ გააბამდა საუბარს. მოძღვარი ხედავს, რომ ასეთი საუბარი ყველაზე ნაკლებ შეეფერება სამონასტრო წესებს, მაგრამ ერიდება თორნიკეს, ხედავს მოხუცის „სიწირფოებასა“ და უნებლიე გულწრფელ გატაცებას, „და არა უნდა, რათამცა ამხილა მას, და არა მოწყლას გონება მისი“. მაგრამ ბოლოს მოძღვარი მაინც იძულებულია შენიშვნა მისცეს მას, და დიდი ტაქტითა და მოკრძალებით სთხოვს მოხუცებულ მხედართმთავარს, ამნაირ საუბარს ყველასთან ნუ გამართავ, ესაუბრეო მხოლოდ ძმობის წევრს გაბრიელსო (ხოლო გაბრიელ „ესევითარი კაცი იყო, რომელ პირსა მისსა მსოფლიოდ სიტყვაჲ არა გამოვიდოდა“). თორნიკე მხოლოდ ეხლა გამოერკვა, მოხუცი მხედართმთავარი მხოლოდ ეხლა იგრძნობს, რომ იგი სულ სხვა ქვეყანაშია მოხვედრილი, და არა სამხედრო ბანაკში, სადაც იგი აღიზარდა. თორნიკე შევრდომით და თავმდაბლად ითხოვს პატიებას თავისი უნებლიე გატაცებისათვის. მხატვარი აქ ერთი ფუნჯის მოსმით აცოცხლებს ომებში დაბერებული მეთომრის პორტრეტს, იძლევა სურათს, რომელიც ძნელად თუ დაგვიწყდებათ.

გიორგი მთაწმიდელის ნაწარმოები შესრულებულია მონუმენტური სტილით. პროზა გიორგი მთაწმიდელისა ეს არის ერთი საუკეთესო ნიმუშთაგანი დოკუმენტური პროზისა ძველ-ქართულ მწერლობაში. გიორგი მთაწმიდელის პროზა აღბეჭდილია დიადი უბრალოებით, საქმიანი იერით, სიზუსტით და მკვეთრად ჰგონით. იგი არ იშვინევს ორნამენტურ სამკაულს, სტილი იმდენად ნათელია, რომ ჩვენ თითქოს გვემის თვით მწერლის ბუნებრივი ხმა.

•

მეორე ძეგლი, გიორგი მცირის თხზულება, რომელშიაც აღწერილია თვით გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფია, ბევრი მხრით წარმოადგენს pendant-ს ზემოთ განხილული ძეგლისა.

ავტორი ნამდვილი ისტორიკოსის საფუძვლიანობით წარმოგვიდგენს მწერლის ბიოგრაფიას, მისი სალიტერატურო საქმისა და საზოგადო მოღვაწეობის დახასიათებას.

განსხვავებაა ამ ორი მწერლის სტილში. იმ დროს როდესაც გიორგი მთაწმიდელის სტილი აღბეჭდილია მკაცრი უბრალოების სიდიადით, გიორგი მცირის პროზა უფრო ყვავილოვანია, ორნამენტური. მაგრამ ოდნავი რიტორიკული ელფერი, რომელიც გადაჰკრავს გიორგი მცირის თხზულებას, არ ჩრდილავს ამ ნაწარმოების ღირსებას, რადგან მწერლის პათეტიკური სტილი არ არის მოგონილი და მანერული, არამედ გამთბარია ნამდვილი გრძნობით, და ამასთან არ არის მოკლებული შინაგან მხატვრულ გამიზნულობას და პოეტურ სიღრმეს.

ამასთან გიორგი მცირის თხზულებაში პათეტიკურის ელფერით აღბეჭდილია უმთავრესად დრამატული ეპიზოდები, როგორც, მაგალითად, გიორგი მთაწმიდელის გარდაცვალების ამბავის აღწერილობა, ანდა მწერლის „წილსლვანია“. ხოლო ისტორიული ფაქტების, მწერლის ბიოგრაფიის გადმოცემის დროს, ავტორი იჩენს ისტორიკოსის ნამდვილ სიზუსტეს, ზედმიწევნელობას და მიუდგომლობას.

გიორგი მცირე ფართო მსოფლმხედველობის მწერალია. ავტორი, გიორგი მთაწმიდელის სალიტერატურო მოღვაწეობის დახასიათებასთან ერთად იძლევა საყურადღებო გაშუქებას იმ რეფორმატორული მნიშვნელობის საზოგადოებრივი მოღვაწეობისა, რომელიც ჩაატარა საქართველოში გიორგი მთაწმიდელმა დემოკრატიული მიმართულების განმტკიცების ხაზით საეკლესიო საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ დასასრულ ისიც, რომ ორივე მწერლის—გიორგი მთაწმიდელისა და გიორგი მცირის თხზულებანი აღბეჭდილია დიდი პატრიოტიზმით. მაგრამ ეს არ არის პატრიოტიზმი, რომელიც წარსულისაკენ იხედება, პატრიოტიზმი ვიწრო ნაქუქში ჩაქდებული, არამედ პატრიოტიზმი შემოქმედებითი, რომელიც მომავალს უსწორებს თვალს. გიორგი მთაწმიდელი და გიორგი მცირე ხედავენ, რომ ქართველობა ჩამორჩენილია ბევრ დარგში და მათი მიზანია, რომ ქართველობა გახდეს „ყოვლითურთ სწორ ბერძენთა“. აქეთკენ არის მიმართული მთელი მათი სალიტერატურო საქმე და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

მაგრამ ელინოფილობა გიორგი მთაწმიდელისა და გიორგი მცირისა შორს არის იმისაგან, რომ მათ ქედი მოიხარონ ბერძენთა წინაშე.

ასე, მაგალითად, როდესაც ანტიოქიაში საგანგებოდ მოწვეულ კრებაზე ირჩეოდა საკითხი საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობისა, და ბერძნულმა წრეებმა განაცხადეს, რომ ქართველებმა „თვითრჯულობით“ მოიპოვესო დამოუკიდებლობა, და რომ ქართველები უნდა დაემორჩილნენო ანტიოქიის ბერძნულ პატრიარქატს, — გიორგი მთაწმიდელი ღირსეულად იცავს საქართველოს დამოუკიდებლობას. გიორგი მთაწმიდელი კრებაზე შემდეგი სიტყვებით მიმართავს პატრიარქს:

„რამათვის-მე ესრეთ ადვილად ხელ-ჰყოფ დიდისა ამის და მალლისა მონგონებად და აღსრულებად! ვინ არიან უგუნურნი განმზრახნი შენნი, ანუ რად ესრეთ უგუნურად შეგირაცხეს ნათესავი (ერი) ქართველთაჲ, წრფელი და უმანკო! აჰა ესერა ვარ მე უნარჩევესი და უმდაბლესი ყოველთა ძმათა, მე ზოგცე მათ ყოველთა წილ პასუხი“.

გიორგი მთაწმიდელი დიდი ღირსებით და ამასთან დიდი პოლიტიკური ტაქტით ჩაატარებს კრებას და დაიცავს საქართველოს უფლებებს.

გიორგი მთაწმიდელის გამოსვლას ანტიოქიის კრებაზე მისი ბიოგრაფი გიორგი მცირე აშუქებს საქართველოსა და საბერძნეთის სწორუფლებიანობის ნიშნის ქვეშ, საქართველოს დამოუკიდებლობის, ანუ როგორც თვით ავტორი ამბობს — „ფრიად დიდი და მაღალი საქმის“ მთელი სიღიადის შეგნებით.

თავი მეცხრე

ჩვენებრება.

სამართლის ძეგლები

მე-8 — 11 საუკუნეთა ქართული მწერლობის დანარჩენ დარგთა შესახებ — სამართლის ძეგლები, მეცნიერული ხასიათის ტექსტები და სხვა — აქ შესაძლოა დავკმაყოფილდეთ მოკლე შენიშვნებით, რამდენადაც ეს დარგები განეკუთვნებიან ზოგადად მწერლობის ისტორიას ფართო გაგებით და არ წარმოადგენს უშუალო ლიტერატურულ ინტერესს.

ამ ეპოქის სამეცნიერო ძეგლთაგან აღსანიშნავია ფილოლოგიურ-გვგზეტიკური ხასიათის ნარკვევი: „გ ა ნ წ ე ს ე ბ ა ა“ ფსალმუნთა წიგნის შედგენილობის შესახებ („განწესებაჲ“ დართული აქვს ფსალმუნთა წიგნის სამეცნიერო გამოცემას, რომელიც გადაწერილია 870 — 904 წლებში); „განწესება“-ში ავტორი ისახავს მიზნად — „რათა აღმოკითხვიეთა ამისითა ადვილად შემძლებელ იქმნენ ზედამწიფენად და ცნობად, ფსალმუნად-ფსალმუნადისაჲ, — ვისი თქმული იყოს, რომელი ფსალმუნი და რავდენი ვის უთქვამს, გინა რაჲ-

1 ხელნაწერი საქ. მუზეუმისა A-38.

სათვის თქმულ არს, და რიცხვი მუხლისაჲ რაოდენი აქვს ფსალმუნსა... ქართველთა ენასა“. ნარკვევში წარმოდგენილია ფსალმუნთა წიგნის განრიგება შინაარსის მიხედვით (ეგზეგეტიკური ინტერპრეტაცია). ამას გარდა თვით ფსალმუნთა ტექსტში აღნიშნულია, თუ რაში მდგომარეობს სხვაობა ფსალმუნთა წიგნის კანონისა „ბერძნული“ (ბიზანტიური), „იერუსალიმური“ (პალესტინური) და ქართული ვერსიების მიხედვით. ნარკვევს დართულ აქვს საძიებელი-ტაბულები. ეს ძველი ქართველი ფილოლოგოსი, ჩანს, განათლებული მწეალი ყოფილა, ტექსტების კარგი მცოდნე.

ქართულ მწერლობის ამავე მესამე პერიოდს ეკუთვნის ძეგლი, რომელიც ცნობილია „შატბერდის კრებულის სასწავლო წიგნი“-ს სახელით, და რომელიც შედგენილია ქართულად ბერძნული მასალების საფუძველზე (ძირითადად ებრაული კვირეულს Περὶ μάρτυρων: ὁραμάτων -ის მიხედვით). იგი ინტერესს წარმოადგენს კერძოდ იმ მხრივ, რომ მის შემდგენელ ქართველ მწერალს საჭიროდ დაუნახავს შეეტანა ამ ძეგლში უწყება ბერძნული ანბანის წარმოშობისა და ჰომეროსის ეპოპეათა „მლიადომასა“ და „ოდსეისის“ (ილიადასა და ოდისეის) შესახებ. ეს უწყება ქართველ მწერალს ამოუღია ბიზანტიელი მწერლის დიომედის კომენტარ-სქოლიოებიდან, რომელიც დართული ჰქონდა დიონისო თრაკიელის ცნობილ თხზულებას, სახელმძღვანელოს სახით დაწერილს Τέχνη γραμματικῆ.

ამავე შატბერდის კრებულში, „სასწავლო წიგნის“ ბოლოში მოთავსებულია ქრონოლოგიური ტაბულები ებრაელთა, ეგვიპტელთა (პტოლომეანთა), ირანელთა და რომ-ბიზანტიის მეფეთა. ტაბულები თავდაპირველ დედანში მოყვანილი ყოფილა თევდოსი კეისარადე (716 — 717 წ.) და ამის მიხედვით ეს ტაბულები მე-8 საუკუნის დასაწყისში, 717 წლის ახლო ხანებში უნდა იყოს შედგენილი (საფიქრებელია, ამავე დროსვე ეკუთვნის თვით „სასწავლო წიგნის“ ქართული ტექსტიც, რომელსაც შატბერდის ხელნაწერში უშუალოდ მოსდევს, დამატების სახით, აღნიშნული ქრონოლოგიური ტაბულები).

ქართული მწერლობის ამავე მესამე პერიოდს ეკუთვნის აგრეთვე ახალი ვერსიები ქრონოლოგიური ტრაქტატისა, რომელიც ატარებს სათაუ-ის:

„ცნობისათვის და უწყებისათვის ჭეშმარიტად, რომელი მოგვეთხრა ჩვენ მოძღვართა მიერ განსაზღვრებული, გამომძიებთისათვის ქამთა და წელთა, თვეთა და დღეთა, მცხრალისათვის და დღის-საძიებელისა, შეიდეულისათვის და ნაკისა, და მთოვარისა ზედანადებისა, და ხუთეულისათვის და ექვსეულისათვის“.

ძველი ქართული მწერლობის ამ მეტად საყურადღებო ძეგლს რთული ისტორია აქვს. ეს ქრონოლოგიური ტრაქტატი, რომელშიაც ნაწილობრივ გამოყენებულია უძველესი ხანიდან, — წარმართული ქართული კალენდრიდან მომდინარე ელემენტები, — დაუმუშავებიათ და სისტემაში მოუყვანიათ მე-6 — 7 საუკუნეებში, როდესაც საქართველოში რომაული კალენდრის ხმარება დამკვიდრდა; ამ დროს ძველი ქრონოლოგიური აღრიცხვის ელემენტები გამოუყენებიათ და შეუფარდებიათ ახლად მიღებულ რომაულ საკალენდრო-ქრონოლოგიურ აღრიცხვასთან.

მას შემდეგ ეს ძეგლი რამდენჯერმე გადაუმუშავებიათ და შეუცსიათ. სულ ჩვენ გვაქვს ცნობები ამ ძეგლის ხუთი რედაქციის შესახებ:

1. პირველი რედაქცია, როგორც მოვიხსენეთ, მე-6 — 7 საუკუნეებს ეკუთვნის;

2. მეორე რედაქცია დამუშავებულია მე-9 საუკუნის ნახევარში, არაბთა ხალიფის ჯაფარ მუთავაქილის მეფობის ხანაში (847 — 861 წწ.).

3 — 4. მესამე და მეოთხე რედაქციები მე-9 — 10 საუკუნეებით თარიღდება.

5. მეხუთე რედაქცია დამუშავებულია 962 წელს და ეკუთვნის მე-10 საუკუნის ცნობილ ქართველ მწერალს იოანე-ზოსიმე საბაწმიდელს-სინელს.

აქ რამდენიმე სიტყვა ამ მწერლის იოანე-ზოსიმეს შესახებ, რომელსაც ეკუთვნის მეხუთე რედაქცია დასახლებული ქრონოლოგიური ტრაქტატისა. იგი საინტერესო ფიგურაა ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში. იოანე-ზოსიმე არის გამოჩენილი პოეტი-ჰიმნოგრაფი. ამავე დროს მისთვის არც მეცნიერული ინტერესები ყოფილა უცხო.

ბიოგრაფია ამ მწერლისა ასეთია.

იოანე-ზოსიმე დაიბადა მე-10 საუკუნის დასაწყისში, ათიან წლებში. იოანე, როგორც ირკვევა მისი ერთი ანდერძიდან, ჯერ საქართველოში მოღვაწეობდა, კლარჯეთში, გრიგოლ ხანძთელის მიერ დაარსებულ „შატბერთის“ სავანეში. შემდეგ, მე-10 საუკუნის 40-იან წლებში, არა უგვიანეს 949 წლისა, იოანე-ზოსიმე პალესტინაში წასულა და დამკვიდრებულა საბაწმიდის ქართულ კოლონიაში, რომელიც ამ ეპოქაში ქართული მწიგნობრობის მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა. საბაწმიდაში იოანეს დაუყვია დაახლოებით ოცი-ოცდაათი წელი (ჩვენს დრომდე მოღწეულა იოანეს მიერ საბაწმიდაში გადაწერილი ხელნაწერები, რომლებიც ეკუთვნის 949, 954, 956, 962 და 965 წლებს).

მე-10 საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს ან 70-იანი წლების დასაწყისში (არა უადრეს 965 წლისა და არა უგვიანეს 974-ისა) იოანეს დაუტოვებია საბაწმიდა და წასულა სინას მთაზე, სადაც ამ დროს ქართული მონასტერი არსებობდა. იოანეს სინას მთაზე დამკვიდრების შემდეგ ეს პუნქტი ქართული მწიგნობრობის მნიშვნელოვან ცენტრად გადაიქცა. იოანეს დროს, იოანეს უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით, აქ დაშაბდა და გადაიწერა მთელი კოლექცია ქართული ხელნაწერებისა, რომელთა ნაწილი ჩვენს დრომდისაც გადარჩენილა და დღემდე დაცულია სინას მთაზე.

იოანე გარდაიცვალა ღრმა მოხუცებაში მყოფი, არა უადრეს 987 წლისა. უკანასკნელი ხელნაწერი, გადაწერილი იოანეს მიერ სინას მთაზე, დათარიღებულია 987 წლით.

იოანე-ზოსიმეს ლიტერატურული ინტერესები მრავალმხრივია.

ასე, იოანე-ზოსიმე, როგორც აღვნიშნეთ, გამოჩენილი პოეტი-ჰიმნოგრაფი იყო. ჩვენს დრომდე მოღწეულა რამდენიმე ტომი ჰიმნოგრაფიული კრებულებისა, გადაწერილი იოანე-ზოსიმეს მიერ. ამ კრებულებში შესულია რო-

გორც ძველი და თანამედროვე ჰიმნები სხვა ავტორებისა (ორიგინალური და თარგმნილი ბერძნულიდან), ისე იოანეს ორიგინალური ჰიმნები.

ერთ-ერთი ჰიმნოგრაფიული კრებული „იადგარი“ სრულდება იოანეს ანდერძით, რომელიც დაწერილია საერო პოეზიის ტრადიციული მეტრის გავლენით, ოთხმარცვლად მუხლის დაცვით. ეს გარემოება გვიჩვენებს, რომ იოანესთვის საერო პოეზიის ტრადიციებიც არ ყოფილა უცხო.

იოანე ამავე დროს, ჩანს, მუსიკოსიც ყოფილა. სინას მთის ხელნაწერთა კოლექციაში მოიპოვება საგალობელთა ერთი კრებული, გადაწერილი იოანეს მიერ, სადაც ჰიმნების ტექსტთან ერთად ნაჩვენებია მათი საგალობელი ხმები, აღნიშნული თავისებური სანოტო ნიშნებით. ჰიმნების მეორე კრებულის „იადგარი“-ს ანდერძში იოანე საგანგებოდ აღნიშნავს კიდევ, რომ ჰიმნების დანიშნულებაა სიტყვებისა და მუსიკის — „გალობისა ხმენისა“ შერთვა —

„რათა ჩვენცა ვიხარებდეთ — შევნიერად დატკობილინი
ხმათა მათთა სიმრავლითა, გალობითა ბრწყინვალითა...“

გარდა იმისა, რომ იოანე პოეტი-ჰიმნოგრაფი ყოფილა, იგი ამავე დროს მეცნიერული ინტერესებით აღჭურვილი მწერალიცაა.

აღსანიშნავია ის წმინდა სამეცნიერო ისტორიულ-ლიტერატურული ინტერესი, რომელსაც იოანე იჩენს ძველ ქართულ მწერლობის ძეგლებისადმი. ასე, ჰიმნების ერთ კრებულში, რომელიც იოანეს დაუმზადებია „მეცნიერისა კაცისთვის“, ჰიმნების თანამედროვე რედაქციასთან ერთად იოანეს მოჰყავს „რული“, უკვე ხმარებიდან გამოსული რედაქციები ჰიმნებისა. იოანე მის მიერ გადაწერილ ძველ სალიტერატურო ძეგლებს ურთავს ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ხასიათის შენიშვნებს და სხვ.

იოანეს გადაუმუშავებია შ ა ტ ბ ე რ დ უ ლ ი ფსალმუნების კრებული, რომელიც მას ახალი ფსალმუნებით შეუვსია. ანდერძში იოანეს დაწერილებით, ფილოლოგიური სიზუსტით აღნიშნული აქვს, თუ რა ტექსტები დასტოვა მან უცვლელად ძველი კრებულიდან, რომელი ტექსტები გადაამუშავა, და აგრეთვე რა ახალი ფსალმუნები დაურთო ამ კრებულს (ძველი გადაამუშავებული ტექსტების მიმართ იოანეს ისიც კი აღუნიშნავს, საგანგებო ნიშნებით, თუ რა სიტყვები დააკლო ან დაუმატა ძველ ტექსტებს; ეს გვიჩვენებს, თუ რაოდენად მკაცრად ეკიდებოდა სიტყვას ქართული ენის ეს ოსტატი).

იოანეს ეკუთვნის ფილოლოგიური ნარკვევი: „უწყებამა და მოსწავებამა დავითის ფსალმუნთათვის, ვითარ პოენილ არიან, გინა ვითარ შეერთებულ, და ვითარ არს განგებამა, და განკარგვამა და განწესებამა მათი“. მასვე ეკუთვნის ნარკვევი ბიბლიის სტრიქომეტრიისა და კანონის შესახებ.

ცალკეა აღსანიშნავი იოანე-ზოსიმეს სვინაქსარი (კალენდარი) „კრებამა თთუეთა წელიწადისათა“. ამ თხზულების შესახებ იოანე წერს: „ესე კრებანი ოთხთა დედითა დამიწერიან, თავად კ ა ნ ო ნ ი ს ა მ თ ა, და ს ა ბ ე რ ძ ნ ე თ ი ს ა მ თ ა, და ი ე რ უ ს ა ლ ე მ ი ს ა მ თ ა, და ს ა ბ ა წ მ ი დ ი ს ა მ თ ა“. იოანეს ხელთა ჰქონია და გამოუყენებია ოთხი წყარო: სვინაქსა-

რი-კალენდარი კონსტანტინეპოლისა, იერუსალიმისა, საბაწმიდისა, და „კანონი“, რომელიც საქართველოში იყო მიღებული. იოანეს მიერ დამუშავებული სენაქსარ-კალენდარი წარმოადგენს დიდ ისტორიულ-არქეოლოგიურ ინტერესს. აქ მოცემულია ცნობები პალესტინის ისტორიულ ძეგლთა ტოპოგრაფიის შესახებ, ცნობები მონასტრების კტიტორთა, აღმავნებელთა და მამასახლისთა შესახებ, სალიტერატურო ხასიათის ცნობები ჰაგიოგრაფიიდან და სხვ. როგორც სამართლიანად აღნიშნავს აკად. ნ. მარი, ყველა იმ კალენდარ-სენაქსართა შორის, რომელნიც დღემდე ცნობილია მეცნიერებაში, იოანეს კალენდარს უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს.

დასასრულ, როგორც აღვნიშნეთ, იოანეს ეკუთვნის ახალი რედაქცია ქრონოლოგიური ტრაქტატისა „გამოძიებისათვის ქამთა და წელთა“.

დასასრულ სამართალის ძეგლთა შესახებ.

მე-8 — 11 საუკუნეებში, როგორც ირკვევა, კანონმდებლობის მოწესრიგების საქმემ და იურიდიული მეცნიერების დარგმა საკმაოდ მაღალ დონემდე მიაღწია საქართველოში.

ქართული სამართალის მაღალი განვითარების მაჩვენებელი არის თუნდ ის ფაქტი, რომ იმ ეპოქაში მოხსენებიან პროფესიული იურისტები „მეცნიერიანი საბჭოთა საქმეთანი“, რომელთაც იწვევდნენ ხოლმე სახელმწიფო დარბაზის სხდომებზე რთული იურიდიული საკითხების განხილვის დროს.

სამწუხაროდ, ამ ეპოქის ქართული სამართალის ძეგლების უმრავლესობა, როგორც ირკვევა, დაღუპულია და ჩვენს დრომდე არ მოღწეულა. მაგრამ გადარჩენილი ტექსტები და აგრეთვე ის ცნობები, რომლებიც მოგვეპოვება არმოღწეულ ძეგლთა შესახებ, მაინც იძლევა საშუალებას ზოგადი წარმოდგენა შევადგინოთ ქართული სამართალის მდგომარეობის შესახებ მე-8 — 11 საუკუნეებში.

სახელმწიფო კანონმდებლობა.

წყაროებში დაცული ჩვენებიდან ირკვევა, რომ სახელმწიფო კანონმდებლობის დარგში, ჩანს, მნიშვნელოვანი მუშაობა ყოფილა ჩატარებული მე-9 საუკუნის მოღვაწის ბაგრატ I კურაპალატის დროს (826 — 876 წ.). მაგრამ ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას სათანადო სისრულით გავითვალისწინოთ ბაგრატ I-ის დროინდელი კანონმდებლობითი მუშაობა, რადგან ჩვენება მის შესახებ ფრაგმენტული ხასიათისაა. მე-10 საუკუნის ძეგლში გიორგი მერჩულეს თხზულებაში აღნიშნულია, რომ ბაგრატ I-ის ღვაწლად ითვლებოდა „ყოვლისა ერისა სამართლით განკითხაჲა“; ამასთან იმავე გიორგი მერჩულეს თხზულებაში მოხსენებულია ერთი მომენტი ბაგრატ I-ის კანონმდებლობიდან: სახელდობრ, ბაგრატ I-ის დროს ყოფილა განწესებული სახელმწიფო საქველმოქმედო თანხა, რომელსაც „გლახაკთა ნაწილი“ ერქვა (ამ საქველმოქმედო თანხაში, მეორე მწერლის — ისტორიკოს ბასილის ცნობით, შედიო-

და მეათედი („ნათალი“) სახელმწიფოს ყოველგვარი შემოსავლისა „რაცა იყო შინად თუ გარეთ“, „დაუქლებლად ერთისა ქრთილისა მარცვლამდე“).

უფრო გვიან, მე-10—11 საუკუნეთა საზღვარზე, ბაგრატ III-ს (978—1014 წ.) გამოუქვეყნებია სამართლის წიგნი. ეს ძეგლი საგანგებო საკანონმდებლო კრების მიერ ყოფილა დამუშავებული, ბაგრატ მეფის ბრძანებით შეკრებილი „ეპისკოპოსთა, დიდებულთა, და აზნაურთა, და ჰქვიანთა კაცთა მეფეთა წინაშე გაჩენილი“ ყოფილა.

ეს ძეგლი ჩვენს დრომდე მოღწეულა ექსცერპტულად¹. ძეგლი ინტერესს წარმოადგენს ქართული სამართლის ისტორიის თვალსაზრისით, რამდენადაც ამ ძეგლის სახით ჩვენ გვაქვს სამოქალაქო სამართლისა და სისხლის სამართლის განრიგების უძველესი კანონმდებლობითი დოკუმენტი.

მე-8 — 11 საუკუნეთა ქართული სამართლის დარგიდან, გარდა სახელმწიფო კანონმდებლობის ძეგლებისა, რომლებიც აწესრიგებდნენ სახელმწიფო სამართალს, სამოქალაქო სამართლისა და სისხლის სამართლის სფეროებს, ცალკეა აღსანიშნავი საკორპორაციო სამართლის ძეგლები.

საკორპორაციო სამართლის დარგიდან ჩვენ უფრო დაწვრილებითი ცნობები გვაქვს სამი წყების ძეგლთა შესახებ.

პირველი ამთავანია „წესი და განგებაჲ“ ხანძთის ძმობისა.

ეს „წესი და განგებაჲ“ შეუდგენია ცნობილ მოღვაწეს გრიგოლ ხანძთელს, მე-9 საუკუნის დასაწყისში, 826 წლის ახლო ხანებში.

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღწერილობაში (რომელიც ეკუთვნის მის ბიოგრაფს გიორგი მერჩულეს) დაწვრილებით არის მოთხრობილი ამ ძეგლის შედგენის ისტორია და არ იქნება ზედმეტი გავეცნოთ მას.

გრიგოლ ხანძთელს, რათა წესი და განგებაჲ, რომლის შემოღებასაც იგი აპირებდა, ყოფილიყო სათანადოდ დამუშავებული, „სიბრძნით განსაზღვრებული“ და „ბრძენთაგან განუკითხველი“, განუზრახავს ახლო გასცნობოდა წინასწარ სხვა მოწინავე ქვეყნების მაგალითს, საბერძნეთში არსებულ წესებს, და აგრეთვე პალესტინაში მიღებულ წესებსაც. ამ მიზნით გრიგოლ ხანძთელი, ვიდრე ძეგლის დამუშავებას შეუდგებოდა, გამგზავრებულა საბერძნეთში, ხოლო თავისი მეგობრისათვის, რომელიც პალესტინაში მიემგზავრებოდა, დაუვალეზია პალესტინაზე განთქმული სავანის საბაწმიდის „წესისა დაწერაჲ“. გრიგოლ ჯერ ჩასულა კონსტანტინეპოლში, ხოლო აქედან გამგზავრებულა „ყოველთა საინოთა საბერძნეთისა“ ადგილთა მოხილვად, „რამეთუ მრავალთა ენათა წურთილ იყო იგი და მრავალ-მოსწავლე“. ამ მოგზაურობის დროს, გადმოგვემს ბიოგრაფი, გრიგოლს „რომელიმე სახილავი მოძღვარ კეთილის ექმნის და რომელიმე განსაკრძალველ ბოროტისათვის, და ესრეთ აღმოვიგო გულ-მიისი სიმდიდრისაგან“. გრიგოლ ხანძთელი ჩამობრუნდა საბერძნეთიდან

¹ ექსცერპტი ამ ძეგლისა შეტანილია ძველ-ქართული კანონების ცნობილ ვახტანგისეულ კოდიკონში (ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის დამატების სახით. აღვნიშნავთ ამასთან, რომ ტექსტი ექსცერპტისა ენობრივად განახლებული ჩანს).

საქართველოში 826 წელს. ამავე დროს პალესტინიდან დაბრუნდა გრიგოლის მეგობარიც, „რომელმან მოართვა საბაწმიდისა განგებამ და წერილი“. ამის შემდეგ, ვადმოგვემს ბიოგრაფი, გრიგოლმა „განაწესა წესი“ ხანძთის ძმობისა „სიბრძნით განსაზღვრებული და მეცნიერებით განზრწყინებული და ყოველთაგან წმიდათა ადგილთა გამორჩევით შეკრებული, ვითარცა საფასე დაუღვენელთა კეთილთა“.

სამწუხაროდ, ეს ძეგლი, აღწერილი გრიგოლ ხანძთელის მიერ, ჩვენ დრომდე არ მოღწეულა, ყოველ შემთხვევაში ჭარბობით აღმოჩენილი არ არის. მაგრამ ზოგიერთი მოკლე გამონაკრები ამ ძეგლიდან დაცული არის გიორგი მერჩულეს მიერ აღწერილ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში¹.

მეორე წყების ძეგლები კორპორაციული სამართლისა, რომელთა შესახებ ცნობები მოგვეპოვება, ეს არის კორპორაციული სამართლის განრიგება ათონის ქართული კოლონიისა.

მე-11 საუკუნის პირველ ნახევარში ათონის კოლონიის წესწყობილება შემდეგით იყო განსაზღვრული:

ა) „ანდერძი, რომელიც აღწერით დაუტევა“ კოლონიის დამაარსებელმა და პირველმა ორგანიზატორმა იოანე მთაწმიდელმა (1005 წ.).

ბ) წესნი და განგებანი, რომელნი „დაესხნეს“ იოანეს მემკვიდრეს განთქმულ ქართველ მწერალსა და მოღვაწეს ეფთიმე იბერიელს (1005—1019 წწ.).

ამონაკრები იოანეს ანდერძიდან და დაწერილებითი გადმოცემა ეფთიმეს მიერ „დასხმულ“ წესთა და განგებათა მოყვანილია გიორგი მთაწმიდელის ცნობილ საისტორიო შრომაში, რომელშიაც აღწერილია ათონის კოლონიის ისტორია. გიორგი მთაწმიდელის ამ შრომაში წარმოდგენილი აღწერა ათონის კოლონიის წესწყობილებისა და გადმოცემა კორპორაციული სამართლისა — უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტია საშუალო-საუკუნეთა კორპორაციული სამართლის შესასწავლად.

ამავე ეპოქიდან ჩვენ დრომდე მოღწეულა აგრეთვე საყურადღებო იურიდიული დოკუმენტი — „მოსახსენებელი“, კორპორაციული დადგენილება ათონის კოლონიისა, მიღებული საერთო კრებაზე 1042 წელს. დოკუმენტის შედგენა გამოწვეული იყო ბერძნების შემოტევით ათონის ქართულ კოლონიაზე-დოკუმენტი იწყება შესავალით:

„ამის პირისათვის, რათა ესევეთარი ესე ბოროტი, რომელი მოაწიეს ჩვენზედა ბერძენთა, არა დაეიწყებულ იქმნას, და კვალად შემდგომად ჩვენსა მომავალნი ესევეთარსავე ჭირსა შთაცვივენ, — ამისათვის ზოგადითა განზრახვითა ყოველნი ძმანი ერთად შევეკრებით და ერთითა განზრახვითა ესე ქვემო წერილი მოსახსენებელი დავეწერეთ ამით პირითა და სახითა... და ესრეთ ვიტყვი“.

ამას მოსდევს მოკლე ისტორიული მიმოხილვა ათონის კოლონიის დაარ-

¹ იხ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. კ—კბ. (ძეგლი, როგორც ირკვევა, ორ დარჯს მოიცავდა, ერთ ნაწილში მოცემული იყო ტიპიკონური განწესება, ხოლო მეორე ნაწილი შეიცავდა კორპორაციული სამართლის განრიგებას).

სებისა, ათონელ ქართველ შოღვაწეთა ღვაწლისა, და ბერძენ-ქართველთა ცილობის შესახებ. დოკუმენტი სრულდება განჩინებით, რომელიც მიმართულია ქართველთა უფლებების დაცვისა და განმტკიცებისაკენ ათონის კოლონიასში. ამ დოკუმენტის ტექსტი სრულად არის ჩვენს დრომდე მოღწეული და მოყვანილია გიორგი მთაწმიდელის აღნიშნულ შრომაში (გვ. 61—67/*115—128).

უფრო გვიან, 1083 წელს, შედგენილი არის წესი და განგება პეტრიწონისა, რომელსაც ათონის ქართულ კოლონიასთან ერთად ასეთი დიდი ღვაწლი მიუძღოდა ქართული განათლების ისტორიაში საშუალო საუკუნეებში.

პეტრიწონის წესი და განგება ორი დედნის სახით ყოფილა შედგენილი, ქართულად და ბერძნულად. (ბერძნული დედანის არსებობა იმით იყო გამოწვეული, რომ პეტრიწონი ბიზანტიის იმპერიის ფარგლებში მდებარეობდა) ¹.

პეტრიწონის წესსა და განგებაში სხვათა შორის განსაზღვრულია, რომ პეტრიწონში მიიღებიან მხოლოდ ისეთი პირნი, „რომელთაც იციან ქართული მწიგნობრობა და ენა“.

პეტრიწონის წესი და განგება განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს კერძოდ იმ მხრივ, რომ ამ ძეგლში შეტანილია ცალკე ნაწილის სახით წესდება განთქმული ქართული სასწავლებლისა — სემინარიისა, რომელიც პეტრიწონში არსებობდა. მკვლევარი Louis Petit, რომელმაც გამოსცა პეტრიწონის წესი და განგება, შენიშნავს ამ სემინარიის წესდების გამო, რომ პეტრიწონის სემინარიის სახით „ჩვენ გვაქვს თუ ერთადერთი არა, ყოველ შემთხვევაში მეტად იშვიათი მაგალითი იმისა, რომ ბიზანტიაში არსებულა სემინარია, ამ სიტყვის უახლესი (თანამედროვე) მნიშვნელობით“.

პეტრიწონის სემინარიაში სწავლება საგნებისა წარმოებდა ქართულს ენაზე.

ამ სასწავლებლის პროფესორთა შორის ჩვენ ვხვდებით იოანე პეტრიწს, ცნობილ ქართველ ფილოსოფოსს.

•

ქართული იურიდიული მეცნიერების განვითარების შესახებ მე-10 — 11 საუკუნეებში წარმოდგენას იძლევა ეფთიმე იბერიელის „სჯულის კანონი“.

ეფთიმე იბერიელის ეს შრომა დამყარებულია ბერძნულ წყაროებზე, მაგრამ წარმოდგენს არა თარგმანს, არამედ ბერძნული კანონიკური ტექსტების თავისუფალ გადამუშავებას, რომელსაც დართული აქვს ეფთიმე იბერიელის ორიგინალური კომენტარები. ეფთიმეს „სჯულის კანონი“ ძირითადად შეიცავს ორ ძეგლს — „სჯულის კანონი მეექვსისა კრებისა“ და „კანონი შეცოდებულთანი“, მაგრამ ამას გარდა აქ გამოყენებულია საშუალო საუკუნეთა სხვა კანონ-

¹ ჭერკობით აღმოჩენილია ბერძნული დედანი ამ განგებისა. რაც შეეხება ქართულ დედანს, ისიც, საფიქრებელია, არ არის დაკარგული და უნდა ინახებოდეს პეტრიწონის წიგნთსახავეში.

ნიკური ტექსტები. ამრიგად, ეფთიმე იბერიელის ეს შრომა, როგორც აღნიშნულია თვით ანდერძში, წარმოადგენს ერთგვარ იურიდიულ კომპენდიუმს, რომელშიაც „ყოველი პირი და სახე“ საშუალო საუკუნეთა კანონიკური ტექსტებისა „შემოკრებულ არს და კეთილად განმარტებულ“. ეს შრომა ქართველ მეცნიერს დაუშუშავებია „სასწავლელად“, რათა „იკითხვიდენ წინამძღვარნი და მოძღვარნი“.

იურიდიული კომენტარები ეფთიმე იბერიელისა, რომელიც წარმოდგენილია ამ შრომაში, დიდ თეორიულ სიმაღლემდე არის აყვანილი, ინტერპრეტაცია იურიდიულ მოვლენათა ბუნებისა აღბეჭდილია დიდი სიღრმით. (განსაკუთრებით აღსანიშნავია ზოგადი მოძღვრება გარდამავლობითი მოქმედებისა და დანაშაულობათა ბუნებისა და ხასიათის შესახებ). საზოგადოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეფთიმე იბერიელის ეს შრომა ინტერესს წარმოადგენს არა მხოლოდ ქართული სამართლის ისტორიის თვალსაზრისით, არამედ თავისი ახალი იდეებით იგი საერთოდ ახალ საფეხურს აღნიშნავს საშუალო საუკუნეთა იურიდიული აზროვნების ისტორიაში.

სპეციალური შენიშვნები

„ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვისა“

მე-8 — 11 საუკუნეთა ქართული მწერლობის ისტორიის სპეციალური სკიოზებიდან განსაკუთრებით რთულ ფილოლოგიურ პრობლემას წარმოადგენს „ქართლის ცხოვრების“ კრებულის შედგენილობის საკითხი (—კრებულში მოთავსებულ ცალკე ნაწარმოებთა ფარგლები, ტექსტების დათარიღება, ავტორების ვინაობა და სხვ.). ეს საგანი დაწვრილებითს საგანგებო განხილვას საჭიროებს; ჩვენ მას ვეხებით სპეციალურ მონოგრაფიაში („ქართლის ცხოვრების კრებულის შედგენილობა. მე-8 — 11 საუკუნეთა ძეგლები“), რომელსაც ცალკე ვაქვეყნებთ.

აქ კი ვურთავთ ზოგიერთს მოკლე შენიშვნას დანარჩენ სპეციალურ ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხთა გამო.

1

ქართული და ბერძნული მერსიები რომანის „ნიზრძე ბალაჰვარისა“

(შენიშვნა 1, გვ. 106)

საშუალო საუკუნეთა მწერლობის ამ განთქმული ძეგლის მიმართ ორი ძირითადი საკითხი ითვლება საკამათოდ:

1. რა წარმოშობისაა და რა დროს ეკუთვნის ძველ-ქართული ვერსია „ბალაჰვარი“-სა?

2. რა წარმოშობისაა ამ ძეგლის ბერძნული ვერსია და ვინ არის ბერძნული ვერსიის ავტორი?

ჯერ პირველი საკითხის — ბალაჰვარის ძველ-ქართული ვერსიის შესახებ.

■

ბალაჰვარის ძველ-ქართული ვერსიის მიმართ უდავო დებულებად უნდა ჩაითვალოს შემდეგი გარემოება: ძველ-ქართული ვერსია ბალაჰვარისა წარმოადგენს პირველადს და მუშავებას ბუდას რომანისას საშუალო

საუკუნეთა ქრისტიანულ ლიტერატურაში. არც ერთ სხვა ქრისტიანულ მწერლობაში, გარდა ქართლისა, არ მოიპოვება ამ რომანის ასეთი არქაული ტიპის ვერსია. ყველა სხვა ქრისტიანულ ლიტერატურებში არსებული ვერსიები ამ რომანისა უფრო გვიანდელია და მომდინარეობენ — უშუალოდ ან მეშვეობით — შემდეგ ხანაში წარმოშობილი ბერძნული ვერსიიდან.

რა ლიტერატურული წყარო დაედო საფუძვლად ბალაჰვარის ძველ-ქართულ ვერსიას და როდის დაიწერა იგი?

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ბოლო დროს გამოითქვა აზრი, თითქოს ბუდას ლეგენდა ზეპირი გზით იქნა შეთვისებული ქართულ წრეებში უშუალოდ ინდოეთიდან და თითქო ამ ზეპირი გადმოცემის საფუძველზე იქნა დაწერილი ქართულად ბალაჰვარის რომანი მე-7 საუკუნეში¹.

მაგრამ ეს შეხედულება არ შეეფერება სინამდვილეს. ბალაჰვარის რომანს ბევრად უფრო რთული ისტორია ჰქონდა და მან გაიარა ლიტერატურული დამუშავების რამდენიმე საფეხური, ვიდრე იგი ქართული რომანის სახით დაიწერებოდა.

ლიტერატურული წყაროების ანალიზი იძლევა საშუალებას აღვადგინოთ ამ სიუჟეტის თანდათან გადამუშავების გზა: 1. ჰინდური თქმულება; 2. ფაჰლავური ვერსია; 3. არაბული ვერსია; 4. ქართული რომანი.

ქართული რომანი დამოკიდებულია იმ არაბული ვერსიიდან, რომელსაც ეწოდება „ბალაჰვარი და ბუდასაფი“: ქართული რომანის პროტოტიპი რომ სწორედ ეს არაბული ვერსია იყო, ამას ადასტურებს როგორც შეხედრა სიუჟეტური მხარისა, ისე, კერძოდ, თვით სახელის დაწერილობანი: „ბუდასაფი“ არაბული ტექსტისა და „იოდასაფი“ ქართული ტექსტისა.

ამრიგად, როგორც ირკვევა, ქართულ რომანს ჰქონდა ლიტერატურული პროტოტიპი.

მაგრამ ამავე დროს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოება: ქართული რომანი არ წარმოადგენს თარგმანს არაბულიდან, არამედ ქართველ მწერალს არაბული ვერსია ბუდას ლეგენდისა გამოუყენებია მასალის სახით. როგორც აღნიშნული გვექონდა მიმოხილვაში, ქართველ მწერალს არაბული გადმოცემა ბუდას ლეგენდისა არსებითად გადაუმუშავებია, შეუფარდებია იგი ქრისტიანობასთან, მიუცია მისთვის სრულებით ახალი ელფერი, ახალი იდეური შინაარსი, მოთხრობის გაშლა სხვარიგად წარუმართავს, და, ამრიგად, რომანის „სიბრძნე ბალაჰვარისაჲ“-ს სახით ქართველ მწერალს ახალი ნაწარმოები შეუქმნია. ამდენად ქართული რომანი „სიბრძნე ბალაჰვარისა“ თავისი კონცეფციით, მსოფლგაგებით, მოთხრობის აღნაგობით ორიგინალურ ნაწარმოებს წარმოადგენს.

როდის არის დაწერილი ქართული რომანი?

ამის დასადგენად ჩვენ გვაქვს ორი მსაზღვრელი თარიღი. ერთი მხრით, არაბული „ბალაჰვარი და ბუდასაფი“, როგორც ცნობილია, ეკუთვნის მე-8 საუკუნეს. ხოლო, მეორე მხრით, ირკვევა, რომ მე-10 — 11 საუკუნეთა საზღვარ-

¹ იხ. სიბრძნე ბალაჰვარისა, 1937 წლის გამოცემა, შესავალი წერილი, გვ. 7 — 10.

ზე ქართველმა მწერალმა ეფთიმე იბერიელმა გამოიყენა რომანის ქართული ტექსტი და გამოაქვეყნა ახალი ვერსია რომანისა ბერძნულ ენაზე, „ვარლაამისა და იოსაფის“ წიგნის სახელით ცნობილი.

ამის მიხედვით ირკვევა, რომ ძველ-ქართული ვერსია ბალაჰვარის რომანისა ამ ორ სათარიღო მიჯნას შორის ყოფილა დაწერილი, ე. ი. მე-9 — 10 საუკუნეებში.

მაგრამ ეს თარიღი შესაძლოა კიდევ უფრო დაზუსტდეს. ქართული რომანი სიბრძნე ბალაჰვარისა, ჩანს, დაწერილია მე-9 საუკუნეში, არა უგვიანეს ამ საუკუნისა.

ამას გვაფიქრებინებს ჩვენს დრომდე მოღწეული ერთი ძველ-ქართული ტექსტი: ექსცერპტი კლარჯული (მესხური) სვინაქსარისა.

რადგან ბალაჰვარის რომანი ეპოქალური მნიშვნელობის ძეგლია, ნაწარმოები, რომელმაც ნამდვილი მსოფლიო რეზონანსი მოიპოვა საშუალო-საუკუნეებში, ამის გამო ყოველი ახალი დეტალი, რაც შექსა ჰყენს ამ ძეგლის თარიღის კითხვას, ყურადღების ღირსია. ამიტომაც ჩვენ აქ შეეჩერდებით ამ ტექსტზე კლარჯული სვინაქსარის ექსცერპტზე, მით უფრო, რომ ეს ტექსტი დღემდე არ ყოფილა სათანადოდ შესწავლილი და მისი ცნობები გამოიყენებულნი არ ყოფილა.

ექსცერპტი კლარჯული სვინაქსარისა შეტანილია საქართველოს მუზეუმის ხელნაწერში A-97.

ხელნაწერი გადაწერილია კლარჯეთში მე-11 საუკუნის უკანასკნელ მესამედში (ხელნაწერის გადაწერის ინიციატორი, ჩანს, იყო ეგნატე კავკასისძე წყაროსთაველი, რომელმაც მე-11 საუკუნის მეორე ნახევარში გადააწერინა კლარჯეთში მთელი წყება ქართული ხელნაწერებისა)¹.

ხელნაწერის ძირითადი ტექსტი შეიცავს ათონურ სვინაქსარს (გიორგი მთაწმიდელისა). სვინაქსარში, როგორც ცნობილია, ათავსებდნენ მოსახსენებელს იმ მოღვაწეთა შესახებ, რომელთაც იგონებდა ეკლესია გარკვეულ თარიღებში.

ათონურ სვინაქსარში, როგორც ცნობილია, არაა შეტანილი ლოკალური ქართული ხსენებანი. ამის გამო ხელნაწერის რედაქტორს უსარგებელია მეორე სვინაქსარული ტექსტით, კლარჯეთში მიღებული სვინაქსარული

¹ ეგნატე წყაროსთაველი არის ძმა პეტრიკ კავკასისძისა (იგივე პეტრე პატრიკი, შემდეგ ვესტი და მწიგნობართ-უხუცესი) და იოვანე ჭყონდიდელისა. წყაროებიდან ირკვევა, რომ სამივე ძმა დაახლოებულნი ბიზნის იყვნენ გიორგი მთაწმიდელისა. ჩვენი ხელნაწერის წარმოშობის გასათვალისწინებლად აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ხელნაწერში შეტანილია მოსახსენებელი ეგნატეს ძმის იოვანე ჭყონდიდელისა, რომელიც ხელნაწერის გადაწერის დროს უკვე გარდაცვლილი ყოფილა; ხელნაწერში 3 იანვრის თარიღს ქვეშ აღნიშნულია: „ამასვე დღესა გარდაიცვალა სულკურთხეული მთავარეპისკოპოსი იოვანე ჭყონდიდელი. დიდებულ ყავნ ღმერთმან სული მისი და მამათა მისთაჲ“ (ხელნაწერში აღნიშნულია აგრეთვე გიორგი მთაწმიდელის გარდაცვალების თარიღიც, 29 ივნისს). რომ ხელნაწერი გადაწერილია კლარჯეთში, ამას ადასტურებს მინაწერები.

ეგნატე წყაროსთავლის მოღვაწეობის შესახებ ხელნაწერთა გადაწერისათვის კლარჯეთის საეპიტოპოსის იხ. ანდრეიძის კლარჯეთში გადაწერილ ხელნაწერთა: 1085 წლისა (ხელნაწერი ნაქ. მუზეუმისა H — 1350) და 1089 წლის ახლო დროისა (ხელნაწერი ნაქ. მუზეუმისა A — 136, და მისი ნაწილები 252, 253, 372, 614).

რით, და ამოუღია აქედან ცნობები იმ მოღვაწეთა შესახებ, რომელიც ათონურ სვინაქსარს აკლდა¹.

ექსცერპტი ამ მეორე სვინაქსარული ტექსტისა — კლარჯული სვინაქსარისა — სულ შეიცავს 18 ხსენებას. აქ ჩამოთვლილია როგორც ადგილობრივი მოღვაწენი, რომელთა მოღვაწეობა უშუალოდ საქართველოსთან იყო დაკავშირებული, ისე უცხოელი მოღვაწენი, რომელთა ხსენება მიღებული ყოფილა საქართველოში, კერძოდ, კლარჯეთში.

მოგვეყავს ტექსტი ამ ძეგლისა, კლარჯული სვინაქსარის ექსცერპტისა:

1. 7 იანვარს: „ა ბ ო ა ს ი, რომელიც იწამა ტფილისს სარკინოზთაგან“.
2. 12 თებერვალს: „ც ხ რ ა თ ა ყ რ მ ა თ ა კ ო ლ ა ე ლ თ ა მ“.
3. 23 თებერვალს: „და ვ ი თ ი ს ი, რომელი იწამა დენის სარკინოზთაგან“.
4. 15 აპრილს: „მ ე ს უ კ ა ე ე ლ თ ა მ, ს უ ქ ი ა მ ს ი და მ ი ყ უ ა ს თ ა მ ის თ ა მ“.
5. 13 მაისს: „ო რ თ ა ძ მ ა თ ა დ ა ვ ი თ ი ს ა და ტ ი რ ი ჭ ა ნ ი ს ი, რომელნი იყვნენ სომხითი და იწამნეს ტაოს“.
6. 19 მაისს: „ნ ე ტ რ ა რ ს ა ი ო დ ა ს ა დ უ ჰ ი ნ დ ო თ ა მ ე ფ ი ს ი ა მ“.
7. 1 ივლისს: „ნ ე რ ს ე მ თ ა ე რ ე პ ი ს კ ო მ ს ი ს ა ს ო მ ხ ი თ ი ს ა მ“.
8. 8 ივლისს: „მ ა მ ი ს ა ლ ა მ პ ა რ ი ს ი“.
9. 26 ივლისს: „ი ო ვ ა ნ ე პ ა ლ ა ე რ ე ლ ი ს ა მ“.
10. 28 ივლისს: „ო ზ ი ტ ბ ო ზ ი ტ ი ს ი, რომელი იყო ნათესავით სპარსი და იწამა სპარსთა მიერ ცეცხლის-მსახურთა“.
11. 29 ივლისს: „ე ვ ს ტ ა თ ი მ ც ხ ე თ ე ლ ი ს ა მ, რომელი იყო ნათესავით სპარსი და იწამა ტფილისს ცეცხლის-მსახურთა მიერ“.
12. 3 აგვისტოს: „რ ა ე დ ე ნ ი ს ი, რომელი იყო სპარსი და იქმნა ქრისტეანე და იწამა ქართლს ცეცხლის-მსახურთა მიერ სოფელსა წრომს“.
13. 21 აგვისტოს: „შ უ შ ა ნ ი ე ი ს ი, რომელი იწამა ქართლს ქმრისა მისისა ეასქენისაგან“.
14. 23 აგვისტოს: „კ ო რ დ ო ვ ე პ ი ს კ ო მ ს ი ს ა მ და... ი ო რ ი ნ ე ო ს, და ო რ, და ო რ ო ფ ს ი ს ი“.
15. 5 ოქტომბერს: „მ ა მ ი ს ა ჩ უ ე ნ ი ს ა გ რ ო გ ო ლ ხ ა ნ ძ მ თ ე ლ ი ს ა მ“.
16. 10 ნოემბერს: „ო ნ ს ტ ა ნ ტ ი კ ა ხ ა მ ს ა მ. ესე იყო ქართველი აზნაური დიდებული და იწამა სარკინოზთა მიერ სპარსეთს“.
17. 12 ნოემბერს: „ა ბ ი ბ ო ს ნ ე კ რ ე ს ე ლ ე ბ ი ს კ ო მ ს ი ს ა მ, რომელი იწამა ცეცხლის-მსახურთა მიერ ქართლს“.
18. 30 დეკემბერს: „ბ ო ა მ ს ი, რომელი იწამა იერაპოლისს“.

¹ ეს ექსცერპტი კლარჯული სვინაქსარიდან მიწერილია ხელნაწერის არსებებზე დედნის ხელით.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ აგრეთვე შემდეგიც:

რომ ეს ექსცერპტი აღებულია ლოკალური წარმოშობის კლარჯული სვინაქსარიდან და არა იმ სვინაქსარიდან, რომელსაც „კანონი“ ეწოდებოდა, ამას ადასტურებს ორი რამ: ა) „კანონში“ და ამ ექსცერპტში ხსენებათა წრე სხვადასხვა მოცულობისა; ბ) იმ ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც „კანონში“ და ექსცერპტში ერთი და იგივე ხსენება აღნიშნული, და ცალკეულშია მათი თარიღები, სახელდობრ:

- ა) ხსენება რაჟდენისი „კანონში“ აღნიშნულია 25 ივნისს, ხოლო ექსცერპტში 3 აგვისტოს;
- ბ) ხსენება აბიბოს ნეკრესელისა „კანონში“ აღნიშნულია 6 ივლისს, ექსცერპტში 12 ნოემბერს;
- გ) ხსენება შუშანდისისი „კანონში“ აღნიშნულია 17 ოქტომბერს, ექსცერპტში 21 აგვისტოს;
- დ) ხსენება ეესტათი მცხეთელისა „კანონში“ აღნიშნულია 20 დეკემბერს, ექსცერპტში 29 ივლისს

ამ ტექსტში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ აქ არ არის არც ერთი ხსენება, რომელიც ეკუთვნოდეს მე-9 საუკუნეზე გვიან დროს.

ყველაზე გვიანდელი ხსენებაა სამი:

მე-5: და ვით და ტირიქანი სი. დავით და ტირიქან აწამეს ტაო-ში მე-7 საუკუნის პირველ ნახევარში, ხოლო, როგორც ირკვევა, მათი კანონი-ზაცია ქართული ეკლესიის მიერ და ხსენების განწესება მოხდა მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში, გრიგოლ ხანძთელის თანამოღვაწის საბან იშხნელის დროს. (ამ დროს არის დაწერილი დავით და ტირიქანის მარტილობის ქართული ტექსტი).

მე-16 ხსენება: კონსტანტი კახაძე. კონსტანტი კახაძე აწამეს 853 წელს.

მე-15 ხსენება: გრიგოლ ხანძთელისა. გრიგოლ ხანძთელი გარდაიცვალა 860 წელს.

თარიღის საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოება:

ექსცერპტში, მე-9 საუკუნის მეორე ნახევრის შემდეგ, არ არის შეტანილი ხსენება არათუ გარეშე მოღვაწეთა, არამედ თვით მესხეთის ადგილობრივი მოღვაწეებისაც გრიგოლ ხანძთელის მომდევნო ხანისა. ასე, აქ არ არის შეტანილი ხსენება მე-9 საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწის მიქელ პარეხელისა (რომლის ბიოგრაფია აღწერა მისმა მოწაფემ ილარიონ პარეხელმა), მე-9 საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწის სერაპიონ ზარზმელისა (რომლის ბიოგრაფია აღწერა ბასილი ზარზმელმა 886 წლის ახლო ხანებში), მე-10 საუკუნის დასაწყისის მოღვაწის გობრონისი (რომლის ბიოგრაფია აღწერა 914 — 918 წლებში სტეფანე მტბევარმა).

ეს გარემოება, რომ აქ, ერთი მხრით, არის ხსენება გრიგოლ ხანძთელისა, რომელიც გარდაიცვალა 860 წელს, და ამავე დროს აქ არ მოიპოვება ხსენება სხვა ადგილობრივი მესხური მოღვაწეებისა, რომელნიც მოღვაწეობდნენ გრიგოლის შემდეგ, მე-9 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-10 საუკუნის დასაწყისში, გვიჩვენებს, რომ ეს ექსცერპტი დამოკიდებულია მე-9 საუკუნის მეორე ნახევრის დედნიდან.

კერძოდ ჩვენი საკითხისათვის — ბალაჰვარის მოთხრობის დათარიღებისათვის — ეს ტექსტი იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ აქ უკვე შეტანილია ხსენება, მომდინარე ბალაჰვარის მოთხრობიდან. სახელდობრ, მე-6 ხსენებად, 19 მაისის თარიღით, აქ აღნიშნულია ხსენება „ნეტარისა იოდასაფ ჰინლოთა მეფისაჲ“.

ამრიგად, ამ დროს არათუ არსებულა ქართულად ბალაჰვარის მოთხრობა, არამედ უკვე მომხდარა ამ მოთხრობის პერსონაჟის იოდასაფის კანონიზაცია.

•

მეორე საკითხი, — თუ რა წარმოშობისაა ბალაჰვარის მოთხრობის ბერძნული ვერსია და ვინ იყო ბერძნული ვერსიის ავტორი, უკვე აღარ შეიძლება ჩაითვალოს საკამათოდ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აღმოჩნ-

და ახალი დამატებითი მასალები. ამიტომაც ამ საგანზე აქ აღარ გავაგრძელებთ სიტყვას.

არსებული მასალების მიხედვით უცილობელი ხდება, რომ ბერძნული ვერსიის ავტორი არის ქართველი მწერალი ეფთიმე იბერიელი (958 — 1028 წწ.). რომელსაც გამოუყენებია ბალაპვარის ძველ-ქართული ვერსია და მის საფუძველზე დაუმუშავებია ახალი რედაქცია ბალაპვარის რომანისა, „ვარლამისა და იოსაფის“ წიგნის სახელით ცნობილი.

ამას ადასტურებს ერთხმევი ჩვენება სრულებით სხვადასხვა ხასიათის წყაროებისა:

1. ბერძნული ხელნაწერების ჩვენება. ავტორობა ეფთიმე იბერიელისა, როგორც ცნობილია, აღნიშნულია ბერძნულ ხელნაწერებში. დღემდე ცნობილი იყო ორი ასეთი ხელნაწერი (მათ შორის უძველესი, მე-11 საუკუნის ხელნაწერი ამ ძეგლისა). ამ ბოლო დროს ორიენტალისტმა რ. ბლეიკმა აღმოაჩინა მესამე ხელნაწერი, რომელიც შეიცავს იმავე ცნობას ეფთიმე იბერიელის ავტორობის შესახებ.

2. ქართული წყაროს ჩვენება. ეფთიმე იბერიელის ავტორობას ადასტურებს ისეთი ავტორიტეტული ძველ-ქართული წყარო, როგორიც არის ბიოგრაფია ეფთიმე იბერიელისა, დაწერილი ამავე ეპოქაში, მე-11 საუკუნეში, 1042 — 1044 წლებში, ეფთიმეს ლიტერატურული მემკვიდრის, ქართველი მეცნიერის გიორგი მთაწმიდელის შიერ.

3. ლათინური წყაროს ჩვენება. დასასრულ, რომ ეფთიმე იბერიელი არის ავტორი ბერძნული ვერსიისა, ეს აღნიშნულია „ვარლამის და იოსაფის“ წიგნის ძველ ლათინურ თარგმანშიაც, რომლის ტექსტი, ბიბლიოგრაფიული შენიშვნით ეფთიმე იბერიელის შესახებ, აღმოაჩინა ორიენტალისტმა P. Peeters-მა, და რომელიც ამავე ეპოქას, მე-11 საუკუნეს, 1048 წელს ეკუთვნის.

ამრიგად, აქ ჩვენ გვაქვს სრული შეხვედრა სრულებით სხვადასხვა წარმოშობისა და სხვადასხვა ხასიათის ძეგლებისა, რომლებიც თანხმობით ადასტურებენ ეფთიმე იბერიელის ავტორობას.

2

მომხრობამ ახაპარამნი მიქაელისთვის საბაწმიდელისა

ანუ ახაპარამი.

(შენიშვნა 2, გვ. 119)

მე-10 საუკუნეში გადაწერილს ერთ ხელნაწერ კრებულში „მოწამეთაჲ“ (ათონური ხელნაწერი № 57) მოთავსებულია ტექსტი, რომელიც ატარებს სათაურს:

„მთუესა მარტსა 20-სა წამებაჲ... მიქაელისი, რომელი იყო ლავრასა ღიღსა... მამისა ჩუენისა საბამსა“¹.

¹ ფრაგმენტი ამ ტექსტისა მოიპოვება აგრეთვე საქართველოს მეზემის ხელნაწერში A-382.

სათაური არსებულის სახით ეკუთვნის იმ დროს, როდესაც ეს ტექსტი შეუტანიათ კრებულში „მოწამეთა“. უნდა ვიცოდეთ, რომ ამგვარ კრებულებში („მოწამეთა“) თხზულებათა სათაურები ერთგვარ გაუპიროვნებას განიცდიან ხოლმე და ერთი და იმავე ტრაფარეტის შიხედვით არის გაკეთებული, ე. ი. აღნიშნულია თარიღი და მოწამის სახელი.

სინამდვილეში ამ საოაურის ქვეშ გაერთიანებულია ორი თხზულება:

პირველ თხზულებას შინაარსის მიხედვით უნდა მიეკუთვნოს შემდეგი სათაური:

მოთხრობა აბუკურამსი მიქაელისთვის საბაწმიდელისა.

მეორე თხზულება არის: „ქება საბაწმიდელისა და საბაწმიდელთა“.

მეორე თხზულების ავტორია ამბა ბასილი საბაწმიდელი. ხოლო პირველი თხზულების ავტორია არა ბასილი, არაჲდ ბასილის მოწაფე. (ამასთან ეს ორი ძეგლი დაწერილია სხვადასხვა დროს და დაცილებულია ისინი ერთმანეთს დაახლოვებით 10 წლის მანძილთ).

ჩვენ აქ საუბარი გვექნება პირველი ძეგლის შესახებ.

•

თხზულება — მოთხრობა აბუკურამსი, მიქაელისთვის საბაწმიდელისა, როგორც ირკვევა ტექსტის რეალიებიდან, დაწერილია მე-9 საუკუნის დასაწყისში, დაახლოვებით 813 — 820 წლებში¹.

ამ თხზულების ორი ვერსია არსებულა: ქართული და არაბული.

ქართული ვერსია წარმოგვიდგენს ამ თხზულების პირველადს გაურთულებელ სახეს და იგი დამოუკიდებელი მოთხრობის სახით შენახულა.

არაბული ვერსია არ მოღწეულა დამოუკიდებლად, არამედ შეტანილია ცალკე ეპიზოდის სახით ერთ ნაგვიანვე აპოკრიფულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში, რომელსაც ეწოდება თეოდორე ედესელის ცხობება. ეს აპოკრიფი, თეოდორე ედესელის ცხობება, როგორც ირკვევა, შედგენილია არაბულად მე-10 საუკუნის ბოლოს. მის ავტორს ხელთა ჰქონია „მოთხრობა აბუკურამსი“, რომელიც მას ამ აპოკრიფის შედგენის დროს გამოუყენებია და ჩაუკერებია აპოკრიფში, როგორც ცალკე ეპიზოდი.

ამრიგად, პირველადი ტექსტი „მოთხრობა აბუკურამსი“ არაბულად ცალკე მოთხრობის სახით არ შენახულა. მაგრამ თავისთავად ის ფაქტი, რომ „მოთხრობა აბუკურამსი“ შემდეგ შეუტანიათ გვიანი დროის აპოკრიფში, გვიჩვენებს, რომ არაბულ ენაზე ამაზე წინ არსებულა იგი დამოუკიდებელი მოთხრობის სახითაც, როგორც ამას ქართულში ვხედავთ.

აქ იბადება საკითხი, თუ რომელი ვერსია იყო პირველადი, ქართული თუ არაბული?

¹ აღნიშნავთ ამასთან, რომ მოღწეული ტექსტი შეიცავს ჰემეტობის გადანაშთს, რაც თავის მხრივ ეთანხმება ამ დათარიღებას და ადასტურებს, რომ ძეგლი მე-9 საუკუნის დასაწყისზე გვიანი არ არის.

ვიდრე პასუხს გავცემდეთ ამ კითხვაზე, აქ საჭიროა ჭერ გავითვალისწინოთ საბაწმიდაში არსებული ლიტერატურული გარემო.

საბაწმიდის წრე, როგორც ცნობილია, ინტერნაციონალური შემადგენლობისა იყო. აქ ქართველებთან ერთად მკვიდრობდნენ ბერძნები, სირიელები, ქრისტიანი არაბები, სომხები და სხვ. ყველა ამ ენაზე აქ სწარმოებდა ლიტერატურული მუშაობა და, ბუნებრივია, რომ თხზულებანი ერთი ენიდან მეორეზე ითარგმნებოდა, და ზოგჯერ ერთი და იგივე თხზულება ერთდროულად რამდენსამე ენაზე ქვეყნდებოდა.

კერძოდ ქართული კოლონია საბაწმიდისა დიდი ლიტერატურული ტრადიციების მქონე იყო. ლიტერატურული მუშაობა ქართულ ენაზე საბაწმიდაში იწყება ჭერ კიდევ მე-5 საუკუნის დასასრულიდან და გრძელდება ვიდრე მე-11 საუკუნემდე. საუკუნეთა მანძილზე საბაწმიდის ქართული კოლონია გადაიქცა ქართული ლიტერატურული საქმიანობის უმნიშვნელოვანეს ცენტრად, ქართული მწიგნობრობისა და განათლების ნამდვილ კერად.

საბაწმიდაში ქართულ სალიტერატურო წრეებს არა ერთი და ორი თხზულება უთარგმნიათ ქართულ ენაზე ბერძნულიდან, არაბულიდან (ქრისტიანულ-არაბული მწერლობის ძეგლები) და სხვა.

ამავე დროს ქართულიდანაც ითარგმნებოდა ძეგლები სხვა ენებზე. ასე, სწორედ იმ ეპოქაში, რომელიც აქ ჩვენი მიმოხილვის საგანს შეადგენს, ე. ი. მე-9 საუკუნეში, 880 წელს, ქართულიდან უთარგმნიათ სომხურად დიონისი არეოპაგელის სახელით ცნობილი ორი ტექსტი.

ქართულ მწიგნობრობას რომ დიდი ტრადიცია ჰქონდა საბაწმიდაში, ამას, სხვას რომ თავი დავანებოთ, ისიც გვიჩვენებს, რომ სწორედ საბაწმიდაში დაიწერა მე-9 საუკუნეში „ქებაჲ ქართულისა ენისაჲ“, სადაც ქართული ენა აღიარებულია რჩეულ ენად, რომელშიაც დამარხულია ყოველი ზაიდუმლო.

დავუბრუნდეთ ამის შემდეგ ჩვენს ძეგლს — „აბუკურა“-ს.

როდესაც ჩვენ ვითვალისწინებთ საბაწმიდაში არსებულ ლიტერატურულ გარემოს, ამ ძეგლის წარმოშობის შესახებ შესაძლოა დავუშვათ სამი შესაძლებლობა:

1. თხზულება თავდაპირველად დაიწერა ქართულად და შემდეგ ითარგმნა არაბულად;

2. თხზულება თავდაპირველად დაიწერა ქართულად, და ამავდროს ქართველმა ავტორმა იგი ერთდროულად გამოაქვეყნა არაბულ ენაზედაც, რომელიც ამ ეპოქაში, მე-9 საუკუნეში, საერთაშორისო ენად ითვლებოდა პალესტინაში და კერძოდ გავრცელებით სარგებლობდა საბაწმიდაში.

3. თხზულება თავდაპირველად დაიწერა არაბულად არაბი მწერლის მიერ და შემდეგ ითარგმნა ქართულად.

გავეცნოთ ამის შემდეგ თვით თხზულების ტექსტს, თუ რა ჩვენებას იძლევა იგი აღძრული საკითხის გამო.

თხზულების ტექსტის რეალიების მიხედვით დასტურდება, რომ ავტორი ქართველი იყო და არა არაბი.

ამას გვაფიქრებინებს მთელი რიგი ნიშნები.

1. ჯერ ერთი, მოთხრობაში ყურადღებას იქცევს ერთი ანაქრონისტული ხასიათის ცნობა. სახელდობრ, მოთხრობაში 700-იანი წლებისათვის არაბული

ხალიფატის სატახტო ქალაქად იგულისხმება ბაღდადი (ბაბილონი). სინამდვილეში კი, როგორც ცნობილია, არაბული ხალიფატის სატახტო ქალაქი ამ დროს იყო არა ბაღდადი, არამედ დამასკო (სატახტო ქალაქი ხალიფატისა გადმოტანილ იქნა ბაღდადში უფრო გვიან, მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში).

ასეთი ანაქრონისტული ცნობა არაბი მწერლის თხზულებაში წარმოსადგენი არაა. არაბული ხალიფატის ცენტრის გადმოტანა დამასკოდან ბაღდადში მხოლოდ 50 წლის მანძილით იყო დაშორებული ჩვენი თხზულების დაწერის დროიდან, და არაბ მწერალს, მით უფრო სირიელ-პალესტინელ არაბს, ეს კარგად უნდა სცოდნოდა. ხოლო ქართველ მწერალს რომ არ სცოდნია ეს გარემოება, აქ, რასაკვირველია, მოულოდნელი არაფერია. რაკი თხზულების დაწერის დროს სატახტო ქალაქი არაბული ხალიფატისა იყო ბაღდადი. ქართველი მწერალი არ შესდგომია იმის ძიებას, თუ რა დროიდან მოხდა ეს; მას, ჩანს, ექვიც არ შესდიოდა იმაში, რომ წინათ სხვა მდგომარეობა იყო, რა ძველი დროისათვისაც არაბული ხალიფატის სატახტო ქალაქად ისევ იგივე ბაღდადი მიუჩნევია.

ანალოგიური ანაქრონისტული ცნობა, როგორც ცნობილია, ჩვენ სხვაგანაც გვხვდება ქართულ წყაროებში, საისტორიო ძეგლებში.

2. რომ ძეგლი ქართული წარმოშობისაა, ამის მაჩვენებელია ქართული პატრიოტული ტენდენცია, რომელიც გამოსჭევვის თხზულებაში. აქ ადგილი აქვს საქართველოს ერთგვარ განდიდებას. სახელდობრ დასავლეთი საქართველო, ანუ იმდროინდელი ტერმინოლოგიით „აფხაზეთი“, რომელიც ამ ეპოქაში, მე-8 — 9 საუკუნეთა საზღვარზე, მთავარ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა ქართულ ფეოდალურ სამფლობელოთა შორის, ავტორს წარმოდგენილი აქვს დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის ერთეულად და ჩათვლილი აქვს თორმეტ მთავარ ქვეყანათა შორის, რომელზედაც — ავტორის შეხედულებით — ნაწილდება მსოფლიო. ამ 12 ქვეყანას ანუ „ზღუის-კიდებს“, და მათ შორის დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთს“), ავტორი მეტ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე არაბეთს (სარკინოზეთს), რომელიც, ავტორის სიტყვით, მხოლოდ ერთ პატარა მხარეს, ნახევარკუნძულს („ხერთვისს“) შეიცავს.

რასაკვირველია, ასეთი კონცეფცია, დამამტირებელი არაბული ეროვნული თავმოყვარეობისათვის, წარმოუდგენელია არაბი მწერლის თხზულებაში და გასაგებია ქართველი ავტორის ნაწარმოებში¹.

ჩვენ ამგზის ამაზე დავასრულებთ ქართული და არაბული ვერსიების ურთიერთობის საკითხის განხილვას. არის აგრეთვე სხვა ნიშნეულობაც, რაც მიუთითებს, რომ ძეგლი ქართული წარმოშობისაა, მაგრამ ამ საგანზე უფრო დაწვრილებით საუბარი გვაქვს სპეციალურ მონოგრაფიაში.

ჩვენი დასკვნა ასეთია:

თხზულება დაწერილია ქართულად მე-9 საუკუნის დასაწყისში. იმავე

¹ აღსანიშნავია, რომ თეოდორე ედესელის აპოკრიფის ტექსტში, რომელიც არაბული ვერსიიდან არის დამოკიდებული, მთელი ეს ადგილი 12 მთავარი ქვეყნის შესახებ — გამოშვებულია. ცხადია, იგი გამოუშვია ან არაბულად მთარგმნელს, ან არაბული ტექსტის შემდგომდროინდელ გადაწერლებს, რომელთაც ეს ადგილი არაბული ეროვნული თავმოყვარეობისათვის დამამტირებლად მიუჩნევიათ.

მე-9 საუკუნეში იგი უთარგმნიათ არაბულ ენაზე. აღენიშნავთ ამასთან, არაა გამორიცხული, რომ არაბული თარგმანის გამოშვება თვით ქართველი ავტორის მონაწილეობით იყო შესრულებული. არაბული ენა ამ ეპოქაში, როგორც მოვიხსენიებთ, ძირითადი საერთაშორისო ენა იყო პალესტინაში. კერძოდ საბაწმინდის ქართულ კოლონიაში არაბული ენა, როგორც ირკვევა, ფართო გავრცელებით სარგებლობდა; ძველ ქართულ ხელნაწერებს, რომლებიც პალესტინაში და სინაზე არის გადაწერილი, დართული აქვს ხოლმე არაბული მინაწერები, ქართველ გადამწერთა მიერ შესრულებული. ძველის გამოქვეყნებას არაბულ ენაზედაც ქართულის გვერდით ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ამგვით თხზულება მისაწვდომი ხდებოდა საბაწმინდაში მოღვაწე არაქართული წრეებისათვის.

•

აქ საჭიროა შევეხეთ ამ ძველის შემდგომ ლიტერატურულ ისტორიასაც. ჩვენ უკვე მოხსენებული გვქონდა, რომ ქართველმა მწერალმა ეფთიმე იბერიელმა გააცნო დასავლეთის მსოფლიოს, ბერძნულ ენაზე თარგმანებისა და გადაკეთებული ვერსიების სახით, ძველი ქართული მწერლობის ძეგლები. მათ რიცხვში ყოფილა „აბუკურამ“. ეფთიმე იბერიელის ბიოგრაფი აღნიშნავს, რომ ეფთიმეს „ნამუშავევი ახარებს შორიელთა და მახლობელთა, და თარგმნილთა მისთა წიგნთა სიტკბოებამ ვითარცა ნესტვი (საყვირი) ოქროსაჲსა ხმამალალი ოხრის (ღაღადებს) ყოველსა ქვეყანასა, არა ხოლო ქართლისასა (საქართველომსასა), არამედ საბერძნეთისაცა, რამეთუ ბალაჰვარი და აბუკურამ და სხვანცა რაოდენნიმე წერილნი ქართულისაჲს თარგმნნა ბერძნულად“.

(თავისთავად ეს გარემოებაც, რომ ეფთიმე იბერიელმა საჭიროდ დანიხა ეთარგმნა ბერძნულად, ქართული მწერლობის სხვა საჩინო ძეგლებთან ერთად, აგრეთვე „აბუკურამ“-ც, იმისი მაჩვენებელია, რომ „აბუკურამ“ ქართული წარმოშობის ძეგლი იყო).

რაც შეეხება „აბუკურამ“-ს არაბულ ვერსიას, მისი შემდგომი ისტორია ასეთი იყო:

1. როგორც მოხსენებული გვქონდა, მე-10 საუკუნის დასასრულს (როგორც ირკვევა ქალაქ ედესაში) არაბულ ენაზე შეუდგენიათ აპოკრიფული ჰაგიოგრაფიული თხზულება — თეოდორე ედესელის ცხორება; ამ აპოკრიფის შედგენისას გამოუყენებიათ ჩვენი ძეგლი «მოთხრობა აბუკურამისი», რომელიც აპოკრიფის ავტორს ცალკე ეპიზოდის სახით ჩაურთავს თეოდორე ედესელის ცხორებაში.

2. მას შემდეგ, მე-11 საუკუნეში, ეს აპოკრიფი — თეოდორე ედესელის ცხორება — უთარგმნიათ არაბულიდან ბერძნულად.

3. უფრო გვიან, მე-11 — 12 საუკუნეებში, თეოდორე ედესელის აპოკრიფი უთარგმნიათ ბერძნული ენიდან ქართულ ენაზედაც.

ასეთია მოკლედ ლიტერატურული ისტორია ამ ძეგლისა „მოთხრობა აბუკურამისი“. ჩვენ აქ შევეხეთ საკითხის მხოლოდ ზოგიერთ მხარეს, ისიც

ზოგადად. „აბუკურამ“-ს ქართული ტექსტის წარმოშობის საკითხი და შემდგომი ლიტერატურული ისტორია განხილული გვაქვს მთელი მოცულობით სპეციალურს მონოგრაფიაში, რომელიც დამზადებულია გამოსაცემად¹.

3.

მე-8 საუკუნის მოღვაწეთა შესახები ძველი ბიოგრაფიული ძეგლების მასშტაბები და გადაშუშავებული პირები.

(შენიშვნა 3, გვ. 124)

1. ბიოგრაფია მე-8 საუკუნის მოღვაწის იოანე კათალიკოსისა (750 — 760 წწ.) არ მოღწეულა ჩვენს დრომდე, მაგრამ ირკვევა, რომ ეს ძეგლი ხელთა ჰქონია მე-11 საუკუნის ქართველ მწერალს ბასილი კათალიკოსს (ვაჩეს-ძეს), როდესაც იგი წერდა თხზულებას, ცნობილს შემდეგი სათაურით: „თხრობა სასწაულთათვის... შიომთა, რომელი ესე, სხვათა მიერ აღწერილი აღგილ-ადგილ, ერთად შემოჰკრება ბასილი კათალიკოს-მან, ძემან დიდისა პატრიკისა ვაჩესმან“.

ბასილი ვაჩეს-ძის ამ თხზულების ერთ თავში (მეათეში) მოთხრობილია იოანე კათალიკოსის შობის ამბავი, მისი მონათვლა შიომღვიმეში ელია მღვიმელის მიერ, და შემდეგ ათი წლის ყრმის იოანესი მიზარება შიომღვიმეში. ბასილი ვაჩეს-ძე ამაზე ამთავრებს მოთხრობას, რადგან ბასილი ვაჩეს-ძეს, თანხმად მისი თხზულების გეგმისა, შეჰქონდა თავის თხზულებაში მხოლოდ ის ამბავი, რაც შიომღვიმესთან იყო დაკავშირებული. ამ თავს იოანე კათალიკოსის შესახებ ბასილი ვაჩეს-ძე ამთავრებს შემდეგი შენიშვნით: „ესე ყრმა არს იოანე ქართლისა კათალიკოსი, რომელი ყოვლითურთ სწორ იქმნა იოანე ოქროპირისა, რომლისა სათნოებანი და საქმენი უკუეთუ ვისმე უნდეს ცნობად, მიიღეთ კვლად მისთვის აღწერილი წიგნი და მუნით სცნობდინ“.

ამრიგად, ბასილი ვაჩეს-ძე, თავისი თხზულების გეგმასთან შეფარდებით, თუმცა მხოლოდ ეპიზოდურად ეხება იოანე კათალიკოსს, მაგრამ ამავე დროს მიუთითებს მკითხველს ცალკე წიგნზე, რომელშიაც აღწერილი ყოფილა იოანე კათალიკოსის „საქმენი“, და საიდანაც მკითხველს შეეძლო სრულად გაეცნო ამ გამოჩენილი მოღვაწის ცხოვრება.

2. სარმეან კათალიკოსის ბიოგრაფია. სარმეან ქართლისა კათალიკოსი (კათალიკოსად იყო მე-8 საუკუნის 70-იან წლებში) კანონიზირებული იყო ქართული ეკლესიის მიერ, როგორც ეს აღნიშნულია ძველ-ქართულ „კანონ“-ში². ამის გამო საფიქრებელი იყო, რომ არსებობდა სარმე-

¹ წაკითხული იყო მოხსენებად რუსთაველის ინსტიტუტის საჯარო სხდომაზე 1934 წელს. მონოგრაფიაში თან ერთად დამზადებულია გამოსაცემად კრიტიკულად დადგენილი ტექსტები: „აბუკურამ“ და „ქება საბაწმინდისა და საბაწმინდელთა“.

აღნიშნაეთ ამასთან ერთ მძიმე შეცდომას, რომელიც ამ ტექსტების შესახებ პატივემულ პროფ. კ. კეკელიძეს მოსვლია. პროფ. კ. კეკელიძეს დაბეჭდილი აქვს ეს ტექსტები (გაერთიანებულად) Keimena-ში, გვ. 165—173, მაგრამ კ. კეკელიძეს ვერ შეუძენია, რომ როგორც „აბუკურამ“, ისე „ქება“ ლექსად არის ნაწერი, ამასთან გართიმულია, და ორივე ნაწარმოები გაბმული პროზაული ტექსტის სახით დაუბეჭდავს.

² იხ. „კანონის“ პარიზული ხელნაწერი (პროფ. გუსენის გამოცემა, München-Gladbach, 1923. ფოტოპირები „კანონის“ პარიზული ხელნაწერისა მოიპოვება საქ. მუზეუმში, Q-520).

ანის ბიოგრაფია („ცხოვრება“). და მართლაც, ბასილი ვაჩეს-ძის ზემოთ დასახელებულ თხზულებაში მოთხრობილია ერთი ეპიზოდი სარმეანის ცხოვრებიდან, შიო-მღვიმესთან დაკავშირებული (ბასილი ვაჩეს-ძე ამ შემთხვევაშიაც კმაყოფილდება მხოლოდ ამ ერთი ეპიზოდის გადმოცემით, რადგან ავტორი, როგორც აღნიშნეთ, მხოლოდ ისეთ ამბებს ეხება, რასაც კავშირი ჰქონდა შიო-მღვიმესთან). რაჟი ბასილი ვაჩეს-ძე თავის თხზულებაში ემყარება წერილობითს წყაროებს (მან შეკრიბა, როგორც აღნიშნულია ზედწერილში, „სხვათა მიერ აღწერილი ადგილ-ადგილ“), ამის გამო საფიქრებელია, რომ ეს ეპიზოდი სარმეანის ცხოვრებიდან ბასილი ვაჩეს-ძეს, ჩანს აღუწერია სარმეანის ძველი ბიოგრაფიის საფუძველზე.

3. მე-8 საუკუნის მოღვაწის არჩილ მეფის წამების ამბავი რამდენჯერმე ყოფილა აღწერილი:

ა. პირველად, მოკლე მოსახსენებლის სახით, არჩილის წამება აღუწერია მე-8 საუკუნის ქართველ მწერალს ლეონტი მროველს. ეს ტექსტი ჩვენ დრომდე პირვანდელი სახით არ შენახულა.

ბ. მას შემდეგ, მე-11 საუკუნეში, ლეონტი მროველის ძველი ტექსტი გადაუმუშავებია და შეუტისა მე-11 საუკუნის მწერალს იოანე დეკანოზს. იოანე დეკანოზის მიერ გადამუშავებული ტექსტი არჩილის წამებისა დაუკულია „ქართლის ცხოვრების“ კრებულში (იხ. ზემოთ, გვ. 424 — 425).

გ. უფრო გვიან, მე-12 საუკუნეში, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს მე-13 საუკუნის დასაწყისისა, უცნობ ქართველ ჰაგიოგრაფს დაუწერია ვრცელი „მეტაფრასული“ მოთხრობა არჩილის წამების შესახებ. ეს ტექსტიც აგრეთვე მოღწეულა ჩვენს დრომდე.

4. მე-8 საუკუნის მოღვაწეთა დავით და კონსტანტინეს წამების ამბავი აღწერილია ძველში, რომელიც ატარებს სათაურს: „წამება და ღვაწლი... დავით და კონსტანტინესი, რომელნი იწამნეს ქვეყანასა ჩრდილოეთისასა, სანახებსა არგვეთისასა, საბრძანებელსა ქართველთასა, შემდგომად დიდისა მის და მადლისა მეფისა მიცვალებისა ვახტანგ გორგასლისა, რომელმან მეფობა ყოვლისა ქვეყანისა საფლავად შთაიტანა, უღმრთოჲსა მის და მძღაერისა სპარსთა მეფისა მურვან აბულ კასიმისაგან, რომელსა იგი სახელნართაულად ერქვა ყრუ, დის-წული მუჰმედ ყოვლად საძაგელისა შოციქულისა“.

ეს ჰაგიოგრაფიული თხზულება, რომელიც შენახულა ჩვენს დრომდე, დაწერილია მე-11 საუკუნეში. შაგრამ დავით და კონსტანტინეს წამების ამბავი, როგორც ირკვევა, ამაზე ადრეც ყოფილა აღწერილი. მე-11 საუკუნის ავტორს აღნიშნული აქვს, რომ მას თავისი ჰაგიოგრაფიული თხზულების შედგენის დროს ხელთა ჰქონდა დავით და კონსტანტინეს შესახები ძველი ტექსტი ანუ „ძველნი უწყებანი“.

უძველესი ჩვენს ღრმადე მოღწეული დედანი ამ ძეგლისა — „ქებაჲ ქართულისა ენისაჲ“ — გადაწერილია საბაწმიდაში 962 წელს, ცნობილი ქართველი ჰიმნოგრაფის და ნეკანური ბიბლიოფილის იოანე-ზოსიმეს მიერ¹.

იოანე-ზოსიმე, ჩანს, დიდის ინტერესით ეკიდებოდა ამ მართლაც შრავალგვარად შესანიშნავ ნაწარმოებს, და გარდა 962 წელს გადაწერილი პირისა, მას ამის შემდეგ სამჯერ გადაუწერია ეს ნაწარმოები '979, '981 და 981-2 წლებში².

რაკი ეს ძეგლი მოღწეულა იოანე-ზოსიმეს მიერ გადაწერილი პირების სახით, არსებობს შეხედულება, რომ ავტორი ამ ძეგლისა იყო თვით იოანე-ზოსიმე. მაგრამ ტექსტის მონაცემები და ამას გარდა თვით ხელნაწერთა შესწავლა არ ამართლებს ასეთ აზრს.

ჯერ ერთი, იოანე-ზოსიმეს მიერ გადაწერილ პირებში მოიპოვება ისეთი ხასიათის შეცდომები, რაც სრულებით ამახინჯებს აზრს; ავტორის მიერ გადაწერილ ნუსხაში ყოვლად წარმოდგენილია ადგილი ჰქონოდა ამგვარ შეცდომებს³. ცხადია, ეს თხზულება დაწერილი ყოფილა ბევრად ადრე და იოანე-ზოსიმეს ხელთა ჰქონია ისეთი ღედნები ამ ძეგლისა, სადაც ტექსტი უკვე დაზიანებული ყოფილა მრავალგზისი გადაწერის პროცესში.

ამას გარდა, რომ იოანე-ზოსიმე არ ძრის ავტორი ამ ძეგლისა, ეს სრულიად უდავოდ ირკვევა შემდეგის მიხედვით:

„ქებაჲ“-ს ავტორი, სხვათა შორის, იჩერდება ქართული წელთაღრიცხვის ერთ თავისებურებაზე, სახელდობრ წლების ზედმეტობაზე, და ამაში „ქებაჲ“-ს ავტორი ხედავს პროვიდენციალურ მოვლემას; იგი ამას თვლის „სასწაულად“, ლვათებრივ კეშმართებად, საოღანაც მტკიცდება, რომ ქართული ენა არის რჩეული ენა, უპირატესი სხვა ენებზე.

ხოლო იოანე-ზოსიმეს წლების ზედმეტობა ქართულ წელთაღრიცხვაში არათუ არ მიჩნია პროვიდენციალურ მოვლენად, ყრამედ, პირიქით, იგი მას თვლის შეცდომად, „მოცთუნებად“. ქრონოლოგიურ ტრაქტატში „გამოძიებისათვის ქართული ენისა და წელთა“ იოანე-ზოსიმე საგანგებოდ აღნიშნავს: „ას-და-ათორმეტითა წლითა წინამთ თვალვენ ქართველნი ქრონიკონისა თავისა და წყებასა ვისისაგანმე მოცთუნებითა“.

ამრიგად ცხადია, რომ ავტორი ამ ძეგლისა არ არის იოანე-ზოსიმე; იოანე-ზოსიმეს მხოლოდ გადაუწერია ძველი წარმოშობის ქართული ტექსტი.

¹ ეს დედანი დაცულია ტიშნორფისეული პალმფესტების კოლექციაში (ლენინგრადის საქარო წიგნთსაცავი, Gr—VII).

² უკანასკნელი სამი პირი იოანე-ზოსიმეს გადაუწერია მას შემდეგ, რაც იგი საბაწმიდიდან გადავიდა სინას მთაზე. ეს უკანასკნელი სამი პირი დაცულია სინას მთის ხელნაწერებში №№ 12/38, 83/32 — 33 და 71/6.

³ ასე, მაგალითად, უნდა იყოს „მესისა“, წერია „მისისა“; უნდა იყოს „წილი“, წერია „წერილი“; უნდა იყოს „ას-ოთხა“, წერია ერთ შემთხვევაში „ასი“, მეორე შემთხვევაში „ოთხმცდაოთხმეტი“; და სხვა. (ამას გარდა ერთ ადგილას არეულია ტაეპთა რიგი).

იოანე ბოლნელის თხზულებანი.

როდის ცხობროვდა იოანე ბოლნელი

(შენიშვნა 5, გვ. 140).

იოანე ბოლნელის ნაწარმოებში დაცულია შემდეგს ძველ-ქართულ ხელნაწერებში:

- A = პ ა რ ხ ა ლ უ რ ი მ რ ა ე ა ლ თ ა ე ი. გადაწერილია მე-10 საუკუნეში მესხეთში, პარხალში (ხელნაწერი საქ. მუზ. A — 95).
- B = ს ა კ ა ე ე კ ა ს ი ძ ო ს მ რ ა ე ა ლ თ ა ე ი. გადაწერილია მე-10 საუკუნეში მესხეთში, საკაეკასიდოს თემში (ხელნაწერი საქ. მუზ. A — 144).
- C = ა თ ო ნ უ რ ი მ რ ა ე ა ლ თ ა ე ი. ხელნაწერი გადაწერილი უნდა იყოს ქართლში, შიომღვიმეში (მინაწერში მოიხსენება ნიკოლა მღვიმელი), ხოლო შემდეგ გაუტანიათ ათონზე და დაცულია ათონის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში (№ 80). ხელნაწერი, ჩანს, არ არის მე-10 საუკუნეზე გვიანდელი, რადგან ამ ვრცელ კრებულში არ არის მოხვედრილი მთაწმიდელთა სკოლის არც ერთი ტექსტი.
- D = ს ი ნ უ რ ი კ რ ე ბ უ ლ ი. ხელნაწერი გადაწერილი უნდა იყოს კახეთში (მინაწერში მოიხსენება ერისთავთ-ერისთავი ვოლერძი), ხოლო შემდეგ გაუტანიათ სინას მთაზე და დაცულია სინას ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში (№ 79 — პრაფ. ა. ცაგარელის კატალოგიით). ხელნაწერი, ჩანს, მე-10 საუკუნეზე გვიანდელი არ არის (ნაწერია ასომთავრულით).
- E = კ რ ე ბ უ ლ ი, ხელნაწერი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა A — 70. გადაწერილია მე-13 საუკუნეში.

დასახელებულ ხელნაწერებში შენახულა იოანე ბოლნელის 15 ნაწარმოები:

1. ფარისევლისა მისთვის, და დედაკაცისა შინთვის ცოდვილისა, რომელმან სცხო ნელს-ცხებელი უფალსა (ხელნაწერებში ACD).
2. ეკრძალენით ქველის-საქმესა თქვენსა, რათა არა ჰყოფდეთ წინაშე კაცთა, სახილველად მათა (ხელნაწერებში ABCD).
3. ასთა მათ ცხოვართა იგავისათს (ხელნაწერებში ABCD).
4. ორთა მათ ძეთათს (ხელნაწერებში CD).
5. ფარისევლისა მისთვის და მეზუერისა (ხელნაწერებში ABCD).
6. კაცისა მისთვის, რომელი შეეარდა ხელსა ავაზაკთასა და იწყულა (ხელნაწერებში ABCD).
7. მდიდრისა და ღაზარესთვის (ხელნაწერებში ABCD).
8. ღაზარესთვის, და დაჯდომისათს უფლისა კიცუსა ზედა, და შესლვისათს იერუსალიმად და შესხმისათს ყრმათასა (ხელნაწერებში ACD).
9. ახალკერაკისათს, თომას ურწმუნოებისათს და მერმე კუალად სარწმუნოებისათს (ხელნაწერებში BC).
10. საკითხავი მოციქულთაი (ხელნაწერში B).
11. რაჟამს ო ~ ნ ჩ ~ ნმან ფერი იცვალა ზედა მთასა წ ~ ასა თაბორსა. (ხელნაწერში C).
12. სატფურებისათს წ ~ თა ეკლესიათასა, რომელსა ჰყოფენ იერუსალიმსა. (ხელნაწერში C).
13. მღვდელთ-მოძღუართათს (ხელნაწერში, A).
14. მარხეთა განწესებისათს (ხელნაწერში E).
15. ღვინის მსუშელთათს და მომთრეალებთათს (ხელნაწერში E).

როდის ცხოვრობდა იოანე ბოლნელი?

პლატონ იოსელიანის მიერ თავის დროზე გამოთქმული იყო მოსაზრება (ყოველგვარი დასაბუთების გარეშე), თითქო იოანე ბოლნელი მოღვაწეობდა მე-10 — 11 საუკუნეთა საზღვარზე. ამ შეხედულებას მას შემდეგ უკრიტიკოდ იმეორებენ სხვებიც (მ. ჭანაშვილი, კ. კეკელიძე და სხვ.). მაგრამ ასეთი შეხედულება არავითარ რეალურ ავთენტიურ საბუთს არ ემყარება და მოკლებულია საფუძველს.

ხელნაწერების გაცნობა და იოანე ბოლნელის ტექსტის შესწავლა ცხადყოფს, რომ იოანე ბოლნელი უფრო ადრინდელი ხანის შწერალია.

ჯერ ერთი, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იოანე ბოლნელის თხზულებანი დატულია მთელ რიგ ხელნაწერებში, რომლებიც როგორც პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, ისე შემადგენლობის მიხედვითაც, მე-10 საუკუნეზე გვიან დროს ვერ მიეკუთვნება¹.

ხოლო რაც მთავარია, მე-10 საუკუნის ხელნაწერებში იოანე ბოლნელის თხზულებათა ტექსტი წარმოდგენილია ისეთი ვარიაციებით, ხელნაწერთა წაკითხვა მთელ რიგ შემთხვევებში ისე მნიშვნელოვნად არის დატოლებული ერთმანეთს, რომ იოანე ბოლნელის თხზულებანი, ჩანს, მრავალგზის გადაწერილია, ვიდრე ისინი მე-10 საუკუნის ამ ხელნაწერებში მოხვდებოდნენ.

ამის მიხედვით იოანე ბოლნელის ცხოვრების თარიღი ვერ გადმოსცალდება მე-9 საუკუნეს, ყოველ შემთხვევაში მე-9—10 საუკუნეთა შორის.

ეს რაც შეეხება ხელნაწერთა ჩვენებას თარიღის საკითხის გამო.

იოანე ბოლნელის ცხოვრების დროის უფრო ზუსტად განსაზღვრისათვის ცნობებს იძლევა ებიგრაფიკული მასალები, აღმოჩენილი ბოლნისში, სადაც მოღვაწეობდა იოანე ბოლნელი.

ბოლნისში გათხრების დროს აღმოჩენილ იქნა იოანე ბოლნელის საფლავის ქვა, წარწერით.

ამას გარდა ბოლნისში მოიპოვება მეორე წარწერა, რომელიც პალეოგრაფიულად მხარით სავსებით იდენტურია იოანე ბოლნელის საფლავის ქვის წარწერასთან და რომელშიაც მოიხსენება გურგენ ერისთავთა-ერისთავი².

¹ ეს განსაუბრებით უნდა ითქვას A-ხელნაწერზე, რომელიც მე-10 საუკუნის ტიპური ნუსხურით არის გადაწერილი, ასევე D-ხელნაწერზე, რომელიც ასომთავრულით არის ნაწერი (ასომთავრულით მე-10 საუკუნის შემდეგ იწერებოდა სახარებისა და „საღმრთო წერილის“ ტექსტები, ისიც არა ყოველთვის, — ასე, ათონური ბიბლია 978 წლისა უკვე ნუსხურით არის ნაწერი, — ხოლო სხვა ტექსტების გადაწერისას ასომთავრული მე-10 საუკუნის შემდეგ აღარ იყო ხმარებანი და ჩვეულებრივ ნუსხური იყო მრღებელი). აღსანიშნავია ამასთან, რომ მრავალთავებში, რომლებშიაც შეტანილია იოანე ბოლნელის თხზულებანი, არ მოიპოვება არც ერთი ტექსტა ათონელთა სკოლისა, რაც აგრეთვე გვიჩვენებს, რომ ეს მრავალთავები მე-10 საუკუნეზე გვიანდელი არ არის.

² ეს წარწერები, ფორტიპირების დართვით, გამოცემული აქვს ლ. მუსხელიშვილს წერილში „ბოლნისი“ (ავტ. ნ. შარის სახელობის ენისა, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის შიანბე, III, ტფ., 1938 წ., გვ. 337—339 და 341—342).

რა დროს ეკუთვნის ეს წარწერები?

წარწერები უთარილოა. წარწერების გამომცემელი ლ. მუსხელიშვილი, ანგარიშს უწევდა რა იოანე ბოლნელის ცხოვრების დღემდე მიღებულ ქრონოლოგიას, ამ უთარილო წარწერებს მიაკუთვნებდა მე-10 საუკუნეს.

მაგრამ ეს წარწერები, როგორც ირკვევა, უფრო აღრინდელია.

1. ჯერ ერთი, იოანე ბოლნელის საფლავის ქვის წარწერაში აღსანიშნავია, კერძოდ, ერთი პალეოგრაფიული თავისებურება, „უ“-ს თავშეკრული დამწერლობა, რაც უჩვენებს, რომ წარწერა მე-9 საუკუნეზე გვიანდელი არ უნდა იყოს.

2. მეორე წარწერაში, როგორც აღვნიშნეთ, მოიხსენება გურგენ ერისთავთა-ერისთავი. ვინ არის ეს პირი?

მე-9 საუკუნის მეორე ნახევარში თრიალეთ და ტაშირის ქვეყნები (და კერძოდ ბოლნისის მხარე) შედიოდა მესხეთის ბაგრატიონთა სამფლობელოში

876—891 წლებს მანძილზე, მესხეთის ბაგრატიონთა სახლში, როგორც ცნობილია, ადგილი ჰქონდა მეტოქეობას სამ შტოს შორის, რომელთა წარმომადგენელი იყვნენ: დავით კურაპალატი (ბაგრატიონ-ძე), ნასრ ერისთავთ-ერისთავი (გვარამის-ძე)¹ და გურგენ ერისთავთ-ერისთავი (ადარნერსეს-ძე).

თრიალეთისა და ტაშირის ქვეყნები უპირატესად მოქცეული იყო ნასრის გავლენის სფეროში. მაგრამ ამასთან გურგენ ერისთავთ-ერისთავი, როგორც ირკვევა, ნასრის თამამფლობელი ყოფილა ამ პროვინციებში. ძველ-ქართულ საისტორიო ძეგლში „მატიანე ქართლისაჲ“-ში აღნიშნულია, რომ როდესაც დავით კურაპალატსა და ნასრს შორის წარმოებდა ბრძოლა თრიალეთის პროვინციის გამო, და საერთოდ ქართლში უპირატესობის მოპოვებისათვის, დავითის საწინააღმდეგო კოალიციაში ერთად მოქმედებდნენ „ნასრ, ბიძის-ძე ამა დავით კურაპალატისა და გურგენ“². ამას ადგილი ჰქონდა 876—881 წლებში.

შემდგომი ისტორია ამ მეტოქეობისა ჩვენთვის ამჟამად საინტერესო არ არის და ამაზე აქ აღარ გავაგრძელებთ სიტყვას. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ზემოთ დასახელებული წარწერა, რომელშიაც მოიხსენება გურგენ ერისთავთ-ერისთავი, ჩანს, ამოკრილია მე-9 საუკუნის 70-იან წლებში, 881 წლამდე. რომ წარწერა არაა უგვიანესი 881 წლისა, ეს ჩანს იმის მიხედვით, რომ გურგენს აქ მიემართება ტიტული „ერისთავთ-ერისთავისა“ (ხოლო 881 წელს გურგენმა უკვე მიიღო ტიტული „კურაპალატისა“. გურგენ კურაპალატად იყო 881—891 წლებში და დაიღუპა ბრძოლაში 891 წელს).

როგორც ვხედავთ, ამ ეპიგრაფიკული ძეგლის თარიღი უდგება იოანე ბოლნელის ცხოვრების იმ თარიღს, რომელიც ჩვენ ზოგადად დავადგინეთ ხელნაწერთა ჩვენების საფუძველზე.

ამრიგად, იოანე ბოლნელი, როგორც ირკვევა, მოღვაწეობდა მე-9 საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ბოლნისის მხარე მესხეთის ბაგრატიონთა სამფლობელოში შედიოდა (შემდგომი ისტორია ამ მხარისა, როგორც ცნობი-

¹ ნასრ. მეკვიდრე გვარამისა, ჯერ კიდევ შამის სიციხეში, შამის მოხუცებულობის დროს, ხდება ფაქტიური მფლობელი და აქტიურ პოლიტიკას აწარმოებს (იხ. „მატიანე ქართლისაჲ“ და სუმბატ დავითის-ძე „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“).

² იხ. ქართლის ცხოვრება გვ. 224 და შენიშვნა 6 (ე. თაყაიშვილის გამოცემა).

ლია, ასეთი იყო: მე-9 საუკუნის დასასრულში მესხეთის ზაგრატიონები ჰყარ-
გავენ ტაშირის ქვეყნებს, და მას შემდეგ, მე-10 — 11 საუკუნეებში ეს მხარე
სომხების გავლენის ზონაში მოექცა. ამდროს ბოლნისი, საფიქრებელია, უკვე
აღარ წარმოადგენდა ქართული კულტურის ისეთ მნიშვნელოვან ცენტრს,
როგორც იოანე ბოლნელის დროს ყოფილა).

ჩაკი იტყვება, რომ იოანე ბოლნელი მოღვაწეობდა მე-9 საუკუნის მეორე
ნახევარში, სწორედ იმ ხანაში, როდესაც ბოლნისის მხარე მესხეთთან იყო
დაკავშირებული, გასაგები ზღედა ის დიდი პოპულარობა, რომელიც მოუპო-
ვებია იოანე ბოლნელს კერძოდ მესხეთში. იოანე ბოლნელის ქადაგებანი
ვრცელდება მესხეთში, მისი თხზულებანი შეაქვთ მესხეთში შედგენილ „მრავ-
ალთავებში“ (იოანე ბოლნელს პოპულარობა იმდენად დიდი ყოფილა, რომ
იოანე ბოლნელის თხზულებანი შეუტანიათ „მრავალთავებში“ ნაცვლად
იოანე ოქროპირის თხზულებათა; „მრავალთავეს“ ერთ-ერთ განყოფილებაში,
სადაც წინათ ოქროპირის ტექსტებს ათავსებდნენ, ოქროპირის მაგიერ მო-
თავსებულია იოანე ბოლნელის თხზულებანი).

o.

მაიაური მოთხრობა ფარსმან ქველის შესახებ ლეონტი მროველის თხზულებაში

(შენიშვნა 6, გვ. 204).

ლეონტი მროველის ეპიკური მოთხრობა ფარსმან ქველის შესახებ განსა-
კუთრებულ ინტერესს წარმოადგენს იმ მხრივ, რომ იგი შეიცავს გადანაშთს
უძველესი ხანის ქართული ფოლკლორული საისტორიო ეპოსიდან, რომელიც
შექმნილა ძველი იბერიის განთქმული მიწის ფარსმან I-ის შესახებ, რომე-
ლიც მეფობდა პირველ საუკუნეში (30-იანი — 60-იანი წლები), ჯა რომლის
დროსაც იბერია წარმატებით უწყევდა მეტოქეობას ირანის იმპერიას¹.

ფარსმანის ეპოსს, როგორც ეს ჩანს თვით ლეონტი მროველის სიტყვ-
ებიდან, მოუთხრობდნენ სახალხო რაფსოდები, „მგოსანნი“.

ბევრნაირად საგულისხმოა შედარება ლეონტი მროველის ეპიკური მოთხ-
რობისა ფარსმან ქველის შესახებ, და რომელიც ისტორიკოსის ტაციტის მო-
თხრობისა ფარსმან I-ის შესახებ.

ამ შედარებიდან ჩვენ ვხედავთ, რომ ძველ-ქართულ ხალხურ საისტო-
რიო ეპოსში, რომელიც გამოუყენებია ლეონტი მროველს, საკმაო სისრულითა
და სინამდვილით ყოფილა ასახული იბერიის ძველი ნაციონალური გმირის
ფარსმანის სახე.

¹ აღენიშნავთ ამასთან, რომ ფარსმან ქველი ქართული მატიაწეებისა ქრონოლოგიურად
თუმცა უდგება ფარსმან II-ეს (რომელიც კლასიკურ წყაროებში მეორე საუკუნის პირველ ნა-
ხევარში მოიხსენება), მაგრამ კერძოდ ჩვენი ავტორის ლეონტი მროველის თხზულებაში, რო-
გორც ეს დასტურდება მოთხრობის ანალიზიდან, ფარსმან ქველი იდენტიფიცირებულია ფარ-
სმან I-თან, ფარსმან ქველზე გადატანილია უმოკრესად ის თქმულებანი, რომელიც შექმნი-
ლა ფარსმან I-ის სახელის გარშემო.

ეპიკური მოთხრობა, ლეონტი მროველისა ხვდება ისტორიკოსის მოთხრობას არა მხოლოდ ზოგადი სურათის გადმოცემისას, არამედ ზოგჯერ დეტალბშიაც კი.

ასე, ტაციტი მოგვითხრობს, რომ როდესაც იბერიისა და მოკავშირეთა ჯარი ფარსმანის მოთავეობით შეხვდა პართეველთა (ირანელთა) ჯარს გადამწყვეტ ბრძოლაში, რომელიც იბერიელთა გამარჯვებით დასრულდა, ფარსმანმა ომის დაწყებისას სიტყვით მიმართა იბერიელთა ლაშქარს. „ფარსმანი, — გადმოგვცემს ტაციტი, — მიუთითებდა თავისიანებს იმაზე, რომ ისინი (იბერიელი) არასოდეს არ ყოფილან პართეველთა ბატონობის ქვეშ; რომ რაც უფრო მეტი იქნება, მათი (იბერიელთა) გულმოდგინება, მით უფრო მეტი დიდებას მოიპოვებენ ისინი გამარჯვების შემთხვევაში; ხოლო მით უფრო მეტი შერცხვენა იქნება, და ხიფათშიაც ჩავარდებიან, თუკი ზურგს უჩვენებენ მტერს. ამასთან ფარსმანმა, მიუთითა რა თავის ლაშქარის მრისხანე სიმწყობრეზე, და ამავე დროს მიდიელთა (ირანელთა) ჯარზე, რომელიც ოქრომკედლი ნაქარგი ტანისამოსით ბრწყინავდა, წარმოთქვა: „აქ ვაჟაკებია, იქ კი დავლა!“

ასევე ლეონტი მროველის მოთხრობის მიხედვითაც, როდესაც ქართველთა და მოკავშირეთა ჯარი შეხვდებოდა ირანელთა ჯარს გადამწყვეტ ბრძოლაში, ფარსმანი, ვიდრე ბრძოლა გაიშლებოდა, დასცემს მარტობაშიაში სპარსთა ბუმბერაზს და მიმართავს ქართველთა ლაშქარს: „შიქცა სპისა მისისა კერძო (ფარსმანი ქველი) და პრქვა: „აჰა, ლომნო მძვინვარენო, ცხოვარნი დასეტყულნი!“

ამის შემდეგ იმართება გადამწყვეტი ბრძოლა, რაც ირანელთა დამარცხებით დასრულდება.

აქ ერთიმეორეს ხვდება ისტორიკოსის მოთხრობა (ტაციტისა) და ეპიკური თხრობა (ლეონტი მროველისა) არა მხოლოდ საერთო სურათის გადმოცემისას, არამედ თვით იმ სიტყვებშიაც კი, რომლითაც ფარსმანი მიმართავს თავის ჯარს (ტაციტი: „აქ ვაჟაკებია, იქ კი დავლა!“ ეპოსით: „აჰა, ლომნო მძვინვარენო, ცხოვარნი დასეტყულნი!“).

რასაკვირველია, სრულებით გამოირიცხულია შესაძლებლობა, რომ ლეონტი მროველი იცნობდა ტაციტის ტექსტს. (ამ ეპოქაში ტაციტი არ იყო ცნობილი არათუ საქართველოში, არამედ ბიზანტიაშიც კი) ¹.

ამის გამო შეხვედრა ძველი რომაელი ისტორიკოსის მოთხრობისა და ლეონტი მროველის ეპიკური თხრობისა (შეხვედრა თუმცა ზოგადი, შავრამ ბევრნაირად ნიშანდობლივი) იმისი მაჩვენებელია, რომ ლეონტი მროველის თხზულებაში წარმოდგენილი თქმულება ფარსმანი ქველის შესახებ არაა მწიგნობრულად შეთხზული, არამედ ძირითად ზაზეშში, ჩანს, მართლაც ემყარება ზალხურ საისტორიო ეპოსს ფარსმანის შესახებ, რომელშიაც ამ ძველი ნაციონალური გმირის სახე საკმაო სისრულითა და სინამდვილით ყოფილა ასახული. ლეონტი მროველის მხრით, როგორცა ჩანს, არ არის ლიტონი განცხადება,

¹ ლეონტი მროველი რომ არ იცნობდა ტაციტს, ეს იმდენად უდავო დებულებაა, რომ ამაზე სიტყვის ვაერტლება ზედმეტად მივაჩნია (არსად სხვაგან ლეონტი მროველის თხზულებაში არა ვაჟქეს ტაციტის გავლენის რაიმე კვალი, ხოლო ლეონტი მროველს თუკი სცნობდა ტაციტის თხზულება, იგი, ცხადია, გამოუყენებელს არ დატოვებდა იმ უხე ცნობებს, რაც ტაციტს მოეპოვება).

როდესაც იგი წერს, რომ „ყოველთა შინა ქალაქებთა და დაბნებთა დასხდრიან მგოსანნი გლოვისანი. და შეკრბიან ყოველნი, და იხსენებდიან სიქველესა და სიმზნესა, და სიმშვენიერესა და სახიერებასა ფარსმან ქველისასა...“ ძველი ფოლკლორული საისტორიო ეპოსი ფარსმანის შესახებ, რომელსაც მოუთხრობდნენ მგოსანნი, ჩანს, შატალაც არსებულა, და იგი გამოუყენებია ლეონტი მროველს, როდესაც მან თავის თხზულებაში ფარსმან ქველის სახე დაგვიხატა.

7.

არსანი საზარალის თხზულების დამთარიღებისათვის

(შენიშვნა 7, გვ. 222).

როდის არის დაწერილი ძველ-ქართული ისტორიოგრაფიის შნიშვნელოვანი ძეგლი — „გ ა ნ ყ ო ფ ი ს ა თ ვ ი ს ქ ა რ თ ლ ი ს ა დ ა ს ო მ ხ ი თ ი ს ა“, რომელიც ეკუთვნის შწერალ არსენი საფარელს (კათალიკოსს), — ეს კითხვა გამოჩვეულად ვერ ჩაითვლება.

ამ ნაწარმოების თარიღი დაზუსტებას საჭიროებს, რადგან ამ ძეგლის თარიღის საკითხთან ნაწილობრივ დაკავშირებულია ძველი ქართული მწერლობის ზოგიერთ სხვა ნაწარმოებთა დამთარიღებაც.

თავდაპირველად საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ქართულ წყაროებში მე-10 საუკუნემდე მოიხსენება ორი კათალიკოსი, რომელნიც არსენის სახელს ატარებდნენ. ორივე ისინი შწერლები იყვნენ.

არსენი, რომელსაც შიემართება სახელწოდება „დიდი“, და რომელიც იყო მოწაფე გრიგოლ ხანძთელისა, კათალიკოსად იყო მე-9 საუკუნეში (დაახლ. 845 — 877 წწ.). იგი არის ავტორი თხზულებისა, რომელიც ატარებს სათაურს:

„შესხმაი და მოსაყენებელი წამებისა... აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსისა, რომელი იწამა ცეცხლის-მსახურთა მიერ ქართლს, თქუმული არსენი დიდი, ქართლისა კათალიკოსისა“.

მეორე არსენი კათალიკოსად იყო მე-10 საუკუნეში (დაახლ. 955 — 980 წწ.). იგი არის ავტორი თხზულებისა, რომელიც შემდეგ სათაურს ატარებს:

„ცხოვრება და მოქალაქობა იოანე ზედაზნელისა და მოწაფეთა მისთა, რომელთა განანათლეს ქუეყანაი ესე ჩრდილოეთისა, ზოლო აღწერა არსენი ქართლისა კათალიკოსმან, სარგებელად რომელნი ისმენენ“.

ზოლო ია ძეგლი, რომელიც აქ ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს, ატარებს ასეთ სათაურს:

„თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა არსენისა, მცხეთელ კათოლიკოსისა, რომელი იყო სანახებთაგან სამცხისთა — საფარით, განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა“.

ვინ იყო ეს მესამე არსენი და როდის ცხოვრობდა იგი? არის იგი ერთ-ერთი არსენი, რომელიც ზემოთ დავასახელებთ?

აკად. ივ. ჯავახიშვილის და პროფ. ლ. მელიქსეთბეგის მიერ (1921 წ.) გა-

მოთქმული იყო მოსაზრება, რომ არსენი საფარელი, ავტორი ამ ძეგლისა, არის იგივე არსენი დიდი, ე. ი. მე-9 საუკუნის შწერალი.

მას შემდეგ პროფ. ს. კაკაბაძემ¹ გამოთქვა მოსაზრება, რომ არსენი საფარელი მე-7 საუკუნის მწერალია, და რომ მისი თხზულება დაწერილია მე-7 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში.

პროფ. ს. კაკაბაძის დასკვნა არ არის მისაღები. არსენი საფარელის თხზულება, ცხადია, არ შეიძლება დაწერილი იყოს მე-7 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, რადგან თხზულებაში მოხსენებულია მე-8 საუკუნის ისტორიული ამბები და მოღვაწენი: მანასიერის ქრება, რომელიც 726 წელს შედგა, და სომეხთა კათალიკოსი იოანე ოძუნელი (718 — 729 წწ.).

რაც შეეხება აკად. ივ. ჭავჭავაძისა და პროფ. ლ. მელიქსეთბეგის მიერ გამოთქმულ შეხედულებას, რომ არსენი საფარელი არის იგივე არსენი დიდი, ეს შეხედულება ძირითადად ორ მოსაზრებას ემყარება:

1. წყაროებში არსენი დიდის უწინარეს არ არის მოხსენებული სხვა კათალიკოსი არსენის სახელწოდებით. მაგრამ აქ საჭიროა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ეს მოსაზრება გადამწყვეტი მნიშვნელობის ჩვენებად ვერ ჩაითვლება. საქმე ის არის, რომ ქართლის კათალიკოსთა ცოტად თუ ბევრად სრული და ზუსტი სია ჩვენ გვაქვს მხოლოდ 736 წლის ახლო დროიდან (კათალიკოს მამაძის ხანიდან). ხოლო ამაზე აღრინდელი სიები ქართლის კათალიკოსთა, როგორც ეს გამოჩვენებულია სპეციალურ ლიტერატურაში, ძალზე ნაკლებეანია, ამკარა ხარვეზების შემკველი.

2. მეორე მოსაზრება, რომელიც მოჰყავთ ამ დებულების შესამაგრებლად, რომ არსენი საფარელი და არსენი დიდი ერთი და იგივე პირია, არის ის, რომ როგორც არსენი საფარელი, ისე არსენი დიდი შესხეთიდან იყვნენ. მაგრამ ეს გარემოება, ცხადია, ვერ ჩაითვლება მათი იგივეობის დამამტკიცებელ საბუთად. შესხეთიდან არა ერთი და არა ორი, ჰრამედ მრავალნი კათალიკოსნი იყვნენ. ხოლო რაც მთავარია, წყაროების მიხედვით უფრო ის არის საფიქრებელი, რომ არსენი საფარელი და არსენი დიდი სხვადასხვა პირნი იყვნენ.

სახელწოდება ჩვენი მწერლისა — საფარელი — აღნიშნავს ან იმას, რომ არსენი საფარიდან იყო წარმოშობით, ან იმას, რომ არსენი დაკავშირებული იყო საფარასთან მოღვაწეობით (ეს უკანასკნელი უფროა საფიქრებელი, რადგან საფარა მონასტრის წარმოდგენდა. ამას ემთხვევა ისიც, რომ სასულიერო პირნი სახელწოდებას ღებულობდნენ მათი მოღვაწეობის ადგილის მიხედვით).

ხოლო რაც შეეხება არსენი დიდს, არსიდან არა ჩანს, რომ იგი ან საფარიდან ყოფილიყო წარმოშობით, ან საფარაში ემოღვაწენა. უფრო საფიქრებელია, რომ არსენი დიდი წარმოშობით იყო არა საფარიდან, ჰრამედ ვალედან². ხოლო ვიღრე კათალიკოსად აირჩევდნენ, არსენი დიდი, მოწაფე გრი-

¹ მოხსენებაში, რომელიც წაკითხული იყო საქ. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას კრებაზე 1923 წელს.

² იხ. ვალეს ძეგლის წარწერა, რომელიც მოხსენება კრავამ (წარწერა გამოცემულია ე. თ. აშ, III, გვ. 71 — 72). კრავამ ერქვა არსენი დიდის დედას (იხ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. კე). რომ ვალეს ძეგლში მოხსენებული კრავამ, ჩანს, არის მეუღლე მირეანისა და დედა არსენი დიდისა, ამას გვაფიქრებინებს როგორც შეხვედრა ეპოქისა,

გოლ ხანძთელისა, აღიზარდა და მოღვაწეობდა არა საფარაში, არამედ ხანძთაში. ამის მიხედვით მას უნდა რქმეოდა ხანძთელი და არა საფარელი.

ამრიგად, მოსაზრება თითქო არსენი საფარელი და არსენი დიდი ერთი და იგივე პირი იყოს, არ არის დადასტურებული.

მივმართოთ ამის შემდეგ თარიღის გამოსაჩვენებლად თვით არსენი საფარელის თხზულების ტექსტს.

1. არსენი საფარელის საისტორიო თხზულების თარიღის დასადგენად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შემდეგ ფაქტს: ამ ძეგლში წარმოდგენილი საისტორიო მითხილვა არ სცილდება მე-8 საუკუნის 20-იან წლებს (ყველაზე გვიანდელი ისტორიული ფაქტი, რომელიც აღნიშნული აქვს ავტორს, და რომელზედაც იგი დაწვრილებით ჩერდება, ეს არის შანსაკურთის კრება, რომელიც 726 წელს შედგა). აღსანიშნავია ამასთან, რომ ავტორის რამდენიმეგზის სხვადასხვა ხაზითა და თვალსაზრისით იძლევა ისტორიულ მოვლენათა მიმოხილვას და ყველა შემთხვევაში მას მიმოხილვა მოჰყავს ამ სათაროლო მიჯნად: მე-7 საუკუნე — მე-8 საუკუნის 20-იანი წლები.

თუკი არსენი საფარელი იყო იგივე არსენი დიდი, ე. ი. მე-9 საუკუნის შწრალი, იგი, ცხადია, უგულებელს არ დასტოვებდა შემდეგი ეპოქის ამბებს. ამას მოითხოვდა ავტორის შიერ დასახული გეგმა და მისი ნაწარმოების შიზანდასახულობა. ეს შემდეგი ეპოქის ამბები (განსაკუთრებით კი აბუჟურას პაექრობის ამბავი) უშუალო ინტერესის საგანი უნდა გამხდარიყო ავტორისათვის, მით უფრო, რომ ეს ამბები უფრო ახლო დროს ეკუთვნოდა და უფრო აქტუალური იყო.

2. ძეგლის თარიღისათვის მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმ ფაქტსაც, რომ ამ ნაწარმოებში არ არის გამოყენებული არც ერთი ლიტერატურული წყარო, რომელიც ეკუთვნოდეს მე-7 საუკუნის დასასრულსა და მე-8 საუკუნის დასაწყისზე უფრო გვიან დროს.

ისე გრიგოლ ხანძთელის ცხობებში აღწერილი მარშრუტი, რომლის მიხედვითაც მირიანის (არსენის მამის) სამკვიდრო სავარაუდოა სწორედ ვალეს სექტორში. გრიგოლ ხანძთელის ცხობებში აღწერილია ასეთი მარშრუტი: კლარჯეთი, აქედან გზა [ყველის-ციხის გადასვლით] სამცხეში, დაბაზე, სადაც მკვიდრობდა მირიან, ხოლო მირიანის სამკვიდროდან გზა გადადიოდა დასავლეთ საქართველოში [აფხაზთა მეფის რეზიდენციაში, ქუთაისში], ცხადია, ზეკარის უღელტეხილით (შეადარეთ ამას აგრეთვე დავით და კონსტანტინეს მარტვილობაში აღწერილი მარშრუტი სამცხიდან დასავლეთ საქართველოში, ამავე ზეკარის უღელტეხილით). ამის მიხედვით მირიანის (არსენ დიდის მამის) სამკვიდრო ყოფილა ვალეს სექტორი, რომელზედაც გაუტეხილ კლარჯეთიდან ზეკარის უღელტეხილით დასავლეთ საქართველოში მიმავალ მგზავრებს, და სადაც დაეკულია ძეგლი კრავასა. ამრიგად, გრიგოლ ხანძთელის ცხობებში აღწერილი მარშრუტი უდგება ვალეს და არა საფარას.

1 ძირითადი წყარო, ისავე კათალიკოსის სახელით წარწერილი ტექსტი, არაა უგვიანესი მე-7 საუკუნის დასასრულისა ან მე-8 საუკუნის დასაწყისისა. დანარჩენი წყაროებიც ამ თარიღზე გვიანდელი არაა.

(აღვნიშნავთ ამასთან, რომ არსენის თხზულებაში არის მითითება მოსე ხორენელზე: „თუ მოსე ქერდულმან მიუთხრა წარწყმედა მათი და არცა მისი ისმინეს“. აქ იგულისხმება მოსე ხორენელის ისტორიის ეპილოგი: „ტირბილი აღბოცისათვის სომეხთა მეფობისა...“ ამრიგად, არსენის თხზულებაში დაეკულია უძველესი ლიტერატურული ცნობა მოსე ხორენელის სახელით წარწერილი ნაწარმოების შესახებ. არსენის ეს დიდად საყურადღებო უწყება ანგარიშგასაწევა ძველი სომხური მწერლობის ამ უბრწყინვალესი ძეგლის საცილობელი თარიღის დაზუსტებისათვის).

3. არქაულ ხანას მიუთითებს აგრეთვე ქართული ქრისტიანობის წარმო-
შობის გაშუქება არსენი საფარელის თხზულებაში. აქ განმეორებულია ის კონ-
ცეფცია, რომელიც მიღებული იყო მე-7 საუკუნეში, და რაც დამოწმებულია
კირიონ ქართლის კათალიკოსისა და სომეხ მოღვაწეთა ცნობილ პაექრობაში
(მე-7 საუკუნის დასაწყისისა). ეს კონცეფცია, რომელიც შემუშავდა მონოფი-
ზიტობის ბატონობის ხანაში, ქართული და სომხური ეკლესიების ერთობის
დროს, შემდეგ უარყოფილ იქნა ქართული საეკლესიო წრეების მიერ, და
ძლიერ საეპეკოა, რომ ამ კონცეფციას გამოძახილი ჰქონოდა საქართველოში
მე-8 საუკუნის პირველ ნახევარზე უფრო გვიან დროს.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ მე-7 საუკუნეში ისახება ტენდენცია ამ კონცეფციის საწი-
ნაღმდეგოდ (ამას ცხადყოფს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს შტაინე, სადაც განახლებულია პირ-
ვანდელი ტრადიცია ნინოს შესახებ, გრიგოლის სახელთან დაუკავშირებლად). ხოლო მე-8 სა-
უკუნეში დაიწერა ფსევდო-ეპიგრაფიკული ნინოს ცხოვრება, რომელმაც კანონიზაცია მიიღო,
და რომლის შემდეგ მონოფიზიტობის დროიდან შერჩენილი კონცეფცია საბოლოოდ იქნა
უარყოფილი. არსენი საფარელის თხზულება, ჩანს, დაწერილია უფრო ადრე, ვიდრე გამოქვეყ-
ნდებოდა ფსევდო-ეპიგრაფიკული ნინოს ცხოვრება; ფსევდო-ეპიგრაფიკული ნინოს ცხოვრება
კი გარკვევით თარიღდება მე-8 საუკუნის შუა წლებით (იხ. ამის შესახებ შენიშვნა 9,
გვ. 269 — 271).

4. რომ არსენი საფარელი და არსენი დიდი სხვადასხვა პირია, ამის შარ-
ვენებელია აგრეთვე ისიც, რომ არსენი საფარელის თხზულება (განყოფისათ-
ვის ქართლისა და სომხეთისა) და არსენი დიდის თარგმანება (აბიბოს ნეკრე-
სელის მოსახსენებელი) — გარკვეულად სხვადასხვა ლიტერატურულ სტილს
წარმოგვიდგენს.

5. ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ მე-9 საუკუნის არსენის მიე-
შართება ზედწოდება: „დიდი“ (ასე უწოდებს შას გიორგი მერჩულე; ამავე
ზედწოდებით არის იგი დასახელებული აბიბოს ნეკრესელის მოსახსენებელის
ზედწერილშიაც. როგორც ჩანს, ეს ზედწოდება „დიდი“ საყოველთაოდ ყო-
ფილა განმტკიცებული და არსენის სახელს ჩვეულებრივ უმატებდნენ ხოლმე
ამ ეპითეტს „დიდი“ — გასარჩევად სხვა თანამოსახელე კათალიკოსთაგან
ხოლო არსენი საფარელს არ ეწოდება დიდი, არამედ მარტივად: „არსენი —
მცხეთელი კათალიკოზი“.

6. თავისთავად საინტერესოა თვით ეს ტიტულატურაც არსენი საფარე-
ლისა: „მცხეთელი კათალიკოზი“, რაც აგრეთვე არქაულ ხანაზე მიუთითებს.
მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოს ეკლესიის შეთაურის შიშართ
საბოლოოდ განმტკიცდა (წინათაც არსებული) ტიტული „ქართლისა კათალი-
კოზი“. ხოლო ეს იშვიათი ფორმა „მცხეთელი კათალიკოზი“, ჩანს, წარმოად-
გენს ტიტულატურის ერთ-ერთ ძველ სახეობას.

ასეთია, მოკლედ, ის მოსაზრებანი, რომელთა შიხედვით ჩვენ ვფიქრობთ,
რომ არსენი საფარელი და არსენი დიდი სხვადასხვა პირია, და რომ არსენი სა-
ფარელის სამწერლო მოღვაწეობა მე-8 საუკუნის პირველ ნახევარს ეკუთვნის.

არსენი საფარელის თხზულება, ჩანს, დაწერილია 726 წლის ახლო ხანებ-
ში, რა სათარიღო მიჯნაზედაც წყდება მის თხზულებაში წარმოდგენილი სა-
ისტორიო მიმონიღვა.

უფრო მიახლოებით, არსენის კათალიკოსობის და თხზულების დაწერის დრო უნდა განისაზღვროს 726 — 730 წლებით.

როგორც ცნობილია, ჩვენს დრომდე მოღწეულა სამი სია კათალიკოსთა. ამათგან პირველი ორი სია, რომელიც მოიცავს ხანას მე-7 — 8 საუკუნემდე, როგორც ეს გამოჩვენებულია სპეციალურ ლიტერატურაში, ძალზე ნაკლებეანია, მრავალი ხარვეზის შემცველი. ცოტად თუ ბევრად სრული და ზუსტი სია კათალიკოსთა ჩვენ გვაქვს მხოლოდ 736 წლიდან (კათალიკოს მამაის დროიდან). ეს არის ეგრეთწოდებული მესამე სია შატბერდული ხელნაწერისა. მოგვყავს ეს მესამე სია და მისი მიახლოებითი ქრონოლოგიაცაია:

1. მამაი (ზედაზნელი) ¹	736 — 750 წწ.	
2. იოანე ²	750 — 760 წწ.	
3. გრიგოლ		
4. კლემენტოს ³		760 — 780 წწ.
5. სარმეან ⁴		
6. თილელე		
7. სამოველ ⁵	780 — 790 წწ.	
8. ერილე	} 790 — 835 წწ.	
9. გრიგოლ		
10. სამოველ		
11. გეორგი		
12. გაბრიელ	} 835 — 845 წწ.	
13. ილარიონ (წყაროსთაველი) ⁶		
14. არსენი (ლიდი) ⁷	845 — 877 წწ.	
15. ევსუქი	} 877 — 951 წწ.	
16. ბასილი		
17. მიქაელ ⁸		
18. ჯაეით	951 — 955 წწ.	
19. არსენი ⁹	955 — 980 წწ.	

¹ მამაი კათალიკოსად იყო 14 წელი (იხ. ქრონოლოგიური სია ზედაზნის მამასახლსთა, ქრონიკები, 1, 74). მამაი მოიხსენება აგრეთვე „ლიდ კანონ“-ში.

² იოანე კათალიკოსად დადგენილ იქნა თეოფილაქტე ანტიოქიის პატრიარქის დროს (744 — 751 წწ.). მას შემდეგ იგი მოიხსენება 758 — 760 წლებში (ამ დროს აკურთხა მან მცხეთაში ტაძრის გუმბათის ეპისკოპოსი იოანე). იოანე კათალიკოსი გამოჩენილი მოღვაწე ყოფილა. და, როგორც წყაროებიდან ირკვევა, არსებულია ცალკე ფიგნად აღწერილი იოანეს ბიოგრაფია, რომელიც მოხსენებული აქვს მწერალ ბასილი ვაჩესძეს (იხ. ზემოთ, გვ. 466).

³ მოიხსენება იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში (იხ. არსენიული ტექსტი ცხოვრებისა, მე-10 საუკუნისა, ხელნაწერი საქ. მუზეუმისა A — 199, გვ. 40).

⁴ მოიხსენება „ლიდ კანონ“-ში და ბასილი ვაჩესძის წერილში. არსებულია სარმეანის ბიოგრაფია (იხ. ზემოთ, გვ. 466 — 467).

⁵ მოიხსენება 786 წელს (იხ. იოანე საბანის-ძე, ბიოგრაფია ჰაბოშის).

⁶ მოიხსენება გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში (გვ. ლა).

⁷ არსენი ლიდი კათალიკოსად იყო 27 წელი (იხ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. ლა).

⁸ მოიხსენება გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში 950 წელს (გვ. პ).

⁹ ამ უკანასკნელი არსენის შესახებ ორი სათარაო ჩვენება მოიპოვება: ა) არსენის აღწერა იოანე ზედაზნელისა და მოწაფეთა ცხოვრება იოანეს გარდაცვალებიდან 404 წლის შემდეგ (აქა ეს თარიღი წარმოუგენილი ხელნაწერთა უპირატესობაში). ამ თარიღის შეფარდებულან ზედაზნის მამასახლისთა ქრონოლოგიურ სიათან შესაძლო ხდება იმის დადგენა, რომ არსენის აღწერა იოანე ზედაზნელის ცხოვრება მე-10 საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს (დაახლოებით 959 წელს). ბ) არსენი ცოცხალი ყოფილა მე-10 საუკუნის 70-იან წლებშიაც, რა დროსაც არის აღწერილი შატბერდის კრებულში.

ამ მესამე სიის წინ ჩვენ გვაქვს, როგორც აღენიშნეთ, ხარეზი. ამის მიხედვით არსენის კათალიკოსობა სავარაუდოდ არის დაახლოებით 726—736 წლების მანძილზე (პირველი თარიღი — 726 წელი — აღნიშნავს დროს, რომელზედაც სრულდება არსენის თხზულება; მეორე თარიღი — 736 წელი — აღნიშნავს მამას კათალიკოსობის დასაწყისს).

8.

შაველის ეპისკოპი ნინოს მოღვაწეობის შესახებ დაბული „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატრიანეში

(შენიშვნა 8, გვ. 223).

მოგვყავს აქ ტექსტი უძველესი ექსცერპტისა ნინოს მოღვაწეობის შესახებ, რომელიც დაკულია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატრიანეში, და რომელშიაც აღწერილია ნინოს მსგეღლობა ქართლის შთიანეთში, კახეთსა და კუხეთში:

„წარედა და დადგა წობენს, და მოუწოდა მთელთა: ქართალელთა, და ფხოველთა, და წილკანელთა და უქადაგა სარწმუნოებაჲ ქრისტემისო. ხოლო შათი განუყარეს თავი. და ერისთავმან მცირედ წარჰმართა მხელი, და შიშით მოსცნეს კერპანი მათნი დალუწად.

„და გარდავიდა ერწუდ, და დადგა ქალეთს, დაბასა ედემს, და ნათელს ეგრწუთიანელთა.

„და ყუარელთა ესმა ესე, და გარდაკრბა თოშეთა, რომელნი ეკუანამსენელ ბოუნეს თრდატ მეფემან, მოიყვანნა და მონათლნა.

„და ნინო შთავიდა კხოეთა, და დადგა ქაწარეთს, და მონათლნა კხოელნი და სოჭნი ერთურთ მათით.

„და გარდავიდა კახეთა, და დადგა ქცელ-დაბასს, და მოიყვანნა კახნი მთავარნი, ამათვე მეფეთა ნათესავნი, და მონათლნა.

„და დასწულდა და წარმოემართა მცხეთად. და ეითარცა მოიწია კხოეთსა, დაბასა რომელსა ჰქვენ ბოღინი, ვერდა ეწლო სწად... და შეჰვედრა სულს თვისს ქელთა ღმრთისათა...

„მაშინ შეიძრნეს ორნი ესე ქალაქნი მცხეთაჲ და უყარმამ და ყოველი ქართლისი სიკედლისა მისისათუს, და მოვიდეს და დაჰმარხეს ძველი-შემოსილი გუამი მისი აღგისავე ზედა ბუდს, დაბასა კხოეთი...“.

ტექსტი აღბეჭდილია დოკუმენტური ხასიათით. როგორც აღენიშნავდით, იგი, ჩანს, მომდინარეობს უძველესი ხანის, მე-4—5 საუკუნის ქართული საისტორიო ქრონიკიდან.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატრიანეში, როგორც ცნობილია, დასახელებულია ერთი ძველი პირველწყარო: „მოკლედ აღწერილი წიგნი ქართლისა მოქცევისაჲ, გრიგოლ დიაკონისა წიგერ აღწერილი“. გრიგოლ დიაკონის ამ ძველი თხზულებიდან ამოუღია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ავტორს ერთი ეპიზოდი — მცხეთის ქვარის აღმართვის შესახებ. ხოლო საიდან მომდინარეობს აქ მოყვანილი ექსცერპტი ნინოს მსგეღლობის შესახებ ქართლის შთიანეთში, კახეთსა და კუხეთში, გამორჩეველი რჩება. არაა გამორიცხული, რომ ეს ექსცერპტიც იმავე გრიგოლ დიაკონის მატრიანიდან იყოს ამოღებული (თუმცა ამის შესახებ უშუალო პირდაპირი ჩვენება არ მოიპოვება).

ფსევდო-ეპიგრაფიკული ნინოს ცხორების თარიღი.

(შენიშვნა 9, გვ. 229).

ვიდრე ფსევდო-ეპიგრაფიკული ნინოს ცხორების თარიღის განხილვას შევეუდღებით, აქ საჭიროა რამდენიმე შენიშვნა ამ ძეგლის ორი დამატების შესახებ.

ფსევდო-ეპიგრაფიკულ ნინოს ცხორებაში მოიპოვება ორი გვიანდელი დროის დამატება:

პირველი დამატება ატარებს შემდეგ ზეწერილს: „და იყო მათვე უამთა შინა მირიან მეფისთა, რამეამს მოინათლა სოჯი დედოფალი და მის თანა მთავარი მრავალნი კელსა შინა ნინოასსა ბოდს შინა“.

მეორე დამატება ატარებს შემდეგ სათაურს: „აღმართებამ პატიოსნისა ჭუარისა მცხეთისამ და მერმე კუალად გამოჩინებამ მისი“.

რომ ეს ორი თავი შემდეგ არის ჩამატებული ფსევდო-ეპიგრაფიკულ ნინოს ცხორებაში, ეს დასტურდება, ჯერ ერთი, შინაგანი ნიშნების მიხედვით, მათი შინაარსის განსხვავებული რეალიებიდან და თვით თხრობის განსხვავებული ხასიათიდან. ამას გარდა, ამ ორი თავის გვიანდელ წარმოშობას დოკუმენტურად დასტურებს ხელნაწერების ჩვენება: საქმე ის არის, რომ ეს ორი თავი არ ყოფილა შატბერდულ-ველიშური ხელნაწერების არქეტიპში. (პირველი დამატება არ მოიპოვება შატბერდულ ხელნაწერში, მეორე დამატება არ არის კელიშური ხელნაწერში).

ჩვენთვის აშკარად ინტერესს წარმოადგენს მეორე დამატება: „აღმართებამ პატიოსნისა ჭუარისა მცხეთისამ და მერმე კუალად გამოჩინებამ მისი“.

ამ გვიანდელ დამატებაში, ერთი მხრით, ხოლო ფსევდო-ეპიგრაფიკული ნინოს ცხორების ძირითად ტექსტში, მეორე მხრით, სრულებით სხვადასხვანირად არის აღნიშნული კალენდარული ციკლი მცხეთის ჭვარის აღმართებისა და მასთან დაკავშირებულ დღესასწაულთა წრე. ეს კი იძლევა საშუალებას გამოვარკვიოთ, თუ როდის არის შედგენილი ეს ორი ძეგლი.

ძირითად ტექსტში მცხეთის ჭვარის დღესასწაულთა კალენდარული წრე განსაზღვრულია უ ძ რ ა ვ ი კ ა ლ ე ნ დ რ ი თ (25 მარტიდან — 7 მაისამდე), ხოლო გვიანდელ დამატებაში ეს კალენდარული წრე დაწესებულია მ ო ძ რ ა ვ ი კ ა ლ ე ნ დ რ ი თ (აღდგომის მესამე შაბათიდან — მარტილიის შემდგომ ოთხშაბათამდე). სახელობარ:

ძირითადი ტექსტით:

- | | |
|-----------------------------|----------|
| 1. ჭვარის ხის მოკვეთა | 25 მარტი |
| 2. ჭვარის შექმნა | 1 მაისს |
| 3. ჭვარის აღმართვა | 7 მაისს |
| 4. ჭვარის მეორედ გამოჩინება | — |

დამატებით:

- | | |
|--|------------------------------|
| | აღდგომის მესამე შაბათს 1. |
| | აღდგომის მესამე კვირას 1. |
| | მარტილიის შემდგომ ოთხშაბათს. |

1 მოთხრობაში აღნიშნულია, რომ ჭვარის აღმართვა მოხდა „იღვსებისა ზატიცისა ზატიცსა“ (ე. ი. აღდგომის მესამე კვირას). ამასთან მოთხრობის მიმდინარეობიდან ირკვევა, რომ ჭვარის ხის მოკვეთა და ჭვარის შექმნა მომხდარა ერთი დღით უწინარეს, ე. ი. მესამესა ზატიცისა შაბათსა“ (აღდგომის მესამე შაბათს).

— ირკვევა, რომ ფსევდო-ეპიგრაფიკული ნინოს ცხოვრება შედგენილი ყოფილა იმ დროს, როდესაც ქართული ეკლესია დღესასწაულობდა მცხეთის ჭვარის ციკლს უძრავი კალენდრით (25 მარტიდან — 7 მაისამდე).

ხოლო შემდეგ ეს წესი შეცვლილა და დაუწყებიათ დღესასწაულობა მცხეთის ჭვარის ციკლისა მოძრავი კალენდრით (აღდგომის მესამე შაბათიდან — მარტილის შემდგომ ოთხშაბათამდე). ამის შემდეგ არის შედგენილი ზემოთ დასახელებული დამატება. ამ დამატების ავტორს უკვე აღარც კი ახსოვს, რომ ძველად ქართული ეკლესია დღესასწაულობდა მცხეთის ჭვარის ციკლს უძრავი კალენდრის მიხედვით, და ეს ახალი წესი, მოძრავი კალენდრით დღესასწაულობა, მას მიაჩნია დაწესებულად უძველეს ხანაში.

ამრიგად, თუკი ჩვენ გამოვარკვევთ, როდის მოხდა საკალენდარო ციკლების ეს შეცვლა, ამით ჩვენ მივიღებთ გარკვეულ სათარაოდ მიჯნას, რომლის უგვიანეს არ არის შედგენილი ფსევდო-ეპიგრაფიკული ნინოს ცხოვრება.

ხოლო ძველ-ქართული კალენდარული ტექსტების მიხედვით ამის დადგენა შესაძლებელი ხდება.

სახელდობრ ირკვევა, რომ მცხეთის ჭვარის დღესასწაულთა ციკლი გადაუტანიათ მოძრავი კალენდრის წრეზე იმ ხანაში, როდესაც ქართულმა ეკლესიამ შემოიღო ეგრეთწოდებული „ღიდი კანონი“. ხოლო „ღიდი კანონი“-ს შემოღება ეკუთვნის მე-8 საუკუნის მეორე ნახევარს (ხანას, როდესაც მოხდა საქართველოს ეკლესიის გამოყოფა ანტიოქიის პატრიარქატისაგან).

რომ მცხეთის ჭვარის კალენდარული ციკლი გადაუტანიათ უძრავი კალენდრიდან მოძრავ კალენდარზე სწორედ იმ ხანაში, როდესაც საქართველოში „ღიდი კანონი“ იქნა შემოღებული, ეს დასტურდება „ღიდი კანონის“ ხელნაწერებიდან.

ასე, „ღიდი კანონი“-ს ლატალურ ხელნაწერში, და აგრეთვე იოანე-ზოსიმეს კალენდარში (რომელშიაც ქართული ხსენებანი შეტანილია „ღიდი კანონი“-დან) დღესასწაულნი მცხეთის ჭვარისა უკვე აღნიშნულია მოძრავი კალენდრით: „ეკრიაკსა მესამე ზატოკთა“ (ე. ი. აღდგომის მესამე კვირას) და „შემდგომად მარტულიას დღესა ოთხშაბათსა“. „ღიდი კანონი“-ს პარიზული ხელნაწერის განწესებაში იმავე მოძრავ კალენდართან არის დაკავშირებული აგრეთვე ნინოს ხსენება — „შესამესა ზატისა შაბათსა“ (ე. ი. აღდგომის მესამე შაბათს).

ამრიგად, სამივე თარიღი მოძრავი კალენდრისა დამოწმებულია „ღიდი კანონი“-ს ხელნაწერებით.

ფსევდო-ეპიგრაფიკული ნინოს ცხოვრება დაწერილი რომ არის უფრო ადრე, ვიდრე შემოღებულ იქნებოდა „ღიდი კანონი“. ამას სხვა საკალენდარო ნიშნებიც ადასტურებს (ასე, ნინოს ცხოვრებაში წლის დასაწყისი აღინიშნება არა იმ თარიღიდან, რაც „ღიდი კანონი“-თ არის დადებული, არამედ აქ უფრო არქაული აღრიცხვა არის მიღებული).

ყოველივე ამის მიხედვით ჩვენ ვღებულობთ გარკვეულ სათარაოდ ჩვენებას: ფსევდო-ეპიგრაფიკული ნინოს ცხოვრება დაწერილი ყოფილა მე-8 საუკუნის მეორე ნახევრის უწინარეს, ხოლო დამატება მე-8 საუკუნის მეორე ნახევრის შემდეგ (რამდენადაც პირველი წინ უსწრებს „ღიდი კანონს“, ხოლო მეორე „ღიდი კანონს“ მისდევს).

ეს რაც შეეხება დროს, რომლის უგვიანეს არ არის დაწერილი ფსევდო-ეპიგრაფიკული ნინოს ცხოვრება.

ამავე დროს ისიც ირკვევა, რომ ფსევდო-ეპიგრაფიკული ნინოს ცხორება არ არის დაწერილი მე-8 საუკუნის შუა წლების უადრეს. რომ შარტო კალენდარულ ნიშნებზე შევჩერდეთ, აღვნიშნავთ, რომ ნინოს ფსევდო-ეპიგრაფიკულ ცხოვრებაში მოხსენებულია დღესასწაული ფერისცვალებისა, რაც უჩვენებს რომ ძველი მე-8 საუკუნეზე ადრინდელი არ არის (ამასთან ფსევდო-ეპიგრაფიკულ ნინოს ცხორებაში არ მოიპოვება არავითარი გადაწვეტილი ძველქართული წარმართული კალენდრისა, რაც აგრეთვე არ მოწმობს ამ ძველის სიძველეს) ¹.

ასეთია ის რეალიები, რომელთა მიხედვით ეს ძველი, ფსევდო-ეპიგრაფიკული ნინოს ცხორება, საკმაო შიხლოებით თარიღდება მე-8 საუკუნის შუა წლებით.

ჩვენ აქ შევხებით, ისიც ზოგადად, მარტოოდენ საკალენდარო ხასიათის ნიშნებს, რაც ზუსტ დამათარიღებელ მაჩვენებლებს იძლევა. ფსევდო-ეპიგრაფიკული ნინოს ცხორების თარიღის კითხვა და ამ ძველთან დაკავშირებული ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები სრული მოცულობით განხილული გვაქვს სპეციალურ ნარკვევში.

10.

ჰიმნოგრაფიული კანონები,

გადაწერილი მე-10 საუკუნის კომპ-ჰიმნოგრაფის

იოანე-ზოსიმეს მიერ

(შენიშვნა 10, გვ. 238).


მოგვეყვას სია იოანე-ზოსიმეს მიერ გადაწერილი ჰიმნოგრაფიული კრებულებისა:

- A = „იადგარი“ (პიმნების კრება), გადაწერილი 954 წელს (ხელნაწერი დაცულია სინას მთაზე, № 61/26).
- B = „საგალობელი იადგარნი“ და „ეჰანი“ გადაწერილი 956 წელს. ჩართულია კრებულში, რომელიც დამზადებულია „მეცნიერისა კაცისათვის“ (სინას მთის ხელნაწერი № 19/34).
- C = „ეჰანი“ (პიმნების ეს კრებული, რომელიც მიღებული ყოფილა შატბერდში, იოანე-ზოსიმეს გადამუშავებითა და შეუვსია ახალი ფსალმუნებით. ფრაგმენტი დაცულია ტიშენდორფისეული პალიმფსესტების კოლექციაში ლენინგრადის საჯარო წიგნთსაცავისა. იგივე ძველი, ჩანს. სრულად შენახულა 956 წლის ზემოთ დასახელებულ ხელნაწერში).
- D = „იადგარი დამისი“, გადაწერილია 965 წელს (ფრაგმენტი ხელნაწერისა დაცულია ტიშენდორფისეულ ხელნაწერთა კოლექციაში).
- E = „იადგარი“ — სანოტო ნიშნებით (სინას მთის ხელნაწერი № 1/1).
- F = „იადგარი“ (სინას მთის ხელნაწერი № 45/59).
- G = „იადგარი“ ორ წიგნად (სინას მთის ხელნაწერები №№ 42/64 და 44/65).
- H = „ნოლისპირნი და დანდებულნი“ გადაწერილია 987 წელს (სინას მთის ხელნაწერი № 64/27).

¹ რომ ძველი არ არის უადრესი მე-8 საუკუნის შუა წლებისა, ამას, გარდა კალენდარული ხასიათის ნიშნებისა, ადასტურებს აგრეთვე სხვა ფაქტებიც, ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათისა.

ამ კრებულებში, ძველ ჰიმნოგრაფიულ ტექსტებთან ერთად, როგორც ირკვევა, შესულია თვით იოანეს ორიგინალური ჰიმნები. ამას ადასტურებს ანდერძი, რომელიც დართული აქვს „საგალობელთა იადგართა“ კრებულს (ხელნაწერი B), აგრეთვე განსაკუთრებით საყურადღებო ანდერძი შატბერდული ჰიმნების კრებულისა (ხელნაწერი C).

იოანე-ზოსიმე იმდენად ავტორიტეტით მოსილი მწერალი ყოფილა, რომ მას შეუბედავს შეეცალა ძველი ფსალმუნები, რომლებიც შატბერდში იყო მიღებული და რომლებიც საუკუნოვანი ტრადიციით იყო კანონიზირებული, გადაუმუშავებია ძველ ფსალმუნთა კრება და შეუვსია ახალი ჰიმნებით.



ქართული დამწერლობის
ძეგლები
ანტიკური ხანისა

I საუკუნე ახ. წელთაღრიცხვისა



ქართული დამწერლობის ძეგლები ანტიკური ხანისა

მცხეთა-არმაზში 1940 წელს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია დამწერლობის ძეგლები ანტიკური ხანისა, რომლებიც როგორც ირკვევა, შესრულებულია ქართულად, ქართული ალფაბეტით.

საკითხს ამ ძეგლთა შესახებ დაწერილებით ვეხებით ცალკე ნარკვევში, ხოლო ამგზის ვიძლევიტ მოკლე ცნობას ორი ძეგლის გამო, დებულებათა სახით.

I

ბერცუმ (ბარაცმან) პიტიახშის ინიციალები, ქართული დამწერლობით შესრულებული (70—96 წლებისა)

არმაზის საპიტიახშო ნეკროპოლში (სამარხი № 3) აღმოჩენილ იქნა, 1940 წ. 23 ნოემბერს, ვერცხლის ლანგარი.

ლანგარი დიდი ზომისაა (დიამეტრი — 48 სანტიმეტრი). ლანგარი ნამუშეარია კარგი ოსტატ-მქანდაკეების მიერ, შესრულებულია იშვიათი ხელოვნებით. ლანგარის გული და კიდე-წრე ორნამენტირებულია.

ლანგარზე მოიპოვება სამი წარწერა: ორი ბერძნულად, ხოლო ერთი, როგორც ქვემოთ გამოიკვევა, შესრულებულია ქართულად.

აქ ჩვენ განვიხილავთ პირველ ბერძნულ წარწერას და ქართულ წარწერას (რაც შეეხება მეორე ბერძნულ წარწერას, რომელიც არ წარმოადგენს ინტერესს აქ აღძრული საკითხებისათვის, ამგზის აღარ ვეხებით).


ქრონოლოგიური თანრიგით ჯერ შესრულებულია პირველი ბერძნული წარწერა, შემდეგ ქართული. ორივე წარწერა მოთავსებულია ლანგარის ფსკერზე (ქუსლზე) ქვემო მხარიდან¹.

¹ წარწერების ტექნიკა სხვადასხვაა (ბერძნული გამოყვანილია—უწესტირით, ქართული—მთლიანი ხაზით).

ბერძნული წარწერა, რომელიც გარშემო მისდევს ფსკერის გარეწრეს, იკითხვის აპრიკად¹:

Ἐγὼ βασιλεὺς Φλᾶ Διὸς ἐχρισσάμην Βερσιῶμα πιστάμη
= „მე მეფე-მან ფლავიოს-დადემან გიწყალობე [ეს ლანგარი] ბერტუმ² პიტიახშსა“.

მეორე წარწერა, რომელიც ჩვენ ქართულად მიგვაჩნია, მოთავსებულია ფსკერის შუაგულ ადგილას, წრით შემოვლებულ არეში. იგი შეიცავს ორ ასოს, რომლებიც, როგორც ქვემოთ დაეინახავთ, აღნიშნავს ლანგარის პატრონის ინიციალებს. ამ ასოებს შემდეგი მოხაზულობა აქვს:



(წრე და წრეში მოთავსებული ასოები მოყვანილი გვაქვს იმავე ზომით, როგორც ორიგინალში)ჰ.

აქ საკვირა აღენიშნოთ ამასთან, რომ ასოები ლანგარზე ამოკვეთილია დახელოვნებული ოსტატის მიერ; ხაზები ზუსტად და ფაქიზად არის გაკლებული ლითონზე მკვეთრი იარაღით და ასოებს პალეოგრაფიულად მკაფიოდ ჩამონაკეთილი სახე აქვთ.

•

საკითხავია, რა შრიფტს ეკუთვნის ეს ასოები, — არის იგი ქართული? ჩანს, არის.

თუ გავითვალისწინებთ იმ ეპოქას, რომელსაც ეკუთვნის ეს ძეგლი (ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისი საუკუნეები), ქართულ ძეგლებზე მოსალოდნელია წარწერები შემდეგი შრიფტებით: ბერძნული, არამეული, ან ამავე არამეულის განშტოება — ფალაური, და ქართული.

მაგრამ ეს ასოები არ არის არც ბერძნული, არც არამეული, ან არამეულ-ფალაური.

¹ ბერძნული წარწერა დეშიფრირებულია პროფ. ს. ყაუხჩიშვილის მიერ.

² საკუთარი სახელი Βερσιῶμα - უნდა წაკითხულ იქნას როგორც ბერტუმში (ძველ-ქართულში დამოწმებულია შემდეგი სახეობანი ამავე სახელისა: ბარცომი და ბარაცმანი).

³ ეველა ნახაზი, მოთავსებული ამ წერილში, შესრულებულია ორიგინალების მიხედვით მხატვრულ-რეწვით შემრლინგის მიერ.

ამავე დროს აქ ჩვენ გვაქვს ტიპური მოხაზულობა ძველ-ქართული დამწერლობისა.

ეს ასოები შესაძლოა გაშიფრულ იქნას მხოლოდ როგორც ქართული ასოები; პირველი ასოა — ბ, მეორე ასო — ქ:





ბ = ბ: ქ = ქ.

ასოების კონფიგურაციის შესახებ აქ საჭიროა ზოგიერთი განმარტება.

მეორე ასო „ქ“ ჩვეულებრივი ტიპისაა, იგი უდგება იმ მოხაზულობას, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ სხვა ჩვენ დრომდე მოღწეული ძეგლებიდან.




რაც შეეხება ასოს „ბ“, აქ არის სხვაობა ერთ დეტალში: ჩვენს ძეგლზე ამ ასოს აქვს ორი კუდი (ერთი ქვემოთაენ, მეორე მარჯენისაკენ), ხოლო ჩვენს დრომდე მოღწეულ უფრო გვიანი ხანის წარწერებში (V საუკუნისა და შემდგომი დროისა) ამ ასოს აქვს მხოლოდ ერთი კუდი (ქვემოთაენ). შეიძლება:

ჩვენი ძეგლის ასო: გვიანდელი ხანის პარალელები (კუთხოვანი ტიპისა):

			
(ნახევრად თავშეკრული).	(თავშეკრული).	(თავგახსნილი).	

რით უნდა აიხსნას ჩვენი წარწერის „ბ“-ში ზედმეტი მარჯვენა კუდის არსებობა? აქ ორი შესაძლებლობაა დასაშვები:

1. აქ შეიძლება გვექონდეს ერთ-ერთი ძველი ვარიანტული სახეობა ასო „ბ“-ს დაწერილობისა. საუკუნეთა განმავლობაში ასოებს, როგორც ცნობილია, თანდათან ეცვლებათ სახე, ზოგჯერ ემატება ესა თუ ის ზედმეტი ხაზი, ზოგჯერ აკლდება. ასე, მაგალითად, თვით ერთი საუკუნის მანძილზე, V—VI საუკუნეთა ფარგლებში, ასო „მ“ ქართულ ძეგლებში ზოგჯერ წარმოდგენილია როგორც ოვალი, ზედმეტი ნიშნის გარეშე, ზოგჯერ კი ერთვის ან კუდი, ან პატარა წრე:

		
(=საპაკუბტის ძეგლი).	(=ბოლნისი).	(=ურბნისი).

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან ისიც, რომ იმ არქაულ პროტოტიპში, საიდანაც მომდინარეობს ქართული ალფაბეტი, სახელდობრ არქაულ ბერძნულში, ასო „ბ“ ჩვენ გვხვდება ქვემო კუდით, ხოლო პარალელურად ვინის კუდით.

ეს ერთი შესაძლებლობა.

2. მაგრამ ამის გვერდით დასაშვებია მეორე შესაძლებლობაც, სახელდობრ ის, რომ აქ გვაქვს ლიგატურა, ე. ი. ასოსთან „ბ“ შერწყმულია მეორე ასო.

ლიგატურიან დაწერილობას ქართულში, როგორც ირკვევა, ადრინდელი ტრადიცია აქვს. იგი წარმოდგენილია ერთ-ერთ უძველეს ჩვენს დრომდე მოღწეულ წარწერაში — ანაგ-კახაძის ძეგლში ვახტანგ გორგასარის დროისა (V ს.), აგრეთვე სასანური ხანის ფულზე (VI საუკ.)¹.

თუ ჩვენ დაუშვებდით, რომ ჩვენს წარწერაში ასოსთან „ბ“ შერწყმულია მეორე ასო, მაშინ, ასოების ბუნებრივი მიჯრის მიხედვით, ლიგატურის გახსნა არ წარმოადგენს სიძნელეს.

მოვიგონოთ მაგალითისათვის, თუ როგორ იხსნება სასანიანთ ხანის ფულზე ლიგატურა ბ+ნ:

წერია შერწყმულად

ნ

ხოლო იხსნება:

ნ ნ

ასევე ჩვენი ლიგატურა, ასოების ბუნებრივი მიჯრის თანახმად, ასეთნაირად გაიხსნება:

წერია შერწყმულად

ქ

ხოლო იხსნება:

ქ ლ

ხოლო თუ ჩვენ ვივარაუდებთ, რომ ჩვენი ძეგლის წარწერაში წარმოდგენილია თაფაქსნელი ვარიანტი ასოსი „ბ“ ($= \text{ქ}$), მაშინ ლიგატურის არსებობა აქ კიდევ უფრო ნათელი ხდება:

წერია შერწყმულად:

ქ

ხოლო იხსნება:

ქ ლ

რას აღნიშნავს ცალკეულ ასოები ლიგატურისა?

პირველი ასო ეს არის „ბ“ — უმეტნაკლებოდ, სუფთა მოხაზულობით, ზედმეტი ხაზის გარეშე.

ხოლო მეორე ასოში უნდა ამოცნობილ იქნას არქაული სახე ასოსი „პ“.

აკაუნიკოს ივ. ჭავჭავაძის თაღის კაპიტალურ გამოკვლევაში „ქართული დამწერლობის-მეცნიერება“ (გვ. 208—209) — ჩვეულებრივის საბუთიანობით დადგენილი აქვს, რომ ქართულ ალფაბეტში არქაული სახე ანაბი „პ“ იმ ტიპისა იყო, როგორსაც ვხედავთ ლიგატურის მეორე ასოში.

მანასადამე, ჩვენ ლანგარის წარწერა ასე უნდა გაიხსნას:

1. იმ შემთხვევაში, თუ აქ არა გვაქვს ლიგატურა, ასოები წაიკითხება ამრიგად: ბ. პ.

2. იმ შემთხვევაში, თუ აქ წარმოდგენილია ლიგატურა, წაიკითხება ამრიგად: ბ. პ. პ.

¹ ანაგ-კახაძის ლიგატურიანი დაწერილობა წარმოდგენილია ანტიკური ხანის ძეგლზე: ვახტანგ გორგასარისა, რომელიც I—II საუკუნეებს ეკუთვნის (იხ. ქვემოთ).

შემდეგი საკითხი, — რას აღნიშნავს ეს ასოები?

ამის მიხედვით, რომ ეს ასოები არ არის შემთხვევითი მინაწერი, არამედ მოთავსებულია ნიშნულ ადგილას, ამოკვეთილია ლანგარის ფსკერის შუა-გულში, წრით შემოვლებულ არეში. — ჩვენ საფუძველი გვეძლევა დაეასვენათ, რომ აქ გვაქვს ამ ლანგარის პატრონის ინიციალები.

თავდაპირველად აქ საქირთა გავითვალისწინოთ, თუ როგორ აღინიშნებოდა ვინაობა უძველესი ხანის ქართულ ძეგლებში. აქ ჩვენ გვაქვს სამი ვარიაცია ვინაობის აღნიშვნისა:

1) სახელი+2) მამის სახელი;

1) სახელი+2) თანამდებობა (ტიტული);

1) სახელი+2) თანამდებობა (ტიტული)+3) მამის სახელი.

ამრიგად, ჩვენი ლანგარის ინიციალებიდან პირველი ასო „ბ“ უნდა აღნიშნავდეს ლანგარის პატრონის სახელს.

და რომ ეს ასეა, ამას ადასტურებს ქართული წარწერის შეხვედრა ბერძნულთან.

როგორც ვნახეთ, ბერძნული წარწერის ცნობის თანახმად, ეს ლანგარი ნაწყალობევი ყოფილა მეფის ფლავიოს-დადეს მიერ ბერცუმ პიტიახშისათვის. ლანგარის პატრონი ყოფილა ბერცუმ პიტიახში. ხოლო ქართულ წარწერაში პირველი ასო, რომელიც უნდა აღნიშნავდეს პატრონის სახელის ინიციალს, მართლაც არის ასო „ბ“.

ამრიგად, ასოში „ბ“ ჩვენ გვაქვს ინიციალი სახელისა: „ბერცუმი“.

მაშასადამე, ამ წარწერის ვითარება ასე წარმოგვიდგება. როდესაც ეს ლანგარი, ნაწყალობევი მეფის მიერ, შემოსულა ბერცუმის ოჯახში, მას შემდეგ ფსკერის შუა წრეში ამოუქდევიათ თვით პატრონის ინიციალები.

რაკი ინიციალების პირველი ასოს მნიშვნელობა ამოცნობილია, ამით ძირითადი საკითხი — წარწერის ქართულობა — დადგენილად უნდა ჩაითვალოს. განვსაზღვროთ ამის შემდეგ ძიება და გავარკვიოთ ინიციალების მეორე ნაწილის მნიშვნელობა.

როდესაც ჩვენ ამოვხსენით პირველი ასო ინიციალებისა („ბ“ = „ბერცუმ“), პირველი აზრი, რომელიც დაგვებადა, ის იყო, რომ მეორე ნაწილი ინიციალებისა აღნიშნავს ტიტულს: „ქართლისა პიტიახში“ resp. „პიტიახში ქართლისაჲ“.

შევეამოწმოთ, თუ რამდენად საბუთიანი იქნებოდა ასეთი დაშვება?

თავდაპირველად იმის შესახებ, თუ როგორი სინტაქსური წყობა არის მოსალოდნელი იმ ხანაში, რომელიც აქ ჩვენი კვლევის საგანს შეადგენს: „პიტიახში ქართლისაჲ“, თუ „ქართლისა პიტიახში“.

თუმცა უფრო არქაულია პირველი წყობა „პიტიახში ქართლისაჲ“, მაგრამ მასალების გათვალისწინება გვიჩვენებს, რომ უკვე ანტიკურ ხანაში ორივე

წყობა არის მოსალოდნელი, როგორც „პიტიახში ქართლისაჲ“, ისე „ქართლისა პიტიახში“.

კერძოდ, მეორე ტიპის წყობა: „ქართლისა პიტიახში“, „ქართლისა კათოლიკოზი“ და მისთანანი დამოწმებულია ადრეულ საშუალო საუკუნეთა ქართულ ძეგლებში.

ხოლო, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ამნაირივე მეორე ტიპის წყობა დამოწმებულია აგრეთვე უძველესი ხანის გეოგრაფიულ სახელებშიაც: უფლის-ციხე (=ციხე უფლისაჲ), ველის-ციხე, რუის-თავი, წყაროს-თავი, ტასის-კარი, დოლის-ყანა და სხვანი.

ჩვენს წარწერაში, როგორც მკითხველი შეამჩნევდა, ინიციალების მეორე ნაწილი თავისუფლად იხსნება როგორც ტიტული: პიტიახში ქართლისაჲ resp. ქართლისა პიტიახში.

მართლაც ლიგატურიანი დაწერილობის შემთხვევაში ჩვენ აქ გვაქვს ინიციალები:

ბ. ბ. = პ[იტიახში] მ[ართლისაჲ].

ხოლო თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ აქ გვაქვს არა ლიგატურა „ბ. ბ.“, არამედ ერთი ინიციალი „მ“, ასეთ შემთხვევაშიაც იგი შესაძლოა გახსნილ იქნას როგორც იმავე ტიტულის მეორე სახეობა: მ[ართლისა პიტიახში]. საქმე ის არის, რომ ძველ-ქართულში მიღებული იყო ეგრეთწოდებული ერთასოიანი დაქარაგმებაც, როდესაც ცნობილი ტიტულები აღნიშნებოდა მხოლოდ ერთი ასოთი, თუნდაც ტიტული ორი და მეტი სიტყვისაგან ყოფილიყო შემდგარი. მაგალითად, ინიციალები:

წ ~ აღნიშნავდა: „წილენელი ეპისკოპოსი“.

ჭ ~ აღნიშნავდა: „ჭყონდიდელი მთავარ-ეპისკოპოსი“.

ასევე „ქ“ შესაძლოა ამოშიფრულ იქნას როგორც მ[ართლისა პიტიახში]. პიტიახშია იმდენად მნიშვნელოვანი ტიტული იყო, რომ იგი შესაძლოა თავისუფლად აღნიშნული ყოფილიყო ერთასოიანი დაქარაგმების წესითაც.

ამრიგად, თითქოს არ არსებობს არავითარი დაბრკოლება, რომ მეორე ნაწილი ჩვენი ინიციალებისა გაეხსნათ ასეთნაირად:

1. ლიგატურის შემთხვევაში: ბ. ბ. = ბ[ერცუმ] პ[იტიახში] მ[ართლისაჲ].

2. ულიგატუროდ: ბ. ბ. = ბ[ერცუმ] მ[ართლისა პიტიახში].

მაგრამ ამგვარი გახსნა ინიციალებისა მაინც სათუოდ უნდა ჩაითვალოს, და აი რატომ. საქმე ის არის, რომ იმ ეპოქაში, რომელიც აქ ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს, ყველა ჭერჭერობით აღმოჩენილ ძეგლებზე, გამოუკლებლივ, ტიტული არმაზელი პიტიახშებისა აღნიშნულია მხოლოდ როგორც „პიტიახში“, დაურთველად სიტყვისა „ქართლი“. მართალია, ყველა ეს პირი იყვნენ პიტიახში ქართლის ქვეყნისა, და მათი რეზიდენცია იყო ქალაქი „ქართლი“¹, მაგრამ გავრცელებული სახეობა ტიტულისა დასახელებულ ეპოქაში, ჩანს, ყოფილა მარტივად „პიტიახში“, და ჭერჭერობით არ გვაქვს არც ერთი მაგალითი ამ ეპოქიდან, რომ ამ ოფიციალურ ტიტულს „პიტიახში“ ერთვოდეს თვით სიტყვა „ქართლი“. ამრიგად, ეს გარემოება ეჭვს ქვეშ აყენებს ზემოთ წარმოდგენილ ინტერპრეტაციას.

¹ „ქართლი“ ერქვა როგორც ქვეყანას, ისე ქალაქსაც (ქალაქ არმაზს).

ამას გარდა მხედველობაში მისაღებია აგრეთვე თვით ხასიათი ასოების განლაგების ლეგატურაში. საქმე ის არის, რომ მეორე ასო „პ“ შეერთებულია არა მესამე ასოსთან „მ“, არამედ პირველ ასოსთან „ბ“. ხოლო თუკი მესამე ასო „მ“ აღნიშნავდეს ცნებას „ქართლისაჲ“, მაშინ მეორე ასო „პ“, საფიქრებელია, შეერთებული იქნებოდა სწორედ მესამე ასოსთან, რომელთანაც იგი ერთ ცნებას გამოხატავს: პ+მ (=პიტიახში ქართლისაჲ). ხოლო ლეგატურაში ეხლა სულ სხვა წყობაა: ბ+პ ქ (=ბერცუმ+პიტიახში ქ...).

ამრიგად, საფიქრებელი ხდება, რომ ინიციალი „ქ“ არ უნდა ნიშნავდეს სიტყვას „ქართლი“.

მაშ რას აღნიშნავს იგი?

გამორიცხვის საშუალებით ჩვენ გვჩნება ერთადერთი შესაძლო ვარიანტი, რომ უკანასკნელი ასო „ქ“ აღნიშნავს მამის სახელს.

მაშასადამე, ინიციალები ამრიგად უნდა გაიხსნას:

1. ლეგატურის შემთხვევაში; ბ. პ. ქ.=ბ[ერცუმ] პ[იტიახში] ქ[...ს=მმ].
2. ულეგატურად: ბ. ქ.=ბ[ერცუმ] ქ[...ს=მმ].

ამის შემდეგ გამოსაკვლევი რჩება, თუ ვისი ძე უნდა ყოფილიყო ბერცუმ პიტიახში.

ამ საკითხის გამო ჩვენ ამგზის დავკმაყოფილებით რამდენიმე მოკლე შენიშვნით (უფრო დაწვრილებით — სპეციალურ ნარკვევებში).

ბერცუმ პიტიახში, როგორც ეს ირკვევა ბერძნული წარწერიდან, იყო ხელისუფალი იბერიის მეფისა, რომლის საპატიო სახელწოდება ყოფილა ფლავიოს-დადე.

ეს საპატიო სახელწოდება იბერიის მეფეს, ცხადია, მიუღია ფლავიოსის სახლის რომის იმპერატორთა პატივსაცემად. ამის მიხედვით ეს მეფე იბერიისა ცხოვრობდა 70—96 წწ.

ქართული ნაციონალური მატრიანეების ტრადიციის თანახმად, ქართული სახელი იბერიის იმ მეფისა, რომელიც თანამედროვე იყო ფლავიოსთა სახლისა (ე. ი. მეფისა, რომელსაც მიუღია საპატიო სახელწოდებად „ფლავიოს-დადე“) — არის ქარძამი. ხოლო ქარძამის თანამმართველად მოიხსენება ბარცომი.

ქართულ ნაციონალურ მატრიანეებში I საუკუნის უკანასკნელი მესამედიდან ვიდრე II საუკუნის მეორე ნახევრამდე, როგორც ცნობილია, ჩამოთვლილია „იმიერი“ მეფენი და „ამიერი“ თანამეფენი. მატრიანეების კრიტიკული შესწავლიდან ირკვევა, რომ „იმიერი“ მეფეთა სახელით მატრიანეებში იგულისხმება სრულიად იბერიის მეფენი, ხოლო „ამიერი“ თანამეფეთა სახელით — არმაზელი პიტიახშები, რომლებიც იყვნენ მეფის მოადგილენი, ვიცემეფე (არმაზელი პიტიახში — ეს არის იგივე სტრაბონის მიერ მოხსენებული „შემდგომი“ მეფისა, მეორე პირი მეფის შემდეგ).

ამრიგად, ქართულ მატრიანეებში დასახელებული ქარძამი. რომელიც „იმიერი მეფედ“ არის მოხსენებული, არის სრულიად იბერიის მეფე. ხოლო მისი „ამიერი“ თანამმართველი ბარცომი (გვეუ ბარაცმანი) — არა არმაზელი პიტიახში.

ეს ბარცომი, ქართული მატრიანეებისა — როგორც ირკვევა — იდენტურია ჩვენს წარწერაში მოხსენებულ ბერცუმ პიტიახშთან; აქ ჩვენ გვაქვს სამმაგი შეხვედრა: 1. შეხვედრა სახელისა; 2. შეხვედრა თანამდებობისა; 3. შეხვედრა თარიღისა (1 საუკუნის ბოლო მესამედი ქართული მატრიანეებისა = 70—96 წლები ჩვენი წარწერისა).

დასასრულ, გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება: საისტორიო წყაროების ჩვენებიდან დასტურდება, რომ პიტიახშები იყვნენ „სეფე-წულნი“, ისინი სამეფო გვარეულობას ეკუთვნოდნენ. ხოლო კერძოდ არმაზელი პიტიახში, რომელიც იყო უზენაესი ხელისუფალი მეფის შემდეგ, ცხადია, ინიშნებოდა თვით მეფის უახლოეს მკვიდრთაგან, ისინი, ჩანს, იყვნენ პირველ რიგში თვით უფლისწულები, მეფის ძენი.

ამის გამო საფუძველი გვეძლევა ვიფიქროთ, რომ პიტიახში ბერცუმში, რომელიც დადგენილი ყოფილა პიტიახშად მეფე ქარძამის დროს, ჩანს, იყო მეფე ქარძამის ახლო მკვიდრი, საფიქრებელია, თვით უფლისწული, მეფის ძე.

და რომ ეს ასე ყოფილა, ამას ადასტურებს ჩვენი ლანგარის ინიციალები, რომელიც უნდა გაიშიფროს ამრიგად:

ბ[ერცუმ] პ[იტიახში] ძ[არძამის-ძმ].

II

იბერიის მეფის მიპრდატ ფარსმანის-ძის დროინდელ სტელაზე წარმოდგენილი ვენჯელი, შესრულებული ქართული დამწერლობით

არმაზის იმავე საპიტიახშო ნეკროპოლში 1940 წელს 25 ნოემბერს აღმოჩენილ იქნა სტელა ერთ-ერთი პიტიახშის საფლავისა.

სტელაზე მოიპოვება წარწერა, შესრულებული არამეფული დამწერლობით.


ამას გარდა სტელაზე მოიპოვება რამდენიმე ცალკეული სპეციფიკური ნიშანი, რომელიც, როგორც ქვემოთ გამოირკვევა, ქართულ დამწერლობას წარმოადგენს.

ვიღრე ამ ნიშნების ამოშიფრვას შეეუდგებოდეთ, საჭიროა ჯერ გავითვალისწინოთ, თუ რა სახე ჰქონდა თავდაპირველად სტელას, და თუ როგორ არის განლაგებული ეს სპეციფიკური ნიშნები სტელაზე.

სტელა ამჟამად დაზიანებულია (ჩამომტვრეული აქვს ზემო ნაწილი და მარჯვენა მხარე)¹. სტელის შენახული ნაწილის კონფიგურაციის მიხედვით

¹ სტელას დაზიანება შემდეგით არის გამოწვეული. სტელა, რომელიც თავდაპირველად ქართული ყოფილა პიტიახშის საფლავზე, უფრო გვიან ხანაში (—როგორცაც პიტიახშთა სასაფლაო მოშლილა), გამოუყენებიათ სხვა დანიშნულებისათვის, — როგორც ერთ-ერთი კედელი ქუჩის კუბოსი; იმისათვის, რომ სტელა შეთანაბრებული ყოფილიყო ზომის მიხედვით ქვის კუბოს სხვა კედლებთან, სტელიათვის ჩამოღებიათ ზემო ნაწილი და მარცხენა გვერდის მხარე.

სტელას თავდაპირველად შემდეგი სახე ჰქონია: ზევით მორგვალეული ყოფი-
ლა, ხოლო გვერდებში, მარჯვხით და მარცხნით, ორი ყურე ჰქონია დატანე-
ბული:




სურათზე შტრიხებით არის დაფარული სტელის ჩა-
მოტეხილი ნაწილები.

სტელის ზომა (შენახული ნაწილისა): სიმაღლე 161
სანტიმეტრი; განი 69 სანტიმეტრი.

დასახელებული სპეციფიკური ნიშნები, რომელიც ჩვენ ქართულ დამწერ-
ლობად მიგვაჩნია, მოთაესებულია სტელის ზემო ნაწილში (ვიდრე დაიწყებო-
დეს არამეული დამწერლობის გაბმული ტექსტი) და განლაგებულია ამრიგად:




(ფოტო სტელის ზემო ნაწილისა).



(ნახაზი სტელის ზემო ნაწილისა.—შტრი-
ხებით დაფარულია ჩამოტეხილი ზეცითა
მხარე და მარცხენა მხარე).

ძეგლის არსებული სახის გაცნობის შემდეგ ვიძლევი რესტავრაციას ძეგლისას იმ სახით, როგორც მას, ჩვენი აზრით, თავდაპირველად ჰქონდა.



რას წარმოადგენს ეს სპეციფიკური ნიშნები, რომელიც მოთავსებულია, ასე ვთქვათ, საპატიო ადგილას, სტელის თავში.

ცხადია, ეს არ შეიძლება იყოს და არც არის შემთხვევითი რაიმე ნიშნები, ანდა ორნამენტი (ნუ დაგვაფიწყდება ამასთან, რომ ეს ნიშნები წარმოდგენილია არა შემთხვევით საფლავის ქვაზე, არამედ სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფალის — პიტიახშის სტელაზე).

ერთადერთი შესაძლო ახსნა არის ის, რომ აქ გვაქვს სახელობითი ვენზელი, გამოსახული ასო-ნიშნებით.

.


შევუდგეთ ამის შემდეგ ამ ვენზელის მნიშვნელობის ამოშიფრვას.

ცენტრალური რთული ნიშანი, როგორც დაკვირვება გვიჩვენებს, წარმოადგენს ევრეთწოდებულ ლიგატურას, რამდენიმე ნიშნის შეერთებას. ეს ლიგატურა შედგება სამი ნაწილისაგან, სამი ნიშნისაგან:

ლიგატურის მთლიანი სახე:



ლიგატურის შემადგენელი ცალკე ნიშნები:



თუ რას წარმოადგენს პირველი ნიშანი



(რომელიც დაზიანებულ-

ლად არის დაცული), ამ საკითხს ჩვენ აქ ამგზის ლიად ვტოვებთ და ვეხებით ცალკე სპეციალურ ნარკვევში (ეს ნიშანი, როგორც ირკვევა, არის სიმბოლო მფლობელობისა).

რაც შეეხება მეორე და მესამე ნიშანს, აქ ჩვენ გარკვევით გვაქვს ასოები, რომლებიც, ცხადია, აღნიშნავენ სახელს.

ქართული დამწერლობის უძველეს ძეგლებში საკუთარი სახელების ორ-ასოიანი დაქარაგმების დროს ყოველთვის აღინიშნება ხოლმე სახელის პირველი ასო და უკანასკნელი ასო, მაგალითად:

ღო==დავით (ბოლნისის წარწერა 478—503 წლებისა); ბნ==გურგენ (სასანიანთ ხანის ქართული ფული VI ს.).

ეს უკანასკნელი მაგალითი სასანიანთ ხანის ფულსა მით უფრო მნიშვნელოვანია ჩვენს საკითხისათვის, რომ აქ შემოკლება ბნ (=გურგენ) წარმოდგენილია სწორედ ლიგატურის სახითვე, როგორც ჩვენს ძეგლში, —ლიგატურაში მოცემულია პირველი და უკანასკნელი ასო.

ამრიგად, ჩვენს ძეგლის ლიგატურაში აღნიშნულია სახელი, რომლის პირველი ასოა „ბ“, ხოლო უკანასკნელი ასო „ს“.

თუ სახელდობრ რომელ სახელს აღნიშნავს ეს დაქარაგმებულად წარმოდგენილი „ბ—ს“, ამისი ახსნა, ცხადია, უნდა მოგვცეს მეორე წარწერამ (არამეული დამწერლობით შესრულებულმა), რომელიც მოთავსებულია ამავე ძეგლზე.

როდესაც ჩვენ ამოვხსენით ამ ლიგატურის ქართულობა, არამეული დამწერლობით შესრულებული ტექსტის ამოშიფრვა ჭერ კიდევ არ იყო დაწყებული. საქმე ის არის, რომ არამეული დამწერლობის ტექსტი იმდენად დაფარული იყო მტვერითა და ღორღით, რომელიც ჩაქდებული იყო წარწერის ტექსტში, რომ ტექსტის მთლიანი გარჩევა არ ხერხდებოდა. ამავე დროს წარწერის გარეცხა-გასუფთავებაც სახიფათო იყო, რომ წარწერა არ დაზიანებულიყო.

ასეთ ვითარებაში, ვიდრე წარწერა გასუფთავდებოდა, ჩვენ შევძელით ამოგვეშიფრა არამეული დამწერლობით შესრულებული წარწერის მხოლოდ ნაწილი; კერძოდ პირველ სტრიქონში — დასაწყისი ტექსტისა, რომელიც ასეთი თარგმნება:

„მეფე მიპრდატ, მეფე დიდი, ძე ფარსმან მეფისა დიდისა...“

მეორე სტრიქონში:

„ძე „zjwh“-ისა...“

რაკი, ამრიგად, არამეული დამწერლობის ტექსტი მთლიანად ამოკითხული ორ იყო, ჩვენი დასკვნების გამოკვეყნება ამ ძეგლის ქართული ასო-ნიშნების შესახებ ნაადრევად მივიჩნიეთ; ჩვენ დაგვამაყოფილდით წინასწარი მოხსენებით ამ საგანზე, სადაც წარმოვადგინეთ ის ძირითადი დებულებანი, რაც ზევით გვქონდა აღნიშნული, ე. ი.:

1. ძეგლზე წარმოდგენილი სპეციფიკური ნიშნები ეს არის სახელობითი ვენზელი.

2. პირველი რთული ნიშანი წარმოადგენს ლიგატურას, შემდგარს ქართულ ასოებისაგან „ბ—ს“.

3. ძეგლის ყურეებზე მოცემულია იგივე ქართული ასო-ნიშნები განცალკევებით.

4. ეს ასოები აღნიშნავს სახელს, რომლის პირველი ასოა „ბ“, ხოლო უკანასკნელი ასო „ს“.

ამასთან გამოთქვამდით მოსაზრებას, ხომ არ იმალება ამ დაქარაგმების სახით „შ—ს“ სახელი „ქვეახოს“. აღრინდელი სახეობა სახელისა „ჩვეახოს“ resp. „ჩავახოს“ (ჩავახ). ასეთ-ეკვს ბადებდა ის გარემოება, რომ თვით ტექსტში გვხვდება ეს სახელი zjwh; ამავე დროს არმაზის სხვა წარწერებშიაც სწორედ ამავე ეპოქაში მოიხსენება იგივე სახელი zjwh || Ζευχης საფიქრებელი ხდებოდა, ხომ არ არის ეს სახელი საგვარეულო სახელი პიტიახშოთა რომელიმე შტოსი, ან სახელი დინასტიის დამწყებისა, რომლის ვენზელიც მეორედბოდა მის შემკვიდრება ძეგლებზე. ამ ეკვს აძლიერებდა ის გარემოება, რომ სასანიანთ დროის ქართულ ფულზედაც გვხვდება ანალოგიური სახელი X~Q.S = ჩვეახოს, resp. ჩავახოს, რაც მისაჩნევია გვიანდელ ფორმად სახელისა „ქვეახოს“.

მას შემდეგ, რაც წინასწარი მოხსენება წავიკითხეთ, მცხეთა-არმაზის ეკსპედიციის ხელმძღვანელობის განკარგულებით მოხდა წარწერის ტექსტის გასუფთავება, რაც ჩატარებულ იქნა სათანადო წინასწარი ზომების დაცვით და რამაც დიდი ეფექტი მოგვცა, წარწერა ბევრად უფრო ნათლად გამოქვლიანდა.

ამჟამად, წარწერის შესწავლის შემდეგ, უკვე საბოლოოდ დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ არამეული დამწერლობით შესრულებულ ტექსტში, რომელიც იწყება სიტყვებით: „Mljk mhrdt mlk rb brh zj prsmn mlk rb“ (= „მეფე მიპრდატ, მეფე დიდი, ძე ფარსმან მეფისა დიდისა“), — მოხსენებულა მიპრდატ მეფის პიტიახში „srgs“, „zjwh“-ის ძე.

ძეგლი, როგორც ირკვევა, არის სტელა ამ არმაზელი პიტიახშისა, რომლის სახელი, მაშასადამე, ყოფილა srgs, და რომელიც ყოფილა შვილი zjwh-ისა (იგივე Ζευχης, resp. Ζευχιξ).

არამეული ტექსტის მონაცემების დაზუსტების შემდეგ დაუბრუნდეთ საკითხს, თუ რა სახელს აღნიშნავს ჩვენი ძეგლის ვენზელი „შ—ს“.

თავდაპირველად იმის შესახებ, თუ როგორ გამოითქმოდა სახელი ამ პიტიახშისჟ, რომელიც არამეულის დამწერლობით აღნიშნულია როგორც srgs-ძველ-ქართული ონომასტიკონის მონაცემების მიხედვით ეს არის სახელი, რომელიც საშუალო საუკუნეთა ქართულ ძეგლებში დამოწმებულია ამ სახით: „ჩ ა რ გ ა ს“. (ეს სახელი ამ ფორმით დამოწმებულია, კერძოდ, სვანეთის დოკუმენტებში 13—15 საუკ.)¹.

თუ ჩვენ დაუშვებთ, რომ ჩვენი ძეგლის ვენზელი „შ—ს“ აღნიშნავს ამ პიტიახშის პირად სახელს, მაშინ საფიქრებელი ხდება, რომ ამ სახელის აღრინდელი ფორმა ყოფილა ქ ა რ გ ა ს, რომლისაგან შემდეგ წარმოიშვა ფორმა ჩ ა რ გ ა ს.

ეს ერთი შესაძლებლობა.

მაგრამ ამავე დროს დასაშვებია მეორე შესაძლებლობაც; ჩვენი ვენზელი შესაძლოა აღნიშნავს არა თვით ჩ ა რ გ ა ს-ქ ა რ გ ა ს ი ს პირადს სახელს, არამედ სახელს პიტიახშოთა ახალი შტოსის მამამთავრისა: ქვეახოს.

აღრინდელი ფორმა სახელისა ჩავახ—ჩავახოს—ჩვეახოს, ჩანს, არის „ქვეახოს“. ეს სახელი — დაბოლოებით „ოს“ დამოწმებულია სასანური ხანის ფულით. ხოლო ბევრა „ჩ“ რომ თავდაპირველად გამოითქმოდა როგორც „შ“, ამას გვიჩვენებს ისტორია სატომო სახელწოდებისა: ტაოხი — ჩავახი, რომლის მოსაშუაღე ფორმაა „ქავახი“.

¹ ი. პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები (იბეჭდება ენბი-ის გამოცემათა სერიაში), — სახელი ჩ ა რ გ ა ს: გვ. 124, 143, 147, 80, 83, 90, 96, 89 და სხვ. გვარი ჩ ა რ გ ა ს ი, გვ. 105.

აღსანიშნავია, რომ ჰევახოს, მამა ჩარგასისა, ჩვენს ძეგლზე არ მოიხსენება „პიტიახში“-ს ტიტულით. როგორც ირკვევა, თვით ჰევახოს არ ყოფილა პიტიახში; მაგრამ მას შემდეგ ეს ხელისუფლება ჰევახოსის სახლზე გადასულა და ჰევახოსის შვილი ჩარგას „პიტიახში“-ს ტიტულს ატარებს.

ამრიგად, ჰევახოს არის მამამთავარი პიტიახშთა ამ ახალი შტოსი, მამა პირველი პიტიახშისა ამ სახლიდან. ამის გამო სახელი ჰევახოსისა შესაძლოა ქვეულისყო საგვარეულო ტიპის სახელად, და მისი ვენზელი, როგორც პიტიახშთა ახალი შტოსის მამამთავრისა, გამოსახული ყოფილიყო მის შემკვიდრეთა ძეგლებზე.

ეს მით უფრო ბუნებრივია და მოსალოდნელი, რადგან ჰევახოს, როგორც ირკვევა, არ იყო უბრალო პერსონა, არამედ სამეფო გვარეულობის წევრი, რადგან პიტიახში, როგორც წესი, სამეფო გვარეულობიდან ინიშნებოდნენ.

ხოლო სახელი ჰევახოსი||ჰევახოს რომ მართლაც საგვარეულო ტიპის სახელად ქცეულა, ამას ბევრი რამ ეთანხმება და ადასტურებს. ჰევახოს და მისი შემკვიდრე ჩარგას (ჭარგას) პიტიახში, როგორც ირკვევა, I და II საუკუნეთა მოღვაწეებია. მათ შემდეგ ეს სახლი, ჩანს, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ძველი იბერიის ისტორიაში. თვით უფრო გვიან ხანაში, VI საუკუნეში ჩვენი წელთაღრიცხვისა, როდესაც იბერიაში მოისპო მეფობა, ხოლო შემდეგ ერისმთავრობის ინსტიტუტი შეიქმნა, ჰევახიანთა სახლი, ჩანს, აცხადებდა პირველობას ქართლის მთავართა შორის. ერთი მთავარი ამ სახლიდან კიდევ აღწევს ერისმთავრობის ხარისხს და უშეებს საკუთარ ფულსაც, რომელზედაც წარწერილია იგივე ძველი საგვარეულო სახელი: X~Cს (=ჰევახოს resp. ჰავახოს).

აქ, როგორცა ჩანს, გვაქვს ერთი და იმავე ისტორიული ტრადიციის განუწყვეტელი რგოლი.


მაგრამ ამ საგვარეულო სახლის გვიანდელი ისტორიის საკითხებს აქ ამგზის აღარ ვეხებით დაწვრილებით (ამ საგანზე დაწვრილებით საუბარი გვაქვს სპეციალურ ნარკვევაში). აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ არსებობს მთელი რიგი ჩვენებათა, რაც საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ იმავე ჰავახიანთა ძველი იბერიული სახლის შტოს წარმოდგენს საშუალო საუკუნეთა ისტორიაში კარგად ცნობილი მფლობელი გვარეულობა თორელებისა (რომლებიც ფლობდნენ ძველი არმაზის საპიტიახშოს ტერიტორიის ნაწილს). საგვარეულო სახელი თორელთა სახლისა, სტეფანოს ორბელიანის მოწმობით, იყო „ჰავახ-ური“. აღსანიშნავია ამასთან, რომ ამ გვარში გავრცელებული იყო საკუთარი სახელის სახითაც იგივე სახელი „ჰავახ“, და აგრეთვე ამავე ტიპის, ეთნიკური წარმოშობის, მეორე სახელი „კახაჲ“ (ასევე სახელიც „ჩარგას“ იმავე წყების, ეთნიკური ტიპის სახელია, საკუთარი სახელის სახით გამოყენებული).



დასასრულ, ჩვენი ძეგლის დროის შესახებ. ძეგლი ეკუთვნის ჩვენი წელთაღრიცხვის I—II საუკუნეებს. ჩარგას (ჭარგას) პიტიახში ყოფილა ხელისუფალი იბერიის მეფის მიპრდატ ფარსმანის-ძისა. წყაროებში მოხსენებულია ორი მეფე ამ სახელით: 1) მიპრდატ ფარსმანის-ძე, დასახელებული მცხეთა-არმაზის

ცნობილ წარწერაში 75 წლისა; 2) მიპრდატ, ძე (resp. მეგეკიდრე) ფარსმანი-
სა, „ამიერი მეფე“ — მოხსენებული „ქართლის მოქცევის“ მატრიანეში II სა-
უკუნეში. თუ რომელი მიპრდატ იგულისხმება ჩვენს წარწერაში, ამ საკითხს,
ამგზის ღიად ვტოვებთ, მით უფრო, რომ ამას არა აქვს იმდენად უშუალო კავ-
შირი ამ წერილში აღძრულ საკითხებთან. აღვნიშნავე მხოლოდ, რომ ეს ძეგ-
ლი, ყველა მონაცემების მიხედვით, არ სცილდება აქ აღნიშნულ სათარიღო
მიჯნებს, ჩვენი წელთაღრიცხვის I და II საუკუნეებს.

P. S. აქ საკიროა დამატებით აღვნიშნოთ შემდეგი. რომ სახელი ქევახოს, ჩანს, საგვარე-
ულო ტიპის სახელად ქცეულა ანტიკურ ხანაში, ამას ეთანხმება არმაზის არქეოლოგიური გა-
თხრების ახალი მასალები. როდესაც ჩვენ წავიკითხეთ მოხსენება ამ წერილში აღძრული სა-
კითხების გამო (მცხეთა-არმაზის არქ. ექსპედიციის ექსპერტთა კომისიის სხდომაზე,
16.XII.1940 წ.) — ცნობილი იყო მხოლოდ ორი ძველი ქევახოსის სახელით. ხოლო ამჟამად
სახელი ქევახოსისა აღმოჩენილია უკვე ხუთ ძეგლზე: 1. ჩვენს სტელაზე; 2. სერაფიტის სტე-
ლაზე; 3. გემმაზე, რომელიც აღმოჩენილია ასპაერუკ პიტიახშის სამარხში; 4. ბეკედზე, რომე-
ლიც აღმოჩენილია საპიტიახშო ნეკროპოლის სამარხში № 2; 5. ბეკედზე, რომელიც აღმოჩე-
ნილია საპიტიახშო ნეკროპოლის სამარხში № 6.



ძველი ქართული მაცდიანე
«მოქცევაჲ ქართლისაჲ»
და ანტიკური ხანის
იბერიის მეფეთა სია

(IV საუკუნიდან ძველი წელთაღრიცხვისა — 310-იან წლებამდე
ახალი წელთაღრიცხვისა)



ძველი ქართული მატიანე «მოქცევაჲ ქართლისაჲ» და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია

უძველესს ჩვენს დრომდე მოღწეულ ქართულ მატიანეში, რომელსაც ეწოდება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, მოიპოვება მთლიანი ნუსხა ანტიკური ხანის იბერიის მეფეებისა — «მეფენი ქართლს შინა წარმართნი». ეს სია ძირითადად მოიცავს ექვს საუკუნეს, დაწყებული ალექსანდრე მაკედონელის ეპოქიდან — ვიდრე IV საუკუნის დასაწყისამდე ჩვენი წელთაღრიცხვისა.

დასახელებული სია, მთლიანად აღებული, დღემდე არ ყოფილა საფუძვლიანი მეცნიერული განხილვის, პრეციზული მეცნიერული კრიტიკის საგანი. შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს სია დღემდე დევს როგორც უქმი, გამოუყენებელი მასალა.

სინამდვილეში კი «მოქცევაჲ ქართლისაჲ»-ს ეს სია წარმოადგენს უაღრესად მნიშვნელოვან ისტორიულ დოკუმენტს, ქართული ნაციონალური ისტორიოგრაფიის უძველესს ფურცელს.

„ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა“-ში, რომელიც 1939 წელს გამოქვეყნდა, ჩვენ წარმოდგინილი გვქონდა ზოგიერთი დებულება, რომლის მიხედვითაც დავასკვნიდი, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანის ეს ნაწილი ავთენტურობის ბეჭედს ატარებს, რომ იგი, ჩანს, დამოკიდებულია ანტიკური ხანის ჩვენს დრომდე არმოღწეული ქართული საისტორიო ძეგლებიდან“.

ამჟამად — წინამდებარე წერილში — ჩვენ ვიძლევი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანის ამ ნაწილის უფრო დეტალურ კრიტიკულ განხილვას, რათა ცხადეყოთ ამ ძეგლის რაობა, როგორც ისტორიული დოკუმენტისა.

I

ტექსტი

თავდაპირველად გავეცნოთ ძეგლის ტექსტს.

ტექსტი მატიანის პირველი ნაწილისა, სადაც მოთავსებულია სია იბერიის ანტიკური ხანის მეფეთა — «მეფენი ქართლს შინა წარმართნი» — მოღწეულა ერთადერთი ზელნაწერის სახით; ეს არის ქართული ლიტერატურის ისტორიაში კარგად ცნობილი შატბერდული ზელნაწერი.

მატიანის ტექსტი ადგილ-ადგილ დაზიანებულია.

ზოგიერთი დაზიანებული ადგილთაგანი ეკუთვნის თვით ჩვენს დრომდე მოღწეულ წელნაწერს.

ხოლო ზოგიერთი დაზიანება, როგორც ირკვევა, უფრო აღრინდელი წარმოშობისაა; ეს აღრინდელი დაზიანებანი ნაწილობრივ მომდინარეობს ჩვენი მატიანის უფრო ძველი ხელნაწერებიდან, ხოლო ნაწილობრივ თვით იმ პირველწყაროებიდან, რომელთაგანაც დამოკიდებულია ჩვენი მატიანე.

ტექსტის ქვემოთ გამოცემაში ეს დაზიანებული ადგილები აღდგენილი გვაქვს.

იმ შემთხვევაში, როდესაც დაზიანებული ადგილების აღდგენა, ჩვენი აზრით, არ არის საცილობელი და ძირითადში საბოლოოდ დადგენილად მიგვაჩნია, ასეთი აღდგენილი ადგილები მოთავსებული გვაქვს ბრწყალებში [].

ხოლო როდესაც დაზიანებული ადგილების აღდგენა არ შეიძლება ჩაითვალოს საბოლოოდ დადგენილად, ასეთი საცილობელი ადგილები მოთავსებული გვაქვს ტეხილ რკალებში < >.

მოგვყავს ამის შემდეგ თვით ტექსტი.

[თავი პირველი] *

«...თანა ჰყვანდა ალექსანდრეს მეფესა აზოა, ძმ არიან-ქართლისა მეფისაჲ, და მას მიუბოძა მცხეთაჲ საჯდომად, და საზღვარი დაუდგა მას: პერეთი, და ეგრის-წყალი, და სომხითი, და მთაჲ ცროლისაჲ, და წარვიდა.

ხოლო ესე აზოა წარვიდა არიან-ქართლად მამისა თვისისა, და წარმოიყვანა [ათასი] სახლი [მდაბიოჲ უფლისაჲ], და ათნი სახლნი მამამძეძეთანი, და დაჯდა ძუელ მცხეთას, და თანა ჰყვანდეს კერპნი ღმერთად—გაცი და გა.

[თავი მეორე] **

I. და ესე იყო პირველი მეფე მცხეთას შინა — აზოა, ძმ არიან-ქართველთა მეფისაჲ, და მოკუდა.

¹⁰ II. და შემდგომად მისა დადგა ფარნავაზ. ამან აღმართა კერპი დიდი ცხურსა ზედა და დასდგა სახელი მისი არმაზი. და მოქმნა ზღუდე წყლით კერპო და ჰრქვან არმაზ.

III. და შემდგომად მისა დადგა მეფედ საურმაგ. ამან აღმართა კერპი ადრინა გზასა ზედა და იწყო არმაზს შინებად.

¹⁵ IV. და მისა შემდგომად მეფობდა მირვან, და აღმართა დანინა გზასა ზედა წინარმ და აღაშენა არმაზი.

V. და მეფობდა ფარნაქოზ, და აღმართა კერპი ზადენ მთასა ზედა და აღაშენა ციხე.

VI. და მეფობდა არხოკ, და მან ქალაქსა ზღუდენი მოაქმნნა.

* მოგვყავს პირველი თავის ბოლო, საიდანაც იწყება მეფეთა ჩამოთვლა.

** მეორე თავი მოგვყავს მთლიანად.

- 20 [VII. და მეფობდა მირდატ...]
 VIII. და მეფობდა არ[ტო]კ, რომელმან შიდა-ციხე აღაშენა არმაზსა.
 IX. და მეფობდა ბ[ა]რაცმან, რომელსა ზე მცხეთას ქალაქი დაეწყო.
 X. და მეფობდა მირეან, და მან აღაშენა მცხეთაი ქალაქი.
 XI. და მეფობდა არსუკ, რომელმან კასპი შეიპყრა და უფლის-ციხე
 25 განაგო.
 XII. და მეფობდა [ადერ]ოკ, რომელმან რამდენიმე მცხეთაი გაა-
 შორა.
 [XIII. და მეფობდა ფარსმან...]
 <XIV. და მეფობდა მირდატ...>
 30 და მეფობდა ორად გაიყო, ორნი მეფენი დასხდეს იმიერ და ამიერ.
 XV. და მეფობდა [იმიერ] ქარ[თ]აშ და [ამიერ] ბ[ა]რაცმან, და ამათ
 ეამთა პურიანი მოვიდეს მცხეთას და დასხდეს.
 XVI. და მეფობდა იმიერ ფარსმან და ამიერ კაოს.
 XVII. და მეფობდა იმიერ [ფ]არ[ნ]უკ და ამიერ ა[რ]მაზაერ.
 [XVIII. და მეფობდა იმიერ მირდატ და ამიერ ამაზასპ].
 35 XIX. და მეფობდა იმიერ ამაზასპ და ამიერ [ა]დერუკ.
 XX. და მეფობდა იმიერ ფარსმან ჭველი და ამიერ ფარსმან-აგაზ.
 XXI. და მეფობდა [ი]მიერ <...>როკ და ამიერ მირდატ. და ამისა-
 ზე მოაკლდა არმაზი სამეფოთ და მცხეთას ოდენ იყო მეფობა.
 XXII. და მეფობდა ლადაში [სამ წელ] და დღე ოც.
 40 XXIII. და ფარსმან.
 XXIV. და ამაზასპ.
 XXV. და რეე მართალი.
 XXVI. ვაჩე.
 XXVII. ბაკურ.
 45 XXVIII. მირდატ.
 XXIX. ასფაგურ.
 XXX. ლევ, მამაი მირეანისი. —
 ესე [ოც-და-ათნი] მეფენი ქართლს შინა წარმართნი.

II

პარალელური წყაროები

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ზემოთ მოყვანილი მეფეთა ნუსხა ქართულ მწერლობაში არა დგას განმარტებით; ანალოგიური ზია ანტიკური ხანის იბერიის მეფეებისა ხელთა ჰქონიათ აგრეთვე საშუალო საუკუნეთა სხვა ქართველ ავტორებსაც.

აქ საჭიროა გავეცნოთ ამ პარალელურ ტექსტებს, რომლებიც იძლევიან მთელ რიგ მნიშვნელოვან ჩვენებებს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტის შესა-
 მოწმებლად და პირვანდელი დედნის აღსადგენად.

საშუალო საუკუნეთა ეს ქართული ტექსტები, რომლებიც ეხებიან ანტიკურ ხანას, შესაძლოა ორ ჯგუფად გავყოთ: ერთია — ლეონტი მროველის თხზულება (რომელიც უფრო სრულს ცნობებს შეიცავს), მეორე — დანარჩენი ტექსტები (—მათი ცნობები ექსცერპტული ხასიათისა).

1. ქართველ ისტორიკოსს ლეონტი მროველს (VIII ს.) სახელმძღვანელოდ ჰქონია, როგორც ირკვევა, რომელიდაც ძველი საისტორიო ძეგლი რომელიც შეიცავდა ანალოგიურ სიას ანტიკური ხანის იბერიის მეფეებისას («მეფენი ქართლს შინა წარმართნი») და ეს სია ლეონტის გამოუყენებია როგორც ერთ-ერთი ძირითადი წყარო თავის თხზულებაში: «ცხოვრება (ჰამბავი) ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა». ლეონტი მროველის თხზულებაში წარმოდგენილი მეფეების ნუსხა, რომელიც იწყება ალექსანდრე მაკედონელის ეპოქიდან და მოყვანილია მირიანის მეფობამდე, ძირითადად ემთხვევა «მოქცევაჲ ქართლისაჲ»-ს სიას, მაგრამ აქ არის ზოგიერთი დაცვილება და ზოგიერთი ახალი ცნობებიც, რაც მნიშვნელოვანია მეფეთა სიის ისტორიის გასაშუქებლად.

ლეონტი მროველის ამ სიას ჩვენ ქვემოთ სპეციალურად ვეხებით ცალკე. 2—3. გარდა ლეონტი მროველისა—ანალოგიური სია ანტიკური ხანის იბერიის მეფეებისა ზელთა ჰქონია აგრეთვე ორ ძველ ქართველ ავტორს:

- ა) შატბერდულ-ჰელიშური ნინოს ცხოვრების აღმწერელს (VIII საუკ.);
- ბ) არსენი მეტაფრასტს (XII—XIII საუკ.), რომელსაც უკუთვნის საისტორიო ტექსტი, ნინოს ცხოვრების დამატების სახით დაწერილი (ეს ტექსტი: იწყება შემდეგი შესავალით: «უწყებამა ჭერ არს... ვითარმედ ესე მეფე მირიან და სხუანი მეფენი ქართველნი— რომლისა ტომისაგან იყვნეს, ანუ ქართველნი რომელთა ნათესავთა შვილნი ვართ»).

ამ ორ უკანასკნელ თხზულებაში — შატბერდულ-ჰელიშურ ნინოს ცხოვრებაში და არსენი მეტაფრასტის ტექსტში — თუმცა არაა ჩამოთვლილი სახელდებით ძველი იბერიის ყველა მეფეები, მაგრამ ირკვევა, რომ ამ ავტორებსაც სახელმძღვანელოდ ჰქონიათ იმავე სახის მთლიანი სია იბერიის მეფეთა, და ეს სია მათ გამოუყენებიათ როგორც წყარო: ისინი უჩვენებენ, თუ რამდენი მეფე იყო იბერიაში ქრისტიანობის დამყარებამდე, და ამას გარდა სახელდებითაც მოიხსენებენ ზოგიერთ მეფეს, რამდენადაც ამას კავშირი აქვს მათ მოთხრობასთან.

4. გარდა დასახელებულ ნაწარმოებთა, ქართულ ენაზე არსებულა კიდევ ერთი საისტორიო ძეგლი (რომელსაც ტრადიცია მიაწერდა IV საუკუნის ქართველ მწერალს აბიათარს), რომელშიაც, ჩანს, აგრეთვე წარმოდგენილი ყოფილა ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია.

ეს ძეგლი ატარებდა ასეთ სათაურს:

«ცხოვრება და მოქცევა ქართლისა და მოთხრობა ნათესავობისა, და თუ რომელნი რომელთა ტომთანი ვართ, ანუ—თუ ვითარ მოვიქცეთ და მივიღეთ სჯული ქრისტეანობისა..., აღწერილი აბიათარისი».

ზედწერილი ამ ძეგლისა შენახულა ანა-დედოფლისეულ ქართლის ცხოვრებაში. თვით ტექსტი ამ ძეგლისა თუმცაღა ჩვენ დრომდე არ მოღწეულა. მაგრამ ირკვევა, ამ ძეგლს იცნობდა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანის ავტორი; იცნობდა მას აგრეთვე არსენი მეტაფრასტი.



დასასრულ, ძველ ქართულ წყაროებთან ერთად უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე სომეხთა ისტორიკოსის მოსე ხორენელის მიერ დატული ცნობები ძველი იბერიის შეფეთა შესახებ; ეს ცნობები მოსე ხორენელს, როგორც ირკვევა, ძველ-ქართული საისტორიო წყაროებიდან ამოუკრებია. მოსე ხორენელი, როგორც ცნობილია, ბაგრატიონთა სახლის დაახლოებული პირი იყო. იგი, როგორც ჩანს, მოღვაწეობდა სპერის პროვინციაში (სადაც. თვით მოსე ხორენელის სიტყვით, სომხური ენა არ ისმოდა) ¹. მოსე ხორენელი, როგორც ეს საფიქრებელი ხდება მისი ნაწარმოების ტექსტის შესწავლიდან, ახლო იცნობდა ქართულ მსოფლიოს და, ჩანს, ეცოდა ქართული ენაც. რასაც გვიჩვენებს მისი ისტორიის ცნობილი ადგილები, სადაც საუბარია ვერეთრაგნა — ვაჰაგნის ეპოსის საქართველოში გავრცელების შესახებ, და აგრეთვე ცნობა ქართველ სეფეწულთა შესახებ.

მოსე ხორენელის ისტორიაში დასახელებულია ექვსი შეფე იბერიისა I საუკუნიდან ჩვენს ერამდე — ვიდრე V საუკუნემდე ჩვენი წელთაღრიცხვისა, და რაც საგულისხმოა — დასახელებულია იმავე ქრონოლოგიურ რკალში და იმავე თანრიგით, როგორც ქართულ წყაროებშია წარმოდგენილი (ამასთან მოსე ხორენელის ისტორიის ტექსტში შერჩენილია ქართული დამწერლობის ნიადაგზე წარმოშობილი დაზიანებული ვარიანტი სახელის დაწერილობისა, რაც ცხადყოფს მოსე ხორენელის დამოკიდებულებას ქართული წყაროებიდან). ამას გარდა, როგორც ირკვევა, ქართული წყაროებიდან მომდინარეობს აგრეთვე ცნობა მოსე ხორენელისა ქართველთა გადმოსახლების შესახებ — საქართველოს თანამედროვე ტერიტორიაზე, და ცნობა ქართველთათვის მმართველის დანიშნის შესახებ ალექსანდრე მაკედონელის მიერ; აქაც ჩვენ გვაქვს შეხვედრა ქართულ წყაროებთან.

III

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს დაზიანებული ადგილების აღდგენისათვის

დავუბრუნდეთ ამის შემდეგ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანის ტექსტს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტის ის ნაწილი, რომელიც აქ ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს და რომელიც ერთადერთი ზელნაწერის სახით არის მოღწეული, შეიცავს, როგორც აღვნიშნავდით, მთელ რიგ დაზიანებულ ადგილებს (სახელდობრ ეს ის ადგილებია, რომლებიც ზემოთ მოთავსებულ ტექსტში აღნიშნული გვაქვს ბრწყალებით [—] და ტეხილი რკალებით < >).

¹ იხ. ცნობა მოსე ხორენელისა სპერის შესახებ (წიგნი II, თავი 3).

ამ დაზიანებული ადგილების აღდგენა და შემოწმება შესაძლო ხდება სხვა ძეგლების პარალელური ტექსტების მიხედვით.

აქ ჩვენ საგანგებოდ შევჩერდებით ამ დაზიანებულ ადგილებზე, და აღვნიშნავთ, თუ რისი მიხედვით გვაქვს გამორკვეული ტექსტის ესა თუ ის დაზიანება, და რას ემყარება ჩვენ მიერ წარმოდგენილი ტექსტის აღდგენა.

ეს დაზიანებული ადგილები ხუთ წყებას წარმოადგენს:

1. დაზიანებულია საკუთარი სახელები.
2. დაზიანებულია თარიღი (დადამის მეფობისა).
3. დაზიანებულია ტექსტი ცნობისა არიან-ქართლიდან გადმოსახლების შესახებ.
4. მეფეთა სიას აკლია ოთხი მეფის სახელი.
5. არასწორად არის გაგებული „ამიერი“ — როგორც „მცხეთა“ და „იმიერი“ — როგორც არმაზი (თავდაპირველი ტექსტით იგულისხმებოდა: ამიერი“ — არმაზი, „იმიერი“ — მცხეთა).

1. საკუთარი სახელების დაზიანებული დაწერილობანი

საკუთარი სახელები „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატრიანეში, ერთი მხრით, და სხვა პარალელურ წყაროებში, მეორე მხრით, შემდეგი ვარიანტებით არის წარმოდგენილი:

1. სახელი VIII მეფისა: არტოკ. ანტიკური ხანის ბერძენ-რომაელ ავტორთა ცნობების თანახმად, სახელი ამ მეფის არის „არტოკ“ ანუ „არტაკ“ (აბიანეს, დიონ კასიოსის, ფლორეს და ევტროპის ტექსტით — „არტოკ“, ფესტუსის ტექსტით — „არტაკ“). ქართული წყაროებიდან ლეონტი მროველის თხზულებაში ეს სახელი იკითხვის: „არტაკ“. ზოლო „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ჩვენ დრომდე მოღწეულ ხელნაწერში ეს სახელი დამახინჯებულად არის წარმოდგენილი: „არიკ“.

თავდაპირველ დედანში სახელი, ჩანს, ეწერა დაქარაგმებულად: ႠႰႱႰ = არტკ (ე. ი. არტოკ resp. არტაკ), რაც დაზიანებულა ამ სახით: ႠႰႱႰ (ე. ი. არიკ).

2. სახელი XII და XIX-ა მეფეებისა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატრიანეში და ლეონტი მროველის თხზულებაში წარმოდგენილია ასეთი მრავალგვარი ვარიანტებით:

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“:

XII. როკ.

XIX-ა. დერუკ.

ლეონტი მროველი (და ლეონტი მროველისაგან დამოკიდებული ტექსტები):

ადერიკ, ადერკ, ადორკ, ადრეკ-დეროკ.
დერკუ.

პირვანდელი ფორმა ამ სახელისა, ჩანს, არის ადეროკ (resp. ადერუკ), რომლისაგან შემდეგ წარმოშობილია სხვადასხვა დაზიანებული ფორმები.

3. სახელი XXI-ა მეფისა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატრიანეში იკითხვის ამრიგად: „როკ“. ლეონტი მროველის თხზულებაში ამ სახელს პარალელი არა აქვს. აქაც, საფიქრებელია, გვაქვს დაზიანებული ფორმა სახელისა, თავშეკვეცი-

ლი სახით, ისევე როგორც წინა მავალითში: <ლდე>როც || <ლდე>რუკ, ანდა: <ასფა>როც || <ასფა>რუკ.

4. სახელი XV-ა მეფისა წყაროებში შემდეგნაირად იკითხვის: ლეონტი მროველის თხზულებაში — ქართამ; „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანეში — ქარძამ; მოსე ხორენელის ტექსტში — ქარძამ. ეს განსხვავებული დაწერილობანი სახელისა, ცხადია, წარმოშობილია პალეოგრაფიულ ნიადაგზე, ასოების „თ“-ს და „ძ“-ს მსგავსების გამო ძველ-ქართულ ასომთავრულ შრიფტში:

ქართამ = ԻՇԿԻԾԾ

ქარძამ = ԻՇԿԻԾԾ

ეს სახელი სწორად, დაუზიანებელი სახით დაცულია ლეონტი მროველის თხზულებაში: „ქართამ“; სახელი, ნაწარმოებია სატომო სახელისაგან: „ქართ“ (შეადარეთ ამავე ტიპის საკუთარი სახელები, სატომო სახელებისაგან ნაწარმოებნი: ჭავახ, კახა, მესხა, ჩარგას || ჩარგას და სხვ.).

აღსანიშნავია, რომ პარალელური სრული ფორმა სახელისა ქართამ, როგორც ირკვევა, ყოფილა ქართამან resp. ქართმან (შეადარეთ ქართამ || ქართმან და ამავე ტიპის ამნაირადვე დაბოლოებული მეორე სახელის პარალელური ფორმები: ბარცამ || ბარცმან). პარალელი ამავე სახელისა ქართამ || ქართმან წარმოდგენილია აგრეთვე ძველი იბერიის „ქართლი“-ს თემის სახელშიაც: * ქართმან-ი (→ გარდმანი).

ამრიგად, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანეში და მოსე ხორენელის ტექსტში დაცული ვარიანტი „ქარძამ“ (ნაცვლად სწორი ფორმისა „ქართამ“), — ეს არის გადანაწერის შეცდომა, დაზიანებული წაკითხვა, რაც წარმომდგარა მსგავსი მონახულობის ძველ-ქართული ასოების არევის გამო.

ეს გარემოება უდარესად მნიშვნელოვანია კერძოდ მოსე ხორენელის ტექსტის ისტორიისათვის. აქ ჩვენ ვვაქვს ერთ-ერთი აშკარა მაჩვენებელი იმისა, რომ მოსე ხორენელის ცნობები საქართველოს შესახებ ქართული წყაროებიდან მომდინარეობს, რამდენადაც მოსე ხორენელის ტექსტში შერჩენილია ამგვარი ტიპის შეცდომა, ქართული დამწერლობის ნიადაგზე წარმოშობილი.

5. სახელი XVII-ბ მეფისა ქართულ წყაროებში წარმოდგენილია პარალელურის ფორმებით: ამაზაერი („მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანე და ნინოს ცხოვრების შატბერდულ-ქელიშური ტექსტი) და არმაზაელი ანუ არმაზელი (ლეონტი მროველის ტექსტი). ეს სახელი, ჩანს, დაკავშირებულია არმაზის სახელწოდებასთან და თავდაპირველი ფორმა სახელისა, ჩანს, იყო არმაზაერი (—რომლის შესატყვისია ლეონტი მროველის ტექსტში შემონახული უფრო გვიანდელი პარალელური ფორმა ამ სახელისა: არმაზაელი, არმაზელი).

6. სახელი IX და XV-ბ მეფეებისა: ბარცმან || ბარცმან. ეს სახელი წყაროებში შემდეგი ვარიანტებით არის წარმოდგენილი: ბრაცმან (ნინოს ცხოვრების შატბერდული ხელნაწერი), ბარტამან (ქელიშური ხელნაწერი), ბრატმან („მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტი), ბარტამ, ბარტომ (ლეონტი მროველის ტექსტი), Βαρτισμα- || ბერტუმ (ბერძნული წარწერა 70-96 წლებისა არმაზში აღმოჩენილი ლანგარისა), Βαρταμα || ბარცამ (თეოფანეს ქრონოგრაფია, ორნაწილად სახელში: Βαρταμα — იმთჳ ბარცამ — უმა).

პირვანდელი სრული ფორმა ამ სახელისა არის ბარცმან || ბარცმან (—პარალელური ფორმა სახელისა ფარსმან || ფარსმან). დაზიანებული დაწერილობანი, რომლებშიაც ნაცვლად ასოსი „ც“ იკითხვის ასო „ტ“, პოულობს ახსნას პალეოგრაფიულ ნიადაგზე (არეულია მსგავსი მოხაზულობის მქონე ასოები: „ც“ და „ტ“).

7. სახელი XVII-ა მეფისა [ფ]არ[ნ]უჟი, მოღწეულ ხელნაწერებში ეს სახელი დაზიანებულად არის დაცული. არსებული დაწერილობანი ამ სახელისა მომდინარეობენ ფორმისაგან: არნუჟ (ႠႠႠႠႠႠ).

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“: ႠႠႠႠႠႠ — ႠႠႠႠႠႠ || ႠႠႠႠႠႠ.

ლეონტი მროველი: ႠႠႠႠႠႠ — ႠႠႠႠႠႠ || ႠႠႠႠႠႠ || ႠႠႠႠႠႠ.

ძველ-ქართულ ონომასტიკონში დამოწმებულია სახელი: ბარნუჟი (=ფარნუჟი), ზსე-ფარნუჟი, ნა-ბარნუჟი¹.

ქართული ხელნაწერების არ[ნ]უჟი, როგორც ირკვევა, წარმოადგენს დაზიანებულს დაწერილობას ამ სახელისას: „ფარნუჟი“. (მაშასადამე, აქაც დაზიანებულია სახელის დასაწყისი, როგორც ამას სხვა შემთხვევაშიაც ვხედავთ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ხელნაწერში: აღეროჟ — დეროჟ — როჟ).

რომ ეს დაზიანებული დამწერლობა სახელისა „არნუჟი“ არის „[ფ]არნუჟი“, ეს დასტურდება შემდეგის მიხედვით:

ა) იმ ხანაში, როდესაც ქართული მატიანეები უჩვენებენ არნუჟის = [ფ]არნუჟის მეფობას, ახლად აღმოჩენილი სერაფიტის ძეგლის წარწერა ასახელებს იბერიის მეფეს იმავე სახელით: ზსე-ფარნუჟი (=ფარნუჟი).

ბ) ქართული მატიანეების თანახმად მეფე [ფ]არნუჟი არის მემკვიდრე ფარსმანისა. ზოლო სერაფიტის ძეგლის წარწერის თანახმადაც მეფე ზსე-ფარნუჟი არის მემკვიდრე ფარსმანისა².

8. სახელი XXII მეფისა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანეში მოხსენებულია როგორც „დადამი“, ზოლო ლეონტი მროველის თხზულებაში როგორც „დადამი“. სწორია პირველი დაწერილობა: დადამი.

შეად. დედოფლის (ღაღამის დედის) სახელი: დადამა. შეად. აგრეთვე სახელი Rhadami(st).

9. სახელი პირველი მეფისა ქართულ წყაროებში შემდეგი ვარიანტებით არის წარმოდგენილი:

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანეში: აზოღ.

ლეონტი მროველის თხზულებაში: აზონ, აზოვენ (— *აზოვენ), აზოვე (— *აზოვე).

არსენი მეტაფრასტის თხზულებაში: აზოვე (— *აზოვე), აგრეთვე აზონ და აზოველ.

ამ შემთხვევაში, როგორცა ჩანს, სახელის დაზიანებასთან კი არ გვაქვს საქმე ჩვეულებრივის გაგებით (ე. ი. სახელი კი არ დაზიანებულა პალეოგრაფიულ ნიადაგზე, გაღანაწერის შეცდომების მიზეზით), არამედ საფიქრებელია, რომ აქ გვაქვს ისტორიული ტრადიციის სხვაობა, შეხვედრა სხვადასხვა წყაროებიდან მომდინარე ისტორიულ-ლიტერატურული გადმოცემებისა.

¹ შეად. ხეთური სახელი: ტლა-ბარნა (ლა-ბარნა, ტა-ბარნა).

² იხ. ამის შესახებ ქვემოთ, გვ. 536—537 და 551—553.

10. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანეში XIX-ბ მეფე (თანა-მეფე) მოხ-სენებულთა სახელით: „ფარსმან-ავაჲ“. ლეონტი მროველის თხზულებაში ამის პარალელურად დასახელებულია „ფარნავაჲ“ („სპასპეტი“ ე. ი. პიტიახში, იგივე თანა-მეფე, „შებდგომი“ მეფისა). სახელის რომელი წაკითხვაა სწორი, ამ კითხვას ამგზის ღიად ვტოვებთ.

11-13. დანარჩენი მეფეების სახელები „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატია-ნეში და ლეონტი მროველის თხზულებაში შემდეგ განსხვავებას წარმოგვიღ-გენს:

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“:

V. ფარნაჯომ

VI. არსოჲ

XI. არსუჲ

ლეონტი მროველი:

ფარნაჯომ, ფარანჯომ.

არშაჲ.

არშაჲ.

თუ რომელი დაწერილობაა სწორი, ამ კითხვასაც ამგზის ღიად ვტოვებთ. აღნიშნავთ მხოლოდ, რომ ვარიანტი „არშაჲ“, ჩანს, არის მწიგნობრული ინ-ტერპრეტაცია სახელისა არსოჲ (არსუჲ), იმ მოსაზრებით, რათა ეს პირნი და-ეკავშირებინათ არშაჲიდების დინასტიასთან; მაგრამ ასეთი დაკავშირებისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს ¹.

2. თარიღის დაზიანება

გარდა იმისა, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანის ჩვენს დრომდე მოღწეულ ხელნაწერში დაზიანებული ყოფილა მთელი რიგი მეფეთა სახე-ლები, დედანს სხვა შემთხვევებშიაც ეტყობა დაზიანება.

კერძოდ, დაზიანებულია ერთი სათაარილო ცნობა.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ-ს მატიანის მოღწეულ ხელნაწერში XXI მეფის შესახები ტექსტი იკითხვის ამრიგად:

„მეფობდა ლადამი და დღე ოც“.

ფრაზა, როგორც ვხედავთ, დასრულებული არაა. კონტექსტის წყობის მიხედვით სავარაუდებელია, რომ აქ წინარე გამოთქმისა „და დღე ოც“ აკლია წელის აღნიშვნა.

და პართლაც ლეონტი მროველის პარალელურ ტექსტში ჩვენ ვკითხუ-ლობთ, რომ მეფე ლადამი (ადამი) მეფობდა სამ წელს.

მასასადამე, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანის ტექსტი აქ აღდგენილ უნდა იქნეს ამრიგად:

„მეფობდა ლადამი [სამ წელ] და დღე ოც“.

3. დაზიანება ცნობისა არიან-ქართლიდან გადმოსახლების შესახებ

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანეში დაზიანებულია აგრეთვე ადგილ-სადაც მოთხრობილია ამბავი ქართველთა ნაწილის გადმოსახლებისა არიან-ქართლიდან.

¹ ლეონტი მროველი ფიქრობდა, რომ ეს პირნი არშაჲიდების დინასტიას ეკუთვნოდნენ. სინამდვილეში კი, ძველს იბერიაში, როგორც ამას აღასტურებს ფესტოს ბიზანტიელის ცნობა, ფარნავაჲანთა დინასტიის მეფობა გაგრძელებულა გაცილებით უფრო გვიან ხანაჲდ.

მოგვეყავს აქ სათანადო ტექსტი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მარტიანისა და ამის გვერდით პარალელური ტექსტი არსენი მეტაფრასტიკა თხზულებიდან.

მოქცევაჲ ქართლისაჲ

„ხოლო ესე აზომ წარვიდა არიან-ქართლად მამისა თვისისა, და წარმოიყვანა რვაჲ სახლი, და ათნი სახლნი მამამძუძეთანი, და დაჯდა ძუელ მცხეთას, და თანა ჰყვანდეს კერპნი ღმერთად — გაცი და გა. და ესე იყო პირველი მეფე მცხეთას შინა — აზომ, ძმ არიან-ქართველთა მეფისაჲ...“

არსენი მეტაფრასტიკა ტექსტი პირველი ვარიანტი 1:

„მამინ აზონ² წარვიდა³ არიან-ქართლად⁴ მამისა თვისისა, და წარმოიყვანა მუნით ათასი სახლი მდაბი[ომ] უფლისა[მ], და კუალად ათი სახლი მთავართაგან, და ყოვლით დედა-წულით მათით მოიყვანა და დააშენა ქართლს, და თანა ჰყვეს კერპნი მათნი ღმერთად. და ესე აზონ პირველი⁵ მეფე იყო ქართველთა[მ]...“

მეორე ვარიანტი 5:

„ხოლო ესე აზოვე (= *აზუე) წარვიდა არიან-ქართლად მამისა თვისისა, და წარმოიყვანა მუნით ათასი სახლი მდაბიომ[მ] და მოქალაქე, დედებით, ყრმებითურთ მათით, და კუალად ათი სახლი მთავართაგან პალატისათა, დედებით და ყრმებით მათით, და მათ თანა ჰყვეს კერპნი ღმერთად. და ესე აზოვე (= *აზუე) არს პირველი მეფე ქართველთაჲ...“

ამრიგად, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ცნობით გადმოსახლებულია „რვაჲ სახლი“ (დასახლებული არაა — ვინ), და ათი სახლი მამამძუძეთანი.

ხოლო არსენი მეტაფრასტიკა თხზულების ცნობით გადმოსახლებულია ათასი სახლი მდაბალი წრის ხალხი («მდაბიომ») და ათი სახლი წარჩინებულთა წრიდან («მთავართაგან»).

როგორც ვხედავთ, ცნობა ამ ორი ძეგლისა ერთმანეთს უდჯება მხოლოდ მეორე ნაწილში: „ათი სახლი მამამძუძეთანი“ = „ათი სახლი მთავართაგან“ (ე. ი. პირველ ძეგლში წარჩინებულთა წრე მოიხსენება როგორც „მამამძუძენი“ მეფის შვილის აზოსი, ხოლო მეორე ძეგლში წარჩინებულთა წრე დასახელებულია როგორც „მთავარნი“).

1 იხ. თ. ჟორდანი, ქრონიკები, II, გვ. 521.

2 სახელი მეფისა პირველ ვარიანტში მოყვანილია როგორც „აზონ“ (ორგზის), და „აზოელ“ (ერთხელ).

3 სიტყვა „წარვიდა“ — აკლია ხელნაწერს.

4 ხელნაწერში დაზიანებული წაკითხვა: „ქართლად არიან“.

5 ცხორება წა- ნინოსი, გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა (პ. კარბელაშვილის რედაქტორობით), ტფ. 1902 წ., გვ. 46—47.

რაც შეეხება ცნობის პირველ ნაწილს, აქ ამ ორ ძეგლთა შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა; ირკვევა ამასთან, რომ ტექსტი დაზიანებული ყოფილა უფრო ძველ ძეგლში — „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანეში, ხოლო უფრო გვიანდელ ძეგლში — არსენი მეტაფრასტის თხზულებაში — ტექსტი უფრო სწორად არის შემონახული.

რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტი დაზიანებულია, ეს ჩანს ჯერ თვითონ ფრაზის წყობის მიხედვით. აქ ნათქვამია, რომ გადმოსახლდაო „რვაჲ სახლი“, და აღნიშნული კი არაა, თუ ვინ იყო ეს „რვაჲ სახლი“; ხოლო კონტექსტიდან ცხადია, რომ ეს „რვაჲ სახლი“ — ყოფილა მდებარე წრის ხალხი, რადგან ამის შემდეგ მოხსენებულია „ათი სახლი“ წარჩინებულთა წრისა („მამამძუძენი“ მეფის შვილის აზოასი). მაშასადამე, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტში შემდგომად რიცხვისა „რვაჲ სახლი“ არის ხარვეზი, აკლია განმარტება, რომ ეს „რვაჲ სახლი“ მდებარე წრეს, «მდაბითაჲ» წრეს ეკუთვნოდ.

შემდეგ, განსხვავებაა რიცხვში: არსენი მეტაფრასტის თხზულებაში აღნიშნულია, რომ მდებარე წრის ხალხი გადმოსახლდაო „ათასი სახლი“, ხოლო „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ცნობით „რვაჲ სახლი“. რომელი ტექსტია ამ შემთხვევაში დაზიანებული და რომელი სწორი?

როგორც ირკვევა, სწორია არსენი მეტაფრასტის ტექსტი. მართლაც, ერის ამ დიდი გადმოსახლების დროს თუკი ჯერ მარტო წარჩინებულთა წრე („მთავარნი“ = „მამამძუძენი“ მეფის შვილისა) შეადგენდა „ათ სახლს“, მდებარე წრე, ცხადია, გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო, და ამრიგად რიცხვი „რვა“ შეუსაბამობას წარმოადგენს. ბუნებრივია და გასაგებია რიცხვი „ათასი“.

აღსანიშნავია ამასთან, რომ ეგვე რიცხვი „ათასი“ შერჩენილია ლეონტი მროველის თხზულებაშიც (მიუხედავად იმისა, რომ ლეონტი მროველის თხზულებაში ეს გადმოცემა სხვა ასპექტში, გადამუშავებული სახით არის წარმოდგენილი) ¹.

აქ საკითხავია მხოლოდ, თუ რა გზით წარმოიშვა ეს დაზიანებული წაკითხვა რიცხვისა „რვა“, ნაცვლად რიცხვისა „ათასი“. ამისი ახსნაც შესაძლებელი ზღდება.

საქმე ის არის, რომ ასომთავრულ დამწერლობაში რიცხვი „რვა“ იწერება ამრიგად: Ⴀ; ხოლო რიცხვი „ათასი“ იწერება ამრიგად: Ի.

მაშასადამე, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს პირველ დედანში რიცხვი ასო-ნიშნით ყოფილა აღნიშნული: Ի (—ე. ი. „ათასი“), რაც უფრო გვიანდელი ხანის გადმონაწერებში დაზიანებულა და წაუკითხავთ როგორც Ի (—ე. ი. „რვა“).

ასეთი წარმოშობისაა ამ შემთხვევაში „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტის დაზიანება.

მაშასადამე, სათანადო ტექსტი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანისა ასე უნდა იქნას აღდგენილი:

„ხოლო ესე აზოა წარვიდა არიან-ქართლად მამისა თვისისა, და წარმოიყვანა Իათასი სახლი Բმდაბითო უფლისაჲ, 1 და ათნი სახლნი მამამძუძეთანი, და დაჟდა ძუელ მცხეთას. და თანა ჰყვანდეს კერპნი ღმერ-

¹ იხ. ქართლის ცხოვრება, მარამ-დედოფლისეული ვარიანტი, გვ. *121/19, *131/22.

თად გაცი და გა. და ესე იყო პირველი მეფე მცხეთას შინა — აზოა, ძმ არიან-ქართველთა მეფისაჲ.

აღნიშნავთ ამასთან, რომ გამოთქმა „მდაბიოა უფლისაჲ“ (რომელიც გაღმონაწერის სახით არის შენახული არსენი მეტაფრასტის თხზულებაში) — უაღრესად საყურადღებო სოციალურ ტერმინს წარმოადგენს, რომელიც, როგორც ჩანს, არქაული ეპოქიდან მომდინარეობს. „მდაბიოა უფლისაჲ“ ეს არის მოსაპლუბის იგივე კლასი, რომელიც სტრაბონს, ანტიკური ხანის იბერიის აღწერაში, მოხსენებულა აქვს როგორც „λαοί“ = „მდაბიონი“, იმ βασιλευσιν ბιενსιν εἰσι = „რომელნი მეფისა (=უფლისა) მონანი არიან“.

4. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატთანში მეფეთა სიას აკლია სამი მეფის სახელი

ზემოთ წარმოადგენილმა ანალიზმა, როგორც ვნახეთ, დაადასტურა, რომ ტექსტი, რომელიც უხება ანტიკური ხანის იბერიის მეფეებს (ამეფენი ქართლს შინა წარმართნი) — დეფექტურად ყოფილა მოღწეული, დაზიანებული სახით არის შეტანილი ქართულ ძეგლებში, კერძოდ, თვით უძველეს ძეგლშიაც — „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. როგორც გამოირკვა, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატთანში დამახინჯებულია მეფეთა სახელების მთელი რიგი, დაზიანებულია თარიღი, დაზიანებულია ცნობა არიან-ქართლიდან გადმოსახლების შესახებ. ჭერ მარტო ამის მიხედვითაც ცხადი ზღვება, ანტიკური ხანის მეფეთა სიას ხანგაძლივი ლიტერატურული ისტორია ჰქონია, იგი, ჩანს, არაერთგზის გადაწერილა, მას არა ერთი და ორ მოსაშუალებ საისტორიო წყარო გაუვლია, ვიდრე ეს სია მოზღვდებოდა და გადაიწერებოდა იმ საისტორიო თხზულებებში, რომლებიც ჩვენ დრომდე გადაარჩენილა.

ხოლო მთავარი დაზიანება ამ სიისა გამოიხატება არა იმაში, რომ აქ დროთა განმავლობაში დამახინჯებულია მეფეების ცალკეული სახელები, ანდა დაზიანებულია თარიღი, აგრეთვე დაზიანებულა ცნობა არიან-ქართლიდან გადმოსახლების შესახებ. მთავარი დაზიანება ამ სიისა იმაში მდგომარეობს, რომ სიაში, როგორც ირკვევა, მოიპოვება ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ზარევი: სახელდობრ, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატთანის ჩვენს დრომდე მოღწეულ ხელნაწერში მეფეთა სიას ჰკლებია სამი მეფის სახელი.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს იმ ხელნაწერში, რომელიც ჩვენ დრომდე მოღწეულა, აღექსანდრე მაკედონელის ეპოქიდან — ვიდრე მირიანამდე აღნიშნულია 26 მეფობა, ხოლო „ამიერი“ თანა-მეფეების მითვლით სულ აქ მოხსენებულია 32 მეფე.

ხოლო შატბერდულ-ქელიშური ნინოს ცხოვრების ჩვენების მიხედვით ირკვევა, რომ მატთანის თავდაპირველ დედანში აღექსანდრე მაკედონელის ეპოქიდან — ვიდრე მირიანამდე მოხსენებული ყოფილა არა 32, არამედ 35 მეფე. თვით მირიან 36-ე მეფედ ყოფილა დასახელებული. შატბერდულ-ქელიშურ ნინოს ცხოვრებაში (მირიანის ანდერძში) აღნიშნულია:

„ვარ მე ოც-მეათეჯუსმეტე მეფე, ვინამთგან მამანი ჩუენნი აქა მოიწინნეს [არიან-ქართლით] ვიდრე დღეთა ჩემთამღმ“¹.

ამრიგად, ამ გარკვეული ჩვენების თანახმად, სიას აკლია სამი მეფე. — გამოსარკვევია ამის შემდეგ, თუ სად და რომელი მეფეები აკლია სიას. წყაროების შედარებითი შესწავლიდან ირკვევა, რომ სიას ჰქვია:

VII მეფე — მირდატ (I).

XIII მეფე — ფარსმან (I).

XIV მეფე — მირდატ (II).

XIII მეფე — ფარსმან (I). XIV მეფე — მირდატ (II).

ანტიკური ხანის ბერძენ-რომაელ ავტორების (ტაციტუსისა და დიონ კასიოსის) ცნობებით და მცხეთაში აღმოჩენილი იბერიის მეფის მირდატ ფარსმანის-ძის წარწერის მიხედვით, I საუკუნეში ჩვენი წელთაღრიცხვისა, 30-იანი წლებიდან — 80-იან წლებამდე, იბერიაში მეფობდნენ:

ა) მეფე ფარსმან — 30-იანი წლებიდან — 60-იან წლებამდე;

ბ) მეფე მირდატ (ძე ზემოთ დასახელებული ფარსმანისა) 70-იან წლებში (მოიხსენება 75 წელს).

„მოქცევაა ქართლისაჲ“-ს მატიანეში ეს ორი მეფე დასახელებული არაა. ქრონოლოგიური თანრიგის მიხედვით ეს ორი მეფე მოხსენებული უნდა ყოფილიყო მე-XV მეფის ქართაშის წინ.

აქ გადასაწყვეტია საკითხი, — იყო თუ არა ეს მეფეები მოხსენებულ „მოქცევაა ქართლისაჲ“-ს თავდაპირველ ტექსტში.

თავისთავად ცხადია, მართო ის გარემოება, რომ მატიანე დაზიანებულია და აკლია მეფეები, ჯერ კიდევ არ კმარა იმის საბუთად, რომ მატიანის დაზიანებულ ადგილას სწორედ ის მეფეები იყო დასახელებული, რომელთაც ჩვენ ანტიკური წყაროებიდან ვიცნობთ. შესაძლოა „მოქცევაა ქართლისაჲ“-ს მატიანე შეცდომებს შეიცავდა და ტექსტში დასახელებული იყო არა ეს მეფეები, რომლებიც მოხსენებულია ანტიკურ წყაროებში, არამედ სულ სხვა, არარსებულნი პირნი.

რამდენად სამართლიანი იქნებოდა ასეთი ეჭვი?

ჯერ ერთი, მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ, როგორც ამას ცხადყოფს პრეციზული ანალიზი, „მოქცევაა ქართლისაჲ“-ს მატიანეში ნოთავესებული სია ძველი იბერიის მეფეებისა, საერთოდ აღებული, — ავთენტიურობის ბეჭედს ატარებს, ამ სიის სახით — როგორც შემდეგ გამოირკვევა — ჩვენ გვაქვს არა ლეგენდარული წყარო, არამედ ისტორიული ხასიათის დოკუმენტი. ქვემოთ გამოკვლევიდან ჩვენთვის ცხადი გახდება, რომ „მოქცევაა ქართლისაჲ“-ს სია უდგება ანტიკური ხანის ავტორების ცნობებს, და აგრეთვე იმ დოკუმენტურ ჩვენებებს, რომელთაც იძლევა ახლად აღმოჩენილი წარწერები.

ზოლო ამ შემთხვევაშიაც „მოქცევაა ქართლისაჲ“-ს მატიანე რომ არ იყო დაცილებული სინამდვილეს, ეს დასტურდება შემდეგის მიხედვით.

¹ იხ. შატერდულ-ქელიშვილი ნინოს ცხოვრება, OP, II, გვ. 799.

ჩვენ აღნიშნული გეჰონდა, რომ სომეხთა ისტორიკოსი მოსე ხორენელი, იბერიის მეფეთა ჩამოთვლის დროს, ემყარება ქართულ წყაროებს, რომ მას სახელმძღვანელოდ ჰქონია იმავე ტიპის სია იბერიის მეფეებისა, რომელიც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანეში არის შეტანილი. ირკვევა ამასთან ისიც, რომ ის ქართული წყარო, რომელიც ხელთა ჰქონია მოსე ხორენელს, ჯერ კიდევ არ ყოფილა დაზიანებული, არ შეიცავდა იმ ხარვეზებს, რომელიც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ჩვენ დრომდე მოღწეულ ხელნაწერში მოაპოვება.

მოსე ხორენელის ისტორიაში, I საუკუნის შუა წლებში, მეფე ქართამის წინ დასახელებულია იბერიის მეფე ფარსმანი, რომელიც ჩვენს სიას აკლია¹. აპრივად. მოსე ხორენელის ტექსტის მიხედვით შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოება ირკვევა:

1. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანის ჩვენს დრომდე მოღწეულ ხელნაწერს, რომელსაც აკლია ოთხი მეფის სახელი, ერთ-ერთი ხარვეზი ჰქონია მეფე ქართამის წინ, ე. ი. სწორედ იმ ადგილას, სადაც ეს საგულეებელი იყო ანტიკური წყაროების მიხედვით;

2. ანტიკური წყაროების ჩვენების თანახმად მეფეთა სიას ქართამის წინ უნდა აკლდეს ორი მეფე: მე-XIII — ფარსმან [I] და მე-XIV — მირდატ (II). ხოლო მოსე ხორენელის ტექსტის მიხედვითაც სწორედ ამ ადგილას მოხსენებულია მეფე ფარსმან.

მაშასადამე, აქ ჩვენ ვვაქვს ზუსტი დამთხვევა ანტიკური წყაროების ჩვენებასთან, რაც ადასტურებს, რომ ქართული მატიანის პირვანდელი ტექსტი (—რომლისაგან დამოკიდებულია მოსე ხორენელი) კერძოდ ამ შემთხვევაშიაც ავთენტიურ ცნობებს შეიცავდა.

აქ საჭიროა ხაზი გავუსვათ აგრეთვე შემდეგსაც. ის გარემოება, რომ მოსე ხორენელის ტექსტში მოხსენებულია მხოლოდ მეფე ფარსმან (I), ხოლო მეფე მირდატ (II) დასახელებული არაა, არ შეიძლება ჩაითვალოს იმის საბუთად, რომ ქართულ პირველწყაროში არ იყო მოხსენებული ეს მეორე მეფეც მირდატ. მოსე ხორენელი თავის ისტორიაში კი არ იძლევა იბერიის მეფეთა სრულს, გაბმულ სიას, არამედ მოიხსენებს მხოლოდ ზოგიერთ მათგანს, რომლებიც მისი მოთხრობის საგანთან იყვნენ დაკავშირებულნი.

3. VII მეფე—მირდატ (I). თუ სად აკლია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანის უკანასკნელი მესამე მეფე, — ამის დადგენაც შესაძლო ხდება იმავე მოსე ხორენელის ტექსტის მიხედვით. ეს მეორე ხარვეზი ქართულ მატიანეს ჰქონია I საუკუნეში ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს (70-იან წლებში): ტექსტს აქ ჰკლებია VII მეფე—მირდატ (I), რომელიც ქრონოლოგიური თანრიგით ხვდება VIII მეფის არტოკის წინ².

მეფეთა სიის ამ მიმოხილვის შემდეგ, ჩვენ დაგვრჩენია შევაჯამოთ ზემოთ აღნიშნული. ირკვევა, მაშასადამე, შემდეგი:

¹ იხ. მოსე ხორენელი, წიგნი II, თავი 46, 53.

² იხ. მოსე ხორენელი, წიგნი II, თავი 11 და შლდ.

1. ქართულ წყაროებში შეტანილი სია ძველი იბერიის „წარმართი“ მეფეებისა, ალექსანდრე მაკედონელის ეპოქიდან დაწყებული ვიდრე მირიანის მეფობამდე, თავდაპირველად შეიცავდა 35 მეფის ჩამოთვლას. (ეს დასტურდება, როგორც აღნიშნეთ, შატბერდულ-ჰელიშური ნინოს ცხოვრების ტექსტის მიხედვით). ხოლო „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ჩვენ დრომდე მოღწეულ ხელნაწერში ჩამოთვლილია მხოლოდ 32 მეფე. მასასადამე, სიაში აკლია სამი მეფე.

2. წყაროების შედარებითა ანალიზმა გვიჩვენა, რომ სიაში ორ ადგილას არის ხარვეზი, სადაც უნდა ვეძიოთ ამ დაკლებული მეფეების ადგილი, სახელდობრ:

ა. პირველი ხარვეზია მეფე არტოკის (მე-VIII მეფის) წინ. აქ სიას ჰკლებია მეფე მირდატ I, დასახლებული მოსე ხორენელის მიერ (რომელიც ქართული წყაროებიდან არის დამოკიდებული).

ბ. მეორე ხარვეზია მეფე ქართამის წინ (ე. ი. მე-XV მეფის წინ). ანტიკური ხანის წყაროების ცნობების მიხედვით, როგორც ვნახეთ, აქ უნდა აკლდეს ორი მეფე: ფარსმან I და მირდატ II. ამათგან ფარსმან I, როგორც გამოირკვა, მართლაც ყოფილა მოხსენებული ქართული მატიანის თავდაპირველი ტექსტში (—რაც დასტურდება იმის მიხედვით, რომ მეფე ფარსმანს მოიხსენებს მოსე ხორენელი). ხოლო რაც შეეხება მეორე მეფეს, ე. ი. მირდატ II-ეს, ჭრჭერობით არ შეიძლება ჩაითვალოს საბოლოოდ დოკუმენტირებულად, იყო თუ არა იგი მოხსენებული ქართული მატიანის პირველ დედანში, რადგან ამის შესახებ გადარჩენილ წყაროებში პირდაპირი ჩვენება არა გვაქვს. მაგრამ მაინც უფრო ის არის საფიქრებელი, რომ ქართული მატიანის ტექსტი ამ შემთხვევაშიც არ იყო დაცილებული სინაპტიკულს და რომ აქ მოხსენებული იყო ეს უკანასკნელი მეფეც, მირდატ II; ამას გვაფიქრებინებს ორი რამ:

ა. ქართულ მატიანეში, როგორც გამოირკვა, ჩვენ გვაქვს ხარვეზი სწორედ იმ ადგილას, სადაც ქრონოლოგიური თანრიგის თანახმად, უწევს მირდატ II-ის მეფობა (ე. ი. მეფე ქართამის წინ);

ბ. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანის სია, როგორც აღნიშნავდით, საერთოდ ავთენტიურობის ბეჭედს ატარებს, იგი სხვა შემთხვევებში ეთანხმება ანტიკური წყაროების ცნობებს, და ეს გარემოება ერთგვარად ამაგრებს ამ მოსაზრებას, რომ ეს უკანასკნელი მესამე მეფე, რომელიც აკლია მატიანის სიას, უნდა ყოფილიყო მირდატ II.

მაინც, რასაკვირველია, ჩვენ ამ უკანასკნელ შემთხვევაში მხოლოდ ჰიპოთეზის ფარგლებში ვართ, და ამის გამო საკითხს ამ უკანასკნელი მესამე მეფის მირდატ II-ის შესახებ, იყო თუ არა იგი მოხსენებული ქართული მატიანის ტექსტის პირველ დედანში, ჭრჭერობით ღიად ვტოვებთ. რაკი ამ საგანზე პირდაპირი დოკუმენტაცია არ მოგვეპოვება.

5. მატიანის გამოთქმა მცხეთისა და არმაზის შესახებ:

«იმიერია» და «ამიერია»

დასასრულ, კიდევ ერთი შენიშვნა ტექსტის შესახებ.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანეში, ქართამის და ბარაკმანის დროიდან აღნიშნულია ორმეფობა; ტექსტში ნათქვამია:

„მეფობაა ორად გაიყო და ორნი მეფენი დასხდეს იმიერ და ამიერ“, ე. ი. მცხეთასა და არმაზში.

თავდაპირველი მატინანე (— რომლისაგან დამოკიდებულია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“) როგორც ირკვევა — არმაზში ყოფილა დაწერილი, და ამის გამო „იმიერი“ — იგულისხმებდა მცხეთას, ხოლო „ამიერი“ — არმაზს.

უფრო გვიან ხანაში, როდესაც მატინანე გადაუშუშავებოდა მცხეთაში, ძველი მატინანის გამოთქმა „იმიერი“ და „ამიერი“ წინაუქმო გაუფიქრებიათ, ე. ი. „იმიერი“ — როგორც არმაზი, ხოლო „ამიერი“ როგორც მცხეთა.

აღსანიშნავია ამასთან, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს უახლოესი პირველწყაროში გამოთქმა „იმიერი“ და „ამიერი“, ჩანს, არ ყოფილა გახსნილი. შეიძლება შემთხვევიდან აქ ექვს შემთხვევაში გაუშიფრებულ იხმარება გამოთქმა „იმიერ“ და „ამიერ“ (და არა „მცხეთას“ და „არმაზს“):

„ორნი მეფენი დასხდეს ი მი ე რ და ა მი ე რ.

მეფობდა ი მი ე რ ფარსმან და ა მი ე რ კახს.

მეფობდა ი მი ე რ ფარსმან და ა მი ე რ არმაზურ.

მეფობდა ი მი ე რ არმაზს და ა მი ე რ აღერუკ.

მეფობდა ი მი ე რ ფარსმან ქველი და ა მი ე რ ფარსმან-ავაზ;

მეფობდა ი მი ე რ <...>როკ და ა მი ე რ მირდატ“.

და მხოლოდ ერთხელ, ნაცვლად გამოთქმისა „იმიერ“ და „ამიერ“, იხმარება „არმაზს“ და „მცხეთას“, სახელდობრ, ნათქვამია:

„მეფობდა ქართამ [არმაზს] და [მცხეთას] ბარაცმან“.

გადაწერელს, რომელსაც ამ ერთ შემთხვევაში გადაუხვევია ტექსტისათვის და გაუხსნია აღრიხდელი გამოთქმა „იმიერ“ და „ამიერ“, — შეეცდომა და უშვია. პირვანდელ დედანში ტექსტი, ჩანს, იკითხვოდა ისევე, როგორც ყველა დანარჩენ ექვს შემთხვევაში, ე. ი.

„მეფობდა ი მი ე რ ქართამ და ა მი ე რ ბარაცმან“.

რომ მატინანის თავდაპირველი დედანი დაწერილი ყოფილა არმაზში (და რომ ავტორი გამოთქმით „ამიერ“ იგულისხმებდა არმაზს, ხოლო გამოთქმით „იმიერ“ იგულისხმებდა მცხეთას) — ეს ცალკე დამოუკიდებელი საკითხია და ჩვენ მას ცალკე ვეხებით (იხ. ქვემოთ, გვ. 555 — 556).

IV

შადრავა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მფრთხილი სიხისა ლეონტი მროველის თხზულების მფრთხილი სიხისათჳს

რაკი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატინანის დედანი ძირითადში აღდგენილია და დაზიანებული ადგილების წაკითხვა შეძლებისდაგვარად შემოწმებულია, ჩვენ ამის შემდეგ შევადარებთ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მეფეთა სიას, მთლიანად აღებულს, მეორე ძველ-ქართულ საისტორიო ძეგლთან, ლეონტი მროველის თხზულებასთან, რომელიც აგრეთვე შეიცავს მთლიან სიას ანტიკური ხანის იბერიის „წარმართი“ მეფეებისა.

ეს შედარება შემდეგ სურათს წარმოგიდგენს:

„მოქცევაი ქართლისაი“:

- I. აზოა I
- II. ფარნავაზ I
- III. საურმაგ I
- IV. შირვან I
- V. ფარნაქოზ I
- VI. არსოკ I
- VII. [შირდატ I]
- VIII. არტოკ I
- IX. ბარაკმან I
- X. შირვან II
- XI. არსუქ II
- XII. ადეროკ I
- XIII. [ფარსმანი I
- XIV. <შირდატ II>

- „იმერო“ მეფენი
- XV. ქართამ I
 - XVI. ფარსმან II
 - XVII. [ფ]არ[წ]უქ II
 - XVIII. ამაზასპ I
 - XIX. ფარსმან III ქველი
 - XX. <...>როკ

- „ამური“ თანამეფენი
- XV-ა. ბარაკმან
 - XVI-ა. კაოს
 - XVII-ა. არმაზაერი
 - XVIII-ა. ადერუქ
 - XIX-ა. ფარნავაზ-ავაზ
 - XX-ა. შირდატ

- XXI. ლადამ I
-
- XXII. ფარსმან IV
- XXIII. ამაზასპ II
- XXIV. რეე I მართალი
- XXV. ვაჩე I
- XXVI. ბაკურ I
- XXVII. შირდატ III
- XXVIII. ასფაგურ I
- XXIX. ლეე II

ლეონტი მროველი:

- I. აზონ
- II. ფარნავაზ
- III. საურმაგ
- IV. შირვან
- V. ფარნაქოზ
- VI. არშაკ
-
- VIII. არტაგ
- IX. ბარცომ
- X. შირვან
- XI. არშაკ
- XII. ადეროკ
-
-

- „იმერო“ მეფენი
- XV. ქართამ
 - XVI. ფარსმან
 - XVII. [ფ]არ[წ]უქ
 - XVIII. ამაზასპ
 - XIX. ფარსმან ქველი.
 -

- „ამური“ თანამეფენი
- XV-ა. ბარცომ
 - XVI-ა. კაოს
 - XVII-ა. არმაზაერი
 - XVIII-ა. ადერუქ
 - (ფარნავაზ სპასპეტო)
 - XIX-ა. შირდატ

- XXI. ადამ
- XXII-ა. ლადანა დედოფალი
- XXII. ფარსმან
- XXIII. ამაზასპ
- XXIV. რეე მართალი
- XXV. ვაჩე
- XXVI. ბაკურ
- XXVII. შირდატ
- XXVIII. ასფაგურ
-

განსხვავება „მოქცევაი ქართლისაი“-ს სიისა და ლეონტი მროველის სიისა შემდეგში მდგომარეობს:

1. აზოა (აზონი), რომელსაც „მოქცევაი ქართლისაი“ სთვლის ქართლას (იბერიის) პირველ მეფედ, ლეონტი მროველის ტექსტის თანახმად არის არა მეფე, არამედ ერისთავი, ქართლის (იბერიის) მმართველად დადგენილი. ლეონტი მროველის ცნობით, პირველი მეფე იბერიისა იყო ფარნავაზი, რომლიდანაც იწყება იბერიის ზეფეთა — „ფარნავაზიანთა“ დინასტია.

2. ლეონტი მროველის სია ზოგიერთ ხარვეზს შეიცავს; აქლია ხუთი მე-
ჯე: VII მირდატ, XIII ფარსმან, XIV მირდატ, XX <...>როკ, XXIX ლეე.

აქედან პირველი სამი მეფე მოხსენებული ყოფილა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს პირველ
წიგანში, ხოლო აქლია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ჩვენ დრომდე მოღწეულ ხელნაწერს;
უკანასკნელი ორი მეფე მოხსენებულია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ჩვენ დრომდე მოღწეულ
ხელნაწერშიც, და აქლია მხოლოდ ლეონტი მროველის ტექსტს.

ამრიგად, ის პირველწყარო, რომლისგანაც დამოკიდებულია ლეონტი
მროველი, დაზიანებული ყოფილა ადგილ-ადგილ.

3. XIX-ა ფარსმან-ავაჲ, რომელსაც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიაწეში
ეწოდება მეფე („ამიერი“ თანა-მეფე), ლეონტი მროველის თხზულებაში მო-
ხსენებულია არა მეფედ, არამედ სპასკეტად. ამასთან ლეონტი მროველის
თხზულებაში მას ეწოდება ფარნავაჲ და არა ფარსმან-ავაჲ. (ამას გარდა, ის-
ტორიული ტრადიცია ამ პირის—ფარნავაჲს || ფარსმან-ავაჲს შესახებ სხვა
მხრივაც განსხვავებულად არის წარმოდგენილი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს
მატიანეში, ერთი მხრით და ლეონტი მროველის თხზულებაში, მეორე მხრით).

4. „ამიერი“ თანა-მეფე მირდატ ლეონტი მროველის თხზულებაში მოიხ-
სენება როგორც თანა-მეფე მე-XIX მეფის ფარსმან ქველისა, ხოლო „მოქცე-
ვაჲ ქართლისაჲ“-ს მატიაწეში როგორც თანა-მეფე XX მეფის <...>როკია.

5. ლეონტი მროველის თხზულებაში მოხსენებულია ახალი პირი: დადანა
დედოფალი. ლეონტი მროველის ცნობით, დადანა დედოფალი იყო მმართველ-
ლი იბერიისა (ქართლისა), ვიდრე სრულწლოვანი გახდებოდა ფარსმან IV
(რომელიც ერთი წლის ყრმად დარჩა მამის სიკვდილის შემდეგ).

6. არის განსხვავება ზოგიერთი სახელების დაწერილობაში.

V

ლეონტი მროველის თხზულების დამატებითი ცნობები ავთენტური ხასიათისა

ის დაცილება, რომელსაც ჩვენ ვპოულობთ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს
სიაში და ლეონტი მროველის თხზულების სიაში, გვიჩვენებს რომ ლეონტი
მროველი, ჩანს, დამოკიდებულია არა უშუალოდ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მა-
ტიანიდან, არამედ სხვა საისტორიო პირველწყაროდან, რომელიც ანალოგიურ
მეფეთა სიას შეიცავდა.

რომ ეს ასეა, ამას კიდევ მეტი სიცხადით ადასტურებს ზოგიერთი ახალი
დამატებანი, რომლებიც მოიპოვება ლეონტი მროველის თხზულებაში.

ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს დამატებითი ცნობები ავთენტური ხასია-
თისა, რომლებიც არას შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს შეთხზულად
ლეონტი მროველის მიერ, და რომლებიც, როგორც ირკვევა, ძველ ისტორიულ
ტრადიციას შეიცავს, მომდინარეობს არქაული საისტორიო წყაროდან.

1. ლეონტი მროველის თხზულებაში აღნიშნულია, რომ პირველი მეფე
იბერიისა ფარნავაჲ იყო მამულად ქართველი..., ძმის-წული სამარამისი, რო-
მელი—მცხეთელი მამასახლისი ყოფილიყო“. შემდეგ ლეონტი აღნიშნავს, რომ

„ესე სამარა და ძმად მისი, მამად ფარნავაზისი“ — დაიღუპნენო ლაშქრობათა დროს 1.

აქ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ლეონტი მროველი, ფარნავაზის გენეალოგიის აღნიშვნის დროს, მოიხსენებს მხოლოდ ფარნავაზის ბიძის — სამარა მცხეთელ მამასახლისის — სახელს, ხოლო ფარნავაზის მამის სახელი მისთვის უცნობია, — იგი მას უწოდებს „სამარას ძმას“ („...ესე სამარა, და ძმად მისი, მამად ფარნავაზისი...“).

ლეონტი მროველი აქ, ჩანს, იმეორებს რომელიღაც ძველი საისტორიო წყაროს ცნობას.

ჩვენ გამორიცხულად მიგვაჩნია, რომ ეს ცნობა შეთხზული იყოს ლეონტი მროველის მიერ. თუკი ლეონტი მროველს შეეფხზა ფარნავაზის ეს გენეალოგია, იგი, ცხადია, პირველ რიგში მოიგონებდა თვით ფარნავაზის მამის სახელს, და არა ბიძის სახელს! ხოლო ლეონტი მროველი სახელდებით ასახელებს მხოლოდ ბიძას, ხოლო ფარნავაზის მამის სახელი უცნობად მიიჩნია.

2. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატანიანს მეფეთა სიაში მხოლოდ ერთხელ არის აღნიშნული მეფობის ხანგრძლივობა:

XIX. „და მეფობდა ლაღამი სამ წელ და ოც ოც-2.

ხოლო ლეონტი მროველის თხზულებაში მოიპოვება ოთხი ამგვარი ქრონოლოგიური ცნობა:

II. ფარნავაზ — „ოც-და შუდისა წლისა მეფე იქმნა და სამეოც-დახუთ წელ მეფობდა“.

VIII. „მეფე იქმნა არტაგ და ორ წელ ოდენ მეუობდა“.

XI. აღეროც — „ოც-და-ათისა წლისა მეფე იქმნა და ორმეოც-და-ათშუდმეტ წელ მეფობდა“.

XXI. „დასუეს მეფედ ძე ფარსმან ქუელისა [ლ]აღამი, და იმეფა რა სამ წელ, მოკუდა“ 3.

ეს სათარიღო ცნობები ლეონტი მროველის თხზულებაში, ჩანს, აკრებულ შემდინარეობს რომელიღაც ძველი საისტორიო პირველწყაროდან.

ჩვენ ამ შემთხვევაშიაც გამორიცხულად მიგვაჩნია, რომ ეს სათარიღო ცნობები შეთხზული იყოს ლეონტი მროველის მიერ. თუკი დასახელებული ქრონოლოგიური ცნობები შეეფხზა ლეონტი მროველს, იგი ამგვარ თარიღებს აღნიშნავდა სხვა მეფეების შესახებაც, და პირველ რიგში იმ მეფეების შესახებ, რომლებზედაც ლეონტი მროველი დაწვრილებით მოგვითხრობს და რომლებიც სარგებლობენ ჩვენი ისტორიკოსის განსაკუთრებული სიმბატიით, როგორც, მაგალითად, ფარსმან ქველი, რევ მართალი და სხვანი. მაგრამ ლეონტი მროველის თხზულებაში აღწერილი 25 მეფობიდან ამგვარი სათარიღო ცნობა აღნიშნულია მხოლოდ ზემოთ დასახელებული ოთხი მეფის მიმართ.

1 ოს. ლეონტი მროველი, გვ. *117/17 (მარიამ-დედოფლისეული ქართლის ცხოვრება).

2 ოს. ზემოთ, გვ. 513.

3 ოს. ლეონტი მროველი, გვ. *130/21, *138/26, *145/28, *164/40 (მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრება).

3. ლეონტი მროველის თხზულებაში ძველი იბერიის ისტორიის შესახებ სხვა ავთენტიური ხასიათის ცნობებიც მოიპოვება, რომლებიც, ჩანს, აგრეთვე მომდინარეობს არქაული საისტორიო პირველწყაროდან. ასეთია, კერძოდ, უალრესად საყურადღებო ცნობა მამასახლისთა ინსტიტუტის შესახებ ძველს იბერიაში.

აპრიგად, ლეონტი მროველის თხზულებაში წარმოდგენილი ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სიის გაშხილვას ჩვენ იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ლეონტი მროველი დამოკიდებულია არა უშუალოდ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატეიანიდან, არამედ სხვა ძველი საისტორიო პირველწყაროდან, რომელიც ანალოგიურ მეფეთა სიას შეიცავდა, და რომელშიაც მეფეთა სიასთან ერთად სხვა ძველი ავთენტიური ხასიათის საისტორიო ცნობებიც მოიპოვებოდა.

VI

შედარება „მოცევაჲ ქართლისაჲ“-ს მეფეთა სიისა დანარჩენ ქართულ და ქართულიდან დაშორებულ წყაროებთან

- 3 შატბერდულ-ჰელიშური ნინოს ცხოვრება. — 4 აბიათარის მატეიანი. —
5 არსენი მეტაფრასტის თხზულება. — 6 მოსე ხორენელის პირველწყარო.

მას შემდეგ, რაც გავარკვეით ურთიერთობა ორი ძირითადი ქართული წყაროსი, — „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატეიანისა და ლეონტი მროველის თხზულებისა, — რომლებიც შეიცავენ იბერიის „წარმართი“ მეფეების მთლიან სიებს, — აქ ჩვენ მოკლედ შევჩერდებით დანარჩენ ქართულ და ქართულიდან დამოკიდებულ წყაროებზე, და აღვნიშნავთ, თუ რა რედაქციულ ურთიერთობაში იმყოფებიან ისინი ერთმანეთთან.

8. შატბერდულ-ჰელიშური ნინოს ცხოვრება

შატბერდულ-ჰელიშური ნინოს ცხოვრება VIII საუკუნის ძეგლია. ეს თხზულება, როგორც აღნიშნული გვქონდა, მნიშვნელოვან ჩვენებებს შეიცავს იბერიის „წარმართი“ მეფეების სიის შესამოწმებლად. ამ ძეგლში თუმცაღა არაა ჩამოთვლილი სახელდებით ძველი იბერიის „წარმართი“ მეფეები, მაგრამ ირკვევა, რომ ავტორს ხელთა ჰქონია ანალოგიური მთლიანი სია მეფეთა, რომელიც მას გამოუყენებია როგორც ერთ-ერთი წყარო თავისი მოთხრობისათვის. სახელდობრ, ავტორის აღნიშნული აქვს:

1. ქართველთა ერთი ჯგუფის გადმოსახლება არიან-ქართლიდან საქართველოს თანამედროვე მიწა-წყალზე¹.
2. ქართლში (იბერიაში), ავტორის ცნობით, ვიდრე მირიანამდე მეფობდა 35 მეფე, ხოლო მირიან 36-ე მეფე იყო².

1 იხ. გვ. 792, 799 (ე. თაყაიშვილის გამოცემა, OP, II).

2 იხ. გვ. 799.

3. იბერიის ამ მეფეებიდან, რომლებიც მირიანის წინარე მეფობდნენ, ავტორის დასახელებული ჰყავს ორი მეფე, რომელთაც კავშირი აქვთ ნინოს ცხოვრებაში მოთხრობილ ამბებთან, სახელდობრ, მეფე ბაქარაყმან და მეფე არქმაზაერი !.

მეფე არქმაზაერი — ეს არის „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანის სიის XVII-ა „ამიერი“ თანა-მეფე.

რაც შეეხება მეფე ბაქარაყმანს, ამ სახელით „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანის სიაში ორი მეფეა დასახელებული: IX — ბაქარაყმან (სრულად იბერიის მეფე) და XV-ა ბაქარაყმან — „ამიერი“ თანა-მეფე.

თუ სახელდობრ რომელი ბაქარაყმან იგულისხმება შატბერდულ-ჰელიშურ ნინოს ცხოვრებაში, ამის შესახებ პირდაპირი მითითება არა გვაქვს. მაგრამ რაკი ერთი მოხსენებულ მეფეთაგანი არქმაზაერი — „ამიერი“ თანა-მეფეა, საფიქრებელია, რომ მეორე მეფეც — ბაქარაყმანი — „ამიერი“ თანა-მეფე უნდა იყოს (ე. ი. XV-ა).

განხილვა იმ ცნობებისა, რომელსაც შეიცავს შატბერდულ-ჰელიშური ნინოს ცხოვრება, გვიჩვენებს, რომ ავტორი დამოკიდებულია ისეთი პირველწყაროდან, რომელიც წარმოადგენდა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანის ტიპს, და არა ლეონტი მროველის თხზულების ტიპს.

ეს ჩანს შემდეგის ვიხედვით:

1. შატბერდულ-ჰელიშური ნინოს ცხოვრების ავტორი იმეორებს გადმოცემას ქართველთა გადმოსახლების შესახებ არიან-ქართლიდან, ე. ი. აქ გავიარებულია ის კონცეფცია, რომელიც წარმოდგენილია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანეში, და რომელიც ლეონტი მროველის თხზულებაში სხვა სახით არის წარმოდგენილი.

2. სახელი მეფისა ბაქარაყმან შატბერდულ-ჰელიშურ ნინოს ცხოვრებაში მოყვანილია იმავე ფორმით, როგორც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანეში (და არა „ბარაყმან“ || „ბარტომ“ როგორც ლეონტი მროველის თხზულებაში).

3. აღსანიშნავია ამასთან, რომ შატბერდულ-ჰელიშური ნინოს ცხოვრების ავტორი, როგორც ირკვევა, აზოს სთვლიდა არა ერისთავად (როგორც ლეონტი მროველი), არამედ მეფედ (როგორც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ავტორი). ეს ჩანს, ჯერ ერთი იმის მიხედვით, რომ ავტორი იზიარებს არიან-ქართლიდან გადმოსახლების გადმოცემას (ხოლო აზოის მეფობა ამ გადმოცემასთან არის დაკავშირებული). ამას გვაფიქრებინებს აგრეთვე თვით რიცხვი იბერიის მეფეებისა, რომელიც აღნიშნულია შატბერდულ-ჰელიშურ ნინოს ცხოვრებაში (35 მეფე არიან-ქართლიდან გადმოსახლების დროიდან — ვიდრე მირიანამდე).

ამრიგად ცხადია, რომ შატბერდულ-ჰელიშური ნინოს ცხოვრების ავტორი დამოკიდებულია ისეთი პირველწყაროდან, რომელიც წარმოადგენდა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტიპს.

ამის შემდეგ საკითხავია, იყო ეს პირველწყარო თვით დღევანდელი რედაქცია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანისა, თუ რომელიმე სხვა მატიანე ამავე ტიპისა.

გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ეს პირველწყარო არ იყო არსებული დღევანდელი რედაქცია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანისა.

ამას გვაფიქრებინებს შემდეგი.

„მოქცევა ქართლისაჲ“-ს მატიანის ჩვენ დრომდე მოღწეულ რედაქციაში მოხსენებულია ექვსი ღმერთი-კერპი: გაცი და გა (— რომელთა კერპები, ვად-მოცეპით, მოტანილი იყო არიან-ქართლით), არმაზი, ზადენი, ადინა და დანი-ნა. ხოლო შატბერდულ-ველიშური ნინოს ცხოვრებაში სისტემატიურად მოიხსენება მხოლოდ ოთხი კერპი-ღმერთი: გაცი და გა („რომელნი იგი ღმერთად ჰქონდეს... არიან-ქართლით“), არმაზი და ზადენი.

ეს მომენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ორი ძეგლის რედაქციული ურთიერთობის გამოსარკვევად. საქმე ის არის, რომ შატბერდულ-ველიშური ნინოს ცხოვრების პირდაპირი საგანია სწორედ ისტორია ღვთაება-კერპთა დაპაობისა და ახალი სარწმუნოების — ქრისტიანობის გამარჯვებისა. და ის გარეგნობა, რომ შატბერდულ-ველიშური ნინოს ცხოვრების ავტორი სისტემატიურად მოიხსენებს მხოლოდ ოთხ ღვთაება-კერპს, იმისი მაჩვენებელია, რომ იგი, ჩანს, არ იცნობდა „მოქცევა ქართლისაჲ“-ს არსებულ რედაქციას, სადაც ამ ოთხ ღვთაება-კერპს გარდა მოხსენებულია კიდევ ორი ღვთაება-კერპი: ადინა და დანინა.

ამის მიხედვით საფიქრებელი ხდება, რომ ის პირველწყარო, რომლითაც სარგებლობდა შატბერდულ-ველიშური ცხოვრების პირველი ავტორი, არ იყო „მოქცევა ქართლისაჲ“-ს მატიანის დღესდღეობით ცნობილი რედაქცია, არამედ მისი ერთ-ერთი აღრინდელი განსხვავებული პრაოტოტიპი.

ამას გარდა აღსანიშნავია კიდევ ერთი დაცლება შატბერდულ-ველიშური ნინოს ცხოვრებისა და „მოქცევა ქართლისაჲ“-ს ჩვენ დრომდე შენახული რედაქციისა. „მოქცევა ქართლისაჲ“-ს არსებულ რედაქციაში „ორმეფობის“ ეპოქის ექვსი თანა-მეფე (XV-ა—XX-ა)—არაა ჩათვლილი მეფობათა საერთო ჯამში, ისინი შემატანიეს მიაჩნია არა დამოუკიდებელ მეფეებად, არამედ თანა-მეფეებად; ამის გამო „მოქცევა ქართლისაჲ“-ის მატიანეში აზომიდან ვიდრე მირიანამდე ნაჩვენებია ოც-და-[ცხრა] მეფობა. ხოლო შატბერდულ-ველიშური ნინოს ცხოვრებაში „ორმეფობა“ შეფასებულია დამოუკიდებელ მეფობათა სახით და აზომიდან ვიდრე მირიანამდე აქ ნაჩვენებია 35 მეფობა (29 მეფე + 6 თანა-მეფე).

4. აბიათარის მატიანე

ეს ძეგლი, როგორც ეს აღნიშნულია ქართლის ცხოვრების ანა-დედოფლი-სეულ ხელნაწერში, ატარებდა შემდეგ სათაურს:

„ცხოვრება და მოქცევა ქართლისა, და მოთხრობა ნათესავობისა, და თუ რომელნი რომელთა ტომთანი ვართ, ანუ თუ ვითარ მოვიქცეთ და მივიღეთ სჭული ქრისტიანობისა... აღწერილი აბიათარისი“.

საკითხი ამ ძეგლის შესახებ, რომლის თვით ტექსტი ჩვენს დრომდე არ მოღწეულა, განხილული გვაქვს „ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა“-ში. დასახელებულ ნაშრომში წარმოდგენილი ანალიზის საფუძველზე ჩვენ შესაძლოდ მიგვაჩნია წამოვაყენოთ აქ შემდეგი ჰიპოთეტიური დებულებანი ამ ძეგლისა და მისი ავტორის შესახებ:

1. მატიანე, როგორც ამას გვიჩვენებს თვითონ სათაური ძეგლისა, ეხებოდა იპავე ქრონოლოგიურ ნაკვეთს და იმავე ისტორიულ საკითხთა წრეს, რომელიც წარმოდგენილია „მოქცევა ქართლისაჲ“-ს მატიანეში.

2. ძეგლის ავტორად დასახელებულია აბიათარი, ცნობილი ქართველი მოღვაწე, წარმოშობით ქართველი ებრაელი, გაქართველებული, რომელსაც ძველი ისტორიული ტრადიცია IV საუკუნის მოღვაწედ სთვლიდა, მირიანისა და ნინოს თანამედროვედ და თანამოღვაწედ.

3. იმასთან დაკავშირებით, რომ ძეგლი მიეწერება ქართველ-ებრაელთა წრიდან გამოსულ ქართველ მწერალს, პარალელურად აღსანიშნავია აგრეთვე ამასთან დამთხვეული მეორე გარემოებაც, რომ ძეგლში, როგორც იჩვენება, წარმოდგენილი ყოფილა ორი ხალხის საქართველოში დასახლების ამბავი და „ნათესავთ-მეტყველება“ („თუ რომელი რომელთა ტომთანი ვართ“): ჯერ ერთი, ქართველთა „ნათესავთ-მეტყველება“, ქართველთა საქართველოში დასახლების ამბავი, ხოლო ამის გვერდით ქართველ-ებრაელთა „ნათესავთ-მეტყველება“.

4. ეს ძეგლი — აბიათარის მატიანე — დაწერილი ყოფილა უფრო ადრე, ვიდრე დამუშავდებოდა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს არსებული რედაქცია. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს არსებულ რედაქციაში, ჩანს, არის ნაწილობრივ აბიათარის მატიანის გავლენა (სახელდობრ, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომელიც დაწერილებით ეხება ქართველთა „ნათესავთ-მეტყველებას“, კავრით მოგვითბრობს აგრეთვე ქართველ ებრაელთა „ნათესავთ-მეტყველების“ შესახებაც; აქ, საფიქრებელია, არის აბიათარის მატიანის გავლენის კვალი).

5. რასაკვირველია, მასალების სიმციარის გამო, ჯერჯერობით ნაადრევია ამ ძეგლის ეპოქის შესახებ მსჯელობა. იყო მართლაც ამ მატიანის ავტორი თვით ის აბიათარი, ქართველი მოღვაწე IV საუკუნისა, რომელსაც ისტორიული ტრადიცია მირიანისა და ნინოს თანამედროვედ სთვლიდა? ანდა, იქნებ, ამ მატიანეში შემდეგდროინდელი ისტორიკოსის მიერ გადამუშავებული იყო აბიათარისადმი მიწერილი რომელიმე ტექსტი? ამაზე პასუხი არა გვაქვს. მაგრამ რამდენადაც აბიათარის ჰატიანე ქრონოლოგურად წინ უსწრებდა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს რედაქციას, ამის გამო ეს ძეგლი, საფიქრებელია, ეკუთვნოდა IV საუკუნის ახლო დროს.

6. აქ საჭიროა ხაზი გავუსვათ აგრეთვე შემდეგსაც. რომ აბიათარი მართლაც მნიშვნელოვანი და სახელმწიფოებრივი ისტორიკოსი ყოფილა, ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ შემდეგს ეპოქაში აბიათარის სახელი განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა, და აბიათარის სახელის ამოფარების ქვეშ ქვეყნდებოდა ჰაგიოგრაფიული თხზულებანი, როგორცაა ნინოს ცხოვრებაში ჩართული ტექსტები, აბიათარისა და მისი ასულის სიდონიას სახელით წარწერილნი.

დამასრულ დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ აბიათარის მატიანე, როგორც იჩვენება, ფართო გავრცელებით და ერთგვარი კანონიზაციით სარგებლობდა არა მხოლოდ ადრეულ საშუალ საუკუნეებში, არამედ შემდეგაც, ყოველ შემთხვევაში XII—XIII საუკუნეებამდე, რაც დასტურდება იმის მიხედვით, რომ ამ ძეგლით უსარგებლია XII—XIII საუკუნის ქართველ მწერალს არსენი მეტაფრასტს საეკლესიო დანიშნულებისათვის დაწერილს თხზულებაში — ნინოს ცხოვრებაში, რომლის დამატების სახით არსენის დაუწერია მოკლე მატიანისებური მიმოხილვა საქართველოს ისტორიისა.

5. არსენი მეტაფრასტის ტექსტი

არსენი მეტაფრასტის მატთანე („ნინოს ცხოვრების“ დამატებად დაწერილი) პირველ ნაწილში ეხება ისტორიულ საკითხთა იმავე წრეს, რაც გაშუქებულია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატთანეში.

სარულიად უდავო გარემოებაა, რომ არსენი მეტაფრასტს მატთანის ამ პირველ ნაწილში სახელმძღვანელოდ ჰქონია ორი წყარო: „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და აბიათარის მატთანე.

რომ არსენის ერთ-ერთი წყარო იყო „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ეს იმდენად ნათელი და ამასთან ცნობილი საკითხია, რომ აქ ამ სავანზე აღარ შეეჩერდებიან.

ხოლო არსენი მეტაფრასტს რომ ამავე დროს უსარგებლია აბიათარის მატთანითაც, ეს ჩვენთვის ცხადი გახდება, როდესაც შევადარებთ აბიათარის მატთანის ზედწერილს, ერთი მხრით, და არსენი მეტაფრასტის ტექსტის გამონათქვამებს, მეორე მხრით. არსენი მეტაფრასტი უპასუხებს აღძრულ საკითხებს სწორედ იმავე ფრაზებით და გამონათქვამებით, რომელიც აღნიშნულია აბიათარის მატთანის ზედწერილში. შეადარეთ:

აბიათარის მატთანის ზედწერილი 1:

ცხოვრება და მოქცევა ქართლისა და მოთხრობა ნათესავობისა, და თუ რომელნი რომელთა ტომთანი ვართ, ანუ თუ ვითარ მოვიქცით და მივიღეთ სჯული ქრისტეანობისა...

არსენი მეტაფრასტის ტექსტი 2:

„უწყებამაჲ ჳერ არს... ვითარმედ ესე მეფე მირიან, ანუ სხუანი მეფენი ქართველნი რომლისა ტომისაგან იყვნეს, ანუ ქართველნი რომელთა ნათესავთა შვილნი ვართ.

...გამოვიდეს სხუანი ნათესავნი ქალდეველთაგანნი და დაეშენნეს... ქართლს.

...აღმოვიდა [ალექსანდრე მაკედონელი] ქუეყანასა ქართლისასა... ზოლო ჰყვა თანავე აზოვე (= *აზუე) ძე არიან-ქართველთა ჰეფისაჲ, და მისცა ქუეყანაჲ ესე ჩუენი სამეფოდ... ხოლო ესე აზოვე (= *აზუე) წარვიდა არიან-ქართლად მამისა თვისისა, და წარმოიყვანა მუნით ათასი სახლი მდაბიოჲ ფფლისაჲ, და კუალად ათი სახლი მთავართაგან, და ყოვლით დედა-წულით მათით მოიყვანნა და დააშენნა ქართლს, და თან ჰყვეს კერპნი მათნი ღმერთად. და ესე აზოვე (= *აზუე) არს პირველი მეფე ქართველთაჲ.

1 იხ. ანა-დელიფისეული ქართლის ცხოვრება.

2 იხ. 1902 წლის გამოცემა, გვ. 46-47, და ქრონიკები, II, გვ. 519-521.

(ვითარ მოვიქცით და მივიღეთ
სჯული ქრისტიანობისა...)

(რომელთა ტომთანი ვართ...)

და ამისთა შვილის-შვილთაგან
ოცლა-მერვე მეფე იყო მირიანი, რო-
მელი იგი მხოლოდ იქმნა ქრისტიანე,
და მიერთვან ყოველნი მეფენი ქარ-
თველთანი არიან მორწმუნე კეთი-
ლად.

და ჩუენ ქართველნი შეილნი
ვართ მათ არიან-ქართლით გამოს-
რულთანი, და ენამ მათი უწყით, და
ყოველნი მეფენი ქართლისანი ამათ
მეფეთა შვილის-შვილნი არიან.

გამონათქვამების ამ ზუსტი დამთხვევის მიხედვით ცხადი ხდება, რომ არ-
სენი მეტაფრასტს უსარგებლნია აბიათარის მატიაანით.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ თვით გამსხვავებული ვარიანტი
პირველი მეფის სახელისა აზოვე (—აზუე), საფიქრებელია, მომდინარეობს
სწორედ აბიათარის მატიაანის ტექსტიდან, რადგან, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს
მატიაანეში ეს ფორმა ჩვენ არ გვხვდება (ამ უკანასკნელს ძეგლში პირველი მე-
ფის სახელი წარმოდგენილია ფორმით: „აზოა“).

6. მოსე ხორენელის ტექსტი

მოსე ხორენელის ნაწარმოები, რომელშიაც ცნობები საქართველოს შესა-
ხებ, როგორც ირკვევა, ქართული წყაროებიდან არის შეტანილი, დამოკიდე-
ბული ყოფილა ისეთი ქართული მატიაანიდან, რომელიც ახლო იდგა „მოქცევაჲ
ქართლისაჲ“-ს ტიპთან.

იმის გამოსარკვევად, თუ რა ადგილი ეკირა ქართულ ძეგლთა შორის მო-
სე ხორენელის პირველწყაროს, აქ საჭიროა გავითვალისწინოთ ხასიათი მოსე
ხორენელის ცნობებისა საქართველოს შესახებ.

ა. მოსე ხორენელის თხზულებაში მოხსენებულია ექვსი მეფე იბერიისა,
მათ შორის სამი „წარმართობის“ ხანისა, სამი — ქრისტიანული ხანისა.

„წარმართობის“ ხანისა:

- VI — შიშრატ — I საუკუნე ჩვენს ერამდე 1.
- XI.II — ფარხმან — I საუკუნე ჩვენი წელთაღრიცხვისა 2.
- XV — ქარძაჲ — I საუკუნე ჩვენი წელთაღრიცხვისა 3.

ქრისტიანობის ხანისა:

- შიშრან (—მირიან) — IV საუკ 4.
- ბაკურ — IV—V საუკ 5.
- არჩილ — V საუკ. პირველი ნახევარი 6.

1 იხ. წიგნი II, თავი 11 და შლდ.

2 იხ. წიგნი II, თავი 46.

3 იხ. წიგნი, II, თავი 53.

4 იხ. წიგნი II, თავი 85, 86, წიგნი III, თავი 6, 9.

5 იხ. წიგნი III, თავი 54.

6 იხ. წიგნი III, თავი 201.

მეფეთა ამ ნუსხაში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ სახელი XV მეფისა მოსე ხორენელს არა აქვს მოყვანილი პირვანდელი სწორი ფორმით ქართაშ, არამედ დაზიანებულის ფორმით ქარძაშ, ე. ი. მოსე ხორენელის ტექსტი ამ შემთხვევაში იმეორებს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს დაზიანებულ წაკითხვას. ამაჲს გარდა დასახლება მოსე ხორენელის ტექსტში იბერიის მეფის ბაკურიას (ქრისტიანობის ხანიდან) აგრეთვე უჩვენებს მოსე ხორენელის დამოკიდებულებას „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტიპის მატრიანიდან, რამდენადაც ქართულ წყაროებში მეფე ბაკური ამ ეპოქაში მხოლოდ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატრიანეში მოიხსენება.

b. მოსე ხორენელის თხზულებაში ჩვენ გვაქვს გამოძახილი გადმოცემისა ქართველების ერთი ნაწილის გადმოსახლების შესახებ შიდა ქართლში¹. ამ შემთხვევაშიაც მოსე ხორენელის ტექსტი უდგება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატრიანის ტიპს.

მაგრამ ამის გვერდით მოსე ხორენელის თხზულებაში ჩვენ გვაქვს ორი დაცილება იმ ცნობებიდან, რომელსაც შეიცავს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ჩვენს დრომდე მოღწეული რედაქცია:

1. მოსე ხორენელის უფრო არქაული ხასიათის ცნობის მიხედვით ქართველთა ეს გადმოსახლება მომხდარა არა ალექსანდრე მაკედონელის დროს (— როგორც ამას გადმოგვცემს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ჩვენ დრომდე მოღწეული რედაქცია), არამედ უფრო ადრე, ნაბუქოდონოსორის დროს.

2. მოსე ხორენელის ცნობით სახელი მმართველისა, რომელიც დაადგინა ალექსანდრე მაკედონელმა იბერიაში, იყო არა აზოა (როგორც ამას გადმოგვცემს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ჩვენ დრომდე მოღწეული რედაქცია), არამედ მიპრდატ².

ეს დაცილება გვიჩვენებს, რომ მოსე ხორენელის პირველწყარო თუმცა იმავე ტიპის ძეგლი ყოფილა, რომელსაც წარმოადგენს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატრიანე, მაგრამ განსხვავებულ რედაქციას წარმოადგენდა.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამაჲსთან შემდეგიც: რომ უძველეს ქართულ ისტორიოგრაფიაში ორი გადმოცემა არსებულა ქართველთა გადმოსახლების შესახებ, და რომ ერთი გადმოცემა ამ გადმოსახლებას მიაკუთვნებდა ნაბუქოდონოსორის ხანას, ხოლო მეორე გადმოცემა — ალექსანდრე მაკედონელის ხანას, ამის შესახებ დაცულია უწყება ჩვენ დრომდე მოღწეულ ქართულ წყაროებშიაც.

ასე, არსენი მეტაფრასტის თხზულებაში (— რომელიც, ჩანს, აბიათარის მატრიანიდან არის დამოკიდებული) — აღნიშნულია, რომ უფრო ადრე, ვიდრე აზოვე გადმოიყვანდა არიან-ქართლიდან ქართულ მოსახლეობას, ქართლში დაესახლნენო „ნათესავნი ქალდეველთაგანნი“. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატრიანეშიაც აღნიშნულია ანალოგიური ცნობა, რომ ქართლს დაეშენნენო „ნათესავნი მბრძოლნი — ქალდეველთაგან გამოხმულნი ჰონნი“ (sic). მართალია, არსენი მეტაფრასტის ტექსტის ჩვენებით და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატრი-

¹ იხ. მოსე ხორენელი, წიგნი II, თავი 8, 11.

² იხ. იქვე.


ნის არსებული რედაქციის ჩვენებით — ეს ვითომც მოზადარა იმავე ალექსანდრე მაკედონელის ეპოქაში (—თუმცაღა აზოას გადმოსახლების უწინარეს); მაგრამ ლეონტი შროველს დაცული აქვს ამავე გადმოცემის მეორე ვერსია (—სხვაგვარი ინტერპრეტაციით) და იგი ამ ამბავს ნაბუქოდონოსორის ხანას მიაკუთვნებს¹.

ასევე განსხვავებული ტრადიცია არსებულა იბერიის მმართველის შესახებ, რომელიც, გადმოცემით, დადგენილ იქმნა ალექსანდრე მაკედონელის დროს. ამის შესახებ აქ განხილულ ძეგლებში სამი განსხვავებული გადმოცემაა წარმოდგენილი: ერთი — „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანისა და არსენი მეტაფრასტისა (— ამავე უღგებოდა, ჩანს, აბიათარის მატიანეც); მეორე — ლეონტი შროველისა; მესამე — მოსე ხორენელის პირველწყაროსი. თვითონ სახელიც ამ მმართველისა სხვადასხვა სახით დაუცავს ტრადიციას: აზოა (=აზო-ვე || * აზუე, აზოვენ || * აზუნ, აზოელ, აზონ) და მიმრდატ.

•

ჩვენ ამგზის ამით დავასრულებთ განაილვას საკითხისას, თუ რა რედაქციულ ურთიერთობაში იმყოფებიან ერთმანეთთან ჩვენს დრომდე მოღწეულ ძეგლებში.

წარმოდგენილი მიმოხილვის შედეგად ჩვენ საშუალება გვეძლევა აღვადგინოთ შემდეგი გენეალოგიური შტო, რომელიც გადმოგვცემს ამ ძეგლთა რედაქციული ურთიერთობის შემდეგ სურათს:



წარმოდგენილი მიმოხილვა აპრიკად ადასტურებს, რომ სია ძველი იბერიის მეფეებისა — ფეფენი ქართლს შინა წარმართინა — ხანგრძლივი ლიტერატურული ისტორიის მქონე ძეგლი ყოფილა, იგი არაა მოღწეული უთვისტომოდ, არაა განმარტოებით წარმოდგენილი ერთ წყაროში, არაჲდ მის გამოძახილს ეპოულობთ საისტორიო თხზულებების მთელს რიგში. ჯერ მარტო ამის მიხედვით საფიქრებელი ხდება, რომ ამ სიას, როგორც ჩანს, ძველი სათავეები უნდა ჰქონდეს.

¹ იხ. არსენი მეტაფრასტი, გვ. 46 (1902 წ.), მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 708 (OP, II), ლეონტი შროველი, გვ. *126/12 (მარიამ-დედოფლისეული ქართლის ცხოვრება); მოსე ხორენელი, წიგნი II, თავი 8, 11.

მეფეთა სიის სინაგოგის საკითხი

ქართული საისტორიო წყაროების ანალიზისა და მათი რედაქციული ურთიერთობის გარკვევის შემდეგ გადავდივართ განხილვაზე ძირითადი საკითხისა, რაც ძველ-ქართული ისტორიოგრაფიის კარდინალურ პრობლემას წარმოადგენს; ეს საკითხია: რა ხასიათის ძეგლია მეფეთა ეს სია, «მეფენი ქართლს შინა წარმართნი», რომელიც წარმოდგენილია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანეში და საშუალო საუკუნეთა სხვა ზემოთ დასახელებულ საისტორიო თხზულებებში?

არის იგი ლეგენდარული ძეგლი, შეთხზული ქრისტიანული ხანის მემკვიდრეთა მიერ?

ანდა იქნებ აქ გვაქვს ნახევრად ლეგენდარული სია, ისტორიული დოკუმენტის მნიშვნელობას მოკლებული, რომელშიაც ასახულია ბუნდოვანი საისტორიო გადმოცემები, რომელიც ემყარება არა წერილობით საისტორიო წყაროებს, არამედ ზეპირ თქმულებებს?

თუ აქ გვაქვს ისტორიული ხასიათის დოკუმენტი, რომელიც მომდინარეობს უძველესი წერილობითი ნაციონალური ქართული საისტორიო წყაროებიდან?



რათა პასუხი გავცეთ აქ აღძრულ საკითხზე, ჩვენ ჩავატარებთ შედარებას ქართულ მატიანეებში წარმოდგენილი მეფეთა სიისა იმ ცნობებთან, რომელსაც შეიცავენ:

1. ანტიკური ხანის ბერძნულ-რომაული საისტორიო წყაროები.
2. ანტიკური ხანის წარწერები, აღმოჩენილი ძველი იბერიის სატახტო ქალაქში მცხეთა-არმაზში.
3. სომხური საისტორიო წყაროები.

თავისთავად იგულისხმება, ჩვენი განხილვის საგანი ამ შემთხვევაში იქნება ქართულ მატიანეებში წარმოდგენილი მეფეთა სია ფარნავაზიანთა დინასტიისა (დაწყებული ფარნავაზიდან — ვლადე მირიანამდე), რომლის მიმართაც ყველა ქართული წყაროების ჩვენება ემთხვევა ერთმანეთს.

ხოლო რაც შეეხება ქართულ მატიანეთა უწყებას არიან-ქართლიდან გადმოსახლების შესახებ, ჩვენ ამგზის ამ ისტორიულ გადმოცემას არ ვეხებით. საფიქრებელია, რომ ეს უაღრესად მნიშვნელოვანი უწყება ქართველთა გადმოსახლების შესახებ აგრეთვე უნდა ემყარებოდეს არქაული ხასიათის წერილობით წყაროებს, მაგრამ წერილობითი წყაროებიდან მომდინარე ცნობები აქ შერწყმულია ქართველი ხალხის უძველეს ნაციონალურ თქმულებებთან (ამასთან ეს გადმოცემა, არსებულ მატიანეთა რედაქციებში, გართულებულია გვიანდელი მწიგნობრული ხასიათის ქრონოლოგიათა ცდებით).

ამის გამო ჩვენ მართებულად შიგვჩინა გავყოთ ერთმანეთისაგან ეს ორი ფენა ქართულ მატიანეთა უწყებებისა, და ჩვენი განხილვის საგნად ამგზის გავხადოთ მხოლოდ მეფეთა სია ფარნავაზიანთა დინასტიისა, რომელიც, როგორც ამას დადასტურებს შემდეგი გამოკვლევა წარმოდგენს წმინდა ისტორიული ხასიათის ავთენტიურ დოკუმენტს.

1. ანტიკური ხანის ბერძნულ-რომაული საისტორიო წყაროების ჩვენება

ანტიკური ხანის ბერძნულ-რომაულ საისტორიო ძეგლებში დაცულია ცნობები იბერიის ოთხი მეფის შესახებ, I საუკუნიდან ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს, ვიდრე II საუკუნემდე ჩვენი წელთაღრიცხვისა.

ოთხივე ეს მეფე მოხსენებულია ქართულ სიაშიც; ხოლო რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, და რასაც აქ აღძრული საკითხისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ქართული სია ასახელებს ამ მეფეებს სწორედ იმავე ეპოქაში, იმავე თანრიგით, როგორცადაც ეს დამოწმებულია ანტიკური ხანის ბერძნულ-რომაულ წყაროებში.

ა. იბერიის მეფე არტოკი ანუ არტაკი ბერძნულ-რომაულ წყაროებში მოიხსენება 65 წელს:

'Αρτάκιος (აბიანე, *Historia romana*, XII, 103, 117).

'Αρτάκιος (დიონ კასიოსი, *Historia romana*, XXVII, 1-2).

Arthoces (ფლორე, *Bellum Mithridaticum*, 27).

Artoces (ევტროპი, *Breviarium ab urbe condita*, VI, 14),

Artaces (ფესტუსი, *Breviarium rerum gestarum populi romani*, XVI).

ქართულ სიაში ამავე ეპოქაში დასახელებულია VII მეფე არტოკი (ეპოქა ცეცაძე ქართლისაჲ-ს მატიანე) — იგივე არტაგი (ლეონტი მროველი).

ბ. იბერიის მეფე ფარსმან I ბერძნულ-რომაულ წყაროებში მოიხსენება ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნის 30-იანი წლებიდან — 60-იან წლებამდე:

Pharasmanes (ტაციტუსი, *Annales*, VI, 33-35; XI, 8; XII, 44-48; XIII, 37).

Φαρσαμάνης (დიონ კასიოსი, *Historia romana*, XLVIII, 26).

ეს არის ქართული სიის XIII მეფე ფარსმან (I), რომლის მეფობაც დასახელებულ ეპოქას უწევს.

გ. იბერიის მეორე მეფე იმავე სახელით ფარსმან III მოიხსენება ბერძნულ-რომაულ წყაროებში II საუკუნის 30-იან — 40-იან წლებში (— თანამედროვე რომის იმპერატორთა — ადრიანესი და ანტონინესი):

Φαρσαμάνης (არიანე, *Περὶ πλοῦτος Ἐὐξείνου Πόντου*, 15).

Φαρσαμάνης (დიონ კასიოსი, *Historia romana*, XLIX, 15).

Pharasmanes (ელიოს სპარტიანე, *Hadrianus*, 17).

Pharasmanes (იულიოს კაბიტოლინე, *Antoninus Pius*, 9).

ეს პირი არის ქართული სიის XIX მეფე ფარსმან III ქველი, რომლის მეფობა დასახელებულ ეპოქას ემთხვევა.

დ. იბერიის მეფე ფარნავაზ (ანუ ფარნაბაზ || ფარნაბად) ანტიკური ხანის ბერძნულ წყაროში მოიხსენება იბერიის მეფე არტოკის შემდეგ 36 წელს ჩვენი წელთაღრიცხვის წინ:

Φαρνάβασις (დიონ კასიოსი, *Historia romana*, XIX, 24).

ხოლო ქართულ სიაში ამავე ეპოქაში (მეფე არტოკის შემკვიდრედ) — მოიხსენება მეფე ბარცმანი.

საფიქრებელი ზღვება, რომ აქ ჩვენ გვაქვს ერთი და იმავე სახელის ვარიანტული დაწერილობანი. ძველ-ქართული ონომასტიკონის მონაცემების მიხედვით ქართულად არსებული სახელის „ბარაცმან-ავა“¹-ის უფრო სრული ვარიანტული სახეობა, ორ-ნაწილადი სახით: ბარაცმან-ავა (= *ფარსმან-ავა). ძველ-ქართულ ონომასტიკონში დამოწმებულია აგრეთვე, რომ ერთსა და იმავე პირს მიემართებოდა სახელად როგორც ფარსმან-ავა (= *ბარაცმან-ავა), ისე ფარნავა¹.

ამის გამო ჩვენ საფუძველი გვეძლევა იდენტურად მივიჩნიოთ ბერძნულ წყაროში მოხსენებული ფარნავა და ქართული წყაროების ბარაცმან (|| *ბარაცმან-ავა || ფარსმან-ავა || ფარნავა). ამ ვაიგივებას ამართლებს არა მხოლოდ სახელების სიახლოვე, არამედ ზუსტი დამთხვევა ქრონოლოგიისა, რამდენადაც ბერძნულ წყაროში მოხსენებული ფარნავა მეფობდა, როგორც აღვნიშნეთ, მეფე არტოკის შემდეგ (36 წელს ჩვენს ერამდე), ხოლო ქართულ წყაროებშიაც ეს მეფე დასახელებულია სწორედ ამავე ეპოქაში, როგორც მეფე არტოკის უშუალო მემკვიდრე.

ასეთია ის ცნობები, რომელთაც შეიცავენ ანტიკური ხანის ბერძნულ-რომაული საისტორიო წყაროები ქართულ წყაროებში დაცული მეფეთა სიის შესაბამისად.

2. მცხეთა-არმაზის ანტიკური ხანის წარწერები

წარწერები ანტიკური ხანისა, აღმოჩენილი ძველი იბერიის სატახტო ქალაქში მცხეთა-არმაზში, აგრეთვე გადამწყვეტი მნიშვნელობის ჩვენებებს იძლევა ქართულ მატრიანთა მეფეთა სიის სინამდვილის სასარგებლოდ.

ა. ბერძნული წარწერა, შესრულებული ჩვენი წელთაღრიცხვის 75 წელს (1 ივლისის შემდგომ), ფლავიოსთა რომის საიმპერატორო სახლის წევრთა — კეისარ ვესპასიანეს, ტიტუს და დომიციანეს სახელით, რომელიც ეხება იბერიის სატახტო ქალაქის მცხეთა-არმაზის კედლის გამაგრებას.

ამ წარწერაში მოხსენიებან იბერიის მეფე მითრიდატი, რომელიც იბერიის მეფედ მჯდარა ამ დროს (75 წ.), და რომელიც ყოფილა ძე იბერიის მეფის ფარსმანისა².

ამ წარწერაში მოხსენებულნი მეფე ფარსმანი და მისი მემკვიდრე მეფე მითრიდატი ეს არის ჩვენი სიის მეფეები: XIII — ფარსმანი და XIV <მითრიდატი>. ეპოქა იგივეა.

ბ. წარწერა ბერძნულ პიტიასისეული ლანგარისა.

ლანგარზე, რომელიც აღმოჩენილ იქნა 1940 წელს არმაზის საპიტიაზშო ნეკროპოლში (სამარხი № 3), მოიპოვება შემდეგი წარწერა ბერძნულად:

Ἐγὼ Βασίλεις Ὁλ' δῶδης ἐχαρισάμην Βερσίσμα πικιδῆ.

= „მე მეფემან ფლავიოს-დადემან გიწყალობე [ეს ლანგარი] ბერძნულ პიტიაზშო“.

¹ იხ. ამის შესახებ ქვემოთ, გვ. 553.

² იხ. И. Помятовский, сборник греческих подписей Кавказа, 1881 წ., გვ. 66—69.

იმავე ლანგარზე მოიპოვება ლანგარის პატრონის ინიციალები, ქართული დამწერლობით შესრულებული:

ბ კ ძ,

რომელიც იხსნება ამრიგად:

ბ[ერცუმ] პ[იტიახში] ქ[ართამის-ძმ].

ამ ლანგარის წარწერას დეტალურად ვეხებით საეციალურ გამოკვლევაში. აქ კი შევჩერდებით მხოლოდ ზოგიერთ კითხვაზე, რასაც უშუალო კავშირი აქვს იმ წერილში აღძრულ საკითხთა წრესთან.

ბერძნულ წარწერაში მოხსენებული სახელი „ფლავიოს-დადე“, ეს არის არა საკუთარი სახელი იბერიის მეფისა, არამედ საპატიო სახელწოდება.

აქ საჭიროა ვიცოდეთ, რომ იმ ეპოქაში, რომელსაც ეკუთვნის ჩვენი წარწერა (ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეები) — მიღებული იყო რომის იმპერიასთან კავშირის გამოსახატავად და რომის იმპერატორთა პატივისცემის ნიშნად საპატიო სახელწოდების ტარება იმპერატორთა საგვარეულო სახელის მიხედვით.

და სწორედ იმ ხანაში, როდესაც რომის იმპერატორებად იყვნენ ფლავიოსთა საგვარეულო სახლის წევრნი, იბერიის სამეფო იმყოფებოდა რომის იმპერიის პოლიტიკური გავლენის სფეროში. ამის შემდეგ გასაგებია ეს საპატიო სახელწოდება იბერიის მეფისა: „ფლავიოს-დადე“. ეს საპატიო სახელწოდება იბერიის მეფეს მოუღია ფლავიოსთა სახლის რომის იმპერატორთა პატივისცემის ნიშნად.

ამის მიხედვით ეს მეფე იბერიისა მეფობდა I საუკუნის ბოლო მეათედეში, არა უადრეს 70 წლისა და არა უგვიანეს 96 წლისა (პირველმა რომის იმპერატორმა ფლავიოსთა სახლიდან იმპერატორობა მიიღო 70 წელს, ხოლო უკანასკნელი იმპერატორი ფლავიოსთა სახლიდან გარდაიცვალა 96 წელს)¹.

რაკი „ფლავიოს-დადე“ არის საპატიო ზედწოდება იბერიის მეფისა, ამის შემდეგ გამოსარკვევი რჩება ნამდვილი საკუთარი სახელი ამ მეფისა, რა ქართულ სახელს ატარებდა იგი. ამის დასადგენად ჩვენ გვაქვს ორი მკვიდრი მაჩვენებელი:

1. ეს არის ის მეფე იბერიისა, რომელიც მეფობდა 70-96 წლებს შორის (იყო თანამედროვე რომის იმპერატორთა ფლავიოსთა სახლიდან).

2. ეს არის ის მეფე იბერიისა, რომლის დროსაც, როგორც ეს ირკვევა ბერძნული წარწერიდან, არმაზელ პიტიახშად (ე. ი. ვიცე-მეფედ) იყო ბერცუმში.

¹ თარიღის საკითხთან დაკავშირებით აქ საჭიროა ხაზი გაუვსვთ შემდეგ გარემოებას. რასაკვირველია, გამორიცხულად უნდა ჩითვალოს შესაძლებლობა, რომ იბერიის მეფეს ეს საპატიო სახელწოდება მიეღო უფრო გვიან, როდესაც იმპერატორობა ფლავიოსთა სახლში აღარ იყო, რომის იმპერიასთან კავშირში მყოფ იბერიის მეფეს ეს საპატიო ზედწოდება „ფლავიოს-დადე“ მიუღია სწორედ რომის იმპერატორთა დრო პატივისცემის აღსანიშნავად, და თავისთავად ცხადია ეს ვერ მოხდებოდა მას შემდეგ, როდესაც იმპერატორობა უკვე აღარ იყო ფლავიოსთა გვარეულობაში, არამედ სხვა სახლზე გადავიდა.

მივპართოთ ამის შემდეგ ქართულ წყაროებს. ქართული წყაროები ამ საკითხის გამო შემდეგს ჩვენებებს შეიცავს:

1. ქართულ წყაროებში — იმ ეპოქისათვის, რომელიც აქ ჩვენი განხილვის საგანს შეადგავს, ე. ი. I საუკუნის უკანასკნელი მესამედისათვის დასახელებულია XV მეფე ქართამი, რომელიც მოიხსენება როგორც თანამედროვე სწორედ რომის იმპერატორთა ფლავიოსთა სახლიდან¹.

2. ქართამთან ერთად ქართულ წყაროებში მოიხსენება თანამართველი ქართამისა („ამიერი“ თანამეფე), რომლის სახელია ბარცოში ანუ ბარაცმანი. (ლეონტი მროველის ტექსტში მას ეწოდება ბარცოში, ხოლო „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტში ბარაცმანი).

ამრიგად, აქ ჩვენ გვაქვს ნიშანდობლივი დამთხვევა ქართულ მატრიანთა ცნობისა, ერთი მხრით, და წარწერის ცნობისა, მეორე მხრით: ჯერ ერთი, დამთხვევა თარიღისა; მეორე, დამთხვევა თანამართველის სახელისა: ბერცუმე — ბარცოში.

ამის მიხედვით საფუძველი გვეძლევა დავასკვნათ, რომ ის მეფე იბერიისა, რომლის საპატიო სახელწოდება იყო „ფლავიოს-დადე“ — ეს არის ქართულ მატრიანებში დასახელებული XV მეფე ქართამი. ხოლო ბერცუმე პიტიაზში ეს არის ქართულ მატრიანებში დასახელებული ქართამის თანამართველი („ამიერი“ თანამეფე) ბარცოში.

დასახელებული წარწერა ამავე დროს ჩვენ გვაძლევს საშუალებას დავახსოვროთ ქართული მატრიანების უწყება „ამიერი“ თანამეფეების შესახებ; ქართულ მატრიანებში მოხსენებულნი „ამიერი“ თანამეფენი, როგორც იტყევა, ყოფილან არმაზელი პიტიაზში (ვიცე-მეფეები). მაგრამ აღ უკანასკნელ საკითხს „ამიერი“ თანამეფეების შესახებ ჩვენ ისევ დავუბრუნდებით და განვიხილავთ სპეციალურ ექსკურსში (იხ. თავი VIII: „ორმეფობის“ ხანა. პიტიაზობის ინსტიტუტის ისტორიისათვის ძველ იბერიაში).

გ. ს ე რ ა ფ ი ტ ი ს ს ტ ე ლ ა.

წარწერები სერაფიტის სტელისა, რომელიც აღმოჩენილ იქმნა არმაზის საპიტიაზო ნეკროპოლში 1940 წელს, განხილული გვაქვს ცალკე გამოკვლევაში (მცნეთა-არმაზის სხვა ძეგლებთან ერთად). აქ აღვნიშნავთ მხოლოდ სერაფიტის სტელის წარწერათა ისტორიულ რეალიებს, რამდენადაც იგი მეფეთა სიას ეხება.

სერაფიტის ძეგლის წარწერებში მოიხსენება ორი მეფე იბერიისა, რომლებიც მეფობენ შემდეგი თანამიმდევრობით:

1. ფარსმან (არამეულის დამწერლობით შესრულებულ წარწერაში: Prsmn).

2. ხე-ფარნუჯ (არამეულის დამწერლობით შესრულებულ წარწერაში: Hsjprnwg, ბერძნულ წარწერაში: Ξηφαρνύς),

¹ იხ. ლეონტი მროველის ტექსტი, სადაც აღნიშნულია, რომ ქართამის მეფობის დროს, მას შემდეგ რაც „ვესპასიანოს [ფლავიოსმან] რომის კეისარმან წარტყუნა იერუსალემი“, — „მუნცთ ოტებულნი ჰურიანი მოვიდეს მცხეთას და დასხდეს“ (იხ. გვ. *148/31). მეორე ქართული წყარო — „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატრიანე-მეფე ქართამს აგრეთვე სთვლის ფლავიოსთა თანამედროვედ. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატრიანეში ასევე აღნიშნულია, რომ „მთჯამთა [ქართამის მეფობის ხანაში] ჰურიანი მოვიდეს მცხეთას და დასხდეს“ (იხ. გვ. 709). აქ იგულისხმება იგივე ამბავი, იერუსალემის „წარტყუნვა“ ვესპასიანის და ტიტუს დროს და ებრაელთა დიასპორა იერუსალემის დაცემის შემდეგ.

ესენი არიან ქართულ მატრიანთა მეფეთა სიაში მოხსენებული XVI და XVII მეფეები, რომლებიც მეფობდნენ შემდეგი თანამედევრობით: XVI ფარსმან, XVII [ფ]არ[ნ]უკ.

აქ ჩვენ გვაქვს დამთხვევა როგორც სახელებისა, ისე რიგისა. ეპოქაც იგივეა.

ამას გარდა, სერაფიტის ძეგლის წარწერათა ჩვენებანი სხვაშრივაც ემთხვევა ქართულ მატრიანებს. სახელდობრ, სერაფიტის ძეგლის წარწერაში — მეფე ფარსმანის დროს არმაზელ პიტიახშად, როგორც ირკვევა, დასახლებულია აგივე პირი, რომელიც ქართულ მატრიანებში მოხსენება ფარსმანის დროსვე „ამიერ“ თანა-მეფედ (ე. ი. არმაზელ პიტიახშად). მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ (იხ. თავი VIII: „ორმეფობის“ ხანა. პიტიახშობის ინსტიტუტის ისტორიისათვის ძველ იბერიაში).

მ. ძველ-სომხური საისტორიო წყაროს ჩვენება

სომხური ნაციონალური ისტორიოგრაფია, როგორც ცნობილია, იწყება შედარებით გვიან ხანაში, ქრისტიანულ ეპოქაში, და ამის გამო სომხურ ძეგლებში თვით სომხეთის ისტორიის უძველესი პერიოდის შესახებ ცოტაა შემონახული ავთენტიური ხასიათის საისტორიო ცნობები. მით უფრო ცოტაა დაცული ასეთი ცნობები ძველი იბერიის შესახებ¹.

აღრინდელ სომხურ ისტორიოგრაფიაში ჩვენ გვხვდება ერთი ჩვენება, რომელიც ინტერესს წარმოადგენს ჩვენს წერილში აღძრულ საკითხებთან დაკავშირებით. ეს ჩვენება დაუცავს სომეხ ისტორიკოსს — ფ ა ვ ს ტ ო ს ბ ი ზ ა ნ ტ ი ე ლ ს, რომელიც სომხური ნაციონალური ისტორიოგრაფიის მამამთავრად ითვლება და რომლის ცხოვრების დრო მიეკუთვნება IV — V საუკუნეებს ჩვენი წელთაღრიცხვისა.

ფავსტოს ბიზანტიელს დაცული აქვს ცნობა, რომ ძველ-ქართული სამეფო გვარეულობა ფარსმანთანა დაიწყო და დინასტიას ეკუთვნოდა. ფავსტოს ბიზანტიელი, აგვიწყობს რა IV საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიულ ამბებს, იბერიის სამეფო გვარეულობას უწოდებს: „ფარსმანის დინასტიის“².

ამრიგად, აქ ჩვენ გვაქვს მეტად მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევა შეხვედრა ძველ-ქართულ საისტორიო ტრადიციასთან.

VIII

„ორმეფობის“ ხანა

პიტიახშობის ინსტიტუტის ისტორიისათვის ძველ იბერიაში

ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სიის განხილვასთან დაკავშირებით აქ საჭიროა შევხებით აგრეთვე ერთ საკითხს: პიტიახშობის ინსტიტუტის ისტორიას ძველ იბერიაში.

ეს ჩვენ მოგვცემს საშუალებას ამოვხსნათ ზოგიერთი გაურკვეველი კითხვა საქართველოს ძველი ისტორიისა და დავაზუსტოთ განმარტება მეფეთა

¹ ჩვენ აქ მხედველობაში არა გვაქვს მთელ ხორციელის ტექსტის ის ჩვენებები, რაც, როგორც აღნიშნული ვკონდა, ძირითადად ქართული საისტორიო წყაროებიდან მომდინარეობს.

² იხ. ფავსტოს ბიზანტიელი, კარი V, თავი 15.

სიის იმ ნაწილისა, რომელიც მოიცავს ეპოქას ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული — ვიდრე II საუკუნის შუა წლებამდე (ეგრეთწოდებული „ორმეფობის“ ხანა).

რაკი პიტიაზმობის ინსტიტუტის რაობა და მისი ისტორია დღემდე არ ყოფილა სპეციალური შესწავლის საგანი, ამის გამო ამ საკითხზე ჩვენ აქ მოგვხდება დაწვრილებით შევჩერდეთ, განვიხილოთ ეს საკითხი მთელი მოცულობით.

პიტიაზმობის ინსტიტუტი, როგორც ცნობილია, არსებობდა არა მხოლოდ ძველ იბერიაში, არამედ ახლო აღმოსავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში, ასე — ერანში, აგრეთვე სომხეთშიაც.

კერძოდ იბერიაში პიტიაზმობის ინსტიტუტს, როგორც ირკვევა, ხანგრძლივი ისტორია ჰქონია. პიტიაზმობის ინსტიტუტი ჩვენ გვხვდება იბერიაში როგორც ანტიკურ ხანაში, ისე ადრეულ საშუალო საუკუნეებში.

რა ხელისუფლებას აღნიშნავდა პიტიაზმობა.

სხვადასხვა ქვეყნებში და სხვადასხვა ეპოქაში ამ ხელისუფლებას, ცხადია, არ უნდა ჰქონოდა სავსებით ერთი და იგივე შინაარსი და, როგორც ირკვევა, არცა ჰქონია. მაგრამ ძირითადად მისი მნიშვნელობა მაინც ერთნაირი იყო: პიტიაზში — ეს არის უმაღლესი ხელისუფალი მეფის შემდეგ, მოადგილე მეფისა რომელსამე პროვინციაში, მეფისნაცვალი, ვიცე-მეფე.

თუ რა წარმოშობისაა თვით სიტყვა „პიტიაზში“, საბოლოოდ დადგენილად არ ითვლება. ეს სიტყვა ჩვენ გვხვდება:

1. ქართულში: პიტიაზში.
2. ერანულში (ფალაურში): pths, hths.
3. სომხურში: („ბდეშ“, „ბდეაშ“).
4. ასურულში: pataxxa.
5. ბერძნულში (ნასესხები): $\pi\tau\iota\alpha\zeta\eta\varsigma$, $\beta\iota\tau\acute{\alpha}\zeta\eta\varsigma$.
6. ლათინურში (აგრეთვე ნასესხები): vitaxa.

სამეცნიერო ლიტერატურაში ამ სიტყვის სხვადასხვა ეტიმოლოგია იყო წარმოდგენილი, რომელთაგან აღვნიშნავეთ აქ ზოგიერთს. პორნის დასკვნით, პროტოტიპი ამ სიტყვისა არის ძველ-სპარსული *pati-xsayaxiya—მეფე, (რასაც შემდეგ უნდა მიეღო მნიშვნელობა: თანა-მეფე, მეფისნაცვალი, ანუ ვიცე-მეფე). კარსტი — სიტყვას „პიტიაზში“ აკავშირებს სუმერულთან patesi, მაგრამ ყველაზე მართებულად და სწორად უნდა ჩაითვალოს ეტიმოლოგია ამ სიტყვისა, წარმოდგენილი აქად თ. კორშის მიერ, რომლის დასკვნით პროტოტიპი ამ სიტყვისა არის ირანული (ზენდ.) *bitya-xsayaxiya—შემდგომი მეფისა, მეფის შემდგომ მემორე, რაც უდგება ამ ხელისუფლების თვით რეალურ შინაარსს.

გავეცნოთ ამის შემდეგ იმ ცნობებს, რომლებიც შენახულა პიტიაზმობის ინსტიტუტის შესახებ იბერიაში — ანტიკურ ხანაში და ადრეულ საშუალო საუკუნეებში.

1. „პიტიახში“ და „ერისთავი“

როგორც ქართული წყაროების შესწავლიდან ირკვევა, ძველ იბერიაში მეფის შემდგომს საქვეყნოდ გამრიგე ხელისუფალს რქმევია: „პიტიახში“ და „ერისთავი“.

„ერისთავი“ — ზოგადი ფართე მნიშვნელობის სახელწოდება ყოფილა. ეს არის ზოგადი სახელწოდება პროვინციის მმართველისა. დამოუკიდებლად იმისგან, თუ რა მოცულობისა იყო ეს პროვინცია. ერისთავი ერქვა ცალკე პატარა კუთხის მმართველს; ერისთავი ერქვა უფრო მოზრდილი ერთეულის, ცალკე მხარის მმართველს; ამას გარდა სახელწოდება ერისთავი ზოგჯერ მიემართებოდა არა მხოლოდ ცალკე მხარის მმართველს, არამედ თვით მთელი იბერიის მმართველსაც კი; მას შემდეგ რაც იბერიაში VI საუკუნეში მოისპო მეფობა და ხელისუფლების სათავეში ჩადგა ცალკე მხარეების მმართველთა („ერისთავთა“) წრიდან გამოსული ხელისუფალი, ამ უკანასკნელს მიემართება შემდეგი ტიტულები: 1. ერისთავთ-მთავარი; 2. ერის-მთავარი; 3 მთავარი; 4. დიდი ერისთავი; და აგრეთვე უბრალოდაც: „ერისთავი“. ასე, იბერიის მმართველნი VI—VII საუკუნეთა: გუარამ, სტეფანოზ I, ადარნერსე I და სტეფანოზ II — „ერისთავი“-ს ტიტულით მოიხსენებიან ძველ-ქართულ ქრონიკაში „მოქცევაჲ ქართლისაჲ“.

რაკი, ამრიგად, „ერისთავი“ ასეთი ზოგადი მნიშვნელობის სახელწოდება ყოფილა, და აღნიშნავდა საერთოდ საქვეყნოდ გამრიგე ხელისუფალა, ქვეყნის მმართველს, მიუხედავად მისი რანგისა, ამიტომ შესაძლოა თვით პიტიახშიც მოეხსენებიათ იმავე „ერისთავის“ სახელწოდებით. და ამისი მაგალითები ჩვენ მართლაც გვაქვს. ასე, ცნობილი მოღვაწე V საუკუნისა ვარსკენ პიტიახში არსუშაჲ-ძე, იმავე ეპოქის — V საუკუნის — ძეგლში „მარტვლობაჲ შუშანიკისი“ — მოიხსენება მხოლოდ „პიტიახში“-ს ტიტულით, და არც ერთხელ არ ეწოდება მას „ერისთავი“. მაგრამ ერთ გვიანდელ ტექსტში, რომელიც შეტანილია ჭუნანერის სახელით წარწერილ ქრონიკაში 876—912 წლებისა, ეს პირი, ვარსკენ პიტიახში, „ერისთავი“-ს სახელწოდებით აის მოხსენებულია¹.

მაგრამ ამავე დროს ძველი ქართული ტექსტებიდან სრულიად გარკვევით ჩანს აგრეთვე, რომ „პიტიახში“ არ იყო ჩვეულებრივი რიგითი ერისთავი, არამედ ხელისუფალი უფრო მაღალი რანგისა, და ამ მხრივ პიტიახში დაპირისპირებულია კიდევ ჩვეულებრივ ერისთავთან.

ლეონტი მროველის თხზულებაში, რომელიც მე-8 საუკუნეს ეკუთვნის, გამოყენებულია უფრო ძველი ეპოქის ერთი ტექსტი, სადაც ეკითხულობთ:

„მეფემან სპარსთამან, მწუხარებითა შეპყრობილმან, მოუწოდა მთავართა სოფლებისათა პიტიახშთა, და ერისთავთა სოფლებისათა, და ყო განზრახეა“².

არქაული ეპოქის ქართულ სამწერლო ენაში სიტყვა „სოფელი“, როგორც ცნობილია, აღნიშნავდა ცნებას „ქვეყანა“, და ეს ტექსტი შემდეგს გადმოგვცემს (ახალ-ქართულ თარგმანში):

„მეფემან სპარსთამან მოუწოდა ქვეყნის მთავრებს — პიტიახშებს, და ქვეყნის ერისთავებს, და ჰყო განზრახეა“.

¹ ქართლის ცხოვრება, მარია-დედოფლისეული ვარიანტი, გვ. *404-405/188-189.

² ქართლის ცხოვრება, მარია-დედოფლისეული ვარიანტი, გვ. *171/44.

ამრიგად, აქ, როგორც ვხედავთ, დაპირისპირებულია, ერთი მხრით, ქვეყნის მთავარნი — პიტიახზნი, ხოლო მეორე მხრით — ქვეყნის ერისთავნი, რიგითი იმართველნი პროვინციებისა. განსხვავება პიტიახზსა და რიგით ერისთავს შორის, მაშასადამე, ის ყოფილა, რომ პიტიახში ყოფილა მთავარი, აღჭურვილი ისეთი უფლებებით, რაც ჩვეულებრივ ერისთავს არ ჰქონდა მინიჭებული.

აქ დასახლებული ძველ-ქართული ტექსტი ეხება ერანის მსოფლიოში არსებულ ვითარებას. ხოლო ამავე დროს ქართული წყაროებიდან ისიც ირკვევა, რომ საკუთრივ საქართველოშიაც მსგავსივე მდგომარეობა იყო: საქართველოშიაც პიტიახში აგრეთვე ყოფილა მთავარი და არა ერისთავი ჩვეულებრივი გაგებით. VIII საუკუნის ერთ ქართულ მატიანეში, რომელიც ექსცერპტის სახით არის ჩართული ჯუანშერისეულ ქრონიკაში, მოთხრობილია მურვან-ყრუს შემოსვლა საქართველოში (VIII საუკუნის 30-იან წლებში) და აქ აღნიშნულია შემდეგი:

„მოიწია ამირა აგარიანი ქართლად, რომელსა ერქუა მურვან ყრუ, ძე მოკმაღისი, რომელი წარმოევილია ეშის ამირ-მუნსა... და ყოველნი მთავარნი პიტიახზნი, ნათესავნი ერისთავთა და წარჩინებულთანი, შეიმეოტნეს კჳცკასიღ“¹.

ამ ძეგლშიაც პიტიახზნი და ერისთავნი მოიხსენებიან როგორც სხვადასხვა რანგის ხელისუფალნი, და პიტიახშთა შესახებ აღნიშნულია, რომ ისინი იყვნენ მთავარნი.

პიტიახშობა იმდენად მაღალი რანგის წოდება ყოფილა, რომ როდესაც პიტიახშობის ხელისუფლება საბოლოოდ მოისპო საქართველოში, პიტიახშთა შთამომავალნი მაინც საგანგებოდ აღნიშნავდნენ, რომ ისინი არიან არა უბრალო ერისთავნი, არამედ „ნათესავით პიტიახზნი“ (—იხ. სამშვილდის წარწერა 778 წლისა).

2. პიტიახში — სეფე-წული

პიტიახში მაღლა იდგა ერისთავზე არა მხოლოდ როგორც მთავარის ხელისუფლებით აღჭურვილი, არამედ თავისი შთამომავლობითი მდგომარეობით. პიტიახშები, როგორც ირკვევა, ინიშნებოდნენ სამეფო გვარეულობიდან, ისინი იყვნენ სამეფო გვარეულობის წევრნი, „სეფე-წული“.

ეს ირკვევა ძველ-ქართული ძეგლიდან „მარტელობაჲ ევსტათი მცხეთელისაჲ“, რომელშიაც პიტიახში მოხსენებულია როგორც „სეფე-წული“².

ამას გარდა ჩვენ ქვევით სპეციალურად ვეხებით ერთ ცნობას ანტიკური ხანისას, საიდანაც აგრეთვე სრულიად უდავოდ დასტურდება, რომ პიტიახშები სამეფო გვარეულობიდან ინიშნებოდნენ.

მაშასადამე, პიტიახშთა „მოავრობა“-ს, როგორც ირკვევა, შთამომავლობითი საფუძველი ჰქონია. პიტიახზნი კერძოდ იმის გამო ითვლებოდნენ არა-

¹ ქართლის ცხოვრება, მარია-დედოფლისეული ვარიანტი, გვ. *419/200.

² საქართველოს სამოთხე, გვ. 315.

უბრალო ერისთავებად, არამედ „მთავრებად“, რომ ისინი, განსხვავებით ჩვე-
ულებრივ ერისთავთაგან, იყვნენ სამეფო გვარეულობის წევრი, სეფე-წულნი.

3. რამდენი საპიტიახშო არსებობდა საქართველოში

ერანში, როგორც ცნობილია, ოთხი პიტიახშის თანამდებობა, ოთხი სა-
პიტიახშო ერთეული არსებობდა (ასევე ანტიკური ხანის სომხეთშიაც, როგორც
ეს სავარაუდებელია დაცული ცნობების მიხედვით, ოთხი ანალოგიური ერთე-
ული უნდა არსებულებოდა, ზოგიერთ ეპოქაში მაინც).

როგორი ვითარება იყო ძველ იბერიაში, ამის შესახებ სრული ამომწურავი
ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ იბერიაც ოთხ
საპიტიახშო ერთეულად ყოფილიყო დანაწილებული.

თავისთავად ეს დაყოფა ოთხ ერთეულად არ არის შემთხვევითი, იგი და-
კავშირებული იყო სამხედრო ორგანიზაციასთან, ქვეყნის დანაწილებასთან ოთხ
სამხედრო ოლქად. ამგვარი დაყოფა ოთხ სამხედრო ოლქად, როგორც ჩანს,
უძველესი დროიდანვე მომდინარეობს და სხვადასხვა სახით თვით ბოლო
დრომდისაც შერჩა საქართველოში, სახელდობრ: მოწინავე ფრთა, მარჯვენა
ფრთა, მარცხენა ფრთა და ცენტრი („მეფისა თანა მდგომი“).

თუ გავითვალისწინებთ ძველი იბერიის ტერიტორიულ მოხაზულობას, და-
ყოფას ბუნებრივ ტერიტორიულ ერთეულებად, და შევეუფარდებთ ამას იმ
ცნობებს, რომელიც ჩვენ ძველი იბერიის პიტიახშთა შესახებ მოგვეპოვება,
საფიქრებელია, რომ ეს ოთხი საპიტიახშო ერთეულები უნდა ყოფილიყო:

1. საკუთრივ ქართლი ანუ შიდა-ქართლი („ზენა-სოფელი“), რეზიდენციით
მცბეთა-არმაზში. — (ცენტრი).

2. ქვემო-ქართლი ანუ გოგარენი. — (მოწინავე ფრთა).

3. ქართლ-მესხეთის დასავლეთი სანაპირო. — (მარჯვენა ფრთა).

4. კახეთი. — (მარცხენა ფრთა).

ჩვენ შარტლაც მოგვეპოვება ცნობები ამ მხარეთა პიტიახშების შესახებ.

ა. საკუთრივ ქართლი ანუ შიდა-ქართლი („ზენა-სოფელი“)

რომ შიდა-ქართლში ანუ „ზენა-სოფელში“ ანტიკურ ხანაში იხსნენ პი-
ტიახშნი, რომელთა რეზიდენცია იყო არმაზი. ეს გამოიჩინა არმაზში აღმოჩენი-
ლი წარწერებიდან. არმაზელ პიტიახშთა შესახებ ჩვენ საგანგებოდ გვაქვს საუ-
ბარი ქვემოთ და აქ მათზე აღარ შეეჩერდებით.

ბ. ქვემო-ქართლი ანუ გოგარენი

პიტიახშების შესახებ, რომელნიც იხსნენ ქვემო-ქართლში ანუ გოგარენ-
ში, ცნობები დაცულია ქართულსა და სომხურს წყაროებში.

V საუკუნის ქართულ ძეგლში „მარტყოზა შუშანიკისი“, მოიხსენებიან
ამ მხარის პიტიახშნი: არშ-უშა პიტიახში (V საუკუნის პირველი ნახევარი) და
ვარსქენ პიტიახში ძე არშ-უშადისი (V საუკუნის მეორე ნახევარი).

ეგვევ პირნი მოიხსენებიან სომხურ წყაროებშიაც.

ქართულ ძეგლში — შეშანიკის მარტულობაში — ამ პირთ ეწოდებათ მარტივად „პიტიახში“, მათი სრული ტიტულატურა მოხსენებული არაა. ხოლო სომხურ წყაროებში მათ ეწოდებთ:

— პიტიახში გუგარელთა („ბღეაშ გუგარაც, ბღეაშ გუგარაცვოც“) ¹.

— პიტიახში ქართველთა („ბღეაშ ვრაც“) ².

— მთავარი ტაშირელთა („ტაშირი“ ერქვა ქვემო ქართლის ძირითად თემს) ³.

რეზიდენცია ქვემო-ქართლის პიტიახშებთან იყო გაჩიანი (ცურტავი), რომელიც მდებარეობდა მტკვრის პირას (როგორც ჩანს, ესლანდელ ბორჩალოსა და ყაზახის პროვინციების მიჯნაზე). გარდა გაჩიან-ცურტავისა, ქვემო-ქართლის პიტიახშებს ჰქონიათ ცალკე საზაფხულო რეზიდენცია თრიალეთში, რომელსაც რქვევია საპიტიახშო ⁴. ქვემო-ქართლის პიტიახშების მეორე რეზიდენცია თრიალეთში, ჩანს, იყო აგრეთვე თრიალეთის განთქმული ციხე-სიმაგრე კლდე-კარი ანუ კლდე-კარნი (რომლის ადრინდელი პარალელური სახელწოდება, ჩანს, იყო „კარ-ქელი“ ანუ „კარ-ქელნი“. — იხ. ქვემოთ).

ქვემო-ქართლის პიტიახშების შტოს, გარდა ზემოთ დასახელებული V საუკუნეების მოღვაწეებისა — არშ-უშასი და ვარსქენისა, ეკუთვნოდნენ აგრეთვე:

3. ბარცამ-უშა, ქართველი მთავარი, რომელიც მოიხსენება ერეკლეს ლაშქრობათა დროს, და რომელიც დაიღუპა ტფილისთან ბრძოლაში 618 წელს ⁵.

4. უშა ქართველთა პიტიახში კარ-ქელისა (კარ-ქედელი). ამ უკანასკნელისაგან ჩვენს დრომდე მოღწეულა პირადი სატივფრაგი ბეჭედი, რომელზედაც განოსახულია თვით უშა პიტიახში, წარწერით:

Օտստ ԽԻԱՃԻԿ ԻՅԻՐԱՅ ԿարչիճաՅ

ე. ი. „უშა, პიტიახში ქართველთა (იბერთა), კარ-ქელისა (კარ-ქედთა)“ ⁶.

რომ ეს ორი პირი ქვემო-ქართლის პიტიახშთა შტოს ეკუთვნოდა, ამის მაჩვენებელია პირველ რიგში თვით ონომასტიკონი, განმეორება ამ საგვარეულო საბლში მიღებული სახელისა უშა: ბარცამ-უშა, არშ-უშა და უშა.

ამას გარდა, ბარცამ-უშას სამოქმედო ასპარეზად სწორედ ქვემო-ქართლის სანაპიროა მოხსენებული (ტფილისის შემოგარე); ხოლო „უშა პიტიახში იბერთა (ქართველთა)“ — მოიხსენება როგორც „კარ-ქელისა“ || კარ-ქედელი, რაც, ცხადია, აღნიშნავს პიტიახშის რეზიდენციას, და რა სახელითაც აქ, ჩანს, იგულისხმება ქვემო-ქართლში, თრიალეთის ქედზე მდებარე განთქმული ციხე „კლდეკარი“ (|| * „კარ-ქელი“).

¹ ფავსტოს ბიზანტიელი, კარი V, თავი 15. 'მოსე ხორენელი, წიგნი III, თავი 60.

² ლაზარე ფარელი, კარი II, თავი 27, 29, 31, კარი III, თავი 62 (ტფილისის გამოცემა, 1904 წ., გვ. 52, 55, 59, 110—111).

³ კორიენი, იერუსალიმის გამოცემა, 1930 წ., გვ. 45.

⁴ თრიალეთის საპიტიახშო — იხ. პუნქტა, რომლის სანახებში, არქეოლოგიური გათხრების შედეგად, აღმოჩენილ იქმნა ხეთური კულტურის ძეგლები.

⁵ იხ. Theophanis Chronographia, I, 319.

⁶ იხ. Marquart, Eran. 169, Langlois, Collection 2, 167. ბეჭედი დაცულია პარიზის ლერის მუზეუმში (ანაბეჭდი სატივფრაგი ბეჭდისა, აღებული თვით ორიგინალიდან, ჩამოტანილია პარიზიდან აკად. ა. შანიძის მიერ. პატივცემულმა მეცნიერმა ეს ანაბეჭდი გადასცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს).

ბარცამ-უშა, როგორც მოვიხსენეთ, VII საუკუნის დასაწყისის მოღვაწეა. რაც შეეხება „უშა ქართველთა პიტიახშს“ (ყარ-ქედელს), მისი ცხოვრების დროის შესახებ პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ საფიქრებელია, რომ იგი ანტიკური, წინა-ქრისტიანული ხანის მოღვაწე უნდა იყოს¹.

დასასრულ, ყველაზე გვიანდელი წარმომადგენელი ქვემო-ქართლის პიტიახშთა სახლისა არიან სამშვილდის 778 წლის წარწერაში მოხსენებულნი ვარაზ-ბაკურ და იოანე. ამ დროს, VIII საუკუნის მეორე ნახევარში, პიტიახშობის ინსტიტუტი ქვემო-ქართლში უკვე მოსპობილი ყოფილა, მაგრამ წარწერის გამკეთებელს საპიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ ვარაზბაკურ და იოანე არიან „ნათესავთ პიტიახშნი“².

გ. ქართლ-მეხეთის დასავლეთი სანაპირო: სპერი-ტაო-კლარჯეთი

ქართლ-მეხეთის დასავლეთი სანაპირო, კოროხის ხეობა (სპერი, მიმდგომი თემებით) — ბაგრატიონთა საგვარეულო სამფლობელოა. აღსანიშნავია, რომ ძველ-ქართულ წყაროში, რომელიც ქართველ ბაგრატიონთა სახლს ეხება, ბაგრატიონებს მიემართება სახელწოდება პიტიახში. როგორც ჩანს, კოროხის ხეობის ის ზონა, რომელიც იბერიის ფარგლებში შედიოდა, ცალკე საპიტიახშოს წარმომადგენლად და აქ პიტიახშებად ბაგრატიონთა სახლი ყოფილა³.

იჩვენება ამასთან ისიც, რომ დასავლეთის პიტიახშები — ბაგრატიონები, ისევე როგორც სხვა პიტიახშები, ყოფილან „სუფე-წულნი“, შტო ერთი და იმავე ძველ-ქართული ფარნავაზიანთა დინასტიისა⁴.

1 ამ საგანზე სხვა ადგილას გვაქვს საუბარი.

2 ქვემო-ქართლის პიტიახშთა საკითხის განხილვას ჩვენ აქ ამჯობის არ ვეხებით კითხვას ორი პირის შესახებ: 1) არშ-უშა პიტიახში, რომელიც მოიხსენება VI საუკუნის 40-იან წლებში (ევსტათი მცხეთელის მარტკოლაში); 2) არშუშა პატრიკი ქართველთა ერისთავი (—პიტიახში), რომელიც მოიხსენება V საუკუნის მეორე ნახევარში (ანა-გახაის წარწერაში ვახტანგ გორგასანის დროსა). საკითხი ამ ორი პირის შესახებ განხილული გვაქვს სხვა ადგილას.

3 VIII საუკუნის მატიახშეში, რომელიც ექსკურატის სახით არის ჩართული ქუანშირისეულ ქრონიკაში, მოთხრობილია გადმოახლება კახეთ-პერეთში ბაგრატიონთა ერთი შტოსი (აღარანასე „ბრძის“ ძმისწულებისა), მდე არჩილის დროს, VIII საუკუნის შუა წლებში. მეორე შტო ბაგრატიონთა გვიანა დარჩენილა ძველ სამფლობელოში — კოროხის ხეობაში. მემატიახშე ბაგრატიონთა ამ ორი შტოსი შესახებ შემდეგს მოგიხსენებთ:

„მას ეამსა პიტიახშნი ვინჲე (—იველისხმება კოროხის ხეობაში დარჩენილი ბაგრატიონების შტო) არა შეეშენეს კლარჯეთს სახ[ლ]ად და წარვიდეს ნახევარნი მათგანი და შეიპყრეს კლდე ერთი ტაოს, რომელსა ერქუა კალმახი და აღაშენეს ციხედ. ზოლო რომელნი იგი მოვიდეს კახეთს არჩილის თანა (—იველისხმება კახეთ-პერეთში გადმოსახლებული ბაგრატიონები) — მისცა ერთსა მათგანსა ცოლად ნათესავისაგან აბუხოსროსა.. და მიუბოძა წუქეთი ციხით კარითურთ“ (იხ. შარიაშ-დედოფლისეული ქართლის ცხოვრება, გვ. *432/211).

ამრიგად, VIII საუკუნის ამ ქართულ ძეგლში ბაგრატიონებს ეწოდება პიტიახშნი. კოროხის ხეობის ბაგრატიონთა შტოსი ძირითადი სამკვიდრო, როგორც ცნობილია, იყო სპერი, მაგრამ საპიტიახშო რეზიდენცია, ჩანს, ერთხანად ყოფილა არტანუჯი = „კლარჯეთის სახ[ლ]ი“. აღსანიშნავია, რომ გრიგოლ პართლის ცხოვრების არაბულ ვერსიაშიც დასახლებულია არტანუჯის ბღეშნი=პიტიახში (იხ. გვ. 115, 330, XVI), რაც უდრის ქართულ წყაროში მოხსენებულ დასავლეთის ამ პიტიახშებს, რომელთა რეზიდენცია ყოფილა „კლარჯეთის სახ[ლ]ი“ — არტანუჯი.

4 იხ. ამის შესახებ ქვემოთ, დამატება I.

ნეთხე ერთეულის—აღმოსავლეთის (კახეთის მხარის) პიტიახშთა შესახებ თუმცა პირდაპირი ცნობები არ შენახულა, მაგრამ ძველ-ქართულ მატიანეში „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მოიპოვება ერთი ჩვენება, რომელიც კახეთის პიტიახშებს უნდა გულისხმობდეს. სახელდობრ, მატიანის იმ უძველესს ნაწილში, სადაც აღწერილია ნინოს მისიონერული მოგზაურობა იბერიაში (IV საუკ.) — აღნიშნულია:

„და გარდავიდა ნინო დიდად კახეთად, და დადგა სანატრელი იგი ქველდაბას, და მოიყვანა კახნი მთავარნი, ამათვე მეფეთა ნათესავნი, და მონათლნა“.

აპრიგად, „დიდ-კახეთში“ ყოფილან „მთავარნი“, ამათვე მეფეთა (ე. ი. იბერიის მეფეთა) ნათესავნი, ანუ „სეფე-წულნი“ (ფარნავაზიანთა დინასტიის შტო), ე. ი. მთავარნი იმავე წრისა, საიდანაც ინიშნებოდნენ პიტიახშნი².

4. არმაზელი პიტიახშნი — «შემდგომნი მეფისა»

დაუებრუნდეთ ამის შემდეგ საკითხს საკუთრივ ქართლის (შიდა-ქართლის ანუ „ზენა-სოფლის“) პიტიახშების შესახებ, რომელთა რეზიდენცია იყო იბერიის ძველი დედაქალაქი არმაზი (მცხეთა-არმაზი).

იბერია, როგორც მოვიხსენიეთ, დაყოფილი ყოფილა ცალკე საგანმგებო ერთეულებად — საერისთავოებად და საპიტიახშოებად, და საქვეყნოდ გამრიგე ხელიუფალნი ყოფილან — „მთავარნი“ ცალკე ქვეყნებისა — პიტიახშნი, ხოლო მათ შემდგომად „ერისთავნი“ — ცალკე მხარეების მმართველნი.

იბერიის სამეფოს ამ ხელისუფალთა — პიტიახშთა და ერისთავთა შორის პირველი ადგილი, ცხადია, უნდა სჭეროდა საკუთრივ ქართლის (შიდა-ქართლის) პიტიახშს, რომელიც იქდა თვით სამეფოს დედაქალაქში — მცხეთა-არმაზში.

და როგორც დასტურდება — ეს ასეც ყოფილა. ამის შესახებ მოიპოვება მეტად საყურადღებო ცნობა ძველ-ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის თხზულებაში „ცხორება ქართველთა მეფეთა“, და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ეს ცნობა ძველ-ქართველი ისტორიკოსისა — ემთხვევა იმ ცნობას, რომელსაც გადმოგვცემს ანტიკური ხანის გეოგრაფოსი სტრაბონი.

ლეონტი მროველი, მოგვითხრობს რა იბერიის სახელმწიფო ორგანიზაციის შესახებ იბერიის პირველი მეფის ფარნავაზის დროს, აღნიშნავს, რომ მან დაპყრო იბერია ცალკე საგანმგებო ადმინისტრაციულ ერთეულებად, რომელთა სათავეში დაადგინა ერისთავნი, „ხოლო ამათ ერისთავთა ქუეშე აღ-

¹ იხ. მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 718 (OP, II).

² არაა გამორიცხული, რომ კახეთის საპიტიახშოს ინსტიტუტის ტრადიციის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენდა უფრო გვიან ხანაში წარმოშობილი ინსტიტუტი კახეთის „ქორეპოსკოპობისა“ ანუ „ქორიკოპობისა“ („ქორეპოსკოპობი“ — ძველი გაგებით ნიშნავდა ქვეყნის მმართველს. იგივე მნიშვნელობა აქვს სიტყვას ქორიკოპი).

გილთა და ადგილთა განაჩინნა სპასალარნი და ათასის-თავნი. ესრეთ განაწესა ესე ყოველი ფარნავაზ მიმსგავსებულად სამეფუთსა სპარსთასა“.

ხოლო მთელი ამ აღმინისტრაციული ორგანიზაციის სათავეში, ლეონტი მროველის ცნობით, იღვა ერთი პირი, რომელიც იყო უშუალო მეფის მოადგილე, «მთავარი», «შემდგომი» მეფისა. ლეონტი მროველი წერს:

„ხოლო ერთი დაადგინა სპასპეტად, და მისცა ტფილისითგან და არაკვიტგან ვიდრე ტასის-ქარამდე და ფარავანამდე, რომელ არს შიდა-ქართლი: და ესე სპასპეტი იყო შემდგომადვე... მეფისა, მთავრობით განაგებდის ყოველთა ერისთავთა ზედა“¹.

იმისათვის, რომ უფრო ნათლად გავითვალისწინოთ ამ ტექსტის მნიშვნელობა, თუ რას აღნიშნავდა „შემდგომობა“ მეფისა, დავასახელებთ აქ მეორე ძველ-ქართულ ტექსტსაც. ეს მეორე ძველ-ქართული ტექსტი („ცხოვრება და მოქალაქობა გრიგოლ პართელისა“) თუმცაღა ეხება არა საკუთრივ იბერიას, არამედ ერანის (სპარსეთის) მსოფლიოს, მაგრამ ინტერესს წარმოადგენს იმდენად, რამდენადაც ძველი იბერიის სახელმწიფო, ლეონტი მროველის უწყებების თანახმად, მოწყობილი იყო „მიმსგავსებულად სამეფუთსა სპარსთასა“.

ამ მეორე ძველში — გრიგოლ პართელის ცხოვრებაში — მოხსენებულია ანალოგიური ხელისუფლება სწორედ იმავე სახელწოდებით: «შემდგომობა მეფისა»², რაც აღნიშნავს ვიცე-მეფის თანამდებობას.

•

ამრიგად, ლეონტი მროველის ცნობის თანახმად, ის მთავარი, რომელიც განაგებდა საკუთრივ ქართლს ანუ შიდა-ქართლს (ე. ი. ქართლის პიტიაში, რომლის რეზიდენცია იყო მცხეთა-არმაზი), ყოფილა არა მხოლოდ თავისი პროვინციის განმგებელი, არამედ ამავე დროს უშუალო მოადგილე მეფისა, ვეცე-მეფე, ანუ «შემდგომი» მეფისა, რომელიც «მთავრობით განაგებდის ყოველთა ერისთავთა ზედა».

გავეცნოთ ამის შემდეგ ერთ უაღრესად საყურადღებო ცნობას, რომელსაც გადმოგვცემს ანტიკური ხანის კანთქული გეოგრაფოსი სტრაბონი იბერიის სახელმწიფოებრივი წყობილების შესახებ. სტრაბონი წერს, რომ იბერიაში სამეფო გვარეულობიდან —

«იჩჩევენ მეფედ მას, რომელიც უხუცესია ხნოვანობით და გვარის ზახით. [იმავე სამეფო გვარეულობიდან] იჩჩევენ შემდგომს (δυναστος — მეორე პირს მეფის შემდეგ). რომელიც არის მსაჯული და მხედართმთავარი»³.

სტრაბონის ეს უწყება, როგორც ზედავთ, ძირითადში ემთხვევა ქართული წყაროს ცნობას:

ა) იბერიაში, სტრაბონის ცნობით, არსებულა თანამდებობა მეფის «შემდგომი»-სა, მეორე პირისა მეფის უკვლეგ. ეს არის იგივე «შემდგომი» მეფისა,

¹ ქართლის ცხოვრება, მარია-დედოფლისეული ვარიანტი, გვ. *129-130/21.

² თ. ყორღანაის გამოცემა (ქრონიკები, I, გვ. 23).

³ სტრაბონის გეოგრაფია, წიგნი XI, თავი III, 6.

რომელსაც მოიხსენებს ლეონტი მროველი, მთავარი შიდა-ქართლისა (=პიტიახში), რომელიც, ქართველი ისტორიკოსის ცნობით, „მთავრობით განავებდას ყოველთა ერისთავთა ზელა“.

ბ) ლეონტი მროველის ცნობით — ეს ხელისუფალი „შემდგომი“ მეფისა (მთავარი შიდა-ქართლისა) — ამავე დროს იყო მხედართმთავარი სამეფოსი („სპასპეტი“). სტრაბონის ცნობითაც იგივე მეორე პირი მეფის შემდეგ — არის მხედართმთავარი სამეფოსი. სტრაბონი ამასთან უმატებს ახალ ცნობას, რომ ეს ხელისუფალი ამავე დროს ყოფილა აგრეთვე სამეფოს უმაღლესი მსაჯული.

გ) ქართული წყაროების ცნობით ეს ხელისუფალი „შემდგომი“ მეფისა (=პიტიახში) — იყო სეფე-წული, ე. ი. სამეფო გვარეულობის წევრი. სტრაბონის ცნობითაც ეგვევ ხელისუფალი — მეორე პირი მეფის შემდეგ — ინიშნებოდა სამეფო გვარეულობიდან.

ამრიგად, ჩვენ გვაქვს უაღრესად მნიშვნელოვანი დამოხვევა სტრაბონის ცნობებისა ქართული წყაროების ცნობებთან.

მაგრამ შესაძლოა ამაზე მეტიც აღინიშნოს.

რას ინიშავს თვით ეს ტერმინი სტრაბონის ტექსტისა: „ნεმაριος“ — „შემდგომი“ მეფისა. აქ ჩვენ გვაქვს არც მეტი, არც ნაკლები, ზუსტი განმარტებითი თარგმანი იბერიის სახელმწიფო ტერმინისა „პიტიახში“.

პიტიახშობის ინსტიტუტი საქართველოში, როგორც ირკვევა, ირანულიდან არის შეთვისებული. ხოლო თვით სახელწოდება პიტიახში, როგორც ეს საფუძვლიანად განმარტა აკადემიკოსმა თ. კორშმა, მომდინარეობს ირანულიდან (ზენდ): bitya-xšaya, რაც ნიშნავს: მეორე მეფის შემდეგ ანუ „შემდგომი მეფისა“.

ამრიგად, სტრაბონის ტექსტის „ნεμαριος“ — „შემდგომი“ მეფისა თარგმანის სახით გადმოგვცემს იბერიის სახელმწიფო სახელწოდებას: „პიტიახში“.

5. არმაზის პიტიახშოთა აღწევების ხანა

I—II საუკუნეები ჩვენი წელთაღრიცხვისა (*ქორმეფობაა იბერიაში*)

პიტიახშობის ინსტიტუტის ისტორიის დანარჩენ საკითხებს, ცერძოდ, ქრონოლოგიის საკითხს, თუ რა დრომდე გასტანა პიტიახშობის ინსტიტუტმა იბერიის სხვადასხვა პროვინციებში, აგრეთვე საკითხს, თუ რა ევოლუცია განიცადა ამ ინსტიტუტმა შემდგომ ეპოქაში, აღრეულ საშუალო საუკუნეებში, — ჩვენ აქ ამზღის აღარ ვეხებით, ამის შესახებ სწვა ადგილას გვექნება საუბარი.

აქ კი შევჩერდებით მხოლოდ ზოგიერთ კითხვაზე, რაც უშუალოდ დაკავშირებულია ამ წერილის საგანთან და რაც ეხება ზოგიერთ მზარეს არმაზელ პიტიახშოთა ისტორიისას ანტიკურ ხანაში.

შევაჯამოთ ჯერ ის დაკვნები, რომელიც მივიღეთ წარმოდგენილი მიმოხილვის შედეგად.

წარმოდგენილი მიმოხილვიდან, მაშასადამე, დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი:

1. ძველი იბერიის საქვეყნოდ გამრიგე ხელისუფალთა (პიტიახშოთა და ერისთავთა შორის) პირველი ადგილი ეკირა საკუთრივ ქართლის (ე. ი. შიდა-ქართ-

ლის) პიტიანშს, რომლის რეზიდენცია იყო არმაზი. ეს ხელისუფალი ყოფილა მეფის უშუალო მოადგილე, ვიცე-მეფე, «შემდგომი მეფისა», რომელიც «მთავრობით განაგებდის ყოველთა ერისთავთა ზედა».

2. ეს ხელისუფალი — არმაზელი პიტიანში — ამავე დროს ყოფილა «სპას-პეტი», ე. ი. მთავარსარდალი სახელმწიფოსი და უმაღლესი მსაჯული.

3. ეს ხელისუფალი, არმაზელი პიტიანში, ინიშნებოდა სამეფო გვარეულობიდან.

4. პიტიანშობის ინსტიტუტი არმაზში, როგორც ირკვევა, არ იყო ხანმოკლე მოვლენა, არამედ მას საუკუნეებით განმტკიცებული ტრადიცია ჰქონია. სტრაბონის ცნობის მიხედვით, ეს ინსტიტუტი არსებულა ყოველ შემთხვევაში I საუკუნეში ჩვენს ერამდე. ხოლო თუ გაეთვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სტრაბონის ცნობები, როგორც ეს აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, უმთავრესად გადმოგვცემს იმ ვითარებას, რომელიც არსებობდა იბერიაში უფრო ადრინდელ ხანაში, III—I საუკუნეებში ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს, მაშინ ჩვენ ვღებულობთ სრულ დამთხვევას სტრაბონის ცნობისა ძველი ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის ცნობასთან; ამ უკანასკნელის ჩვენებით, ეს ინსტიტუტი მეფის მოადგილისა, მეფის «შემდგომისა», რომელიც «მთავრობით განაგებდის ყოველთა ერისთავთა ზედა», განწესებული იყო იბერიის სამეფოში დიადოხების ეპოქაში, იმ ხანაში, როდესაც ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლის შემდეგ ჩამოყალიბდა იბერიის ახალი სამეფო (ფარნავაზიანთა დინასტიით ხელისუფლების სათავეში) — III საუკუნეში ჩვენს ერამდე.

ამრიგად, ძველი ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის ცნობა, რომელიც ძირითადად ემთხვევა სტრაბონის ცნობას, ჩანს, მომდინარეობს რომელიღაც უძველესი და საქმის ვითარებაში კარგად ორიენტირებული საისტორიო წყაროდან.

5. თუ პიტიანშობის ინსტიტუტის არსებობა არმაზში უძველეს ხანამდე უწევს, მეორე მხრით ისიც ირკვევა, რომ პიტიანშობის ინსტიტუტის არსებობა არმაზში გაგრძელებულა ყოველ შემთხვევაში III—IV საუკუნეებამდე ჩვენი წელთაღრიცხვისა. ეს დადასტურა მცხეთა-არმაზის არქეოლოგიურ გათხრების შედეგებმა¹.

ამრიგად, პიტიანშობის ინსტიტუტის არსებობა არმაზში გაგრძელებულა ყოველ შემთხვევაში ხუთ-ექვს საუკუნეზე მეტი ხანი, III—I საუკუნეებიდან ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს, ვიდრე საშუალო საუკუნეთა დასაწყისამდე.

ასეთი ხანგრძლივი დროის მანძილზე არმაზელ პიტიანშთა ხელისუფლებამ, საფიქრებელია, არ იყო ყოველთვის ერთნაირი მნიშვნელობისა, ზოგჯერ პიტიანშობის ინსტიტუტს, ცხადია, მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ზოგჯერ — ნაკლები.

¹ არმაზელ პიტიანშთა ინსტიტუტი, შეცვლილი სახით, არსებობდა თვით VI საუკუნემდე ამის შესახებ სხვა ადგილას გვექნება საუბარი.

ზოგიერთ ჩვენებათა მიხედვით, არმაზელ პიტიახშთა ინსტიტუტის მნიშვნელობის განსაკუთრებული გაძლიერება მომხდარა ჩვენი წელთაღრიცხვის I—II საუკუნეებში, და იგი, ჩანს, შემდეგ გარემოებასთან იყო დაკავშირებული.

ჩვენი წელთაღრიცხვის I—II საუკუნეთა მიჯნაზე, როგორც ირკვევა, მოხდა სრულიად იბერიის მეფის რეზიდენციის გადატანა არმაზიდან მცხეთაში.

მცხეთა-არმაზი ეს ერთი ქალაქი იყო თავიდანვე, რომლისაგან წარმოიშვა ორპაგი ქალაქი, რომელსაც გაპყოფდა მტკვარი.

ისტორია მცხეთა-არმაზისა, წყაროების ჩვენების თანახმად, ასე წარმოგვიდგება.

ძველი იბერიის დედაქალაქი, რეზიდენცია სრულიად იბერიის მეფეებისა, თავდაპირველად გაშენებული იყო მტკვრის სამხრეთ ნაპირზე. მეფის ამ სამხრეთ რეზიდენციას თავდაპირველად რქმევია მცხეთა (უფრო გვიან ამ სამხრეთ ქალაქს უწოდებდნენ „ძველ მცხეთა“-ს, გასარჩევად ახალი მცხეთისაგან, რომელიც შემდეგ მტკვრის ჩრდილოეთით გაშენდა).

ეს სამხრეთი ქალაქი მცხეთა (ძველ მცხეთა) უძველეს ხანაშივე ატარებდა აგრეთვე შემდეგ სახელებსაც: „ქართლი“ და „არმაზი“.

თუ რა წარმოშობისაა ეს სამმაგი სახელი ამ ძველი სამხრეთი ქალაქისა მცხეთა — ქართლი — არმაზი, ამაზე ჩვენ აქ შეგვიძლია არ შევეჩერდეთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ, ქართული წყაროების ჩვენებით, ამ სახრეთ ქალაქს დარქმევია „არმაზი“ იმის გამო, რომ აქ იყო ცენტრი ღვთაება „არმაზი“-ს კულტისა.

ამ სამმაგი სახელიდან „მცხეთა — ქართლი — არმაზი“ ამ სამხრეთ ქალაქს საბოლოოდ შერჩა მესამე სახელი „არმაზი“, და ჩვენც ამ სამხრეთ ქალაქს არმაზის სახელით მოვიხსენებთ.

ქართული წყაროების ჩვენების თანახმად („მოქცევაჲ ქართლისაჲ“), I საუკუნეში ჩვენს ერამდე დაიწყო მშენებლობა ახალი ქალაქისა, სახელდობრ, ჩრდილოეთი ქალაქისა, რომელიც უკვე მტკვრის ჩრდილოეთით მდებარეობდა. ეს არის შემდეგდროინდელი „მცხეთა“ (ახალი მცხეთა).

ამრიგად, იბერიის დედაქალაქმა ამ ახალი ქალაქის გაშენების შემდეგ ორპაგი ქალაქის სახე მიიღო, იგი ორმაგ ქალაქად იქცა: 1) მტკვრის სამხრეთით მდებარეობდა ძველი ქალაქი, რომელსაც შერჩა სახელწოდება „არმაზი“; 2) ხოლო მტკვრის ჩრდილოეთით მდებარეობდა ახალი ქალაქი, რომელსაც დაერქვა მცხეთა (ე. ი. ახალი მცხეთა).

სრულიად იბერიის მეფეთა რეზიდენცია, როგორც აღვნიშნეთ, თავდაპირველად იყო ძველ სამხრეთ ქალაქში (ე. ი. არმაზში), ხოლო შემდეგ რეზიდენცია გადატანილ იქმნა ახალ ჩრდილოეთ ქალაქში (ე. ი. მცხეთაში).

ქართული წყაროების ჩვენების თანახმად, რეზიდენციის გადატანა მომხდარა I საუკუნის მეორე ნახევარში ჩვენი წელთაღრიცხვისა. ეს თარიღი, რომელიც წარმოდგენილია ძველ-ქართულ ქრონიკებში, როგორც ჩანს, სინამდვი-

ლეს შეეფერება (ყოველ შემთხვევაში I საუკუნეში ჩვენს ერამდე, პომპეუსის ლაშქრობათა დროს, სრულიად იბერიის მეფეთა რეზიდენცია ჯერ კიდევ ძველი სამხრეთი ქალაქი „არმაზი“ იყო).

მას შემდეგ, რაც სრულიად იბერიის მეფეთა რეზიდენცია გადატანილ იქნა მცხეთაში, ძველი მეფეთა საჯდომი — არმაზი რჩება პიტიახშების ერთადერთ რეზიდენციად.

ამრიგად, არმაზის პიტიახშები, უფრო გვიანდელი ხანის გამოთქმა რომ გავიგეოროთ, არიან „მკდომნი მეფეთა ადგილსა“.

ამ გარემოებას, რომ პიტიახშები გაზდნენ ერთადერთი მბრძანებელნი იბერიის ძველ დედაქალაქ არმაზში, რომელიც ამავე დროს მთავარი ცენტრი იყო ნაციონალური კულტისა, ცხადია, ხელი უნდა შეეწყოს პიტიახშების ხელისუფლების ამალღებისათვის. და, როგორც იჩკვევა, ეს ასეც მოჰხდარა.

აღსანიშნავია, რომ ძველი ქართული საისტორიო ქრონიკების ცნობით, სწორედ ამ ხანიდან, I საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც მეფეთა რეზიდენცია გადატანილ იქნა მცხეთაში, — „მეფობაჲ ორად გაიყო და ორნი მეფენი დასხდეს იმიერ და ამიერ“ (ე. ი. მცხეთასა და არმაზში).

ქართული ქრონიკები, როგორც ვნახეთ, იძლევა ასეთ სიას „იმიერი“ და „ამიერი“ მეფეებისას I საუკუნის მეორე ნახევრიდან — II საუკუნის ნახევრამდე:

„იმიერი“ მეფენი:

- XV. ქართაში
- XVI. ფარსმანი
- XVII. [ფ]არ[ნ]უკი
- XVIII. აშაზანი
- XIX. ფარსმან ქველი
- XX. <...>როცი

„ამიერი“ თანა-მეფენი:

- XV-ა. ბარცემანი (ბარცოში)
- XVI-ა. კოსი
- XVII-ა. ა[რ]მაზაერი (არმაზელი)
- XVIII-ა. [ა]დერუკი
- XIX-ა. ფარსმან-აეაზი (ფარნაეაზი)
- XX-ა. შირდატი

როგორ უნდა გავიგოთ ეს ცნობა ქართული მატრიანეებისა „იმიერი“ და „ამიერი“ მეფეების შესახებ?

აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ თვით თანაქედროვე ანტიკური ხანის ბერძნულ-რომაული საისტორიო წყაროების ცნობათა მიხედვით ჩვენი წელთაღრიცხვის I—II საუკუნეებში იბერია ერთ მთლიან სამეფოს წარმოადგენდა, აქ არ ჰქონდა ადგილი თვით სამეფოს ორად გაყოფას.

მაშ როგორ უნდა ავხსნათ ეს ცნობა ქართული ქრონიკებისა ორმეფობის შესახებ? საიდან დაიბადა, რა გზით წარმოიშვა ასეთი შეხედულება ძველ-ქართველ მემატრიანეებისა? არის აქ ანაქრონისტული ხასიათის ჩვენება? როგორც ჩანს, არა.

ს. გორგაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს ორმაგი სია, წარმოდგენილ

ქართულ ქრონიკებში, არის სია არა მხოლოდ იბერიის მეფეებისა, არამედ პარალელურ სიაში მოცემულია ჩამოთვლა იბერიის სამეფოს იმ უმადლეს ხელისუფალთა, რომელნიც, სტრაბონის ცნობით, იყვნენ „შემდგომნი“ მეფისა (ე. ი. პიტიახშები). სახელდობრ, ს. გორგაძე დასკვნისა, რომ პირველ სიაში მოხსენებულნი პირნი („ამიერი“ მეფენი: ქართამი, ფარსმანი, ფარნუკი, ამაზასპი, ფარსმან ქველი და <...> როკი) არიან მეფენი სრულიად იბერიისა; ხოლო მეორე სიაში მოხსენებულნი პირნი („ამიერი“ მეფენი: ბარაკმანი||ბარცოში, კაოსი, არმაზერი, ადერუკი, ფარსმან-აგაზი და მირდატი) არიან არა საკუთრივ მეფეები, არამედ ის მეორე პირნი სახელმწიფოსი, რომელზედაც მოგვითხრობს სტრაბონი¹.

ზოდესაც ს. გორგაძემ გამოთქვა ეს მოსაზრება, ამ დროს ჯერ კიდევ არ მოიპოვებოდა სათანადო სრული ცნობები პიტიახშობის ინსტიტუტის შესახებ ძველ იბერიაში, მაგრამ ძირითადში ს. გორგაძემ სწორად ამოიცნო საქმის ვითარება. წყაროების ანალიზი ამართლებს განსვენებული მკვლევარის მიერ გამოთქმულ შეხედულებას.

პირველი სია, როგორც ირკვევა, წარმოადგენს სრულიად იბერიის მეფეთა სიას. ს. გორგაძეს, მის დროს არსებული მასალების მიხედვით, შესაძლებლობა ჰქონდა ეს აღენიშნა მხოლოდ ერთი მეფის — ფარსმან ქველის — მიმართ. ხოლო ახალი მასალების მიხედვით ეს დასტურდება ოთხი მეფის მიმართ: ქართამი, ფარსმანი (II), [ფ]არ[ნ]უკი და ფარსმან (III) ქველი.

ამავე დროს ისიც ირკვევა, რომ მეორე სია შეიცავს იბერიის ვიცე-მეფეების, არმაზელი პიტიახშების სიას.

შეეჯამოთ აქ ის ჩვენებანი, რომელთაც იძლევა აქ აღძრული საკითხის გამო საისტორიო წყაროები, პირველ რიგში მცხეთა-არმაზის ახლად აღმოჩენილი წარწერები.

•

XV-ა. ბარცოში (=ბერცუში) არმაზელი პიტიახში=„ამიერი“ თანა-მეფე. საკითხი ამ პირის შესახებ უკვე განხილული გვქონდა. როგორც გამოირკვა, თანაპედროვე წარწერა ანტიკური ხანის ძეგლისა (ბერცუმ პიტიახშისეული ლანგარისა) — ერთი მხრით, ხოლო ქართული მატიახშებისა — მეორე მხრით, იძლევა შემდეგს შეხვედრას ერთსა და იმავე ქრონოლოგიურს რკალში, 70—96 წლების ფარგლებში:

<p>ქართული მატიახშების ცნობა:</p> <p>„ამიერი“ მეფე: ქართამი</p> <p>„ამიერი“ თანა-მეფე: ბარცოში</p>		<p>წარწერების ცნობა:</p> <p>სრულიად იბერიის მეფე: ფლავიოს დადრე—ქართამი</p> <p>არმაზელი პიტიახში: ბერცუში (ქართამის-ძე)</p>
--	--	---

იხ. ამ საგანზე ზემოთ, გვ. 534 — 536.

•

XVI-ბ. კაოს = პუპლიკი-აგრიპა არმაზელი პიტიახში=„ამიერი“ თანა-მეფე.

¹ იხ. წერილები საქართველოს ისტორიიდან (ძველი საქართველო, I, 1909 წ., ნაწ. II, გვ. 66—68).

მცხეთა-არმაზში აღმოჩენილი სერაფიტის სტელის წარწერაში, როგორც აღნიშნული გვექონდა, მოიხსენება იბერიის ორი მეფე, რომლებიც მეფობდნენ შემდეგი თანამიმდევრობით: 1. ფარსმანი და 2. ხსე-ფარნუგი. წარწერიდან ირკვევა აგრეთვე, რომ მეფე ფარსმანის დროს არმაზელ პიტიახშად ყოფილა პუპლიკი-აგრიპა (ხსე-ფარნუგის დროინდელი პიტიახში მოხსენებული არაა).

შევადაროთ ეს ნუსხა ქართულ მატიანეთა მეფეთა სიის სათანადო ნაწილს:

სერაფიტის ძეგლი:			ქართული მატიანეები:
სრულიად იბერიის მეფენი:	არმაზელი პიტიახშები:	„იმეირა“ მეფენი:	„ამეირი“ თანა-მეფენი:
ფარსმანი	პუპლიკი-აგრიპა	XVI ფარსმანი	XVI-ა. კაოსი
ხსე-ფარნუგი	(მოხსენებული არაა)	XVII ფარნუგი	XVII-ა. არმაზაერი

როგორც ვხედავთ, ან შემთხვევასა და „იმეირა“ მეფეები — არიან სრულიად იბერიის მეფეები: მატიანეში მოხსენებული XVI მეფე ფარსმანი — ეს არის იგივე წარწერაში მოხსენებული მეფე ფარსმანი; ხოლო XVII მეფე [ფ]არ[ნ]უგი — არის იგივე ხსე-ფარნუგი.

განვიხილოთ ამის შემდეგ საკითხი მესამე პირისა: კაოს = პუპლიკი-აგრიპა.

აქ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ქართულ მატიანეებში მოხსენებული ფარსმანის თანამმართველი („ამეირი“ თანა-მეფე) ატარებს რომაულ სახელს: კაოს (Caius). ხოლო სერაფიტის ძეგლის წარწერაშია ფარსმანი თანამმართველი (არმაზელი პიტიახში) აგრეთვე რომაული ზედწოდებით მოიხსენება: პუპლიკი აგრიპა (Puplicius Agrippa).

ამრიგად, რომ აქ ერთი და იგივე პირი იგულისხმება, ამაზე მივითითებთ არა მხოლოდ დამთხვევა წარწერის ცნობებისა მეფეთა სიასთან, დამთხვევა ქრონოლოგიური თარიღისა და თანამმართველობისა, არამედ თვით ის გარემოება, რომ ეს პირი ლათინურ სახელ-წოდებულობას ატარებდა.

ხოლო რით აიხსნება, რომ ერთ შემთხვევაში (ქართულ წყაროში) ერთი სახელია მოხსენებული (კაოს), ხოლო მეორე შემთხვევაში (სერაფიტის სტელის წარწერაში) სხვა ლათინური წოდებულობა აღნიშნული (პუპლიკი აგრიპა).

ამის გასაგებად საჭიროა მოვიფიქროთ, რომ ლათინური სახელწოდებანი, როგორც ცნობილია, სრული ხახით — სამი სახელისაგან შედგებოდა, მაგალითად:

Marcus Tullius Cicero = მარკუს ტულიუს ციცერო.

ამ სამი სახელიდან პირველი (მარკუს) არის პირადი სახელი, ხოლო მეორე და მესამე — საგვარეულო სახელებია (სახელდობრ — მეორე სახელი, ტულიუს — ეს არის ტომობრივ-საგვარეულო სახელი, ხოლო მესამე — ციცერო — ოჯახის საგვარეულო სახელი).

როდესაც სრულ ზედწოდებას ხმარობდნენ — მაშინ მოიხსენებოდა სამივე სახელწოდება (მარკუს ტულიუს ციცერო). მაგრამ მიღებული იყო ისიც, რომ სახელწოდებულობას შემოკლებითაც ხმარობდნენ, მოიხსენებდნენ მარტო პირად სახელს (მარკუს) ან საგვარეულო სახელწოდებას (ტულიუს ციცერო), ანდა მარტო ერთ საგვარეულო ზედწოდებასაც (ციცერო).

სერაფიტის სტელის წარწერაში ეს უკანასკნელი შემთხვევა გვაქვს. რომაული ონოპასტიკონის განხილვა ადასტურებს, რომ წოდებულება „პუპლიკი აგრიპა“ ეს არის არა პირადი სახელი (praenomen), არამედ საგვარეულო სახელწოდება.

ამრიგად, სერაფიტის სტელის წარწერაში პუპლიკი-აგრიპას პირადი სახელი (praenomen) აღნიშნული არაა.

რა ერქვა ამ პირს?

მაგრამ ჯერ იმის შესახებ, თუ რა გზით, რა შემთხვევისა გამო უნდა მიეღო ქართველ პიტიაზს ეს რომაული საგვარეულო სახელწოდება: პუპლიკი-აგრიპა.

როგორც ცნობილია, იმ ეპოქაში, რომელიც აქ ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს, როდესაც რომის გავლენა ვრცელდებოდა ახლო აღმოსავლეთზე, ხშირი შემთხვევაა, როდესაც აღმოსავლეთის დინასტიები ლეზულობენ საპატიო სახელწოდების სახით რომის გვარეულობათა სახელწოდებებს.

ასე, მაგალითად, ჰეროდინათა დინასტიის წარმომადგენელნი, რომლებიც მეფობდნენ პალესტინაში (და რომლის ოჯახის წევრები მეფობდნენ აგრეთვე სონხეთშიც და წინა აზიის სხვა სამფლობელოებში) — ატარებდნენ საგვარეულო ზედწოდებას *Julius* (იულიუს), იმის გამო, რომ ამ დინასტიის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა პირველად მიიღო რომის მოქალაქის უფლება იულიუს კეისრისაგან.

ასევე ქართველ პიტიაზსაც, ცხადია, მიუღია ეს საგვარეულო სახელწოდება „პუპლიკი-აგრიპა“ ანალოგიური შემთხვევისა გამო.

დავუბრუნდეთ ამის შემდეგ ამ პიტიაზის სახელის საკითხს.

სერაფიტის ძეგლის წარწერაში, როგორც მოვხსენეთ, ამ პიტიაზის მხოლოდ საპატიო საგვარეულო ზედწოდებაა მოხსენებული (პუპლიკი-აგრიპა); ხოლო რაც შეეხება ამ პიტიაზის პირად სახელს (praenomen) — იგი წარწერაში აღნიშნული არაა.

ამავე დროს ქართულ მატრიანებში, როგორც ვნახეთ, ეგვევ პირი (ე. ი. ფარსმან მეფის თანამმართველი პიტიაზში = „ამიერი“ თანა-მეფე) მოიხსენება სახელით: „კაოს“. ეს სახელი „კაოს“, როგორც ირკვევა, არის პირადი სახელი (praenomen) ამ პიტიაზისა.

აქ დამატებით საჭიროა ხაზი გავუსვათ შემდეგს ორ გარემოებას:

1. სახელი „კაოს“, როგორც აღვნიშნეთ, ეს არის იგივე რომაული სახელი *Caius*. და ბუნებრივია, რომ ეს ქართველი პიტიაზში, რომელსაც რომაული საგვარეულო ზედწოდება მიუღია, პირად სახელსაც (praenomen) აგრეთვე რომაულს ატარებდა: კაოს — *Caius*.

2. ამასთან თვით ეს სახელი კაოს — *Caius*, ჩანს, შემთხვევით არ ყოფილა მიღებული ქართველი პიტიაზის მიერ. რომაულ წყაროებში ცნობილია ექვსი შემთხვევა, როდესაც ჩვენ გვხვდება საგვარეულო ზედწოდება „პუპლიკი“, ხოლო აქედან ოთხ შემთხვევაში ამ გვარეულობის წარმომადგენელნი ატარებენ სწორედ ამ პირად სახელს (praenomen-ს): *Caius*, ე. ი. კაოს.

ასეთია ის ჩვენებანი, რომელთაც იძლევა აქ აღძრული საკითხის გამო წყაროების განხილვა.

ყოველივე იმის მიხედვით, რაც ზემოთ იყო აღნიშნული, სრული სახელ-
წოდება ამ ქართველი პიტიახშისა, როგორც ირკვევა, ყოფილა:
კაოს პუპლიკი აგრიპა (Caius Puplicius Agrippa).

XVII-ბ. არმაზაერი — „ამიერი“ თანა-მეფე — არმაზელი პიტიახში.

სერაფიტის სტელის წარწერაში, როგორც აღნიშნული გვქონდა, მოხსენე-
ბული არაა, თუ ვინ იყო სრულიად იბერიის მეფის ხსენ-ფარნუგის დროს არმა-
ზელი პიტიახშად. ხოლო ქართულ მატიანეებში სრულიად იბერიის მეფის
(= „ამიერი“ მეფის) ფარნუკის = ხსენ-ფარნუგის დროს დასახელებულია ფარნუ-
კის თანამმართველი — „ამიერი“ თანა-მეფე, სახელწოდებით: არმაზაერი —
არმაზელი.

რაკი სხვა „ამიერი“ თანა-მეფენი — ბარცომი და კაოსი (კაოს პუპლიკი აგ-
რიპა) ყოფილან, როგორც გამოიჩვენა, არმაზელი პიტიახშები, ამის მიხედვით
ეს მესამე პირიც არმაზელ პიტიახშად უნდა ვიცნოთ. და რომ ეს ასეა, ამის მაჩ-
ვენებელია თვით სახელწოდება (ზედწოდება) ამ მესამე პირისა არმაზაერი, —
არმაზელი, რამდენადაც პიტიახშთა რეზიდენცია არმაზი იყო.

XIX ფარსმან-ავაზ || ფარნავაზ — „ამიერი“ თანა-მეფე — არმაზელი პიტიახში.

რომ „ამიერი“ თანა-მეფენი იყვნენ პიტიახშები, ამის შესახებ დაცულია
აგრეთვე უაღრესად მნიშვნელოვანი ჩვენება ქართულ მატიანეთა არსებულ
რედაქციებში; იგი ეხება XIX-ა „ამიერ“ თანა-მეფეს: ფარსმან-ავაზ || ფარ-
ნავაზ.

ეს პირი, ქართულ მატიანეთა ცნობით, იყო თანამმართველი სრულიად
იბერიის მეფის ფარსმან ქველესა.

აქ აღსანიშნავია, რომ როდესაც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანეში ეს
პირი (ფარსმან-ავაზ || ფარნავაზ) მოიხსენება როგორც „ამიერი“ თანა-მეფე,
ლეონტი მროველის თხზულებაში ამ პირს ეწოდება არა „ამიერი“ თანა-მეფე,
არამედ „სპასპეტი“, ე. ი. იგი ყოფილა პიტიახში (აქ ჩვენ გვაქვს დამთხვევა
სტრაბონის ცნობასთან, რომლის უწყების თანახმად არმაზელი პიტიახში იყო
„სპასპეტი“ — უმაღლესი მხედართმთავარი იბერიის სამეფოსი).

ჩვენ ამაზე დავასრულებთ განხილვას ამ ორმაგი სიისას, რომელიც წარ-
მოდგენილია ქართულ მატიანეებში. ირკვევა, მაშასადამე, რომ ამ ორმაგ სიაში
ჩვენ გვაქვს ჩამოთვლა სრულიად იბერიის მეფეებისა, ერთი მხრით, და არმა-
ზელი პიტიახშებისა, მეორე მხრით. პირველი სია — „ამიერი“ მეფეებისა შე-
იცავს სრულიად იბერიის მეფეთა სიას, ხოლო მეორე სია — „ამიერი“ თანა-
მეფეებისა შეიცავს არმაზელი პიტიახშების სიას.

დასასრულ, აქ საჭიროა შევჩერდეთ კიდევ ერთ კითხვაზე, საქმის ვითარე-
ბის უფრო სრულად გათვალისწინების მიზნით.

ის გარემოება, რომ ქართული ნაციონალური საისტორიო წყაროები არ-
მახელ პიტიანშებს მიაკუთვნებენ ტიტულს „მეფე“ („ამიერი“ თანა-მეფე) მხო-
ლოდ გარკვეული ეპოქისათვის, I საუკუნის უკანასკნელი მესამედიდან ვიდრე
II საუკუნის ნახევრამდე, ჩანს, არ არის შემთხვევითი მოვლენა, არამედ უჩვე-
ნებს პიტიანშებს ხელისუფლების აღზევებას ამ ხანაში.

ეს არის სწორედ ის ეპოქა, როდესაც, როგორც მოხსენებული გვექონდა,
სრულიად იბერიის მეფეთა რეზიდენცია გადატანილ იქნა მცხეთაში, ხოლო
არმაზი, სახელმწიფოს ძველი დედაქალაქი, გადაიქცა პიტიანშების ერთადერთ
რეზიდენციად. პიტიანშებმა, რომლებიც იჯდნენ სამეფოს ძველ რეზიდენცია-
ში — არმაზში, და რომლებიც, ამრიგად, იყვნენ „მეფეთა ადგილს მჯდომნი“,
ჩანს, ფართე უფლებები მოიპოვეს როგორც სრულიად იბერიის მეფის მოად-
გილებმა.

არმაზელი პიტიანშების ხელისუფლების აღზევებას, ჩანს, ხელი შეუწყო
აგრეთვე იმ გარემოებამაც, რომ პიტიანშები, როგორც ეს დამოწმებულია წყა-
როებში, იყვნენ „სეფე-წულნი“, ისინი ინიშნებოდნენ სამეფო გვარეულობიდან,
და, ამრიგად, პიტიანშები არა მარტო ხელისუფლების ზსახით, არამედ თვით
შთამომავლობითაც იყვნენ ერთგვარად „თანა-მეფე“ სრულიად იბერიის მე-
ფისა.

არაა გამორიცხული ისიც, რომ პიტიანშობის ინსტიტუტის აღზევების ამ
ხანაში ზოგიერთ არმაზელ პიტიანშს მიეტაცებინოს კიდევ მეფობის ტიტული
და თავისთავი დამოუკიდებულ მეფედ გამოეცხადებინოს.

ყოველ შემთხვევაში ანგარიშგასაწევია ერთი საყურადღებო უწყება ქარ-
თული ნაციონალური მატრიანებისა. ლეონტი მროველის თხზულებაში დაცუ-
ლია შემდეგი ცნობა, რომელიც ფარსმან ქველის მეფობას ეხება:

„ხოლო აქამომდე ესე ყოველნი მეფენი ორ-ორნი (ე. ი. „იმიერი“
მეფე ანუ სრულიად იბერიის მეფე და „ამიერი“ თანა-მეფე ე. ი. არმაზე-
ლი პიტიანში) იყვნენ მოყურობასა ზედა, ერთგან მოყუარენი ვისნიამე,
და ერთგან მტერ ვისნიმე“.

ხოლო ფარსმან ქველის დროსო, გადმოგვცემს მემატიანე, „მტერ იქმნეს
ურთიერთას“, ამას მოჰყვაო განხეთქილება სამეფოსი, და მხოლოდ ფარსმან
ქველის მემკვიდრეთა დროს მოხდაო იბერიის შინაგანი ერთობის აღდგენა.

მეორე ქართული მატრიანე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ აგრეთვე გადმოგვცემს,
რომ ფარსმან ქველის მემკვიდრეთა დროს მოხდა დამცრობა არმაზისა:

„მაშინ მოაკლდა არმაზი სამეფუთჲ, და მცხეთას ოდენ იყო მეფობაჲ“.

ამრიგად, ქართულ ნაციონალურ მატრიანეებში დაცული გადმოცემები გვა-
ფიქრებინებს, რომ სრულიად იბერიის მეფენი და არმაზელი „თანა-მეფეები“
(პიტიანშები) არ იყვნენ ყოველთვის „მოყურობასა ზედა“, არამედ აქ, ჩანს,
ადგილი ჰქონდა კონფლიქტებსაც, და ზოგჯერ, საფიქრებელია, განდგომა-
საც კი¹.

¹ არაა გამორიცხული, რომ უკანასკნელი „ამიერი“ თანა-მეფე მირდატ და აგრეთვე შე-
საძლოა მისი წინამორბედიც (შამა?) ფარსმან-ავაზ — ატარებდნენ მეფის ტიტულს. მაგრამ ამ
კერძოობითი ხანაისთვის კითხვას აქ ამგზის აღარ ვეხებით და ამის შესახებ საუბარი გვექნება
სხვა ადგილას.

ასეთია ის სურათი, რომელიც ისახება ჩვენ წინაშე წყაროების განხილვიდან.

IX

ქართულ მატრიანეთა ძირითადი პირველწყარო: არმაზული მატრიანე

. წარმოდგენილი მიმოხილვის შემდეგ საჭიროა დაეუბრუნდეთ კიდევ ერთ საკითხს და საბოლოოდ დაეაზუსტოთ იგი. ეს საკითხია: სად იყო შედგენილი ის უბედულესი საისტორიო პირველწყარო, რომელიც საფუძვლად დასდებია საშუალო საუკუნეთა ქართულ მატრიანებს.

იჩვენება, რომ ეს არქაული საისტორიო პირველწყარო შედგენილი ყოფილა არმაზში.

როგორც უკვე იცის მკითხველმა, იბერიის ძველი სატახტო ქალაქების არმაზისა და მცხეთის შესახებ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატრიანეში იხმარება გამოთქმა: „ამიერი“ და „იმიერი“.

გვიან ხანაში, ქრისტიანულ ეპოქაში, როდესაც მატრიანეთა ტექსტი გადაუმუშავებიათ მცხეთაში (რომელიც, არმაზის საკულტო ცენტრის მოსაზრება შემდეგ, გადაიქცა იბერიის არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ რელიგიურ მეტროპოლიად), ეს გამოთქმები გაუგიათ ამრიგად: „ამიერი“ — როგორც მცხეთა, ხოლო „იმიერი“ — როგორც არმაზი.

მაგრამ მატრიანის თავდაპირველ პირველწყაროში ამ გამოთქმებს საწინააღმდეგო მნიშვნელობა ჰქონია: გამოთქმით „ამიერი“ — აღინიშნებოდა არმაზი, ხოლო გამოთქმით „იმიერი“ აღინიშნებოდა მცხეთა.

რომ ეს ასეა, ამას ამტკიცებს ზემოთ წარმოდგენილი მიმოხილვის ჩვენებანი:

ა) „ამიერი“ თანა-მეფეები, როგორც გამოიჩვენა, ყოფილან არმაზელი პიტიახები, ე. ი. „ამიერი“ აღნიშნავდა არმაზს;

ბ) რაც შეეხება „იმიერ“ მეფეებს, მათი რეზიდენცია ყოფილა მცხეთა. არაა ინტერესის მოკლებული აღვნიშნოთ, რომ ეს დასტურდება კერძოდ ერთი ჩვენების მიხედვითაც, რომელიც შერჩენილა მატრიანის თვით შემდგენლობის დელს გადაკეთებულ რედაქციებში.

სახელდობრ, ლეონტი მროველის თხზულებაში აღნიშნულია, რომ როდესაც მოიხსო „ორმეფობა“, ე. ი. თანა-მეფეობის ინსტიტუტი, მეფობა დარჩა ფარსმან ქველის მემკვიდრეებს, ე. ი. „იმიერი“ მეფეების (სრულიად იბერიის მეფეების) შტოს:

და აი ამ შემთხვევის გამო («ორმეფობის» მოსაზრების გამო), „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატრიანეში, როგორც აღნიშნული გვქონდა, დაცულია ასეთი ცნობა:

„მაშინ მოიხსო არმაზი სამეფუთა და მცხეთას ოდენ იყო მეფობაჲ“.

მაშასადამე, ამ გარკვეული ჩვენების თანახმად, რეზიდენცია „იმიერი“ მეფეებისა (სრულიად იბერიის მეფეებისა) — ყოფილა მცხეთა.

ის გარემოება, რომ უძველესი ქართული მატრიანეები შედგენილი ყოფილა არმაზში, რასაკვირველია, მოულოდნელს არას შეიცავს და სრულიად ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს. არმაზი, როგორც ცნობილია, იყო იბერიის სამეფოს ნამდვილი „დედაქალაქი“, პირველი მეტროპოლია, უძველესი პოლიტიკური და რელიგიური ცენტრი ქვეყნისა. ხოლო შემდეგ, როდესაც I საუკუნეში სრულიად იბერიის მეფეთა რეზიდენცია გადატანილ იქნა მცხეთაში, არმაზს ამის შემდეგაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, რამდენადაც არმაზი ამის შემდეგაც რჩება ქვეყნის მთავარ რელიგიურ ცენტრად, აქ არის იბერიის სამეფოს მანთონი.

არმაზი ჰკარგავს რელიგიური და კულტურული მეტროპოლიის მნიშვნელობას IV საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც იბერიაში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადდა, და „წარმართული“ არმაზის საკულტო ცენტრმა დაუთმო თავისი ადგილი ქრისტიანული მცხეთის საკულტო ცენტრს.

ამის შემდეგ მომხდარა ძველი არმაზული მატრიანეების გადამუშავება მცხეთაში ახალი კულტურის მსახურთა მიერ, რომელთაც დაუწერიათ მატრიანე ქართველთა მოქცევისანი (ე. ი. ისტორია ქრისტიანობის დამყარებისა იბერიაში), და რომელთაც გამოუყენებიათ როგორც ერთ-ერთი წყარო ძველი არმაზული მატრიანე, რომელიც, როგორც ირკვევა, შეიცავდა ძველი იბერიის მეფეთა სიას.

X

დასკვნები

ჩვენ ამგზის ამით ვამთავრებთ განხილვას ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სიისას — ამეფენი ქართლს შინა წარმართნი.

დაგვრჩენია გავაკეთოთ დასკვნები.

წყაროების წარმოდგენილი მიმოხილვა, ფიქრობთ, გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ დასახელებული სია — „ამეფენი ქართლს შინა წარმართნი“ — წარმოადგენს ისტორიული სინამდვილის შემცველ დოკუმენტს.

შევაჯამოთ გამოკვლევის შედეგები.

ექვსი საუკუნის მანძილზე, მოკიდებული ფარნავაზი და ნ, რომელიც, ქართული წყაროების ჩვენების თანახმად, იწყებს ფარნავაზიანთა დინასტიას, და რომლის მეფობა მიეკუთვნება III საუკუნეს ჩვენს ერამდე (ალექსანდრე მაკედონელის დიადოხების ეპოქას), და დასრულებული მირიანით, რომლის დროსაც ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად იქნა გამოცხადებული იბერიაში, და რომლის მეფობა ეკუთვნის ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნეს, — მეფეთა სიაში დასახელებულია: 28 მეფე, 6 „თანამეფე“ (არმაზელი პიტიანში), და ერთი დედოფალი (რეგენტი ტახტის მემკვიდრის ლადამის მცირეწლოვანობის დროს), სულ 35 პირი.

როგორც ვნახეთ, ანტიკური ხანის ბერძნულ-რომაული საისტორიო ძეგლები, აგრეთვე ანტიკური ხანის თანამედროვე წარწერები, რომლებიც აღმოჩენილ იქნა იბერიის ძველ დედაქალაქ მცხეთა-არმაზში, იძლევა საშუალებას შევა-მოწმობთ ქართულ მატრიანეთა ეს სია.

სახელდობრ, ბერძნულ-რომაულ წყაროებში და მცხეთა-არმაზის წარწერებში მოიხსენიებიან შემდეგნი პირნი ქართულ მატრიანეთა მეფეთა სიისა:

VIII მეფე: არტოკ I.

IX მეფე: ბარაცმან [ბარაცმან-ავაზ || ფარსმან-ავაზ] = ფარნავაზ II.

XIII მეფე: ფარსმან I.

XIV მეფე: <შირდატ II>.

XV მეფე: ქართამ I = ფლავიოს-დადე.

XV-ა თანა-მეფე (არმაზელი პიტიახში): ბერცუმ (= ბარცომ, ბარაცმან).

XVI მეფე: ფარსმან II.

XVI-ა თანა-მეფე (არმაზელი პიტიახში): კაოს (= პუპლიკო აგრიპა).

XVII მეფე: ფარნუკ I = ხეც-ფარნუგ.

XIX მეფე: ფარსმან III ქველი.

ყველა ეს პირნი დასახელებული არიან ანტიკური ხანის ბერძნულ-რომაულ საისტორიო ძეგლებში და მცხეთა-არმაზის წარწერებში—იმავე ეპოქაში, იმავე ქრონოლოგიურ რკალში და იმავე თანრიგით, როგორც ეს წარმოდგენილია ქართულ მატრიანეთა მეფეთა სიაში. ამრიგად, აქ ჩვენ გვაქვს ვადაწყვეტი მნიშვნელობის დოკუმენტაცია ქართულ მატრიანეთა მეფეთა სიის სინამდვილის სასარგებლოდ.

აღსანიშნავია ამასთან, რომ ვარდა ანტიკური ხანის ბერძნულ-რომაული საისტორიო თხზულებებისა და მცხეთა-არმაზის წარწერებისა, მნიშვნელოვან ჩვენებას აქ აღძრული საკითხის გამო შეიცავს აგრეთვე ძველ-ლათინური საისტორიო ძეგლიც— ფავსტოს ბიზანტიელის თხზულება, რომელშიაც, როგორც მოხსენებული გვქონდა, იბერიის მეფეთა დინასტიას ეწოდება — ფარნავაზიანთა, რაც ეთანხმება ქართულ საისტორიო ტრადიციას.

არსებობს აგრეთვე ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ჩვენება ქართულ მატრიანეთა ისტორიული კონცეფციის შესამოწმებლად.

ლეონტი მროველის თხზულებაში წარმოდგენილი ისტორიული კონცეფციის თანახმად, ერთგვარი სამიჯნო ეპოქალური თარიღი ანტიკური ხანის იბერიის ისტორიისა, — ეს იყო ჩამოყალიბება იბერიის სამეფოსი (—ახალი იბერიის სამეფოსი) ალექსანდრე მაკედონელის დიადოხების ეპოქაში, III საუკუნის დასაწყისში ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს.

რომ ეს კონცეფცია ძირითადში სწორია, ამას ეთანხმება გათვალისწინება ახლო აღმოსავლეთის ისტორიული ვითარებისა დიადოხების ეპოქაში, როდესაც, ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დანაწილების შედეგად, ახლო აღმოსავლეთში წარმოიქმნა ახალი სახელმწიფოებრივი ერთეულები. ამასვე ეთანხმება ის ცნობებიც, რომელიც მოგვეპოვება იბერიის სახელმწიფოს ისტორიის შესახებ მომდევნო ხანაში.

ჩვენ აქ ამგზის აღნიშნავთ ერთ დოკუმენტური ხასიათის ქრონოლოგიურ ჩვენებას, რომელიც ამოწმებს ლეონტი მროველის თხზულებაში დაცულ ისტორიულ ტრადიციას.

ძველ-ქართული კალენდარის შესწავლიდან ირკვევა, რომ ქართული ნაციონალური წელთაღრიცხვა იწყება სწორედ იმ დროიდან, როდესაც, ლეონტი მროველის ცნობით, ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაყოფის შედეგად, მოხდა ახალი იბერიის სახელმწიფოს ჩამოყალიბება, ფარნავაზიანთა დინასტიით ხელისუფლების სათავეში. სახელდობრ, დასაწყისი ქართული ნაციონალური წელთაღრიცხვისა არის 284 წელი ჩვენს ერამდე (—ეს წელი არის გამოსავალი თარიღი, რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედო ქართული ქრონიკონის სისტემას).

აღსანიშნავია ამასთან, რომ ქართულ ნაციონალურ წელთაღრიცხვას, ქართულ ნაციონალურ ერას, რომელიც იწყება 284 წლიდან, ეწოდება ალექსანდრეს (ალექსანდრობითი) წელი.

ეს სახელწოდება შემდეგი წარმოშობისაა.

როგორც ცნობილია, დიადოხების ეპოქის ყველა დინასტიები, რომელთაც ალექსანდრე მაკედონელის იპერიის დანაწილების შემდეგ გამოაცხადეს დამოუკიდებლობა, ხელისუფლების პირველ-სათავედ ალექსანდრე მაკედონელს სთვლიდნენ. როგორც იმპერიის დამაარსებელს, ხოლო თავის თავს აღიარებდნენ ალექსანდრე მაკედონელის მემკვიდრედ ანუ მოსაყდრედ თავიანთ საშვობებლოში. აქედან წარმოსდგება ეს სახელწოდებაც ძველ-ქართული ნაციონალური წელთაღრიცხვისა ალექსანდრეს (ალექსანდრობითი) წელი. როგორც ირკვევა, ეს თარიღი, 284 წელი, რომლიდანაც იწყება ქართული ნაციონალური ერა, არის თარიღი იბერიის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და ფარნავაზიანთა დინასტიის დამკვიდრებისა იბერიის სახელმწიფოს ხელისუფლების სათავეში.



დასასრულ დაგვრჩენია ხაზი გავუსვათ შემდეგ გარემოებასაც.

როდესაც ჩვენ, პირველწყაროების ანალიზის შედეგად, დავასკვნით, რომ ქართულ მატთანა ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია (მეფენი ქართლს შინა წარმართნია) — წარმოადგენს ისტორიული სინამდვილის შემცველ დოკუმენტს, ეს, რასაკვირველია, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მეფეთა სიაში არ იყოს დეფექტები და შეცდომები.

რასაკვირველია, გამორიცხული არაა, რომ მეფეთა სიაში არის ესა თუ ის დეფექტი, შესაძლოა მეფეთა სიას აკლია ამა თუ იმ მეფის სახელი, ანდა ცალკეულ შემთხვევებში იქნებ შეცვლილია თანრიგიც და სხვა.

რომ მეფეთა სიაში შესაძლოა იყოს დეფექტები, ჩვენ არ ვართ დაზღვეული მით უფრო, რომ ჩვენს დრომდე შენახულა მეფეთა სიის პირი, რომელიც მრავალგზის გადაწერილა, რომელსაც გაუვლია არა ერთი და ორი მოსაშუალები საისტორიო წყარო, ვიდრე მეფეთა სია მოხვდებოდა იმ საისტორიო თხზულებებში, რომლებიც ჩვენს დრომდე გადარჩენილან.

მაგრამ ყოველ შემთხვევაში ფაქტი ისაა, რომ ქართულ მატთანებში წარმოდგენილი მეფეთა სიის სახით, ჩვენ გვაქვს, როგორც ირკვევა, არა ლეგენდარული ხასიათის წყარო, არამედ ისტორიული სინამდვილის შემცველი ძეგ-

ლი, რომელიც, ეს სრულიად უდავოა, მომდინარეობს წინა-ქრისტიანული ეპოქის ძველ-ქართული საისტორიო წყაროებიდან.

თუ ამ შეგლში არის შეცდომები, ეს არის შეცდომები ისტორიული დოკუმენტისა და არა ლეგენდარული წყაროსი: ეს არის ისეთი ხასიათის შეცდომები, რომლისაგან არ არის დაზღვეული არც ერთი ისტორიული დოკუმენტი, რომელიც ასეთი დიდი მოცულობის ეპოქას, ექვსი საუკუნის მანძილს ეხება.

მაინც დეფექტები ქართულ მატრიანეთა მეფეთა სიისა, თუკი აქ არის დეფექტები, ჩანს, მცირე მოცულობისა უნდა იყოს. ამის გარანტიას იძლევა ის გარემოება, რომ ყველა იმ შემთხვევებში, სადაც კი ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა შევამოწმოთ მეფეთა ეს სია, — ხოლო ეს შემოწმება, როგორც გამოიჩვენა, შესაძლოა ჩატარებულ იქნას მეფეთა სიის მნიშვნელოვანი ნაწილის მართ, — ყველა ამ შემთხვევებში დასტურდება ქართულ მატრიანეთა სიის სინამდვილე, და ჩვენ არ გვაქვს ჭერჯერობით არც ერთი შემთხვევა, როდესაც ეს სია სცილდებოდეს ისტორიულ სინამდვილეს.

ასეთია ის დასკვნები, რომელსაც იძლევა კრიტიკული ანალიზი ქართულ მატრიანებში წარმოდგენილი იბერიის მეფეთა სიისა — «მეფენი ქართლს შინა წარმართნი».

XI

ქრონოლოგიური ნუსხა იბერიის მეფეთა

III საუკუნიდან ჩვენს ერაზმე — ვიდრე IV საუკუნემდე ჩვენი წელთაღრიცხვასა

მეფეთა სიის სინამდვილის საკითხის განხილვის შემდეგ ჩვენ აქ შეეჩერდებით ქრონოლოგიის საკითხზედაც.

რასაკვირველია, ჯერ კიდევ ნაადრევია საუბარი ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სიის მთლიანი ზუსტი ქრონოლოგიის დადგენის შესახებ. მაგრამ არსებული მასალები მაინც იძლევა შესაძლებლობას მიახლოებით განვსაზღვროთ ქრონოლოგია ზოგიერთი მეფობისა, ხოლო დანარჩენ მეფობათა შესახებ აღნიშნულ იქნას საერთო ქრონოლოგიური მიჯნები.

ქრონოლოგიური ნუსხა იბერიის მეფეთა, რომელიც ქვემოთ მოგვყავს, ემყარება შემდეგი სამი ჯგუფის ქრონოლოგიურ მაჩვენებლებს:

1. გამოსავალ თარიღად მიღებული გვაქვს 284 წელი ჩვენ წელთაღრიცხვამდე, ე. ი. ის თარიღი, რომელიც ფიქსირებულია ქართული ნაციონალური წელთაღრიცხვით; ეს თარიღი, 284 წელი, საიდანაც იწყება ქართული ნაციონალური ერა, და რომელსაც ეწოდება ალექსანდრეს (ალექსანდრობითი) წელი, მიჩნეულ უნდა იქნეს, როგორც აღნიშნული გვექონდა, ახალი იბერიის სამეფოს დაარსების თარიღად ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დანაწილების შემდეგ.

2. ცალკე მეფობათა მიახლოებითი თარიღის დროს გათვალისწინებულია ის ქრონოლოგიური ჩვენებანი, რომელთაც შეიცავენ ანტიკური ხანის ბერძულ-რომაული საისტორიო წყაროები და ანტიკური ხანის თანამედროვე წარწერები.

3. ქართული ნაციონალური მატრიანებიდან მხედველობაში მიღებულია ის ოთხი სათარიღო ცნობა მეფობათა ხანგრძლივობის შესახებ, რომლებიც ავთენტური ხასიათის ცნობებად უნდა იქნენ მიჩნეულნი, სახელდობრ, ცნობები ფარნავაზ I-ის, არტოკ I-ის, ადეროკ I-ის და ლადამ I-ის მეფობათა ხანგრძლივობის შესახებ (რომ ეს ოთხი ქრონოლოგიური ცნობა, ჩანს, ავთენტური ხასიათისაა, მომდინარე არქაული საისტორიო ძეგლებიდან, იხ. ამის შესახებ ზემოთ, გვ. 522 — 524).

ამ სამი ჯგუფის ქრონოლოგიურ მაჩვენებლებზე დამყარებით ჩვენ ვღებულობთ შემდეგ ქრონოლოგიურ ანუსხას იბერიის მეფეებისას, III საუკუნიდან ჩვენს ერამდე — ვიდრე IV საუკუნის დასაწყისამდე ჩვენი წელთაღრიცხვისა.

•

1. მეფე ფარნავაზ I	284—219 წ. ¹
2. მეფე საურმაგ I	} 219—66 წ.
3. მეფე მირვან (მირიან) I	
4. მეფე ფარნაჯობ (ფარნაჯომ) I	
5. მეფე არსოკ I	
6. მეფე მირდატ I	} 66—65 წ. ²
7. მეფე არტოკ I	
8. მეფე ბარაცმან [ბარაცმან-ავაზ ფარსმან-ავაზ] = ფარნავაზ II	} 36 წ. ³
9. მეფე მირიან II	
10. მეფე არსუკ (არსოკ) II	
11. მეფე ადეროკ I	} 27 წლიდან (ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს) — 30 წლამდე (ჩვენი წელთაღრიცხვისა) ⁴ .

¹ „ოც-და-შუღისა წლისა მეფე იქმნა და სამოც-და-ხუთ წელს მეფობდა“ (ლეონტი მროველი). გამოსავალი თარიღი 284 წელი (ქართული ნაციონალური წელთაღრიცხვის დასაწყისი).

² „ორ წელ ოდენ მეფობდა“ (ლეონტი მროველი). ანტიკური ხანის ბერძენ-რომაელი ისტორიკოსები (აბიანე, დიონ კასიუსი, ფლორე, ევტროპი, ფესტუსი) იბერიის მეფეს არტოკს მოიხსენებენ 65 წელს, პომპეუსის ლაშქრობათა დროს.

³ დასახელებულ წელს (36 წელი ჩვენს ერამდე) მოიხსენება ბერძენ ისტორიკოსის დიონ კასიუსის თხზულებაში.

⁴ „ოც-და-ათისა წლისა მეფე იქმნა და ორმოც-და ათმუდმეტ წელს მეფობდა“ (ლეონტი მროველი).

ლეონტი მროველის სათარიღო ცნობასთან დაკავშირებით აქ საჭიროა აღვნიშნოთ შემდეგიც. ლეონტი მროველის თხზულებაში მეფე ადეროკ I-ის შესახებ ძირითად სათარიღო ცნობას („ოც-და-ათისა წლისა მეფე იქმნა და ორმოც-და ათმუდმეტ წელს მეფობდა“) დართული აქვს გლოსა — ქრისტეს შობის, ქრისტეს ჯვარცმისა და საქართველოში ქრისტეს კვართის მოტანის შესახებ. რამდენადაც ქართულ მატრიანეთა არქაული პირველწყარო, რომლიდანაც დამოკიდებულნი არიან, უშუალოდ თუ მეშვეობით, ლეონტი მროველი და საშუალო საუკუნეთა სხვა ქართველი ისტორიკოსები, წინა-ქრისტიანული ხანის ძეგლად არის მისაჩნევი, ცხადია, ამ პირველწყაროში ადგილი არ ექნებოდა ამ დანართ ცნობებს, რომლებიც ქრისტიანობის

12. მეფე ფარსმან I	30-იანი—60-იანი წლები ¹ .
13. მეფე მირდატ I	75 წ. ²
14. მეფე ქართამ I = ფლავიოს დადე	76—96 წლებს შორის ³ .
14-ა. თანა-მეფე (არმაზელი პიტიახში); ბარაცმან (ბარცომ, ბერცუმ)	
15. მეფე ფარსმან II ⁴	I საუკ. ბოლო —II საუკ. დასაწყისი.
15-ა. თანა-მეფე (არმაზელი პიტიახში); კაოს (=კა- ოს პუბლიკი აგრიპა) ⁴	
16. მეფე ფარნუჯ I = ხსე-ფარნუჯ ⁵	110-იანი წლები.
16-ა. თანა-მეფე (არმაზელი პიტიახში); არმაზაერაი	
17. მეფე ამაზასპ I	120-იანი წლები.
17-ა. თანა-მეფე (არმაზელი პიტიახში); ადერუჯ	
18. მეფე ფარსმან III ჭველი	130-იანი—140-იანი წლები ⁶ .
18-ა. თანა მეფე (არმაზელი პიტიახში); ფარსმან- ავაზ ფარნავაზ.	
19. მეფე <...> როკ	150-იანი წლები.
19-ა. თანა-მეფე მირდატ	

ისტორიას ეხება. აქ, რასაკვირველია, ჩვენ საქმე გვაქვს გვიანდელ გლოსასთან, და ამას გარდა ისიც შესაძლოა აღნიშნულ იქნას, თუ რასთან დაკავშირებით იქნა ჩართული ეს გლოსა. ქრისტიანული ხანის ქართველ ისტორიკოსებს, ცხადია, ჭერ ერთი, თავისთავად ანტიკრესტებდათ საკითხი, თუ რომელი მეფე იბერიისა იყო თანამედროვე ქრისტესს, ხოლო ეს ინტერესი, კერძოდ, იმიტად იყო გამოწვეული, რომ ქრისტიანული ხანის ავტორებს უნდოდათ დაკავშირებინათ საქართველოს ისტორიასთან ქრისტეს კვართის ლეგენდა და აღენიშნათ, თუ სახელდობრ რომელი მეფის დროს მოხდა ქრისტეს კვართის საქართველოში მოტანა. ხოლო რაჟი არქაულ საისტორიო პირველწყაროში ქრისტიანული ხანის ავტორებს ეერ უპოვიათ სათანადო დასაყრდენი ჩვენება, ამის გამო ზოგი ავტორი ქრისტეს ჭვარციმისა და საქართველოში კვართის მოტანის ამბავს ვარაუდობდა ერთი მეფის დროს, სხვა კიდევ სხვა მეფის დროს (ლენონტი შროველი ადეროკ I-ის დროს, შატბერდულ-ქელიძური ნინოს ცხოვრების ავტორი არმაზაერის დროს, ხოლო რაც შეეხება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანეს, აქ კვართის შესახებ თქმულებაში მეფე სრულბითაჲ არ არის მოხსენებული). სწორედ ეს მერყეობა საშუალო საუკუნეთა ქართველი ავტორებისა მაჩვენებელია იმისა, რომ არქაული ხანის საისტორიო პირველწყაროში არ ყოფილა ქრისტიანობის შესახებ უწყება, და, რასაკვირველია, არც შეიძლება, რამდენადაც ეს პირველწყარო, როგორც ირკვევა, წინა-ქრისტიანული ხანიდან მომდინარეობდა.

1 მეფე ფარსმან I-ის მეფობის თარიღი აღნიშნული გვაქვს ტატიტუსისა და დიონ კასიოსის ცნობების მიხედვით.

2 მეფე მირდატ (მთირდატ) I ფარსმანის-მე მოიხსენება მეცხეთის წარწერაში 75 წლის წარწერა შესრულებულია 75 წლის 1 თვლისის შემდეგ.

3 მეფე ქართამ = ფლავიოს-დადე და არმაზელი პიტიახში (თანა-მეფე) ბარაცმან არიან. თანამედროვენი რომის იმპერატორთა ფლავიოსთა სახლიდან (ლენონტი შროველი, მოქცევაჲ ქართლისა. და თანამედროვე წარწერა არმაზში აღმოჩენილი ლანგარისა).

4 მეფე ფარსმან (II) და არმაზელი პიტიახში (თანა-მეფე) კაოს (=კაოს; პუბლიკი აგრიპა) — ჩართულ მატრიანებს გარდა მოიხსენებიან სერაფიტიის ძეგლის წარწერაში.

5 მეფე ხსე-ფარნუჯ (= ფარნუჯ I) მოიხსენება იმავე სერაფიტიის ძეგლის წარწერაში.

6 მეფე ფარსმან (III) ბერძნულ-რომაულ საისტორიო წყაროებში მოიხსენება 130-იან წლებში და 130-იან/140-იანი წლების მიჯნაზე, რომის იმპერატორთა ადრიანეს და ანტონინეს დროს (—ცნობები არიანესი, დიონ კასიოსისა, ელიოს სპარტიანესი და იულიოს კაბიტოლინესი).

20. ლაღამ I
- 21-ა. დედოფალი ლაღანა
21. მეფე ფარსმან IV
22. მეფე ამაზახბ II
23. მეფე რეე I მართალი
24. მეფე ვაჩე I
25. მეფე ბაკურ I
26. მეფე მირდატ III
27. მეფე ახთაგურ I
28. მეფე ლევ(=რეე) II³.

დაახლ. 161—164 წ. ¹.

დაახლ. 164—180 წ. ²

II საუკუნის 80-იანი წლე-
ბიდან — IV საუკუნის დასა-
წყისამდე.

¹ „მეფობდა ლაღამი [სამ წელს და დღე ოც“ (მოქცევაჲ ქართლისაჲ). „დასუეს მეფედ ძე ფარსმან ქუელისა [ლ]აღამი, და იმეფა რა სამ წელს, მოკულა“ (ლეონტი მროველი).

² „და ღარჩა [მეფესა ლაღამს] ძე მისი [ფარსმან IV] წელიწდისა ერთისა ურმაჲ: და ვიდრე აღიზრდებოდა [ფარსმან IV] მეფობდა მამის-დედა მისი [დედა ლაღამისა], ცოლი ფარსმან ქუელისა, რომელსაც ვერქუა ლაღანა“ (ლეონტი მროველი).

³ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს შავიანეში სახელი უკანასკნელი «წარმართი» მეფისა — მირეანის მამისა—მოყვანილია ფორმით ლევ („ლევ მამა მირეანისი“). სახელი ლევ, როგორც ირკვევა, არის ვარიანტული სახეობა სახელსა: „რეე“. (ქართული წყაროების ცნობით, მირეანის შვილს ვერქვა „რეე“, ვ. ი. აქ გინვორცებულია სახელი პაპისა—მირეანის მამისა ლევ, იგივე რეე).

დამატება 10

I შენიშვნა ბაგრატიონთა გვარეულობის ისტორიისათვის. — II შენიშვნა
«მოქცევაჲ ქართლისაჲ»-ს ტექსტისათვის.

I

შენიშვნა ბაგრატიონთა გვარეულობის ისტორიისათვის

საშუალო საუკუნეთა საქართველოს სამეფო დინასტიის — ბაგრატიონთა სახლის — ისტორიას სხვა ადგილას ვეხებით უფრო დაწვრილებით, და აქ აქ საგანზე შევჩერდებით იმდენად, რამდენადაც ამას კავშირი აქვს ამ წერილში აღძრულ საკითხებთან.

ბაგრატიონნი, როგორც გამოიყვანა, ყოფილან დასაველეთის პიტიაზშებში (იხ. გვ. 543). ამის მიხედვით ბაგრატიონთა გვარეულობა, ჩანს, ეკუთვნოდა „სეფე-წულთა“ წრეს, ბაგრატიონთა სახლი, ჩანს, იყო განშტოება ფარნავაზიანთა ძველ-ქართული დინასტიისა.

ამას ეთანხმება აგრეთვე სხვა ჩვენებებიც:

1. ცნობა სებეოსის ანონიმიისა. საისტორიო ძეგლში, რომელიც შესავალის სახით არის ჩართული სებეოსის მატიანეში და რომელიც სებეოსის ანონიმის სახელით არის ცნობილი (—იგი ეკუთვნის ადრეულ საშუალო საუკუნეებს) — წარმოდგენილია შემდეგი გენეალოგია ბაგრატიონთა გვარისა: ფარნავაზ შვა ბაგამ და ბაგარ ატი; ბაგარ ატი შვა ბიერ ატი; ბიერ ატი შვა ასპიტი (იხ. სებეოსის ანონიმი, განყ. I). იმავე საისტორიო ძეგლში ბაგრატიონთა წინაპარს ბაგარატს (ბაგარატს) პირდაპირ ეწოდება ფარნავაზიანი „ბაგარატ ფარ [ნა]ვაზიანი“—იხ. სებეოსის ანონიმი, იქვე, განყ. I).

2. გადმოცემა არიან-ქართლიდან გადმოსახლების შენსახებ. ჰართულ წყაროებში, როგორც ცნობილია, დატულია გადმოცემა ქართველთა გადმოსახლების შესახებ სამხრეთიდან (არიან-ქართლიდან) — აზო-ფარნავაზიანთა დინასტიის მეთაურობით. რომ ბაგრატიონთა სახლი წარმოადგენდა ფარნავაზიანთა დინასტიის განშტოებას, ამას ეთანხმება აგრეთვე ის გარემოება, რომ ანალოგიური გადმოცემამ არსებობდა ბაგრატიონთა გვარეულობის შესახებაც. ბაგრატიონთა სახლის შესახებ თქმულება, რომელიც ჩვენ გვხვდება ქართულ, ბერძნულ და სომხურ წყაროებში, და რომელიც უფრო

პირველადის სახით დაუცავს კონსტანტინე პორფიროგენეტს, გადმოგვცემს, რომ ბაგრატიონთა სახლი არის შთამომავალი ბერსავია ჰუ რ ი ხ ე თ ე ლ ი ს მ ე უ ლ ლ ი ს ა, და რომ ქართველი ხალხი გადმოსახლდა სამხრეთიდან თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე ბაგრატიონთა სახლის წინაპრების მეთაურობით. ამრიგად, ბაგრატიონთა სახლის შესახებ თქმულება — ეს არის ვარიაცია აზო-ფარნავაზიანთა შესახებ გადმოცემისა: ბაგრატიონები, ისევე როგორც აზო-ფარნავაზიანნი, წარმოდგენილნი არიან როგორც წინაპდლონი ქართველთა გადმოსახლებისა სამხრეთიდან საქართველოს თანამედროვე მიწა-წყალზე.

ქართველთა პირვანდელ სამშობლოს უძველეს ქართულ წყაროებში, როგორც ცნობილია, ეწოდება: „არიან-ქართლი“. ეს არის ბიბლიური „ურ-ქაშდ“, ჰურ-ქაშდ (||ჰურ-ქართ||ჰურ-არტ||ჰურ-არტანნი). აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან ისიც, რომ ბაგრატიონთა შესახებ თქმულებაში მოხსენებული ჰუ რ ი ხ ე თ ე ლ ი და ჰურია-სტანი, თავისი პირვანდელი სახით, იმავე მსოფლიოს — ხეთურ მსოფლიოს იგულისხმებს¹.

დასასრულ კიდევ ერთი შენიშვნა ბაგრატიონთა გვარეულობის შესახებ.

ბაგრატიონთა ძირითადი სამფლობელო ანტიკური ხანის დასასრულსა და ადრეულ საშუალო საუკუნეებში არის ს პ ე რ ი — კოროხის ხეობაში. კოროხის ხეობის მკვიდრი მოსახლეობა, როგორც ცნობილია, ქართველი ხალხის ორ შტოს ეკუთვნოდა: ჭანები და იბერიელები (ქართ-მესხები). კერძოდ, საკუთრავ. სპერის თემში, როგორც ეს დასტურდება პროკოპი კესარიელის ცნობებიდან, უპირატესად ჭანური მოსახლეობა იყო. და რამდენადაც სპერი ძირითადად ჭანურ თემს წარმოადგენდა, ამდენად სამართლიანია მოსაზრება აკად. ნ. მარისა, რომელიც ბაგრატიონთა სახლს ჭანური წარმოშობის გვარეულობად სთვლის.

აღვნიშნავთ ამასთან, რომ ჭანური მსოფლიოდან მომდინარეობს თვითონომასტიკონი, საგვარეულო სახელები ბაგრატიონთა სახლისა, სახელდობრ, ის სპეციფიკური სახელები, რომლებიც მიღებული იყო ბაგრატიონთა გვარში, და რომლებიც ბოლოვდება გრამატიკული ელემენტით „ტი“: ბაგრა-ტი, სუგზა-ტი, ბივრა-ტი, აშო-ტი. აღსანიშნავია, რომ მეორე ძველ-ქართულ გვარეულობაშიაც, რომელიც ჭანეთიდან იყო წარმოშობით, სახელდობრ, ორბელიანთა გვარში (ჭან-ბაკურიან-ორბელიანნი) — მიღებული იყო ანალოგიურ სახის საგვარეულო სახელები, დაბოლოებული იმავე გრამატიკული ელემენტით „ტი“: ლიპარი-ტი, რა-ტი (*პრა-ტი).

აქ ჩვენ გვაქვს იმავე ტიპის სახელები ბოლოკიდურით „ტი“, რომელიც შერჩენილია დასავლეთ საქართველო საგვარეულო ონომასტიკონში: ჭიბუ-ტი, ღლონ-ტი, უღენ-ტი, *ხუბუ-ტი (აქედან ხუბუ-ტი-ა), *მეჩხე-ტი, *ჩხე-ტი (აქედან მეჩხე-ტის-ძე, ჩხე-ტის-ძე) და სხვანი.

დაბოლოება „ტი“, ჩანს, არის ჭანურ-მეგრული ექვივალენტი ქართულ საგვარეულო სახელწოდებათა დაბოლოებისა „თი“, რაც მიღებული ყოფილა საშუალო საუკუნეთა საქართველოში — კერძოდ, კოროხის ხეობაში (იხ. სულთა-მატიანე მიქიშიანის ხევისა) 2.

¹ ამ საგანზე უფრო დაწვრილებით სხვა ადგილას გვექნება საუბარი (სახელწოდებათა იგივეობის შესახებ: ურ-ქაშდ || ჰურ-ქართ || ჰურ-არტ || ჰურ-არტანნი — იხ. ჩვენი წერილი: დავით სასუნცი, 1939 წ., გვ. XX XI—XX XII).

² ეს ძეგლი, სულთა-მატიანე მიქიშიანის ხევისა, რომელიც აღმოჩნდა აკადემიკოს მარტინოსის არქივში (სრკ მცენიერებათა აკადემიის ყოფ. სააზიო მუზეუმში), დამზადებული გვაქვს გამოსაცემად. ძირითადი ტექსტი ძეგლისა XIV—XV საუკუნეებს ეკუთვნის.

აღვნიშნავთ ამასთან, რომ დაბოლოებას „ტი“||„თი“ ძველ-ქართულში დააღებურად
ენაცვლება დაბოლოება „თა“: ბაგრა-ტი || ბარა-თა, ბეერა-ტი || ბიერა-თა¹, აშო-ტი || შო-თა.

II

შენიშვნა «მოქცევაჲ ქართლისაჲ»-ს ტექსტისათვის

«მოქცევაჲ ქართლისაჲ»-ს ტექსტის იმ ნაწილისათვის, რომელიც გადმოცემულია ჩვენ მიერ (გვ. 506 — 507), მოგვყავს ყველა ვარიანტები შატბერდული ხელნაწერის მიხედვით.

განმარტებანი კონიექტურათა შესახებ იხ. ზემოთ, გვ. 509 — 520.

5 [ათასი] სახლი [მდაბიო უფლისაჲ] რვაჲ სახლი — 11 ცხურსა] ცხურსა. — 16, 18, 21, 23 აღაშენა] აღაშენა. — 18 ციხე] ხელნაწერში ეს სიტყვა სავსებით გადასულია, აღდგენილი გვაქვს აზრის მიხედვით. — 19 არსოქ] ხელნაწერში უკანასკნელი ორი ასო გადასულია, გაირჩევა მხოლოდ ნაკვალევი. — 19 და მან] ხელნაწერში ეს სიტყვები სავსებით გადასულია, აღდგენილი გვაქვს აზრის მიხედვით. — 20 [და მეფობდა მირდატ...] *abs.* — 21 [მარაქმან] ბრატმან. — 26 [ადღ'როკ] როკ. — 28 [და მეფობდა ფარსმან...] *abs.* — 29 <და მეფობდა მირდატ > *abs.* — 31 [იმიერ] ქარქთ]ამ და [ამიერ] ბ[აქრაქმან] ქარქამ არმაზს და მცხეთას ბრატმან. — 33 კაოს] კაოზ (ტექსტში დავტოვეთ ამ სიტყვის მართლწერა ლეონტი მროველის თხზულების მიხედვით). — 34 [ფსარქსუქ] არსოკ. — 34 აწრ]მზაერ] ამზაერ. — 37 [იმიერ < ... > როქ] ამიერ როკ. — 39 [სამ წელ] *abs.* — 48 ოც-და-[ცხრანი] ოც და რვა.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ შატბერდულ ხელნაწერში 435 გვერდის ტექსტი (ჩვენი გამოცემის 1—19 სტრიქონები, ვიდრე სიტყვამდე „ქალაქსა“) გაცხოველებულია და ტექსტის გამაცხოველებელს არასწორად აღუდგენია სიტყვა „გა“ (სახელი კერპისა). დედანში თავდაპირველად ეწერა „გა“ (—ეს აშკარად გაირჩევა) და ტექსტის გამაცხოველებელს იგი აღუდგენია როგორც „გაიმ“ (ცხადია, ქართლის ცხოვრების ტექსტის გავლენით). ამას გარდა ტექსტის გამაცხოველებელს ადგილ-ადგილ დარღვეული აქვს კლასიკური ორთოგრაფიის ნორმები: 3 „ცროლისა“ (ნაცვლად „ცროლისაჲ“) 6 „ჰყუნდეს“ (ნაცვლად „ჰყვანდეს“). ამასთან ტექსტის გამაცხოველებელი ხმარობს უ-ბრჭგუს.

საჭიროა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ «მოქცევაჲ ქართლისაჲ»-ს ადრინდელ გამოცემლებს შეცდომით აქვთ წაკითხული სახელი XV მეფისა როგორც „ქარამა“; ხელნაწერში გარკვევით იკითხვის: „ქარამა“.

¹ აქედან სახელი: ბიერ(ა)-თელ.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ზოთა რუსთაველი (1165 — 1250). მონოგრაფია	7
ვეფხისტყაოსნის შესავალი და ბოლო-თქმა (ტექსტოლოგიური ნარკვევი)	181
ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა (ანტიკური ხანა. საშუალო საუკუნეები რუსთაველის ეპოქამდე)	241
ქართული დამწერლობის ძეგლები ანტიკური ხანისა (I საუკუნე ახალი წელთაღრიცხვისა)	485
ძველ-ქართული მათიანე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია (IV საუკუნე ძველი წელთაღრიცხვისა—310-იანი წლები ახალი წელთაღრიცხვისა)	503

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ინასარიძე
მხატვარი ი. დივნიკოვი-გრიგოლია
მხატვრული რედაქტორი დ. დუნდუა
ტექნიკური რედაქტორი ვ. ხუციშვილი
კორექტორები: ნ. თავაძე, ნ. კირთაძე
გამომწვეები გ. ბენიძე

გადაეცა წარმოებას 27/VII-76. ხელმოწერილია დასაბუქლად
6/III-78 საბუქლი ქალაქი № 1. 70×108¹/₁₆. პირობითი ნა-
ბუქლი თაბახი 49,7. საარტიცხო-საგამომცემლო თაბახი 36,14.
ტირაჟი 20.000. შუკვ. № 685.
ფასი 2 მან. 80 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამსახეობის საგამომცემლო-პოლიგრაფი-
ული გაერთიანება „განათლების“ კომბინატი, თბილისი, მარ-
ჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат издательско-полиграфического объеди-
нения «Ганатлеба» Госкомиздата Грузинской ССР,
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.